ისლამის სოფლის წყარო

პროფ.დქ. ჰამდი დონდურუნი
მთარგმნელი: თამაზ მიქელაძე

გამომცემლობა ერქამი 2012 წელი სტამბოლი

www.muslimgeogia.org

ისლამის ცოდნის წყარო

პროფ.დქ. ჰამდი დონდურენი

მთარგმნელი:
თამაზ მიქელაძე

თეოლოგიური რედაქტორი:
რეზო მიქელაძე

გამომცემლობა ერქამი
2014 წელი სტანბოლი

muslimgeorgia

www.muslimgeogia.org

მთარგმნელის წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი ,,ისლამის ცოდნის წყარო" წარმოადგენს ისლამის დებულებათა კრებულს, რომელიც დაწერილია ფროფესორ ჰამდი დონდურენის მიერ. წიგნში მოცემული თითოეული საკითხი ეყრდნობა ყურანისა და ჰადისის სანდო მტკიცებულებებს. წიგნში მოცემულია აგრეთვე ისლამის რწმენისა და სამართლებრივი მიმდინარეობების წარმოშობისა და განვითარების ისტორია. თითოეული საკითხი განხილულია ოთხი ძირითადი მიმდინარეობის მიხედვით და კონკრეტულ დებულებებს თან ახლავს მტკიცებულებები, რომელთა მიხედვით მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ეს წიგნი საინტერესო იქნება, როგორც ქართველი მუსლიმებისათვის, ისე სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის. მასში ნათლადაა ასახული ისლამისეული მიდგომები, როგორც რწმენის და ღვთისმსახურების, ისე ცხოვრებისეულ საკითხებში.

ისლამის ცოდნის წყაროში მოცემული ზოგიერთი სპეციფიკური ტერმინები წიგნშივეა განმარტებული და ვფიქრობთ მისი გაცნობისას ქართველ მკითხველს განსაკუთრებული სირთულეები არ შეხვდება.

ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად დაგვეცვა ეს წიგნი უზუსტობებისაგან. სრულყოფილება კი მხოლოდ ღმერთის ხვედრია.

დიადი ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ნაწილი პირველი

1. სარწმუნოების აღმოცენება

ა. სარწმუნოების მცნება და მთლიანობა

სიტყვა სარწმუნოების არაბული შესატყვისი არის “დინ”-ი. დინის ლექსიკონისეულ განმარტებები კი შემდეგია: წესი და ადათი, სასჯელი და სამაგიერო, ჯილდო, თაყვანისცემა, ანგარიშვალდებულება, ქედის მოხრა, მეუფება, მართვა, ხალხი და შარიათი.

თანამედროვე ტერმინოლოგიით კი სარწმუნოების ნაცვლად ხშირად გამოიყენება რელიგია. სიტყვა რელიგია ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს რაიმის მოვალეობად ქცევას, ხშირად გამეორებას და კითხვას, აგრეთვე ადამიანის ღმერთთან დამაკავშირებელ გზას. ყველა სარწმუნეობრივ კულტურაში და სიტყვა სარწმუნოების ამხსნელ სიტყვებში შეიძლება ითქვას, რომ ერთი საერთო ხაზია, რომელიც მოიცავს რწმენას, გზას, წესებს და მორჩილებას.

ყურანში სიტყვა “დინ”-ი და იგივე ძირიდან წარმოქმნილი სიტყვა “დეინ”-ი , რომელიც ვალს ნიშნავს ოთხმოცდათხუტმეტჯერაა ნახსენები. სიტყვა “დინ”-ის ყურანში გამოყენებული მნიშვნელობები შემდეგია: აუცილებელი თაყვანისცემა, ქედის მოხრა ღვთისმსახურება, წარღვნის და განკითხვის დღე, ღმერთის სარწმუნოება, ისლამი, კანონი, განგება, შარიათი.

მექაში ზეგარდმოვლენილ აიათებში სარწმუნოება ნახსენებია მორწმუნეთა გაერთიანებისაკენ მოწოდების შემცველი მნიშვნელობებით. მაგ. ჭეშმარიტი სარწმუნოება, აბრაამის სარწმუნოება და სხვა. ხოლო მედინაში ზეგარდმოვლენილ აიათებში სარწმუნოება მიანიშნებს მორწმუნეებს ისლამის საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობას. მორწმუნეებს ახარებს რომ მათი სარწმუნოება ჭეშმარიტია და მცდარ სარწმუნოებებზე მაღლა დგას. ეს ჩანს შემდეგ აიათში:

اِنَّ الدِّ ينَ عِنْدَ اللّٰهِ الْاِسْلَامُ وَمَا اخْتَلَفَ الَّذ ينَ اُوتُوا الْكِتَابَ اِلَّا مِنْ بَعْدِ مَا جَاءَهُمُ الْعِلْمُ بَغْيًا بَيْنَهُمْ وَمَنْ يَكْفُرْ بِاٰيَاتِ اللّٰهِ فَاِنَّ اللّٰهَ سَر يعُ الْحِسَابِ

„უეჭველად, ალლაჰის წინაშე სარწმუნოება ისლამია და მხოლოდ მას მერე, რაც ცოდნა მიიღეს, ერთმანეთის შურით გაიყვნენ ისინი, რომელთაც წიგნი ებოძათ. და თუ ვინმე არ იწამებს ალლაჰის აიათებს, უეჭველად, ალლაჰი მსწრაფლგანმკითხველია!“

(ალი იმრან 3/19)

وَقَاتِلُوهُمْ حَتّٰى لَا تَكُونَ فِتْنَةٌ وَيَكُونَ الدِّينُ لِلّٰهِ فَإِنِ انْتَهَوْا فَلَا عُدْوَانَ إِلَّا عَلَى الظَّالِمِينَ

„და ეომეთ, სანამ არ მოისპობა საცდური (გზასაცდენობა) და არ დამკვიდრდება (გამტკიცდება) სარწმუნოება ალლაჰისა. და თუ შეწყვეტენ (რასაც ჩადიოდნენ), მტრობაც დასრულდეს, თვინიერ დესპოტთა მიმართ.“

(ბაყარა 2/193)

وَمَنْ يَبْتَغِ غَيْرَ الْإِسْلَامِ دِينًا فَلَنْ يُقْبَلَ مِنْهُ وَهُوَ فِي الْآخِرَةِ مِنَ الْخَاسِرِينَ

„და ვინც ეძიებს სხვა სარწმუნოებას, გარდა ისლამისა, მისგან არ მიიღება (ღმერთის წინაშე) იგი (სარწმუნოება), და ის იქნება საიქიოში წაგებულთა შორის.“

(ალი იმრან 3/85)

სიტყვა “დინ”-ი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სარწმუნოებას ნიშნავს და ყურანში ნახსენებია არა მარტო მუსულმანების, არამედ სხვათა სარწმუნოების აღმნიშვნელად. გარდა ამისა დინი და სალამი ორი ერთი და იმავე მნიშვნელობითაა გამოყენებული და ამიტომ ყველა შუამავლის მიერ ნაქადაგები სარწმუნოება მოიაზრება როგორც ისლამი.

ჰადისებშიც სიტყვა “დინ”-ის ძირიდან წარმოებული სიტყვებიც შემდეგი მნიშვნელობებითაა წარმოდგენილი: ქედის მოხრა, თაყვანისცემა, ღვთისმსახურება. “ გონიერი ადამიანია ის, ვინც ცდუნებებს მოთოკავს (ქედს მოახრევინებს) და ღმერთს თაყვანს სცემს” ამ ჰადისში “დანე” არის ზმნა, რომელიც ქედის მომხრევინებელს ნიშნავს. ღმერთის ერთ-ერთი სახელიც “დეიან” მპყრობელს, განმგებელს ნიშნავს.

ყურანში და სუნაში სარწმუნოების მნიშვნელობის მატარაბელი სხვა სიტყვებიც გვხვდება. რადგან შუამავლებს თავიანთ ხალხისთვის მოჰქონდათ სარწმუნოება და ხალხიც ამ გზას მისდევდა ხალხი და შარიათი ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენებოდა. რაგიბ ელ ისფაჰანი ასე ბრძანებდა: “სიტყვა ხალხი

თავისი მნიშვნელობით სარწმუნოებას გავს. თუმცა განსხვავება იმაშია, რომ ის გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როცა შუამავლების შესახებ საუბრობდა უზენაესი ღმერთი "ჩემი წინაპრების, აბრაამის, ისაკის და იაკობის ხალხს (სარწმუნოებას) მივყევ".

وَاتَّبَعْتُ مِلَّةَ اٰبَاۤئِیْۤ اِبْرٰهِیْمَ وَاِسْحٰقَ وَیَعْقُوْبَ مَا كَانَ لَنَاۤ اَنْ نُّشْرِكَ بِاللّٰهِ مِنْ شَیْءٍ ذٰلِكَ مِنْ فَضْلِ اللّٰهِ عَلَیْنَا وَعَلَى النَّاسِ وَلٰكِنَّ اَكْثَرَ النَّاسِ لَا یَشْكُرُوْنَ

„და მივჰყევი ჩემი წინაპრების: იბრაჰიმის, ისჰაყის და იაღყუბის სარწმუნოებას. შეუძლებელია, ჩვენ ვინმე თანაზიარი გავუხადოთ ალლაჰს. აი ეს ალლაჰის მადლია ჩვენზე და ადამიანებზე, თუმცა ადამიანთა უმრავლესობა უმადურია."

(იუსუფი 12/38).

ასეთ შემთხვევაში ხალხი ღმერთის მიერ გამოგზავნილი შუამავლების მიერ ნაქადაგები შარიათის სახელია.

ამ ზოგადი ცნობების შემდეგ ჭეშმარიტი სარწმუნოების განმარტება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: სარწმუნოება დიადი ღმერთის მიერ შუამავლების საშუალებით გამოგზავნილი ბრძანებები და კანონებია, რომელთაც მივყავართ სიკეთისკენ და გვაშორებენ ბოროტებას. მისი განმარტება სხვანაირადაც შეიძლება; სარწმუნოება გონიერი ადამიანების მიერ არჩეული ღვთიური კანონია, რომელსაც ადამიანები სიკეთისკენ მიჰყავს. ამ მნიშვნელობების მიხედვით სარწმუნოება მოიცავს, როგორც რწმენას, ისე- ქმედებას. სწორედ სარწმუნოება არეგულირებს როგორც ადამიანსა და ღმერთს შორის ურთიერთკავშირს, ისე ადამიანსა და ადამიანს შორის და ადამიანსა და სხვა სულიერ თუ უსულო საგნებს შორის ურთიერთკავშირს. ყველა გონიერ ადამიანს შეუძლია განსაზღვროს, რომ სამყაროს თავისი გამჩენი ჰყავს. ადამიანს ნამდვილად გააჩნია ამის უნარი. მისი სული სუფთაა და გააჩნია საიმისო ძალა აღმოაჩინოს დიადი ღმერთის არსებობა. წმ. აბრაამი ბავშვობაში აკვირდებოდა მთვარეს, მზეს, ვარსკვლავებს და ფიქრობდა, რომ ისინი იყვნენ ღმერთები, მაგრამ როცა ნახა როგორ იკარგებოდნენ ისინი და ისევ ჩნდებოდნენ დარწმუნდა მათ უკან დიდადი ღმერთის არსებობაში.

ადამიანის გონება ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვებისას ხვდება, რომ ეს ყველაფერი თავისით ვერ გაჩნდებოდა. ბუნებრივ ძალებს შორის უზუსტესი კანონზომიერება თავისთავად ვერ ჩამოყალიბდებოდა. ამრიგად ადამიანის გონება შეიგრძნობს და მიხვდება, რომ სამყაროს უკან დგას ამ ყველაფრის გამჩენი უზენაესი ძალა.

ამისათვის არცაა აუცილებელი რაიმე წინასწარი ცოდნა. ორი რომ ერთზე მეტია, ეს ადამიანმა რომ არ ისწავლოს სადმე, გონებითაც მიხვდება, რადგან ეს მასშია. მის სულსა და გონებაშია გააზრების და დასკვნების უნარი.

ყურანში ადამიანის გონებისა და ლოგიკური აზროვნების შესახებ შემდეგია მითითებული:

وَلَئِنْ سَأَلْتَهُمْ مَنْ خَلَقَ السَّمٰوَاتِ وَالْأَرْضَ لَيَقُولُنَّ اللّٰهُ قُلِ الْحَمْدُ لِلّٰهِ بَلْ أَكْثَرُهُمْ لَا يَعْلَمُونَ

„და თუ ჰკითხავ მათ: „ვინ გააჩინა ცანი და მიწაო? უთუოდ, გიპასუხებენ: „ალლაჰმაო“. უთხარი: „დიდება ალლაჰს!“ მაგრამ მათგან უმეტესობა არ უწყის.“

(ლოყმანი 31/25)

فَأَقِمْ وَجْهَكَ لِلدِّينِ حَنِيفًا فِطْرَتَ اللّٰهِ الَّتِي فَطَرَ النَّاسَ عَلَيْهَا لَا تَبْدِيلَ لِخَلْقِ اللّٰهِ ذٰلِكَ الدِّينُ الْقَيِّمُ وَلٰكِنَّ أَكْثَرَ النَّاسِ لَا يَعْلَمُونَ

„მაშ, მოაქციე შენი სახე ერთმორწმუნე სარწმუნოებისკენ, ალლაჰმა ასეთი თვისება თანდააყოლა ადამიანს დაბადებიდანვე. ალლაჰის გაჩენილს შეცვლა არ უწერია. ეს არის ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა არ ურწიან!“

(რუმი 30/30)

ყურეიშელი ურწმუნოთაგან ას იბნ ვაილმა შეეკითხა ღვთის შუამავალს, თუ ვის შეეძლო გახრწნილი და გაფანტული ძვლების ხელახლა გაცოცხლება. ამ კითხვის პასუხი შემდეგი აიათითაა შესაძლებელი:

وَضَرَبَ لَنَا مَثَلًا وَنَسِيَ خَلْقَهُ قَالَ مَنْ يُحْيِ الْعِظَامَ وَهِيَ رَمِيمٌ

قُلْ يُحْيِيهَا الَّذِي أَنْشَأَهَا أَوَّلَ مَرَّةٍ وَهُوَ بِكُلِّ خَلْقٍ عَلِيمٌ

„განიზრახა ჩვენთვის იგავის მოტანა, დაივიწყა თავის გაჩენა. თქვა: „ვინ გააცოცხლებს ძვლებს, რომელიც გაიხრწნა?“ „უთხარი: „გააცოცხლებს მას, რომელმაც გააჩინა თავდაპირველად, რამეთუ იგი ყველა გაჩენილს უწყის.“

(იასინ 36/ 78,79)

თავიდან რახან გააჩინა ღმერთმა ყველა სულიერი, განა გაუჭირდება მათი ხელახლა გაცოცხლება?!

ადამიანი გაჩენის დღიდან სუფთა და უცოდველია, მაგრამ შემდეგ გარემო ფაქტორები და სატანის ზემოქმედება ცვლის მის უცოდ-

ველობას. დასაწყისში ადამიანის გული ღვთიური სიგნალების მიმართ მგრძნობიარეა, როგორც სუფთა სარკე, მაგრამ მერე და მერე ამქვეყნიური ცდუნებები, უსაზღვრო ვნებები, და ცოდვები გულს დააბინძურებს. ჰადისში კი შემდეგნაირადაა ნაბრძანები: “ყოველი ბავშვი მართლმორწმუნედ იბადება, შემდეგ კი მშობლები მას აქცევენ იუდეველად, ქრისტიანად, ან კიდევ კერპთაყვანისმცემლად”

გარდა ამისა ადამიანის გონება არაა საკმარისი ღმერთის არსებობის ბოლომდე შესაცნობად.

პირველ რიგში საჭიროა ადამიანმა საკუთარი თავი შეიცნოს. ამის შესახებ დიადი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

سَنُرِيهِمْ اٰيَاتِنَا فِى الْاٰفَاقِ وَفِى اَنْفُسِهِمْ حَتّٰى يَتَبَيَّنَ لَهُمْ اَنَّهُ الْحَقُّ اَوَلَمْ يَكْفِ بِرَبِّكَ اَنَّهُ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ شَهِيدٌ

„სულ მალე ვუჩვენებთ მათ ჩვენს სასწაულებს ცის კაბადონზე და მათ სულებში, რათა განცხადდეს მათთვის, რომ იგი ჭეშმარიტებაა. განა არ კმარა, რომ იგი უწყის ყველაფერს.“ (ფუსსილეთ 41/53)

ადამიანს, რომელსაც აკლია მორწმუნოებრივი მგრძნობელობა საკუთარი თავის შესახებ მხოლოდ ის იცის, რასაც თვალით ხედავს და რასაც გარე წყაროებიდან სწავლობს. მის შინაგან სამყაროს კი სურვილები მართავს; მოშივდება, შეჭამს, გაბრაზდება თავს დაესხმის, ვნებები თუ მოეძალება საპირისპირო სქესს მოძებნის. ასეთი გრძნობები ცხოველებსაც გააჩნიათ, ამიტომ საჭიროა ადამიანმა ამოიცნოს საკუთარი თავი. საჭიროა საკუთარ თავს დაუსვას კითხვები:

რა არის ადამიანი?

საიდან მოვიდა?

სად წავა?

ამ ქვეყნად რატომ მოვიდა?

რატომ გაჩნდა?

ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერების გზა რომელია?

ყველა ამ შეკითხვის პასუხს ადამიანი თავისი გონიერებით და ლოგიკით ვერ მიაგნებს. ამის პასუხს სარწმუნოება მისცემს. ჭეშმარიტი სარწმუნოების მეუფე და წყარო თავად დიადი გამჩენია.

თუმცა ადამიანს არ გააჩნია სათანადო უნარი პირდაპირი კავშირი დაამყაროს გამჩენთან და ელაპარაკოს მას, ამიტომ ვერ გაიგებს რა უბრძანა ღმერთმა, და რა აუკრძალა. ღმერთმა ადამიანებს საშუამავლოდ რჩეული ადამიანები გამოუგზავნა. სწორედ შუამავლები გვასწავლიან ღვთიურ წიგნებს და სარწმუნოებას.

ბ. ადამიანის გაჩენა

დედამიწაზე პირველი ადამიანები იყვენენ წმ. ადამი და ევა. ღღღმერთმა ადამი მიწისგან გააჩინა და სხეულის დასრულების შემდეგ სული შთაბერა. როდესაც წმ. ადამი გაცოცხლდა ღმერთის ბრძანებით ყველა ანგელოზმა თაყვანი სცა მას. მხოლოდ იბლისი, ანუ სატანა ფიქრობდა, რომ თვითონ უფრო მაღლა იდგა მდგომარეობით, ვიდრე ადამი. ამრიგად ის სიამაყემ აცდუნა და არ ეთაყვანა ადამს. შესაბამისად მან არ შეასრულა ღვთის ბრძანება და დაწყევლილ იქნა ღვთის მიერ.

ადამის გაჩენის შემდეგ ღმერთმა გააჩინა ევა, რომელიც ერთი ვარაუდით ადამის "ეგე"სგან. ხოლო მეორე ვარაუდით –ნეკნისგან შექმნა.

ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია:

هُوَ الَّذ ی خَلَقَكُمۡ مِنۡ نَفۡسٍ وَاحِدَةٍ وَجَعَلَ مِنۡهَا زَوۡجَهَا لِيَسۡكُنَ اِلَيۡهَا فَلَمَّا تَغَشّٰيهَا حَمَلَتۡ حَمۡلًا خَف يفًا فَمَرَّتۡ بِه فَلَمَّا اَثۡقَلَتۡ دَعَوَا اللّٰهَ رَبَّهُمَا لَئِنۡ اٰتَيۡتَنَا صَالِحًا لَنَكُونَنَّ مِنَ الشّٰاكِر ينَ

„ალლაჰს უთუოდ ციცლს დავსწამებთ, თუკი დავუბრუნდებით თქვენს სარწმუნოებას მას შემდეგ, რაც ალლაჰმა გვიხსნა მისგან. და არ იქნება, ჩვენ დავუბრუნდეთ მას გარდა, ალლაჰის ნებისა, ჩვენი ღმერთისა. ჩვენი ღმერთი გარემოიცავს ცოდნით ყველაფერს. ჩვენ ალლაჰს ვჰმორჩილობთ. ღმერთო ჩვენო! განსაჯე ჩვენსა და ჩვენს ხალხს შორის ჭეშმარიტებით, რამეთუ შენ ხარ საუკეთესო მსაჯული!"

(არაფ 7/189)

يَا اَيُّهَا النَّاسُ اتَّقُوا رَبَّكُمُ الَّذ ی خَلَقَكُمۡ مِنۡ نَفۡسٍ وَاحِدَةٍ وَخَلَقَ مِنۡهَا زَوۡجَهَا وَبَثَّ مِنۡهُمَا رِجَالًا كَث يرًا وَنِسَاءً وَاتَّقُوا اللّٰهَ الَّذ ی تَسَاءَلُونَ بِه وَالۡاَرۡحَامَ اِنَّ اللّٰهَ كَانَ عَلَيۡكُمۡ رَق يبًا

„ჰეი, ადამიანნო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გა-გაჩინათ თქვენ ერთი სულისგან , და გააჩინა მისგან მეწყვილე (მეუღლე) მისი, ხოლო მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი. გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმანეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს. უეჭველად, ალლაჰი ზედამხედველია თქვენი!“

(ნისა 4/1)

ღვთის შუამავალს კი უბრძანებია: “ მანდილოსნებს კარგად მოეპყარით, ვინაიდან ისინი ნეკნისგან არიან გაჩენილნი. ნეკნის ყველაზე მრუდე ნაწილი მისი ზედაპირია. თუ მის გასწორებას შეეცდებით გატყდება, თუ ისე დატოვებთ ყოველთვის მრუდედ დარჩება.” (ბუჰარი, ენბია 1)

ეს ორი ადამიანი ღმერთმა სამოთხეში მოათავსა და მხოლოდ ერთადერთი ხის ნაყოფის ჭამა აუკრძალა. შურით აღვსილმა სატანამ როგორღაც გამონახა გზა და ჩურჩულით მიუახლოვდა მათ და ასე უთხრა:

فَوَسْوَسَ لَهُمَا الشَّيْطَانُ لِيُبْدِيَ لَهُمَا مَا وُرِيَ عَنْهُمَا مِنْ سَوْاٰتِهِمَا وَقَالَ مَا نَهٰيكُمَا رَبُّكُمَا عَنْ هٰذِهِ الشَّجَرَةِ اِلَّا اَنْ تَكُونَا مَلَكَيْنِ اَوْ تَكُونَا مِنَ الْخَالِدِينَ

„მაშინ ეშმაკმა ეჭვი ჩაუგდო მათ, რათა ცხადი ექმნა მათთვის, რაც დაფარული იყო სასირცხოთაგან მათთვის და უთხრა: თქვენმა ღმერთმა მხოლოდ იმიტომ აგიკრძალათ ეს ხე, რომ არ გამხდარიყავით ანგელოზები ან უკვდავები.“

(არაფ 7/20)

მათ ჩათვალეს რომ სატანას მათთვის სიკეთე სურდა, დაუჯერეს და აკრძალული ხის ნაყოფი ჭამეს. ამის გამო კი ღვთის რისხვა დაიმსახურეს. ღმერთმა მათ ასწავლა ლოცვა-ვედრება. ამ ორმა ადამიანმა დიად ღმერთის სადიდებლად პირველად აღავლინეს ვედრება :

قَالَا رَبَّنَا ظَلَمْنَا اَنْفُسَنَا وَاِنْ لَمْ تَغْفِرْ لَنَا وَتَرْحَمْنَا لَنَكُونَنَّ مِنَ الْخَاسِرِينَ

„მიუგეს ორივემ : ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით!“

(არაფ 7/23)

დიადმა ღმერთმა მიიღო მათგან ვედრება, მაგრამ სამოთხის

მაგივრად ამქვეყნიური ცხოვრება არგუნა, თავისი უბედურებებით და განსაცდელით აღსავსე. მათ უნდა ეცხოვრად დედამიწაზე გამოსაცდელად და როცა მოკვდებოდნენ განკითხვის შემდეგ დაებრუნებდა მათ სამოთხეში. ამრიგად ამ ორი ადამიანით და მათი შთამომავლობით დაიწყო ამქვეყნიური ცხოვრება. ადამიანები უკვე შეწყვილებით და დაბადებით მრავლდებოდნენ. სხვა ცხოველებმა და მცენარეებმა კი დაბადებით, დაყოფით, დამტვერვით და სხვა გზებით გამრავლების უნარი შეიძინეს.

ყურანში ბავშვის ჩასახვა და განვითარება შემდეგნაირადაა ახსნილი:

وَلَقَدْ خَلَقْنَا الْاِنْسَانَ مِنْ سُلَالَةٍ مِنْ ط ينٍ

ثُمَّ جَعَلْنَاهُ نُطْفَةً ف ى قَرَارٍ مَك ينٍ

ثُمَّ خَلَقْنَا النُّطْفَةَ عَلَقَةً فَخَلَقْنَا الْعَلَقَةَ مُضْغَةً فَخَلَقْنَا الْمُضْغَةَ عِظَامًا فَكَسَوْنَا الْعِظَامَ لَحْمًا ثُمَّ اَنْشَاْنَاهُ خَلْقًا اٰخَرَ فَتَبَارَكَ اللّٰهُ اَحْسَنُ الْخَالِق ينَ

„და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი ტალახის არსისგან !“

„მერე ვჰქმენით წვეთისგან სისხლის კოლტი , მერე სისხლის კოლტიდან ვქმენით ხორცის ნაჭერი, ამის შემდეგ ხორცის ნაჭრიდან ვქმენით ძვლები, მერე ძვლებს შევასხით ხორცი, მერე გამოვსახეთ იგი სხვა ქმნილებად. რაოდენ დიადია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენია!“

(მუ’მინუნ 23/ 12-14)

გ. პირველი ადამიანი.

ყველა ზეციური სარწმუნოება აღიარებს, რომ ადამიანთა წინაპრები ადამი და ევა იყვნენ. პირველი ადამიანი ადამი იყო ღვთის მიერ დედამიწის მპყრობელად მოვლენილი, მისი შუამავალი და მორჩილი.

მატერიალისტური თეორიის მიმდევრები კი მიიჩნევენ, რომ ადამიანი მაიმუნისგან გარდაიქმნა ადამიანად.

ევოლუციის თეორიად ცნობილი ეს მოსაზრება თავიდან ინგლისელმა მეცნიერმა და ბიოლოგმა ჩარლზ დარვინმა(1809-1882) წამოაყენა. ამიტომ ამ თეორიას დარვინიზმსაც ეძახიან.

დარვინს მიაჩნდა, რომ საერთო წარმოშობის ცოცხალი არსებები გარემო ფაქტორებისა და გადარჩენისათვის ბრძოლის პირობებში ხანგრძლივად არსებობის გამო ცვლილებებს განიცდიდნენ. ამ მიზეზით თვლიდა, რომ მაიმუნიც დროთა განმავლობაში ადამიანად გადაიქცა"

დარვინი და მისი მიმდევრები სამყაროს და ცოცხალ არსებებს სარწმუნოების მხრიდან კი არა მატერიალური მხრიდან უყურებდნენ და მათი მეთოდი დაკვირვებაში მდგომარეობდა.

ისინი მაიმუნიდან ადამიანამდე გარდასვლის ეტაპებად მიიჩნევენ სამ ჩონჩხს; (ჯავა, ცილტდოწნ, პეკინ) ამათ გარდა აღმოჩენილია მესამე ჩონჩხი (ჰეიდელბერგ), რომელიც მხოლოდ ყბის ძვალისაგან შესდგება. ანთროპოლოგების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ის ადამიანს ეკუთვნის. ეს პირველი თავის ქალის ძვლები იმდენად ძველი და დაშლილია, რომ შეუძლებელია დარწმუნებით იმის თქმა ეს ცხოველები ორ ფეხზე დადიოდნენ თუ ოთხ ფეხზე. თუმცა დარვინიზმის მიდევრები მიიჩნევენ, რომ ეს იყო მოხრილი, ოთხ ფეხზე მოსიარულე მაიმუნის მსგავსი არსება.

ეს ჩონჩხები აღმოჩენილია IX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, მეცნიერები ვარაუდობენ რომ ისინი არსებობდნენ 1,8 დან 2,6 მილიონი წლის წლის წინათ.

ქვემოთ მოცემული არმოჩენები კი აბათილებს ზემოთ ნახსენებ მტკიცებულებებს.

1972 წელს რიჩარდ ლიკეს მიერ კენიაში აღმოჩენილი ჩონჩხი ევოლუციის თეორიის სერიოზულად ეჭვქვეშ დაყენების მიზეზი გახდა. ეს ჩონჩხი შედგებოდა თავის ქალისა და ფეხის ძვლისგან, ასაკი კი 2,8 მილიონი წლით განისაზღვრა. ამ ჩონჩხის აღმოჩენის შემდეგ რიჩარდ ლიკმა განაცხადა: ან ეს ჩონჩხი უნდა გადავაგდოთ, ან პირველყოფილი ადამინის შესახებ ჩვენი თეორიაო. ეს ჩონჩხი არ ჰგავდა არცერთ წინამორბედს. თავის ქალა საკმაოდ დიდი ზომის იყო, და შესაბამისად შიგ მოთავსებული ტვინიც დიდი ზომის იქნებოდა. ამრიგად წინა ჩონჩხების ე.წ. განვითარების ეტაპების მიხედვით განაწილების თეორია უარყოფილ იქნა.

რიჩარდ ლიკეს მიერ აღმოჩენილი თავის ქალის გარშემოწერილობა და ტვინის მოცულობა არაფრით ჩამოუვარდება თანამედროვე ადამიანის თავის ქალას და ტვინის მოცულობას.

არქეოლოგმა გლინ ისააკმა გათხრებისას აღმოაჩინა 300-მდე

მარტივი საჭრელი და ქვის სამტვრევი იარაღი. შრომის ამ იარაღებს ადამიანი 2,6 მილიონი წლის წინათ იყენებდა ადამიანი და უკომენტაროდ ჩანს რომ მაშინდელი ადამიანი გონიერი არსება იყო.

ამ ახალი აღმოჩენების საფუძველზე დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორიის საპირისპიროდ შემდეგი დასკვნა გააკეთეს:

ადამიანს არ განუცდია ევოლუცია და ისე არ ჩამოყალიბებულა ადამიანად. ის დედამიწაზე ისეთივე გამოჩნდა, როგორიც დღეს არის. უძველესი ადამიანები, ბუნებრივია გარეგნულად განსხვავდებოდნენ, საუკუნეების მანძილზე ცოცხლობდნენ და უფრო გოლიათური აღნაგობა ჰქონდათ. ამ მოსაზრებას ამყარებს წმ. ადამის შესახებ ნაბრძანები ზოგიერთი ჰადისიც.

ცნობილია, რომ წმ. ევას 20 ტყუპი ქალ-ვაჟი შეძენია, სულ 40 შვილი.

დიადი ღმერთი ყურანში ზოგიერთ ცხოველთა სახეობების და მათი თვისებების შესახებ შემდეგს ბრძანებს:

وَاللّٰهُ خَلَقَ كُلَّ دَآبَّةٍ مِنْ مَاءٍ فَمِنْهُمْ مَنْ يَّمْشِ ى عَلٰى بَطْنِه وَمِنْهُمْ مَنْ يَّمْشِ ى عَلٰى رِجْلَيْنِ وَمِنْهُمْ مَنْ يَّمْشِ ى عَلٰى اَرْبَعٍ يَخْلُقُ اللّٰهُ مَا يَشَاءُ اِنَّ اللّٰه عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَد يرٌ

„ალლაჰმა გააჩინა ყოველი ცხოველი წყლიდან. მათგან ერთნი მუცელზე ხოხავენ, მეორენი ორ ფეხზე დადიან, ზოგი კი ოთხ ფეხზე. ალლაჰი იქმს იმას, რასაც ინებებს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!“

(ნურ, 24/45)

დიადი ღმერთი ყოვლისშემძლეა. მან ადამი მშობლების გარეშე გააჩინა, იესო კი - უმამოდ.

დარვინიზმის მიზანი ადამიანის წარმოშობის სხვა არსებებთან დაკავშირება და მისი ზეციურ სარწმუნოებებთან და დიად გამჩენთან დაშორებაა. თუმცა ცხოველთა სამყაროში არსებული წესრიგი ამ თეორიას მთლიანად აბათილებს. ამ ყველაფრის დაკავშირება ბნელ ბუნების ძალებთან და ასევე ბნელ შემთხვევითობასთან გონიერი ადამიანისთვის მიუღებელია. საბოლოოდ კი, ამ საკითხზე შეიძლება შემდეგი რამ ითქვას: წმ. ადამი დედამიწას გარკვეული ცოდნით აღჭურვილი მოევლინა და მისი შთამომავლობა კი ღვთისგან წარმოგზავნილი შუამავლების საშუალებით სწავლობდა სიახლეებს და იღებდა ახალ ცოდნას. რადგან ღმერთი არასოდეს მიატოვებს თავის გაჩენილს. სხვამხრივ ადამიანმა დაკვირვებითა და ღვთით

მინიჭებული ნიჭის წყალობით, გამოცდილებითა და შრომით შეძლო ამ ცოდნის გაღრმავება და მრავალი სიახლის აღმოჩენა. ადამიანმა შექმნა ცივილიზაციები, ტექნოლოგიები, მაგრამ ევოლუცია არ განუცდია. შემდეგ თავში კი ადამინის გაჩენასა და ამ მისი ქვეყნად მოსვლის მიზეზებზე ვისაუბრებთ.

დ. ადამიანის გაჩენის მიზეზი

ცისა და დედამიწის გამჩენს არცერთი სულიერი არსება თუ უსულო საგანი არ გაუჩენია მიზეზისა და მიზნის გარეშე. სამყაროში ყველაფერს აქვს თავისი ადგილი და ფასი. უსულო საგნები, მცენარეები, ცხოველთა სამყარო, მათი ჰარმონიული თანაარსებობა ბუნებაში, წონასწორობის და მიზიდულობის ძალა, უთვალავი ბუნებრივი რესურსი, ეს ყველაფერი გამჩენმა ადამიანს უბოძა საბრძანებლად.

ყველა ცოცხალ არსებას თუ მცენარეს სიცოცხლის შესანარჩუნებლად სხვა არსებები სჭირდება. გამრავლების, განვითარების, კვების და ზოგადად არსებობისათვის მთელს სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული და ერთმანეთთან ჰარმონიულადაა შერწყმული. ერთმანეთით მოსაზრდოე ცოცხალი არსებები, საბოლოო ჯამში ადამიანის საკვებად ან სხვა საჭირობისათვის გამოიყენებიან. ადამიანს არსებობისათვის უპირველესად სჭირდება კვება და ჩაცმა. სამყაროში კი რაც გაჩენილა და არსებობს, ადამიანის ამ და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლადაა გაჩენილი. გამომდინარე აქედან მათი გაჩენის მიზანი ადამიანი ყოფილა.

ამრიგად, რახან მთელი არსებების გაჩენის მიზეზი და მიზანი ადამიანისთვის საარსებო გარემოს შექმნა ყოფილა, მაშინ ადამიანი უფრო მაღალი მიზნით უნდა იყოს მოვლენილი ამ ქვეყანაზე. ყურანში ნაბრძანებია, რომ ადამიანები და ჯინები დიადი ღმერთის თაყვანისცემისათვის არიან გაჩენილნი. ადამიანი დროებითაა მოსული ამ ქვეყანაზე, რათა მან ღვთიური გამოცდა გაიაროს. ამისათვის კი საჭიროა იმ შუამავალს მიჰყვეს, რომლის მიერ მოტანილი ზეციური სარწმუნოება მოქმედებს დროის იმ მონაკვეთში. ჩვენი თანამედროვე პერიოდი კი ისლამის ხანაა.

ღმერთმა ადამიანს მისცა ორი გაზა; გზა სიკეთისა და გზა ბო-

როტებისა. თუმცა ის სიკეთის მსურველია და უკმაყოფილოა ბოროტებისა. ეს ორი გზა საჭიროა გამოცდისათვის, რათა არჩევანი ჰქონოდა ადამიანს. თუ არ ექნებოდა არჩევანი, და მის სურვილზე მოხდებოდა ზეგავლენა, მაშინ აღარ ექნებოდა პასუხისმგებლობა. შემდეგი აიათიდან ნათლად ჩანს რომ ადამიანი არჩევანში თავისუფალია.

لَا اِكۡرَاهَ فِی الدِّ ینِ قَدۡ تَبَیَّنَ الرُّشۡدُ مِنَ الۡغَیِّ فَمَنۡ یَّکۡفُرۡ بِالطَّاغُوۡتِ وَیُؤۡمِنۡ بِاللّٰہِ فَقَدِ اسۡتَمۡسَکَ بِالۡعُرۡوَۃِ الۡوُثۡقٰی لَا انۡفِصَامَ لَہَا وَاللّٰہُ سَمِ یۡعٌ عَلِ یۡمٌ

„იძულება არაა სარწმუნოებაში. ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილისგან. მაშ, ვინც უარყოს ტაღუთი (ეშმაკი და ეშმაკისეული გზა) და იწამოს ალლაჰი, უეჭველად, ის მყარ საყრდენს არის ჩაჭიდებული, რომლის ნგრევა შეუძლებელია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა.“

(ბაყარა 2/256)

ამასთან ერთად, ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ ჭამა-სმისთვის და დროსტარებისთვისაა გაჩენილი. შეიძლება ასეთმა ადამიანმა მთელი ცხოვრება დროსტარებაში გაატაროს. ზოგი ფიქრობს, რომ ლიდერადაა მოვლენილი და სხვებს უნდა მბრძანებლობდეს. ორივე სიტუაცია მატერიალისტური აზროვნების ნაყოფია, რადგან ჭამა-სმა, დროსტარება და სქესობრივი კავშირი მხოლოდ სურვილის დაოკებისა და გამრავლებისთვისაა საჭირო. ეს ცხოველთა სამყაროშიც უმნიშვნელოვანესია. მაგ. აქლემი გაცილებით ბევრ საკვებს იღებს, ვიდრე ადამიანი. ან კიდევ, ბეღურა ბევრჯერ უფრო მეტ სქესობრივ კავშირს ამყარებს თავის საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან,, ვიდრე ადამიანი. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ მიმართულებით ადამიანის მათთან შედარებით მაღალ საფეხურზე ყოფნა ლოგიკური არ უნდა იყოს. ადამიანის მრისხანებას შეუძლია დაანგრიოს ქვეყნები და ქალაქები, თუმცა რისხვისა და გაბრაზების უნარი ცხოველებში უფრო მომეტებული დოზითაა. გამომდინარე აქედან ადამიანებს და ცხოველებს ბევრი საერთო თვისებები გააჩნიათ. თუმცა ღმერთმა ადამიანს მიანიჭა განსაკუთრებული თვისება, რომელიც მას გამოარჩევს ცხოველისაგან. ეს არის გონება, აზროვნების უნარი. სწორედ მისი საშუალებით შეუძლია ადამიანს შეიცნოს ღმერთი და მისი მეუფება სამყაროში. ამრიგად თუ ადამიანი შეძლებს დაიოკოს შიანაგანი ნავსი, მოთოკოს სურვილები და დაუქვემდებაროს გონებას, დედამიწაზე ღვთით მოვლენილი ყველა წყალობა მისი გახდება. დიადი ღმერთი აიათში შემდეგნაირად მბძანებს:

وَسَخَّرَ لَكُمْ مَا فِى السَّمٰوَاتِ وَمَا فِى الْاَرْضِ جَمِ يعًا مِنْهُ اِنَّ ف ى ذٰلِكَ لَاٰيَاتٍ لِقَوْمٍ يَتَفَكَّرُونَ

„და თქვენს განკარგულებაში მოგცათ ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. უეჭველად, ამაში სასწაულებია გულისხმიერ ხალხთათვის“.

(ჯასიე 45/13)

ე. სარწმუნოებების საერთო კლასიფიკაცია

რელიგიების მიმართ სხვადასხვა მეცნიერული გამოკვლევების პარალელურად მიმდინარეობდა სარწმუნოებების კლასიფიკაცია. ეს საკითხი ძირითადად ორი მიმართულებით განიხილებოდა; სოციალურ-ისტორიული და გეოგრაფიულ-ისტორიული.

ა. ერთი ღმერთის მაღიარებელი სარწმუნოებები (მონოთეისტური)

ბ. ორღმერთიანი სარწმუნოებები (დუალისტური)

გ. მრავალღმერიანი სარწმუნოებები (ძველ ბერძნული სარწმუნოება, ძველი ეგვიპტის და ძველი რომის სარწმუნოებები)

დ. სარწმუნოებები, რომლებიც ღმერთის შესახებ მკაფიო და ზუსტ ცნობებს არ შეიცავენ. (ბუდიზმი, შინტოიზმი და სხვ.)

სარწმუნოებების სოციოლოგიურ-ისტორიული კუთხით კლასიფიკაცია:

ა. სარწმუნოებები, რომლებიც ცნობილია თუ ვინ იქადაგა.(ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი, ბუდიზმი)

ბ. სარწმუნოებები, რომლებიც არ არის ცნობილი ვინ იქადაგა, ანუ ტრადიციული სარწმუნოებები. მაგ. ძველი ეგვიპტის, ძველი საბერძნეთის და სხვ. რელიგიები.

არსებობს განსხვავებული კლასიფიკაციაც;

ა. პირველყოფილი წარმოდგენები ღმერთის და ბუნებრივი ძალების შესახებ, ანიმიზმი (სულებზე, განსაკუთრებით კი წინაპართა სულებზე თაყვენისცემა), ნატურიზმი (ბუნებრივი ძალებზე თაყვანისცემა), ტოტემიზმი (ზოგიერთმცენარეზე და ცხოველებზე ტაყვანისცემა) , ფეტიშიზმი (პირველყოფილი ადამინების კერპებზე ტაყვანისცემა)

ბ. ეროვნული რელიგიები. (მხოლოდ რომელიმე ერის ტრადიციული სარწმუნოება. მაგ. ძველი საბერძნეთის, რომის, ძველი ეგვიპტის რელიგიები)

გ. მსოფლიო რელიგიები (ქრისტიანობა და ისლამი)

გეოგრაფიულ-ისტორიული კუთხით რელიგიათა კლასიფიკაცია შემდეგია:

ა. შუა აღმოსავლური რელიგიები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამმი)

ბ. ინდური რელიგიები (ინდუიზმი, ბუდიზმი, იაინიზმი)

გ. ჩინურ-იაპონური რელიგიები (კონფუციონიზმი, ტაოიზმი, შინტოიზმი)

დ. აფრიკული რელიგიები

XVI-XVIII საუკუნეებში, დასავლეთში განსაკუთრებით დაინტერესდნენ პირველყოფილი ტომების ცხოვრებითა და რელიგიური წარმოდგენებით. არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ პირველყოფილი ადამიანები, პრეისტორიულ ხანაშიც გარკვეულ რელიგიას მისდევდნენ. მაგალითად ნატურისმს, რადგანაც მაშინდელი ადამიანი ბუნბრივი მოვლენების წინაში გაცილებით უძლური იყო. ანუმიზმს, სულების გაღმერთება, განსაკუთრებით წინაპართა სულების, ჯადოს მიმართ შიში, სხვადასხვა მცენარეებისა და ცხოველების მიმართ თაყვანისცემა. XIX საუკუნის შუა პერიოდში მოწინავე მატერიალის-

ტებმა აქტიური პროპაგანდის საფუძველზე ევოლუციის თეორია გამოიტანეს წინა პლანზე და ღვთიურ წიგნებს დაუპირისპირეს. მათი აზრით ღვთიური რელიგიები წინარეისტორიული ხანის რელიგიური წარმოდგენებისგან იღებდა სათავეს და ევოლუციის შემდეგ გადაიქცა ერთღმერთიან სარწმუნოებად.

თუმცა მატერიალისტების გარდა არსებობდნენ მეცნიერები, რომლებიც იგივე მეთოდებით კვლევისას სულ სხვა დასკვნებს აკეთებდნენ. მათ ამ თეორიას პირველყოფილი მონოთეიზმი უწოდეს და ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის მოდგმის ყველაზე უძველესი წარმომადგენლები ერთ ღმერთს ეთაყვანებოდნენ. ტეილორის ანიმიზმის შეხედულებას პირველად მისსივე მოწაფე ენდრიუ ლანგი შეეწინააღმდეგა, რომელმაც ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი უძველესი ტომების სამარხებში ანიმიზმის მაგივრად ერთღმერთიანობის მიმანიშნებელი მტკიცებულებები აღმოაჩინა. მსგავს მოსაზრებას იზიარებდა ვილჰელმ შმიდტიც, რომელმაც აღმოჩენილი ნიმუშების საფუძველზე დაამტკიცა, რომ ყველა პირველყოფილ ტომებს სწამდათ ერთადერთი უზენაესი არსების. შემდეგ კი ევოლუციის თეორიის საწინააღმდეგოდ, ისტორიულ-კულტურული ცვლილებების შედეგად პირველყოფილ ტომებში ერთღმერთიანობის არსებობა აღიარებულ იქნა მეცნიერთა ფართო წრეების მიერ.

ადამიანში დაბადებიდანვე არსებობს რწმენისადმი მიდრეკილება. როცა ის შეძლებს სამყაროზე და მის წარმოშობაზე ფიქრს, დაკვირვების და ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ ეს საოცრება თავისთავად ვერ შეიქმნებოდა და მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს შემქმნელი და პატრონი. გონება, ჯაჭვური მიზეზშედეგობრიობის გავლენით აუცილებლად დაფიქრდება, თუ საიდან გაჩნდა პირველი ადამიანი, ცხოველთა და მცენარეთა ნაირსახეობები და სად იყო მათი საწყისი. აგრეთვე ეს დედამიწა, მზე, მთვარე, პლანეტები და ვარსკვლავები. ამ ყველაფრის შემდეგ კი გონება აიძულებს, მივიდეს იმ აზრამდე, რომ ეს ყველაფერი შექმნა უზენაესმა გამჩენმა, რომელიც არის უკვდავი, არ გააჩნია საწყისი ან დასასრული და ის ყოვლისშემძლეა. ასე შეიძლება მივიდეს რწმენამდე ადამიანი, რომელსაც არ უსწავლია სარწმუნოება. მიღებულია, რომ ხალხს, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია ღვთის შუამავლებთან და არაფერი იცოდნენ მათ შესახებ მხოლოდ გამჩენი ღმერთის რწმენა და აღიარებაა მათი ვალდებულება. ყურანში ნაბრძანებია:

﴿وَمَا كُنَّا مُعَذِّبِينَ حَتَّىٰ نَبْعَثَ رَسُولًا ۝ مَّنِ اهْتَدَىٰ فَإِنَّمَا يَهْتَدِي لِنَفْسِهِ ۖ وَمَن ضَلَّ فَإِنَّمَا يَضِلُّ عَلَيْهَا ۚ وَلَا تَزِرُ وَازِرَةٌ وِزْرَ أُخْرَىٰ﴾

„ვინც ჭეშმარიტი გზა გაიგნო, მხოლოდ თავის სასიკეთოდ დაადგა ამას და ვინც აცდა, მხოლოდ თავის საწინააღმდეგოდ აცდა. და არც ერთი ცოდვილი არ იტვირთავს სხვის ცოდვას. და ჩვენ არ ვყოფილვართ დამსჯელნი , სანამ არ წარვგზავნიდით შუამავალს! “

(ისრა. 17/15)

ჭეშმარიტი სარწმუნოება დიადი გამჩენის მიერ შუამავლების საშუალებით ადამიანებისადმი გადმოცემული ბრძანებები, აკრძალვები და პირობებია. ადამიანები თუ მიყვებიან ღვთიურ გზას მიაგნებენ ჭეშმარიტებას და გადარჩებიან. ამის საბოლოო შედეგი კი როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური ბედნიერებაა.

ვ) ისლამის ცნობების მიხედვით სარწმუნოების კლასიფიკაცია

რელიგიები ზოგადად სამად იყოფა.

1. ჭეშმარიტი რელიგიები.

ესენი არის, ღვთის შუამავლების საშუალებით ნაქადაგები სარწმუნოებები. მათ შეიძლება ვუწუდოთ ღვთიური სარწმუნოებები, ან ჭეშმარიტი სარწმუნოებები, ან კიდევ ზეციური სარწმუნოებები.

ზეციური სარწმუნოებები იწყება წმ. ადამიდან და მთავრდება წმ. შუამავალ მუჰამმედით. ამ სარწმუნოებების საერთო თვისებებია ღმერთის, ანგელოზების და განკითხვის დღის რწმენა. ბუნებრივია ყველა ეპოქის ხალხი თავისი დროის შუამავლების, წმ. წიგნების და წმ. წერილების მიმდევრები იყვნენ. სარწმუნოებებს შორის განსხვავება კი ღვთისმსახურების ზოგიერთ ფორმაში და საერო ცხოვრების ზოგიერთ დეტალებისადმი დამოკიდებულებაში იყო. ეს კი, უმეტესწილად კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაზე, მოსახლეობის ბუნებრივ მატებასა და საჭიროებების გამრავალფეროვნებაზე იყო დამოკიდებული. წმ. იესოს და

მანამდელი შუამავლების მიერ ნაქადაგებ ღვთიურ ბრძანებებში ცვლილებების შეტანისა და სწორი გზიდან გადახვევის შემდეგ უზენაესმა წმ შუამავალ მუჰამმედის საშუალებით კაცობრიობას უკანასკნელი და უნაკლო სარწმუნოება ისლამი მოუვლინა.

დღეისათვის ამ ქვეყნად ჭეშმარიტი სარწმუნოება ისლამია. ყურანში ნაბრძანებია:

إِنَّ الدِّينَ عِنْدَ اللَّهِ الْإِسْلَامُ وَمَا اخْتَلَفَ الَّذِينَ أُوتُوا الْكِتَابَ إِلَّا مِنْ بَعْدِ مَا جَاءَهُمُ الْعِلْمُ بَغْيًا بَيْنَهُمْ وَمَنْ يَكْفُرْ بِآيَاتِ اللَّهِ فَإِنَّ اللَّهَ سَرِيعُ الْحِسَابِ

„უეჭველად, ალლაჰის წინაშე სარწმუნოება ისლამია და მხოლოდ მას მერე, რაც ცოდნა მიიღეს, ერთმანეთის შურით გაიყვნენ ისინი, რომელთაც წიგნი ებოძათ. და თუ ვინმე არ იწამებს ალლაჰის აიათებს, უეჭველად, ალლაჰი მსწრაფლგანმკითხველია!“

(ალი იმრან 3/19)

هُوَ الَّذِي أَرْسَلَ رَسُولَهُ بِالْهُدَىٰ وَدِينِ الْحَقِّ لِيُظْهِرَهُ عَلَى الدِّينِ كُلِّهِ وَلَوْ كَرِهَ الْمُشْرِكُونَ

„იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე , თუნდაც ეს არ მოსწონდეთ წარმართებს.“

(თევბე 9/33)

هُوَ الَّذِي أَرْسَلَ رَسُولَهُ بِالْهُدَىٰ وَدِينِ الْحَقِّ لِيُظْهِرَهُ عَلَى الدِّينِ كُلِّهِ وَكَفَىٰ بِاللَّهِ شَهِيدًا

„იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე , რამეთუ კმარა ალლაჰი მოწმედ!“

(ფეთიჰი: 48/28)

هُوَ الَّذِي أَرْسَلَ رَسُولَهُ بِالْهُدَىٰ وَدِينِ الْحَقِّ لِيُظْهِرَهُ عَلَى الدِّينِ كُلِّهِ وَلَوْ كَرِهَ الْمُشْرِكُونَ

„იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე , თუნდაც ეს არ მოსწონდეთ წარმართებს.“

(საფი: 61/9)

وَمَنْ يَبْتَغِ غَيْرَ الْإِسْلَامِ دِينًا فَلَنْ يُقْبَلَ مِنْهُ وَهُوَ فِي الْآخِرَةِ مِنَ الْخَاسِرِينَ

„და ვინც ეძიებს სხვა სარწმუნოებას, გარდა ისლამისა, მისგან არ მიიღება (ღმერთის წინაშე) იგი (სარწმუნოება), და ის იქნება საიქიოში წაგებულთა შორის.“ (ალი იმრან: 3/85)

2. ჭეშმარიტებას დაშორებული რელიგიები.

ეს რელიგიები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჭეშმარიტი და ზეციური სარწმუნოებები იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით ცვლილებები განიცადეს, ჭეშმარიტებას გადაუხვიეს და წმინდა წიგნის ორიგინალურ დედააზრს, რაზეც იყვნენ დამყარებული დაშორდნენ. მაგ. იუდაიზმი და ქრისტიანობა.

ძველია აღთქმა, ფსალმუნი და ახალი აღთქმა თვთავიანთ ეპოქაში მოქმედებდნენ, როგორც ზეციური წმინდა წიგნები, მაგრამ დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადეს. დღეისათვის ამ წიგნების შინაარსი დამყარებულია სხვადასხვა პიროვნებების მიერ დაწერილ სხვადასხვა ვარიანტზე. ამ ვარიანტებს შორის იყო ისტორიული წიგნები, რელიგიური და პოლიტიკური მოსაზრებები, ლოცვა-ვედრება, შუამავლების ისტორიები, ფილოსოფიური დიალოგები და ა.შ.

წმ. იესოს სტილი კი სულ სხვა იყო. ის არ წერდა, მხოლოდ ლაპარაკობდა, ქადაგებდა. ამიტომ მოგვინებით დაწერილი ბიბლია მის ბიოგრაფიას შეეხება. ამ ბიოგრაფიაში აღწერილი ქადაგებები და ქმედებები ავტორს სხვადასხვა წყაროებიდან აქვს მოპოვებული. ამ თვალსაზრისით ახალი აღთქმა არც ყურანს გავს და არც ჰადისებს. შეიძლება ითქვას, რომ ის გავს “სიერ”-ის წიგნებს, ან წმ. მუჰამმედის ბიოგრაფიის შესახებ დაწერილ წიგნებს. მსგავსება კი იმაში მდგომარეობს, რომ ორივეგან აღწერილია ჯერ შუამავლის თანამედროვეთა ცხოვრება, მერე კი – გვიანდელი პერიოდი. ცნობილია, რომ არსებობს ბიბლიის, დაახლოებით სამოცამდე ვარიანტი. ამათგან მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარება აღიარებულია ეკლესიის მიერ კანონიკურად. დანარჩენები კი აღიარებულია როგორც ყალბი. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბარნაბასის სახარება.

ამ რელიგიების მოძღვრებაში შეინიშნება ღვთის ჭეშმარიტი რწმენიდან გადახვევა. ძველი აღთქმა დღეს მხოლოდ ეროვნულ, ანუ ებრაელების მოძღვრებად ითვლება. იუდაიზმის მოწინავე სასულიერო პირებმა მასში შეიტანეს ცვლილებები, რის შედეგადაც, თორას მიხედვით ის მხოლოდ ებრაელების წმინდა წიგნია და უზენაესი გამჩენი (იეჰოვა) მხოლოდ მათი ღმერთია. სხვა ხალხები

კი მათდამი მონა-მორჩილებისთვის არიან გაჩენილნი. თანამედროვე თორაში მრავლად მოიპოვება მსგავსი აზრის მატარებელი სტრიქონები. ქრისტიანობაში კი წმ. იესოს ღმერთად აღიარება, ან ღმერთის ძედ მიჩნევა, ან სამი ღმერთიდან ერთ-ერთად ჩათვლა ისლამის მიხედვით მკრეხელობის და ურწმუნოების მიზეზებია.

3. მცდარი სარწმუნოებები.

ეს რელიგიები არ არის ღვთიური. მათი ფუძე მოდის არა ღვთისგან, არამედ- ადამიანისგან. ესენი არის ზოგიერთი ხალხის ჯგუფების მიერ გამოგონილი და გავრცელებული იდეოლოგიები. ამ რელიგიებში შეიძლება იყოს ხალხისათვის სასარგებლო ბევრი რამ, მაგრამ ღვთიურ სიწმინდეს მოკლებულნი არიან. არც ღვთისგან წარმოგზავნილი შუამავლის ფენომენი გააჩნიათ. მზეზე, მთვარეზე, ვარსკვლავებზე, ზოგიერთ მცენარეზე ან ცხოველზე, ბუნებრივ ძალებზე თაყვანისცემა და მათი გაღმერთება რა თქმა უნდა ვერ ჩაითვლება ღვთიურად. ასეთებია: ჰინდუიზმი, ბუდიზმი, შამანიზმი და სხვა.

ზ. ჭეშმარიტი სარწმუნოების თვისებები.

დღეისათვის ღვთიური წაარმოშობის რელიგიებად მიიჩნევა იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ქვემოთ ვისაუბრებთ ამ სამი სარწმუნოების საერთო თვისებებზე და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რითია განსხვავებული ისლამი ამ ორისგან.

1. ისლამი ყველაზე შესანიშნავი სარწმუნოებაა. კაცობრიობის განვითარების პროცესს თუ გავითვალისწინებთ ბოლოს მოსული სარწმუნოება უფრო სრულყოფილი და უნაკლო უნდა იყოს, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი. ღმერთი ბრძანებს:

حُرِّمَتْ عَلَيْكُمُ الْمَيْتَةُ وَالدَّمُ وَلَحْمُ الْخِنْزِيرِ وَمَا أُهِلَّ لِغَيْرِ اللَّهِ بِهِ وَالْمُنْخَنِقَةُ وَالْمَوْقُوذَةُ وَالْمُتَرَدِّيَةُ وَالنَّطِيحَةُ وَمَا أَكَلَ السَّبُعُ إِلَّا مَا ذَكَّيْتُمْ وَمَا ذُبِحَ عَلَى النُّصُبِ وَأَنْ تَسْتَقْسِمُوا بِالْأَزْلَامِ ذَلِكُمْ فِسْقٌ الْيَوْمَ يَئِسَ الَّذِينَ كَفَرُوا مِنْ دِينِكُمْ فَلَا تَخْشَوْهُمْ وَاخْشَوْنِ الْيَوْمَ أَكْمَلْتُ لَكُمْ دِينَكُمْ وَأَتْمَمْتُ عَلَيْكُمْ نِعْمَتِي وَرَضِيتُ لَكُمُ الْإِسْلَامَ دِينًا فَمَنِ اضْطُرَّ فِي مَخْمَصَةٍ غَيْرَ مُتَجَانِفٍ لِإِثْمٍ فَإِنَّ اللَّهَ غَفُورٌ رَحِيمٌ

„დღეიდან თქვენთვის საკვებად ნებადართულია ყველაფერი, რაც რამ კარგი და სუფთაა. ნებადართული გაქვთ იმათი საჭმელიც, ვისაც ებოძათ ღვთიური წიგნი, ასევე მათაც შეუძლიათ მიირთვან თქვენი საკვები. ნებადართულია თქვენთვის ცოლად მოიყვანოთ

პატიოსანი და მორწმუნე ქალები, ასევე წესიერი ქალები მათგან, ვისაც თქვენზე ადრე მიეცათ ღვთიური წიგნი, და თუკი გადაუხდით ურვადს, ნება გაქვთ ცოლად შეირთოთ არა გარყვნილების მიზნით და არა საყვარლად. ვინც სარწმუნოებას უარყოფს, უკვე ფუჭია მისი საქმენი და საიქიოში წაგებულნი იქნებიან.“ (მაიდე: 5/3)

როგორც ცნობილია ისლამი კაცობრიობისთვის ბოლო სარწმუნოებაა და მისი შუამავალიც ბოლო შუამავალია. ყველა სხვა სარწმუნოება კი ითვლება ადრინდელ სარწმუნოებად.

2. ღმერთის რწმენა.

ისლამი ერთადერთი ღმერთის რწმენაზეა დაფუძნებული და მისდამი თაყვანისცემას ითხოვს. გვაცნობებს, რომ მთელი სულიერი თუ უსულო სამყარო მან გააჩინა. იუდაიზმი მუდმივად განაგრძობდა ერთი ღმერთის აღიარებას, მაგრამ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ადამიანურმა ატრიბუტებმა იმძლავრა და იუდაიზმი მხოლოდ ებრაელების სარწმუნოებად აღიარეს. ასევე ქრისტიანებმაც ღვთის შუამავალი, წმ. იესო ღმერთის ძედ აღიარეს და გააღმერთეს.

3. ანგელოზების რწმენა.

ისლამი მოითხოვს გვწამდეს წმინდა არსებების, რომლებსაც ანგელოზებს ვუწოდებთ. ზოგირეთ ღვთიურ სარწმუნოებაში ანგელოზები ღვთის შვილებად, ქალიშვილებად და ვაჟიშვილებად ითვლებიან. ისლამი კატეგორიულად უარყოფს ამას.

4. წმინდა წიგნების რწმენა.

ისლამის რწმენის მიხედვით უზენაესმა ღმერთმა წმ. ადამიდან მოყოლებული ზოგიერთ შუამავალს რამოდენიმე გვერდიანი წერილობითი გზავნილი უწყალობა, ზოგს კი წმ. წიგნი. წმ. დავითს – ზებური (ფსალმუნები), წმ. მოსეს-თევრათი (ძველი აღთქმა), წმ. იესოს-ინჯილი (ახალი აღთქმა) და წმ. მუჰამმედს კი ყურანი უწყალობა. ყურანი 23 წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ ჩამოდიოდა და უმნიშვნელო ცვლილებაც არ განუცდია ისე მოაღწია ჩვენამდე. დანარჩენი ორი წმინდა წიგნი კი წლების მანძილზე სხვადასხვა მცდელობებით შეცვალეს და მათი ორიგინალურობა გაანადგურეს. არც იმის შესაძლებლობაა, რომ სადმე დედანს შევადაროთ და აღვადგინოთ. თუმცა ამ ორი წმინდა წიგნის შემდეგ ზეგარდმო-

ევლინა ყურანი, სადაც აშკარადაა მითითებული თუ როგორ არის მათში ადამიანის ხელით შეტანილი ცვლილებები. თუ ამ ცვლილებებს ყურანში მითითებულით ჩავანაცვლებთ, მაშინ შესაძლებელი გახდება მათი ორიგინალური დედააზრის გაგება. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ჭეშმარიტი დიალოგი ზეციური რელიგიების წარმომადგენლებს შორის.

მეორეს მხრივ იუდაიზმის მიმდევრები და ქრისტიანები არ აღიარებენ ერთიმეორის წმინდა წიგნებს და არც ყურანს. ისლამი კი წმ. ადამიდან მოყოლებული უკანასკნელ შუამავლამდე ყველა ღვთიური გზავნილის გამაერთიანებელია, ამიტომ ადრინდელი სარწმუნოებების მიმდევრებთან დიალოგისთვის კარი მუდამ ღია აქვს. უფრო მეტიც, ისინი გამოარჩია ურწმუნოთაგან და " ეჰლი ქითაბ" –ის (წმ. წიგნის ხალხი) სტატუსი მიანიჭა მათ.

5. შუამავლების რწმენა.

ისლამი ერთიანად აღიარებს, როგორც იმ 28 შუამავალს, რომელთა სახელები ნახსენებია ყურანში, ისე დანარჩენ ღვთის ელჩებსაც. იუდაიზმი და ქრისტიანობა კი მიმართავენ სხვადასხვა ცილისწამებას და მათ შემდეგ მოვლენილ შუამავალს არ აღიარებენ.

6. საიქიოს რწმენა.

ეს რწმენა ყველა ზეციური სარწმუნოებისთვის საერთოა. იუდაიზმი უფრო ამქვეყნიურ ცხოვრებას აქცევს ყურადღებას, ქრისტიანობა კი პირიქით- საიქიო და სულიერ ცხოვრებას. ისლამი ამ ორს შორის წონასწორობას იცავს და როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ ცხოვრებას გვასწავლის.

وَابْتَغِ ف يمَا اٰتٰيكَ اللّٰهُ الدَّارَ الْاٰخِرَةَ وَلَا تَنْسَ نَص يبَكَ مِنَ الدُّنْيَا وَاَحْسِنْ كَمَا اَحْسَنَ اللّٰهُ اِلَيْكَ وَلَا تَبْغِ الْفَسَادَ فِى الْاَرْضِ اِنَّ اللّٰهَ لَا يُحِبُّ الْمُفْسِد ينَ

„იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი!" (ყასასი: 28/77)

7. მაქსიმალური გაიოლება.

ვისაც რამდენი შეუძლია იმდენი უნდა იტვირთოს. ყველა მიმართულებით, ამ ქვეყნიური ცხოვრება იქნება თუ საიქიო ცხოვრება,

მატერიალური თუ სულიერი ისლამი ყველაზე უფრო ზომიერი და ადვილია. თავის დროზე, ისლამმა წინა სარწმუნოებებში არსებული განსაკუთრებით მძიმე კანონები შეცვალა ან გაადვილა.

ყურანში ღმერთი ბრძანებს:

لَا يُكَلِّفُ اللّٰهُ نَفْسًا اِلَّا وُسْعَهَا لَهَا مَا كَسَبَتْ وَعَلَيْهَا مَا اكْتَسَبَتْ رَبَّنَا لَا تُؤَاخِذْنَا اِنْ نَسِينَا اَوْ اَخْطَاْنَا رَبَّنَا وَلَا تَحْمِلْ عَلَيْنَا اِصْرًا كَمَا حَمَلْتَهُ عَلَى الَّذِينَ مِنْ قَبْلِنَا رَبَّنَا وَلَا تُحَمِّلْنَا مَا لَا طَاقَةَ لَنَا بِهٖ وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا اَنْتَ مَوْلٰينَا فَانْصُرْنَا عَلَى الْقَوْمِ الْكَافِرِينَ

„ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. მისი იქნება რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმდეგ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე!“

(ბაყარა 2/286)

وَكَذٰلِكَ جَعَلْنَاكُمْ اُمَّةً وَسَطًا لِتَكُونُوا شُهَدَاءَ عَلَى النَّاسِ وَيَكُونَ الرَّسُولُ عَلَيْكُمْ شَهِيدًا وَمَا جَعَلْنَا الْقِبْلَةَ الَّتِي كُنْتَ عَلَيْهَا اِلَّا لِنَعْلَمَ مَنْ يَتَّبِعُ الرَّسُولَ مِمَّنْ يَنْقَلِبُ عَلَى عَقِبَيْهِ وَاِنْ كَانَتْ لَكَبِيرَةً اِلَّا عَلَى الَّذِينَ هَدَى اللّٰهُ وَمَا كَانَ اللّٰهُ لِيُضِيعَ اِيمَانَكُمْ اِنَّ اللّٰهَ بِالنَّاسِ لَرَؤُفٌ رَحِيمٌ

„და ამგვარად დაგადგინეთ თქვენ შუა (სამაგალითო) თემად, რათა მოწმენი იყოთ ადამიანთა მიმართ და შუამავალი მოწმე იყოს თქვენს მიმართ. და დავადგინეთ ყიბლე, რომლისკენაც იდექი მხოლოდ იმიტომ, რომ გამოგვეცნო (გამოგვემჟღავნებინა) ვინ მიჰყვება შუამავალს და ვინ გაბრუნდებოდა უკან ქუსლებზე შემდგარი. სწორედაც მძიმე იყო ეს, მაგრამ არა იმათთვის, რომელნიც სწორ გზას დააყენა ალლაჰმა. ალლაჰი არ დაგიკარგავთ თქვენსავე რწმენას. უეჭველად, ალლაჰი ლმობიერი და მწყალობელია ხალხის მიმართ.“

(ბაყარა 2/143) ჰადისი (ბუჰარი, იმან 29)

II- ისლამის თვისებები

1. ისლამის სარწმუნოება ეყრდნობა ზეპირად დასწავლილ გამოცხადებას, რომელიც დამტკიცებულია ორიგინალური ხელნაწერი ცნობებით.

წმ. შუამავალი მუჰამმედი ზეგარდმოვლენილ აიათებს გადამ-

წერებს აწერინებდა და თან მიუთითებდა რომელ სურაში რომელი აიათი უნდა ყოფილიყო. ის ყოველთვის თავად აკონტროლებდა დაწერილ აბზაცს. საწერად იყენებდნენ სხვადასხვა მასალებს: ტყავს, ფიცარს, მარმარილოს და ხურმის ფურცლებს და სხვა. ეს პირველადი ორიგინალური წერილობითი ცნობები წმ. შუამავლის სიცოცხლეში ერთ წიგნად არ შეკრულა, თუმცა ათობით მისმა თანამოღვაწემ ყურანი ზეპირად იცოდა. ხალიფა ებუ ბექირის მმართველობის პერიოდში, იემამის ომში ხუთსამდე მებრძოლი დაიღუპა. გაჩნდა საშიშროება, რომ ყურანის მცოდნეები კრიტიკულ ზღვრამდე შეიძლება შემცირებულიყვნენ. ეს საკითხი წმ. ომარმა შენიშნა პირველად და ხალიფა წმ. ებუ ბექირს გაანდო. ბოლოს ზეიდ ბინ საბითის ხელმძღვანელობით შეკრიბეს კომისია და მთელი ხელნაწერი ყურანის აიათები ერთად მოაგროვეს. ყოველ ფრაზის გადამწერს ორი მოწმე ჭირდებოდა დამტკიცებინა, რომ ეს აიათები წმ. შუამავლის ზედამხედველობის ქვეშ და მისი თანდასწრებით იყო დაწერილი. ასე დაიწერა პირველად წმ. "მუსჰაფი შერიფი".

ამის მიხედვით ყურანის დამტკიცება შედგა ე.წ. "სამმაგი გადამოწმებით" : 1) წერილობითი ცნობა, 2) ორი მოწმე 3) ყურანის ზეპირად მცოდნე ადამიანების მეხსიერება. ხალიფა ებუ ბექირი, ხალიფა ომარი და მისი ქალიშვილი ჰაფსა გვერდიდან არ იცილებდნენ და უფრთხილდებოდნენ წმინდა წიგნს. ხალიფა ოსმანის მმართველობის პერიოდში კი ისევ ზეიდ ბინ საბითის ხელმძღვანელობით შეკრებილმა მეორე კომისიამ ყველა იმ "კითხვის" და "წერის სტილის" განსხვავებების აღმოსაფხვრელად ყურანი 6 ცალად გადაწერა და სხვადასხვა ქალაქებში გააგზავნა. აგრეთვე გააყოლეს თითო მასწავლებელი, რომლებიც ყურანის სწორად კითხვას ასწავლიდნენ.

ამ დროის გადაწერილი წმ. წიგნები, ან კიდევ მათგან გადაწერილი სხვა ასლები ინახება ქალაქ სტამბოლში, ტოფკაფი სარაის მუზეუმში. აგრეთვე შეგიძლიათ ნახოთ თურქულ-ისლამურ ხელოვნების მუზეუმში, რომლიც ასევე სტამბოლში და კიდევ კაიროშია.

დანარჩენი ღვთიური წიგნები ასეთი სიფაქიზით არ ყოფილა დაცული, ამიტომ ცვლილებები განიცადეს და ორიგინალური დედააზრი დაკარგეს.

2. ისლამი წმ. ადამიდან მოყოლებული ზეციური სარწმუნოებების ბოლო რგოლია. ისლამი დედამიწაზე ყველა ადამიანს მოუწოდებს თავის გზაზე და წმ. შუამავალ მუჰამმედის გვერდით იწვევს.

3. ისლამი უნივერსალური სარწმუნოებაა. სხვა რელიგიებს მოქმედებისათვის ჰქონდათ განსაზღვრული დრო, განსაზღვრული საუკუნეები, ან რომელიმე ქვეყნისთვის, ხალხისთვის ან ადგილისთვის იყვნენ განკუთვნილნი. ისლამი ისეა ჩამოყალიბებული, რომ დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანის განკითხვის დღემდე ყოველნაირი სულიერი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ხოლო რადგანაც ბოლო სარწმუნოებაა, ამიტომაც შეუდარებელია. მისი საფუძვლები ადამიანის ბუნებას ემთხვევა. არც ახალ აღმოჩენებს ეწინააღმდეგება ისლამი, რადგან სამყაროში რაც არსებობს ყველაფერი დიადი ღმერთის გაჩენილია. მისი გამოგზავნილია ყურანიც და რახან ერთი წყაროდან მოდის ეს ყვალეფერი, ურთიერთწინააღმდეგობა გამორიცხულია.

4. წმ. შუამავალი მუჰამმედი ადამიანების და ჯინების შუამავალია. მას და მის მიმდევრებს მიენიჭათ ბევრი ისეთი რამ, რაც სხვა შუამავლებს და მათ მიმდევრებს არ ღირსებიათ. ზოგიერთი თვისება, მაგ. სანდოობა, ერთგულება და სხვ. სიწმინდე, ყველა შუამავალს საერთო აქვთ, მაგრამ შუამავალ მუჰამმედს ღვთისგან მომადლებული ხუთი განსხვავებული ნიშანთვისება გააჩნია: ის არის სამყაროს წყალობად მოვლენილი, აქვს შუამდგომლობის უნარი, მთელი დედამიწა, მისი მიმდევრებისთვის სალოცავია, ომში მოპოვებული ნადავლი ალალია. მხოლოდ მას შეეძლო ერთი თვის სავალ მანძილზე მყოფი მტრის გულში შიში ჩაენერგა. ის, სხვა შუამავლებთან შედარებით რომ განსხვავებული იყო და მეტი ნიშანთვისებები ჰქონდა მონიჭებული ღვთის შუამავალმა ერთხელ თავის თანამოღვაწეებს შემდეგნაირად აუხსნა: "ჩემამდე არცერთ შუამავალს არ ჰქონია ისეთი ნიშან-თვისებები რაც მე მიწყალობა ღმერთმა: ესენია: ა)ერთი თვის სავალ მანძილზე მტრის გულში შიში დავასადგურე და ეს დამეხმარა. ბ) მთელი დედამიწის ზედაპირი ჩემთვის მეჩეთი და სალოცავია. ჩემს მიმდევრებს შეუძლიათ ნებისმიერ ადგილზე, სადაც ლოცვის დრო მოუსწრებთ ილოცონ. გ) ჩემთვის ნადავლი ალალია დ) ადრინდელი შუამავლები თუ გარკვეული ხალხებისთვის იყვნენ გამოგზავნილი, მე მთელი კაცობრიობისთვის ვარ მოვლენილი. ე) მე მომენიჭა შუამდგომლობის უნარი". თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად შუამავალს თავის ქება და თავმომწონეობა არ უყვარდა.

5. ისლამის მიხედვით ადამიანი წარმომავლობის, კანის ფერის, ქონების და მსგავსი ფასეულობების მიხედვით განურჩეველია. მხოლოდ ღვთისადმი თაყვანისცემა და ღვთისმოშიშობა აამაღლებს ადამიანს. ამიტომ არაბს არა არაბთან შედარებით, თეთრკანიანს

შავკანიანთან შედარებით არანაირი პრივილეგია არ გააჩნია. ადამიანი გამჩენის წინაშე მხოლოდ ღვთისმოშიშობითა და თაყვანისცემით ამაღლდება. ყველა ადამიანი წმ. ადამისგან მოდის და ადამი კი მიწისგანაა შექმნილი. ღმერთი ყურანში ბრძანებს:

خَلَقْنَاكُمْ مِنْ ذَكَرٍ وَأُنْثَى وَجَعَلْنَاكُمْ شُعُوبًا وَقَبَائِلَ لِتَعَارَفُوا إِنَّ أَكْرَمَكُمْ عِنْدَ اللَّهِ أَتْقَيكُمْ إِنَّ اللَّهَ عَلِ يمٌ خَب يرٌ ا إِنَّ أَيُّهَا النَّاسُيَا

ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ თქვენ ერთმანეთი დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე, თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!

(ჰუჯურათი 49/13)

6. ისლამი კრძალავს ალკოჰოლურ სასმელებს, აზარტულ თამაშებს, მრუშობას, ტყუილს, ბოროტებას და უკანონობას, ხოლო სიკეთეს, დახმარებას, სამართლიანობას, უპოვართა და დაცემულთა გამოსარჩლებას კი- გვიბრძანებს. ღვთის შუამავალიც ხომ ასე გვმოძღვრავს: თუ მეზობელი მშიერია და მას მაძღარს მშვიდად სძინავს მართლმორწმუნედ ვერ ჩაითვლება. ან კიდევ, ” თუ რაიმე ძალიან გიყვარს და იგივე არ უსურვე მართლმორწმუნე ძმას მართლმორწმუნედ არ ჩაითვლები”.

7. ისლამი სხეულისა და სულის სისუფთავეს ითხოვს. დღეში ხუთჯერ ლოცვისათვის ”აბდესის” წესით განბანვა და კვირაში მინიმუმ ერთხელ მთელი სხეულის დაბანა, აგრეთვე ტანსაცმელისა და სალოცავი ადგილის სუფთად მოწესრიგება, საპირფარეშოს შემდეგი განბანვა, საჭმლის ჭამის წინ და დასრულების შემდეგ ხელების დაბანა, კბილების გამოხეხვა და სხვა. ეს ყველაფერი ხორციელი ანუ გარეგანი სისუფთავის მაგალითებია. ლოცვის აღვლენის განბანვას და სქესობრივი კავშირის შემდეგ მთელი სხეულის განბანვას სულიერი დატვირთვაც გააჩნიათ.

სხეულის სისუფთავე, რწმენის ნახევარია და სუფთა ადამიანს ღმერთი სარჩოსა და ჯანმრთელობას უბოძებს. ეს ჰადისებშია გადმოცემული. ღვთის შუამავალსაც სისუფთავე ჰყვარებია, სუფთად იცვამდა, სასიამოვნო სურნელებას იყენებდა, თმებს ივარცხნიდა, საჭმლის წამამდე და ჭამის დასრულების შემდეგ ხელებს იბანდა. დიადი ღმერთის ერთ-ერთი პირველი ბრძანებათაგანი ხომ ასეთი იყო:

يَا أَيُّهَا الْمُدَّثِّرُ قُمْ فَأَنْذِرْ وَرَبَّكَ فَكَبِّرْ وَثِيَابَكَ فَطَهِّرْ

ჰეი შენ, სამოსში გახვეულო! წამოდექი და შეაგონე! და ადიდე ღმერთი შენი! და შენი სამოსი განიწმინდე, (მუდესსირ 74/1-4)

ჯაბირ იბნ აბდულლაჰის გადმოცემით ღვთის შუამავალს უბრძანებია: ” რომ მცოდნოდა რომ ეს ჩემი მიმდევრებისთვის ძნელი არ იქნებოდა ყოველ ლოცვის დროს კბილების გამოხეხვას ვუბრძანებდიო”

ადამიანის არსს მისი სული წარმოადგენს, ხოლო სხეული მხოლოდ სულის სამოსელია, რომლის საშუალებითაც ის მიწიერ სამყაროს უკავშირდება. სხეულით შესრულებული ღვთისმსახურება სულის გამომაწრთობელი და ამამაღლებელია. დიადი ღმერთისადმი ლოცვა -ვედრებით შესაძლებელია გულის გაწმენდა და სიამაყის, თავმომწონეობის, ტყუილის, შურისა და ორგულობის განდევნა. გული ღვთიური ნათელით გაბრწყინდება. ის სეიცნობს დიად გამჩენს მანამ, სანამ საკუთარ თავს შეიცნობდეს. გულის სიმშვიდის მოსაპოვებლად მხოლოდ დიადი ღმერთისადმი მუდმივი ლოცვა-ვედრებაა საჭირო. ყურანში წერია:

اَلَّذ ینَ اٰمَنُوا وَتَطْمَئِنُّ قُلُوبُهُمْ بِذِكْرِ اللّٰهِ اَلَا بِذِكْرِ اللّٰهِ تَطْمَئِنُّ الْقُلُوبُ

რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰის ხსენებით იჯერეს გულნი მათნი. დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს! (ერ-რად 13/28)

8. ისლამის მიხედვით ცოდნის შეძენა და სარჩოსთვის შრომა ღვთისმსახურებად ითვლება. ისლამს ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სარჩოს მოპოვებისათვის იდეალურად გაწონასწორებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და გვიბრძანებს შრომას. ყურანის პირველად ზეგარდმოვლენილი აიათიც ხომ ასე გვიბრძანებს:

اِقْرَاْ بِاسْمِ رَبِّكَ الَّذ ی خَلَقَ

خَلَقَ الْاِنْسَانَ مِنْ عَلَقٍ

اِقْرَاْ وَرَبُّكَ الْاَكْرَمُ

اَلَّذ ی عَلَّمَ بِالْقَلَمِ

عَلَّمَ الْاِنْسَانَ مَا لَمْ یَعْلَمْ

იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა ! მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან ! იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია, რომელმაც კალმით (წერა) შეასწავლა! შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა! (ალაყ 96/1-5)

ღვთის შუამავალი კი გვასწავლის, რომ სწავლის და ცოდნის მიღების სურვილი აუცილებელია. ფარზია. სიკეთიანია ის, ვინც ამა ქვეყნისათვის საიქიოს არ უარყოფს და აგრეთვე ის, ვინც საიქიოსთვის ამ ქვეყანას არ უარყოფსო- ბრძანებდა იგი. დიადი ღმერთი კი ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებას შორის გაწონასწორებულ დამოკიდებულებას შემდეგნაირად გვიბრძნებს:

وَابْتَغِ ف يمَا اٰتٰيكَ اللّٰهُ الدَّارَ الْاٰخِرَةَ وَلَا تَنْسَ نَص يبَكَ مِنَ الدُّنْيَا وَاَحْسِنْ كَمَا اَحْسَنَ اللّٰهُ اِلَيْكَ وَلَا تَبْغِ الْفَسَادَ فِى الْاَرْضِ اِنَّ اللّٰهَ لَا يُحِبُّ الْمُفْسِدِ ينَ

იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი!

(ყასსასი: 28/77)

9. ისლამში ყოველი ქმედება ღვთის წინაშე მიღებული რომ იყოს საჭიროა ადამიანის თავისუფალი ნება. შიშის და მუქარის ქვეშ გაკეთებულ ქმედებებზე პასუხისმგებლობა უქმდება. ძალდატანების და წამების მიზეზი იმანსაც რომ შეეხებოდეს, ადამიანს უფლება ეძლევა დაემორჩილოს. მექელმა ურწმუნოებმა წამებით მოკლეს ისლამის პირველი შაჰიდები იასირი და სუმეიე, მათ შვილი ამმარი კი შეიპყრეს და წამებით აიძულებდნენ ეთქვა ის სიტყვები, რომელიც მას ურწმუნოს გახდიდა. ამმარმა ვეღარ გაუძლო წამებას და შეასრულა მათი მოთხოვნა, შემდეგ მივიდა შუამავალთან და მოუყვა თვს გადახდენილი. შუამავალი შეეკითხა, თუ რა მოელოდა მას თუკი მათ სურვილს არ შეასრულებდა. ბოროტება მომელოდაო-უპასუხა ამმარმა. თუ შენ ცუდად არ გახსენებდი და მათ ღმერთებს არ შევაქებდი არ მომეშვებოდნენო. გულში რა გქონდა ამმარ? - შეეკითხა ისევ შუამავალი. რწმენით მქონდა სავსეო-უპასუხა ამმარმა. შუამავლამა კი ბრძანა: თუ კიდევ იგივეს გაგიკეთებენ, იგივე შეგიძლია გაიმეოროო. თუ ადამიანი იარაღის მუქარის ქვეშ ღმერთს უარყოფს პასუხისმგებლობისგან თავისუფალია. ამის შესახებ ყურანშია ნაბრძანები:

بٌ الذَ عَ مْهُلَوَ ـهلّلا نَ مِ ـبٌضَغَ مَنْ كَفَرَ بِاللّٰهِ مِنْ بَعْدِ ا يمَانِه اِلَّا مَنْ اُكْرِهَ وَقَلْبُهُ مُطْمَئِنٌّ بِالا يمَانِ وَلٰكِنْ مَنْ شَرَحَ بِالْكُفْرِ صَدْرًا فَعَلَيْهِمْ ـمٌيظِعَ

გარდა მათი, ვისი გულიც რწმენით იყო გაჟღენთილი, მაგრამ იძულებული გახდა, ხოლო ვინც უარყო ალლაჰი მას მერე, რაც ირწმუნა, და გული გაუხსნა ურწმუნოებას, მაშინ მათზეა რისხვა ალლაჰისგან და მათთვისაა დიდი სასჯელი! (ნაჰლი: 16/106)

გარდა ამისა, როდესაც მექელმა ურწმუნოებმა ორი მართლმორწმუნე შეიპყრეს და რწმენის შეცვლას სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ, ერთ-ერთი მათგანი დაემორჩილა და გაუშვეს, ხოლო მეორემ არ უარყო თავისი რწმენა და მოკლეს, ღვთის შუამავალმა მოკლული შაჰიდის შესახებ ბრძანა: ” ის შეჰიდებს შორის ყველაზე მაღლა დგას და სამოთხეში ჩემი მეგობარი იქნებაო”

10. ისლამის გავრცელების მეთოდებს შორის დაუშვებელია ძალების, მუქარის, შეშინების ან წამების გამოყენება. მხოლოდ სიყვარულის გამოხატვის გზითა და ახსნით უნდა შეეცადო დაიყოლიო ადამიანი ისლამის გზაზე. ღვთის შუამავალი ყველას თბილად და შემწყნარებლურად ექცეოდა, იმათაც კი ვინც მის მიმართ უპატივცემულობას და უხეშობას იჩენდა. მისი სატნო საქციელი ყურანშია აღწერილი :

فَبِمَا رَحْمَةٍ مِنَ اللّٰهِ لِنْتَ لَهُمْ وَلَوْ كُنْتَ فَظًّا غَلِ يظَ الْقَلْبِ لَانْفَضُّوا مِنْ حَوْلِكَ فَاعْفُ عَنْهُمْ وَاسْتَغْفِرْ لَهُمْ وَشَاوِرْهُمْ فِى الْاَمْرِ فَاِذَا عَزَمْتَ فَتَوَكَّلْ عَلَى اللّٰهِ اِنَّ اللّٰهَ يُحِبُّ الْمُتَوَكِّلِ ينَ

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები! „

(ალი იმრან 3/159)

ღვთის შუამავალი ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებისთვის ტაიფში იყო წასული, მაგრამ იქ ძალიან ცუდად შეხვდნენ. უკან მობრუნებულს ფეხები სისხლით ქონდა მოსვრვრილი. ამის მიუხედავად არც კი დაუწყევლია ამის ჩამდენნი, ხოლო მისთვის გამოგზავნილ, მოვალეობის შემსრულებელ ანგელოზს კი უთხრა: ”მე ადამიანების განადგურებისთვის კი არა მათთვის წყალობად ვარ მოვლენილი. მათ არ უწყით რას სჩადიან. იქნებ მათი შთამომავლობიდან გახდება რომელიმე მართლმორწმუნე” .

ყურანში რწმენის გავრცელების მეთოდების შესახებ წერია:

اُدْعُ اِلٰى سَب يلِ رَبِّكَ بِالْحِكْمَةِ وَالْمَوْعِظَةِ الْحَسَنَةِ وَجَادِلْهُمْ بِالَّت ى هِىَ اَحْسَنُ اِنَّ رَبَّكَ هُوَ اَعْلَمُ بِمَنْ ضَلَّ عَنْ سَب يلِه وَهُوَ اَعْلَمُ بِالْمُهْتَد ينَ

„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ!“ (ნაჰლი 16/125)

لَا اِكْرَاهَ فِى الدّ ينِ قَدْ تَبَيَّنَ الرُّشْدُ مِنَ الْغَىِّ فَمَنْ يَكْفُرْ بِالطَّاغُوتِ وَيُؤْمِنْ بِاللّٰهِ فَقَدِ اسْتَمْسَكَ بِالْعُرْوَةِ الْوُثْقٰى لَا انْفِصَامَ لَهَا وَاللّٰهُ سَم يعٌ عَل يمٌ

ან კიდევ: „იძულება არაა სარწმუნოებაში. ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილისგან. მაშ, ვინც უარყოს ტაღუთი (ეშმაკი და ეშმაკისეული გზა) და იწამოს ალლაჰი, უეჭველად, ის მყარ საყრდენს არის ჩაჭიდებული, რომლის ნგრევა შეუძლებელია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა.“

(ბაყარა: 2/256)

11. ისლამი ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოების შექმნისა და შენარჩუნებისათვის მუდმივად გვასწავლის ”სიკეთისკენ მოწოდებას და ბოროტებისგან შორს ყოფნას”. ისლამურ საზოგადოებაში მუსლიმანი ყოველთვის სიკეთით და სასარგებლო საქმიანობითაა დაკავებული, ხოლო ბოროტებას და საზოგადოებისთვის ზიანის მომტან ქმედებას კი წინ აღუდგება. ამრიგად ისლამურ საზოგადოებაში სიკეთე თავისთავში პოულობს ძალას და ვრცელდება, ბოროტება კი ვერ გაძლიერდება. ყურანში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا لَا تُحِلُّوا شَعَائِرَ اللّٰهِ وَلَا الشَّهْرَ الْحَرَامَ وَلَا الْهَدْىَ وَلَا الْقَلَائِدَ وَلَا اٰمّ ينَ الْبَيْتَ الْحَرَامَ يَبْتَغُونَ فَضْلًا مِنْ رَبِّهِمْ وَرِضْوَانًا وَاِذَا حَلَلْتُمْ فَاصْطَادُوا وَلَا يَجْرِمَنَّكُمْ شَنَاَنُ قَوْم اَنْ صَدُّوكُمْ عَنِ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ اَنْ تَعْتَدُوا وَتَعَاوَنُوا عَلَى الْبِرِّ وَالتَّقْوٰى وَلَا تَعَاوَنُوا عَلَى الْاِثْمِ وَالْعُدْوَانِ وَاتَّقُوا اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ شَد يدُ الْعِقَابِ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ არის ნებადართული ალლაჰის ნიშნები და არც ნაკრძალი თვე , და არც ზვარაკი , და არცა აქლემნი კისერსაბმელით; და არცა უსაფრთხო სახლში მიმავალთათვის, რომელნიც უფლისგან მადლსა და მწყალობლობას მიელტვიან. ხოლო როცა იჰრამიდან გამოხვალთ, ინადირეთ, და ცოდვას ნუ ჩაგადენინებთ იმ ხალხისადმი სიძულვილი, მესჯიდი ჰარამს რომ არ გაკარებდათ. და შეეწიეთ ერთმანეთს ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობაში, მაგრამ არ შეეწიოთ ერთმანეთს ცოდვასა და მტრობაში. და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰის საზღაური სასტიკია! „ (მაიდე: 5/2)

وَعَدَ اللّٰهُ الْمُؤْمِن ينَ وَالْمُؤْمِنَاتِ جَنَّاتٍ تَجْر ى مِنْ تَحْتِهَا الْاَنْهَارُ خَالِد ينَ ف يهَا وَمَسَاكِنَ طَيِّبَةً ف ى جَنَّاتِ عَدْنٍ وَرِضْوَانٌ مِنَ اللّٰهِ اَكْبَرُ ذٰلِكَ هُوَ الْفَوْزُ الْعَظ يمُ

„აღუთქვა ალლაჰმა მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან; თანაც ედემის ბაღები საუკეთესო ადგილსამყოფელად. და ალლაჰისგან კმაყოფილება ყოვლად აღემატება ამას , სწორედ ეს არის უდიდესი ნეტარება!“ (თევბე 9/72)

كُنْتُمْ خَيْرَ اُمَّةٍ اُخْرِجَتْ لِلنَّاسِ تَاْمُرُونَ بِالْمَعْرُوفِ وَتَنْهَوْنَ عَنِ الْمُنْكَرِ وَتُؤْمِنُونَ بِاللّٰهِ وَلَوْ اٰمَنَ اَهْلُ الْكِتَابِ لَكَانَ خَيْرًا لَهُمْ مِنْهُمُ الْمُؤْمِنُونَ وَاَكْثَرُهُمُ

„თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის. ხოლო რომ ეწრმუნათ ღვთიური წიგნის ხალხს, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ გზასამცდარნიც არიან დიდი ნაწილი მათგან.“

(ალი იმრან 3/ 110)

სხვა აიათებში ნაბრძანებია, რომ ებრაელები არ მოუწოდებდნენ ერთმანეთს სიკეთისკენ, წინააღმდეგობას სწევდნენ და ზღვარს გადავიდნენ, ამიტომ იქმნენ დაწყევლილად.

შუამავალი გვასწავლის რა მეთოდს უნდა მივმართოთ ბოროტების შესაჩერებლად : ” თუკი რომელიმე თქვენგანი ნახავს ბოროტებას, ხელით შეეცადოს მის გამოსწორებას. თუ საამისოდ ძალა არ ეყოფა ენით მიუთითოს რომ ეს ცუდია, ხოლო თუ სამისოდაც არ ეყოფა ძალა გულით იცოდეს რომ ის ცუდი საქმეა. ეს უკანასკნელი კი რწმენის ყველაზე სუსტი საფეხურია”.

12. მუსლიმურ ქვეყანაში მუსლიმი და არამუსლიმი სამართლის წინაშე თანაბარი უფლებით სარგებლობენ. არამუსლიმ მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი რწმენის შესაბამისი უფლებებით ისარგებლონ. თავიანთი სარწმუნოების კანონების მიხედვით შეუძლიათ ქორწინება, განშორება, ღვთისმსახურება და ა.შ.

13. ისლამი მოითხოვს ჩვენგან სრული სიმართლის დაცვას, თუნდაც ის ჩვენს წინააღმდეგ იყოს მომართული. ღვთის შუამავალი საღვთო კანონების განხორციელებისას ადაიანებს შორის განხეთქილების მიზეზი არასოდეს ყოფილა. მექაში, ერთ-ერთი დიდგვაროვანი ოჯახის ქალიშვილმა ფათმამ ქურდობა ჩაიდინა. სასჯელი, რომელიც მას ელოდა ძალიან ძნელი შესაგულებელი იყო ყურეიშების გვარისთვის. მათ შუამავალს თავისი საყვარელი მეგობარი მიუგზავნეს მოსალაპარაკებლად და სთხოვეს ეპატიებინა დამნაშავისთვის. ეს მდგომარეობა არ ესიამოვნა ღვთის შუამავალს და ბრძანა: თქვენზე წინანდელი ხალხები ამის გამო განადგურდნენ; დიდგვაროვანი რომ რამეს დააშავებდა პატიობდნენ, ხოლო სუსტი თუ დააშავებდა სჯიდნენ. ვფიცავ ღმერთს მუჰამმედის ქალიშვილს ფატიმას რომ ქურდობა ჩაედინა უეჭველად ხელს მოვკვეთდი”.

წმ. ებუ ბექირმა, როდესაც ის ხალიფად აირჩიეს ხალხს ასე მიმართა:

”თქვენს შორის ყველაზე სუსტი, რომელსაც სხვისგან საზღაური აქვს ასაღები, სანამ არ მიიღებს ჩემს გვერდით ყველაზე ძლიერია, ხოლო თქვენს შორის ვინც ყველაზე ძლიერია და საზღაური აქვს გასაცემი, სანამ არ გასცემს ჩემს გვერდით ყველაზე სუსტია”.

14. ისლამმა ყველა მართლმორწმუნე დებად და ძმებად გამოაცხადა.

اِنَّمَا الْمُؤْمِنُونَ اِخْوَةٌ فَاَصْلِحُوا بَيْنَ اَخَوَيْكُمْ وَاتَّقُوا اللّٰهَ لَعَلَّكُمْ تُرْحَمُونَ

რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან . მაშ, გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გეშინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ! (ჰუჯურათ 49/ 10)

დიდი ჰიჯრის დროს მექადან მედინაში ჩასულ მუსლიმანებს ადგილობრივმა მუსლიმანებმა საცხოვრებელი ადგილები და სარჩო-საბადებელი გაუნაწილეს. ეს იყო სულიერი ძმობის უდიდესი გამოხატულება. თუ ხორციელ ძმობას სულიერი ძმობა არ ახლავს, ორი ღვიძლი ძმის გზებიც შეიძლება გაიყაროს. თუ ამ ქვეყანაზე ვერ გაუგეს ერთმანეთს, განკითხვის დღეს მითუმეტეს არ ეცლებათ ერთმანეთისთვის.

يَوْمَ يَفِرُّ الْمَرْءُ مِنْ اَخِ يهِ

وَاُمِّه وَاَب يهِ

وَصَاحِبَتِه وَبَن يهِ

იმ დღეს გაიქცევა ადამიანი ღვიძლი ძმისგან,

მეუღლისგან და შვილებისგან!

(ღებესე 80/34-36)

მართლმორწმუნეთა ძმობა გულით სიყვარულს ეყრდნობა და მეგობრობას, ურთიერთგაგებას წარმოშობს. ადამიანებს, ღვთის გულისათვის სიყვარულს ასწავლის. პიროვნება კი საიქიოში იმასთან იქნება ვინც უყვარს. ასე იყვნენ ერთ მუშტად შეკრული შუამავლის თანამოღვაწენი მის ირგვლივ. ასეთი ერთობა და ძმობა ძალას წარმოშობს და ისინიც მათზე ბევრად უფრო ძლიერ მტერს ადვილად ამარცხებდნენ. ისინი მჭიდროდ იყვნენ შემოხვეულნი ღვთისგან მომავალ რწმენის ძაფზე და როგორც რჩეულთ ღვთისგანვე ჰქონდათ მომადლებული ძალა და მხნეობა.

აი ეს არის ის ზოგადი ხაზი, რომელიც ისლამის უნივერსალურობაზე მეტყველებს. ადამიანის საყოველთაო უფლებების ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც კაცობრიობამ სულ ახლო წარსულში აღიარა, ისლამმა მეშვიდე საუკუნეში მოგვიტანა. კაცობრიობამ თავისი ცივილიზებული კანონებითა და დემოკრატიული პრინციპებით დღეს კიდევ ვერ შეძლო აღმოეფხვრა კანის ფერის, რელიგის, წარმოშობის და მდგომარეობის მიხედვით ადამიანების თანასწორუფლებიანობის განხორციელება. ეს კი ისლამმა მეშვიდე საუკუნეში წარმატებით განახორციელა. დღეში ხუთჯერ, ყველა მართლმორწმუნე, არაბი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, თეთრკანიანი თუ შავკანიანი, მდიდარი თუ ღარიბი, უფროსი თუ ხელქვეითი, ყველა ერთად, მხარდამხარ, ერთ მწკრივში ლოცულობენ და ღვთის წინაშე თავს მიწამდე ხრიან, წელიწადში ერთხელ კი მსოფლიოს ყველა კუთხიდან მორწმუნეები ჩადიან მექაში და ყველანი ერთად ლოცულობენ. ეს მართლაც უნივერსალური ძმობის საუკეთესო გამოხატულებაა.

III – ისლამის სარწმუნოების წყარო

1. ყველა ცნობა და დებულება მიწიერ და საიქიო ცხოვრების შესახებ, რომელიც ისლამს შეეხება ოთხი წყაროდან მოდის. ესენია: წიგნი (ყურანი), სუნნეთი (ჰადისები), იჯმა და ყიასია. მათ, როგორც ოთხ შეუვალ და სანდო მტკიცებულებებს "ჭეშმარიტი მტკიცებულებები" ეწოდებათ. ამათ გარდა არსებობს ე.წ. "ფერი" (მეორე ხარისხოვანი) მტკიცებულებებიც.

ა- ძირითადი მტკიცებულებები

1) წიგნი

ისლამის წმინდა წიგნი არის ყურანი, რომელიც უზენაესმა ღმერთმა შუამავალ მუჰამმედს არაბულ ენაზე გამოუგზავნა და თაობიდან თაობაზე გადაცემის გზით ჩვენამდე მოაღწია. ყურანი იწყება სურა "ფათიჰა"-თი და მთავრდება სურა "ნაას"-ით, რომელიც

ადამიანებს ნიშნავს. ყურანი, აღიარებული თვალსაზრისით სიტყვა "ყირაე"-დან მომდინარეობს და მისი ფუძისეული მნიშვნელობები შემდეგია: კითხვა, შეკრება, ერთად თავმოყრა. ყურანი არ არის მხოლოდ რწმენის, ღვთისმსახურების და მორალის შესახებ, ის აერთიანებს რწმენას და ღვთისმსახურებასთან ერთად სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

აიათებში ნაბრძანებია:

وَيَوْمَ نَبْعَثُ ف ى كُلِّ اُمَّةٍ شَه يدًا عَلَيْهِمْ مِنْ اَنْفُسِهِمْ وَجِئْنَا بِكَ شَه يدًا عَلٰى هٰؤُلَاءِ وَنَزَّلْنَا عَلَيْكَ الْكِتَابَ تِبْيَانًا لِكُلِّ شَىْءٍ وَهُدًى وَرَحْمَةً وَبُشْرٰى لِلْمُسْلِمِ ينَ

და იმ დღეს წარვგზავნით ყოველი ერის წინააღმდეგ მოწმეს თავიანთი წიაღიდანვე, და შენც დაგადგინეთ მოწმედ მათ წინააღმდეგ. და ზემოვავლინეთ ჩვენ შენზე წიგნი ყოველივეს განმარტებით, ჭეშმარიტ გზად, წყალობად და სამახარობლოდ მუსლიმთათვის! (ნაჰლი 16/89)

اِنَّا نَحْنُ نُحْىِ الْمَوْتٰى وَنَكْتُبُ مَا قَدَّمُوا وَاٰثَارَهُمْ وَكُلَّ شَىْءٍ اَحْصَيْنَاهُ ف ى اِمَامٍ مُب ينٍ

უეჭველად, ჩვენ ვაცოცხლებთ მკვდრებს და ვწერთ, რაც წაიმძღოლეს და რა ნიშანიც დატოვეს მათ. და ყველაფერი ჩვენ აღვრიცხეთ ცხად დავთარში. (იასინ 36/ 12" ----------

ყურანის აიათი პირველად ჩვ. წ. აღ 610 წელს, მარხვის თვის 27-ე ღამეს, ანუ "ყადირის ღამეს" ზეგარდმოევლინა შუამავალ მუჰამმედს, რომელიც იმ დროს მექას ახლოს, ჰირას გამოქვაბულში ღმერთის არსებობის შესახებ ფიქრობდა. მისი ზეგარდმოვლინება მიმდინარეობდა 22 წლის, 2 თვისა და 22 დღის განმავლობაში.

პირველივე აიათში ნაბრძანებია:

اِقْرَاْ بِاسْمِ رَبِّكَ الَّذ ى خَلَقَ

خَلَقَ الْاِنْسَانَ مِنْ عَلَقٍ

اِقْرَاْ وَرَبُّكَ الْاَكْرَمُ

الَّذ ى عَلَّمَ بِالْقَلَمِ

عَلَّمَ الْاِنْسَانَ مَا لَمْ يَعْلَمْ

-იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა!

-მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან!

-იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია,

-რომელმაც კალმით (წერა) შეასწავლა!

-შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა!

(ალაყ 96/1-5)

ბოლო აიათი კი "გამოსამშვიდობებელი ქადაგებისას" მოევლინა დედამიწას:

حُرِّمَتْ عَلَيْكُمُ الْمَيْتَةُ وَالدَّمُ وَلَحْمُ الْخِنْزِيرِ وَمَا أُهِلَّ لِغَيْرِ اللَّهِ بِهِ وَالْمُنْخَنِقَةُ وَالْمَوْقُوذَةُ وَالْمُتَرَدِّيَةُ وَالنَّطِيحَةُ وَمَا أَكَلَ السَّبُعُ إِلَّا مَا ذَكَّيْتُمْ وَمَا ذُبِحَ عَلَى النُّصُبِ وَأَنْ تَسْتَقْسِمُوا بِالْأَزْلَامِ ذَلِكُمْ فِسْقٌ الْيَوْمَ يَئِسَ الَّذِينَ كَفَرُوا مِنْ دِينِكُمْ فَلَا تَخْشَوْهُمْ وَاخْشَوْنِ الْيَوْمَ أَكْمَلْتُ لَكُمْ دِينَكُمْ وَأَتْمَمْتُ عَلَيْكُمْ نِعْمَتِي وَرَضِيتُ لَكُمُ الْإِسْلَامَ دِينًا فَمَنِ اضْطُرَّ فِي مَخْمَصَةٍ غَيْرَ مُتَجَانِفٍ لِإِثْمٍ فَإِنَّ اللَّهَ غَفُورٌ رَحِيمٌ

„თქვენ აგეკრძალათ ლეში , სისხლი, ღორის ხორცი და ის, რაც ალლაჰის სახელით არ დაკლულა; აგრეთვე დახრჩობილი, დარტყმით მოკლული, სიმაღლიდან ჩამოვარდნილი, რქებზე წამოგებული, გარეული ცხოველის დაგლეჯილი, იმის გამოკლებით, რომელიც თქვენ დაკალით წესისამებრ; და კერპთა სამსხვერპლოზე დაკლული; და ისიც, რომ ისრებით მოკლული გაინაწილოთ; ეს ყველაფერი სიბილწეა. დღეს რომელთაც არ იწამეს, იმათ უკვე გადაეწურათ იმედი, თქვენს რწმენას ჩამოგაშორონ, და ნუ გეშინიათ მათი, არამედ გეშინოდეთ ჩემი! დღეს მე სრულვჰყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.“ (მაიდე 5/3)

აბდულლაჰ იბნ აბბასის გადმოცემით შემდეგი აიათი უფრო გვიან მოვლენილა:

وَاتَّقُوا يَوْمًا تُرْجَعُونَ فِيهِ إِلَى اللَّهِ ثُمَّ تُوَفَّى كُلُّ نَفْسٍ مَا كَسَبَتْ وَهُمْ لَا يُظْلَمُونَ

„უფრთხილდით იმ დღეს, როცა იქნებით დაბრუნებულნი ალლაჰთან. მაშინ სრულად მიეგება ყველა სულს იმისთვის, რაც კი მოუხვეჭია და არ დაიჩაგრებიან ისინი.“ (ბაყარა 2/281)

მექაში ყოფნის პერიოდში მოვლენილი აიათები უფრო განკითხვისა და საიქიოს შესახებ შეიცავენ ინფორმაციას. ეს პერიოდი გრძელდებოდა 13 წელიწადი. შემდეგ კი, როცა ადამიანები შეეჩვივნენ ისლამს, მოვლენილი აიათები ალალისა და არამის შესა-

ხებ იყო. აიათების უმრავლესობა ან რაიმე კითხვის პასუხად, ან კიდევ რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით მოდიოდა. შუამავალი მოვლენილ აიათებს ყურანის გადამწერებს აწერინებდა და თან მიუთითებდა რომელი აიათი სად ჩაეწერათ. არსებობს თანხმობა, რომ აიათების თანმიმდევრობა ისევ ზეშთაგონებას ეყრდნობა. ასევე ითქმის სურების თანმიმდევრობაზეც.

2) სუნნეთი

სუნნეთი შუამავლის სიტყვა, ქმედება ან რაიმე მოვლენის დეკლარირებაა.

მაგალითად, სიტყვიერი სუნნეთი შემდეგნაირია:

”ვინც ძილის დროს, ან დავიწყების შემთხვევაში ლოცვას გააცდენს გახსენებისას ილოცოს”

სუნნეთი, რომელსაც ქმედება უდევს საფუძვლად შემდეგნაირია:

” მე როგორც ვასრულებ ლოცვას ისე ილოცეთ თქვენც”

ხოლო მესამე შემთვევაში, წმინდა შუამავალის მიერ გაგონილი ან დანახული მოვლენის შესახებ გამოთქმული შეფასებაა, დადებითად მიღება ან უარყოფა. მაგალითად, ერთ-ერთი მორწმუნე მგზავრად იყო წასული, ლოცვის დროს წყალი ვერ იშოვა და თეიმუმის მეთოდის გამოყენებით განბანვის შემდეგ ილოცა, ხოლო შემდეგ, როდესაც მიაგნო წყალს ლოცვა აღარ აანაზღაურა. ეს კი შუამავალმა დაუდასტურა.

ყურანის შემდეგ მეორე რესურსი სუნნეთია. ამის შესახებ არსებობს აზრთა თანხმობა. სარწმუნოების საკითხებში სუნნეთს როგორც მტკიცებულების არსებობა განმტკიცებულია ყურანის აიათებში.

وَمَا اٰتٰىكُمُ الرَّسُوْلُ فَخُذُوْهُ وَمَا نَهٰىكُمْ عَنْهُ فَانْتَهُوْا وَاتَّقُوا اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ شَدِيْدُ الْعِقَابِ

...და რაც მოგცათ თქვენ შუამავალმა, აიღეთ იგი; ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ მისგან. გეშინოდეთ ალლაჰის, უეჭველად, ალლაჰი მკაცრსაზღაურიანია!“

(ჰაშრი 59/7)

فَلَا وَرَبِّكَ لَا يُؤْمِنُوْنَ حَتّٰى يُحَكِّمُوْكَ فِيْمَا شَجَرَ بَيْنَهُمْ ثُمَّ لَا يَجِدُوْا فِيْٓ اَنْفُسِهِمْ حَرَجًا مِّمَّا قَضَيْتَ وَيُسَلِّمُوْا تَسْلِيْمًا

„მაგრამ არა! შენს ღმერთს ვფიცავ! ნამდვილი მორწმუნენი ვერ იქნებიან ეგენი, სანამ მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ ერთმანეთში. შემდეგ კი შენს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან სრულად და თავიანთ თავში არ ექნებათ საჭოჭმანო.“ (ნისა 4/65)

مَنْ يُطِعِ الرَّسُولَ فَقَدْ اَطَاعَ اللّٰهَ وَمَنْ تَوَلّٰى فَمَا اَرْسَلْنَاكَ عَلَيْهِمْ حَفِيظًا

„ვინც ჰმორჩილებს შუამავალს, უეჭველად, ის ალლაჰის მორჩილია. და ვინც შეგაქციოს სახე, მაშ, არ წარგვიგზავნიხარ შენ მათდა გუშაგად!“ (ნისა 4/80)

სუნა, სუნნეთი შუამავლის მიერ ღვთისგან მინიჭებული მოვალეობის განხორციელების შედეგია. ყურანში წერია რომ შუამავლის საუბარი ღვთიური ზეშთაგონების გამოხატვაა.

وَمَا يَنطِقُ عَنِ الْهَوٰى

اِنْ هُوَ اِلَّا وَحْيٌ يُوحٰى

და არც მეტყველებს თავისი ნებით.

რამეთუ იგი მხოლოდ ზეშთაგონებაა, ზეშთაგონებული.

(ნეჯმი 53/3-4)

სუნნეთს ყურანთან მიმართებაში ოთხი ფუნქცია გააჩნია: ა) ორაზროვან და გადატანითი მნიშვნელობის აიათების განმარტება. ბ) ზოგადი დებულებების დაკონკრეტება გ) ნასიჰ ვე მენსუჰუ გვამცნობს. დ) ისეთი დებულებების ჩამოყალიბება, რომლებიც ყურანში არ გვხვდება. მაგ. ლოცვისა და სავალდებულო მოწყალების (ზექათი) შესრულების ფორმები სუნნეთშია მოცემული. შინაური ვირის და მტაცებელი ფრინველების ხორცის ჭამა სუნნეთის მიხედვითაა აკრძალული.

წმინდა ჰადისების სამ კატეგორიად დაყოფა შეიძლება. ესენია: მტკიცე ხადისები (მრავალი ადამიანის მიერ გადმოცემული, ეჭვმიუტანელი და დამტკიცებული ჰადისი), ცნობილი ჰადისები (საყოველთაოდ გავრცელებული და სახელგანთქმული ჰადისები) და ”აჰად”, ანუ ერთეული ადამიანების მიერ გადმოცემული ჰადისები. ეს უკანასკნელი კი სამად იყოფა: უეჭველი, ძლიერი და სუსტი.

მტკიცე ჰადისები.

ეს ის კატეგორიაა, როდესაც უამრავი ადამიანი გადმოგვცემს

ერთი და იგივეს, გარდა ამისა წარმოუდგენელი და შეუძლებელია ამ ადამიანების სიცრუის მიზნით შეთანხმება. მაგ. ” ვინც განზრახ ტყუილ სიტყვას მომიტანს ცეცხლისთვის განემზადოს” ეს ჰადისი 100-ზე მეტ შუამავლის თანამედროვეს გადმოუცია.

ლოცვის აღვლენის, ლოცვისწინა განბანვის და ჰაჯობის შესრულების ფორმები ასეთი მტკიცე ჰადისებითაა გამყარებული. მტკიცე ჰადისების უეჭველობა მტკიცეა და მათი მიხედვით მოქმედება ”ფარზია” სავალდებულოა. ასეთი ჰადისები განმარტავენ ზოგად აიათებს. --გვ. 38

ცნობილი ჰადისები.

ასეთი კატეგორიის ჰადისები, თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ადამიანის გადმონაცემს ეყრდნობა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ჰადისები უფრო და უფრო ბევრმა ადამიანმა აღიარა და სანდოობით მტკიცე ჰადისებს გაუთანაბრდა. მაგალითად:” ქმედებებს მიზანი განსაზღვრავს” ეს ჰადისი თავდაპირველად წმ. ომარს გადმოუცია, მაგრამ მოგვიანებით იმდენად ბევრმა ჰადისის მცოდნემ აღიარა, რომ მტკიცე ჰადისების საფეხურამდე მიაღწია.

ცნობილი სუნნეთი უეჭველთან ძალიან ახლო ინფორმაციას შეიცავს, ამიტომ ცნობილი ჰადისებითაც ზოგადი აიათების განმარტება სანდოა. მაგ. შემდეგი აიათის განმარტება ცნობილი ჰადისით გახდა შესაძლებელი.

يُوصِ يكُمُ اللّٰهُ ف ى اَوْلَادِكُمْ لِلذَّكَرِ مِثْلُ حَظِّ الْاُنْثَيَيْنِ فَاِنْ كُنَّ نِسَاءً فَوْقَ اثْنَتَيْنِ فَلَهُنَّ ثُلُثَا مَا تَرَكَ وَاِنْ كَانَتْ وَاحِدَةً فَلَهَا النِّصْفُ وَلِاَبَوَيْهِ لِكُلِّ وَاحِدٍ مِنْهُمَا السُّدُسُ مِمَّا تَرَكَ اِنْ كَانَ لَهُ وَلَدٌ فَاِنْ لَمْ يَكُنْ لَهُ وَلَدٌ وَوَرِثَهُ اَبَوَاهُ فَلِاُمِّهِ الثُّلُثُ فَاِنْ كَانَ لَهُ اِخْوَةٌ فَلِاُمِّهِ السُّدُسُ مِنْ بَعْدِ وَصِيَّةٍ يُوص ى بِهَا اَوْ دَيْنٍ اٰبَاؤُكُمْ وَاَبْنَاؤُكُمْ لَا تَدْرُونَ اَيُّهُمْ اَقْرَبُ لَكُمْ نَفْعًا فَر يضَةً مِنَ اللّٰهِ اِنَّ اللّٰهَ كَانَ عَل يمًا حَك يمًا

„გიწესებთ ალლაჰი თქვენი შვილებისთვის (სამკვიდროს): ვაჟს წილი, ტოლი ორი გოგოს წილისა. თუკი გოგოშვილები არიან ორზე მეტი, მაშინ მათ ორი მესამედი იმისა, რაც დაუტოვა; თუ მხოლოდ ერთია (გოგოშვილი), მაშინ ნახევარი მემკვიდრეობისა. (გარდაცვლილის) მშობლებს კი თითოეულს ერთი მეექვსედი იმისა, რაც დატოვა, თუ მას ჰყავს შვილი. და თუ შვილი არ ჰყავს და მისი მემკვიდრე მშობლები არიან, მაშინ დედას ერთი მესამედი ქონებისა. თუ ჰყავს ძმები, მაშინ დედას ერთი მეექვსედი, ანდერძით დანაბარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების შემდეგ. თქვენ არ იცით მათგან რომელნი უფრო სარგებლიანნი არიან თქვენთვის, თქვენი მშობლები თუ შვილები თქვენი, ეს ალლაჰისგანაა დადგენილი. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!“ (ნისა 4/11)

აიათში, რომელიც მემკვიდრეობის საკითხებს შეეხებოდა განისაზღვრა სიტყვა ”ანდერძი”.

სად იბნ ვაკკასს თავისი ერთადერთი ქალიშვილისთვის დასატოვებელი ქონება ბევრად ჩათვალა და დააპირა ანდერძით სხვისთვის დაეტოვებინა. ამის თაობაზე შუამავალს უბრძანებია: ” ქონების ერთი მესამედი. სინამდვილეში ესეც ბევრია, მაგრამ შენი შთამომავლობის მდიდრად დატოვება უფრო უკეთესია, ვიდრე მათხოვრად რომ გადაიქცნენ და სამოწყალოდ ხელი გაიწოდონ”. ეს ჰადისი ”ცნობილი ჰადისის” კატეგორიისაა და მისი მიხედვით ანდერძი ქონების ერთი მესამედით განისაზღვრა.

აჰად, ანუ ერთეულების მიერ გადმოცემული ჰადისები ”ცნობილი ჰადისების” საფეხურამდე ვერ აღწევენ. სუნნეთის უმეტესობა ამ სწორედ გზითაა გადმოცემული.

ებუ ჰანიფეს ასეთი ჰადისების გადმომცემების მიმართ თავისი პირობები ქონდა წამოყენებული. მაგ: პიროვნება სანდო და სამართლიანი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე კარგად უნდა სცოდნოდა ისლამი და ქცევაც თავისი გადმოცემული ჰადისი მიხედვით უნდა ჰქონოდა. იმამი მალიქი კი თვლიდა, რომ თუ ასეთი ჰადისები ემთხვეოდა მედინელების ქცევას, მაშინ ის მტკიცებულებად გამოდგებოდა. ამ კატეგორიის ჰადისები და შესაბამისად სუნნეთი ცოდნაზე კი არა უმეტესად ვარაუდზე არიან დამყარებული, ამდენად რწმენის საკითხებში სანდოდ ვერ ჩაითვლებიან, ხოლო თუ ზემოთ მოყვანილ პირობებს აკმაყოფილებენ ქცევის საკითხებში მათი გათვალისწინება შეიძლება.

იჯმა- რაიმე საკითხის მიმართ შეხედულებების თანხვედრას ნიშნავს. როგორც სარწმუნოებრივი ტერმინი კი -შუამავალ მუჰამმედის გარდაცვალების შემდეგ მისი მიმდევრებიდან სარწმუნოებრივ საკითხებში ავტორიტეტულ პიროვნებების მიერ რაიმე დებულების შესახებ შეთანხმება.

გამომდინარე აქედან ”იჯმა”-ს დროს შემდეგი პირობებია აუცილებელი:

ა) პიროვნება, რომელსაც არ შეეძლება სარწმუნოებრივი მტკიცებულებების მიხედვით დებულების დამტკიცება მონაწილეობას ვერ მიიღებს. საამისოდ კი შესაბამისი ცოდნა და უნარი უნდა გააჩნდეს.

ბ) სარწმუნოების შესახებ რაიმე დებულების თაობაზე თუ ჯგუ-

ფის ყველა წევრი შეთანხმდება და მათი მოსაზრებები ერთმანეთს დაემთხვევა "იჯმა" მიღწეულია. მოგვიანებით აზრების შეცვლა "იჯმა"-ს ვერ გააუქმებს.

გ) თუ გადაწყვეტილება სარწმუნოებრივი არ იქნება აზრთა თანხვედრა "იჯმა"-დ არ ჩაითვლება.

"იჯმა", როგორც მტკიცებულება ყურანს და სუნნეთს ეყრდნობა. ყურანში ნაბრძანებია:

وَمَنْ يُشَاقِقِ الرَّسُولَ مِنْ بَعْدِ مَا تَبَيَّنَ لَهُ الْهُدٰى وَيَتَّبِعْ غَيْرَ سَبِيلِ الْمُؤْمِنِينَ نُوَلِّهِ مَا تَوَلّٰى وَنُصْلِهِ جَهَنَّمَ وَسَاءَتْ مَصِيرًا

და ვინც განუდგება შუამავალს იმის შემდგომ, როცა ჭეშმარიტება ცხადი გახდა მისთვის, და იგი დაადგება გზას, რომელზეც არ ადგანან მორწმუნენი, ჩვენ მივაქცევთ მას, საითკენაც შეტრიალდა და შევუნთებთ მას ჯოჯოხეთში. და რა საზიზღარია ეს მისაქციელი! (ნისა 4/115)

არსებობს ჰადისები, რომლებიც "იჯმა"-ს, როგორც მტკიცებულებას ისე მიიჩნევს.

" მუსულმანები რასაც ლამაზად ჩათვლიან ის ღმერთისთვისაც ლამაზია". ან კიდევ, "

,,ჩემი მიმდევრები უზნეობაზე არ შეთანხმდებიან".

3 "იჯმა"

"იჯმა" თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფა.

პირველი, როცა შეთანხმების ყველა მონაწილე ხმამაღლა განაცხადებს გადაწყვეტილების შესახებ.

მეორე, როცა ერთი რომელიმე ისლამის მეცნიერი მივა რაიმე გადაწყვეტილებამდე, სხვები კი არც თანხმობას გამოხატავენ და არც უარყოფენ. ეს არის თანხმობად მიჩნეული დუმილით მიღებული "იჯმა".

მესამე: ამ შემთხვევაში საკითხის რაღაც ნაწილზე ხდება აზრთა თანხვედრა.

4) ყიასი

ყიასი- რაიმის სხვა რამესთან შედარებას ნიშნავს, აწონას. სარწმუნოებაში კი, როდესაც რაიმე საკითხის შესახებ არ არსებობს

აიათი ან სუნნეთი, ამ საკითხს ადარებენ მსგავს საკითხს, რომლის შესახებაც არსებობს ყურანისეული მტკიცებულებები და საკითხების მსგავსების ხარისხიდან გამომდინარე მტკიცებულება ვრცელდება მეორე საკითხზეც. მაგალითად ღვინოს აკრძალულობის შესახებ ყურანშია საუბარი, მაგრამ მოგვიანებით შექმნილი და გამოგონილი სხვა სასმელები, მაგ. არაყი, კონიაკი, ვისკი, შამპანური და ა. შ. ყურანში არაა ნახსენები. რადგანაც ღვინო, თავისი თვისების გამო იქნა აკრძალული და ეს თვისება იყო თრობის გამოწვევა და ეს სხვადასხვა ჰადისებში არის მითითებული . ყველა ალკოჰოლის შემცველი სასმელი იწვევს თრობას და მათი ეს თვისება ღვინის თვისების ანალოგიურია, ამიტომ "კიასის" გზით მოხდა ყველა ალკოჰოლური სასმელის ამ დებულების ქვეშ მოქცევა.

ყიასი რომ მტკიცებულებად ჩამოყალიბდეს საჭიროა აიათი, ან ჰადისი.

მედინას მახლობლად მცხოვრები ერთ-ერთი გვარი "ნადირასშვილებ"-ი მექელ ურწმუნოებს შეუთანხმდა და მათთან ერთად მუსლიმანების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ამ ებრაულ გვარს ღვთის რისხვა დაატყდა თავს. ამ ამბის შემდეგ აიათი მოევლინა:

هُوَالَّذ ى اَخْرَجَ الَّذ ينَ كَفَرُوا مِنْ اَهْل الْكِتَاب مِنْ دِيَارِهِمْ لِاَوَّل الْحَشْر مَا ظَنَنْتُمْ اَنْ يَخْرُجُوا وَظَنُّوا اَنَّهُمْ مَانِعَتُهُمْ حُصُونُهُمْ مِنَ اللّٰهِ فَاَتٰيهُمُ اللّٰه مِنْ حَيْثُ لَمْ يَحْتَسِبُوا وَقَذَفَ ف ى قُلُوبِهِمُ الرُّعْبَ يُخْرِبُونَ بُيُوتَهُمْ بِاَيْد يهِمْ وَاَيْدِى الْمُؤْمِن ينَ فَاعْتَبِرُوا يَا اُولِى الْاَبْصَارِ

„იგია, რომელმაც გამოაძევა ისინი, რომელთაც უარყვეს წიგნის ხალხთაგან საკუთარი საცხოვრებლებიდან, პირველ მოქუჩებაგანდევნისთვის. თქვენ არ გეგონათ, რომ გამოვიდოდნენ, მათ კი ეგონათ, რომ საკუთარი ციხე–სიმაგრეები დაიცავდათ ალლაჰისაგან. მაგრამ ალლაჰის ბრძანება იქიდან მივიდა, საიდანაც არ ელოდნენ და ჩააგდო მათ გულებში შიში. ანგრევენ საკუთარ სახლებს საკუთარი ხელით და მორწმუნეთა ხელით. მაშ, შეიმეცნეთ თვალხილულნო!“ (ჰაშრი 59/2)

ერთხელ ვინმე კაცი ეახლა შუამავალს და უთხრა, რომ მამამისი ძალიან მოხუცი იყო და ფიზიკურად ვერ შეძლებდა მოეხადა პილიგრიმობის ვალი. შეიძლება თუ არა მის მაგივრად მე მოვილოცო წმინდა ადგილებიო-ჰკითხხა მან შუამავალს. " მამაშენს რომ ვალი ჰქონოდა და ეს ვალი შენ გადაგეხადა, ვალი მოეხსნებოდა?- ჰკითხა მას შუამავალმა. "დიახ" -უპასუხა მან. ,, მაშინ შენც შეგიძლია მამის მაგივრად პილიგრიმობის შესრულება" - უთხრა შუამავალმა. იბნი აბბასის მიერ გადმოცემული ვარიანტით კი ეს შეკითხვა გარდაცვლილ მშობლის შესახებ ყოფილა და შუამავალსაც უბრძანებია, რომ ღვთის წინაშე არსებული ვალის გადახდა უფრო საჩქაროაო.

როდესაც წმ. ებუ ბექირი ხალიფად იქნა არჩეული მანამდე შუამავალმა ის ლოცვისას იმამად დანიშნა. ზოგიერთმა იქ მყოფმა ეს სიტუაცია განჭვრიტა და ხალიფობა ლოცვის წინამძღოლობას შეადარეს.

ყიასი (შედარება) ოთხი ნაწილისაგან შედგება:

ა) საკითხი, რომელსაც მოეპოვება დასაყრდენი დებულება (აიათი, ჰადისი)

ბ) საკითხი, რომელსაც არ მოეპოვება რაიმე დებულება და საჭიროა მისი კიასის, ანუ შედარების მეთოდით გადაწყვეტა.

გ) დებულება, რომლის საშუალებითაც ახალ საკითხის განხილვა ხდება.

დ) საერთო თვისება, რომელიც პირველს და მეორეს აერთიანებს.

მაგალითად განხილულ ღვინის შემთხვევაში ძირითადი დასაყრდენი არის აიათი ღვინის აკრძალულობის შესახებ, მეორე ნაწილი კი შეეხება სხვა დანარჩენ ალკოჰოლურ სასმელებს, რომლებიც არ არიან ნახსენები აიათში. მესამე ნაწილი მოიცავს იმ დებულებას, რომლის საშუალებით ხდება შედარების მეთოდის გამოყენება. ხოლო მეოთხე ნაწილი არის საერთო მახასიათებლები, ანუ ამ შემთხვევაში თრობის გამოწვევა.

ბ- დამხმარე მტკიცებულებები

იმ ოთხი ძირითადი მტკიცებულების გარდა, რომელსაც ისლამის დებულებები ეყრდნობა არსებობს დამხმარე დებულებებიც: ისთიჰსანი, მასლაჰათი, ადათი, ადრინდელი შარიათი, შუამავლის თანამედროვეთა გადმოცემები, ისთისჰაბი და სხვ.

ახლა შევეცდებით ყველა ესენი მოკლედ განვმარტოდ.

1) ისთიჰსან- ი

ლექსიკონში მისი მნიშვნელობა რაიმის დადებითად შეფასება, კარგად ჩათვლაა. როგორც რელიგიური ტერმინი ისლამის დებულებების მიღების ერთ-ერთი გზაა და ის შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს:

ისლამის მეცნიერი, რომელმაც განსწავლულობით მიაღწია იმ დონეს, რომ შეუძლია ძირითად დებულებებზე დაყრდნობით მიიღოს კანონები ჩათვლის რომ კიასის (შედარების) გზით გადაწყვეტილ რომელიმე საკითხს სხვა მტკიცებულება ეწინააღმდეგება და მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ზოგიერთი რელიგიური საკითხი ზოგადად მითითებულ რომელიმე მტკიცე დებულების, ან ზოგიერთ მიმდინარეობაში დამკვიდრებულ საერთო დებულების მოქმედების სფეროში მოიაზრება, მაგრამ იმ ზოგადი მტკიცებულების გარდა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არსებობს სხვა მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც სჭიროა ამ საკითხის სხვაგვარად, ანუ კონკრეტული მტკიცებულებების მიხედვით გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი დებულების ჩამოყალიბება. ასეთ მდგომარეობაში "ისთიჰსან"-ის უკან ყოველთვის არის განსაკუთრებული მტკიცებულება. ის შეიძლება იყოს ზემოთ ხსენებული "იჯმა", დახურული "ყიას"-ი , ადათი,

2) მასლაჰათი.

ა) ისთიჰსანის ძირითად მტკიცებულებებზე დამოკიდებულება.

წმ. შუამავალს მოსამართლე იბნ ჰიზამის შეკითხვაზე უპასუხია: " რაც არ გაგაჩნია არ გაყიდო"

ეს ჰადისი ზოგადი მტკიცებულებაა. მოგვიანებით როცა მუსლიმები მედინაში გადავიდნენ შუამავალმა ნახა რომ იქაურები თავიანთ ხილს წინასწარ ყიდდნენ, ანუ ფულს ადრე იღებდნენ და საქონელს ერთ ან ორი წლის შემდეგ აბარებდნენ პატრონს. მაშინ ღვთის შუამავალმა ბრძანა: " ვინც ამ გზით გაყიდვას აპირებთ კონკრეტული ზომით, კონკრეტული წონით და კონკრეტული დროის მითითებით გააკეთეთ". ეს ჰადისი გაყიდვას და გაყიდვის კონკრეტულ მეთოდს შეეხებოდა , ამიტომ "ყიას"-ის მეთოდით მიღებულ დებულების საწინააღმდეგოდ გაყიდვის ასეთი წესი მიღებულად ჩაითვალა.

ბ) ისთიჰსანის "იჯმა"-ზე დამოკიდებულება.

ამ საკითხის საილუსტრაციოდ ხელოსანზე შეკვეთის მიცემის შემთხვევა დაგვეხმარება. როდესაც ხელოსანს რაიმის დასამზადებლად შეკვეთას ვაძლევთ იმ მომენტისათვის ის საქონელი პრაქტიკულად არ არსებობს, მაგრამ რახან ფართოდაა გავრცელებული "იჯმა"ს გადაწყვეტილებით მიღებულად ითვლება.

გ) სერიოზულ მიზეზზე დამოკიდებულება.

დაბინძურებული ჭის გაწმენდის დროს საჭიროა მთლიანი წყლის ამოღება, მაგრამ სერიოზული მიზეზის გამო ნაწილი წყლის ამოღებით ჭა გაწმენდილად ითვლება.

დ) "კიას"ზე დამოკიდებულება.

მაგალითად, მტაცებელი ფრინველების ნარჩენებს თუ ლომის, ვეფხვის და მსგავსი მტაცებლების ნარჩენებს შევადარებთ ბინძურად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რახან ფრინველის ნისკარტი სუფთაა ადამიანთან არის შედარებული და ფრინველის ნარჩენიც სუფთად ითვლება.

ე) "მასლაჰათ-"ზე (მასლაჰათი-რაიმის დადებითად, სასარგებლოდ ჩათვლა) დამოკიდებულება

შუამავალს უბრძანებია: "ზექათი მუჰამმედის და მისი ოჯახისათვის ალალი არ არის."

ებუ ჰანიფემ და მალიქმა კი თავიანთ ეპოქაში მუჰამმედის ოჯახის შთამომავლებზე ჰაშიმის შვილებზე ზექათის მიცემა მიღებულად ჩათვალეს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ პირობები შეიცვალა. ის უფლებები, რითაც ადრე სარგებლობდნენ უკვე აღარ ჰქონდათ.

ვ) ისლამში "მასლაჰათი" მიმართულია ხუთი ძირითადი მიმართულებით. ესენია: რელიგია, ქონება, სული, გონება და შთამომავლობა. შეიძლება მტერს უბრძოლველად ჩაბარებით მუსულმანმა გარკვეული შეღავათი მიიღოს, მაგრამ ისლამი ამ შეღავათს არ ცნობს. ისლამი მტერთან ბრძოლას გვიბრძანებს. ამრიგად, არსებობს დადებითად ჩათვლილი საკითხები, რომელთა შესახებ აიათი ან ჰადისი არ მიუთითებს მიღებულია თუ არა ის. ასეთი საკითხების გადაწყვეტა მინდობილია "მუჯთეჰიდ"-ზე. (მუჯთეჰიდი-ისლამის მეცნიერი, რომელმაც განსწავლულობით მიაღწია იმ დონეს, რომ შეუძლია ძირითად დებულებებზე დაყრდნობით მიიღოს კანონები)

ამ მტკიცებულებას უმეტესწილად მალიქის მიმდინარეობაში იყენებენ.

ოთხი ხალიფას ეპოქაში, ამ მტკიცებულებით ბევრი საკითხი გადაწყვეტილა. მაგ. ებუ ბექარის ხალიფობის დროს ყურანის შეკრება, ხალიფა ოსმანის დროში ყურანის გამრავლება და გავრცელება, ასევე ხალიფა ოსმანის დროში ხალხის სიმრავლიდან გამომდინარე

ეზნის (სალოცავად დაძახება) შენობის გარეთ წაკითხვა, ხალიფა ებუ ბექრის მიერ სიკვდილის წინ ომარის სახალიფო კანდიდატად დასახელება, ხალიფა ომარის მიერ სირიისა და ერაყის დაპყრობის შემდეგ მიწების ძველ პატრონებზე გადაცემა და მათთვის გადასახადის დაწესება- ეს ყველაფერი "მასლაჰათ"-ზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებებია.

3) ადათი

ეს არის ქცევა, რომელიც ადამინებში მტკიცე ჩვეულების სახითაა ჩამოყალიებებული.

" მუსლიმები თუ რაიმეს ლამაზად ჩათვლიან, ის ღვთისთვისაც ლამაზია" – ნაბრძანებია ჰადისში, ამდენად შესაძლებელია ადათი მტკიცებულებად ჩაითვალოს.

"ადათით მოსაწონი რამ მტკიცე პირობას გავს".

ეს ჰადისები მოწმობენ, რომ ადათი ცხოვრებისეულ საკითხებში მნიშვნელოვანია.

თუ ადათი წმინდა წიგნს და სუნნეთს ეწინააღმდეგება ის მიუღებლად ითვლება. მაგ. ალკოჰოლური სასმელები ან აზარტული თამაშები შეიძლება ხალხში ადათად ჩამოყალიბდეს, მაგრამ ეს მიღებული ადათი ვერ იქნება. ამის მიხედვით ისლამურ საზოგადოებაში ადათები ორ ნაწილად იყოფა: მიღებული და მიუღებელი. მაგ. ხელოსანს თუ რაიმე შეკვეთას მივცემთ და ფულს გადავიხდით ასეთი შეთანხმება მიღებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან გაყიდვის დროს საქონელი რეალურად არ არსებობს, მაგრამ რადგან ეს ფართოდ გავრცელებული ადათია უმრავლეს ისლამის მეცნიერს მიღებულად მიაჩნია. მიუღებელი, არაწესიერი, მანკიერი ადათი კი ძირითად მტკიცებულებებს ეწინააღმდეგება და ამიტომ ცალსახად მიუღებელია. მაგ. ალკოჰოლური სასმელების დალევა და პროცენტი რაცარუნდა გავრცელდეს ისლამურ საზოგადოებაში მაინც მიუღებელ ადათად დარჩება.

ადათის ცვლილება ხშირად დებულების ცვლილებას იწვევს. მაგ. ჰანეფი მეცნიერები თავდაპირველად თვლიდნენ, რომ ყურანის სწავლების საფასურის აღება მიუღებელი იყო, რადგან ყურანის სწავლება მადლია და ის უფასოდ უნდა შესრულებულიყო. ეს დებულება იმ პერიოდის შესაფერისი იყო, რადგანაც მაშინ ყურანის მასწავლებლებს სახელმწიფო თავისი ბიუჯეტიდან ფულს უხდიდა. მოგვინებით პირობები შეიცვალა და სახელმწიფოს მხრიდან ფულის გამოყოფა შეწყდა. ჰანეფის მეცნიერებმა გაითვალისწინეს ადრინდელი და არსებული პირობები და გადაწყვიტეს, რომ ყურანის მასწავლებელს შეეძლო აეღო გასამრჯელო. აგრეთვე გასამრჯელოს აღების ნებართვა მიიღეს იმამებმა (ლოცვის დროს წინამძღოლი) და მუეზინებმა.

4) ადრინდელი შარიათები

ადრინდელ შარიათებში იგულისხმება წმ. შუამავალ მუჰამმედამდე მოვლენილ შუამავლებზე წმ. იბრაჰიმზე, წმ. მუსაზე და წმ. ღისაზე გადმოცემული რელიგიური კანონები და დებულებები. ეს დებულებები არის თუ არა წმ. შუამავალ მუჰამმედის მიმდევრებისთვის?

ადრინდელი შარიათები ისლამთან მიმართებში ორ ნაწილად იყოფა:

1) ძველ აღთქმაში, ფსალმუნში და ახალ აღთქმაში არსებული დებულებები, რომლებიც ყურანში არ გვხვდება. ამ კანონების ქმედუნარიანობა მუსლიმებზე არ ვრცელდება. ამის შესახებ ისლამის მეცნიერთა აზრთა თანხვედრა არსებობს.

2) დებულებები, რომლებიც ნახსენებია ყურანში ან წმ. შუამავლის სიტყვებში. ასეთი დებულებებიც შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

1.ა) მუსლიმანების შეხედულებით გაუქმებული დებულებები, რომელთა წინააღმდეგ არსებობს მტკიცებულებები. მაგ. ღმერთმა დასაჯა ებრაელები და აუკრძალა მათ მთელი ჩლიქოსანი ცხოველების, ძროხისა და ცხვრის ქონის ჭამა. მათგან, მუსლიმებისთვის უმეტესობა ალალია.

მუსლიმებისთვის აგრეთვე ალალია ომში მოპოვებული ნადავლი,

რომელიც ადრინდელი შარიათებით არ იყო ალალი.

2.ა) დებულებები, რომლებიც მუსლიმებსაცეხება და რომელთა შესახებ არსებობს მტკიცებულებები. ესენი რა თქმა უნდა მუსლიმებსაც ეხება. მაგ. მარხვა ადრინდელ შარიათებშიც ნაბრძანები იყო და ასევე აუცილებლად შესასრულებიელია მუსლიმებისთვისაც. ან კიდევ, მსხვერპლის შეწირვა წმ. იბრაჰიმის დროს იქცა დებულებად, მაგრამ ის მუსლიმებისთვისაც ღვთისმსახურებაა.

არსებობს დებულებები, რომელთა შესახებ არც უარმყოფელი და არც დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს. მათ შესახებ ყურანში შემდეგნაირადაა ნაბრძანები:

وَكَتَبْنَا عَلَيْهِمْ ف يهَا اَنَّ النَّفْسَ بِالنَّفْسِ وَالْعَيْنَ بِالْعَيْنِ وَالْاَنْفَ بِالْاَنْفِ وَالْاُذُنَ بِالْاُذُنِ وَالسِّنَّ بِالسِّنِّ وَالْجُرُوحَ قِصَاصٌ فَمَنْ تَصَدَّقَ بِه فَهُوَ كَفَّارَةٌ لَهُ وَمَنْ لَمْ يَحْكُمْ بِمَا اَنْزَلَ اللّٰه فَاُولٰئِكَ هُمُ الظّٰلِمُونَ

„დღეიდან თქვენთვის საკვებად ნებადართულია ყველაფერი, რაც რამ კარგი და სუფთაა. ნებადართული გაქვთ იმათი საჭმელიც, ვისაც ებოძათ ღვთიური წიგნი, ასევე მათაც შეუძლიათ მიირთვან თქვენი საკვები. ნებადართულია თქვენთვის ცოლად მოიყვანოთ პატიოსანი და მორწმუნე ქალები, ასევე წესიერი ქალები მათგან, ვისაც თქვენზე ადრე მიეცათ ღვთიური წიგნი, და თუკი გადაუხდით ურვადს, ნება გაქვთ ცოლად შეირთოთ არა გარყვნილების მიზნით და არა საყვარლად. ვინც სარწმუნოებას უარყოფს, უკვე ფუჭია მისი საქმენი და საიქიოში წაგებულნი იქნებიან.“ (მაიდე 5/ 45)

ბევრი მეცნიერის აზრით მსგავსი აიათები მუსლიმებსაც ეხებათ და დამოუკიდებელ მტკიცებულებად ითვლებიან, თუკი აიათში არ არის მითითებული რომელიმე ეპოქა ან ხალხი მაშინ ის მუდმივ მტკიცებულებად რჩება.

წმ. შუამავალს უბრძანებია: -“ვინც ძილში ლოცვას გააცდენს ან დაავიწყდება და ლოცვის დრო გაივლის, გახსენებისას ილოცოს”

შემდეგ კი ეს აიათი წაუკითხავს:

اِنَّن ى اَنَا اللّٰهُ لَا اِلٰهَ اِلَّا اَنَا فَاعْبُدْن ى وَاَقِمِ الصَّلٰوةَ لِذِكْر ى

„უეჭველად, მე ვარ ალლაჰი! არ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. მაშ, მხოლოდ მე მეცი თაყვანი და ლოცვად დადექი ჩემი გახსენებისათვის!“ (თაჰა 20/14)

სინამდვილეში ეს აიათი წმ. მუსას ეხებოდა.

5) შუამავლის მეგობრების (საჰაბის) სიტყვა

ადამიანი, ვისაც შუამავალი მოსწრებია, უნახავს, მისი მიმდევარი ყოფილა ყველას "ასხაბი" (მეგობრები) ჰქვია.

ისლამის კანონმცოდნეების აზრით, იმ საკითხებში, რომლელთა მიმართ არ არსებობს ძირითადი მტკიცებულება, გადაწყვეტილება შუამავლის თანამედროვეთა გადმოცემულ სიტყვებზე დაყრდნობით მიიღება. მაგ. ჰანეფის მიხედვით მენსტრუაციის ყველაზე მოკლე ვადა 3 დღითაა განსაზღვრული და ეს იბნ მესუდის გადმოცემას ეყრდნობა. ყველაზე ხანგრძლივი მელოგინეობის პერიოდი კი წმ. აიშეს გადმოცემით 2 წლით განისაზღვრა.

ებუ ჰანიფე გადაწყვეტილებების მიღების მეთოდს შემდეგნაირად განმარტავდა: " ღვთის წიგნიდან ავიღებ. თუ იქ ვერ ვნახე, წმ. შუამავლის სანდო მეცნიერთა გადმოცემების, სუნნეთის მიხედვით მოვიქცევი, თუ იქაც ვერ ვნახე შუამავლის თანამედორვეთაგან შევარჩევ სასურველ ადამიანს და მისი ნათქვამით ვიხელმძღვანელებ, ყველას არ გამოვრიცხავ. მაგრამ იბრაჰიმ ენნეჰაის, შაბის, ჰასან ელ ბასრის და ათას რაც შეეხებათ მეც მათ მსგავსად გადავწყვეტ".

6) ისთისჰაბ

ისთისჰაბის ლექსიკონისეული მნიშვნელობა დიალოგი, დიალოგის გაგრძელებაა. რელიგიურად კი წარსულში დაკანონებული, არსებული მდგომარეობის შესაცვლელად თუ არ არსებობს მტკიცებულება იგივე მდგომარეობის გაგრძელების გადაწყვეტილებაა.

რაიმე საკითხში თუ არ არსებობს წმ. წიგნის, სუნნეთის, იჯმას ან ყიასის მტკიცებულებებიდან გამომდინარე დებულება მუჯთეჰიდს შეუძლია ისთისჰაბის გზით გადაწყვეტილების მიღება.

მაგ. თუ მამაკაცი დაქორწინებულია ქალზე და ქორწინების გაუქმებისათვის საჭირო მტკიცებულებები არ არსებობს, მათი ქორწინების გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღება.

თუ ადამიანი შეასრულებს ლოცვისწინა მცირე განბანვას (აბდესი) და სანამ განბანვის მომშლელი მიზეზი არ დაფიქსირდება ის ადამიანი განბანილად ითვლება.

ან კიდევ, დაკარგული ადამიანის მიმართ, რომლის შესახებ არ ვიცით ცოცხალია თუ მკვდარი "ისთისჰაბ"-ის გზით მიიიღება გა-

დაწყვეტილება. ანუ, სანამ მისი სიკვდილი არ დამტკიცდება ისეთივე უფლებებით ისარგებლებს, როგორითაც ცოცხალი სარგებლობდა. ქონება მემკვიდრეებს არ გადაეცემათ, მეუღლე სხვაზე ვერ გათხოვდება, რადგან დაკარგვის დროს ის საღ-სალამათი იყო, სანამ მისი სიკვდილი არ დამტკიცდება ცოცხლად ითვლება. თუმცა ამ შემთხვევაში მემკვიდრეების, განსაკუთრებით კი მეუღლის ცხოვრებისეული პრობლემების შესამსუბუქებლად სასამართლოს შეუძლია დაკარგულ ადამიანზე გარდაცვლილის სტატუსის მინიჭება. ამისათვის კი ჰანეფის მიხედვით დაკარგულის 90 წლის ასაკამდე მიღწევაა საჭირო, ან კიდევ მისი ტოლების გარდაცვალება. მალიქის მიხედვით ასეთ შემთხვევაში 4 წელი უნდა გავიდეს. ომის დროს დაკარგულები კი ტყვეების დაბრუნებიდან ერთი წლის შემდეგ ჩაითვლებიან გარდაცვლილებად.

არსებობდნენ ისლამის კანონმდებლები, რომლებმაც ამ წყაროებიდან თავინთი სპეციფიკური მეთოდებით ჩამოყალიბებული ისლამის დებულებები მიიღეს და თავინთ გარშემო შექმნეს ისლამის სამართლებრივი სკოლა. მათ "მეზჰეფ"-ი ჰქვია. ანუ მიმდინარეობა. ჩვენ მიმდინარეობას გამოვიყენებთ და ქვემოთ შევეცდებით მათ შესახებ ვისაუბროთ.

Ⅳ – სარწმუნოებრივი მიმდინარეობები.

ა) სარწმუნოებრივი მიმდინარეობების წარმოშობა

"მეზჰეფ"-ი ლექსიკონში მიმავალ გზას, მისასვლელ ადგილს, შეხედულებას, დოქტრინას, მიმდინარეობას ნიშნავს.

როგორც ტერმინი მიმდინარეობა არის:

მიმდინარეობის ფუძემდებელი განსწავლული იმამები იყვნენ. თუმცა ისინი პირდაპირი მნიშვნელობით რწმენის გამავრცელებლად არ ითვლებიან. ისინი იყენებდნენ ყურანს, სუნნეთს, იჯმას, ყიასს და სხვა დებულებების მისაღებ მეთოდებს, რათა უსასრულო რაოდენობის ცხოვრებისეულ მოვლენებთან მიმართებაში შეზღუდული რაოდენობის მტკიცებულებები გამოეყენებინათ. საერთოდ ეს მიმდინარეობები თავიანთი ფუძემდებლების სახელს

ატარებენ. რწმენის მიხედვით: მათურიდი, ეშარი. სარწმუნოებრივ კანონმდებლობის მიხედვით კი- ჰანეფი, შაფიი, მალიქი და ჰანბელი და მსგავსი.

რწმენა ღმერთის სარწმუნოების გულით აღიარება, ანუ ღვთის შუამავლის მიერ გადმოცემული ყველა ძირითადი პრინციპების აღიარება და გულით დაჯერებაა. საზოგადოებაში საჭიროა ამ რწმენის ღიად გამოხატვა, რათა მუსლიმი მუსლიმად იქნას აღიარებული. ანუ რწმენის გულით დაჯერება და ენით აღიარებაა საჭირო.

ისლამის რწმენის სისტემა "ამენთუ"-შია თავმოყრილი. ეს კი დიადი ღმერთის არსებობისა და ერთადერთობის, ანგელოზების, წმ. წიგნების, ღვთის შუამავლების, განკითხვის დღის, ბედისწერის- კარგის და ცუდის, ყველაფერი რომ ღვთისგანა მოედინება მისი დაჯერება და აღიარებაა.

ისლამის აღმოცენების პერიოდში, ბედნიერების ხანაში, მაშინ როცა ღვთის შუამავალი ცოცხალი იყო, სხვა თემებთან ერთად არც სარწმუნოებრივი ინფორმაცია იყო დაწერილი. ჯერ კიდევ არ იყო შეწყვეტილი ღვთიური შთაგონების ზეგარდმოვლინება, ამიტომ ყველა ადამიანი ვისაც რწმენის, ღვთისმსახურების ან ცხოვრებისეული პრობლემები ჰქონდა პირადად შუამავალს მიმართავდა და პრობლემაც მოვლენილი აიათის სინათლით ნათდებოდა. შუამავლის თანამედროვენი კი, როგორც ყველა საკითხში, ისევე რწმენის საკითხებშიც მთლიანად შუამავალზე იყვნენ მინდობილნი. ისინი უპირობოდ იღებდნენ შუამავლის მოტანილ ნებისმიერ დებულებას. საყოველთაოდ ცნობილია წმ. ებუ ბექირის ნათქვამი, როცა შუამავალი "მირაჯ"-ის ღამეს ზეამაღლდა; "თუ კი მირაჯში, ზეცაში ასვლა მუჰამმედმა თქვა ე.ი. ჭეშმარიტებაა! მე ესეც და ყველაფერი, რაც მან დიადი ღმერთისგან მოგვიტანა მჯერა!"

გარდა ამისა ღვთის შუამავალმა ბედისწერის საკითხებზე მოკამათე ადამიანებს კამათი შეაწყვეტინა, რადგან ზოგიერთი საკითხის საფუძვლიანად გასაგებად შეიძლება გონების არეალი არ იყოს საკმარისი და ჩვენ ის როგორც გვასწავლეს ისე უნდა მივიღოთ.

წმ. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ აიათების მოვლინება შეწყდა და მისი მეგობრების უმრავლესობამ ისლამი წმინდად შეინახა. ამასთან ერთად იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობა და ისლამის მორწმუნეთა რიგებში სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების მქონე ხალხი შედიოდა. ბუნებრივია ამან გარკვეული პრობლემები წარმოშვა. ხალიფების არჩევნების ფორმა, წმ.

ალის დროს სასამართლოს მოვლენები, დიდი ცოდვების ჩამდენთა სარწმუნებიდან განდევნის საკითხი და სხვა.

თავდაპირველი მუსლიმები ზემოვლენილ აიათებს განმარტების ყოველგვარი ახსნის მცდელობის გარეშე იჯერებდნენ. როდესაც ღვთის სიტყვაში ტახტზე იყო საუბარი ისინი ფიქრობნენ; "ღმერთს აქვს ტახტი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით როგორია ის."

لَقَدْ رَضِيَ اللَّهُ عَنِ الْمُؤْمِنِينَ إِذْ يُبَايِعُونَكَ تَحْتَ الشَّجَرَةِ فَعَلِمَ مَا فِي قُلُوبِهِمْ فَأَنْزَلَ السَّكِينَةَ عَلَيْهِمْ وَأَثَابَهُمْ فَتْحًا قَرِيبًا

უეჭველად, რომელნიც შენ გმორჩილებენ მხოლოდ ალლაჰს ჰმორჩილებენ. ხელი ალლაჰისა მათ ხელთა ზედაა. ამის შემდგომ ვინც დაარღვევს, არღვევს თავისი სულის წინააღმდეგ. ხოლო ვინც აღასრულებს იმას, რა აღთქმაც ალლაჰის წინაშე დადო, მაშინ მას მიეგება საზღაური უდიდესი. (ფეთიჰი 48/10)

ამ აიათზე ფიქრობნენ, რომ ღმერთს ჰქონდა ხელი მაგრამ მათ არ იცოდნენ როგორი. მოგვიანებით გამოჩნდნენ მეცნიერი მწერლები, რომლებიც შეეცადნენ გადატანითი მნიშვნელობების და შედარებების გაშიფრვას. მათ განმარტეს, რომ ტახტზე დაჯდომა გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავდა მთელი სამყაროს ფლობას და მეუფებას. ხოლო მისი ხელი ნიშნავდა მის უსაზღვრო ძალას და განგებას. ისინი ამ საკითხში შემდეგ აიათს ეყრდნობოდნენ:

فَاطِرُ السَّمٰوَاتِ وَالْأَرْضِ جَعَلَ لَكُمْ مِنْ أَنْفُسِكُمْ أَزْوَاجًا وَمِنَ الْأَنْعَامِ أَزْوَاجًا يَذْرَؤُكُمْ فِيهِ لَيْسَ كَمِثْلِهِ شَيْءٌ وَهُوَ السَّمِيعُ الْبَصِيرُ

„იგი გამჩენია ცათა და ქვეყნის! დაადგინა თქვენთვის მეუღლენი თქვენი სულიდანვე, და ასევე საქონელი წყვილებად. გამრავლებთ თქვენ იქ. არაფერია მსგავსი მისი, რამეთუ იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!" (შურა 42/11)

وَلَمْ يَكُنْ لَهُ كُفُوًا أَحَدٌ

და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)! (იჰლასი 112/4)

ბ) სუნნეთის მიმდევრები

წმ. შუამავლის და მისი მეგობრების გზით მიმავალთ, ღვთის წიგნის და შუამავლის სუნნეთის მიმდევრებს სუნნეთის მიმდევრები

ეწოდება. ღვთის შუამავალის სიტყვების, ქცევების, ქმედებების, მორალური და ცხოვრებისეული მანერების შეთვისებას და მისი ხელმძღვანელობით ცხოვრების წესის დადგენას "ჯემაღეთი" ჰქვია.

ყურანის სხვადასხვა აიათებში რწმენის და ქცევის საკითხებში სუნნეთის მნიშვნელობებზე ღიად არის მითითებული:

اِنَّمَا كَانَ قَوْلَ الْمُؤْمِنِينَ اِذَا دُعُوا اِلَى اللّٰهِ وَرَسُولِه لِيَحْكُمَ بَيْنَهُمْ اَنْ يَقُولُوا سَمِعْنَا وَاَطَعْنَا وَاُولٰئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ

„როცა მორწმუნენს მოუხმობენ ალლაჰისკენ და მისი შუამავლისკენ, რათა განსაჯოს მან მათ შორის არსებული, ამბობენ: „შევისმინეთ და გმორჩილებთო!" უეჭველად, ისინი არიან ნეტარნი!" (ნური 24/51)

وَاَطِيعُوا اللّٰهَ وَاَطِيعُوا الرَّسُولَ وَاحْذَرُوا فَاِنْ تَوَلَّيْتُمْ فَاعْلَمُوا اَنَّمَا عَلٰى رَسُولِنَا الْبَلَاغُ الْمُبِينُ

და მორჩილ იყავით ალლაჰისა, და მორჩილ იყავით შუამავლისა და გამოიჩინეთ სიფრთხილე. ხოლო თუ პირს იბრუნებთ, იცოდეთ, რომ ჩვენი შუამავლის ვალი მხოლოდ აშკარა უწყების გადმოცემაა. (მაიდე 5/ 92)

مَا اَفَاءَ اللّٰهُ عَلٰى رَسُولِه مِنْ اَهْلِ الْقُرٰى فَلِلّٰهِ وَلِلرَّسُولِ وَلِذِي الْقُرْبٰى وَالْيَتَامٰى وَالْمَسَاكِينِ وَابْنِ السَّبِيلِ كَيْ لَا يَكُونَ دُولَةً بَيْنَ الْاَغْنِيَاءِ مِنْكُمْ وَمَا اٰتٰيكُمُ الرَّسُولُ فَخُذُوهُ وَمَا نَهٰيكُمْ عَنْهُ فَانْتَهُوا وَاتَّقُوا اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

რა ალაფიც ალლაჰმა მიჰმადლა თავის შუამავალს სოფელთა მკვიდრთაგან, ალლაჰს ეკუთვნის, ასევე შუამავალს, ნათესავებს, ობლებს, უპოვრებს და მოგზაურებს. რომ არ ერგუნოს იგი ქონება მდიდარს თქვენ შორის. და რაც მოგცათ თქვენ შუამავალმა, აიღეთ იგი; ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ მისგან. გეშინოდეთ ალლაჰის, უეჭველად, ალლაჰი მკაცრსაზღაურიანია! (ჰაშრი 59/7)

წმ. შუამავალი კი ბრძანებდა: " ჩემი ნაბრძანები შეასრულეთ, აკრძალულები კი, რაც შეგიძლიათ მიატოვეთ". არსებობს მიმდინარეობები, რომლებსაც სუნნეთის უარყოფა აერთიანებთ. ისინი ამბობენ, ყურანი ჩვენთვის საკმარისიაო. მას "ბიდღათ"-ის მიმდინარეობა ჰქვია. ღვთის შუამავალს წინასწარ განუჭვრეტია რწმენისადმი სუსტად დამოკიდებული მსგავსი ადამიანების არსებობის ალბათობა და უბრძანებია:

"ერთ დროს, მაძღარი, სავარძლებში მისვენებული ადამიანები იტყვიან, ყურანი საკმარისია! ყურანი რასაც ალალად აცხადებს ალალად იცოდეთ, რასაც კრძალავს არამად იცოდეთ! ასეთი ადამიანების მოსვლა მალე იქნება. იცოდეთ და ყურადღებით იყავით!

მე ყურანთან ერთად სუნნეთიც მომევლინა”

წმ. შუამავალმა არა მარტო თავის სუნნეთზე მიყოლა ისურვა, არამედ “საჰაბეების”, მისი მეგობრების ნავალი გზით სიარული გვირჩია.

“თქვენს შეორის, ჩემს შემდეგ ვინც იცოცხლებს ბევრ განსხვავების მოწმე გახდება. თქვენ ჩემს სუნნეთს გიტოვებ. სწორი გზით მავალი ხალიფების გზას გირჩევთ. მჭიდროდ შემოხვიეთ ამ გზას. როგორც წესი კბილებით დაიჭირეთ. მერე შემოღებულ რამეებისგან თავი შორს დაიჭირეთ, რადგანაც ყოველგვარი მიმსგავსება “ბიდღათ”-ია და ყოველი “ბიდღათ”-ი გაუკუღმართებაა!”

მუჰაჯირების (მექელი ემიგრანტები) და ენსარების (მედინელი მასპინძლები) გზით სიარული გამჩენის კმაყოფილებას გამოიწვევს. შუამავალი ბრძანებდა:

“ ჩემი მიმდევრებისთვის ყველაზე სიკეთიანი პერიოდი მაშინ იყო, როცა მე მათთან ერთად ვცხოვრობდი, შემდეგ კი მისი მომდევნო პერიოდი”.

სხვა ჰადისში საუბარია, რომ იუდაიზმის მიმდევრები 71 მიმდინარეობად გაიყვნენ, ქრისტიანები- 72-ად, ხოლო მუსლიმები კი 73-ად გაიყოფიან. ჰადისში ნათქვამია, რომ ამათგან მხოლოდ ერთის მიმდევრები გადარჩებიან, სხვები კი ცეცხლისკენ მიდიან. შეკითხვაზე, თუ რომელია ის ერთი ჯგუფი, შუამავალს უბრძანებია:

“ ჩემი და ჩემი თანამოღვაწე მეგობრების გზას ვინც მიყვება”.

სხვა ჰადისში შუამავალი გვიხსნის, რომ მისი მიმდევრები ეშმაკისეულ გზაზე არ შეიკრიბებიან, ამიტომ თუ დაყოფა იქნება, მაშინ მართალ და უდიდეს ჯგუფს შეუერთდითო”

“ეჰლი ბიდღათ”-ი ლექსიკონში სარწმუნობის საკითხებში ახალი შეხედულებების და ქცევების ათვისებას ნიშნავს. როგორც სარწმუნოებრივი ტერმინი კი- წმ. შუამავლისა და მისი თანამოღვაწე მეგობრების გაკვალული გზიდან გადახვევა და მათი საწინააღმდეგო მიმდინარეობაა. გალიე, ბათინიე და იეზიდიე ბიდღათის ნაწილად მოიაზრებიან მაგრამ ისინი ისლამის და რწმენის მიღმა არიან. ერთი ნაწილი კი შუამავლის სუნნეთის მიმართ წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც ქააბასკენ ლოცულობენ და ამიტომ ისლამის მიმდევრებად ითვლებიან. ასეთები არიან: ჰარიჯიე, მუღთეზილე და შიღა.

ქვემოთ ვისაუბრებთ რწმენისადმი დამოკიდებულების მიხედვით სხვადასხვა მიმდინარეობებზე.

გ) რწმენის მომდინარეობები

1) სელეფი

სელეფის ლექსიკონისეული მნიშვნელობა “ადრინდელი თაობაა”. სელეფიე კი ადრინდელი თაობის წარმომადგენლებს ნიშნავს. ესენი არიან მორწმუნეთა ჯგუფი, რომლებმაც რწმენის საკითხებში ყურანის აიათები და ჰადისები, მათ შორის დაფარული მნიშვნელობის აიათები და ჰადისები მიიღეს ისეთი, როგორიც გაიგონეს. მათ შუამავლის და მისი თანამოღვაწე მეგობრების გზა გადაუცდომლად გააგრძელეს. დიდი იმამები, ჰადისის მცოდნეები და მიმდინარეობების იმამები სელეფიეს წევრებად მოიაზრებიან. ჰიჯრას მიხედვით მეოთხე საუკუნემდე სანამ ისლამის მეცნიერების არენაზე იმამი ეშარი და მათურიდი გამოჩნდებოდნენ ყველა დიდი მეცნიერი და იმამი სელეფიეს შეხედულებებს იზიარებდნენ.

გარდა ამისა, სელეფიე მოიცავს ჰიჯრით მეოთხე საუკუნეში შექმნილ რწმენის მიმდინარეობას, რომელიც ჰანბელის მიმდინარეობის წარმომადგენლებმა აღიარეს. ეს მიმდინარეობა ჰიჯრით მეშვიდე საუკუნეში უფრო გაძლიერდა, განსაკუთრებით იბნ თეიმიეს დროს, რომელმაც ახალი მოსაზრებებით გაამდიდრა ეს მიმდინარეობა. სელეფიეს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ მათი გზა და მეთოდებია ყურანის გზა და ისლამის გავრცელების მეთოდს შემდეგ აიათში ხედავენ:

„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ!“ (ნაჰლი 16/125)

სელეფიეს მიმდინარეობის გამორჩეული წარმომადგენლები არიან: იბნ თეიმიე, იბნ ქაიიმ ელ ჯევზიე, იბნულ ვეზირი და მაჰმუდ შუქრუ ელ ალუსი.

ეს მიმდინარეობა კონსერვატიული თვისების გამო ხალხში ყველაზე მარტივ და სანდო გზად მიიჩნევა, თუმცა სხვადასხვა კულტურის და ფილოსოფიის მცოდნენი მიიჩნევენ, რომ ეს მეთოდი საკმარისი არ არის.

2) ეშარი

იმამი ებულ ჰასენ ელ ეშარი დაიბადა ბასრაში 873 წელს. გარდაიცვალა ბაღდადში 936 წელს. მისი ნამდვილი სახელი იყო ალი, მამამისს კი ისმაილი ერქვა. იმამი ეშარი თავდაპირველად მუღთეზილეს მიმდინარეობის წევრი იყო. 40 წლის ასაკამდე ამ მიმდინარეობის შეხედულებებს იზიარებდა და იცავდა. შემდეგ სიზმარში ნახა წმ. შუამავალი და მიხვდა, რომ მცდარ გზას ადგა. ამას დაემატა ისიც, რომ ამ დროს ცნობილი “სამი ძმის საკითხი” იდგა დღის წესრიგში და ამ საკითხში იმამი ეშარი თავის მასწავლებელზე ებუ ალი ელ ჯუბაიზე უკეთ მსჯელობდა. მას არ მოეწონა თავისი მასწავლებლის შეხედულებები, ჩამოშორდა მიმდინარეობას და შექმნა ახალი - ეშარის მიმდინარეობა.

ამის შემდეგ იმამი ეშარი მისდევს ახალ მეთოდს, რომელიც ღვთის სიტყვის გონების ძალით ახსნაში და განმარტებაში მდგომარეობდა. ის უკვე სუნნეთის მიმდევართა დამცველად იქცა. ის იმამ მათურიდთან ერთად მოღვაწეობდა და მათი აზრები და შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა. თუმცა არსებობდა საკითხები, რაშიც სხვადასხვა აზრი გააჩნდათ. მაგ. იმამი მათურიდი ამტკიცებდა, რომ გულში არსებული რწმენა ერთი მთლიანობაა და ის არც იმატებს და არც იკლებს, მაგრამ იმამი ეშარი ამტკიცებდა

რომ რწმენა ცვალებადია და შეიძლება, ან მოიმატოს ან მოიკლოს.

მალიქი და შაფი რწმენის მიმდინარეობებში ეშარის ანიჭებდნენ უპირატესობას. ჰანბელის მიმდევრების აზრით კი ისლამის რწმენისა და სამართლის მიმდინარეობები ერთიდა იგივეა. ისინი აჰმედ იბნ ჰანბელის მიმდინარეობისგან განსხვავებულ, "სელეფ"-ის შეხედულებებს იზიარებდნენ.

იმამ ეშარის მთავარი ნაწარმოებებია:

ა) მაყალათულ ისლამეინ; ამ ნაწარმოებში ეშარი მიმდინარეობების შესახებ საუბრობს.

ბ) ელ იბანე ღენ უსულიდ დიანე; ამ ნაწარმოებში ეშარი საუბრობს, ღმერთის დანახვის შესაძლებლობის შესახებ, აგრეთვე ღვთის სიტყვის, ღმერთის თვისებების, სიკვდილის, სარჩოს, ცხონებისა და შერისხვის შესახებ.

გ) ერ-რისალე ფი ისთიჰსანილ ჰავზ; ამ ნაწარმოებში ეშარი აიათებითა და ჰადისებით პასუხს სცემს იმ ოპონენტებს, რომლებიც "ბიდღათ"-ის მიმდევრობას აბრალებდნენ.

დ) ელ-ლუმა; ამ ნაწარმოებში ეშარის ღვთის სიტყვის შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებებია შესული.

იმამებმა, ეშარიმ და მათურიდიმ თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში აღმოცენებულ სხვადასხვა ფილოსოფიური მოსაზრებების და "ბიდღათ"-ის ზემოქმედებას სძლიეს და მორწმუნეთა სხვადსხვა გზით მიმოფანტვას წინ აღუდგნენ.

3) მათურიდის მიმდიანრეობა

მათურიდის მიმდინარეობა ისევე როგორც ეშარის მიმდინარეობა რწმენის საკითხებს მოიცავდა. მატურიდის დამაარსებელი ებუ მანსურ მუჰამმედი დაიბადა სამარყანდის ერთ-ერთ სოფელში მათურიდში. გარდაიცვალა 944 წელს.

იმ პერიოდში სხვადასხვა კულტურის ხალხი შედიოდა ისლამის რიგებში. გარდა ამისა არაბულად ითარგმნა ბერძნული და ინდური ფილოსოფიური ნაშრომები. ამის საპასუხოდ საჭირო გახდა გონებისა და აზროვნების ძალის გამოყენება, რათა ისლამის საფუძვლები მინარევებისგან დაცული ყოფილიყო. ისლამის მეცნიერებმა დაამკვიდრეს ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელსაც ეწოდა "ქელამი". მისი ლათინური შესატყვისი იყო თეოლოგია. ებუ მანსურ მუჰამმედ მათურიდიც იმ ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი თეოლოგი იყო. ის, ისლამის რწმენას წმ. წიგნთან და სუნნეთთან შესაბამისობაში, გონებრივი შესაძლებლობების გამოყენების გზით ხსნიდა და მორწმუნეთა გზას სხვადასხვა გაუკუღმართებული აზროვნების მქონე ჯგუფებისგან იცავდა. მათურიდის მიმდინარეობის საფუძველს ებუ ჰანიფეს ნაწარმოებები "ელ ფიქჰულ ექბერ"-ი წარმოადგენს. ებუ ჰანიფეს ეს ნაწარმოები რწმენის ძირითად საფუძვლებს და რწმენის სადავო საკითხებს მოიცავდა. ცნობილია, რომ ებუ ჰანიფე სანამ სარწმუნოების კანონებით დაინტერესდებოდა, მანამდე რწმენის საკითხებით იყო გატაცებული და ამ სფეროში ხუთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოები აქვს დაწერილი.

იმამ მათურიდის შემდეგ ჰანეფის მიმდინარეობას მათურიდსაც უწოდებდნენ. ყველა ჰანეფის მიმდევარმა კი, მათ შორის ქართველ მუსლიმთა უმეტესობამ მათურიდის მიმდინარეობა აირჩიეს.

იმამ მათურიდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია:

ა) ქითაბულ თევჰიდ- მათურიდის ეს ნაწარმოები ისლამის რწმენის "ბიდღათ"-ის მიმდევართა შეხედულებებისგან დაცვას მოიცავდა. ეს ნაწარმოები ეგვიპტელმა მეცნიერმა ფეთჰულლაჰ ჰუნეიფმა გაავრცელა. მათურიდი განსაკუთრებით ცდილობდა ძირი გამოეთხარა მუღთეზილეს მიმდინარეობისათვის. ის ხშირად წერდა გამაბათილებელ წერილებს მუღთეზილეს მიმდინარეობის წარმომადგენელ ელ ქაბის მოსაზრებების წინააღმდეგ.

ბ) თევილათულ ყურანი ეს ნაწარმოები არის სხვადასხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაწერილი ყურანის განმარტება. იგი ადვილად გასაგებ ენაზეა დაწერილი და სხვა მიმდინარეობებსაც აქვთ ადგილი დათმობილი.

შემდეგში რწმენის მიმდინარეობებს უფრო ვრცლად დავუბრუნდებით.

დ)"ბიდათ"-ის ჯგუფის რწმენის მიმდინარეობები

ეს არის რწმენის მიმდინარეობები, რომელთაც "ბიდღათ"-ი ან მეორენაირად გზასაცდენილები ეწოდებათ. ისინი შედგება სხვადასხვა დაჯგუფებებისგან, რომლებსაც საერთო აზრი არ გააჩნიათ არც რწმენის ძირითად საკითხებში და არც ურთიერთშორის დამომკიდებულების დროს. ესენია: მუღთეზილე, ჯებრიე, ჰარიჯიე, შიღა, მურჯიე და მუშებბიჰე. ამათგან ოთხს მეტნაკლები ზემოქმედება გააჩნიათ ისლამურ სამყაროზე, ამიტომ მათ შესახებ ვისაუბრებთ.

1) მუღთეზილე

მუღთეზილე ლექსიკონში განცალკევებულებს, განშორებულებს, განდგომილებს მიშნავს. ისინი ამტკიცებენ, რომ დიდი ცოდვის ჩამდენი და ურწმუნო ერთი და იმავე საფეხურზეა. ეს მიმდინარეობა დაარსა ვასილ იბნი ათამ, რომელმაც სუნიტი მეცნიერის ჰასან ელ ბასრის ლექციები მიატოვა. ისინი თავიანთ მიმდინარეობას "ეჰლულ ად ვეთთევჰიდ"-ს უწოდებენ. მათი მუშაობის მეთოდი გონებაზე უპირატესობის მინიჭებაა. ამდენად ლოგიკური თვალსაზრისით ერთმანეთის საპირისპირო აიათების ან ჰადისების განმარტებისას გონებას ანიჭებენ უპირატესობას.

ამ მიმდინარეობის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან: ებულ ჰუზეიფ ელ ალლაფი, ნაზზამი, ჯაჰიზი, ბიშრ იბნ მუთემირი, ჯუბბაი, აბდულჯებბარი და ზემაჰშერი.

აბბასების დროში ეს მიმდინარეობა თავისი წარმატების ზენიტში იყო, მაგრამ მოგვიანებით მისი პოპულარობა, უფრო მეტიც მიმდინარეობის თვისებაც კი დაკარგა. დღეისათვის მუღთეზილეს მიმდევრების შეხედულებები შიღას მიმდინარეობის ჯაფერიეს და ზეიდიეს განშტოებებთან ერთად, ხარიჯიეს მიმდინარეობის იბადიეს განშტოებაში მოიაზრებიან.

მუღთეზილეს მიმდინარეობას ხუთი ძირითადი პრინციპი გააჩნია:

1) ღმერთი თავისი თვისებებით ერთია.

2) ადამიანი თავისუფალი ნებით მოქმედებს

3) სიკეთის მკეთებელს -ჯილდო, ბოროტების ჩამდენს სასჯელი

ეკუთვნის.

4) დიდი ცოდვის ჩამდენი რწმენით ურწმუნოს საფეხურზე მოიაზრება.

5) სიკეთისთვის მოწოდება, ბოროტებისთვის ხელის შეშლა ყველა მუსლიმისთვის ფარზია. (აუცილებელი მოვალეობაა)

მათ მიაჩნიათ რომ ბედისწერას ღმერთი კი არ გვიწესებს, არამედ ადამიანი განსაზღვრავს. ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანი ქცევებში თავისუფალი იყო და ღმერთისთვის ქცევის დაფიქსირების შემდეგ ხდებოდა ცნობილი. ემევების დროში ამ თეზისის მიმდევართა ლიდერებიდან მაბედ იბნ ჰალიდ ელ ჯუბენი ჰაჯჯაჯმა, ხოლო გეილან იბნ მუსლიმ ედ დიმაშკი ხალიფა აბდულმელიქმა მოაკვლევინა.

2) ჯებრიე

ეს სარწმუნოებრივი მიმდინარეობის სკოლა ბედისწერის საკითხებში მუღთეზილეს შეხედულებებს მთლიანად ეწინააღმდეგებოდა. ისლამურ სამყაროში ბედისწერის საკითხებზე პირველად კამათი მაბედ იბნ ჰალიდ ელ ჯუბენიმ წარმოშვა და მას გეილან იბნ მუსლიმ ედ დიმაშყი მიჰყვა. მაბედი ამბობდა, რომ ადამიანის გონებაზე და ქცევებზე ღმერთის დადგენილი რაიმე მართვადი პროგრამა არ არსებობდა. ემევების სასტიკი პოლიტიკის და მწვალებლობის უღელქვეშ მოქცეული ადამიანების მოთმინებამ და ბედისწერაზე მინდობამ მაბედს აფიქრებინა, რომ ეს არ იყო ღვთიური ბედისწერა და საბოლოო ჯამში იქამდე მივიდა, რომ ბედისწერა საერთოდ უარყო. ემევის მმართველების მიერ მისი და გაილანის მკვლელობა ცხადყოფს რომ მაშინდელი პოლიტიკური სისტემა მსგავს საკითხებზე მგრძნობიარედ რეაგირებდა.

მაბედის მიერ ბედისწერის მთლიანად უარყოფის მოსაზრებას მკაცრად დაუპირისპირდა სწავლული ჯეჰმ ბინ საფვანი. ის ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ღვთის უსაზღვრო ძალის ზემოქმედების შედეგად ხდებოდა და ადამიანი ბედისწერის პროგრამის მოთხოვნით ძალაუნებურად ემორჩილებოდა სიტუაციას. ამ მოსაზრების გახმოვანებისას ის ეყრდნობოდა აიათებს, სადაც დაწერილ ბედისწერაზე იყო საუბარი. ამ რწმენის მიხედვით ადამიანს არ გააჩნდა არანაირი თავისუფალი ნება და ქმედების უნარი. ადამიანი, ღვთის

მონა ქარის მოტაცებულ ფოთოლს გავს, მიმართულებას ფოთოლი კი არა ქარი განსაზღვრავსო ამტკიცებდნენ ამ მოსაზრების მიმდევრები. მათი აზრით, როგორც მცენარეები და მათი მოძრაობები გააჩინა ღმერთმა ისე ადამიანები და მათი ქცევები. ჯებრიეს ზოგიერთი მიმდევარი აღიარებს, რომ ადამიანსაც გააჩნია რაღაც ძალა, თუმცა ის ქცევაზე ზემოქმედებას ვერ იქონიებს.

სუნიტები კი აღიარებენ, რომ ადამიანის ყოველგვარი ქცევა ღმერთის გაჩენილია, მაგრამ ღმერთმა ადამიანსაც მიანიჭა გარკვეული ძალა და თავისუფალი ნება აირჩიოს მიმართულება. ეს არის ამ უკანასკნელი ორი მიმდინარეობას შორის არჩეული შუალედური გზა. ყურანში ბევრგან ნახსენებია: "თქვენი გაკეთებულის სანაცვლოდ..." აქედან გამომდინარე ქცევაზე ადამიანია პასუხისმგებელი. ღმერთის მიერ წინასწარ ცოდნა იმისა, თუ რას გააკეთებს ადამიანი და მისი ბედისწერაში ჩაწერა მის ქცევებზე ძალდატანებას არ ნიშნავს. პირიქით, ადამიანი მოქმედებს საკუთარი ნებით და შესაბამისად პასუხისმგებელია ნამოქმედარზე.

3) ხარიჯი

სიფის ომის შემდეგ ხალიფას დამტკიცება მოსამართლეს მიანდეს. ამის გამო ისლამის მიმდევართა ერთი ჯგუფი წმ. ალის განუდგა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დიდი ცოდვის ჩამდენი ადამიანი სარწმუნოებიდან უნდა გავიდეს და ცოდვის ჩამდენ მმართველს არ დაემორჩილებოდნენ. ამ ჯგუფს სახელად "ხარიჯი ეწოდა. ისინი თავიანთ თავს "შურათ"-ს უწოდებდნენ.

ერთი შეხედვით, ხარიჯები სარწმუნოების დებულებების დაცვის საქმეში დიდ სიფაქიზეს იჩენდნენ. თუმცა სუბიექტურად შეფასებისთვის ღია საკითხებში ზედმეტად შესვლის გამო ისლამურ სამყაროში ანარქიის პირველი მარცვლის შემტანებად მოიაზრებიან. თავდაპირველად ეს მიმდინარეობა საზოგადოების უმეცარმა ფენამ აიტაცა, თუმცა ყოველ ეპოქაში მეტნაკლებად ჰყოლია მიმდევარი.

4) შიღა

შიღა ლეკსიკონში მომხრეს, დამხმარეს ნიშნავს. როგორც მიმდინარეობა, თვლის რომ წმ. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ხალიფობისთვის ყველაზე ღირსეული პიროვნება იყო წმ. ალი და მას შემდეგაც წმ. ალის შთამომავალი უნდა ყოფილიყო ხალიფა.

შიიტები სუნნეთის მიმდევრებად არ ითვლებიან. ეს მიმდინარეობა დღემდე არსებობს და ისლამურ სამყაროში საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა რწმენის, სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით.

როდესაც ხალიფა ოსმანი მოკლეს და შეჰიდი გახდა, მაშინდელ მოვლენებში წმ. ალის მხარდამჭერებს, მის მხარდამხარ მებრძოლთ შიღათულ ალი იბნ ები თალიბი უწოდეს. (წმ. ალის მომხრეები)

დღეისათვის შიიზმის სამი დიდი განშტოება არსებობს: ზეიდიე, ისმაილიე და იმამიე.

ზეიდიე წმ. ალის შვილიშვილის ზეიდ იბნ ალი ზეინელაბიდინის სახელს უკავშირდება. დღეისათვის ზეიდიეს მიმდევრები რწმენის საკითხებში მუღთეზილეს მიმდინარეობას ემხრობიან, ხოლო ისლამის სამართლის საკითხებში ჰანეფის მიმდინარეობის შეხედულებებს იზიარებენ. ზეიდიეს მიმდევრებს სჯერათ რომ ხალიფატის მემკვიდრები წმ. ალის შთამომავლები იყვნენ. თუმცა ისინი ხალიფა ებუ ბექირის და ხალიფა ომარის ხალიფობას ლეგიტიმურად ცნობენ. ზეიდიე სუნიტებთან ახლო მდგომ მიმდინარეობათ ითვლება.

769 წელს ჯაფერ ეს სადიყის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა პრეტენზია, რომ სახელმწიფოს მეთაური მისი შვილი ისმაილი უნდა ყოფილიყო. ამან გამოიწვია შიიტების ერთ-ერთი გადაჭარბებული შეხედულებებით ცნობილი განშტოების შექმნა, რომელსაც ისმაილიე ეწოდა. თითქმის ერთნახევარი საუკუნის მანძილზე ისმაილიეს მიმდევარი იმამები ფარულად ქადაგებდნენ, შემდეგ კი ფატიმების სახემწიფოს შექმნით გაძლიერდნენ. მოგვიანებით ისმაილიეს მომდევრები ორად გაიყვნენ, აღმოსავლეთ და დასავლეთ განშტოებებად. ამ მიმდინარეობის შეხედულებებზე დიდი გავლენა იქონია ძველბერძნულმა და აღმოსავლურმა ფილოსოფიამ, აგრთვე შუა აღმოსავლურმა რელიგიებმა. დღეისათვის მიმდევრები ცოტა ჰყავს. ისინი ძირითადად პაკისტანში, ირანში და შუა აზიაში გვხვდებიან.

იმამიეს მიმდინარეობა შიიზმის ყველაზე დიდი განშტოებაა. მსოფლიოში მცხოვრები ყველა მუსლიმის ათ პროცენტს იმამიეს მიმდევრები შეადგენენ. ამ მიმდინარეობას "ისნაღეშერრიე"-საც (12 იმამიანი) ეძახიან, რადგან მათი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური შეხედულებები 12 იმამის გარშემო ყალიბდება. ისლამის სამართლის საკითხებში ჯაფერ ეს სადიყ-ის შეხედულებებს იზიარებენ, ამიტომ ამ მიმდინარეობას "ჯაფერიე"-საც უწოდებენ. თორმეტი

იმამის მიმდინარეობის ძირითადი შეხედულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) იმამობა სარწმუნოების კანონია, ამიტომ ყოველთვის უნდა იყოს იმამი.

ბ) წმ. შუამავალის მიერ წმ. ალის ხალიფად დანიშვნისა სჯერათ.

გ) მათ მიაჩნიათ, რომ იმამები უცოდველნი არიან. ისინი არც დიდ, არც პატარა, არც ნებსით თუ უნებლიედ ცოდვას არ ჩაიდენენ.

დ) იმამები თორმეტნი უნდა იყვნენ.

ე) რწმენა იმისა, რომ მეთორმეტე იმამი მუჰამმედ ელ მეჰდი პატარაობისას დაიკარგა და ის დაბრუნდება როგორც მეჰდი. გარდა ამისა საშიშროების დროს ნამდვილი სახის და რწმენის დამალვა, იმ საჰაბეების მიმართ სპეციფიკური დამოკიდებულება, ვინც წმ. ალის ერთგულება არ შეჰფიცა და სხვა.

წმ. ალის ხალიფობის დროს დაწყებული ემევებისა და აბბასების სახელმწიფოს მმართველობისათვის პაექრობა, წარუმატებლობები, სისასტიკე, ზეწოლა და უსამართლობა მიზეზი გახდა იმისა, რომ მუსლიმთა ერთი ჯგუფი თავისთავში ჩაიკეტა, სხვებს განერიდა და თავისი სპეციფიკური შეხედულებების გარშემო შეიკრიბა. მათ მიდგომებს, რელიგიურ საკითხებზე ღია დისკუსიისგან თავის შეკავებას, არაგამჭვირვალობას, რწმენის საკითხებისადმი მიდგომას სუნნეთის მიმდევრები ხშირად აკრიტიკებდნენ. თუმცა რწმენის ძირითად საკითხებში, (ლოცვა, მარხვა, პილიგრიმობა(ჰაჯობა), სავალდებულო მოწყალება(ზექათი), ალკოჰოლური სასმელები, აზარტული თამაშები, მრუშობა) ისლამის დოგმატიკაში დანარჩენ მუსულმებთან ერთად აზრთა თანხვედრა იყო ყოველთვის.

ისტორიულ წარსულში იყო საკითხები, რომლებმაც რწმენის საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, დღეს კი მეცნიერული მეთოდებით და სუნნეთის მიმდევრების ხელში არსებული სანდო წყაროებით შესაძლებელია მშვიდობიანი პროცესის დაწყება. მაშინ, როცა არამუსლიმ სახელმწიფოებში სხვადასხვა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური შეთანხმებები მიიღწევა, როცა დიალოგი და ურთიერთგაგება პრიორიტეტია, მითუმეტეს ყურანის და უმრავლესობა სუნნეთის მიმდევარ მუსულმთან დიალოგი ძნელი არ უნდა იყოს.

სამართლებრივი მიმდინარეობები

ა) სამართლებრივი კანონის (ფიქჰ) მნიშვნელობა.

“ფიქჰ” ლექსიკონში ცოდნას, მიხვედრას, რელიგიურ კანონს ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი, ეს არის ადამიანის მიერ თავისთვის საზიანო და სასარგებლო დებულებების ცოდნა. სხვა განმარტებით კი- ადამიანის მიერ ღვთისმსახურების, ყოველდღიური ურთიერთობის და სასჯელის საკითხებში სარწმუნოებრივი დებულებების საფუძვლიან მტკიცებულებებთან ერთად ცოდნა.

ყურანში ამ სიტყვის ძირიდან ნაწარმოები სხვადასხვა სიტყვებია ნახსენები:

اَيۡنَ مَا تَكُوۡنُوۡا يُدۡرِكۡكُمُ الۡمَوۡتُ وَلَوۡ كُنۡتُمۡ فِىۡ بُرُوۡجٍ مُّشَيَّدَةٍ‌ؕ وَاِنۡ تُصِبۡهُمۡ حَسَنَةٌ يَّقُوۡلُوۡا هٰذِهٖ مِنۡ عِنۡدِ اللّٰهِ‌ۚ وَاِنۡ تُصِبۡهُمۡ سَيِّئَةٌ يَّقُوۡلُوۡا هٰذِهٖ مِنۡ عِنۡدِكَ‌ؕ قُلۡ كُلٌّ مِّنۡ عِنۡدِ اللّٰهِ‌ؕ فَمَالِ هٰٓؤُلَآءِ الۡقَوۡمِ لَا يَكَادُوۡنَ يَفۡقَهُوۡنَ حَدِيۡثًا

„სადაც არ უნდა იყოთ, სიკვდილი მოგწვდებათ თქვენ, თუნდაც რომ იყოთ მტკიცე კოშკებში. და თუ ეწიათ სიკეთე, ამბობენ : ეს ალლაჰის წიაღიდან მოდის! და თუ ეწიათ უბედურება, გეუბნებიან: ეს მოდის შენგან! უთხარი შენ: ყველაფერი ალლაჰისგანაა! და რა ემართება ამ ხალხს, რომ არ ცდილობენ ნათქვამის გაგებას?“

(ნისა 4/78)

وَلَقَدۡ ذَرَاۡنَا لِجَهَنَّمَ كَثِيۡرًا مِّنَ الۡجِنِّ وَالۡاِنۡسِ‌ۖ لَهُمۡ قُلُوۡبٌ لَّا يَفۡقَهُوۡنَ بِهَا وَلَهُمۡ اَعۡيُنٌ لَّا يُبۡصِرُوۡنَ بِهَا وَلَهُمۡ اٰذَانٌ لَّا يَسۡمَعُوۡنَ بِهَا‌ؕ اُولٰٓئِكَ كَالۡاَنۡعَامِ بَلۡ هُمۡ اَضَلُّ‌ؕ اُولٰٓئِكَ هُمُ الۡغٰفِلُوۡنَ

„ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ბევრი ჯინი და ადამიანი ჯოჯოხეთისთვის. მათ გული აქვთ, რომლითაც არ შეიმეცნებენ და მათ თვალები აქვთ, რომლითაც არ დაინახავენ და მათ ყურები აქვთ, რომლითაც არ შეისმენენ . ეგენი პირუტყვებივით არიან, ოღონდ უფრო გზააბნეულნი მათზე. ისინი უგულისყურონი არიან!“ (არაფი 7/179)

قَالُوۡا يٰشُعَيۡبُ مَا نَفۡقَهُ كَثِيۡرًا مِّمَّا تَقُوۡلُ وَاِنَّا لَنَرٰىكَ فِيۡنَا ضَعِيۡفًا‌ۚ وَلَوۡلَا رَهۡطُكَ لَرَجَمۡنٰكَ‌ۖ وَمَاۤ اَنۡتَ عَلَيۡنَا بِعَزِيۡزٍ

უთხრეს: „ჰეი, შუღეიბ! ბევრი რამ შენი ნათქვამიდან გაუგებარია ჩვენთვის. და, უეჭველად, გთვლით ჩვენ შორის სუსტად. შენი მოდგმა რომ არა, ჩაგქოლავდით. და არაფრით ხარ ჩვენზე აღმატებული!“ (ჰუდი 11/91)

وَمَا كَانَ الۡمُؤۡمِنُوۡنَ لِيَنۡفِرُوۡا كَآفَّةً‌ؕ فَلَوۡلَا نَفَرَ مِنۡ كُلِّ فِرۡقَةٍ مِّنۡهُمۡ طَآئِفَةٌ لِّيَتَفَقَّهُوۡا فِى الدِّيۡنِ وَلِيُنۡذِرُوۡا قَوۡمَهُمۡ اِذَا رَجَعُوۡۤا اِلَيۡهِمۡ لَعَلَّهُمۡ يَحۡذَرُوۡنَ

„არ არის საჭირო, რომ მორწმუნეები ყველა ერთად გავიდნენ სალაშქროდ. ამრიგად, არ წავიდეს სალაშქროდ თითოეული ტომიდან მცირე ნაწილი, რათა მათ კარგად შეისწავლონ სჯული და შეაგონონ თავიანთი ხალხი, როცა ისინი უკან დაბრუნდებიან ! ეგებ მოკრძალებული იყვნენ ეგენი!“ (თევბე 9/122)

ოთხი ხალიფას ეპოქაში სიტყვა “ფიქიჰ”-ში ცოდნა იგულისხმებოდა. ტერმინი “ელ ფიქჰულ ექბერ”-ი რწმენისა და ერთღმერთიანობის პრინციპებს შეეხებოდა, ხოლო ,,ელ ფიქჰულ ვიჯდან”-ი- შინაგანი სურვილების გაწრთვნას და მორალურ პრინციპებს. იმ პერიოდისათვის თეოლოგიური, მორალური და ქცევითი მეცნიერებები არ იყო დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული ამიტომ ებუ ჰანიფეს ნაწარმოები “ელ ფიქჰულ ექბერ”-ი რწმენის საკითხებს მოიცავდა. თუმცა დროთა განმავლობაში “ფიქიჰ”-ის მეცნიერების მიმართულება შეიცვალა და მხოლოდ ღვთისმსახურების, ყოველდღიურ ურთიერთობას და სასჯელის საკითხებს შეეხებოდა, ანუ ადამიანის ქცევებს შეისწავლიდა.

ახლა კი “ფიქიჰ”-ის მაგივრად გამოიყენება ისლამის სამართალი, რომელიც ღვთისმსახურების, სასჯელის და მემკვიდრეობის საკითხებს განიხილავს.

ისლამის სამართლის მოქმედების სფერო იმ ადამიანების ქცევებია, რომლებსაც სარწმუნოების მიერ ნაბრძანები და აკრძალულები შეეხებათ. ეს ქცევები შეიძლება იყოს კატეგორიული მოთხოვნის სახით. მაგ. ბრძანება: -ილოცეთ! , ან აკრძალვა – არ მოიპარო!, ან კიდევ ჭამა, სმა და სხვა მსგავსი ტიპის თავისუფალი ქმედება.

ზრდასრული და ჭკუასრული ადამიანის მიმართ სარწმუნოებრივი ვალდებულებები მის სასარგებლოდ გამოიხატება. ღვთისმსახურების, ყოველდღიური ურთიერთობების და სასჯელის საკითხების შესახებ არსებულ სარწმუნოებრივ დებულებებს შარიათი ჰქვია. ეს სიტყვა გამოიყენება აგრეთვე როგორც სარწმუნოება. ამ შემთხვევაში ის მოიცავს, როგორც რწმენისეულ ისე ქცევით დებულებებს. თუმცა სიტყვა შარიათი ძირითადად ქმედებებს, ადამიანის ქცევას და მათთან შესაბამის დებულებებს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე ის ღვთიური კანონის გარე მხარეს, ქცევას და ქმედებებს განსაზღვრავს.

ადამიანს, რომელსაც შეუძლია მყარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დებულების ჩამოყალიბება და გააჩნია საამისო ცოდნა და უნარი “მუჯთეჰიდი” ჰქვია. ამის გარდა არსებობს გადაწყვეტილების

მიმღები რელიგიური პირი “მუფთი”. ის იღებს გადაწყვეტილებას რაიმე საკითხის მიმართ, სწორია თუ არა ესა თუ ის ქმედება სარწმუნოებასთან მიმართებაში. ისლამის სამართლის მცოდნე, რომელიც არ არის მუჯთეჰიდი, სხვა მუჯთეჰიდების მიღებული გადაწყვეტილებებთან შედარების გზით პასუხს სცემს დასმულ კითხვას. ასეთ გადაწყვეტილებას “ფეთვა” ჰქვია.

თუკი ყურანში და სუნნეთში ღიად და პირდაპირაა მითითებული რაიმე საკითხის მიმართ დებულება, მაშინ გადაწყვეტილების მიღების მეთოდები საჭირო აღარ არის. ამის გარეთ დარჩენილი საკითხები, რომლებიც ძირითადად ცხოვრებისეული, ქცევითი პრობლემებია გადაწყვეტილება ძირითადი მტკიცებულებების გარდა მეორეხარისხოვან მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღება. აქედან გამომდინარე იჯთიჰადი და ფეთვა ძირითადად ამ სფეროში მოქმედებს.

წმ. შუამავლის თანამოღვაწე მეგობრების ეპოქაში აღზრდილი ზოგიერთი ისლამის სამართალმცოდნე თავად იყო სამართლის მიმდინარეობის ჩამოყალიბების უნარისა და ცოდნის პატრონი. მაგ. აიშე, აბდულლაჰ იბნ ომერი და აბდულლაჰ იბნ მესუდი.

აბბასების მეფობის პირველი ორასწლიანი პერიოდი ისლამის სამართლის განვითარების და დიდი იმამებისა თუ მუჯთეჰიდების აღზრდის ეპოქა იყო. ისინი არიან: მექაში, სუფიან იბნ უიეინე, მედინაში- მალიქ იბნ ენესი, ბასრაში- ჰასან ელ ბასრი, ეგვიპტეში შაფიი და სხვა. მათ ჰქონდათ გადაწყვეტილებების მიღების თავიანთი სისტემა და მეთოდები. თუმცა მათი სისტემა არ იქცა რელიგიურ მიმდინარეობებად, რადგან მათ ისლამის დებულებები არ ჩამოაყალიბეს ერთ მთლიან სამართლებრივ სისტემად, არ აღიარეს ყიასის მეთოდი (შედარება) და რელიგიურ მიმდინარეობებს სასტიკად მოექცნენ.

მხოლოდ ებუ ჰანიფეს, შაფიის, მალიქს და აჰმედ იბნ ჰენბელს ხვდა წილად მათ მიერ ჩამოყალიბებულ მიმდინარეობებს დღემდე ეარსება და მასების აღიარება მოეპოვებინათ. მეორეს მხრივ შიიტების ზოგიერთმა განშტოებებმაც შეინარჩუნეს არსებობა.

ახლა კი ვისაუბრებთ ზემოთ ხსენებულ ისლამის სამართლებრივ მიმდინარეობების და მათი იმამების შესახებ.

ბ) სამართლებრივი მიმდინარეობები და იმამები.

1) ჰანეფის მიმდინარეობა

ქრონოლოგიურად ისლამის პირველი სამართლებრივი მიმდინარეობა ჰანეფის მიმდინარეობაა. რადგანაც მის სათავეში ებუ ჰანიფე იდგა ამიტომ მის სახელს ატარებს. ებუ ჰანიფეს ნამდვილი სახელია ჰუმან იბნ საბით იბნ ზუთა. დაიბადა ქუფეში 699 წელს და გარდაიცვალა ბაღდადში 767 წელს. არსებობს ვარაუდი, რომ წარმოშობით თურქი ან სპარსი იყო. ებუ ჰანიფე შეძლებული ოჯახის შვილი იყო. მან თავდაპირველად ყურანი შეისწავლა ზეპირად და გახდა ჰაფიზი. შემდეგ შეისწავლა ანგარიში, გრამატიკა, პოეზია, ლიტერატურა, დიპლომატია (ჯედელ) და თეოლოგია. ქუფეს, ბასრას და ერაყის ყველაზე ცნობილი სწავლულებისგან ჰადისების ლექციებს ისმენდა. მისი მასწავლებელი იყო ჰამმად იბნ ები სულეიმანი, სადაც 18 წელი ისწავლა და ისლამის სამართლის საქმეში პროფესიონალად ჩამოყალიბდა. ამავე დროს სწავლობდა ჯაფერ ეს სადიკის და მუჰამმედ ბაქირის მოსაზრებებს.

ებუ ჰანიფე ქუფეში ოჯახის ტრადიციულ საქმეს, ტანსაცმლით ვაჭრობას ეწეოდა და ამავდროულად ინტენსიურად აგრძელებდა სამეცნიერო საქმიანობას. მისი ზუსტი მიგნებები, მოვლენების განჭვრეტის უნარი და მაშინდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილების კარგად ცოდნა, თეოლოგიურ განათლებასთან ერთად ამ ყველაფრის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვაჭრობაში პრაქტიკულად განხორციელებაზე იყო დამოკიდებული. მას სჩვეოდა უპატიოსნესი მიდგომები, სძულდა ტყუილი, ორპირობა და დაპირისპირება. მომღიმარი სახით, ტკბილმოუბარი და დახმარების მოყვარული ებუ ჰანიფე სწრაფად იგებდა ადამიანების გულს და მალე პოპულარული გახდა. საერთოდ ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ თუ ვინმე ისლამის სამართალზე შეეკითხებოდა ნიაღვარივით აზვირთდებოდა.

როდესაც მისი მასწავლებელი ჰამმადი გარდაიცვალა ებუ ჰანიფე 40 წლის იყო. მან გააგრძელა თავისი მასწავლებლის გზა და ლექციების კითხვა დაიწყო. მისი გაკვეთილები დისკუსიის, განხილვის ფორმით მიმდინარეობდა. რაიმე საკითხს დასვამდა და მის შესახებ დისკუსიას გამართავდნენ, სიღრმისეულად განიხილავდნენ, ყველა თავის აზრს იტყოდა, ბოლოს კი ებუ ჰანიფე აიღებდა სიტყვას და ახსნიდა თავის შეხედულებას იმ საკითხისადმი, ბოლოს კი გადაწყვეტილებამდე მიდიოდა. იმამი მუჰამმედი ამ აკადემიურ კრებებზე

მიმდინარე განხილვებს და განხილულ საკითხებს იწერდა. ესენი იყო ჰანეფის მიმდინარეობის პირველი ნაწარმოებები, სადაც ებუ ჰანიფეს, იმამ მუჰამმედის და ებუ იუსუფის შეხედულებებია თავმოყრილი. ისინი სულ ექვსი ნაწილისაგან შედგება. ესენია:

ელ-ასლ, ელ-ჯამიუს-საღირ, ელ-ჯამიულ-ქებირ, ეს-სიარუს-საღირ, ეს-სირულ-ქებირ და ეზ-ზიადათი.

ეს წიგნები ებუ ფაზი მუჰამმედ ელ მერვეზმა შეამოკლა და ერთ წიგნად აქცია, რომელსაც "ქაფი"ეწოდა. ხოლო მოგვიანებით შემსულ ეიმმე ეს-სერეშმა ოცდაათტომეულად გამოსცა.

ებუ ჰანიფემ უამრავი მოსწავლე აღზარდა. მის გაკვეთილებზე 4000-ზე მეტი მოსწავლე აღიზარდა. ხოლო მათგან 40-ზე მეტი დიდ სწავლულად ითვლებოდნენ. მათ შორის ოთხი განსაკუთრებით ცნობილია

ა) ებუ იუსუფ იაღყუბ იბნ იბრაჰიმ ელ-ქუფი. იგი ჰარუნ რეშიდის დროს მთავარი მოსამართლე იყო. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჰანეფის მიმდინარეობის საფუძვლების ერთად შეკრებაში, მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გატარებასა და მსოფლიოში გავრცელებაში. მისი ნაწარმოები "ქითაბულ ჰარაჯ"-ი, რომელიც საქონელსა და გადასახადებს შეეხებოდა თურქულად ითარგმნა.

ბ) იმამ მუჰამმედ იბნ ჰასან ეშ-შეიბანი პირველ გაკვეთილებს ებუ ჰანიფესგან იღებდა. შემდეგ კი ებუ იუსუფის მოსწავლე გახდა და დანაკლისი ცოდნა შეივსო. ჰენეფის მიმდინარეობის ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროდ ცნობილი ნაწარმოები "ზაჰირულ რივაე" მის კალამს ეკუთვნის.

გ) ჰასან იბნ ზიად ელ-ლულუი ჯერ ებუ ჰანიფეს მოსწავლე იყო, მოგვიანებით კი ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედისგან ისმენდა გაკვეთილებს. ის ცნობილი იყო ჰადისების ცოდნით და ებუ ჰანიფეს მოსაზრებების გადმოცემით. თუმცა იმამ ზუფერი და ჰასან იბნ ზიადი "ზაჰირულ რივაე"-ს წიგნებში არ არიან შესულნი.

დ.) იმამი ზუფერი იბნ ჰუზეილ იბნ ყაისი დაიბადა ისფაჰანში და გარდაიცვალა ბასრაში. იყო ჰადისების უაღრესად დიდი მცოდნე. წარმატებით მონაწოლეობდა ყიასის გადაწყვეტილებებში. ის უეჭველი მუჯთეჰიდი იყო.

ებუ ჰანიფეს თავისი მოსწავლეები და ხალხი აღიარებდა როგორც დიდ ლიდერს, იმამს და მას ყველაზე დიდი იმამი "იმამი ეღზვემი" უწოდეს. იმამი ეღზვემი ჩამოყალიბებულ სამართლებრივ გზას ჰანეფის მიმდინარეობა ეწოდება, ხოლო ამ მიმდინარეობის მიმდევრებს ჰანეფი.

ჰანეფის მიმდინარეობა თავდაპირველად ერაყში ჩამოყალიბდა და აბბასების დროს ებუ იუსუფის მეთაურობით სახელმწიფოს მთავარი სამართლებრივი მიმდინარეობა იყო. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაფართოვდა აღმოსავლეთით. ამ რეგიონში ბევრი ჰანეფი სამართალმცოდნე აღიზარდა. როცა ოსმალეთის სახელმწიფო შეიქმნა, მისი ოფიციალური სამართლებრივი მიმდინარეობა იყო ჰანეფი, რამაც მისი მოქმედების არეალი საგრძნობლად გააფართოვა. დღეს ინდოეთში, პაკისტანში, ავღანეთში, თურქეთში და ბალკანეთის მხარეში ჰანეფის მიმდინარეობა ძალზედ გავრცელებულია.

2) მალიქის მიმდინარეობა

ისლამის ეს სამართლებრივი მიმდინარეობა დიდი სწავლულის, ჰადისისა და სამართლის მცოდნის მალიქ იბნ ენესის სახელს უკავშირდება. იმამი მალიქი 712 წელს მედინაში დაიბადა და გარდაიცვალა იქვე 795 წელს. მედინა იმ პერიოდში წმ. შუამავლის ჰადისების მცოდნეებით, შუამავლის თანამოღვაწე მეგობრების მიერ გაცემული ფეთვების რაოდენობით გამორჩეული იყო. იმამი მალიქი სწორედ ასეთ სწავლულთა შორის, ცოდნის ოაზისში იზრდებოდა. იბნ ჰურმუზი, იბნ შიჰაბ ეზ-ზუჰრი, იაჰია იბნ საიბ და რაბია იბნ აბდურრაჰმანი ჰადისის და სამართლის საკითხებში მისი მასწავლებლები იყვნენ. ზრდასრულ ასაკს რომ მიაღწია მედინაში "მესჯიდი- ნებევი"-ში ქადაგება და ფეთვის გაცემა დაიწყო. მის ირგვლივ დიდი სამეცნიერო ჯაჭვი შეიკრა და მის გაკვეთილებზე ბევრი მოსწავლე აღიზარდა.

იმამი მალიქი რელიგიური დებულების ჩამოყალიბებისას ეყრდნობოდა, როგორც ძირითად მტკიცებულებებს (წმ. წიგნი, სუნნეთი, იჯმა, შუამავლის თანამოღვაწის ნათქვამი, წესი და ადათი) ისე დამატებით მტკიცებულებესაც იშველიებდა. (მაგ. ყიასი, ისთიჰსანი, მასლაჰათი და სხვ.)

იმამი მალიქის ყველაზე თვალსაჩინო თვისება მედინელი ხალხის ცხოვრების წესის და ქცევების მტკიცებულებად მიღებაა. მისთვის

რაიმე მოსაზრების მიმართ დამოკიდებულებას მედინელი ხალხის ცხოვრების სტილი განსაზღვრავდა. ანუ მათი ქცევების საწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო, რადგან თვლიდა, რომ მაშინდელი მედინელების ქცევა ჰადისის ტოლფასი იყო. წმ. შუამავალი ათი წლის მანძილზე ცხოვრობდა მედინელებს შორის. იცოდა მათი ცხოვრების წესი, მათი ადათები. მათგან, ისეთები რომლებიც ისლამს არ შეესაბამებოდა გააუქმა, ხოლო რომლებიც ისლამს შეესაბამებოდა დაადასტურა. ეს მდგომარეობა მათ ქცევებს უეჭველ სანდოობამდე მაღლა სწევდა.

იმამ მალიქს ჰყავდა სახელგანთქმული მოწაფეები: აბდურააჰმან იბნ ყასიმი. ის ოცი წლის განმავლობაში იმამ მალიქთან ისლამის სამართალს სწავლობდა. ლეის ბინ სადდანი, რომელმაც მალიქის მიმდინარეობის ცნობილი ნაწარმოები "მუდევვენე" გადმოგვცა. საჰნუნმა ეს ნაწარმოები მოგვიანებით სამართლებრივი თანმიმდევრობით დაალაგა. ამათ გარდა, იაჰია იბნ იაჰია და ეშჰებ იბნ აბდილაზიზი. წიგნები მუდევვენე და მუვათთა ამ მიდინარეობის ძირითად ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენენ.

მალიქის მმიმდინარეობა გავრცელებული იყო ეგვიპტეში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ანდალუსიაში. დღეისათვის გავრცელებულია ეგვიპტეში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სუდანში და სხვ.

3) შაფიის მიმდინარეობა

მუჰამმედ იბნ იდრის ელ ყურეიშ ელ ჰაშიმი, რომელიც შაფიის მიმდინარეობის დამაარსებლად ითვლება დაიაბადა პალესტინაში, ქალაქ ღაზაში 767 წელს. მან იმამ მალიქისგან მოისმინა მუვათთა, სუფიან იბნ უიეინისგან ჰადისი და იმამ მუჰამმედისგან ერაყის სამართალი შეისწავლა. ის ორიოდე წელს ცხოვრობდა ბაღდადში, შემდეგ კი მექაში გადავიდა და 9 წლის მანძილზე ქადაგებდა. მოგვიანებით იმამი შაფიი ბაღდადში დაბრუნდა, ერაყის და ჰიჯაზის სამართლებრივი მიმდინარეობები საფუძვლიანად გაანალიზა და სამართალში თავისი შეხედულებების დამკვიდრება დაიწყო.

ჰიჯრით 198 წელს ეგვიპტეში ჩავიდა, სადაც ოთხი წელი დარჩა. ის ადარებდა თავის გამოცდილებას ამ განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ გარემოს და ზოგიერთი შეხედულებები შეცვალა კიდეც. მისი ძველი და ახალი შეხედულებებისგან შედგება ორი

ნაწარმოები: “მეზჰები ქადიმ”და “მეზჰები ჯედიდ”. იმამი შაფიი გარდაიცვალა ეგვიპტეში 820 წელს. მის კალამს ეკუთვნის წიგნები: რისალე, ჰუჯჯე და უმმ-ი.

მისი მოსწავლეები იყვნენ: იუსუფ იბნ იაჰია, ჰასენ იბნ მუჰამმედი, იბრაჰიმ იბნ იაჰია და სხვები.

შაფიის მიმდინარეობა გავრცელებული იყო ეგვიპტეში, სირიაში, იემენში და ერაყში. ახლა კი გავრცელებულია ერაყში, სირიაში და ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

4) ჰანბელის მიმდინარეობა

ჰანბელის მიმდინარეობის დამაარსებელი აჰმედ იბნ ჰანბელ ეშ-შეიბანი დაიბადა 780 წელს ბაღდადში და გარდაიცვალა ბაღდადშივე 855 წელს. ის განსაკუთრებით ცდილობდა ჰადისის შესწავლას, ამიტომ შემოიარა ქუფე, ბასრა, მექა, მედინა, შამი, ომანი და ჯეზაირი.

ის დიდი ხანი იყო იმამი შაფიის მოწაფე.

იმამი ჰენბელი ჰადისების ვარაუდებით არ დაკმაყოფილდა და გამოიკვლია მათი როგორც სამართლებრივი მნიშვნელობა, ისე მიზანიც. მისი მოღვაწეობის პერიოდში დანარჩენი სამი მიმდინარეობა ჩამოყალიბებული იყო და ჰენბელიც ამ სამართლებრივ საუნჯეში მოხვდა.

ღვთისმსახურების საკითხებში აიათებს და ჰადისებს ეყრდნობოდა და მტკიცებულებების გარეშე დებულების გამოცემას ერიდებოდა. მოვლენების შეფასების დროს შუამავლის თანამოღვაწე მეგობრების გზას ანიჭებდა უპირატესობას. თუ რაიმის შესახებ მტკიცებულება არ არსებობდა ალალი იყო ის თუ არამი, მაშინ მას ჩვეულებრივ საქციელად თვლიდა. წინამორბედი სამი მიმდინარეობისგან განსხვავებით ჰანბელის მომხრეები ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ ქმედებების მიმართ უფრო თავისუფალი დამოკიდებულებისანი არიან. ამის მიხედვით სარწმუნოებით აკრძალული პირობა თუ არ ირღვევა, ეს მიმდინარეობა ვაჭრობის საკითხებში მხარეებს თავისი სურვილისამებრ პირობების წამოყენების უფლებას აძლევს. ამ მიმდინარეობის პრინციპები უფრო ჰადისებს და შუამავლის თანამოღვაწე მეგობრების სიტყვებს ეყრდნობა. ამის

გამო მიმდინარეობაში ჰადისზე დამოკიდებული სამართლებრივი მიმართულება სუფევს.

ბუჰარი, მუსლიმი და სხვა ცნობილი ჰადისის გადმოცემის ოსტატები ჰადისებს აჰმედ იბნ ჰენბელიდან იღებდნენ. ნაწარმოებში, რომლის სახელწოდებაა მუსნედი 40000 ჰადისია. ჰენბელის მიმდინარეობის იდეოლოგიურ და სამართლებრივ განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს იბნ თეიმიეს და მისი მოსწავლის იბნ ქაიმ ელ ჯევზიეს ნაწარმოებებმა.

მისი ზოგიერთი მოწაფეები არიან: სალიჰ იბნ აჰმედი, რომელიც ნებელის უფროსი შვილია. ებუ ბექირ ელ ერსემი, აჰმედ იბნ მუჰამმედ იბნ ელ-ჰაჯჯაჯი და იბრაჰიმ იბნ ისჰაკ ელ ჰარბი.

გასულ საუკუნეში არაბეთის ტერიტორიაზე წარმოიშვა როგორც სარწმუნოებრივი, ისე პოლიტიკური და სოციალურ –ეკონომიკური მიმართულების მქონე ვაჰაბისტური მოძრაობა, რომელიც რწმენის საკითხებში ჰენბელის მიმდინარეობასთან ახლოა, ეს მიმდინარეობა გავრცელებულია ჰიჯაზში, ერაყში, სირიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში. საუდის არაბეთში კი ოფიციალური მიმდინარეობაა.

გ) სარწმუნოებრივი საქმიანობა, რომელსაც მიმდინარეობის სახე არ მიუღია

ჰიჯრის მეორე-მესამე საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ისლამის სამართლებრივ მიმდინარეობებზე და იმამებზე მოკლედ ვისაუბრეთ. ამის გარდა არსებობდნენ ცნობილი სწავლულები, რომლებიც ისლამის სამართლის საკითხებში გადაწყვეტილებებს იღებდნენ და მათი სახელის ირგვლივ გარკვეული დაჯგუფებები იკრიბებოდნენ. ამათგან ზოგიერთს ჩამოვთვლით:

მექაში სუფიან იბნ სუიეინე, ქუფეში- სუფიან ეს-სევრი, იბნ ები ლეილა, იბნ შუბრუმე, ბაღდადში- ები სევრი, დავუდ ეზ-ზაჰირი, იბნ ჯერირ ეთ-თაბერი, ეგვიპტეში ლეის ეს სადი, ბასრაში- ჰასანი ბასრი, შამში-ევზაი და სხვა.

ამ იმამებს თავიანთი შეხედულებისამბრ დებულებების დადგენის მეთოდი ჰქონდათ. გაუციათ მრავალი ფეთვა, მაგრამ მომხრეების ნაკლებობის გამო მიმდინარეობად ვერ ჩამოყალიბდნენ. თუმცა ისლამის სამართლებრივ დოქტრინაში ამ ადამიანების მოსაზრებები მნიშვნელოვანი სიმდიდრეა.

ამ მხრივ შეიძლება გავიხსენოთ ზაჰირიეს სკოლის მიმდევრები დავუდ ეზ-ზაჰირი და იბნ ჰაზმი. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ ა"იჯთიჰად"-ის მეთოდის მიმდევრებს. მათი აზრით აიათების და ჰადისების მხოლოდ ღია მნიშვნელობები შეიძლებოდა მტკიცებულება ყოფილიყო. ეწინააღმდეგებოდნენ ყიასის (შედარები) მეთოდს. ჰიჯრით მეოთხე საუკუნეში ამ სამართლებრივ სკოლას გარკვეული წარმატება ხვდა წილად, ხოლო შემდეგ შაფის მიმდინარეობაში აითქვიფა.

სუნიტური მიმდინარეობების გარდა სხვა სამართლებრივ სკოლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შიიზმის მიმდინარეობას. შიიტების სამი დიდი განშტოება თითოეულ სამართლებრივ მიმდინარეობად შეიძლება ჩაითვალოს. იმამიეს განშტოებას, რწმენის და სამართლის საკითხებში საფუძვლად ჯაფერ ეს-სადიკის შეხედულებები აქვს აღბული. ამიტომ ეს განშტოება ჯაფერიეს სახელითაცაა ცნობილი. მისი მიმდევრები ორად იყოფიან: "აჰბარ"-ი და "უსულ"-ი. აჰბარის მიმდევრები რელიგიური დებულების მისაღებად საფუძვლედ ჰადისებს იღებენ და თვლიან, რომ ყურანის აიათების გაგება მხოლოდ ამ ჰადისების დახმარებითაა შესაძლებელი. უსულის მიმდევრევი კი ოთხ მტკიცებულებას ეყრდნობიან. ესენია: წმ. წიგნი, სუნნეთი, იჯმა, და გონება. თუმცა შიიტების და სუნიტების დამოკიდებულება სუნნეთის და იჯმას მიმართ განსხვავდება. ზოგიერთ საკითხებისადმი აქვთ განსხვავებული შეხედულება. მაგ. დროებითი ქორწინება, ლოცვისწინა მცირე განბანვის დროს შიშველ ფეხებზე მესის გაკეთება, განქორწინების დროს ორი მოწმის აუცილებლობა, ხუთი დროის ლოცვის "ჯემ"-ის მეთოდით, ანუ გაერთიანებით სამ ნაწილად ლოცვა, სავალდებულო მოწყალების (ზექათი) რელიგიური პირების მიერ აკრეფა და სხვა.

შიიზმის მეორე დიდი განშტოება ზეიდიე სამართლებრივ საკითხებში ჰანეფის მიმდინარეობასთან ახლოსაა. თუმცა ზოგიერთ საკითხებში არსებობს განსხვავებული შეხედულებები.

VI – თასავვუფი და მისი ადგილი ისლამში

ა) თასავვუფის ცნება და მოცულობა

თასავვუფი ისლამში არის ცხოვრების სტილი, რომლის მიხედვითაც სულიერი ცხოვრება წინა პლანზეა წამოწეული. ცხოვრების და აზროვნების ასეთი სტილი წმ. ყურანიდან, სუნნეთიდან და წმ.

შუამავლის მეგობრების ცხოვრებიდანაა აღებული. თასავვუფმა ისლამის მთელი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ეტაპები გაიარა, შეიცვალა, განვითარდა და დღემდე მოაღწია.

თასავვუფს ბევრი განმარტება გააჩნია. ყოველი განმარტება ავტორის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. თასავვუფის ეს თვისება აიხსნება ანდაზით- "ვინც არ იგემებს, ვერ გაიგებს". ამ საკითხის უკეთ გასაგებად თასავვუფის ცხოვრების სტილით მცხოვრები ცნობილი ადამიანების განმარტებებს შემოგთავაზებთ.

თასავვუფი ჭეშმარიტების აღება, ხალხის ხელში რაც არის მისი უარყოფაა, სილამაზეა, ღმერთის მიერ შენივე თავის შენში მოკვდინება და თავისთავში გაცოცხლებაა, საკუთარი თავის ღვთის სურვილისამებრ განწყობაა, მისი უზენაესი მეუფების წინაშე სრული ჩაბარებაა, ურთიერთმეგობრობა და სიყვარულია, ყოველგვარი ეჭვის და ფიქრის გარეშე ღმერთთან ყოფნაა, გრძნობის ორგანოების ფლობა და სულის ამოსუნთქვაზე ყურის დაგდებაა, თავში რაც გაქვს მოცილება, ხელში რაც გაქვს გაცემა და თავს გადახდენილზე შეგუებაა.

თასავვუფის საკითხზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მიძღვნილი. მათი ავტორებისეული განმარტებები შემდეგია:

ქუშეირი: -"თასავვუფი გამჩენის გარდა ყველა და ყველაფერისგან თავის დანებება, მოკრძალების გზის არჩევა და ბოროტებისგან შორს დგომაა".

გაზალი: -" გულის ღმერთთან დაკავშირება და მის გარდა ყველასთან ურთიერთობის გაწყვეტაა".

სუჰრევერდი: -" თასავვუფის დასაწყისში ცოდნაა, შუაში ქცევა და ბოლოს ღვთიური მიტევება."

ბ) პრინციპები და მტკიცებულებები, რომლებსაც თასავვუფი ეყრდნობა

ის ძირითადი აზრი და მტკიცებულებები, რასაც თასავვუფი ეყრდნობა შეიძლება რამოდენიმე დებულებად ჩამოვაყალიბოთ.

1) ღვთის სიყვარულის ყველა და ყველაფერზე მაღლა დაყენება.

ნებისმიერი ქცევა თუ ღვთისმსახურება, რომელიც ღვთის სიყვარულს არ ეყრდნობა ისლამის მიხედვით უაზრო და უსარგებლოა. ვისაც ღმერთი უყვარს, მას ღვთის სიტყვა ყურანი და მისი შუამავალი მუჰამმედიც ეყვარება, ანუ ყველაფერი ის, რაც ღმერთს უყვარს.

ყურანში ღმერთის სიყვარულზე და მის საზღვრებზე მნიშვნელოვანი მითითებაა მოცემული:

قُلْ اِنْ كَانَ اٰبَاؤُكُمْ وَاَبْنَاؤُكُمْ وَاِخْوَانُكُمْ وَاَزْوَاجُكُمْ وَعَشِيْرَتُكُمْ وَاَمْوَالٌ اقْتَرَفْتُمُوهَا وَتِجَارَةٌ تَخْشَوْنَ كَسَادَهَا وَمَسَاكِنُ تَرْضَوْنَهَا اَحَبَّ اِلَيْكُمْ مِنَ اللّٰهِ وَرَسُوْلِه وَجِهَادٍ ف ى سَبِ يلِه فَتَرَبَّصُوا حَتّٰى يَاْتِيَ اللّٰه بِاَمْرِه وَاللّٰه لَا يَهْدِى الْقَوْمَ الْفَاسِقِ ينَ

„უთხარი: თუ მამები თქვენი, და შვილნი თქვენი, და ძმები თქვენი, და მეუღლენი თქვენი, და წრენი თქვენი, და ქონება, რომელიც მოაგროვეთ, და ვაჭრობა, რომლის შეფერხებაც გაშინებთ, და საცხოვრებელი სახლები, რომელიც კმაყოფილებას გგვრით, უფრო საყვარელია თქვენთვის, უფრო ძვირფასია ალლაჰზე და მის შუამავალზე და მის გზაზე ბრძოლაზე, მაშ, დაელოდეთ, სანამ ალლაჰის ბრძანება მოევლინებოდეს. ხოლო ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე უკეთურ ხალხს!“ (თევბე 9/24)

ამის მიხედვით მუსლიმ ადამიანს დიადი ღმერთი, მისი შუამავალი და საღვთო ომში ბრძოლა უნდა უყვარდეს და ამ სიყვარულს ყველა დანარჩენზე მაღლა აყენებდეს.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ვისაც ღმერთი და მისი შუამავალი სხვა დანარჩენზე მეტად არ უყვარს, ის რწმენის სიტკბოებას ვერ ჩაწვდება.” ამ სიტყვების შემდეგ წმ. ომარმა უთხრა, რომ მას ღვთის შუამავალი საკუთარი თავის გარდა ყველაზე მეტად უყვარდა. შუამავალი არ დაეთანხმა. მაშინ ომარმა უთხრა, რომ მას ღვთის შუამავალი მუჰამმედი საკუთარ თავზეც მეტად უყვარდა. მაშინ კი შუამავალმა მოუწონა მას პასუხი.

ადამიანსა და ღმერთს შორის სიყვარული ურთიერთგაცვლითია. გამჩენს წმ. შუამავალი ყველაზე მეტად უყვარს, ამიტომ მას “ჰაბიბულლაჰ”-ი უწოდეს, ხოლო წმ. იბრაჰიმს “ჰალილულლაჰ”, ანუ ალლაჰის მეგობარი.

ყურანში მოცემულია ღმერთისთვის საყვარელი ადამიანების სხვადასხვა კატეგორია:

ა) სამართლიანები ბ) სუფთა ადამიანები, ანუ სისუფთავის მოყვარულები. გ) ღვთისმოშიშები დ) პატიოსნები ე) ღმერთზე მინდობილები ვ) მოთმინების მქონენი ზ) მომნანიებლები

ეს ჩამოთვლილი კატეგორიები თასავვუფის ძირითადი საკითხებია. ღვთის სიყვარული რომ დავიმსახუროთ ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. ღმერთის სიყვარულის გარეშე რომ არ დავრჩეთ ჩამოთვლილ მახასიათებლების საპირისპირო მდგომარეობას უნდა მოვერიდოთ. ყურანში ის კატეგორიაცაა მითითებული ვინც ღმერთს არ უყვარს:

ა) უსამართლოები ბ) ურწმუნოები გ) ცოდვილები დ) ამაყები, ანუ საკუთარი თავი სხვაზე მაღლა რომ უჭირავთ ე) მოღალატეები ვ) არეულობის მომტანები ზ) არამომჭირნენი თ) უსამართლოდ თავდამსხმელები.

წმ. შუამავლისადმი მორჩილება ღმერთისადმი მორჩილებას ნიშნავს და მის მიმართ სიყვარული ღმერთის სიყვარულს დაგვამსახურებინებს:

مَنْ يُطِعِ الرَّسُولَ فَقَدْ اَطَاعَ اللّٰهَ وَمَنْ تَوَلّٰى فَمَا اَرْسَلْنَاكَ عَلَيْهِمْ حَف يظًا

ვინც ჰმორჩილებს შუამავალს, უეჭველად, ის ალლაჰის მორჩილია. და ვინც შეგაქციოს სახე, მაშ, არ წარგვიგზავნიხარ შენ მათდა გუშაგად! (ნისა 4/80)

قُلْ اِنْ كُنْتُمْ تُحِبُّونَ اللّٰهَ فَاتَّبِعُون ى يُحْبِبْكُمُ اللّٰهُ وَيَغْفِرْ لَكُمْ ذُنُوبَكُمْ وَاللّٰهُ غَفُورٌ رَح يمٌ

უთხარი შენ (მუჰამმედ): თუ გიყვართ ალლაჰი, გამომყევით მე, რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია! (ალი იმრან 3/ 31)

წმ. ჰადისშია მოცემული, თასავვუფით ღმერთისადმი სიყვარული რაოდენ აგვამაღლებს:

“ჩემი გაჩენილი აუცილებელი ღვთისმსახურების (ფარზი) დროს იმდენად ახლოა ჩემთან, რომ ამ დონეზე სხვა ვერაფრით მომიახლოვდება. ის ნაფილე (დამატებით) ღვთისმსახურებითაც მომიახლოვდება. ისე მომიახლოვდება, რომ მე მისი თვალი ვიქნები, რომლითაც ხედავს, მისი ყური ვიქნები, რომლითაც ესმის, მისი ხელი ვიქნები, რომლითაც შეეხება, მისი ფეხი ვიქნები, რომლითაც დადის. ის უკვე ჩემით დაინახავს, ჩემით გაიგონებს, ჩემით შეეხება, ჩემით ივლის. ასეთი მსახური თუ მე მომეკედლება მას დავიფარავ,

თუ რამეს მთხოვს ავუსრულებ. “

თასავვუფი ადამიანის ღმერთთან დაახლოებაა. ამიტომ არის ნათქვამი, რომ ღმერთი ადამიანთან თავის მთავარ არტერიაზე უფრო ახლოსაა. ღმერთის ერთ-ერთი სახელი ხომ ელ ყაბირია, ყოველთვის ყველაზე ახლოს მყოფი. თუმცა თავის საყვარელ მსახურებთან უფრო ახლოსაა. წმ. ომარის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნათქვამია, რომ რწმენის ექვსი და ისლამის ხუთი პირობის შემდეგ ყველაზე მაღალი საფეხური “იჰსანი”-ა.

“იჰსანი, თითქოს ღმერთს ხედავდე ისეთი ფორმით ღვთისმსახურებაა. რამდენადაც შენ მას ვერ ხედავ, ის შენ ყოველთვის გხედავს.”

2) მორწმუნეთა მიერ ურთიერთსიყვარული

წმ. შუამავალი მართლმორწმუნეთ ურთიერთსიყვარულისაკენ ხშირად მოუწოდებდა. ყურანში ხომ მართლმორწმუნენი ერთმანეთის დებად და ძმებად არიან გამოცხადებულნი. მორწმუნე ქალები და მამაკაცები ერთიმეორის მეურვეებად ითვლებიან. მექადან მედინაში ჰიჯრის შემდეგ მექადან წასულ მორწმუნეებსა და მედინელ მუსლიმანებს შორის ძმობის “შეთანხმება” დაიდო. მუჰაჯირებს უფლება ჰქონდათ ესარგებლათ ადგილობრივების სახლ-კარით და ქონებით. ეს კი ისლამის საზოგადოებრივი წყობილების სიმტკიცისათვის სამზადისზე მეტყველებდა.

“ვინც ჩემთვის ერთიმეორეს შეიყვარებს, მათი სიყვარული ჩემთვის ვაჯიბია”. ნაბრაძანებია ჰადისში.

წმ. შუამავალი სიყვარულისა და რწმენის ურთიერთკავშირს შემდეგნაირად გვიხსნის:

“თუ ერთმანეთს არ შეიყვარებთ მორწმუნედ არ ჩაითვლებით.”

“თუ რომელიმე თქვენგანი თავისთვის რაც უყვარდეს მორწმუნე ძმისთვისას არ შეიყვაროს და არ ისურვოს მორწმუნედ არ ჩაითვლება.”

“მართლმორწმუნე ჭირსა და ლხინში თავის მორწმუნე ძმის გვერდით უნდა იყოს.”

“ადამიანს ვინ უყვარს, მასთან ერთადაა.”

თასავვუფის მიზანი ადამიანის მიერ გულით და სიყვარულით ღვთისადმი თაყვანისცემის შესრულებაა. ამქვეყნიური სურვილებისა და გამორჩენის უკუგდება, სამოთხეში შესვლის სურვილის, ან ჯოჯოხეთის შიშის გამო კი არა, მხოლოდ და მხოლოდ გამჩენის სიყვარულით, მისდამი თაყვანისცემის შეუქცევად პროცესად გადაქცევაა. ცნობილი სუფისტის რაბიე ელ ადევიეს სიტყვებით რომ ვთქვათ, "ისინი, სამოთხე და ჯოჯოხეთი რომც არ არსებობდეს მხოლოდ ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად ილოცებდნენ და შედეგს ღმერთისგან დაელოდებოდნენ."

წმ. შუამავალს ერთხელ უბრძანებია:

"შუღეიბი რა კარგი მორწმუნეა, ღვთის შიშიც რომ არ იყოს მაინც არ ჩაიდენს ცოდვას". სხვა ვარიანტი კი ასეთია:

"სალამი მას ღმერთისადმი სიყვარულის გამო! მისი შიშიც რომ არ ჰქონდეს ცოდვას მაინც არ ჩაიდენს."

3) ამ ქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებით საიქიოზე უპირატესობის მინიჭება

დიადი ღმერთი ბრძანებს:

فَاَمَّا مَنْ طَغٰى

وَاٰثَرَ الْحَيٰوةَ الدُّنْيَا

فَاِنَّ الْجَحِيْمَ هِىَ الْمَاْوٰى

მაგრამ ვინც ზღვარს გადავიდა,

მაშ, უეჭველად, იგი ჯოჯოხეთის ალი იქნება თავშესაფარი (მისი)! (ნაზიათ 79/37-39)

بَلْ تُؤْثِرُوْنَ الْحَيٰوةَ الدُّنْيَا

وَالْاٰخِرَةُ خَيْرٌ وَّاَبْقٰى

اِنَّ هٰذَا لَفِى الصُّحُفِ الْاُوْلٰى

მაგრამ არა! თქვენ ამქვეყნიურ ცხოვრებას ამჯობინებთ,

თუმცა საიქიო ცხოვრება უფრო უკეთესია და მუდმივი! (ეღლა 87/16-17)

كُلُّ نَفْسٍ ذَائِقَةُ الْمَوْتِ وَإِنَّمَا تُوَفَّوْنَ أُجُورَكُمْ يَوْمَ الْقِيٰمَةِ فَمَنْ زُحْزِحَ عَنِ النَّارِ وَأُدْخِلَ الْجَنَّةَ فَقَدْ فَازَ وَمَا الْحَيٰوةُ الدُّنْيَا إِلَّا مَتَاعُ الْغُرُورِ

ყველა სული იგემებს სიკვდილს და ყველა თქვენგანი საზღაურს სრულად მიიღებს აღდგომის დღეს. და ვინც მოშორებული იქნება ცეცხლს და სამოთხეში შეყვანილი, ის ჭეშმარიტად, მოგებულია (გადარჩენილია). ხოლო ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა აყოლა მაცდუნებელ სიტკბოებაზე. (ალი იმრან 3/185)

إِنَّمَا الْحَيٰوةُ الدُّنْيَا لَعِبٌ وَلَهْوٌ وَإِنْ تُؤْمِنُوا وَتَتَّقُوا يُؤْتِكُمْ أُجُورَكُمْ وَلَا يَسْـَٔلْكُمْ أَمْوَالَكُمْ

უეჭველად, ამქვეყნიური ცხოვრება ერთგვარი თამაში და ერთგვარი გართობაა. და თუ ირწმუნებთ და იქნებით ღვთისმოშიშნი, იგი გიბოძებთ თქვენს საზღაურს და არ მოგთხოვთ თქვენს ქონებას . (მუჰამმედ 47/36)

اِعْلَمُوا أَنَّمَا الْحَيٰوةُ الدُّنْيَا لَعِبٌ وَلَهْوٌ وَزِينَةٌ وَتَفَاخُرٌ بَيْنَكُمْ وَتَكَاثُرٌ فِي الْأَمْوَالِ وَالْأَوْلَادِ كَمَثَلِ غَيْثٍ أَعْجَبَ الْكُفَّارَ نَبَاتُهُ ثُمَّ يَهِيجُ فَتَرٰيهُ مُصْفَرًّا ثُمَّ يَكُونُ حُطَامًا وَفِي الْآخِرَةِ عَذَابٌ شَدِيدٌ وَمَغْفِرَةٌ مِنَ اللّٰهِ وَرِضْوَانٌ وَمَا الْحَيٰوةُ الدُّنْيَا إِلَّا مَتَاعُ الْغُرُورِ

იცოდეთ, რომ ამქვეყნიური ცხოვრება ერთგვარი თამაში, ერთგვარი გართობა, ერთგავრი სამშვენისი და ერთგვარი მკრეხელობაა თქვენს შორის. და აუარებელი ქონებისა და შვილების ყოლა. ის წვიმას ჰგავს, გაახარა მთესველი თავისმა მცენარემ, მერე დაჭკნება, ამგვარად დაინახავ მას გაყვითლებულად. მერე გადაიქცევა ხმელ ნაყარ-ნუყარად. ხოლო საიქიოში სასტიკი სასჯელი, მიტევება და კმაყოფილება ალლაჰისგან. ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა აყოლა მაცდუნებელ სიტკბოებაზე. (ჰადიდი 57/20)

اَلْمَالُ وَالْبَنُونَ زِينَةُ الْحَيٰوةِ الدُّنْيَا وَالْبَاقِيَاتُ الصَّالِحَاتُ خَيْرٌ عِنْدَ رَبِّكَ ثَوَابًا وَخَيْرٌ أَمَلًا

ქონება და შვილები მშვენებაა მიწიერი ცხოვრების, მაგრამ წარუვალი სიქველენი უკეთეს საზღაურიანია შენი ღმერთის წინაშე და მათზე სჯობს იმედის დამყარება! (ქეჰფი 18/46)

أَلَمْ تَرَ إِلَى الَّذِينَ قِيلَ لَهُمْ كُفُّوا أَيْدِيَكُمْ وَأَقِيمُوا الصَّلٰوةَ وَآتُوا الزَّكٰوةَ فَلَمَّا كُتِبَ عَلَيْهِمُ الْقِتَالُ إِذَا فَرِيقٌ مِنْهُمْ يَخْشَوْنَ النَّاسَ كَخَشْيَةِ اللّٰهِ أَوْ أَشَدَّ خَشْيَةً وَقَالُوا رَبَّنَا لِمَ كَتَبْتَ عَلَيْنَا الْقِتَالَ لَوْلَا أَخَّرْتَنَا إِلَى أَجَلٍ قَرِيبٍ قُلْ مَتَاعُ الدُّنْيَا قَلِيلٌ وَالْآخِرَةُ خَيْرٌ لِمَنِ اتَّقَى وَلَا تُظْلَمُونَ فَتِيلًا

განა არ გინახავს, რომელთაც ებრძანათ: აიღეთ ხელები თქვენი და აღავლინეთ ლოცვა და გაეცით სავალდებულო მოწყალება! და როცა დაწესებული იქნა მათზე ბრძოლა, მათგან ნაწილს ეშინოდა ხალხის, როგორც უნდა ეშინოდეთ ალლაჰის, ან უფრო ძლიერი

შიშით. და თქვეს მათ: ღმერთო ჩვენო! რატომ დაადგინე ბრძოლა ჩვენზე? განა არ შეიძლება გადაგვივადო მცირე ხნით?! უთხარი: ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნება ხანმოკლეა, საიქიო ცხოვრება იმათთვის უკეთესია, ვინც ღვთისმოშიშია და არ დაიჩაგრებიან ხურმას კურკის ღარში აპკი რომ აქვს, იმ დონეზეც კი! (ნისა 4/77)

ყურანში პირდაპირაა რჩევა მოცემული, რომ ამქვეყნიურ სურვილებს ჯობს იმქვეყნიური ბედნიერება ვისურვოთ:

مَنْ كَانَ يُرِيدُ حَرْثَ الْاٰخِرَةِ نَزِدْ لَهُ ف ى حَرْثِه وَمَنْ كَانَ يُرِيدُ حَرْثَ الدُّنْيَا نُؤْتِه مِنْهَا وَمَا لَهُ فِى الْاٰخِرَةِ مِنْ نَصِيبٍ

და ვისი სურვილიცაა ნათესი საიქიოს, ვუმრავლებთ მას თავის ნათესში. ხოლო ვისი სურვილიცაა ნათესი სააქაოს, ვუბოძებთ მას იქიდან, რამეთუ არ ექნება წილი საიქიოში.

(შურა 42/20)

فَإِذَا قَضَيْتُمْ مَنَاسِكَكُمْ فَاذْكُرُوا اللّٰهَ كَذِكْرِكُمْ اٰبَاءَكُمْ اَوْ اَشَدَّ ذِكْرًا فَمِنَ النَّاسِ مَنْ يَقُولُ رَبَّنَا اٰتِنَا فِى الدُّنْيَا وَمَا لَهُ فِى الْاٰخِرَةِ مِنْ خَلَاقٍ

როდესაც დაასრულებთ თქვენს ღვთისმსახურებანს (წესებს), გაიხსენეთ ალლაჰი ისე, როგორც თქვენს მამებს გაიხსენებდით ან უფრო მხურვალედ. და ადამიანთაგან ვინც იტყვის (შესთხოვს): ღმერთო ჩვენო, მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაში, წილი არ ექნებათ იმქვეყნიურში.

(ბაქარა 2/ 200)

მრავალ ჰადისშია საუბარი საიქიო ცხოვრების მნიშვნელობაზე:

“ამ ქვეყნად იცხოვრე, როგორც უთვისტომო, როგორც მგზავრი და თავი საფლავში მწოლიარედ ჩათვალე.”

“ხშირად ეწვიეთ სასაფლაოს, რადგან ის ამ ქვეყნის მიმართ გულგრილს გაგხდით და საიქიოსთვის გულს გაგითბობთ.”

წმ. შუამავალი თავისი ცხოვრებით ღმერთის კმაყოფილებას ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო ამქვეყნიური სიამოვნება შეზღუდული ჰქონდა. იგი ბრძანებდა:

“უჰუდის მთისხელა ოქრო რომ მქონდეს, ვალის გასასტუმრებლად რაც მეყოფა მის გარდა სამ დღეზე მეტ ხანს რომ დავიტოვო არ მსურს.”

გარდა ამისა წმ. შუამავალი თავის მეუღლეებს გაუნაწყენდა, რადგან მათ სხვა მუსლიმანების დონეზე ცხოვრება ისურვეს. შუ-

ამავალმა მათ წამოუყენა პირობა, ან აერჩიათ ეს ქვეყანა, ან – შუამავალი. მათ შუამავალი აირჩიეს.

4) გულის სიწმინდე და ღვთისმოშიშობა

ისლამში გულის სიწმინდეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ღვთიური შთაგონება გულში მოდის. გული ღვთიური ხედვის არეა. ქვემოთ მოცემულ აიათებში გულის სიწმინდის მნიშვნელობაზეა საუბარი:

يَوْمَ لَا يَنْفَعُ مَالٌ وَلَا بَنُونَ

اِلَّا مَنْ اَتَى اللّٰهَ بِقَلْبٍ سَلِيمٍ

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება,“

„გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით!“ (შუარა 26/88,89)

هُوَ الَّذِي اَنْزَلَ السَّكِينَةَ فِي قُلُوبِ الْمُؤْمِنِينَ لِيَزْدَادُوا اِيمَانًا مَعَ اِيمَانِهِمْ وَلِلّٰهِ جُنُودُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ وَكَانَ اللّٰهُ عَلِيمًا حَكِيمًا

„იგია, რომელმაც ზეგარდმოავლინა სიმშვიდე მორწმუნეთა გულებში, რათა შეჰმატებოდათ რწმენა თავიანთ რწმენასთან ერთად. ალლაჰს ეკუთვნის ლაშქარნი ცათა და ქვეყნის. ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!“ (ფეთიჰი 48/4)

ثُمَّ بَعَثْنَا مِنْ بَعْدِهِ رُسُلًا اِلٰى قَوْمِهِمْ فَجَاؤُهُمْ بِالْبَيِّنَاتِ فَمَا كَانُوا لِيُؤْمِنُوا بِمَا كَذَّبُوا بِهِ مِنْ قَبْلُ كَذٰلِكَ نَطْبَعُ عَلٰى قُلُوبِ الْمُعْتَدِينَ

„შემდეგ, მასზე მიყოლებით, წარვგზავნეთ შუამავალნიმათ ხალხთან. მივიდნენ მათთან ცხადი სასწაულებით, მაგრამ არ ირწმუნეს, რაც ადრე უარყვეს. ასე ვასვამთ გულებზე ბეჭედს ზღვარგადასულებს!“ (უინუს 10/74)

რწმენა გულით უნდა მტკიცდებოდეს და ღვთისმსახურებისგან მისაღები ჯილდოც სუფთა მიზანზეა დამოკიდებული. სუფთა მიზანი კი გულში აღმოცენდება. გული ადამიანის გრძნობების ცენტრია. ჰადისში შემდეგნაირადაა ნაბრძანები:

“ადამიანის სხეულში ერთი ხორცის ნაჭერია, თუ კი ის კარგია მთელი სხეული კარგი იქნება, თუ ის ცუდია, მთელი სხეული ცუდი იქნება. ყურადღება მიაქციეთ, ეს ხორცის ნაჭერი გულია!”

“თუ სხვამ მოგცა ფეთვა (რაიმე საკითხის შესახებ გადაწყვეტილება, მისაღებია თუ მიუღებელი) შენ ეს ფეთვა გულს დაეკითხე.”

ყურანში და ჰადისებში ღვთისმოშიშობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შუამავალი გულზე მიუთითებდა და ამბობდა ღვთისმოშიშობა აქააო.

ალი იმრანის სურას 134 და 136- ე აიათებში ღვთისმოშიშ ადამიანების თვისებები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: ა) სიმდიდრის თუ გაჭირვების დროს ღვთის გულისათვის დახარჯვა. ბ) ბრაზის დაოკება. გ) მიმტევებლობა დ) მუდმივად სიკეთის კეთება ე) ცოდვის ჩადენის შემთხვევაში, მაშინვე ღმერთის გახსენება და მონანიება. ვ) სიგლახის არ დაჟინება. რწმენით გაკეთებული ეს სუფთა ქმედებები ადამიანს სამოთხისკენ გზას გაუხსნის.

სურა ბაყარაში კი ღვთისმოშიში ადამიანის თვისებები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

ა) გულში რწმენა ბ) ლოცვის სწორად ლოცვა გ) ღმერთის ნაბოძებიდან ნაწილის გაჩუქება დ) ყურანის და მანამდელი ღვთიური წმინდა წიგნების რწმენა. ე) განკითხვის დღის რწმენა. ამ თვისებების მქონენი ღმერთის მიერ დადგენილ გზაზე არიან და გადარჩებიან.

გამჩენი ღმერთი ჭეშმარიტად გულით მორწმუნეებს შემდეგნაირად ახასიათებს:

لَيْسَ الْبِرَّ اَنْ تُوَلُّوا وُجُوهَكُمْ قِبَلَ الْمَشْرِقِ وَالْمَغْرِبِ وَلٰكِنَّ الْبِرَّ مَنْ اٰمَنَ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ وَالْمَلٰئِكَةِ وَالْكِتَابِ وَالنَّبِيّ نَ وَاٰتَى الْمَالَ عَلٰى حُبِّه ذَوِى الْقُرْبٰى وَالْيَتَامٰى وَالْمَسَاكِ يْنَ وَابْنَ السَّبِيْلِ وَالسَّائِلِ يْنَ وَفِي الرِّقَابِ وَاَقَامَ الصَّلٰوةَ وَاٰتَى الزَّكٰوةَ وَالْمُوفُونَ بِعَهْدِهِمْ اِذَا عَاهَدُوا وَالصَّابِ رِيْنَ فِى الْبَاْسَاءِ وَالضَّرَّاءِ وَحِ يْنَ الْبَاْسِ اُولٰئِكَ الَّذ يْنَ صَدَقُوا وَاُولٰئِكَ هُمُ الْمُتَّقُونَ

„სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან.“ (ბაყარა 2/177)

ამ აიათში ადამიანის ის თვისებებია ჩამოთვლილი, რომლებიც მას სამოთხეში წაიყვანს. ეს თვისებები ხუთ ჯგუფშია თავმოყრილი:

ა) რწმენა ბ) მიუხედავად სიყვარულისა, ქონებიდან ნათესავების, ობლების, ღარიბების, მგზავრების და მათხოვრებისთვის დახარჯვა, აგრეთვე მონების გათავისუფლებისთვის თანხის გაღება. გ) ლოცვის ლოცვა და ზექათის (მდიდრებისთვის სავალდებულო მოწყალება) გადახდა. დ) მიცემული სიტყვის შესრულება ე) გაჭირვების, ავადმყოფობის და ძალადობის დროს მოთმინება. ამ აიათის შესახებ წმ. შუამავალი ამბობდა:

“ვინც ამ აიათის მიხედვით მოიქცევა მტკიცე რწმენას ეზიარება.”

ცოდვილები და უსამართლოები ღმერთისგან სასჯელს უნდა ელოდნენ. მათ ამ სასჯელის შიში უნდა ჰქონდეთ. შემდეგ აიათში ამ შიშზეა საუბარი:

اَلَا تُقَاتِلُونَ قَوْمًا نَكَثُوا اَيْمَانَهُمْ وَهَمُّوا بِاِخْرَاجِ الرَّسُولِ وَهُمْ بَدَؤُكُمْ اَوَّلَ مَرَّةٍ اَتَخْشَوْنَهُمْ فَاللّٰهُ اَحَقُّ اَنْ تَخْشَوْهُ اِنْ كُنْتُمْ مُؤْمِنِينَ

„ნუთუ არ შეებრძოლებით ხალხს, რომელთაც გატეხეს თავიანთი ფიცი და განიზრახეს შუამავლის გაძევება? და მათ პირველებმა წამოიწყეს. ნუთუ მათი გეშინიათ? ალლაჰის შიში უფრო უნდა გმართებდეთ, თუ ხართ მორწმუნენი თქვენ!“ (თევზე 9/13)

وَاِذْ تَقُولُ لِلَّذِي اَنْعَمَ اللّٰهُ عَلَيْهِ وَاَنْعَمْتَ عَلَيْهِ اَمْسِكْ عَلَيْكَ زَوْجَكَ وَاتَّقِ اللّٰهَ وَتُخْفِي فِي نَفْسِكَ مَا اللّٰهُ مُبْدِيهِ وَتَخْشَى النَّاسَ وَاللّٰهُ اَحَقُّ اَنْ تَخْشٰيهُ فَلَمَّا قَضٰى زَيْدٌ مِنْهَا وَطَرًا زَوَّجْنَاكَهَا لِكَيْ لَا يَكُونَ عَلَى الْمُؤْمِنِينَ حَرَجٌ فِي اَزْوَاجِ اَدْعِيَائِهِمْ اِذَا قَضَوْا مِنْهُنَّ وَطَرًا وَكَانَ اَمْرُ اللّٰهِ مَفْعُولًا

„და აკი, ეუბნებოდი მას, ვისზეც წყალობა მოიღო ალლაჰმა და სიკეთე უყავი შენ: „დაიტოვე შენთან შენი ცოლი და გეშინოდეს ალლაჰისა“. და გულში ინახავდი იმას, რასაც ალლაჰი ცხადყოფდა, ხალხის შიშით, თუმცა ალლაჰი მეტად იმსახურებს, რომ გეშინოდეს. და როცა ზეიდმა ქალთან გაწყვიტა ურთიერთობა, ჩვენ შეგრთეთ ის ცოლად, რომ მორწმუნეებისთვის ცოდვა არ გამხდარიყო მათი შვილობილების ცოლების შერთვა, მათი გაშვების შემდეგ. და ალლაჰის ბრძანება აღსრულდა!“

(აჰზაბ 33/37)

اِنَّمَا ذٰلِكُمُ الشَّيْطَانُ يُخَوِّفُ اَوْلِيَاءَهُ فَلَا تَخَافُوهُمْ وَخَافُونِ اِنْ كُنْتُمْ مُؤْمِنِينَ

„(ეშმაკი თვითონაა, თქვენ ვინც გაუწყათ) ეშმაკს სურს თავისივე შემწეებით (ვინც გაყვა ეშმაკის გზას) შეგაშინოთ თქვენ. თუკი თქვენ ჭეშმარიტი მორწმუნე ხართ არ შეგეშინდეთ მათი და გეშინოდეთ ჩემი.“

(ალი იმრან 3/175)

اَلَّذِينَ اٰمَنُوا وَتَطْمَئِنُّ قُلُوبُهُمْ بِذِكْرِ اللّٰهِ اَلَا بِذِكْرِ اللّٰهِ تَطْمَئِنُّ الْقُلُوبُ

„რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰის ხსენებით იჯერეს გულნი მათნი. დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!“

(რად 13/28)

اِنَّمَا يَعْمُرُ مَسَاجِدَ اللّٰهِ مَنْ اٰمَنَ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ وَاَقَامَ الصَّلٰوةَ وَاٰتَى الزَّكٰوةَ وَلَمْ يَخْشَ اِلَّا اللّٰهَ فَعَسٰى اُولٰٓئِكَ اَنْ يَّكُوْنُوْا مِنَ الْمُهْتَدِيْنَ

„მხოლოდ ისინი ააგებენ ალლაჰის სამლოცველოებს, ვინც ირწმუნა ალლაჰი, დღე უკანასკნელი და აღავლინა ლოცვა, გაიღო ზექათი და არ აქვს შიში, გარდა ალლაჰისა. ეგების ჭეშმარიტ გზაზე მავალნი იყვნენ ეგენი!“

(თევბე 9/18)

اَلَّذِيْنَ يُبَلِّغُوْنَ رِسَالَاتِ اللّٰهِ وَيَخْشَوْنَهٗ وَلَا يَخْشَوْنَ اَحَدًا اِلَّا اللّٰهَ وَكَفٰى بِاللّٰهِ حَسِيْبًا

„რომელნიც უნაკლოდ გადასცემენ ალლაჰის ბრძანებებს და ეშინიათ მისი. არ ეშინიათ არავისი, გარდა ალლაჰისა. და ალლაჰი კმარა ანგარიშმგებად!“

(აჰზაბ 33/39)

უპირველესად ღმერთის შუამავლების და ყველა მორწმუნის გულებში არის ღვთისადმი შიში. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ მათ შორის მან ყველაზე კარგად იცოდა ღმერთი და ყველაზე მეტად ეშინოდა მისი. ვისაც ღმერთის ეშინია ის სხვებისგან არ შეშინდება, რადგან ეს შიში ადამიანს გაბედულს ხდის. მეორეს მხრივ ამ ქვეყნად ღვთისმოშიშებს საიქიოში საშიში აღარაფერი ექნებათ.

5) თასავვუფში მიზნის მისაღწევად “სეირუ-სულუქ”-ის გზით სიარული

თასავვუფი განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობაა და ამ მდგომარეობაში მყოფი მორწმუნე უპირველესად ფარზებს, ვაჯიბს, და სუნნეთებს უნდა ასრულებდეს. ამათ გარდა არსებობს არასავალდებულო ღვთისმსახურება- ნაფილე. მათი შესრულება მადლია, შეუსრულებლობა კი - ცოდვა არ არის. თასავვუფის შემთხვევაში მათ მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი ნაფილე ლოცვებია: დილის ლოცვის დრომდე სალოცავი “თეჰეჯჯუდ” ლოცვი, მზის ამოსვლიდან 45-50 წუთის შემდეგ სალოცავი “ქუშლუქ” ლოცვი, საღამოს ლოცვის შემდეგ სალოცავი “ევვაბი” ლოცვი, ლოცვისწინა მცირე განბანვის შემდეგ სალოცავი “აბდესთ”ლოცვი. გარდა ამისა რეჯების და შაღბანის თვეში გარკვეული პერიოდით მარხვა,

უმრე, მოწყალების გაცემა და სხვა.

თასავვუფის მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა საკუთარი თავი უკეთ რომ გაწრთვნას, გული ღმერთისადმი უსაზღვრო სიყვარულით რომ აავსოს და ღვთისმსახურება უფრო მეტი ერთგულებით შეასრულოს საჭიროა ყოველდღე სხვადასხვა ლოცვების წაკითხვა. მაგ. თესბიჰი, ზიქრი, თექბირი და სხვა. ამ ყველაფრის ჩვეულებად ქცევას ჰქვია "სეირულ-სულუქ"-ის გზა. ასეთი ნაფილე ღვთისმსახურების სახეობა და რაოდენობა ადამიანის მდგომარეობის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს. თუმცა თითოეული მათგანი აიათს, ჰადისს და საჰაბეების ცხოვრებას ეყრდნობა. ზემოთ ნახსენები ხუთი დროის ლოცვის და მათზე მიყოლილი სუნნეთების გარდა ნაფილე ლოცვები წმ. შუამავალს უმეტესად ულოცავს და თავისი მეგობრებისთვისაც ურჩევია. თუმცა სავალდებულოდ არ გაუხდია. ასეა ნაფილე მარხვაც.

ყურანში ბევრგანაა ნაბრძანები, რომ სამყაროში რაც არსებობს, ცაში და დედამიწაზე, სულიერი თუ უსულო, ყველაფერი გამჩენი ღმერთის სახელს ახსენებს. ამ მოვლენას "თესბიჰი"ჰქვია. ანუ ხმამაღლა თქმა იმისა, რომ ღმერთი არის ყოველმხრივ შემკული და უნაკლო. დღეს ქიმიაში უკვე ცნობილია, რომ უსულო საგნების ყველაზე უმცირესი ნაწილაკის, ატომის შიგნით, ბირთვის გარშემო მოძრავი ელექტრონები წამში 300 ათასი კმ. სიჩქარით მოძრაობენ და ეს მნიშვნელობის მატარებელია. სულიერი და უსულო საგნების მიერ ღვთის სადიდებლად "თესბიჰ"-ის შესახებ აიათებია მოვლენილი:

تُسَبِّحُ لَهُ السَّمٰوَاتُ السَّبْعُ وَالْاَرْضُ وَمَنْ ف يهِنَّ وَاِنْ مِنْ شَىْءٍ اِلَّا يُسَبِّحُ بِحَمْدِه وَلٰكِنْ لَا تَفْقَهُونَ تَسْب يحَهُمْ اِنَّهُ كَانَ حَل يمًا غَفُورًا

„დიდებას აღავლენს მისთვის შვიდი ცა, მიწა, და ყოველი, რაც მათ შორისაა. არ არს რაიმე, მას რომ არ განადიდებდეს ქებით, მაგრამ თქვენ ვერ ჩასწვდებით მათ ქება-დიდებანს. უეჭველად, იგი სულგრძელია, შემნდობია!"

(ისრა 17/44)

وَسَبِّحُوهُ بُكْرَةً وَاَص يلا

„და ადიდეთ დილით და საღამოს!" (აჰზაბ 33/42)

فَخَرَجَ عَلٰى قَوْمِه مِنَ الْمِحْرَابِ فَاَوْحٰى اِلَيْهِمْ اَنْ سَبِّحُوا بُكْرَةً وَعَشِيًّا

„ამის შემდეგ გამოვიდა მიჰრაბიდან თავის ხალხთან და მათ ანიშნა: „რომ ელოცათ დილით და საღამოს!“ (მერიემი 19/11)

ყურანში ხშირად არის მოცემული, როგორც ბრძანებები, ისე რჩევები ღმერთის სახელის ხშირად ხსენების მოწოდებით. ღმერთის სახელის ხსენება, ყოველთვის მის შესახებ ფიქრი ღმერთის სახელებიდან რომელიმეს ხსენებით გამოიხატება. თასავვუფის დროს, ღმერთის სახელის ხსენებამ მორწმუნის გულზე ეფექტი რომ იქონიოს მისი ხშირად გამეორებაა საჭირო. ზუსტი რაოდენობა წმ. წიგნში არ არის მოცემული.

قَالَ رَبِّ اجْعَلْ ل ی اٰیَةً قَالَ اٰیَتُكَ اَلَّا تُكَلِّمَ النَّاسَ ثَلٰثَةَ اَیَّامٍ اِلَّا رَمْزًا وَاذْكُرْ رَبَّكَ كَث یرًا وَسَبِّحْ بِالْعَشِیِّ وَالْاِبْكَارِ

„თქვა (ზაქარიამ): „უფალო ჩემო! მომეცი მე რამე ნიშანი“. თქვა: „შენი ნიშანი ისაა, რომ სამ დღეს არ დაელაპარაკები ხალხს, თუ არა მინიშნებით. და ახსენე უფალი შენი გამუდმებით (მრავალჯერ), და განადიდე დილას და საღამო ჟამს!“(ალი იმრან 3/41)

وَاذْكُرْ رَبَّكَ ف ی نَفْسِكَ تَضَرُّعًا وَخ یفَةً وَدُونَ الْجَهْرِ مِنَ الْقَوْلِ بِالْغُدُوِّ وَالْاٰصَالِ وَلَا تَكُنْ مِنَ الْغَافِل ینَ

„და გულში ახსენე ღმერთი შენი მოწიწებით და შიშით, და არა ხმამაღალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგუნურთაგანი!“(არაფ 7/205)

اَلَّذ ینَ یَذْكُرُونَ اللّٰهَ قِیَامًا وَقُعُودًا وَعَلٰی جُنُوبِهِمْ وَیَتَفَكَّرُونَ ف ی خَلْقِ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ رَبَّنَا مَا خَلَقْتَ هٰذَا بَاطِلًا سُبْحَانَكَ فَقِنَا عَذَابَ النَّارِ

„რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე, და ფიქრობენ ცათა და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ): „ღმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ (ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება შენდა! დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან.“ (ალი იმრან 3/191)

فَاِذَا قَضَیْتُمُ الصَّلٰوةَ فَاذْكُرُوا اللّٰهَ قِیَامًا وَقُعُودًا وَعَلٰی جُنُوبِكُمْ فَاِذَا اطْمَاْنَنْتُمْ فَاَق یمُوا الصَّلٰوةَ اِنَّ الصَّلٰوةَ كَانَتْ عَلَی الْمُؤْمِن ینَ كِتَابًا مَوْقُوتًا

„და როცა ლოცვა დაასრულოთ, „ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი“ . და როცა უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულეთ სრულად. უეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია განსაზღვრულ დროს.“(ნისა 4/103)

یَا اَیُّهَا الَّذ ینَ اٰمَنُوا اذْكُرُوا اللّٰهَ ذِكْرًا كَث یرًا

وَسَبِّحُوهُ بُكْرَةً وَاَص یلا

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენეთ ალლაჰი მრავალგზის!“

„და ადიდეთ დილით და საღამოს!“(აჰზაბ 33/41- 42)

ღვთის შუამავალმა მსგავს აიათებში მოცემული ზოგიერთი თესბიჰის, ზიქრის “ღმერთის ხსენების” რაოდენობა მიუთითა. მაგ. ჰადისით ცნობილია, რომ ლოცვის ლოცვის დასრულების შემდეგ თესბიჰის დროს, 33-ჯერ “სუბჰანელლაჰ”, 33-ჯერ “ელჰემდულილლაჰ” და 33-ჯერ “ელლაჰუ ექბერ” უნდა წარმოვთქვათ. ამის შესრულების შემთხვევაში ცოდვები მოგეტევებათო, ბრძანებდა წმ. შუამავალი.

ასევე შუამავლის გადმოცემით დღეში ასჯერ “სუბჰანელლაჰ” წარმოთქმა მადლია და ადამიანის ათასამდე შეცდომის პატიების მიზეზი გახდება.

ებუ ჰურეირეს გადმოცემულ ჰადისშიც მსგავსი თესბიჰის რაოდენობა 100-ია. ჰადისში ნათქვამია, რომ ვინც დღეში ასჯერ იტყვის: “ლა ილაჰე ილლელლაჰუ ვეჰდეჰუ ლა შერიქე ლეჰ ლეჰულ მულქუ ვე ლეჰულ ჰემდუ ვე ჰუვე ალა ქულლი შეი ინ ყედირ.” თითქოსდა ერთი მონა გაუთავისუფლებია იმდენ ჯილდოს დაიმსახურებს, გარდა ამისა 100 სიკეთე დაეწერება და 100 ცუდი მოეშლება, მთელი დღის განმავლობაში სატანისგან დაცული იქნება. ამაზე უფრო მადლიან ნაფილე ღვთისმსახურებას მხოლოდ ამაზე მეტის გამკეთებელი შეასრულებს.

მექაში, მუნაფიყების (ადამიანი, რომელსაც არ სწამს, მაგრამ მუსლიმანების მოსატყუებლად თვალთმაქცობს) მეთაური აბდულლაჰ იბნ უბეი მძიმედ ავად გახდა. მისმა შვილმა სთხოვა წმ. შუამავალს ღმერთს შევედრებოდა. მოვლინებულ აიათში კი ნაბრძანები იყო, რომ სამოცდაათჯერაც რომ პატიება ეთხოვა არ მიეტევებოდა. სამოცდაათჯერ თხოვნის შემდეგ გარდაცვლილის ჯენაზეს ლოცვა დააპირეს. მაშინ მოევლინა აიათი და ლოცვა არ შედგა.

რელიგიურად განსწავლულ პიროვნებას შეუძლია მსგავსი ნაფილე ღვთისმსარურების მსურველებს ლოცვების დრო და რაოდენობა და შესრულების გზები მიუთითოს.

ბ.) თასავვუფის გავლილი ეტაპები და წარმომადგენლები

თასავვუფი, როგორც ცხოვრების სტილი, როგორც განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდებს გადიოდა. ესენია: "ზუჰდ"-ის პერიოდი, სისტემური თასავვუფის პერიოდი, ფილოსოფიური თასავვუფის პერიოდი და "ტარიყათ"ის პერიოდი.

1) ზუჰდის პერიოდი. (ზუჰდ- ამქვეყნიურ ყველა და ყვალაფრისგან შორს ყოფნა)

ჰიჯრით პირველ და მეორე საუკუნეებში პიროვნების სულიერი მდგომარეობის სიღრმეების და სიმდიდრის დასახასიათებლად ხშირად იყენებდნენ სიტყვებს: ზუჰდ, რიქაქ, თაყვა და სხვ. ასეთი ადამიანები უმეტესწილად დროს საიქიო ცხოვრების სამზადისში ატარებდნენ. თასავვუფიც ხომ გულის სიწმინდეს, ლამაზ მორალურ პრინციპებს და სულიერ სიძლიერეს ესწრაფვის. მისი მიზანია ამქვეყნიური ცხოვრებიდან საიქიო ცხოვრებისკენ ყურადღების გადატანა და ცდუნებებზე გამარჯვებული, მაღალი ზნეობის მართლმორწმუნის ჩამოყალიბება.

წმ. შუამავლის პერიოდში ადამიანები სხვადასხვა სფეროთი და მიმართულებით იყვნენ დაინტერესებულნი. ზოგიერთი მისი მეგობარი ცოდნას ეწაფებოდა, ზოგი სარწმუნოების გავრცელებისთვის შრომობდა, ზოგი საღვთო ომს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგი მმართველობით იყო დაინტერესებული და ა.შ. გარდა ამისა არსებობდნენ მორწმუნეები, რომლებიც ღვთისმსახურებით იყვნენ დაინტერესებულნი. ესენი იყვნენ უპირველესად ოთხივე ხალიფა, "ღეშერეი მუბეშშერე"-ს წევრები, ოსმან იბნ მეზუნი, მუსაბ იბნ უმეირი, ამმარ იბნ იასირი, ჰაბბაბი, ბილალი, სუჰაიბი, სელმანი, ებუ ზერი, მიქდადი, მუღაზი, ებუ-დ დერდა, ჰუზეიფე, აბდულლაჰ იბნ ომერი, აბდულლაჰ იბნ ამრი. მოგვიანებით პერიოდებში ვინც გადაწყვიტა თასავვუფისათვის მიემართა ეს პიროვნებები და მათი ცხოვრების სტილი აიღეს მაგალითად. ამ თვალსაზრისით ისინი იყვენენ თასავვუფის ჯაჭვის პირველი რგოლი.

ზუჰდის პერიოდის შემდეგი წამომადგენლებიდან ზოგიერთის სახელებს ჩამოვთვლით:

ვეისელ ყერანი, ჰასან ბასრი, ჯაფერ სადიქ, იბრაჰიმ იბნ ედჰემ,

სუფიან სერვი, შაქიქ ბელჰი, დავუდ თაი, აბდულლაჰ იბნ მუბარექ, რაბიათულ ადევიე, ფუდაილ იბნ იაზ და სხვ.

2) სისტემური თასავვუფის პერიოდი

ჰიჯრით მესამე საუკუნიდან თასავვუფის, როგორც სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. ამ პერიოდში ერთის მხრივ თასავვფუის წესები, პრინციპები და მეთოდები ყალიბდებოდა, მეორეს მხრივ კი აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა ზემოქმედების მატარებელი ინსტიტუტები განვითარდა. ამ დროს დადგინდა ღმერთისკენ სულიერად დაახლოების გზაზე სხვადსხვა საფეხურები და სულიერი მდგომარეობა. ამის შემდეგ მოდიოდა მდგომარეობა, როდესაც ამ ქვეყნიურ თვისებებს ზეციური ჩაანაცვლებს. შემდეგ კი შუამავლობასთან მიახლოებული მდგომარეობა.

თასავვუფის, როგორც სისტემის ჩამოყალიბების პროცესში აღზრდილი სწავლულები და მოღვაწეები იყვნენ: ბაეზიდ ბესტამი, ჰაქიმ თირმიზი, ჰალლაჯი მანსურ, შიჰაბუდინ სუჰრევერდი, ფერიდუდინ ათთარ, მევლანა ჯელალედდინ რუმი, სადრედინ ქონევი, ქემალედდინ ქეშანი და აბდულლაჰ ბოსნევი.

თასავვუფმა, მის მიერ შეძენილი ახალი ფორმის ზოგიერთი შეხედულების გამო კრიტიკა დაიმსახურა. ამის საპასუხოდ თასავვუფის ახალი ფორმის შემადგენლობაში “ვაჰდეთი-ვუჯუდ”-ი შევიდა. მუჰიდდინ იბნულ არაბი თავისი ორი ნაწარმოებით (“ელ-ფუთუჰათულ მექქიე” და “ფუსუსულ-ჰიქემ”) “ვაჰდეთულ ვუჯუდ”-(არსებობეს ერთადერთობა) ის განმარტებას შეეცადა. თავისი მოსაზრებების დამტკიცებას კი ფილოსოფიიდან და რწმენის შემსწავლელი მეცნიერებიდან აღებული მტკიცებულებებით შეეცადა. მოგვიანებით კი ზოგიერთმა გამოჩენილმა სუფისტმა “ვაჰდეთულ ვუჯუდი” შემდგომ მთამომავლობას გააცნო.

3.) ფილოსოფიური თასავვუფის პერიოდი

თასავვუფის ამ გზით განვითარებამ, რასაც "ვაჰდეთი- ვუჯუდ" –ის ფილოსოფია მოჰყვა შედეგად ბევრი კრიტიკა გამოიწვია. საჭირო გახდა ისეთი გზის არჩევა, რომელიც ისლამის ზოგად პრინციპებს არ დაუპირისპირდებოდა. ამისათვის შემუშავებული ახალი თეორია ისლამის წესების გათვალისწინებით ახალი კუთხიდან უნდა განმარტებულიყო. რაც შეიძლება მეტი მნიშვნელობა მიეცა გონებას და აზროვნებას. "ვაჰდეთი ვუჯუდის " საპირისპიროდ გამოიცა "ვაჰდეთი შუჰუდ"-ი.

ამ ახალი მიმართულების თავდაპირველი წარმომადგენლები იყვნენ: ჯუნეიდ ბაღდადი, ჰარის მუჰასიბი, სერრაჯი, ებუ თალიბ მექქი, ქელაბაზი, ქუშერი, გაზალი, იმამი რაბბანი და სხვები.

მათი ნაწარმოებებით სუფისტური საფუძვლები წერილობით წყაროებად იქცა. ამ მიმართულებამ განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ერაყში და ინდოეთში. ამავე დროს ჰორასანში ორი ახალი თასავუფის სკოლა აღმოცენდა: "მელამეთ"-ი და "ფუთუვვეთ"-ი. ჰამდუნ ელ ქასსარმა "მელამეთ"-ის სახით სულიერი ცხოვრების შესახებ ახალი კომენტარები გააკეთა. "ფუთუვვეთ"ის წარმომადგენლები კი იყვნენ: ებუ ჰათსი, აჰმედ იბნ ჰადრევეიჰი და შაჰ შუჯაი შირმანი. მათი მოსაზრებები უფრო ახალგაზრდების აღზრდისკენ იყო მიმართული, ხოლო "მელამეთ"-ი უფრო გულწრფელ ღვთისმსახურების და მოჩვენებითი ღვთისმსახურების საკითხებს შეეხებოდა.

4) თარიქათული თასავვუფის პერიოდი

მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში თასავვუფის მიმდევართა რიგებში დაიწყო სხვადსხვა დაჯგუფებების, ორგანიზაციების და ჯემაათების ჩამოყალიბება. თასავუფის ზოგიერთი ახალი თეორიით და მეთოდებით სხვადასხვა სექტები შექმნეს. ამგვარად ხალხში თასავვუფის უფრო მეტად გავრცელება შეძლეს. ასეთი ორგანიზებული ჯემაათები მთელ ისლამურ სამყაროში დღემდე არსებობენ. ახლა ჩამოვთვლით თასავვუფის წარმომადგენელ სწავლულებს, რომლებმაც დაარსეს ასეთი ორგანიზაციები.

აბდულქადირ ჯეილანი, (ქადირიე) აჰმედ იესევი (იესევიე), აჰ-

მედ რიფაი (რიფაიე), ნეჯმეთთინ ქუბრა (ქუბრევიე), სუჰრევერდი (სუჰრევერდიე), ებულ ჰასენ ეშ-შაზელი (შაზელია), მევლანა ჯალალედდინ რუმი (მევლევიე), ბაჰაედდინ ნაქშიბენდი (ნაქშიბენდიე), სირაჯედდინ ომერ (ჰალვეთიე) ჰაჯი ბაირამ ველი (ბაირამიე).

ეს ორგანიზებული სექტები შეიხების, ხალიფების მეშვეობით მთელ ისლამურ სამყაროში გავრცელდა. სელჩუკების და ოსმალების პერიოდში მევლევიესთან ერთად ჰაჯი ბექთაში ველი-ს და ჰაჯი ბაირამ ველი-ს მიერ ჩამოყალიბებული თასავვუფის მიმდინარეობები, ბექთაშიე და ბაირამიე გავრცელდა.

როდესაც სუფიზმი და სუფისტები გამოჩნდნენ საქმიანობისთვის ადგილი და სახლები ჭირდებოდათ. თავდაპირველად მეჩეთებში, მედრესებში, სახლებში და მსგავს ადგილებში იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ, სხვადასხვა თემებს განიხილავდნენ. შემდეგ როცა მომძლავრდნენ და გამრავლდნენ სპეციელური ადგილის საჭიროება შეიქმნა. პირველი მსგავსი თასავვუფის ორგანიზაცია "ჰანქაჰ"-ი სირიაში შეიქმნა. დროთა განმავლობაში ეს ორგანიზაცია სწრაფად გაძლიერდა. სხვადასხვა პერიოდში და რეგიონში განსხვავებული სახელებით მოიხსენიებდნენ. აქ თასავვუფის ცოდნასთან ერთად სხვადასხვა რელიგიურ თუ საერო მეცნიერებებს ასწავლიდნენ. ზოგიერთ ადგილებში მედრესეების როლი იტვირთეს. აგრეთვე მგზავრებისათვის და ღარიბ-ღატაკთათვის ღამის გასათევი ადგილიც იყო. ეს ნაბიჯი სოციელური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სახსრებს სხვადასხვა ფონდებისგან, სახელმწიფო მოხელეების, და სხვა სიკეთის მოყვარულ ადამიანების შემოწირულობებით შოულობდნენ. ამ ყველაფრის გარდა განვითარდა პოეზია, ლიტერატურა, მუსიკა.

გ) თასავვუფის თეორიაში არსებული გადაცდომები.

თასავვუფი სხეულსა და სულს შორის, გარეგანსა და შინაგანს შორის, სიტყვასა და აზრს შორის უპირატესობას ყოველთვის ამ უკანასკნელთ ანიჭებდა. თუმცა პირველებს, სხეულს, გარეგანს და სიტყვას არ უარყოფდა. ამასთან ერთად დროის სვლასთან ერთად ამ წყვილებს შორის მანძილი გაიზარდა და უფსკრული გაჩნდა. ამ უფსკრულის ამოსავსებად, შარიათის და თასავვუფის ერთიმეორესთან შესაბამისობაში მოსაყვანად თასავვუფის ცნობილი სწავლულების მიერ ბევრი ნაწარმოებია დაწერილი. ესენი იყვნენ:

ებუ ნასრ ეს-სერრაჯი, ებუ თალიბ მექქი, ქუშეირი, გაზალი და სხვ.

იმ პერიოდისათვის სხვადასხვა რელიგიებიდან, რელიგიური მიმდინარეობებიდან, მისტიკური მიმდევრობებიდან, ფილოსოფიურ და რელიგიური ტრადიციებიდან ზოგი რამ თასავვუფის შიგნით შეერია და გადაჭარბების ტენდენცია გაჩნდა. ამის საპასუხოდ, მუსლიმთა გადაცდომისგან გადასარჩენად სულემმა "გალათუს-სუფიე" დაწერა. ამ საკითხს ეხებოდა აგრეთვე სერრაჯის "ელ-ლუმა".

თასავვუფის თეორიის გადაცდომის ზოგიერთ წერტილს მოკლედ შევეხებით.

1) საიქიო ცხოვრებაზე უპირატესობის მინიჭებისას ამ ქვეყნიურის მთლიანად უარყოფა.

ისლამში საიქიო ცხოვრებიის მნიშვნელობა და მისი მუდმივობა მნიშვნელოვანი თემაა და საიქიოსთვის სამზადისის შესახებ უამრავი რჩევა დარიგებებია მოცემული, თუმცა ისლამი ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებას შორის წონასწორობის დაცვას ითხოვს. წმ. შუამავალი და მისი მეგობრები საზოგადოების ნაწილი იყვნენ და ამა ქვეყნისათვის ისინიც შრომობდნენ. ყურანში ნაბრძანებია:

وَابْتَغِ ف يمَا اٰتيكَ اللّٰهُ الدَّارَ الْاٰخِرَةَ وَلَا تَنْسَ نَص يبَكَ مِنَ الدُّنْيَا وَاَحْسِنْ كَمَا اَحْسَنَ اللّٰهُ اِلَيْكَ وَلَا تَبْغِ الْفَسَادَ فِى الْاَرْضِ اِنَّ اللّٰهَ لَا يُحِبُّ الْمُفْسِدِينَ

„იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი!" (ყასასი 28/77)

ცნობილია, რომ საიქიო ცხოვრებისთვის მზადებაში ზოგიერთი მორწმუნე ნაფილე ღვთისმსახურებას ზომაგადაცილებული ინტენსივობით ეკიდებოდნენ და წმ. შუამავალმა ისინი გააფრთხილა. შუამავლის მეგობრებიდან რამოდენიმემ შუამავლის მეუღლეებს შეეკითხნენ, თუ რა ღვთისმსახურებას ეწეოდა შუამავალი ღამით. შეიძლება მიბაძვით რომლიმე მათგანს მთელი ღამე ლოცვის გადაწყვეტილება მიეღო, ან ყოველთვის ნაფილე მარხვა დაეცვა, ან კიდევ, ქალთან ყოფნის სურვილი აღარ გამოემჟღავნებინა და არ დაქორწინებულიყო. შუამავალმა რომ გაიგო, ბრძანა:

"ზოგიერთ თქვენგანს ასეთი რამ უკითხავს. მე ლოცვას ვლოცულობ, კიდეც მძინავს. -კიდეც ვმარხულობ, ზოგჯერ კი არ ვმარ-

ხულობ; ქალებზეც ვქორწინდები. ვინც ჩემს სუნნეთს უარყოფს ჩემიანი არ არის.”

ყურანში ნაბრძანებია სავალდებულო მოწყალების გაღება, ჰაჯობა (პილიგრიმობა მექაში), მოწყალება და სხვა, რომლებიც ქონებასთან, სიმდიდრესთან ახლო კავშირშია. ესეც ერთ-ერთი მტკიცებულებაა იმისა რომ ამქვეყნიური საქმეები არ უნდა უარვყოთ და უნდა ვიშრომოთ.

2) თასავვუფის ზოგიერთი ვითომდა მიმდევარი ამტკიცებდა, რომ ადამიანი ღვთისმსახურების და მორჩილების შედეგად ღმერთთან მიაღწევს და მის მერე ვალდებული აღარ არის ღვთისმსახურება და თაყვანისცემა გააგრძელოსო. მათ შემდეგი აიათი თავისებურად გაიგეს და მტკიცებულებად იყენებდნენ.

وَاعْبُدْ رَبَّكَ حَتَّى يَأْتِيَكَ الْيَقِينُ

„თაყვანი ეცი შენს ღმერთს, ვიდრე არ აღესრულები!“ (ჰიჯრ 15/ 99)

სინამდვილეში ”ახლოს” მისვლა ამ შემთხვევაში სიკვდილს აღნიშნავდა. ეს ნამდვილმა თასავვუფის მიმდევრებმა სწორად გაიგეს. გარდა ამისა არავითარი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ წმ. შუამავალს და “ღეშერეი მუბეშშერე”-ს ჯგუფში შესულ ადამიანებს, რომლებიც უეჭველად სამოთხეში უნდა შევიდნენ ჯანმრთელად ყოფნის დროს ღვთისმსახურება არ შეუწყვეტიათ.

წმ. შუაამავალი შეუძლოდ რომ გახდა ებუ ბექირი აირჩია იმამად, მაგრამ როცა გამოჯანმრთელდა ისევ წარუძღვა მლოცველებს. ხალიფა ომარს ხომ ლოცვის დროს დაესხნენ თავს. მოკლედ ზემოთ მოყვანილი აიათი არც საჰაბეებს და არც სუნნეთის მიმდევრებს მსგავსი მნიშვნელობით არასოდეს განუმარტავთ.

3.) რწმენა იმისა, რომ მოჩვენებითი ღვთისმსახურებისგან (რია) თავის დასაცავად რელიგიური ტრადიციების საპირისპიროდ მოქცევაა საჭირო.

ზოგიერთი (ვითომდა) თასავვუფის მიმდევრების აზრით საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვანი არ არის. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ღმერთის გარდა არავის არ უნდა მიაქციო ყურადღება. ეს შეხედულება ყურანს და სუნნეთს ეწინააღმდეგება, რადგან ხალხის წინააღმდეგ ვინც წავა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება და ისლამს ზიანს მოუტანს.

4.) რწმენა იმისა, რომ ველი (ადამიანი, რომელმაც ღვთისმოსაობით ღმერთის კმაყოფილების მოპოვება შეძლო) შუამავლებზე მაღლა დგას.

თასავვუფის ზოგიერთი მიმდევარი "ქეჰფ" სურაში მოცემული აიათს მტკიცებულებად იყენებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ველი შუამავლებზე მაღლა დგას. მათი აზრით შუამავლები მხოლოდ ანგელოზების საშუალებით იღებდნენ ზეშთაგონებას ღმერთისგან, მაშინ როცა "ველი"-ს პირდაპირ ღმერთისგან შეეძლო მისი მიღება. სინამდვილეში ვერცერთი ველი ვერ გახდება შუამავალი. შუამავლები კი იმავე დროს ველის ტიტულსაც ატარებენ. შუამავლებში ორივე თვისება ერთადაა ამიტომ ველის შუამავალზე მაღლა დგომის მტკიცება არალოგიკურია. უეჭველია, რომ შუამავლებისთვის არა მარტო ანგელოზებს მოჰქონდათ ზეციური ინფორმაცია არამედ შთაგონების გზითაც გადმოდიოდა. ყურანში ნაბრძანებია:

وَلَوْلَا فَضْلُ اللّٰهِ عَلَيْكَ وَرَحْمَتُهُ لَهَمَّتْ طَّائِفَةٌ مِنْهُمْ اَنْ يُضِلُّوكَ وَمَا يُضِلُّونَ اِلَّا اَنْفُسَهُمْ وَمَا يَضُرُّونَكَ مِنْ شَىْءٍ وَاَنْزَلَ اللّٰهُ عَلَيْكَ الْكِتَابَ وَالْحِكْمَةَ وَعَلَّمَكَ مَا لَمْ تَكُنْ تَعْلَمُ وَكَانَ فَضْلُ اللّٰهِ عَلَيْكَ عَظِيمًا

„და ალლაჰის მადლი რომ არა და წყალობა მისი შენზე, ერთი ჯგუფი მათგან ყველაფერს იღონებდა, რომ გზას აეცდინე შენ. მაგრამ ვერავის ააცდენენ ეგენი გზას, საკუთარი თავის გარდა, და ვერ გავნებენ ვერაფერს. და ალლაჰმა გარდმოავლინა წიგნი და სიბრძნე და შეგასწავლა ის, რაც არ იცოდი. და ალლაჰის მადლი უდიდესია შენდა!" (ნისა 4/ 113)

ამის მიხედვით წმ. შუამავალ მუჰამმედს ყურანის გარდა ჰქონდა ღვთიურ კონტროლს დაქვემდებარებული ნიჭი, რომელიც სუნნეთში გამოიხატა.

ყურანში წერია:

مَا ضَلَّ صَاحِبُكُمْ وَمَا غَوٰى

وَمَا يَنطِقُ عَنِ الْهَوٰى

اِنْ هُوَ اِلَّا وَحْىٌ يُوحٰى

„არ გადაცდენილა თქვენი მეგობარი და არც წონასწორობიდან გამოსულა, და არც მეტყველებს თავისი ნებით. რამეთუ იგი მხოლოდ ზეშთაგონებაა, ზეშთაგონებული."(ნეჯმ 53/ 2-4)

5) რწმენა იმისა, რომ ყველაფერი მუბაჰია (სარწმუნოებით არც აკრძალული და არც სავალდებულო ქმედება)

თასავვუფის ზოგიერთი მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ თუ სხვის უფლებებს არ დაარღვევ, მაშინ ყველა ქმედება მუბაჰია. ანუ არც მადლია და არც ცოდვა. ზოგიერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ გული სუფთა და უცოდველი ჰქონდა, ამიტომ ვალდებულებები ან აკრძალვები მას არ ეხებოდა. ამ შეხედულებების არალოგიკურობა ისედაც ცხადია. არც ყურანის საფუძვლებს ემთხვევა და არც სუნნეთს მიესადაგება. ისლამში ნათლადაა მითითებული ნებადართული და აკრძალული.

6) ჰულულ

ამ თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ღმერთი ადამიანის სხეულში შევა და ამ დროს ადამიანურ თვისებებს ღვთიური ჩაანაცვლებს. ეს მოსაზრება ისლამის საფუძვლებს ეწინააღმდეგება და მკრეხელურ ელემენტებს შეიცავს.

7) რეინკარნაციის რწმენა

ამ თეორიის მიმდევრები აცხადებენ, რომ ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ, თავისი დამსახურების მიხედვით სხვა ადამიანის, ან ცხოველის სხეულში გადავა და ამგვარად სასჯელს მოიხდის. ამ თეორიის მიმდევრები მტკიცებულებად შემდეგ აიათს იშველიებენ:

قَالُوا رَبَّنَا اَمَتَّنَا اثْنَتَيْنِ وَاَحْيَيْتَنَا اثْنَتَيْنِ فَاعْتَرَفْنَا بِذُنُوبِنَا فَهَلْ اِلٰى خُرُوجٍ مِنْ سَبِيلٍ

თქვეს: „ღმერთო ჩვენო! შენ ამოგვხადე სული ორჯერ და გაგვაცოცხლე ორჯერ. ამგვარად ჩვენ ვაღიარეთ ჩვენი ჩადენილი ცოდვები. ნეტავ არის გზა გასასვლელისკენ?“ (მუმინუნ 40/11)

სუნიტების აზრით, ამ აიათში ნახსენები ორი სიკვდილიდან პირველი, ადამიანის დაბადებამდელ მკვდარ მდგომარეობას ნიშნავს, ხოლო მეორე საიქიოში გარდასვლის დროს სიკვდილი. პირველი გაცოცხლება დაბადებაა, ხოლო მეორე – სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება და განკითხვა. აიათში, ჯოჯოხეთის მკვიდრნი გასასვლელ გზას ეძიებენ, თავიდან დედამიწაზე დაბრუნებას და ახალ შანსს ითხოვენ, მაგრამ მათ ეს შანსი აღარ მიეცემათ.

წმ. წიგნში და სუნნეთში მოცემულია, რომ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში გაკეთებული სიკეთე და მადლი ადამიანის საიქიო მდგომარეობას განსაზღვრავს. წარმოიდგინეთ, რამოდენიმე სხეულში

ნამყოფი სული საბოლოო განკითხვის დროს რომელ ცხოვრებაზე უნდა აგოს პასუხი, რა თქმა უნდა ბუნდოვანია და ზუსტი პასუხის მოძებნა ძნელია.

გარდა ამისა, არსებობს ზოგიერთი ცოდვა და შეცდომა, რომელსაც ადამიანი სჩადის, მაგრამ ის მაინც მორწმუნედ ითვლება. მაგ. ამქვეყნიური საქმეებზე მთლად თავის დანებება, დაუქორწინებლობა, სიფრთხილის გამოჩენის ბედისწერის უგულებელყოფად ჩათვლა, შეიხების წმინდანებად ჩათვლა, განსაკუთრებული, განსხვავებული ტანსაცმლის ჩაცმა, თმისა და წვერის ჰიგიენისა და სისუფთავის დაუცველობა და სხვა.

მოკლედ, ისლამში წმ. წიგნით, სუნნეთით, იჯმათი და ყიასით დამტკიცებული დებულებები ყველა მუსლიმისთვის საერთო და გასათვალისწინებელია. თასავვუფში ამას შარიათი ჰქვია. ფარზები (ნაბრძანები, აუცილებლად შესარულებელი), ვაჯიბები (აუცილებლად შესარულებელი, რომლის შესახებ ყურანში ღიად არ არის მითითებული), ჰარამი (არამი, სარწმუნოებით აკრძალული) და უეჭველი ჰადისებით განმტკიცებული სუნნეთი ამ ჯგუფში შედიან. გარდა ამისა ზემოთ ნახსენები ნაფილე ღვთისმსახურებით მორწმუნე სიკეთეს და ღვთის წყალობას მოიმკის, მაგრამ საჭიროა კომპეტენტური პიროვნების მიერ რჩევა და გზის მითითება.

ამათ გარდა თუკი მორწმუნე ადამიანი გაიღებს მოწყალებას, მონაწილეობას მიიღებს სალოცავის, გზების, ხიდების, წყლის და მსგავსი რამეების მშენებლობაში, ეს სიკეთით აისახება მის ამქვეყნიურ მდგომარეობაზე და საიქიოში მუდმივ ჯილდოს მიიღებს.

VII- მუქელლეფ

“მუქელლეფ” ვალდებულების მქონე ადამიანს ნიშნავს. ისლამში მუქელლეფი ჰქვია ზრდასრულ და ჭკუასრულ მუსლიმს, რომელსაც სარწმუნოებრივი ბრძანებები და აკრძალულები შეეხება. ადამიანი, რომელიც გახდება იმ ასაკის, როდესაც შეძლებს თავისუფალი ნებით ქმედებებს, მისი ლაპარაკი, ქცევა და საქმიანობა ისლამის მიხედვით გარკვეულ კანონიერების ჩარჩოებში განიხილება.

ასეთი ვალდებულებების მქონე ადამიანის ქმედებები ისლამის მიხედვით 8 კატეგორიაშია განხილული: ფარზი, ვაჯიბი, სუნნეთი,

მუსთეჰაბი, მუბაჰი, ჰარამი, მექრუჰი და მუფსიდი. ქვემოთ შევეცდებით ყველა ესენი განვმარტოთ. ასეთი კლასიფიკაცია ჰანეფის მიდინარეობის მიხედვითაა. სხვა მიმდინარეობების მიხედვით კი ხუთია: ვაჯიბი, მენდუფი, ჰარამი, მექრუჰი და მუბაჰი.

ა) ფარზი (აუცილებლად შესასრულებელი, ყურანში ნაბრძანები)

ღმერთის ან წმ. შუამავლის მიერ ნაბრძანებ ქმედებებს ფარზი ჰქვია. ამის მიხედვით ფარზი მტკიცდება პირდაპირ და ღიად ნაბრძანები აიათით, რომლის სხვა მნიშვნელობით გაგება გამორიცხულია. აგრეთვე მტკიცე (მუთევათირ) და ცნობილ (მეშჰურ) ჰადისებით, და იჯმას გადაწყვეტილებით. დღეში ხუთჯერ ლოცვის ლოცვა, რამაზნის თვეში მარხვა, ზექათი (ვისაც შეეხება სავალდებულო მოწყალების გაღება) და პილიგრიმობა (ჰაჯობა) მსგავსი ფარზის მაგალითებია. ამათ შესახებ არსებობს, როგორც პირდაპირი მნიშვნელობის აიათები, ისე წმ. შუამავლის მტკიცე და ცნობილი ჰადისები, ასევე პრაქტიკული მაგალითები.

ყურანიში პირდაპირაა მოწოდებული:

وَاَقِيمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَارْكَعُوا مَعَ الرَّاكِعِينَ

„და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და მუხლი მოიყარეთ მუხლმოდრეკილებთან ერთად.“

وَاِذْ اَخَذْنَا مِيثَاقَ بَنِي اِسْرَائِيلَ لَا تَعْبُدُونَ اِلَّا اللّٰهَ وَبِالْوَالِدَيْنِ اِحْسَانًا وَذِي الْقُرْبٰى وَالْيَتَامٰى وَالْمَسَاكِينِ وَقُولُوا لِلنَّاسِ حُسْنًا وَاَقِيمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ ثُمَّ تَوَلَّيْتُمْ اِلَّا قَلِيلًا مِنْكُمْ وَاَنْتُمْ مُعْرِضُونَ

„აკი, აღთქმა ავიღეთ ისრაილის ძეთაგან: რომ არავისთვის ეცათ თაყვანი, ალლაჰის გარდა; და მშობლებს კეთილად მოპყრობოდნენ, ასევე ნათესავებს, ობლებს, ღატაკებს. და რომ ადამიანებისთვის ტკბილი სიტყვა ეთქვათ, აღევლინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი. მაგრამ მერე აღთქმა დაარღვიეთ თქვენ, გარდა მცირედისა. და თქვენ პირი იბრუნეთ.

وَاَقِيمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَمَا تُقَدِّمُوا لِاَنْفُسِكُمْ مِنْ خَيْرٍ تَجِدُوهُ عِنْدَ اللّٰهِ اِنَّ اللّٰهَ بِمَا تَعْمَلُونَ بَصِيرٌ

ლოცვად დადექით (შეასრულეთ), ზექათი გაეცით და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან. უეჭველად, ალლაჰი ხედავს, რასაც აკეთებთ!“ (ბაყარა 2/43, 83,110)

اَلَمۡ تَرَ اِلَى الَّذ ينَ قِ يلَ لَهُمۡ كُفُّوا اَيۡدِيَكُمۡ وَاَق يمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ فَلَمَّا كُتِبَ عَلَيۡهِمُ الۡقِتَالُ اِذَا فَر يقٌ مِنۡهُمۡ يَخۡشَوۡنَ النَّاسَ كَخَشۡيَةِ اللّٰهِ اَوۡ اَشَدَّ خَشۡيَةً وَقَالُوا رَبَّنَا لِمَ كَتَبۡتَ عَلَيۡنَا الۡقِتَالَ لَوۡلَاۤ اَخَّرۡتَنَاۤ اِلٰۤى اَجَلٍ قَر يبٍ قُلۡ مَتَاعُ الدُّنۡيَا قَل يلٌ وَالۡاٰخِرَةُ خَيۡرٌ لِّمَنِ اتَّقٰى وَلَا تُظۡلَمُونَ فَت يلا

„განა არ გინახავს, რომელთაც ებრძანათ: აიღეთ ხელები თქვენი და აღავლინეთ ლოცვა და გაეცით სავალდებულო მოწყალება! და როცა დაწესებული იქნა მათზე ბრძოლა, მათგან ნაწილს ეშინოდა ხალხის, როგორც უნდა ეშინოდეთ ალლაჰის, ან უფრო ძლიერი შიშით. და თქვეს მათ: ღმერთო ჩვენო! რატომ დაადგინე ბრძოლა ჩვენზე? განა არ შეიძლება გადაგვივადო მცირე ხნით?! უთხარი: ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნება ხანმოკლეა, საიქიო ცხოვრება იმათთვის უკეთესია, ვინც ღვთისმოშიშია და არ დაიჩაგრებიან ხურმას კურკის ღარში აპკი რომ აქვს, იმ დონეზეც კი ! „

فَاِذَا قَضَيۡتُمُ الصَّلٰوةَ فَاذۡكُرُوا اللّٰهَ قِيَامًا وَّقُعُودًا وَّعَلٰى جُنُوبِكُمۡ فَاِذَا اطۡمَاۡنَنۡتُمۡ فَاَق يمُوا الصَّلٰوةَ اِنَّ الصَّلٰوةَ كَانَتۡ عَلَى الۡمُؤۡمِن ينَ كِتَابًا مَّوۡقُوتًا

„და როცა ლოცვა დაასრულოთ, „ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი“. და როცა უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულეთ სრულად. უეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია განსაზღვრულ დროს.“

(ნისა 4/77, 103),

وَاَق يمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَاَط يعُوا الرَّسُولَ لَعَلَّكُمۡ تُرۡحَمُونَ

„ილოცეთ, გაეცით ზექათი და ჰმორჩილებდეთ შუამავალს, ეგებ შეიქმნათ შეწყალებულნი!“

(ნურ 24/56)

აგრეთვე:

اِنَّ رَبَّكَ يَعۡلَمُ اَنَّكَ تَقُومُ اَدۡنٰى مِنۡ ثُلُثَىِ الَّيۡلِ وَنِصۡفَهُ وَثُلُثَهُ وَطَاۤئِفَةٌ مِنَ الَّذ ينَ مَعَكَ وَاللّٰهُ يُقَدِّرُ الَّيۡلَ وَالنَّهَارَ عَلِمَ اَنۡ لَنۡ تُحۡصُوهُ فَتَابَ عَلَيۡكُمۡ ۖ فَاقۡرَءُوۡا مَا تَيَسَّرَ مِنَ الۡقُرۡاٰنِ عَلِمَ اَنۡ سَيَكُونُ مِنۡكُمۡ مَّرۡضٰى وَاٰخَرُونَ يَضۡرِبُونَ فِى الۡاَرۡضِ يَبۡتَغُونَ مِنۡ فَضۡلِ اللّٰهِ وَاٰخَرُونَ يُقَاتِلُونَ ف ى سَب يلِ اللّٰهِ فَاقۡرَءُوۡا مَا تَيَسَّرَ مِنۡهُ وَاَق يمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَاَقۡرِضُوا اللّٰهَ قَرۡضًا حَسَنًا وَمَا تُقَدِّمُوا لِاَنۡفُسِكُمۡ مِّنۡ خَيۡرٍ تَجِدُوهُ عِنۡدَ اللّٰهِ هُوَ خَيۡرًا وَّاَعۡظَمَ اَجۡرًا وَاسۡتَغۡفِرُوا اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ غَفُورٌ رَّح يمٌ

უეჭველად, შენი ღმერთი უწყის, რომ შენ ლოცვას აღავლენ სულ მცირე ღამის ორ მესამედ ან ამის ნახევარს, ან მის მესამედს, და ერთი ჯგუფი იმათგან, რომელნიც შენთან ერთად არიან. და ალლაჰმა გამოთვალა დღე და ღამე, იგი უწყის, რომ თქვენ ვერ გამოთვლიდით მას. ამიტომაც მოგიტევათ თქვენ. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ ყურანისგან. იგი უწყის, რომ თქვენგან ერთი ნაწილი ავად გახდებოდა და სხვა დანარჩენები იმოგზაურებდნენ დედამიწაზე ალლაჰის წყალობის საძიებლად. და კიდევ სხვები იბრძვიან ალლაჰის გზაზე. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ მისგან და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და ასესხეთ ალლაჰს კეთილი სესხი. და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან, უფრო დიდი სიკეთედ და უდიდეს საზღაურად. და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ, რამეთუ ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია!

(მუზემმილ 73/20)

ფარზი აუცილებლად შესასრულებელია. მისი გამოტოვება ან შეუსრულებლობა ისევ შესრულებით უნდა ანაზღაურდეს. ვინც ფარზს უარყოფს, ანუ იტყვის, რომ ფარზი არ არის სარწმუნოების საზღვრებს მიღმა აღმოჩნდება.

ფარზი ორი სახისაა: “ღაინ”-ი და “ქიფაე”.

1) ფარზი ღაინი ყველა ზრდასრულმა მუსლიმმა პირადად უნდა შეასრულოს. მუსლიმთა რაღაც ნაწილის მიერ შესრულება დანარჩენებს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. ასეთებია: დღეში ხუთჯერ ლოცვა, რამაზნის თვეში მარხვა, ზექათი და ჰაჯობა.

2) ფარზი ქიფაე ვალდებული მუსლიმებისთვის არა ცალკ-ცალკე, არამედ ერთად შესასრულებელი ბრძანებაა. ამიტომ მუსლიმების ნაწილი თუ შეასრულებს, დანარჩენები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან. ასეთებია: ომში წასვლა, ყურანის ზეპირად სწავლა, მოწმეობა, სიკეთისკენ მოწოდების და ბოროტებაზე ხელის შეშლის მცდელობა, საზოგადოებისთვის სასარგებლო ხელობის შესწავლა, ჯენაზეს (მიცვალებულის გასვენებისას სალოცავი ლოცვი) ლოცვა და სხვა. ისლამურ საზოგადოებაში თუ ზოგიერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ამ ფარზებს შეასრულებს სხვებს პასუხისმგებლობა მოეხსნებათ. ხოლო, თუ საზოგადოებამ საერთოდ არ შეასრულა მაშინ ეს პასუხისმგებლობა მთელ მასას დაეკისრება.

ბ) ვაჯიბი

ისლამის სამართალმცოდნეების უმრავლესობა თვლის, რომ ვაჯიბი და ფარზი ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. ორივე მათგანი ერთი და იგივე დებულებებს ეყრდნობა. ჰანეფის მიმდევრების მიხედვით ფარზი და ვაჯიბი განსხვავებულ მნიშვნელობებს ატარებს. ვაჯიბის შესრულება ყველა ვალდებული მუსლიმისათვის ღმერთის და შუამავლის მიერაა ნაბრძანები, თუმცა ისინი არაპირდაპირი მტკიცებულებებითაა განმტკიცებული. მაგ. ფითრის მოწყალება, მსხვერპლის შეწირვა (ყურბანი), ვითრის და ბაირამის ლოცვა, ლოცვის ლოცვისას ფათიჰას სურას წაკითხვა და სხვ.

ვაჯიბი აუცილებლად შესასრულებელია. თუმცა მისი გამოტოვება ან შეუსრულებლობა ფარზთან შედარებით ნაკლები საჯელით ისჯება. ვინც ვაჯიბს უარყოფს, ანუ იტყვის რომ ის ვაჯიბი არ არის ურწმუნოდ მაინც არ ჩაითვლება. ასეთი ადამიანი ცოდვილია. ლოცვის ლოცვისას შესასრულებელი ვაჯიბებიდან რომელიმეს განგებ გამოტოვება ჰარამთან ახლო მექრუჰია. ლოცვის ვაჯიბის შეცდომით გამოტოვება ან დაგვიანება სევიჰ სეჯდეს საჭიროებს. ფარზის შეუსრულებლობით კი ლოცვი წყდება.

ყურანში ნაბრძანებია: “ილოცე შენი გამჩენისთვის და მსხვერპლი შესწირე! “ ამ აიათში ბაირამის ლოცვის ლოცვის და მსვერლის შეწირვის ბრძანების ადრესატი წმ. შუამავალია. ანუ ესენი წმ. შუამავლისათვის ფარზია. თუმცა ზუსტად არ არის მინიშნებული, ეს აიათი დანარჩენ მუსლიმანებს ეხება თუ არა. ამასთან ერთად მიიჩნევა, რომ ამ ბრძანების მოქმედების არეალი დანარჩენ მუსლიმებსაც მოიცავს. ამრიგად ვაჯიბი სუნნეთზე უფრო სავალდებულოა, მაგრამ ფარზს ცოტათი ჩამოუვარდება, რადგან აიათში მოცემული მტკიცებულება არაპირდაპირია. ამრიგად მიღებულ ღვთიური ბრძანების სახეობას ვაჯიბი ჰქვია.

მაგალითად ლოცვის ლოცვისას თუ ყურანიდან საერთოდ არაფერს წავიკითხავთ ლოცვი ბათილდება. ეს იმიტომ რომ ყურამში ნაბრძანებია:

اِنَّ رَبَّكَ يَعْلَمُ اَنَّكَ تَقُومُ اَدْنٰى مِنْ ثُلُثَىِ الَّيْلِ وَنِصْفَهُ وَثُلُثَهُ وَطَآئِفَةٌ مِنَ الَّذِ ينَ مَعَكَ وَاللّٰهُ يُقَدِّرُ الَّيْلَ وَالنَّهَارَ عَلِمَ اَنْ لَنْ تُحْصُوهُ فَتَابَ عَلَيْكُمْ ۚ فَاقْرَؤُا مَا تَيَسَّرَ مِنَ الْقُرْاٰنِ عَلِمَ اَنْ سَيَكُونَ مِنْكُمْ مَرْضٰى وَاٰخَرُونَ يَضْرِبُونَ فِى الْاَرْضِ يَبْتَغُونَ مِنْ فَضْلِ اللّٰهِ وَاٰخَرُونَ يُقَاتِلُونَ ف ى سَبِ يلِ اللّٰهِ فَاقْرَؤُا مَا تَيَسَّرَ مِنْهُ وَاَقِ يمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَاَقْرِضُوا اللّٰهَ قَرْضًا حَسَنًا وَمَا تُقَدِّمُوا لِاَنْفُسِكُمْ مِنْ خَيْرٍ تَجِدُوهُ عِنْدَ اللّٰهِ هُوَ خَيْرًا وَاَعْظَمَ اَجْرًا وَاسْتَغْفِرُوا اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ غَفُورٌ رَح يمٌ

უეჭველად, შენი ღმერთი უწყის, რომ შენ ლოცვას აღავლენ

სულ მცირე ღამის ორ მესამედ ან ამის ნახევარს, ან მის მესამედს, და ერთი ჯგუფი იმათგან, რომელნიც შენთან ერთად არიან. და ალლაჰმა გამოთვალა დღე და ღამე, იგი უწყის, რომ თქვენ ვერ გამოთვლიდით მას. ამიტომაც მოგიტევათ თქვენ. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ ყურანისგან. იგი უწყის, რომ თქვენგან ერთი ნაწილი ავად გახდებოდა და სხვა დანარჩენები იმოგზაურებდნენ დედამიწაზე ალლაჰის წყალობის საძიებლად. და კიდევ სხვები იბრძვიან ალლაჰის გზაზე. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ მისგან და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და ასესხეთ ალლაჰს კეთილი სესხი. და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან, უფრო დიდი სიკეთედ და უდიდეს საზღაურად. და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ, რამეთუ ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია!

“მუზემმილ 73/20 “

ამ აიათით ლოცვის ლოცვისას ყურანის კითხვა ფარზი ხდება. თუმცა ლოცვის ლოცვისას “ფათიჰა”-ს სურას წაუკითხველობა ლოცვის ბათილობისთვის საკმარის მიზეზად არ ჩაითვლება, თუმცა დიდი დარღვევაა. ეს იმიტომ რომ ლოცვის დროს ფათიჰას სურას კითხვა არა პირდაპირი, არამედ ნავარაუდევი მტკიცებულებითაა დამტკიცებული. ეს მტკიცებულება კი წმ. შუამავლის ჰადისია:

“ვინც ლოცვისას ფათიჰას არ წაიკითხავს მისი ლოცვი არ არსებობს.”

გ) სუნნეთი

სუნნეთის ლექსიკონისეული მნიშვნელობები შემდეგია: კარგი მორალი, კარგი ზნე, გზა, ღმერთის კანონი, მდგომარეობა, ნაჩვევი გზა.

კარგი ან ცუდი გზით სვლა ნახსენებია შემდეგ ჰადისში:

“ვინც კარგ ჩვეულებას, წესს წამოიწყებს განკითხვამდე არამარტო თავისი ქცევის მიხედვით დაეწერება მადლი, არამედ მათი ვინც მას მიბაძავს. ხოლო ვინც ცუდ ჩვეულებას, წესს წამოიწყებს

განკითხვის დღემდე არამარტო თავისი ქცევის მიხედვით დაეწერება ცოდვა, არამედ მათი ვინც მას მიბაძავს".

სუნნეთი, როგორც ისლამის სამართლებრივი ტერმინი წმ. შუამავლის სიტყვებს და ქმედებებს მოიცავს, აგრეთვე მის მიერ ნახულ, ან გაგონილ ქმედებებს, რომლებიც მოიწონა.

სუნნეთი სამია სახისაა: სუნნეთი მუექქედე, ღაირი მუექქედე და ზევაიდ სუნნეთი.

1) სუნნეთი მუექქედე- სუნნეთი, რომელსაც წმ. შუამავალი ყოველთვის ასრულებდა და მხოლოდ იშვიათად გამოუტოვებია. ესენი არ არის არც ფარზი და არც ვაჯიბი. ასეთ სუნნეთს ვინც შეასრულებს მადლია, ხოლო ვინც არ შეასრულებს სასჯელს არ იმსახურებს. თუმცა დაგმობას და საყვედურს იმსახურებს.

მაგალითად, დილის, შუადღის და საღამოს ლოცვის სუნნეთები. ლოცვის წინა მცირე განბანვის (აბდესთი) დროს პირში წყლის გამოვლება და სხვა. ამ ტიპის სუნნეთს "სუნნეთი ჰუდა"-ც ეწოდება.

2) ღაირი მუექქედე- სუნნეთი, რომელსაც წმ. შუამავალი უმეტესად ასრულებდა, მაგრამ ზოგჯერ გამოტოვებდა. სამხრობის (იქინდი) და ღამის (იათსი) ლოცვების სუნნეთი. ღაირი მუექქედეს კატეგორიაში შემავალ სუნნეთებს მუსთეჰაბი, ან მენდუბიც ჰქვია.

ამ კატეგორიაში შემავალ სუნნეთებს ვინც შეასრულებს მადლია, ხოლო ვინც არ შეასრულებს დაგმობას ან საყვედურს არ იმსახურებს.

3) ზევაიდ სუნნეთი- წმ. შუამავლის, როგორც ადამიანის ყოველდღიური ქცევები, რომლებიც სარწმუნოების გავრცელებასთან, ან რწმენის საკითხებთან არ არის დაკავშირებული. მისი ჭამის, სმის ან ჩაცმულობის მანერები. თეთრ ტანსაცმელზე უპირატესობის მინიჭება, წვერის და თმების ინით შეღებვა და სხვა.

მორწმუნე, რომელიც შუამავლისადმი სიყვარულის და პატივისცემის გამოხატვის გამო მასავით ჭამს, სვამს ან ჩაიცვამს მადლს დაიმსახურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდ ქცევაში არ ჩაეთვლება.

ჰანეფის მიმდევრების გარდა, სხვა მიმდინარეობების სამარ-

თალმცოდნეების შეხედულებით ეს სამივე სახის სუნნეთი, ფარზის და ვაჯიბის გარდა მენდუბის კატეგორიაში შედის და აგრეთვე ისეთი ბრძანებები, რომელთა შესახებ ყურანში კატეგორიულად არ არის მითითებული.

დ..) მუსთეჰაბი

მუსთეჰაბი მოსაწონი, სამაგალითო საქციელია. ქცევები, რომლებსაც წმ. შუამავალი ზოგჯერ ასრულებდა და ზოგჯერ არა. ამაში შედის ზოგიერთი ნაფილე ლოცვის ლოცვა და ასევე ნაფილე მარხვაც. ღვთისმსახურების დროს ფარზის, ვაჯიბის და სუნნეთის გარდა ბევრი ელემენტია, რომლებიც მუსთეჰაბის კატეგორიაში შედის.

დილის ლოცვის არემარის განათებამდე ლოცვა, განსაკუთრებით ცხელი სეზონის დროს შუადღის ლოცვის აგრილებამდე მოცდა და ისე ლოცვა, საღამოს ლოცვის ადრიანად ლოცვა, აგრეთვე ლოცვის დროს ტანსაცმლის ღილების შეკრა მუსთეჰაბის მაგალითებია.

მუსთეჰაბის შესრულებით მადლის მიღება შეიძლება, ხოლო თუ არ შევასრულებთ ცოდვად არ ითვლება და არც დასაგმობია.

ე) მუბაჰი

ღმერთის და წმ. შუამავლის მიერ ადამიანებისთვის თავისუფალ ქმედებად დატოვებული ქცევები მუბაჰის კატეგორიაში მოიაზრებიან.

ქცევა, რომლის შესახებ რაიმე დებულება არ არსებობს ალალია, ანუ მუბაჰი. ყურანში ნაბრძანებია:

هُوَ الَّذ ى خَلَقَ لَكُمْ مَا فِى الْاَرْضِ جَم يعًا ثُمَّ اسْتَوٰى اِلَى السَّمَاءِ فَسَوّٰيهُنَّ سَبْعَ سَمٰوَاتٍ وَهُوَ بِكُلِّ شَىْءٍ عَل يمٌ

„იგია, რომელმაც ყოველივე თქვენთვის გააჩინა, რაცაა მიწაზე, შემდგომ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზეცისკენ აღაპყრო და გამოსახა შვიდ ცად მყარი წყობილება. იგი ყოველთა ყოვლისმცოდნეა. (ბაყარა 2/29)

اَلَمْ تَرَوْا اَنَّ اللّٰهَ سَخَّرَ لَكُمْ مَا فِى السَّمٰوَاتِ وَمَا فِى الْاَرْضِ وَاَسْبَغَ عَلَيْكُمْ نِعَمَهُ ظَاهِرَةً وَبَاطِنَةً وَمِنَ النَّاسِ مَنْ يُجَادِلُ فِى اللّٰهِ بِغَيْرِ عِلْمٍ وَلَا هُدًى وَلَا كِتَابٍ مُنِيرٍ

„ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ალლაჰმა დაგიმორჩილათ თქვენ ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და სრულჰყო თქვენდა თავისი მადლი ცხადიც და უხილავიც. მაგრამ ადამიანებს შორის არიან ისეთნიც, რომლებიც დაობენ ალლაჰის თაობაზე, ცოდნის, ჭეშმარიტი დამადგინებელისა და მანათობელი წიგნის გარეშე“. (ლუყმანი 31/20)

ამ აიათიდან ჩანს, რომ ცაში და დედამიწაზე რაც არსებობს ადამიანის სასარგებლოდაა გაჩენილი. თუკი აიათში ან ჰადისში არ არის აკრძალული, მაშინ ყოველი საჭმელი, სასმელი და გამოსაყენებელი რამ ალალია, მიღებულია. ესენი ადამიანისთვის სასარგებლო და გამოსაყენებელი რამეებია. ჰარამი კი ზიანის მომტანია.

რამე ქცევა მუბაჰად რომ ჩაითვალოს შემდეგი მიზეზებია საჭირო:

1) აიათი ან ჰადისი, რომელიც მის ალალობას ამტკიცებს. მაგ. სუფთა საკვების მიღება.

اَلْيَوْمَ اُحِلَّ لَكُمُ الطَّيِّبَاتُ وَطَعَامُ الَّذ ينَ اُوتُوا الْكِتَابَ حِلٌّ لَكُمْ وَطَعَامُكُمْ حِلٌّ لَهُمْ وَالْمُحْصَنَاتُ مِنَ الْمُؤْمِنَاتِ وَالْمُحْصَنَاتُ مِنَ الَّذ ينَ اُوتُوا الْكِتَابَ مِنْ قَبْلِكُمْ اِذَا اَتَيْتُمُوهُنَّ اُجُورَهُنَّ مُحْصِن ينَ غَيْرَ مُسَافِح ينَ وَلَا مُتَّخِذ ى اَخْدَانٍ وَمَنْ يَكْفُرْ بِالاِ يمَانِ فَقَدْ حَبِطَ عَمَلُهُ وَهُوَ فِى الاٰخِرَةِ مِنَ الْخَاسِر ينَ

„დღეიდან თქვენთვის საკვებად ნებადართულია ყველაფერი, რაც რამ კარგი და სუფთაა. ნებადართული გაქვთ იმათი საჭმელიც, ვისაც ებოძათ ღვთიური წიგნი , ასევე მათაც შეუძლიათ მიირთვან თქვენი საკვები. ნებადართულია თქვენთვის ცოლად მოიყვანოთ პატიოსანი და მორწმუნე ქალები, ასევე წესიერი ქალები მათგან, ვისაც თქვენზე ადრე მიეცათ ღვთიური წიგნი , და თუკი გადაუხდით ურვადს, ნება გაქვთ ცოლად შეირთოთ არა გარყვნილების მიზნით და არა საყვარლად. ვინც სარწმუნოებას უარყოფს, უკვე ფუჭია მისი საქმენი და საიქიოში წაგებულნი იქნებიან.“

(მაიდე 5/5)

მუბაჰი ეხება დროის და სახეობის შერჩევასაც. მაგ. საკვების მიღების დროის და სახეობის შერჩევა მუბაჰია. აგრეთვე ადამიანს შეუძლია სასურველ ქალზე დაქორწინდეს, თუ ეს ქალი მისთვის ალალია. ადამიანს შეუძლია გართობაც, თუმცა მთელი დროის გართობაში გატარება მიღებული არ არის.

2) თუ აიათში ან ჰადისში რაიმე ქცევის შესახებ არ არის მითითებული, რომ ის ცოდვაა, მაშინ ის მუბაჰად ითვლება. ყურანში ნაბრძანებია:

اِنَّمَا حَرَّمَ عَلَيْكُمُ الْمَيْتَةَ وَالدَّمَ وَلَحْمَ الْخِنْزِيرِ وَمَا اُهِلَّ بِهٖ لِغَيْرِ اللّٰهِ فَمَنِ اضْطُرَّ غَيْرَ بَاغٍ وَّلَا عَادٍ فَلَا اِثْمَ عَلَيْهِ اِنَّ اللّٰهَ غَفُوْرٌ رَّحِيْمٌ

„მან ხომ მხოლოდ ლეში, სისხლი და ღორის ხორცი აგიკრძალათ თქვენ და ის, რაც დაიკლა ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად. ხოლო ის, ვინც იძულებული იყოს, და არ დაარღვევს (სხვის) უფლებას, და ზღვარს არ გადავა , არ იქნება ცოდვად მათთვის. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!“ (ბაყარა 2/173)

وَلَا جُنَاحَ عَلَيْكُمْ فِيْمَا عَرَّضْتُمْ بِهٖ مِنْ خِطْبَةِ النِّسَاءِ اَوْ اَكْنَنْتُمْ فِيْٓ اَنْفُسِكُمْ عَلِمَ اللّٰهُ اَنَّكُمْ سَتَذْكُرُوْنَهُنَّ وَلٰكِنْ لَّا تُوَاعِدُوْهُنَّ سِرًّا اِلَّآ اَنْ تَقُوْلُوْا قَوْلًا مَّعْرُوْفًا وَلَا تَعْزِمُوْا عُقْدَةَ النِّكَاحِ حَتّٰى يَبْلُغَ الْكِتَابُ اَجَلَهٗ وَاعْلَمُوْٓا اَنَّ اللّٰهَ يَعْلَمُ مَا فِيْٓ اَنْفُسِكُمْ فَاحْذَرُوْهُ وَاعْلَمُوْٓا اَنَّ اللّٰهَ غَفُوْرٌ حَلِيْمٌ

„(ქალები, რომელნიც ელოდებიან ვადას) ცოდვად არ ითვლება, თუ ხელს სთხოვთ (ამ) ქალს ან გულში განიზრახავთ. ალლაჰმა იცის, რომ გაიხსენებთ მათ. და არ შეეთანხმოთ მათ ფარულად, მხოლოდ წესისამებრ დაელაპარაკეთ. და არ გაბედოთ საქორწინო კავშირი, ვიდრე სავალდებულოდ დაწესებული ვადა არ გავა. იცოდეთ, ალლაჰმა იცის თქვენი გულისნადები და უფრთხილდით მას. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, შემწყნარებელია.“ (ბაყარა 2/235)

اِنَّمَا الْمُؤْمِنُوْنَ الَّذِيْنَ اٰمَنُوْا بِاللّٰهِ وَرَسُوْلِهٖ وَاِذَا كَانُوْا مَعَهٗ عَلٰٓى اَمْرٍ جَامِعٍ لَّمْ يَذْهَبُوْا حَتّٰى يَسْتَاْذِنُوْهُ اِنَّ الَّذِيْنَ يَسْتَاْذِنُوْنَكَ اُولٰٓئِكَ الَّذِيْنَ يُؤْمِنُوْنَ بِاللّٰهِ وَرَسُوْلِهٖ فَاِذَا اسْتَاْذَنُوْكَ لِبَعْضِ شَاْنِهِمْ فَاْذَنْ لِّمَنْ شِئْتَ مِنْهُمْ وَاسْتَغْفِرْ لَهُمُ اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ غَفُوْرٌ رَّحِيْمٌ

„მორწმუნენი არიან მხოლოდ ისინი, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰი და მისი შუამავალი. როცა ისინი მის გვერდით არიან საერთო საქმეში, არ წავლენ მისი ნების გარეშე. უეჭველად, რომელნიც შენგან ნებართვას ითხოვენ, სწორედ ეგენი არიან, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰის და მისი შუამავალის. თუ ნებართვას გთხოვენ თავიანთი საქმეების გამო, ნება მიეცი მათგან იმას, ვისაც ინებებ, და შესთხოვე ალლაჰს მიუტევოს მათ. უეჭველად, ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია!“ (ნურ 24/62)

3) ღმერთის ბრძანება, რომელიც მუბაჰს შეეხება.

„და როცა ითხოვა მუსამ სასმელი თავისი ხალხისთვის, ჩვენ ვუთხარით: „ამთხვიე შენი ჯოხი კლდეს!“ მაშინვე ამოიფრქვა იქიდან თორმეტი წყარო. ამგვარად, ყველამ გაიგნო გზა თავისი წყაროსკენ. „ჭამეთ და სვით ალლაჰისგან ნაბოძები, მაგრამ არ იყოთ ზღვარგადასულნი დედამიწაზე!“ (ბაქარა 2/60)

4) ქცევა, რომლის შესახებ არაფერია მითითებული.

მუბაჰის შესრულებით ან შეუსრულებლობით ცოდვა ან მადლი არ იწერება. ყოველი მუსლიმანი მუბაჰის შესრულების საკითხში თავისუფალია.

ვ) ჰარამი (არამი)

ისლამის მიხედვით კატეგორიულად აკრძალულ ქცევას არამი ჰქვია. არამის დებულება შეიძლება ეყრდნობოდეს აიათს, მტკიცე (მუთევათირ) ჰადისს ან ცნობილ (მეშჰურ) ჰადისს. საჭიროა პირდაპირ იყოს მითითებული აკრძალული ქცევის შესახებ. ჰანეფის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობის სამართალმცოდნეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჰარამის მტკიცებულებად ე.წ. “ზანნი” (საეჭვო) მტკიცებულებაც მიიღება.

ღმერთის ან წმ. შუამავლის მიერ რაიმის აკრძალვა შემდეგნაირი სახის შეიძლება იყოს:

1. პირდაპირ, სიტყვით მითითებული, რომ ესა თუ ის ქცევა არამია, აკრძალულია.

حُرِّمَتْ عَلَيْكُمْ اُمَّهَاتُكُمْ وَبَنَاتُكُمْ وَاَخَوَاتُكُمْ وَعَمَّاتُكُمْ وَخَالَاتُكُمْ وَبَنَاتُ الْاَخِ وَبَنَاتُ الْاُخْتِ وَاُمَّهَاتُكُمُ الّٰتِ ی اَرْضَعْنَكُمْ وَاَخَوَاتُكُمْ مِنَ الرَّضَاعَةِ وَاُمَّهَاتُ نِسَائِكُمْ وَرَبَائِبُكُمُ الّٰتِ ی ف ی حُجُورِكُمْ مِنْ نِسَائِكُمُ الّٰتِ ی دَخَلْتُمْ بِهِنَّ فَاِنْ لَمْ تَكُونُوا دَخَلْتُمْ بِهِنَّ فَلَا جُنَاحَ عَلَيْكُمْ وَحَلَائِلُ اَبْنَائِكُمُ الَّذ ينَ مِنْ اَصْلَابِكُمْ وَاَنْ تَجْمَعُوا بَيْنَ الْاُخْتَيْنِ اِلَّا مَا قَدْ سَلَفَ اِنَّ اللّٰه كَانَ غَفُورًا رَح يمًا

„აკრძალულია თქვენთვის ცოლებად თქვენი დედები, შვილე-

ბი, დები, დეიდები და მამიდები, ძმისშვილები და დისშვილები და თქვენი დედები (ძიძები), ვინც ძუძუ გაწოვათ, ძუძუმტეები, თქვენი ცოლების დედები, თქვენი გერები, რომლებიც თქვენს მეურვეობის ქვეშ არიან, ვის დედებსაც ეთანაცხოვრეთ, და თუ არ გითანაცხოვრიათ მათთან, ცოდვად არ გეთვლებათ გერების ცოლად მოყვანა. გეკრძალებათ აგრეთვე თქვენი ღვიძლი შვილების ცოლები, ასევე გეკრძალებათ ერთდროულად ორი დის ცოლად შერთვა, გარდა, რაც წარსულში მოხდა. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!“

(ნისა 4/23)

حُرِّمَتْ عَلَيْكُمُ الْمَيْتَةُ وَالدَّمُ وَلَحْمُ الْخِنْزِيرِ وَمَا أُهِلَّ لِغَيْرِ اللَّهِ بِهِ وَالْمُنْخَنِقَةُ وَالْمَوْقُوذَةُ وَالْمُتَرَدِّيَةُ وَالنَّطِيحَةُ وَمَا أَكَلَ السَّبُعُ إِلَّا مَا ذَكَّيْتُمْ وَمَا ذُبِحَ عَلَى النُّصُبِ وَأَنْ تَسْتَقْسِمُوا بِالْأَزْلَامِ ذَلِكُمْ فِسْقٌ الْيَوْمَ يَئِسَ الَّذِينَ كَفَرُوا مِنْ دِينِكُمْ فَلَا تَخْشَوْهُمْ وَاخْشَوْنِ الْيَوْمَ أَكْمَلْتُ لَكُمْ دِينَكُمْ وَأَتْمَمْتُ عَلَيْكُمْ نِعْمَتِي وَرَضِيتُ لَكُمُ الْإِسْلَامَ دِينًا فَمَنِ اضْطُرَّ فِي مَخْمَصَةٍ غَيْرَ مُتَجَانِفٍ لِإِثْمٍ فَإِنَّ اللَّهَ غَفُورٌ رَحِيمٌ

„თქვენ აგეკრძალათ ლეში , სისხლი, ღორის ხორცი და ის, რაც ალლაჰის სახელით არ დაკლულა; აგრეთვე დახრჩობილი, დარტყმით მოკლული, სიმაღლიდან ჩამოვარდნილი, რქებზე წამოგებული, გარეული ცხოველის დაგლეჯილი, იმის გამოკლებით, რომელიც თქვენ დაკალით წესისამებრ ; და კერპთა სამსხვერპლოზე დაკლული; და ისიც, რომ ისრებით მოკლული გაინაწილოთ; ეს ყველაფერი სიბილწეა. დღეს რომელთაც არ იწამეს, იმათ უკვე გადაეწურათ იმედი, თქვენს რწმენას ჩამოგაშორონ, და ნუ გეშინიათ მათი, არამედ გეშინოდეთ ჩემი! დღეს მე სრულვჰყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია. „ (მაიდე 5/3)

ამ და მსგავს აიათებში რაიმის აკრძალვა პრიდაპირ სიტყვითაა მითითებული “ჰარამ”.

2. პირდაპირ სიტყვით მითითებული, რომ ესა თუ ის ქცევა ალალი არ არის.

لَا يَحِلُّ لَكَ النِّسَاءُ مِنْ بَعْدُ وَلَا أَنْ تَبَدَّلَ بِهِنَّ مِنْ أَزْوَاجٍ وَلَوْ أَعْجَبَكَ حُسْنُهُنَّ إِلَّا مَا مَلَكَتْ يَمِينُكَ وَكَانَ اللَّهُ عَلَى كُلِّ شَيْءٍ رَقِيبًا

„ამიერიდან გეკრძალება სხვა ქალები და იმათი შეცვლა სხვა ცოლებით, თუნდ მათმა სილამაზემ მოგაჯადოვოს. ეს არ ეხება მხევლებს, რომლებიც შენი მარჯვენით მოიპოვე. და ალლაჰი ყოვლისმეთვალყურეა!“ (აჰზაბ 33/52)

წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ “მუსლიმის ქონების აღება მისი თანხმობის გარეშე ალალი არ არის.”

4) პირდაპირ სიტყვით მითითებული, რომ ესა თუ ის ქცევა აკრძალულია.

وَلَا تَقْرَبُوا الزِّنٰى اِنَّهٗ كَانَ فَاحِشَةً وَسَاءَ سَبِيلا

„და არ მიუახლოვდეთ მრუშობას! უეჭველად, იგი ზნედაცემულობა და ცუდი გზაა.“

(ისრა 17/32)

5) ბრძანება რაიმე ქმედების მიმართ მორიდების შესახებ.

يَا اَيُّهَا الَّذِينَ اٰمَنُوا اِنَّمَا الْخَمْرُ وَالْمَيْسِرُ وَالْاَنْصَابُ وَالْاَزْلَامُ رِجْسٌ مِنْ عَمَلِ الشَّيْطَانِ فَاجْتَنِبُوهُ لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალკოჰოლური სასმელი, აზარტული თამაშები, კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია. განერიდეთ ამას, ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ!“ (მაიდე 5/90)

ამ აიათში “მოერიდეთ, არ მიუახლოვდეთ” სიტყვები ქცევის აკრძალულობაზე მიუთითებს.

არამის სახეები:

რაიმე ქცევის ან საერთოდ რაიმის არამად მიჩნევის საფუძველი მისი ზიანის მომტანი თვისებაა. არამის არამად ცნობის მიზეზი ან თავისი საზიანო თვისებაა, ან კიდევ მისგან გამომდინარე ზიანის მოტანის შესაძლებლობა. ამის მიხედვით არამი თავისი თვისებებიდან გამომდინარე ან პირდაპირია, ან გამომდინარე.

ა) პირდაპირი არამი- ღმერთის და შუამავლის მიერ, დროებითი მიზეზის გარეშე, თავიდანვე აკრძალული რამ. მაგ. მრუშობა, ქურდობა, მკვდარი ცხოველის ხორცის გაყიდვა, ისეთ პიროვნებასთან ქორწინება, ვისთანაც სარწმუნოებით აკრძალულია და სხვა. მათი არამად ცნობის მიზეზი მათვე თვისებებშია, როგორც არასწორი

და ცუდი ქმედება. პირდაპირი არამი ძირითადად იცავს ქონებას, სულს, გონებას, სარწმუნოებას და შთამომავლობას.

ბ) გამომდინარე არამი

მაგალითად მამაკაცის მიერ ქალის სხეულის ისეთი ადგილების დანახვა, რომლებიც სარწმუნოების მიხედვით დაფარული უნდა იყოს არამია, რადგან ამან შეიძლება მრუშობა გამოიწვიოს, მრუშობისკენ უბიძგოს ადამიანს. მრუშობა კი პირდაპირ არამია. ან კიდევ, ჯუმა ლოცვის დროს მამაკაცების მიერ ვაჭრობა არამია. ეს აკრძალვა სხვა მიზეზზეა დამოკიდებული. ანუ გარკვეული დროის მონაკვეთში ვაჭრობა აკრძალულია, იმიტომ რომ ლოცვას აცდენს ადამიანი. ესენი გამომდინარე არამის მაგალითებია.

თუ სერიოზული მიზეზი იქნება, ამ კატეგორიის არამი მუბაჰია და ცოდვად აღარ ჩაითვლება. მაგ. თუ ავადმყოფ ქალბატონს ექიმი სჭირდება და გასინჯვა დასაფარი ადგილების ნახვას ითვალისწინებს, ამასთან ერთად ექიმი ქალის ნახვის საშუალება არ არსებობს, ამ შემთვევაში ექიმს შეუძლია ნახოს ავადმყოფი ქალი.

არამის მაგივრად გამოიყენება სიტყვა ცოდვაც. ვინც არამს უარყოფს სარწმუნოების საზღვრებს მიღმა აღმოჩნდება.

ზ) მექრუჰ-ი

ეს არის ქცევა, რომელიც ღმერთს და შუამავალს არაპირდაპირი მითითებით აქვთ აკრძალული. მექრუჰსა და არამს ზოგი რამ საერთო აქვთ. ორივე მათგანი მიუღებელია, არასასიამოვნო და ცუდი ქმედებებში შედის. თუმცა არამისა და მექრუჰის ცნებები ჰანეფის და სხვა მიმდინარეობების მიხედვით რამდენადმე განსხვავებულია.

მაგალითად, არამი პირდაპირ ეყრდნობა აიათს, მტკიცე ჰადისს, ან ცნობილ ჰადისს, მაშინ როცა მექრუჰიც იგივე მტკიცებულებებს ეყრდნობა, მაგრამ არაპირდაპირი მეთოდით.

მექრუჰი ორი სახისაა: თაჰრიმენ (არამთან ახლო) და თენზიჰენ (ალალთან ახლო).

2. თაჰრიმენ მექრუჰი – ღმერთის და შუამავლის მიერ პირდაპირ მითითებული აკრძალული ქმედება, რომლიც არაპირდაპირ მტკიცებულებებზეა დაყრდნობილი:

ჰადისის მიხედვით ზოგიერთი ქცევა არამი უნდა იყოს, მაგრამ რადგანაც ეს ჰადისი მტკიცე და ცნობილი არ არის, ანუ არაპირდაპირია, ამიტომ ქცევა "თაჰრიმენ"

მექრუჰია, ანუ არამთან ახლო მექრუჰია.

ასეთი მექრუჰის ჩადენა სასჯელს ითვალისწინებს, მაგრამ მისი უარმყოფელი სარწმუნოების მიღმა არ რჩება.

2, თენზიმენ მექრუჰი- ქცევა, რომელიც ღმერთის და შუამავლის მიერ აკრძალულია არაპირდაპირი გზით. მაგ. თუ მეჩეთში მიმავალი ადამიანი ხახვს, ან ნიორს შეჭამს ეს თენზიმენ მექრუჰია. წმ. შუამავალი ბრძანებდა: "ვინც ხახვს და ნიორს შეჭამს ჩვენს მეჩეთში არ მოვიდეს, სახლში დარჩეს! " აქ ყურადღება გამახვილებულია, რომ სხვები არ შევაწუხოთ. სუნმა, ზედმეტმა ოფლმა, ჭუჭყიანმა წინდებმა და სხვ. საზოგადოება არ უნდა შეაწუხოს. ამ ტიპის მექრუჰი საჯელს და გაკიცხვას არ საჭიროებს, თუმცა ორივე ტიპის მექრუჰისგან თავის შეკავება მოსაწონი საქციელია. ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობები მიიჩნევენ, რომ თაჰრიმენ (არამთან ახლო) მექრუჰი არამის კატეგორიაში შედის.

თ) მუფსიდ-ი

ქმედება, რომელიც ღვთისმსახურების რომელიმე ფორმას, ან ცხოვრებისეულ ურთიერთობას (საქმიანობას) ნაკლოვანს ხდის, ანუ აუქმებს "მუფსიდ"-ი ეწოდება. ადამიანის ყოველი ქმედება განიხილება სარწმუნოებით დადგენილი წესის მიხედვით. ყოველი ქმედება წესებს და პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. ღვთისმსახურების ყოველი ფორმის ან ყოველდღიური ურთიერთობისთვის დადგენილია წესები და პირობები. თუ ადამიანი ამათ გაითვალისწინებს და ისე შეასრულებს მისი ღვთისმსახურება და საქმიანობა სრულყოფილი, მიღებული იქნება.

ღვთისმსახურების დროს თუ რომელიმე ფარზი ან პირობა უგულებელყოფილია ის ღვთისმსახურება (ლოცვი, მარხვა და სხვ.) გაუქმებულად ითვლება. მაგ. თუ ლოცვის ლოცვისას სეჯდეს არ შევასრულებთ- ფარზს გამოვტოვებთ, თუ აბდესის (ლოცვის წინა მცირე განბანვა) გარეშე ვილოცავთ -ლოცვის პირობას ვარღვევთ. ორივე შემთხვევაში ლოცვი მიღებულად არ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევებში ლოცვი თავიდან უნდა ვილოცოთ. ამ საკითხში ყველა მიმდინარეობის მიხედვით აზრთა თანხვედრა არსებობს.

ისლამის სამართალმცოდნეების მიხედვით ცხოვრებისეულ საქმიანობაშიც პირობების ნაკლოვანება შედეგზე მოქმედებს. მაგ. ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანის სავაჭრო შეთანხმება, ან ნისიად საქონლის გაყიდვა (გადახდის თარიღის მითითების გარეშე) სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. ასეთი შეთანხმება გაუქმებულად ითვლება.

VIII- აზიმეთი და რუხსათი (ნებართვა)

აზიმეთი ლექსიკონში რაიმისკენ ძლიერ მიდრეკილებას, მტკიცე განზრახულობას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი გამოხატავს იმ დებულებებს, რომლებიც ყველა ვალდებული მუსლიმისთვის ყველანაირ მდგომარეობაში საერთოა. მაგ. ლოცვი, მარხვა, ჰაჯობა და სხვ. რაც შეეხება აკრძალულებს, უსამართლოდ ვინმეს მოკვდინება, ღვინის სმა, ლეშის და ღორის ხორცის ჭამა და მსგავსი.

რუხსათი ლექსიკონში იოლს, ადვილს, გაადვილებას ნიშნავს. როგორც ტერმინი, ეს არის განსაკუთრებულ შემთხვევებისთვის დაწესებული დროებითი დებულება. გამომდინარე აქედან აზიმეთი ზოგად და ძირითად დებულებებს გამოხატავს, რუხსათი კი – გამონაკლის შემთხვევებზე დამოკიდებულ დებულებებს. აზიმეთის დროს ჩვეულებრივი მდგომარეობაა, ხოლო რუხსათის დროს მიზეზი, საჭიროება, გამონაკლისი შემთხვევა.

რუხსათი ოთხ ნაწილად იყოფა.

1) არამის რუხსათი (ნებართვა)

იძულების დროს, ან როდესაც საჭიროება იძულების დონემდე მივა არამი ქმედება მუბაჰად ჩაითვლება. სიკვდილის მუქარის, ან რომელიმე ორგანოს დაკარგვის საფრთხის ქვეშ მყოფ გულით მორწმუნე მუსლიმს შეუძლია თქვას სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში მას ურწმუნოს გახდიდა. ეს ნებართვა ღმერთმა იძულების ქვეშ მყოფების მისცა.

მაშინ, როცა მექელმა ურწმუნოებმა ამმარ იბნ იასირი დაატყვევეს და მისგან შუამავლის სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხოლო მათი კერპების ქება-დიდებას აიძულებდნენ ამმარმა შეასრულა მათი მოთხოვნა და როდესაც გაათავისუფლეს შუამავალს შესჩივლა. შუამავალმა რომ გაიგო ამმარის გული იმ სიტყვების წარმოთქმისას რწმენით იყო სავსე, ბრძანა

“თუ კიდევ გაწამებენ, შენც იგივე გააკეთე”.

2) ვაჯიბის შეუსრულებლობის ნებართვა

ფარზი და ვაჯიბი ღვთისმსახურების შესრულებისას თუ გარკვეული სიძნელეა, მორწმუნეს შეუძლია არ შეასრულოს. მაგ. რამაზნის თვეში მგზავრს ან ავადმყოფს შეუძლია არ იმარხოს. გაცდენილ დღეები შემდეგ უნდა აანაზღაუროს. ამასთან ერთად, ასეთ შემთხვევაში აზიმეთის მიხედვით ქმედება, ანუ მარხვის გაგრძელება უფრო მადლია. ეს ჩანს შემდეგ აიათში, რომელიც იმ აიათის შემდეგ მოდის რომელიც მსგავს ნებართვას აძლევს მუსლიმანებს.

اَيَّامًا مَعْدُودَاتٍ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا اَوْ عَلٰى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ اَيَّامٍ اُخَرَ وَعَلَى الَّذِينَ يُطِيقُونَهُ فِدْيَةٌ طَعَامُ مِسْكِينٍ فَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَهُوَ خَيْرٌ لَهُ وَاَنْ تَصُومُوا خَيْرٌ لَكُمْ اِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

„(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ“. (ბაქარა 2/184)

3) საერთო წესის საწინააღმდეგო ზოგიერთი სამართლებრივი საქმიანობის ნებართვა.

შეთანხმების დროს რეალურად საქონლის არარსებობის შემთხვევა. (წინასწარ ფულის გადახდა რაიმე საქონელში, ან ხელოსანზე შეკვეთის მიცემა) ადამიანების საჭიროებიდან გამომდინარე და ამ ტიპის საქმიანობა ჰადისით და გავრცელებული წესით ნებადართულ იქნა. ამ შემთხვევაში მიღებულია, როგორც ამ ნებართვის გამოყენება, ისე მისი უგულებელყოფა.

4) ადრინდელ ღვთიურ რელიგიებში არსებული მძიმე დებულებების გაუქმების ნებართვა.

ადრინდელ ღვთიურ სარწმუნოებებში არსებობდა ზოგიერთი მძიმე დებულება, რომლებიც წმ. შუამავლის მიმდევრებისთვის გაუქმებულ იქნა. მაგ. ცოდვის მოსანანიებლად თვითმკვლელობა, ღვთისმსახურების სპეციალური ადგილის გარდა სხვაგან შესრულების აკრძალვა, ომში ნადავლის არამობა, ეს ყველაფერი ადრინდელ სარწმუნოებებში არსებობდა და ისლამში გაუქმებულ იქნა.

لَا يُكَلِّفُ اللّٰهُ نَفْسًا اِلَّا وُسْعَهَا لَهَا مَا كَسَبَتْ وَعَلَيْهَا مَا اكْتَسَبَتْ رَبَّنَا لَا تُؤَاخِذْنَا اِنْ نَسِينَا اَوْ اَخْطَاْنَا رَبَّنَا وَلَا تَحْمِلْ عَلَيْنَا اِصْرًا كَمَا حَمَلْتَهُ عَلَى الَّذِينَ مِنْ قَبْلِنَا رَبَّنَا وَلَا تُحَمِّلْنَا مَا لَا طَاقَةَ لَنَا بِه وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا اَنْتَ مَوْلٰينَا فَانْصُرْنَا عَلَى الْقَوْمِ الْكَافِرِينَ

ამის მტკიცებულება შემდეგი აიათია: „ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. მისი იქნება რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმდეგ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე!“

(ბაყარა 2/286)

اَلَّذِينَ يَتَّبِعُونَ الرَّسُولَ النَّبِيَّ الْاُمِّيَّ الَّذِي يَجِدُونَهُ مَكْتُوبًا عِنْدَهُمْ فِي التَّوْرٰيةِ وَالْاِنْجِيلِ يَاْمُرُهُمْ بِالْمَعْرُوفِ وَيَنْهٰيهُمْ عَنِ الْمُنْكَرِ وَيُحِلُّ لَهُمُ الطَّيِّبَاتِ وَيُحَرِّمُ عَلَيْهِمُ الْخَبَائِثَ وَيَضَعُ عَنْهُمْ اِصْرَهُمْ وَالْاَغْلَالَ الَّتِي كَانَتْ عَلَيْهِمْ فَالَّذِينَ اٰمَنُوا بِه وَعَزَّرُوهُ وَنَصَرُوهُ وَاتَّبَعُوا النُّورَ الَّذِي اُنْزِلَ مَعَهُ اُولٰئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ

„რომელნიც მიჰყვებიან შუამავალს, წერა-კითხვის უცოდინარ ელჩს , ვისზეც ნახავენ დაწერილს თავიანთ თევრათსა და ინჯილში. იგი უბრძანებს მათ კეთილის გაკეთებას და უკრძალავს გასაკიცხს, და ნებას რთავს საამოს და უშლის საძაგელს , და ჩამოხსნის მათ ტვირთსა და ბორკილებს , რომელიც მათთვის იყო . მაშ, რომელთაც იწამეს იგი, მხარში ამოუდგნენ და ეხმარებოდნენ, და გაჰყვნენ ნათელს, რომელიც გარდმოევლინა მასთან ერთად , სწორედ, ეგენი ნეტარნი არიან! „

(არაფ 7 / 157)

აქამდე ღვთისმსახურებისა და ყოველდღიური საქმიანობის შესახებ ძირითად წყაროებზე ვისაუბრეთ. ახლა კი სარწმუნოებაში ძალზედ მნიშვნელოვან, რწმენის საკითხს შევეხებით.

ნაწილი მეორე

- რწმენა და მისი მოცულობა
- ღმერთის რწმენა
- ანგელოზების რწმენა
- წმ. წიგნების რწმენა
- შუამავლების რწმენა
- განკითხვის დღის რწმენა
- ბედისწერის რწმენა

I – რწმენა და მისი მოცულობა

ა) რწმენის ცნება

რწმენა (იმანი) ნათქვამის დადასტურებას, დათანხმებას, შინაგანად მის აღიარებას, მოპირდაპირისადმი ნდობას, გულით დაჯერებას ნიშნავს. სარწმუნოებაში აგრეთვე ნიშნავს მინდობას, ქედის მოხრას.

როგორც რელიგიური ტერმინი, რწმენა არის დიადი ღმერთის სარწმუნოების გულით დაჯერება და დადასტურება. ანუ წმ. შუამავლის მიერ ჩვენთვის მოტანილი სარწმუნოებრივი დებულებების ჭეშმარიტებაში დარწმუნება და მათი შინაგანად აღიარებაა. გამომდინარე აქედან რწმენის საფუძველი გულისმიერი დასტურია. გულის მიერ დადასტურება რწმენის უცვლელი პირობაა.

ჭეშმარიტი რწმენა გულიდან მომდინარეობს. ამის შესახებ ყურანში და ჰადისებში ბევრგანაა მითითებული.

يَا اَيُّهَا الرَّسُولُ لَا يَحْزُنْكَ الَّذ ينَ يُسَارِعُونَ فِى الْكُفْرِ مِنَ الَّذ ينَ قَالُوا اٰمَنَّا بِاَفْوَاهِهِمْ وَلَمْ تُؤْمِنْ قُلُوبُهُمْ وَمِنَ الَّذ ينَ هَادُوا سَمَّاعُونَ لِلْكَذِب سَمَّاعُونَ لِقَوْم اٰخَرِ ينَ لَمْ يَاْتُوكَ يُحَرِّفُونَ الْكَلِمَ مِنْ بَعْدِ مَوَاضِعِه يَقُولُونَ اِنْ اُوتِ يتُمْ هٰذَا فَخُذُوهُ وَاِنْ لَمْ تُؤْتَوْهُ فَاحْذَرُوا وَمَنْ يُرِدِ اللّٰه فِتْنَتَهُ فَلَنْ تَمْلِكَ لَهُ مِّنَ اللّٰهِ شَيْئًا اُولٰئِكَ الَّذ ينَ لَمْ يُرِدِ اللّٰه اَنْ يُطَهِّرَ قُلُوبَهُمْ لَهُمْ فِى الدُّنْيَا خِزْىٌ وَلَهُمْ فِى الْاٰخِرَةِ عَذَابٌ عَظ يمٌ

„ო, შუამავალო! არ დამწუხრდე იმათ გამო, რომელნიც ურწმუნოებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, მათგან რომელნიც პირით იტყვიან: ჩვენ ვიწამეთ, გულებს მათსას კი არ სწამთ; და იმათგან, რომელნიც იუდეველნი არიან, მსმენელნი სიცრუისა, მსმენელნი სხვა ხალხისა, ვინც შენთან არ მოსულა; ისინი სიტყვას ამახინჯებენ, მის შემდეგ რაც ის იყო თავის ადგილზე, ამბობენ: თუ მოგეცათ თქვენ ეს, მაშ, აიღეთ იგი, და თუ არ მოგცემიათ ეს, მაშინ განერიდეთ! და ვისი გამოცდაც ინებოს ალლაჰმა, მის დაცვას შენ ვერასდროს შეძლებ ალლაჰისგან. სწორედ ეგენი არიან, რომელთა გულების განწმენდაც ალლაჰის ნება არ არის. და მათთვისაა ამქვეყნად დამცირება, ხოლო იმქვეყნად მძიმე სასჯელი !“ (მაიდე 5/41)

فَمَنْ يُرِدِ اللّٰهُ اَنْ يَهْدِيَهُ يَشْرَحْ صَدْرَهُ لِلْاِسْلَامِ وَمَنْ يُرِدْ اَنْ يُضِلَّهُ يَجْعَلْ صَدْرَهُ ضَيِّقًا حَرَجًا كَاَنَّمَا يَصَّعَّدُ فِى السَّمَاءِ كَذٰلِكَ يَجْعَلُ اللّٰهُ الرِّجْسَ عَلَى الَّذ ينَ لَا يُؤْمِنُونَ

და ვის ჭეშმარიტ გზაზე დადგენას ინებებს ალლაჰი, გახსნის იმის გულს ისლამისთვის. და ვის გზააბნევაში დატოვებასაც ინებებს, შეუკუმშავს იმას გულს, და შეუწუხებს ისე, თითქოს ცაში ადიოდეს. და ასე მიაგებს ალლაჰი სასჯელს, რომელთაც არ სწამთ. (ენღამ 6/125)

გულში არსებული რწმენის მნიშვნელობის შესახებ წმ. შუამავალი ბრძანებდა: “გამჩენი სამოთხის მკვიდრთ სამოთხეში გაამწესებს, ჯოჯოხეთის მკვიდრთ კი – ჯოჯოხეთში. შემდეგ კი ბრძანებს, ვისაც გულში მდოგვის მარცვლისოდენა რწმენას აღმოუჩენთ ჯოჯოხეთიდან გამოიყვანეთო.”

აქედან გამომდინარე, თუ ადამიანს გულით სწამს და ამას ვერ გამოხატავს რაღაც მიზეზების გამო, ან მუქარის ქვეშ თუ იტყვის, რომ ურწმუნოა მისი გულის რწმენიდან გამომდინარე მორწმუნედ ითვლება.

ამის მაგალითად ისევ ამმარ იბნ იასირის შემთხვევას თუ გავიხსენებთ, მექელმა ურწმუნოებმა სიკვდილის მუქარით ათქმევინეს მას, რომ მუჰამმედის სარწმუნოებას განუდგა. სინამდვილეში კი მას გულით სწამდა ისლამი. ამ მოვლენას შეეხება შემდეგი აიათი, რომელიც მის მორწმუნოებას ადასტურებს:

مَنْ كَفَرَ بِاللّٰهِ مِنْ بَعْدِ اِيْمَانِهٖٓ اِلَّا مَنْ اُكْرِهَ وَقَلْبُهٗ مُطْمَئِنٌّۢ بِالْاِيْمَانِ وَلٰكِنْ مَّنْ شَرَحَ بِالْكُفْرِ صَدْرًا فَعَلَيْهِمْ غَضَبٌ مِّنَ اللّٰهِ وَلَهُمْ عَذَابٌ عَظِيْمٌ

„გარდა მათი, ვისი გულიც რწმენით იყო გაჟღენთილი, მაგრამ იძულებული გახდა, ხოლო ვინც უარყო ალლაჰი მას მერე, რაც ირწმუნა, და გული გაუხსნა ურწმუნოებას, მაშინ მათზეა რისხვა ალლაჰისგან და მათთვისაა დიდი სასჯელი!“ (ნაჰლ 16/106)

ორი მიმდინარეობის იმამი, მათურიდი და ეშარი რწმენის გულისმიერ დასტურს საკმარისად მიიჩნევენ. ისინი ეყრდნობიან აიათებს, სადაც ნაბრძანებია, რომ ჭეშმარიტი რწმენა გულში უნდა აღმოცენდეს.

გარდა ამისა, სხვადასხვა ჰადისებში ყურადღება გამახვილებულია გულში არსებული რწმენის შესახებ. ამის მაგალითად უსამე იბნ ზეიდის თავს გადახდენილი ამბავი გამოგვადგება. უსამე მოგვითხრობს: “წმ. შუამავალის ბრძანებით ჩვენი რაზმითურთ ჯუჰეინეს ტომს დილაუთენია თავს დავესხით. ერთი კაცი დავიჭირე, რომელმაც თქვა “არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა”. მე ჩავთვალე, რომ მან შიშის გამო წარმოთქვა ეს სიტყვები, არ დავუჯერე და მოვკალი. თუმცა ამ მდგომარეობამ ძალზედ დამაფიქრა. დაბრუნებისთანავე წმ. შუამავალს მოვუყევი. მან კი ბრძანა: “შენს მიერ მოკლული კაცი სიმართლეს ამბობდა თუ ტყუილს, გული გაუჭერი და ჩახედე თუ საიდან მიხვდი?! “

ებუ ჰანიფეს, ფეზდევის და სერაშის მიხედვით რწმენა გულისმიერი დასტური და ენით აღიარებაა, რადგან თუ ადამიანი მუნჯი

არაა, ან მუქარის ქვეშ არ იმყოფება მისი რწმენის ენით არ აღიარება პიროვნების მორწმუნეობის შესახებ გაურკვევლობას გამოიწვევს. იმამი მათურიდიც თვლის რომ, რადგან რწმენის გულით დადასტურება ფარულია ცხოვრებისეულ საკითხებში მისი გათვალისწინება ძნელია, ამიტომ ენითაც უნდა იქნას აღიარებული.

ყურანში ნაბრძანებია: „გარდა მათი, ვისი გულიც რწმენით იყო გაჟღენთილი, მაგრამ იძულებული გახდა, ხოლო ვინც უარყო ალლაჰი მას მერე, რაც ირწმუნა, და გული გაუხსნა ურწმუნოებას, მაშინ მათზეა რისხვა ალლაჰისგან და მათთვისაა დიდი სასჯელი!“ (ნაჰლ 16/106)

ამ აიათში მითითებულია, რომ ენით გამოხატული რწმენის უარყოფა ადამიანს ურწმუნოდ აქცევს. ამასთან თუ დავაკვირდებით რწმენის გულისმოერი დასტურის შემდეგ ენითაც აღიარებაც საჭიროა. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“მე მიბრძანეს, სანამ ადამიანები არ აღიარებენ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ერთისა და მუჰამმედი მისი შუამავალია, მანმადე უნდა ვებრძოლო მათ. როდესაც ამას იტყვიან მათი სიცოცხლე და ქონება დაცული იქნება. ოღონდ რაიმე დანაშაულის გამო დასჯილებს ეს უკანასკნელი არ ეხებათ. მათი შენაგანი სახის მდგომარეობა ღმერთმა იცის”

შაფიი, მალიქი, აჰმედ იბნ ჰანბელი, იბნ ჰაზმი და იბნ თეიმიე თვლიან, რომ რწმენა, სარწმუნოებით აუცილებელი რამეების გულით დაჯერება, ენით აღიარება და ისლამის ძირითადი საფუძვლების შესრულებაა. აქ ნახსენები, მორწმუნის ქმედება, საქციელი რწმენის მომცველობას აფართოებს, თუმცა ამით რწმენის სიძლიერეა ნაგულისხმევი. ისინი ამით არ ამტკიცებდნენ, რომ ვინც “ამელს” , ანუ მორწმუნის ქმედებას არ ამჟღავნებს ურწმუნო გახდება. იმამ ეშარის სხვა შეხედულების თანახმად რწმენა გულისმიერი დასტურის, ენით აღიარების და მორწმუნის ქმედებისგან შედგება. ამიტომ რწმენა შეიძლება იკლებდეს, ან იმატებდეს.

ღმერთმა ზოგი რამ დააწესა, რაც რწმენას ამტკიცებს. მაგ. ისლამის პირობები: რწმენის ფორმულის აღიარება, ხუთი დროის ლოცვის ლოცვა, მარხვა, ჰაჯობა და სხვ. ამ ქმედებებს ვინც ასრულებს, მიიჩნევა, რომ ის მუსლიმია და შეუძლია მუსლიმთა უფლებებით ისარგებლოს. მაგ. ლოცვის ლოცვისას გახდეს იმამი, მუსლიმ ქალზე იქორწინოს, მუსლიმთა სასაფლაოზე დაიკრძალოს, ილოცონ მისი “ჯენაზე” (მიცვალებულის ლოცვი) და სხვა.

ეს ქცევები ადამიანის გულში რწმენას გააძლიერებს, საიქიო წამებისგან გადაარჩენს, ღმერთის წყალობას და შეწევნას დაიმსახურებს.

ბ) რწმენისა და ისლამის ცნებების ურთიერთკავშირი

ისლამი ლექსიკონში თაყვანისცემას, მინდობას, მუსლიმობას, ისლამში შესვლას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი, ისლამი არის ღმერთის წინაშე ქედის მოხრა, წმ. შუამავლის მიერ გადმოცემულის გულით დადასტურება, ენით აღიარება, იმის მიხედვით ცხოვრება, სიტყვით და ქცევით იმის ჩვენება, რომ ადამიანმა ის დაიჯერა და შეითვისა.

იმამი მათურიდი ამბობდა:

“რამდენადაც რწმენა და ისლამის წმ. წიგნში, ან სუნნეთში ცალკცალკე არის ნახსენები, სინამდვილეში ერთი და იმავე მნიშვნელობებს ატარებენ, რადგან ყველა მიმდინარეობა აღიარებს, რომ ვინც რწმენას განუდგება, - განუდგება ისლამსაც”.

შემდეგ აიათში რწმენა და ისლამი თანაბარმნიშვნელოვანია:

وَمَا اَنْتَ بِهَادِى الْعُمْيِ عَنْ ضَلَالَتِهِمْ اِنْ تُسْمِعُ اِلَّا مَنْ يُؤْمِنُ بِاٰيَاتِنَا فَهُمْ مُسْلِمُونَ

„და გზააბნევიდან ვერ გამოიყვან ბრმებს ჭეშმარიტ გზაზე. შენ შეძლებ შეასმინო მხოლოდ მორწმუნეებს. მათ, ვინც ჰმორჩილა ჩვენს აიათებს!“ (ნემლი 27/81)

თუმცა ზოგჯერ რწმენა და ისლამის სხვადასხვა მნიშვნელობით არის ნახსენები. არსებობს ადამიანი, (მუნაფიყი) რომელიც თვალთმაქცობს, ფარისევლობს, გულში რწმენა არ აქვს, მაგრამ იძახის მუსლიმი ვარო, უფრო მეტიც სხვების დასანახად ზოგიერთ ღვთისმსახურებასაც ეწევა. შემდეგ აიათში რწმენა და ისლამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობით არის ნახსენები.

قَالَتِ الْاَعْرَابُ اٰمَنَّا قُلْ لَمْ تُؤْمِنُوا وَلٰكِنْ قُولُوا اَسْلَمْنَا وَلَمَّا يَدْخُلِ الا يمَانُ ف ى قُلُوبِكُمْ وَاِنْ تُط يعُوا اللّٰه وَرَسُولَهُ لَا يَلِتْكُمْ مِنْ اَعْمَالِكُمْ شَيْئًا اِنَّ اللّٰه غَفُورٌ رَح يمٌ

„თქვეს ბედუინებმა: „ვირწმუნეთ!“ უთხარი: „არ გირწმუნიათ, არამედ თქვით „დავმორჩილდით“. რწმენა ჯერ არ შესულა თქვენს გულში. თუ თქვენ დაჰმორჩილდებით ალლაჰს და მის შუამავალს, არაფერს მოაკლებს თქვენს საქმეებს. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.“ (ჰუჯურათ 49/14)

ხალიფა ომარი გადმოგვცემს, თუ როგორ უპასუხა წმ. შუამავალმა შეკითხვებს; - რა არის რწმენა, რა არის ისლამი, რა არის “იჰსანი”?

“ერთ დღეს წმ. შუამავალთან ერთად ვიყავით, როდესაც თეთრ ტანსაცმელში ჩაცმული, შავთმიანი კაცი მოვიდა. მგზავრობის არაფერი ეტყობოდა, არადა იქ მყოფებმა ვერცერთმა ვერ ვიცანით ვინ იყო. მან წმ. შუამავალის პირდაპირ დაიჩოქა, მუხლები მუხლებზე შეახო, ხელებით შუამავლის მუხლებს დაეყრდნო და ჰკითხა:

-რა არის ისლამი?

-რმენა იმისა, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია, აგრეთვე ლოცვის ლოცვა, ზექათის (მდიდრებისთვის სავალდებულო მოწყალების გაღება) გაცემა, მარხვა და თუ შესაძლებლობა არსებობს ჰაჯობაზე წასვლაა.

-სწორია. რა არის რწმენა?

-რწმენა დაჯერებაა იმისა, რომ არსებობს ღმერთი, ანგელოზები, წმ. წიგნები, შუამავლები, განკითხვის დღე და ბედისწერა.

-სწორია და რა არის იჰსანი?

-ეს არის ღმერთის მიმართ ისეთი თაყვანისცემა, ისეთი ღვთისმსახურება თითქოს ხედავდე მას. რამდენადაც შენ მას ვერ ხედავ, ის შენ ყოველთვის გხედავს.

ამის შემდეგ უცნობი წარღვნის მოახლოების ნიშნებზე შეეკითხა წმ. შუამავალს და წავიდა. უკან გავედევნეთ, აღარსად ჩანდა. მისი ვინაობით დავინტერესდით და წმ. შუამავალს ვკითხეთ. ის ანგელოზი ჯიბრილი იყოო. – ბრძანა შუამავალმა”.

ზებიდი განმარტავდა, რომ ისლამი და რწმენა (იმანი) ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობებით არის ნახსენები, ზოგჯერ კი პირიქით, თანაბარ მნიშვნელობებს ატარებსო. გარდა ამისა ამ ცნებების მისეული ახსნა შემდეგში მდგომარეობს: ისლამი მინდობას,

ჩაბარებას ნიშნავს. ეს გულით, სიტყვით ან სხეულით შეიძლება. გულით მინდობა რწმენაა, სიტყვით, - აღიარება, ხოლო სხეულით, - ღვთისმსახურება. ამ სამეულიდან ყველაზე მთავარი გულში არსებული რწმენაა.

საბოლოოდ, რწმენის ენით გამოხატვა ძირითად პირობას არ წარმოადგენს და ფიზიკური ნაკლის, კერძოდ მუნჯობის შემთხვევაში ან მუქარის ქვეშ ყოფნისას პირობად აღარ ითვლება. თუ ძალადობის მსხვერპლი გულით კი არა, მხოლოდ ენით უარყოფს სარწმუნოებას ურწმუნოდ არ ჩაითვლება. ისევ ამმარის მაგალითი რომ გავიხსენოთ ძალადობის მსხვერპლს მსგავსი ნებართვა ღმერთისგან მიენიჭა და შუამავალმაც თავისი სიტყვებით ეს დაადასტურა. თუ ისევ გაწამებენ, შეგიძლია იგივე გაიმეოროო – უთხრა ამმარს.

აქვე გავიხსენოთ სხვა მაგალითიც, როდესაც ურწმუნოთაგან სიკვდილის მუქარის ქვეშ მყოფი ორი მუსლიმანიდან ერთი შეასრულებს მოძალადეების მოთხოვნას, მეორე კი სიკვდილს არჩევს. წმ. შუამავალმა მოკლული მუსლიმის შესახებ ბრძანა:

“ის შეჰიდებიდან ყველაზე მაღლა დგას და სამოთხეში ჩემი მეგობარი იქნება.”

გ) რწმენისა და ქცევის (ამელ) ურთიერთკავშირი.

ამელი ნებასურვილზე დამოკიდებული საქმე, ქცევა, ღვთისმსახურება და კეთილი საქმიანობაა. გამჩენი ღმერთის და წმ. შუამავლისთვის მოსაწონ ყველა საქმეს და სიკეთეს, სარწმუნოებრივ და მორალურ მოვალეობებს, აგრეთვე ღვთისმსახურებას “სალიჰ ამელ”-ი , ანუ ღმერთის მოსაწონი ქცევა ეწოდება.

როდესაც შუამავალ ნუჰის ურწმუნო ვაჟიშვილი იხრჩობოდა, წმ. ნოემ სთხოვა ღმერთს გადაერჩინა მისი შვილი. ღმერთმა კი ბრძანა:

قَالَ يَا نُوحُ اِنَّهُ لَيْسَ مِنْ اَهْلِكَ اِنَّهُ عَمَلٌ غَيْرُ صَالِحٍ فَلَا تَسْئَلْنِ مَا لَيْسَ لَكَ بِه عِلْمٌ اِنّ ى اَعِظُكَ اَنْ تَكُونَ مِنَ الْجَاهِلِ ينَ

მიუგო : „ჰეი, ნუჰ! უეჭველად, იგი არ არის შენი ოჯახის ნაწილი. უეჭველად, იგი საქმე არ არის ჭეშმარიტი. მაშ, ნუ მთხოვ იმას, რის შესახებაც ცოდნა არ მოგეპოვება. უეჭველად, შეგაგონებ შენ, რომ არ იყო უმეცართაგანი“! (ჰუდ 11/46)

სუნნეთის მიმდევრების მიხედვით რწმენა და ქცევა განუყოფელი არ არის. ანუ, ადამიანს თუ მორწმუნოებრივი საქციელი არ უვარგა და ცოდვებს სჩადის, ურწმუნო არ არის, თუმცა ცოდვილია, მაგრამ თუ ცოდვას ალალად ჩათვლის მაშინ ურწმუნოთა კატეგორიას შეუერთდება. მისი ხვედრი გამჩენის ნებაზეა დამოკიდებული. უზენაესი თუ ინებებს მიუტევებს, ან დასჯის. ეს თვალსაზრისი შემდეგ მტკიცებულებებს ეყრდნობა:

1) ყურანში ბევრი აიათია, რომელიც იწყება სიტყვებით "ეი, მორწმუნენო და ღმერთის მოსაწონი საქციელის მქონენო!" აქ რწმენა და ქცევა ცალკ-ცალკეა ნახსენები. თუ რწმენა მოიცავს ქცევას ცალკე მისი ხსენება საჭირო აღარ იქნებოდა.

2) ზოგიერთ აიათში საუბარია რწმენასთან ერთად ცოდვის ჩადენაზე.

وَاِنْ طَائِفَتَانِ مِنَ الْمُؤْمِنِينَ اقْتَتَلُوا فَاَصْلِحُوا بَيْنَهُمَا فَاِنْ بَغَتْ اِحْدٰيهُمَا عَلَى الْاُخْرٰى فَقَاتِلُوا الَّتِى تَبْغِى حَتّٰى تَفِىءَ اِلٰى اَمْرِ اللّٰهِ فَاِنْ فَاءَتْ فَاَصْلِحُوا بَيْنَهُمَا بِالْعَدْلِ وَاَقْسِطُوا اِنَّ اللّٰه يُحِبُّ الْمُقْسِطِينَ

„და თუ ორი ჯგუფი მორწმუნეთაგან ერთმანეთს შეებრძოლება, მაშინ გამოასწორეთ მათ შორის არსებული. მაგრამ, თუკი ზღვარს გადავა მათგან ერთ-ერთი მეორეს მიმართებაში, მაშინ შეებრძოლეთ იმ ჯგუფს, რომელიც ზღვარს გადავიდა, ვიდრეღა დაუბრუნდებოდეს ალლაჰის ბრძანებას. ამის შემდეგ თუ შემობრუნდება, ამრიგად გამოსაწორეთ მათ შორის არსებული პატიოსნად და იყავით სამართლიანნი, რამეთუ ალლაჰს უყვარს სამართლიანნი," (ჰუჯურათ 49/9)

يَا اَيُّهَا الَّذِينَ اٰمَنُوا كُتِبَ عَلَيْكُمُ الْقِصَاصُ فِى الْقَتْلٰى اَلْحُرُّ بِالْحُرِّ وَالْعَبْدُ بِالْعَبْدِ وَالْاُنْثٰى بِالْاُنْثٰى فَمَنْ عُفِىَ لَهُ مِنْ اَخِيهِ شَىْءٌ فَاتِّبَاعٌ بِالْمَعْرُوفِ وَاَدَاءٌ اِلَيْهِ بِاِحْسَانٍ ذٰلِكَ تَخْفِيفٌ مِنْ رَبِّكُمْ وَرَحْمَةٌ فَمَنِ اعْتَدٰى بَعْدَ ذٰلِكَ فَلَهُ عَذَابٌ اَلِيمٌ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა სამაგიეროს გადახდა მოკლულთათვის (ყისასი). თავისუფალი თავისუფალის წილ, და მონა მონის წილ, და „ქალი ქალის წილ. ხოლო ვისაც ეპატიოს რამე თავის (მოკლულის) ძმისაგან (ახლობლებისგან), წესისამებრ უნდა მოიქცეს იგი და აუნაზღაუროს კეთილად (გადაიხადოს დიეტი). ესაა შეღავათი თქვენი ღმერთისგან და წყალობა; და ვინც ზღვარს გადავიდეს, ამის მერე მწარე სასჯელი მიეზღოს მას!" (ბაყარა 2/178)

يَا اَيُّهَا الَّذِينَ اٰمَنُوا تُوبُوا اِلَى اللّٰهِ تَوْبَةً نَصُوحًا عَسٰى رَبُّكُمْ اَنْ يُكَفِّرَ عَنْكُمْ سَيِّئَاتِكُمْ وَيُدْخِلَكُمْ جَنَّاتٍ تَجْرِى مِنْ تَحْتِهَا الْاَنْهَارُ يَوْمَ لَا يُخْزِى اللّٰه النَّبِىَّ وَالَّذِينَ اٰمَنُوا مَعَهُ نُورُهُمْ يَسْعٰى بَيْنَ اَيْدِيهِمْ وَبِاَيْمَانِهِمْ يَقُولُونَ رَبَّنَا اَتْمِمْ لَنَا نُورَنَا وَاغْفِرْ لَنَا اِنَّكَ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَدِيرٌ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შესთხოვეთ ალლაჰს მოტევება გულწრფელი მოტევებით, დაე, თქვენმა უფალმა დაფაროს თქვენი ცოდვები და შეგიყვანოთ სამოთხენში სადაც ძირს მდინარეები მოედინება; იმ დღეს, არ დაამწუხრებს ალლაჰი შუამავალს და იმათ, რომელთაც ირწმუნეს მასთან ერთად, მათი სინათლენი უსწრებს მათ წინიდან და მარჯვნიდან, იტყვიან: „ღმერთო ჩვენო! სრულჰქმენ სინათლე ჩვენი და შეგვინდე ჩვენ, რამეთუ შენა ხარ ყოვლისშემძლე!“ (თაჰრიმ 66/8)

ამ აიათებში საუბარია ორ მუსლიმ ხალხის ჯგუფზე, რომლების ერთიმეორეს ებრძვიან და სჩადიან ცოდვას, მკვლელობას. არადა ორივე მხარე ნახსენებია როგორც მართლმორწმუნეები. ეს მდგომარეობა ამტკიცებს, რომ ჩადენილი ცოდვა ადამიანს ურწმუნოს არ გახდის, მაგრამ თუ ეს არამი მან ალალ საქმედ მიიჩნია მაშინ ურწმუნოა.

3) ზოგ აიათებში მითითებულია, ქცევა რომ მიღებული იყოს დამოკიდებულია რწმენაზე.

وَمَنْ يَعْمَلْ مِنَ الصَّالِحَاتِ وَهُوَ مُؤْمِنٌ فَلَا يَخَافُ ظُلْمًا وَلَا هَضْمًا

„ხოლო ვინც იქმს სიკეთეებს და ამავე დროს მორწმუნეა, არც ტანჯვისგან შეშინდეს და არც გაღარიბებისგან!“ (ტაჰა 20/112)

ნამდვილი რწმენა კი ღმერთის, ანგელოზების, წმ. წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღისა და ბედისწერის დაჯერებაში მდგომარეობს.

ყურანში ნაბრძანებია:

وَالْعَصْرِ

اِنَّ الْاِنْسَانَ لَفی خُسْرٍ

اِلَّا الَّذینَ اٰمَنُوا وَعَمِلُوا الصَّالِحَاتِ وَتَوَاصَوْا بِالْحَقِّ وَتَوَاصَوْا بِالصَّبْرِ

„ვფიცავ, ღესრს! „

„უეჭველად, ადამიანი წაგებულია!“

„გარდა მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, და ერთმანეთს ჭეშმარიტებასა და მოთმინებას ამცნობენ! „ (ასრ 103/ 1-3)

اِنَّ الَّذ ینَ كَفَرُوا وَمَاتُوا وَهُمۡ كُفَّارٌ فَلَنۡ يُّقۡبَلَ مِنۡ اَحَدِهِمۡ مِلۡءُ الۡاَرۡضِ ذَهَبًا وَّلَوِ افۡتَدٰی بِه ؕ اُولٰٓئِكَ لَهُمۡ عَذَابٌ اَل یمٌ وَّمَا لَهُمۡ مِّنۡ نّٰصِر ینَ

„უეჭველად, რომელთაც უარყვეს და მოკვდნენ ისე, რომ ურწმუნოდ დარჩნენ, ოქროთი სავსე დედამიწაც რომ ებადონ და გაიღონ თავის გადასარჩენად, მაინც არ მიიღება არც ერთ იმათთაგან. აი ისინი, მათთვისაა მწარე სატანჯველი, და მათ არ ეყოლებათ შემწენი.“

(ალი იმრან 3/91)

მეორეს მხრივ რწმენასა და ქცევას შორის ახლო დამოკიდებულებაა. შესაბამისი ქცევის გარეშე რწმენა გადარჩენის და საიქიო ბედნიერებისათვის საკმარისი არ არის. გულში მოკიაფე რწმენას გარე ეფექტებისგან დაცვა, კვება და გაძლიერება სჭირდება. ეს კი ღვთისმსახურებით და სხვა სასარგებლო ქცევებითაა შესაძლებელი.

ადამიანი ამ ქვეყანაზე მარტო რწმენისთვის კი არა, თაყვანისცემისა და სასარგებლო საქმეების კეთებისთვის არის გამოგზავნილი. ყურანში შემდეგია ნაბრაძანები:

نِوۡدُبۡعۡيَلِ لاَّا سَنۡلِاۡوَ نَّجِۡاۡ تُقۡلَخَ اۡمَوَ

და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის. (ზარიათ 51/56)

اَلَّذ ی خَلَقَ الۡمَوۡتَ وَالۡحَيٰوةَ لِيَبۡلُوَكُمۡ اَيُّكُمۡ اَحۡسَنُ عَمَلًا وَهُوَ الۡعَز یزُ الۡغَفُورُ

„რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ თქვენში რომელი უფრო უკეთესია საქმით. უეჭველად, იგი ძლევამოსილია, შემნდობია!“ (მულქი 67/2)

მორწმუნოებრივი საქციელი ორნაირი შეიძლება იყოს: პირველი, სხეულით გაკეთებული ღვთისმსახურება, რომლიც თავად ადამიანისთვისაა სასარგებლო: ლოცვი, მარხვა, ჰაჯობა, წმ. ომში მონაწილეობა, ურწმონოების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. მეორე კი, სხვებისთვისაც რომ სარგებელი მოაქვს: სავალდებულო მოწყალება, რომელსაც მდიდრები იხდიან, მოწყალება და სხვა.

დ) რწმენის ზრდა და კლება.

რწმენა, რწმენის პირობების ერთიანად დაჯერებაში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით მისი კლება ან მატება შეუძლებელია. მორწმუნეს რწმენის პირობები ერთიანად, მთლიანად უნდა სწამდეს. სხვაგვარად მორწმუნედ არ ჩაითვლება. ამ საკითხში სწავლულსა და უმეცარს, ქალსა და კაცს შორის განსხვავება არ არსებობს.

რწმენა შეიძლება იყოს სუსტი ან ძლიერი. ამ თვალსაზრისით ის შეიძლება იყოს მხოლოდ გაგონებაზე ან დანახვაზე დამოკიდებული, ან შეიძლება მისით იცხოვროს და გულით შეიგრძნოს ადამიანმა.

წმ. იბრაჰიმს თავისი რწმენის გასაძლიერებლად ღმერთისთვის უთხოვია ეჩვენებინა მკვდრებს როგორ გააცოცხლებდა.

وَاِذۡ قَالَ اِبۡرٰهٖمُ رَبِّ اَرِنِىۡ كَيۡفَ تُحۡىِ الۡمَوۡتٰىؕ قَالَ اَوَلَمۡ تُؤۡمِنۡ قَالَ بَلٰى وَلٰكِنۡ لِّيَطۡمَئِنَّ قَلۡبِىۡؕ قَالَ فَخُذۡ اَرۡبَعَةً مِّنَ الطَّيۡرِ فَصُرۡهُنَّ اِلَيۡكَ ثُمَّ اجۡعَلۡ عَلٰى كُلِّ جَبَلٍ مِّنۡهُنَّ جُزۡءًا ثُمَّ ادۡعُهُنَّ يَاۡتِيۡنَكَ سَعۡيًا وَاعۡلَمۡ اَنَّ اللّٰهَ عَزِيۡزٌ حَكِيۡمٌ

„და როცა შეევედრა იბრაჰიმმა: ღმერთო ჩემო, მახილვინე მე, როგორ აცოცხლებ მკვდრებს, ბრძანა (ალლაჰმა): ნუთუ არ გწამს? მიუგო (იბრაჰიმმა): პირიქით, ოღონდ დასაშოშმინებლად გულისა ჩემისა. უთხრა: მაშინ დაიჭირე ოთხი ჩიტი, შეიჩვიე შენთან, შემდეგ ყოველ გორაკზე თითო ნაჭერი დადე მათი, და მოუხმე მათ, ისინი ქროლვით გამოქანდებიან შენსკენ. და იცოდე, რომ ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.“ (ბაყარა 2/260)

აქ ნაჩვენებია, რომ თვალით თუ ნახავდა მისი რწმენა გაძლიერდებოდა.

ყურანის სხვადასხვა აიათებში რწმენის გაძლიერებაზე, მატებაზეა საუბარი:

وَاِذَا مَاۤ اُنۡزِلَتۡ سُوۡرَةٌ فَمِنۡهُمۡ مَّنۡ يَّقُوۡلُ اَيُّكُمۡ زَادَتۡهُ هٰذِهٖۤ اِيۡمَانًا ۚ فَاَمَّا الَّذِيۡنَ اٰمَنُوۡا فَزَادَتۡهُمۡ اِيۡمَانًا وَّهُمۡ يَسۡتَبۡشِرُوۡنَ

„და როცა რამ სურა გარდმოევლინება, მაშინ მათგან ვინც ეუბნება: რომელ თქვენგანს განუმტკიცა მან რწმენა? მაგრამ რომელთაც ირწმუნეს, განუმტკიცა რწმენა მათ და ხარობენ ეგენი.“ (თევბე 9/124)

هُوَ الَّذِىۡۤ اَنۡزَلَ السَّكِيۡنَةَ فِىۡ قُلُوۡبِ الۡمُؤۡمِنِيۡنَ لِيَزۡدَادُوۡۤا اِيۡمَانًا مَّعَ اِيۡمَانِهِمۡ ؕ وَلِلّٰهِ جُنُوۡدُ السَّمٰوٰتِ وَالۡاَرۡضِ ؕ وَكَانَ اللّٰهُ عَلِيۡمًا حَكِيۡمًا

„იგია, რომელმაც ზეგარდმოავლინა სიმშვიდე მორწმუნეთა გულებში, რათა შეჰმატებოდათ რწმენა თავიანთ რწმენასთან ერთად. ალლაჰს ეკუთვნის ლაშქარნი ცათა და ქვეყნის. ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!“ (ფეთიჰი 48/4)

اِنَّمَا الْمُؤْمِنُونَ الَّذِينَ اِذَا ذُكِرَ اللّٰهُ وَجِلَتْ قُلُوبُهُمْ وَاِذَا تُلِيَتْ عَلَيْهِمْ اٰيَاتُهُ زَادَتْهُمْ اِيمَانًا وَعَلٰى رَبِّهِمْ يَتَوَكَّلُونَ

„უეჭველად, მორწმუნენი არიან ისინი, რომელთაც გულები შიშით უთრთიან, როცა ხსენდება ალლაჰი, ხოლო როცა მისი აიათები ეკითხებათ, რწმენას ჰმატებს იგი და მიენდობიან თავიანთ ღმერთს,“ (ენფალი 8/2)

ეს აიათები და ზემოთ მოყვანილი ჰადისი, რომელიც ამმარ იბნ იასირს შეეხებოდა მიგვითითებს, რომ რწმენა უპირველესად გულში უნდა ბუდობდეს.

ე) იჯმალი და თაფსილი რწმენა

წმ. შუამავლის მიერ ღმერთისგან ზეშთაგონებით გადმოცემულ და ადამიანისთვის გაცნობილ ყველაფრის დაჯერებას “იჯმალი” რწმენა ჰქვია. აქ ნაგულისხმევია მოკლედ და ერთიანად იმ ყველაფრის აღიარება, რაც რწმენის ფორმულაშია მოცემული.

რწმენის ფორმულა კი ასეთია “არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია” გარდა ამისა არის დასტური, შეჰედეთი, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: “ვადასტურებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი მონა და შუამავალია.”

ადამიანი, რომელმაც ამ სიტყვების მნიშვნელობა იცის, გულით აღიარებს და იტყვის, რა აღმსარებლობისაც არ უნდა იყოს ადრე, ის უკვე მართლმორწმუნე მუსლიმი გახდება.

აქ, ღმერთის ერთადერთობის და წმ. მუჰამმედის შუამავლობის მაღიარებელი ადამიანი დანარჩენი რწმენის პირობების მაღიარებლადაც ითვლება. წმ. შუამავლის აღიარება, მის მიერ მოტანილი სარწმუნოების დებულებების აღიარებად ითვლება. ამგვარი რწმენის შემდეგ, აგრეთვე საჭიროა ისლამის სხვა დებულებების შესწავლა.

წმ. შუამავლის მიერ გავრცელებული და ჩვენთვის ნასწავლები რელიგიური საფუძვლების ცალკ-ცალკე ცოდნა და აღიარება ისლამში “თაფსილი” რწმენის სახელითაა ცნობილი. ადამიანი, მარტო

რწმენის შემთხვევაში ურწმუნოებისგან გადარჩება, მაგრამ თუ რწმენის საფუძვლებს, ლოცვის, მარხვის, ჰაჯობის, სავალდებულო მოწყალების მსგავს ღვთისმსახურებას, ალალსა და არამს შეისწავლის და აღიარებს ეს უკვე "თაფსილი" რწმენა იქნება. საბოლოოდ, "თაფსილი " რწმენა მოიცავს რწმენისათვის სავალდებულო ყველა პირობას, ღვთისმსახურებას, მორალურ პრინციპებს და სხვა.

რწმენა რომ მიღებული იყოს, და მორწმუნე საიქიო ბედნიერებას ეზიაროს სამი პირობაა საჭირო.

1) რწმენა არ უნდა იყოს მიღებული, მაშინ, როდესაც ადამიანი სიცოცხლის იმედს დაკარგავს. ურწმუნო ადამიანი, როდესაც სიკვდილის პირასაა და ე.წ. ბოლო ამოსუნთქვისას იმქვეყნიური განსაცდელის შიშით ვიწამეო იტყვის მისი რწმენა მიღებული აღარ იქნება, რადგან ამ მდგომარეობაში პიროვნება გონებით და თავისუფალი ნებით არ მოქმედებს. ყურანში ნაბრძანებია:

فَلَمَّا رَاَوْا بَاْسَنَا قَالُوا اٰمَنَّا بِاللّٰهِ وَحْدَهٗ وَكَفَرْنَا بِمَا كُنَّا بِهٖ مُشْرِكِينَ

فَلَمْ يَكُ يَنْفَعُهُمْ اِيمَانُهُمْ لَمَّا رَاَوْا بَاْسَنَا سُنَّتَ اللّٰهِ الَّتِى قَدْ خَلَتْ فِى عِبَادِهٖ وَخَسِرَ هُنَالِكَ الْكَافِرُونَ

„შემდეგ როცა იხილეს ჩვენი საშინელი სასჯელი, თქვეს: „ვიწამეთ ალლაჰი და მისი ერთადერთობა და ვუარყავით იგი, რასაც ზიარვუქმნიდით მას!"

„უკვე ვეღარ არგო მათ თავიანთმა რწმენამ, როცა იხილეს ჩვენი საშინელი სასჯელი. კანონი ალლაჰის, აწ გარდასული თავის მსახურთა მიმართ. სწორედ იქ განადგურდნენ ურწმუნოები." (მუმინ 40/84,85)

2) მორწმუნე რწმენის პირობებიდან რომელიმეს არ უნდა უარყოფდეს. აქედან გამომდინარე, პიროვნება, რომელიც ყველა შუამავალს აღიარებს და მხოლოდ წმ. შუამავალი მუჰამმედი არ აღიაროს მორწმუნედ არ ჩაითვლება, აგრეთვე რომელიმე პირდაპირი ფარზის უარყოფა, თავისი ნებით კერპზე თაყვანისცემა და მსგავსი ქმედება ადამიანს ურწმუნოს გახდის. რწმენა ერთი მთლიანობაა და მისი პირობებიდან რომელიმეს უარყოფა მთლიანად სარწმუნოების უარყოფას ნიშნავს.

სარწმუნოების რაღაც ნაწილს ვინც აღიარებს და ნაწილს უარყოფს მათ შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

اِنَّ الَّذِينَ يَكْفُرُونَ بِاللّٰهِ وَرُسُلِهٖ وَيُرِيدُونَ اَنْ يُفَرِّقُوا بَيْنَ اللّٰهِ وَرُسُلِهٖ وَيَقُولُونَ نُؤْمِنُ بِبَعْضٍ وَنَكْفُرُ بِبَعْضٍ وَيُرِيدُونَ اَنْ يَتَّخِذُوا بَيْنَ ذٰلِكَ سَبِيلا

اُولٰئِكَ هُمُ الْكَافِرُونَ حَقًّا وَاَعْتَدْنَا لِلْكَافِرِينَ عَذَابًا مُهِينًا

„უეჭველად, რომელნიც უარყოფენ ალლაჰსა და მის შუამავალთ და სურთ განაცალკევონ ალლაჰი და მისი შუამავალნი, და ამბობენ: ჩვენ გვწამს ზოგი და ზოგს უარვყოფთ. და სურთ ამათ შორის გაიდონ გზა,“

„სწორედ ეგენი არიან ნამდვილად ურწმუნონი. და ურწმუნოთათვის ჩვენ მზად ვყავით სასჯელი დამამცირებელი !“ (ნისა 4/150-151)

3) მორწმუნე ღვთის წყალობის და მიმტევებლობის მიმართ არც უიმედო უნდა იყოს და არც მთლად დაიმედებული. საჭიროა შიშსა და იმედს შორის ყოფნა. ჩადენილი ცოდვების, ან საქმეების ცუდად წასვლის გამო ხელის ჩაქნევა და “მე უკვე ჯოჯოხეთისთვის ვარ განწირული”- თქმა მიუღებელია. ასევე მიუღებელია მადლიანი საქმეების და ღვთისმსახურების გამო “მე უკვე სამოთხეს ვიმსახურებ” – თქმა. ადამიანს ყოველთვის აქვს უნარი და შესაძლებლობა ცოდვა მოინანიოს და უხამსო ცხოვრება სარწმუნოების მითითებული გზით შემოატრიალოს.

ვ) ადამიანები უარყოფის და დადასტურების მიხედვით

ადამიანები აღიარების, (დადასტურების) უარყოფის და ქცევების მიხედვით შემდეგ გატეგორიებად იყოფიან

1) მორწმუნე- ადამიანი, რომელიც ღმერთი, წმ. შუამავლი და მის მიერ გადმოცემული ურყევ მტკიცებულებებზე დაყრდნობილი დებულებები გულით სწამს. მორწმუნეები საიქიოში სამოთხეში მოხვდებიან და ღმერთის წყალობას დაიმსახურებენ. ცოდვილი მორწმუნეები თავდაპირველად, ნამოქმედარი ცოდვისათვის ჯოჯოხეთში სასჯელს მიიღებენ და შემდეგ სამოთხეში მოხვდებიან. ყურანში ბევრი აიათია, სადაც ნაბრძანებია, რომ მორწმუნეები სამუდამოდ სამოთხეში დარჩებიან.

2) ურწმუნო (ქააფირ) - ღმერთის და წმ. შუამავლების, აგრეთვე სარწმუნოების ძირითადი დებულების უარმყოფელი ადამიანი. ადამიანი, რომელიც ღმერთს არ უარყოფს, მაგრამ სხვა ვინმეს, ან რაიმეს, მაგ. ბუნებრივ ძალებს მას გაუტოლებს “მუშრიქი” ჰქვია.

ეს ორი ტერმინი მნიშვნელობით ერთმანეთთან ძალიან ახლოა. ურწმუნოება ზოგადი მცნებაა, "მუშრიქი" კი- ვიწრო გაგებით გამოიყენება. მუშრიქიც ურწმუნოდ ითვლება. წმ. ღისას ღმერთად, ან ღმერთის შვილად, ან სამი ღმერთიდან ერთ-ერთად აღიარება "მუშრიქობის" და უარყოფის მაგალითია, რაზეც ყურანში ხშირადაა საუბარი და დიდ ცოდვად ითვლება:

اِنَّ اللّٰهَ لَا يَغْفِرُ اَنْ يُشْرَكَ بِه وَيَغْفِرُ مَا دُوْنَ ذٰلِكَ لِمَنْ يَشَاءُ وَمَنْ يُشْرِكْ بِاللّٰهِ فَقَدْ ضَلَّ ضَلٰلًا بَع يدًا

უეჭველად, არ მიუტევებს ალლაჰი მისთვის თანაზიარის გაჩენას, და მიუტევებს სხვა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, დიახაც, რომ დიდი გადაცდომით გადავიდა იგი გზას! (ნისა 4/116)

3) მუნაფიყი- ადამიანი, რომელსაც ისლამის საფუძვლები გულით არ სწამს, მაგრამ მორწმუნეთა მოსაჩვენებლად სიტყვით ამბობს, რომ სწამს. ეს ტერმინი გამოიყენება ორპირი და თვალთმაქცი ადამიანის დასახასიათებლად. მათი შინაგანი და გარეგანი ბუნება ერთმანეთს არ ემთხვევა. მიცემულ სიტყვას არ ასრულებს. საზოგადოებაში მორწმუნის სახელით არიან ცნობილი და მათი ამოცნობა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ისლამურ სამყაროზე ურწმუნოებზე უფრო მეტი ზიანის მიყენება შეუძლიათ.

მუნაფიყი ადამიანი ყოველდღიურ საქმიანობაში მუსლიმანის უფლებებით სარგებლობს. მისი შეწირული მსხვერპლის (ყურბანი) ჭამა შეიძლება, აქვს უფლება მიიღოს მემკვიდრეობა, შეუძლია მუსლიმანზე იქორწინოს, მისი ჯენაზეს ლოცვა შეიძლება, მაგრამ ასეთი ადამიანი საიქიოში ურწმუნო კატეგორიის ხალხში შედის და შესაბამის საზღაურს მიიღებს. ყურანის ბევრი აიათში ისინი ნახსენები არიან, როგორც ურწმუნოები. უფრო მეტიც, ისინი ჯოჯოხეთის ყველაზე დაბალი საფეხურის მკვიდრი იქნებიანო, ნაბრძანებია წმ. წიგნში.

وَمِنَ النَّاسِ مَنْ يَقُولُ اٰمَنَّا بِاللّٰهِ وَبِالْيَوْمِ الْاٰخِرِ وَمَا هُمْ بِمُؤْمِن ينَ

„და არსებობენ ადამიანები, რომელნიც ამბობენ: ვირწმუნეთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, თუმცა არ არიან მორწმუნენი." (ბაყარა 2/8)

مَنْ كَفَرَ بِاللّٰهِ مِنْ بَعْدِ ا يمَانِه اِلَّا مَنْ اُكْرِهَ وَقَلْبُهُ مُطْمَئِنٌّ بِالا يمَانِ وَلٰكِنْ مَنْ شَرَحَ بِالْكُفْرِ صَدْرًا فَعَلَيْهِمْ غَضَبٌ مِنَ اللّٰهِ وَلَهُمْ عَذَابٌ عَظ يمٌ

„გარდა მათი, ვისი გულიც რწმენით იყო გაჟღენთილი, მაგრამ იძულებული გახდა, ხოლო ვინც უარყო ალლაჰი მას მერე, რაც ირწმუნა, და გული გაუხსნა ურწმუნოებას, მაშინ მათზეა რისხვა ალლაჰისგან და მათთვისაა დიდი სასჯელი!„ (ნაჰლი, 16/106)

قَالَتِ الْاَعْرَابُ اٰمَنَّا قُلْ لَمْ تُؤْمِنُوا وَلٰكِنْ قُولُوا اَسْلَمْنَا وَلَمَّا يَدْخُلِ الا يمَانُ ف ى قُلُوبِكُمْ وَاِنْ تُط يعُوا اللّٰهَ وَرَسُولَهُ لَا يَلِتْكُمْ مِنْ اَعْمَالِكُمْ شَيْئًا اِنَّ اللّٰهَ غَفُورٌ رَح يمٌ

თქვეს ბედუინებმა: „ვირწმუნეთ!“ უთხარი: „არ გირწმუნიათ, არამედ თქვით „დავმორჩილდით“. რწმენა ჯერ არ შესულა თქვენს გულში. თუ თქვენ დაჰმორჩილდებით ალლაჰს და მის შუამავალს, არაფერს მოაკლებს თქვენს საქმეებს. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.“ (ჰუჯურათ 49/14)

لَا تَجِدُ قَوْمًا يُؤْمِنُونَ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ يُوَادُّونَ مَنْ حَادَّ اللّٰهَ وَرَسُولَهُ وَلَوْ كَانُوا اٰبَاءَهُمْ اَوْ اَبْنَاءَهُمْ اَوْ اِخْوَانَهُمْ اَوْ عَش يرَتَهُمْ اُولٰئِكَ كَتَبَ ف ى قُلُوبِهِمُ الا يمَانَ وَاَيَّدَهُمْ بِرُوحٍ مِنْهُ وَيُدْخِلُهُمْ جَنَّاتٍ تَجْر ى مِنْ تَحْتِهَا الْاَنْهَارُ خَالِد ينَ ف يهَا رَضِىَ اللّٰهُ عَنْهُمْ وَرَضُوا عَنْهُ اُولٰئِكَ حِزْبُ اللّٰهِ اَلَا اِنَّ حِزْبَ اللّٰهِ هُمُ الْمُفْلِحُونَ

„ვერ ჰპოვებ ხალხს, რომელთაც სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი მეგობრობდნენ იმასთან, ვინც ეურჩა ალლაჰსა და მის შუამავალს, რომც იყვნენ ეგენი თავიანთი მამა-პაპანი, შვილები, ძმები ან ჯიში-ჯილაგი. სწორედ ეგენი არიან, რომელთა გულებში ჩანერგა რწმენა და განამტკიცა ეგენი მისგან სულით; და შეიყვანს მათ სამოთხენში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, იქ დარჩებიან სამუდამოდ. ალლაჰი კმაყოფილია მათი და მისით კმაყოფილი არიან ისინი. სწორედ ეგენი არიან ალლაჰის მიმდევრები. კარგათ შეიმეცნეთ, უეჭველად, ნეტარ არინ მიმდევარნი ალლაჰისა!“ (მუნაფიყუნ 58/22)

اِنَّ الْمُنَافِق ينَ فِى الدَّرْكِ الْاَسْفَلِ مِنَ النَّارِ وَلَنْ تَجِدَ لَهُمْ نَص يرًا

„უეჭველად, თვალთმაქცები ცეცხლის უფსკრულში იქნებიან და ვერ მოუნახო შენ მათ შემწე,“ (ნისა 4/145)

ذٰلِكَ بِاَنَّهُمْ اٰمَنُوا ثُمَّ كَفَرُوا فَطُبِعَ عَلٰى قُلُوبِهِمْ فَهُمْ لَا يَفْقَهُونَ

„აი, ეს იმისთვის, რომ ირწმუნეს, მერე უარყვეს. ამრიგად მათი გულები იქნა დალუქული, ამოტომაც ისინი ვერ შეიმეცნებენ.“ (მუნაფიყუნ 63/3)

4) მურთედი- ადამიანი, რომელიც მუსლიმანი იყო და შემდეგ უარყო. ეს მდგომარეობა ზოგჯერ ისლამის რომელიმე ძირითადი დებულების უარყოფითაც შეიძლება. ყურანში სარწმუნოების უარმყოფელთა შესახებ ბევრი აიათია მოცემული:

“2/217, 3/86-91, 106, 4/89, 115, 5/52-54, 16/106-107, 47/25-28, “

5) ფასიყი ადამიანი, რომელიც ალლაჰის ბრძანებების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ცოდვილი, ცუდი ზნის, ბოროტება ჩვეულებად რომ აქვს ნაქცევი. ისლამის სამართლებრივი ტერმინოლოგიით ფასიყის განმარტება შემდეგნაირად შეიძლება: ადამიანი, რომელიც თაყვანს აღარ სცემს ღმერთს, მისი კანონების წინაღმდეგია, დიდი ცოდვის ჩადენით ან მსუბუქი ცოდვების გაგრძელებით ჭეშმარიტ გზას აცდენილი.

ფასიყი სამ კატეგორიაში განიხილება:

1) ადამიანი აღიარებს, რომ ცოდვა ცუდი საქციელია, მაგრამ მაინც აკეთებს.

2) ადამიანი ცოდვების ჩადენას დაჟინებული აგრძელებს.

3) ადამიანი ცოდვებს სჩადის და თან უარყოფს, რომ ცუდი საქციელია.

ყურანში “ფასიყ”-ი აბსოლუტური მნიშვნელობითაა ნახსენები. ამ კატეგორიაში გადის ღმერთის სახელის ხსენების გარეშე დაკლული ცხოველის ხორცის ჭამა, ცილისწამება და სხვა. ზოგიერთ აიათში ფისყ-ი ურწმუნოებასთან ასოცირდება.

وَلَقَدْ اَنْزَلْنَا اِلَيْكَ اٰيَاتٍ بَيِّنَاتٍ وَمَا يَكْفُرُ بِهَا اِلَّا الْفَاسِقُونَ

„უეჭველად, ჩვენ ზემოგივლინეთ ცხადი აიათები და მხოლოდ მეამბოხე ცოდვილნი არ ირწმუნებენ მათ.“ (ბაყარა 2/99)

كَذٰلِكَ حَقَّتْ كَلِمَتُ رَبِّكَ عَلَى الَّذ ينَ فَسَقُوا اَنَّهُمْ لَا يُؤْمِنُونَ

„მათი შეძახილი იქ: დიდება შენდა, ღმერთო ჩემო! და მათი ცხოვრება: მშვიდობაა! და მათი ბოლო შეძახილი: ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა უფალს!“ (იუნუს 10/33)

وَلَوۡ كَانُوا يُؤۡمِنُونَ بِاللّٰهِ وَالنَّبِىِّ وَمَا اُنۡزِلَ اِلَيۡهِ مَا اتَّخَذُوهُمۡ اَوۡلِيَآءَ وَلٰكِنَّ كَثِيرًا مِنۡهُمۡ فَاسِقُونَ

„მათ რომ ერწმუნათ ალლაჰი და შუამავალი და რაც გარდმოევლინა მას, ხომ არ აიყვანდნენ მეგობრებად მათ. მაგრამ გზასამცდარია მათგან უმეტესი.“ (მაიდე 5/81)

6) ასი- ადამიანი, რომელიც არ ასრულებს ღმერთის ბრძანებებს. ღმერთის უარმყოფელი, ცოდვილი.

ღმერთის და მისი შუამავლის ურჩ და ცოდვილ ადამიანების შესახებ ყურანში წერია:

وَمَنۡ يَعۡصِ اللّٰهَ وَرَسُولَهُ وَيَتَعَدَّ حُدُودَهُ يُدۡخِلۡهُ نَارًا خَالِدًا فِيهَا وَلَهُ عَذَابٌ مُهِينٌ

„ვინც აღუდგება ალლაჰსა და მის შუამავალს, და გადავა მის (ალლაჰის) საზღვრებს, მას იგი შეიყვანს ცეცხლში, სადაც სამუდამოდ დარჩება და მისთვისაა სასჯელი დამამცირებელი!“ (ენ ნისა 4/14)

თ) დიდი ცოდვები

ეს არის ცოდვები, რომელთა შესახებ ყურანში მკაცრი ხასიათის აიათებია მოცემული და მისი ჩამდენი ამქვეყნიურ და საიქიო სასჯელს იმსახურებს.

სუნნეთის მიმდევრების რწმენის მიხედვით დიდი ცოდვის ჩამდენი, თუ ამ ცოდვის არამობას არ უარყოფს ცოდვილ მორწმუნედ ითვლება. ე. ი. დიდი ცოდვა ადამიანს ურწმუნოს არ გახდის. ცოდვის ჩადენის მდგომარეობისა და სახეობის მიხედვით, შესაბამისი მონანიების საფუძველზე ღმერთმა შეიძლება მიუტევოს.

ერთ-ერთ ჰადისში დიდი ცოდვები სამ ნაწილადაა წარმოდგენილი: “გინდათ ცოდვებს შორის ყველაზე უდიდესი ცოდვების შესახებ გიამბოთ? –ისინია: ღმერთზე ვიმეს ან რაიმეს გატოლება, მშობლების მიმართ ურჩობა და ცრუმოწმეობა.”

სხვა ჰადისში ეს რიცხვი შვიდამდე იზრდება: “შვიდ გამანად-

გურებელ ცოდვას ერიდეთ! ისინია: ღმერთზე ვინმეს ან რაიმეს გატოლება, ჯადოს გაკეთება, უსამართლოდ ადამიანის მოკვლა, ობლის ქონების მითვისება, პროცენტის აღება, ომიდან გაქცევა და პატიოსან, მორწმუნე ქალბატონზე მრუშობის ცილისწამება."

სხვა ჰადისში, ამ შვიდ ცოდვას რამოდენიმე ემატება: მრუშობა, ცილისწამება, მესჯიდი ჰარამში ცოდვის ჩადენა და ტყუილზე დაფიცება.

მორწმუნე მუსლიმი ცოდვის ჩადენით ურწმუნო არ ხდება, თუ ამ ცოდვის შესახებ არ იტყვის, რომ ის ალალია და ცოდვა არ არისო. ის ცოდვილი მუსლიმი იქნება. თუმცა მონანიების კარი სიკვდილამდე ღია იქნება მისთვის. დიადი ღმერთი თუ ინებებს მიუტევებს მას. ყურანში ნაბრძანებია:

اِنَّ اللّٰهَ لَا يَغْفِرُ اَنْ يُشْرَكَ بِه وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذٰلِكَ لِمَنْ يَشَاءُ وَمَنْ يُشْرِكْ بِاللّٰهِ فَقَدِ افْتَرٰى اِثْمًا عَظِيمًا

„უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის!" (ნისა 4/48)

اِنْ تَجْتَنِبُوا كَبَائِرَ مَا تُنْهَوْنَ عَنْهُ نُكَفِّرْ عَنْكُمْ سَيِّئَاتِكُمْ وَنُدْخِلْكُمْ مُدْخَلًا كَرِيمًا

„თუ გაემიჯნებით მძიმე ცოდვებს, რაც გეკრძალებათ, მოგიტევებთ ჩვენ ცოდვებსა თქვენსას და ღირსეულ შესასვლელში შეგიყვანთ თქვენ!" (ნისა 4/31)

اَلَّذِينَ يَجْتَنِبُونَ كَبَائِرَ الْاِثْمِ وَالْفَوَاحِشَ اِلَّا اللَّمَمَ اِنَّ رَبَّكَ وَاسِعُ الْمَغْفِرَةِ هُوَ اَعْلَمُ بِكُمْ اِذْ اَنْشَاَكُمْ مِنَ الْاَرْضِ وَاِذْ اَنْتُمْ اَجِنَّةٌ فِي بُطُونِ اُمَّهَاتِكُمْ فَلَا تُزَكُّوا اَنْفُسَكُمْ هُوَ اَعْلَمُ بِمَنِ اتَّقٰى

„და რომელნიც, გაურბიან მძიმე ცოდვებს და სიბილწეს, გარდა მცირედი ცოდვებისა. უეჭველად, ღმერთი შენი ყოვლად მიმტევებელია. იგი უკეთ გიწყის თქვენ, აკი, გაგაჩინათ მიწისგან და აკი, თქვენ იყავით ნაყოფნი მუცელში დედათა თქვენთა. მაშ, ნუ ჩათვლით საკუთარ თავს განწმენდილად, რამეთუ იგი უკეთ უწყის, ვინცაა ღვთისმოშიში." (ნეჯმ 53/32)

მონანიების და მიტევების საკითხებში მორწმუნეთა ყველაზე იმედიან აიათად შემდეგი ითვლება:

اَوَلَمۡ يَعۡلَمُوا اَنَّ اللّٰهَ يَبۡسُطُ الرِّزۡقَ لِمَنۡ يَشَآءُ وَيَقۡدِرُ اِنَّ ف ى ذٰلِكَ لَاٰيٰتٍ لِقَوۡمٍ يُّؤۡمِنُوۡنَ

„ნუთუ არ უწყიან, რომ ალლაჰი უმრავლებს სარჩოს და უზღუდავს, ინებებს ვისაც? უეჭველად, ამაშია სასწაულები მორწმუნე ხალხთათვის.“ (ზუმერ 39/52)

იბნი აბბასის გადმოცემით მედინელი ურწმუნოების ერთი ჯგუფი წმ. შუამავალთან მივიდა და განაცხადეს, რომ მათ ბევრი მკვლელობა და მრუშობა აქვთ ჩადენილი, ჩვენთვის გამოსავალი, ან გადარჩენის გზა თუ არსებობსო - უკითხავთ. ამის თაობაზე ზეგარდმოევლინა აიათები, სადაც საუბარია, რომ გულწრფელი მონანიების და მორწმუნოებრივი ქცევით ეს დიდი ცოდვებიც შეიძლება მისატევებელ კატეგორიაში განიხილებოდეს. ხოლო ამის მერე მოვლენილ იქნა ზემოთ მოყვანილი აიათი.

ეს აიათიც მიუთითებს, რომ ღმერთის წყალობისგან იმედის გადაწურვა არ შეიძლება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ცოდვის გაგრძელება მიღებული იყოს. აქ საუბარია იმაზე, რომ გამჩენი ღმერთის წყალობა და მიმტევებლობა უსაზღვროა, ამიტომ მისი წყალობის იმედი არ უნდა დავკარგოთ.

ებუ ზერ ელ ღიფარის გადმოცემულ ჰადისში მოთხრობილია ებუ ზერსა და წმ. შუამავალს შორის საუბრის ეპიზოდი. წმ. შუამავალს უბრძანებია: “ვინც იტყვის, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და ამ რწმენით მოკვდება, სამოთხეში შევა” – “რომც მოიპაროს, რომც იმრუშოს მაშინაც შევა”- უკითხავს ებუ ზერს. – “დიახ, რომც მოიპაროს და იმრუშოს მაინც სამოთხეში შევა”. ამის შემდეგ ებუ ზერი სამჯერ მიმართა იგივე შეკითხვით და სამივეჯერ იგივე პასუხი მიიღო. მეოთხედ შეკითხვისას კი წმ. შუამავალმა ბრძანა: “ებუ ზერს ეს მდგომარეობა რომც არ მოსწონდეს მაინც შევა!”

ზემოთ ჩამოთვლილი დიდი ცოდვების გარდა სხვა ცოდვებს რაც შეეხება, ჰადისებში ნაბრძანებია, რომ ლოცვიდან -ლოცვამდე, ჯუმის ლოცვიდან- შემდეგ ჯუმა ლოცვამდე ჩადენილ პატარა ცოდვებს მოგვიტევებს ღმერთი. აგრეთვე ავადმყოფობა, მოწყალების გაღება და სხვა სიკეთის მომცველი ქმედებები ცოდვების მიტევების მიზეზი გახდება.

III – ღმერთის რწმენა

ა) დიადი ღმერთი და მისი ლამაზი სახელები.

მთელი სამყაროს და სამყაროში არსებული ყველა სულიერი თუ უსულო არსების გამჩენი, მმართველი და მაცოცხლებელი დიადი ღმერთია. მას არ გააჩნია სასყისი და არც დასასრული. ის ყველგანაა და არ ჩანს. ის არის ყოვლის შემძლე, ყოვლის მცოდნე, ყველაფერი ესმის და ხედავს. მხოლოდ მისი მეუფება ვრცელდება ყველაფერსა ზედა. ის არ არის არც საგანი, არც ნივთიერება, არც მადანი ან ფორმა. არც რაიმის ნაწილი, ან ნაერთია. არც სახეობის და გარემოების მიხედვით შეიძლება მისი დახასიათება. მასზე არ მოქმედებს დროის სვლა. ნებისმიერ წამს არის ყველგან და ყველაფერი მის თვაწინაა. ის ხედავს თვალებს, მაგრამ თვალები მას ვერ აცნობიერებენ. მისი მსგავსი და სწორი არავინ და არაფერია. ის არის ყველა და ყველაფრის მეუფე და ჭეშმარიტი მბრძანებელი. მხოლოდ ის არის თაყვანისცემის, განდიდების და მასზე ლოცვის ღირსი.

დიადი ღმერთი ყურანში თავისთავს შემდეგნაირად ახასიათებს:

قُلْ هُوَ اللّٰهُ اَحَدٌ

اَللّٰهُ الصَّمَدُ

لَمْ يَلِدْ وَلَمْ يُولَدْ

وَلَمْ يَكُنْ لَهُ كُفُوًا اَحَدٌ

„თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია!“

„ალლაჰი „სამედია“ (ანუ ის არაფერზეა დამოკიდებული, პირიქით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული)!“

„არ შობილა და არც უშვია (მშობელი არ ყოფილა)“

„და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!“ (იჰლას 112/1-4)“

اَللّٰهُ لَا اِلٰهَ اِلَّا هُوَ اَلْحَیُّ الْقَیُّومُ لَا تَاْخُذُهُ سِنَةٌ وَلَا نَوْمٌ لَهُ مَا فِی السَّمٰوَاتِ وَمَا فِی الْاَرْضِ مَنْ ذَا الَّذِ ی یَشْفَعُ عِنْدَهُ اِلَّا بِاِذْنِه یَعْلَمُ مَا بَیْنَ اَیْدِ یهِمْ وَمَا خَلْفَهُمْ وَلَا یُح یطُونَ بِشَیْءٍ مِنْ عِلْمِه اِلَّا بِمَا شَاءَ وَسِعَ کُرْسِیُّهُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضَ وَلَا یَؤُدُهُ حِفْظُهُمَا وَهُوَ الْعَلِیُّ الْعَظِ یمُ

„არ არის ღვთაება, გარეშე მისი, ალლაჰისა, უკვდავისა, მარადისა, თვლემა არ ეუფლება მას და არცა ძილი. მისია, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა ნება მისი. მან იცის, რაც მათ უწინარესაა და რაც მათ შემდგომაა. ისინი კი მის ცოდნისგან მხოლოდ იმას გასწვდებიან, ინებებს რასაც. ტახტი მისი გარემოიცავს ცათა და ქვეყანას და დაცვა მათი არ უმძიმს მას. და იგი უზენაესია, დიდებულია.“ (ბაყარა 2/ 255)

1) სახელი „ალლაჰი“

ყველა ღვთიური თვისება ამ სახელშია თავმოყრილი. ენათმცოდნეების საკმაოდ ძლიერი შეხედულებით ეს სიტყვა არაბულიდან მომდინარეობს და არცერთი სიტყვისგან არ არის ნაწარმოები. ის მხოლოდ დიადი გამჩენის საკუთარი სახელია. მისი დაწყვილება ან მრავლობითში თქმა შეუძლებელია. საგნების და არსებების სახელები შეიძლება მრავლობითში გადავიყვანოთ. სხვადასხვა ენებში ალლაჰი სხვადასხვანაირად წარმოითქმის. მაგ. თურქულში -თანრი, სპარსულში- ჰუდა, ინგლისურში - გად და ა.შ. ეს სახელები მთლიანად ვერ იკავებენ ალლაჰის მაგივრობას, მხოლოდ მისი ზოგიერთი სახელის შემცვლელად გამოდგებიან. ყველა ეს სახელი შეიძლება მრავლობითში გადავიყვანოთ, მაგრამ “ალლაჰ”-ს მრავლობითში წარმოთქმა არ შეიძლება. ამიტომ იდენტურნი არ არიან.

თუმცა ეს მდგომარეობა სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ სხვა სახელები არ უნდა გამოვიყენოთ. დიად გამჩენს 99 სახელი აქვს და მსურველს შეუძლია სასურველი სახელით მოიხსენიოს. ამ სახელების სხვა ენაზე გადათარგმნაც შესაძლებელია. ყველა ესენი უზენაესი გამჩენის თვისებებს გამოხატავენ.

2) ყველაზე დიდი სახელი

წმ. წიგნში და ჰადისებში გამოყენებულ სახელებს “ისმი აზამ” ყველაზე დიდი სახელი ეწოდებათ.

ისლამის სწავლულთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ღმერთის სახელები ყველა თანაბარია, მაგრამ სწავლულების მეორე ნაწილი ჰადისებს იშველიებს მტკიცებულებად და მიიჩნევს, რომ ზოგი სახელი უფრო დიდი და მადლიანია. ზოგ ჰადისში ნაბრძანებია,

რომ თუ ამ სახელზე გავაკეთებთ ვედრებას ღმერთი მას მიიღებს.

ესმა ბინთი იეზიდის, ებუ უმამეს და უბეი იბნ ქაბის გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია, რომ "ისმი აზამ"-ი ბაყარას, ალი იმრანის და თაჰას სურეებში შეხვდებითო.

ერთ დღეს ღმერთის შუამავალს წმ. აიშესთვის უთქვამს:

"იცი თუ არა, რომ ღმერთმა მაცნობა სახელი, რომლის ხსენებისას ვედრება ამისრულდება? " წმ. აიშემ თხოვა ესწავლებინა ეს ვედრება მისთვის, მაგრამ შუამავალმა უარი უთხრა; " აიშე, სწორი არ იქნება ეს რომ გასწავლო, რადგან ამ სახელით ამქვეყნიური რამეებისთვის ვედრება მიუღებელია".

გამომდინარე აქედან წმ. შუამავალს კონკრეტულად არ მიუთითებია რომელია "ისმი აზამ"-ი, ანუ ყველაზე დიდი სახელი, მაგრამ ზოგიერთი მინიშნება მოუცია.

3) ღმერთის ყველაზე ლამაზი სახელები

ღმერთის ყველაზე ლამაზ სახელებში მისი ყველა სახელი იგულისხმება. არაბულად "ესმა-ი ჰუსნა".

ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

لَهُ الْمَثَلُ الْأَعْلَىٰ ۚ وَهُوَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ ۝ وَلِلَّهِ الْأَسْمَاءُ الْحُسْنَىٰ فَادْعُوهُ بِهَا ۖ وَذَرُوا الَّذِينَ يُلْحِدُونَ فِي أَسْمَائِهِ ۚ سَيُجْزَوْنَ مَا كَانُوا

„ყველაზე საუკეთესო სახელები ალლაჰისაა. მაშ, შეევედრეთ მას ამით და განერიდეთ, რომელნიც მის სახელების შესახებ ჭეშმარიტებას ცვლიან. მალე მიეზღვებათ იმისათვის, რასაც სჩადიოდნენ!" (არაფ 7/180)

وَيَطُوفُ عَلَيْهِمْ غِلْمَانٌ لَهُمْ كَأَنَّهُمْ لُؤْلُؤٌ مَكْنُونٌ

და გარს ეხვევიან ჭაბუკნი, ხელუხლებელი მარგალიტის დარნი.

(ჰაშრ 52/24)

ღმერთს ბევრი სახელი აქვს, თუმცა ის ერთადრეთია.

قُلِ ادْعُوا اللَّهَ أَوِ ادْعُوا الرَّحْمَٰنَ ۖ أَيًّا مَّا تَدْعُوا فَلَهُ الْأَسْمَاءُ الْحُسْنَىٰ ۚ وَلَا تَجْهَرْ بِصَلَاتِكَ وَلَا تُخَافِتْ بِهَا وَابْتَغِ بَيْنَ ذَٰلِكَ سَبِيلًا

„უთხარი: „მოუხმეთ ალლაჰს ან მწყალობელს! როგორც უნდა

უხმოთ, ყველა მშვენიერი სახელია მისი .“ და არ აუწიო ხმას ლოცვაში და არც დაუწიო მას, ამ ორ შორის საშუალო გზა დაიდგინე!“ (ისრა 17/110)

წმ. შუამავალი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს, რომ ღმერთს 99 სახელი გააჩნია და ვინც ამ სახელებს იწამებს და ამ რწმენით იცხოვრებს სამოთხეში შევა. ვედრებისას ეს სახელები უნდა ვახსენოთ რომ ის ღმერთის წინაშე მიღებული იყოს. თუმცა ღმერთის სახელები მხოლოდ 99-ით არ შემოიფარგლება. ესენი მხოლოდ ცნობილი სახელებია.

ადამიანის სულში დაბადებისთანავე გამჩენზე ფიქრი და მისადმი ლტოლვაა ჩადებული.

ღმერთმა ადამს ბევრი რამ აცნობა და დედამიწის მემკვიდრედ მოავლინა.

ადამიანის გონება, რომელსაც ობიექტურად აზროვნების უნარი გააჩნია ღმერთის არსებობაში დასარწმუნებლად დიდი ჯაფა არ სჭირდება. განსაკუთრებით მარტოობის დროს ჩნდება ეს გრძნობა ადამიანის სულის სიღრმეებში, ან კიდევ კატასტროფის ან რაიმე საშინელების დროს.

ყურანში ახსნილია, თუ როგორ მიიღტვის ადამიანის სული ღმერთთან შესაკედლებლად საფრთხის მოახლოებისას, ან ძნელბედობის ჯამს:

وَاِذَا مَسَّ الْاِنْسَانَ الضُّرُّ دَعَانَا لِجَنْبِه اَوْ قَاعِدًا اَوْ قَائِمًا فَلَمَّا كَشَفْنَا عَنْهُ ضُرَّهُ مَرَّ كَاَنْ لَمْ يَدْعُنَا اِلٰى ضُرٍّ مَسَّهُ كَذٰلِكَ زُيِّنَ لِلْمُسْرِفِ يْنَ مَا كَانُوا يَعْمَلُونَ

„და როცა კაცს უბედურება ეწევა, გვევედრება ჩვენ წამოწოლილი ან მჯდარი ან ფეხზე მდგომი. მაგრამ როცა ავარიდებთ მას უბედურებას, ისე ჩაივლის, თითქოს არც ეთხოვოს ჩვენთვის შეწევნა თავსდატეხილი უბედურების გამო. აი, ასე მოეკაზმათ ზღვარგადასულებს, რასაც სჩადიან.“ (იუნუს 10/12)

საზღვაო მოგზაურობაში წასულ მგზავრებს საფრთხის მოახლოება ღმერთის არსებობას შეახსენებს ხოლმე. წმ. წიგნში ეს შემდეგნაირადაა მოცემული:

هُوَ الَّذ ي يُسَيِّرُكُمْ فِى الْبَرِّ وَالْبَحْرِ حَتّٰى اِذَا كُنْتُمْ فِى الْفُلْكِ وَجَرَيْنَ بِهِمْ بِر يحٍ طَيِّبَةٍ وَفَرِحُوا بِهَا جَاءَتْهَا ر يحٌ عَاصِفٌ وَجَاءَهُمُ الْمَوْجُ مِنْ كُلِّ مَكَانٍ وَظَنُّوا اَنَّهُمْ اُح يطَ بِهِمْ دَعَوُا اللّٰه مُخْلِص يْنَ لَهُ الدّ ينَ لَئِنْ اَنْجَيْتَنَا مِنْ هٰذِه لَنَكُونَنَّ مِنَ الشّٰاكِر يْنَ

فَلَمَّا اَنْجٰيهُمْ اِذَا هُمْ يَبْغُونَ فِى الْاَرْضِ بِغَيْرِ الْحَقِّ يَا اَيُّهَا النَّاسُ اِنَّمَا بَغْيُكُمْ عَلٰى اَنْفُسِكُمْ مَتَاعَ الْحَيٰوةِ الدُّنْيَا ثُمَّ اِلَيْنَا مَرْجِعُكُمْ فَنُنَبِّئُكُمْ بِمَا كُنْتُمْ تَعْمَلُونَ

„იგია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, იმოგზაუროთ ხმელეთსა და ზღვაზე. თქვენ მგზავრობთ გემებით, რომლებიც თქვენთან ერთად დაცურავენ ზურგის ქარით, რომელიც ახარებთ. მაგრამ უეცრად დაუბერავს გრიგალი და აზვირთებული ტალღები შემოეკვრებიან ყოველი მხრიდან. ისინი გადაწყვეტენ, რომ ალყაში არიან და ალლაჰს შეევედრებიან წრფელი რწმენით: თუ გვიხსნი ამისგან, უეჭველად, ჩვენ მადლიერთა შორის ვიქნებითო!“

„ხოლო როცა გადაარჩენს მათ, ისინი უსამართლოდ თავაშვებულობენ ქვეყანაზე. ჰეი, ხალხო! თქვენი თავგასულობა, მხოლოდ თქვენს საწინააღმდეგოდვე, ამქვეყნიური სიტკბოებაა. მერე ჩვენთანაა მისაქციელი თქვენი , მაშინ გამცნობთ თქვენ, რასაც სჩადიოდით.“ (იუნუს 10/22, 23)

ცისა და დედამიწის გაჩენის შესახებ ფიქრიც საკმარისია, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითობის შედეგი ვერ იქნება. ციური სხეულების წონასწორობა და ზუსტი მოძრაობა, წარმოუდგენელი სიდიდის გალაქტიკების უზუსტესი გადაადგილება კოსმოსში დიადი გამჩენის არსებობის მტკიცებულებებია. მზე დედამიწაზე 1.3 მილიონჯერ უფრო დიდია და მისი სინათლე, რომლის სიჩქარე წამში 300 ათას კმ-ა 7,5- 8 წუთს ანდომებს დედამიწამდე მოღწევას. ამასთან ერთად არსებობს ვარსკვლავები, რომელთა სინათლეც დედამიწის გაჩენიდან დღემდე ჯერ არ მოღწეულა. ეს მეცნიერული აღმოჩენები ღმერთისადმი რწმენის გაძლიერებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

აიათში ნაბრძანებია:

وَلَئِنْ سَاَلْتَهُمْ مَنْ خَلَقَ السَّمٰوٰتِ وَالْاَرْضَ لَيَقُولُنَّ اللّٰهُ قُلِ الْحَمْدُ لِلّٰهِ بَلْ اَكْثَرُهُمْ لَا يَعْلَمُونَ

და თუ ჰკითხავ მათ: „ვინ გააჩინა ცანი და მიწაო? უთუოდ, გიპასუხებენ: „ალლაჰმაო“. უთხარი: „დიდება ალლაჰს!“ მაგრამ მათგან უმეტესობა არ უწყის. (ლოქმან 31/25)

اِنَّ فِى اخْتِلَافِ الَّيْلِ وَالنَّهَارِ وَمَا خَلَقَ اللّٰهُ فِى السَّمٰوٰتِ وَالْاَرْضِ لَاٰيَاتٍ لِقَوْمٍ يَتَّقُونَ

„უეჭველად, ღამის და დღის მონაცვლეობაში და რაც ალლაჰმა გააჩინა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა , სასწაულებია ღვთისმოშიშ ხალხთათვის.“ (იუნუს 10/6)

اَفَلَمْ يَنْظُرُوا اِلَى السَّمَاءِ فَوْقَهُمْ كَيْفَ بَنَيْنَاهَا وَزَيَّنَّاهَا وَمَا لَهَا مِنْ فُرُوجٍ

وَالْاَرْضَ مَدَدْنَاهَا وَاَلْقَيْنَا ف يهَا رَوَاسِىَ وَاَنْبَتْنَا ف يهَا مِنْ كُلِّ زَوْجٍ بَه يجٍ

تَبْصِرَةً وَذِكْرٰى لِكُلِّ عَبْدٍ مُن يبٍ

„განა არ შეხედავენ, როგორ ავაგეთ ზეცა მათ ზემოდან, როგორ მოვკაზმეთ იგი და მასში არანაირი ღიობი არ მოინახება!“

„ეს ყველაფერი ჭეშმარიტებისაკენ მსწრაფველი ყველა მორწმუნისათვის ერთგვარი გაკვეთილი და ერთგვარი დარიგებაა!“ (ყაფი 50/ 6-8)

ამასთან ერთად, საჭიროა მთელი ამ საოცრებების ღმერთთან დაკავშირება და მის იქეთ ფიქრის გაგრძელება არ არის მიზანშეწონილი. მაგ. “ღმერთმა შექმნა ეს ყველაფერი, მაგრამ ვინ გააჩინა თავად ღმერთი? “ – ამ ტიპის შეკითხვები უადგილოა, რადგან ღმერთი უკვდავია, მუდმივია, არ გააჩნია დასაწყისი, არ დაბადებულა და არც გაჩენილა. გონებამ უნდა გაიაზროს, რომ შემდეგ გაჩენილი ყველა და ყველაფერი გამჩენს უკავშირდება. ერთ-ერთ მორწმუნეს, რომელიც სატანამ ეჭვებში ჩააგდო წმ. შუამავალმა ურჩია: “მე მწამს ღმერთი! –ეს თქვი და იკმარეო”.

4) ღმერთის თვისებები

მთელი სამყაროს გამჩენ ღმერთს თავის ლამაზ სახელებთან ერთად შეუდარებელი თვისებები გააჩნია.

ღმერთის რწმენა ამ თვისებების რწმენასთან ერთად მოიაზრება, რადგან გამჩენს ამ თვისებებით შევიცნობთ.

ღმერთის და თავისი გაჩენილების თვისებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ყველა თვისება რაც ყველა და ყველაფერს ახასიათებს ღმერთმა მიანიჭა. ყველა ეს თვისება შეზღუდულია და ამასთან ერთად ისევ ღმერთის შეწევნითაა შესაძლებელი მათი გამომჟღავნება.

ალლაჰის თვისებები სამ ნაწილად იყოფა: ზათი, სუბუთი და ფიილი

“ზათი” თვისებები

“ზათი” თვისებები ექვსია.

1) ვუჯუდ- ყოფნას, არსებობას ნიშნავს. რომ არ არსებულიყო ღმერთი არაფერი არ იარსებებდა. სამყაროს არსებობა ღმერთის არსებობის ყველაზე დიდი მტკიცებულებაა. თავისით არც არაფერი გაჩნდება და არც გაქრება.

არსებობის საპირისპირო სიტყვა არასებობა ღმერთის შესახებ არ გამოიყენება. ღმერთის არსებობა სხვა რაიმეზე არ არის დამოკიდებული. ის თავისთავში არსებობს და ყველა და ყველაფრისგან დამოუკიდებელია.

2) ყიდემ- დასაწყისის არ არსებობა. ღმერთის არსებობას არ გააჩნია საწყისი. ის მუდმივად არსებობდა. შეუძლებელია ფიქრი იმაზე, რომ წარსულში რაც არ უნდა ღრმად წავიდეთ, ოდესმე ღმერთი არ არსებულიყო. ღმერთს რომ საწყისი ჰქონოდა, მაშინ დროის რაღაც მომენტში უნდა გაჩენილიყო და ამისათვის თავისი გამჩენი უნდა ჰყოლოდა. ღმერთის არსებობა თავისთავშია.

هُوَ الْاَوَّلُ وَالْاٰخِرُ وَالظَّاهِرُ وَالْبَاطِنُ وَهُوَ بِكُلِّ شَىْءٍ عَلِيمٌ

ყურანში ნაბრძანებია: „იგია პირველი და უკანასკნელი, საცნაური და მალულია. იგი ყოველთა ყოვლისმცოდნეა.“ (ჰადიდ 57/3)

მოკლედ, სამყაროში არსებულ ყველა არსებას აქვს თავისი არსებობის წინა პერიოდი, ანუ ის დრო, როცა არ არსებობდნენ. ღმერთი კი დროის და ადგილისგან დამოუკიდებლად არსებობს. მასზე არ მოქმედებს არც გასული დრო და არც მანძილი.

3) ბეყა – არსებობის უსასრულობა, უკვდავება, მუდმივობა.

ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

وَيَبْقٰى وَجْهُ رَبِّكَ ذُو الْجَلَالِ وَالْاِكْرَامِ

„და მარადიულია არსი შენი ღმერთისა, ბრწყინვალისა და დიდებულისა.“ (რაჰმან 55/27)

هُوَ الْاَوَّلُ وَالْاٰخِرُ وَالظَّاهِرُ وَالْبَاطِنُ وَهُوَ بِكُلِّ شَىْءٍ عَل يمٌ

„იგია პირველი და უკანასკნელი, საცნაური და მალულია. იგი ყოველთა ყოვლისმცოდნეა.“ (ჰადიდ 57/3)

ამ აიათებიდან ჩანს, რომ ღმერთი უკვდავია. მის არსებობას არ გააჩნია დასასრული. არსებობის შეჩერება ნაკლოვანებაა. ღმერთი კი უნაკლოა. მისი ძალა და შესაძლებლობები უსაზღვროა. სამყაროში არ არსებობს რაიმე ძალა, რომელიც მის ნებასურვილს წინ აღუდგება.

4) ვაჰდანიეთ – ღმერთი ერთია. ღმერთი თავისი ფენომენით, თვისებებით ერთადერთია. ის ერთია და მთლიანი. სრული და სრულყოფილი. არ არსებობს მისი ტოლი და სწორი. ის არ ჰგავს თავსი გაჩენილებს. მისი თვისებები არ ჰგავს თავისი გაჩენილების თვისებებს. მხოლოდ მისი თვისებაა არაფრისგან ყველაფრის გაჩენა. მისი ერთადერთობა იჰლასის სურაშია ახსნილი:

قُلْ هُوَ اللّٰهُ اَحَدٌ

اَللّٰهُ الصَّمَدُ

لَمْ يَلِدْ وَلَمْ يُولَدْ

وَلَمْ يَكُنْ لَهُ كُفُوًا اَحَدٌ

„თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია!“

„ალლაჰი „სამედია“ (ანუ ის არაფერზეა დამოკიდებული, პირიქით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული)!“

„არ შობილა და არც უშვია (მშობელი არ ყოფილა)“

„და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!“ (იჰლას 112/1-4)

لَوْ كَانَ ف يهِمَا اٰلِهَةٌ اِلَّا اللّٰهُ لَفَسَدَتَا فَسُبْحَانَ اللّٰهِ رَبِّ الْعَرْشِ عَمَّا يَصِفُونَ

„რომ ყოფილიყო ორივეში ალლაჰის გარდა სხვა ღვთაებები, უთუოდ ორივე აირევ-დაირეოდა. თუმცაღა ტახტრევნის გამჩენი ალლაჰი დიადია იმაზე, რასაც მიაწერენ!“ (ენბია 21/22)

قُلْ لَوْ كَانَ مَعَهُ اٰلِهَةٌ كَمَا يَقُولُونَ اِذًا لَابْتَغَوْا اِلٰى ذِى الْعَرْشِ سَب يلا

„უთხარი : „რომ ყოფილიყვნენ მის ერთად ღვთაებები, როგორც თვითონ ამბობენ, მაშინ უთუოდ მოინადირებდნენ ისინი მიღწევას ტახტრევნის მეუფემდე .“ (ისრა 17/42)

لَوْ اَرَادَ اللّٰهُ اَنْ يَتَّخِذَ وَلَدًا لَاصْطَفٰى مِمَّا يَخْلُقُ مَا يَشَاءُ سُبْحَانَهُ هُوَ اللّٰهُ الْوَاحِدُ الْقَهَّارُ

„ალლაჰს, რომ ენება დადგენა ძისა, უთუოდ, აირჩევდა გაჩენილებისგან, რაც ნებავს. დიდება შენდა! იგია ალლაჰი, ერთადერთი, ყოვლისშემძლე!“ (ზუმერ 39/4)

სამყაროს ერთზე მეტი გამჩენი რომ ჰყოლოდა, განსხვავებული სურვილის და მეუფების დროს სამყაროს წონასწორობა დაირღვეოდა.

يَا اَيُّهَا النَّاسُ اذْكُرُوا نِعْمَتَ اللّٰهِ عَلَيْكُمْ هَلْ مِنْ خَالِقٍ غَيْرُ اللّٰهِ يَرْزُقُكُمْ مِنَ السَّمَاءِ وَالْاَرْضِ لَا اِلٰهَ اِلَّا هُوَ فَاَنّٰى تُؤْفَكُونَ

ყურანში ნაბრძანებია: „ჰეი, ხალხო! გაიხსენეთ წყალობა ალლაჰისა თქვენდამი. არის განა კიდევ სხვა გამჩენი, გარდა ალლაჰისა, რომელიც გაძლევთ საზრდოს ციდან და მიწიდან? არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი! მაშ, რატომ არღა მოიქცევით?!“ (ფათირი 35/3)

يَوْمَ هُمْ بَارِزُونَ لَا يَخْفٰى عَلَى اللّٰهِ مِنْهُمْ شَيْءٌ لِمَنِ الْمُلْكُ الْيَوْمَ لِلّٰهِ الْوَاحِدِ الْقَهَّارِ

„იმ დღეს, როცა ისინი აღმოცენდებიან, არაფერი დაიმალება ალლაჰის წინაშე. მაშ, ვისია დღეს მეუფება? უეჭველად, ალლაჰს ეკუთვნის ერთადერთს, ძლევამოსილს.“ (მუ’მინ 40/16)

სამყაროს უზადო წონასწორობა და მისი უწყვეტი მოძრაობა ერთადერთი ღმერთის შედეგია. ღმერთის ერთადერთობა იწვევს სამყაროს ერთიანობას. ღმერთს მოზიარე რომ ჰყავდეს ეს წონასწორობა დაირღვეოდა.

ყურანში ნაბრძანებია:

مَا اتَّخَذَ اللّٰهُ مِنْ وَلَدٍ وَمَا كَانَ مَعَهُ مِنْ اِلٰهٍ اِذًا لَذَهَبَ كُلُّ اِلٰهٍ بِمَا خَلَقَ وَلَعَلَا بَعْضُهُمْ عَلٰى بَعْضٍ سُبْحَانَ اللّٰهِ عَمَّا يَصِفُونَ

„არ დაუდგენია ალლაჰს ძე და არ არის მასთან ერთად სხვა ღვთა-

ება. ასე რომ ყოფილიყო, უთუოდ, ყოველივე ღვთაება მოსპობდა იმას, რაც გააჩინა და უთუოდ ერთნი აღმატებულ იქნებოდნენ მეორეზე. დიდება ალლაჰს, რასაც სწამებენ იმისგან!“ (მუ'მინუნ 23/91)

ადამიანებს, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ზოგჯერ გადაუხვევიათ ჭეშმარიტი გზიდან და სამყაროს ნამდვილი მეუფის მაგივრად სხვა სათაყვანებელი გაუხდიათ. ამას ისლამში

“შირქი” ეწოდება.

შირქი ორი სახისაა:

1) სათაყვანებლად სხვა არსების მიჩნევა. მაგ. ადამიანი, კერპი, მცენარე, ცხოველი და სხვ.

2) ღვთისმსახურების სხვების მოსაჩვენებლად შესრულება.

ღმერთი ამგვარი გაუკუღმართებული მოსაზრებებისგან გაცილებით მაღლა დგას. მას არც შვილი ჰყოლია. მის გვერდით სხვა ღმერთი არ არსებობს. რომ ყოფილიყო, ზემოთ ნახსენები წონასწორობის რღვევა გარდაუვალი იქნებოდა.

ყურანში ქრისტიანების “შირქ”-ი შემდეგნაირადაა დახასიათებული:

لَقَدْ كَفَرَ الَّذِينَ قَالُوا إِنَّ اللَّهَ ثَالِثُ ثَلَاثَةٍ وَمَا مِنْ إِلَٰهٍ إِلَّا إِلَٰهٌ وَاحِدٌ وَإِنْ لَمْ يَنْتَهُوا عَمَّا يَقُولُونَ لَيَمَسَّنَّ الَّذِينَ كَفَرُوا مِنْهُمْ عَذَابٌ أَلِيمٌ

„ვფიცავ! ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰი სამთაგან მესამეა. და არ არის ღმერთი, გარდა ერთი ღმერთისა. და თუ ისინი არ მოიშლიან იმას, რასაც ამბობენ, უთუოდ მწარე სასჯელი შეეხებათ მათ, რომელთაც არ ირწმუნეს!“ (მაიდე 5/73)

ამის მიხედვით სამების (მამა, ძე და სულიწმინდა) მაღიარებელი ქრისტიანები ღმერთის თვისების “ვაჰდანიეთ” (ერთადერთობა) უარმყოფელად ითვლებიან.

لَقَدْ كَفَرَ الَّذِينَ قَالُوا إِنَّ اللَّهَ هُوَ الْمَسِيحُ ابْنُ مَرْيَمَ وَقَالَ الْمَسِيحُ يَا بَنِي إِسْرَائِيلَ اعْبُدُوا اللَّهَ رَبِّي وَرَبَّكُمْ إِنَّهُ مَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ اللَّهُ عَلَيْهِ الْجَنَّةَ وَمَأْوَاهُ النَّارُ وَمَا لِلظَّالِمِينَ مِنْ أَنْصَارٍ

ყურანში ნაბრძანებია: „ვფიცავ, ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰია მესიჰი, შვილი მარიამისა; და თქვა მესიჰმა: ისრაილის შვილნო, თაყვანი ეცით ალლაჰს, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთს. უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლონთ შემწენი.“ (მაიდე 5/72)

როგორც ქრისტიანები მიიჩნევენ, სამყაროს სამი ღმერთი რომ ჰყოლოდა მათ შორის აუცილებლად წარმოიშობოდა პაექრობა სამყაროს მართვის სადავეების ასაღებად. შემდეგ აიათში სწორედ ამაზეა საუბარი:

سُبْحَانَهُ وَتَعَالٰى عَمَّا يَقُولُونَ عُلُوًّا كَبِيرًا

„დიდება მას! და იგი დიადი, უზენაესი და დიდებულია იმაზე, რასაც ისინი ამბობენ!“ (ისრა 17/43)

5) მუჰალეფეთუნ ლილ ჰავადის- ყველაფრისგან განსხვავებულობა. ღმერთი არავის და არაფერს არ ჰგავს და არც არავინ და არაფერ ემსგავსება მას. ღმერთი თვისი თვისებებით შეუძლებელია ჰგავდეს თავის გაჩენილებს, რადგან ის უსასრულობიდან მოდის და უკვდავია. სხვა არსებები კი შემდეგ არიან გაჩენილნი. ღმერთი უკვდავია, ხოლო მისი გაჩნილები მოკვდავნი. გარდა ამისა არსებები გარკვეული ნაწილებისგან შესდგებიან და ბევრ რამეზე არიან დამოკიდებულნი. ღმერთი კი თვითმყოფადია, არაფერზეა დამოკიდებული და არც არაფერს საჭიროებს.

ჩვენ როგორც არ უნდა ვიფიქროთ და წარმოვიდგინოთ ღმერთი, ისეთს ვერასოდეს წარმოვიდგენთ, როგორიც სინამდვილეში არის. ეს იმიტომ, რომ ადამიანს თვალით დანახული, ან გაგონილი, ან რაიმენაირად ნაცოდინარი შეიძლება წარმოიდგინოს. ადამიანი მხოლოდ ღმერთის გაჩენილ არსებებს აღწერს, ღმერთი კი თავის გაჩენილებს არ ჰგავს. ამის შესახებ ყურანში შემდეგნაირადაა ნაბრძანები:

فَاطِرُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ جَعَلَ لَكُمْ مِنْ اَنْفُسِكُمْ اَزْوَاجًا وَمِنَ الْاَنْعَامِ اَزْوَاجًا يَذْرَؤُكُمْ فِيهِ لَيْسَ كَمِثْلِهِ شَيْءٌ وَهُوَ السَّمِيعُ الْبَصِيرُ

„იგი გამჩენია ცათა და ქვეყნის! დაადგინა თქვენთვის მეუღლენი თქვენი სულიდანვე, და ასევე საქონელი წყვილებად. გამრავლებთ თქვენ იქ. არაფერია მსგავსი მისი, რამეთუ იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!“ (შურა 42/11)

ადამიანებს და სხვა არსებებს მრავალნაირი საჭიროებები და ემოციები გააჩნიათ. სჭირდებათ საკვები, ძილი, დასვენება, უხარიათ, სწყინთ, ეშინიათ და ა.შ. ღმერთი ამ ყველაფერზე მაღლა დგას. როდესაც ვკითხულობთ "ღმერთი ტახტზე ამაღლდა" , აქ გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება უზენაესის მეუფება მთელ სამყაროზე.

6) ყიამ ბი ნეფსიჰი- თავისთავში არსებობა, ანუ არსებობისათვის ღმერთი არავისზე და არაფერზე დამოკიდებული არ არის. სხვა არსებებს სჭირდებათ გამჩენი, შემოქმედი და კიდევ ბევრი რამ არსებობისათვის, ღმერთი კი თავადაა გამჩენი და არც ადგილი, საკვები, ან სხვა რამ არ სჭირდება.

ყველა ხილული და უხილავი არსება ღმერთის ბრძანებით ჩნდება. თუ უზენაესი ინებებს მისივე ბრძანებით მოისპობა ყველა და ყველაფერი. ამის შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები: „რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა, განა არ ძალუძს, რომ გააჩინოს მსგავსი მათი? რა თქმა უნდა ძალუძს, რამეთუ იგი ყველაფრის გამჩენი და ყოველივეს მცოდნეა!"

اَوَلَيْسَ الَّذ ى خَلَقَ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضَ بِقَادِرٍ عَلٰى اَنْ يَخْلُقَ مِثْلَهُمْ بَلٰى وَهُوَ الْخَلَّاقُ الْعَل يمُ

اِنَّمَا اَمْرُهُ اِذَا اَرَادَ شَيْـًٔا اَنْ يَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

„როცა მას რამე ნებავს, საკმარისია უთხრას მას: „იქმენ!" და უმალ იქმნება ისიც." (იასინ 36/81-82)

საბოლოოდ, ყველა მორწმუნე ვალდებულია ღმერთი ისეთი იწამოს როგორიც თავად ღმერთმა გადმოგვცა ყურანის საშუალებით.

ბ) სუბუთი თვისებები

ეს ისეთი თვისებებია, რომლებიც ღმერთს გააჩნია და შინაარსობრივი მსგავსების მიუხედავად სხვა არსებების თვისებებისგან განსხვავდება. მაგ. სიცოცხლე, ცოდნა, ძალა და სხვ.

ეს თვისებები სხვა არსებებში შეზღუდულია, შეიძლება მისი მატება ან კლება, მაგრამ ღმერთი ყველა თავისი თვისებით უსაზღვრო და უზადო არსებაა. ეს თვისებები რვა ნაწილად იყოფა და შემდეგია:

1) სიცოცხლე- დიადი ღმერთი ცოცხალია. ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედავთ, რომ მხოლოდ ცოცხლებს შეუძლიათ მოქმედება, მოძრაობა, ლაპარაკი და სხვა. მკვდრების რაიმე ქმედება კი არსად ჩანს. ადამიანის და სხვა ცოცხალი არსებების სიცოცხლე ფიზიკური სხეულისა და სულის შეერთებით წარმოქმნილი დროებითი სიცოცხლეა, ხოლო ღმერთის სიცოცხლე უსასრულობიდან უსასრულობისკენ მიმავალი, ყველაფერისგან დამოუკიდებელი და უკვდავია. სიკვდილი ერთ-ერთი ნაკლია. ღმერთი კი ნაკლოვანებებისგან შორსაა.

წმ. წიგნში ამის შესახებ წერია:

وَتَوَكَّلْ عَلَى الْحَيِّ الَّذ ى لَا يَمُوتُ وَسَبِّحْ بِحَمْدِه وَكَفٰى بِه بِذُنُوبِ عِبَادِه خَب يرًا

„და სასოებდე მარადიულს, რომელიც არ მოკვდება, და ქებითა განადიდე იგი. იგი საკმარისია, თავის მსახურთა ცოდვების მცოდნედ!“ (ფურყანი 25/58)

اَللّٰهُ لَا اِلٰهَ اِلَّا هُوَ الْحَيُّ الْقَيُّومُ

„არ არის ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მარადცოცხალისა, მარადიულისა!“ (ალი იმრან 3/2)

وَعَنَتِ الْوُجُوهُ لِلْحَيِّ الْقَيُّومِ وَقَدْ خَابَ مَنْ حَمَلَ ظُلْمًا

„ყველა სახე დაიხრება უკვდავის, მარადისის წინაშე და წარწყმედილნი იქნებიან, ვინც უსამართლობის ტვირთი იტვირთა!“ (ტაჰა 20/111)

2) ცოდნა – ღმერთმა ყველაფერი იცის: წარსული, აწმყო, მომავალი, მომხდარი, არსებული, ფარული თუ აშკარა. იცის როგორც ერთი მთლიანობა, ისე სათითაოდ. ეს ცოდნა გააჩნდა მუდმივად და ექნება სამუდამოდ. მისი ცოდნა არ არის დამყარებული ფიქრზე, აზროვნებაზე, დაკვირვებასა და გამოცდილებაზე. ღმერთმა იცის ყველაფერი, იცის რა მოხდება, თუმცა იმიტომ არ ხდება, რომ ეს ღმერთმა იცის. ცოდნის საპირისპირო თვისების უცოდინაროზის ღმერთთან დაკავშირება გამორიცხულია.

ზოგიერთ ფილოსოფოსს მიაჩნია, რომ ღმერთს ზოგადი ცოდნა გააჩნია და წვრილმანები და დეტალები არ უწყის. ეს მოსაზრება ღმერთის უნაკლობის თვისებას ეწინააღმდეგება და ამდენად მცდარია.

ცოდნის შესახებ წმ. წიგნში ბევრი აიათია მოცემული.

وَعِنْدَهٗ مَفَاتِحُ الْغَيْبِ لَا يَعْلَمُهَاۤ اِلَّا هُوَ وَيَعْلَمُ مَا فِى الْبَرِّ وَالْبَحْرِ وَمَا تَسْقُطُ مِنْ وَرَقَةٍ اِلَّا يَعْلَمُهَا وَلَا حَبَّةٍ ف ى ظُلُمَاتِ الْاَرْضِ وَلَا رَطْبٍ وَّلَا يَابِسٍ اِلَّا ف ى كِتَابٍ مُّب ِيْنٍ

„და მისთანაა გასაღებნი დაფარულისა, არავინ უწყის მის გარდა. და იცის, რაც ხმელეთზეა და ზღვაში. ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდება მისი ცოდნის გარეშე, და არცა მარცვალი ნედლი და ხმელი მიწის წყვდიადში, რომ არ იყოს ცხად წიგნში.“ (ენამ 6/59)

اَلَمْ تَرَ اَنَّ اللّٰهَ يَعْلَمُ مَا فِى السَّمٰوٰتِ وَمَا فِى الْاَرْضِ مَا يَكُوْنُ مِنْ نَّجْوٰى ثَلٰثَةٍ اِلَّا هُوَ رَابِعُهُمْ وَلَا خَمْسَةٍ اِلَّا هُوَ سَادِسُهُمْ وَلَاۤ اَدْنٰى مِنْ ذٰلِكَ وَلَاۤ اَكْثَرَ اِلَّا هُوَ مَعَهُمْ اَيْنَ مَا كَانُوا ثُمَّ يُنَبِّئُهُمْ بِمَا عَمِلُوا يَوْمَ الْقِيٰمَةِ اِنَّ اللّٰهَ بِكُلِّ شَىْءٍ عَل يْمٌ

„განა ვერ ხედავ, რომ ალლაჰი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და არ იქნება საიდუმლო ბჭობა სამთა, რომ არ იყოს მეოთხე ის და არც, რომ იგი არ იყოს მეექვსე და არც ნაკლები ამაზე და არც მეტი, რომ არ იყოს იგი მათგან სადაც არ უნდა იყვნენ. მერე ამცნობს მათ აღდგომის დღეს იმას, რაც ჰქმნეს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა.“ (მუჯადელე 58/7)

وَاَسِرُّوا قَوْلَكُمْ اَوِ اجْهَرُوا بِه ۔ اِنَّهٗ عَل يْمٌۢ بِذَاتِ الصُّدُوْرِ

ჩუმად იტყვით სიტყვას თუ დაფარულად, უეჭველად, მცოდნეა იგი გულთა ნადებისა!

(მულქი 67/13)

وَلَقَدْ خَلَقْنَا فَوْقَكُمْ سَبْعَ طَرَائِقَ وَمَا كُنَّا عَنِ الْخَلْقِ غَافِل ِيْنَ

„და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ თქვენს ზემოთ შვიდი გზა და ჩვენ უგულისყურო არა ვართ გაჩენილების მიმართ!“ (მუმინუნ 23/17)

قُلْ لَّوْ كَانَ الْبَحْرُ مِدَادًا لِّكَلِمَاتِ رَبِّ ى لَنَفِدَ الْبَحْرُ قَبْلَ اَنْ تَنْفَدَ كَلِمَاتُ رَبِّ ى وَلَوْ جِئْنَا بِمِثْلِه ۔ مَدَدًا

ღმერთის ცოდნის უსაზღვრობის შესახებ შემდეგი აიათი მოგვითხრობს: „უთხარი: „რომ გარდაიქცეს ზღვები მელნად ჩემი უფლის სიტყვებისთვის, უთუოდ, დაიშრიტებოდა ზღვები, ვიდრე ჩემი უფლის სიტყვები გათავდება, რომც დავუმატოთ ამდენივე წასაშველებლად!“ (ქეჰფი 18/109)

وَلَوۡ اَنَّ مَا فِی الۡاَرۡضِ مِنۡ شَجَرَةٍ اَقۡلَامٌ وَّالۡبَحۡرُ یَمُدُّهٗ مِنۡ بَعۡدِهٖ سَبۡعَةُ اَبۡحُرٍ مَّا نَفِدَتۡ کَلِمَاتُ اللّٰهِ اِنَّ اللّٰهَ عَزِیۡزٌ حَکِیۡمٌ

„ქვეყანაზე რაც კი ხეა, ყველა კალმად რომ იქცეს, ხოლო ზღვა მელნად და მას რომ წაეხმაროს შვიდი ზღვა, მაინც არ ამოიწურება ალლაჰის სიტყვები. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!“ (ლოქმან 31/27)

სამყაროში არსებული უზუსტესი გათვლები და წონასწორობა, ფიზიკური კანონები და სხვა საოცრებები გვიჩვენებს რაოდენ უსაზღვროა გამჩენის ცოდნა.

3) სმენა- ღმერთს ყველაფერი ესმის. ყველაზე ფარული და ჩუმი ხმები ღმერთის სმენას ვერ გამოეპარება. ღმერთის სმენის უნარი სხვა არსებების სმენის უნარისგან განსხვავდება. სხვა არსებებს გაგონებისთვის ელემენტარულად ყური, ხმის სიხშირედა შორ მანძილზე სხვადასხვა მოწყობილებები სჭირდებათ, მაშინ როცა ღმერთს ყველაფერი შეუზღუდავად და რაიმის დახმარების გარეშე ესმის. ღმერთი ყველაფერში უნაკლოა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

فَاِنۡ اٰمَنُوۡا بِمِثۡلِ مَاۤ اٰمَنۡتُمۡ بِهٖ فَقَدِ اهۡتَدَوۡا وَاِنۡ تَوَلَّوۡا فَاِنَّمَا هُمۡ فِیۡ شِقَاقٍ فَسَیَکۡفِیۡکَهُمُ اللّٰهُ وَهُوَ السَّمِیۡعُ الۡعَلِیۡمُ

„და თუ ეგენი ირწმუნებენ ისე, როგორც თქვენ ირწმუნეთ მისი (ალლაჰისა), უეჭველად, სწორ გზას ადგანან. და თუ ზურგი შეაქციეს, მაშინ ნამდვილად განდგომილნი არიან. ხოლო ალლაჰი საკმარისია შენთვის მათ წინაშე, და იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე.“ (ბაქარა 2/137)

سُبۡحَانَ الَّذِیۡۤ اَسۡرٰی بِعَبۡدِهٖ لَیۡلًا مِّنَ الۡمَسۡجِدِ الۡحَرَامِ اِلَی الۡمَسۡجِدِ الۡاَقۡصَا الَّذِیۡ بٰرَکۡنَا حَوۡلَهٗ لِنُرِیَهٗ مِنۡ اٰیٰتِنَا اِنَّهٗ هُوَ السَّمِیۡعُ الۡبَصِیۡرُ

„დიდება იმას, რომელმაც ღამით გადაიყვანა თავისი მსახური მესჯიდი ჰარამიდან მესჯიდი აყსაში, რომლის შემოგარენიც ჩვენ დავლოცეთ, რათა გვეჩვენებინა მისთვის ნაწილნი ჩვენი სასწაულნისა. უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!“ (ისრა 17/1)

4) მხედველობა – ღმერთი ყველაფერს ხედავს. სამყაროში ვერაფერი დარჩება მისი მხედველობის მიღმა. მას ერთი რაიმის დანახვა სხვა რამის დანახვაში ხელს ვერ შეუშლის. სხვა არსებებს დანახვისათვის ელემენტარულად თვალი და სინათლე მაინც სჭირდებათ. ღმერთის მხედველობა არაფრით არის შეზღუდული. გამჩენის ამ თვისების შესახებ წმ. წიგნში ბევრი აიათია მოცემული:

وَلَقَدْ خَلَقْنَا فَوْقَكُمْ سَبْعَ طَرَائِقَ وَمَا كُنَّا عَنِ الْخَلْقِ غَافِلِينَ

„და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ თქვენს ზემოთ შვიდი გზა და ჩვენ უგულისყურო არა ვართ გაჩენილების მიმართ!“ (მუ'მინუნ 23/17)

5) ნება – ღმერთის ნება. ღმერთს გააჩნია თავისი ნება, რომლის განხორციელებისას აბსოლუტურად თავისუფალია. არ არსებობს რაიმე ძალა, რომელიც მის ნებას შეზღუდავს. მთელი სამყარო ხომ მის ნებას ემორჩილება. რაც ოდესმე ყოფილა, არის და იქნება დიადი ღმერთის უზენაესი ნებაა. რაც მას ნებავს იქნება, რაც არ ნებავს არ იქნება.

ყურანში ნაბრძანებია:

خَالِدِينَ فِيهَا مَا دَامَتِ السَّمٰوَاتُ وَالْأَرْضُ إِلَّا مَا شَاءَ رَبُّكَ إِنَّ رَبَّكَ فَعَّالٌ لِمَا يُرِيدُ

„იქ დარჩებიან სამუდამოდ, სანამ იარსებებენ ცანი და მიწა, თუკი შენი ღმერთი არ ინებებს რამე სხვას. უეჭველად, შენი ღმერთი იქმს იმას, რასაც ინებებს!“ (ჰუდ 11/107)

შეკითხვაზე, რომელიც წმ. მარიამის მიერ მამაკაცის გარეშე შვილის დაბადებას ეხებოდა ყურანისეული პასუხი ასეთია:

قَالَتْ رَبِّ أَنّٰى يَكُونُ لِي وَلَدٌ وَلَمْ يَمْسَسْنِي بَشَرٌ قَالَ كَذٰلِكِ اللّٰهُ يَخْلُقُ مَا يَشَاءُ إِذَا قَضٰى أَمْرًا فَإِنَّمَا يَقُولُ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

„უთხრა (მარიამმა): „უფალო ჩემო, როგორ მეყოლება მე ძე, როცა კაცი არ შემხებია მე?“ მიუგო (ალლაჰმა): სწორედ რომ ასე, ალლაჰი გააჩენს, ინებებს რასაც. როცა განიზრახავს რაიმეს გაჩენას, მხოლოდ ეტყვის მას: იქმენ! და უმალ იქმნება ისიც.“ (ალი იმრან 3/47)

إِنَّمَا أَمْرُهُ إِذَا أَرَادَ شَيْئًا أَنْ يَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

„როცა მას რამე ნებავს, საკმარისია უთხრას მას: „იქმენ!“ და უმალ იქმნება ისიც.“ (იასინ 36/82)

اِنَّمَا قَوْلُنَا لِشَىْءٍ اِذَا اَرَدْنَاهُ اَنْ نَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

„როცა ჩვენ რამეს ვინებებთ, საკმარისია ვუთხრათ მას: „იქმენ!“ და უმალვე იქმნება ისიც.“ (ნაჰლ 16/40)

სამყაროში ყველაფერ უზენაესი ალლაჰი განაგებს. უსაზღვროა მისი ძალა და მეუფება. შეუცვლელია მისი ნება.

قُلِ اللّٰهُمَّ مَالِكَ الْمُلْكِ تُؤْتِى الْمُلْكَ مَنْ تَشَاءُ وَتَنْزِعُ الْمُلْكَ مِمَّنْ تَشَاءُ وَتُعِزُّ مَنْ تَشَاءُ وَتُذِلُّ مَنْ تَشَاءُ بِيَدِكَ الْخَيْرُ اِنَّكَ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَدِ يرٌ

„თქვი: ღმერთო ჩემო, ქონების ბატონ-პატრონო! უბოძებ ქონებას, ინებებ ვისაც, და ართმევ მას, ინებებ ვისაც, და აამაღლებ, ინებებ ვისაც, და დაამდაბლებ, ინებებ ვისაც; სიკეთე ხომ მხოლოდ შენს ხელთაა, უეჭველად, შენ ყოვლისშემძლე ხარ!“ (ალი იმრან 3/26)

لِلّٰهِ مُلْكُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ يَخْلُقُ مَا يَشَاءُ يَهَبُ لِمَنْ يَشَاءُ اِنَاثًا وَيَهَبُ لِمَنْ يَشَاءُ الذُّكُورَ

„ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნის. აჩენს, ინებებს რასაც. სჩუქნის, ინებებს ვისაც ასულებს და სჩუქნის, ინებებს ვისაც ძეებს,“ (შურა 42/49)

6) ძალა, ძლევამოსილება. ღმერთი უძლეველია. ღმერთს გააჩნია ნება და საიმისო ძალა. მისი ძალა ცოდნისა და ნების შესაბამისად გამოიხატება. მისი ძლევამოსილება უსაზღვრო და მუდმივია. ძლევამოსილების საპირისპირო – უძლურება ღმერთის შესახებ საუბრისას გამორიცხულია.

ყურანი მის ძლევამოსილებაზე მოგვითხრობს:

وَلِلّٰهِ غَيْبُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ وَمَا اَمْرُ السَّاعَةِ اِلَّا كَلَمْحِ الْبَصَرِ اَوْ هُوَ اَقْرَبُ اِنَّ اللّٰهَ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَدِ يرٌ

„და ალლაჰს ეკუთვნის უხილავი ცათა და ქვეყნისა. წარღვნის მოსვლა თვალის დახამხამების ტოლია ან უფრო სწრაფიც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!“ (ნაჰლ 16/77)

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ فَاطِرِ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ جَاعِلِ الْمَلٰئِكَةِ رُسُلًا اُولِى اَجْنِحَةٍ مَثْنٰى وَثُلٰثَ وَرُبٰعَ يَزِيدُ فِى الْخَلْقِ مَا يَشَاءُ اِنَّ اللّٰهَ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَدِ يرٌ

„ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, გამჩენსა ცათა და მიწისა, დამდგენს ელჩად ანგელოზთა ორ, სამ და ოთხ ფრთიანთ. იგი გააჩენს, ინებებს რასაც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!“ (ფათირი 35/ 1)

7) ქელამ (სიტყვა) – თქმა, ლაპარაკი. ღმერთს აქვს ლაპარაკის თვისება. ამ თვისების გამოხატულებაა შუამავლებზე წმ. წიგნების გამოგზავნა. აგრეთვე ცნობილია, რომ ღმერთი ზოგ შუამავალს ელაპარაკებოდა. ღმერთის ლაპარაკის უნარს ადამინები ვერ ჩაწვდებიან, რადგან ღმერთის ლაპარაკის უნარი ხმაზე, ბგერებზე და სიტყვებზე არ არის დამოკიდებული.

წმ. წიგნი ყურანი ხომ ღმერთის სიტყვაა. მასში ამ თვისების შესახებაცაა მოთხრობილი.

وَلَمَّا جَاءَ مُوسٰى لِمِيقَاتِنَا وَكَلَّمَهُ رَبُّهُ قَالَ رَبِّ اَرِنِي اَنْظُرْ اِلَيْكَ قَالَ لَنْ تَرٰىنِي وَلٰكِنِ انْظُرْ اِلَى الْجَبَلِ فَاِنِ اسْتَقَرَّ مَكَانَهُ فَسَوْفَ تَرٰىنِي فَلَمَّا تَجَلّٰى رَبُّهُ لِلْجَبَلِ جَعَلَهُ دَكًّا وَخَرَّ مُوسٰى صَعِقًا فَلَمَّا اَفَاقَ قَالَ سُبْحَانَكَ تُبْتُ اِلَيْكَ وَاَنَا اَوَّلُ الْمُؤْمِنِينَ

„და როცა მუსა მოვიდა ჩვენს დანიშნულ დროს, მისი ღმერთი დაელაპარაკა მას. უთხრა: ღმერთო ჩემო! გამომეცხადე, რათა გიხილო! მიუგო: შენ ვერასოდეს დამინახავ მე. მაგრამ გაიხედე მთისკენ. თუ ის თავის ადგილზე უძრავად დარჩა, მაშინ მიხილავ შენც! და როცა მთას გამოეცხადა ღმერთი მისი, მტვრად იქცა იგი. და მუსა უგონოდ დაეცა ძირს. როცა გონს მოვიდა, თქვა: დიდება შენდა! შენ გთხოვ შენდობას და პირველი ვარ მორწმუნეთაგან მე.“ (არაფ 7/143)

وَرُسُلًا قَدْ قَصَصْنَاهُمْ عَلَيْكَ مِنْ قَبْلُ وَرُسُلًا لَمْ نَقْصُصْهُمْ عَلَيْكَ وَكَلَّمَ اللّٰهُ مُوسٰى تَكْلِيمًا

„და შუამავლები, ვისზეც უკვე გიამბეთ შენ და შუამავლები, ვისზეც არაფერი გვითქვამს შენთვის; და დაელაპარაკა ალლაჰი მუსას სიტყვიერად.“ (ნისა 4/164)

قُلْ لَوْ كَانَ الْبَحْرُ مِدَادًا لِكَلِمَاتِ رَبِّي لَنَفِدَ الْبَحْرُ قَبْلَ اَنْ تَنْفَدَ كَلِمَاتُ رَبِّي وَلَوْ جِئْنَا بِمِثْلِهِ مَدَدًا

უთხარი: „რომ გარდაიქცეს ზღვები მელნად ჩემი უფლის სიტყვებისთვის, უთუოდ, დაიშრიტებოდა ზღვები, ვიდრე ჩემი უფლის სიტყვები გათავდება, რომც დავუმატოთ ამდენივე წასაშველებლად!“ (ქეჰფ 18/109)

ყურანი ღმერთის ამ თვისების გამოხატულება და მისი სიტყვაა. როგორც ყველა სხვა თვისება, ესეც მუდმივი და უნაკლოა.

8) თექვინ –გაჩენა. არ არსებობულის არსებად გადაქცევა. ღმერთს აქვს უნარი გააჩინოს რაიმე, ანუ არაფრისგან გააჩინოს.

მან თავისი უზადო ცოდნით, ნებით და უსაზღვრო ძალით გააჩინა სამყარო. გაჩენა, სარჩოს მიცემა, გაცოცხლება, მოკვდინება, ფორმის მიცემა, საიქიო სასჯელი და სხვა ამ თვისების შემადგენელი ნაწილებია.

თანამედროვე მეცნიერებამ დაადგინა, რომ არაროზისგან არაფერი წარმოიშობა და არც არაფერი ქრება უკვალოდ. ეს ღმერთის უცვლელი კანონის ერთ-ერთი გამოხატულებაა. თუმცა ეს თეზისი ღმერთის შესახებ მსჯელობისას არ გამოდგება. გაჩენის უნარი მუდმივად გრძელდება და ორი სახისაა; პირველი- არარაობიდან რაიმის გაჩენა, ხოლო მეორე- არსებულის შეცვლით ახლის მიღება. წმ. ადამის სხეულის გარკვეული ნაწილი არარაობისგან გაჩენის მაგივრად ღმერთმა მიწისგან გააჩინა. მიწას მიეცა ახალი ფორმა და გაჩნდა ცოცხალი უჯრედი. შემდეგ სულის ჩაბერა და წარმოიშვა სულიერი არსება. ადამიანის დედის მუცელში ჩასახვა, დაბადება და გაზრდა ღმერთის ამ თვისების შედეგია.

ყურანში ნაბრძანებია:

اِنَّمَا قَوْلُنَا لِشَىْءٍ اِذَا اَرَدْنَاهُ اَنْ نَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

როცა ჩვენ რამეს ვინებებთ, საკმარისია ვუთხრათ მას: „იქმენ!“ და უმალვე იქმნება ისიც. “ნაჰლ 16/40,

اِنَّمَا اَمْرُهُ اِذَا اَرَادَ شَيْئًا اَنْ يَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

როცა მას რამე ნებავს, საკმარისია უთხრას მას: „იქმენ!“ და უმალ იქმნება ისიც.

იასინ 36/82. “

III – ანგელოზების რწმენა

ა-ანგელოზები, ანგელოზების რწმენა.

ანგელოზის არაბული შესატყვისი მოამბეს (ამბის მიმტანს) ელჩს, ძალას ნიშნავს. ანგელოზები ღმერთის ბრძანებით არიან გაჩენილნი და თავიანთ მოვალეობებს ზუსტად ასრულებენ. ისინი თვალით უხილავი, განსაკუთრებული არსებები არიან. ღმერთმა

ანგელოზები -სინათლისგან, ჭინკები (ჯინები) – ცეცხლისგან, ხოლო ადამიანები მიწისგან გააჩინა. ანგელოზები უფრო ადრე არიან გაჩენილნი, ვიდრე ადამიანები.

ყურანში ნაბრძანებია:

وَاِذْ قَالَ رَبُّكَ لِلْمَلٰئِكَةِ اِنّ ى جَاعِلٌ فِى الْاَرْضِ خَل يفَةً قَالُوا اَتَجْعَلُ ف يهَا مَنْ يُفْسِدُ ف يهَا وَيَسْفِكُ الدِّمَاءَ وَنَحْنُ نُسَبِّحُ بِحَمْدِكَ وَنُقَدِّسُ لَكَ قَالَ اِنّ ى اَعْلَمُ مَا لَا تَعْلَمُونَ

აკი, უთხრა უფალმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (ნაცვალი) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სიწმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ! “ბაყარა 2/30,

لَيْسَ الْبِرَّ اَنْ تُوَلُّوا وُجُوهَكُمْ قِبَلَ الْمَشْرِقِ وَالْمَغْرِبِ وَلٰكِنَّ الْبِرَّ مَنْ اٰمَنَ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ وَالْمَلٰئِكَةِ وَالْكِتَابِ وَالنَّبِيّ نَ وَاٰتَى الْمَالَ عَلٰى حُبِّهٖ ذَوِى الْقُرْبٰى وَالْيَتَامٰى وَالْمَسَاكِ ينَ وَابْنَ السَّبِ يلِ وَالسَّائِلِ ينَ وَفِى الرِّقَابِ وَاَقَامَ الصَّلٰوةَ وَاٰتَى الزَّكٰوةَ وَالْمُوفُونَ بِعَهْدِهِمْ اِذَا عَاهَدُوا وَالصَّابِ ينَ فِى الْبَاْسَاءِ وَالضَّرَّاءِ وَحِ ينَ الْبَاْسِ اُولٰئِكَ الَّذ ينَ صَدَقُوا وَاُولٰئِكَ هُمُ الْمُتَّقُونَ

სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან. ბაყარა 2/ 177,

ღმერთმა ზეციური კანონები ანგელოზების საშუალებით აცნობა შუამავლებს და შესაბამისად ადამიანებს, ამიტომ ანგელოზების რწმენა შუამავლების რწმენამდე მოდის. ყურანში და ჰადისებშიც ეს თანმიმდევრობა დაცულია. ყურანში მითითებულია, რომ ანგელოზების მტერი ურწმუნონი არიან და ისინი ღმერთის მტრებად ითვლებიან.

ანგელოზები ცაში იმყოფებიან და ღმერთის ბრძანებისამებრ დედამიწაზე ჩამოდიან. ყურანი ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

وَمَا نَتَنَزَّلُ اِلَّا بِاَمۡرِ رَبِّكَ لَهٗ مَا بَيۡنَ اَيۡدِيۡنَا وَمَا خَلۡفَنَا وَمَا بَيۡنَ ذٰلِكَ وَمَا كَانَ رَبُّكَ نَسِيًّا

ჩვენ მხოლოდ შენი ღმერთის ბრძანებით გარდმოვევლინებით. მას ეკუთვნის, ის რაც ჩვენ წინაა, რაც ჩვენ უკანაა და ისიც, რაც ამათ შორისაა . შენი ღმერთი გულმავიწყი არ არის! “მერიემ 19/64. “

ანგელოზებს გრძნობის ორგანოებით ვერ შევიგრძნობთ, ვერც თვალით დავინახავთ. ისინი ღმერთის ბრძანებებს უნაკლოდ ასრულებენ და ცოდვებს არ სჩადიან.

ანგელოზები ფიზიკური კანონების მიღმა არსებობენ ამიტომ მეცნიერება მათ არ აღიარებს, მაგრამ გონება ღმერთის აღიარების შემდეგ მის მიერ გადმოცემულ ინფორმაციასაც აღიარებს. მათ შესახებ ინფორმაციას ყურანი და მტკიცე ჰადისები გვაწოდებენ. ამ წყაროებში მათი თვისებების და მოვალობების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია შეზღუდულია.

ბ – ანგელოზების თვისებები.

ანგელოზების სხვა არსებებთან განმასხვავებელი თვისებები შემდეგია:

1) ანგელოზებს არ გააჩნიათ კვების საჭიროება, არც სქესი, არ იღლებიან, არც ემოციები გააჩნიათ, არც მოხუცდებიან და ა.შ.

მათ შესახებ ყურანი მოგვითხრობს:

وَلَهٗ مَنۡ فِى السَّمٰوٰتِ وَالۡاَرۡضِ وَمَنۡ عِنۡدَهٗ لَا يَسۡتَكۡبِرُوۡنَ عَنۡ عِبَادَتِهٖ وَلَا يَسۡتَحۡسِرُوۡنَ

يُسَبِّحُوۡنَ الَّيۡلَ وَالنَّهَارَ لَا يَفۡتُرُوۡنَ

მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ხოლო ისინი, ვინც მის წინაშე არიან, არ თაკილობენ მის თაყვანისცემას და არც იღლებიან ამით! ისინი ადიდებენ დღისითა და ღამით, შეუსვენებლად! “ენბია 21/19-20.

وَجَعَلُوا الۡمَلٰٓئِكَةَ الَّذِيۡنَ هُمۡ عِبٰدُ الرَّحۡمٰنِ اِنَاثًا اَشَهِدُوۡا خَلۡقَهُمۡ سَتُكۡتَبُ شَهَادَتُهُمۡ وَيُسۡـَٔلُوۡنَ

და დაადგინეს ანგელოზები, რომელნიც მსახურნი არიან მოწყალისა მდედრებად. განა მოწმენი იყვნენ გაჩენისა? ჩაწერილ იქნება მათი მოწმეობა და დაიკითხებიან. ზუჰრუფ 43/19 ,

كَانَّهُنَّ بَيْضٌ مَكْنُونٌ

როგორც ხელუხლებელი კვერცხები. საფფათ 37/49 ,

اِنَّ الَّذ ينَ لَا يُؤْمِنُونَ بِالْاٰخِرَةِ لَيُسَمُّونَ الْمَلٰئِكَةَ تَسْمِيَةَ الْاُنْثٰى

وَمَا لَهُمْ بِه مِنْ عِلْمٍ اِنْ يَتَّبِعُونَ اِلَّا الظَّنَّ وَاِنَّ الظَّنَّ لَا يُغْن ى مِنَ الْحَقِّ شَيْئًا

უეჭველად, რომელთაც არ ირწმუნეს საიქიოსი, არქმევენ ანგელოზებს ქალების სახელებს.

არავითარი ცოდნა არ აქვთ ამის თაობაზე, ისინი მხოლოდ ვარაუდს მისდევენ, უეჭველად, ვარაუდი ჭეშმარიტებას ვერაფერს შეჰმატებს. ნეჯმ 53/27-28“

2) ანგელოზები რა მოვალეობითაც არიან გაჩენილნი ზუსტად ასრულებენ და ცოდვას არ სჩადიან.

يَخَافُونَ رَبَّهُمْ مِنْ فَوْقِهِمْ وَيَفْعَلُونَ مَا يُؤْمَرُونَ

და რომ მან გაანადგურა პირველი ადიელები , “ნაჰლ 16/50,

وَقَالُوا اتَّخَذَ الرَّحْمٰنُ وَلَدًا سُبْحَانَهُ بَلْ عِبَادٌ مُكْرَمُونَ

لَا يَسْبِقُونَهُ بِالْقَوْلِ وَهُمْ بِاَمْرِه يَعْمَلُونَ

يَعْلَمُ مَا بَيْنَ اَيْد يهِمْ وَمَا خَلْفَهُمْ وَلَا يَشْفَعُونَ اِلَّا لِمَنِ ارْتَضٰى وَهُمْ مِنْ خَشْيَتِه مُشْفِقُونَ

„და თქვეს: „მოწყალემ შვილი დაიდგინა!“ დიდება მას! არა, ისინი პატივდადებული მსახურნი არიან!“

„იგი უწყის, რაც მათ უწინარესაა და რაც მათ შემდგომაა. და ისინი ვერავის შუამდგომლობას შეძლებენ, თუ არა ვისითაც იგი კმაყოფილია, ხოლო ისინი მისი შიშით ძრწიან!“ ენბია 21/ 26-28,

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا قُوا اَنْفُسَكُمْ وَاَهْلِ يكُمْ نَارًا وَقُودُهَا النَّاسُ وَالْحِجَارَةُ عَلَيْهَا مَلٰئِكَةٌ غِلَاظٌ شِدَادٌ لَا يَعْصُونَ اللّٰهَ مَا اَمَرَهُمْ وَيَفْعَلُونَ مَا يُؤْمَرُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაიცავით თქვენი სულნი და თქვენი ოჯახი ცეცხლისგან, რომლის საწვავი ადამიანები და ქვებია, ზემოდან ანგელოზნი ძლიერნი და შეუბრალებელნი. არ ეურჩებიან ალლაჰს იმაში, რაც უბრძანა მათ და აკეთებენ იმას, რაც ებრძანათ. თაჰრიმ 66/6, “

3) ანგელოზები წარმოუდგენლად სწრაფად მოძრავნი და ძლიერი არსებები არიან.

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ فَاطِرِ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ جَاعِلِ الْمَلٰئِكَةِ رُسُلًا اُولٓى اَجْنِحَةٍ مَّثْنٰى وَثُلٰثَ وَرُبٰعَ يَزِيدُ فِى الْخَلْقِ مَا يَشَاءُ اِنَّ اللّٰهَ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَدِيرٌ

ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, გამჩენსა ცათა და მიწისა, დამდგენს ელჩად ანგელოზთა ორ, სამ და ოთხ ფრთიანთ. იგი გააჩენს, ინებებს რასაც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა! “ფათიჰ 35/1. “

რადგანაც ანგელოზები ცაში მიდი-მოდიან ყველა ზეციური რელიგია აღიარებს, რომ ისინი ფრთოსანი არსებები არიან. მათი ფრთების შედგენილობისა და ფორმის შესახებ მხოლოდ ღმერთმა უწყის.

4) ანგელოზებს ღმერთის ბრძანებით სხვადასხვა ფორმებში შესვლა შეუძლიათ. ანგელოზი ჯიბრილი წმ. მარიამს ადამიანის სახით გამოეცხადა. წმ. იბრაჰიმს რამოდენიმე ანგელოზი ადამიანების სახით წარუდგა და ვაჟის მოსალოდნელი დაბადება აუწყა. წმ. იბრაჰიმმა ჩათვალა, რომ ისინი სტუმრები იყვნენ და საჭმელი მოუმზადა. ანგელოზებმა პირი არ დააკარეს, იბრაჰიმს კი ეგონა მტრები არიანო. ბოლოს მიხვდა, რომ ისინი ანგელოზები იყვნენ.

وَلَقَدْ جَاءَتْ رُسُلُنَا اِبْرٰهِيمَ بِالْبُشْرٰى قَالُوا سَلَامًا قَالَ سَلَامٌ فَمَا لَبِثَ اَنْ جَاءَ بِعِجْلٍ حَنِيذٍ

და ვფიცავ! ჩვენი ელჩები იბრაჰიმთან მივიდნენ სამახარობლოთი და უთხრეს: „მშვიდობა!“ მიუგო: „მშვიდობა თქვენდა!“ და უმალვე მათ შემწვარი ხბო მიართვა. “ჰუდი 11/69,

وَاذْكُرْ فِى الْكِتَابِ مَرْيَمَ اِذِ انْتَبَذَتْ مِنْ اَهْلِهَا مَكَانًا شَرْقِيًّا

فَاتَّخَذَتْ مِنْ دُونِهِمْ حِجَابًا فَاَرْسَلْنَا اِلَيْهَا رُوحَنَا فَتَمَثَّلَ لَهَا بَشَرًا سَوِيًّا

„და მოიხსენიე წიგნში მარიამი. როცა განერიდა იგი თავის ოჯახს აღმოსავლეთისკენ,“

„შემდეგ დაიდგინა მათგან გამყოფი ფარდა. მაშინ ჩვენ წარვგზავნეთ მასთან ჩვენი სული, რომელიც მის წინაშე სრულყოფილი კაცის იერით წარსდგა.“ მარიამი 19/16-17. “

გარდა ამისა ანგელოზი ჯიბრილი წმ. შუამავალ მუჰამმედს გამოეცხადა და ის წმ. ომარმა და ზოგიერთმა იქ მყოფმა დაინახა. ეს ამბავი მტკიცე ჰადისითაა გადმოცემული. ანგელოზები ნამდვილი ფორმით მხოლოდ შუამავლებმა შეიძლება ნახონ.

5) ანგელოზებმა დაფარული რამ არ უწყიან. მათ მხოლოდ ის იციან რასაც ღმერთი უბრძანებს მათ. ღმერთმა როდესაც ადამს სხვადასხვა საგნების სახელები ასწავლა, შემდეგ ანგელოზებს შეეკითხა მათ შესახებ. მათ კი უპასუხეს:

قَالُوا سُبْحَانَكَ لَا عِلْمَ لَنَا إِلَّا مَا عَلَّمْتَنَا إِنَّكَ أَنْتَ الْعَلِيمُ الْحَكِيمُ

მიუგეს (ანგელოზებმა): დიდება შენდა! რაც შენ გვასწავლე, სხვა რამ ცოდნა არა გვაქვს ჩვენ. უეჭველად, შენა ხარ ყოვლისმცოდნე, ბრძენი! “ბაქარა 2/32 “

გ) ანგელოზების მოვალეობები

აიათებში და ჰადისებში ანგელოზების რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არის. თუმცა ცნობილია რომ ისინი ძალიან ბევრი არიან. ისინი ზუსტად ასრულებენ ღვთისმსახურებას და ღმერთის დავალებებს. მათი მოვალეობების მიხედვით გარკვეული კლასიფიკაცია შეიძლება.

1) დიდი ანგელოზები და მათი მოვალეობები.

არსებობს ოთხი დიდი ანგელოზი.

ა) ჯიბრილი- ღმერთსა და შუამავლებს შორის ელჩის მოვალეობას ასრულებს. ყველა ზეშთაგონება რაც ოდესმე წმ. შუამავლებს მოსვლიათ ამ ანგელოზმა ჩამოიტანა. მის შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

نَزَلَ بِهِ الرُّوحُ الْأَمِينُ

عَلَىٰ قَلْبِكَ لِتَكُونَ مِنَ الْمُنْذِرِينَ

სანდო სულმა ჩამოიტანა იგი,

გულზე დაგადო, რომ ქმნილიყავი ერთ-ერთი შემგონებელთაგანი! “შუარა 26/193- 194. “

قُلْ نَزَّلَهُ رُوحُ الْقُدُسِ مِنْ رَبِّكَ بِالْحَقِّ لِيُثَبِّتَ الَّذ ينَ اٰمَنُوا وَهُدًى وَبُشْرٰى لِلْمُسْلِم ينَ

უთხარი: იგი მოავლინა ჭეშმარიტებით წმინდა სულმა (ჯიბრილ-მა) შენი ღმერთისგან, რათა განმტკიცდნენ, რომელთაც ირწმუნეს, და ჭეშმარიტ გზად და ხარებად მუსლიმთათვის! “ნაჰლ 16/102, “

تَنَزَّلُ الْمَلٰئِكَةُ وَالرُّوحُ ف يهَا بِاِذْنِ رَبِّهِمْ مِنْ كُلِّ اَمْرٍ

ღმერთის ნებით გადმოდიან ანგელოზები და სული, ყოველი ბრძანების შესასრულებლად. “ყედრ 97/4. “

წმ. იესოს (ღისას) შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

وَلَقَدْ اٰتَيْنَا مُوسَى الْكِتَابَ وَقَفَّيْنَا مِنْ بَعْدِه بِالرُّسُلِ وَاٰتَيْنَا ع يسَى ابْنَ مَرْيَمَ الْبَيِّنَاتِ وَاَيَّدْنَاهُ بِرُوحِ الْقُدُسِ اَفَكُلَّمَا جَاءَكُمْ رَسُولٌ بِمَا لَا تَهْوٰى اَنْفُسُكُمُ اسْتَكْبَرْتُمْ فَفَر يقًا كَذَّبْتُمْ وَفَر يقًا تَقْتُلُونَ

სწორედ, რომ ჩვენ მივეცით მუსას წიგნი და უკან მივაყოლეთ სხვა შუამავლები და ვუბოძეთ ღისას, მარიამის შვილს, ცხადი მოწმობანი და სულიწმინდით განვამტკიცეთ. განა ყოველთვის, როცა შუამავალი მოგევლინებოდათ და ისეთ რამეს მოგიტანდათ, რაც თქვენ სულს არ სურდა, არ მედიდურდებოდით და მათ ერთ ნაწილს სიცრუეში არ ადანაშაულებდით, მეორე ნაწილს კი კლავ-დით? “ბაყარა 2/87. “

ჯიბრილი ანგელოზებს შორის ყველაზე დიდია და მაღლა დგას, ამოტომ მას ანგელოზთა ბატონსაც ეძახიან.

ბ) აზრაილი - მისი მოვალეობა სულიერი არსებების სიკვდი-ლის დროს სულების აღებაა. ამიტომ მას სიკვდილის ანგელოზ-საც უწოდებენ. მისი ეს მოვალეობა ყურანში შემდეგნაირადაა განმარტებული:

قُلْ يَتَوَفّٰيكُمْ مَلَكُ الْمَوْتِ الَّذ ى وُكِّلَ بِكُمْ ثُمَّ اِلٰى رَبِّكُمْ تُرْجَعُونَ

უთხარი: მიგიბარებთ სიკვდილის ანგელოზი, რომელიც თქვენთვის დავადგინეთ, მერე კი თქვენს ღმერთთან იქნებით მიბრუნებულნი!“ “სეჯდე 32/11, “

გ) ისრაფილი- მისი მოვალეობაა წარღვნის და აღდგომის დროს ორჯერ სურას ჩაბერვაა. ყურანში ეს მოვლენა, რომელიც ყველა ცოცხალი არსების სიცოცხლის დასასრული იქნება შემდეგნაი-რადაა ახსნილი:

وَنُفِخَ فِی الصُّورِ فَصَعِقَ مَنْ فِی السَّمٰوَاتِ وَمَنْ فِی الْاَرْضِ اِلَّا مَنْ شَاءَ اللّٰهُ ثُمَّ نُفِخَ ف یهِ اُخْرٰی فَاِذَا هُمْ قِیَامٌ یَنْظُرُونَ

და ჩაიბერება საყვირში, მაშინ ჩაკვდება ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, გარდა იმისა, ალლაჰი, ინებებს ვისაც. მერე ჩაიბერება მასში კიდევ ერთხელ, აჰა ისინი, აღდგომილნი იყურებიან. “ზუმერ 39/68. “

დ.) მიქაილი – დედამიწაზე და მის გარეთ ფიზიკური და ბუნებრივი მოვლენების მმართველი ანგელოზი. მაგ. წვიმა, ქარი და სხვა. ეს ანგელოზი ყურანში შემდეგნაირადაა ნახსენები:

مَنْ کَانَ عَدُوًّا لِلّٰهِ وَمَلٰئِکَتِه وَرُسُلِه وَجِبْر یلَ وَم یکَالَ فَاِنَّ اللّٰهَ عَدُوٌّ لِلْکَافِر ینَ

ვინც მტერია ხოლმე ალლაჰის, მისი ანგელოზების, შუამავლების, ჯიბრილისა და მიქაილის, უეჭველად, ალლაჰიც მტერია (მათთვის) ურწმუნოთათვის! “ბაყარა 2/98 “

2) სხვა ანგელოზები

ამ ოთხი ანგელოზის გარდა არსებობენ სხვა ანგელოზებიც, რომელთაც სხვადასხვა მოვალეობები გააჩნიათ. მაგ. ღვთისმსახურება, თაყვანისცემა და სხვა.

მწერალი ანგელოზები- მათ “ქირამენ ქათიბინ”- ეწოდებათ. ეს ანგელოზები ადამიანის მარჯვენა და მარცხენა მხარეს იმყოფებიან. მარჯვენა მხრის ანგელოზი კარგ საქმეებს აღნუსხავს, ხოლო მარცხენა მხრის ანგელოზი -ცუდ საქმეებს და ქცევებს. ეს ანგელოზები განკითხვის დღეს ადამიანის ნამოქმედარის შესახებ მოწმეები იქნებიან. ყურანში მათ შესახებ ნაბრძანებია:

اِذْ یَتَلَقَّی الْمُتَلَقِّیَانِ عَنِ الْیَم ینِ وَعَنِ الشِّمَالِ قَع یدٌ

مَا یَلْفِظُ مِنْ قَوْلٍ اِلَّا لَدَیْهِ رَق یبٌ عَت یدٌ

ისედაც, ორი ანგელოზი მარჯვნივ და მარცხნივ მის ყველა ქმედებას იწერენ.

საკმარისია მან სიტყვა წარმოთქვას და უეჭველად, მეთვალყურე მზადყოფნაშია ესწრას მას. “ყაფი 50/17-18. “

وَاِنَّ عَلَیْکُمْ لَحَافِظ ینَ

کِرَامًا کَاتِب ینَ

یَعْلَمُونَ مَا تَفْعَلُونَ

„და უეჭველად, თავზე გადგანან მცველები (ანგელოზები)“

ღირსეულნი, საქმეთა აღმნუსხველნი!

„იციან, რასაც აკეთებთ!“ “ინფითარ 82 /10-12,

اَمْ يَحْسَبُونَ اَنَّا لَا نَسْمَعُ سِرَّهُمْ وَنَجْوٰىهُمْ بَلٰى وَرُسُلُنَا لَدَيْهِمْ يَكْتُبُونَ

ნუთუ ფიქრობენ ისინი, რომ ჩვენ არ გვესმის მათი საიდუმლო და მათი ფარულ საუბარი? არა! შუამავალნი ჩვენი მათ წიაღ იწერიან. „ზუჰრუფ 43/80. “

ანგელოზები, რომლებსაც ზეცა უჭირავთ- ამ ანგელოზებს ზეცის ტვირთი აწევთ. მათ შესახებ ყურანშია მოთხრობილი:

ذٰلِكُمْ بِاَنَّهُ اِذَا دُعِىَ اللّٰهُ وَحْدَهُ كَفَرْتُمْ وَاِنْ يُشْرَكْ بِه تُؤْمِنُوا فَالْحُكْمُ لِلّٰهِ الْعَلِىِّ الْكَبِيرِ

სწორედ ესაა, საბაბი როცა მოგიწოდებდნენ მხოლოდ ალლაჰისკენ, უარყავით თქვენ. ხოლო თუ თანაზიარს უდგენდნენ მას, გწამდათ. მსჯავრი მხოლოდ ალლაჰისაა, უზენაესისა, დიადისა“. “მუ’მინ 40/12,

وَالْمَلَكُ عَلٰى اَرْجَائِهَا وَيَحْمِلُ عَرْشَ رَبِّكَ فَوْقَهُمْ يَوْمَئِذٍ ثَمَانِيَةٌ

და ანგელოზთ მის კიდეებზე მოაქვთ თავს ზემოდან შენი ღმერთის ძლევამოსილების ტახტრევანი, რვანს იმ დღეს. „ჰაყყეთი 69/17. “

გადმოცემის მიხედვით ეს ანგოლეზები ოთხნი არიან, მაგრამ აიათის მიხედვით ჩანს რომ წარღვნის დროს მათი რიცხვი რვამდე გაიზრდება. ეს ანგელოზები ყველაზე ახლოს არიან ღმერთთან. თუმცა ყურანში ნაბრძანებია, რომ ზეცას უამრავი ანგელოზი ახვევია გარს.

მუნქერ ვე ნექირ- ეს ორი ანგელოზი ადამიანის სიკვდილის შემდეგ საფლავში დაკითხვით არიან დაკავებული. არ არის ცნობილი თუ რა სახით გამოეცხადებიან ისინი მიცვალებულს, თუმცა ცნობილია რას შეეკითხებიან. ესენია:

ვინ არის შენი გამჩენი?

– ვინ არის შენი შუამავალი?

– რომელია შენი წმ. წიგნი?

ამის შემდეგ გაცემული პასუხის მიხედვით მოექცევიან მიცვალებულს.

ამათ გარდა არსებობენ ანგელოზები, რომლებიც საღვთო ომში მორწმუნეებს ეხმარებიან, ღმერთისადმი მუდმივად ლოცვას აღავლენენ, შუამავლების და სხვა ადამიანებისთვის ლოცულობენ და სხვა.

ანგელოზების არსებობის შესახებ ყველა შუამავალი და წმ. წიგნები მოგვითხრობენ. მიზეზი იმისა, რომ ჩვენ მათ ვერ ვხედავთ არის ის, რომ ჩვენს თვალებს არ გააჩნია საამისო უნარი. ჩვენ ვერც გონებას, სულს და ბევრ ისეთ რამეს ვერ ვხედავთ, რომლებიც ვიცით რომ არსებობს. ჩვენი თვალი მიკრობსაც ვერ ხედავს, მაგრამ მიკროსკოპის საშუალებით შეგვიძლია მისი დანახვა. მიკრობების აღმოჩენამდე მის არსებობას ბევრი უარყოფდა. დღეისათვის კი ამის უარყოფას აზრი არ აქვს.

დ.) ჯინი და ეშმაკი.

1) ჯინი

ანგელოზების გარდა არსებობენ სხვა უხილავი არსებები- ჯინები. ეს წმ. წიგნში და სუნნეთში ნახსენები.

ყურანის მიხედვით ადამიანი მიწისგან, ხოლო ჯინები ცეცხლისგან არიან გაჩენილნი.

وَخَلَقَ الْجَانَّ مِنْ مَارِجٍ مِنْ نَارٍ

და გააჩინა ჯინები უკვამლო ცეცხლისგან “რაჰმან 55/15,

وَلَقَدْ خَلَقْنَا الإِنْسَانَ مِنْ صَلْصَالٍ مِنْ حَمَإٍ مَسْنُونٍ

وَالْجَانَّ خَلَقْنَاهُ مِنْ قَبْلُ مِنْ نَارِ السَّمُومِ

და ვფიცავ, ჩვენ ადამიანი გავაჩინეთ მშრალი, შავი დამყოლი ტალახისგან!

და ჩვენ ჯინები გავაჩინეთ მანამდე უკვამლო ცეცხლისგან! „ჰიჯრ 15/26-27.“

ამ აიათში ნაბრძანებია, რომ ჯინები ადამიანზე ადრე გააჩინა ღმერთმა. ჯინები დედამიწაზე ცხოვრობენ და მათშიც არის როგორც მორწმუნე, ისე ურწმუნოთა კატეგორია. ისინიც, ადამიანების მსგავსად ვალდებულნი არიან გამჩენის ბრძანებებს დაემორჩილონ. ღმერთმა ჯინემსაც გაუგზავნა შუამავლები.

ყურანში ნაბრძანებია:

يَا مَعْشَرَ الْجِنِّ وَالْإِنْسِ اَلَمْ يَاْتِكُمْ رُسُلٌ مِنْكُمْ يَقُصُّونَ عَلَيْكُمْ اٰيَاتِ ى وَيُنْذِرُونَكُمْ لِقَاءَ يَوْمِكُمْ هٰذَا قَالُوا شَهِدْنَا عَلٰى اَنْفُسِنَا وَغَرَّتْهُمُ الْحَيٰوةُ الدُّنْيَا وَشَهِدُوا عَلٰى اَنْفُسِهِمْ اَنَّهُمْ كَانُوا كَافِرِينَ

ჰეი, ჯინთა და ადამიანთა კრებულო! განა არ მოსულან თქვენთან შუამავალნი თქვენი წიაღიდან, რომელნიც გამცნობდნენ ჩემს აიათებს და გაფრთხილებდნენ თქვენ ამ დღესთან შეხვედრის გამო? თქვეს მათ: ჩვენ ვმოწმობთ ჩვენსავე საწინააღმდეგოდ. ამქვეყნიურმა ცხოვრებამ აცდუნა ისინი და დაამოწმეს თავიანთ წინააღმდეგ, რომ ურწმუნონი იყვნენ. “ენღამი 6/130. “

ჯინები ადამიანებზე მეტ ხანს ცოცხლობენ და წარსულსა და აწმყოს შესახებ ადამიანებთან შედარებით ზოგიერთ საკითხებში მეტ ცოდნას ფლობენ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ადამიანებზე მაღლა დგანან. ჯინებს შეუძლიათ ადამიანთან კონტაქტში შევიდნენ და მას გარკვეული ინფორმაცია მიაწოდონ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს ან მართალი ან ტყუილი. მათთან კონტაქტში შესული ადამიანები ჯადოქრობას და მისნობას მისდევენ. ამგვარი ქმედება ისლამში სასტიკად აკრძალულია.

ჯინები, ადამიანების მსგავსად ვალდებულნი არიან სწამდეთ ისლამის საფუძვლები.

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْاِنْسَ اِلَّا لِيَعْبُدُونِ

და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის. “ზარიათი 51/56 “

ჯინებიც ადამიანების მსგავსად იკვებებიან, ქორწინდებიან და მრავლდებიან. მათაც გააჩნიათ სქესი, იბადებიან, იზრდებიან და კვდებიან. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა თავიანთი დროის ერთეულის მიხედვით 60-70 წელიწადია, მაგრამ ეს დრო დედამიწის დროის სისტემაში დაახლოებით 1000 წელს უდრის.

ჯინებს სხვადასხვა ფორმებში შესვლა შეუძლიათ და აქვთ უნარი ადამიანისთვის წარმოუდგენელი საქმე გააკეთონ. წმ. სულეიმანს სურდა ბელქისის ტახტი, რომელიც იემენში უნდა ჩამოეტანა. ამის თაობაზე ერთ-ერთმა ჯინმა, სახელად ღიფრითმა თქვა:

قَالَ عِفْرِيتٌ مِنَ الْجِنِّ اَنَا اٰتِيكَ بِهِ قَبْلَ اَنْ تَقُومَ مِنْ مَقَامِكَ وَاِنِّ ى عَلَيْهِ لَقَوِيٌّ اَمِ ينٌ

ღიფრითმა ჯინთაგან მიუგო: „მოგიტანო, ვიდრე წამოდგებოდე ადგილიდან. საკმაოდ ძლიერი ვარ და შეგიძლია მენდო!“ “ნემლ 27/39 “

წმ. სულეიმანი ყუდუსში იყო, ტახტი კი იემენში. მოგვიანებით ეს ტახტი ღმერთის მადლმოსილ მორჩილთაგან ასაბ იბნ ბერჰიამ თვალის დახამხამებაში ჩამოიტანა. ეს მდგომარეობა ყურანში შემდეგნაირადაა ახსნილი:

قَالَ الَّذ ى عِنْدَهُ عِلْمٌ مِنَ الْكِتَابِ اَنَا اٰتِيكَ بِهِ قَبْلَ اَنْ يَرْتَدَّ اِلَيْكَ طَرْفُكَ فَلَمَّا رَاٰهُ مُسْتَقِرًّا عِنْدَهُ قَالَ هٰذَا مِنْ فَضْلِ رَبّ ى لِيَبْلُوَن ى ءَاَشْكُرُ اَمْ اَكْفُرُ وَمَنْ شَكَرَ فَاِنَّمَا يَشْكُرُ لِنَفْسِه وَمَنْ كَفَرَ فَاِنَّ رَبّ ى غَنِىٌّ كَر يمٌ

უთხრა, რომელიც განსწავლული იყო წიგნიდან: „ თვალის დახამხამებაში აქ გაგიჩენ!“ როცა დაინახა მის წინ მდგარი ტახტრევანი, თქვა: ჩემმა ღმერთმა მოიღო ჩემზე წყალობა, მცდის მადლიერი ვიქნები თუ უმადური. ვინც მადლიერია, ის თავის სასიკეთოდაა მადლიერი, და თუ ვინმე უმადურია - ჩემი ღმერთი ხომ მდიდარია, გულუხვია!“ “ნემლ 27/40 “

ცნობილია, რომ წმ. სულეიმანი ჯინებს განსაკუთრებით ძნელ სამუშაოს ასრულებინებდა.

წმ. შუამავალი მუჰამმედი მგზავრად მიდიოდა. ერთ-ერთ ადგილას დილის ლოცვის ლოცვის დრომ მოუსწროთ და შუამავალმა თანმხლებთ დილის ლოცვი ალოცა. ამ დროს ჯინების ერთი ჯგუფი მიუახლოვდათ. ჯინები შეჩერდნენ და ყურანს მოუსმინეს. მათ მაშინვე აღიარეს ისლამი. ეს მდგომარეობა შუამავალს “ჯინ”-ის სურაში ეცნობა.

قُلْ اُوحِىَ اِلَىَّ اَنَّهُ اسْتَمَعَ نَفَرٌ مِنَ الْجِنِّ فَقَالُوا اِنَّا سَمِعْنَا قُرْاٰنًا عَجَبًا

يَهْد ى اِلَى الرُّشْدِ فَاٰمَنَّا بِه وَلَنْ نُشْرِكَ بِرَبِّنَا اَحَدًا

وَاَنَّهُ تَعَالٰى جَدُّ رَبِّنَا مَا اتَّخَذَ صَاحِبَةً وَلَا وَلَدًا

თქვი: შთამეგონა მე, რომ მოისმინა კრებულმა ჯინთაგან, რის შემდეგ თქვეს: უეჭველად, მოვისმინეთ ყურანი საოცარი!

მას მიჰყავს ჭეშმარიტი გზისკენ, უკვე ვირწმუნეთ იგი და აღარ დავუდგენთ თანაზიარს ჩვენს ღმერთს.

და უეჭველად, ჩვენი ღმერთის დიდებულება უზენაესია! არ დაუდგენია მას მეუღლე და არც ძე.“ჯინ 72/1-3. “

აბდულლაჰ იბნი მესუდი გადმოგვცემს, რომ ერთხელ შუამავალი გაუჩინარდა და მისმა მეგობრებმა მთელ მექაში და მის შემოგარენში ძებნის შედეგად ვერ ნახეს. ბოლოს დაინახეს დილის ლოცვის დროს, ჰირას გამოქვაბულის მხრიდან მოდიოდა. ღმერთის შუამავალმა მდგომარეობა შემდეგნაირად ახსნა:

“ჯინებმა მათთან მიმიწვიეს და მე მათ ყურანი წავუკითხე”.

ჯინები, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებთან შედარებით მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ გონებრივი პოტენციალით და აზროვნებით ადამიანებს ბევრად ჩამორჩებიან. ხასიათები და ემოციები სუსტად აქვთ განვითარებული. უფრო ცუდ და საზიანო ქცევებისკენ აქვთ მიდრეკილება, მაგრამ მათ შორისაც არიან მორწმუნე და მადლიანები. ჯინებს შეუძლიათ ადამიანის რომელიმე სისუსტით ისარგებლონ და როგორც მიკრობი ავადმყოფის ორგანიზმს, ისე ავნონ. თუმცა ღმერთის მორწმუნე და მისი იმედით სავსე ადამიანს ჯინები ვერაფერს დააკლებენ. წმ. შუამავალი ჯინებისგან თავდასაცავად “აიეთელ ქურს”-ის და “ფელეყისა და ნაას”-ის წაკითხვას გვირჩევს. ამ სურეებში გამჩენი გვირჩევს, რომ ჯინების, სატანის, ხილული თუ უხილავი საფრთხისაგან თავდასაცავად გამჩენს შეეკედლეთო.

2) ეშმაკი. სატანა.

ეშმაკი თვალით უხილავია, მაგრამ მისი არსებობა უეჭველია. ის ცდილობს აცდუნოს ადამიანი ჭეშმარიტი გზიდან და ბოროტების და ცოდვის გზაზე დააყენოს. ის ჯინების კატეგორიაში შედის.

ყურანში ნახსენებია პირველი ეშმაკი- იბლისი. ის სიამაყემ მოიცვა და ღმერთის ბრძანებას არ დაემორჩილა.

وَاِذْ قُلْنَا لِلْمَلٰٓئِكَةِ اسْجُدُوا لِاٰدَمَ فَسَجَدُوٓا اِلَّآ اِبْلِيسَ اَبٰى وَاسْتَكْبَرَ وَكَانَ مِنَ الْكَافِرِينَ

და აკი, ვუთხარით ანგელოზებს: „პირქვე დაემხეთ ადამისთვის!“ უმალვე სეჯდეზე განერთხნენ, გარდა იბლისისა, რომელმაც უარი თქვა, გადიდგულდა და იქმნა ურწმუნოთაგან. ბაყარა 2/34,

وَاِذْ قُلْنَا لِلْمَلٰٓئِكَةِ اسْجُدُوا لِاٰدَمَ فَسَجَدُوا اِلَّا اِبْلِيْسَ كَانَ مِنَ الْجِنِّ فَفَسَقَ عَنْ اَمْرِ رَبِّهٖ اَفَتَتَّخِذُوْنَهٗ وَذُرِّيَّتَهٗٓ اَوْلِيَآءَ مِنْ دُوْنِيْ وَهُمْ لَكُمْ عَدُوٌّ بِئْسَ لِلظّٰلِمِيْنَ بَدَلًا

და აკი, ვუთხარით ანგელოზებს: „პირქვე დაემხეთ ადამისთვის!“ უმალვე პირქვე დაემხნენ, გარდა იბლისისა. იგი იყო ჯინთაგანი, აუმბოხდა თავისი ღმერთის ბრძანებას. ნუთუ დაიდგენთ თქვენ მას და მის შთამომავლობას მეგობრებად ჩემს ნაცვლად, მაშინ, როცა ისინი მტრები არიან თქვენი? უსამართლოთათვის რაოდენ ცუდი საზღაურია! „ქეჰფი 18/50. “

როგორც ბოლო აიათიდან ჩანს სატანა ჯინების წარმომადგენელია და ყველა ცოდვის, თუ ბოროტების სათავეა. როდესაც ღმერთმა გააჩინა ადამი, ყველას უბრძანა პირქვე დამხობილიყვნენ მისი გაჩენილისთვის. ყველამ შეასრულა ეს ბრძანება, იბლისმა კი, რომელიც ეშმაკების მამად და წინაპრად ითვლება განაცხადა, რომ თვითონ ცეცხლისგან იყო გაჩენილი, ადამი კი –მიწისგან. მასთვის პირქვე არ დავემხობიო. ამგვარად მას სიამაყემ სძლია, ღმერთის ბრძანების წინააღმდეგ წავიდა და ურწმუნოდ იქცა. მას მერე იგი ადამის მოდგმის მტერი გახდა.

იბლისი და მისი შთამომავლობა ცდილობენ ადამიანები სარწმუნოებას დააშორონ და ცოდვა ჩაადენინონ. ამისათვის მათ წარღვნამდე დრო აქვთ მიცემული.

ყველა ადამიანს თავისი ეშმაკი ყავს. წმ. შუამავალსაც ჰყავდა თავისი ეშმაკი, მაგრამ ღმერთის დახმარებით ის მუსლიმანი გახდა. სატანის მოვალეობები ექვს ნაწილად იყოფა: ა) ურწმუნოების დათესვა, გავრცელება. ღმერთის საწინააღმდეგოდ ამხედრება. ბ) სარწმუნოებაში არარსებული, ახალი აზრების შემოტანისკენ წაქეზება. გ) დიდი ცოდვების ჩადენინება. დ) პატარა ცოდვებით დაკავება. ე) მუბაჰად წოდებული საქმიანობით ზედმეტად გატაცებისკენ სწრაფვა. ვ) ადამიანების, არამადლიან საქმიანობაში დროის დაკარგვინება.

დიადი ღმერთი ყურანში სატანის საშიშროებისგან გვაფრთხილებს და მოითხოვს მას არ მივყვეთ. ყურანში ნაბრძანებია, რომ ის ადამიას მოდგმის აშკარა და დაუძინებელი მტერია.

اِنَّ الشَّيْطَانَ لَكُمْ عَدُوٌّ فَاتَّخِذُوْهُ عَدُوًّا اِنَّمَا يَدْعُوْا حِزْبَهٗ لِيَكُوْنُوْا مِنْ اَصْحٰبِ السَّعِيْرِ

უეჭველად, ეშმაკი თქვენი მტერია. მაშ, თქვენც აღიარეთ მტრად. ის მოუხმობს თავის მოკავშირეებს, რათა გახდნენ ისინი ცეცხლის ბინადარნი. “ფათირი 35/6. “

სწორედ სატანამ აცდუნა პირველი ადამიანები ადამი და ევა, რის შედეგადაც ისინი სამოთხიდან გამოაძევა ღმერთმა. საჭიროა ამ ჭეშმარიტების გათვალისწინება და სატანის მიერ დაგებულ მახეებისგან თავის დაღწევა. ამას გვირჩევს წმ. ყურანი.

يَا بَنِ ى اٰدَمَ لَا يَفْتِنَنَّكُمُ الشَّيْطَانُ كَمَا اَخْرَجَ اَبَوَيْكُمْ مِنَ الْجَنَّةِ يَنْزِعُ عَنْهُمَا لِبَاسَهُمَا لِيُرِيَهُمَا سَوْاٰتِهِمَا اِنَّهُ يَرٰيكُمْ هُوَ وَقَبِ يلُهُ مِنْ حَيْثُ لَا تَرَوْنَهُمْ اِنَّا جَعَلْنَا الشَّيَاطِ ينَ اَوْلِيَاءَ لِلَّذ ينَ لَا يُؤْمِنُونَ

ჰეი, ადამის შვილნო! არ გაცდუნოთ ეშმაკმა, როგორც თქვენი მშობლები გამოიყვანა სამოთხიდან, სამოსი გახადა, რათა მათთვისვე თავიანთივე სარცხვენელი ეჩვენებინა. უეჭველად, იგი და მისი ხროვა გხედავთ იქიდან, საიდანაც თქვენ მათ ვერ ხედავთ. უეჭველად, ჩვენ მეგობრებად დავუდგინეთ ეშმაკნი მათ, რომელთაც არ ირწმუნეს. . “ეღრაფი 7/27 “

სატანისგან თავის დასაცავად საჭიროა გამჩენს მივეკედლოთ და მისი დადგენილი კანონებით ვიცხოვროთ. მართლმორწმუნე მუსლიმს, რომელიც ღმერთის ბრძანებებს არ გადაუხვევს სატანა ვერ მიუახლოვდება.

ამ ქვეყნად სიკეთესა და ბოროტებას, სასარგებლოსა და საზიანოს, რწმენასა და ურწმუნოებას შორის ბრძოლა წარღვნამდე გაგრძელდება. სიკეთის გვერდით ყოველთვის ანგელოზი იქნება, ხოლო ბოროტების უკან-სატანა. თუ ადამიანი თავის შესაძლებლობებს, გონებას და თავისუფალ ნებას სწორი გზით წარმართავს მას გამჩენი შეეწევა და გზას გაუხსნის. თუ ადამიანი ბოროტების გზით წავა ზურგსუკან სატანის თანადგომას იგრძნობს.

Ⅳ- წმ. წიგნების რწმენა

ა-ღვთიური წიგნების ცნება და მათი რწმენა.

დიადი ღმერთის მიერ წმ. შუამავლებისათვის ღვთიური ზეშთაგონებით გადმოცემული სიტყვებს, რომლებიც დაიწერა და წიგნად შეიკრა წმ. წიგნი ეწოდება. წმ. წიგნების მიზანი ადამიანებისთვის სწორი გზის ჩვენება და მათი განათლებაა. ქრისტიანებს და ებრაელებს ღვთიური წიგნები აქვთ გამოგზავნილი, ახალი აღთქმა და ძველი აღთქმა, ამიტომ ისინიც “წმ. წიგნის ხალხად” ითვლებიან. ღვთიურ წიგნებს ზეციურ წიგნებსაც უწოდებენ. ღვთიური წიგნები ღმერთის სიტყვებია. ზეშთაგონება კი ღმერთსა და შუამავლებს შორის კომუნიკაციის საშუალება.

წმ. წიგნების რწმენა ყველა ღვთიური წიგნის რწმენას და მათი ჭეშმარიტების აღიარებას მოიცავს.

ამ საკითხის შესახებ ყურანში ნაბრძანებია:

فَلِذٰلِكَ فَادْعُ وَاسْتَقِمْ كَمَا اُمِرْتَ وَلَا تَتَّبِعْ اَهْوَاءَهُمْ وَقُلْ اٰمَنْتُ بِمَا اَنْزَلَ اللّٰهُ مِنْ كِتَابٍ وَاُمِرْتُ لِاَعْدِلَ بَيْنَكُمُ اَللّٰهُ رَبُّنَا وَرَبُّكُمْ لَنَا اَعْمَالُنَا وَلَكُمْ اَعْمَالُكُمْ لَا حُجَّةَ بَيْنَنَا وَبَيْنَكُمُ اَللّٰه يَجْمَعُ بَيْنَنَا وَاِلَيْهِ الْمَص يْر

სწორედ ამიტომ მოუწოდე და მტკიცედ დადექი, როგორც გებრძანა და არ აჰყვე მათ წადილს და თქვი: „ვირწმუნე იგი, რაც ალლაჰმა გარდმოავლინა წიგნთაგან და მებრძანა, რომ სამართლიანად განვსაჯო თქვენს შორის. ალლაჰი ჩვენი ღმერთიცაა და თქვენი ღმერთიც. ჩვენთვისაა ჩვენი საქმენი და თქვენთვისა თქვენი საქმენი. არ არს დავა ჩვენსა და თქვენს შორის. ალლაჰი შეკრებს ყოველ ჩვენთაგანს და მასთანაა მისაქციელი.“ “ შურა 42/15“

لَيْسَ الْبِرَّ اَنْ تُوَلُّوا وُجُوهَكُمْ قِبَلَ الْمَشْرِقِ وَالْمَغْرِبِ وَلٰكِنَّ الْبِرَّ مَنْ اٰمَنَ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ وَالْمَلٰئِكَةِ وَالْكِتَابِ وَالنَّبِيّ نَ وَاٰتَى الْمَالَ عَلٰى حُبِّه ذَوِى الْقُرْبٰى وَالْيَتَامٰى وَالْمَسَاكِ يْنَ وَابْنَ السَّبِيْ يلِ وَالسَّائِلِ يْنَ وَفِى الرِّقَابِ وَاَقَامَ الصَّلٰوةَ وَاٰتَى الزَّكٰوةَ وَالْمُوفُونَ بِعَهْدِهِمْ اِذَا عَاهَدُوا وَالصَّابِ رِيْنَ فِى الْبَاْسَاءِ وَالضَّرَّاءِ وَحِ يْنَ الْبَاْسِ اُولٰئِكَ الَّذ يْنَ صَدَقُوا وَاُولٰئِكَ هُمُ الْمُتَّقُونَ

სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან. „ბაყარა 2/177“

يَا اَيُّهَا الَّذ يْنَ اٰمَنُوا اٰمِنُوا بِاللّٰهِ وَرَسُولِه وَالْكِتَابِ الَّذ ى نَزَّلَ عَلٰى رَسُولِه وَالْكِتَابِ الَّذ ى اَنْزَلَ مِنْ قَبْلُ وَمَنْ يَكْفُرْ بِاللّٰهِ وَمَلٰئِكَتِه وَكُتُبِه وَرُسُلِه وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ فَقَدْ ضَلَّ ضَلَالًا بَع يْدًا

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იწამეთ ალლაჰი და მისი შუამავალი, და წიგნი, რომელიც გარდმოუვლინა თავის შუამავალს და წიგნი, რომელიც მან გარდმოავლინა მის უწინ . და ვინც უარყოფს ალლაჰსა და მის ანგელოზებს, მის წიგნებს, მის შუამავლებს, და განკითხვის დღეს. დიახაც, რომ დიდი გადაცდომით გადავიდა იგი გზას. „ნისა 4/136. “

ყურანი სხვა ღვთიურ წიგნებს ადასტურებს, მაგრამ მათში ზოგიერთი დებულება გააუქმა და მათ მაგივრად ახალი დებულებები შემოიტანა. ადამიანი მართლმორწმუნედ რომ ჩაითვალოს წმ. შუ-

ამავალ მუჰამმედის და მასზე მოვლენილი ყურანის უნდა სწამდეს. რწმენასთან ერთად საჭიროა მისი გათავისება და მისით ცხოვრება. გამომდინარე აქედან წმ. წიგნის ხალხად წოდებული ადამიანები მართლმორწმუნედ რომ ჩაითვალონ შუამავალ მუჰამმედის და მასზე მოვლენილი ყურანის დებულებების აღიარებაა საჭირო.

ბ,) ღვთიური წიგნები

ღვთიური წიგნები ან მცირე რაოდენობის გვერდების სახითაა მოვლენილი, ან კიდევ სრულ წიგნად. ამის მიხედვით წმ. წიგნები ორ ნაწილად, გვერდებად და წიგნებად იყოფა. წმ. წიგნები შემდეგია: ძველი აღთქმა (თევრათი), ფსალმუნები (ზებური), ახალი აღთქმა (ინჯილი) და ყურანი.

1) გვერდები

კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში, ხალხის მცირე ჯგუფების საჭიროების დასაკმაყოფილებლად რამოდენიმე გვერდისგან შემდგარი ღვთიური მესიჯი მოდიოდა, რომელთაც არა წიგნები, არამედ გვერდები ეწოდა. ამის მაგალითებია ყურანში ნახსენები გვერდები, რომლებიც წმ. იბრაჰიმს და წმ. მუსას მოევლინათ.

اَمۡ لَمۡ يُنَبَّاۡ بِمَا ف ى صُحُفِ مُوسٰى

وَاِبۡرٰه يمَ الَّذ ى وَفّٰى

ნუთუ არ სცნობებია იგი, რაც იყო მუსას წერილებში?

და იბრაჰიმი, რომელმაც სრულად აღასრულა აღთქმა. “ნეჯმი 53/36-37, „

قَدۡ اَفۡلَحَ مَنۡ تَزَكّٰى

وَذَكَرَ اسۡمَ رَبِّه فَصَلّٰى

بَلۡ تُؤۡثِرُونَ الۡحَيٰوةَ الدُّنۡيَا

وَالۡاٰخِرَةُ خَيۡرٌ وَّاَبۡقٰى

اِنَّ هٰذَا لَفِى الصُّحُفِ الۡاُوۡلٰى

صُحُفِ اِبۡرٰه يمَ وَمُوسٰى

უეჭველად, ნეტარ იქმნა, ვინც განიწმინდა!

და (განწმენდილმა სულმა) სახელი ღმერთისა მისი ახსენა და ლოცვა აღავლინა!

მაგრამ არა! თქვენ ამქვეყნიურ ცხოვრებას ამჯობინებთ,

თუმცა საიქიო ცხოვრება უფრო უკეთესია და მუდმივი!

უეჭველად, ეს უწინდელ ფურცლებშიც იყო მოცემული,

ფურცლები იბრაჰიმისა და (ფურცლები) მუსასი! „ეღლა 87/14-19. “

ებუ ზერის გადმოცემული ჰადისის მიხედვით ასეთი გვერდების საერთო რაოდენობა 100 გვერდს შეადგენს.

ამათგან 10 გვერდი ერგო პირველ ადამიანსა და შუამავალს წმ. ადამს, წმ. შითს -50 გვერდი, წმ. იბრაჰიმს- 10 გვერდი, წმ. იდრისს – 30 გვერდი. ამ გვერდებიდან ჩვენამდე არცერთს არ მოუღწევია. ამ შუამავლების შესახებ ყურანში წარმოდგენილ ცნობებს თუ შევკრებთ ამ გვერდების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოვიპოვებთ. იგივე შეიძლება ითქვას ღვთიუარ წიგნებზეც.

სულ 4 ზეციური წიგნი არსებობს. ამათგან, თევრათი წმ. მუსას მოევლინა, ზებური – წმ. დავუდს, ინჯილი- წმ. ღისას და ყურანი – წმ. მუჰამმედს.

ყურანი ღმერთის მიერაა დაცული. ამას შემდეგი აიათი მოწმობს:

და აღთქმულ დღეს (წარღვნის დღეს)!

ვფიცავ მოწმეს და დამოწმებულს!

წყეული იქმნენ სანგარნის მკვიდრნი,

(მასში) საწვავით სავსე ცეცხლის (პატრონები)!

აკი, ისინი მის გარშემო ისხდნენ

და უცქერდნენ (სიამოვნებით), მორწმუნეებს რაც ემართებოდა (როგორ იწვოდნენ ცეცხლში)!

მათ მხოლოდ იმისთვის აწამებდნენ, რომ სწამდათ ალლაჰისა, ძლევამოსილისა, დიდებულისა.

იგია, ვისიცაა ცათა და მიწის მეუფება; და ალლაჰი მხილველია

ყოველივესი!

უეჭველად, რომელთაც აწამეს მორწმუნე კაცები და ქალები და შემდეგ არ მოინანიეს, მათთვისაა ტანჯვა ჯოჯოხეთისა ცეცხლოვანი!

უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს კეთილი საქმენი, მათთვისაა სამოთხეები, სადაც ძირს მდინარეები რბიან, სწორედ ესაა უდიდესი ჯილდო (ნეტარება)!

უეჭველად, შენი ღმერთის რისხვა საშინელია!

უეჭველად, იგია, ვინც გააჩენს პირველად და (შემდეგ უკან) დააბრუნებს,

და იგია მიმტევებელი, მოყვარული,

(იგია) ტახტის ღირსეულიმეუფე,

დამოუკიდებლად მოქმედი (შემოქმედი) იმისა, რაც ნებავს!

ნუთუ არ მოგვლენია ამბავი ლაშქრებისა

ფარაონისა და სამუდეველთა?

არა, ურწმუნონი გაბათილებით არიან დაკავებული.

მაგრამ მათ გარშემოერტყმება ალლაჰი შეუმჩნევლად!

ჭეშმარიტად, იგი (რისი გაბათილებაც სურთ) ყურანი დიდებულია,

დაცული ფიცარზე - „ლევჰი მაჰფუზზე“ ! “ბურუჯ 85/2, 22. “

2) წიგნები.

თევრათი, ზებური და ინჯილი თავთავიანთ ეპოქაში წმინდა წიგნის ყველა თვისებით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ ისტორიული ჟამთასვლის პარალელურად ცვლილებები განიცადეს.

დღეს არსებული ეს სამივე წიგნი, როგორც მუჰამმედ ჰამიდულლაჰმა თქვა სხვადასხვა დროში მცხოვრები და სხვადასხვა სტილის მწერლების ნაწარმოებების კრებულია. აქ არის ისტორიული მოვლენები, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები, ლოცვები,

შუამავლების ისტორია და სხვა.

წმ. იესოს სტილი განსხვავებული იყო. ის არ წერდა. ის მხოლოდ ლაპარაკობდა. ამიტომ მოგვინებით დაწერილი ახალი აღთქმა მის ბიოგრაფიას მოიცავს. ცხადია ახალი აღთქმის ავტორებს წმ. იესოს ნათქვამის ან ნამოქმედარის შესახებ ცნობები სხვადასხვა წყაროებიდან აქვს აღებული. ამის მიხედვით ახალი აღთქმა არც ყურანს გავს და არც ჰადისებს. ის, წმ. შუამავლის მოღვაწეობის ამსახველ ლიტერატურას ან მის ბიოგრაფიას უფრო ჰგავს.

ა) ძველი აღთქმა - თევრათი

ისლამის რწმენის მიხედვით ოთხი ზეციური წიგნის რწმენა აუცილებელია. ამათგან თევრათი ყველაზე ადრინდელია. ის შუამავალ მუსას მოევლინა. ყურანში თევრათზე და ინჯილის შესახებ ბევრი რამ წერია.

ნამდვილი თევრათი, რომელიც ღმერთმა წმ. შუამავალ მუსას მოუვლინა წმინდა წიგნია და ამის რწმენა ყველა მუსლიმისათვის აუცილებელია, სავალდებულოა. ამის უარყოფა ადამიანს ურწმუნოს გახდის, რადგან ყურანის აიათებში წერია, რომ ორიგინალური თევრათი ღმერთის სიტყვაა.

اِنَّا اَنْزَلْنَا التَّوْرٰيةَ ف يهَا هُدًى وَنُوْرٌ يَحْكُمُ بِهَا النَّبِيُّوْنَ الَّذ ينَ اَسْلَمُوا لِلَّذ ينَ هَادُوْا وَالرَّبّٰانِيُّوْنَ وَالْاَحْبَارُ بِمَا اسْتُحْفِظُوْا مِنْ كِتَابِ اللّٰهِ وَكَانُوْا عَلَيْهِ شُهَدَاءَ فَلَا تَخْشَوُا النَّاسَ وَاخْشَوْنِ وَلَا تَشْتَرُوا بِاٰيَات ى ثَمَنًا قَل يلًا وَمَنْ لَمْ يَحْكُمْ بِمَا اَنْزَلَ اللّٰه فَاُولٰئِكَ هُمُ الْكَافِرُوْنَ

უეჭველად, ჩვენ ზემოვავლინეთ თევრათი, მასშია ჭეშმარიტი გზა და ნათელი, განსჯიან იმით შუამავალნი, რომელთაც ჰმორჩილეს, იუდეველნი და აგრეთვე რაბბანები და სწავლულნიც, რომელთაც დასაცავად ჰქონდათ მიბარებული ალლაჰის წიგნი და მოწმენი იყვნენ ამისა. ამიტომ ნუ გეშინიათ ადამიანების და გეშინოდეთ ჩემი; და არ გაყიდოთ ჩემი აიათები მცირე რამ ფასეულობაზე. და ვინც არ განსჯის იმით, რაც ალლაჰმა მოავლინა, სწორედ ეგენი არიან ურწმუნონი. “მაიდე 5/44. “

თუ კი ძველ აღთქმას წერილობით ვარიანტებს ერთმანეთს შევადარებთ განსხვავებას აუცილებლად შევნიშნავთ. აშკარაა, რომ

ძველ აღთქმას ებრაელი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა პიროვნებები წერდნენ. ცნობილია, რომ წმ. მუსა ჩვ. წ. აღ-მდე მეცამეტე საუკუნეში ცხოვრობდა, ხოლო ყველაზე ძველი ებრაული ძველი აღთქმა ჩვ. წ. აღ-მდე მეშვიდე ან მეათე საუკუნით თარიღდება. გამომდინარე აქედან თორას ორიგინალური ვარიანტი დღეს უკვე აღარაა შემორჩენილი და ის სხვადასხვა გარე ეფექტების ზეგავლენით იმდენად სახეცვლილია, რომ შეიძლება ითქვას ღვთიური წიგნის თვისება მნიშვნელოვნად შესუსტებული აქვს.

ბ) ზებური- ფსალმუნები

ლეკსიკონში ზებური დაწერილს, წიგნს ნიშნავს. ის ზეციური წიგნის სახელია, რომელიც წმ. დავითს მოევლინა. ეს სახელი ყურანში სამ ადგილასაა ნახსენები:

وَلَقَدْ كَتَبْنَا فِى الزَّبُورِ مِنْ بَعْدِ الذِّكْرِ اَنَّ الْاَرْضَ يَرِثُهَا عِبَادِىَ الصَّالِحُونَ

და ვფიცავ, ჩვენ ჩავწერეთ გახსენების შემდეგ ზებურში, რომ ქვეყანას იმემკვიდრებენ ჩემი ერთგული მსახურნი! “ენბია 21/105,“

وَرَبُّكَ اَعْلَمُ بِمَنْ فِى السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ وَلَقَدْ فَضَّلْنَا بَعْضَ النَّبِيّ نَ عَلٰى بَعْضٍ وَاٰتَيْنَا دَاوٗدَ زَبُورًا

და ღმერთი შენი უკეთ უწყის, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და ვფიცავ, აღმატებულ ვქმენით ზოგი შუამავალნი. და დავუდს ვუბოძეთ ზებური! „ისრა 17/55,“

اِنَّا اَوْحَيْنَا اِلَيْكَ كَمَا اَوْحَيْنَا اِلٰى نُوحٍ وَالنَّبِيّ نَ مِنْ بَعْدِه وَاَوْحَيْنَا اِلٰى اِبْرٰه يمَ وَاِسْمٰع يلَ وَاِسْحٰقَ وَيَعْقُوبَ وَالْاَسْبَاطِ وَع يسٰى وَاَيُّوبَ وَيُونُسَ وَهٰرُونَ وَسُلَيْمٰنَ وَاٰتَيْنَا دَاوٗدَ زَبُورًا

უეჭველად, ჩვენ შენ შთაგაგონეთ, როგორც ნუჰს შთავაგონეთ და შუამავლთ მის შემდგომ, და (როგორც) ჩვენ შთავაგონეთ იბრაჰიმს და ისმაილს, ისჰაყს, იაღყუბს და შტოებს, ღისას, ეიუბს, იუნუსს, ჰარუნს და სულეიმანს და მივეცით ზებური (ფსალმუნი) დავუდს ; „ ნისა 4/163. “

ზებური ზეციური წიგნებიდან ზომით ყველაზე პატარაა და რაიმე ახალი რელიგიური დებულებები არ შემოუტანია. დღეისათვის არსებული ზებურის ნაწერები ლირიკულ გამონათქვამებს, ლოცვებს, ღვთის სადიდებელს და სხვა რჩევა- დარიგებებს მოიცავს. ძველ აღთქმაში წარმოდგენილი ერთი ნაწილი წმ. დავითის ზებურად ითვლება. დღეისათვის დამოუკიდებლად არსებული ეს წიგნი არ არსებობს, ამიტომ ყველა მუსლიმი ვალდებულია სწამდეს წმ. დავითზე გადმოცემული ზეციური წიგნის ორიგინალური ვარიანტი.

გ.) ინჯილი – ახალი აღთქმა

ახალი აღთქმა წმ. იესოს საშუალებით ისრაელის ხალხს ზეგარდმოევლინა. ყურანში ახალი აღთქმა და წმ. იესოს შესახებ ბევრი ინფორმაციაა მოცემული. ახსნილია აგრეთვე სახეცვლილი დეტალები.

وَقَفَّيْنَا عَلٰٓى اٰثَارِهِمْ بِعِيسَى ابْنِ مَرْيَمَ مُصَدِّقًا لِّمَا بَيْنَ يَدَيْهِ مِنَ التَّوْرٰىةِ وَاٰتَيْنَاهُ الْاِنْجِيلَ فِيهِ هُدًى وَنُورٌ وَمُصَدِّقًا لِّمَا بَيْنَ يَدَيْهِ مِنَ التَّوْرٰىةِ وَهُدًى وَمَوْعِظَةً لِّلْمُتَّقِينَ

და ჩვენ წარვგზავნეთ ღისა ძე მარიამისა მათ კვალდაკვალ, დამოწმებლად იმისა, რაც მასზე უწინ იყო თევრათში, და ჩვენ მივეცით მას ინჯილი, მასშია ჭეშმარიტი გზა და ნათელი, დასტურად იმისა, რაც მასზე უწინ იყო თევრათში ჭეშმარიტ გზად და შეგონებად ღვთისმოსავთათვის. “მაიდე 5/46, “

შემდეგ აიათში ნაბრძანებია, რომ საჭიროა ღვთიური წერილების ერთიანად რწმენა და მათი განუსხვავებლობა.

قُلْ اٰمَنَّا بِاللّٰهِ وَمَا اُنْزِلَ عَلَيْنَا وَمَا اُنْزِلَ عَلٰٓى اِبْرٰهِيمَ وَاِسْمٰعِيلَ وَاِسْحٰقَ وَيَعْقُوبَ وَالْاَسْبَاطِ وَمَا اُوتِيَ مُوسٰى وَعِيسٰى وَالنَّبِيُّونَ مِنْ رَبِّهِمْ لَا نُفَرِّقُ بَيْنَ اَحَدٍ مِنْهُمْ وَنَحْنُ لَهُ مُسْلِمُونَ

თქვი, რომ: „ვიწამეთ ჩვენ ალლაჰი და ის, რაც ზემოგვევლინა ჩვენ, და რაც ზემოევლინა იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაყს, იაღყუბს და შტოებს; და რაც ებოძა მუსას, ღისას და შუამავლებს მათი ღმერთისგან. და არ განვასხვავებთ რომელსამეს მათ შორის, და ჩვენ მორჩილნი (მუსლიმნი) ვართ მისი (ალლაჰისა). “ალი იმრანი 3/84. “

ქრისტიანებმა თქვეს ისეთი რამ, რაც თავად წმ. იესოს არ უთქვამს; -“იესო ღმერთის შვილია.” აგრეთვე სხვა ბევრი მსგავსი. ღმერთი

ყურანში მიუთითებს მათი გადაცდომის ადგილებს:

وَقَالَتِ الْيَهُودُ عُزَيْرٌ ابْنُ اللّٰهِ وَقَالَتِ النَّصَارَى الْمَسِيحُ ابْنُ اللّٰهِ ذٰلِكَ قَوْلُهُمْ بِاَفْوَاهِهِمْ يُضَاهِؤُنَ قَوْلَ الَّذِينَ كَفَرُوا مِنْ قَبْلُ قَاتَلَهُمُ اللّٰهُ اَنّٰى يُؤْفَكُونَ

და თქვეს იუდეველებმა: უზეირი ალლაჰის ძეაო. და თქვეს ქრისტიანებმა: მესიჰი ალლაჰის ძეაო. მათი ბაგეებიდან აღმომხდარი ეს სიტყვები ჰგავს იმათ სიტყვებს, რომელთაც უარყვეს წინათ და იმათ სიტყვებს, ვინც ურწმუნო იყო მათზე უწინ. მოაშთოს ალლაჰმა ეგენი! როგორღა აქცევენ ზურგს?! “თევბე 9/30, “

لَقَدْ كَفَرَ الَّذِينَ قَالُوا اِنَّ اللّٰهَ هُوَ الْمَسِيحُ ابْنُ مَرْيَمَ وَقَالَ الْمَسِيحُ يَا بَنِى اِسْرَائِيلَ اعْبُدُوا اللّٰهَ رَبِّى وَرَبَّكُمْ اِنَّهُ مَنْ يُشْرِكْ بِاللّٰهِ فَقَدْ حَرَّمَ اللّٰهُ عَلَيْهِ الْجَنَّةَ وَمَاْوٰيهُ النَّارُ وَمَا لِلظّٰالِمِينَ مِنْ اَنْصَارٍ

لَقَدْ كَفَرَ الَّذِينَ قَالُوا اِنَّ اللّٰهَ ثَالِثُ ثَلٰثَةٍ وَمَا مِنْ اِلٰهٍ اِلَّا اِلٰهٌ وَاحِدٌ وَاِنْ لَمْ يَنْتَهُوا عَمَّا يَقُولُونَ لَيَمَسَّنَّ الَّذِينَ كَفَرُوا مِنْهُمْ عَذَابٌ اَلِيمٌ

ვფიცავ, ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰია მესიჰი, შვილი მარიამისა; და თქვა მესიჰმა: ისრაილის შვილნო, თაყვანი ეცით ალლაჰს, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთს. უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლონთ შემწენი.

ვფიცავ! ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰი სამთაგან მესამეა. და არ არის ღმერთი, გარდა ერთი ღმერთისა. და თუ ისინი არ მოიშლიან იმას, რასაც ამბობენ, უთუოდ მწარე სასჯელი შეეხებათ მათ, რომელთაც არ ირწმუნეს! “მაიდე 5/72/73, “

ებრაელი სწავლულების და ქრისტიანი მღვდელმსახურების მიერ გამორჩენის მიზნით სახეცვლილი ღვთიური წიგნების შესახებ ყურანში პირდაპირაა მითითებული:

يَا اَيُّهَا الَّذِينَ اٰمَنُوا اِنَّ كَثِيرًا مِنَ الْاَحْبَارِ وَالرُّهْبَانِ لَيَاْكُلُونَ اَمْوَالَ النَّاسِ بِالْبَاطِلِ وَيَصُدُّونَ عَنْ سَبِيلِ اللّٰهِ وَالَّذِينَ يَكْنِزُونَ الذَّهَبَ وَالْفِضَّةَ وَلَا يُنْفِقُونَهَا فِى سَبِيلِ اللّٰهِ فَبَشِّرْهُمْ بِعَذَابٍ اَلِيمٍ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად, უმეტესი მწიგნობარი და ბერი უსამართლოდ მიირთმევენ ხალხის ქონებასა და აცდუნებენ მათ ალლაჰის გზიდან. და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი! “თევბე 9/34 “

დღეისათვის საქრისტიანოს 8 ადამიანის მიერ დაწერილი 60-მდე ბიბლია გააჩნია. ამათგან 4, მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარება კანონიკურად ითვლება. დანარჩენები გამოცხადდა, როგორც მიმსგავსებული. გარდა ამისა ბარნაბასის სახარება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

წმ. იესოს შემდეგ 325 წელი რომ გავიდა იზნიკში გამართულ შეკრებაზე ათასზე მეტი სტუმარი იყო. ამათგან მხოლოდ 318 –მა აღიარა წმ. იესო როგორც ღმერთი და ზემოთ ნახსენები 4 წიგნი -როგორც ოფიციალური სახელმძღვანელო.

ამის გათვალისწინებით, ადრინდელ ზეციურ წიგნებში მოცემული რაიმე საკითხი თუ ყურანს და სუნნეთს არ ეწინააღმდეგება მისი აღიარება შეიძლება, ხოლო თუ ეწინააღმდეგება ის უარყოფილ უნდა იქნეს.

დ.) ყურანი.

ყურანი არის დიადი ღმერთის მიერ წმ. შუამავალ მუჰამმედზე მოვლენილი სიტყვა, რომელიც არაბულ ენაზეა დაწერილი და მუსხაფის სახით, თაობიდან თაობაზე გადაცემის გზით ჩვენამდე მოაღწია. იგი იწყება სურა ფათიჰათი და მთავრდება სურა ნაასით.

ყურანი წმ. შუამავალ მუჰამმედის შუამავლობის მთელი პერიოდის მანძილზე, 23 წელი ნაწილ-ნაწილ ჩამოდიოდა. მექას პერიოდში, რომელიც 13 წელიწადს გრძელდებოდა ძირითადად რწმენის, მორალის, ურწმუნოებასთან ბრძოლის საკითხების შემცველი აიათები ჩამოდიოდა. ეს იყო დაახლოებით ყურანის ერთი მესამედი. 622 წელს, როდესაც მუსლიმები მექადან მედინაში გადავიდნენ (ჰიჯრა) დაიწყო ისლამის დებულებების ზეგარდმოვლინება. ერთის მხრივ, ღვთისმსახურების წესები, ომის კანონები, საოჯახო ურთიერთობები და მემკვიდრეობა, ხოლო მეორეს მხრივ სასჯელის, სასამართლოს, ყოველდღიური ურთიერთობისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთკავშირის პრინციპები ჩამოყალიბდა. მედინაში უკვე ისლამის კანონებით მოქმედი სახელმწიფო ჩაისახა.

ყურანი ღვთიური სასწაულია, რომლის მსგავსიც არ არსებობს. წმ. შუამავალი ბრძანებდა: “არ არსებობს შუამავალი, რომელსაც არ ჰქონდეს მინიჭებული სასწაული, რათა ადამიანებმა მას დაუჯერონ. ჩემთვის მონიჭებული ყველაზე დიდი სასწაული ყურანია. ამიტომ იმედი მაქვს, რომ განკითხვის დღეს მე ვიქნები შუამავალი, რომელსაც ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმდევრები ეყოლება. “

ღმერთი ბრძანებს, რომ ყურანის უარმყოფლებს მისი მსგავსი ერთი სურას შექმნაც კი არ შეუძლიათ:

اَمۡ يَقُولُونَ افۡتَرٰيهُ قُلۡ فَاۡتُوا بِعَشۡرِ سُوَرٍ مِّثۡلِهٖ مُفۡتَرَيٰتٍ وَّادۡعُوا مَنِ اسۡتَطَعۡتُمۡ مِّنۡ دُونِ اللّٰهِ اِنۡ كُنۡتُمۡ صَادِقِينَ

ან კიდევ ამბობენ: „იგი მან შეთხზაო.“ უთხარი: „მაშ, მოიტანეთ ათიოდე სურა ამის მსგავსი შეთხზული და მოუხმეთ ვისაც შეძლებთ, გარდა ალლაჰისა, თუ თქვენ მართალნი ხართ!“ “ჰუდ 11/13,“

وَاِنۡ كُنۡتُمۡ فِىۡ رَيۡبٍ مِّمَّا نَزَّلۡنَا عَلٰى عَبۡدِنَا فَاۡتُوا بِسُوۡرَةٍ مِّنۡ مِّثۡلِهٖ وَادۡعُوا شُهَدَآءَكُمۡ مِّنۡ دُونِ اللّٰهِ اِنۡ كُنۡتُمۡ صَادِقِينَ

თუ რამ ეჭვი შეგეპარათ მასში, რაც მოვუვლინეთ ჩვენს მსახურს (მუჰამმედს), მაშინ მოუხმეთ ყველას, ვისიც თქვენ გწამთ, გარდა ალლაჰისა, და თუკი თქვენ ხართ მართალნი, ერთი სურა მაინც მოიტანეთ მსგავსი მისი. „ბაყარა 2/23“,

اَمۡ يَقُولُونَ افۡتَرٰيهُ قُلۡ فَاۡتُوا بِسُوۡرَةٍ مِّثۡلِهٖ وَادۡعُوا مَنِ اسۡتَطَعۡتُمۡ مِّنۡ دُونِ اللّٰهِ اِنۡ كُنۡتُمۡ صَادِقِينَ

ან ამბობენ: იქნებ, მან შეთხზა იგი. უთხარი: მაშ, მოიტანეთ ერთი სურა მისი მსგავსი და მოუხმეთ ვისი იმედიც გაქვთ ალლაჰის გარდა, თუ თქვენ ხართ მართალნი! „იუნუს 10/38. “

ყურანში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები

1) რწმენის დებულებები. - ყურანში რწმენის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. უპირველეს ყოვლისა ღმერთის რწმენა, ანგელოზების, წმ. წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღის და ბედისწერის რწმენა წმ. წიგნში საფუძვლიანადაა განხილული. რწმენის საკითხების შესახებ დებულებები მექას პერიოდშია მოვლინებული და ადამიანების ადრინდელ, მცდარ რელიგიურ შეხედულებების შეცვლას ისახავს მიზნად.

2) ღვთისმსახურება. – ყურანში სავალდებულო ღვთისმსახურება, როგორებიცაა ლოცვა, მარხვა, ჰაჯობა, ზექათი (მდიდარი მუსლიმისთვის სავალდებულო მოწყალება) განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, ხოლო შესრულების ფორმები და დეტალები სუნნეთში განხილული. წმ. შუამავალი ჰადისებში ბრძანებდა: “მე როგორც ვლოცულობ ლოცვას, თქვენც ისე ილოცეთ! “ , “ჰაჯობის ღვთისმსახურებები ჩემგან გადაიღეთ! “

ამ კატეგორიაში შედის აგრეთვე შეცდომის გამოსასწორებელი სასჯელიც. მაგ. ფიცის დარღვევის საჯელი და სხვა.

قَدْ سَمِعَ اللّٰهُ قَوْلَ الَّت ی تُجَادِلُكَ ف ی زَوْجِهَا وَتَشْتَك ی اِلَی اللّٰهِ وَاللّٰهُ يَسْمَعُ تَحَاوُرَكُمَا اِنَّ اللّٰهَ سَم يعٌ بَص يرٌ

اَلَّذ ينَ يُظَاهِرُونَ مِنْكُمْ مِنْ نِسَائِهِمْ مَا هُنَّ اُمَّهَاتِهِمْ اِنْ اُمَّهَاتُهُمْ اِلَّا الّٰ وَلَدْنَهُمْ وَاِنَّهُمْ لَيَقُولُونَ مُنْكَرًا مِنَ الْقَوْلِ وَزُورًا وَاِنَّ اللّٰهَ لَعَفُوٌّ غَفُورٌ

وَالَّذ ينَ يُظَاهِرُونَ مِنْ نِسَائِهِمْ ثُمَّ يَعُودُونَ لِمَا قَالُوا فَتَحْر يرُ رَقَبَةٍ مِنْ قَبْلِ اَنْ يَتَمَاسَّا ذٰلِكُمْ تُوعَظُونَ به وَاللّٰهُ بِمَا تَعْمَلُونَ خَب يرٌ

فَمَنْ لَمْ يَجِدْ فَصِيَامُ شَهْرَيْنِ مُتَتَابِعَيْنِ مِنْ قَبْلِ اَنْ يَتَمَاسَّا فَمَنْ لَمْ يَسْتَطِعْ فَاِطْعَامُ سِتّ ينَ مِسْك ينًا ذٰلِكَ لِتُؤْمِنُوا بِاللّٰهِ وَرَسُولِه وَتِلْكَ حُدُودُ اللّٰهِ وَلِلْكَافِر ينَ عَذَابٌ اَل يمٌ

უკვე ისმინა ალლაჰმა სიტყვა იმისა, რომელიც აბეზღებს შენთან თავისი მეუღლეს და შესჩივის ალლაჰს, რამეთუ ალლაჰი ისმენს თქვენს საუბარს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!

თქვენგან, რომელნიც ზურგს იქცევენ თავიანთი ცოლებისგან, არ არიან ისინი (მათი ცოლები) მათი დედები, რადგან მათი დედები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც შობეს ისინი. და უეჭველად, ამის მთქმელები საძრახ სიტყვას და სიცრუეს ამბობენ. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!

ხოლო რომელნიც ზურგს იქცევენ თავიანთი ცოლებისგან, მერე გადათქვამენ, რაც თქვეს იმისთვის დაეკისროს ერთი მონის გათავისუფლება სანამ შეეხებოდნენ ერთმანეთს. სწორედ ესაა შეგონება თქვენთვის. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!

და ვისაც არა მოეპოვება, მაშინ ორი გადაბმული თვის მარხულობა სანამ ერთმანეთს შეეხებოდნენ. ხოლო ვისაც არ შესწევს ძალა, მაშინ დაპურება სამოცი უპოვრისა. ეს იმიტომაა, რომ ირწმუნოთ ალლაჰისა და მისი შუამავლის. ესაა საზღვრები ალლაჰისა. და ურწმუნოთათვისაა სასჯელი მწარე! “მუჯადელე 58/1-4,“

لَا يُؤَاخِذُكُمُ اللّٰهُ باللَّغْو ف ی اَيْمَانِكُمْ وَلٰكِنْ يُؤَاخِذُكُمْ بِمَا عَقَّدْتُمُ الْاَيْمَانَ فَكَفَّارَتُهُ اِطْعَامُ عَشَرَةِ مَسَاك ينَ مِنْ اَوْسَطِ مَا تُطْعِمُونَ اَهْل يكُمْ اَوْ كِسْوَتُهُمْ اَوْ تَحْر يرُ رَقَبَةٍ فَمَنْ لَمْ يَجِدْ فَصِيَامُ ثَلٰثَةِ اَيَّامٍ ذٰلِكَ كَفَّارَةُ اَيْمَانِكُمْ اِذَا حَلَفْتُمْ وَاحْفَظُوا اَيْمَانَكُمْ كَذٰلِكَ يُبَيِّنُ اللّٰهُ لَكُمْ اٰيَاتِه لَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

ალლაჰი თქვენ ფიცში ფუჭსიტყვაობისათვის არ განგსჯით, მაგრამ განგსჯით იმისათვის, რასაც ფიცში აღუთქვამთ. და მისი გამოსასყიდი ათი უპოვრის დაპურებაა საშუალოდ, რითაც საკუთარ ოჯახს კვებავთ, ან მათი შემოსვა, ან ერთი მონის გათავისუფლება. და ვისაც არ მოენახება, მაშინ სამი დღის მარხულობა. ესაა გამოსყიდვა თქვენი ფიცისა, როცა გატეხთ. და დაიცავით თქვენი

დაფიცება! ამგვარად განგიმარტავს ალლაჰი თავის აიათებს, ეგებ-ბის მადლიერნი იქმნეთ თქვენ! „მაიდე 5/89,“

وَمَا كَانَ لِمُؤْمِنٍ اَنْ يَقْتُلَ مُؤْمِنًا اِلَّا خَطَاً وَمَنْ قَتَلَ مُؤْمِنًا خَطَاً فَتَحْرِ يرُ رَقَبَةٍ مُؤْمِنَةٍ وَدِيَةٌ مُسَلَّمَةٌ اِلٰى اَهْلِه اِلَّا اَنْ يَصَّدَّقُوا فَاِنْ كَانَ مِنْ قَوْمٍ عَدُوٍّ لَكُمْ وَهُوَ مُؤْمِنٌ فَتَحْرِ يرُ رَقَبَةٍ مُؤْمِنَةٍ وَاِنْ كَانَ مِنْ قَوْمٍ بَيْنَكُمْ وَبَيْنَهُمْ م يثَاقٌ فَدِيَةٌ مُسَلَّمَةٌ اِلٰى اَهْلِه وَتَحْرِ يرُ رَقَبَةٍ مُؤْمِنَةٍ فَمَنْ لَمْ يَجِدْ فَصِيَامُ شَهْرَيْنِ مُتَتَابِعَيْنِ تَوْبَةً مِنَ اللّٰهِ وَكَانَ اللّٰه عَلِ يمًا حَكِ يمًا

და არ შეიძლება, მორწმუნემ მორწმუნე მოკლას, უნებლიე შემთხვევის გარდა. და ვინც შემთხვევით მოკლას მორწმუნე, დაეკისროს ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება და სისხლის გამოსასყიდი მისი ოჯახისათვის, თუ არა პატიებისა. ხოლო თუ მოკლული თქვენი მტერი ხალხისგანაა და თვითონ კი მორწმუნე, მაშინ ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება. და თუ იმ ხალხისგანაა, ვისთანაც შეთანხმება გაქვთ თქვენ, მაშინ სისხლის გამოსასყიდი მისი ოჯახისათვის და ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება; და ვისაც არა მოეპოვება, მაშინ ორი გადაბმული თვის მარხულობა ალლაჰის წინაშე მოსანანიებლად. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია! „ნისა 4/92. “

3) ყოველდღიური საქმიანობა და ურთიერთობები. – ყურანში არის დებულებები, რომლებიც ადამიანებს შორის ყოველდღიურ საქმიანობასა და ურთიერთობას აწესრიგებს. აგრეთვე აწესრიგებს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობას. ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, გაცვლა, გირაო, თავმდები, პარტნიორობა, ვალი, ამანათი, საჩუქარი, ანდერძი, მემკვიდრეობა, ოჯახური ცხოვრება, ქორწინება, გაშორება და მსგავსი პიზიკურ პირებს შორის ურთიერთობები განხილულია ყურანში. აგრეთვე განხილულია იურიდიულ პირთა ურთიერთობები.

4) ღუყუბათ - პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაული და მისი სასჯელი. სისხლის სამართლის კანონები. ამ დებულებების მიზანია ადამიანის სულის, სხეულის, ქონების და სხვათა დაცვა. მაგ. მოპარვა, ყაჩაღობა, მრუშობა, მრუშობის ცილისწამება, ალკოჰოლური სასმელების დალევა და მათი სასჯელები. ისლამური სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად ჩამოყალიბებულ სასჯელებს “თაღზირ” ეწოდება. ასეთები შეიძლება იყოს გაფრთხილება, გაროზგვა, გადასახლება, დაპატიმრება და სხვ.

5) დებულებები – დავების განხილვის დროს ადამიანებს შორის სამართლიანობის განსახორციელებლად საჭირო ქმედებებს მოიცავს. მაგ. მოწმის არსებობა, ფიცი და სხვა.

6) მმართველების და მმართველებს შორის ურთიერთობა. – ყურანში, ქვეყნის მართვის დროს განსაკუთრებული ყურადღება სამართლიანობაზეა გამახვილებული:

اِنَّ اللّٰهَ يَاْمُرُكُمْ اَنْ تُؤَدُّوا الْاَمَانَاتِ اِلٰى اَهْلِهَا وَاِذَا حَكَمْتُمْ بَيْنَ النَّاسِ اَنْ تَحْكُمُوا بِالْعَدْلِ اِنَّ اللّٰهَ نِعِمَّا يَعِظُكُمْ بِه اِنَّ اللّٰهَ كَانَ سَم يعًا بَص يرًا

უეჭველად, ალლაჰი გიბრძანებთ, რომ ანაბარი უკან დაუბრუნოთ თავის პატრონებს და როცა განსჯით ადამიანთა შორის, სამართლიანად განსაჯოთ. უეჭველად, რა მშვენიერია ალლაჰის შეგონება! უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია! “ნისა 4/58,

اِنَّ اللّٰهَ يَاْمُرُ بِالْعَدْلِ وَالْاِحْسَانِ وَا يتَا ذِى الْقُرْبٰى وَيَنْهٰى عَنِ الْفَحْشَاءِ وَالْمُنْكَرِ وَالْبَغْىِ يَعِظُكُمْ لَعَلَّكُمْ تَذَكَّرُونَ

უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ! „ნაჰლ 16/90. “

وَالَّذ ينَ اسْتَجَابُوا لِرَبِّهِمْ وَاَقَامُوا الصَّلٰوةَ وَاَمْرُهُمْ شُورٰى بَيْنَهُمْ وَمِمَّا رَزَقْنَاهُمْ يُنْفِقُونَ

და რომელთაც, შეისმინეს თავიანთი ღმერთის და ჭეშმარიტად აღავლინეს ლოცვა და ერთმანეთში თათბირობენ თავიანთ საქმენს და რაც ვუწყალობეთ, გაიღებენ იქიდან. “შურა 42/38,“

فَبِمَا رَحْمَةٍ مِنَ اللّٰهِ لِنْتَ لَهُمْ وَلَوْ كُنْتَ فَظًّا غَل يظَ الْقَلْبِ لَانْفَضُّوا مِنْ حَوْلِكَ فَاعْفُ عَنْهُمْ وَاسْتَغْفِرْ لَهُمْ وَشَاوِرْهُمْ فِى الْاَمْرِ فَاِذَا عَزَمْتَ فَتَوَكَّلْ عَلَى اللّٰهِ اِنَّ اللّٰه يُحِبُّ الْمُتَوَكِّل ينَ

ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები! „ალი იმრან 3 /159 “

აიათებში მინიშნებულია, რომ ისლამის საზოგადოებამ უნდა აირჩიოს ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ხელისუფალს გადაწყვეტილებების მიღებაში და კანონების გატარებაში დაეხმარება.

7) სახელმწიფო სამართალი. – ყურანში საუბარია არამუსლიმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც. აიათში ნაბრძანებია, რომ თუ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება დაიდება ის უნდა შესრულდეს. ისლამურ სახელმწიფოში არამუსლიმები შეიძლება სამი სახის

სტატუს ატარებდნენ: ა) მუსლიმური სახელმწიფოს არამუსლიმი მოქალაქეები. ბ) უცხოელები, შესაბამისი პასპორტით და ვიზით. გ) მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქეები. ეს უკანასკნელნი აუცილებელი არაა მუდმივად საბრძოლო სიტუაციაში იყვნენ. შესაძლებელია მიიღონ ისლამი და ისლამური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები გახდნენ, ან წინა ორ კატეგორიაში შევიდნენ.

ისლამში განხილულია ყველა სახის ეკონომიკური თუ საგადასახადო ურთიერთობები, რომლებიც მოიცავს გადასახადებს, ნადავლს, ანდერძით დანატოვარს, მემკვიდრეობით მიღებულს, მიწისქვეშა და მიწისზედა სიმდიდრეებს და სხვა. ყველა მსგავსი საკითხის მიმართ ყურანში ძირითადი დებულებებია მოცემული, ხოლო დეტალები და შესრულების ფორმები სუნნეთშია განხილული.

8) მორალური პრინციპები. – ყურანში არის აიათები, სადაც წმ. შუამავლების ცხოვრების იგავებია მოცემული და მათზე დაკვირვებით მორწმუნე ადამიანმა შეიძლება ცხოვრების სწორი გზით სიარული უკეთ შეძლოს. აქ საუბარია რწმენის სიძლიერეზე, თაყვანისცემაზე, სულიერად ამაღლებაზე და სხვა.

9) რჩევა-დარიგებები. – ყურანში მორწმუნეთა მიმართ ბევრი რჩევა-დარიგებებია მოცემული, სადაც წერია, რომ აუცილებელია ყურანის ბრძანებებისა და აკრძალულების გათვალისწინება. აიათები გვირჩევენ, რომ ამქვეყნიური ცხოვრება არ ამჯობინოთ საიქიო ცხოვრებას და არ დაგვავიწყდეს, რომ საიქიოში განკითხვა გველოდება.

10) აღთქმა და მუქარა. – ყურანში ბევრი აიათია, სადაც ნათქვამია, რომ მორწმუნენი და სიკეთის მკეთებელნი სამოთხეში მოხვდებიან, ხოლო ვინც აკრძალულებს არ მოერიდება ჯოჯოხეთში.

11) მეცნიერული სასწაულები. – ყურანში მეცნიერული საკითხებიცაა განხილული. ყურანში ნაბრძანებია, რომ სიცოცხლის საფუძველი წყალია და ღმერთმა ყველაფერი წყვილად გააჩინა.

اَوَلَمۡ يَرَ الَّذ ينَ كَفَرُوا اَنَّ السَّمٰوٰتِ وَالۡاَرۡضَ كَانَتَا رَتۡقًا فَفَتَقۡنٰهُمَا وَجَعَلۡنَا مِنَ الۡمَآءِ كُلَّ شَىۡءٍ حَىٍّ اَفَلَا يُؤۡمِنُونَ

ნუთუ ვერ დაინახეს, რომელთაც უარყვეს, რომ ცანი და მიწა ერთიანი იყო, შემდეგ ჩვენ ერთმანეთისგან გავყავით, და გავაჩინეთ ყველა სულიერი წყლიდან. ნუთუ მაინც არ ირწმუნებენ? “ენბია 21/30. “

ადრე მიიჩნეოდა რომ წყვილი არსებები მხოლოდ ადამიანები, ცხოველები და ზოგიერთი მცენარე იყო. მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ყველა მცენარეს გააჩნია სქესი და შესაბამისი მამრობითი და მდედრობითი უჯრედები. ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია:

وَهُوَ الَّذ ى مَدَّ الْاَرْضَ وَجَعَلَ ف يهَا رَوَاسِىَ وَاَنْهَارًا وَمِنْ كُلِّ الثَّمَرَاتِ جَعَلَ ف يهَا زَوْجَيْنِ اثْنَيْنِ يُغْشِى الَّيْلَ النَّهَارَ اِنَّ ف ى ذٰلِكَ لَاٰيَاتٍ لِقَوْمٍ يَتَفَكَّرُونَ

„და იგია, რომელმაც განავრცო მიწა, მასზე დაადგინა მთები და მდინარეები. ყოველი სახეობის ნაყოფი გააჩინა წყვილებად, იგი მოსავს დღეს ღამით. უეჭველად, ამაში სასწაულებია გულისხმიერ ხალხთათვის.“ (რად 13/3)

وَمِنْ كُلِّ شَىْءٍ خَلَقْنَا زَوْجَيْنِ لَعَلَّكُمْ تَذَكَّرُونَ

და ყველაფერი გავაჩინეთ წყვილებად, ეგების გულისხმაჰყოთ თქვენ! (ზარიათ 51/49)

سُبْحَانَ الَّذ ى خَلَقَ الْاَزْوَاجَ كُلَّهَا مِمَّا تُنْبِتُ الْاَرْضُ وَمِنْ اَنْفُسِهِمْ وَمِمَّا لَا يَعْلَمُونَ

„დიდება იმას, რომელმაც გააჩინა ყველა ის წყვილი, რომელსაც მიწა იძლევა, და მათი სული, და რასაც არ უწყიან!“ (იასინ 36/36)

ატომებშიც ხომ წყვილი ძალაა, დადებითი და უარყოფითი. ესეც დამაფიქრებელი ჭეშმარიტებაა.

მცენარეებში სქესისა და წყვილად გაჩენის კიდევ ერთი თვალსაჩინოება დამტვერვისთვის ქარის მიერ ხელშეწყობაა. მეცნიერებამ ეს ჭეშმარიტება ახლახანს აღმოაჩინა, მაგრამ ყურანში ამის შესახებ შემდეგი აიათია მოცემული:

وَاَرْسَلْنَا الرِّيَاحَ لَوَاقِحَ فَاَنْزَلْنَا مِنَ السَّمَاءِ مَاءً فَاَسْقَيْنَاكُمُوهُ وَمَا اَنْتُمْ لَهُ بِخَازِنِينَ

და ჩვენ წარმოვგზავნეთ ქარები დატვირთული. ამგვარად ზეციდან ზეგარდმოვავლინეთ წყალი და ჩვენ დაგარწყულეთ ამით, და ვერ შეძლებთ მის საცავეებში დაგუბებას! (ჰიჯრ 15/22)

მეცნიერების ერთ-ერთი თეორიის მიხედვით დედამიწა და სხვა პლანეტები მზისგან არიან მოწყვეტილნი და გაფანტული. ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია:

اَوَلَمۡ یَرَ الَّذ ینَ کَفَرُوا اَنَّ السَّمٰوٰتِ وَالۡاَرۡضَ کَانَتَا رَتۡقًا فَفَتَقۡنٰهُمَا وَجَعَلۡنَا مِنَ الۡمَآءِ کُلَّ شَیۡءٍ حَیٍّ اَفَلَا یُؤۡمِنُونَ

ნუთუ ვერ დაინახეს, რომელთაც უარყვეს, რომ ცანი და მიწა ერთიანი იყო, შემდეგ ჩვენ ერთმანეთისგან გავყავით, და გავაჩინეთ ყველა სულიერი წყლიდან. ნუთუ მაინც არ ირწმუნებენ? “ყასსას 21/30. “

იასინის სურაში მზის მოძრაობაზეა საუბარი.

وَالشَّمۡسُ تَجۡر ی لِمُسۡتَقَرٍّ لَهَا ذٰلِكَ تَقۡد یرُ الۡعَز یزِ الۡعَل یمِ

და მზე დაცურავს თავის სამოძრაო გზაზე. სწორედ ესაა ძლევამოსილის, ბრძენის განგება! “იასინ 36/38. “

ამ მოძრაობაში შეიძლება იგულისხმებოდეს, როგორც თავისი წარმოსახვითი ღერძის გარშემო მოძრაობა, ისე გარკვეულ დროში და ადგილზე სისტემური მოძრაობა კოსმოსში, რადგან აიათში ნახსენები სიტყვა “მუსთეყარრ” ყველა მსგავს მნიშვნელობას მოიცავს.

ჰადიდის (რკინა) სურაში მოცემულ აიათში რკინის სამ თვისებაზეა საუბარი. ნათქვამია, რომ ის საშიშია და ამაში იგულისხმება მისი საომარ იარაღად გამოყენება, აგრეთვე რკინა ნახსენებია, როგორც ძალა და მისი ეს თვისება წარმოებაში ფართოდ გამოიყენება. გარდა ამისა საუბარია რკინის ადამიანისთვის სასარგებლო თვისებებზე. ეს კი ადამიანის სისხლში რკინის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

12) იგავები. – ყურანში ფართოდაა წარმოდგენილი შუამავლებისა და ადრინდელი ხანის მორწმუნეთა ცხოვრება. თუმცა ეს ცნობები რომელიმე ხალხის ისტორიას კი არ წარმოადგენს, არამედ როგორც მაგალითებს, რათა მორწმუნეებმა მისით იხელმძღვანელონ და გაითვალისწინონ. ყურანში მოთხრობილია წმ. შუამავლების; ლუტის, ნუჰის და იბრაჰიმის და მათი ხალხის ცხოვრების შესახებ. აგრეთვე საუბარია წმ. მუსას და ფარაონის ურთიერთობაზე. ფართოდაა არწერილი წმ. მარიამის, წმ. იესოს და იაჰიას ბიოგრაფია. ამდენი და ამდენგვარი ინფორმაცია და ზუსტი ისტორიული ფაქტები ცხადია წმ. მუჰამმედს არ ეცოდინებოდა. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ყურანი ღმერთის სიტყვაა.

თუ არქეოლოგები და ანთროპოლოგები დაინტერესდებიან ყურანში ნახსენები ტომების ცხოვრების ნაკვალევით და გათხრებს აწარმოებენ ბევრ ყურანისეულ ჭეშმარიტებას აეხდება ფარდა.

13) ლოცვა-ვედრება. - ადამიანს მუდმივად სჭირდება ღვთის შეწევნა და მისი წყალობა, ამიტომ ყუყრანში ბევრი ლოცვა-ვედრების მაგალითებია მოცემული.

14) მომავლის შესახებ ცნობები. - ყურანში ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ნაწინასწარმეტყველევი. მაგ. მექას გათავისუფლება, ისლამის მსოფლიო რელიგიად გადაქცევა და სხვა რელიგიებთან უპირატესობის მოპოვება. ეს ყველაფერი აღსრულდა.

614 წელს ქრისტიან ბიზანტიელებსა და მეჯუს ირანელებს შორის ომი გაიმართა. მაშინ ბიზანტიელები დამარცხდნენ. წმ. წიგნის ხალხის დამარცხებამ მუსლიმები დაამწუხრა, მექელი ურწმუნოები კი გაახარა. ისინი ამბობდენ:

“ირანელებმა რომ ბიზანტიელები დაამარცხეს, ჩვენც თქვენ დაგამარცხებთ”. ამის თაობაზე შემდეგი აიათი მოევლინა შუამავალს:

غُلِبَتِ الرُّومُ

ف ى اَدْنَى الْاَرْضِ وَهُمْ مِنْ بَعْدِ غَلَبِهِمْ سَيَغْلِبُونَ

დამარცხდა რომი

უახლოეს მიწაზე. მაგრამ ისინი დამარცხების შემდგომ, უთუოდ, სძლევენ , “რუმ 30/2-3”

მართლაც 622 წელს ბიზანტიელებმა ირანელებს სძლიეს.

V- შუამავლების რწმენა

ა-შუამავალის ცნება და შუამავლების რწმენა

შუამავალი არის ღმერთის რჩეული ადამიანი, რომელსაც ღმერთმა თავისი ბრძანებები გააცნო, რათა ისინი ადამიანებამდე მიეტანა. შუამავალი არაბულად რასული, ხოლო სპარსულად ფეიღამბერია. რასული, როგორც ტერმინი ახალი წიგნით და შარიათით გამოგზავნილს ნიშნავს. ასეთები არიან წმ. მუსა, წმ. იესო და წმ. მუჰამმედი.

შუამავალს არაბულად მეორე მნიშვნელობაც გააჩნია- ნებიი. თუმცა ნებიის ახალი წიგნის და შარიათის გავრცელება კი არა, არამედ ადრინდელ შუამავალზე გადმოცემული წიგნის და შარიათის გავრცელება ევალებოდა. ყველა რასული ამვდროულად ნებიიც არის.

შუამავლების რწმენა რწმენის ექვსი პირობიდან ერთ-ერთია და მოიცავს ყველა შუამავლის და მათ მიერ მოტანილი დებულებების აღიარებას და რწმენას. ყურანში ნაბრძანებია განურჩევლად გვწამდეს ყველა შუამავლისა:

لَيْسَ الْبِرَّ اَنْ تُوَلُّوا وُجُوهَكُمْ قِبَلَ الْمَشْرِقِ وَالْمَغْرِبِ وَلٰكِنَّ الْبِرَّ مَنْ اٰمَنَ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ وَالْمَلٰئِكَةِ وَالْكِتَابِ وَالنَّبِيّٖنَ وَاٰتَى الْمَالَ عَلٰى حُبِّهٖ ذَوِى الْقُرْبٰى وَالْيَتَامٰى وَالْمَسَاكِيْنَ وَابْنَ السَّبِيْلِ وَالسَّآئِلِيْنَ وَفِى الرِّقَابِ وَاَقَامَ الصَّلٰوةَ وَاٰتَى الزَّكٰوةَ وَالْمُوْفُوْنَ بِعَهْدِهِمْ اِذَا عٰهَدُوْا وَالصّٰبِرِيْنَ فِى الْبَاْسَآءِ وَالضَّرَّآءِ وَحِيْنَ الْبَاْسِ اُولٰئِكَ الَّذِيْنَ صَدَقُوْا وَاُولٰئِكَ هُمُ الْمُتَّقُوْنَ

სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან. “ბაყარა 2/177. “

გამომდინარე აქედან, ზოგი შუამავლისადმი რწმენა და ზოგის უარყოფა ურწმუნოებად ითვლება. შემდეგ აიათში ეს ნათლადაა ახსნილი:

ضِعْبَبِ رُفُكْنَوَ ضِعْبَبِ نُمؤْنُ نَولُوقُيوَ ـهلِسُرُوَ ـهللَّا نَيْبَ لوقُرَفَيُ نْاَ نَودُيرِيُوَ ـهلِسُرُوَ ـهللَّابِ نَورُفُكْيَ نَيذلَّا نَّاِ
ًلِيبَسَ كَلذِ نَيْبَ اولُخَتَّيَ نْاَ نَودُيرِيُوَ

ًانَيهِمُ ًابَّلذَعَ نَيرِفلِكَلْل ًانَلْتَعْاَوَ ًاقَّحَ نَورُفلِكَلْا ُمُهُ كَئِلْوُاُ

უეჭველად, რომელნიც უარყოფენ ალლაჰსა და მის შუამავალთ და სურთ განაცალკევონ ალლაჰი და მისი შუამავალნი, და ამბობენ: ჩვენ გვწამს ზოგი და ზოგს უარვყოფთ. და სურთ ამათ შორის გაიდონ გზა,

სწორედ ეგენი არიან ნამდვილად ურწმუნონი. და ურწმუნოთათვის ჩვენ მზად ვყავით სასჯელი დამამცირებელი! “ნისა 4/150-151. “

კაცობრიობის არსებობის მანძილზე დიად გამჩენს სხვადასხვა შუამავალი გამოუგზავნია. არ არსებობს ხალხი ან საზოგადოება, რომელსაც თავიანთ დროში შუამავალი არ ჰყოლოდა.

وَلَقَدْ بَعَثْنَا ف ى كُلِّ اُمَّةٍ رَسُولًا اَنِ اعْبُدُوا اللّٰهَ وَاجْتَنِبُوا الطَّاغُوتَ فَمِنْهُمْ مَنْ هَدَى اللّٰهُ وَمِنْهُمْ مَنْ حَقَّتْ عَلَيْهِ الضَّلَالَةُ فَس يرُوا فِى الْاَرْضِ فَانْظُرُوا كَيْفَ كَانَ عَاقِبَةُ الْمُكَذِّب ينَ

და ვფიცავ! ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისთვის ეცათ თაყვანი და განდგომოდნენ ტაღუთს, და მათგან არიან ისეთნიც, რომელნიც ალლაჰმა დაადგინა ჭეშმარიტ გზას და არიან ისეთნიც, რომელთაც დამსახურებულად განესაზღვრათ ცდომილება. მაშ, იარეთ ქვეყანაზე და ნახეთ, როგორი იყო აღსასრული ურწმუნონის! “ნაჰლ 16/36,

اِنَّا اَرْسَلْنَاكَ بِالْحَقِّ بَش يرًا وَنَذ يرًا وَاِنْ مِنْ اُمَّةٍ اِلَّا خَلَا ف يهَا نَذ يرٌ

უეჭველად, ჩვენ წარგზავნეთ ჭეშმარიტებითურთ მახარობლად და შემგონებლად; არ არს თემი, რომ არ ყოფილიყო იქ შემგონებელი! „ფათირ 35/24,

تَاللّٰهِ لَقَدْ اَرْسَلْنَا اِلٰى اُمَمٍ مِنْ قَبْلِكَ فَزَيَّنَ لَهُمُ الشَّيْطَانُ اَعْمَالَهُمْ فَهُوَ وَلِيُّهُمُ الْيَوْمَ وَلَهُمْ عَذَابٌ اَل يمٌ

ვფიცავ ალლაჰს, შენამდეც წარვგზავნეთ ხალხთან, მაგრამ ეშმაკმა შეულამაზა მათ თავიანთი საქმენი. იმ დღეს ის არის მათი

მფარველი და მათთვისაა სასჯელი მწარე! „ნაჰლ 16/63 ,

وَرُسُلًا قَدْ قَصَصْنَاهُمْ عَلَيْكَ مِنْ قَبْلُ وَرُسُلًا لَمْ نَقْصُصْهُمْ عَلَيْكَ وَكَلَّمَ اللَّهُ مُوسَىٰ تَكْلِيمًا

და შუამავლები, ვისზეც უკვე გიამბეთ შენ და შუამავლები, ვისზეც არაფერი გვითქვამს შენთვის; და დაელაპარაკა ალლაჰი მუსას სიტყვიერად. „ნისა 4/164 “

შუამავლობის სტატუსი ღვთისმსახურებით, ვედრებით ან შრომით არ მიიღწევა. ამისათვის საჭიროა ღმერთის რჩეული ადამიანი, რომელსაც გამჩენი “ვაჰიი”-ს გზით ინფორმაციას გადასცემს. “ ვაჰიი” ლეკსიკონში ფარულ საუბარს, მინიშნებას, ბრძანებას, შთაგონებას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი ეს არის ღმერთის მიერ დაცული გზა, რომლითაც ის შუამავლებს ინფორმაციას აწვდის. ეს მდგომარეობა შემდეგ აიათშია ახსნილი:

وَمَا كَانَ لِبَشَرٍ أَنْ يُكَلِّمَهُ اللَّهُ إِلَّا وَحْيًا أَوْ مِنْ وَرَاءِ حِجَابٍ أَوْ يُرْسِلَ رَسُولًا فَيُوحِيَ بِإِذْنِهِ مَا يَشَاءُ إِنَّهُ عَلِيٌّ حَكِيمٌ

და არ ყოფილა ადამიანისთვის, რომ დალაპარაკებოდა მას ალლაჰი, თუ არა ზეშთაგონებად ან საფარველის მიღმა ან წარმოგზავნის შუამავალს, მაშინ ზეშთააგონებს მისი ნებით. უეჭველად, იგი უზენაესია, ბრძენია. “შუარა 42/51. “

წმ. შუამავალ მუჰამმედს ეს ზეშთაგონება შემდეგი გზებით მოსდიოდა: ა) ნათელხილვა, ანუ წეშმარიტი სიზმრები. ბ) მღვიძარე მდგომარეობაში ანგელოზ ჯებრაილის მიერ ინფორმაციის შუამავლის გულში მითავსება. გ) ჯებრაილი ადამიანად გარდასახვა და ამბის მოტანა. დ) ჯებრაილი უჩინრადაა, მაგრამ მისი ხმა განსაკუთრებული ჟღერადობით ისმის. ე) ჯებრაილის თავისი ნამდვილი სახით გამოჩენა და ამბის მოტანა. ვ) ინფორმაციის პირდაპირ ღმერთისგან მიღება. ეს უკანასკნელი ღმერთთან საუბრის შედეგად ხორციელდება. ასეთი იყო მაგალითად მირაჯის დროს მიღებული “ვაჰიი”.

ისლამი, როგორც ყველაფერში ისე შუამავლის საკითხშიც ზომიერ პოზიციას მისდევს და შუამავლებს მიიჩნევს, როგორც ელჩებს ღმერთსა და ადამიანებს შორის. მათთვის ღვთიური სტატუსის ან თვისებების მინიჭება ისლამის მიხედვით დაუშვებელია. შუამავალს ღმერთის ნებართვის გარეშე რაიმე ქმედების განხორციელება არ შეეძლო.

შუამავალ მუჰამმედის მოვლინებით შუამავლობის ჯაჭვი შეიკ-

რა. ის ბოლო და უკანასკნელი შუამავალია. გამომდინარე აქედან ღვთიური ინფორმაცია წმ. ყურანით დასრულდა. აიათში შემდეგია ნაბრძანები:

مَا كَانَ مُحَمَّدٌ اَبَا اَحَدٍ مِنْ رِجَالِكُمْ وَلٰكِنْ رَسُولَ اللّٰهِ وَخَاتَمَ النَّبِيّٖنَ وَكَانَ اللّٰهُ بِكُلِّ شَيْءٍ عَلٖيمًا

და არ არის მუჰამმედი არც ერთი თქვენგანის მამა, მაგრამ იგი ალლაჰის წარმოგზავნილი და შუამავალთა ბეჭედია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა! “აჰზაბ 33/40. “

ამის შემდეგ ახალი წიგნის ან შუამავლის მოლოდინი, ან ამის შესახებ განცხადების გაკეთება მიუღებელია.

ბ.) შუამავლების რაოდენობა.

პირველი შუამავალი იყო წმ. ადამი. მას შემდეგ სხვადასხვა ეპოქაში ბევრი შუამავალი მოევლინა კაცობრიობას და ბოლო პერიოდისათვის წმ. მუჰამმედის სახით შუამავლობის ჯაჭვი დასრულდა.

وَلِكُلِّ اُمَّةٍ رَسُولٌ فَاِذَا جَاءَ رَسُولُهُمْ قُضِيَ بَيْنَهُمْ بِالْقِسْطِ وَهُمْ لَا يُظْلَمُونَ

და ყველა თემს ჰყავს შუამავალი. როცა შუამავალი მიდიოდა მათთან, მათ შორის სამართლიანი განაჩენი აღევლინებოდა. და ისინი არ იჩაგრებოდნენ. “იუნუს 10/47,

مَنِ اهْتَدٰى فَاِنَّمَا يَهْتَدِي لِنَفْسِهٖ وَمَنْ ضَلَّ فَاِنَّمَا يَضِلُّ عَلَيْهَا وَلَا تَزِرُ وَازِرَةٌ وِزْرَ اُخْرٰى وَمَا كُنَّا مُعَذِّبٖينَ حَتّٰى نَبْعَثَ رَسُولًا

ვინც ჭეშმარიტი გზა გაიგნო, მხოლოდ თავის სასიკეთოდ დაადგა ამას და ვინც აცდა, მხოლოდ თავის საწინააღმდეგოდ აცდა. და არც ერთი ცოდვილი არ იტვირთავს სხვის ცოდვას. და ჩვენ არ ვყოფილვართ დამსჯელნი, სანამ არ წარვგზავნიდით შუამავალს! „ისრა 17/15. “

შუამავლები რაოდენობის შესახებ ყურანში ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. გარდა ამისა აიათში ნაბრძანებია:

وَرُسُلًا قَدْ قَصَصْنَاهُمْ عَلَيْكَ مِنْ قَبْلُ وَرُسُلًا لَمْ نَقْصُصْهُمْ عَلَيْكَ وَكَلَّمَ اللّٰهُ مُوسٰى تَكْلٖيمًا

და შუამავლები, ვისზეც უკვე გიამბეთ შენ და შუამავლები, ვისზეც არაფერი გვითქვამს შენთვის; და დაელაპარაკა ალლაჰი მუსას სიტყვიერად. “ნისა 4/164, “

აიათის მიხედვით უეჭველია, რომ ყურანში ნახსენებ შუამავლებს გარდა არსებობდნენ სხვა შუამავლებიც. ერთ-ერთ ჰადისში კი შუამავალი ბრძანებდა: “ შუამავლების რაოდენობა 124 ათასია- ია და ამათგან 315-ს რასულის სტატუსი ჰქონდა”.

ყურანში სულ 25 შუამავლის სახელია ნახსენები და მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა შემდეგია: ადამი, იდრისი, ნოჰი, ჰუდ, სალიჰ, ლუტი, იბრაჰიმი, ისმაილ, ისჰაყი, იაღყუბი, იუსუფი, შუღეიბი, მუსა, ჰარუნი, დავუდ, სულეიმან, ეიუბ, ილიას, ელიესა, ზულქიფლ, იუნუს, ზექერია, იაჰია, ღისა, მუჰამმედ. ამათ გარდა სამი ადამიანის სახელი კიდევ არის ნახსენები: უზეირ, ლოყმან და ზულყარნეინი, თუმცა მათი შუამავლობის შესახებ არსებობს აზრთა სახვადასხვაობა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხვი არ არის ზუსტი და ამომწურავი.

ყურანში შეიძლება რომელიმე შუამავლის სახელი იყოს ნახსენები, ან არ იყოს. ამის მიუხედავად უდავოა, რომ ყველა ხალხს და ეპოქას თავისი შუამავალი ჰყავდა. აქედან გამომდინარე ადამიანები განკითხვის დღეს თავს ვერ გაიმართლებენ, იმით რომ მათ არ იცოდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ.

გ) შუამავლების თვისებები.

შუამავალი ადამიანია და ამასთან ერთად გააჩნია განსაკუთრებული თვისებები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისინი არიან საზოგადობის ლიდერები. შუამავალს 5 განსაკუთრებული თვისება გააჩნია.

ესენია: სანდოობა, გულწრფელობა, გამორჩეული ნიჭის და უნარის ქონა, ცოდვისგან დაცულობა, სარწმუნოების გავრცელების უნარი.

1) სანდოობა- შუამავლები ყოველთვის მართალი და სანდონი არიან. ისინი არასოდეს უღალატებენ ამანათს. ამას აიათიც ამტკიცებს:

وَمَا كَانَ لِنَبِيٍّ اَنْ يَغُلَّ وَمَنْ يَغْلُلْ يَاْتِ بِمَا غَلَّ يَوْمَ الْقِيٰمَةِ ثُمَّ تُوَفّٰى كُلُّ نَفْسٍ مَا كَسَبَتْ وَهُمْ لَا يُظْلَمُونَ

შეუძლებელია შუამავალმა იცრუოს. და ვინც იცრუებს, თავისივე ტყუილით წარსდგება აღდგომის დღეს. მერე ყველა სულს სრულად მიეზღვება თავისი შენაძენისთვის, და ისინი არ დაიჩაგრებიან. “ალი იმრან 3/161. “

წმ. მუჰამმედი სანამ შუამავალი გახდებოდა მექელი ურწმონოები მას მეტსახელად “სანდო მუჰამმედს” ეძახდნენ.

2) გულწრფელობა – ყველა შუამავალი სამართლიანი, გულწრფელი ადამიანია. შუამავლები არასოდეს ამბობენ ტყუილს. თუ საჭირო გახდება მათ სიტყვებს სასწაულები ამყარებენ. შეუძლებელია შუამავალი იყოს მატყუარა, რადგან ის დედამიწაზე ღმერთის ელჩია და მის სიტყვას ახმოვანებს. ბუნებრივია ღმერთი არ დაუშვებს, რომ ტყუილმა და ორპირობამ მისი სიტყვის ეფექტურობა შეამციროს.

3) გამორჩეული ნიჭის და უნარის ქონა – შუამავლები ყველაზე ჭკვიანები არიან და აქვთ საოცარი უნარი. აუცილებელია შუამავალი ნიჭიერი იყოს, რადგან უნდა შეეძლოს ადამიანების დარწმუნება და ხალხის ლიდერობა.

4) ცოდვებისგან დაცულობა – შუამავლები არასოდეს ჩაიდენენ ისეთ ცოდვებს, რომლებიც ურწმუნოებასთან ასოცირდება. უფრო მეტიც, შუამავლობის პერიოდში ნებსით ცოდვას არ ჩაიდენენ.

ყურანში ნაბრძანებია, რომ წმ. მუსას და წმ. ადამს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა შუამავალს შეცდომები დააუშვიათ და გამჩენმა ეს შეცდომები მიუტევა მათ.

წმ. ადამმა დაუშვა შეცდომა, როდესაც ჭამა აკრძალული ხილის ნაყოფი. ამის მიზეზი იყო სატანაზე ნდობა და კიდევ ის, რომ ჯერ ადამს არ ენახა ტყუილი და ბოროტება. მოგვიანებით ღმერთმა აპატია ადამს ეს შეცდომა და თავისი შთამომავლების შუამავლად აქცია.

ერთხელ, როდესაც შუამავალი ყურეიშის მოწინავე საზოგადოებას ისლამს აცნობდა ერთ-ერთი მათგანი აბდულლაჰ იბნ უმმი მექთუმი შაუამავალთან შევიდა და ხმამაღლა დაუძახა შუამავალს: - მასწავლე ის, რაც ალლაჰმა გასწავლა!” – მან რამოდენიმეჯერ ხმამაღლა გაუმეორა წმ. შუამავალს ეს სიტყვები. შუამავალს არ ესიამოვნა ეს სიტუაცია, სახე შეიჭმუხნა და იქით მიიბრუნა. ამის

თაობაზე მოევლინა სურა ღებესეს ის აიათი, სადაც გამჩენი თავის შუამავალს ამ საქციელს უწუნებდა.

ყურანში ღიად არ არის მითითებული შუამავლის ამ თვისების შესახებ, თუმცა ის კი უდავოა, რომ ღმერთი შუამავლების საქციელს აკონტროლებდა. ამას შემდეგი აიათიც მოწმობს, სადაც მოთხრობილია თუ როგორ დაიცვა ღმერთმა წმ. იუსუფი ქალის ცდუნებისაგან:

وَلَقَدْ هَمَّتْ بِه وَهَمَّ بِهَا لَوْلَا اَنْ رَاٰ بُرْهَانَ رَبِّه كَذٰلِكَ لِنَصْرِفَ عَنْهُ السُّوءَ وَالْفَحْشَاءَ اِنَّهُ مِنْ عِبَادِنَا الْمُخْلَص ينَ

და ვფიცავ, რომ ქალმა ისურვა მასთან თანაცხოვრება, და რომ არ დაენახა თავისი ღმერთის აშკარა ნიშანი, ისიც ისურვებდა მასთან თანაცხოვრებას. აი, ასე ავაცილეთ მას სიავე და გარყვნილება. უეჭველად, იგი ჩვენი გულწრფელი მსახურთაგანი იყო. “იუსუფ 12/24. “

აჰმედ იბნ მუბარექი ამ აიათის განმარტების თაობაზე მოგვითხრობს:

“ამის თაობაზე აბდულაზიზ ედ დებარს ვკითხე, თუ რა იყო იუსუფის განზრახვა იმ ქალის მიმართ. მან კი მიპასუხა; - მისი ცემა. ჩემი სხვა მოსაზრებების შემდეგ მან მკითხა; - შუამავლების უცოდველობა სად წავიდა? – და განაგრძო. ღმერთი ევლიებს სულიერად ზეამაღლების დროს 72 ცოდვისაკენ მიდრეკოლების გამომწვევ ძარღვს ამოაცლის. მათგან ზოგი ტყუილისკენ, ზოგი სიამაყისკენ, ზოგი თვალთმაქცობისკენ, ზოგიც ამ ქვეყნის სიყვარულის და მომხვეჭელობისკენ, ზოგი საპირისპირო სქესისადმი ლტოლვისკენ და მსგავსი ცოდვებისკენ უბიძგებდა. თუ ღმერთი ევლიას მიმართ ასეთ დამოკიდებულებას იჩენს, როგორი იქნება მისი დამოკიდებულება შუამავლისადმი, რომელსაც უცოდველობის თვისება მიანიჭა?! “

5) თებლიღ- სარწმუნოების გავრცელება, სარწმუნოების გავრცელების უნარი. ანუ შუამავლებს შეუძლიათ ღმერთისგან გადმოცემული რწმენა ადამიანებამდე უნაკლოდ მიიტანონ. შუამავალი სარწმუნოების გავრცელების დროს არც რაიმეს დაამატებს და არც დააკლებს. ამ საკითხის შესახებ ყურანი ბრძანებს:

يَا اَيُّهَا الرَّسُولُ بَلِّغْ مَا اُنْزِلَ اِلَيْكَ مِنْ رَبِّكَ وَاِنْ لَمْ تَفْعَلْ فَمَا بَلَّغْتَ رِسَالَتَهُ وَاللّٰهُ يَعْصِمُكَ مِنَ النَّاسِ اِنَّ اللّٰهَ لَا يَهْدِى الْقَوْمَ الْكَافِر ينَ

ო, შუამავალო! აუწყე, რაც ზემოგევლინა შენ შენი ღმერთისგან. და თუ ამას არ იქმ, მაშინ მისი წერილი სრულყოფილად არ

გადაგიცემია. ხოლო ალლაჰი დაგიფარავს იმ ადამიანებისგან. უეჭველად, ალლაჰი ურწმუნო ხალხს არ დაადგენს ჭეშმარიტ გზას! “მაიდე 5/67. “

ისლამის რწმენის მიხედვით ყველა შუამავალი, როგორც შუამავალი ყველა ერთნაირია და განსხვავება არ არსებობს. თუმცა შეიძლება მოვალეობები განსხვავდებოდეს, ან ღმერთის წინაშე თავთავიანთ საფეხურზე იდგნენ:

تِلْكَ الرُّسُلُ فَضَّلْنَا بَعْضَهُمْ عَلَى بَعْضٍ مِنْهُمْ مَنْ كَلَّمَ اللَّهُ وَرَفَعَ بَعْضَهُمْ دَرَجَاتٍ وَآتَيْنَا عِيسَى ابْنَ مَرْيَمَ الْبَيِّنَاتِ وَأَيَّدْنَاهُ بِرُوحِ الْقُدُسِ وَلَوْ شَاءَ اللَّهُ مَا اقْتَتَلَ الَّذِينَ مِنْ بَعْدِهِمْ مِنْ بَعْدِ مَا جَاءَتْهُمُ الْبَيِّنَاتُ وَلَكِنِ اخْتَلَفُوا فَمِنْهُمْ مَنْ آمَنَ وَمِنْهُمْ مَنْ كَفَرَ وَلَوْ شَاءَ اللَّهُ مَا اقْتَتَلُوا وَلَكِنَّ اللَّهَ يَفْعَلُ مَا يُرِيدُ

ჩვენ შუამავალთაგან ერთი ნაწილი აღმატებულ ვჰქმენით სხვა დანარჩენზე. ალლაჰმა მათგან ზოგს დაელაპარაკა, ზოგნი კი ხარისხით უმაღლესჰყო. და ჩვენ ვუბოძეთ მარიამის შვილ ღისას ცხადი მოწმობანი და გავაძლიერეთ (განვამტკიცეთ) იგი წმინდა სულით. ალლაჰს რომ ენება, მათ (შუამავალთა) მერე მოსულნი, იმის შემდგომ, რაც მათ ცხადი მოწმობანი მოევლინათ, ერთმანეთს არ მოკლავდნენ. მაგრამ გაუგებრობას მიეცნენ. მაშინ მათგან ზოგიერთმა ირწმუნა და ზოგმა უარყო. ალლაჰს რომ ენება, ისინი არ მოკლავდნენ ერთმანეთს. მაგრამ ალლაჰი იქმს, ინებებს რასაც. “ბაყარა 2/253 “

ჯაბირ იბნ აბდულლაჰის გადმოცემით ერთხელ შუამავალს უბრძანებია:

“ჩემამდე არცერთ შუამავალს არ ჰქონია ისეთი ნიშან-თვისებები რაც მე მიწყალობა ღმერთმა: ესენია: ა)ერთი თვის სავალ მანძილზე მტრის გულში შიში დავასადგურე და ეს დამეხმარა. ბ) მთელი დედამიწის ზედაპირი ჩემთვის მეჩეთი და სალოცავია. ჩემს მიმდევრებს შეუძლიათ ნებისმიმერ ადგილზე, სადაც ლოცვის დრო მოუსწრებთ ილოცონ. გ) ჩემთვის ნადავლი ალალია დ) ადრინდელი შუამავლები თუ გარკვეული ხალხებისთვის იყვნენ გამოგზავნილი, მე მთელი სამყაროსთვის ვარ მოვლენილი. ე) მე მომენიჭა შემწეობის უნარი”. თუმცა ამ ყველაფრის მერე შუამავალს თავის ქება და თავმომწონეობა არ უყვარდა.”

გამომდინარე აქედან წმ. შუამავალ მუჰამმედის სხვა შუამავლებთან შედარებით განმასხვავებელი თვისებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

ა) ის გაჩენილებს შორის ყველაზე მაღლა დგას და გამჩენის

ყველაზე საყვარელი ადამიანია. ბ) მისი შუამავლობის გავრცელების არეალი მოიცავს ყველა ადამიანებს და ჯინებს. გ) ის ბოლო და უკანასკნელი შუამავალია და მისი მოვალეობა წარღვნამდე გაგრძელდება. დ) მის მიერ ნაქადაგევი სარწმუნოება ბოლო და უნაკლოა.

შუამავალ მუჰამმედის შემდეგ საფეხურზე არიან; წმ. ნუჰი, წმ. იბრაჰიმი, წმ. მუსა და წმ. ღისა.

ამ დიდი შუამავლების სახელები ყურანში ერთადაა ნახსენები:

شَرَعَ لَكُمْ مِنَ الدّ ين مَا وَصّٰى به نُوحًا وَالَّذ ى اَوْحَيْنَا اِلَيْكَ وَمَا وَصَّيْنَا به اِبْرٰه يمَ وَمُوسٰى وَع يسٰى اَنْ اَق يمُوا الدّ ينَ وَلَا تَتَفَرَّقُوا ف يه كَبُرَ عَلَى الْمُشْرك ينَ مَا تَدْعُوهُمْ اِلَيْه اَللّٰه يَجْتَب ى اِلَيْه مَنْ يَشَاءُ وَيَهْد ى اِلَيْه مَنْ يُن يب

დაგიკანონათ თქვენთვის სარწმუნოებაში, რაც უბრძანა ნუჰს და რომელიც ზეშთაგაგონეთ შენ და რაც ვუბრძანეთ იბრაჰიმს, მუსას და ღისას: „რომ დაიცავით სარწმუნოება და არ დაიყოთ მასთან მიმართებაში“. მძიმეა კერპთაყვანისმცემლებისთვის იგი, რისკენაც შენ მოუწოდებ. ალლაჰი გამოარჩევს იმისკენ, ინებებს ვისაც და ჭეშმარიტებას აზიარებს, ვინც მიიქცევა მისკენ. “შურა 42/13“

وَاِذْ اَخَذْنَا مِنَ النَّب يّ ٖنَ م يثَاقَهُمْ وَمِنْكَ وَمِنْ نُوحٍ وَاِبْرٰه يمَ وَمُوسٰى وَع يسَى ابْنِ مَرْيَمَ وَاَخَذْنَا مِنْهُمْ م يثَاقًا غَل يظًا

და აკი, ავიღეთ შუამავალთაგან აღთქმანი: შენგან, ნუჰისგან, იბრაჰიმისგან, მუსასგან და ისასგან, მარიამის ძისგან. დიახ, ჩვენ ავიღეთ მათგან მტკიცე აღთქმა! „აჰზაბ 33/7“

დ) სასწაული

სასწაული -გასაოცარი, ზებუნებრივი და უცნაური რამ. რელიგიაში სასწაული, ეს არის წმ. შუამავლებისთვის ღმერთისგან მოვლენილი ზებუნებრივი რამ, რითაც მათი სიტყვები მართლდება. ღმერთი აჩენს სასწაულს, რათა შუამავლის ნათქვამი ან ნამოქმედარი უფრო დასაჯერებელი იყოს. სასწაულის ახსნა ფიზიკის, ქიმიის ბიოლოგიის და სხვა მეცნიერული მიმართულებებით შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ იქნებოდა სასწაული და ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა. შუამავალი სასწაულს მხოლოდ მაშინ იყენებს, როცა ურწმუნოთა და უარმყოფელთა წინააღმდეგ სიმართლის დამტკიცება სურს. შუამავლებს ეს უნარი ღმერთმა მიანიჭა.

1) ადრინდელი შუამავლების ცნობილი სასწაულები.

ა) წმ. იბრაჰიმი ბაბილონის მმართველ ნემრუდის ბრძანებით ცეცხლში ჩააგდეს და ცეცხლმა იგი არ დაწვა.

ბ) წმ. სალიჰის მიერ სემუდის ტომის სურვილით აქლემის მოყვანა და მიუხედავად გაფრთხილებისა აქლემი დაიკლა. გამჩენმა მაშინ საშინელი მიწისძვრა მოახდინა და გაანადგურა ისინი.

გ) წმ. იაღყუბი დიდი ხნის მანძილზე არ ენახა თავისი შვილი წმ. იუსუფი. მან თვალებზე მიიფარა იუსუფის პერანგი და ბრმა თვალები აეხილა.

დ) წმ. მუსა კვერთხის გველად გადაქცევა და ფარაონის ჯადოქრების მიერ დამზადებული ძაფების და ჯოხების გადაყლაპვა. ხელის ორგანიზმის შიგნით შეტანა და უნაკლოდ, სუფთად გამოტანა. და რაც მთავარია, როდესაც ფარაონის ჯარმა ყველა მხრიდან გზა მოუჭრა წმ. მუსამ თავისი კვერთხი ზღვას დაჰკრა, ზღვა ორად გაიყო, ისრაელის შვილები გაყოფილ ზღვას შორის უვნებლად გავიდნენ, ხოლო უკან გამოდევნებული ფარაონი და მისი ჯარისკაცები ზღვის შეერთების შედეგად დაიხრჩვნენ.

ე) წმ. სულეიმანის უნარი დაემორჩილებინა ქარი. აგრეთვე იცოდა ფრინველების ენა. მას შეეძლო გაეგონა ჭიანჭველების ხმა.

ვ) წმ. იესომ ღმერთის ნებით ტალახისგან ჩიტი გააკეთა, სული შუებერა, ჩიტი გაცოცხლდა და გაფრინდა. ღმერთის ნებით შეეძლო მკვდრების გაცოცხლება, აგრეთვე კეთროვანთა და სხვა საშინელ სნეულებათა მკურნალობა.

ზ) წმ. შუამავალ მუჰამმედის შუამავლობის დამადასტურებელი სასწაულები

ა) შუამავალ მუჰამმედის ყველაზე დიდი სასწაული ყურანია. სხვა შუამავლების სასწაულები ჟამთა სვლასთან ერთად დავიწყებას მიეცა, ყურანის სასწაული კი წარღვნამდე იარსებებს. წმ. შუამავალი სასწაულების შესახებ ბრძანებდა: “არ არსებობს შუამავალი, რომელსაც თავის ეპოქაში რაიმე სასწაული არ მისცემოდეს. ჩემი სასწაული კი ღმერთის მიერ მოვლინებული სიტყვაა. ყურანი, როგორც სიტყვა და როგორც მისი მნიშვნელობა სასწაულია. ის მოვლინებულ იქნა სწორედ მაშინ, როდესაც არაბული ლიტერატურა და პოეზია თავისი განვითარების ზენიტში იყო. მაშინდელი არაბები

განაცვიფრა ყურანის სიტყვის ძალამ და ისინი შეეცადნენ შეექმნათ მსგავსი, მაგრამ ყურანის სტილმა და ფრაზების გასაოცარმა მნიშვნელობებმა იმედი გადაუწურა მათ. მისი სრულყოფილების წინაშე მთელი არაბეთის მწერლები და პოეტები უმწეო იყვნენ. მათ შორის გონიერი ვინც იყო აღიარა, რომ ყურანი ღმერთის სიტყვა იყო და ისლამი აღიარა.

ბ) მირაჯის სასწაული. წმ. შუამავალმა ჰიჯრამდე ერთი წლით ადრე, ერთი ღამის სულ მცირე მონაკვეთში მესჯიდი ჰარამიდან მესჯიდი აქსაში, ხოლო იქიდან ზეცაში იმოგზაურა.

გ.) მთვარის ორ ნაწილად გაყოფა.

.დ) ქვა, რომელიც შუამავალს ელაპარაკებოდა.

ე) მედინას მეჩეთში ჰუთბეს კითხვისას შუამავალი ხურმის პატარა კუნძს ეყრდნობოდა. შემდეგ როდესაც მინბერი (პარასკევის ლოცვისას საფეხურებით შემაღლებული ადგილი ქადაგებისათვის) გააკეთეს ხურმის კუნძმა ხმობა დაიწყო, ხოლო როდესაც შუამავლის ხელი შეეხო კუნძმა ისევ გამოცოცხლდა.

ვ) ბედირის ბრძოლამდე შუამავალს ეცნობა, მტრის ჯარიდან ვინ სად მოკვდებოდა და ეს ბრძოლის დროს გამართლდა.

ზ) ბედირის ბრძოლის შედეგის მექაში მოვლენილი აიათით დადასტურება:

سَيُهْزَمُ الْجَمْعُ وَيُوَلُّونَ الدُّبُرَ

სულ მალე დამარცხდება ეს ჯგუფი და უკუიქცევიან! “ყემერ 54/45 “

თ) ჰეიბერის დაპყრობის დროს ერთ-ერთმა ებრაელმა ქალმა შუამავლის მოკვლა გადაწყვიტა და საწამლავით გაჯერებული შემწვარი ცხვრის ხორცი მიართვა. მაშინ კი ცხვარმა აცნობა შუამავალს, რომ მოწამლული იყო.

ი) მექას დაპყრობამდე შემდეგი აიათის მოვლინება:

اِنَّ الَّذ ی فَرَضَ عَلَیْكَ الْقُرْاٰنَ لَرَادُّكَ اِلٰی مَعَادٍ قُلْ رَبّ ی اَعْلَمُ مَنْ جَاءَ بِالْهُدٰی وَمَنْ هُوَ ف ی ضَلَالٍ مُب ینٍ

უეჭველად, რომელმაც ვალდებული ჰქმნა შენზე ყურანი, უთუოდ, მიგაბრუნებს მისაბრუნებელში. უთხარი: „ჩემი ღმერთი უკეთ

უწყის იმას, ვინ მოვიდა ჭეშმარიტებით და ვინ - გზააბნევით! “ყასსას 28/85 “

2) სხვა ზებუნებრივი მდგომარეობები

არსებობს მდგომარეობა, რომელიც ფორმით სასწაულს გავს, მაგრამ შიანაარსობრივად მისგან განსხვავდება. სასწაული შუამავლებისთვის მოვლენილი ღვთიური წყალობაა, მაგრამ სხვა ზებუნებრივი მოვლენები შეიძლება ჩვეულებრივ ადამიანებში განხორციელდეს. გარდა ამისა სასწაულის მიბაძვა, ან გამეორება შეუძლებელია, მაშინ როცა ნახსენები ზებუნებრივი მოვლენების გამეორება შესაძლებელია.

1) ქერამეთი - ღირსება, სიკეთე, სილამაზე. რელიგიაში ასეთი თვისების, ქერამეთის მატარებელი ადამიანი თავისი ჭეშმარიტი სარწმუნოების დებულებებს დიდი ყურადღებით ეკიდება და ასრულებს. ის გულითაა მიკედლებული წმ. შუამავალზე და ღმერთის სიყვარული აქვს დამსახურებული. ქერამეთის მაგალითია “ასჰაბი ქეჰფის” გამოქვაბულის მეგობრების ისტორია, როდესაც ისინი გაექცნენ ძალმომრეობას და თავი გამოქვაბულს შეაფარეს. იქ კი ღმერთის წყალობით ისე ჩაეძინათ, რომ მრავალი წლის შემდეგ გაიღვიძეს. ქერამეთის მაგალითია წმ. სულეიმანის სურვილის შესასრულებლად ერთმა ღვთისმოშიშმა მორწმუნემ თვალის დახამხამებაში ჩამოიტანა ბელქისის ტახტი.

ხალიფა ომარის დროს, როდესაც მორწემუნენი ჯუმის ლოცვას ასრულებდნენ ასობით კილომეტრის მოშორებით მუსლიმთა ჯარი მხედართმთავარ სარიეს მეთაუროობით იბრძოდა. ხალიფა ომარმა დაიძახა -“ ეი, სარიე, მთაზე ადი!” ეს დაძახება გაიგონა ყველა იქ მყოფმა და ასობით კილომეტრიც მანძილზე მყოფმა სარიემაც. მან შეასრულა ხალიაფას ბრძანება და მთაზე ავიდა, რაც ბრძოლაში გამარჯვების მიზეზი გახდა. ეს მოვლენა ხალიფა ომარისთვის და სარიესთვისაც ქერამეთი იყო.

ჰადისში ნაბრძანებია:

“მამაკაცებს შორის ბევრია სულიერად ზეამაღლებულ საფეხურს მიღწეული, მაგრამ მანდილოსნებიდან მხოლოდ წმ. მარიამი იმრანის ასული და ფარაონის ცოლი ასიე.”

ისლამის სწავლულების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მანდილოსნებს შორის შუამავალი არ ყოფილა, თუმცა წმ. მარიამის ანგელოზებთან ხშირი საუბარი, ღმერთისგან ინფორმაციის მიღება მოწმობს რომ ის ევლია იყო.

ყურანში ბევრი აიათია, სადაც ევლიებზე "ღმერთის მეგობრებზე"-ა საუბარი. ამ აიათებში მითითებულია, რომ ღმერთის მეგობრებად წოდებული ადამიანები ძალიან მორწმუნე და ღვთისმოშიშნი უნდა იყვნენ. ისინი უზადო რწმენით და შესანიშნავი მორალით ადიან ისეთ საფეხურზე სადაც შიში, წუხილი და უიმედობა აღარ ემუქრებათ.

აიათში, სულიერად ამაღლებული ადამიანების თვისებები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: ა) მათ სწამთ ღმერთი, განკითხვის დღე, ანგელოზები, წმ. წიგნები, შუამავლები. ბ) ღმერთის სიყვარულის გამო ისინი გასცემენ ქონებას (ქონების სიყვარულის მიუხედავად) ნათესავებზე, ობლებზე, ღარიბებზე, გზაში დარჩენილებზე, მათხოვრებზე და გასცემენ ტყვეებისა და მონების გამოსასყიდად. გ) ლოცვას სწრორად ლოცულობენ. დ) გასცემენ ზექათს ე) გაჭირვების, ავადმყოფობის და ომის დროს მოთმინებასა და გამძლეობას იჩენენ.

საიდ იბნ ჯუბირის გადმოცემით წმ. შუამავლს ასეთი სულიერად ამაღლებული ადამინების შესახებ ასე უბრძანებია: "ისინი ისეთები არიან, როცა დაინახავ ღმერთი გაგახსენდება."

مُحَمَّدٌ رَسُولُ اللّٰهِ وَالَّذِ ينَ مَعَهُ اَشِدَّاءُ عَلَى الْكُفَّارِ رُحَمَاءُ بَيْنَهُمْ تَرٰيهُمْ رُكَّعًا سُجَّدًا يَبْتَغُونَ فَضْلًا مِنَ اللّٰهِ وَرِضْوَانًا س يمَاهُمْ ف ى وُجُوهِهِمْ مِنْ اَثَرِ السُّجُودِ ذٰلِكَ مَثَلُهُمْ فِي التَّوْرٰيةِ وَمَثَلُهُمْ فِى الْاِنْجِ يل كَزَرْعٍ اَخْرَجَ شَطْـَٔهُ فَاٰزَرَهُ فَاسْتَغْلَظَ فَاسْتَوٰى عَلٰى سُوقِه يُعْجِبُ الزُّرَّاعَ لِيَغ يظَ بِهِمُ الْكُفَّارَ وَعَدَ اللّٰه الَّذ ينَ اٰمَنُوا وَعَمِلُوا الصَّالِحَاتِ مِنْهُمْ مَغْفِرَةً وَاَجْرًا عَظ يمًا

აიათი კი ბრძანებს: „მუჰამმედი, შუამავალი ალლაჰის. ხოლო მასთან ერთად რომელნიც, მკაცრნი ურწმუნონის წინაშე და მოწყალენი ერთმანეთთან მიმართებაში. მათ დაინახავ რუქუღის შემსრულედ და სეჯდეს აღმრულედ, რომელნიც ალლაჰისგან მადლსა და წყალობას მიელტვიან. მათი ნიშნები მათ სახეებზეა, როგორც ნაკვალევი სეჯდისა. სწორედ ესაა, მათი მდგომარეობა თევრათში და ინჯილში: როგორც ნათესი, რომელმაც აღმოცენდა შემდეგ განამტკიცა იგი და გამსხვილდა, მერე ტანი აიყარა თავის ღეროზე, ახარებს მთესველთ, რითიც განრისხდებიან ურწმუნონი. აღუთქვა ალლაჰმა, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი მათგან, შენდობა და უდიდესი საზღაური"! "ფეთჰი 48/29 "

ხალიფა ომარის გადმოცემით წმ. შუამავალს სულიერად ზეამაღლებული ეს ადამინები – ევლიები შემდეგნაირად დაუხასია-

თებია: “ეს ისეთი საზოგადოებაა, სადაც მხოლოდ ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად და მის გზაზე უყვართ ერთმანეთი და არა ნათესაობის ან ფინანსური დამოკიდებულების გამო. ვფიცავ ღმერთს, მათი სახეები სინათლითაა გასხივოსნებული. როდესაც ადამიანებს ეშინიათ ისინი არ შეშინდებიან, როდესაც ადამიანები დამწუხრდებიან, მათთან მწუხარება ვერ დაისადგურებს. “

აიათში ნაბრძანებია:

اَلَا اِنَّ اَوْلِيَاءَ اللّٰهِ لَا خَوْفٌ عَلَيْهِمْ وَلَا هُمْ يَحْزَنُونَ

اَلَّذ ينَ اٰمَنُوا وَكَانُوا يَتَّقُونَ

لَهُمُ الْبُشْرٰى فِى الْحَيٰوةِ الدُّنْيَا وَفِى الْاٰخِرَةِ لَا تَبْد يلَ لِكَلِمَاتِ اللّٰهِ ذٰلِكَ هُوَ الْفَوْزُ الْعَظ يمُ

მაშ, იცოდეთ, რომ უეჭველად, ალლაჰის მეგობრებს არც შიში ექნებათ და არც ინაღვლებენ ეგენი!

(მათ) რომელთაც ირწმუნეს და იყვნენ მოკრძალებულნი,

მათთვისაა ხარება ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. ალლაჰის სიტყვები შეუცვლელია. სწორედ ესაა უდიდესი ნეტარება! “იუნუს 10/62-64 “

2) ილჰამ- გულში წარმოჩენილი ინფორმაცია, შთაგონება. თუმცა ეს შთაგონება განსხვავდება შუამავლების შთაგონებისაგან. შუამავლებისთვის მოვლენილი შთაგონება ღმერთის მიერ კონტროლის ქვეშაა, ხოლო ილჰამის შემთხვევაში ინფორმაცია დაცული არ არის და გადაცდომის საფრთხე არსებობს. ილჰამი ღმერთისთვის საყვარელ ადამიანებს თავისდაუნებურად წარმოუჩნდებათ გულში. წმ. მუსას დედის მდგომარეობა ილჰამის მაგალითად გამოდგება. ფარაონმა ნახა ისეთი სიზმარი, რის გამოც ბრძანა მთელ ქვეყანაში ყველა ახლად შობილი ვაჟი მოეკლათ. სწორედ ამ პერიოდში დაიბადა წმ. მუსა. დედამ ახალშობილი კალათში ჩადო და მდინარე ნილოსს გაატანა. ნილოსის წყალმა კალათა ფარაონის სასახლის ბაღთან მიიტანა, ჩვილი აიყვანეს და სასახლეში გაზარდეს. ეს ამბავი ყურანში შემდეგნაირადაა მოთხრობილი:

وَاَوْحَيْنَا اِلٰى اُمِّ مُوسٰى اَنْ اَرْضِع يهِ فَاِذَا خِفْتِ عَلَيْهِ فَاَلْق يهِ فِى الْيَمِّ وَلَا تَخَافى وَلَا تَحْزَنى اِنَّا رَادُّوهُ اِلَيْكِ وَجَاعِلُوهُ مِنَ الْمُرْسَل ينَ

და შთავაგონეთ მუსას დედას: აწოვე ძუძუ, და როცა შეშინდები მის გამო, ჩააგდე მდინარეში. არ შეშინდე და არ იდარდო, უეჭველად, ჩვენ დაგიბრუნებთ უკან და დავადგენთ შუამავლად!“ “ყასასა 28/7 “

ეს ცნობა წმ. მუსას დედას ილჰამის ან სიზმრის სახით მოუვიდა. სწავლულების მოსაზრებით ილჰამი ცოდნის რესურსი კი არ არის, არამედ განსაკუთრებულის შეგრძნებისა და კეთების უნარია.

3) ირჰას- სანამ შუამავალი ამ სტატუსს მიიღებდა და ამის შესახებ ღმერთისგან ეცნობებოდა, მანამდელი მისი ზებუნებრივი მდგომარეობა. მერე კი ის, მისი შუამავლობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად მიიღება. მაგ. წმ. ღისა აკვანშივე ლაპარაკობდა.

4) მეუნეთ- დახმარება, რაიმე საქმის გაიოლება. ადამიანი, რომელსაც ქცევა, ღვთისმსახურება და მორალი სამაგალითო დონეზე აქვს, მათში ვლინდება ეს ზებუნებრივი თვისება. მუსლიმი ადამიანი, რომელსაც ქცევა, ღვთისმსახურება და მორალი სამაგალითო დონეზე აქვს და რაიმე გაჭირვებაში აღმოჩნდება, ღმერთი მას წარმოუდგენელ და ზებუნებრივ სიტუაციაში გადაარჩენს.

5) ისთიდრაჯ – დროის მიცემა. ეს მდგომარეობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანი ურწმუნოებას და ცოდვებს აშკარად ავლენს. ღმერთი ასეთ ადამიანებს, თავიანთი სურვილის შესაბამისად დროის მიცემით უფრო მეტად ცოდვებში ჩაფლობის უნარს აძლევს. მაგ. სატანას ვედრება შესმენილ იქნა და მას წარღვნამდე ცოდვის და ბოროტების საკეთებლად დრო აქვს მიცემული. ფარაონის, ნემრუდის და სხვა მსგავსი მმართველების მეფობა მსგავს გატეგორიაში გადის. გარდა ამისა, ურწმუნოების და ბოროტი ადამიანების ამქვეყნიური წარმატება ამ კეტეგორიაში განიხილება.

ყურანში ნაბრაძანებია:

وَالَّذ ينَ كَذَّبُوا بِاٰيَاتِنَا سَنَسْتَدْرِجُهُمْ مِنْ حَيْثُ لَا يَعْلَمُونَ

وَاُمْل ى لَهُمْ اِنَّ كَيْد ى مَت ينٌ

და რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები, ნელ-ნელა მივიყვანთ დაღუპვამდე, ისე რომ ვერც კი გაიგებენ ამას!

და გადავუვადებ მაგათ. უეჭველად, ჩემი მახე მტკიცეა! “არაფ 7/182-183“

فَذَرْن ى وَمَنْ يُكَذِّبُ بِهٰذَا الْحَد يثِ سَنَسْتَدْرِجُهُمْ مِنْ حَيْثُ لَا يَعْلَمُونَ

وَاُمْل ى لَهُمْ اِنَّ كَيْد ى مَت ينٌ

დაე, დამიტოვე მე ვინც ცრუდ შერაცხა ეს სიტყვა, ნელ-ნელა მივიყვანთ დაღუპვამდე, ისე რომ ვერც კი გაიგებენ ამას!

და გადავუვადებ მაგათ. უეჭველად, ჩემი მახე მტკიცეა! „ყალემ 68/44-45“

ღმერთი ცოდვილ ადამიანს, რომელიც დაჟინებით აგრძელებს ცოდვის ჩადენას აძლევს მეტ სარჩოს, ჯანმრთელობას, ბარაქას, ავიწყებს მადლიერების გამოხატვას, მონანიებას და ამგვარად აახლოებს სავალალო შედეგამდე. აი, ეს არის ამ აიათებში ნახსენები ისთიდრაჯის მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ ხალიფა ომარმა როდესაც ირანი დაიპყრო და იქიდან უხვი ნადავლით დაბრუნდა ღმერთს სთხოვა:

“ღმერთო ეს ნადავლი ოღონდ ისთიდრაჯი არ იყოს, შენ მოგეკედლები.”

6) იჰანეთ- თუ ისთიდრაჯი ურწმუნო და ცოდვილ ადამიანების შეეხებოდა, რომლებიც აშკარად გამოხატავდნენ ამას და თან მათ სურვილს შეესაბამებოდა, იჰანეთი განსხვავებულია, რამეთუ მოვლენა ან მდგომარეობა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ წარმოიქმნება. თუმცა იგივე აშკარა ურწმუნო ადამიანებს ეხება. მაგ. მუსეილემე აცხადებდა, რომ ღმერთისგან გამოგზავნილი შუამავალი იყო. ერთხელ მან ცალი თვალიდან ბრმა ბავშვს თვალის გამრთელების მიზნით ხელი მოუსვა, მაგრამ ბავშვი მეორე თვალიდანაც დაბრმავდა. მეორე შემთხვევაში ჭის წყლის მომატება ისურვა და ის ჭა მთლიანად დაშრა.

არსებობს სხვა უცნაური მოვლენები, რომლებიც ჯადოს, ან ხელოვნების სფეროს მიეკუთვნებიან და რაიმე მიზეზებზე ან საშუალებებზე არიან დამოკიდებულნი. მათი, ბუნებრივ კანონზომიერების ფარგლებში განხილვა შესაძლებელია და შინაარსი და პირობები თუ იცის ადამიანმა ყველა გააკეთებს. რადგან ისინი ფიზიკურ კანონებს ემორჩილებიან, მათში რაიმე ზებუნებრივი არ არსებობს.

VI- განკითხვის დღის რწმენა

ა) საიქიოს რწმენა.

საიქიო არის სხვა სამყარო, რომელშიც სიკვდილის შემდეგ მოვხვდებით. საიქიო ცხოვრება დაიწყება, როდესაც ღმერთის ბრძანებით ანგელოზი ისრაფილი პირველად ჩაბერავს სურას და სამუდამოდ გაგრძელდება.

ღმერთმა ეს სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ და ყველა არსება დროებით გააჩინა. ერთ დღეს ეს დედამიწა და მასზე არსებული სულიერი არსებები მოისპობა. მთები, კლდეები, ცა და დედამიწა ერთმანეთში აირევა და ღმერთის გარდა მთელი სამყარო დასრულდება. აი, ამის შემდეგ დაიწყება ის დღე, რომელსაც განკითხვის დღეს ვუწოდებთ. ყურანში ამ დღეს სხვადასხვა სახელი აქვს მინიჭებული.

წარღვნის შემდეგ ადამიანები თავიდან გაცოცხლდებიან, წამოდგებიან თავიანთი საფლავებიდან და ამქვეყანაზე ცხოვრების ანგარიშის ჩასაბარებლად დიადი გამჩენის წინაშე წარსდგებიან. განკითხვის შემდეგ, ადამიანების ერთი ნაწილი, ვინც ამ ქვეყანაზე ცხოვრებისას ღმერთის კანონებით იცხოვრა ღმერთის შეწყალების საფუძველზე სამოთხეში მოხვდება, ხოლო ვინც არ იწამა, ან ცოდვილი იყო და ღმერთმა შეწყალების ღირსად არ ჩათვალა ჯოჯოხეთში წავა.

წარღვნა დადგება მაშინ, როდესაც ანგელოზი ისრაფილი სურას ჩაბერავს. “სურ”-ა მხოლოდ ღმერთმა იცის როგორია. მეორედ სურას ჩაბერვისთანავე სულები სხეულებს დაუბრუნდება და დაიწყება გაცოცხლება. დიადი ღმერთი ბრძანებს:

وَنُفِخَ فِى الصُّورِ فَصَعِقَ مَنْ فِى السَّمٰوَاتِ وَمَنْ فِى الْاَرْضِ اِلَّا مَنْ شَاءَ اللّٰهُ ثُمَّ نُفِخَ ف يهِ اُخْرٰى فَاِذَا هُمْ قِيَامٌ يَنْظُرُونَ

და ჩაიბერება საყვირში, მაშინ ჩაკვდება ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, გარდა იმისა, ალლაჰი, ინებებს ვისაც. მერე ჩაიბერება მასში კიდევ ერთხელ, აჰა ისინი, აღდგომილნი იყურებიან. “ზუმერ 39/68. “

საიქიოს რწმენა, რწმენის პირობებში შედის და ყურანში უმეტესად ღმერთის რწმენასთან ერთადაა ნახსენები. საიქიოს რწმენის გარეშე, ადამიანი სარწმუნოების საზღვრებს მიღმა აღმოჩნდება. ანუ ურწმუნოდ ითვლება. ამგვარი გაუკუღმართებული რწმენის ადამიანების შესახებ ღმერთი ბრძანებს:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اٰمِنُوا بِاللّٰهِ وَرَسُولِه وَالْكِتَابِ الَّذ ى نَزَّلَ عَلٰى رَسُولِه وَالْكِتَابِ الَّذ ى اَنْزَلَ مِنْ قَبْلُ وَمَنْ يَكْفُرْ بِاللّٰهِ وَمَلٰئِكَتِه وَكُتُبِه وَرُسُلِه وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ فَقَدْ ضَلَّ ضَلٰلًا بَع يدًا

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იწამეთ ალლაჰი და მისი შუამავალი, და წიგნი, რომელიც გარდმოუვლინა თავის შუამავალს და წიგნი, რომელიც მან გარდმოავლინა მის უწინ. და ვინც უარყოფს ალლაჰსა და მის ანგელოზებს, მის წიგნებს, მის შუამავლებს, და განკითხვის დღეს. დიახაც, რომ დიდი გადაცდომით გადავიდა იგი გზას. “ნისა 4/136. “

ყურანში ხშირად არის მითითებული, რომ ამქვეყნიური ცხოვრება დროებითია, საიქიო კი მუდმივი, ამიტომ საჭიროა ამქვეყნიურ სიამოვნებას და ცდუნებებს არ ავყვეთ. ამავე დროს ყურადღება გამახვილებულია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, რადგან საიქიო ცხოვრება ამქვეყანაზე ცხოვრებით მიიღწევა. ამის შესახებ აიათში შემდეგია ნაბძანები:

يَا قَوْمِ اِنَّمَا هٰذِهِ الْحَيٰوةُ الدُّنْيَا مَتَاعٌ وَاِنَّ الْاٰخِرَةَ هِىَ دَارُ الْقَرَارِ

ჰოი, ხალხო ჩემო! უეჭველად, ეს ქვეყანა მხოლოდ დროებითი საბადებელია, რამეთუ, საიქიოა მარადიული სამყოფელი. “მუ’მინ 40/39“

بَلْ تُؤْثِرُونَ الْحَيٰوةَ الدُّنْيَا

وَالْاٰخِرَةُ خَيْرٌ وَاَبْقٰى

მაგრამ არა! თქვენ ამქვეყნიურ ცხოვრებას ამჯობინებთ,

თუმცა საიქიო ცხოვრება უფრო უკეთესია და მუდმივი! „ეღლა 87/16-17“

وَابْتَغِ ف يمَا اٰتٰيكَ اللّٰهُ الدَّارَ الْاٰخِرَةَ وَلَا تَنْسَ نَص يبَكَ مِنَ الدُّنْيَا وَاَحْسِنْ كَمَا اَحْسَنَ اللّٰهُ اِلَيْكَ وَلَا تَبْغِ الْفَسَادَ فِى الْاَرْضِ اِنَّ اللّٰهَ لَا يُحِبُّ الْمُفْسِد ينَ

იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი! „ყასსას 28/77 “

ყურანში ბევრი აიათია, რომელიც სიკვდილის შემდეგ გაცოცხლებას შეეხება:

وَهُوَ الَّذ ى يَبْدَؤُا الْخَلْقَ ثُمَّ يُع يدُهُ وَهُوَ اَهْوَنُ عَلَيْهِ وَلَهُ الْمَثَلُ الْاَعْلٰى فِى السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ وَهُوَ الْعَز يزُ الْحَك يمُ

და იგია, რომელიც გააჩენს პირველად და მერე აღადგენს მას. და ეს იოლზე იოლია მისთვის. მას ეკუთვნის ზეუმაღლესი თვისე-

ბები ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რამეთუ იგია ძლევამოსილი, ბრძენი! “რუმ 30/27“

قُلْ يُحْيِي بِهَا الَّذِ ى اَنْشَاَهَا اَوَّلَ مَرَّةٍ وَهُوَ بِكُلِّ خَلْقٍ عَلِ يمٌ

უთხარი: „გააცოცხლებს მას, რომელმაც გააჩინა თავდაპირველად, რამეთუ იგი ყველა გაჩენილს უწყის.“იასინ 36/79“

لَخَلْقُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ اَكْبَرُ مِنْ خَلْقِ النَّاسِ وَلٰكِنَّ اَكْثَرَ النَّاسِ لَا يَعْلَمُونَ

უსათუოდ, ცათა და მიწის გაჩენა უდიდესია, ვიდრე ადამიანების გაჩენა, მაგრამ არ უწყის ხალხის უმეტესობამ. „მუ’მინ 40/57“

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანებს შეიძლება განსხვავებული ცხოვრების სტილი, შეგნება და ქცევები ჰქონდეთ. ზოგი სწავლულია, ზოგი უვიცი, ზოგი სამართლიანი, ზოგი უსამართლო, ზოგი მდიდარი, ზოგი ღარიბი, ვინ სიკეთეს აკეთებს, ვინ – ბოროტებას სჩადის. თუკი არ იქნება სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება სიკეთის მკეთებელნი ვერ მიიღებდნენ ჯილდოს სიკეთისას და ბოროტების ჩამდენნი ვერ იგემებდნენ სასჯელს ბოროტებისათვის. ეს კი დიადი ღმერთის სამართალს არ შეესაბამება. ამიტომ დააწესა გამჩენმა ხელახლა გაცოცხლება და ყველასთვის თავისი საზღაურის მინიჭება.

ყურანში საიქიო ცხოვრება შემდეგნაირადაა განმარტებული:

მაშინ, როცა ჩაიბერება საყვირში ერთი ჩაბერვით

და როცა აიზიდება მიწი, მთები, და ჩამოიქცევა ერთი შეჯახებით,

სწორედ იმ დღეს დადგება თავზარდამცემი მოსახდენელი.

და გაიპობა ზეცა, უკვე იმ დღეს წონასწორობადაკარგული

და ანგელოზთ მის კიდეებზე მოაქვთ თავს ზემოდან შენი ღმერთის ძლევამოსილების ტახტრევანი, რვანს იმ დღეს.

იმ დღეს წარსდგებით და არც ერთი საიდუმლოება არ დარჩება დაფარული.

მაშინ ვისაც ებოძება თავისი წიგნი მისივე მარჯვენაში, იტყვის: აჰა, წაიკითხეთ ჩემი წიგნი!

უეჭველად, მე ვუწყოდი, რომ გადავეყრებოდი ჩემს ანგარიშსწორებას.

მას ნეტარი ცხოვრება ელის

უმაღლეს სამოთხეებში!

ნაყოფი მისი დახუნძლული.

ჭამეთ და სვით შერგებულად, ჯილდოდ იმისთვის, რაც აკეთეთ წარსულ დღეებში!

მაგრამ ვისაც მიეცა თავისი წიგნი მისივე მარცხენაში, იტყვის: ნეტავ, არ მომცემოდა ჩემი წიგნი

და არ მცოდნოდა, რაა ჩემი სასჯელი!

ნეტავ, იგი ყოფილიყო დასასრული!

ვერ შემეწია ჩემმა ქონებამ,

მოისპო ძალაუფლება ჩემი!

შეიპყარით და შეკარით იგი,

შემდეგ აალებულ ცეცხლში შეუნთეთ, “ჰაყეთი 69/13-31“

რამეთუ მას არ სწამდა დიადი ალლაჰის

და არ მოუწოდებს, დააპუროს ღარიბნი. „ჰაქქა 69/33-34“

ზემოთ მოცემულ აიათებში მითითებულია ადამიანის საიქიოში მოსალოდნელი მდგომარეობა. მორწმუნისათვის ჯილდო, ხოლო ურწმუნო და ცოდვილთათვის შიშით სავსე საიქიო ცხოვრებაა მოსალოდნელი. ამის რწმენა კი ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების სწორი გზით წარმართვისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადამიანი, რომელსაც ღმერთის სიყვარულით აქვს გული სავსე და სწამს საიქიო, იმისაც სჯერა, რომ თავისი ყველა ნამოქმედარი მწერალი ანგელოზების მიერ სათითაოდ აღინუსხება. ეს რწმენა კი ბოროტების ჩადენისგან დაიცავს.

ბ) საფლავში ყოფნის პერიოდი.

ადამიანის ცხოვრება 4 პერიოდად იყოფა:

1) პირველი პერიოდი არის სულების ერთიანად გაჩენის მომენტიდან დედის საშვილოსნოში არსებულ ჩანასახზე, (რომელიც დაახლოებით 4 თვის და 10 დღისაა) სულის შთაბერვამდე. ამ პერიოდს ამქვეყნიური ცხოვრებამდელ პერიოდსაც ეძახიან. ამ

პერიოდის შესახებ არავის არაფერი ემახსოვრება, თუ ღმერთმა არ უწყალობა განსაკუთრებული უნარი.

2) ამქვეყნიური ცხოვრება. ადამიანის სხეული არის ფიზიკური სახე, ბუნებასთან შეგუებული თვისებების მქონე, დეადმიწაზე ყოფნის პერიოდში სულის სამოსელი, გარემო და საშუალება.

3) სიკვდილიდან წარღვნამდე არსებული საფლავში ყოფნის პერიოდი.

4) ხელახალი გაცოცხლების შემდეგ უსასრულო და მუდმივი საიქიო ცხოვრება. ამის მიხედვით საფლავში ყოფნის პერიოდი ამქვეყნიურ ცხოვრებასა და საიქიო ცხოვრებას შორისაა.

საფლავში ყოფნის პერიოდი იწყება ორი ანგელოზის "მუნქერ ვე ნექირ" – ის შეკითხვებით და გაცემულ პასუხებზეა დამოკიდებული მიცვალებულის შემდეგი მდგომარეობა. ეს საკითხი წმ. წიგნითა და სუნნეთითაა დამტკიცებული.

დიადი ღმერთი ბრძანებს:

اَلنَّارُ يُعْرَضُونَ عَلَيْهَا غُدُوًّا وَعَشِيًّا وَيَوْمَ تَقُومُ السَّاعَةُ اَدْخِلُوا اٰلَ فِرْعَوْنَ اَشَدَّ الْعَذَابِ

ცეცხლი, სადაც შენივთებულ იქნებიან დილით და საღამოს. ხოლო დღეს საათის დადგომის; „შეიყვანეთ ფარაონის სახლეული მწარე სასჯელში"! "მუ'მინ 40/46. "

აიათში მითითებული წარღვნამდელი წამება საფლავში ყოფნის პერიოდში მოსალოდნელი სასჯელია.

ადამიანი რომ გარდაიცვლება და საფლავში ჩაასვენებენ ზემოთ ნახსენები ორი ანგელოზი მივა მასთან და შეეკითხებიან:

"ვინ არის შენი გამჩენი, ვინ არის შენი შუამავალი, რომელია შენი სარწმუნოება?... " მორწმუნე და მადლიანები ამ შეკითხვებს სწორად უპასუხებენ, მათთვის სამოთხის კარები გაიხსნება და სამოთხეს იხილავენ. ურწმუნოები და ცოდვილები სწორ პასუხებს ვერ გასცემენ, მათთვის ჯოჯოხეთის კარები გაიხსნება და ისინი ჯოჯოხეთს დაინახავენ. მაშინ დაიწყება შიშით და წამებით სავსე საფლავისეული ცხოვრება.

ჰადისებში ნაბრძანებია:

"საფლავი, საიქიოს პირველი საფეხურია. თუ ადამიანი ამ პირ-

ველ საფეხურს ადვილად გაივლის, დანარჩენი საფეხურები უფრო გაუადვილდება. თუ გაუძნელდება, დანარჩენი საფეხურებს უფრო ძნელად გაივლის.”-

“ საფლავი სამოთხის ბაღებიდან ერთერთი ბაღი და ჯოჯოხეთის ქვესკნელებიდან ერთერთი ქვესკნელია.”

იბნ აბბასის გადმოცემით, ერთხელ შუამავალმა სასაფლაოს გვერდზე ჩავლისას ბრძანა:

“უეჭველია, რომ ეს ორი წამებაში არიან. მათი წამების მიზეზი არც თუ ისე დიდი საქმეა. მათგან ერთი მოშარდვის დროს ტანისამოსზე მიშხეფებას არ ერიდებოდა, ხოლო მეორე ადამიანებს შორის სიტყვა მიმოჰქონდა და შუღლს აღვივებდა.”

გ.) ხელმეორედ გაცოცხლება.

წარღვნის შემდეგ ანგელოზი ისრაფილი ხელმეორედ ჩაბერავს სურას და ყველა არსება ხელმეორედ გაცოცხლდა. სუნნეთის რწმენის მიხედვით ეს გაცოცხლება სულით და სხეულით მოხდება. თუ ღმერთმა ადამიანი ერთხელ შექმნა, ისიც შეუძლია ხელმეორედ გააცოცხლოს. აიათები ამტკიცებს, რომ უარმყოფელები წამებას კანით შეიგრძნობენ.

اِنَّ الَّذ ينَ كَفَرُوا بِاٰيَاتِنَا سَوْفَ نُصْل يهِمْ نَارًا كُلَّمَا نَضِجَتْ جُلُودُهُمْ بَدَّلْنَاهُمْ جُلُودًا غَيْرَهَا لِيَذُوقُوا الْعَذَابَ اِنَّ اللّٰهَ كَانَ عَز يزًا حَك يمًا

უეჭველად, რომელთაც უარყვეს ჩვენი აიათები, სულ მალე შევუნთებთ მათ ცეცხლში! ყოველ ჯერზე, როცა მათ დაეწვებათ კანი, შევუცვლით სხვა კანით, რათა იგემონ სასჯელი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია! “ნისა 4/56”

يَوْمَ تَشْهَدُ عَلَيْهِمْ اَلْسِنَتُهُمْ وَاَيْد يهِمْ وَاَرْجُلُهُمْ بِمَا كَانُوا يَعْمَلُونَ

იმ დღეს მათი ენა, ხელები და ფეხები მათ წინააღმდეგ დაამოწმებენ იმას, რასაც ისინი სჩადიოდნენ! “ნურ24/24 “

აგრეთვე განკითხვის დროს ადამიანს თავისი ხელი, ფეხი და ენა თავისი ნამოქმედარის მოწმენი იქნებიან. ეს აიათები ამტკიცებს, რომ გაცოცხლების შემდეგ ადამიანები თვიანთ სხეულებით წარსდგებიან განსაკითხველად.

ყურანში ხელმეორედ გაცოცხლების შესახებ შემდეგი მტკიცებულებები წარმოდგენილი:

1) რაიმის არარსებობიდან გაჩენის შემდეგ მისი ხელმეორედ გაჩენა რაღა თქმა უნდა ადვილია.

وَضَرَبَ لَنَا مَثَلًا وَنَسِيَ خَلْقَهُ قَالَ مَنْ يُحْيِ الْعِظَامَ وَهِيَ رَمِيمٌ

قُلْ يُحْيِيهَا الَّذِي أَنْشَأَهَا أَوَّلَ مَرَّةٍ وَهُوَ بِكُلِّ خَلْقٍ عَلِيمٌ

განიზრახა ჩვენთვის იგავის მოტანა, დაივიწყა თავის გაჩენა. თქვა: „ვინ გააცოცხლებს ძვლებს, რომელიც გაიხრწნა?“

უთხარი: „გააცოცხლებს მას, რომელმაც გააჩინა თავდაპირველად, რამეთუ იგი ყველა გაჩენილს უწყის. “ იასინ 36/78-79. “

2) რთული რაიმის შექმნის შემდეგ მარტივის შექმნა უფრო იოლია. ცისა და დედამიწის შექმნა ხომ გაცილებით ძნელი იქნებოდა.

3) მკვდარი მიწა თუ გააცოცხლა ღმერთმა ადამიანსაც გააცოცხლებს.

4) თუ ღმერთმა შეძლო რაიმე თავის საპირისპიროდ გადაექცია, მსგავსადაც გადააქცევს.

წმ. შუამავალი თავის ჰადისებში გაცოცხლების შესახებ ბრძანებდა:

“ადამიანი სიკვდილის შემდეგ გაიხრწნება და განადგურდება, გარდა კუდუსუნის ძვლისა. წარღვნის დღეს სწორედ ამ გაუხრწნელი ნაწილისგან მოხდება მისი გაცოცხლება. “

სხვა ჰადისში ნაბრძანებია, რომ ადამიანების ხელახლა გაცოცხლებისას საფლავიდან პირველი წმ. შუამავალი მუჰამმედი აღსდგება და ყველა ადამიანი თავისი სიკვდილის მდგომარეობაში აღსდგებიან.

დ.) დიდი შეკრება და განკითხვა.

წარღვნის შემდეგ ყველა ადამიანი და ცოცხალი არსება ერთად შეიკრიბებიან და გამჩენის წინაშე განიკითხებიან. ამ დიდი შეკრების ადგილს ღერასათი ჰქვია.

ჯინების და ადამიანების გაცოცხლების შემდეგ ყველა ჯურის და სტატუსის ადამიანი ერთად შეიკრიბება. ცხოველებიც იქ შე-

იკრიბებიან. თუმცა ცხოველები თავინთ დონეზე განკითხვის და საზღაურის შემდეგ მიწად გადაიქცევიან. მათი შემხედვარე ურწმუნოები ინატრებენ, ნეტა ჩვენც მიწად გადავიქცეოდეთო.

დიდი შეკრების ადგილზე ყველა ვისი მიმდევარიც იყო მის უკან შეიკრიბება. მორწმუნე, ურწმუნო, მუნაფიყი, ფასიქი ყველა თვიანთი ლიდერის ზურგსუკან დალაგდებიან. ამის შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

يَقْدُمُ قَوْمَهُ يَوْمَ الْقِيٰمَةِ فَاَوْرَدَهُمُ النَّارَ وَبِئْسَ الْوِرْدُ الْمَوْرُودُ

უწინამძღვრებს რა თავის ხალხს იგი აღდგომის დღეს, ამგვარად ცეცხლში შეიყვანს მათ. რაოდენ საძაგელი შესასვლელი და ადგილია იგი! “ჰუდ 11/98. “

وَيَوْمَ يَحْشُرُهُمْ كَاَنْ لَمْ يَلْبَثُوا اِلَّا سَاعَةً مِنَ النَّهَارِ يَتَعَارَفُونَ بَيْنَهُمْ قَدْ خَسِرَ الَّذ ينَ كَذَّبُوا بِلِقَاءِ اللّٰهِ وَمَا كَانُوا مُهْتَد ينَ

და იმ დღეს შეჰყრის მათ, თითქოს არ დაუყვიათ, გარდა დღის ერთიოდ საათისა. ისინი ერთმანეთს შეიცნობენ. უეჭველად, წაგებული არიან, რომელთაც ცრუად ჩათვალეს ალლაჰთან შეხვედრა და არ იყვნენ სწორ გზაზე მდგარნი. “იუნუს 10/45“

وَيَوْمَ يَعَضُّ الظَّالِمُ عَلٰى يَدَيْهِ يَقُولُ يَا لَيْتَنِى اتَّخَذْتُ مَعَ الرَّسُولِ سَب يلا

يَا وَيْلَتٰى لَيْتَن ى لَمْ اَتَّخِذْ فُلَانًا خَل يلا

იმ დღეს უსამართლო დაიკბენს ხელებს და იტყვის: „ნეტავ, ამერჩია გზა შუამავლის გვერდით!

ვაი, ჩემს თავს! ნეტავ, არ ამერჩია მოყვასად მავანი! „ფურყან 25/27-28“

განკითხვის დღე ძალიან საშინელი და შემაწუხებელია. ყველა საკუთარი თავის დარდშია და ახლობელი თუ ნათესავი აღარავის ახსოვს. იმ დღეს მორწმუნეთა სახეები გაბრწყინდება და ურწმუნონი გაშავდებიან. იმ დღეს ყველა ერთმანეთს გაექცევა; ძმა-ძმას, მშობელი –შვილს, მეუღლე-მეუღლეს, ყველა -ყველას.

განკითხვისათვის შეკრებილებს ცხოვრების წიგნები დაურიგდებათ, სადაც მთელი თავიანთი ნამოქმედარია აღწერილი. ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია:

وَوُضِعَ الْكِتَابُ فَتَرَى الْمُجْرِم ينَ مُشْفِق ينَ مِّمَّا ف يهِ وَيَقُولُونَ يَا وَيْلَتَنَا مَالِ هٰذَا الْكِتَابِ لَا يُغَادِرُ صَغ يرَةً وَلَا كَب يرَةً اِلَّا اَحْصٰيهَا وَوَجَدُوا مَا عَمِلُوا حَاضِرًا وَلَا يَظْلِمُ رَبُّكَ اَحَدًا

დაიდება წიგნი და მაშინ ნახავ შენ ცოდვილთ, შეშინებულთ იმის გამო, რაც მასშია. და ამბობენ: „ვაი, ჩვენ! ეს რა წიგნია! მასში არ არის გამოტოვებული არც მცირე, არც დიდი, ყველაფერი აღნუსხულია!“ და ჰპოვებენ მათ წინაშე, რაც ჰქმნეს და არავის მოექცევა შენი ღმერთი უსამართლოდ!“ (ქეჰფი 18/49)

ეს ცხოვრების წიგნი მომავალ სამოთხის მკვიდრთ მარჯვნიდან მიეცემათ, ხოლო ჯოჯოხეთისთვის განწირულებს მარცხნიდან ან ზურგის მხრიდან.

ადამიანები აიღებენ თავიანთი ცხოვრების წიგნებს და გაეცნობიან, რის შემდეგაც დაიწყება განკითხვა. ამ დროს ადამიანის ორგანოები და სხვა სულიერი თუ უსულო საგნები ნამოქმედარს დაამოწმებენ.

წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ ადამიანს ხუთი რაიმის შესახებ მოუწევს პასუხის გაცემა: “ ა) სიცოცხლე სად გახარჯა. ბ) ახალგაზრდობა როგორ გაატარა. გ) ქონება საიდან შეიძინა. დ) ქონება სად დახარჯა. ე) რაც იცოდა იყენებდა თუ არა. ანუ მის მიხედვით თუ ცხოვრობდა.

ე) “მიზან”- სასწორი

ეს არის ადამიანების ნამოქმედარის ასაწონი ღვთიური საზომი. თუ სიკეთე ბოროტებას გადაწონის ადამიანი გადარჩება, თუ ბოროტება გადაწონის მაშინ -ჯოჯოხეთში მოხვდება. მორწმუნე ადამიანი, რომელიც ბევრი ცოდვების გამო ჯოჯოხეთში მოხვდება, სასჯელის მოხდის შემდეგ სამოთხეში შევა.

ყურანში ამის შესახებ შემდეგია ნაბრძანები:

وَنَضَعُ الْمَوَازِينَ الْقِسْطَ لِيَوْمِ الْقِيٰمَةِ فَلَا تُظْلَمُ نَفْسٌ شَيْئًا وَإِنْ كَانَ مِثْقَالَ حَبَّةٍ مِنْ خَرْدَلٍ أَتَيْنَا بِهَا وَكَفٰى بِنَا حَاسِبِينَ

და ჩვენ განვაწესებთ სამართლის სასწორებს აღდგომის დღეს, მაშინ არავინ არ დაიჩაგრება. და მდოგვის მარცვლის ოდენაც რომ იყოს, მას მოვიტანთ. და საკმარისი ვართ ჩვენ ანგარიშმსწორებლებად! “ენბია 21/47. “

და აი ის, ვისი სასწორიც (სიკეთე) დაძლევს,

მას ნეტარი ცხოვრება ელის!

ხოლო ვისი საქმიანობაც მსუბუქი იქნება,

მათი სამყოფელი ქვესკნელია (ჰავიეა)!

რამ უნდა გამცნოს რა არის იგი (ჰავიე)? “ყარია 101/6-10 “

ვ) ბეწვის ხიდი.

ეს არის ჯოჯოხეთის თავზე გადებული გზა ან ხიდი. ყველა ამ გზით უნდა გავიდეს გაღმა. მორწმუნეები ამქვეყანაზე ნაკეთები სიკეთის და მადლის წყალობით ზოგი სწრაფად, ზოგი ნელა და წვალებით გაივლიან ამ ხიდს. ურწმუნონი და ცოდვილები ვერ შეძლებენ გავლას და ჯოჯოხეთში ჩაცვივდებიან. წმ. შუამავალი თავის ჰადისებში ბრძანებდა, რომ ამ ხიდზე პირველები თავად და მისი მიმდევრები გაივლიან. ადამიანებს სიკეთე და მადლი ამ ხიდის გავლას გაუადვილებს.

ვ) ეღრაფ- ადგილი სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის. არსებობს ორგვარი ვარაუდი ამ ადგილის მკვიდრთა შესახებ.

მორწმუნეები, რომლებსაც ცოდვა და მადლი თანაბარი აქვთ. ესენი გარკვეულ პერიოდს ამ ადილას მოიცდიან და მერე შეძლებენ სამოთხეში შესვლას.

ყურანი არაფის და მის მკვიდრთა შესახებ ბრძანაბს:

وَبَيْنَهُمَا حِجَابٌ وَعَلَى الْاَعْرَافِ رِجَالٌ يَعْرِفُونَ كُلًّا بِسِيْمٰهُمْ وَنَادَوْا اَصْحَابَ الْجَنَّةِ اَنْ سَلَامٌ عَلَيْكُمْ لَمْ يَدْخُلُوهَا وَهُمْ يَطْمَعُونَ

وَاِذَا صُرِفَتْ اَبْصَارُهُمْ تِلْقَاءَ اَصْحَابِ النَّارِ قَالُوا رَبَّنَا لَا تَجْعَلْنَا مَعَ الْقَوْمِ الظَّالِمِينَ

და მათ შორისაა რიდე და აღრაფზე კაცნი, რომელნიც ყველას ამოიცნობენ თავიანთი სახენით და გასძახებენ სამოთხის მკვიდრთ: მშვიდობა თქვენდა! და ეგენი ჯერ არ შესულან მასში, მაგრამ იმედი აქვთ.

და როცა მზერა ჯოჯოხეთის მკვიდრთა მხარეს მიაპყრეს, თქვეს: ღმერთო ჩვენო, არ ჩაგვრიცხო უსამართლო ხალხთან ერთად! “ეღრაფ 7/46-47. “

ზ) შეფაათ- შუამდგომლობა.

სხვა ადამიანის გაჭირვების ჟამს შუამდგომლობა, ან რომელიმე საფეხურიდან მაღლა ასვლისათვის "შეფაათი" , ანუ შუამდგომლობა ჰქვია. შუამდგომლობის უნარი და უფლება ღმერთის და მისი შუამავლის წინაშე დამსახურებულ და მაღალ საფეხურზე მყოფ ადამიანებს აქვთ. მათ შეუძლიათ ვედრებით შესთხოვონ გამჩენს ცოდვილი მორწმუნეებისთვის ცოდვების მიტევება.

მხოლოდ ურწმუნოებს და მუნაფიყებს არ შეეხებათ შუამდგომლობა. წმ. შუამავალ მუჰამმედს, სხვა შუამავლებს და მადლმოსილ მორწმუნეთ შეუძლიათ სხვა მორწმუნე ცოდვილთათვის უშუამდგომლონ ე.ი. მათთვის შეევედრონ გამჩენს. ამის მტკიცებულება წმ. წიგნი და სუნნეთია. ყურანი შემწეობის შესახებ ბრძანებს:

اَمِ اتَّخَذُوا اٰلِهَةً مِنَ الْاَرْضِ هُمْ يُنْشِرُونَ

ნუთუ მათ დაიდგინეს ღვთაებები დედამიწიდან? ისინი გააცოცხლებენ? "ენბია 21/21"

يَوْمَئِذٍ لَا تَنْفَعُ الشَّفَاعَةُ اِلَّا مَنْ اَذِنَ لَهُ الرَّحْمٰنُ وَرَضِيَ لَهُ قَوْلًا

იმ დღეს არ წაადგება შუამდგომლობა არავის, გარდა ვისაც ნებას დართავს მოწყალე და ვისი სიტყვითაც კმაყოფილი იქნება! „თაჰა 20/109"

اَللّٰهُ لَا اِلٰهَ اِلَّا هُوَ اَلْحَيُّ الْقَيُّومُ لَا تَاْخُذُهُ سِنَةٌ وَلَا نَوْمٌ لَهُ مَا فِي السَّمٰوَاتِ وَمَا فِي الْاَرْضِ مَنْ ذَا الَّذِي يَشْفَعُ عِنْدَهُ اِلَّا بِاِذْنِه يَعْلَمُ مَا بَيْنَ اَيْدِيهِمْ وَمَا خَلْفَهُمْ وَلَا يُحِيطُونَ بِشَيْءٍ مِنْ عِلْمِه اِلَّا بِمَا شَاءَ وَسِعَ كُرْسِيُّهُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضَ وَلَا يَؤُدُهُ حِفْظُهُمَا وَهُوَ الْعَلِيُّ الْعَظِيمُ

არ არის ღვთაება, გარეშე მისი, ალლაჰისა, უკვდავისა, მარადისა, თვლემა არ ეუფლება მას და არცა ძილი. მისია, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა ნება მისი. მან იცის, რაც მათ უწინარესაა და რაც მათ შემდგომაა. ისინი კი მის ცოდნისგან მხოლოდ იმას გასწვდებიან, ინებებს რასაც. ტახტი მისი გარემოიცავს ცათა და ქვეყანას და დაცვა მათი არ უმძიმს მას. და იგი უზენაესია, დიდებულია. „ბაქარა 2/255"

წმ. შუამავალი ბრძანებდა:

"შემი შუამდგომლობა ჩემი მიმდევრებიდან დიდი ცოდვის ჩამდენებისთვისაა."

გარდა ამისა, წმ. შუამავალ მუჰამმედს გააჩნია საერთო შუამდგომლობის უნარი, ამას "შეფაათი- აზმა"- ანუ ყველაზე დიდი

შუამდგომლობა ჰქვია.

გამომდინარე აქედან შუამავლებს, ევლიებს, შაჰიდებს, მადლმოსილ მორწმუნეებს გარკვეული ადამიანებისთვის შუამდგომლობის შეთხოვა შეუძლიათ. შუამდგომლობა ღმერთის მიერ მინიჭებული უფლებაა და ის შეიძლება სხვა ადამიანის გადარჩენის საშუალება გახდეს. შუამავლის სუნნეთს ვინც კარგად ასრულებს მისი შუამდგომლობის ღირსი გახდება.

VII- შემთხვევისა და ბედისწერის რწმენა.

ა) შემთხვევისა და ბედისწერის ცნება.

დიადი ღმერთის მიერ უსასრულობიდან უსასრულობამდე ყველაფრის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის, ყველა მომხდარი თუ მოსახდენი მოვლენის, მათი დროის, ფორმის და ყველა თვისების ცოდნას ბედისწერა ჰქვია. ბედისწერა ღმერთის ორი თვისების, ცოდნისა და ნების გამოვლინებაა. გამჩენმა თავისი უნაკლო ცოდნის წყალობით იცის რა, სად, როდის და როგორ მოხდება. ნება კი გამოხატავს ნებართვას. აგრეთვე რა ფორმით განხორციელდება ესა თუ ის ქმედება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბედისწერა ეს არის ღმერთის მიერ ყველა მოვლენის მიმართ ოდითგანვე დადგენილი გადაწყვეტილება. ეს ყველა არსების მიმართ ვრცელდება და როდესაც თავისი დრო მოვა განხორციელდება.

შემთხვევა არის ოდითგანვე ღმერთის მიერ განსაზღვრული მოვლენები, რომლებიც თავისი დროის მოსვლისთანავე განხორციელდება. ღმერთი თავისი ნებით და ძალით ბედისწერის გეგმის მიხედვით განსაზღვრულ მოვლენას გააჩენს.

სამყაროში ყველაფერი ბედისწერაზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული. ღმერთის ნების საწინააღმდეგოდ სამყაროში არაფერი მოხდება. მოკლედ, ბედისწერა არსებების გაჩენამდე ყველა ინფორმაციის ერთად არსებობაა, როგორც ღვთიური ცოდნის გამოვლინება და შემთხვევა კი ყველა ამ მოვლენის თავის დროზე სათითაოდ განხორციელებაა.

ეს განმარტებები იმამ მათურიდის მიხედვითაა.

ბ) მტკიცებულებები, რომლებსაც ბედისწერა და შემთხვევა ეყრდნობა.

ყველა მოვლენა, მომხდარი თუ მოსახდენი ღმერთის მიერ განსაზღვრული. ღმერთის ცოდნა, ნება და ძალა ყველა და ყველაფერს მოიცავს. არსებობს აიათები ბედისწერისა და შემთხვევის შესახებ:

اَللّٰهُ يَعْلَمُ مَا تَحْمِلُ كُلُّ اُنْثٰى وَمَا تَغِ يضُ الْاَرْحَامُ وَمَا تَزْدَادُ وَكُلُّ شَىْءٍ عِنْدَهٗ بِمِقْدَارٍ

ალლაჰი უწყის, რას ატარებს თითოეული მდედრი, და რას იკლებს საშვილოსნო და რას იმატებს. და ყოველივე მის წინაშე კანონზომიერებითაა. “რად 13/8,

اَلَّذ ى لَهٗ مُلْكُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ وَلَمْ يَتَّخِذْ وَلَدًا وَلَمْ يَكُنْ لَهٗ شَر يكٌ فِى الْمُلْكِ وَخَلَقَ كُلَّ شَىْءٍ فَقَدَّرَهٗ تَقْد يرًا

რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნისა. მას არ ჰყავს ძე და არ ჰყოლია ზიარი მეუფებაში. და მან გააჩინა ყოველი საგანი და განუსაზღვრა ჩინება! „ფურყან 25/2, „

قُلْ لَنْ يُص يبَنَا اِلَّا مَا كَتَبَ اللّٰهُ لَنَا هُوَ مَوْلٰينَا وَعَلَى اللّٰهِ فَلْيَتَوَكَّلِ الْمُؤْمِنُونَ

უთხარი: არაფერი გვეწევა, გარდა, რაც ჩვენზე დაწერა ალლაჰმა. იგია ჩვენი მფარველი. დაე, მხოლოდ ალლაჰს მიენდონ მორწმუნენი! „თევბე 9/51. “

თუ არ იქნა ღმერთის ნება, ყველა ადამიანი რომ შეეცადოს ერთ ვინმეზე დახმარებას ვერაფრის შეცვლას მოახერხებენ. თუნდაც ყველა ადამიანმა ვინმეზე ზიანის მიყენება მოიწადინონ, ღმერთის ნება თუ არ იქნება ვერ შეძლებენ.

وَاِنْ يَمْسَسْكَ اللّٰهُ بِضُرٍّ فَلَا كَاشِفَ لَهٗ اِلَّا هُوَ وَاِنْ يَمْسَسْكَ بِخَيْرٍ فَهُوَ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَد يرٌ

და თუ უბედურება დაგატეხოს ალლაჰმა, ამისაგან დამხსნელი არავინაა, გარეშე მისა. და თუ სიკეთეს მოგაწევს, სწორედ იგი ყოვლისშემძლეა. “ ენამ 6/17 “

ამათ გარდა არსებობს ბევრი აიათი სადაც ნაბრძანებია, რომ ყველა მოვლენა გარკვეული წესრიგის მიხედვით ხორციელდება.

გარდა ამისა წმ. შუამავალმა იცოდა, რა რთული გასაგები იყო ბედისწერის საკითხი ამიტომ ბედისწერის საკითხებზე მოკამათე მეგობრებს აფრთხილებდა:

“თქვენ ღმერთისგან ეს გებრძანათ? – ან მე ამისთვის ვარ გამოგზავნილი? – იცოდეთ, თქვენი წინამორბედი ხალხი მსგავს

საკითხების შესახებ კამათში ჩაიძირნენ და იმიტომ გაანადგურა ღმერთმა ისინი! “

ბედისწერის ამ შეუცნობელი მიმართულებების გარდა წმ. შუამავალმა აღწერა თუ რა გავლენა გააჩნია ბედიესწერას ადამიანის ცხოვრებაზე:

“უეჭველია, რომ ნებისმიერი თქვენთაგანის წარმოქმნა დედის საშვილოსნოში ორმოცი დღე გრძელდება. შემდეგ ერთი ამდენი დროის მანძილზე ალაქა- განაყოფიერებული კვერცხუჯრედი წარმოიქმნება, შემდეგ ისევ ამდენი დროის მანძილზე მუდღე- ხორცის ნაჭერი (ემბრიონი) შემდეგ გაიგზავნება მასთან ანგელოზი და სულს ჩაბერავს. ანგელოზს ოთხი რამ აქვს ნაბრძანები: დაწეროს დასაბადებელი ბავშვის სარჩო, სიცოცხლის ხანგრძლივობა, რას გააკეთებს სიცოცხლის მანძილზე და სამოთხის მკვიდრი იქნება თუ ჯოჯოხეთის.”

იგივე ჰადისის სხვა ვარიანტში ნაბრძანებია, რომ ანგელოზი მოდის მაშინ, როდესაც წარმონაქმნი 42 დღის გახდება და ზემოთ ჩამოთვლილი 4 რამის გარდა ბავშვის ორგანოებს გააჩენს, მიანიჭებს სქესს და განსაზღვრავს მის ფიზიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ზემოთ მოყვანილ აიათებში და ჰადისებში ჩანს, რომ დედის მუცელში ყოფნისას ბავშვს ასე ვთქვათ ცხოვრების პროგრამას ჩაუტვირთავენ და მისი გაჩენაც ბედისწერის პროგრამითაა განსაზღვრული.

წმ. შუამავალმა ერთხელ თავის მეგობრებს უთხრა, რომ შეიძლება ადამიანმა მთელი ცხოვრება ისეთი საქმიანობით იცხოვროს, სამოთხეს იმსახურებდეს, მაგრამ ბოლოს ერთი ქმედებით ჯოჯოხეთის მკვიდრი გახდეს და პირიქით, მთელი ცხოვრება ცოდვებით დამძიმებულმა ადამიანმა შეიძლება ბოლოს ერთი ქმედებით სამოთხეში დაიმკვიდროს ადგილი და ამ ყველაფერს დედის მუცელში ყოფნისას დაწერილი პროგრამა განსაზღვრავსო. ამ დროს ერთმა მეგობართაგანმა ჰკითხა, მაშ რაღა საჭიროა რაიმე ვაკეთოთ, როცა ისედაც დაწერილია ბედისწერის პროგრამაო. წმ. შუამავალმა კი უბრძანა:

“კეთილი საქმე აკეთეთ. ყველას აქვს ბოძებული შესაძლებლობა! “ შემდეგ კი ეს აიათი წაუკითხა:

فَاَمَّا مَنْ اَعْطٰى وَاتَّقٰى

მაგრამ ის, ვინც გასცემდა და ღვთისმოშიში იყო, “ლეილი 92/5. “

ადამიანი ცხოვრების მანძილზე ბედიეწერის მიხედვით განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებს. თუმცა ეს არ ნიშნავს მის ნებაზე ძალდატანებას. ანუ ადამიანის სურვილზე და ქცევაზე ძალდატანება და რაიმის გაკეთებინება არ არის ნაგულისხმევი. ქცევები ადამიანის ნებასურვილის ფარგლებში ხორციელდება, თუმცა ღვთიური ბედისწერა ამ ქცევაზე შესაბამის ზემოქმედებას ახდენს.

ადამიანის ქცევები პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ორგვარია: ნებსით და უნებლიედ. უნებლიე ქცევები ადამიანის სურვილისა და მოწადინების გარეშე ხორციელდება და ადამიანი ამ ქცევებზე პასუხს არ აგებს. მაგ. ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა, სხეულის სხვადასხვა ორგანოების მუშაობა, მოშივება და მსგავსი. ამ ტიპის მოვლენები მადლს ან ცოდვას არ იწვევენ.

ნებსით, ანუ ნებასურვილით შესრულებული ქცევები კი ადამიანის ნების გათვალისწინებით აღმოცენდება. ადამიანი თავის შეზღუდულ შესაძლებლობებს რაიმე ქცევის განსახორციელებლად წარმართავს და ღმერთიც მისი სურვილის გათვალისწინებით იმ ქცევას გააჩენს. ადამიანი თავისით ვერ წარმოქმნის ქცევას. აქ სურვილი და წადილი ადამიანისგან მოდის და შესაბამისად ძალდატანებაზე საუბარი გამორიცხულია.

გარდა ამისა გამჩენი ყველა მოვლენას მიზეზებს უკავშირებს. ადამიანი მიზეზს ითვალისწინებს და განიზრახავს ქცევას, ღმერთი კი აუსრულებს, ქცევას, მოვლენას წარმოქმნის. მაგ. ლოცვას ვინც განიზრახავს და მზადებას იწყებს, თავისი ნებასურვილი იმ მიმართულებით აქვს გამოყენებული და ღმერთიც ამ კონკრეტულ ქმედებას – ლოცვის მოვლენას წარმოქმნის. ამ კონკრეტული მოვლენის ოდითგანვე ღმერთის მიერ ცოდნას ბედისწერა ჰქვია.

მოკლედ, ადამიანი სიკეთეს ან ბოროტებას იმიტომ კი არ სჩადის, რომ ის დაწერილია, არამედ ღმერთმა უწყოდა როდის, რას და როგორ გააკეთებდა ადამიანი და ამიტომაა ბედისწერა დაწერილი. გამომდინარე აქედან ადამიანი პასუხისმგებელია თავისი ნამოქმედარის გამო.

გ.) ებუ ჰანიფეს შეხედულება შემთხვევისა და ბედისწერის მიმართ.

ებუ ჰანიფეს შეხედულებით ამქვეყნად და საიქიოში ყველაფერი ღმერთის ნების, ცოდნის, შემთხვევისა და ბედისწერის შესაბამისად ხდება. კარგი და ცუდი საქმე, ყველაფერი ბედისწერის წიგნშია დაფიქსირებული. ბედისწერის წიგნი არ არის ზოგადი, იქ ყველაფერი თავისი მიზეზ- შედეგებრიობის პრინციპითაა გადმოცემული. მაგ. დაწერილია, რომ ალი მართლმორწმუნე იქნება, სიკეთის გზით იცხოვრებს და საბოლოოდ სამოთხეში მოხვდება, ხოლო ჰასანი ურწმუნო იქნება, ბოროტების და ცოდვიანი გზით იცხოვრებს და საბოლოოდ ჯოჯოხეთში მოხვდება. ეს არის აღწერა ამ ორი ადამიანის ცხოვრებისა და არ შეიცავს შემდეგნაირ აზრს: "ალი იყოს მორწმუნე და სამოთხეში წავიდეს, ხოლო ხასანი ურწმუნო იყოს და ჯოჯოხეთში წავიდეს". წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ადამიანის ნებაზე ძალდატანება იქნება. ადამიანი თავისი ნებასურვილით იქცევა და შესაბამისად ნამოქმედარზე პასუხისმგებელია.

დ) ბედისწერა შეიცვლება?

ღმერთმა ბედისწერის პროგრამა თავისი დეტალებით ბედისწერის წიგნში აღწერა და მასში ცვლილებების შეტანაც მისი პრეროგატივაა.

يَمْحُوا اللّٰهُ مَا يَشَاءُ وَيُثْبِتُ وَعِنْدَهُ اُمُّ الْكِتَابِ

და ცვლის ალლაჰი და დააკანონებს იმას, ინებებს რასაც. და წიგნის არსი მასთანაა. "რად 13/39. "

ამ აიათის მიხედვით ღმერთი თუ ინებებს წაშლის რაიმეს და მის ადგილას სხვას გააჩენს, ან არ გააუქმებს და იგივეს დატოვებს. სიკვდილი ვისაც მიუახლოვდება ან შეუწყვეტს არსებობას, ან გაუგრძელებს სიცოცხლეს.

აჰმედ იბნ მუბარექს ამ აიათის განმარტება აბდულაზიზ ედ დებაღისთვის უკითხავს. მან კი უპასუხა: "მომავალში მოსახდენი ზოგიერთი მოვლენა, მაგ. გაწვიმება, ვინმეს მოსვლა, რაიმე მოვლენის მოხდენა შეიძლება არ განხორციელდეს, რადგან ღმერთმა ისინი გააუქმა".

ერთხელ წმ. შუამავალი ავარიულ შენობის ქვეშ მიდიოდა და ფეხს აუჩქარა. მხლებლები შეეკითხნენ:

“ღმერთის შუამავალო, გამჩენის შემთხვევას გაურბიხარ? “ –მან კი: “ღმერთის შემთხვევისგან ღმერთის ბედისწერას მივეკედლები! “

იგივე პასუხი გასცა ხალიფა ომარმაც, როდესაც შამში აღარ წავიდა, რადგან იქ საშინელი დაავადების ეპიდემია იყო გავრცელებული.

ცნობილია წმ. ომარის ვედრება:

“ღმერთო, თუ ჩემი სახელი ჯოჯოხეთის მკვიდრთა სიაშია ამოშალე იქიდან და თუ სამოთხის მკვიდრთა სიაშია – განამტკიცე. “

ნაწილი მესამე

მზადება ღვთისმსახურებისათვის.

- სისუფთავე ისლამში
- აბდესი – მცირე განბანვა.
- სხეულის განბანვა
- თეიმუმი
- ქალებისთვის დამახასიათებელი მდგომარეობები.

I – სისუფთავე ისლამში

ა-სისუფთავე

ისლამი სისუფთავეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მოთხოვს სხეულის, ტანსაცმლის, სალოცავი ადგილის და გულის სისუფთავეს. ყურანის, მექაში ყოფნის პერიოდში მოვლენილ აიათებში წერია:

وَثِيَابَكَ فَطَهِّرْ

და შენი სამოსი განიწმინდე, “მუდესსის 74/4,“

يَا بَنِى اٰدَمَ خُذُوا زِينَتَكُمْ عِنْدَ كُلِّ مَسْجِدٍ وكُلُوا وَاشْرَبُوا وَلَا تُسْرِفُوا اِنَّهُ لَا يُحِبُّ الْمُسْرِفِينَ

ჰეი, ადამის შვილნო! აიღეთ თქვენი მორთულობა ყოველ სალოცავთან, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭველად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი. „არაფ 7/31. “

სალოცავი ადგილის სისუფთავე კი იბრაჰიმის სარწმუნოებაშიც მნიშვნელოვანი იყო:

وَاِذْ جَعَلْنَا الْبَيْتَ مَثَابَةً لِلنَّاسِ وَاَمْنًا وَاتَّخِذُوا مِنْ مَقَامِ اِبْرٰهِيمَ مُصَلًّى وَعَهِدْنَا اِلٰى اِبْرٰهِيمَ وَاِسْمٰعِيلَ اَنْ طَهِّرَا بَيْتِىَ لِلطَّائِفِينَ وَالْعَاكِفِينَ وَالرُّكَّعِ السُّجُودِ

და აკი, დავადგინეთ ჩვენ ეს სახლი ხალხის შესაკრებად (მადლის შესაძენად) და უსაფრთხოდ მათთვის: აიღეთ იბრაჰიმის სადგომი სამლოცველოდ! და ჩვენ აღთქმა დავუდეთ იბრაჰიმსა და ისმაილს: განწმინდეთ ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარშემომვლელია, ღვთისმოსავია, რუქუღისა და სეჯდეს შემსრულებელიაო. “ბაყარა 2/125. “

ყურანში სულიერი ჭუჭყის მონანიებით მოცილება და ფიზიკური ჭუჭყის მოცილება ერთადაა ნახსენები და ვინც მათ შეასრულებს ღმერთის სიყვარულს დაიმსახურებს:

وَيَسْـَٔلُونَكَ عَنِ الْمَحِيضِ قُلْ هُوَ اَذًى فَاعْتَزِلُوا النِّسَاءَ فِى الْمَحِيضِ وَلَا تَقْرَبُوهُنَّ حَتّٰى يَطْهُرْنَ فَاِذَا تَطَهَّرْنَ فَاْتُوهُنَّ مِنْ حَيْثُ اَمَرَكُمُ اللّٰهُ اِنَّ اللّٰهَ يُحِبُّ التَّوَّابِينَ وَيُحِبُّ الْمُتَطَهِّرِينَ

ისინი გეკითხებიან ქალთა წესის (მენსტრუაცია) შესახებ. უპასუხე შენ: ეს სატკივარია. განერიდეთ ქალებს მენსტრუაციის დროს და არ გაეკაროთ მათ, სანამ არ განიწმინდებიან. და როცა განიწმინდებიან, მიდით მათთან ისე, როგორც ეს ალლაჰმა დაგიწესათ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები! “ბაყარა 2/222. “

მედინაში მცხოვრები ერთ-ერთი ტომი სისუფთავეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ნახეთ, როგორ აქებს მათ ღმერთი:

لَا تَقُمْ ف يهِ اَبَدًا لَمَسْجِدٌ اُسِّسَ عَلَى التَّقْوٰى مِنْ اَوَّلِ يَوْمٍ اَحَقُّ اَنْ تَقُومَ ف يهِ ف يهِ رِجَالٌ يُحِبُّونَ اَنْ يَتَطَهَّرُوا وَاللّٰهُ يُحِبُّ الْمُطَّهِّر ينَ

და არ დადგე მასში არასდროს. უეჭველად მეჩეთი, რომელიც დაფუძნდა პირველი დღიდან ღვთისმოშიშობაზე, უფრო ღირსია, რომ დადგე მასში. იქ არიან კაცნი, რომლებსაც უყვართ, რომ განიწმინდონ. და ალლაჰს უყვარს განწმენდილები. “თევბე 9/108. “

გარეგან სისუფთავესთან ერთად შინაგან სისუფთავეს და სიწმინდეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან გარეგანად შელამაზებული და სულიერად დაბინძურებული ადამიანი რწმენის ჭეშმარიტებას ვერ ჩაწვდება. ღმერთი ბრძანებს, რომ გადარჩენილების პირველი თვისება სისუფთავეა:

قَدْ اَفْلَحَ مَنْ تَزَكّٰى

وَذَكَرَ اسْمَ رَبِّه فَصَلّٰى

უეჭველად, ნეტარ იქმნა, ვინც განიწმინდა!

და (განწმენდილმა სულმა) სახელი ღმერთისა მისი ახსენა და ლოცვა აღავლინა! “ეღლა 87/14-15. “

წმ. შუამავალიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სისუფთავეს. იგი ბრძანებდა:

“სისუფთავე რწმენის ნახევარია!”, “ღმერთი სუფთაა და სისუფთავე უყვარს.”

-“ლოცვის გასაღები სისუფთავეა!”

წმ. შუამავალი სხეულის და გარემოს სისუფთავეს მოითხოვდა და თავადაც ამ კუთხით ყველასათვის მაგალიათი იყო.

ზემოთ მოყვანილი აიათების და ჰადისების მნიშვნელობა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სხეულის კარგად დაბანა და გარეგნობის მოწესრიგება საკმარისია, საჭიროა შინაგანი, სულიერი მხარის ყოველგვარი ბიწიერებისგან გაწმენდა. ამიტომ ისლამის სწავლულებმა ამის გათვალისწინებით სისუფთავის ოთხი საფეხური გამოყვეს.

ა) სხეულის, ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის გასუფთავება. მცირე განბანვა, სხეულის დაბანა, ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის სისუფთავე, აგრეთვე ფრჩხილების მოწესრიგება, იღლიის ქვეშა და სხვა ადგილებში ზედმეტი ბანალის მოცილება ამ ჯგუფში შედის.

ბ) სხეულის განწმენდა ტყუილის, ჭორის, არამის, ღალატის, მრუშობის და მსგავსი ცოდვებისგან. ეს, ყველა მორწმუნისათვის საყურადღებო სულიერი სისუფთავის ფორმაა.

გ) გულის გარეგანი განწმენდა სხვადასხვა მანკიერი თვისებებისგან; შურის, ბოღმის, თვალთმაქცობის, სიამაყის, მტრობის და ა.შ. ამ ცუდი თვისებების ადგილს თავაზიანობა, მონანიება, მოთმინება, მიმტევებლობა, რიდი, იმედი, სიყვარული და მსგავსი თვისებები დაიკავებენ. ეს კი რწმენის საფეხურია.

დ.) გულის, გამჩენის გარდა ყველაფრისგან გაწმენდა. ღმერთი ბრძანებს:

وَمَا قَدَرُوا اللّٰهَ حَقَّ قَدْرِهٖ اِذْ قَالُوا مَا اَنْزَلَ اللّٰهُ عَلٰى بَشَرٍ مِنْ شَىْءٍ قُلْ مَنْ اَنْزَلَ الْكِتٰبَ الَّذِىْ جَاءَ بِهٖ مُوْسٰى نُوْرًا وَهُدًى لِلنَّاسِ تَجْعَلُوْنَهٗ قَرَاطِيْسَ تُبْدُوْنَهَا وَتُخْفُوْنَ كَثِيْرًا وَعُلِّمْتُمْ مَا لَمْ تَعْلَمُوْٓا اَنْتُمْ وَلَآ اٰبَآؤُكُمْ قُلِ اللّٰهُ ثُمَّ ذَرْهُمْ فِىْ خَوْضِهِمْ يَلْعَبُوْنَ

და არ იცნეს ალლაჰი ჭეშმარიტი შეცნობით, როცა ამბობენ: ალლაჰს არც ერთი კაცისთვის არაფერი მოუვლენიაო. უთხარ შენ: „მაშინ ვინ მოავლინა წიგნი, რომელიც მუსამ სინათლედ და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებლად მოიტანა, თქვენ რომ გრაგნილებად ქმენით, აჩენთ ზოგიერთს და ბევრ რასმე კი მალავთ, და შეისწავლეთ თქვენ, რაც არ იცოდით არც თქვენ და არცა მამებმა თქვენმა?“ თქვი შენ: „ალლაჰმა!“ მერე მიაგდე ეგენი, დაე, გაერთონ თავიანთი ლაყბობით! “ენღამ 6/91. “

აიათში ნაბრძანებია, რომ თუ გულს ღმერთის გარდა ყველაფრისგან გავათავისუფლებთ, გული მხოლოდ ღმერთით იქნება დაკავებული. ეს კი რწმენის ფორმულის, “არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა” გულისმიერი დადასტურებაა. შეუძლებელია ღმერთი და ყველა სხვა დაანარჩენი გულში ერთად მოთავსდნენ, რადგან ღმერთს ადამიანის მკერდში ორი გული არ გაუჩენია.

مَا جَعَلَ اللّٰهُ لِرَجُلٍ مِّنْ قَلْبَيْنِ فِىْ جَوْفِهٖ وَمَا جَعَلَ اَزْوَاجَكُمُ الّٰٓـِٔىْ تُظٰهِرُوْنَ مِنْهُنَّ اُمَّهٰتِكُمْ وَمَا جَعَلَ اَدْعِيَآءَكُمْ اَبْنَآءَكُمْ ذٰلِكُمْ قَوْلُكُمْ بِاَفْوَاهِكُمْ وَاللّٰهُ يَقُوْلُ الْحَقَّ وَهُوَ يَهْدِى السَّبِيْلَ

და არ დაუდგენია ალლაჰს კაცისთვის ორი გული ერთ სხეულში. და არ დაუდგენია თქვენს დედებად თქვენ ცოლთაგან ისინი, ვისაც აკრძალულად აცხადებთ თქვენთვის და არ დაუდგენია თქვენი

შვილობილები თქვენს შვილებად. ეს მხოლოდ სიტყვებია თქვენი პირით წარმოთქმული, რამეთუ ალლაჰი ჭეშმარიტებას ბრძანებს და ჭეშმარიტ გზაზე ადგენს იგი! “აჰზაბ 33/4. “

ეს უკანასკნელი შუამავლებისა და უზომოდ ერთგულთა რწმენის საფეხურია. ასეთი სულიერი და ფიზიკური სიწმინდის შემდეგ გამჩენის წინაშე ლოცვით წამდგარი მორწმუნის ლოცვა ზეამაღლებას ემსგავსება და ადამიანს ყოველგვარი ბოროტების, არამის და სიგლახისგან დაიცავს. ის ადამიანის ირგვლივ სულიერ კედელს აღმართავს და რწმენას ცდუნებებისა და საზოგადოებისგან წამოსული მავნე ზემოქმედებისგან დაიცავს.

გამომდინარე აქედან გასუფთავება სამგვარი შეიძლება იყოს:

ა) სხეულის, ტანსაცმლის და გარემოს ჭუჭყისგან და სიბინძურისგან გასუფთავება.

ბ) განბანვა. ანუ ლოცვისწინა მცირე განბანვა და სქესობრივი კავშირის შემდეგ მთელი სხეულის დაბანა. თუ ესენი შეუძლებელია მათ მაგივრად თეიმუმის გაკეთება.

გ) გულის სიამაყის, თავმომწონეობის, შურის, ღვარძლის და მსგავსი სულიერი სიბინძურისგან გაწმენდა.

ბ.) სისუფთავის აუცილებლობა, ანუ სისუფთავე- როგორც ფარზი.

გარკვეული ღვთისმსახურების შესრულებისათვის სხეულის, ტანსაცმლის და სალოცავი ადგილის დასუფთავება აუცილებელია, ფარზია. ყურანში ნაბრძანებია:

وَثِيَابَكَ فَطَهِّرْ

და შენი სამოსი განიწმინდე, “მუდდესსირ 74/4 .”

وَاِذْ جَعَلْنَا الْبَيْتَ مَثَابَةً لِلنَّاسِ وَاَمْنًا وَاتَّخِذُوا مِنْ مَقَامِ اِبْرٰهٖمَ مُصَلًّى وَعَهِدْنَا اِلٰى اِبْرٰهٖمَ وَاِسْمٰعِيلَ اَنْ طَهِّرَا بَيْتِيَ لِلطَّائِفِينَ وَالْعَاكِفِينَ وَالرُّكَّعِ السُّجُودِ

და აკი, დავადგინეთ ჩვენ ეს სახლი ხალხის შესაკრებად (მადლის შესაძენად) და უსაფრთხოდ მათთვის: აიღეთ იბრაჰიმის სადგომი სამლოცველოდ! და ჩვენ აღთქმა დავუდეთ იბრაჰიმსა და ისმაილს: განწმინდეთ ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარშემომვლელია, ღვთის-

მოსავია, რუქუღისა და სეჯდეს შემსრულებელიაო. ბაყარა 2/125 “

ლოცვის ლოცვა ვისთვისაც ფარზია, მათთვის სულიერი და ფიზიკური სისუფთავეც ფარზია. ამისათვის საჭირო პირობები შემდეგია:

1) მუსლიმანობა. ურწმუნოებისთვის სისუფთავე ფარზი არ არის. ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით რადგან ურწმუნოებს ისლამის რწმენა არ გააჩნიათ სარწმუნოების წესები არ ეხებათ. საიქიოში მხოლოდ ურწმუნოებისთვის მიიღებენ სასჯელს. ურწმუნოს ნალოცი ლოცვი არ მიიღება. აგრეთვე, ისლამიდან გასული ადამიანი თუ ხელმეორედ დაუბრუნდება ისლამს ამ პერიოდში გაცდენილი ლოცვების ანაზღაურებას არ საჭიროებს. მხოლოდ შაფიის მიმდევრები ამბობენ, რომ ამ პერიოდში გაცდენილი ლოცვები უნდა ანაზღაურდეს.

2) ჭკუასრულობა. გონებასუსტ, ჭკუანაკლულ ადამიანებს და გულწასულებს სისუფთავე არ ევალება. მათთვის მოვალეობა გამოჯანმრთელების შემდეგ დაიწყება. მთვრალს სისუფთავის პასუხისმგებლობა არ ეხსნება.

3) ზრდასრულობა. ბავშვებისთვის სისუფთავე ფარზი არ არის. თუმცა შვიდი წლის ასაკიდან ლოცვასთან ერთად სისუფთავეც ევალება. ათი წლის ასაკში თუ ლოცვას და სისუფთავეს მიატოვებს საჭიროა ამ მხრივ მისი აღზრდა.

4) ღვთისმსახურების დროის მოსვლა.

5) ფხიზელი მდგომარეობა, ანუ მორწმუნე მძინარე არ უნდა იყოს.

6) დავიწყების შემთხვევა არ უნდა იყოს.

7) არ უნდა იყოს ძალდატანება.

8) წყალი ან სუფთა მიწა უნდა მოიპოვებოდეს. სისუფთავისთვის მთავარი საშუალება წყალია. თუმცა წყლის არ არსებობის შემთხვევაში ან გამოსადეგად უვარგისი წყლის არსებობის შემთხვევაში სისუფთავის პროცესი სხვა საშუალებებით ტარდება და შესაძლებელია თეუმუმის გამოყენება.

გ) განწმენდის საშუალებები.

ღვთისმსახურების მიზნით, ან ბინძურად მიჩნეული რაიმის გასუფთავების მიზნით, მდგომარეობისდა მიხედვით გასუფთავების სხვადასხვა საშუალებები არსებობს. მაგ. წყლით დაბანა, გარეცხვა, ადუღება, მოწმენდა, ჩამოფხეკა და სხვა. ქვევით გასუფთავების სხვადასხვა საშუალებებზე მოგითხრობთ.

1) წყლით გარეცხვა ან დაბანა.

წყალი სიბინძურისაგან განსაწმენდად და განბანვისათვის მთავარი საშუალებაა. ღმერთი ბრძანებს:

اِذْ يُغَشِّيكُمُ النُّعَاسَ اَمَنَةً مِنْهُ وَيُنَزِّلُ عَلَيْكُمْ مِنَ السَّمَاءِ مَاءً لِيُطَهِّرَكُمْ بِه وَيُذْهِبَ عَنْكُمْ رِجْزَ الشَّيْطَانِ وَلِيَرْبِطَ عَلٰى قُلُوبِكُمْ وَيُثَبِّتَ بِهِ الْاَقْدَامَ

აკი, მან თვლემა მოგგვარათ სიმშვიდედ და მოგივლინათ ზეციდან წყალი, რომ თქვენ განეწმინდეთ ისით და მოგეცილებინათ ეშმაკისეული სიბილწე, რომ მიეჯაჭვა თქვენი გულები და გაგიმაგრა ამით ფეხნი თქვენი. “ენფალ 8/11,

وَهُوَ الَّذ ى اَرْسَلَ الرِّيَاحَ بُشْرًا بَيْنَ يَدَيْ رَحْمَتِه وَاَنْزَلْنَا مِنَ السَّمَاءِ مَاءً طَهُورًا

იგია, რომელიც ქარებს გზავნის მახარობლად თავისი წყალობისა. ჩვენ გარდმოვავლენთ ციდან სუფთა და განწმენდილ წყალს, „ ფურყან 25/48. “

წყალი თავისი თვისებების მიხედვით ხუთ ნაწილად შეიძლება დავყოთ.

ა) სუფთა წყალი, რომელსაც იმავე დროს გამასუფთავებელი თვისებაც გააჩნია. ესენია: წვიმა, თოვლი, მდინარე, ზღვა, ჭა, ნაკადული, წყალსაცავი და მსგავსი.

ებუ უმმამეს გადმოცემით შუამავალს უბრძანებია:

“ წყალი სუფთაა. თუ რაიმე გემოს, ფერს და სუნს არ შეუცვლის დაბინძურებულად არ ითვლება. “

ადამიანის, ცხვრის, თხის, აქლემის, ძროხის მსგავსი შინაური ცხოველების, რომელთა ხორცის ჭამა შეიძლება, ცხენის, ცხენისგან დაბადებული ჯორის, გარეული ცხოველების, რომელთა ხორცი

იჭმება და ფრინველების ნარჩენი წყალი, რომელსაც სიბინძურე არ შერევია სუფთად ითვლება.

ბ) სუფთა და გამასუფთავებელი თვისების წყალი, რომლის გამოყენება "თენზიჰენ" მექრუჰად (ალალთან ახლო მექრუჰად) ითვლება. რაიმე ჭურჭელში ჩასხმული წყალი, რომელსაც კატა, თაგვი, ან მტაცებელი ფრინველი მიეკარება მისი დალევა ან გასასუფთავებლად გამოყენება თენზიჰენ მექრუჰად ითვლება. ჰადისში კატის შესახებ ნაბრძანებია:

გ) "ის არ არის ბინძური, რადგან ის ყოველთვის თქვენს შორისაა. "

მტაცებელი ფრინველების მონარჩენი წყალი სუფთად იმიტომ ითვლება, რომ მათგან დაცვა ძნელია, აგრეთვე მათი ნისკარტი სუფთად ითვლება, თან ამ კუთხით ადამიანთან არიან შედარებული, რადგან ნერწყვს არ ტოვებენ.

მოკლედ, თუ ნორმალური წყალი არ მოიპოვება ასეთი წყლის გამოყენება შეიძლება ლოცვისწინა განბანვის, მთელი სხეულის დაბანის და ნივთიერი სიბინძურის მოსაშორებლად.

დ.) სუფთა, მაგრამ გასასუფთავებლად გამოუსადეგარი წყლები. აბდესთის (მცირე განბანვა) ან გუსულის (სქესობრივი კავშირის შემდეგ მთელი სხეულის დაბანა) შესასრულებლად გამოყენებული წყალი. ასეთ წყალს გამოყენებული წყალი ჰქვია.

საჭმლის ჭამის წინ და შემდეგ სუნნეთით გათვალისწინებული ხელების დასაბანად გამოყენებული წყალი გამოყენებულ წყლად ითვლება. იმამ მუჰამმედის მიხედვით ასეთი წყალი ნივთიერ სიბინძურეს არ შეიცავს და სუფთაა, თუმცა გასასუფთავებლად არ გამოდგება. ნივთიერ სიბინძურის მოსაშორებლად კი გამოდგება. ებუ ჰანიფეს და ებუ იუსუფის აზრით გამოყენებული წყალი ბინძურად ითვლება. სიბინძურე გარეული წყალი სუფთად აღარ ითვლება. აგრეთვე არასუფთაა წყალი რომელშიც ბინძური რამ გარეცხეს.

იმამ მალიქის და შაფიის მიხედვით გამოყენებული წყალი სუფთადაც ითვლება და გამასუფთავებლადაც, თუმცა მისი ხელმეორედ გამოყენება მექრუჰია.

ე.) წყალი, რომელიც არც სუფთაა დ არც გასასუფთავებლად გამოდგება. ასეთია, მცირე რაოდენობის წყალი, რომელშიც რაიმე სიბინძურე ჩავარდა, ან დიდი რაოდენობის წყალი, რომელსაც

სიბინძურისგან ფერი, გემო ან სუნი აქვს შეცვლილი.

თუმცა შეიძლება წყალში იყოს ისეთი სიბინძურე, რასაც გრძნობის ორგანოებით ვერ შევიგრძნობთ. მაგ. ძაღლის, მგლის, ლომის, ღორის და მსგავსი მტაცებელი ცხოველების მონარჩენი წყალი ბინძურად ითვლება, ამ ცხოველების ნერწყვი წყალს შეერევა. ასეთი წყალი არც დასაბანად გამოიყენება და თუ რამე სერიოზული მიზეზი არაა არც – დასალევად. ჰადისში ნაბრძანებია, რომ თუ ჭურჭელს ძაღლი მოლოკავს ის სამჯერ უნდა გაირეცხოს, მათ შორის ერთხელ მიწით.

ვ) აბდესის (ლოცვისწინა მცირე განბანვა) და გუსულის (მთელის სხეულის დაბანა) შესასრულებლად საეჭვო წყალი. ასეთია ვირის, ან ვირისგან ნაშობი ჯორის ნარჩენი წყალი. თუ სუფთა წყალი არ მოიპოვება ამ წყლით აბდესის და გუსულის შესრულება შეიძლება და ამასთანავე სრულდება თეიმუმიც.

ვარდის წყალი, ხილის წვენები, სხვა მსგავსი ტიპის წვენები, აგრეთვე ლობიოს და მსგავსი მცენარეულის ნახარშის წვენები ნორმალური წყლის არყოფნის შემთხვევაში მხოლოდ ტანსაცმლისა სხეულის ჩამოსარეცხად გამოიყენება. ეს შეხედულება ებუ ჰანიფეს და ებუ იუსუფს ეკუთვნით. თუმცა ასეთი წყლებით აბდესის ან განბანვის შესრულება მიუღებელია.

საპონის, მიწის, ჯელეს და სხვა სარეცხი საშუალებების შერევით მიღებული ნარევი მინარევის სიმცირის შემთხვევაში გამასუფთავებელი თვისებისაა.

წყლების ასეთი კლასიფიკაცია მშრალ და უწყლო ადგილებში აქტუალურია.

2) მოშლის გზით გასუფთავება.

დანა, შუშა, სარკე, სხვადასხვა ფაიფურის ჭურჭელი და მსგავსი რამეები მოშლით, მოწმენდით გასუფთავდება. ასეთი ტიპის საგნებზე სველი ან მშრალი სიბინძურე თუ მიეცხო, სველი ტილოთი ან მიწით შეიძლება მისი მოცილება. მაგალითად მსხვერპლის შეწირვის შემდეგ დანა, რომელზეც ცხოველის სისხლი იქნება დარჩენილი სუფთა ტილოთი ან მიწით გაწმენდის შემდეგ სუფთად ითვლება და ლოცვის ლოცვის დროს მისი ჯიბეში ჩადება შეიძლება. საჰაბეები, შუამავლის თანამებრძოლები ომის დროს მტრის სისხლისაგან დასვრილ ხმლებს მიწით წმენდნენ და მათით ლოცულობდნენ.

3) ცეცხლით გასუფთავება.

ცეცხლგამძლე საგნები თუ სისხლით ან რაიმე სიბინძურით დასვრილია შეიძლება ცეცხლში გამოვწვათ და სიბინძურის დაწვის შემდეგ საგანი სუფთად ითვლება.

4) ჩამოფხეკით და მოწმენდით გასუფთავება.

მესზე ან ფეხსაცმელზე, რომლებიც სიბინძურეს არ შეიწოვენ თუ ხილული სიბინძურე მიეცხობა წყლის გარდა ამოფხეკით ან მიწაზე გახახუნებით გაწმენდა შეიძლება. თუ სიბინძურე უხილავია მისი მორეცხვაა საჭირო. რაც შეეხება ტანსაცმელს და სხეულს, სიბინძურის მოსაცილებლად ამოფხეკა ან მიწაზე გახახუნება არ არის საკმარისი.

გაყინულ კარაქში თუ სიბინძურე ჩავარდება სიბინძურის ირგვლივ უნდა ამოვჭრათ და დანარჩენი კარაქი სუფთად ჩაითვლება. მყარი ნივთიერებები, თუ სიბინძურეს არ გაატარებენ გაწმენდის შემდეგ სუფთად ითვლებიან. საქონლის თავს ან ხაშს თუ გაწმენდა-გარეცხვამდე ავადუღებთ სიბინძურე შეგნით შევა და მისი გასუფთავების შანსი აღარ დარჩება. ამის მიხედვით დაკლული გალიის ცხოველების ბუმბულის თუ ბეწვის ადვილად მოსაცლელად ადურებულ წყალში ჩაგდება თენზიჰენ მექრუჰია, რადგან ამ დროს ფრთებზე არსებული სიბინძურე შეიძლება ხორცში წავიდეს.

5) რაიმის აგებულების, თვისების ცვლილებით გასუფთავება.

თუ რაიმე არ ითვლება სუფთად და მისი აგებულება ან თვისება შეიცვალა შეიძლება გასუფთავდეს. მაგ. ღვინის ძმრად გადაქცევა. ბინძური ცხიმით საპნის გაკეთება, მიწაში დამარხული სიბინძურის დროთა განმავლობაში გაქრობა და სხვა.

ამასთან ერთად ბინძური რძიდან ყველის ამოყვანა, ან ბინძური ფქვილისგან პურის გამოცხობა და მსგავსი ცვლილება სისუფთავეს ვერ გამოიწვევენ. ანუ ასეთი ყველიც და პურიც ბინძურად ითვლება, რადგან მათ აგებულებაში თვისობრივი ცვლილება არ მომხდარა.

6) ზოგიერთი მიზეზის გათვალისწინებით გასუფთავება.

მაგალითად, თუ უხილავი სიბინძურე შეეხო ტანსაცმლის რომელიმე ადგილს და ეს ადგილი დაგვავიწყდა რომელი იყო, ამ დროს შესაძლებელია ვარაუდით დადგენილი რომელიმე ნაწილის გარეცხვა და ტანსაცმელი სუფთად ჩაითვლება. თუმცა ტანსაცმლის

მთლიანად გარეცხვა უმჯობესია, მაგრამ პირველი შეხედულება ეხება განსაკუთრებულ სიტუაციას, როცა ადამიანი მგზავრადაა, ან სიცივის საფრთხეა, ან კიდევ ღარიბია და სათადარიგო ტანსაცმელი არ გააჩნია. ამგვარად ტანსაცმლის გასუფთავება გაიოლებულია და ლოცვის თავისი დროით ლოცვას შეუწყობს ხელს.

ვთქვათ მორწმუნემ ნახა ტანსაცმელზე ან სხეულზე სიბინძურე ან სპერმა და ვერ გაიხსენა როდის მიეცხო, სიბინძურის შემთხვევაში ბოლო აბდესის მოშლიდან, ხოლო სპერმის შემთხვევაში ბოლო დაძინების შემდეგ ნალოცი ყველა ლოცვი ხელახლა უნდა ილოცოს. შიგნითა საცვალზე ფართო ადგილზე გაფანტული გამშრალი სისხლის შემთხვევაშიც ასე უნდა მოიქცეს.

7) დაკვლით ან მოთრიმლვით გასუფთავება.

ღორის გარდა ნებისმიერი ცხოველის ტყავი წესების დაცვით დაკვლის შემდეგ სუფთად ითვლება. მოთრიმლვის შემდეგ ასეთ ტყავზე ლოცვა შეიძლება. თუ ამ ცხოველის ხორცი მუსლიმთათვის ალალია ხორციც სუფთად ითვლება.

ღორის გარდა ნებისმიერი მკვდარი ცხოველის ტყავი მოთრიმლვის შემდეგ სუფთად ითვლება.

მოთრიმლვის პროცესი სიბინძურეს აქრობს.

8) ჭის, აუზის და სარდაფის გასუფთავება.

სასმელი და სისუფთავისთვის გამოსადეგი წყლის სისუფთავის და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებების შენარჩუნების შესახებ ისლამში ბევრი რამ დაწერილა. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე დაბინძურებული წყლის გასუფთავების გზებზე.

ჭაში, აუზში ან სწლის საცავში თუ რაიმე სიბინძურე ჩავარდა და შესაძლებელია სიბინძურის მთელ წყალში გავრცელება საჭიროა მთელი წყლის დაცლა და ისე გასუფთავება. ცნობილია წმ. შუამავლის ჰადისი, რომლის მიხედვით შესაძლებელია დაბინძურებული წყლის გასუფთავების შემდეგ დარჩენილი ნაწილის და ჭის შემთხვევაში ახალად გამონადენი წყლის გამოყენება. ერთხელ ვინმე ჰაბეშელი ზემზემის ჭაში ჩავარდნილა და მომკვდარა. აბ-

დულლაჰ იბნ ზუბაეირს ჭის დაცარიელება უბრძანებია, თუმცა ბოლომდე დაცარიელება ვერ მოხერხდა რადგან ჭა ისევ ივსებოდა გამონადენი ახალი წყლით. მაშინ უბრძანა, რომ რაც დააცარიელეს საკმარისი იყო. მსგავს საკითხებში სხვადასხვა საჰაბეების გადაწყვეტილებები მსგავსი იყო. მაგ. ჭის სიდიდისა და წყლის სიმრავლის მიხედვით, აგრეთვე სიბინძურის მასშტაბების გათვალისწინებით 40-დან 70-მდე ვედრო წყლის ამოღება და დაღვრა. ეს მეთოდი წყლის გასუფთავებას ისახავდა მიზნად. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჯერ მიკრობის შესახებ არაფერი იცოდნენ. დღეს კი შესაძლებელია მსგავს სიტუაციაში ლაბორატორიის გამოყენება და წყლის სისუფთავის დადგენა. დღევანდელ პირობებში საჭიროა ხელოვნური წყალსაცავების სისუფთავის განსაკუთრებული დაცვა და გაწმენდის მიზნით ქლორის გამოყენება.

9) დიდი და მცირე ტუალეტის შემდეგი სისუფთავე.

ტუალეტის შემდეგ გასუფთავება მნიშვნელოვანია, როგორც ესთეტიკური სისუფთავისთვის, ისე ღვთისმსახურების შესრულებისთვის. აგრეთვე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის და კულტურის თვალსაზრისით. ისლამის სარწმუნოება, რომელიც მართლაც უნივერსალურია ამ საკითხებს დიდი ყურადღებას აქცევს და საკმაოდ დელიკატურად უდგება.

მცირე ტუალეტის დროს, უნდა დაველოდოთ შარდის ბოლომდე დაცლას და ამ მიზნით შეიძლება ხელისშემწყობი მოძრაობების გაკეთება. თუ შარდის ბოლომდე შეწყვეტას არ დაველოდებით ის ხელს შეგვიშლის ლოცვისწინა მცირე განბანვაში და აგრეთვე შესაძლებელია ტანსაცმელი დაგვიბინძუროს. აქ გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის დაავადებული ადამიანების სახით. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ საფლავის ტანჯვის მიზეზთაგან უმთავრესი შარდის მიშხეფებისგან თავის დაუცველობაა. მცირე ტუალეტის შემდეგ საჭიროა წყლით მობანა. უკეთესი იქნება შემდეგ ტილოთი ან ტუალეტის ქაღალდით შემშრალება.

განავლის შემთხვევაში აუცილებელია გასუფთავება. გასუფთავება შეიძლება წყლით და პატარა ქვებით. ჯერ ქვით და მერე წყლით უფრო უკეთესია. ძვლით, ნახშირით, ტილოთი, ბამბით და ქაღალდით გამოწმენდა მექრუჰია. თუმცა წყლით მობანის შემდეგ ტუალეტის ქაღალდის ან ტილოს გამოყენება ყურანში სისუფთავის გამო შექებული “ქუბას” ხალხის სისუფთავეს გავს.

დ) ტუალეტის წესები

ა) თუ რაიმეზე ღმერთის ან მუჰამმედის სახელი წერია ტუალეტში არ უნდა შევიყოლოთ. ენესი ამბობდა, რომ წმ. შუამავლი ტუალეტში შესვლისას ბეჭედს გარეთ ტოვებდა, რადგან მის ბეჭედზე ეწერა:

“მუჰამმედუნ რასულულლაჰ”.

ბ.) წმ. შუამავალი ტუალეტში შესვლისას და გამოსვლისას სპეციალურ ლოცვებს წარმოთქვამდა:

გ) ტუალეტში ყოფნისას დაუშვებელია ყურანის კითხვა, ლაპარაკი, ან თუ ვინმე მოგესალმება სალამის დაბრუნება.

დ) ღია ადგილას ტუალეტის დროს თვალს უნდა მოვეფაროთ ან რაიმეს მოვეფაროთ, ან გადავიფაროთ.

ე) ღია და დახურულ ადგილას ტუალეტის დროს სახით ან ზურგით ქააბასკენ არ უნდა ვიყოთ შეტრიალებული. ეს მექრუჰად ითვლება. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“ ტუალეტში შესვლისას წინა და უკანა მხარე ქააბას მხარეს არ გქონდეთ, აღმოსავლეთისკენ ან დასავლეთისკენ მიტრიალდით.”

ჰანეფის მიმდევრების გარდა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დახურულ საპირფარეშოში ეს აუცილებელი არაა.

ვ) გზებზე, ხეების ქვეშ ჩრდილში, სადაც ადამიანები შეისვენებენ ხოლმე, მწერების საცხოვრებელ ხვრელებში და მსგავს ადგილებში დიდი ან მცირე ტუალეტის შესრულება მიუღებელია.

ზ) მიმდინარე ან მდორე წყალში ტუალეტის შესრულება მიუღებელია. თუ რაიმე მიზეზი არ არსებობს ფეხზე დამდგარი მოშარდვა მიუღებელია. ეს ყველაფერი მექრუჰია.

თ) ტუალეტის შემდეგ გასუფთავების პროცესი მარცხენა ხელით უნდა შესრულდეს და გარეთ გამოსვლისთანავე ხელები საპნით, ან მსგავსი საშუალებით უნდა დავიბანოთ.

ე) სუფთად მიჩნეულები

ისლამში თითქმის ყველაფერი სუფთადაა მიჩნეული; მთელი დედამიწა, ნივთიერებები, წყალი, ბალახი, ხეები, ყვავილები, ხილი, ღორის გარდა ყველა ცხოველის სხეულის გარეგანი ნაწილები და სხვ. მაგ. ცოცხალი ძაღლის, სპილოს ბანალი სუფთად ითვლება.

წესის გათვალისწინებით დაკლული ცხოველის ტყავი, გულღვიძლი, ელენთა, სისხლი და ხორცის შიგნით დარჩენილი სისხლი სუფთაა. ესევე სუფთად ითვლება პატარა მწერების სისხლიც. მხოლოდ ღორი არ შეიძლება სუფთად ჩაითვალოს, თუნდაც ის რელიგიური წესის მიხედვით იყოს დაკლული.

წყალში მცხოვრები ცხოველები და თევზები სუფთად ითვლებიან. თუნდაც თევზი მოკვდეს წყალში მაინც სუფთაა. ჰანეფის მიხედვით თევზის გარდა ზღვის მკვდარი ცხოველების ჭამა მიუღებელია.

ღორის გარდა სხვა ცხოველების ისეთი ორგანოები, რომლებშიც სისხლი არ მოძრაობდა სიკვდიდლის შემდეგ ბინძურად არ ითვლება. ამიტომ რქები, ფლოქვები, ბეწვი, მოთრიმლული ტყავი და სხვ. სუფთაა. ადამიანის შეჭრილი თმა, ძვლები და კბილებიც სუფთად ითვლება.

სულიერი არსების ცრემლი, ოფლი და მსგავსი გამონადენი სუფთად ითვლება, თუ ამ არსების მონარჩენი წყალიც სუფთად ითვლება. ჯორისა და ვირის ნერწყვი სუფთად ითვლება, ხოლო მტაცებელი ფრინველების და სახლებში მცხოვრები არსებების, თაგვის, გველის, კატის და სხვა ნერწყვი ითვლება მექრუჰად. ღორის, ძაღლის და სხვა ველური მტაცებლების ნერწყვი კი სიბინძურეა. ადამიანის ნერწყვი სუფთად ითვლება, თუმცა ალკოჰოლური სასმელი თუ აქვს ნასვამი პირის გამორეცხვამდე არც ნერწყვი ითვლება სუფთად და არც მონარჩენი წყალი.

მტრედის და ბეღურას მსგავსი ფრინველები, რომელთა ხორცის ჭამა შეიძლება და რომლებიც ჰაერში ყოფნისას გამოყოფენ განავალს, მათი განავალი სიბინძურედ არ ითვლება. მესჯიდი ჰარამში ადამიანები მტრედებს კვებავენ და ეს საქმე ჩვეულებად იქცა. აბდულლაჰ იბნ ომერს ერთხელ მტრედის განავალი დაეცა მხარზე. მან ის მოიწმინდა და ლოცვი ილოცა.

შევარდენი, ბუ და მსგავსი ფრინველები, რომელთა ხორცის ჭამა არ შეიძლება იგივენაირად ჰაერში გამოყოფენ განავალს და ვინაიდან მათი განავლისგან ტანსაცმლისა და ჭურჭლის დაცვა ძნელია ებუ ჰანიფე და ებუ იუსუფი მიიჩნევენ, რომ მათი განავალი სუფთაა.

ცხოველის დაკვლის შემდეგ ძარღვებში დარჩენილი სისხლი სუფთაა. ამიტომ ხორცთან ერთად მისი ჭამა შეიძლება, რადგან ყურანში ღმერთი ბრძანებს, რომ არამი გამონადენი სისხლია.

სახლის კატების და თაგვების განავალი ჭურჭელში მყოფ წყალს ბინძურად აქცევს. ტანსაცმელს თუ ცოტა რაოდენობით მიეკარება, ეს ნაპატიებია, რადგან ასეთი რამისგან თავის დაცვა ძალიან ძნელია.

გზებზე ტალახისგან თავდაცვაც ძნელია, ამიტომ ღვთისგან ესეც ნაპატიებია. ლოცვის ლოცვას ხელს არ შეუშლის. საკმარისია, რომ აშკარა სიბინძურე არ ჩანდეს.

მიცვალებულის სხეული თუ სუფთაა მის დასაბანად გამოყენებული წყალიც სუფთად ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბინძურია. ვინც ტანს დაბანს მისთვის წყალი სიბინძურედ არ ითვლება, რადგან მიშხეფებისგან თავის დაცვა ძალიან ძნელია.

ვ) ნივთიერებები, რომლებიც სუფთად არ ითვლებიან

ნივთიერებები, რომლებიც შარიათით სუფთად არ ითვლებიან, შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ნაწილად; მძიმე და მსუბუქი სიბინძურე. შემდეგში ძირითადად საუბარია ბინძურად მიჩნეული ნივთიერების რაოდენობაზე. მძიმე კატეგორიაში შემავალი ნივთიერებები შეიძლება იყოს მყარი და თუ მისი მასა შადგენს 4 გრამს ლოცვის ლოცვას ხელს შეუშლის. თუ ნივთიერება თხევადია, მაშინ მისმა ლაქამ ტანსაცმელზე ხელის გულზე მეტი ადგილი უნდა მოიცვას, რომ ნამზის ლოცვა არ შეიძლებოდეს. მსუბუქ სიბინძურეს რაც შეეხება, სხეულის ან ტანსაცმლის ერთი მეოთხედ ნაწილზე ნაკლები თუ დასვრილი ლოცვას ხელს არ უშლის.

მძიმე სიბინძურეები:

1) ადამიანის სხეულიდან გამომავალი, ან მისგან მოცილებული რამეები; განავალი, ორგაზმის დროს გამონადენი სპერმა,

მოშარდვის შემდეგ შესაძლო გამონადენი, რომელიც თეთრი შეფერილობისაა, აგრეთვე სასქესო ორგანოდან გამომავალი თეთრი წებოვანი გამონადენი, პირის გავსებამდე ღებინების დროს ამონაღები სითხე, სხეულიდან მოცილებული სხეულის ნაწილები და კანი, ქალებისთვის მენსტრუაციის, აგრეთვე სხვა დროს დამახასიათებელი გამონადენი და სისხლი.

2) იმ ცხოველების განავალი, რომელთა ხორცის ჭამა მიუღებელია, ნერწყვი, ფრინველების გარდა ყველა ცხოველის განავალი და გამონადენი სისხლი

3) შინაური ფრინველებიდან ქათმის, ბატის და იხვის განავალი.

4) მკვდარი ცხოველი, აგრეთვე მათი ტყავი, რომელიც მოთრიმლული არ არის.

მალიქის მიმდინარეობის მიხედვით თავისით, დაკვლის გარეშე მომკვდარი ცხოველის ხორციც, ტყავიც და ძვლებიც ბინძურია, ხოლო ბანალი, მატყლი და ბუმბული სუფთაა. შაფის მიხედვით კი მკვდარი ცხოველის ყველა ორგანო, ბანალის, მატყლის, ბუმბულის და ჩლიქების ჩათვლით სიბინძურეა.

5) ღვინის სმა და გამოყენება არამია, ამიტომ სხეულზე ან ტანსაცმელზე თუ დაგვეღვრება გარეცხვამდე ბინძურად ითვლება. უპირატესობამინიჭებული შეხედულების მიხედვით სხვა ალკოჰოლური სასმელების შემთხვევაშიც იგივე სიტუაციაა.

შაფიის მიმდინარეობის მიხედვით ყველა ალკოჰოლური სასმელი, ბევრიც და ცოტაც ბინძურია.

მსუბუქი სიბინძურეები

1) ცხენის, ჯორის და ვირის შარდი და განავალი. აგრეთვე შინაური ცხოველების შარდი და განავალი, რომელთა ხორცის ჭამა შეიძლება. ესენი იმამ მუჰამმედის და ებუ იუსუფის აზრით მსუბუქი სიბინძურეა. ებუ ჰანიფეს შეხედულებით კი ეს ყველაფერი მძიმე სიბინძურეა.

II- აბდესთი და მასთან დაკავშირებული საკითხები

ა) აბდესთის განმარტება.

სიტყვა აბდესთი სპარსულიდან მომდინარეობს და ორი სიტყვის აბ (წყალი) და დესთ (ხელი) შეერთებითაა მიღებული. აბდესთი როგორც რიტუალი ცალკე ღვთისმსახურებად არ ითვლება, ის ზოგიერთი ღვთისმსახურების შესრულებისათვის საჭირო განბანვის რიტუალია, რომელიც ადამიანს ეხმარება ამ ღვთისმსახურებისგან სულიერი სარგებელი ნახოს. აბდესთი, რომელსაც ჩვენ ლოცვისწინა მცირე განბანვითაც მოვიხსენიებთ სხეულის ზოგიერთი ორგანოს გაკვეული წესების მიხედვით დაბანას, ან წყლის არ არსებობის შემთხვევაში დაბანის იმიტაციას (თეიმუმი) ეწოდება. აბდესთის შესრულებით დღეში რამოდენიმეჯერ ვიბანთ სხეულის ისეთ ორგანოებს, როგორებიცაა ხელები, ფეხები, სახე, პირი, ცხვირი, კბილები. სწორედ ამ ორგანოებზე მოდის გარემოსგან დაბინძურებისა და მიკრობების გავრცელების მეტი შესაძლებლობა. აბდესთი აწესრიგებს ნერვიულ სისტემას და სისხლის მიმოქცევას.

ცნობილია, რომ წმ. შუამავალი აბდესთის გარეშე არცერთ საქმეს არ აკეთებდა. ყურანში ნაბრძანებია, რომ აბდესთი ლოცვის წინა აუცილებელი პირობაა.

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اِذَا قُمْتُمْ اِلَى الصَّلٰوةِ فَاغْسِلُوا وُجُوهَكُمْ وَاَيْدِيَكُمْ اِلَى الْمَرَافِقِ وَامْسَحُوا بِرُؤُسِكُمْ وَاَرْجُلَكُمْ اِلَى الْكَعْبَيْنِ وَاِنْ كُنْتُمْ جُنُبًا فَاطَّهَّرُوا وَاِنْ كُنْتُمْ مَرْضٰى اَوْ عَلٰى سَفَرٍ اَوْ جَاءَ اَحَدٌ مِنْكُمْ مِنَ الْغَائِطِ اَوْ لٰمَسْتُمُ النِّسَاءَ فَلَمْ تَجِدُوا مَاءً فَتَيَمَّمُوا صَعِيدًا طَيِّبًا فَامْسَحُوا بِوُجُوهِكُمْ وَاَيْد يكُمْ مِنْهُ مَا يُر يدُ اللّٰه ُ لِيَجْعَلَ عَلَيْكُمْ مِنْ حَرَجٍ وَلٰكِنْ يُر يدُ لِيُطَهِّرَكُمْ وَلِيُتِمَّ نِعْمَتَهُ عَلَيْكُمْ لَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა წამოდგებით სალოცავად, დაიბანეთ სახენი და ხელები იდაყვების ჩათვლით, თავი შეიწმინდეთ და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით. და თუ ხართ უსუფთური, განიბანეთ. და თუ ავად ხართ ან მოგზაურობთ; ან თუ რომელიმე თქვენთაგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. ალლაჰს არ სურს რაიმე სიძნელე დაგიწესოს თქვენ, მაგრამ უნდა, რომ განგწმინდოთ თქვენ და სრულქმნას წყალობა მისი თქვენდა, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ! “მაიდე 5/6 “

ეს აიათი მედინაშია მოვლენილი. ლოცვი ჰიჯრიდან ერთნახევარი წლით ადრე, მექაში, მირაჯის ღამეს გახდა ფარზი. აბდესთი

თავიდან სრულდებოდა როგორც მენდუბი. მედინაში გადასვლის შემდეგ კი ლოცვის წინ აბდესთის რიტუალის შესრულება ფარზია.

აბდესთი შეიძლება იყოს, როგორც ფარზი, ისე ვაჯიბი და მენდუბი. ლოცვის ლოცვისას, ქააბას ირგვლივ ტავაფის შესრულებისას, ყურანის ზოგიერთი აიათის წაკითხვისას, ან გაგონებისას საჭირო სეჯდეს შესრულებისას და ყურანზე შეხებისას აბდესთი ფარზია. თუმცა ჰანეფის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ქააბას ტავაფის დროს აბდესთი ვაჯიბია. დაწოლის წინ, ყველა ლოცვის ლოცვის წინ და ეზნის (მუეძინის მიერ მორწმუნეთა ლოცვისთვის მოპატიჯება) წაკითხვის წინ აბდესთი მენდუბია.

წმ. შუამავალი ხშირად აჩვენებდა მორწმუნეებს აბდესთის აღების რიტუალს. ის აგრეთვე მიუთითებდა, რომ აბდესთის გარეშე ნალოცი ლოცვი ღმერთის წინაშე მიუღებელია. ზრდასრული და გონებასრული მუსლიმისათვის, რომელსაც წყლის გამოყენების ძალა შესწევს საჭირო დროს აბდესთის რიტუალის შესრულება აუცილებელია.

აბდესთით, ანუ ლოცვისწინა მცირე განბანვით, როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური სარგებელის ნახვა შეიძლება. ღვთის შუამავალი ბრძანებდა:

“ვინც, ისე აიღებს აბდესთს, როგორც ნაბრძანებია და ილოცავს წარსული ცოდვები ეპატიება”.

“ვინც აბდესთს აიღებს და სახეს დაიბანს სახის ორგანოების მიერ ჩადენილი ცოდვები ეპატიება, ხელებს და ფეხებს, როცა დაიბანს მათით ჩადენილი ცოდვები წყლის წვეთებს წაჰყვება თან და ცოდვებისგან გათავისუფლდება.”

ბ) აბდესთის ფარზები

აბდესთის ოთხი ფარზი ზემოთ მოყვანილ აიათშია მოცემული. ახლა წარმოგიდგენთ მათ მოკლე განმარტებებს.

1) სახის დაბანა.

სახის ერთხელ დაბანა აუცილებელია. სახე მოიცავს თმის ძირებიდან დაწყებული, წვერის, ან ყბის ქვეშ და ყურის ძირებამდე ადგილს. სახის დაბანის დროს საჭიროა წყალმა წვერის, ულვაშის

და წარბების ქვეშ შეაღწიოს.

2) მკლავების დაბანა

ორივე მკლავის იდაყვების ჩათვლით ერთხელ დაბანა აუცილებელია. თუ მორწმუნეს თითზე ვიწრო ბეჭედი უკეთია, რომლის ქვეშაც წყლის შეღწევა საეჭვოა, მკლავების დაბანის დროს მორწმუნემ ბეჭდის ქვეშ წყლის შეღწევა უნდა უზრუნველყოს.

3) თავზე “მესჰი”-ს გაკეთება, ანუ ხელის მოსმა.

აბდესთის აღების დროს თავის ერთი მეოთხედი ნაწილის სველი ხელით, ან სუფთა, სხვაგან გამოუყენებელი სველი ტილოთი შეხება ფარზია. უმჯობესია თავის წინა ნაწილის “მესჰი”.

იმამ შაფის აზრით მესჰის გაკეთება ერთ ღერ თმაზეც შეიძლება. მალიქის, ჰანბელის და ზაჰირის აზრით კი მთლიანი თავის მესჰი აუცილებელია. ამავდროულად ჰანბელის მიმდევრები ამბობენ, რომ მანდილოსნისთვის თავის წინა ნაწილის მესჰიც საკმარისია.

4) ფეხების დაბანა

ფეხების დაბანა, ქუსლების ჩათვლით აუცილებელია, ფარზია.

ჰანეფის მიმდინარეობის გარდა, სხვადასხვა მიმდინარეობებმა აბდესთის სხვა ფარზების არსებობის მტკიცება სცადეს. მაგ. ჰანეფის გარდა ყველა მიმდინარეობა აღიარებს, რომ აბდესთის დროს ნიეთი (განზრახულობა, მიზანი) ფარზია.

აბდესთის შესახებ აიათში თავის მესჰის შემდეგ ფეხების ხსენება სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდა. მაგ. ჯაფერიეს განშტოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აბდესთის დროს ფეხებზე ხელი მოსმა საკმარისია.

გ) აბდესის სუნნეთები.

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით სუნნეთსა და მენდუბს შორის არსებობს განსხვავება. სუნნეთი, რომელიც შუამავალს რეგულარულად შეუსრულებია მუექქედ- ძლიერ სუნნეთად ითვლება. წმ. შუამავალი ფარზისა და ვაჯიბის გარდა ზოგირთ რიტუალს რეგულარულად ასრულებდა, მაგრამ იშვიათად გამოტოვებდა ხოლმე, რათა ეჩვენებინა ხალხისთვის, რომ ეს არ იყო ფარზი და ვაჯიბი. მაგ. აბდესთის აღების დროს პირში და ცხვირში წყლის მიწოდება,

დილის ლოცვის დროს, ფარზამდე ორი მუხლი ლოცვის ლოცვა და მსგავსი. ამ ტიპის სუნნეთს ვინც შეასრულებს მადლია. ვინც არ შეასრულებს სასჯელს არ იმსახურებს, მაგრამ შენიშვნას და საქციელის დაგმობას იმსახურებს. გარდა ამისა არსებობს სუნნეთები, რომლების სარწმუნოების სიმბოლოდ არიან ქცეული. მაგ. ეზანი და ლოცვის კოლექტიურად ლოცვა. მიზანმიმართულად, შეთანხმებით მათი უგულებელყოფა სუნნეთის მიერ უპატივცემულობად ითვლება და ისლამურ საზოგადოებაში მსგავსი შემთხვევების საწინააღმდეგოდ ღონისძიებების გატარება აუცილებელია.

არსებობს სხვა რიტუალები, რომლებსაც შუამავალი ხანდახან ასრულებდა. ესენია "ღაირი მუექქიდ" სუნნეთები. აგრეთვე შეიძლება ვუწოდოთ მენდუბი ან მუსთეჰაბი. მაგ. სამხრობის (იქინდი) დროის და ღამის (იათსი) ლოცვის დროს ფარზის წინ სალოცავი ოთხი მუხლი ლოცვი, ზექათის (შეძლებული მორწმუნისათვის სავალდებულო მოწყალება) გარდა ღარიბებზე მოწყალების გაცემა. ვინც ამ კატეგორიის სუნნეთს შეასრულებს მადლია, მაგრამ შეუსრულებლობის შემთხვევაში სასჯელს, ან გაკიცხვას არ იმსახურებს.

აბდესთის სუნნეთები შემდეგია:

1) ნიეთი – განზრახვა, მიზანი. აბდესთის მიზანი, განზრახვა განბანილი ლოცვის ლოცვა და გამჩენის ბრძანების შესრულებაა. შეიძლება სიტყვიერად წარმოთქმა, -" განვიზრახე გამჩენის კმაყოფილებისათვის განვიბანო". ეს მუსთეჰაბია. ჰანეფის მიმდინარეობის გარდა ისლამის სამართალმცოდნეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აბდესთის აღების დროს (ნიეთი) განზრახულობა ფარზია.

ჰანეფის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მცირე განბანვის დროს ნიეთი (განზრახვა) ფარზი არ არის, რადგან აბდესთის შესახებ მოვლენილ აიათებში და წმ. შუამავლის ნაბრძანებ ჰადისებში ნიეთზე არ არის საუბარი. გარდა ამისა, ლოცვის ზოგიერთი სხვა პირობის შესრულების დროს, როგორიცაა სიბინძურისგან განწმენდა განზრახვა არ არის ნახსენები და აბდესთი მათთანაა შედარებული. სხვა მიმდინარეობები აბდესთს ლოცვასა და თეიმუმს ადარებენ, რადგან როგორც ლოცვის, ისე თეიმუმის დროს განზრახვა, ანუ ნიეთი აუცილებელია. გარდა ამისა, ღვთისმსახურების სრულყოფა და ის, რომ განბანვა ლოცვის ლოცვისთვისაა ნაბრძანები მათთვის ცალკე მტკიცებულებაა.

განზრახვა ხელების, ან სახის დაბანის დროს შეიძლება.

2) განბანვის "ეღუზუ ბესმელე"- თი (ღმერთის სახელით) დაწყება.

ებუ საიდის და ებუ ჰურაირას გადმოცემით შუამავალი ბრძანებდა:

"ვინც ღმერთის სახელს არ ახსენებს მისთვის აბდესთი არ არსებობს!" - არსებობს სხვა ჰადისიც:

"ვინც განბანვის დროს ღმერთს ახსენებს მთელი სხეულით განიწმინდება, ხოლო ვინც განბანვის დროს ღმერთის სახელს არ ახსენებს ის ორგანოები გაუსუფთავდება, რომლებსაც დაიბანს! "

2) ხელების მაჯებამდე დაბანა.

თუ ხელები სუფთა არ არის მათი თავდაპირველად დაბანა აუცილებელია, რადგან სხეულის სხვა ორგანოები არ დავაბინძუროთ.

3) პირისა და ცხვირის სამჯერ წყლით გამობანა.

პირში წყლის მიწოდებას და გამორეცხვას "მაზმაზა", ხოლო ცხვირში წყლის მიწოდებას და გამორეცხვას "ისთინშაქ"-ი ეწოდება. პირისა და ცხვირის გამორეცხვისას საჭიროა თანმიმდევრობის დაცვა და მარჯვენა ხელის გამოყენება. ჰადისში ნაბრძანებია:

" ვინც განბანვისთვის მოემზადება, პირსა და ცხვირს გამოიბანს, უეჭველია, რომ პირით და ცხვირით ჩადენილი ცოდვები წყალთან ერთად დაიღვრება! "

4) კბილების გაწმენდა.

წმ. შუამავლის დროს კბილებს მისვაქით იწმენდნენ. მისვაქი არაქის ხის ტოტისგან მზადდება. ის შეიძლება იყოს ოციოდე სანტიმეტრის სიგრძის და ერთი სანტიმეტრი დიამეტრის. ის კარგად წმენდს კბილებს, აქრობს არასასიამოვნო სულს პირში და ხელს უწყობს კუჭის მუშაობას. დამტკიცებულია, რომ მის შემადგენლობაში შედის ისეთი ნივთიერება, რომელიც ღრძილებს ამაგრებს და აჯანსაღებს. თუ მისვაქი ვერ ვიშოვეთ საჭიროა სხვა საშუალებებით გავიწმინდოთ კბილები.

წმ. შუამავალი ბევრჯერ მოუწოდებდა თავის მიმდევრებს გამოეყენებინათ მისვაქი.

მისვაქი მარტო განბანვის და ლოცვის დროს არ გამოიყენება. მისი გამოყენება სხვა დროსაც შეიძლება და წმ. შუამავლის მიერ რეკომენდირებულია. მისვაქის გამოყენება რამაზნის მარხვას არ

უშლის ხელს.

5) თანმიმდევრობის დაცვა

აბდესთის აღების დროს საჭიროა აიათში მოცემული თანმიმდევრობის დაცვა; ჯერ სახის დაბანა, შემდეგ- მკლავების, შემდეგ-თავის ერთი მეოთხედი ნაწილის სველი ხელით შეხება და ბოლოს ფეხების დაბანა. თუ მორწმუნეს ფეხზე "მესჰი" (ტყავის ჩასაცმელი, რომელსაც ფეხსაცმლის შიგნით იცვამენ) აცვია შეუძლია გარედან მოუსვას სველი ხელი. თუ მორწმუნე ამ თანმიმდევრობას არ დაიცავს მაინც განბანილად ჩაითვლება, მაგრამ სუნნეთის უგულებელყოფას ექნება ადგილი.

შაფიის და ჰანბელის მიმდევრების აზრით აბდესთის დროს თანმიმდევრობის დაცვა ფარზია.

6) წყვილი ორგანოების დაბანისას პირველად მარჯვენათი დაწყება.

ამის მიხედვით მკლავების დაბანისას ჯერ მარჯვენა მკლავი უნდა დავიბანოთ, შემდეგ –მარცხენა. იგივენაირად ფეხებიც. ჰადისებში მოცემულია, რომ შუამავალს ფეხსაცმლის ჩაცმისას, თმების დავარცხნისას, დაბანისას მარჯვენათი დაწყება უყვარდა. ამრიგად მარჯვენათი დაწყება ყველა საქმეში სუნნეთია.

7) მცირე განბანვის დროს დასაბანი ორგანოების სამჯერ დაბანა.

სამჯერ დაბანის შემთხვევაში ერთხელ დაბანა ფარზია, ხოლო დანარჩენი ორი-სუნნეთი. სამზე მეტჯერ, ან ნაკლებჯერ დაბანა სუნნეთს ეწინააღმდეგება. თუმცა გარკვეული მიზეზი თუ არსებობს, მაგალითად წყლის სიმცირე, ან რაოდენობის დავიწყება მაშინ დასაშვებია.

როდესაც შუამავალი თავის მეგობრებს აბდესთის რიტუალს ასწავლიდა აუხსნა, რომ ორგანოების ერთხელ დაბანით ლოცვი ალლაჰისთვის მისაღები გახდება, ორჯერ დაბანით-მადლი ორმაგდება, ხოლო სამჯერ დაბანით კი ჩემი და ჩემამდე არსებული შუამავლების აბდესთი სრულდებაო.

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აბდესთის დროს თავის ერთი მეოთხედ ნაწილზე სველი ხელის ერთხელ მოსმა საკმარისია, რადგან ჰადისებში ნახსენებია სხვა ორგანოების

ორჯერ ან სამჯერ დაბანა, ხოლო თავის "მესჰი"-ს გაკეთება ერთხელაა მითითებული. მხოლოდ შაფიის მიმდევრები თვლიან, რომ აბდესთის დროს თავზე სველი ხელის სამჯერ მოსმა სუნნეთია.

8) განბანვის დროს ხელების და ფეხების დაბანისას თითების წვერებიდან დაწყება.

9) თითებს შორის ადგილების დაბანა.

განბანვის დროს როგორც ხელების, ისე ფეხების თითებს შორის ადგილების დასაბანად ხელის თითები უნდა გამოვიყენოთ და თითებს შორის მოსმის შედეგად მშრალი ადგილი არ უნდა დარჩეს. იგივე შედეგი ექნება თუ თითებს წყალში ჩავყოფთ.

10) წვერის შიგნით წყლის შეღწევა.

აბდესთის აღების დროს ხშირი წვერი ვისაც აქვს საჭიროა წვერს შიგნით წყლის შეშვება უზრუნველყოს.

11) მთლიანი თავის მესჰი- (ხელის მოსმა)

ამ დროს მორწმუნე, თავის წინა ნაწილიდან კეფამდე ორივე სველი ხელით უკან გადაისვამს. ეს სუნნეთია.

12) ყურების მესჰი

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აბდესთის დროს ყურების, შიგნიდან და გარედან, ახალი წყლის გამოყენებით ხელის მოსმა სუნნეთია. მტკიცებულებას აბდულლაჰ იბნ ზეიდის გადმოცემული ჰადისი წარმოადგენს:

"მან დაინახა შუამავალი აბდესთის აღებისას, რომელმაც თავზე სველი ხელის მოსმის შემდეგ ყურებზე ხელის მოსმისათვის ახალი წყალი აიღო."

ჰანბელის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ეს ვაჯიბია, თუმცა სწავლულთა უმრავლესობა ამ მოსაზრებას სუსტად მიიჩნევს.

13) განბანვის დროს ორგანოების დაყოვნების გარეშე დაბანა.

მცირე განბანვის დროს ერთი ორგანოს დაბანის შემდეგ, სანამ გაშრებოდეს მეორე ორგანოს დაბანა. ძლიერი სიცხის გამო შეიძლება სხეულის ორგანო სწრაფად გაშრეს, ეს შემთხვევა აბდესს ხელს არ უშლის. ზოგიერთი სწავლული მიიჩნევს, რომ ამ სუნნეთის

მიზანია აბდესთის აღების დროს სხვა საქმეებით დაკავებისაგან თავის შეკავება. ჰანეფის და შაფიის მიმდევრები განბანვის დროს დაყოვნების გარეშე ორგანოების დაბანას სუნნეთად მიიჩნევენ, ხოლო მალიქის და ჰანბელის მიმდევრები კი – ფარზად.

14) კისერზე ხელების ჩამოსმა

თავზე და ყურებზე სველი ხელის მოსმის შემდეგ ხელის ზურგებს და სამ-სამ თითს კისერზე ჩამოვისვამთ. ამ დროს აუცილებელი არაა ახალი წყლის აღება. ზოგიერთ წყაროებში ეს რიტუალი არა სუნნეთის, არამედ მუსთეჰაბის, ან მენდუბის კატეგორიაში განიხილება.

დ.) აბდესთის წესები

ამ კატეგორიაში შედის ისეთი ქცევები, რომელიც შუამავალს მხოლოდ რამოდენიმეჯერ შეუსრულებია. მისი შესრულების შემთხვევაში მორწმუნეს მადლი ეწერება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში ცოდვას, სასჯელს, ან გაკიცხვას არ იმსახურებს. ასეთი ქცევები მენდუბის კატეგორიაში შედის.

აბდესთის მენდუბის კატეგორიაში შემავალი წესები შემდეგია:

1) განბანვის დროს ქააბასკენ მიტრიალება. ქააბა ყველაზე მადლიან მიმართულებად ითვლება და მისკენ მიტრიალებულ მდგომარეობაში ვედრების შესრულება იმედია, რომ გამჩენის წინაშე უფრო მიღებული იქნება. შაფიის და ჰენბელის მიმდევრები სუნნეთსა და მენდუბს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ, ამიტომ ლოცვისწინა მცირე განბანვის დროს ქააბასკენ შეტრიალებას სუნნეთად მიიჩნევენ.

2) ლოცვის ლოცვის დროის მოსვლამდე განბანვა და ლოცვისთვის წინასწარ მზადყოფნა. ვისაც ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვთ მათ არ ეხებათ.

3) განბანვის დროს მაღლა დაჯდომა. ამ მდგომარეობით წყლის წვეთების მიშხეფებას ავიცილებთ.

4) თუ აუცილებელი არაა, აბდესთის აღებისას სხვებისგან დახმარება არ უნდა მოვითხოვოთ. თუმცა, სხვისი მხრიდან დახმარების სურვილი თუ გამოითქვა ეს ამ წესს არ ეწინააღმდეგება.

ცნობილია, რომ მგზავრობის დროს მუღირე იბნ შუბე აბდესთის აღების დროს წმ. შუამავალს წყალს უსხამდა.

5) აბდესთის აღების დროს თუ რაიმე სერიოზული მიზეზი არაა ლაპარაკისგან თავის შეკავება. ლაპარაკი ყურადღებას ფანტავს.

6) აბდესთის დროს თითზე გაკეთებული ბეჭედის ამოძრავება, რათა წყალმა ბეჭდის ქვეშ შეაღწიოს.

7) განბანვის დროს პირში და ცხვირში წყლის მარჯვენა ხელით მიწოდება, ხოლო ცხვირის მარცხენა ხელით მოწმენდა.

8) ყურის შიგნითა ნაწილის სველი ნეკა თითით გამოწმენდა.

9) აბდესთის დროს კისერზე სველი ხელების მოსმა. ჰანეფის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ კისრის "მესჰი" მენდუბია. ამის შესახებ ჰადისი ტალჰა იბნ მუტარრიფს გადმოუცია, რომელმაც მამისგან გაიგონა, იმან კი თავის მხრივ ბაბუასგან მოისმინა. ამდენად ეს ჰადისი სუსტ ჰადისადაა მიჩნეული. ისლამის სწავლულთა უმეტესობა კი ამ რიტუალს მექრუჰად მიიჩნევს.

10) სახის დაბანისას მის უკიდურეს ნაწილებამდე წყლის მიწვდენა და თვალების სველი თითებით მოსრესა. აგრეთვე იდაყვებისა და კოჭების ზევით წყლის მიწვდენა.

11) ორგანოების დასაბანად საკმარისი წყლის აღება. მდინარის ან ზღვის პირას განბანვის დროსაც ზედმეტი წყლის გამოყენება მექრუჰია.

12) განბანვის შემდეგ შაჰადას და ვედრების წარმოთქმა.

13) აბდესთის შემდეგ ქააბასკენ დგომით მონარჩენი წყლის დალევა. ამ დროს შემდეგი ვედრება სრულდება:

"ღმერთო, ყოველი ცოდვის შემდეგ მომნანიებელ და ცოდვათაგან განწმენდილ მონად მაქციე."

14) აბდესთის აღების შემდეგ ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ "ყადირ"-ის სურას წაკითხვა.

15) აბდესთის შემდეგ თუ აკრძალული (ქაჰარეთ) დრო არ არის ორი მუხლი დამატებითი (ნაფილე) ლოცვის ლოცვა.

ლოცვისწინა მცირე განბანვის (აბდესთი) სუნნეთების და ზემოთ ჩამოთვლილი წესების საწინააღმდეგო ქმედება მექრუჰად ითვლება. შესაბამისად ან "თენზიჰენ", ან "თაჰრიმენ"მექრუჰად.

ე) აბდესთის ლოცვები

მცირე განბანვის დროს, ორგანოების დაბანისას წასაკითხი ლოცვები, როგორც იმამი ნეევევი მიუთითებს ჰადისებს არ ეყრდნობა. ყველა ორგანოს დაბანისას შესაბამისი ლოცვის წაკითხვა ოდითგანვე მიღებულად ჩათვლილა და ისლამურ საზოგადოებაში დადგენილია როგორც ლამაზი საქციელი. ეს ლოცვები რომც არ წაიკითხოს მორწმუნემ განბანვა შესრულებულად ითვლება

ვ) განბანვის სახეები

განბანვა აუცილებლობის ხარისხის მიხედვით სამად იყოფა:

1) აუცილებელი (ფარზი) განბანვა

მცირე განბანვა ორ შემთხვევაში შეიძლება იყოს აუცილებელი:

ა) ლოცვის ლოცვის წინ თუ მორწმუნე არ არის განბანილი მისთვის განბანვა აუცილებელია. ეს ეხება ნებისმიერ ლოცვას. ეს დამტკიცებულია მაიდეს სურას 5/6 -ე აიათით და წმ. შუამავლის ჰადისით: "ნაბრძანები მაქვს ლოცვის ლოცვის წინ განვიბანო."

ბ) ყურანზე ხელით შეხებისას მცირე განბანვა აუცილებელია. იგივე ვრცელდება იმ შემთხვევაშიც თუ რომელიმე აიათი წერია ქაღალდზე, ტყავზე, ფულზე ან რაიმეზე. ეს მტკიცდება ვაყიას სურას 56/79-ე აიათით და წმ. შუამავლის ჰადისით.

2) აბდესთი, როგორც ვაჯიბი

ქააბას ტავაფის დროს აბდესთის აღება ვაჯიბია. ეს ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვითაა. სწავლულთა უმრავლესობა ამას ფარზად მიიჩნევს. მათი მტკიცებულება შემდეგია: "ქააბაში ტავაფი იგივე ლოცვია, განსხვავება ისაა, რომ ტავაფის დროს ლაპარაკი შეიძლება. ვინც ამ დროს ილაპარაკებს მხოლოდ სიკეთიანი რამ თქვას! " ჰანეფის მიმდევრები კი ტავაფს ნამდვილ ლოცვად არ აღიქვამენ, ამიტომ თვლიან რომ მისი შესრულებისათვის მცირე განბანვა არ არის აუცილებელი.

3) აბდესი, როგორც მენდუბი.

ამ კატეგორიაში შედის სისტემატიურად განბანილობა, აგრეთვე ზეპირად ყურანის კითხვისას, ეზნის კითხვისას, ყამეთის დროს, სარწმუნოების შესახებ დაწერილი წიგნების კითხვისას, მიცვალებულის განბანვის დროს, სიბრაზის მოსაცილებლად და სხვა მსგავს შემთხვევებში ასაღები აბდესთი. ამგვარი განზრახულობით განბანვის დროს შეიძლება ლოცვის ლოცვა და ყურანის კითხვა.

ამასთანავე, განბანილი ადამიანი თუ ხელმეორედ აიღებს აბდესთს წყლის ზედმეტ ხარჯვაში ჩაეთვლება და მექრუჰია.

ზ) აბდესთის მექრუჰები

1) განბანვის დროს საკმარისზე მეტი წყლის გამოყენება მექრუჰია. ცნობილია, რომ წმ. შუამავალმა საადი გააფრთხილა, რომელიც განბანვის დროს ზედმეტ წყალს ხარჯავდა და უთხრა, რომ მდინარის პირასაც რომ ყოფილიყო მაინც არ გამოეყენებინა ზედმეტი წყალი.

2) სახეზე ან სხვა ორგანოებზე წყლის შესხმა და ისე დაბანა. ასეთ შემთხვევაში წყალი ტანსაცმელზე ეშხეფება და ეს კი აბდესთის წესის საწინააღმდეგოა.

3) განბანვის დროს უმიზეზოდ ლაპარაკი.

4) განბანვის დროს თუ აუცილებელი არაა სხვისგან დახმარების მოთხოვნა.

5) ბინძურ ადგილზე აბდესთის აღება.

6) მარხვის დროს პირში და ცხვირში ზედმეტი წყლის მიწოდება. ამ შემთხვევაში მარხვის გატეხვის საფრთხეა.

თ) აბდესთის მომშლელი ფაქტორები.

1) სხეულიდან შარდის, განავლის, სასქესო ორგანოებიდან სპერმის და სხვა მსგავსი სითხის გამოყოფა.

2) სწორ ნაწლავში დაგროვილი გაზების გაშვება. თუ მორწმუნე დარწმუნებული არაა სუნის და ხმის არარსებობის შემთხვევაში აბდესთი მოშლილად არ ითვლება.

3) სხეულის ნებისმიერი ნაწილიდან სისხლის ან ჩირქის ან მსგავსი

სითხის გამოდენა. პირში გამონადენი სისხლი თუ ნერწყვის ტოლია ან მეტი აბდესთი მოშლილად ითვლება. სხეულიდან გამომავალი სისხლი თუ არ გადმოდინდა, ან ჭრილობის ირგვლივ არ გავრცელდა აბდესთი მოშლილად არ ითვლება. იგივე ეხება ჭრილობიდან გამომავალ ჩირქს და მსგავს სითხეს. ამ სითხის ხელით ან ტილოთი მოწმენდა მიღებულია.

შაფიის და მალიქის მიხედვით საშარდე და განავლის გზების გარდა სხეულის სხვა ორგანოებიდან გამომავალი სისხლი და სითხე აბდესთს ხელს არ უშლის.

ჰანეფის მიხედვით სხეულიდან გამონადენი სისხლი აბდესთს შლის. ეს დებულება შემდეგ ჰადისს ეყრდნობა:

“ყოველი სისხლის გამოდენისას საჭიროა მცირე განბანვა.”

ან კიდევ:

“ვისაც ლოცვის ლოცვისას აღებინებს ან ცხვირიდან სისხლი წამოუვა ლოცვიდან გავიდეს და აბდესთი აიღოს, შემდეგ კი თუ არ დაილაპარაკებს მობრუნდეს და ლოცვი შეწყვეტილ ადგილიდან გააგრძელოს! “

– “ერთი ორი სისხლის წვეთის გამო, თუ სისხლი არ მოდის აბდესთი არ იშლება”.

შაფიის და მალიქის მიხედვით კი სხეულიდან გამომავალი სისხლი აბდესთს არ შლის. მათი მტკიცებულება ენესის გადმოცემული შემდეგი ჰადისია: “წმ. შუამავალმა სისხლი ააღებინა და შემდეგ აბდესთის აუღებლად ილოცა. მან მხოლოდ გამონაღები სისხლის ადგილი მოიბანა”

გარდა ამისა არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც შუამავალი და მისი თანამებრძოლები ლაშქრობისას ლოცვას ლოცულობდნენ, ერთ მლოცველს ისარი მოხვედრია, მას ლოცვი არ შეუწყვეტია და ბოლომდე დაუსრულებია. შუამავალს კი არაფერი უთქვამს.”

4) პირის გავსებამდე ღებინება.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ ღებინება აბდესთს შლის!“ თუ ამონაღები მასა იმდენია, რომ პირს გაავსებს აბდესთი მოშლილია. მნიშვნელობა არ აქვს საჭმელი იქნება, წყალი, შედედებული სისხლი

თუ სხვა სითხე. ნახველი ნერწყვის, ან ფურთხის გატეგორიაში გადის, ამიტომ საიადანაც უნდა მოდიოდეს აბდესთს ხელს არ უშლის.

შაფიის და მალიქის მიხედვით ღებინება აბდესთის მოშლას არ იწვევს.

5) ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც გონებას კარგავს ადამიანი. მაგ. გულის წასვლა, გათიშვა, ჭკუიდან შეშლა, აგრეთვე ძილი, სიმთვრალე და მსგავსი.

დაწოლის ან დაჩოქოლ მდგომარეობაში დაძინება აბდესთს შლის. აგრეთვე რაიმეზე მიყრდნობილი ადამიანი თუ იმდენად ჩათვლემს, რომ საყრდენის გაწევა მის წაქცევას გამოიწვევს აბდესთი იშლება.

ძილის დროს შეგრძნებები და მეხსიერება წყდება. თუ ადამიანი ისეთ მდგომარეობაში დაიძინებს, რომლის დროსაც შესაძლებელია აბდესთის მომშლელი ფაქტორებიდან ერთი განხორციელდეს. მაგ. სწორ ნაწლავში დაგროვილი გაზების გაშვება, აბდესთი იშლება. ძილის დროს აბდესთის მომშლელი ძირითადი ფაქტორი ესაა.

ამიტომ ლოცვის დროს ფეხზე მდგარი, ან სეჯდეზე დაჩოქილი მლოცველი თუ ჩათვლემს აბდესთი არ ეშლება. იგივე ვრცელდება ლოცვის გარეშე ჩვეულებრივ სიტუაციაში მსგავს მდგომარეობაში ჩათვლემის შემთხვევაშიც.

6) სქესობრივი კავშირი, ზედმეტად მგრძნობიარე შეხება.

უეჭველია, რომ სქესობრივი კავშირი აბდესთს შლის. ჰანეფის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ქალის შიშველ სხეულზე შემთხვევით ხელით შეხება აბდესთს არ შლის. თუმცა იმ შემთხვევაში თუ ორივე სქესის წარმომადგენლები თხელი ტანსაცმლით შემოსილები მუცლით ან სასქესო ორგანოებით ერთმანეთს შეეხებიან ორივეს აბდესთი მოშლილია. ამ შემთხვევაში სასქესო ორგანოებიდან სითხის გამოყოფა აუცილებელი არაა. იმამ მუჰამმედის თვალსაზრისით კი ამ მდგომარეობაში თუ ორგანოებიდან მცირედი სითხე არ წამოვიდა აბდესთი არ იშლება.

ამ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც მიიჩნევა, რომ ქალზე შეხება აბდესთს ხელს არ უშლის, შემდეგ მტკიცებულებას ეყრდნობა; ყურანში ნაბრძანებია თუ ვის ეხება მცირე და მთელი სხეულის განბანვა, სადაც საუბარია “ქალთან შეხებაზე”. იბნ აბბასის მიხედვით აიათში ნახსენები სიტყვა “შეხება” გადატანითი მნიშვნელობითაა ნახსენები და სქესობრივ კავშირს გულისხმობს.

ჰანეფის მიმდევრებს ეს შეხედულება აქვთ გაზიარებული. შაფიის მიხედვით კი აქ საუბარია ხელით ან სხეულით შეხებაზე, ამიტომ მათი თვალსაზრისით მამაკაცი ახლო ნათესავებს გარდა უცხო ქალს, ან საკუთარ ცოლს თუ ხელით, ან სხეულით შეეხება და სხეულებს შორის არ იქნება რაიმე ბარიერი ორივეს აბდესთი იშლება. თუმცა ამ დროს არ გაითვალისწინება ქალის თმები, კბილები და ფრჩხილები. მალიქისა და ჰენბელის მიმდევრები ქალზე შეხებას "ვნების აღძვრამდე" აბდესთისთვის უსაფრთხოდ მიიჩნევენ.

ჰანეფის მიმდევრები ამ საკითხში შემდეგ ჰადისებს ეყრდნობიან, რომელიც წმ. აიშამ გადმოგვცა: " წმ. შუამავალი მეუღლეს აკოცებდა და აბდესის აღების გარეშე ლოცულობდა." "მე როდესაც მის წინაშე ვიწექი წმ. შუამავალი ლოცვას ლოცულობდა. ვითირ ლოცვის ლოცვის დაწყებისას კი ფეხით შემეხებოდა." წმ. აიაშას გადმოცემულ ამ ჰადისების მიხედვით ქალზე შეხება აბდესს არ შლის.

7) ლოცვის ლოცვისას გაცინება, რომლიც გაგონებას გვერდით მდგომი შეძლებს. ჰადისში ნაბრძანებია: "თქვენს შორის ვინც ლოცვის დროს ხმამაღლა გაიცინებს, წავიდეს და აბდესთიც, ლოცვიც თავიდან შეასრულოს." ლოცვის გარდა სხვა დროს ხმამაღალი სიცილი აბდესთს არ შლის.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობის იმამების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ლოცვის დროს ხმამაღალი სიცილი მხოლოდ ლოცვას შლის.

8) მესჰის გამოყენების შემთხვევაში ჩვეულებრივ მდგომარეობაში ერთი დღის გასვლა, ხოლო მგზავრის შემთხვევაში სამი დღის გასვლა ან ამ მითითებულ დრომდე მესჰის გახდა.

9) სპეციფიკური დაავადებით დაავადებული ადამიანის აღებული აბდესთით ლოცვის დროის გასვლა.

10) თეიმუმით სარგებლობის შემთხვევაში წყლის ნახვა.

ეს ბოლო სამი ფაქტორი დამატებით განხილვას საჭიროებს, რომლესაც შემდეგ შემოგთავაზებთ.

ჰანეფის მიმდინარეობის გარდა დანარჩენი სამი მიმდინარეობა თვლის, რომ ადამიანის მიერ საკუთარ სასქესო ორგანოზე შეხება აბდესთს შლის.

მალიქის მიმდინარეობის გარდა დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით აბდესთიანი, ანუ განბანილი ადამიანი თუ შეეჭვდა მოეშალა თუ არა მას აბდესთი, აბდესთიანად ითვლება.

ზემოთ მითითებული ფაქტორების, რაოდენობის და საზომების გათვალისწინებით, ამათზე უფრო ნაკლები მიზეზის შემცველი სხვა მდგომარეობა აბდესთს არ შლის. მაგ. ტირილი, ცრემლი, ფურთხის და ნახველის შემადგენლობაში შერეული ცოტა რაოდენობით სისხლი, მცირე რაოდენობის ღებინება, ვაშლის ან მსგავსი ხილის მოკბეჩის შემთხვევაში ღრძილებიდან გამონადენი სისხლი, რომელიც მცირე რაოდენობისაა და არ უნდა მოედინებოდეს, იგივე ვრცელდება კბილების გამოხეხვის შემთხვევაშიც. კოღოს ან მსგავსი მწერის მიერ გამოწოვილი სისხლი, ლოცვის ლოცვის დროს ჩუმი გაცინება, ან მცირე ჩათვლემა, ფრჩხილების მოჭრა, წვერის გაპარსვა და სხვა.

.ი) მესთი- მისი მნიშვნელობა. მტკიცებულებები.

მესთი არის ტყავის ან მსგავსი მასალისგან შეკერილი ფეხსამოსი. აბდესთის აღების დროს მესთის გარედან ხელის მოსმა ფეხის დაბანად ითვლება. ეს მორწმუნეთათვის რიტუალების შესრულების გაიოლებას ისახავს მიზნად. ამ რიტუალს ისლამის ტერმინოლოგიით მესჰი ეწოდება.

მესთის შესახებ მტკიცე ჰადისები არსებობს. მაგ. წმ. ალი ამბობდა: “მე დავინახე შუამავალმა მესთების ზედა ნაწილზე მოუსვა ხელი.” ან კიდევ, მუღირე იბნ შუბე გადმოგვცემს: “წმ. შუამავალს ვახლდი. აბდესთი აიღო. მე დავაპირე მესთები გამეხადა მისთვის, მაგრამ მან მიბრძანა თავი შემეკავებინა. მე ისინი განბანილ მდგომარეობაში ჩავიცვიო- ბრძანა.”

როგორც წმ. შუამავალმა გვასწავლა, თუ მორწმუნე განბანილ მდგომარეობაში ჩაიცვამს მესთს შეუძლია მოგზაურობის დროს სამი დღე-ღამის განმავლობაში აბდესთის აღებისას ფეხი არ გაიხადოს და მხოლოდ სველი ხელი მოისვას, თუ მგზავრად არ ითვლება, მაშინ ერთი დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია განბანვის დროს არ გაიხადოს ფეხზე. მხოლოდ სქესობრივი კავშირის შემდეგ სავალდებულო განბანვის დროს ნაბრძანებია მათი გახდა.

მესჰის შესასრულებლად აუცილებელია მესთის ზედა ნაწილზე, ყველაზე პატარა სამი თითის ტოლა ადგილზე სველი ხელით შეხება. ეს არის მესჰის ფარზი, რომელიც ჰანეფის მიმდინარეობის

მიხედვითაა.

მალიქის მიმდინარეობის მიხედვით აუცილებელია მესთის ზედა ნაწილზე მთლიანად მესჰის გაკეთება, ჰანბელის მიმდინარეობის მიხედვით კი მესთის ზედა ნაწილის ნახევარზე მეტის მესჰია საჭირო, ხოლო შაფიის მიხედვით მესჰის ზედა ნაწილის ერთი თითის ტოლა ადგილის მესჰიც საკმარისად ითვლება.

მესჰი სუნნეთის მიხედვით შემდეგნაირად სრულდება; სველი ხელი ზედა მხარეს უნდა დავადოთ ფეხის თითებზე და ზევით ამოვუსვათ. მუღირე იბნ შუბე გადმოგვცემს: "წმ. შუამავალმა მესთებზე მესჰი გააკეთა. მარჯვენა ხელი მარჯვენა მესთზე, ხოლო მარცხენა ხელი მარცხენა მესთზე დაიდო და მხოლოდ ერთხელ ამოუსვა ზევით."

გარდა ამისა შეიძლება მესთი გაიწმინდოს სველი ტილოთი, დავასხათ წყალი, თუმცა ეს სუნნეთის შესაბამისი ქცევა არ იქნება. მესთების ქვედა ნაწილის მესჰი არ შეიძლება.

2) მესჰის შესრულების პირობები

ა) მესთები განბანილზე უნდა იყოს ჩაცმული.

ბ) მესთებს ფეხის ის ნაწილი მაინც უნდა ქონდეთ დაფარული, რომლის დაბანაც აბდესთის აღებისას ფარზია.

გ.) მესთის გამძლეობა. მესთები იმდენად გამძლე მასალისგან უნდა იყოს დამზადებული, რომ მინიმუმ 6 კმ. გზის გავლა შეიძლებოდეს.

დ..) მესთები არ უნდა იყოს გაცვეთილი

ე) მესთები უნდა იყოს იმდენად სქელი მასალისგან დამზადებული, რომ შესაკრავის გარეშე ფეხზე ჩერდებოდეს. მალიქის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობის სწავლულების უმრავლესობას მიაჩნიათ, რომ ტყავის, სქელი ქეჩის, ან ტილოსგან დამზადებულ მესთებზე მესჰის გაკეთება მიღებულია. თუმცა ჰანეფის და შაფიის მიმდინარეობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მესთი წყალს სწრაფად და ადვილად არ უნდა ატარებდეს. მალიქის სწავლულებს მიაჩნიათ რომ მესთი ტყავისგან უნდა იყოს შეკერილი.

ვ) საჭიროა მესთი წყალს შიგნით არ უშვებდეს.

საბოლოოდ, ნორმალური მესთის გარდა სხვა ფეხსამოსი, რომელიც ამ პირობებს აკმაყოფილებს იგივე მესთად ითვლება და

მასზე მესჰის გაკეთება შეიძლება.

3) წინდებზე მესჰის გაკეთება მიღებულია?

ებუ ჰანიფე თვლიდა, რომ ტყავგადაკრული ან სპეციალურ ძირიანი წინდები მესთად ითვლება და მათზე მესჰი მისაღებია. მტკიცებულება შემდეგი ჰადისია: “ წმ. შუამავალმა აბდესთი აიღო და წინდებზე მესჰი გააკეთა”

ებუ იუსუფი და იმამი მუჰამმედი მიიჩნევდნენ, რომ სქელი, გამძლე, არაგამჭვირვალე ქეჩის ან მატყლის წინდებზე მესჰის გაკეთება შეიძლება. თუ წინდა სქელია შეიძლება გზაზე სიარულს გაუძლოს. თხელი წინდები, რომლებიც ამ თვისებებს არ ატარებენ მესთად არ ჩაითვლებიან და მათზე მესჰი არ შეიძლება. აგრეთვე ცნობილია, რომ ებუ ჰანიფე ავადმყოფიბის ბოლო დღეებში ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის მოსაზრებისკენ გადაიხარა და ამ საკითხში მათი შეხედულებისამებრ მიხედვით იქცეოდა.

გარდა ამისა ჰანეფის მიმდევრების გარდა, ბევრი სწავლული მიიჩნევს, რომ წინდებზე მესჰის გაკეთება მიღებულია და ზემოთ მოყვანილი პირობებს არ აღიარებს.

4) მესთებზე მესჰის გაკეთების დრო და ხანგრძლივობა.

ისლამის სამართალმცოდნეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მცხოვრებელისათვის მესჰის ხანგრძლივობა 24 საათია. რაც შეეხება მგზავრს, მისთვის მესჰის დრო სამი დღეღამე ანუ 72 საათია. ეს დრო იწყება, როდესაც მორწმუნე მცირე განბანვას შეასრულებს, მესთებს ჩაიცვამს და ამის შემდეგ პირველად მოეშლება აბდესთი. მაგ. მორწმუნემ საათის პირველზე აიღო აბდესთი, დაიბანა ფეხები და ჩაიცვა მესთები, შემდეგ საათის 3-ზე მოეშალა აბდესთი, აი ამ დროიდან, ანუ 3 საათიდან 24 საათის განმავლობაში შეუძლია აბდესთის აღებისას მესთებზე მესჰი გაიკეთოს. მგზავრის შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ ეს დრო 72 საათია.

თუ მუდმივი მაცხოვრებელი მგზავრად წავა, მგზავრის დროს გამოიყენებს, ან პირიქით, თუ მგზავრი სახლში დაბრუნდება მესჰის დრო დამთავრებულად ითვლება და აუცილებლად ფეხები უნდა დაიბანოს.

მესთის მატარებელი, განბანილი ადამიანი თუ მესთს გაიძრობს, მხოლოდ ფეხის დაბანა ევალება. მთლიანად აბდესთის ახლიდან

აღება არ არის საჭირო. თუმცა მორწმუნე, რომელიც ფეხებს დაიბანს, მესთებს ჩაიცვამს და აბდესთის მოშლამდე რაღაც მიზეზით მესთს გაიხდის ფეხების დაბანა არ ევალება, რადგან მას აბდესთი არ მოუშლია.

მალიქის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ მესჰის ხანგრძლივობა შეუზღუდავია. თუმცა მათ მტკიცებულებებს, მტკიცე ჰადისები ეწინააღმდეგება, სადაც ნათქვამია, რომ მესჰის ხანგრძლივობა ადგილობრივისთვის 24 საათით, ხოლო მგზავრისთვის 72 საათით განისაზღვრება.

5) მესჰის მომშლელი ფაქტორები

1. აბდესთის მომშლელი ფაქტორები მესჰსაც შლის და ახალ აღებულ აბდესთთან ერთად საჭიროა მესთებზე ან შეხვეულზე მესჰის გაკეთება.

2. სქესობრივი კავშირი, ან მსგავსი სიტუაცია, როდესაც ადამიანი "ჯუნუბ"-ად ითვლება და აუცილებლად მთელი სხეული უნდა დაიბანოს. აგრეთვე მანდილოსნების შემთხვევაში მენსტრუაცია, მშობიარობა და ყველა ის შემთხვევა, როდესაც ტანის დაბანა აუცილებელია.

3. მესჰის დროს მესთის გახდა. თუ მორწმუნე ამ დროს აბდესთიანია, მხოლოდ ფეხებს დაიბანს.

4. მესჰის დროის გასვლა. დროის გასვლის შემდეგ ახალ აბდესთთან ერთად საჭიროა ფეხების დაბანა და მესთების ჩაცმა. თუ იმდენად ცივა, რომ ფეხის გახდა მოყინვას გამოიწვევს შესაძლებელია მესჰის დროის გახანგრძლივება.

კ) შეხვეულზე მესჰის გაკეთება

რაიმე ჭრილობის ან სხვა მიზეზით შეხვეული ორგანო, რომლის დაბანა აუცილებელია, როგორც მცირე განბანვისას ისე მთელი სხეულის დაბანისას, თუ მისი წყლით დასველება ჯანმრთელობისთვის საზიანოა შიეძლება ნახვევის შეუხსნელად გარედან მესჰის გაკეთება. ამ ქმედებით შეხვეული ორგანო განბანილად ითვლება. უფრო მეტიც, მესჰის შესრულებაც თუ ჯანმრთელობას რაიმე ზიანს მიაყენებს შეიძლება მესჰიც აღარ გავაკეთოთ.

შეხვეულზე მესჰის გაკეთება სუნნეთითაა დამტკიცებული. წმ. ალის გადმოგვცემს:

“მაჯა მქონდა ნაღრძობი, წმ. შუამავალს ვკითხე, მან კი ბრძანა შეხვეულზე მესჰი გაიკეთეო.”

ჯებირი გადმოცემით ერთი კაცი თავში ყოფილა დაჭრილი და ტანი დაუბანია. ამის შემდეგ გარდაცვლილა. მის შესახებ კი შუამავალს უბრძანებია, თავი რომ შეეხვია და ზედ მესჰი გაეკეთებინა საკმარისი იყოო.

ისლამში ყოველ სიძნელეს თავისი გაიოლება ახლავს. ცნობილია, რომ ჭრილობის შეხსნამ შეიძლება ჭრილობაში მიკრობის მოხვედრა გამოიწვიოს, ამიტომ მესჰის გაკეთება დაშვებულია. ზოგჯერ შეიძლება მესჰის დროსაც მოხვდეს ჭრილობაში მიკრობი, ასეთ დროს მესჰის გაკეთებაც არაა აუცილებელი.

უმეტეს შეხვეულზე ერთხელ მესჰი საკმარისია. მთლიან სახვევზე ხელის მოსმა, განმეორებით მესჰი, ან “ნიეთი” –განზრახვა არაა საჭირო. შეიძლება ჭრილობის გარშემო ადგილების მესჰის ადგილად ჩავთვალოთ, რადგან ჭრილობასთან ძალიან მიახლოებამ შეიძლება გართულებები გამოიწვიოს.

სახვევის განბანილზე გაკეთება აუცილებელი არაა. სახვევი თუნდ განბანილზე და თუნდაც განუბანელზე რომ იყოს შეხვეული მასზე მესჰის გაკეთება შეიძლება.

შეხვეულზე მესჰის დრო არ არის განსაზღვრული. ის შეიძლება გამოჯანმრთელებამდე გაგრძელდეს.

თუ შეხვეულზე მესჰია გაკეთებული და ის გამოცვალეს ან გარედან ახალი სახვევი დაადეს ახლიდან მესჰი საჭირო აღარაა. გამოჯანმრთელებამდე სახვევი რომ გაიხსნას თავიდან მესჰის გაკეთება არც მაშინაა საჭირო. თუ სახვევი ჭრილობის მორჩენის შემდეგ მოძვრა მესჰის საჭიროება აღარ იქნება. უფრო მეტიც, ასეთი სახვევი ლოცვის ლოცვისას თუ მოძვრა და ჭრილობა ჯანმრთელია, მორწმუნემ ნორმალური აბდესთი უნდა აიღოს და თავიდან ილოცოს.

თუ ერთი ფეხია დაზიანებული და შეხვეულია, მასზე მესჰი გაკეთდება, მეორე ფეხის დაბანა კი აუცილებელია.

შეხვეულიზე მესჰის დროს აბდესთის მოშლისას მესჰიც იშლება. ამის შესახებ აზრთა თანხვედრა არსებობს.

ლ) სპეციფიკური დაავადების მქონეთა აბდესთი

ცხვირიდან ხშირი სისხლდენა, შარდის შეუკავებლობა, ხშირი ღებინება, ჭრილობიდან ხშირი სისხლდენა, სქესობრივი ორგანოებიდან ხშირი გამონადენი და მსგავსი აბდესთის მომშლელი მოვლენები მორწმუნეს ხელს უშლის აბდესთის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებაში.

ისლამში თითოეული ღვთისმსახურებისთვის კონკრეტული დროა დაწესებული. ყოველი ღვთისმსახურება თავის დროზე უნდა შესრულდეს. ეს მორწმუნეთათვის მოვალეობაა. ისლამი ადამიანებისგან ისეთ რამეს არ მოითხოვს, რაც მათ ძალებს აღემატება. ყველა სიძნელესთან ერთად ცნობილია მათი გაიოლების გზა.

თუ დავადებული ადამიანის პრობლემა დასაწყისისათვის ლოცვის სალოცავად განკუთვნილ დროში აბდესთის აღების და ლოცვისათვის საჭირო დროით არ წყდება და შემდეგ თითოეული ლოცვისთვის განკუთვნილ დროში ერთხელ მაინც განმეორდება ეს ადამიანი სპეციფიკურად დაავადებულად, მიზეზიანად ითვლება და შეუძლია ისარგებლოს გაიოლებული წესებით. თუ პრობლემა, რომელიც დაავადებულ ადამიანს აბდესთის შენახვაში ხელს უშლის ერთი რომელიმე ლოცვის სალოცავად და განკუთვნილ დროის განმავლობაში ერთხელაც არ დაფიქსირდა ეს ადამიანი მიზეზიანად აღარ ითვლება და ნორმალურ წესებს უნდა დაექვემდებაროს. მაგ. თუ მორწმუნეს ცხვირიდან სისხლდენა აქვს და ეს პროცესი შუადღის ლოცვის ლოცვისათვის განკუთვნილი დროის განმავლობაში, ანუ სამხრობის ლოცვის დრომდე აბდესთის აღების და ლოცვის ლოცვისათვის საკმარისი დროით არ წყდება, ხოლო შემდეგ ლოცვებისთვის განკუთვნილი დროის განმავლობაში ერთხელ მაინც განმეორდება ეს ადამიანი მიზეზიანია.

მიზეზიან ადამიანს შეუძლია ყოველი ფარზი ლოცვისთვის აბდესთი აიღოს და მისი პრობლემა აბდესთის მომშლელ ფაქტორად არ ჩათვალოს. ასეთი აბდესთით ლოცვის ლოცვისათვის განკუთვნილი დროის განმავლობაში თუ აბდესთის მომშლელი სხვა ფაქტორი არ დაფიქსირდა მორწმუნეს შეუძლია ნებისმიერი სახის ლოცვის ლოცვა; ფარზი, ვაჯიბი, სუნნეთი, ჯუმა, ბაირამი და სხვა. აგრეთვე შეუძლია ქააბაში ტავაფის შესრულება და ყურანის ხელში აღება. ლოცვის დროის გასვლისთანავე მიზეზიანის აბდესთი იშლება.

თუ მიზეზიანი მორწმუნე დილის ლოცვის ლოცვისათვის აბდესთს აიღებს, ლოცვის დროის გასვლისთანავე, ანუ მზის ამოსვლისთანავე აბდესთი იშლება. ამ აბდესთით სხვა ლოცვის ლოცვა არ შეიძლება. თუმცა მიზეზიან ადამიანს თუ დროებით შეწყვეტილი

აქვს პრობლემა და ამ დროს აიღებს აბდესთს და ლოცვის დროის გასვლამდე არც კონკრეტული პრობლემა და არც აბდესთის მომშლელი სხვა ფაქტორი არ დაფიქსირდება ლოცვის დროის გასვლა აბდესთს აღარ შლის.

თუ მიზეზიანი მორწმუნე მზის ამოსვლის შემდეგ აბდესთს აიღებს და შუადღის ლოცვის სალოცავად განკუთვნილი დროის გასვლამდე აბდესთის მომშლელი სხვა მიზეზი არ დაფიქსირდა სასურველ ლოცვას ილოცავს, რადგან შუადღის ლოცვის დროის მოსვლა აბდესთს არ შლის. იგივენაირად არ იშლება აბდესთი ბაირამის ლოცვის დროის გასვლის დროსაც, რადგან ეს არ არის ფარზი ლოცვის დრო.

მიზეზიანის აბდესთი ებუ ჰანიფეს მიხედვით ლოცვის დროის გასვლისთანავე მთავრდება, ხოლო ებუ იუსუფის აზრით მიზეზიანის აბდესთი მთავრდება, როგორც ლოცვის დროის გასვლისთანავე, ისე ლოცვის დროის მოსვლისას. ლოცვის დროის მოსვლა მხოლოდ შუადღის ლოცვას ეხება.

იმამ შაფიის მიხედვით მიზეზიანმა მორწმუნემ ყოველი ლოცვისთვის ახალი აბდესთი უნდა აიღოს. მისი აბდესთი ლოცვის ლოცვისთანავე მთავრდება.

მიზეზიანი მორწმუნე თუ პრობლემისგან განთავისუფლდება და ჩვეულებრივ აბდესთის მომშლელი რომელიმე მიზეზის გამო აბდესთს აიღებს, ხოლო შემდეგ მისი მიზეზი ისევ იჩენს თავს აბდესთი ეშლება და თავიდან უნდა აიღოს, რადგან მის მიერ აღებული აბდესთი მიზეზის, პრობლემის დროს არ იყო აღებული. თუმცა ერთი ლოცვის ლოცვისათვის განკუთვნილ დროის განმავლობაში აღებული აბდესთი, ამ დროის გასვლამდე ადრინდელი მიზეზის გამეორების შემთხვევაში აბდესთი აღარ იშლება, რადგან ეს აბდესთი მიზეზის გამო აღებულადაც ითვლება.

მიზეზიანი ადამიანი თუ თავის პრობლემას შეხვევით, ან სხვა გზით მოაგვარებს და ისე ილოცავს მიზეზიანად აღარ ჩაითვლება და ჩვეულებრივ წესებს დაექვემდებარება.

მიზეზიანი მორწმუნის ტანსაცმელზე მიცხებული სისხლი, გამონადენი და სხვა, რაც მისი მიზეზიანობის მიზეზია ლოცვას არ უშლის ხელს, თუნდაც რაოდენობა ჩვეულებრივ სიტუაციაში დადგენილ ნორმებს აღემატებოდეს, მაგრამ თუ ძირითადი პრობლემა შეწყდება, მაგ. სისხლდენა, მაშინ ლაქის მორეცხვა აუცილებელია.

მოკლედ, ისლამი მორწმუნეს ყოველთვის უიოლებს ღვთისმსახურებას და სიძნელეების წინაშე გამოსავალს სთავაზობს. მესჰი, თეიმუმი და მიზეზიანი ადამიანის აბდესთის და ლოცვის შეღავათები ამის მაგალითებია.

III- სხეულის დაბანა (ღუსულ)

1) ზოგადი ცნობები და მტკიცებულებები.

ლექსიკონში ღუსულ, ანუ ღესლ წყლით დაბანას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი ეს არის მთელი სხეულის სუფთა წყლით განბანვა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევებში რელიგიური დოგმატიკით აუცილებელია. ჩვენ აბდესთს მცირე განბანვით მოვიხსენიებდით, ხოლო ღუსულს, ანუ მთელი სხეულის სუფთა წყლით დაბანას დიდი განბანვით მოვიხსენიებთ.

ყურანში დიდი განბანვის შესახებ სამი აიათია მოცემული. ამათგან პირველი ეხება სქესობრივი აქტის შემდეგ აუცილებელ განბანვას:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اِذَا قُمْتُمْ اِلَى الصَّلٰوةِ فَاغْسِلُوا وُجُوهَكُمْ وَاَيْدِيَكُمْ اِلَى الْمَرَافِقِ وَامْسَحُوا بِرُؤُسِكُمْ وَاَرْجُلَكُمْ اِلَى الْكَعْبَيْنِ وَاِنْ كُنْتُمْ جُنُبًا فَاطَّهَّرُوا وَاِنْ كُنْتُمْ مَرْضٰى اَوْ عَلٰى سَفَرٍ اَوْ جَاءَ اَحَدٌ مِنْكُمْ مِنَ الْغَائِطِ اَوْ لٰمَسْتُمُ النِّسَاءَ فَلَمْ تَجِدُوا مَاءً فَتَيَمَّمُوا صَعِيدًا طَيِّبًا فَامْسَحُوا بِوُجُوهِكُمْ وَاَيْد يكُمْ مِنْهُ مَا يُر يدُ اللّٰهُ لِيَجْعَلَ عَلَيْكُمْ مِنْ حَرَجٍ وَلٰكِنْ يُر يدُ لِيُطَهِّرَكُمْ وَلِيُتِمَّ نِعْمَتَهُ عَلَيْكُمْ لَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა წამოდგებით სალოცავად, დაიბანეთ სახენი და ხელები იდაყვების ჩათვლით, თავი შეიწმინდეთ და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით. და თუ ხართ უსუფთური, განიბანეთ. და თუ ავად ხართ ან მოგზაურობთ; ან თუ რომელიმე თქვენთაგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. ალლაჰს არ სურს რაიმე სიძნელე დაგიწესოს თქვენ, მაგრამ უნდა, რომ განგწმინდოთ თქვენ და სრულქმნას წყალობა მისი თქვენდა, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ! “მაიდე 5/6 “

მენსტრუაციის დროს მანდილოსნებს შემდეგი აიათი აფრთხილებს:

وَيَسْـَٔلُونَكَ عَنِ الْمَح يضِ قُلْ هُوَ اَذًى فَاعْتَزِلُوا النِّسَاءَ فِى الْمَح يضِ وَلَا تَقْرَبُوهُنَّ حَتّٰى يَطْهُرْنَ فَاِذَا تَطَهَّرْنَ فَاْتُوهُنَّ مِنْ حَيْثُ اَمَرَكُمُ اللّٰهُ اِنَّ اللّٰهَ يُحِبُّ التَّوَّاب ينَ وَيُحِبُّ الْمُتَطَهِّر ينَ

„ისინი გეკითხებიან ქალთა წესის (მენსტრუაცია) შესახებ. უპასუხე შენ: ეს სატკივარია. განერიდეთ ქალებს მენსტრუაციის დროს და არ გაეკაროთ მათ, სანამ არ განიწმინდებიან. და როცა განიწმინდებიან, მიდით მათთან ისე, როგორც ეს ალლაჰმა დაგიწესათ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები“! “ბაყარა 2/222. “

სხვა აიათში კი ნაბრძანებია, რომ ადამიანი, რომელიც დიდ განბანვას საჭიროებს ლოცვას არ უნდა მიუახლოვდეს:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا لَا تَقْرَبُوا الصَّلٰوةَ وَاَنْتُمْ سُكَارٰى حَتّٰى تَعْلَمُوا مَا تَقُولُونَ وَلَا جُنُبًا اِلَّا عَابِر ى سَب يلٍ حَتّٰى تَغْتَسِلُوا وَاِنْ كُنْتُمْ مَرْضٰٓى اَوْ عَلٰى سَفَرٍ اَوْ جَاءَ اَحَدٌ مِنْكُمْ مِنَ الْغَائِطِ اَوْ لٰمَسْتُمُ النِّسَاءَ فَلَمْ تَجِدُوا مَاءً فَتَيَمَّمُوا صَع يدًا طَيِّبًا فَامْسَحُوا بِوُجُوهِكُمْ وَاَيْد يكُمْ اِنَّ اللّٰه كَانَ عَفُوًّا غَفُورًا

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მიუახლოვდეთ ლოცვას, როცა ხართ მთვრალნი, სანამ არ გააცნობიერებთ რას ამბობთ; და არც როცა უსუფთური, გზაში მყოფთა გარდა, სანამ არ განიბანებით წესისამებრ. თუ ავად ხართ, ან მოგზაურობთ, ან თუ რომელიმე თქვენგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. უეჭველად, ალლაჰი შემნდობელია, შემწყნარებელია! “ნისა 4/43. “

ადამიანი სქესობრივი აქტის შემდეგ, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, რომელთა შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ, მანდილოსნები მენსტრუაციის შემდეგ ვალდებუნი არიან დიდი განბანვის წესების დაცვით მთელი სხეული დაიბანონ. ამის შესახებ ბევრი ჰადისი არსებობს:

“მეზის შემთხვევაში აბდესთი, მენის შემთხვევაში კი დიდი განბანვაა საჭირო!”

“მეზი” მამაკაცის სასქესო ორგანოდან გამონადენი სითხეა, რომელიც შეხების, ცქერის და ფიქრის შედეგად შეიძლება წამოვიდეს. “მენი” ორგაზმის შედეგად გამონადენი სითხეა ორივე სქესის წარმომადგენლებში.

ან კიდევ: “სქესობრივი ორგანოების ურთიერთშეხების შემთხვევაში ორგაზმი რომც არ განვითარდეს დიდი განბანვა აუცილებელია! “

დიდი განბანვის დადებითი მხარეები:

დიდი განბანვა ჯანმრთელობისათვის ძალიან სასარგებლოა. ეს

მედიცინამ დიდი ხანია აღიარა. ამ და ყველა სხვა საკითხში მუსლიმი საზოგადოების ცხოვრების წესი მართლაც უნიკალური და ჯანსაღია. სქესობრივი აქტის, მენსტრუაციის, მშობიარობის და მსგავსი სხვა მდგომარეობის დროს ბევრი სიბინძურე რჩება ორგანიზმზე და ამ სავალდებულო განბანვით მორწმუნე მუდმივ სისუფთავეს ინარჩუნებს. გარდა ამისა სქესობრივი აქტი ადამიანში მოდუნებას იწვევს, განბანვა კი ხსნის ამ მოდუნებას, აღადგენს წონასწორობას და სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს. ადამიანი სიბინძურისაგან თავისუფლდება და სისუფთავის შეგრძნება ეუფლება, რის შემდეგაც მზადაა ღვთისმსახურებისათვის. ღმერთის ბრძანაბებში, ისევე როგორც სავალდებულო დიდ განბანვაში უამრავი სასარგებლო რამაა. ამათგან ზოგის შესახებ ვიცით, ზოგი რამ კი ჩვენთვის უცნობია.

სქესობრივი აქტის შემდეგ, ან ძილში ნახული სიზმრის გამო ორგაზმის შემთხვევაში, მენსტრუაციის შემდეგ განბანვა აუცილებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ დროს მორწმუნე ბინძურია. წმ. შუამავალი ბრძანებდა: "მორწმუნე ბინძური არ იქნება!" ებუ ჰურაირა მოგვითხრობს: "ერთხელ შუამავალს შევხვდი, ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად. "ჯუნუბი" ვარ მეთქი ვუთხარი და ხელი არ გავუწოდე. მან კი მიბრძანა: მორწმუნე არასოდესაა ბინძური!"

განბანვას ვინც საჭიროებს ღვთისმსახურებას ვერ შეასრულებს. განბავნით ფიზიკურ და სულიერ სისუფთავეს უნდა მიაღწიოს რომ ღვთისმსახურება შეძლოს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალებისთვის დამახასიათებელ მოვლენებს და მათთვის ბევრი გამაადვილებელი ფაქტორი მოქმედებს.

2) მდგომარეობები, რომლებიც დიდ განბანვას საჭიროებს.

ა) "ჯუნუბის" მდგომარეობა. სქესობრივი კავშირის შედეგად, სიზმარში, ან სხვა გზებით სპერმის ორგანიზმიდან გამოყოფა. ეს მდგომარეობა დიდ განბანვას საჭიროებს.

მამაკაცის ან ქალის სქესობრივი ორგანოებიდან, მძინარე ან ფხიზელ მდგომარეობაში, შეხების, შეხედვის, ან ფიქრის შედეგად სიამოვნების შეგრძნებასთან ერთად სითხის გამოყოფა "ჯუნუბის"მდგომარეობას წარმოშობს და აუცილებლად დიდი განბანვაა საჭირო.

“მეზის”და “ვედის” შემთხვევაში დიდი განბანვა არაა საჭირო. მეზი თეთრი სითხეა, რომელიც მეუღლეების მსუბუქი ინტიმის დროს ორგანოებიდან შეიძლება გამოვიდეს. ვედი კი შარდის შემდეგ სქესობრივი ორგანოდან წამოსული მოსქელო სითხეა. ამ ორი სითხის წამოსვლას სიამოვნება არ ახლავს თან და მათი გამოდინება თვითნებურად ხდება.

გულწასული ან მთვრალი ადამიანი თუ გონს მოსვლის შემდეგ შეამჩნევს გამონადენს, რომელიც სავარაუდოდ “მენი” იქნება დიდ განბანვას საჭიროებს.

დიდი განბანვის შემდეგ სქესობრივი ორგანოდან “მენი” თუ გამოვიდა ხელახლა განბანვაა საჭირო.

გარდა ამისა სიმძიმის აწევის ან სიმაღლიდან გადმოხტომის შემთხვევაში შეიძლება სქესობრივი ორგანოდან სითხე წამოვიდეს, მაგრამ თუ ამ პროცესს სიამოვნება და წნევით ამოფრქვევა არ ახლავს თან დიდი განბანვა არაა საჭირო. ყურანში ნაბრძანებია:

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა წამოდგებით სალოცავად, დაიბანეთ სახენი და ხელები იდაყვების ჩათვლით, თავი შეიწმინდეთ და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით. და თუ ხართ უსუფთური, განიბანეთ. და თუ ავად ხართ ან მოგზაურობთ; ან თუ რომელიმე თქვენთაგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. ალლაჰს არ სურს რაიმე სიძნელე დაგიწესოს თქვენ, მაგრამ უნდა, რომ განგწმინდოთ თქვენ და სრულქმნას წყალობა მისი თქვენდა, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ! “მაიდე 5/6.”

აღგზნების შედეგად წამოსული და აღგზნების დასრულების შემდეგ ორგანოებიდან გამოსული სითხის შემთხვევაში ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის მიხედვით დიდი განბანვა აუცილებელია, მაგრამ ებუ იუსუფი თვლიდა, რომ ამ დროს დიდი განბანვა საჭირო არაა. ან კიდევ, სქესობრივი აქტის შემდეგ, დაძინების, სიარულის და მოშარდვის გარეშე განბანვის შემდეგ თუ აღგზნების და სიამოვნების შეგრძნების გარეშე სითხე წამოვიდა ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის მიხედვით განბანვაა საჭირო, ებუ იუსუფი კი მიიჩნევდა რომ ეს შემთხვევა განბანვას არ საჭიროებს.

ზემოთ ნახსენები “მეზის”და “ვედის” შემთხვევაში სქესობრივი ორგანოს დაბანა და აბდესთის აღებაა საჭირო.

ზრდასრულ ადამიანებში წყვილების სქესობრივი ორგანოების ურთიერთკავშირის დროს დიდი განბანვა აუცილებელია, მნიშვნელობა არ აქვს ორგაზმი შედგება თუ არა.

მძინარე ადამიანი, გამოღვიძების შემდეგ თუ გაიხსენებს საეჭვო სიზმარს და სხეულზე სისველეს ნახავს უნდა განიბანოს. საუბარია დიდ განბანვაზე. მოშარდვის დროს თუ სპერმის ამოფრქვევა მოხდა და ამ დროს სასქესო ორგანო აღგზნებულ მდგომარეობაშია დიდი განბანვაა საჭირო, რადგან ეს მდგომარეობა ორგაზმს ემსგავსება.

ბ) მენსტრუაციის დასრულების შემდეგ დიდი განბანვაა საჭირო. ამის შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

ისინი გეკითხებიან ქალთა წესის (მენსტრუაცია) შესახებ. უპასუხე შენ: ეს სატკივარია. განერიდეთ ქალებს მენსტრუაციის დროს და არ გაეკაროთ მათ, სანამ არ განიწმინდებიან. და როცა განიწმინდებიან, მიდით მათთან ისე, როგორც ეს ალლაჰმა დაგიწესათ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები! “ბაყარა 2/222. “

წმ. შუამავალს ფატიმა ბინთი ები ჰუბეიშისათვის შემდეგნაირად უბრძანებია:

“მენსტრუაციის დაწყებისთანავე ლოცვის ლოცვა შეწყვიტე და მესტრუაცისს დასრულებისთანავე განიბანე, შემდეგ კი ილოცე. “

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით მშორბიაობის ამ მუცლის მოშლის შემთხვევაში სისხლი რომც არ წამოვიდეს დიდი განბანვაა საჭირო.

დ.) დიდი განბანვა, როგორც სუნნეთი და მუსთეჰაბი.

ისლამში ახლად შესული ადამიანისთვის დიდი განბანვა მალიქის და ჰანბელის მიხედვით ვაჯიბია, ხოლო ჰანეფის და შაფიის მიხედვით მენდუბი. თუ ადამიანი “ჯუნუბია” დიდი განბანვა აუცილებელია. წმ. ომარი როდესაც ისლამის რიგებში შედიოდა თავისმა დამ ყურანის გვერდები არ მიაწოდა, რადგან ომარი განბანილი არ იყო. ეს არის ნათელი მაგალითი მაშინდელი მდგომარეობისა ამ საკითხისადმი. ამის მნიშვნელობა წარსულის სულიერი და ფიზიკური ჭუჭყისგან განთავისუფლება და ახალი ცხოვრების დაწყებაში მდგომარეობს.

ჯუმა ლოცვის, ბაირამის, ჰაჯობის, უმრეს, იჰრამში შესვლის და არაფატზე მოლოცვისათვის დიდი განბანვა სუნნეთია. ჰადისში

ნაბრძანებია:

“ჯუმა დღეს მცირე განბანვას ვინც შეასრულებს კარგ საქმეს აკეთებს, ხოლო ვინს დიდ განბანვას შეასრულებს უფრო მეტი მადლია.”

ბაირამის ლოცვიც ჯუმის ლოცვზეა შედარებული.

გარდა ამისა, მექასა და მედინაში შესვლისას, მიცვალებულის განბანვისას, ბერათის და ყადირის ღამეს, მგზავრობიდან დაბრუნებისას, ახალი ტანსაცმლის ჩაცმისას, ცოდვების მონანიებისას და სხვ. დიდი განბანვა მუსთეჰაბია.

3) დიდი განბანვის ფარზები

დიდი განბანვა ფარზია, რადგან აიათში ნაბრძანებია:

...და თუ ხართ უსუფთური, განიბანეთ... “მაიდე 5/6. “,

ისინი გეკითხებიან ქალთა წესის (მენსტრუაცია) შესახებ. უპასუხე შენ: ეს სატკივარია. განერიდეთ ქალებს მენსტრუაციის დროს და არ გაეკაროთ მათ, სანამ არ განიწმინდებიან. და როცა განიწმინდებიან, მიდით მათთან ისე, როგორც ეს ალლაჰმა დაგიწესათ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები! „ბაქარა 2/222,

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მიუახლოვდეთ ლოცვას, როცა ხართ მთვრალნი, სანამ არ გააცნობიერებთ რას ამბობთ; და არც როცა უსუფთური... „ნისა 4/43. “

წმ. აიშე შუამავლის განბანვის პროცესს შემდეგნაირად აღგვიწერს:

“წმ. შუამავალი დიდი განბანვისას ჯერ ხელებს იბანდა, შემდეგ –სასირცხო ადგილებს, შემდეგ- მცირე განბანვას ასრულებდა (აბდესთი) შემდეგ გულდასმით იბანდა თმებს, თავზე სამჯერ ისხამდა წყალს, შემდეგ კი სხეულს იბანდა. ბოლოს კი –ფეხებს. “

დიდი განბანვისთვის სამი ფარზი არსებობს. ესენია: პირის ერთხელ წყლით გამობანა, ცხვირის ერთხელ წყლით გამობანა და მთელი

სხეულის დაბანა.

ა) პირისა და ცხვირის წყლით გამობანა. ჰენეფის და ჰენბელის მიმდინარეობების მიხედვით პირი და ცხვირი სხეულის გარე ნაწილებად ითვლება, ამიტომ საჭიროა მათი დაბანა. დიდი განბანვის დროს პირში და ცხვირში აბდესთთან შედარებით მეტი წყალი უნდა მიეწოდოს და უფრო გულდასმით გამოირეცხოს. ჰადისში ნაბრძანებია:

“ჯუნუბისთვის პირის და ცხვირის გამობანა ფარზია.”

მალიქის და შაფიის მიხედვით კი პირის და ცხვირის გამორეცხვა სუნნეთია.

ბ) მთელი სხეულის წყლით დაბანა.

განბანვის დროს თმის ყოველი ღერი, კანი და მთელი სხეული წყლით უნდა დასველდეს. ჰადისში ნაბრძანებია:

“თმის ყოველი ღერის ქვეშ ჯუნუბობაა.”

ქალებისთვის ნაწნავის გახსნა აუცილებელი არაა. საკმარისია თმის ძირებში წყალმა შეაღწიოს.

ეს შემდეგ სიტუაციას ეყრდნობა: წმ. შუამავალმა უმმუ სელემეს თმის ნაწნავის გაუხსნელად დიდი განბანვის ნებართვა მისცა. ეს გრძელთმიანი მანდილოსნებისთვის განბანვის პროცესის გაიოლებაა. ჰანბელის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მენსტრუაციის შემდეგ ქალებმა ნაწნავი უნდა შეიხსნან და თმები დაიბანონ.

დღეისათვის ფართოდაა გავრცელებული თმის გადანერგვა. თუ თმა კანში ინერგება და ცოცხალია დიდ განბანვას ხელს არ უშლის, მაგრამ არსებობს გადანერგვის სხვა მეთოდიც, როდესაც თმას ძალიან თხელ პლასტიკურ ტყავზე ნერგავენ და უთმო თავზე აწებებენ. ეს იგივეა, რაც პარიკი და დიდ განბანვას ხელს უშლის.

დიდი განბანვის დროს თუ სხეულზე ჭრილობაა და შეხვეულია, მორწმუნემ უნდა ნახოს მისი შეხსნა და დაბანა ჭრილობისთვის ზიანის მომტანი იქნება თუ არა. თუ ჯანმრთელობისთვის საზიანო არაა, უნდა შეიხნას და დაიბანოს, თუ საზიანოა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეხვეულზე მესჰი უნდა გაკეთდეს. კანის დამწვრობის ან სხვა მსგავსი პრობლემის შემთხვევაში მორწმუნეს შეუძლია

სხეულის სხვა ნაწილები დაიბანოს, ხოლო პრობლემიანი ადგილები სველი ტილოთი გაიწმინდოს. თუ ტილოთი მოწმენდაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა მორწმუნეს შეუძლია თეიმუმის მეთოდს მიმართოს. (თეიმუმზე დაწვრილებით შემდეგში ვისაუბრებთ) თეიმუმი თუ საჭიროა, ის როგორც მცირე, ისე დიდი განბანვის მაგივრობას სწევს. თუმცა წყლის გამოყენების შესაძლებლობა გაჩნდება თუ არა თეიმუმის მეთოდით განბანვა უქმდება და მორწმუნემ წყლით უნდა განიბანოს.

ჯუნუბი ადამიანი თუ პირსა და ცხვირს გამოირეცხავს, შემდეგ კი ზღვაში, ტბაში, მდინარეში ან აუზში ჩაყვინთავს დიდი განბანვა შესრულებული იქნება. იგივე სიტუაციაა თუ მორწმუნე თავსხმა წვიმის ქვეშ დადგება და მთელი სხეული დაუსველდება.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ დიდი განბანვის ფარზებში ნიეთიც (განზრახულობა) შედის.

4) დიდი განბანვის სუნნეთები.

ა) დიდი განბანვის ღმერთის სახელის ხსენებით და ნიეთით დაწყება. ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით ნიეთი ფარზია. ჯუნუბობისგან განსაწმენდად დაბანის ცოდნა და შესრულება ნიეთად ითვლება და ღვთისმსახურების მადლის მოგების მიზეზი ხდება.

ბ) თავდაპირველად ხელების და შემდეგ სასირცხო ადგილების დაბანა. სხეულზე თუ სადმე სიბინძურეა მისი მოშორება.

გ) ამის შემდეგ ლოცვის აბდესთის მსგავსი აბდესთის აღება. თუ ფეხებთან წყალი გროვდება ფეხების დაბანა ბოლოსთვის უნდა მოვიტოვოთ. აბდესთის აღების დროს ორი ფარზი, პირისა და ცხვირის გამორეცხვა შესრულებული იქნება. ეს ჰანეფის და ჰანბელის მიხედვითაა.

დ) აბდესთის შემდეგ თავზე სამჯერ წყლის დასხმა, შემდეგ მარჯვენა მხარზე და მერე კი -მარცხენაზე. თუ მანამდე ფეხები არ იყო დაბანილი ჯერ მარჯვენა ფეხის, შემდეგ კი მარცხენა ფეხის დაბანა.

ე) დიდი განბანვის დროს ზედმეტად ბევრი ან ძალიან ცოტა წყლის გამოყენება.

ვ) სხვების თვალთახედვისაგან დაცულ ადგილას განბანვა. მორწმუნე მუსლიმი თუ ზღვაში, აუზში, მდინარეში და მსგავს ღია ადგილებში ასრულებს დიდ განბანვას მუხლებიდან ჭიპამდე სხეულის ნაწილი შემოსახვევით უნდა ქონდეს დაფარული და სხვისი სასირცხო ადგილების ყურებასაც უნდა მოერიდოს. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ ღია აბანოებში ჭიპიდან მუხლებამდე დაიფარეთო. ამ ადგილებს ვინც არ დაიფარავს ან სხვების თანდასწრებით სულ მთლად შიშველი იბანავებს მას ანგელოზები დაწყევლიანო.

ზ) მოფარებულ ადგილებშიც სასირცხო ადგილების დაფარვა. თუ განბანვისას სასირცხო ადგილების საფარველი არაა მორწმუნე ქააბასკე არ უნდა იყოს მიტრიალებული.

თ) დიდი განბანვის დროს დაულაპარაკებლობა.

ი) დიდი განბანვის დასრულების შემდეგ პირსახოცით გამშრალება.

კ) დიდი განბანვის დასრულების შემდეგ სწრაფად ჩაცმა.

დიდი განბანვის დროს, მცირე განბანვისგან განსხვავებით ლოცვების წაკითხვა მექრუჰია.

5) ჯუნუბობის, მენსტრუაციის დროს მიუღებელი ქმედებები

ა) ასეთ დროს მორწმუნეს არ შეუძლია ილოცოს არც ფარზი და არც ნაფილე ლოცვი. ასევე არ შეიძლება არც ფარზი და არც ნაფილე მარხვის დაცვა.

ბ) ასეთ დროს ქააბაში ტავაფის შესრულებაც მიუღებელია, რადგან ბევრ აიათშია მითითებული, რომ ტავაფიც ლოცვის ერთ-ერთი სახეა.

გ.) ყურანის ხელში აღება.

ءَاَنتُمۡ تَخۡلُقُونَهُۥٓ اَمۡ نَحۡنُ الۡخَالِقُونَ

განა თქვენ აჩენთ მას თუ ჩვენ ვართ გამჩენნი? “ვაყია 56/59. “

თუ ყურანი პარკში, ჩემოდანში ან მსგავს რამეში დაცული იქნება მისი ხელში აღება შეიძლება.

ებუ ჰანიფეს ერთ-ერთი შეხედულებით აბდესთის გარეშე ყურანის ხელში აღება შეიძლება. მისივე სხვა შეხედულებით უაბდესთოდ ყურანის მხოლოდ გარეკანზე შეხება შეიძლება. შაფიის და მალიქის მიხედვით ყურანზე უაბდესთოდ შეხება მიუღებელია.

დ) ყურანის კითხვა. იბნი ომერის გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია:

“ჯუნუბი და მენსტრუაციის პერიოდში მყოფი ყურანიდან რაიმეს ვერ წაიკითხავს.”

თუმცა ადამიანს, რომელიც დიდ განბანვას საჭიროებს შეუძლია წარმოთქვას შაჰადა, სალათუსსალამი, ზეპირად იკითხოს ფათიჰა, იჰლასი, აიეთელ ქურსი და სხვა მსგავსი. სწავლების მიზნით შესაძლებელია აგრეთვე ზეპირად აიათების წარმოთქმა.

მორწმუნე, რომელიც დიდ განბანვას საჭიროებს განბანვამდე რელიგიურ წიგნებს თუ წაიკითხავს მექრუჰია. ასევე მექრუჰია პირის გამოუბანელად ჭამა და სმა.

მალიქის მიხედვით ჯუნუბი ქალის მიერ ყურანის წაკითხვა მიუღებელია, მაგრამ მენსტრუაციის დროს – მისაღებია. ეს იმიტომ, რომ ჯუნუბს შეუძლია ნებისმიერ დროს დაიბანოს, მაგრამ მენსტრუაციის შემთხვევა დროის ფაქტორია.

იმამი შაფიი, აჰმედ იბნ ჰანბელი, სუფიან ეს-სავრი და ისჰაკი მიიჩნევენ, რომ მორწმუნეს აბდესთის გარეშე შეუძლია ყურანი წაიკითხოს, მაგრამ თუ ჯუნუბია, ანუ დიდ განბანვას საჭიროებს წმინდა წიგნის წაკითხვა ეკრძალება.

ე,) სერიოზული მიზეზის არასებობოს შემთხვევაში მეჩეთში შესვლა. ყურანში ნაბრძანებია:

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მიუახლოვდეთ ლოცვას, როცა ხართ მთვრალნი, სანამ არ გააცნობიერებთ რას ამბობთ; და არც როცა უსუფთური, გზაში მყოფთა გარდა, სანამ არ განიბანებით წესისამებრ. თუ ავად ხართ, ან მოგზაურობთ, ან თუ რომელიმე

თქვენგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. უეჭველად, ალლაჰი შემნდობელია, შემწყნარებელია! “ნისა 4/43”

ამ აიათიდან გამომდინარე, იბნი აბბასის შეხედულებით ჯუნუბი ადამიანის მეჩეთში გავლა შეიძლება, ოღონდ იქ ვერ დაყოვნდება.

მედინელი ადგილობრივების (ენსარ) საცხოვრებელი სახლები მეჩეთთან იმდენად ახლოს იყო, რომ ზოგიერთ მათგანს გარეთ გამოსასვლელად მესჯიდის გავლა სჭირდებოდა. დიდი განბანვის საჭიროებისას, ზოგჯერ სახლში წყალს რომ ვერ შოულობდნენ იძულებულნი იყვნენ მეჩეთის გავლით გარეთ გასულიყვნენ. მაშინ შუამავალმა ბრძანა, რომ ებუ ბექირის სახლის გარდა ყველა სხვა კარი ჩაეკეტათ, რომელიც მეჩეთში გადიოდა. მედინელ ადგილობრივებს ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდათ, შუამავალმა კი ბრძანა, რომ არ დაუშვებდა იმ ადამიანების მეჩეთში ყოფნას, რომლებიც განბანვას საჭიროებდნენ.

ღვთისმსახურების გარდა, სხვა მიზნით და სერიოზული მიზეზის არსებობის შემთხვევაში მორწმუნეს, რომელიც დიდ განბანვას საჭიროებს შეუძლია მეჩეთში შევიდეს.

გარდა ამისა, რამაზნის თვეში თუ მორწმუნე ღამეში ჯუნუბი გახდა და დილამ მოუსწრო მარხვა არ იშლება და შეუძლია გააგრძელოს. იგივე ეხება მორწმუნეს, რომელიც დღისით დაიძინებს და ძილში ნახული სიზმარი ორგაზმს გამოიწვევს. ორივე შემთხვევაში მარხვა არ იშლება.

IV- თეიმუმი

1) თეიმუმის განმარტება და მტკიცებულებები

თეიმუმი ლეკსიკონში რაიმე საქმისკენ გეზის აღებას, რაიმის გულისხმობას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი თეიმუმი არის წყლის არ არსებობის შემთხვევაში, ან განსაბანად გამოუსადეგარი წყლის არსებობის შემთხვევაში განბანვის განზრახვითა და მიზნით მიწაზე ან მიწის სახეობის სხვა საგანზე ხელების მოსმა

და შემდეგ ამ ხელების სახეზე და მკლავებზე მოსმა. ამ დროებით განწმენდად ჩათვლილ რიტუალს თეიმუმი ეწოდება. ამ როტუალის შესრულებისთვის ნიეთი (განზრახულობა) აუცილებელია. ეს არის დიდი და მცირე განბანვის სიმბოლური შესრულება. თეიმუმი შემდეგნაირად სრულდება: მორწმუნე, რომელიც დიდ ან მცირე განბანვას საჭიროებს, სუფთა მიწაზე, ან მიწის სახეობის საგანზე ხელებს დაადებს და სახეზე ჩამოისვამს, შემდეგ ისევ მიწას შეახებს ხელებს და იდაყვებამდე მკლავებზე მოისვამს.

ამრიგად თეიმუმის ფარზები ნიეთი და ორჯერ მესჰია, ანუ სახეზე და მკლავებზე ხელის მოსმა. იმამ ზუფერის აზრით თეიმუმის დროს ნიეთი არ არის აუცილებელი.

თეიმუმი ჰიჯრის მეხუთე წელს წარმოიშვა. მურეისში წმ. შუამავალს ათასამდე მებრძოლი ახლდა თან და მათ უწყლო ადგილზე მოუწიათ ღამის გათენება. ისინი ვეღარ ასწრებდნენ დილის ლოცვის დრომდე წყლამდე მიეღწიათ, რათა განბანვა შეესრულებინათ. ამის თაობაზე წმ. შუამავალს შემდეგი აიათი ზეგარდმოევლინა:

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მიუახლოვდეთ ლოცვას, როცა ხართ მთვრალნი, სანამ არ გააცნობიერებთ რას ამბობთ; და არც როცა უსუფთური , გზაში მყოფთა გარდა, სანამ არ განიბანებით წესისამებრ. თუ ავად ხართ, ან მოგზაურობთ, ან თუ რომელიმე თქვენგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. უეჭველად, ალლაჰი შემნდობელია, შემწყნარებელია! “ნისა 4/43. “

შუამავალმა კი ბრძანა: “დედამიწა ჩვენთვის მეჩეთია, მიწა კი გამასუფთავებელი!”

2) თეიმუმის მიზეზები.

თეიმუმი სიმბოლური განწმენდაა. იგი დიდ და მცირე განბანვის მაგივრად სრულდება, ამიტომ განსაკუთრებული მდგომარეობა და მიზეზები სჭირდება.

ა) დიდი ან მცირე განბანვისთვის საკმარისი წყლის არ ყოფნა.

განბანვისთვის საკმარისი წყლის არ არსებობა, ფეხით ან მანქანით წყლამდე მიღწევის შეუძლებლობა, წყლის მოძებნისას რაიმე საფრთხის არსებობა, თუ მორწმუნე ფულითაც ვერ შეძლებს

შეიძინოს წყალს, ან წყლის ფასის ძალიან ზედმეტად სიძვირე, ეს ის მიზეზებია, რომლის დროსაც მორწმუნეს შეუძლია თეიმუმის მეთოდს მიმართოს.

თუ მორწმუნეს დაავიწყდა წყლის არსებობა და თეიმუმის მეთოდით სიმბოლური განბანვის შემდეგ ლოცვი ილოცა, ხოლო შემდეგ გაახსენდა წყალი ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის აზრით ხელმეორედ ლოცვა საჭირო არაა. აქ დავიწყება წყლის გამოსაყენებლად საკმარისი უნარის არარსებობას ნიშნავს. მაგრამ მორწმუნეს თუ წყალი ლოცვის ლოცვისას გაახსენდა, ლოცვი უნდა მიატოვოს, აიღოს აბდესთი და თავიდან ილოცოს.

ბ) თუ მორწმუნეს წყლის გამოსაყენებლად საკმარისი ძალა არ შესწევს.

თუ წყლის გამოყენება ჯანმრთელობისთვის საშიშია, წყლის მოსაპოვებლად არ არსებობს საშუალება, ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები არახელსაყრელია, მორწმუნე პატიმარია, ან ტყვეობაში იმყოფება, თუ წყლის ძებნისას ქონების დაკარგვა ან მტრისგან თავდასხმაა მოსალოდნელი, ამ და მსგავს შემთხვევებში მორწმუნეს შეუძლია თეიმუმის მეთოდით განბანვით ისარგებლოს. გარდა ამისა თუ მორწმუნეს წყლის გამოყენებას უკრძალავენ, ჯერ თეიმუმს გააკეთებს და ილოცავს ლოცვას, ხოლო შემდეგ, როდესაც აკრძალვა და ხელის შეშლის ფაქტორი მოიხსნება წყლით უნდა განიბანოს და შეასრულოს ლოცვა.

გ) ავადმყოფობა, ან გამოჯანმრთელების დაგვიანების შიში.

ავადმყოფ ადამიანს, რომელსაც წყლის გამოყენების შემთხვევაში ჯანმრთელობის გაუარესება ემუქრება შეუძლია თეიმუმის მეთოდით განიბანოს. იგივე ეხება ჯანმრთელ მორწმუნეს, რომელსაც წყლის გამოყენების შემთხვევაში დაავადება ემუქრება. ასეთ შემთხვევაში მორწმუნე ექიმის კონსულტაციაა საჭირო. წმ. შუამავლის დროს დაჭრილი მორწმუნე განბანვის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ამბავს ჯაბირი შემდეგნაირად გადმოგვცემს: "გზაზე მივდიოდით. ერთერთ ჩვენგანს ქვა დაეცა თავში და ჭრილობა მიიღო. მოგვიანებით "ჯუნუბი"გახდა, ანუ დიდ განბანვას საჭიროებდა და მეგობრებს შეეკითხა შეეძლო თუ არა თეიმუმის მეთოდით განბანვა. მეგობრებმა უთხრეს, რომ რახან წყლის ნახვის საშუალება ჰქონდათ თეიმუმის უფლება არ ქონდა. დაჭრილმა წყლით დაიბანა და რამაც

მისი ჯანმრთელობა გააუარესა და გარდაიცვალა. ეს ამბავი წმ. შუამავალმა რომ გაიგო ბრძანა: -ის მოკლეს. სიკეთე მიეცეთ, რატომ არ მკითხეს, რაც არ უწყოდათ?! რაც არ ვიცით იმის სწავლის გზა შეკითხვაა. იმ ადამიანისთვის საკმარისი იქნებოდა თეიმუმი გაეკეთებინა, თავი შეეხვია, შეხვეულზე მესჰი შეესრულებინა და სხეულის დარჩენილი ნაწილი წყლით დაებანა!”

დ) ცივი წყალი

თუ წყლის გამოყენება სიკვდილის, ორგანოების დაზიანების, ან დაავადების საფრთხეს წარმოქმნის მორწმუნეს შეუძლია თეიმუმის მეთოდით განბანვა შეასრულოს.

3) თეიმუმის სუნნეთის მიხედვით შესრულება.

ა) თეიმმუმის დაწყებისას ღმერთის სახელის ხსენება და ლოცვისთვის ან ზოგადად ღვთისმსახურებისთვის განბანვის განზრახვით შესრულება სუნნეთია. ჰანბელის მიმდინარეობის მიხედვით “ბესმელე” , ანუ ღმერთის სახელის ხსენება ვაჯიბია.

ბ.) ორივე ხელით, თითები გაშლილ მდგომარეობაში სუფთა მიწაზე შეხება და უკან გამოწევა.

გ) ხელებზე შემორჩენილი ზედმეტი მტვრის ჩამობერტყვა და მთელი სახის მესჰი.

დ) ხელების ისევ სუფთა მიწაზე შეხება, შემდეგ მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავის, ხოლო მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავის იდაყვების ჩათვლით მესჰი.

ე) ზემოთ მოყვანილი თანმიმდევრობის მიხედვით ჯერ სახის და შემდეგ ხელების მესჰის შესრულება

ვ) თეიმუმი ლოცვის დროის დადგომის შემდეგ უნდა შესრულდეს.

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით ლოცვის დროის დადგომამდე თეიმუმის გაკეთება შეიძლება. წყლის არ ყოფნის და სხვა თეიმუმისთვის საკმარისი მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სანამ წყალი არ იქნება, ან ის მიზეზი იარსებებს მორწმუნეს შეუძლია გაკეთებული თეიმუმით სასურველი ფარზი და ნაფილე ლოცვები ილოცოს. წყლის ნახვის იმედი თუ არის თეიმუმის ლოცვის დროის ბოლოსკენ გაკეთება მენდუბია.

ჰანეფის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით თეიმუმი ლოცვის დროის მოსვლის შემდეგ უნდა შესრულდეს და ერთი თეიმუმით მხოლოდ ერთი კონკრეტული ფარზი ლოცვის ლოცვა შეიძლება. თუმცა ჰანბელის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ თეიმუმით ერთზე მეტი "ყაზა" ანუ გაცდენილი და შემდეგში ასანაზღაურებელი ლოცვის ლოცვა შეიძლება.

4) თეიმუმის პირობები

* ნიეთი. განზრახვა, თუ რა მიზნით ვაკეთებთ თეიმუმს ფარზია. თეიმუმი რა მიზნითაც სრულდება, იმ მიზნის ფარგლებში ღვთისმსახურება მისაღებია. ერთი თეიმუმით სასურველი რაოდენობის ფარზი, ვაჯიბი და ნაფილე ლოცვის ლოცვა დასაშვებია. თუმცა თეიმუმის შესრულების მიზანი თუ სასაფლაოზე გასვლა, ეზნის კითხვა, ან ისლამის რიგებში შესვლაა ამ თეიმუმით ლოცვის ლოცვა არ შეიძლება, რადგან ყველა ზემოთჩამოთვლილის გაკეთება აბდესთის გარეშეც შეიძლება.

* სერიოზული მიზეზის არსებობა. მაგ. ქალაქშიც რომ ვიყოთ, წყლიდან ორი კმ. მანძილით სიშორეზე ყოფნა, ავადმყოფობა, სახიფათო სიცივე, მტრის ან უწყლობის შიში, აგრეთვე ისეთი ლოცვების გაცდენის შიში, რომელთა შემდეგ ანაზღაურება არ ხდება, (ბაირამის ლოცვი, ჯენაზე და სხვ.). თუმცა პარასკევის (ჯუმა) ლოცვის, სხვა ფარზების და ვითრის ლოცვის დროის გასვლის შიში თეიმუმის უფლებას არ გვაძლევს, რადგან ჯუმის მაგივრად შუადღის ლოცვის ლოცვა, ხოლო სხვა ფარზების და ვითრის სხვა დროს ლოცვით ანაზღაურება შეიძლება.

იბნი აბბასი გადმოგვცემს: "მოულოდნელად მიცვალებულის ლოცვის (ჯენაზე) ლოცვას რომ შეხვდეთ და წყლით მცირე განბანვის დრო თუ არ გრჩებათ, თეიმუმის შესრულებით ლოცვი ილოცეთ."

შაფიის მიხედვით დროის გასვლის შიშის გამო თეიმუმის გაკეთება მიღებული არაა. თუმცა ეს მგზავრს არ შეეხება.

* თეიმუმის შესრულებისათვის საჭიროა სუფთა მიწა, ქვა, სილა, აგური, კრამიტი და მსგავსი მიწის სახეობის საგანი. ხის ნაწარმი, ნაცარი, რკინა, ოქრო, სპილენძი და მსგავსი რამ თეიმუმისთვის არ გამოდგება.

* თეიმუმისათვის სხეულის იმ ნაწილებზე მთლიანად მესჰის შესრულება, რომელიც თეიმუმის სრულყოფილებისათვის აუცილებელია.

* ხელების მიწაზე ორჯერ შეხება. პირველ შეხების შემდეგ სახეზე, ხოლო მეორე შეხების შემდეგ მთლიანად მკლავებზე, იდაყვების ჩათვლით მესჰის გაკეთება.

* მენსტრუაციის, ან მშობიაროზის შემდეგი სისხლდენის პროცესის დასრულება.

5) თეიმუმის მომშლელი ფაქტორები

* დიდი და მცირე განბანვის მომშლელი ყველა ფაქტორი თეიმუმსაც შლის, რადგან თეიმუმი მათ მაგივრად სრულდება. ძირითადს რაც შლის, ის მაგიერსაც აუქმებს. ჯუნუბ ადამიანს, ანუ ვინც დიდ განბანვას საჭიროებს აბდესთი მოეშლება, მხოლოდ აბდესთის აღება სჭირდება.

* თეიმუმის შესრულებისთვის არსებული მიზეზის დასრულება. მაგ. მტრისგან მოსალოდნელი საფრთხის არ არსებობა, საშიში სიცივის დასრულება, ავადმყოფის გამოჯანმრთელება, პატიმრის, რომელსაც წყალთან ხელი არ მიუწვდებოდა განთავისუფლება და სხვ.

* წყლის დანახვა, ან ერთხელ მაინც წყლის გამოყენების შესაძლებლობის არსებობა. ლოცვის ლოცვის დროს წყლის დანახვა თეიმუმს და შესაბამისად ლოცვასაც აუქმებს. ეს შეხედულება ჰანეფისა და ჰანბელის მიხედვითაა. მალიქის მიმდევრები კი პირიქით თვლიან. ლოცვის ლოცვის დასრულების შემდეგ წყლის დანახვა, თუ ლოცვის დრო გასულია თავიდან ლოცვის საჭიროებას არ ქმნის. აგრეთვე, ლოცვის ლოცვის შემდეგ და ლოცვის დროის გასვლამდე (და არა ლოცვის პროცესში) წყლის დანახვა ლოცვის თავიდან ლოცვის საჭიროებას არ ქმნის. შაფიის მიხედვით ამ სიტუაციაში ლოცვის თავიდან ლოცვა აუცილებელია, მხოლოდ მგზავრია გამონაკლისი.

* ჰანბელის მიხედვით ლოცვის სალოცავად განკუთვნილი დროის გასვლა თეიმუმს აუქმებს. შაფიის მიმდევრების აზრით სარწმუნოებიდან გასვლა თეიმუმს შლის. ხოლო მალიქის მიმდევრების შეხედულებით თეიმუმსა და ლოცვას შორის დიდი დროის გასვლა თეიმუმს აუქმებს. რაც შეეხება ჰანეფის მიმდინარეობას, ეს უკანასკნელი სამი მიზეზი თეიმუმს არ აუქმებს.

V- მანდილოსნებისთვის დამახასიათებელი მდგომარეობები

(მენსტრუაცია და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდი)

ქალებს მათი ფიზიოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე რამოდენიმე სპეციფიკური მდგომარეობა ახასიათებთ. ეს მდგომარეობები მამაკაცებს არ შეეხებათ. მანდილოსნებს მათთვის დამახასიათებელი მდგომარეობებიდან გამომდინარე სისუფთავის, ღვთისმსახურების და ცოლქმრული ურთიერთობის რელიგიური წესების გათვაალისწინებით წარმართვისათვის განსაკუთრებული წესების ცოდნა ევალებათ. ზოგადად, ზრდასრული მანდილოსნის სასქესო ორგანოდან სამი სახის სისხლი შეიძლება წამოვიდეს; 1) მენსტრუაციის პერიოდში წამოსული სისხლი, რომელიც გარკვეულ ასაკში იწყება და გარკვეული პერიოდულობით ხასიათდება. ასევე გარკვეული ასაკის შემდეგ მენსტრუაცია წყდება. 2) მშობიარობის შემდეგ გარკვეული ხნის განმავლობაში სისხლდენა. 3) ამ ორი მიზეზის გარდა, ძირითადად დაავადების გამო წარმოქმნილი სისხლდენა. ქვემოთ შევეცდებით, ქალებისთვის დამახასიათებელი ეს სამი მდგომარეობა განვმარტოთ.

ა) მენსტრუაცია

* მენსტრუაციის ცნება და მტკიცებულებები

ზრდასრულ ასაკს მიღწეული ქალის სასქესო ორგანოდან დაიწყება პერიოდულად სისხლის გამოდინების პროცესი, რომელსაც ზოგადად მენსტრუაცია ჰქვია. ჯანმრთელი ქალის ორგანიზმში გასანაყოფიერებლად მომწიფებული კვერცხუჯრედი დროთა განმავლობაში კვდება და სისხლთან ერთად ჩამოიშლება. მენსტრუაციის სისხლის შეწყვეტის შემდეგ ქალის სისუფთავის პერიოდი დგება და ეს პერიოდი შემდეგი მენსტრუაციის დაწყებამდე გრძელდება. თუ კვერცხუჯრედი განაყოფიერდა საშვილოსნოს კედელს მიეკრობა და განვითარებას დაიწყებს, რის შემდეგაც მენსტრუაცია წყდება. ამიტომ ორსულობის პერიოდში მანდილოსნებს მენსტრუაცია არ აღენიშნებათ.

განსაკუთრებით ყურადღების გამახვილებას საჭიროებს ქალების მენსტრუაციული ციკლი. ეს მნიშვნელოვანია სისუფთავისთვის, შესაბამისად ღვთისმსახურების შესრულებისთვის. აგრეთვე, განქორწინების შემთხვევაში შესაძლო ორსულობის და ბიოლოგიური მშობლის დადგენა მენსტრუაციულ ციკლზე დაკვირვებით ხდებოდა.

ყურანში და სუნნეთსი ამ საკითხების მიმართ ბევრი ცნობებია გადმოცემული. ყურანის მიხედვით ეს პერიოდი ქალებისთვის კრიტიკულ და შეუძლოდ ყოფნის დროდ მიიჩნევა და ამ დროს სქესობრივი კავშირი მიუღებელია. ამასთანავე, განქორწინებული მანდილოსანი სამი მენსტრუაციული და სისუფთავის პერიოდის გასვლამდე ვერ გათხოვდება. იმ ქალბატონებს, რომელთაც მენსტრუაცია შეუწყდათ ან საერთოდ არ აღენიშნებოდათ, განქორწინების შემდეგ პირობითად სამი თვის შემდეგ ეძლევათ უფლება ხელახლა გათხოვდნენ.

ისლამის აღმოცენების პერიოდში არაბები ე.წ. უმეცრების ხანაში ცხოვრობდნენ. მაშინდელი არაბი მამაკაცები მენსტრუაციის პერიოდში მყოფ ქალებთან არ ურთიერთობდნენ და მათთან ერთად სუფრასთანაც არ ჯდებოდნენ. იგივე წესი ჰქონდათ იუდეველებს და მეჯუსებს. ქრისტიანები კი მენსტრუაციას ყურადღებას არ აქცევდნენ და სქესობრივი კავშირისგანაც არ იკავებდნენ თავს.

თორას მიხედვით მენსტრუაციულ პერიოდში მყოფი ქალი, მენსტრუაციის დასრულების შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში ბინძურად ითვლებოდა და ამ პერიოდში ბევრი რამ ევალებოდა. შვიდი დღის გასვლის შემდეგ კი განიბანებოდა და ამის შემდეგ სუფთად ითვლებოდა.

ისლამი უფრო ლოიალურად უდგება ქალებს ამ კრიტიკულ დღეებში და მათ მიმართ ბევრი დამცავი და გამაადვილებელი დებულებები დაუშვა.

ყურანში ნაბრძანებია:

ისინი გეკითხებიან ქალთა წესის (მენსტრუაცია) შესახებ. უპასუხე შენ: ეს სატკივარია. განერიდეთ ქალებს მენსტრუაციის დროს და არ გაეკაროთ მათ, სანამ არ განიწმინდებიან. და როცა განიწმინდებიან, მიდით მათთან ისე, როგორც ეს ალლაჰმა დაგიწესათ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები! “სურა ბაყარა 2/222. “

წმ. შუამავლის უამრავი ჰადისიც ამ სიტუაციას შეეხება. მათგან რამოდენიმეს შემოგთავაზებთ: "მენსტრუაცია ღმერთის მიერ ადამის ქალიშვილებისთვის დაწერილი მდგომარეობაა!"

ერთ-ერთი მეგობრის შეკითხვაზე შუამავალმა შემდეგნაირად უპასუხა: "ასეთ მდგომარეობაში მყოფ მანდილოსნებთან მიმართებაში სქესობრივი კავშირის გარდა ყველაფერი ჩვეულებრივად გააგრძელეთ! "

მენსტრუაციის დროს ქალებს მუცლიდან მუხლისთავებამდე დაფარვა ევალებათ.

მენსტრუაციის დროს ქალის მხოლოდ სისხლი ითვლება ბინძურად. მისი ნერწყვი, ოფლი და სხვა სუფთაა. წმ. აიშეს გადმოცემით წმ. შუამავალი ზოგჯერ მის მიერ დალეული ჭურჭლიდან წყალს სვამდა და პირს სწორედ იმ ადგილას შეახებდა საიდანაც მენსტრუაციის პერიოდში მყოფმა მისმა მეუღლემ შეახო.

2) მენსტრუაციის დრო და ხანგრძლივობა.

გარდატეხის ასაკს მიღწეული ბავშვი მოზრდილობაში გადადის. გარდატეხის ასაკის მინიმალური ზღვარი გოგონებში 9, ხოლო ბიჭებში 12 წლის ასაკით განისაზღვრება. ზრდასრულობის ნიშნები ბიჭებში ძირითადად პოლუციის მომენტით აღინიშნება. ეს არის ძილის დროს ძირითადად ეროტიკული შინაარსის სიზმრის თანხლებით სპერმის დათხევა. გოგონებში კი მენსტრუაციის ციკლის დაწყება ზრდასრულობის მიმანიშნებელია. ზრდასრულობაში აქ ნაგულისხმევია რელიგიური წესების მიმართ ვალდებულებების გაჩენა.

მენსტრუაციული ციკლის ზედა ზღვარის შესახებ აიათებში და ჰადისებში პირდაპირ არაფერია მოცემული, ამიტომ ისლამის სწავლულების მიერ სხვადასხვა ასაკია მოცემული. ზოგიერთი მათგანის აზრით მენსტრუაციული ციკლი იწყება 9 წლის ასაკიდან და მთავრდება დაახლოებით 50-55 წლის ასაკში. 9 წლამდე ან 55 წლის ასაკის შემდეგ დაფიქსირებული სისხლდენა პირობითად ავადმყოფურ სისხლად ითვლება. თუ მოზარდს მენსტრუაცია და პოლუცია დაუგვიანდა ისლამის სწავლულების უმრავლესობის აზრით 15 წლის ასაკის გასვლისთანავე ზრდასრულად ითვლება. ებუ ჰანიფეს მიხედვით კი ზრდასრულობის ზედა ზღვარი გოგონებში

17 წელია, ხოლო ბიჭებში -18. ამ ასაკს მიღწეულ მოზარდებში თუ მენსტრუაცია, ან შესაბამისად პოლუცია არ დაფიქსირდა რელიგიურად ზრდასრულად ითვლებიან.

მენსტრუაციის დაწყების, ხანგრძლივობის და დამთავრების წესრიგი შეიძლება შემდეგი ფაქტორების გავლენით დაირღვეს: ძლიერი ავადმყოფობა, ქრონიკული დაავადებები, კლიმატის და გერემოს ცვლილება, ძლიერი შიში და ემოცია, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა, არათანმიმდევრული გახდომის რეჟიმი, ორსულად გახდომის არანორმალური სურვილი, ან ორსულობის მიმართ არანორმალური შიში და სხვა.

ჰანფისა და ჰანბელის მიხედვით ორსულს ქალს მენსტრუაცია არ ექნება. მალიქის და ბოლო დროს შაფის აზრით კი შესაძლებელია ორსულ ქალსაც ზოგჯერ მენსტრუაცია დაუფიქსირდეს.

ჰანეფის მიხედვით მენსტრუაციის ყველაზე ხანმოკლე პერიოდი სამი დღე-ღამით განისაზღვრება. ამაზე ნაკლებ ხანში ავადმყოფურ სისხლად ჩაითვლება. მენსტრუაციის საშუალო ხანგრძლივობა 5 დღეა, ხოლო ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი 10 დღე-ღამით განისაზღვრება. 10 დღეს გადაცილებული სისხლდენა ავადმყოფობად ითვლება.

შაფის მიმდინარეობის მიხედვით მენსტრუაციის ხანგრძლივობის ყველაზე ხანმოკლე პერიოდი ერთი დღე-ღამეა, ხოლო ყველაზე ხანგრძლივი- 15 დღე-ღამე. მალიქის მიმდევრები კი მენსტრუაციის ყველაზე ხანმოკლე პერიოდს არ მიუთითებენ, ხოლო ყველაზე ხანგრძლივ პერიოდად 15 დღე-ღამეს თვლიან.

მენსტრუაციის დროს აუცილებელი არაა სისტემატიური სისხლდენა. ის შეიძლება ზოგჯერ შეწყდეს. მაგ. თუ 4 დღე სისხდენა დაფიქსირდა, შემდეგ 2 დღე შეწყდა, ხოლო შემდეგ 2 დღე ისევ გაგრძელდა სულ 8 დღიანი მენსტრუაციის პერიოდი გამოდის.

მენსტრუაციიდან შემდეგ მენსტრუაციამდელ პერიოდს სისუფთავის პერიოდი ჰქვია და ის არანაკლებ 15 დღე უნდა გრძელდებოდეს. გარდა ამისა სისუფთავის პერიოდი შეიძლება წლების განმავლობაშიც გაგრძელდეს.

ზოგიერთ მანდილოსანს სისტემატიურად მოწესრიგებული ციკლი აღენიშნება. მაგ. ყოველ თვეში 5 ან 6 დღიანი ხანგრძლივობით. როდესაც მოზარდს პირველად დაუფიქსირდება მენსტრუაცია, ცნობილი გახდება მისი ხანგრძლივობა. მაგ. თუ სისხლდენა 6 დღე

გაგრძელდა და დანარჩენი 24 დღე სისუფთავის პერიოდი ქონდა, გამომდინარე აქედან, შემდეგში მენსტრუაციის და სუფთად ყოფნის ხანგრძლივობა ამის მიხედვით განისაზღვრება. თუ ეს ადამიანი დაავადდა და ამის გამო სისხლდენა დაეწყო, მისი მენსტრუაციული ციკლის ხანგრძლივობა 6 დღით უნდა განისაზღვროს, სისუფთავის კი- 24 დღით.

მაგ. თუ მენსტრუაციის პერიოდის ხანგრძლივობა ყოველთვის 5 დღე იყო და 6 დღემდე გაიზარდა, ასეთ შემთხვევაში თუ ორჯერ კიდევ იგივე 6 დღე დაფიქსირდა, მაშინ ეს 6 დღიანი პერიოდი შევა ძალაში და საჭიროა შესაბამისად მოქცევა.

ჩვეულ ხანგრძლივობას გადაცილებული სისხლდენა თუ 10 დღეს არ გადასცილდა მენსტრუაციად ითვლება. ამ შემთხვევაში მენსტრუაციის პერიოდად 10 დღე-ღამე ჩაითვლება. მაგ. თუ ყოველ თვეში სისხლდენა 7 დღე გრძელდებოდა და შემდეგ მისი ხანგრძლივობა 10 დღეზე ავიდა მენსტრუაციის პერიოდად 10 დღე ჩაითვლება. თუ ასეთ შემთხვევაში სისხდენა 10 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდა მესტრუაციის პერიოდად წინა დღეების რაოდენობა ჩაითვლება, დანარჩენ დღეებში დაფიქსირებული სისხდენა კი დაავადების მიზეზით გამოწვეულად ჩაითვლება. მაგ. თუ მენსტრუაციის ხანგრძლივობა 7 დღე იყო და შემდეგ 12 დღეს გაგრძელდა, 7 დღე მენსტრუაციის პერიდად ჩაითვლება, ხოლო დანარჩენი 5 დღე დაავადების მიზეზით გამოწვეულ სისხლდენად.

თუ სისხლდენა ჩვეულ დროზე ადრე დაფიქსირდა და მისი ხანგრძლივობა 10 დღეზე მეტ ხანს არ გაგრძელდა მენსტრუაციად ითვლება, ხოლო თუ 10 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩვეული პერიოდი მენსტრუაციად, ზედმეტი დღეები კი დაავადებით გამოწვეულ სისხლდენად ითვლება. მაგ. ვთქვათ მესტრუაცია თვის დასაწყისში იწყებოდა და 5 დღე გრძელდებოდა. ამ შემთხვევაში კი 2 დღით ადრე დაიწყო და 10 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ 5 დღიან პერიოდს უნდა დავამატოთ წინა 2 დღე და ჯამში 7 დღიან მენსტრუაციულ პერიოდს მივიღებთ. დანარჩენ დღეებში დაფიქსირებული სისხლდენა კი დაავადებით გამოწვეულად ითვლება.

მენსტრუაციის დროს შეიძლება სისხლდენა დროებით შეწყდეს და შემდეგ ისევ გაგრძელდეს. ასეთ შემთხვევაში ჰანეფისა და შაფის მიხედვით სისხლდენის შეწყვეტის პერიოდიც მენსტრუაციის პერიოდში გადის. თუ სისხლდენის შეწყვეტა 10 დღეს არ სცილდება მხოლოდ დასაწყისში და დასასრულში რომ დაფიქსირდეს

სისხლდენა მთელი პერიოდი მენსტრუაციად ითვლება.

შეიძლება არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც სისტემატიური სისხლდენა აქვთ. ასეთი მანდილოსნების მენსტრუაციული ციკლის პერიოდის და ხანგრძლივობის დადგენა შემდეგნაირად ხდება: თუ ახალგაზრდა გოგონას პირველივე მენსტრუაციის შემდეგ სისტემატიური სისხლდენა დაეწყო, ყოველ თვეში 10 დღე მენსტრუაციად ეთვლება, ხოლო დანარჩენი 20 დღე სისუფთავის პერიოდად და შეუძლია ღვთისმსახურება შეასრულოს, ოღონდ როგორც დაავადებულმა, ანუ როგორც ზემოთ ვისაუბრეთ მიზეზიანმა.

თუ მოწესრიგებული მენსტრუაციული ციკლის მქონე მანდილოსანს რაიმე დაავადების შედეგად სისტემატიური სისხლდენა დაეწყება, ყოველ თვეში მენსტრუაციის პერიოდად იმდენი დღე ჩაეთვლება, რამდენ დღესაც ჯანმრთელობის დროს ქონდა, ხოლო დანარჩენი დღეები სისუფთავის პერიოდად ეთვლება.

სისტემატიური სისხლდენის შემთხვევაში თუ ქალს დაავიწყდა მენსტრუაციული ციკლის დრო და ხანგრძლივობა თავისი ვარაუდით გადაწყვეტს როდის ეწყებოდა და რა ხანგრძლივობით ქონდა მენსტრუაცია და იმის მიხედვით იმოქმედებს.

3) მენსტრუაცია თანამედროვე მედიცინის მიხედვით

დღეისათვის ქალის ფიზიოლოგია და კერძოდ მენსტრუაციის საკითხები მედიცინის მიერ საკმაოდ სრულყოფილადაა შესწავლილი და მის მიხედვით შესაძლებელია ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა. თავის დროზე ისლამის სწავლულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან აბსოლუტურ ჰარმონიაშია.

მედიცინის მიხედვით მენსტრუაციის დასაწყისად საშუალოდ 11-14 წლის ასაკი ითვლება. თუ პირველი მენსტრუაცია 16-18 წლის ასაკში დაფიქსირდა ამას "დაგვიანებული" მენსტრუაცია ჰქვია. 9 წლის ასაკამდე მენსტრუაციის დაფიქსირება ნაადრევ მომწოფებად ითვლება. 18 წელს მიღწეულ გოგონას თუ მენსტრუაცია არ გამოუვლინდება ეს მენსტრუაციის არარსებობას ნიშნავს და საჭიროა ექიმის კონსულტაცია. მომწიფების სიჩქარე დამოკიდებულია ოჯახურ და გარემო პირობებზე, აგრეთვე კვებაზე.

მომწიფებამდე, ორსულობის დროს, მშობიაროზიდან გარკვეულ პერიოდის მანძილზე მენსტრუაციის არქონა ნორმალურად ითვლება. ამ შემთხვევების გარდა მენსტრუაციის უქონლობა პათოლოგიად ითვლება. დაახლოებით 45-50 წლის ასაკში მენსტრუაცია საერთოდ წყდება. შესაძლებელია მენსტრუაცია შეწყდეს ამ ასაკამდე, ან უფრო გვიან.

მენსტრუაციული ციკლი უმეტესად 28 დღიან პერიოდში მეორდება. ქალის ასაკმა, ან სულიერმა მდგომარეობამ შეიძლება ეს პერიოდი უმნიშვნელოდ შეცვალოს. მენსტრუაციის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3-5 დღე, ან 2-8 დღე.

ბ) მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდი

ორსულობის პერიოდში მორწმუნე მანდილოსნისათვის ჩვეულებრივ ლოცვა და სხვა ღვთისმსახურების შესრულება სავალდებულოა. თუ აბდესთის აღება არ შეუძლია თეიმუმის მეთოდს მიმართავს და ლოცვას იმიტაციის მეთოდით ილოცავს. (იმიტაციის მეთოდით ლოცვის ლოცვას შემდეგ თავებში განვიხილავთ). ორსულობის დროს ლოცვის ლოცვის სხვა დროისათვის გადადება მიუღებელია.

მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდის ყველაზე მოკლე პერიოდი არ არის განსაზღვრული. ის შეიძლება მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდეს. ამ საკითხის შესახებ რაიმე აიათი ან ჰადისი არ არსებობს. ამ სიტუაციაში საჭიროა სისხლდენის რეალურად არსებობაზე დაკვირვება და იმის მიხედვით ხანგრძლივობის განსაზღვრა. ჰანეფის და ჰანბელის მიმდინარეობის თვალსაზრისით მშობიარობის შემდგომი სისხლდენის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი კი 40 დღეს შეადგენს. შაფიისა და მალიქის მიმდევრების აზრით კი ეს პერიოდი 60 დღემდე გრძელდება. თუმცა ეს მდგომარეობა ჩვეულებრივ 40 დღეს გრძელდება.

მშობიარობის შემდგომ 6 კვირის მანძილზე ქალის ორგანიზმში ორსულობის და მშობიარობის შედეგად განვითარებული ცვლილებების თავდაპირველ მდგომარეობაზე დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს. მშობიარობის შემდეგ ძალიან იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია სისხლდენა არც კი დაფიქსირდეს. ასეთი შემთხვევა თვით წმ. შუამავლის მოღვაწეობის დროს დაფიქსირებულა, როდესაც ერთ ქალბატონს მშობიარობის შემდეგ სისხლდენა არ ქონია.

მუცლად ყოფნის დროს თუ ნაყოფს სხეულის ორგანოები გამოკვეთილი აქვს და ქალს მუცელი მოეშლება განვითარდება სისხლდენა, რომელიც დაახლოებით 10-15 დღის განმავლობაში გრძელდება. თუ ნაყოფს ორგანოები არ ემჩნევა და ქალს მუცელი მოეშლება ეს სიტუაცია რელიგიურად, ზემოთ განხილულ წესებს არ ექვემდებარება. ამ დროს სისხლდენა, როგორც წესი სამ დღეს გრძელდება.

ებუ იუსუფის და იამამ მუჰამმედის აზრით მშობიარობის შემდეგ თუ სისხლდენა არ დაფიქსირდა ეს სიტუაცია ჩამოთვლილ წესებს არ ექვემდებარება და შესაბამისად მშობიარე მანდილოსანიც დიდ განბანვას არ საჭიროებს. მხოლოდ აბდესთის აღება, ანუ მცირე განბანვა საკმარისია. ებუ ჰანიფეს მოსაზრებით კი დიდი განბანვაა საჭირო.

მშობიარობის შემდგომ პერიოდში სისხლდენა შეიძლება დროდადრო შეწყდეს. პირველად დაფიქსირებული სისხლდენიდან სულ ბოლოს დაფიქსირებულ სისხლდენამდე ქალი "არასუფთად" ითვლება და ზემოთ ჩამოთვლილ წესებს უნდა დაექვემდებაროს. სისხლის შუალედური წყვეტა შეიძლება 15 დღეზე მეტხანს ან ნაკლებხანს გაგრძელდეს. ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

შაფის და მალიქის მიხედვით შუალედური სისხლდენის წყვეტის ხანგრძლივობა თუ 15 დღეზე მეტია ქალის მდგომარეობა "სისუფთავის პერიოდად" ითვლება.

გ) მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომის სისხლდენის პერიოდში და მის შემდგომ დასაცავი წესები

1) დიდი განბანვა. მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის დასრულების შემდეგ ქალი ვალდებულია დიდი განბანვა შეასრულოს. ლოცვის ლოცვის, მარხვის და ჰაჯობის მსგავსი ღვთისმსახურების შესასრულებლად ეს ფარზია. ყურანში მითითებულია, რომ ამ პერიოდში სქესობრივი კავშირი მიუღებელია.

2) პირველი მენსტრუაციის დაფიქსირებისას ბავშვი რელიგიური დებულებების მიმართ ზრდასრულად ითვლება. ბიჭებში კი ზრდასრულობა პოლუციის მოვლენის დაფიქსირებისას ხდება. ამის შემდეგ მოზარდი ვალდებულია ღვთისმსახურება შეასრულოს.

3) ლოცვის ლოცვის მოვალეობისგან განთავისუფლება. მენს-

ტრუაციის და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში ლოცვის ლოცვა მიუღებელია. ამ პერიოდში გაცდენილი ლოცვის ანაზღაურება ქალებს არ ევალებათ.

4) სავალდებულო მარხვის შეწყვეტა და სხვა დროისათვის გადადება. მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში რამაზნის მარხვის დაცვა მიუღებელია. შემდეგ კი გაცდენილი დღეების ანაზღაურება აუცილებელია.

5) ქააბაში ტავაფის შეუსრულებლობა. ამ მდგომარეობაში მყოფი მანდილოსანი ქააბაში ჰაჯობის ან უმრეს დროს ტავაფს ვერ შეასრულებს. სხვა რიტუალების შესრულება შეუძლია.

6) ასეთ დროს ყურანზე ხელის შეხება და ყურანის კითხვა მიუღებელია. მალიქის მიმდინარეობის გარდა ყველა მიმდინარეობა მიიჩნევს, რომ ასეთ დროს ყურანის კითხვა და მასზე ხელის შეხება მიუღებელია. ამის მტკიცებულება როგორც ყურანში, ისე სუნნეთშია.

لَا يَمَسُّهُ إِلَّا الْمُطَهَّرُونَ

ვერ მიეკარება მას, თვინიერ განწმენდილთა. “ვაყია 56/79. “

სწავლების მიზნით სხვა რელიგიური წიგნების კითხვა მიღებულია. ასევე დასაშვებია ზეპირად ყურანის სიტყვების შესწავლება.

მალიქის მიმდინარეობის მიხედვით ასეთ დროს ქალს შეუძლია ზეპირად წაიკითხოს ან ასწავლოს ყურანის აიათები. ჰანფის მიხედვით კი ამ მდგომარეობაში ვედრების შემცველი აიათების ვედრების მიზნით კითხვა დასაშვებია.

იმამ მალიქის აზრით “ჯუნუბი” (სქესობრივი კავშირის შემდგომი მდგომარეობა) ადამიანი ყურანს ვერ წაიკითხავს, ხოლო მენსტრუაციის ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში მყოფ ნამდილოსანს ყურანის კითხვა შეუძლია. ეს იმიტომ, რომ “ჯუნუბის” შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეიძლება განბანვა, მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში კი განბანვისათვის შესაბამისი დროის მოსვლაა საჭირო. ეს დებულება ისთიჰსანის გზითაა მიღებული და ყურანის მასწავლებელ მანდილოსნებისათვის გაიოლების ერთ-ერთი მაგალითია.

7) მეჩეთში შესვლისგან თავის შეკავება. რადგან ასეთ დროს

ლოცვის ლოცვა მიუღებელია, შესაბამისად არც მეჩეთში შესვლა შეიძლება. თუმცა სერიოზული მიზეზის შემთხვევაში ასეთ დროს მეჩეთში შესვლა შეიძლება, მაგრამ ღვთისმსახურების მიზნით -არა.

8) სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავება. ყურანში ნაბრძანებია, რომ ასეთ დროს ქალზე შეხება მიუღებელია. შეხებაში სქესობრივი კავშირია ნაგულისხმევი. ჰადისში ნაბრძანებია, რომ ქმარს შეუძლია სქესობრივი კავშირის გარდა ყველანაირი ურთიერთობა გააგრძელოს მეუღლესთან, თუმცა ამ დროს მანდილოსანს მუცლიდან მუხლებამდე სხეული დაფარული უნდა ჰქონდეს. ისლამის ზოგიერთი სწავლულის აზრით ასეთ დროს სქესობრივი კავშირის დამყარება სასჯელს არ იმსახურებს, მაგრამ რახან არამი ქმედება განხორციელდა მონანიება აუცილებელია.

9) მენსტრუაციის და მშობიაროზის შემდგომი სისხლდენის პერიოდის განქორწინების დროს გათვალისწინება. მენსტრუაციის დროს ცოლთან განშორება, ანუ განქორწინება მიუღებელია. ამის მიუხედავად განქორწინება შეიძლება ძალაში დარჩეს. აიათში ნაბრძანაბია:

يَا أَيُّهَا النَّبِيُّ إِذَا طَلَّقْتُمُ النِّسَاءَ فَطَلِّقُوهُنَّ لِعِدَّتِهِنَّ وَأَحْصُوا الْعِدَّةَ وَاتَّقُوا اللَّهَ رَبَّكُمْ لَا تُخْرِجُوهُنَّ مِنْ بُيُوتِهِنَّ وَلَا يَخْرُجْنَ إِلَّا أَنْ يَأْتِينَ بِفَاحِشَةٍ مُبَيِّنَةٍ وَتِلْكَ حُدُودُ اللَّهِ وَمَنْ يَتَعَدَّ حُدُودَ اللَّهِ فَقَدْ ظَلَمَ نَفْسَهُ لَا تَدْرِي لَعَلَّ اللَّهَ يُحْدِثُ بَعْدَ ذَلِكَ أَمْرًا

ჰეი, შუამავალო! როცა გაეყრებით ცოლებს, მაშინ გაეყარეთ დადგენილი ვადის დაცვით და გადაითვალეთ დადგენილი ვადა, გეშინოდეთ ალლაჰის, თქვენი ღმერთის! არ გააძევოთ ისინი სახლებიდან და არც ისინი წავიდნენ, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. აი, ესაა ალლაჰის დადგენილი ნორმები, ხოლო ვინც გადასცდება ალლაჰის დადგენილ ნორმებს, ის საკუთარ თავს მოექცევა უსამართლოდ. შენ ვერ მიხვდები, ეგების ალლაჰმა ამის შემდგომ შეცვალოს მდგომარეობა. “თალაქ 65/1.”

აქ ნაგულისხმევია ქალი სისუფთავის პერიოდი. გარდა ამისა აბდულლაჰ იბნ ომერს, რომელმაც მენსტრუაციის პერიოდში მყოფ მეუღლეს გაშორდა უბრძანა, დაბრუნებოდა თავის ცოლს და შემდეგ, სისუფთავის, ან თუნდაც ორსულობის პერიოდში გაშორებოდა. ეს რაც შეეხებოდა მენსტრუაციას. მშობიაროზის შემდგომი სისხლდენის პერიოდში ქალთან განქორწინების შესახებ აიათი ან ჰადისი არ მოიპოვება. თუმცა “ყიასის” გზით, ამ შემთხვევაში მენსტრუაციასთან შედარების გზით მიღებულია დებულება, რო-

მელიც ამ მდგომარეობას მენსტრუაციის მსგავს წესებს უქვემდებარებს. ამასთან ერთად ასეთი განქორწინება ქმედითად ითვლება და ქალი შემდეგ გათხოვებამდე ვალდებულია სამი მენსტრუაციის და სისუფთავის პერიოდი მოიცადოს. ორსული ქალის მოსაცდელი პერიოდი კი მშობიარობამდე გრძელდება.

დ) რაიმე დაავადების შედეგად გამოწვეული სისხლდენა.

მენსტრუაციის, ან მშობიარობის შემდგომი პერიოდის გარდა ქალს შეიძლება რაიმე დაავადების შედეგად სისხლდენა დაეწყოს. ზემოთ განხილულ შემთხვევებში მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდების მინიმალური და მაქსიმალური საზღვრების დადგენის მცდელობის მიზანი ასეთ მომენტებში არსებული სისხლდენის დაავადებით გამოწვეული სისხლდენისგან გარჩევა იყო. გამომდინარე აქედან მენსტრუაციის დროს 3 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი, ხოლო მშობიარობის შემდგომი სისხლდენის 40 დღეზე მეტი დროის განმავლობაში დაფიქსირება დაავადებით გამოწვეულ სისხლდენად ითვლება და ეს მდგომარეობა შესაბამის წესებისადმი დაქვემდებარებას საჭიროებს.

მანდილოსნის სასქესო ორგანოდან წამოსული დაავადებით გამოწვეული სისხლდენა იგივენაირად განიხილება, როგორც ცხვირიდან, ან ჭრილობიდან სისტემატიური სისხლდენა, ან თუნდაც შარდის შეუკავებლობა და მხოლოდ მცირე განბანვას საჭიროებს. თუ ასეთი მიზეზი აბდესთის აღებისა და ლოცვისათვის საკმარისი დროითაც არ წყდება და ლოცვისთვის განკუთვნილი დროის განმავლობაში გრძელდება, ხოლო შემდგომი ლოცვების განმავლობაში ერთხელაც დაფიქსირდება ეს ადამიანი მიზეზიანად ითვლება. მიზეზიანი ადამიანის შესახებ წინა თავებში ვისაუბრეთ და ღვთისმსახურების შესრულების დროს ისინი განსაკუთრებული წესებითა და გაადვილებით სარგებლობენ. მათ არ ეკრძალებათ ისეთი ქმედებების შესრულება, რაც “ჯუნუბს”, მენსტრუაციის მქონეს, ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში მყოფ მანდილოსანს ეკრძალებოდა. ისლამი მიზეზიან მორწმუნეებს გარკვეულ შეღავათებს სთავაზობს.

დაავადებით გამოწვეული სისხლდენა აბდესთს შლის. ეს ჰადისითაა დამტკიცებული. ჰადისის თანახმად წმ. შუამავალს ფათმა ბინთი ები ჰუბეიშისთვის, რომელსაც დაავადებით გამოწვეული

სისხლდენა აწუხებდა და ვერ სუფთავდებოდა უბრძანებია:

“ ასეთ სისხლდენას დაზიანებული ვენა იწვევს. ეს არ არის მენსტრუაცია. მენსტრუაციის დრო რომ მოვა ლოცვი აღარ ილოცო, საჭირო პერიოდის გასვლას დაელოდე და მერე დიდი განბანვა შეასრულე. შემდეგ კი ლოცვი ილოცე!”

გარდა ამისა ცნობილია ჰადისი, რომლის თანახმად წმ. შუამავალმა მსგავს მდგომარეობაში მყოფ ჰამნე ბინთი ჯაშს მარხვა და ლოცვის ლოცვა უბრძანა.

ჰანეფის, შაფიის და ჰანბელის მიმდინარეობების მიხედვით დაავადებით გამოწვეული სისხლდენის შემთხვევაში საჭიროა მოწმენდა, ბამბის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით მაქსიმალური სისუფთავის უზრუნველყოფა, რის შემდეგაც ყოველი ლოცვისთვის ცალკე აბდესთის აღება და ლოცვა შესაძლებელია. ასეთი აბდესთი, აბდესთის მომშლელი სხვა ფაქტორი თუ არ დაფიქსირდა შემდეგი ლოცვის დროის მოსვლამდე ქმედითია და დაავადებით გამოწვეული სისხლდენა, ანუ იგივე მიზეზი აბდესთს არ შლის.

დაავადებით გამოწვეული სისხლდენა შეიძლება ადრეულ ბავშვობაში, ან მენსტრუაციული ციკლის მთლიანად შეწყვეტის შემდგომ პერიოდში გამოვლინდეს. მაგ. 70 წლის მანდილოსანს თუ სისხლდენა დაეწყება ეს დაავადებით გამოწვეული სისხლდენაა.

დაავადებით გამოწვეული სისხლდენის დროს მენსტრუაციის პერიოდის დადგენა:

1) ახალგაზრდა გოგონას თუ პირველივე მენსტრუაციის შემდეგ დაავადებით გამოწვეული სისხლდენა დაეწყო და სისტემატიურად გაგრძელდა ყოველი თვის 10 დღე მენსტრუაციის პერიოდად, ხოლო დანარჩენი 20 დღე სისუფთავის პერიოდად ეთვლება. მშობიაროზის შემდგომი სისხლდენის პერიოდი კი 40 დღითაა განსაზღვრული.

2) მოწესრიგებული მენსტრუაციული ციკლის მქონე ქალს თუ დაავადებით გამოწვეული სისხლდენა დაუფიქსირდება მენსტრუაციის დროის გასვლის შემდეგ წამოსული სისხლი დაავადებით გამოწვეულად ეთვლება და შესაბამის წესებს დაექვემდებარება.

3) მენსტრუაციის ციკლის და ხანგრძლივობის დავიწყების შემთხვევაში თუ ქალს დაავადებით გამოწვეული სისხლდენა დაეწყო ყველაზე საეჭვო მომენტს აიღებს და იმის მიხედვით იმოქმედებს.

თავი მეოთხე

ლოცვის აღვლენა

* ლოცვის აღვლენის მნიშვნელობა
* ლოცვის აღვლენის დრო
* ეზანი(ლოცვისთვის დაძახება, მოპატიჟება) და ყამეთი
* ლოცვის აღვლენის სახეები და მუხლები
* ლოცვის პირობები პირობები
* კითხვის დროს შეცდომის დაშვება
* მამაკაცის და ქალის ერთ რიგში ლოცვა
* კოლექტიურად ლოცვის აღსრულება
* იმამი. იმამობა
* ხუთი დროის ლოცვის აღსრულების ფორმები
* ბაირამის (სადღესასწაულო) ლოცვის აღსრულება
* ნაფილე (დამატებითი) ლოცვის აღვლენა
* ჯენაზე (მიცვალებულის) ლოცვის აღვლენა
* საფლავის მონახულება

I – ლოცვის აღვლენის მნიშვნელობა

ა) ლოცვის აღვლენის ცნება

მორწმუნე ადამიანის მიერ გაკეთებული ყოველი ქმედება, რომელიც ღმერთისთვის მისაღები და მოსაწონია ღვთისმსახურებად ითვლება. დიადმა ღმერთმა ადამიანები და ჯინები მხოლოდ იმსათვის გააჩინა, რომ შეიცნონ გამჩენი და თაყვანი სცენ მას. ღვთისმსახურება შეიძლება შესრულდეს სხეულით, ქონებით, ან ორივეთი ერთად. ლოცვის აღვლენა და მარხვა სხეულით შესრულებული ღვთისმსახურების მაგალითებია, ხოლო ზექათი (მდიდარი მუსლიმანის მიერ გაცემული სავალდებულო მოწყალება) ქონებით შესრულებულ ღვთისმსახურებას წარმოადგენს. ჰაჯობა, ანუ მექაში მომლოცველად წასვლა და წმინდა ადგილების მოლოცვა ითვლება როგორც სხეულით, ისე ქონებით შესრულებულ ღვთისმსახურებად. ყველა მათგანის შესრულების დრო, რაოდენობა და ფორმები ყურანში და წმ. შუამავლის სუნნეთშია გადმოცემული. ყურანში ნახსენები ყველა სახის ღვთისმსახურება წმ. შუამავლის მიერ მრავალგზის განმარტებულია, როგორც სიტყვიერად, ისე ქცევით. გამომდინარე აქედან ისლამის საზოგადოებას ამ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტების ან ცვლილებების შეტანის უფლება არ გააჩნია.

ფარზებს შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ლოცვის აღსრულებაა. განკითხვის დღეს ადამიანს რწმენის (იმანი) შემდეგ ლოცვის აღსრულების შესახებ მოუწევს განკითხვა. ლოცვის აღსრულება ყველაზე მთავარი გამოხატულებაა რწმენისა, რომლითაც საზოგადოება ადამიანს მორწმუნედ აღიქვამს. ლოცვა გულიდან წამოსული სულიერების ნაწილი, შინაგანი სამყაროს სილაღე, სულის საკვები, მორწმუნის ზეამაღლება და გამჩენსა და ადამიანს შორის პირდაპირი კონტაქტის საშუალებაა.

სალა (ლოცვი) ლექსიკონში ლოცვას, ვედრებას, ქება-დიდებას, სიკეთისათვის ვედრებას ნიშნავს. დიადი ღმერთი აიათში ბრძანებს:

خُذْ مِنْ اَمْوَالِهِمْ صَدَقَةً تُطَهِّرُهُمْ وَتُزَكِّيهِمْ بِهَا وَصَلِّ عَلَيْهِمْ اِنَّ صَلٰوتَكَ سَكَنٌ لَهُمْ وَاللّٰهُ سَمِيعٌ عَلِيمٌ

აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და

განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია! “ თევბე 9/103. “

როგორც ტერმინი დოგმაში, სალა არის თექბირით დაწყებული და სელამით დამთავრებული ღვთისმსახურების ფორმა, რომელიც კონკრეტული სიტყვებისა და მოქმედებებისგან შედგება.

ისლამამდელ ზეციურ სარწმუნოებებშიც ნაბრძანები იყო ლოცვის აღსრულება. ამის შესახებ ყურანში სხვა და სხვა აიათებია წარმოდგენილი:

رَبَّنَا اِنّ ی اَسۡکَنۡتُ مِنۡ ذُرِّیَّت ی بِوَادٍ غَیۡرِ ذ ی زَرۡعٍ عِنۡدَ بَیۡتِکَ الۡمُحَرَّمِ رَبَّنَا لِیُق یمُوا الصَّلٰوۃَ فَاجۡعَلۡ اَفۡـِٕدَۃً مِنَ النَّاسِ تَهۡو ی اِلَیۡهِمۡ وَارۡزُقۡهُمۡ مِنَ الثَّمَرَاتِ لَعَلَّهُمۡ یَشۡکُرُونَ

ღმერთო ჩვენო! უეჭველად, მე დავასახლე ნაწილი ჩემი შთამომავლებისა უნაყოფო ხეობაში, შენი წმინდა სახლის მახლობლად, რათა ლოცვა აღავლინონ. ზოგი ადამიანის გულში გააღვივე მათდამი კეთილგანწყობა, და ნაყოფთაგან უწყალობე სარჩო, ეგების შეიქმნან მადლიერნი! “იბრაჰიმ 14 /37. “

رَبِّ اجۡعَلۡن ی مُق یمَ الصَّلٰوۃِ وَمِنۡ ذُرِّیَّت ی رَبَّنَا وَتَقَبَّلۡ دُعَاءِ

ღმერთო ჩემო! მქმენ მეც და ჩემი შთამომავალნიც, ლოცვის მართებულად აღმსრულებელნი. ღმერთო ჩვენო! შეისმინე ჩემი ვედრება! “იბრაჰიმ 14 /40. “

وَوَهَبۡنَا لَهٗ اِسۡحٰقَ وَیَعۡقُوبَ نَافِلَةً وَکُلًّا جَعَلۡنَا صَالِح ینَ

وَجَعَلۡنَاهُمۡ اَئِمَّةً یَهۡدُونَ بِاَمۡرِنَا وَاَوۡحَیۡنَا اِلَیۡهِمۡ فِعۡلَ الۡخَیۡرَاتِ وَاِقَامَ الصَّلٰوۃِ وَا یتَاءَ الزَّکٰوۃِ وَکَانُوا لَنَا عَابِد ینَ

და ჩვენ ვაჩუქეთ მას ისჰაყი და კიდევ იაღყუბი, და ვქმენით ისინი მართლებად!

ჩვენ დავადგინეთ ისინი წინამძღოლებად, რომლებიც ჩვენი ბრძანებით სწორ გზაზე ადგენდნენ. ჩვენ შთავაგონებდით მათ სიქველე ეკეთებინათ, ელოცათ, გაეღოთ ზექათი და ისინი მხოლოდ ჩვენი თაყვანისმცემელნი იყვნენ! “ენბია 21 /72/73. “

یَا بُنَیَّ اَقِمِ الصَّلٰوۃَ وَاۡمُرۡ بِالۡمَعۡرُوۡفِ وَانۡهَ عَنِ الۡمُنۡکَرِ وَاصۡبِرۡ عَلٰی مَا اَصَابَکَ اِنَّ ذٰلِکَ مِنۡ عَزۡمِ الۡاُمُوۡرِ

ჰეი, შვილო ჩემო! აღავლინე ლოცვა, უბრძანე აკეთონ კეთილი, აუკრძალე აუგი და მოითმინე ის, რაც თავს დაგატყდეს. უეჭველად, ეს კატეგორიულად გასაკეთებელი საქმეებია! „ლოყმან 31/17 : “

იბრაჰიმის შემდეგ მუსასაც მიმართავს ღმერთი:

اِنَّن ی اَنَا اللّٰهُ لَا اِلٰهَ اِلَّا اَنَا فَاعْبُدْن ی وَاَقِمِ الصَّلٰوةَ لِذِكْر ی

უეჭველად, მე ვარ ალლაჰი! არ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. მაშ, მხოლოდ მე მეცი თაყვანი და ლოცვად დადექი ჩემი გახსენებისათვის! “ტაჰა 20/14. “

სხვა აიათში წმ. მოსეს და მის ძმას ჰარუნს უბრძანებს შემდეგს: ‘

وَاَوْحَيْنَا اِلٰى مُوسٰى وَاَخ یهِ اَنْ تَبَوَّاٰ لِقَوْمِكُمَا بِمِصْرَ بُيُوتًا وَاجْعَلُوا بُيُوتَكُمْ قِبْلَةً وَاَق یمُوا الصَّلٰوةَ وَبَشِّرِ الْمُؤْمِن ینَ

და ჩვენ შთავაგონეთ მუსას და მის ძმას: რომ მოუმზადეთ სახლები ეგვიპტეში თქვენს ხალხს, და აქციეთ სახლები თქვენი ყიბლედ და დადექით ლოცვად. მაშ, ახარე მორწმუნენთ! “იუნუს 10/87. “

სხვა აიათში წმ. შუღაიბს უბრძანებს ლოცვის შესახებ:

قَالُوا یَا شُعَیْبُ اَصَلٰوتُكَ تَاْمُرُكَ اَنْ نَتْرُكَ مَا یَعْبُدُ اٰبَاؤُنَا اَوْ اَنْ نَفْعَلَ ف ی اَمْوَالِنَا مَا نَشٰٓؤُ اِنَّكَ لَاَنْتَ الْحَل یمُ الرَّش یدُ

უთხრეს : „ჰეი, შუღეიბ! ნუთუ შენი ლოცვა გიბრძანებს, რომ უარი ვთქვათ იმაზე, რასაც ჩვენი მამები თაყვანს სცემენ, ან არ განვკარგოთ ჩვენი ქონება ისე, როგორც თავად გვსურს? უეჭველად, შენ ლმობიერი და ჭკვიანი ხარ !“ “ჰუდ 11/87. “

წმ. შუამავლი იესო კი სასწაულებრივად ალაპარაკდა ჯერ კიდევ ჩვილობაში და თქვა, რომ ის ნამდვილად იყო მონა-მსახური ღვთისა, რომელმაც უბოძა მას წმინდა წიგნი და უწყალობა შუამავლობა ღმერთსა და ადამიანებს შორის. აგრეთვე უბრძანა ლოცვის აღსრულება და ზექათის გაცემა. მექას პერიოდის დასაწყის წლებში ანგელოზი ჯიბრილი მოევლინა წმ. მუჰამმედს და აქაბეში წაიყვანა. იქ ჯერ ჯებრაილმა აიღო აბდესთი, შემდეგ წმ. შუამავალმა,

რის შემდეგაც ორი მუხლი ლოცვა აღასრულეს. ამის შემდეგ წმ. მუჰამმედი აღფრთოვანებული დაბრუნებულა სახლში და თავისი მეუღლე წაუყვანია იგივე ადგილას. ორივეს აბდესთი აუღიათ და ერთად ულოციათ. ზოგიერთი სწავლულის აზრით შემდეგი აიათები ამ ფარულად აღსრულებული ლოცვის შესახებაა მოვლენილი:

قُلِ ادْعُوا اللّٰهَ اَوِ ادْعُوا الرَّحْمٰنَ اَيًّا مَا تَدْعُوا فَلَهُ الْاَسْمَاءُ الْحُسْنٰى وَلَا تَجْهَرْ بِصَلَاتِكَ وَلَا تُخَافِتْ بِهَا وَابْتَغِ بَيْنَ ذٰلِكَ سَب يلا

უთხარი: „მოუხმეთ ალლაჰს ან მწყალობელს! როგორც უნდა უხმოთ, ყველა მშვენიერი სახელია მისი .“ და არ აუწიო ხმას ლოცვაში და არც დაუწიო მას, ამ ორ შორის საშუალო გზა დაიდგინე! “ისრა 17/110,“

وَاذْكُرْ رَبَّكَ ف ى نَفْسِكَ تَضَرُّعًا وَخ يفَةً وَدُونَ الْجَهْرِ مِنَ الْقَوْلِ بِالْغُدُوِّ وَالْاٰصَالِ وَلَا تَكُنْ مِنَ الْغَافِل ينَ

და გულში ახსენე ღმერთი შენი მოწიწებით და შიშით, და არა ხმამაღალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგუნურთაგანი! „ეღრაფ 7/205. “

ისლამის აღმოცენების პერიოდში ლოცვა დღეში მხოლოდ ორჯერ, დილას მზის ამოსვლამდე და საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ ორ-ორი მუხლი სრულდებოდა. მოგვიანებით მირაჯის ღამეს ხუთი დროის ლოცვის აღსრულება სავალდებულო გახდა. გავრცელებული აზრის მიხედვით მირაჯის ღამის მეორე დღეს ანგელოზი ჯიბრილი წმ. შუამავალს ლოცვის აღსრულების დროების შესწავლების მიზნით ქააბაში ლოცვის აღვლენას ასწავლიდა.

ბ)მტკიცებულებები, რომელთაც ლოცვის აღვლენის აუცილებლობას საჭიროებს.

ლოცვა, როგორც სავალდებულო აღსასრულებელი ეყრდნობა წმ. წიგნის, სუნნეთის და იჯმას მტკიცებულებებს.

სიტყვა “სალაათ” –ი, რომელიც ლოცვა ნიშნავს ყურანში 78 აიათში მხოლობით ფორმაში ნახსენები, ხოლო 5 აიათში მრავლობითში. 3 აიათში ნახსენებია, როგორც ლოცვის აღმსრულენი (მუსელლინ). 14 აიათში ბრძანების სახითაა მოცემული; “ლოცვა აღსრულეთ!” 4

აიათში “ლოცვა აღასრულეთ!” ეს ბრძანებაა მოცემული. 24 აიათში წარსულ დროშია ნახსენები “ლოცვის აღმვლენები”. 10-მდე აიათში კი ლოცვის აღვლენა, როგორც ზმნა ისეა წარმოდგენილი. გარდა ამისა მრავალ ჰადისშია ლოცვის შესახებ საუბარია.

გამომდინარე აქედან ნათლად ჩანს ლოცვის მნიშვნელობა და მისი ადგილი ისლამის სარწმუნოებაში.

გთავაზობთ რამოდენიმე აიათს, სადაც ლოცვის აღვლენის შესახებაა საუბარი:

فَاِذَا قَضَيْتُمُ الصَّلٰوةَ فَاذْكُرُوا اللّٰهَ قِيَامًا وَّقُعُوْدًا وَّعَلٰى جُنُوْبِكُمْ فَاِذَا اطْمَاْنَنْتُمْ فَاَقِيْمُوا الصَّلٰوةَ اِنَّ الصَّلٰوةَ كَانَتْ عَلَى الْمُؤْمِنِيْنَ كِتٰبًا مَّوْقُوْتًا

და როცა ლოცვა დაასრულოთ, „ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი“ . და როცა უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულეთ სრულად. უეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია განსაზღვრულ დროს. “ნისა 4/103“,

وَمَآ اُمِرُوْٓا اِلَّا لِيَعْبُدُوا اللّٰهَ مُخْلِصِيْنَ لَهُ الدِّيْنَ حُنَفَآءَ وَيُقِيْمُوا الصَّلٰوةَ وَيُؤْتُوا الزَّكٰوةَ وَذٰلِكَ دِيْنُ الْقَيِّمَةِ

მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალღმერთიანობისგან შორს, გულწრფელად თაყვანისცემა ალლაჰისა; და აღევლინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი, და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება! „ბეიინე 98/5,“

وَجَاهِدُوْا فِى اللّٰهِ حَقَّ جِهَادِهٖ ۚ هُوَ اجْتَبٰىكُمْ وَمَا جَعَلَ عَلَيْكُمْ فِى الدِّيْنِ مِنْ حَرَجٍ ۚ مِلَّةَ اَبِيْكُمْ اِبْرٰهِيْمَ ۚ هُوَ سَمّٰىكُمُ الْمُسْلِمِيْنَ مِنْ قَبْلُ وَفِىْ هٰذَا لِيَكُوْنَ الرَّسُوْلُ شَهِيْدًا عَلَيْكُمْ وَتَكُوْنُوْا شُهَدَآءَ عَلَى النَّاسِ ۚ فَاَقِيْمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَاعْتَصِمُوْا بِاللّٰهِ ۚ هُوَ مَوْلٰىكُمْ ۚ فَنِعْمَ الْمَوْلٰى وَنِعْمَ النَّصِيْرُ

გაისარჯეთ ალლაჰისთვის სათანადო ბრძოლით. მან აგირჩიათ და არ დაუდგენია თქვენთვის არანაირი სიძნელე სარწმუნოებაში. ეს მამათქვენის, იბრაჰიმის სარწმუნოებაა. (ალლაჰმა) გიწოდათ თქვენ მუსლიმები უწინ და აქ (ყურანში), რათა შუამავალი ყოფილიყო მოწმედ თქვენდა, თქვენ კი ყოფილიყავით მოწმედ ხალხისა. შეასრულეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და მტკიცედ ჩაეჭიდეთ ალლაჰს. იგია თქვენი მფარველი. რა მშვენიერი მფარველია! რა მშვენიერი შემწეა! „ჰაჯ 22/78, „

حَافِظُوْا عَلَى الصَّلَوَاتِ والصَّلٰوةِ الْوُسْطٰى وَقُوْمُوا لِلّٰهِ قَانِتِيْنَ

დაიცავით ლოცვები და შუა ლოცვა, და მოკრძალებით დადექით ალლაჰის წინაშე. „ბაყარა 2/238. “

რაც შეეხება ლოცვის შესახებ გადმოცემულ ჰადისებს წარმოგიდგენთ რამოდენიმეს:

აბდულლაჰ იბნ ომერის გადმოცემით წმ. შუამავალს უბრძანებია: “ისლამი ხუთ რამეზეა დამყარებული; შაჰადა (წარმოთქმა იმისა, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია), ლოცვის აღსრულება, ზექათის გაცემა, ჰაჯობა და რამაზნის თვეში მარხვა.”

როდესაც წმ. შუამავალი მუღაზ იბნ ჯებელს იემენში გზავნიდა ასე დაუბარებია: “შენ წმ. წიგნის ხალხში მიდიხარ. უპირველესად მოუწოდე ირწმუნონ და თაყვანი სცენ ერთადერთ ღმერთს. თუ იწამეს უთხარი რომ დღე- ღამეში ხუთი დროის ლოცვა აღასრულონ. თუ ილოცეს უთხარი, რომ მდიდრებმა ზექათის სახით მოწყალება უნდა გასცენ ღარიბებზე. თუ დათანხმდნენ აიღე მათგან ზექათი. ადამიანის ქონებიდან საუკეთესო არ აიღო. ერიდე დაჩაგრულის წყევლას, რადგან მის ვედრებასა და ღმერთს შორის ფარდა არ არსებობს! “

გარდა ამისა მთელი ისლამური საზოგადოება ხუთი დროის ლოცვის აღსრულების შესახებ აზრთა თანხვედრის მდგომარეობაშია.

ლოცვის აღსრულება ჰიჯრამდე, მირაჯის ღამეს გახდა ფარზი (სავალდებულო). ეს ურყევი მტკიცებულებებითაა დადასტურებული. ენესის გადმოცემულ ჰადისში ნათქვამია, რომ მირაჯის ღამეს ორმოცდაათი დროის ლოცვის აღსრულება ებრძანა შუამავალს, მაგრამ წმ. შუამავლის თხოვნის საფუძველზე ხუთ დრომდე ჩამოვიდა, თუმცა ხუთი დროის ლოცვის აღმსრულეს ორმოცდაათი დროის ლოცვის აღსრულების ტოლფასი მადლი ენიჭება. იგივე შინაარსის ჰადისი აქვთ გადმოცემული ბუჰარისა და მუსლიმს.

ლოცვის მნიშვნელობის გასაგებად შემდეგი ჰადისებიც საკმარისია:

“ლოცვა სარწმუნოების დედაბოძია!”

“ლოცვის აღსრულების დროს სეჯდეზე მყოფი მონა-მსახური თავის გამჩენთან ყველაზე ახლო მდგომარეობაშია.”

ლოცვის აღსრულება ყოველი ზრდასრული და ჭკუასრული მუსლიმისათვის ფარზია (აუცილებლად შესასრულებელია). თუმცა 7 წლის ასაკს მიღწეულ ბავშვებზეც შეიძლება ლოცვის აღსრულების დავალება. ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი თუ ლოცვას არ აღასრულებს სწავლების მიზნით მსუბუქად დასჯაც დასაშვებია. ამ საკითხის შესახებ არსებობს ჰადისი: “ შვიდი წლის ბავშვს ლოცვის აღსრულება უბრძანეთ, ათი წლისა თუ არ ილოცავს სწავლების მიზნით მსუბუქად გალახეთ და ამ ასაკში ბავშვები ცალკ-ცალკე დააწვინეთ. “

დღე-ღამის განმავლობაში სალოცავი ლოცვების რაოდენობა ხუთს შეადგენს. ვითირ ლოცვა და ბაირამის (სადღესასწაულო) ლოცვა ვაჯიბია.

გ) ლოცვის აღსრულების სასარგებლო მხარეები

ლოცვა, ღვთისგან ნაბოძები უთვალავი წყალობისათვის მადლიერების გამოხატულებაა. ლოცვას გააჩნია რელიგიური, პიროვნული, სოციალური და აღმზრდელობითი სასარგებლო თვისებები.

1)ლოცვის რელიგიური დადებითი მხარეები.

ლოცვა ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთკავშირის საშუალებაა. ეს ურთიერთკავშირი სარწმუნოების დედაბოძი და საძირკველია. ხუთი დროის ლოცვას, თავის წესითა და რიგით ლოცვის შემთხვევაში მორწმუნეს ცოდვები ეპატიება და ღმერთის წყალობით გადარჩება. ეს აიათებში და ჰადისებშია გადმოცემული:

اُتْلُ مَا اُوحِیَ اِلَیْكَ مِنَ الْكِتَابِ وَاَقِمِ الصَّلٰوةَ اِنَّ الصَّلٰوةَ تَنْهٰی عَنِ الْفَحْشَاءِ وَالْمُنْكَرِ وَلَذِكْرُ اللّٰهِ اَكْبَرُ وَاللّٰهُ یَعْلَمُ مَا تَصْنَعُونَ

წაიკითხე ის, რაც შთაგეგონა წიგნიდან და აღავლინე ლოცვა. უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს. და რა თქმა უნდა, ალლაჰის ხსენება მნიშვნელოვანია. და ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიხართ! “ანქებუთ 29/45,“

قَدۡ اَفۡلَحَ الۡمُؤۡمِنُوۡنَ

უეჭველად, ნეტარ არიან მორწმუნენი! „მუ'მინუნ 23/1. “

წმ. შუამავალმა თურმე ერთხელ შეეკითხა თავის მეგობრებს: -თქვენი სახლის წინ მდინარე რომ ჩამოდიოდეს და ამ მდინარეში დღეში ხუთჯერ ბანაობდეთ სხეულზე ჭუჭყი შეგრჩებათ? – არაო – უპასუხეს მეგობრებმა. – ხუთი დროის ლოცვაც ასეა. – ბრძანა წმ. შუამავალმა. – როგორც წყალი ასუფთავებს ჭუჭყს, ისე ლოცვები ცოდვებს!

სხვა ჰადისში შემდეგია მოცემული: “დიდ ცოდვას თუ არ ჩაიდენთ, ხუთი დროის ლოცვა და ჯუმის ლოცვა, მეორე ჯუმის ლოცვამდე ჩადენილ ცოდვებს გადაფარავს! “

2) ლოცვის, ადამიანის პიროვნებისათვის სასარგებლო მხარეები

ლოცვა ადამიანს თავის გამჩენთან აახლოებს. აძლიერებს მის სულსა და ნებისყოფას. ადამიანს აჩვევს მოთმინებასა და მადლიერებას. ყოვლედღე, გარკვეული პერიოდულობით ლოცვის მლოცველი მორწმუნე ამქვეყნიური შურის, ბოროტების და მოჩვენებითობისგან თავისუფლდება. წრფელი გულითა და დიდი გრძნობით აღვლენილი ლოცვა ადამიანს განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობაში აყენებს.

وَاسۡتَعِيۡنُوۡا بِالصَّبۡرِ وَالصَّلٰوةِ وَاِنَّهَا لَكَبِيۡرَةٌ اِلَّا عَلَى الۡخٰشِعِيۡنَ

ლოცვითა და მოთმინებით ითხოვეთ შეწევნა (ღმერთისგან). უთუოდ, ძნიადია იგი, თვინიერ მოკრძალებულნისა. “ბაყარა 2/45.”

წმ. შუამავალი ერთ-ერთ ჰადისში, რომელშიც ბილალს მიმართავს ნაბრძანებია:

“ ადექი ბილალ, ეზანი იკითხე, ლოცვა აღვავლინოთ და სიმშვიდე მოვიპოვოთ.”

3) ლოცვის სოციალური მხარე

ლოცვა ეროვნების, სქესის, რასის, კლასის და მატერიალური მდგომარეობის განუსხვავებლად ადამიანებს ერთ მწკივში აყენებს და ერთიანობის, ერთსულოვნების ატმოსფეროს აყალიბებს. ამ მხრივ, ლოცვა მართლაც რომ უნიკალური მეთოდია.

მეჩეთებში, სადაც ხალხი თავს იყრის და ერთად ლოცულობენ ურთიერთშორის თბილი ურთიერთობა ყალიბდება და სიკეთე მძლავრობს. ყურანში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا لَا تُحِلُّوا شَعَائِرَ اللّٰهِ وَلَا الشَّهْرَ الْحَرَامَ وَلَا الْهَدْىَ وَلَا الْقَلَائِدَ وَلَا اٰمّ ينَ الْبَيْتَ الْحَرَامَ يَبْتَغُونَ فَضْلًا مِنْ رَبِّهِمْ وَرِضْوَانًا وَاِذَا حَلَلْتُمْ فَاصْطَادُوا وَلَا يَجْرِمَنَّكُمْ شَنَاٰنُ قَوْم اَنْ صَدُّوكُمْ عَنِ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ اَنْ تَعْتَدُوا وَتَعَاوَنُوا عَلَى الْبِرِّ وَالتَّقْوٰى وَلَا تَعَاوَنُوا عَلَى الْاِثْمِ وَالْعُدْوَانِ وَاتَّقُوا اللّٰه اِنَّ اللّٰه شَد يدُ الْعِقَابِ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ არის ნებადართული ალლაჰის ნიშნები და არც ნაკრძალი თვე , და არც ზვარაკი , და არცა აქლემნი კისერსაბმელით; და არცა უსაფრთხო სახლში მიმავალთათვის, რომელნიც უფლისგან მადლსა და მწყალობლობას მიელტვიან. ხოლო როცა იჰრამიდან გამოხვალთ, ინადირეთ, და ცოდვას ნუ ჩაგადენინებთ იმ ხალხისადმი სიძულვილი, მესჯიდი ჰარამს რომ არ გაკარებდათ. და შეეწიეთ ერთმანეთს ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობაში, მაგრამ არ შეეწიოთ ერთმანეთს ცოდვასა და მტრობაში. და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰის საზღაური სასტიკია! “ მაიდე 5/2. “

წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“მორწმუნენი ერთიმეორისათვის ერთი შენობის აგურების მსგავსი არიან!”

დ.) სავალდებულო ლოცვის უარყოფა

ისლამის ყველა მიმდევართა შორის არსებობს აზრთა თანხვედრა იმის თაობაზე, რომ ხუთი დროის ლოცვა ზრდასრულ და ჭკუასრულ მუსლიმანისათვის ფარზია. მსგავსი ტიპის ღვთისმსახურება, როგორებიცაა ლოცვის აღსრულება და მარხვა ადამიანმა

პირადად უნდა შეასრულოს. ანუ სხის მაგივრად მისი შესრულება მიუღებელია. სავალდებულო ლოცვის უარმყოფელი, ანუ მისი ფარზობის უარმყოფელი სარწმუნოების მიღმა რჩება, რადგან ლოცვის აღსრულებისთვის აუცილებლობა ყურანით და ჰადისებითაა დამტკიცებული.

ლოცვის არ აღსრულება ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ წამების მიზეზი ხდება. ყურანში ამის შესახებ მოცემულია შემდეგი:

ف ی جَنَّاتٍ يَتَسَاءَلُونَ

عَنِ الْمُجْرِمِينَ

مَا سَلَكَكُمْ ف ی سَقَرَ

قَالُوا لَمْ نَكُ مِنَ الْمُصَلِّينَ

სამოთხეში შეეკითხებიან ერთმანეთს

ცოდვილთა შესახებ:

რამ მოგახვედრათ თქვენ ჯოჯოხეთში?

მიუგეს: არ ვიყავით მლოცველთა შორის, “მუდესსირ 74/40,43“.

فَخَلَفَ مِنْ بَعْدِهِمْ خَلْفٌ اَضَاعُوا الصَّلٰوةَ وَاتَّبَعُوا الشَّهَوَاتِ فَسَوْفَ يَلْقَوْنَ غَيًّا

اِلَّا مَنْ تَابَ وَاٰمَنَ وَعَمِلَ صَالِحًا فَاُولٰئِكَ يَدْخُلُونَ الْجَنَّةَ وَلَا يُظْلَمُونَ شَيْئًا

„მათ შემდეგ მოვიდნენ შემდგომნი შთამომავალნი, რომლებმაც მიატოვეს ლოცვა და მიეცნენ ვნებებს. სულ მალე გადაეყრებიან ღეიას,“

„გარდა ვინც მოინანია, ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. მაშინ ისინი შევლენ სამოთხეში და მათ არანაირი უსამართლობა არ შეეხებათ!“ „მერიემ 19/59, 60.“

فَوَيْلٌ لِلْمُصَلِّينَ

الَّذِينَ هُمْ عَنْ صَلَاتِهِمْ سَاهُونَ

ვაი, იმ მლოცველებს,

ისინი, რომელნიც უგულისყუროდ ასრულებენ ლოცვას! „მაუნ 107/4-5. “

წმ. შუამავალი ლოცვის შესახებ ბრძანებდა:

“ვინც განგებ ლოცვის აღსრულებას მიატოვებს გამჩენისა და შუამავლის კეთილგანწყობას დაკარგავს! “

“ვინც უყურადღებობით (არაფრად ჩაგდებით) სამჯერ გააცდენს ჯუმის ლოცვას ღმერთი მის გულს ბეჭედს დაასვამს!”

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით, თუ მორწმუნე მუსლიმანი სიზარმაცის გამო ლოცვას არ აღავლენს სარწმუნოებიდან არ გადის. ის ცოდვილია. საჭიროა ამის გამო მისი გაფრთხილება, რჩევა-დარიგების მიცემა, გაკიცხვა, დასჯა. მაგრამ თუ ადამიანი უარყოფს, რომ ლოცვა სავალდებულო არ არის- ურწმუნოა. იგივე ეხება რამაზნის მარხვის უარმყოფელ ადამიანს. ჰანეფის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევენ, რომ უმიზეზოდ ლოცვის აღსრულებას ვინც თავს მიანებებს ისლამის საზოგადოების წინააღმდეგია და თუ არ მოინანიებს უმკაცრესი სასჯელის ღირსია.

თუ მორწმუნე დავიწყების, მძინარედ ყოფნის, ან სიზარულის მიზეზით დროულად ლოცვას ვერ აღავლენს, შეუძლია შემდეგში აანაზღაუროს. ეს მოსაზრება შემდეგ ჰადისს ეყრდნობა: “ვინც დავიწყების შემთხვევაში ან მძინარედ ყოფნისას ლოცვას დროულად ვერ აღავლენს გახსენებისთანავე აღასრულოს!”

ისლამის სწავლულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ დავიწყების, ან ძილის შემთხვევაში გაცდენილი ლოცვა მორწმუნემ შემდეგში უნდა აანაზრაუროს. მორწმუნემ ასევე უნდა აანაზღაუროს სიზარულის გამო თავის დროზე გაცდენილი ლოცვაც და ამასთანავე საჭიროა გამჩენის წინაშე მონანიება. იმედია, რომ ღმერთი ურწმუნოების გარდა სხვა ცოდვებს მოგვიტევებს. ყურანში ნაბრძანებია:

اِنَّ اللّٰهَ لَا يَغْفِرُ اَنْ يُشْرَكَ بِه وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذٰلِكَ لِمَنْ يَشَاءُ وَمَنْ يُشْرِكْ بِاللّٰهِ فَقَدِ افْتَرٰى اِثْمًا عَظِيمًا

უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის! “ნისა 4/48. “

უბადე იბნ სამითის გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია, რომ:

“ღმერთის მიერ თავის მონებისთვის ნაბრძანებ ხუთი დროის

ლოცვას ვინც მთელი გულისყურით და უნაკლოდ შეასრულებს ღმერთი მას სამოთხეს ჰპირდება, მაგრამ ლოცვას ვინც არ აღავლენს მათთვის ასეთი პირობა არ მიუცია. თუ ინებებს წამებით დასჯის, თუ მისი უზენაესი ნება იქნება მიუტევებს."

ასევე ჰადისითაა ცნობილი, რომ ადამიანი განკითხვის დღეს უპირველესად სავალდებულო ლოცვის შესახებ განიკითხება. თუ სავალდებულო ლოცვა უნაკლოდ აქვს შესრულებული მისი საქმე გაიოლდება, ხოლო თუ არ აქვს შესრულებული დამატებით, ნაფილე ლოცვას მოჰკითხავენ. თუ დამატებითი ლოცვები აქვს ამით ფარზებს შეავსებენ. იგივე ვრცელდება სხვა ფარზებზეც.

გამომდინარე აქედან ფარზი ლოცვის დანაკლისს სუნნეთი და ნაფილე ლოცვები ავსებენ. ამიტომ საჭიროა მორწმუნემ არ განასხვავოს ფარზი, ვაჯიბი და ნაფილე ლოცვები და ყველა შეასრულოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მისი გადარჩენისათვის.

III - სავალდებულო ლოცვების დროები

ა) ლოცვის დროები ყურანსა და სუნნეთში.

სავალდებულო ლოცვების და მათი სუნნეთებისთვის, აგრეთვე ვითირ, თერავიჰ და ბაირამის ლოცვებისთვის დრო აუცილებელი პირობაა. სავალდებულო ლოცვების დროები ზოგადად შემდეგია: დილის ლოცვები, შუადღის, სამხრობის, საღამოს, ღამის. ჯუმა ლოცვა პარასკევობით შუადღის ლოცვის დროს სრულდება. დროის მოსვლამდე აღსრულებული ლოცვა შესრულებულად არ ითვლება. დროის გასვლის შემდეგ აღსრულებული ლოცვა გაცდენილი ლოცვის ანაზღაურებაა. სერიოზული მიზეზის გარეშე ლოცვის გაცდენა და ასანაზღაურებლად დატოვება გამჩენის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას განაპირობებს. ჯუმა, ბაირამი და სუნნეთის ლოცვები დროის გასვლის შემდეგ არ ანაზღაურდება, ანუ მათი გაცდენის შემთხვევაში სხვა დროს ლოცვით ანაზღაურება მიუღებელია. გამომდინარე აქედან საჭიროა ყველა მორწმუნემ კარგად იცოდეს ლოცვის დროები.

ყურანში მითითებულია ლოცვის დროები და ნათლად ჩანს, რომ ლოცვის სრულყოფილებისათვის დრო ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

فَاِذَا قَضَيْتُمُ الصَّلٰوةَ فَاذْكُرُوا اللّٰهَ قِيَامًا وَّقُعُوْدًا وَّعَلٰى جُنُوْبِكُمْ فَاِذَا اطْمَاْنَنْتُمْ فَاَقِيْمُوا الصَّلٰوةَ اِنَّ الصَّلٰوةَ كَانَتْ عَلَى الْمُؤْمِنِيْنَ كِتٰبًا مَّوْقُوْتًا

და როცა ლოცვა დაასრულოთ, „ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი“ . და როცა უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულეთ სრულად. უეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია განსაზღვრულ დროს. “ნისა 4/103. “

ა) ხუთი დროის ლოცვის დროების შესახებ აიათები:

اَقِمِ الصَّلٰوةَ لِدُلُوْكِ الشَّمْسِ اِلٰى غَسَقِ الَّيْلِ وَقُرْاٰنَ الْفَجْرِ اِنَّ قُرْاٰنَ الْفَجْرِ كَانَ مَشْهُوْدًا

ლოცვა აღავლინე შუადღის დადგომიდან ღამის დაბინდებამდე და იკითხე ყურანი გამთენიისას. და ილოცე დილის ლოცვა, უეჭველად, დილის ლოცვა მოწმეობაა! “ისრა 17/78. “

فَسُبْحَانَ اللّٰهِ حِيْنَ تُمْسُوْنَ وَحِيْنَ تُصْبِحُوْنَ

وَلَهُ الْحَمْدُ فِى السَّمٰوٰتِ وَالْاَرْضِ وَعَشِيًّا وَّحِيْنَ تُظْهِرُوْنَ

მაშ, ადიდეთ ალლაჰი როცა მოსაღამოვდება და გარიჟრაჟისას,

დღის ბოლოს და შუადღისას! და მას ეკუთვნის ქება-დიდება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა! “რუმ 30/17-18. “

იბნი აბბასის აზრით ეს ორი აიათი ხუთი დროის ლოცვის დროებს მოიცავს.

ისლამის სწავლულები მიიჩნევენ, რომ შემდეგ აიათებშიც ლოცვის აღსრულებაზე და დროებზეა საუბარი:

فَاصْبِرْ اِنَّ وَعْدَ اللّٰهِ حَقٌّ وَّلَا يَسْتَخِفَّنَّكَ الَّذِيْنَ لَا يُوْقِنُوْنَ

მაშ, მოითმინე რასაც ისინი ამბობენ და ქებით განადიდე შენი ღმერთი მზის ამოსვლამდე და მის ჩასვლამდე, და ღამის საათებში

ადიდე იგი. ასევე დღის განმავლობაში, ეგების შენ კმაყოფილებას ეწიო! “თაჰა 20/130. “

ბ) აიათები, სადაც სხვადასხვა ლოცვის დროა მითითებული

وَاَقِمِ الصَّلٰوةَ طَرَفَيِ النَّهَارِ وَزُلَفًا مِنَ الَّيْلِ اِنَّ الْحَسَنَاتِ يُذْهِبْنَ السَّيِّاٰتِ ذٰلِكَ ذِكْرٰى لِلذّٰكِرِ ينَ

და დადექი ლოცვად დღის ორივე კიდეში და ღამის გარკვეულ საათებში. უეჭველად, კეთილი საქმენი განდევნიან ბოროტებანს. ეს არის შეგონება გონიერთათვის. “ჰუდ 11/114.“

وَاذْكُرِ اسْمَ رَبِّكَ بُكْرَةً وَاَصِ يلا

وَمِنَ الَّيْلِ فَاسْجُدْ لَهُ وَسَبِّحْهُ لَيْلًا طَو يلا

და ახსენე სახელი შენი ღმერთის დილით და საღამოს!

და ღამით, სეჯდე აღასრულე მისთვის და ადიდე ღამით ხანგრძლივად. „ინსან 76/25-26.“

فَاصْبِرْ عَلٰى مَا يَقُولُونَ وَسَبِّحْ بِحَمْدِ رَبِّكَ قَبْلَ طُلُوعِ الشَّمْسِ وَقَبْلَ الْغُرُوبِ

მაშ, მოითმინე რასაც ამბობენ! ადიდე ღმერთი შენი ქება-დიდებით მზის ამოსვლის და ჩასვლის წინ! „ყაფი 50/39. “

შემდეგ აიათში “თეჰეჯჯუდ”-ის ლოცვის დროა მითითებული:

وَمِنَ الَّيْلِ فَتَهَجَّدْ بِه نَافِلَةً لَكَ عَسٰى اَنْ يَبْعَثَكَ رَبُّكَ مَقَامًا مَحْمُودًا

და ღამის ერთ ნაწილში ილოცე ყურანით, კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული! “ისრა 17/79. “

ლოცვის დროების შესახებ მრავალი ჰადისი არსებობს, თუმცა აქ მხოლოდ ერთს შემოგთავაზებთ, სადაც ანგელოზი ჯიბრილი ფიგურირებს და ცნობილია, რომ ჯიბრილმა მირაჯის ღამის შემდეგ პირადად მოევლინა წმ. შუამავალს და როგორც იმამმა აჩვენა ლოცვის აღსრულების ფორმა და ასწავლა ლოცვის დროები:

“ჯიბრილი ქააბაში ორჯერ იყო ჩემი იმამი. შუადღის ლოცვა მაშინ მალოცა, როდესაც მზე ზენიტში იყო და დასავლეთისკენ გადაიხარა. სამხრობის ლოცვა იმ დროს ვილოცეთ, როდესაც საგნების ჩრდილი მათივე სიგრძის შეიქმნა. საღამოს ლოცვა მარხვის დასრულების დროს ვილოცეთ. ღამის ლოცვა დასავლეთის ცაზე სიწითლის გაქრობის შემდეგ ვილოცეთ. დილის ლოცვა კი – მარხულისათვის ჭამა-სმის აკრძალვის დროს ვილოცეთ. მეორე დღეს შუადღის ლოცვა მაშინ ვილოცეთ, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიგრძის შეიქმნა. სამხრობის ლოცვის აღსრულებისას საგნების ჩრდილები მათივე სიგრძეზე ორჯერ მეტი იყო. საღამოს ლოცვა ამჯერადაც მარხვის დასრულების დროს ვილოცეთ. ღამის ლოცვა ამჯერად ღამის ერთი მესამედის გასვლისას ვილოცეთ, ხოლო დილის ლოცვა - არემარის განათებისას.”

ქვემოთ მოცემულ თავებში ლოცვის დროებს ცალკ-ცალკე განვმარტავთ.

ბ) დილის ლოცვის დრო

გამთენიისას, აღმოსავლეთის ცაზე მეორედ წარმოქმნილი გარიჟრაჟის შემდეგ მზის ამოსვლამდე არსებული დრო დილის ლოცვის აღსრულებისთვის განკუთვნილი დროა. ეს მეორე გარიჟრაჟი, რომ დაფიქსირდება დილის ლოცვის დრო დაწყებულია. ამასთან ერთად სრულდება ღამის ლოცვის დრო და მარხულ ადამიანს უწყდება საკვების მიღების უფლება. ანუ დილის ლოცვის დროის მოსვლისთანავე ღამის ლოცვის დრო იწურება და მარხულისთვისაც იწყება მარხვის დრო. არსებობს პირველი გარიჟრაჟი, რომელიც მალე გადაივლის და ისევ ბნელდება. ამას “მატყუარა გარიჟრაჟი” შეიძლება ვუწოდოთ. ამ პირველი გარიჟრაჟით არც ღამის ლოცვის აღსრულების დრო მთავრდება და არც დილის ლოცვის აღსრულების დრო მოდის. ვინც მარხვას აპირებს ამ დროს შეუძლია მიირთვას. ამის მტკიცებულება შემდეგ ჰადისშია:

“ალიონი ორია. ერთის დროს ჭამა და სმა არამია, ლოცვა კი - ალალი. მეორე ალიონის დროს დილის ლოცვის აღსრულება მიუღებელია, ხოლო ჭამა და სმა ალალია. “

დილის ლოცვის აღსრულების დრო მეორე ალიონის დადგომისთანავე იწყება და მზის ამოსვლამდე გრძელდება. მზის ამოსვლიდან შუადღის ლოცვამდე არსებულ დროში არცერთი სავალდებულო ლოცვა არ სრულდება.

დილის ლოცვის არემარის განათების შემდეგ ლოცვა მუსთეჰაბია. ახალად გათენებისას, როდესაც უღრუბლო და მოწმენდილი ცაა, სანამ მსროლელი ნასროლი ისრის დაცემის ადგილის დანახვას შეძლებს მანამდე დილის ლოცვის აღსრულების მოცდა მუსთეჰაბია. თუმცა ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება ლოცვის აღსრულებისას რაიმე მიზეზით მორწმუნეს ლოცვა მოეშალოს და სანამ მზე ამოვა საჭიროა ხელახლა ლოცვისათვის საკმარისი დრო ჰქონდეს. თუმცა მექაში სალოცავად ჩასული ჰაჯი მორწმუნისათვის მეორე ალიონის შემდეგ სიბნელისას დილის ლოცვის აღსრულება უფრო მადლიანია. ჰანეფის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევენ, რომ დილის ლოცვის ამგვარად ადრე ლოცვა ყოველთვის მადლიანია.

გ) შუადღის ლოცვის დრო

შუადღის ლოცვის დრო შუადღისას, მზის ზენიტში ყოფნის შემდეგ დასავლეთისკენ გადახრისთანავე იწყება და სრულდება მაშინ, როდესაც საგნების ჩრდილი მათივე სიგრძის გახდება. ასე მიიჩნევენ ებუ იუსუფი, იმამი მუჰამმედი, შაფიი, მალიქი და აჰმედ იბნი ჰენბელი. ებუ ჰანიფეს აზრით კი შუადღის ლოცვის დროის დასრულებისას საჭიროა საგნების ჩრდილები მათივე სიგრძეზე ორჯერ მეტი იყოს. ამით შუადღის ლოცვის დრო სრულდება და სამხრობის ლოცვის დრო იწყება.

ისლამის სწავლულთა უმეტესობა თავიანთი აზრის მტკიცებულებად ზემოთ მოყვანილ ჰადისს იყენებს, სადაც ჯიბრილია ნახსენები. ებუ ჰანიფეს მტკიცებულება კი შემდეგი ჰადისია:

“ შუადღის ლოცვა აგრილებისას ილოცეთ, რადგან შუადღის სიცხე ჯოჯოხეთის სიცხეს გავს.”

არაბეთში კი დღის ყველაზე ცხელი პერიოდი მაშინაა, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიმაღლისაა. გამომდინარე აქედან ზაფხულობით, ცხელ დღეებში შუადღის ლოცვის აგრილების დრომდე გადადება მუსთეჰაბია.

შუადღის ლოცვის დროის დასაწყისი კი შემდეგი აიათითაა დამტკიცებული:

اَقِمِ الصَّلٰوةَ لِدُلُوكِ الشَّمۡسِ اِلٰى غَسَقِ الَّيۡلِ وَقُرۡاٰنَ الۡفَجۡرِ اِنَّ قُرۡاٰنَ الۡفَجۡرِ كَانَ مَشۡهُوۡدًا

ლოცვა აღავლინე შუადღის დადგომიდან ღამის დაბინდებამდე და იკითხე ყურანი გამთენიისას. და ილოცე დილის ლოცვა, უეჭველად, დილის ლოცვა მოწმეობაა! “ისრა 17/78. “

მორწმუნეებმა შუადღის ლოცვის დასრულების დროსთან დაკავშირებული დაბნეულობა რომ თავიდან აიცილონ უმჯობესია იმ დროს არ გადააცილონ, როდესაც საგნის ჩრდილი მისივე სიმაღლეს მიაღწევს. თუმცა სამხრობის ლოცვა, მანამდე არ უნდა ილოცონ სანამ საგნის ჩრდილი მისივე სიმაღლის ორჯერ მეტს არ მიაღწევს.

ჯუმის ლოცვის დრო იგივეა, რაც შუადღის ლოცვის დრო.

დ) სამხრობის ლოცვის დრო.

სამხრობის ლოცვის აღსრულების დრო შუადღის ლოცვის დასრულებისთანავე დგება და მზის ჩასვლამდე გრძელდება. ზემოთ ნახსენები აზრთა სხვადასხვაობის გამო სამხრობის ლოცვის დაწყების დროც შესაბამისად მიმდინარეობების მიხედვით განსხვავებულია. ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით ეს დრო იწყება, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიგრძის ორჯერ მეტს მიაღწევს, ხოლო სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევდნენ, რომ სამხრობის ლოცვის დროის დასაწყისი მაშინაა, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიმაღლის ტოლია.

სამხრობის ლოცვის აღსრულების დრო მზის ჩასვლისას მთავრდება. ამას შემდეგი ჰადისი ამტკიცებს:

“მზის ჩასვლამდე სამხრობის ლოცვის ერთ მუხლსაც რომ მი-

უსწროთ ლოცვაზე მისწრებად გეთვლებათ.”

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამხრობის ლოცვის მზის ჩასვლის წინა მომენტამდე დაგვიანება მექრუჰია.

ე) საღამოს ლოცვის დრო

საღამოს ლოცვა მზის დისკოს მთლიანად ჩასვლისთანავე იწყება და დასავლეთის ცაზე სიწითლის გაქრობის შემდეგ მთავრდება. ებუ ჰანიფეს ვარაუდის მიხედვით ეს დრო მზის ჩასვლის შემდეგ ჰორიზონტზე წარმოქმნილი სიწითლის შემდეგ წარმოქმნილი ღია შეფერილობაა. ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და ჰანეფის მიმდევრების გარდა სხვა მიმდინარეობების იმამების მიხედვით ეს დრო ჰორიზონტზე წარმოქმნილი სიწითლის დროა. ამასვე იზიარებდა ებუ ჰანეფი თავის სხვა შეხედულებაში. აქედან გამომდინარე ჰორიზონტზე წარმოქმნილი სიწითლის გაქრობის შემდეგ საღამოს ლოცვის აღსრულების დრო დასრულებულია. მტკიცებულება აბდულლაჰ იბნ ომერის მიერ გადმოცემული ჰადისია, სადაც ეს ამ დროის დადგომა ჰორიზონტზე წარმოქმნილ სიწითლეს გულისხმობს.

ვ) ღამის ლოცვის დრო

ღამის ლოცვის აღსრულების დრო საღამოს ცაზე სიწითლის გაქრობის შემდეგ დგება და გამთენიისას, მეორე ალიონის დადგომამდე გრძელდება. ზემოთ აღწერილი მეორე ალიონის დადგომისთანავე ღამის ლოცვის დრო დასრულებულია. იბნი ომერის გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია:

“ალიონი სიწითლეა. სიწითლის გაქრობისთანავე ლოცვის აღსრულება ფარზია (სავალდებულოა).”

ებუ ქათადე კი შემდეგ ჰადისს გადმოგვცემს:

“მორწმუნისათვის მძინარე მდგომარეობაში ყოფნა ნაკლოვანება არაა, ნაკლოვანება მეორე ლოცვის დროის მოსვლამდე ვინც არ ილოცავს მასშია.”

ამ ჰადისით ნაჩვენებია, რომ დილის ლოცვის გარდა ყველა ლოცვის დრო შემდეგი ლოცვის დრომდე გრძელდება.

ღამის ლოცვის ღამის ერთი მესამედის გასვლამდე დაგვიანება მუსთეჰაბია. (მუსთეჰაბის მნიშვნელობა წინა თავებშია განმარტებული) ღამის ნახევრამდე ლოცვის დაგვიანება მუბაჰია. ხოლო უმიზეზოდ, მეორე ალიონამდე, ანუ უკიდურეს მომენტამდე ლოცვის დაგვიანება მექრუჰია.

ვითირ ლოცვის დასაწყისი ღამის ლოცვის დასრულებისთანავეა. დასასრული კი- მეორე ალიონამდე ცოტა ადრე დროით განისაზღვრება.

თუ მორწმუნე დარწმუნებულია, რომ გაღვიძებას შეძლებს უმჯობესია დაიძინოს და ვითირის ლოცვა შემდეგ აღასრულოც, ხოლო თუ არაა დარწმუნებული რომ გაღვიძებას შეძლებს, ჯობს ღამის ლოცვის აღსრულებისთანავე ილოცოს.

თერავიჰ ლოცვის დროც ღამის ლოცვის დასრულებისთანავეა და დილის ლოვცის დროის მოსვლამდე გრძელდება. თერავიჰ ლოცვა ვითირის ლოცვაზე ადრე, ან გვიან შეიძლება. თუმცა თერავიჰის ლოცვის ღამის ლოცვაზე ადრე ლოცვა მიუღებელია.

ბაირამ (სადღესასწაულო) ლოცვის აღსრულების დრო მზის ამოსვლის შემდეგ, გარკვეული “აკრძალული” დროის გასვლის შემდეგ იწყება და მზის ზენიტში მიღწევამდე გრძელდება. რამაზნის ბაირამის ლოცვა, თუ რაიმე სერიოზული მიზეზის გამო პირველ დღეს არ შედგა, მეორე დღეს იგივე დროს შეიძლება მისი შესრულება, ხოლო მესამე დღისთვის მიზეზიც რომ იყოს მიუღებელია. მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის, ანუ ბაირამის ლოცვის აღსრულება კი სერიოზული მიზეზის არსებობის შემთხვევაში მეორე და მესამე დღესაც შეიძლება. თუმცა უმიზეზოდ ლოცვის გადადება მიუღებელი საქციელია. ბაირამის ლოცვის დროის გასვლის შემდეგ ლოცვა მიუღებელია და გაცდენილი ლოცვის ანაზრაურებას არ ექვემდებარება.

ზ) პოლუსებზე ლოცვის დრო.

ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს ორი შეხედულება:

1) დრო, როგორც ლოცვის აუცილებელი პირობა მისი აუცილებლობის განმსაზღვრელია. გამომდინარე აქედან, ისეთ ადგილას, სადაც ლოცვის დროებიდან რომელიმე არ დაფიქსირდება იმ ტერიტორიაზე მაცხოვრები ხალხისთვის იმ დროის ლოცვა ფარზი არ არის.

მაგალითად ზოგიერთ ადგილებში მზის ჩასვლის შემდეგ ცაზე სიწთლის გაქრობამდე დილის მეორე ალიონი დგება და დილის ლოცვის დრო მოდის. ასეთ ადგილებში ღამის ლოცვის დრო პრაქტიკულად ამოვარდნილია. ეს სიტუაცია შედარებულია იმ მდგომარეობაზე, როდესაც მორწმუნეს რომელიმე კიდური დაკარგული აქვს და აბდესთის აღების დროს მისი დაბანა პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად მორწმუნეს ეს არ ევალება. ამიტომ ასეთ ადგილებში კონკრეტული ლოცვის დროსთან მიმართებაში მსგავსი გადაწყვეტილებაა მიღებული.

2) ისლამის ზოგიერთი სწავლულის აზრით მსგავს ადგილებში მაცხოვრებელი მორწმუნეებიც ვალდებულნი არიან ხუთი დროის ლოცვა შეასრულონ. თუ კონკრეტულ ადგილზე რომელიმე ლოცვის დრო არ დაფიქსირდა მორწმუნეები საზომად უახლოეს ადგილს აიღებენ, სადაც ლოცვის ხუთივე დრო ფიქსირდება და იმის მიხედვით ხუთი დროის ლოცვის შესრულებას შეეცდებიან. მათი აზრით, დრო რაც არ უნდა ლოცვის აუცილებელი პირობა იყოს ყველაზე დიდი პირობა და მიზეზი მაინც ღმერთის ბრძანებაა, რომელიც მორწმუნეებს ხუთი დროის ლოცვის აღსრულებას ავალდებულებს.

თ) ორი ლოცვის ერთ დროს შესრულება

ყოველი ლოცვა თავის დროზე აღსრულება ფარზია, რადგან დრო ლოცვის პირობებიდან ერთ-ერთია. ყურანში ნაბრძანებია, რომ:

فَاِذَا قَضَيْتُمُ الصَّلٰوةَ فَاذْكُرُوا اللّٰهَ قِيَامًا وَّقُعُوْدًا وَّعَلٰى جُنُوْبِكُمْ فَاِذَا اطْمَاْنَنْتُمْ فَاَقِيْمُوا الصَّلٰوةَ اِنَّ الصَّلٰوةَ كَانَتْ عَلَى الْمُؤْمِنِيْنَ كِتٰبًا مَّوْقُوْتًا

და როცა ლოცვა დაასრულოთ, „ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი“ . და როცა

უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულეთ სრულად. უეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია განსაზღვრულ დროს. “ნისა 4/103,“

حَافِظُوا عَلَى الصَّلَوَاتِ والصَّلٰوةِ الْوُسْطٰى وَقُومُوا لِلّٰهِ قَانِت ينَ

დაიცავით ლოცვები და შუა ლოცვა, და მოკრძალებით დადექით ალლაჰის წინაშე. „ბაყარა 2/238“,

وَاَقِمِ الصَّلٰوةَ طَرَفَىِ النَّهَارِ وَزُلَفًا مِنَ الَّيْلِ اِنَّ الْحَسَنَاتِ يُذْهِبْنَ السَّيِّئَاتِ ذٰلِكَ ذِكْرٰى لِلذَّاكِر ينَ

და დადექი ლოცვად დღის ორივე კიდეში და ღამის გარკვეულ საათებში. უეჭველად, კეთილი საქმენი განდევნიან ბოროტებანს. ეს არის შეგონება გონიერთათვის. „ჰუდ 11/ 114. “

გარდა ამისა, როდესაც ანგელოზმა ჯიბრილმა წმ. შუამავალ მუჰამმედს ლოცვის აღსრულება და დროები შეასწავლა ორი ლოცვის ერთ დროს აღსრულების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ყოველი ლოცვა თავის დროზე უნდა შესრულდეს, თუმცა არსებობს გამონაკლისი. არაფატში მომლოცველებისთვის დასაშვებია შუადღის და სამხრობის ლოცვების გაერთიანებით ლოცვა. აგრეთვე გამონაკლისის პრინციპით მუზდელიფში დასაშვებია საღამოს და ღამის ლოცვების ერთდროულად შესრულება.

ამ ორ ადგილას აღნიშნული ლოცვების შეერთების შესაძლებლობის შესახებ ისლამის სწავლულთა შორის აზრთა თანხვედრა არსებობს.

აბდულლაჰ იბნ მესღუდი გადმოგვცემს, რომ:

“მე არასოდეს მინახავს შუამავალს ლოცვა თავის დროის გარდა სხვა დროს ელოცა. თუმცა ორი ლოცვა გამონაკლისია. არაფატში შუადღის და სამხრობის ლოცვა, მუზდელიფში კი საღამოს და ღამის ლოცვა წმ. შუამავალმა ერთდროულად ილოცა.”

იმამ შაფის მოსაზრებით აღნიშნული ლოცვების დაწყვილება წვიმის, ავადმყოფობის და მგზავრობის მიზეზითაც შეიძლება.

გარდა ამისა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც წმ. შუამავალს არაფატის და მუზდელიფის გარდა სხვა ადგილას აღნიშნული ლოცვები ერთად ულოცავს. სალიმ იბნ აბდულლაჰი თავისი მამის ნაამბობს გადმოგვცემს, რომლის თანახმადაც საომრად მზადებისას, როდესაც ჩქარობდნენ წმ. შუამავლმა საღამოს ლოცვა ღამის ლოცვასთან ერთად ილოცა. მუაზ იბნ ჯებელის გადმოცემული ჰადისში ნათქვამია, რომ წმ. შუამავალმა საომარი სიტუაციის დროს შუადღის და სამხრობის ლოცვა ერთად ილოცა.

ჰანეფის მიმდინარეობის თანახმად აღნიშნული ლოცვების შეერთება მხოლოდ არაფატში და მუზდელიფშია შესაძლებელი. სხვა შემთხვევებში შუამავალმა უბრალოდ შეაყოვნა ლოცვის აღსრულება, შუადღის ლოცვა სამხრობის ლოცვის მოსვლამდე ილოცა და ამასობაში სამხრობის ლოცვის დროც მოვიდა. ამის დასტურია ენეს იბნ მალიქის მიერ გადმოცემული ჰადისი, რომლის თანახმადაც შუამავალი შაუადღის ლოცვის მოსვლის დრომდე თუ გზას გაუდგებოდა, ლოცვის ლოცვას შუადღის ლოცვისთვის განკუთვნილ დროის ბოლომდე დაიგვიანებდა და დროის მიწურულს ილოცავდა. ამასობაში სამხრობის ლოცვის დროც მოვიდოდა და მაშინვე სამხრობის ლოცვას ლოცულობდა. ეს კი, შეცდომით ორი ლოცვის ერთ დროს ლოცვად იქნა გაგებული. იგივე ახსნა აქვს საღამოს და ღამის ლოცვების ერთმანეთის მიყოლებით ლოცვის შემთხვევას. ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ლოცვი სხვა ლოცვის დროს იქნა შესრულებული.

საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ წმ. შუამავლის დროს ჰაჯობის გარდა სხვა დროს, მგზავრობის, ავადმყოფობის, საშინელი წვიმის და მსგავსი სიძნელეების დროს შუადღისა და სამხრობის, აგრეთვე საღამოსა და ღამის ლოცვას ერთად ლოცულობდნენ. ე.ი. რელიგიით გათვალისწინებული მიზეზის არსებობის შემთხვევაში მსგავსი გაიოლებით სარგებლობა დასაშვებია. თუმცა ამის სისტემატიურად გაკეთება და ჩვეულებად ქცევა მიუღებელია.

ი) მუსთეჰაბი დროები

ყოველი ლოცვა, თავისი განკუთვნილი დროის ნებისმიერ მონაკვეთში შესრულებული -მიღებულად ითვლება. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“ ყველაზე მადლიანი ქმედება თავის დროზე აღსრულებული ლოცვაა!”

“ლოცვის დროის დასაწყისში ღმერთის კმაყოფილება, ბოლოსკენ კი მიტევებაა”

ლოცვის აღსრულება, მისთვის განკუთვნილ დროის რომელ მონაკვეთშია უფრო მადლიანი ამას წმ. შუამავლის ჰადისებიდან გავიგებთ:

1) დილის ლოცვის აღსრულება არემარის განათებისას მუსთეჰაბია. ამის საზომი ზემოთ მოყვანილ თავებში შემოგთავაზეთ. ანუ, უღრუბლო ამინდში ნასროლი ისრის დაცემის ადგილის დანახვა რომ გახდება შესაძლებელი იმ დრომდე დილის ლოცვის შეგვიანება მუსთეჰაბია. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ დილის ლოცვა არემარის განათებისას გველოცა, რადგან ამ დროს აღსრულებული ლოცვისთვის მეტი ჯილდო იყო მოსალოდნელი.

გარდა ამისა, დილის ლოცვის შეგვიანებით ლოცვა უფრო მეტ მლოცველს აძლევს ლოცვაზე მისწრების საშუალებას. თუმცა, მანდილოსნებისათვის დილის ლოცვის აღსრულება დროის დასაწყისში უფრო უკეთესია, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ლოცვის აღსრულება მარტო აპირებენ. კოლექტიურად შესრულებული ლოცვა, მოგეხსენებათ უფრო მეტად მადლიანია.

2)ზაფხულის ცხელ დღეებში შუადღის ლოცვის აღსრულება შეგვიანება და აგრილებისას ლოცვა მუსთეჰაბია. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“შუადღის ლოცვა აგრილებისას ილოცეთ!”

ზამთარში კი შუადღის ლოცვის აღსრულება დროის დასაწყისში უმჯობესია. ამის მტკიცებულება ენესის მიერ გადმოცემული ჰადისია:

“წმ. შუამავალი ზამთრობით შუადღის ლოცვას მალე ლოცულობდა, ხოლო ზაფხულობით აგრილებამდე შეაგვიანებდა!”

3) სამხრობის სავალდებულო ლოცვის აღსრულება სასურველია იმ დრომდე შეგვიანდეს და შესრულდეს, სანამ მზე თვალს აღარ ჭრის. ანუ როცა მზე თვალს აღარ ჭრის იმ დროს სამხრობის ლოცვა აღსრულებული უნდა იყოს. რადგანაც სამხრობის ლოცვის შემდეგ ნაფილე (დამატებითი) ლოცვის აღსრულება მექრუჰია, მისი შეგვიანებით ლოცვა ნაფილე ლოცვის აღსრულება საშუალებას იძლევა.

4) საღამოს ლოცვის ყოველთვის დროის დასაწყისში ლოცვა მუსთეჰაბია. ანუ, სასურველია მორწმუნემ საღამოს ლოცვა დროის მოსვლისთანავე ილოცოს.

5) ღამის ლოცვის აღსრულებისთვის ღამის ერთი მესამედის გასვლამდე შეგვიანება მუსთეჰაბია. მტკიცებულება შემდეგ ჰადისშია: "ჩემი მიმდევრები რომ არ შეწუხდებოდნენ, თორემ ვუბრძანებდი ღამის ლოცვა ღამის ერთი მასამედის გასვლამდე შეეგვიანებინათ და მაშინ ელოცათ."

6) ვითირის ლოცვისთვის ღამის ბოლომდე მოცდა მუსთეჰაბია, თუმცა ეს იმ მორწმუნეებს ეხებათ, რომლებსაც შესაბამის დროს გაღვიძების შესაძლებლობა აქვთ.

მალიქის მიმდინარეობის მიხედვით ყოველი ლოცვის დროის დასაწყისშივე ლოცვა უფრო მადლიანია. მნიშვნელობა არ აქვს ლოცვის აღსრულების კოლექტიურ და ინდივიდუალურ შესრულებას. მნიშვნელობა არ აქვს, აგრეთვე ზამთარია თუ ზაფხული. მტკიცებულება შემდეგ ჰადისშია:

"შეკითხვაზე, რომელი ქცევაა ყველაზე მადლიანი წმ. შუამავალს უპასუხია, - თავის დროზე, ან დროის დასაწყისშივე ლოცვის აღსრულება!"

გარდა ამისა მალიქის მიმდინარეობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ჯემაათზე (კოლექტიურად ლოცვა) მოცდა, ან ზაფხული ცხელ დღეებში აგრილებამდე ლოცვის შეგვიანება მისაღები და დასაშვებია.

შაფის მიმდევრების აზრით შუადღის ლოცვის გარდა ყველა ლოცვის ადრიანად ლოცვა სუნნეთია. სუნნეთია, აგრეთვე შუადღის ლოცვის აგრილებამდე მოცდა.

ჰანბელის მიმდინარეობის მიხედვით ღამის ლოცვის გარდა ყველა ლოცვის ადრიანად ლოცვა უფრო მადლიანია. თუმცა სიცხეში

შუადღის ლოცვის, ხოლო ღრუბლიან ამინდში საღამოს ლოცვის შეგვიანება დასაშვებია.

კ) მექრუჰი დროები

ფარზი (სავალდებულო) ლოცვებისთვის არსებობს, აგრეთვე მექრუჰი დროები. ანუ, როდესაც ლოცვის აღსრულება მისაღები არაა. ამათგან ზოგიერთ შემთხვევაში არცერთი ლოცვის აღსრულება არ შეიძლება. ზოგიერთ დროის მონაკვეთში მხოლოდ ნაფილე ლოცვის აღსრულება აკრძალული, მაგრამ ყაზა (გაცდენილი ლოცვის ანაზღაურება) ლოცვის აღსრულება შეიძლება.

დღე-ღამის განმავლობაში ხუთი მექრუჰი დროა. სამი მათგანის შესახებ უქბე იბნ ამრ ელ- ჯუჰენის მიერ გადმოცემულ ჰადისშია საუბარი.

“წმ. შუამავალმა სამი ისეთი დრო გვაცნობა, როდესაც არც ლოცვის აღსრულება შეიძლება და არც მიცვალებულის დასაფლავება. მზის ამოსვლიდან ამაღლებამდე, როდესაც მზე ზენიტშია და როდესაც მზე ჩადის.”

დანარჩენი ორი დროის შესახებ ჰადისი ებუ საიდ ელ ჰუდრიმ გადმოგვცა:

“არ არსებობს ლოცვა დილის ლოცვის შემდეგ მზის ამოსვლამდე, არ არსებობს ლოცვა სამხრობის ლოცვის შემდეგ მზის ჩასვლამდე.”

ამ ორ ჰადისში ნახსენებ მექრუჰ დროებს ორ ჯგუფში განვიხილავთ

სამი მექრუჰი დრო, როდესაც არცერთი ლოცვის აღსრულება არ შეიძლება

1) მზის ამოსვლიდან ამაღლებამდე დროის მონაკვეთი. მზის ამოსვლიდან 40-45 წუთის შემდეგ აკრძალული დრო გადის. ამ დროს უკვე შეიძლება ბაირამის, ან ქუშლუქის ლოცვის აღსრულება.

2) მზის ზენიტში ყოფნის მომენტი. ანუ, როდესაც მზე ცის ყველაზე მაღალ წერტილში იმყოფება.

3) მზის ჩასვლის წინა პერიოდი, როდესაც მზე ფერს შეიცვლის და თვალს აღარ ჭრის, იმ მომენტიდან მზის სრულიად ჩასვლამდე. ამ დროს მხოლოდ იმ დღის სამხრობის სავალდებულო ლოცვის აღსრულება შეიძლება.

ზემოთ ჩამოთვლილ აკრძალულ დროის მონაკვეთებში არც გაცდენილი ლოცვის ანაზრაურება შეიძლება და არც რომელიმე ვაჯიბი ლოცვის აღსრულება. შესაბამისად არ შეიძლება მიცვალებულის (ჯენაზე) ლოცვის აღსრულება. ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია, თუმცა ამასთანავე მლოცველს ნალოცად ეთვლება და ხელახლა ლოცვას არ საჭიროებს. გარდა ამისა თუ მიცვალებული და მლოცველები მზადყოფნის მდგომარეობაში არიან დასაფლავების დაგვიანება მიუღებელია.

იმამ შაფის აზრით მექაში ნაფილე ლოცვისთვის აკრძალული დრო არ არსებობს. იქ ყოველთვის შეიძლება ნაფილე ლოცვის აღსრულება. თუმცა ამ მოსაზრებას ჰანეფის მიმდევრები არ იზიარებენ.

მხოლოდ ნაფილე ლოცვისთვის აკრძალული დროები

1) მეორე ალიონის შემდეგ მზის ამოსვლამდე დილის ლოცვის სუნნეთის გარდა არცერთი ნაფილე ლოცვის აღსრულება არ შეიძლება. თუმცა დროის ამ მონაკვეთში გაცდენილი ლოცვის ასანაზღაურებელი ლოცვის აღსრულება შეიძლება. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ ჰანბელის მიმდინარეობის იმამები.

2) სამხრობის ლოცვის აღსრულების შემდეგ ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია. ამ დროს ნაფილე ლოცვის აკრძალულობის შესახებ მრავალი ჰადისი არსებობს. მზის ჩასვლისას, ანუ მზე როცა ყვითლდება მხოლოდ იმ დღის სამხრობის ლოცვის ფარზის ლოცვა შეიძლება. გაცდენილი ლოცვის ანაზღაურება მიუღებელია. ჰადისში ნაბრძანებია:

“მზის ჩასვლამდე სამხრობის ლოცვის ერთ მუხლსაც ვინც მიუსწრებს ლოცვაზე მისწრებაში ეთვლება. მზის ამოსვლამდე დილის ლოცვის ერთ მუხლსაც ვინც მიუსწრებს ლოცვაზე მისწრებაში ჩაეთვლება.”

ამ სიტუაციაში ჰანეფის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მზის თაყვანისმცემლებზე მსგავსების გამო ლოცვის დროს მზის ამოსვლა

ლოცვის შლის.

სამხრობის ლოცვის შემდეგ და დილის ლოცვის დროს ნაფილე ლოცვის აღსრულება აკრძალვის მიზეზი კონკრეტული დროის გამო კი არ არის, არამედ ამ დროს ფარზი ლოცვით დაკავების აუცილებლობის გამო. ბუნებრივია იმ დროის ფარზის ლოცვა ნაფილე ლოცვის აღსრულებაზე უფრო მადლიანი და მნიშვნელოვანია. თუმცა აქ ნახსენებ დროის ორ მონაკვეთში ფარზი ან ვაჯიბი ლოცვის აღსრულება მიუღებელი არაა. არც მიცვალებულის (ჯენაზე) ლოცვის აღსრულება აკრძალული. აღნიშნული დროის მოსვლამდე დაწყებული ნაფილე ლოცვა თუ აკრძალული დროის მოსვლის გამო შეწყდება, შემდეგში მისი ანაზღაურება აუცილებელია.

3) საღამოს ლოცვის ფარზის წინ ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია. ამის მიზეზი ის ჰადისებია, სადაც ნაბრძანებია, რომ საღამოს ლოცვა ადრიანად უნდა შესრულდეს.

შაფის მიმდევრების აზრით საღამოს ლოცვის წინ ორი მუხლი ნაფილე ლოცვის აღსრულება მუსთეჰაბია, ხოლო ჰანბელის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ საღამოს ლოცვის წინ ორი მუხლი ნაფილე ლოცვის აღსრულება მიღებულია და არა სუნნეთი. ამ ორი მიმდინარეობის იმამები თვლიდნენ, რომ წმ. შუამავლის ჰადისის ფართო მნიშვნელობა, რომლის თანახმადაც საღამოს ლოცვა ადრიანად უნდა შესრულდეს შეზღუდულია სხვა ჰადისებით, სადაც ორი მუხლი ნაფილე ლოცვის საღამოს ლოცვაზე ადრე ლოცვაზეა საუბარი.

4) ფარზი ლოცვისთვის მზადყოფნის დრო, როდესაც “ყამეთი” იკითხება ნაფილე ლოცვით დაკავება მექრუჰია. ამ დროს, მხოლოდ დილის ლოცვის სუნნეთის ლოცვაა მისაღები, რადგან დილის ლოცვის სუნნეთი ძლიერ სუნნეთად ითვლება, რომელსაც წმ. შუამავალი სისტემატიურად ასრულებდა. ჰადისში ნაბრძანებია, რომ წმ. შუამავალი ყველა ნაფილე ლოცვაზე მეტ ყურადღებას დილის ლოცვის სუნნეთს აქცევდა.

ჯემაათის დროს, ანუ როდესაც ლოცვა კოლექტიურად სრულდება, მორწმუნე, რომელიც დილის ლოცვის ფარზის ბოლო მუხლს მიუსწრებს შეუძლია პირდაპირ ჩაერთოს ლოცვაში და სხვებთან ერთად ილოცოს. ამ დროს სუნნეთს უკვე ვეღარ ილოცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთიანად შესრულებულ ფარზი ლოცვის გაცდენის საფრთხეა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

დილის ლოცვის აღსრულებისას თუ დრო შეზღუდულია, მორწმუნე მარტოც რომ ლოცულობდეს მხოლოდ ფარზს შეასრულებს, რადგან ნაფილე ლოცვის აღსრულების გამო ფარზი ლოცვის საფრთხეში ჩაგდება მექრუჰია.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების იმამების აზრით, როდესაც ლოცვა კოლექტიურად სრულდება იმ დროს ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია. მნიშვნელობა არ აქვს, იმ დროის სუნნეთია თუ სხვა ნაფილე ლოცვა. იმამი მალიქი ამბობდა:

“ვისაც ფარზის ერთი მუხლის გაცდენის არ ეშინია, დილის ლოცვის ორი მუხლი სუნნეთი ილოცოს.”

5) ჯუმისა და ბაირამის ლოცვების დროს, აგრეთვე ჰაჯობაზე იმამის ჰუთბის კითხვის დროს ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია. როდესაც იმამი ჰუთბეზე ადის, იმ მომენტიდან ჯუმის სავალდებულო ლოცვის აღსრულებამდე რომელიმე ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია. მტკიცებულება ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ ჰადისშია: “ჯუმა დღეს, როდესაც იმამი ჰუთბეს კითხულობს გვერდით მჯდომ მოლაპარაკეს სიჩუმისკენ რომ მოუწოდო ეგეც შეცდომაა!”

6) ბაირამის ლოცვის წინ ან შემდეგ ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია. მტკიცებულება იბნი აბბასის მიერ გადმოცემულ ჰადისშია: “წმ. შუამავალი ბაირამის ლოცვის დროს მხოლოდ ორ მუხლ ლოცვას ასრულებდა. მანამდე ან მის შემდეგ არცერთ ლოცვას არ ასრულებდა.”

თუმცა აკრძალული დროის გასვლის შემდეგ იმამის გარდა რომელიმე რიგითი მლოცველი თუ ნაფილე ლოცვას აღასრულებს აქ მიუღებელი არაფერია.

7) არაფატში და მუზდელიფში გაერთიანებულ ლოცვებს შორის ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია.

მალიქის მიხედვით, მორწმუნე, რომელიც ლოცვის ერთ მუხლს თვისი ორი სეჯდეთი ლოცვისთვის განკუთვნილ დროში ილოცავს ლოცვა აღსრულებულად ეთვლება. ერთი მუხლი თუ არ მოესწრო მაშინ ეს ლოცვა გაცდენილი ლოცვის ანაზღაურებად ჩაითვლება.

მზე, როდესაც ზენიტშია ფარზი ან ვაჯიბი ლოცვის აღსრულება

მიუღებელია. ამ დროს ნაფილე ლოცვის აღსრულება მექრუჰია, მაგრამ მაინც ნალოცად ითვლება. ებუ იუსუფის მიერ გამოთქმული ერთ-ერთი ვარაუდით პარასკევი დღის აღნიშნულ დროს ნაფილე ლოცვის აღსრულება შეიძლება. მზე როდესაც დასავლეთისკენ გადაიწევს მექრუჰი დრო დასრულებულად ითვლება და შუადღის ლოცვის დრო მოვა.

თუ მიცვალებული და მლოცველები მზადყოფნაში არიან და ლოცვას ელოდებიან. ამ დროს კი მექრუჰი დროა ლოცვა შეიძლება. უფრო მეტიც, მოცდას მაშინვე ლოცვა ჯობს. წმ. შუამავალმა ბრძანა:

“ ალი, სამი რამ არ დააგვიანო; ლოცვის დროის მოსვლისას მისი სისრულეში მოყვანა, მიცვალებული თუ მზადაა დასაფლავება და გასათხოვარი ქალიშვილისათვის ტოლი და სწორი საქმროს ნახვის შემთხვევაში მისი დაქორწინება!”

III- ეზანი და ყამეთი

ა) ეზანი

1) ეზნის მნიშვნელობა, მტკიცებულებები და მადლი.

ეზანი ლექსიკონში გაცხადებას, ცნობას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი, ეს არის გარკვეული სიტყვებისგან შემდგარი ხმამაღლა დაძახების ფორმით გაკეთებული განცხადება, რომელიც ფარზი ლოცვის დროს გვაცნობს და მოგვიწოდებს ლოცვისაკენ. პიროვნებას, რომელიც ეზანს კითხულობს მტეზზინი ჰქვია.

ფარზი ლოცვებისთვის ეზნის დაძახების საჭიროება წმ. წიგნითა და სუნნეთითაა დამტკიცებული. მიუხედავად იმისა, რომ ლოცვა მექაში გახდა ფარზი, წმ. შუამავლის მედინაში ჩასვლამდე ეზანს არ კითხულობდნენ. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ თავიდან ლოცვას ერთიანად, ანუ კოლექტიურად არ ასრულებდნენ. მედინაშიც გარკვეული ხანი ქუჩა-ქუჩა ატყობინებდნენ ხალხს ლოცვის დროის მოსვლას.

ჰიჯრის პირველ წელიწადს, როდესაც მედინაში პირველი მეჩეთი – მესჯიდი ნებევი აიგო მორწმუნეებმა ერთად შეკრება და ლოცვა

შეძლეს. ამ დროისათვის წმ. შუამავალმა თავისი მეგობრები და მიმდევრები ერთად შეკრიბა და ლოცვის დროის გამოცხადების ფორმასთან დაკავშირებით თათბირი ჩაატარა. გამოითქვა სხვა და სხვა მოსაზრებები. მაგ. დროშის აღმართვა, ზარის დარეკვა, საყვირის ჩაბერვა და სხვ. მაგრამ რადგანაც საყვირს იუდაიზმის მიმდევრები იყენებდნენ, ხოლო ზარს - ქრისტიანები ამ მოსაზრებებმა მოწონება ვერ დაიმსახურეს. სანამ ამის შესახებ ბჭობა გრძელდებოდა ადგილობრივი მორწმუნეთაგან აბდულლაჰ იბნ ზეიდმა სიზმარი ნახა. სიზმარში აბდულლაჰს კაცი შემოხვდა, რომელიც საყვირს ყიდდა. აბდულლაჰმა მისი ყიდვა მოინდომა. რად გინდა საყვირი?- ჰკითხა გამყიდველმა. – ადამიანებს ლოცვისაკენ მინდა მოვუწოდო- უპასუხა აბდულლაჰმა. მე უკეთესს გასწავლიო, უთხრა საყვირის გამყიდველმა და ეზნის სიტყვები შეასწავლა. მეორე დღეს აბდულლაჰმა თავისი სიზმარი წმ. შუამავალს მოუყვა და შუამავალის მოწონების და დასტურის კვალობაზე დღეს არსებული ეზნის სიტყვები და ფორმა ჩამოყალიბდა.

ისლამურ საზოგადოებაში ლოცვის დროის დადგომისას ეზნის კითხვა სუნნეთი მუექქედია, თუმცა ვაჯიბის საფეხურს უტოლდება. ეზანი, როგორც ისლამის ერთ-ერთი სიმბოლო თუ მთლიანად უგულებელყოფილ იქნა საზოგადოებას პროტესტის გამოხატვის და მისი მოთხოვნის უფლება აქვს.

ყურანში ეზნის შესახებ შემდეგია ნაბრძანები:

وَاِذَا نَادَيْتُمْ اِلَى الصَّلٰوةِ اتَّخَذُوهَا هُزُوًا وَلَعِبًا ذٰلِكَ بِاَنَّهُمْ قَوْمٌ لَا يَعْقِلُونَ

და როცა ლოცვისკენ მოუწოდებთ თქვენ, ეგენი ამას გასცინიან და ამასხარავებენ. ეს იმიტომ, რომ ეგენი არიან ხალხი, რომელნიც არ შეიგნებენ. (მაიდე 5/58)

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اِذَا نُودِىَ لِلصَّلٰوةِ مِنْ يَوْمِ الْجُمُعَةِ فَاسْعَوْا اِلٰى ذِكْرِ اللّٰهِ وَذَرُوا الْبَيْعَ ذٰلِكُمْ خَيْرٌ لَكُمْ اِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგიხმობენ ლოცვისთვის პარასკევ დღეს, მაშინვე ისწრაფეთ ალლაჰის ხსენებისკენ და შეწყვიტეთ ვაჭრობა. ეს თქვენთვისვეა უკეთესი, რომ იცოდეთ თქვენ! (ჯუმა 62/9)

وَاَذَانٌ مِنَ اللّٰهِ وَرَسُولِه اِلَى النَّاسِ يَوْمَ الْحَجِّ الْاَكْبَرِ اَنَّ اللّٰهَ بَر يءٌ مِنَ الْمُشْرِك ينَ وَرَسُولُهُ فَاِنْ تُبْتُمْ فَهُوَ خَيْرٌ لَكُمْ وَاِنْ تَوَلَّيْتُمْ فَاعْلَمُوا اَنَّكُمْ غَيْرُ مُعْجِزِى اللّٰهِ وَبَشِّرِ الَّذ ينَ كَفَرُوا بِعَذَابٍ اَل يمٍ

და აი, უწყება ალლაჰისა და მისი შუამავალის ყველა ადამიანებისადმი დიდი ჰაჯჯობის დღეს: უეჭველად, ალლაჰი და მისი შუამავალი წარმართებიდან შორს არიან. და თუ თქვენ მოინანიებთ, თქვენთვისვე იქნება უკეთესი. და თუ პირს იბრუნებთ, მაშ, იცოდეთ, რომ თქვენ ალლაჰს ვერ გამოაცლით ძალას. ხოლო აცნობე იმათ, რომელთაც უარყვეს მწარე სასჯელი. (თევბე 9/3)

ეზნის შესახებ წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“ლოცვის დროის მოსვლისთანავე რომელიმე თქვენგანმა ეზანი დაიძახოს, ხოლო თქვენში ყველაზე უფროსი იმამი იყოს!”

ზემოთ ნახსენები სიზმრის შემდეგ წმ. შუამავალს უბრძანებია:

“ღმერთის დახმარებით ეს სიზმარი სინამდვილეა. ადექი და ეგ სიტყვები ბილალს შეასწავლე, რადგან მისი ხმა შენს ხმაზე ლამაზია!”

ეზნის კითხვა მადლია. თუმცა ყამეთის წაკითხვა ან იმამობა უფრო მეტი მადლია, რადგან წმ. შუამავალი და ოთხი ხალიფა ლოცვის დროს იმამები იყვნენ, ხოლო ეზანი არასოდეს წაუკითხავთ. ლოცვისას, იმამობის შემდეგ ყველაზე მადლმოსილი მოვალეობა მუეზზინობაა.

უფრო მეტიც, შაფის და ჰანბელის მიმდინარეობის მიხედვით ეზნისა და ყამეთის წაკითხვა ერთად იმამობაზე უფრო მადლიანია.

وَمَنْ اَحْسَنُ قَوْلًا مِّمَّنْ دَعَا اِلَى اللّٰهِ وَعَمِلَ صَالِحًا وَّقَالَ اِنَّنِى مِنَ الْمُسْلِمِيْنَ

ვინც ალლაჰისკენ მოუხმო, ჰქმნა სიკეთე და თქვა: უეჭველად, მე მუსლიმთაგან ვარ, განა არის მასზე უკეთესი ვინმე სიტყვით? (ფუსსილეთ 41/33)

წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“იმამი მლოცველთა თავდებია. მუეზზინი სანდო ადამიანია. ღმერთო, იმამს სწორი გზა აჩვენე. მუეზზინი გადაარჩინე!

ეზნის საშუალებით ხალხი არამარტო ლოცვის დროს ეცნობა, არამედ დღეში ხუთჯერ ისმის მოწოდება, რომ ლოცვა გადარჩენის

გზაა. დედამიწაზე თავისი სასაათო სარტყლებიდან გამომდინარე ლოცვის დროები სხვა და სხვა ტერიტორიაზე სხვა დასხვა დროსაა. ამიტომ დღე- ღამის ყოველ საათში ისმის მთელ დედამიწაზე ერთადერთი ღმერთის სადიდებელი.

2) ეზნის და ყამეთის პირობები

ა) დრო. ლოცვის დროის მოსვლამდე, კონკრეტული ლოცვისთვის ეზნის ან ყამეთის კითხვა მიუღებელია. დროის მოსვლამდე ნაკითხი ეზანის დროის მოსვლის შემდეგ ხელახლა კითხვა აუცილებელია. ისლამის ზოგიერთი სწავლული კი მიიჩნევს, რომ დილის ლოცვის ეზნის კითხვა დროის მოსვლამდეც შეიძლება. დროის მოსვლის შემდეგ კი როგორც სუნნეთი ეზანი ხელახლა სრულდება. ეს ვარაუდი აბდულლაჰ იბნ ამრის გადმოცემულის ჰადისის სახით შემდეგ მტკიცებულებას ეყრდნობა: “ბილალი ღამით ეზანს წაიკითხავს, თქვენ კი უმმუ მექთუმეს ეზნის გაგონებამდე შეგიძლიათ მიირთვათ საჭმელი და სასმელი”

ბ) ეზანი არაბულად უნდა იქნას წაკითხული. არაბულად შესრულებულ ეზანს ნებისმიერი ეროვნების და ენის მუსლიმი ხალხებისთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს. ჰანეფისა და ჰანბელის მიხედვით ეზანი, როგორც ყურანი არაბულ ენაზეა მოვლენილი და მისი სხვა ენაზე შესრულება მიუღებელია. მხოლოდ შაფის მიმდინარეობის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ იმ ხალხებისთვის, რომლებსაც არაბული ენა არ ესმით ეზნის თავიანთ ენაზე წაკითხვა მიღებულია.

გ) ეზანი და ყამეთი მლოცველებმა რომ გაიგონონ იმდენად ხმამაღლა უნდა შესრულდეს, ხოლო თუ პიროვნება მარტოა მხოლოდ თვითონ რომ გაიგონოს საკმარისია.

დ) ეზანი და ყამეთი თავისი თანმიმდევრობით უნდა იქნას წაკითხული. თანმიმდევრობის დარღვევის შემთხვევაში ეზანი და ყამეთი წაკითხულად ითვლება მაგრამ მათი ხელმეორედ, სწორი ფორმით წაკითხვა უმჯობესია.

ე) ეზანი მხოლოდ ერთმა პიროვნებამ უნდა წაიკითხოს, მაგრამ ერთზე მეტის წაკითხვაც შეიძლება, თუ თითოეული მათგანი სრულად წაიკითხავენ.

ვ) მუეზზინი უნდა იყოს მამაკაცი, ჭკვიანი, მორწმუნე და აგრეთვე სუნნეთსა და ლოცვის დროების მცოდნე. უმეცრის ან არამორწმუნის მიერ ეზნის წაკითხვა მექრუჰია. მანდილოსნების, ან "ჯუნუბის" (ადამიანი, რომელიც დიდ განბანვას საჭიროებს) მიერ ეზნის წაკითხვა მექრუჰია. ასევე მიუღებელია აბდესთის გარეშე ეზნის ან ყამეთის წაკითხვა.

ზ) მუეზზინს ლამაზი ხმა უნდა ჰქონდეს. მტკიცებულება შემდეგ ჰადისშია:

"წმ. შუამავალმა ოც კაცს უბრძანა ეზანი წაეკითხათ. მათაც წაიკითხეს. წმ. შუამავალს ებუ მაჰზურეს ხმა მოეწონა და ეზანი შეასწავლა."

თ) ეზნის წასაკითხად საჭიროა მაღალ კედელზე ან მინარეთზე შედგომა და ფეხზე დგომით ხმამაღლა დაძახება.

ი) ეზნის კითხვისას საჭიროა სიტყვები გაგრძელდეს, წინადადებებს შორისაც ცოტათი შეყოვნება აუცილებელია. ხოლო ყამეთის დროს სიტყვების მოკლედ წარმოთქმა და ჩქარა კითხვაა საჭირო.

კ) ეზნის და ყამეთის კითხვსას მუეზზინი პირისახით ქაღბასკენ უნდა იყოს შეტრიალებული. "ჰეია ღე ლესსელაჰ" როცა იტყვის მარჯვნივ, ხოლო "ჰაია ღე ლელ ფელაჰ" წარმოთქმისას კი მარცხვნივ შეტრიალდება. თუ მუეზზინი მინარეთზეა მარჯვნიდან მარცხვნივ შემოვლით უნდა წაიკითხოს ეზანი. ხმის გაძლიერებისთვის მუეზზინი ორივე ხელის თითებს ყურებთან მიიდებს.

ლ) ეზანი და ყამეთის კითხვა დროის ლოცვებისა და ყაზა (გაცდენილი) ლოცვებისთვის სუნნეთია. ეზანი და ყამეთი არა დროის, არამედ ლოცვისთვისაა სუნნეთი, ამიტომ გაცდენილი ლოცვის ანაზღაურების დროს ეზანი და ყამეთი სუნნეთია. ებუ ჰურაირას გადმოცემით წმ. შუამავალი და მისი თანამოღვაწე მეგობრები შორი გზიდან ბრუნდებოდნენ. გზად შემოაღამდათ და ერთ ადგილას დაბანაკდნენ. წმ. შუამავალმა ბილალს უბრძანა მორიგეობა ეკისრა. ბილალი ძალიან დაღლილი იყო, ჩაეძინა და დილის ლოცვაზე ვეღარ გაიღვიძა. შესაბამისად დილის ლოცვა ვეღარ ილოცეს. მზე რომ ამოვიდა და ლოცვის შესრულებისთვის აკრძალული დრო გავიდა ყველამ მცირე განბანვა შეასრულა და ბილალმა ეზანი წაიკითხა. ორი მუხლი ლოცვა აღასრულეს შემდეგ დილის ლოცვის ფარზი ილოცეს.

მ) ერთზე მეტი გაცდენილი ლოცვის ასანაზღაურებელ ლოცვებისთვის ცალკ-ცალკე ეზანი და ყამეთი უმჯობესია, მაგრამ თუ ერთიდაიმავე ადგილზე ერთზე მეტი "ყაზა" ლოცვის ანაზღაურება ხდება პირველი ლოცვისთვის ეზნის კითხვაა საჭირო, ხოლო დანარჩენებისთვის ყამეთის კითხვა საკმარისად მიიჩნევა. ჰენდექის ბრძოლის დროს მუსლიმებმა ზედიზედ სამი ლოცვა ვერ ილოცეს. ღამის ლოცვის დროს, ბილალმა ეზანი და ყამეთი იკითხა და იმ დღის შუადღის ლოცვა აღასრულეს, შემდეგ ისევ ბილალმა ყამეთი იკითხა და სამხრობის ლოცვა შეასრულეს. ასევე ყამეთი იკითხეს საღამოს და ღამის ლოცვის აღსრულებისთვის.

ნ) ეზანსა და ყამეთს შორის მცირე შეყოვნებაა საჭირო. საღამოს ლოცვის დროს სამი მოკლე აიათის წაკითხვისათვის საჭირო დროით შეყოვნება საკმარისია, ხოლო სხვა დროის ლოცვების დროს ეზანსა და ყამეთს შორის 12 აიათის წაკითხვისთვის საჭირო დროით შეყოვნება შეიძლება. მტკიცებულება შემდეგი ჰადისია:

ო)

"ბილალ, ეზანსა და ყამეთს შორის ცოტა ხნით შეყოვნდი. თუ მორწმუნე საჭმელს მიირთმევს, დაასრულოს. სხვა საჭიროებაც მოამთავროს.

პ) ყამეთსა და ლოცვას შორის ჭამა, სმა და დაბანის მსგავსი ქმედება მიუღებელია. ანუ ასეთ შემთხვევაში ყამეთი თავიდან უნდა იქნას წაკითხული. თუ ყამეთის წამკითხველი ყამეთის შემდეგ სუნნეთს ილოცავს ან იმამი ყამეთის შემდეგ მოვა, ყამეთის თავიდან წაკითხვა საჭირო არაა.

ქ) მუეზზინმა თავისი ანაზღაურება, ანუ ჯილდო ღმერთისგან უნდა მოითხოვოს და ეზანი იკითხოს. როდესაც წმ. შუამავალმა ოსმან იბნი ები-ლ ასი თავის ტომში იმამად გაგზავნა, უბრძანა ისეთი მუეზზინი აერჩია, რომელიც ანაზღაურებას არ მოითხოვდა. იმამი მალიქი მიიჩნევდა, რომ ასეთ დროს ანაზღაურების აღება შეიძლება. იმამი შაფიც იგივე აზრის იყო. ჰანეფის სამართალმცოდნეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იმამობის, მუფთობის, ყურანის მასწავლებლობის, მუეზზინობის და მსგავსი საქმიანობისთვის ანაზღაურების აღება შეიძლება. მათი გადაწყვეტილების საბაბი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების თავიდან აცილება იყო.

3) ეზნის მოსმენის წესი.

ა) ეზნის კითხვისას საუბარი უნდა შეწყდეს. უფრო მეტიც, თუ ვინმე ყურანს კითხულობს, კითხვის შეწყვეტა და ეზანზე მოსმენა მეტი მადლია. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც მეჩეთში, ან სახლში ყურანის მკითხველს ეზნის დროს შეუძლია ყურანის კითხვა გააგრძელოს. გარდა ამისა, ისლამის ზოგიერთი სწავლული მიიჩნევდა, რომ ეზნის კითხვისას ლაპარაკის, ან გადაუდებელი საქმის გაგრძელება შეიძლება.

ბ) ეზნის და ყამეთის მოსმენის დროს მსმენელმა თავისთვის იგივე სიტყვები რომ გაიმეოროს მადლია. წმ. შუამავალი ბრძანებდა: "ეზნის მოსმენისას მუეზზინის ნათქვამი თქვენც გამეორეთ!"

ჰადისში, რომელიც ხალიფა ომარმა გადმოგვცა ნაბრძანებია, რომ წმ. შუამავალმა ეზნის მოსმენისას ერთ-ერთ მორწმუნეს, რომელიც ეზნის სიტყვებს ზუსტად იმეორებდა ასწავლა: "ჰაიაღე ლესსელაჰ" და "ჰაიაღე ლელ ფელაჰ"ის მაგივრად "ლაა ჰევლე ვე ლაა ყუვვეთე ილლაა ბილლააჰ" წარმოთქვიო.

გ) ეზნის მიზანი ლოცვის აღსრულებისკენ მოწოდებაა, ამიტომ მსმენელის მიერ ყველაზე ადეკვატური პასუხი ლოცვის აღსრულება იქნება.

დ) ეზნის შემდეგ, როგორც წესი სპეციალურ ვედრებას კითხულობენ.

ე) ჯუნუბი, ანუ მორწმუნე, რომელიც დიდ განბანვას საჭიროებს ეზნის მიმართ სხვებივით ვალდებულებაშია, ხოლო მანდილოსნები მენსტრუაციის ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში ეზნის წესების დაცვას არ საჭიროებენ, რადგან ისინი ლოცვის აღსრულებისგან გათავისუფლებულნი არიან.

თუ მორწმუნე ერთი და იმავე დროის ერთზე მეტ ეზანს მოუსმენს მხოლოდ პირველის მიმართ წესების გათვალისწინება საკმარისია.

4) ლოცვის გარეშე ეზნის კითხვა

ლოცვის გარეშე ზოგიერთი მიზეზით ეზნის კითხვა მადლია. მაგ. ბავშვის დაბადებისას მის ყურთან ეზნის წაკითხვა მადლია, რადგან

ცნობილია, რომ წმ. შუამავალმა თავისი შვილიშვილი ჰასანი რომ დაიბადა ყურში ეზანი წაუკითხა. ეზნის კითხვა მისაღებია ომის დროს, აგრეთვე ხანძრის შემთხვევაში. ეზნის კითხვა რეკომენდირებულია ზომაგადასული სიბრაზის დროს, ნერვიული კრზისის და ისტერიკის შემთხვევაში. ეზნის კითხვა საჭიროა ჯინების და მოჩვენებისგან თავის დასაცავად, რადგან ჰადისებით ცნობილია, რომ ეზნის გაგონებისას სატანა იქაურობას შორდება.

ბ.) ყამეთი

როდესაც მამაკაცები ლოცვას ასრულებენ, მნიშვნელობა არა აქვს მარტო თუ კოლექტიურად სავალდებულო ლოცვის დასაწყისში ყამეთის წაკითხვა სუნნეთია. მანდილოსნებს არ ევალებათ არც ეზანი და არც ყამეთი. მანდილოსნის მიერ ეზნის ან ყამეთის წაკითხვა მექრუჰია და წაკითხვის შემთხვევაში ხელახლა მამაკაცის მიერ წაკითხვა აუცილებელია.

ჯუმის გარდა სხვა სავალდებულო ლოცვებისთვის ერთზე მეტი ეზნის წაკითხვა მიუღებელია, ხოლო არცერთი სავალდებულო ლოცვისთვის ერთზე მეტი ყამეთის წაკითხვა არ შეიძლება. გამომდინარე აქედან, მეჩეთში, სადაც რომელიმე დროის ლოცვა ეზნის და ყამეთის თანხლებით შესრულდა და იგივე დროის ლოცვისთვის სხვა მლოცველები თუ აპირებენ ლოცვას ეზანის და ყამეთის წაკითხვა საჭირო აღარ არის. ეზნის კითხვის შემდეგ სახლში, სამსახურში ან ნებისმიერ ადგილას ლოცვისას ეზნის კითხვა საჭირო არაა. ასეთ შემთხვევაში ყამეთის წაკითხვის გარეშეც შეიძლება, თუმცა ერთიანად ლოცვის შემთხვევაში ყამეთის წაკითხვა მადლია. ვითირის, ბაირამის და თერავიჰის ლოცვებისთვის ყამეთის წაკითხვა საჭირო არაა.

ყამეთის სიტყვები იგივეა, რაც ეზნის, მაგრამ ერთ კონკრეტულ ადგილას შემდეგი სიტყვების ჩამატებაა საჭირო “ყედ ყაამეთისსელააჰ”.

იმამი შაფიის და ჰანბელის მიმდინარეობების მიხედვით ყამეთის სიტყვები თითოჯერ იკითხება და მხოლოდ ზემოთ ნახსენები წინადადება მეორდება.

ყამეთი ეზნისგან განსხვავებით ჩქარა უნდა შესრულდეს. თუმცა სიტყვები მკაფიოდ უნდა ისმოდეს. როგორც ეზნის, ისე ყამეთის

დროსაც მცირე განბანვაა საჭირო. აგრეთვე საჭიროა ქაღბასკენ პირისახით დგომა და ზედმეტი მოძრაობის და ლაპარაკისგან თავის შეკავება.

Ⅳ-ლოცვის სახეები და მუხლები

ლოცვა შეიძლება იყოს ფარზი, ვაჯიბი, სუნნეთი და მუსთეჰაბი. ქვემოთ მოცემულ თავებში განვიხილავთ და განვმარტავთ თითოეულ მათგანს. დღეღამის განმავლობაში განსაზღვრულ დროს აუცილებლად შესასრულებელი ლოცვა ფარზია. იგივე კატეგორიაში შედის ჯუმის (პარასკევის) ლოცვაც. ვითირის და ბაირამის ლოცვა ვაჯიბის კატეგორიაში შედის. არსებობს სუნნეთის კატეგორიის ლოცვები, რომლების ფარზის წინ, ან შემდეგ სრულდება. რამაზნის თვეში, ღამის ლოცვის შემდეგ შესასრულებელი თარავიჰის ლოცვაც სუნნეთის კატეგორიაში შედის. სხვა დროს ნალოცი ნაფილე ლოცვაც სუნნეთი ან მუსთეჰაბია. მაგ. “თეჰეჯჯუდ”-ის ან, “ქუშლუქ”-ის ლოცვა.

ჰანეფის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობების უმრავლესობა ვაჯიბის კატეგორიას არ აღიარებს, ამიტომ მათი აზრით ლოცვა ორ ჯგუფში ერთიანდება; ფარზი და ნაფილე.

ა) ფარზი ლოცვები

ეს არის ლოცვის სახეობა, რომლის შესახებ მტკიცებულება ურყევია და ვალდებული მორწმუნისგან აუცილებლად შესრულებას საჭიროებს. შეუსრულებლობის შემთხვევაში კი სასჯელს ითვალისწინებს. უარმყოფელი კი სარწმუნოების საზღვრებს მიღმა რჩება. ფარზი ორ ნაწილად იყოფა: ღაინი და ქიფაი. ღაინი ფარზის შესრულება ყველა ზრდასრული და ჭკუასრული მუსლიმისათვის აუცილებელია. ეს არის ხუთი დროის ლოცვა, ყოველ პარასკევს ჯუმის ლოცვა და სხვ.

ხუთი დროის ფარზი სავალდებულო ლოცვის მუხლების რაოდენობა შემდეგია: დილის ლოცვა- ორი მუხლი, შუადღის ლოცვა- ოთხი მუხლი, სამხრობის ლოცვა- ოთხი მუხლი, საღამოს ლოცვა

-სამი მუხლი და ღამის ლოცვა ოთხი მუხლი. მთლიანობაში სულ 17 მუხლი სავალდებულო ლოცვაა. ყოველი მუხლი ლოცვის აღსრულებისთვის 1.5 ან 2 წუთი საკმარისია, ანუ დღეღამის განმავლობაში სულ 25- 30 წუთი სჭირდება გამჩენის ამ მტკიცე და შეუვალ ბრძანების შესრულებას. გარდა ამისა ისლამი მორწმუნეთათვის აწესებს გარკვეულ შეღავათებს, რომლის მიხედვითაც ლოცვის აღსრულება შესაძლებელია მანქანაში, ავტობუსში, თვითმფრინავში და სხვა სატრანსპორტო საშუალებებში. შეღავათებით სარგებლობა შეუძლია ლოგინად ჩავარდნილ ავადმყოფს, ინვალიდს და სხვ. გარდა ამისა გამჩენს მთელი დედამიწა ლოცვისათვის შესაფერის ადგილად დაუწესებია. ესეც ისლამის ღვთისმსახურებისადმი უნივერსალურ მიდგომებზე მეტყველებს.

ყოველ პარასკევს, შუადღის ლოცვის დროს ორი მუხლი ჯუმის ლოცვის აღსრულება ფარზია. ჯუმის ლოცვის აღსრულების შემთხვევაში შუადღის ლოცვის აღსრულება საჭირო აღარაა.

ეს რაც შეეხებოდა ფარზის პირველ კატეგორიას, რომელსაც ეწოდება "ფარზი ღაინ". რაც შეეხება ფარზის მეორე კატეგორიას, ეს არის "ქიფაი". ამ კატეგორიის ფარზი ყოველთვის ყველა მუსლიმისათვის აუცილებლად შესასრულებელი არაა. შეიძლება მორწმუნეთა ერთმა ნაწილმა შეასრულოს და სხვებს პასუხისმგებლობა მოეხსნებათ. მაგ. მიცვალებულის დასაფლავებამდე სალოცავი ლოცვა (ჯენაზე). სოფელში, ან ქალაქში გასასვენებელი მიცვალებულის ლოცვას თუ მორწმუნეთა ნაწილი ილოცავს, სხვები პასუხიმგებლობისგან თავისუფლდებიან. თუ არავინ არ ილოცავს იმ დასახლებულ პუნქტში მაცხოვრებელ მთელი ხალხის პასუხისმგებლობა დგება. ლოცვას ვინც დაესწრება შესაბამისად მადლს დაიმსახურებს.

ბ)ვაჯიბი ლოცვა

ღმერთის და წმ. შუამავლის მიერ ყველა ვალდებულ მორწმუნეზე შესასრულებლად დავალებული ღვთსმსახურება, რომლის მტკიცებულებაც ვარაუდზეა დაყრდნობილი ვაჯიბი ეწოდება. ვითირის და ბაირამის ლოცვა ამ კატეგორიაში განიხილება. ვაჯიბის კატეგორიის ღვთისმსახურება აუცილებლად შესასრულებელია, მაგრამ კატეგორიულობა ფარზთან შედარებით ნაკლებია. ვაჯიბის უარმყოფელი სარწმუნოებიდან გასულად არ ითვლება, მაგრამ დიდ

ცოდვაში ჩავარდება. მაგ. ლოცვის რომელიმე ფარზის გამოტოვება ლოცვას აბათილებს, მაგრამ განზრახ ლოცვის რომელიმე ვაჯიბის გამოტოვება მექრუჰია. ლოცვის აღსრულებისას შეცდომით რომელიმე ვაჯიბის გამოტოვებისას დამატებითი სეჯდით (სევიჰ სეჯდე) ნაკლოვანება სწორდება.

შეპირებული ლოცვა, "სევიჰ სეჯდე" და შეწყვეტილი ნაფილე ლოცვის ანაზღაურება ვაჯიბია.

ვითირის ლოცვა სამი მუხლია, ხოლო ორივე ბაირამის ლოცვა-ორ-ორი მუხლი.

გ) ნაფილე ლოცვა

ფარზის და ვაჯიბის გარდა ყველა ლოცვა განიხილება როგორც ნაფილე. ამ კატეგორიაში შედის ყველა სუნნეთი ლოცვა, ქუშლუქის, თეჰეჯჯუდის, ევვაბინის და თეევეთთუს ლოცვები. ისლამის ზოგიერთი სწავლული სუნნეთსა და ნაფილე ლოცვებს განასხვავებს და ცალ-ცალკე კატეგორიაში განიხილავს.

სუნნეთი ლოცვების მუხლების რაოდენობა შემდეგია: დილის ლოცვის 2 მუხლი სუნნეთი, შუადღის ლოცვის 4 წინა და 2 ბოლო სუნნეთი, სამხრობის ლოცვის 4 მუხლი სუნნეთი, საღამოს ლოცვის 2 მუხლი სუნნეთი, ღამის ლოცვის 4 წინა და 2 ბოლო სუნნეთი.

გარდა ამისა არსებობს ჯუმის ლოცვის წინა ოთხი, ფარზის შემდეგ ბოლო ოთხი და ე.წ. "დროის" ორი მუხლი სუნნეთი.

რამაზნის თვეში სალოცავი თერავიჰის ლოცვა ოცი მუხლია. სხვა დანარჩენი ნაფილე ლოცვები მინიმუმ ორ-ორი მუხლია.

დილის ლოცვის ორი სუნნეთი, შუადღის ლოცვის წინა ოთხი და ბოლო ორი სუნნეთი, საღამოს ლოცვის ორი სუნნეთი და ღამის ლოცვის ბოლო ორი სუნნეთი "სუნნეთი მუექქედ"-ის კატეგორიაში შედის. ამ ტიპის სუნნეთი წმ. შუამავალს სისტემატიურად შეუსრულებია და იშვიათად გამოუტოვებია. ამათ გარდა არსებობს სუნნეთის კატეგორია, რომელიც წმ. შუამავალს შედარებით იშვიათად შეუსრულებია. ასეთ სუნნეთს "ღაირი მუექქედ"-ი ჰქვია. ესენია: სამხრობის და ღამის ლოცვის ოთხმუხლიანი სუნნეთი. ამ უკანასკნელის შესახებ არ არსებობს მყარი მტკიცებულება, რომ წმ.

შუამავალი სისტემატიურად ასრულებდა. ეს ლოცვები ფარზთან ერთად სრულდება. ამათ გარდა სხვა ნაფილე ლოცვები კი, რომლებიც ცალკე სრულდება მორწმუნეს შეუძლია ილოცოს ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად და მადლისათვის. ასეთებია: თეჰეჯჯუდი, ქუშლუქი, ისთიჰარე, ქუსუფი, თესბიჰი, მგზავრობაში წასვლამდელი და მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგი ლოცვა და სხვები.

V-ლოცვის ფარზები

ლოცვას აქვს თორმეტი ფარზი. ამათგან ექვსი ლოცვის შიგნითაა, ექვსი კი – გარეთა. ლოცვის გარე ფარზები ლოცვისთვის მზადების პროცესს გულისხმობს, ამიტომ მათ ლოცვის პირობებიც შეიძლება ვუწოდოთ. ლოცვის შიგა ფარზები კი, ასე ვთქვათ ლოცვის ძირითადი ხერხემალია.

ამ პირობებიდან რომელიმე რომ არ შესრულდეს ლოცვა მიღებულად არ ითვლება და მისი თავიდან ლოცვა აუცილებელია. გარდა ამისა არსებობს ლოცვის მომშლელი სხვა ფაქტორები და აგრეთვე ლოცვის სრულყოფილებაზე, მისი მადლიანობაზე მოქმედი ქმედბები. საჭიროა მორწმუნემ იცოდეს და მაქსიმალურად მოერიდოს ლოცვის სრულყოფილებისათვის საფრთხის შემქმნელ ფაქტორებს.

ა) პირობები, რომელთა მიხედვითაც ლოცვა ფარზია.

1) მუსლიმი უნდა იყოს

1) მუსლიმობა. ლოცვა ყველა მუსლიმისთვის ფარზია. ურწმუნოებისთვის ლოცვის აღსრულება ფარზი არაა. ისინი არ განიკითხებიან ისლამის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. მათ მხოლოდ ურწმუნოების გამო მოუწევთ სასჯელი. ისლამის სწავლულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ურწმუნოები ისლამის მიერ დაწესებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოც დაისჯებიან.

ვინც ისლამს ცხოვრების რომელიმე ეტაპზე აღიარებს, ვალდებული არაა მანამდე შეუსრულებელი ღვთისმსახურება აანაზღაუროს. ყურანში ნაბრძანებია:

قُلْ لِلَّذ ينَ كَفَرُوا اِنْ يَنْتَهُوا يُغْفَرْ لَهُمْ مَا قَدْ سَلَفَ وَاِنْ يَعُودُوا فَقَدْ مَضَتْ سُنَّتُ الْاَوَّل ينِ

უთხარი, რომელთაც უარყვეს: თუ ისინი შეწყვეტენ, მიეტევება მათ რაც წარსულში იყო. და თუ დაუბრუნდებიან, უეჭველად, წინათ მოქმედი კანონი ძალაში შევა. “ენფალ 8/38. “

წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“ისლამი ადრინდელს შლის!”

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით სარწმუნობიდან გასულ ადამიანს გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება აღარ ევალება. სწავლულთა უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ სარწმუნოებიდან გასულმა გაცდენილი ლოცვები უნდა აანაზრაუროს.

რაც შეეხება ურწმუნოების მიერ ნაკეთებ სიკეთესა და ლოცვას, სიკვდილამდე ურწმუნოების გაგრძელების შემთხვევაში ფუჭია.

ყურანში ნაბრძანებია:

وَقَدِمْنَا اِلٰى مَا عَمِلُوا مِنْ عَمَلٍ فَجَعَلْنَاهُ هَبَاءً مَنْثُورًا

და თვალწინ გადავუშლით საქმეებს, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ და ვაქცევთ მათ ნაცარტუტად! “ფურყანი 25/23. “

თუ ადმიანი ურწმუნოების დროს სიკეთეს გააკეთებს და შემდეგ მუსლიმი გახდება ყველა სიკეთის მადლს მიიღებს. ვთქვათ ადამიანი ურწმუნოა, მაგრამ მოწყალებას გასცემს, მეზობლებს და ნათესავებს ეხმარება, თუ ეს ადამიანი ისლამს აღიარებს და მუსლიმად აღესრულება ყველა ნაკეთები სიკეთის მადლს მიიღებს.

2) ზრდასრულობა.

გარდატეხის ასაკამდე ბავშვებს ლოცვის აღსრულება არ ევალებათ. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“სამ ადამიანს პასუხისმგებლობა არ გააჩნია: ჭკუით ავადმყოფი სანამ გამოჯანმრთელდებოდეს, მძინარე სანამ გაიღვიძებდეს, ბავშვი სანამ გარდატეხის ასაკს მიაღწევდეს.”

თუმცა შვიდი წლის ასკიდან ბავშვები ლოცვას უნდა მიეჩვიონ.

ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

وَاْمُرْ اَهْلَكَ بِالصَّلٰوةِ وَاصْطَبِرْ عَلَيْهَا لَا نَسْـَٔلُكَ رِزْقًا نَحْنُ نَرْزُقُكَ وَالْعَاقِبَةُ لِلتَّقْوٰى

და უბრძანე შენს ოჯახს ლოცვა და იყავი მომთმენი მასზე. ჩვენ არ გთხოვთ სარჩოს, ჩვენ თავად გასაზრდოებთ შენ. ხოლო კეთილი აღსასრული ღვთისმოშიშებისთვისაა! “თაჰა 20/132. ,,

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا قُوا اَنْفُسَكُمْ وَاَهْل يكُمْ نَارًا وَقُودُهَا النَّاسُ وَالْحِجَارَةُ عَلَيْهَا مَلٰئِكَةٌ غِلَاظٌ شِدَادٌ لَا يَعْصُونَ اللّٰهَ مَا اَمَرَهُمْ وَيَفْعَلُونَ مَا يُؤْمَرُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაიცავით თქვენი სულნი და თქვენი ოჯახი ცეცხლისგან, რომლის საწვავი ადამიანები და ქვებია, ზემოდან ანგელოზნი ძლიერნი და შეუბრალებელნი. არ ეურჩებიან ალლაჰს იმაში, რაც უბრძანა მათ და აკეთებენ იმას, რაც ებრძანათ. „თაჰრიმ 66/6. “

3) გონებასრულობა.

ისლამის ვალდებულებების საყრდენი გონებაა. გამომდინარე აქედან, ჰანბელის მიმდინარეობის გარდა ყველა მიმდინარეობის მიხედვით ფსიკიკურად მოშლილ ადამიანებისთვის ლოცვა ფარზი არაა. არსებობს ამის მამტკიცებელი ჰადისი.

მძინარე მდგომარეობაში. ან დავიწყების მიზეზით ლოცვის გაცდენის შემთხვევაში, შესაბამისად გამოღვიძებისას და გახსენებისას ლოცვის აღსრულება აუცილებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მენსტრუაციის და მშობიარობის

შემდგომი სისხლდენის პერიოდში მანდილოსნებისთვის ლოცვის აღსრულება ფარზი არაა. იგივე ეხება ნაყოფის რაიმე მიზეზით მოშორების შემთხვევაშიც.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები რომელიმე ლოცვისთვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში დასრულდება საჭიროა განბანვა და კონკრეტული ლოცვის შესრულება. თუ ჭკუიდან შეშლა, მენსტრუაცია ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენა ლოცვისთვის განკუთვნილი დროის ფარგლებში, ერთი ლოცვის აღსრულებისთვის საკმარისი დროის გასვლის შემდეგ დაფიქსირდა ის ლოცვა მორწმუნისთვის ფარზი არაა. ლოცვის დროის მიწურულს დაფიქსირებული მიზეზი ფარზის შესრულებას შეუძლებელს ხდის. ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევენ, რომ ლოცვის აღსრულებისთვის განკუთვნილი დროის ფარგლებში, ჩამოთვლილი მიზეზებიდან რომელიმე მიზეზის დაფიქსირებამდე თუ ერთი ლოცვის აღსრულებისთვის საკმარისი დრო გავიდა ამ ლოცვის შემდგომში ანაზღაურება აუცილებელია.

ბ) ლოცვის პირობები

ლოცვის 12 პირობიდა 6 ლოცვის დაწყებამდეა შესასრულებელი.

1) განბანვა. საჭიროების შემთხვევაში დიდი განბანვა, მცირე განბანვა. აგრეთვე ტუალეტის შემდეგ წესის და რიგის დაცვით განბანვა,

2) სხეულის, ტანსაცმლის და სალოცავი ადგილის სიბინძურისგან განწმენდა,

3) სარწმუნოების მიხედვით განსაზღვრული სხეულის დასაფარი ადგილების დაფარვა,

4) ქაღბასკენ სახით დადგომა,

5) დრო

6) ნიეთი, განზრახულობა, მიზანი.

დანარჩენი 6 პირობა ლოცვის დაწყების შემდეგაა:

1) იფთითაჰ თექბირი- ლოცვის “ალლაჰუ ექბერ “ თქმით დაწყება,

2) ფეხზე დგომა

3) ლოცვისას ყურანის აიათის წაკითხვა,

4) რუქუ (ფეხზე დგომისას ხელების მუხლებზე დადება და წინ წახრა)

5) სეჯდე (ლოცვის დროს დაჩოქება და შუბლით ძირს შეხება)

6) ლოცვის ბოლოსკენ “ეთთეჰიათუ”-ს წასაკითხად საკმარისი დროით მჯდომარე მდგომარეობაში გაჩერება.

ახლა შევეცდებით ლოცვის წინა პირობები განვმარტოთ.

1) განბანვა. მორწმუნე რომელიც დიდ განბანვას საჭიროებს (ჯუნუბი) უნდა განიბანოს. განბანვაა საჭირო აგრეთვე მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომის სისხლდენის შემდეგ. აუცილებელია აბდესთის აღება- მცრე განბანვა. განბანვის ყველა ეს სახე საჭიროა, როგორც ჯანმრთელობის და ესთეტიკის მხრივ, ისე მორწმუნის ღმერთის წინაშე წარდგომისათვის.

ყურანში ნაბრძანებია რომ:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اِذَا قُمْتُمْ اِلَى الصَّلٰوةِ فَاغْسِلُوا وُجُوهَكُمْ وَاَيْدِيَكُمْ اِلَى الْمَرَافِقِ وَامْسَحُوا بِرُؤُسِكُمْ وَاَرْجُلَكُمْ اِلَى الْكَعْبَيْنِ وَاِنْ كُنْتُمْ جُنُبًا فَاطَّهَّرُوا وَاِنْ كُنْتُمْ مَرْضٰى اَوْ عَلٰى سَفَرٍ اَوْ جَاءَ اَحَدٌ مِنْكُمْ مِنَ الْغَائِطِ اَوْ لٰمَسْتُمُ النِّسَاءَ فَلَمْ تَجِدُوا مَاءً فَتَيَمَّمُوا صَعِيدًا طَيِّبًا فَامْسَحُوا بِوُجُوهِكُمْ وَاَيْد يكُمْ مِنْهُ مَا يُر يدُ اللّٰه لِيَجْعَلَ عَلَيْكُمْ مِنْ حَرَجٍ وَلٰكِنْ يُر يدُ لِيُطَهِّرَكُمْ وَلِيُتِمَّ نِعْمَتَهُ عَلَيْكُمْ لَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა წამოდგებით სალოცავად, დაიბანეთ სახენი და ხელები იდაყვების ჩათვლით, თავი შეიწმინდეთ და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით. და თუ ხართ უსუფთური, განიბანეთ. და თუ ავად ხართ ან მოგზაურობთ; ან თუ რომელიმე თქვენთაგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განი-

ბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. ალლაჰს არ სურს რაიმე სიძნელე დაგიწესოს თქვენ, მაგრამ უნდა, რომ განგწმინდოთ თქვენ და სრულქმნას წყალობა მისი თქვენდა, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ! “ მაიდე 5/6. “

ყველა ლოცვისთვის, ეს იქნება ფარზი, ვაჯიბი, სუნნეთი თუ ნაფილე ფიზიკური განწმენდა აუცილებელი პირობაა.

ლოცვის აღსრულებისას ნებისმიერი მიზეზით აბდესთის მოშლის შემთხვევაში ლოცვაც იშლება.

ქალებს, მათთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ ლოცვის ვალდებულება არ გააჩნიათ. ასეთ დღეებში მიუღებელია სქესობრივი კავშირის დამყარებაც. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ ქალებს ასეთ დღეებში გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება არ ევალებათ, ხოლო მარხვა უნდა აანაზღაურონ. ეს მანდილოსნებისთვის დაწესებული შეღავათია.

2) სიბინძურისგან განწმენდა. ლოცვის დაწყებამდე სხეულის, ტანსაცმლის და სალოცავი ადგილის სარწმუნოების მიხედვით სიბინძურედ ჩათვლილ ყველაფრისგან გაწმენდა. ბუნებრივია ესეც ლოცვის აუცილებელი პირობაა. ლოცვისთვის ხელისშემშლელი სიბინძურის რაოდენობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ანუ თხევადი სიბინძურის შემთხვევაში ხელის გულის ტოლა ადგილზე მეტად არ უნდა იყოს გავრცელებული, ხოლო შედარებით მყარი სიბინძურე 4 გრამს არ უნდა აღემატებოდეს. იმ ცხოველების, რომელთა ხორცის ჭამა შეიძლება და ცხენის გამონაყოფი დანარჩენებთან შედარებით მსუბუქ სიბინძურედ ითვლება, თან მათგან თავის დაცვა შედარებით ძნელია, ამიტომ მსგავსი სიბინძურით სხეულის, ან ტანსაცმლის ერთ მეოთხედზე ნაკლები ადგილის დასვრის შემთხვევაში ლოცვა მიღებული და ნაპატიებია.

მექაში, ისლამის აღმოცენების პერიოდში მოვლენილ აიათებში ნაბრძანებია:

وَثِيَابَكَ فَطَهِّرْ

და შენი სამოსი განიწმინდე, “მუდდესსირ 74/4. “

მექაში მოვლენილ სხვა აიათში ლოცვის აღსრულების დროს ლამაზი ტანსაცმლის ჩაცმის ვალდებულებაა ნახსენები. სხვა აიათებში ყურადღებაა გამახვილებული აგრეთვე სალოცავი ადგილის სისუფთავეზე:

وَاِذْ جَعَلْنَا الْبَيْتَ مَثَابَةً لِلنَّاسِ وَاَمْنًا وَاتَّخِذُوا مِنْ مَقَامِ اِبْرٰهٖمَ مُصَلًّى وَعَهِدْنَا اِلٰٓى اِبْرٰهٖمَ وَاِسْمٰعِيلَ اَنْ طَهِّرَا بَيْتِىَ لِلطَّائِفِينَ وَالْعَاكِفِينَ وَالرُّكَّعِ السُّجُودِ

და აკი, დავადგინეთ ჩვენ ეს სახლი ხალხის შესაკრებად (მადლის შესაძენად) და უსაფრთხოდ მათთვის: აიღეთ იბრაჰიმის სადგომი სამლოცველოდ! და ჩვენ აღთქმა დავუდეთ იბრაჰიმსა და ისმაილს: განწმინდეთ ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარშემომვლელია, ღვთისმოსავია, რუქუღისა (მუხლის მომყრელია) და სეჯდეს შემსრულებელიაო. “ბაქარა 2/125. “

ნივთიერი სიბინძურის გარდა აიათებში ნაბრძანებია მონანიებით სულიერი სიბინძურისგან განწმენდის საჭიროებაზეც.

3) რელიგიით განსაზღვრული სხეულის გარკვეული ნაწილის დაფარვა. ეს ის ადგილებია, რომელთა სხვების მიერ დანახვა სირცხვილი ან ცოდვაა. ამ ადგილების დაფარვა აუცილებელია, როგორც ლოცვის აღსრულებისა, ისე ლოცვის გარეთ ჩვეულებრივ ყოფაშიც.

ისლამის მიხედვით ნათლად განსაზღვრულია ქალისა და მამაკაცისათვის სხეულის დასაფარი ნაწილების საზღვრები. ყურანში აგრეთვე საუბარია პირველი ადამიანების ადამის და ევას შესახებ:

فَاَكَلَا مِنْهَا فَبَدَتْ لَهُمَا سَوْاٰتُهُمَا وَطَفِقَا يَخْصِفَانِ عَلَيْهِمَا مِنْ وَرَقِ الْجَنَّةِ وَعَصٰٓى اٰدَمُ رَبَّهُ فَغَوٰى

ორივემ შეჭამა მისგან, მაშინ ცხადი იქმნა მათი სასირცხო ადგილები. დაიწყეს სამოთხის ფოთლების მიფარება სხეულზე. და ადამი ეურჩა თავის ღმერთს და გზა აებნა. “ტაჰა 20/121. “

აიათებში მითითებულია, რომ მამაკაცებმა უნდა მოერიდონ მრუშობას და ქალის სხეულის ისეთი ნაწილების დანახვას, რომელთა დანახვაც მრუშობისთვის მოტივაციას აღძრავს. ქალებს კი ევალებათ მსგავსი ადგილები და თმებიც დაიფარონ.

631 წელს, ებუ ბექირის მიერ ორგანიზებული პირველი ჰაჯობის ცერემონიალის დროს ყველას გასაგონად გავრცელდა იმ დროს მოვლენილი ორი აიათი, სადაც ნაბრძანები იყო, რომ იმ წლის შემდეგ ვერცერთი კერპთაყვანისმცემელი და შიშველი ადამიანი ქარბაში მოსალოცად ვერ ჩავიდოდა.

სასქესო ორგანოების გარდა სხეულის რა ნაწილი უნდა იყოს დაფარული წმ. შუამავლის ჰადისებით არის განსაზღვრული. ჰადისში ნაბრძანებია, რომ ზრდასრული მანდილოსნის მიერ აღვლენილი ლოცვა მიღებულად არ ჩაითვლება თუ თავსაფარი არ აქვს. სხვა ჰადისში ნაბრძანებია, რომ ზრდასრულობას მიღწეულ ქალბატონს ხელების და სახის გარდა მთელი სხეული დაფარული უნდა ჰქონდეს.

ადამიანს, რომელსაც სუფთა ტანსაცმელი გააჩნია და შიშველი ილოცავს, თუნდაც ბნელ ოთახში სრულიად მარტო იყოს აღსრულებული ლოცვა მიღებულად არ ჩაეთვლება.

მამაკაცებისთვის სხეულის დასაფარი ნაწილი ჭიპიდან მუხლებამდეა.

მანდილოსნებისთვის სახის და ხელების გარდა სხეულის მთელი ნაწილის დაფარვა სავალდებულოა. ფეხის ტერფების საკითხში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, თუმცა უფრო მყარი აზრის თანახმად მანდილოსნის ფეხის ტერფები დაფარვას არ ექვემდებარება. მკლავების, ყურების და თმების დაფარვა სავალდებულოა.

ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის აზრით ლოცვის დროს მანდილოსნის რომელიმე დასაფარი ორგანოს ერთი მეოთხედი ნაწილი თუ დასაფარი დარჩა მლოცვა მიუღებლად ითვლება. ებუ იუსუფის აზრით ლოცვა მაშინაა მიუღებელი თუ თავის ან სხვა დასაფარი ორგანოს ნახევარზე მეტი ნაწილია დაუფარავი.

მალიქის მიმდინარეობის მიხედვით დასაფარი ადგილები ორ კატეგორიაშია განხილული: როგორც მძიმე და მსუბუქი კატეგორია. მაგ. მამაკაცისთვის მძიმე კატეგორიის დასაფარი სხეულის ნაწილი სასქესო ორგანოთი და უახლოესი ტერიტორიით განისაზღვრება, ხოლო ჭიპიდან მუხლებამდე სხეულის ნაწილი მსუბუქ კატეგორიაში გადის. მათი აზრით პირველი ნაწილის დაფარვის აუცილებლობა უმკაცრესია. დაფარვას საჭიროებს აგრეთვე "მსუბუქ" დასაფარ ადგილებად მიღებული ჭიპიდან მუხლებამდე სხეულის ნაწილიც, მაგრამ არა იმდენად კატეგორიულად. მალიქის

მიხედვით მანდილოსნებისთვისაც არსებობს მძიმე და მსუბუქი კატეგორიის დასაფარი სხეულის ნაწილები. მაგ. მანდილოსნის მკერდი და მის უკან ზურგის ნაწილი, მკლავები, კისერი, თავი და მუხლებს ქვემოთ ფეხები მსუბუქ კატეგორიაში შედის, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილები მძიმე კატეგორიად ითვლება. ამ კლასიფიკაციის ლოცვასთან მიმართებაში დამოკიდებულება შემდეგია: მსუბუქი კატეგორიის დასაფარი ადგილების ღიად ყოფნის შემთხვევაში აღსრულებული ლოცვა მიღებულია, თუმცა მსგავსი ქმედება ცოდვაა. ამ შეხედულების ავტორები მიიჩნევენ, რომ ქალი, რომლიც თავდაუხურავად ლოცვას აღავლენს ლოცვად ჩაეთვლება, თუმცა ლოცვის დროის გასვლამდე ხელახლა ლოცვა უმჯობესია, თუ ლოცვის დრო გავიდა ხელახლა ლოცვა საჭირო აღარ არის.

სხეულის ორგანოების დაფარვის მიზანი სხვისი თვალისგან მორიდებაა, თორემ ადამიანს შეუძლია საკუთარი სხეულის ორგანოებს შეხედოს. გამომდინარე აქედან, თუ მორწმუნე ღილებშეხსნილი ჩასაცმელით ლოცულობს და საკუთარი სხეულის "დასაფარ" ადგილებს შეხედავს ლოცვა არ მოეშლება. თუმცა ლოცვისას მანდილოსნის შეხსნილი მკერდი სხვამ რომ დაინახოს ლოცვა იშლება.

ლოცვის აღვლენისას რომელიმე ორგანოს ერთი მეოთხედი ნაწილის გამოჩენას მლოცველმა თავისით თუ შეუწყო ხელი, (მაგ. მანდილოსანმა ლოცვის პროცესში თავი მოიხადა) ერთი მუხლის ლოცვისთვის საკმარისი დროის გასვლა არ არის საჭირო, ლოცვა მაშინვე იშლება.

ძალიან თხელი და გამჭვირვალე ტანსაცმელით ლოცვა, რომელიც სხეულს იმდენად ვერ ფარავს რომ კანის ფერის გარკვევა შეიძლება, მიუღებელია. ბუნებრივია ეს არ არის სხეულის რეალური დაფარვა. სქელი, მაგრამ ვიწრო ტანსაცმელი, რომელშიც სხეულის ფორმები იკვეთება არასასურველიაა, მაგრამ ლოცვას ხელს არ უშლის.

შაფის მიმდევრების მიხედვით, ასეთი ვიწრო ტანსაცმლით, რომელშიც სხეულის ფორმები იკვეთება ლოცვის აღვლენა მანდილოსნებისთვის მექრუჰია. მამაკაცებისთვისაც უმჯობესია ზედმეტად ვიწრო ტანსაცმელს მოერიდონ.

თუ მორწმუნე ვერ შეძლებს დაიფაროს სხეულის ის ნაწილები, რომლებიც სარწმუნოებით სავალდებულოა შეუძლია ძირს დაჯდეს, ფეხები ქაღბას მიმართულებით გაშალოს და იმიტაციის მეთოდით ილოცოს. მისი სხეული ასეთ მდგომარეობაში მაქსიმა-

ლურად დაფარული იქნება. თუ მორწმუნე იშოვის რაიმეს, რითაც სხეულის მხოლოდ ერთი ორგანოს დაფარვა შეეძლება, რა თქმა უნდა უპირველესად სასქესო ორგანოებს და მის გასწვრივ უკანა მხარეს დაიფარავს. ამის შემდეგ მამაკაცების შემთხვევაში საჭიროა ბარძაყების და შემდეგ მუხლების დაფარვა. მანდილოსნების შემთხვევაში კი სასქესო ორგანოების და მის გასწვრივ უკანა მხარის დაფარვის შემდეგ ბარძაყები, მუცელი, ზურგი, მუხლები და ასე შემდეგ თანმიმდევრობით უნდა დაიფაროს.

4) ქაღბასკენ შეტრიალება

ლოცვის ქაღბას მიმართულებით ლოცვა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მედინას პერიოდში, დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში მუსლიმები იერუსალიმისკენ, "მესჯიდი აქსას" მხარეს მიტრიალებული ასრულებდნენ ლოცვას. ბედირის ბრძოლამდე ორი თვით ადრე მოვლენილ აიათებში კი ნაბრძანები იყო მუსლიმები ლოცვის დროს ქაღბასკენ შეტრიალებულიყვნენ. არსებობს ვარაუდი, რომლის თანახმადაც ქაღბასკენ ნალოცი პირველი ლოცვა სამხრობის ლოცვა იყო.

ქაღბა არ არის მხოლოდ ის ნაგებობა, რომელიც მექაში დგას. უფრო იმ ადგილს აღნიშნავს, სადაც ეს ნაგებობა დგას. ქაღბა არის აგრეთვე ამ ადგილს ზევით ზეცამდე და მის ქვეშ დედამიწის სიღრმეში. ქაღბაში მლოცველები ქაღბას გარეთ წრეზე დგებიან და ერთად ლოცულობენ.

როგორც მოგახსენეთ ლოცვის დროს ქაღბას მიმართულებით შეტრიალება ფარზია. განზრახ სხვა მხარეს მიტრიალება და ისე ლოცვა მიუღებელია. დაუშვებელია ლოცვის პროცესში განზრახ სხვა მხარეს მიტრიალება.

ისლამის სწავლულების ერთიანი შეხედულებით ქაღბას ვინც ხედავს ლოცვისას მისკენ მიტრიალება ფარზია.

ქაღბადან შორს მყოფი მუსლიმებისთვის კი ლოცვისას ზუსტად ქაღბასკენ მიტრიალება ფარზი არ არის. საკმარისია დაახლოებით ქაღბას მხარეს შეტრიალება. თუ მორწმუნეებმა ზუსტად არ იციან ქაღბას მიმართულება საჭიროა გამოიკვლიონ და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეასრულონ ლოცვა. ამ საკითხის შესახებ ამრ იბნ რაბია მოგვითხრობს, რომ ერთხელ როდესაც შუამავლის მეგობრებმა ძალიან ბნელ ღამეში ქაღბას მიმართულება ვერ დაადგი-

ნეს ყველამ თავისი აზრით გადაწყვიტა მიმართულება და ლოცვა შეასრულა. დილას კი წმ. შუამავალს აცნობეს. ამის თაობაზე კი შემდეგი აიათი მოევლინა:

وَلِلّٰهِ الْمَشْرِقُ وَالْمَغْرِبُ فَاَيْنَمَا تُوَلُّوا فَثَمَّ وَجْهُ اللّٰهِ اِنَّ اللّٰهَ وَاسِعٌ عَلِ يمٌ

ალლაჰს ეკუთვნის აღმოსავლეთიცა და დასავლეთიც და საითაც არ უნდა შეტრიალდეთ, ისაა მორჩილებისა და მსახურების მხარე ალლაჰისადმი. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა. “ ბაყარა 2 /115!”

წმ. შუამავალი კი ბრძანებდა: “ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორისი ყიბლეა! “

იმამ შაფიის აზრით, მორწმუნე, რომელიც მექაში არ იმყოფება ვალდებულია ქაღბას მიმართულება დაადგინოს და ისე ილოცოს. მტკიცებულება შემდეგი აიათია:

وَمِنْ حَيْثُ خَرَجْتَ فَوَلِّ وَجْهَكَ شَطْرَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَحَيْثُ مَا كُنْتُمْ فَوَلُّوا وُجُوهَكُمْ شَطْرَهُ لِئَلَّا يَكُونَ لِلنَّاسِ عَلَيْكُمْ حُجَّةٌ اِلَّا الَّذ ينَ ظَلَمُوا مِنْهُمْ فَلَا تَخْشَوْهُمْ وَاخْشَوْن ى وَلِاُتِمَّ نِعْمَت ى عَلَيْكُمْ وَلَعَلَّكُمْ تَهْتَدُونَ

და საიდანაც გამოხვიდე, სახე მიაბრუნე მესჯიდი ჰარამისკენ, და სადაც არ უნდა იყოთ, მიაპყარით სახეები იმ მხარეს, რომ არ ჰქონდეს ხალხს მტკიცებულება თქვენ წინააღმდეგ, გარდა მათი, რომელთაც ჰქმნეს უსამართლობა. ნუ გეშინიათ მათი და გეშინოდეთ ჩემი, რათა სრულვჰყო წყალობა ჩემი თქვენდამი, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ. “ბაქარა 2/150. “

ამ აიათით ნაჩვენებია, რომ ლოცვის დროს საჭიროა ქაღბასკენ შეტრიალება. შაფიის მიმდევრებიც მიიჩნევენ, რომ ქაღბას მიმართულების არცოდნის შემთხვევაში კარგად უნდა იქნას გამოკვლეული მიმართულება და დადგენილ მხარეს უნდა შესრულდეს ლოცვა.

მორწმუნეს, რომელმაც ქაღბას მიმართულება არ იცის შეუძლია ვინმე სანდო და მცოდნე ადამიანს კითხოს, ან კომპასი გამოიყენოს, ან ვარსკვლავების მიხედვით დაადგინოს და ა. შ. თუ ლოცვის შემდეგ მიხვდა, რომ არასწორი მიმართულებით ილოცა ხელახლა ლოცვა საჭირო აღარაა, ხოლო ლოცვის პროცესში თუ გააფრთხილეს და მიუთითეს ქაღბას მიმართულება საჭიროა ქაღბასკენ შეტრიალდეს.

თუ მორწმუნეს ავადმყოფობის ან რაიმე სერიოზული საფრთხის გამო არ შეუძლია ყიბლისკენ შეტრიალება, საითაც შეძლებს იქით მიტრიალებული ილოცავს, რადგან ვალდებულება მხოლოდ შესაძლებლობების ფარგლებშია.

ვთქვათ მორწმუნემ ქაღბას მიმართულება არ იცის და მიმართულების მცოდნეს არ შეეკითხა. თავისით დაადგინა მიმართულება და ილოცა. თუ სწორ მიმართულებას დაემთხვევა ლოცვა მიღებულია, ხოლო თუ შეცდება ლოცვა მიუღებელია. იგივე სიტუაციაა ბრმა ადამიანის შემთხვევაშიც.

ვთქვათ მორწმუნეს ეეჭვება ქაღბას მიმართულება და ყოველგვარი დადგენის მცდელობის გარეშე დაიწყო ლოცვა. ლოცვის დროს რომც მიხვდეს, რომ სწორი მიმართულებით ლოცულობს ლოცვა მაინც თავიდან უნდა შეასრულოს, რადგან ნახევარი ლოცვა ეჭვნარევი გადაწყვეტილების საფუძველზე ილოცა და დანარჩენი მუხლების წინა საეჭვო საფუძველზე დაყრდნობა მიუღებელია. თუ ლოცვის დასრულების შემდეგ მიხვდება ქაღბას სწორ მიმართულებას თავიდან ლოცვა საჭირო აღარაა. იმამ ებუ იუსუფის აზრით კი ორივე შემთხვევაში ლოცვა მიღებულია და ხელახლა ლოცვას არ საჭიროებს.

თუ მორწმუნეს ქაღბას მიმართულება ეეჭვება და გამოკვლევით დაადგენს, მაგრამ სხვა მიმართულებით ილოცავს, ლოცვის მიმართულება ქაღბას რომც დაემთხვეს ლოცვა თავიდან უნდა შეასრულოს. იმამ ებუ იუსუფის აზრით კი თუ ის მიმართულება ქაღბას დაემთხვევა ლოცვა განმეორებას არ საჭიროებს.

თუ მორწმუნე მეჩეთში ლოცვის აღსრულებისას იფიქრებს რომ აბდესთი მოეშალა და ამ საბაბით ქაღბას მიმართულებას დაშორდება, ხოლო შემდეგ მიხვდება, რომ აბდესთი არ მოშლია, ებუ ჰანეფის აზრით ლოცვის გაგრძელება შეუძლია. ასეთ შემთხვევაში თუ მორწმუნე მეჩეთიდან გავიდა ლოცვა მოშლილია.

თუ ქაღბას მიმართულების საკითხში მორწმუნეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ცალკ-ცალკე უნდა ილოცონ, რადგან იმამის აზრის მოწინააღმდეგეთა ლოცვა მიუღებლად ჩაითვლება.

მხედრის ან სატრანსპორტო საშუალებაში მყოფი მგზავრის ლოცვა

ცხენზე, აქლემზე ან მსგავს ცხოველზე ამხედრებულ მგზავრს შეუძლია სუნნეთი და სხვა ნაფილე ლოცვები აღასრულოს. თუმცა

დილის ლოცვის სუნნეთი ამ შემთხვევაში განსხვავებულია. ამრ იბნ რაბია მოგვითხრობს, რომ შუამავალი ცხოველზე ამხედრებული მგზავრობის დროს "იმიტაციის" მეთოდით ნაფილე ლოცვებს ასრულებდა. რაბიას გადმოცემით მნიშვნელობა არ ქონდა ცხოველი რომელ მხარეს მიდიოდა. თუმცა ჰადისში საუბარია, რომ წმ. შუამავალი ამ სიტუაციაში ფარზ ლოცვებს არ ასრულებდა.

ავადმყოფი, ან ამხედრებულ მდგომარეობაში მყოფი მორწმუნე, რომელსაც ქაღბასკენ შეტრიალება არ შეუძლია იმიტაციის მეთოდით ლოცვას შეასრულებს. ამის მიხედვით, სერიოზული მიზეზის არსებობის შემთხვევაში ამხედრებულ მდგომარეობაში ნებისმიერი ლოცვის შესრულება მისაღებია. ჩვეულებრივ სიტუაციაში კი მხოლოდ ნაფილე ლოცვის აღსრულება შეიძლება. ფარზი ან ვაჯიბი ლოცვის აღსრულებისთვის ჩამოსვლა და ჩვეულებრივ ლოცვის შესრულებაა საჭირო, ან ცხოველი ქაღბას მხარეს უნდა გაჩერდეს.

თუ ადგილი ტალახიანი, ბინძური, ან ლოცვის აღსრულებისთვის არახელსაყრელია, ან თანამგზავრების დაკარგვის საფრთხეა, განბანილ მორწმუნეს შეუძლია იმიტაციის მეთოდით ფარზი ლოცვა შეასრულოს. აგრეთვე სატრანსორტო საშუალებაში ყოფნისას თუ ცნობილია, რომ გაჩერებამდე ლოცვის დრო გავა მორწმუნეს შეუძლია იმიტაციის მეთოდით სადაც ზის იქვე შეასრულოს ლოცვა.

ნაფილე ლოცვის ქალაქგარეთ ყოფნისას, სირთულის არარსებობის შემთხვევაშიც ამხედრებულ მდგომარეობაში, ან ტრანსპორტში ლოცვა შეიძლება. ებუ იუსუფის აზრით ნაფილე ლოცვის აღსრულება ამხედრებულ მდგომარეობაში ან ტრანსპორტში ქალაქის შეგნითაც შეიძლება.

ჰანეფის მიმდევრების აზრით არაფატის და მუზდელიფის გარდა სხვაგან ორი ლოცვის ერთად შესრულება მიუღებელია. შესაბამისად ისინი თვლიან, რომ არც წვიმის, ტალახის და მგზავრობის დროს შეიძლება ორი დროის ლოცვის ერთად აღვლენა. სხვა მიმდინარეობების მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების არსებობის შემთხვევაში მორწმუნეს შეუძლია ტრანსორტში, ან ამხედრებულ მდგომარეობაში აღარ აღასრულოს ლოცვა, შემდეგ კი ხელსაყრელ დროს და ადგილას შუადღის და სამხრობის ლოცვა ერთად ილოცოს. ასევე შეუძლია საღამოს და ღამის ლოცვის შეერთებაც.

გემში მყოფ მგზავრს შეუძლია ქაღბასკენ შეტრიალდეს და ლოცვა აღავლინოს. თუ გემი მიმართულებას შეიცვლის მლოცველმაც ქაღბას მიმართულებით უნდა შეიცვალოს მდგომარეობა. თუმცა

ლოცვის დაწყებამდე თუ ქაღბას მიმართულება დაადგინა და შემდეგ ლოცვის აღვლენის დროს გემის მიმართულების ცვლილებაზე თვალყურის დევნების საშუალება აღარ აქვს ლოცვას დაწყებულ მდგომარეობაში დაასრულებს.

დღეისათვის, ცხენი, აქლემი, სპილო და მსგავსი ტიპის გადაადგილების საშუალებები ძირითადად ავტო- ტრანსპორტმა შეცვალა, ამიტომ ამხედრებულ მდგომარეობაში მყოფი მგზავრის უფლება-მოვალეობები ავტო-ტრანსპორტით მოგზაურ მორწმუნეზეც ვრცელდება.

საბოლოოდ, ყველა მუსლიმის ერთი მიმართულებით, დედამიწაზე ყველაზე ძველ და წმინდა ადგილის, ქაღბასკენ ლოცვა მათი ერთიანობის და ჭეშმარიტების გზაზე დგომის გამოხატულებაა.

5) დრო

ფარზი ლოცვების და მათთან ერთად სალოცავი სუნნეთებისთვის, ვითირის, თერავიჰის და ბაირამის ლოცვისთვის დრო აუცილებელი პირობაა. ფარზი ლოცვები ვიცით, რომ დილის, შუადღის, სამხრობის, საღამოს და ღამის ლოცვებია. ჯუმის ლოცვის დრო შეუადღის ლოცვის დროა. ყოველი მორწმუნისათვის აუცილებელია ლოცვის აღსრულებისთვის განკუთვნილი დროის მონაკვეთის ცოდნა და დროის ამ მონაკვეთში შესაბამისი დროის ლოცვის აღსრულება. კონკრეტული ფარზი ლოცვის დროის მოსვლამდე ლოცვა მიუღებელია, ხოლო ლოცვის დროის გასვლის შემდეგ ლოცვა გაცდენილია და ანაზღაურებას ექვემდებარება. ჯუმის, ბაირამის, მიცვალებულის (ჯენაზე) ლოცვა და სუნნეთი ლოცვები გაცდენის შემთხვევაში ანაზრაურებას არ ექვემდებარება.

ყურანის სხვადასხვა აიათებში საუბარია ლოცვაზე და მის დროებზე:

فَاِذَا قَضَيْتُمُ الصَّلٰوةَ فَاذْكُرُوا اللّٰهَ قِيَامًا وَّقُعُوْدًا وَّعَلٰى جُنُوْبِكُمْ فَاِذَا اطْمَاْنَنْتُمْ فَاَقِيْمُوا الصَّلٰوةَ اِنَّ الصَّلٰوةَ كَانَتْ عَلَى الْمُؤْمِنِيْنَ كِتٰبًا مَّوْقُوْتًا

და როცა ლოცვა დაასრულოთ, „ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი“ . და როცა უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულეთ სრულად. უეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია განსაზღვრულ დროს. “ნისა 4/103,

اَقِمِ الصَّلٰوةَ لِدُلُوكِ الشَّمْسِ اِلٰى غَسَقِ الَّيْلِ وَقُرْاٰنَ الْفَجْرِ اِنَّ قُرْاٰنَ الْفَجْرِ كَانَ مَشْهُودًا

ლოცვა აღავლინე შუადღის დადგომიდან ღამის დაბინდებამდე და იკითხე ყურანი გამთენიისას. და ილოცე დილის ლოცვა, უეჭველად, დილის ლოცვა მოწმეობაა! ისრა 17/78,

فَسُبْحَانَ اللّٰهِ ح ينَ تُمْسُونَ وَح ينَ تُصْبِحُونَ

وَلَهُ الْحَمْدُ فِى السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ وَعَشِيًّا وَح ينَ تُظْهِرُونَ

მაშ, ადიდეთ ალლაჰი როცა მოსაღამოვდება და გარიჟრაჟისას,

დღის ბოლოს და შუადღისას! და მას ეკუთვნის ქება-დიდება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა! „რუმ 30/17-18,

فَاصْبِرْ عَلٰى مَا يَقُولُونَ وَسَبِّحْ بِحَمْدِ رَبِّكَ قَبْلَ طُلُوعِ الشَّمْسِ وَقَبْلَ غُرُوبِهَا وَمِنْ اٰنَاۤ الَّيْلِ فَسَبِّحْ وَاَطْرَافَ النَّهَارِ لَعَلَّكَ تَرْضٰى

მაშ, მოითმინე რასაც ისინი ამბობენ და ქებით განადიდე შენი ღმერთი მზის ამოსვლამდე და მის ჩასვლამდე, და ღამის საათებში ადიდე იგი. ასევე დღის განმავლობაში, ეგების შენ კმაყოფილებას ეწიო! ტაჰა 20/130,

وَاَقِمِ الصَّلٰوةَ طَرَفَىِ النَّهَارِ وَزُلَفًا مِنَ الَّيْلِ اِنَّ الْحَسَنَاتِ يُذْهِبْنَ السَّيِّـَٔاتِ ذٰلِكَ ذِكْرٰى لِلذَّاكِرِينَ

და დადექი ლოცვად დღის ორივე კიდეში და ღამის გარკვეულ საათებში. უეჭველად, კეთილი საქმენი განდევნიან ბოროტებანს. ეს არის შეგონება გონიერთათვის. ჰუდ „11/114,

وَاذْكُرِ اسْمَ رَبِّكَ بُكْرَةً وَاَصِيلا

وَمِنَ الَّيْلِ فَاسْجُدْ لَهُ وَسَبِّحْهُ لَيْلًا طَوِيلا

და ახსენე სახელი შენი ღმერთის დილით და საღამოს!

და ღამით, სეჯდე აღასრულე მისთვის და ადიდე ღამით ხანგრძლივად. ინსან 76/25-26,

وَمِنَ الَّيْلِ فَتَهَجَّدْ بِه نَافِلَةً لَكَ عَسٰى اَنْ يَبْعَثَكَ رَبُّكَ مَقَامًا مَحْمُودًا

და ღამის ერთ ნაწილში ილოცე ყურანით, კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული! „ისრა 17/79. “

არსებობს მრავალი ჰადისი ფარზი ლოცვისთვის განკუთვნილ დროების შესახებ. ამათგან იბნი აბბასის მიერ გადმოცემული ჰადისი ისლამის სწავლულთაგან ყველაზე ურყევ მტკიცებულებადაა მიჩნეული:

““ჯიბრილი ქაღბაში ორჯერ იყო ჩემი იმამი. შუადღის ლოცვა მაშინ მალოცა, როდესაც მზე ზენიტში იყო და დასავლეთისკენ გადაიხარა. სამხრობის ლოცვა იმ დროს ვილოცეთ, როდესაც საგნების ჩრდილი მათივე სიგრძის შეიქმნა. საღამოს ლოცვა მარხვის დასრულების დროს ვილოცეთ. ღამის ლოცვა დასავლეთის ცაზე სიწითლის გაქრობის შემდეგ ვილოცეთ. დილის ლოცვა კი – მარხულისათვის ჭამა-სმის აკრძალვის დროს ვილოცეთ. მეორე დღეს შუადღის ლოცვა მაშინ ვილოცეთ, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიგრძის შეიქმნა. სამხრობის ლოცვის ააღსრულებისას საგნების ჩრდილები მათივე სიგრძეზე ორჯერ მეტი იყო. საღამოს ლოცვა ამჯერადაც მარხვის დასრულების დროს ვილოცეთ. ღამის ლოცვა ამჯერად ღამის ერთი მესამედის გასვლისას ვილოცეთ, ხოლო დილის ლოცვა - არემარის განათებისას.”

შუადღის ლოცვის დრო მზის ზენიტში ყოფნის შემდეგ დასავლეთისკენ გადახრისთანავე იწყება. ამ დროს საჭიროა განვსაზღვროთ “ზევალ”-ის დრო, როდესაც მზე თავის ზენიტშია. ისლამში დღის ხანგრძლივობა ორგვარად განისაზღვრება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ რელიგიური და ტრადიციული. რელიგიური დღე ე. წ. მეორე ალიონიდან მზის ჩასვლამდე დროის მონაკვეთია, ხოლო ტრადიციული დღე მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე დროის მონაკვეთს მოიცავს. გამომდინარე აქედან მზის ზენიტში ყოფნის პერიოდის (ზევალ) შესახებ ორგვარი შეხედულება არსებობს. პირველი შეხედულების მიხედვით ტრადიციული დღეა საზომად აღებული და “ზევალ”-ის მომენტი იმ დროს ფიქსირდება, როდესაც

მზე საგნების ზუსტად თავზე, ან მათ გასწვრივაა. მეორე შეხედულების მიხედვით საზომად რელიგიური დღეა აღებული და ეს დრო შესაბამისად ცოტა ადრე მოდის. მაგ. იანვრის თვის პირველ დღეს რელიგიური დღის ხანგრძლივობა 11 საათს და 10 წუთს შეადგენს. ამ დროს ტრადიციული დღის ხანგრძლივობა კი – 9 საათი და 25 წუთია. გამომდინარე აქედან რელიგიური დღის ნახევარი 5 საათი და 35 წუთი მზის ამოსვლიდან 3 საათის და 50 წუთის შემდეგ ემთხვევა. ანუ რელიგიური დღის ნახევარი მზის ზენიტში მიღწევამდე 52 წუთით ადრე დგება. სწორედ ეს 52 წუთიანი მონაკვეთია მიჩნეული ლოცვისთვის აკრძალულ დროდ.

შუადღის ლოცვის დრო შუადღისას, მზის ზენიტში ყოფნის შემდეგ დასავლეთისკენ გადახრისთანავე იწყება და მთავრდება მაშინ, როდესაც საგნების ჩრდილი მათივე სიგრძის გახდება. ასე მიიჩნევენ ებუ იუსუფი, იმამი მუჰამმედი, შაფიი, მალიქი და აჰმედ იბნ ჰენბელი. ებუ ჰანიფეს აზრით კი შუადღის ლოცვის დროის დასრულებისას საჭიროა საგნების ჩრდილები მათივე სიგრძეზე ორჯერ მეტი იყოს. ამით შუადღის ლოცვის დრო სრულდება და სამხრობის ლოცვის დრო იწყება.

ისლამის სწავლულთა უმეტესობა თავიანთი აზრის მტკიცებულებად ზემოთ მოყვანილ ჰადისს იყენებს, სადაც ჯებრაილია ნახსენები. ებუ ჰანიფეს მტკიცებულება კი შემდეგი ჰადისია: “შუადღის ლოცვა აგრილებისას ილოცეთ, რადგან შუადღის სიცხე ჯოჯოხეთის სიცხეს გავს.” არაბეთში კი დღის ყველაზე ცხელი პერიოდი მაშინაა, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიმაღლისაა. გამომდინარე აქედან ზაფხულობით, ცხელ დღეებში შუადღის ლოცვის აგრილების დრომდე გადადება მუსთეჰაბია.

სამხრობის ლოცვის აღსრულების დრო შუადღის ლოცვის დასრულებისთანავე დგება და მზის ჩასვლამდე გრძელდება. ზემოთ ნახსენები აზრთა სხვადასხვაობის გამო სამხრობის ლოცვის დაწყების დროც შესაბამისად მიმდინარეობების მიხედვით განსხვავებულია. ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით ეს დრო იწყება, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიგრძეზე ორჯერ მეტს მიაღწევს, ხოლო სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევდნენ, რომ სამხრობის ლოცვის დროის დასაწყისი მაშინაა, როდესაც საგნების ჩრდილები მათივე სიმაღლის ტოლია.

სამხრობის ლოცვის აღსრულების დრო მზის ჩასვლისას მთავრდება. ამას შემდეგი ჰადისი ამტკიცებს:

“მზის ჩასვლამდე სამხრობის ლოცვის ერთ მუხლსაც რომ მიუსწროთ ლოცვაზე მისწრებად გეთვლებათ.”

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამხრობის ლოცვის მზის ჩასვლის წინა მომენტამდე დაგვიანება მექრუჰია.

ე) საღამოს ლოცვის დრო

საღამოს ლოცვა მზის დისკოს მთლიანად ჩასვლისთანავე იწყება და დასავლეთის ცაზე სიწითლის გაქრობის შემდეგ მთავრდება. ებუ ჰანიფეს მიხედვით ეს დრო მზის ჩასვლის შემდეგ ჰორიზონტზე წარმოქმნილი სიწითლის შემდეგ წარმოქმნილი ღია შეფერილობაა. ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და ჰანეფის მიმდევრების გარდა სხვა მიმდინარეობების იმამების მიხედვით ეს დრო ჰორიზონტზე წარმოქმნილი სიწითლის დროა. ამასვე იზიარებდა ებუ ჰანეფი თავის სხვა შეხედულებაში. აქედან გამომდინარე ჰორიზონტზე წარმოქმნილი სიწითლის გაქრობის შემდეგ საღამოს ლოცვის აღსრულების დრო დასრულებულია. მტკიცებულება აბდულლაჰ იბნ ომერის მიერ გადმოცემული ჰადისია, სადაც ეს ამ დროის დადგომა ჰორიზონტზე წარმოქმნილ სიწითლეს გულისხმობს.

ღამის ლოცვის აღსრულების დრო საღამოს ცაზე სიწითლის გაქრობის შემდეგ დგება და გამთენიისას, მეორე ალიონის დადგომამდე გრძელდება. ზემოთ აღწერილი მეორე ალიონის დადგომისთანავე ღამის ლოცვის დრო დასრულებულია. იბნი ომერის გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: “ალიონი სიწითლეა. სიწითლის გაქრობისთანავე ლოცვის აღსრულება ფარზია (სავალდებულოა).”

ებუ ქათადე კი შემდეგ ჰადისს გადმოგვცემს:

“მორწმუნისათვის მძინარე მდგომარეობაში ყოფნა ნაკლოვანება არაა, ნაკლოვანება მეორე ლოცვის დროის მოსვლამდე ვინც არ ილოცავს მასშია.”

ამ ჰადისით ნაჩვენებია, რომ დილის ლოცვის გარდა ყველა ლოცვის დრო შემდეგ ლოცვის დრომდე გრძელდება.

ღამის ლოცვის ღამის ერთი მესამედის გასვლამდე დაგვიანება მუსთეჰაბია. (მუსთეჰაბის მნიშვნელობა წინა თავებშია განმარტებული) ღამის ნახევრამდე ლოცვის დაგვიანება მუბაჰია. ხოლო უმიზეზოდ, მეორე ალიონამდე, ანუ უკიდურეს მომენტამდე ლოცვის დაგვიანება მექრუჰია.

ვითირის ლოცვის დასაწყისი ღამის ლოცვის დასრულებისთანავეა. დასასრული კი- მეორე ალიონამდე ცოტა ადრე დროით განისაზღვრება.

თუ მორწმუნე დარწმუნებულია, რომ გაღვიძებას შეძლებს უმჯობესია დაიძინოს და ვითირის ლოცვა შემდეგ აღასრულოს, ხოლო თუ არაა დარწმუნებული რომ გაღვიძებას შეძლებს, ჯობს ღამის ლოცვის აღსრულებისთანავე ილოცოს.

თერავიჰის ლოცვის დროც ღამის ლოცვის აღსრულებისთანავეა და დილის ლოცვის დროის მოსვლამდე გრძელდება. თერავიჰ ლოცვის აღსრულება ვითირის ლოცვაზე ადრე ან გვიან შეიძლება. თუმცა თერავიჰ ლოცვის ღამის ლოცვაზე ადრე ლოცვა მიუღებელია.

6) ნიეთი- განზრახვა.

ნიეთი სურვილის გამოხატვას, გადაწყვეტილების მიღებას, განზრახვას ნიშნავს. ლოცვის საკითხში ნიეთი ღმერთის კმაყოფილებისათვის ლოცვის აღსრულების სურვილი და მორწმუნე რომელი ლოცვის აღსრულებას აპირებს იმის ცოდნაა.

ლოცვისთვის ნიეთი ფარზია. ამის შესახებ, ისლამის სწავლულთა შორის აზრთა თანხვედრა არსებობს. თუმცა სწავლულთა უმრავლესობა ნიეთს ლოცვის სრულყოფილებისათვის საჭირო პირობად მიიჩნევს, ხოლო შაფიის და მალიქის ზოგიერთი წარმომადგენელები მიიჩნევენ, რომ ნიეთი ლოცვის პირობაა. ნიეთის- განზრახულობის მიზანი კონკრეტული ლოცვის მითითება, ღვთისმსახურების ტრადიციისგან განსხვავება და ლოცვის სრულყოფილების უზრუნველყოფის მცდელობაა. რა თქმა უნდა ნიეთი გამჩენის კმაყოფილებისთვის უნდა იყოს გამიზნული. ყურანში ნაბრძანებია:

وَمَا اُمِرُوا اِلَّا لِيَعْبُدُوا اللّٰهَ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ حُنَفَاءَ وَيُقِيمُوا الصَّلٰوةَ وَيُؤْتُوا الزَّكٰوةَ وَذٰلِكَ دِينُ الْقَيِّمَةِ

მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალღმერთიანობისგან შორს, გულწრფელად თაყვანისცემა ალლაჰისა; და აღევლინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი, და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება! “ბეიინე 98/5. “

ჰადისით ცნობილია, რომ ადამიანის მიერ გაკეთებული ყოველი საქმე მის ნიეთზე, განზრახვაზე, მიზანზეა დამოკიდებული. მექადან მედინაში დიდი ჰიჯრის დროს იქ ჩასულ მორწმუნეებს გამჩენისგან დიდი ჯილდო ელოდათ. მათ შორის იყო ადამიანი, რომელსაც ერთი ქალი უყვარდა და მის გამო გაჰყვა მედინაში დანარჩენ მორწმუნეებს. მისი ჯილდოც იმ ქალთან ქორწინებით განისაზღვრა, რადგან მის მიერ ჰიჯრეთის გაკეთების მიზანი ეს იყო. ზემოთ მოყვანილი ჰადისიც წმ. შუამავალმა ამ ამბავთან მიმართებაში ბრძანა.

მიზანი გულწრფელი უნდა იყოს და მხოლოდ გამჩენის კმაყოფილებას უნდა გულისხმობდეს. ნიეთი გულიდან უნდა მოდიოდეს და სასურველია მისი ენით წარმოთქმა. მაგ. თუ მორწმუნე ლოცვის დაწყებისას გულში გაივლებს ნიეთს, მიზანს რომ ღმერთის კმაყოფილებისათვის გადაწყვეტილი აქვს კონკრეტული ლოცვის აღსრულება და ენით არაფერს იტყვის ლოცვა მიღებულია, მაგრამ მიზნის ენით დადასტურება უფრო უკეთესია.

ფარზ და ვაჯიბ ლოცვებისთვის ნიეთის წარმოთქმისას კონკრეტული ლოცვის და დროის მითითებაა საჭირო. მაგ. “განვიზრახე ვილოცო დღევანდელი დილის ლოცვის ფარზი... ”

გაცდენილი ლოცვის ანაზღაურების დროს საჭიროა მითითება ბოლო გაცდენილი ლოცვის ანაზღაურებას აპირებს მორწმუნე, თუ პირველად გაცდენილის.

ნაფილე ლოცვის აღსრულებისას შეიძლება წარმოვთქვათ: “განვიზრახე ვილოცო ამ დროის პირველი სუნნეთი. . . “

გარდა ამისა ნაფილე ლოცვის აღსრულებისას საკმარისია წარმოვთქვათ: “განვიზრახე ღმერთის კმაყოფილებისთვის ლოცვის აღსასრულებლად”

ვთქვათ მორწმუნე შეესწრო კოლექტიურად ლოცვას და არ იცის რომელ ლოცვას ასრულებენ. მაგ. ღამის ლოცვაა თუ თერავიჰის ლოცვა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ფარზისათვის საჭირო ნიეთი წარმოთქვას და ლოცვაში ჩაერთოს. აღნიშნული ლოცვა თუ მართლა ფარზი გამოდგება მისი ლოცვა მიღებულია, თუ თერავიჰი გამოდგება შესრულებული ლოცვა მლოცველს ნაფილე ლოცვად ჩაეთვლება, რადგან ღამის ლოცვამდე თერავიჰის ლოცვის შესრულება მიუღებელია.

ნიეთი- განზრახვა მორწმუნემ თექბირის “ალლაჰუ ექბერ”-ის

წარმოთქმამდე უნდა წარმოთქვას. ნიეთსა და თექბირს შორის ლაპარაკი, ჭამა, სმა და მსგავსი ქმედებები მიუღებელია. თუმცა ნიეთსა და თექბირს შორის აბდესთის აღება, ან მეჩეთში გავლა დასაშვებია.

ლოცვის დასაწყისში წარმოთქმული განზრახვის ლოცვის ბოლომდე დამახსოვრება საჭირო არაა. ვთქვათ მორწმუნე წარმოთქვამს სავალდებულო ლოცვის განზრახვას და ლოცვის პროცესში ეგონება თითქოს რომელიმე ნაფილე ლოცვას ასრულებს. ასეთ შემთხვევაში ლოცვა თავდაპირველი განზრახვის მიხედვით ჩაეთვლება.

ვთქვათ მლოცველმა ნაფილეს ლოცვა განიზრახა და დაიწყო, შემდეგ კი ფარზის ნიეთი წარმოთქვა და "ელლაჰუ ექბერის" წარმოთქმით თავიდან დაიწყო ლოცვა. შესაბამისად ეს ლოცვა ფარზად ჩაეთვლება. იგივეა პირიქით შემთხვევაშიც.

მორწმუნე, რომელიც მარტო ლოცულობს ნიეთის წარმოთქმისას ვალდებულია მიუთითოს ფარზ ლოცვას ასრულებს თუ ვაჯიბს. თუ ნაფილე ლოცვას ასრულებს საკმარისია "ლოცვის აღსავლენად" განზრახვის წარმოთქმა.

მორწმუნეთა ერთიანად ლოცვის აღსრულების შემთხვევაში რიგითი მორწმუნე ვალდებულია ნიეთის წარმოთქმისას მიუთითოს რომელი დროის ლოცვაა. მაგ. ასეთ დროს შეიძლება ასეთი შინაარსის ნიეთის წარმოთქმა: "განვიზრახე აღვასრულო შუადღის სავალდებულო ლოცვა, მივყე იმამს! "

ლოცვის დაწყებისას იმამზე ადრე "ალლაჰუ ექბერ" წარმოთქმა და ლოცვის დაწყება არ შეიძლება. თუ ასეთი შემთხვევა მოხდა საჭიროა ხელმეორედ "თექბირი"-ს გაკეთება, ანუ ხელების ყურებთან მიტანით "ელლაჰუ ექბერ" წარმოთქმა.

სასურველია მლოცველების მიერ იმამის სურა ფათიჰას წაკითხვამდე ნიეთის წარმოთქმა და ლოცვის დაწყება. ეს ებუ ჰანიფეს შეხედულებითაა.

თუ მლოცველები მამაკაცები არიან იმამის მიერ იმამისთვის სპეციალური ნიეთის წარმოთქმა აუცილებელი არაა. თუ მლოცველები მანდილოსნები არიან, ან მლოცველებში მანდილოსნებიც ურევიან იმამი ვალდებულია ნიეთს შემდეგი შინაარსის სიტყვები დაამატოს: "გავხდი ჩემზე მიმყოლთა იმამი".

დღეისათვის დიდ მეჩეთებში ძნელი დასადგენია მლოცველებს შორის არიან თუ არა მანდილოსნები, ამიტომ ასეთი საერთო ნიეთის წარმოთქმა უფრო მისაღებია.

გ) ლოცვის ფარზები

ლოცვის პირობების გაცნობის შემდეგ გავიცნოთ ფარძები ფარზები. განსხვავება იმაშია, რომ ლოცვის პირობები ლოცვის დაწყებამდე შესასრულებელი აუცილებელი პირობებია, ხოლო ლოცვის ფარზები ლოცვის, ასე ვთქვათ ხერხემალია, რაზეც ლოცვა ხორცშესხმული.

ლოცვის ფარზებიც ექვსია. "თექბირი"- ხელების ყურებამდე აწევა და "ალლაჰუ ექბერ" წარმოთქმა, ფეხზე დგომა, ყურანის აიათის წაკითხვა, "რუქუ" – ხელების მუხლებზე დაწყობა და წინ წახრა, "სეჯდე"- დაჩოქება და შუბლით ძირს შეხება და ლოცვის ბოლოსკენ გარკვეული ხნით ჯდომა. ახლა შევეცდებით ლოცვის ფარზები სათითაოდ განვმარტოთ.

1) თექბირი

მლოცველი ფეხზე დგომით, საკუთარ ხმას რომ გაიგონებს იმდენად ხმამაღლა "ალლაჰუ ექბერ" წარმოთქმას თექბირი ეწოდება. ამ მომენტიდან მორწმუნე ლოცვაში შედის და გარე სამყაროსთან კავშირს წყვეტს. ეს თექბირი ლოცვის დასაწყისშია, ამიტომ ლოცვის პირობას გავს, თუმცა მისით უკვე ლოცვა იწყება და ამიტომ ლოცვის ფარზად ითვლება.

ლოცვის თექბირით დაწყების აუცილებლობის მტკიცებულებები აიათი და ჰადისია.

وَرَبَّكَ فَكَبِّرْ

და ადიდე ღმერთი შენი! "მუდესსირ 74/3 "

ჰადისში ნაბრძანებია:

"ლოცვის გასაღები სისუფთავეა, დასაწყისი კი- თექბირი!"

ან კიდევ,

“ღმერთი არ მიიღებს მათ ლოცვას, ვინც წესით და რიგით არ განიბანება, შემდეგ ქაღბასკენ არ შეტრიალდება და არ იტყვის -ალლაჰუ ექბერ!”

გარდა ამისა არსებობს მრავალი ჰადისი, საიდანაც ცნობილია, რომ წმ. შუამავალს ლოცვის დაწყებისას ხელები ყურების გასწვრივამდე აუწევია.

შაფიის და ჰანბელის მიმდინარეობების მიხედვით თექბირის, წინ წახრის, ისევ გასწორების დროს ხელების მხრების გასწვრივ წამოწევა სუნნეთია.

ვისაც ფეხზე დგომა არ შეუძლია მჯდომარე მდგომარეობაში აიღოს თექბირი. თექბირი ვისაც შეუძლია არაბულად უნდა წარმოთქვას. სხვა ენაზე მისი წარმოთქმა მიუღებელია. იმამის მიერ მლოცველთა გასაგონად თექბირის ხმამაღლა წარმოთქმა მუსთეჰაბია. მუნჯი, ან ინვალიდი, რომელსაც თექბირის წარმოთქმა არ შეუძლია ეს ფარზი არ ევალება. თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მორწმუნე თექბირის შემცველი წინადადების ერთი ნაწილის წარმოთქმას შეძლებს საკმარისია. მაგალითად “ალლაჰ” წარმოთქმა ფარზისთვის საკამრისია. ჰანეფის მიხედვით თექბირის აღებისას “ალლაჰუ ექბერ” წარმოთქმა ვაჯიბია და სხვა სიტყვებით თექბირის წარმოთქმა - მექრუჰი.

მნიშვნელოვანია აგრეთვე თექბირის სწორი ფორმით წარმოთქმა.

მლოცველი, რომელიც ცდილობს ლოცვას მიუსწროს და მიყვეს იმამს და ამ დროს იმამი “რუქუს” პოზიციაშია, ანუ ხელები მუხლებზე უწყვია და ქედმოხრილია, ფეხზე დგომით უნდა წარმოთქვას თექბირი და მიყვეს იმამს. თუ თექბირის მთლიანად წარმოთქმამდე იმამი დაუბრუნდა საწყის, მდგომარე პოზიციას ლოცვის აღმსრულეს ის მუხლი ნალოცად აღარ ეთვლება და ლოცვის დასრულების შემდეგ შესაბამისი ფორმით უნდა აანაზღაუროს.

ებუ ჰანიფეს აზრით სხვა ენაზე იგვე შინაარსის მქონე სიტყვებით თექბირის წარმოთქმა მისაღებია. ებუ იუსუფი, იმამი მუჰამმედი და იმამი შაფიი მიიჩნევენ, რომ ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც მორწმუნე არაბულად დამახინჯებულად წარმოთქვამს თექბირს. თუ მორწმუნეს სრულყოფილად შეუძლია არაბულად წარმოთქვას თექბირის სიტყვები მისი სხვა ენაზე წარმოთქმა მიუღებელია. ბუნებრივია თექბირის წარმოთქმა ნიეთის

შემდეგ ხდება და მლოცველმა იმამზე ადრე არ უნდა წარმოთქვას.

2) ფეხზე დგომა (ყიამ)

ფარზი და ვაჯიბი ლოცვის აღსრულებისას გარკვეული დროით ფეხზე დგომა ფარზია. ფეხზე დგომა აუცილებელია თექბირის წარმოთქმისას და ყოველ მუხლზე წასაკითხი ყურანის ყველაზე მცირე ნაწილის წაკითხვისათვის საკმარისი დროის განმავლობაში. გამომდინარე აქედან, თუ მორწმუნეს ფეხზე დგომა შეუძლია და დამჯდარი ლოცვის აღსრულება არ ჩაეთვლება. ბუნებრივია მიზეზის გარეშე ფარზის უგულებელყოფა ლოცვის სრულყოფილებას ავნებს. ყურანში ნაბრძანებია:

حَافِظُوا عَلَى الصَّلَوَاتِ والصَّلٰوةِ الْوُسْطٰى وَقُومُوا لِلّٰهِ قَانِتِينَ

დაიცავით ლოცვები და შუა ლოცვა, და მოკრძალებით დადექით ალლაჰის წინაშე. “ბაყარა 2/238. “

არსებობს ნესაის გადმოცემული ჰადისი, რომლის თანახმადაც წმ. შუამავალს იმრან იბნ ჰუსაინისთვის უბრძანებია:

“ლოცვის ფეხზე მდგარმა აღსრულება. თუ საამისოდ ძალა არ გეყოფა დაჯექი და ისე ილოცე. თუ საამისოდაც არ გეყოფა ძალა რაიმეზე მიეყრდენი და ისე ილოცე. თუ ესეც ვერ შეძელი, დაწექი და ისე ილოცე! ღმერთი შეუძლებელს არ გვავალებს. “

ე. ი. თუ მორწმუნეს ფეხზე დასადგომად ძალა არ შესწევს, ან საშინელი ტკივილის ეშინია, ან ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხეა შეუძლია დამჯდარმა ილოცოს.

თუ მორწმუნეს გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლია ფეხზე დგომა უნდა გაჩერდეს და შემდეგ შეუძლია დამჯდარმა გააგრძელოს ლოცვა. ანუ მლოცველმა მაქსიმალურად უნდა ეცადოს ფეხზე გაჩერდეს.

შეუძლოდ ყოფნის გამო თუ მორწმუნეს დაჩოქება და შუბლის ძირს შეხება არ შეუძლია სკამით, ბალიშით და მსგავსი რამეებით ამაღლება საჭირო არაა. წინ წახრაც და შუბლის მიწაზე შეხებაც

შესაძლებლობისდამიხედვით უნდა სცადოს. ანუ რამდენადაც შეუძლია მოიხაროს და ასევე შეძლებისდაგვარად იმიტაციით სცადოს შუბლის ძირს შეხება.

ჯაბირი მოგვითხრობს, რომ შუამავალი ერთ-ერთი ავადმყოფის მოსანახულებლად მისულა. დაუნახავს, რომ ავადმყოფს "სეჯდის " ადგილი, ანუ ლოცვისას შუბლის შესახები ადგილი ბალიშით და მასზე დადებული ფიცრის ნაჭერით აუმაღლებია. შუამავალმა ბალიში და ფიცარი გაატანინა და მორწმუნეს უბრძანა;

-"თუ შეგიძლია ლოცვა ფეხზე მდგარმა აღასრულო, თუ არ შეგიძლია იმიტაციით ილოცე და სეჯდეს დროს თავი რუქუზე უფრო მეტად დახარე!"

თუ მორწმუნეს დაჯდომაც არ შეუძლია მწოლიარე მდგომარეობაში ილოცავს. ფეხებით ქააბას მხარეს, თავის და თვალების მოძრაობით ლოცვის რიტუალების იმიტაციას გააკეთებს. ამ დროს კი უმჯობესია ავადმყოფი ზურგზე იწვეს.

თუ მორწმუნე იმდენად შეუძლოდაა, რომ თავის მოძრაობაც არ შეუძლია ლოცვის აღსრულება გამოჯანმრთელებამდე გადადებს და შემდეგ ილოცავს. მხოლოდ თვალების, ან წარბების და გულის გამოყენებით ლოცვა მიუღებელია. ეს ებუ ჰანიფეს შეხედულებაა. იმამ ებუ იუსუფის აზრით კი თვალებით და წარბებით ლოცვის შესრულება მისაღებია, ხოლო იმამი შაფიი და იმამი ზუფერი თვლიან, რომ ლოცვის შესრულება გულითაც შეიძლება.

არსებობს სხვა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც მსგავსი ავადმყოფი თუ ერთი დღე-ღამის განმავლობაში არ გამომჯობინდა ლოცვის აღსრულებისგან თავისუფლდება და იმ დღე-ღამის ლოცვების შემდეგში ანაზღაურება აღარ ევალება.

გულწასული, კომაში მყოფი, ან შეშლილი ადამიანი თუ ერთი დღე-ღამის გასვლამდე მდგომარეობიდან გამოვიდა დროის ამ მონაკვეთში გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება აუცილებელია. ხოლო თუ ასეთი მდგომარეობა დღე-ღამეზე მეტხანს გაგრძელდა მდგომარეობიდან გამოსვლამდე პერიოდში გასული ლოცვის აღსრულება არ ევალება. ამ საკითხში ებუ ჰანიფეს საზომად 24 საათი აქვს აღებული, ხოლო იმამი მუჰამმედი თვლის, რომ თუ მორწმუნე ხუთი ლოცვის დროის გასვლამდე არ გამოვიდა მდგომარეობიდან ლოცვის აღსრულების ან გაცდენილის შემდგომში ანაზღაურება აღარ ევალება.

თუ მლოცველი ლოცვის აღსრულების პროცესში ავად გახდა შეუძლია შეძლებისდამიხედვით დაასრულოს ლოცვა. ლოცვის დასრულებამდე თუ ისევ გამომჯობინდა ისევ ფეხზე წამოდგება და განაგრძობს ლოცვას.

თუ სერიოზული მიზეზი არ არსებობს სავალდებულო ლოცვა რომელიმე ცხოველზე ამხედრებულ მდგომარეობაში აღსრულება მიუღებელია. ებუ ჰანიფეს ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით დილის ლოცვის სუნნეთიც ამგვარადაა.

დღეისათვის არსებულ სატრანსპორტო საშუალებებში მყოფი მგზავრი მსგავს საკითხებში იგივე წესებს უნდა დაემორჩილოს, როგორც მხედარი. ამიტომ მოძრავ ტრანსპორტში ლოცვის აღსრულებისთვის მორწმუნეს სერიოზული მიზეზი უნდა გააჩნდეს.

მოძრავ გემში ყველა ლოცვის აღსრულება მჯდომარე მდგომარეობაში შეიძლება, მაგრამ ფეხზე დგომით ლოცვა უფრო მეტი მადლია. ეს მოსაზრება ებუ ჰანიფეს ეკუთვნის. მისი აზრით გემში უმეტესად თავბრუსხვევის შეგრძნებაა, უმეტესი კი სისტემატიურად ითვლება.

ხმელეთის ნაპირას, ან ზღვის შუაგულში მდგარი გემი ტალღების არყოფნის შემთხვევაში ჩვეულებრივ მიწად აღიქმება და ლოცვაც ფეხზე დგომით უნდა შესრულდეს. ტალღა და რწევა თუ არის უმჯობესია გარეთ ლოცვა. რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს.

თვითმფრინავშიც იგივე წესებს უნდა დავემორჩილოთ, როგორც გემში, რადგან არც თვითმფრინავის და არც გემის გაჩერება მგზავრის ნებასურვილზე დამოკიდებული არაა.

ცხოველზე ამხედრებულმა მგზავრმა “რუქუ” და “სეჯდე” თავის მოძრაობით უნდა შეასრულოს. “სეჯდეს” შემთხვევაში თავი უფრო მეტად უნდა დახაროს. ცხოველის ზურგზე, ან უნაგირზე შუბლით შეხება მექრუჰია, მიუღებელია.

სუნნეთი და მუსთეჰაბი ლოცვების მიზეზის გარეშეც მჯდომარე მდგომარეობაში ლოცვა შეიძლება. აქ ყურადღება ეთმობა გაიოლების და რბილად მიდგომის მნიშვნელობას. გარდა ამისა ნაფილე ლოცვების სიმრავლის გამო მათმა გართულებამ შეიძლება მლოცველების მიერ ლოცვაზე ხელის აღება გამოიწვიოს. ამასთანავე ნაფილე ლოცვების ფეხზე დგომით ლოცვა უფრო მეტი მადლია. ამ საკითხში ისლამის სწავლულთა აზრთა თანხ-

ვედრა არსებობს. ებუ ჰანიფეს აზრით დილის ლოცვის სუნნეთი სხვა ნაფილე ლოცვებისგან განსხვავებულია. თერავიჰ ლოცვის მჯდომარე მდგომარეობაში ლოცვა მისაღებად ითვლება, მაგრამ ამაში მიუღებელი მეტია.

ფეხზე დგომით ნაფილე ლოცვის აღსრულებისას თუ მლოცველი დაიღალა შეუძლია რაიმეს მიეყრდნოს, ან დაჯდეს. უმიზეზოდ კი რაიმეზე მიყრდნობა, ან დაჯდომა მექრუჰია. თუმცა მჯდომარე მდგომარეობაში დაწყებული ნაფილე ლოცვის ფეხზე წამოდგომით გაგრძელება მისაღებია. ეს საკითხიც ისლამის სწავლულთა აზრთა თანხვედრის ერთ-ერთი მაგალითია.

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით დგომის დროს მლოცველი თუ ხელებს გაშლის და მუხლებამდე ვერ მიწვდება მდგომარედ ითვლება. იმამ შაფიის მიხედვით კი თუ მიზეზი არ არსებობს ლოცვაზე დგომის დროს მლოცველის ხერხემალი სწორად უნდა იყოს.

3) ყირაათ- ლოცვის დროს ყურანიდან აიათის წაკითხვა.

ლექსიკონში “ყირაათ” კითხვას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი, ეს არის ყურანის წაკითხვა. ერთიანად, ან მარტოდ ლოცვის შემთხევაში ნაფილე და ვითირის ლოცვების ყოველ მუხლზე გარკვეული რაოდენობის ყურანის აიათების წაკითხვა ფარზია. თუმცა სამ, ან ოთხმუხლიან ფარზ და ვაჯიბ ლოცვებში ყურანის აიათების წაკითხვა პირველ ორ მუხლზე ვაჯიბია.

ლოცვის დროს წასაკითხი ყურანის აიათების აუცილებელი რაოდენობა ებუ ჰანიფეს შეხედულებით ერთი აიათია. მნიშვნელობა არ აქვს გრძელი იქნება თუ მოკლე. აიათის წაკითხვისთანავე ლოცვის ეს ფარზი შესრულებულად ითვლება. თუმცა ებუ იუსუფი, იმამ მუჰამმედის და ისევე ებუ ჰანიფეს სხვა შეხედულებით ლოცვის დროს წასაკითხი აიათების აუცილებელი რაოდენობა სამი მოკლე აიათია, ან სამი მოკლე აიათისხელა ერთი გრძელი აიათი. ბუნებრივია მეორე მოსაზრება უფრო საიმედოა.

ერთი ასოსგან, ან ერთი სიტყვისგან შემდგარი აიათის წაკითხვა საკმარისი არ არის.

ლოცვის დროს ყურანის აიათების წაკითხვა ფარზია. ამის მტკი-

ცებულებად შემდეგი აიათია მიღებული:

اِنَّ رَبَّكَ يَعْلَمُ اَنَّكَ تَقُومُ اَدْنٰى مِنْ ثُلُثَىِ الَّيْلِ وَنِصْفَهُ وَثُلُثَهُ وَطَائِفَةٌ مِنَ الَّذِ ينَ مَعَكَ وَاللّٰهُ يُقَدِّرُ الَّيْلَ وَالنَّهَارَ عَلِمَ اَنْ لَنْ تُحْصُوهُ فَتَابَ عَلَيْكُمْ ۚ فَاقْرَؤُا مَا تَيَسَّرَ مِنَ الْقُرْاٰنِ عَلِمَ اَنْ سَيَكُونُ مِنْكُمْ مَرْضٰى وَاٰخَرُونَ يَضْرِبُونَ فِى الْاَرْضِ يَبْتَغُونَ مِنْ فَضْلِ اللّٰهِ وَاٰخَرُونَ يُقَاتِلُونَ ف ى سَبِ يلِ اللّٰهِ فَاقْرَؤُا مَا تَيَسَّرَ مِنْهُ وَاَقِ يمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَاَقْرِضُوا اللّٰهَ قَرْضًا حَسَنًا وَمَا تُقَدِّمُوا لِاَنْفُسِكُمْ مِنْ خَيْرٍ تَجِدُوهُ عِنْدَ اللّٰهِ هُوَ خَيْرًا وَاَعْظَمَ اَجْرًا وَاسْتَغْفِرُوا اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ غَفُورٌ رَح يمٌ

უეჭველად, შენი ღმერთი უწყის, რომ შენ ლოცვას აღავლენ სულ მცირე ღამის ორ მესამედ ან ამის ნახევარს, ან მის მესამედს, და ერთი ჯგუფი იმათგან, რომელნიც შენთან ერთად არიან. და ალლაჰმა გამოთვალა დღე და ღამე, იგი უწყის, რომ თქვენ ვერ გამოთვლიდით მას. ამიტომაც მოგიტევათ თქვენ. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ ყურანისგან. იგი უწყის, რომ თქვენგან ერთი ნაწილი ავად გახდებოდა და სხვა დანარჩენები იმოგზაურებდნენ დედამიწაზე ალლაჰის წყალობის საძიებლად. და კიდევ სხვები იბრძვიან ალლაჰის გზაზე. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ მისგან და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და ასესხეთ ალლაჰს კეთილი სესხი. და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან, უფრო დიდი სიკეთედ და უდიდეს საზღაურად. და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ, რამეთუ ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია! “მუზზემმილ 73/20. “

წმ. შუამავალს კი შემდეგნაირად უბრძანებია:

“ ყურანის წაკითხვის გარეშე ლოცვა არ არსებობს!”

ზემოთ მოყვანილი აიათით ნათელია, რომ ლოცვის დროს ყურანიდან აიათების წაკითხვა ფარზია. მინიმალურ რაოდენობაზე უკვე ვისაუბრეთ. ეს აიათი ლოცვის დროს ყურანის კითხვას ეხება და შესაბამისად ლოცვის გარდა, სხვა შემთხვევებში ყურანის კითხვა ფარზი არ არის.

ლოცვის დროს ფათიჰას სურას წაკითხვა ვაჯიბია. მისი გამოტოვება მექრუჰია, მაგრამ ლოცვა მაინც ნალოცად ითვლება. წმ. შუამავლის ჰადისი, სადაც ნაბრძანებია-

“ არ არსებობს ლოცვა ფათიჰას გარეშე!” ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით შემდეგნაირად იშიფრება: “არ არსებობს ლოცვის მადლი ფათიჰას გარეშე!”

ამის მიზეზი აღნიშნული ჰადისის სხვა ჰადისთან მსგავსებაა, სადაც ნაბრძანებია, რომ მეჩეთის მეზობლად ვინც ცხოვრობს და ლოცვას მარტო ილოცავს მისი ლოცვა მიუღებელიაო. ისლამის სწავლულებს ამ ჰადისზე დაყრდნობით არ გამოუტანიათ დასკვნა, რომ მეჩეთის მეზობლად მცხოვრები მორწმუნე თუ ლოცვას მარტო ილოცავს მისი ლოცვა მიუღებელიაო. მათი შეხედულებით, ამ შემთხვევაში მლოცველი მხოლოდ ერთიანად ლოცვის მადლს დაკარგავს.

ლოცვის დროს იმამზე მიყოლილი რიგითი მლოცველი ყურანს არ უნდა კითხულობდეს, რადგან როდესაც იმამი ყურანს კითხულობს ღმერთის ბრძანებაა, რომ მლოცველებმა მას მოუსმინონ.

وَإِذَا قُرِئَ الْقُرْآنُ فَاسْتَمِعُوا لَهُ وَأَنْصِتُوا لَعَلَّكُمْ تُرْحَمُونَ

და როცა იკითხება ყურანი, ისმინეთ იგი და გაჩუმდით, ეგების შეწყალებულ იქმნეთ თქვენ! “ არაფ 7/204. “

ეს აიათი ლოცვის შესახებაა მოვლენილი. ამის თაობაზე არსებობს აზრთა თანხვედრა. გამომდინარე აქედან, მნიშვნელობა არ აქვს იმამი ყურანს ხმამაღლა კითხულობს თუ ხმადაბლა. მლოცველების მიერ ჩუმად ყოფნა მათთვის ვაჟიბია.

ამ საკითხის შესახებ გაგაცნობთ რამდენიმე ჰადისს:

“იმამის კითხვა, მასზე მიყოლილი მლოცველების კითხვაა.”

ამ ჰადისში არ არის გარკვეული იმამის მხოლოდ ხმამაღლა კითხვის დროსაა მლოცველებისთვის დავალებული სიჩუმე, თუ ორივე შემთხვევაში. შემდეგ ჰადისში კი ეს ნათლადაა გარკვეული: “იმამი ლიდერია, რომელსაც უნდა მიყვნენ მლოცველები. ამიტომ ის რომ “ალლაჰუ ექბერ” –იტყვის, თქვენც წარმოთქვით. ყურანის კითხვისას თქვენ გაჩუმდით!” ამ ჰადისში საკითხი უფრო ნათლადაა განხილული.

გარდა ამისა სხვა ჰადისებშიც მითითებულია, რომ ლოცვის აღსრულებისას იმამი კითხულობს ყურანს და მლოცველები ჩუმად არიან. ამას მოწმობს აბდულლაჰ იბნ ომერის ნათქვამი: “თუ იმამთან ერთად ლოცულობთ იმამის მიერ ყურანის კითხვა თქვენთვის საკმარისია, თუ მარტო ლოცულობთ ყურანი იკითხეთ.”

იმამი მალიქი ჰადისებიდან გამომდინარე მიიჩნევდა, რომ იმამის მიერ ხმადაბლა კითხვის დროს მლოცველებსაც ევალებათ ყურანის წაკითხვა.

ლოცვის დროს ხმამაღლა კითხვის მიზეზი სხვებისთვის გაგონებაა, მაგრამ მარტო ლოცვისას მლოცველმა ჩუმად უნდა იკითხოს, ანუ მხოლოდ თავად რომ შეძლებს გაგონებას საკმარისია. უფრო ხმამაღლა წაკითხვა მიუღებელია, რადგან ასე შეიძლება სხვების ყურადღება გავფანტოთ და შეცდომის მიზეზი გავხდეთ.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით ლოცვის დროს წასაკითხი ყურანის მინიმალური რაოდენობა ფათიჰას სურათი განისაზღვრება. მტკიცებულება, რომელსაც სინი ეყრდნობიან შემდეგი ჰადისებია:

“ფათიჰას ვინც არ იკითხავს მისი ლოცვა არ არსებობს!”

ან კიდევ:

“ფათიჰას გარეშე ლოცვა სრულყოფილი არაა!”

სავალდებულო ლოცვის დროს წინა ორ მუხლზე ფათიჰას შემდეგ რომელიმე სურას, ან რამოდენიმე აიათის წაკითხვა სუნნეთია. სამი მიმდინარეობის მიხედვით ლოცვის აღსრულების დროს ყურანის კითხვა ევალება, როგორც იმამს და მარტოდ ლოცვისას ყველა მლოცველს, ისე იმამზე მიყოლილ მლოცველებსაც. თუმცა იმამზე მიყოლილი მლოცველი ხმოვანი ლოცვის დროს მხოლოდ ფათიჰას კითხულობს, ხოლო უხმო ლოცვის დროს კი ფათიჰას და შემდეგ საკითხავ სურას. მალიქის და ჰანბელის მიხედვით ხმოვანი ლოცვის დროს მლოცველები არაფერს კითხულობენ და მხოლოდ უსმენენ.

ლოცვის აღსრულების დროს თუ მორწმუნეს ერთ აიათზე მეტის წაკითხვა არ შეუძლია, ებუ ჰანეფის აზრით ერთხელ წაიკითხავს. ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით კი საჭიროა ერთი აიათი სამჯერ გაიმეოროს. თუმცა სამი აიათის წაკითხვა ვისაც შეუძლია ერთ აიათს სამჯერ ვერ გამეორებს.

ლოცვის დროს ყურანის გადათარგმნილი აიათების კითხვა

ისლამის აღმოცენების და გავრცელების თავდაპირველი ადგილი არაბეთი იყო. თან ყურანიც არაბულ ენაზე იქნა მოვლინებული.

ამიტომ წმ. შუამავლის სიცოცხლის პერიოდში ყურანის გადათარგმნის საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. მოგვიანებით კი, ხალიფა ომარის დროს, როდესაც ისლამი სირიაში, ერაყში და ირანში გავრცელდა ღვთისმსახურების სხვა და სხვა ენაზე შესრულების პრობლემა გაჩნდა. ამ პერიოდში სხვა და სხვა ეროვნების ხალხი მასიურად აღიარებდა ისლამს. აღიარების დღიდან კი ლოცვა და სხვა ღვთისმსახურება ევალებოდათ. ლოცვისთვის კი უპირველესად ფათიჰას სურას ცოდნა იყო საჭირო და კიდევ მინიმუმ რამოდენიმე აიათის. ახალად გამუსულმანებულ ადამიანებს ამ აუცილებელი აიათების შესასწავლად გარკვეული დრო სჭირდებოდათ. ამ პერიოდში მედინაში მცხოვრებმა ირანელების ჯგუფმა სელმანი ელ ფარისს წერილი გაუგზავნეს. ცნობილი ჰანეფი ისლამის სწავლული შერაჰსი ამ წერილის შესახებ გადმოგვცემს: “ირანელებმა სელმანს წერილი გაუგზავნეს და ფათიჰას სურას გადათარგმნა და მათთვის გაგზავნა სთხოვეს. მათ ეს არაბულის შესწავლამდე ლოცვის აღსრულების დროს სჭირდებოდათ.”

ებუ ჰანიფეს აზრით მორწმუნეს არაბულად კითხვა რომც შეეძლოს და ამის მიუხედავად ლოცვის აღსრულებისას სხვა ენაზე გადათარგმნილი აიათები წაიკითხოს ფარზი შესრულებული ექნება. თუმცა ცოდვას ჩაიდენს, რადგან ყურანი მის ორიგინალურ ენაზე არ წაიკითხა. მტკიცებულება; ისლამამდელ პერიოდში მოვლენილი ღვთიური წიგნებიდან და წმინდა წერილებიდან ზოგიერთი გადმოცემის არაბულ ენაზე ყურანში შეტანა და ზემოთ ნახსენები სელმანის წერილი.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით ყურანის სასწაულებრივი ძალა მის ჟღერადობასა და სიტყვების მნიშვნელობაში ერთადაა მოთავსებული. ამიტომ ყველაზე უკეთესი გზა ყურანის არაბულად წაკითხვაა. ყურანის ამ ორი თვისებიდან, წარმოთქმისა და მნიშვნელობიდან მორწმუნეს ორივეს განხორციელება თუ არ შეუძლია ერთი რომელიმე უნდა იკმაროს. მორწმუნე არაბულად ლამაზად წაკითხვას როცა შეძლებს სხვა ენაზე მისი წაკითხვა მიუღებელი გახდება.

ჰანეფის მიმდინარეობის მიერ ნებადართული ეს მდგომარეობა დროებითია. ამას ზემოთ მოყვანილი წერილის ბოლო წინადადება მოწმობს; “მათ ეს არაბულის შესწავლამდე სჭირდებოდათ”. ცნობილია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ამ საკითხში ებუ ჰანიფე ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის მოსაზრებას დაეთანხმა.

შაფის მიმდინარეობის მიხედვით არაბულის გარდა არცერთ

ენაზე შესრულებული ღვთისმსახურება მიღებული არ არის. კარგად ვინც ვერ კითხულობს, ლოცვას მის გარეშე შეასრულებს.

საბოლოოდ, არაბულის არმცოდნე მუსლიმანი ვალდებულია წლების განმავლობაში ღვთისმსახურების დროს ნაკითხი ფათიჰას სურა და სხვა აიათები კარგად დაიზეპიროს და მათი მნიშვნელობაც შეისწავლოს. ეს ნამდვილად ლოცვის ზებუნებრივი ძალის შეგძნებაში დაეხმარება. ლოცვის გარდა სხვა დროს კი პირველ რიგში უმჯობესია ყურანის მნიშვნელობას მიაქციოს ყურადღება, რადგან ყურანი წაკითხვის, გაგების და მისი მიხედვით მოქმედებისთვის მოევლინა კაცობრიობას.

4) რუქუ- ფეხზე მდგარი მდგომარეობიდან წინ წახრა და ხელების მუხლებზე დაწყობა.

რუქუ ლექსიკონში მოხრას ნიშნავს. როგორც ლოცვის ერთ-ერთი რიტუალი ქედის მოხრა ლოცვის ფარზებიდან ერთ-ერთია. ქედის მოხრის დროს ფეხზე მდგარი მლოცველი წინ წაიხრება და ხელებს მუხლებზე მიიდებს. ამ დროს ფეხებსა და წელსზედა სხეულს შორის დაახლოებით მართი კუთხე იქმნება. გამოდინარე აქედან ქედის მოხრის დროს მხოლოდ თავის დაბლა დახრა საკმარისი არ არის. საჭიროა მთელი ტანით მოხრა და თავის სწორად დაჭერა. ვისაც რაიმე მიზეზის გამო არ შეეძლება შეასრულოს ეს რიტუალი მისი მდგომარეობა გაითვალისწინება. თუ ქედის მოხრის რიტუალი ფეხზე დგომას უფრო გავს მიუღებელია, თუ ქედის მოხრასთან უფრო ახლოა მაშინ მისაღებია. დაავადებული ადამიანი შესაბამისად შეძლებისდაგვარად შეასრულებს ამ რიტუალს.

ლოცვის აღსრულებისას ქედის მოხრა რომ ფარზია ამას აიათები და ჰადისები ამტკიცებენ.

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا ارْكَعُوا وَاسْجُدُوا وَاعْبُدُوا رَبَّكُمْ وَافْعَلُوا الْخَيْرَ لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მუხლი მოიყარეთ, პირქვე დაემხეთ და თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს და სიკეთე აკეთეთ, ეგებ შეიქნათ წარმატებულნი! “ჰაჯ 22/77. “

ყურანში ნათლად ჩანს, რომ სინამდვილეში ქრისტიანულ სარწმუნოების ლოცვაშიც არის ქედს მოხრა:

يَا مَرْيَمُ اقْنُتِي لِرَبِّكِ وَاسْجُدِي وَارْكَعِي مَعَ الرَّاكِعِينَ

მარიამ! მოკრძალებით დადექი შენი უფლის წინაშე, პირქვე დაემხე და მუხლი მოიყარე იმათთან ერთად, ვინც მუხლს იყრის. “ალი იმრან 3/43. “

ჰადისებით ცნობილია, თუ როგორ ასრულებდა წმ. შუამავალი “რუქუ”-ს:

“შუამავალი ქედის მოხრისას ხელებს მუხლებზე იწყობდა და ზურგს სწორად იჭერდა.” ან კიდევ,

“შუამავალი ქედის მოხრისას თავს მაღლა არ სწევდა, არც დაბლა სწევდა, სწორად იჭერდა.”

სხვა ჰადისში ნათქვამია, რომ შუამავლის რუქუს შესრულებისას ზურგზე წყლით სავსე ჭიქა რომ დაგედგათ არ გაინძრეოდაო.

ქედის მოხრის რიტუალის შესრულების შემდეგ წელში გამართვა მოდის. წელში გამართულ მდგომარეობაში მცირე ხანი დაყოვნებაა საჭირო. ებუ იუსუფის და ჰანეფის გარდა დანარჩენი სამი მიმდინარეობის იმამები მიიჩნევენ, რომ ეს დაყოვნება ფარზია.

დაყოვნების ხანგრძლივობა შემდეგი წინადადების წარმოთქმისთვის საკმარისი დროით განისაზღვრება: “სუბჰანელლაჰილ აზიიმ” . ებუ ჰანიფეს მიხედვით რუქუს და სწორად დგომის პოზიციაში დაყოვნება ვაჯიბია. რუქუს პოზიციაში კი სამჯერ “სუბჰანე რობბიელ აზიიმ”- ის თქმა სუნნეთია.

მჯდომარე პოზიციაში ვინც ლოცულობს ქედის მოხრის დროს თავი მუხლების პარალელურად უნდა მიიტანოს.

ლოცვაზე მისწრების მსურველი ფეხზე მდგომი წარმოთქვამს ნიეთს და თექბირს, შემდეგ კი მიყვება იმამს. თუ მლოცველი იმამს რუქუს პოზიციაში მიუსწრებს ის მუხლი ნალოცად ეთვლება.

დაუშვებელია იმამზე ადრე რუქუს ან სეჯდეს შესრულება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა იმამთან ერთად ხელახლა განმეორდეს რიტუალი. წინააღმდეგ შემთხვევაში მლოცველს ლოცვა მოეშლება.

თუ მლოცველი ლოცვას მაშინ მიუსწრებს, როდესაც იმამი რუქუს პოზიციაშია შეუძლია ერთი თექბირი, ანუ ერთხელ “ალლაჰუ ექბერ” წარმოთქვას და ლოცვაში ჩაერთოს.

5) სეჯდე-

სეჯდე ლექსიკონში თაყვანისცემას, ჩაბარებას, თავაზიანად მოხრას, სახის ძირს შეხებას ნიშნავს. ლოცვის ყოველ მუხლზე რუქუს შემდეგ სხეულის კონკრეტული ნაწილებით (მაგ. ხელები, შუბლი, ცხვირი) ორჯერ ძირს შეხება ლოცვის ერთ-ერთი ფარზია. სუნნეთის მიხედვით სეჯდის დროს ძირს შემდეგი ორგანოები უნდა ეხებოდეს: შუბლი, ცხვირი, ორივე ფეხი, ორივე ხელი და ორივე მუხლი.

ყურანში ნაბრძანებია: “

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا ارْكَعُوا وَاسْجُدُوا وَاعْبُدُوا رَبَّكُمْ وَافْعَلُوا الْخَيْرَ لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მუხლი მოიყარეთ, პირქვე დაემხეთ და თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს და სიკეთე აკეთეთ, ეგებ შეიქნათ წარმატებულნი! “ჰაჯ 22/77. “

სუნნეთის მიხედვით სეჯდე შვიდი ორგანოს ძირს შეხებით სრულდება. იბნი აბბასის გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია:

“მე მებრძანა შვიდი ძვლის ძირს შეხებით სეჯდე შევასრულო; შუბლი, (შემდეგ ხელით ცხვირზე მიანიშნა) , ორი ხელი, ორი მუხლი და ირი ფეხი!”

სეჯდეს შესრულების დროს მხოლოდ შუბლით ძირს შეხება და ცხვირის შეუხებლობა მექრუჰია, თუმცა სეჯდე მაინც მისაღებია. პირიქით შემთხვევაში, თუ სეჯდის დროს ცხვირს შევახებთ და შუბლს არა ებუ ჰანიფეს აზრით ცოდვაა, მაგრამ სეჯდე მიღებულია, ხოლო ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით მიუღებელია. ორივე შემთხვევაში მიზეზის არსებობა გასათვალისწინებელია.

სახის სხვა ორგანოებით სეჯდე მიუღებელია. მაგ. ნიკაპით, ლოყით, ყურით და სხვა.

სეჯდეს შესრულების დროს შუბლის და ცხვირის ძირს შეხება ვაჯიბია, ხოლო ხელების და მუხლების შეხება –სუნნეთი.

ზუფერის, შაფიის და აჰმედ იბნ ჰანბელის აზრით ჩამოთვლილი შვიდივე ორგანოს ძირს შეხება ფარზია. შაფის მიმედვრები თვლიან, რომ ხელის გულები და ფეხის თითები აუცილებლად ძირს უნდა ეხებოდეს. მალიქის მიხედვით სეჯდეს შესრულებისათვის აუცილებელია შუბლის ნაწილის შეხება. მხოლოდ ცხვირის ნაწილის ძირს შეხება სეჯდეს სრულყოფილებისთვის საკმარისი არაა.

სეჯდეს დროს ორივე ფეხის ძირს შეხება ფარზია, ამიტომ თუ ორივე ფეხის თითები ძირს არ ეხება სეჯდე მიუღებელია. ფეხის ცალი თითით, ან ფეხის მხოლოდ ზედა ნაწილით ძირს შეხება საკმარისი არ არის.

შუბლის შესახები ადგილი, დგომის ადგილიდან თორმეტ თითისდადებაზე (დაახლ. 23 სმ) მაღლა არ შეიძლება რომ იყოს. ნაკლები სიმაღლე დასაშვებია.

ლოცვის დროს თუ ძალიან დიდი ხალხმრავლობა და სიმჭიდროვეა, მლოცველებს შეუძლიათ წინ მდგომ ადამიანის სხეულზე, ან რაიმე საგანზე შეასრულონ სეჯდე. ცნობილია ხალიფა ომარის ნათქვამი, როდესაც მან ხალხმრავალ და ზედმეტად სიმჭიდროვეში მლოცველებს ურჩია:

“ლოცვის დროს ზედმეტად მჭიდროთ თუ დგახართ შეგიძლიათ თქვენი მორწმუნე ძმის ზურგზე შეასრულოთ სეჯდე.”

სეჯდეს შესრულების დროს შუბლის დასადები ადგილის სიმაგრე უნდა იგრძნობოდეს, ამიტომ მასზე ზედმეტად რბილი რაღაცაების დაფარება მიუღებელია.

მატყლზე, ბამბაზე, თივაზე, თოვლზე და მსგავს ადგილებზე სეჯდის შესრულებისას სახე შიგ არ უნდა ჩაეფლოს. ანუ, საჭიროა გარკვეული სიმყარე იგრძნობოდეს.

ტომარაში ჩაყრილ ხორბალზე, ქერზე, ბრინჯზე და მსგავს მარცვლეულზე სეჯდეს გაკეთება მისაღებია.

პატარა ქვაზე სეჯდეს გაკეთება მიუღებელია, მაგრამ თუ შუბლის უმეტესი ნაწილი ამ ქვასთან ერთად ძირს შეეხება სეჯდე მისაღებია.

ძირს დაგებულ ფიცარზე, ხალიჩაზე, სპეციალურ სალოცავ-

ზე სეჯდე გაკეთება მისაღებია. თუმცა ასეთი რამეების დაგებას შემდეგნაირი მიზეზები უნდა ჰქონდეს: სიცხე, სიცივე, მტვერი, ტალახი და მსგავსი. სუფთა მიწისგან დასაცავად დაგება მექრუჰად ითვლება.

სიცხის, ან სიცივისგან თავის დასაცავად სუფთა ადგილზე დადებულ ხელებზე სეჯდეს გაკეთება შესაძლებელია. ამ მდგოარეობაში შეიძლება ზემდეტი ტანსაცმლის გამოყენებაც.

ენესის გადმოცემულ ჰადისში შემდეგია მოთხრობილი:

“ძალიან ცხელ დღეს წმ. შუამავალთან ერთად ვლოცულობდი. მწველი სიცხის გამო ზოგიერთი ჩვენგანი შუბლს მიწაზე ვერ დებდა, ამიტომ ტანსაცმელს ძირს ფენდნენ და ზედ ასრულებდნენ სეჯდეს.”

სეჯდეს მომენტში და ორ სეჯდეს შორის ჯდომისას მცირედი შეყოვნება ებუ იუსუფის და ჰანეფის გარდა სხვა სამი მიმდინარეობის მიხედვით ფარზია. ჰანეფის და იმამ მუჰამმედის აზრით კი- ვაჯიბია. შეყოვნების ხანგრძლივობა “სუბჰანელლაჰილ ააზიმ” წარმოთქმისათვის საკმარისი დროით განისაზღვრება.

გარდა ამისა სეჯდეს შესრულებისას სამჯერ “სუბჰანე რობბიელ აალა”-ს წარმოთქმა სუნნეთია

ლოცვის აღსრულებისას ყოველ მუხლზე ორ-ორი სეჯდე სრულდება, ამათგან რომელიმე რომ განგებ გამოტოვებულ იქნას ლოცვა იშლება. თუ დავიწყების მიზეზით იქნა გამოტოვებული, ლოცვის ბოლოს ე.წ. “სეჰივ სეჯდე” სრულდება.

სეჯდე ლოცვის ძალზედ მნიშვნელოვანი მომენტია. ეს არის უზენაესი გამჩენის მიმართ თაყვანისცემის საუკეთესო გამოხატულება. ჰადისში ხომ ნაბრძანებია:

“ მონა თავის გამჩენთან ყველაზე ახლოს სეჯდეს შესრულების დროსაა”!

6) ბოლო დაჯდომა

ლოცვის დასასრულს გარკვეული ხნით დაჩოქოლ მდგომარეობაში დაჯდომა ლოცვის ერთ-ერთი ფარზია. ორმუხლიან ლოცვებში მეორე მუხლზე, სამმუხლიან ლოცვებში მესამე მუხლზე და ოთხმუხლიან ლოცვებში მეოთხე მუხლზე გარკვეული დროით

ჯდომას ბოლო დაჯდომა ეწოდება.

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით ბოლო დაჯდომისთვის დროის ხანგრძლივობა "ეთთეჰიათუ"- ს წასაკითხად საკმარისი დროით განისაზღვრება. ლოცვის დროს ყოველ დაჯდომისას "ეთთეჰიათუ"-ს წაკითხვა ვაჯიბია.

შაფიის და ჰანბელის მიხედვით ბოლო დაჯდომა უფრო ხანგრძლივია.

ებუ ჰანიფეს და ებუ იუსუფის შეხედულებით ლოცვის ბოლოს დაჯდომის მაგივრად წამოდგომის და ზედმეტი მუხლის ლოცვის შემთხვევაში ლოცვა ნაფილე ლოცვად გადაიქცევა. ამ დროს საჭიროა კიდევ ერთი მუხლის დამატება და ზედმეტი მუხლების დაწყვილება. გავრცელებული ვარაუდით სეჰივ სეჯდეს აღარ იქნება საჭირო.

იმამ მუჰამმედის აზრით კი ასეთ შემთხვევაში ლოცვა უქმდება და არც ნაფილედ გარდაიქმნება.

თუ მლოცველი ბოლო ჯდომის პერიოდს მძინარე მდგომარეობაში გაატარებს ლოცვა იშლება, მაგრამ თუ გამოეღვიძლება და უკვე მღვიძარე მდგომარეობაში საკმარის ხანს დაყოვნდება ლოცვა ჩაეთვლება.

"თა'დილი ერქან"-ი – ლოცვის ვალდებულებების სწორად შესრულება.

"და'დილი ერქანის" ცოდნა გვეხმარება ლოცვის რიტუალების სწორად შესრულებაში. მაგ. რუქუს- ქედის მოხრის მდგომარეობიდან ისევ საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას სხეული მთლიანად უნდა გასწორდეს და სულ მცირე "სუბჰანელლაჰილ ღეზიმ"-ის წარმოთქმისათვის საკმარისი დროით უნდა დავყოვნდეთ. ორი სეჯდეს შორისაც ამდენი დროით გაჩერებაა საჭირო.

ებუ იუსუფის და ჰანეფის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით "თადილი ერქანის" შესრულება ფარზია, ხოლო ჰანეფის და იმამ მუჰამმედის შეხედულებით – ვაჯიბი. გამომდინარე აქედან პირველთა აზრით მისი უგულებელყოფის შემთხვევაში ლოცვის ხელახლა აღსრულებაა საჭირო, ხოლო მეორეთა შეხედულებით ლოცვის ბოლოს "სეჰივ სეჯდე"-ს გაკეთება საკმარისია.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი დრო ღვთისმსახურებაში გატარებული დროა. ამქვეყნიურ სიამოვნების და ფუჭი სურვილების გამო ლოცვის მსგავსი ღვთისმსახურების ზედმეტად აჩქარებულად შესრულება გონიერ ქცევად არ ჩაითვლება.

ლოცვის საკუთარი ნებასურვილით დასრულება.

ლოცვის საკუთარი ნებასურვილით დასრულება ებუ ჰანიფეს მიხედვით ფარზია. ლოცვის ბოლოს კი ე. წ. სელამის მიცემა ვაჯიბია. გამომდინარე აქედან, ლოცვის ბოლო ჯდომის შესრულების შემდეგ სელამის მიცემით, ლაპარაკით, ან სხვა რომელიმე ქცევით, ან აბდესთის მოშლით ლოცვა სრულდება. ლოცვის ბოლოს სელამის მიცემისას სიტყვა "სელამ" თქმისთანავე ლოცვა დასრულებულად ითვლება.

წმ. შუამავალი ლოცვას სელამით ამთავრებდა, მაგრამ იმის საჩვენებლად, რომ ეს ფარზი არ იყო, ზოგჯერ სხვა ქმედებითაც ამთავრებდა ლოცვას.

იბნი აბბასის გადმოცემით შუამავალი ლოცვის ბოლო დაჯდომიდან საკმარისი დროის გასვლის შემდეგ უკან მობრუნდებოდა და ბრძანებდა, -თუ ვინმეს დაჯდომისთვის საკმარისი დროის გასვლის შემდეგ აბდესთი მოეშალა ლოცვა დამთავრებულად ითვლებაო.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით ლოცვის ბოლოს საკმარისი დროით დაჯდომის შემდეგ ლოცვის ფარზები შესრულებულად ითვლება. ამის შემდეგ ნებსით თუ უნებლიედ ლოცვისთვის შეუთავსებელი ქცევა რომ ჩაიდინოს ლოცვას ზიანს არ მიაყენებს. ებუ ჰანიფეს აზრით, ასეთ დროს უნებლიედ, თავისდაუნებურად ლოცვიდან გასვლის შემთხვევაში საჭიროა აბდესთის აღება და მლოცველის ნებით ლოცვის დასრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში ლოცვი მიუღებელია.

ლოცვის დროს ბოლო ჯდომის მომენტში ლოცვის დრო რომ გავიდეს და მომდევნო ლოცვის დრო დადგეს ორი იმამის აზრით ლოცვა შესრულებულია, ხოლო ებუ ჰანიფეს აზრით – არა, რადგან მლოცველს თავისი ნებით არ დაუსრულებია ლოცვა.

შაფიის და მალიქის აზრით ლოცვის ბოლოს პირველი მისალმება სავალდებულოა. ამ პირველი სალამით ლოცვა დასრულებულია. ჰანბელის მიხედვით კი ორივე მხარეს მისალმება სავალდებულოა. დასაყრდნობი მტკიცებულება შემდეგია:

"ლოცვის გასაღები სისუფთავე, დასაწყისი თექბირი და დასასრული სალამია!"

ან კიდევ,

"წმ. შუამავალი ლოცვის ბოლოს სალამს წარმოთქვამდა და ამას სისტემატიურად აკეთებდა."

გარდა ამისა წმ. შუამავალი ბრძანებდა:

"ისე აღასრულეთ ლოცვა, როგორც ჩემგან დაგინახავთ!"

ჰანეფის მიმდინარეობის იმამები კი ყურადღებას იმ ჰადისებზე ამახვილებენ, სადაც ახსნილია, რომ წმ. შუამავალი ზოგჯერ ლოცვის ბოლო დაჯდომის დროის გასვლის შემდეგ უკან ბრუნდებოდა ლაპარაკით ამთავრებდა ლოცვას. გამომდინარე აქედან მათ მისალმება ფარზად არ მიაჩნიათ.

დ.) ლოცვის ვაჯიბები

ვაჯიბის უგულებელყოფა, ისევე როგორც ფარზის, საიქიოში სასჯელს ითვალისწინებს. ლოცვის ვაჯიბის გამოტოვებით ლოცვა არ იშლება. ამ ნაკლოვანების ანაზღაურება ლოცვის ბოლოს ე. წ. სეჰივ სეჯდეს შესრულებითაა შესაძლებელი. განზრახ ვაჯიბის უგულებელყოფა ლოცვას მიუღებელს ხდის და მისი თავიდან ლოცვა აუცილებელია.

ვაჯიბი, როგორც ამ კატეგორიის კლასიფიკაციის ერთ-ერთი საფეხური მხოლოდ ჰანეფის მიმდინარეობას აქვს განხილული. სხვა მიმდინარეობები კი ვაჯიბის ზოგიერთ შემთხვევას ფარზად განიხილავს, ზოგს კი- სუნნეთად.

1) ლოცვის ფრაზის "ალლაჰუ ექბერ" წარმოთქმით დაწყება. უმრავლესობის აზრით ეს ფარზია.

2) ლოცვის ყოველ მუხლზე სურა ფათიჰას კითხვა. "ფათიჰას ვინც არ იკითხავს მისთვის ლოცვა არ არის" – ეს ჰადისი ჰანეფის მიმდინარეობის მიერ შემდეგნაირად იქნა გაგებული: "ლოცვის დროს ფათიჰას ვინც არ იკითხავს ლოცვა სრულყოფილი არ იქნება. მადლი ნაკლები ექნება". ჰანეფის მიმდევრები ითვალისწინებენ აგრეთვე, რომ ეს ჰადისის ერთი "რავი"-ს (გადმომცემის) მიერაა გადმოცემული.

ჰანეფის მიმდინარეობის გარდა ყველა სხვა მიმდინარეობა მიიჩნევს, რომ ლოცვის დროს ფათიჰას სურას კითხვა ფარზია.

3) ლოცვის ერთ-ერთი ფარზის, ყურანის აიათების კითხვის წინა ორ მუხლზე შესრულება.

4) პირველ ორ მუხლზე სათითაოდ ფათიჰას კითხვა.

5) ფათიჰას სურას სხვა საკითხავ აიათებზე ადრე წაკითხვა.

6) სავალდებულო ლოცვების პირველ ორ მუხლზე, ვაჯიბ და ნაფილე ლოცვებში კი ყოველ მუხლზე ფათიჰას შემდეგ მოკლე სურას, ან მისი რაოდენობის ერთი, ან რამდენიმე აიათის წაკითხვა. ლოცვის დროს ეს ვაჯიბია. ყველაზე მოკლე სურა "ქევსერის" სურაა. ებუ საიდ ელ ჰუდრის გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: "ჩვენ გვებრძანა ფათიჰასთან ერთად იოლი სურა წავიკითხოთ."

ჰანეფის გარდა სხვა სამი მიმდინარეობის მიხედვით ფათიჰას შემდეგ სურას წაკითხვა სუნნეთია. მათი შეხედულების გასამყარებლად ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ შემდეგ ჰადისს ეყრდნობიან: "ფათიჰას გარდა თუ არაფერს წაიკითხავთ საკმარისია, მაგრამ თუ წაიკითხავთ უკეთესია!"

7) მარტო ლოცვის დროს მლოცველი დილის, საღამოს და ღამის ლოცვების აღსრულებისას ხმამაღლა, ან ხმადაბლა კითხვის არჩევანში თავისუფალია, მაგრამ შუადღის და სამხრობის ლოცვის აღსრულებისას ყურანის ხდაბლა კითხვა ვაჯიბია. იგივე ეხება დღისით სალოცავ ნაფილე ლოცვების შემთხვევაში.

ღამეში ნაფილე ლოცვის აღსრულების დროს მლოცველს უფლება

აქვს ხმამაღლა, ან ხმადაბლა წაიკითხოს ფათიჰა და შესაბამისი სურა. თუმცა ასეთ შემთხვევაში მძინარე ადამიანების გაღვიძებას უნდა მოერიდოს.

ცნობილია, რომ წმ. შუამავალი ღამეში ნაფილე ლოცვის აღსრულების დროს ყურანს ხმამაღლა კითხულობდა, მაგრამ მძინარე ადამიანებს არ აღვიძებდა. ყოფილა შემთხვევები როცა ხმადაბლაც წაუკითხავს ყურანი.

8) მლოცველების კოლექტიური ლოცვის აღსრულების დროს იმამის მიერ დილის, ჯუმის, ბაირამის, თარავის და ვითრის ლოცვების ყოველ მუხლზე, ხოლო საღამოს და ღამის ლოცვების პირველ ორ მუხლზე ხმამაღლა, შუადღის და სამხრობის ლოცვების ყველა მუხლზე ხმადაბლა კითხვა ვაჯიბია. ასევე ვაჯიბია საღამოს ლოცვის ფარზის მესამე და ღამის ლოცვის ფარზის ბოლო ორ მუხლზე ხმადაბლა კითხვა.

9) ვითირის ლოცვის აღსრულებისას სპეციალურად ამ ლოცვისთვის საჭირო ე. წ. "ქუნუთის" ლოცვების წაკითხვა ებუ ჰანიფეს აზრით ვაჯიბია, ხოლო ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედულებით სუნნეთი.

10) გაცდენილი ლოცვის ანაზღაურებისას თუ მლოცველები ერთიანად ლოცულობენ ყურანის ხმამაღლა, ან ხმადაბლა კითხვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ლოცვას ვანაზღაურებთ.

11) ორივე ბაირამის ლოცვის დროს დამატებითი თექბირების კითხვა ვაჯიბია. ამ ლოცვების ასრულების დროს პირველ მუხლზე საკითხავი თექბირები სუნნეთია, ხოლო მეორე მუხლზე საკითხავი თექბირები –ვაჯიბი.

12) სეჯდეს შესრულებისას შუბლთან ერთად ცხვირის ძირს შეხება ვაჯიბია.

13) სამ და ოთხმუხლიან ლოცვებში ორი მუხლის შემდეგ მცირე დროით დაჯდომა ვაჯიბია. შეცდომით წამოდგომის შემთხვევაში ლოცვის ბოლოს ე. წ. სეჰივ სეჯდე უნდა შესრულდეს.

14) ლოცვის აღსრულების დროს ყოველი დაჯდომისას "ეთთეჰიათუ"-ს კითხვა ვაჯიბია.

15) ლოცვის ფარზების დაუგვიანებლად შესრულება ვაჯიბია.

16) ლოცვის ფარზების თანმიმდევრობით შესრულება ვაჯიბია. ეს ეხება, როგორც ლოცვების წაკითხვას, ისე მოძრაობებს.

17) ყოველი ვაჯიბის თავის დროზე შესრულება ვაჯიბია.

18) შეცდომით ვაჯიბის გამოტოვების შემთხვევაში სეჰივ სეჯდეს გაკეთება ვაჯიბია.

19) ლოცვის აღსრულების დროს ისეთი აიათების წაკითხვისას, რომელებიც სეჯდეს განაპირობებენ სეჯდეს გაკეთება ვაჯიბია.

20) ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის შეხედულებით ლოცვის წესების დაცვით ლოცვა ვაჯიბია. მაგ. ქედის მოხრის რიტუალიდან საწყის, მდგომარე პოზიციაში დაბრუნებისას საჭიროა შეყოვნება კუნთების მოშვების გზით სხეულის დაწყნარება. ეს მოსაზრება ეყრდნობა ჰადისს, სადაც წმ. შუამავალი ერთ-ერთ მლოცველს უხსნის ლოცვის აღსრულების დროს საჭირო მოძრაობებს.

21) ლოცვის ბოლოს ე.წ. სელამის მიცემა ვაჯიბია. სალამის მიცემის დროს ჯერ მარჯვნივ უნდა მივატრიალოთ თავი, შემდეგ კი – მარცხვნივ.

მიმდიანრეობების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ “ესსელამუ” სიტყვის წარმოთქმისთანავე ლოცვა დასრულებულია. მარცხენა მხარეს მისალმება კი სუნნეთია. გამომდინარე აქედან, იმამი რომ მარჯვენა მხარე მიესალმება მის შემდეგ ლოცვაში ჩართვა და მასზე მიყოლა მიუღებელია.

ე) ლოცვის სუნნეთები

ლოცვის სუნნეთებიც შესდგება გარკვეული სიტყვების და ქცევებისგან, რომელთა შესრულება მადლია, მაგრამ მათი გამოტოვება ცოდვად არ ითვლება, თუმცა შენიშვნას იმსახურებს. მათი გამოტოვების დროს ე. წ. სეჰივ სეჯდე საჭირო არ არის. გარდა ამისა განზრახ მათი უგულებელყოფის შემთხვევაშიც კი ლოცვა არ იშლება. ეს იქნება მოუწონებელი და ცუდი საქციელი. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სუნნეთების მნიშვნელობის არაფრად

ჩაგდება, მათი უაზრო და ზედმეტ საქმედ მიჩნევა მორწმუნეს ურწმუნოების საფრთხეს შეუქმნის.

ლოცვის აღსრულების დროს წმ. შუამავალს სუნნეთი ყოველთვის შეუსრულებია. მხოლოდ სერიოზული ხელისშემშლელი მიზეზის არსებობის შემთხვევაში არ ასრულებდა.

ლოცვის სუნნეთები შემდეგია:

1) ხუთი დროის ლოცვისთვის, აგრეთვე ჯუმის ლოცვისთვის ეზნის და ყამეთის კითხვა სუნნეთია. ეზანი და ყამეთი სუნნეთია მლოცველების ერთიანად სავალდებულო ლოცვის აღსრულების დროს. აგრეთვე გაცდენილი ლოცვების ანაზღაურების ერთიანად შესრულების დროსაც.

ერთდროულად ერთზე მეტი ლოცვის ანაზღაურებისას თუ მლოცველები ერთად ლოცულობენ დასაწყისში ეზნის კითხვა საკმარისია, ხოლო შემდეგ თითოეული ლოცვისთვის თითო ყამეთი უნდა იკითხონ.

თავიანთ სახლებში, მარტო ლოცვისას მამაკაცების მიერ ეზნის და ყამეთის კითხვა მუსთეჰაბია. მლოცველების მიერ ერთიანად ლოცვის აღსრულებისას ეზნის და ყამეთის უგულებელყოფა მექრუჰია.

ვთქვათ მორწმუნე ქალაქშია (იგულისხმება მეჩეთთან სიახლოვე) და რაღაც მიზეზით ვერ დაესწრო ჯუმის ლოცვას, იმ დღის შუადღის ლოცვის აღსრულებისას ეზანის და ყამეთის წაკითხვა არ სჭირდება. რაც შეეხებათ მუსლიმ მანდილოსნებს, მათთვის ეზნის და ყამეთის კითხვა სუნნეთი არაა.

2) ლოცვის დასაწყისში "თექბირის"დროს ხელების მაღლა აწევა სუნნეთია. ამ დროს მამაკაცები ხელებს თავის სიმაღლეზე სწევენ და ცერა თითებით ყურის ბიბილოებს ეხებიან. მანდილოსნები კი ხელებს მკერდის წინ, მხრების სიმაღლებდე სწევენ. ამ დროს ხელები წინ არის მიშვერილი, ან ერთიმეორისკენ შებრუნებულიც შეიძლება და თითები თავისუფალ მდგომარეობაშია.

ჰანეფის მიმდევრები ამ საკითხში მტკიცებულებად ვაილ იბნ ჰუჯრის მიერ გადმოცემულ ჰადისს ეყრდნობიან, სადაც ნათქვამია,

რომ წმ. შუამავალი ლოცვის დაწყებისას ხელებს თავის სიმაღლემდე სწევდა და ცერა თითებით ყურის ბიბილოებს ეხებოდა. იგივე შინაარსის ჰადისებს გადმოგვცემენ ბერა იბნ აზიბი და ენესი.

შაფის და მალიქის მიხედვით თექბირის დროს მამაკაცები ხელებს მხრების სიმაღლეზე სწევენ. ამ შემთხვევაში ისინი იბნი ომერის ჰადისს ეყრდნობიან, სადაც ნათქვამია, რომ წმ. შუამავალმა ლოცვის დაწყებისას თექბირისას ხელები მხრებამდე ასწია. ჰანბელის მიმდევრები კი ამ განსხვავებულ ჰადისსაც იღებენ მხედველობაში და მიიჩნევენ, რომ ხელების ორივენაირად აწევა მისაღებია.

შაფის და ჰანბელის მიხედვით ლოცვის პროცესში, კერძოდ ქედის მოხრისას და ისევ მდგომარე პოზიციაში დაბრუნებისას ხელების აწევა სუნნეთია. მათი ეს მოსაზრება იბნი ომერის მიერ გადმოცემულ ჰადისს ეყრდნობა.

3) კოლექტიურად ლოცვის აღმსრულე რიგითი მლოცველის თექბირი იმამის თექბირთან ახლოს უნდა იყოს. წმ. შუამავალი ბრძანებდა: “იმამი რომ თექბირს აიღებს, შენც თექბირი აიღე!”

4) ლოცვის დასაწყისში “იფთითაჰ თექბირის” შემდეგ სასწრაფოდ ხელების წესისამებრ დალაგება. მამაკაცები ხელებს ჭიპის ქვემოთ ერთმანეთზე იწყობენ, ხოლო მანდილოსნები – მკერდზე. წმ. ალის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: “მარჯვენა ხელის მარცხენაზე დადებადა ჭიპის ქვეშ შეკვრა სუნნეთია!”

იგივე შინაარსია გადმოცემული ქაბისა იბნ ჰულბის და სეჰლ იბნ სადის მიერ გადმოცემულ ჰადისებშიც.

ხელები შემდეგნაირად უნდა შეიკრას: მარცხენა ხელს მივიდებთ ჭიპის ქვემოთ მუცელზე, ზემოდან მარცხენა ხელის ზურგზე ვადებთ მარჯვენა ხელის გულს. ამ დროს მარჯვენა ხელის ცერა თითი და ნეკი შემოსალტულია მარცხენა ხელის მაჯაზე.

მანდილოსნები კი ხელებს იგივე ფორმით ილაგებენ მკერდზე, ოღონდ ცერა და ნეკ თითებს მაჯაზე არ უჭერენ.

შაფის მიხედვით ქალები მკერდზე ილაგებენ ხელებს, ხოლო მამაკაცები ჭიპს ზემოთ მუცელზე. მათი შეხედულებით ეს მუსთეჰაბია, რადგან ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვან ორგანოსთან, გულთან ახლოსაა.

მალიქის მიხედვით ლოცვის დროს ხელების შეკვრა საჭირო

არ არის. უფრო მეტიც, სავალდებულო (ფარზი) ლოცვის დროს ხელების ზემოთ ნახსენები ფორმით დალაგება მექრუჰია. მათი აზრით ეს რაიმეზე მიყრდნობასთან ასოცირდება. თუმცა ნაფილე ლოცვის აღსრულებისას ხელების მკერდზე დალაგება მისაღებია. გარდა ამისა, მალიქის მიხედვით ხელების შეკვრა თუ სუნნეთის შესრულების მიზნით კეთდება მექრუჰად აღარ ითვლება.

5) ლოცვის დასაწყისში, თექბირის შემდეგ "სუბჰანექეს" კითხვა სუნნეთია. ფათიჰას კითხვის წინ "ეუზუ ბესმელეს" წარმოთქმაც სუნნეთია. ეს პირველ მუხლეზე, დანარჩენ მუხლებზე ფათიჰას წინ ბესმელეს წარმოთქმაც სუნნეთია. ამის მტკიცებულება შემდეგი აიათია:

فَإِذَا قَرَأْتَ الْقُرْآنَ فَاسْتَعِذْ بِاللَّهِ مِنَ الشَّيْطَانِ الرَّجِيمِ

მაშ, როცა კითხულობ ყურანს, ჯერ ალლაჰს მიეკედლე იმ ჩაქოლილი ეშმაკისგან! "ნაჰლ 16/98. "

ამ საკითხში იმამსა და რიგით მლოცველს შორის განსხვავება არ არის. თუმცა რადგან იმამის წინამძღოლობის ქვეშ მყოფი მლოცველი ფათიჰას არ კითხულობს, მის მიერ ამ მომენტში ბესმელეს წარმოთქმა საჭირო არ არის.

არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის მიხედვით ფათიჰას კითხვამდე "ეუზუ ბესმელეს" წარმოთქმა ვაჯიბია. ფათიჰას შემდეგ საკითხავ სურას წინ როგორც წესი ბესმელე არ იკითხება. მხოლოდ იმამი მუჰამმედი მიიჩნევდა, რომ ხმადაბლა სალოცავ ლოცვებში ამ დროს ბესმელეს წარმოთქმა საჭიროა.

6) ფათიჰას წაკითხვის შემდეგ ხმადაბლა "აამინ" წარმოთქმა სუნნეთია. ებუ ჰურაირას გადმოცემით წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ:

"როდესაც იმამი "აამინ"-ს წარმოთქვამს თქვენც წარმოთქვით, რადგან რომელიმე თქვენგანის წარმოთქმული "აამინ" ანგელოზების მიერ წარმოთქმულ "აამინს" რომ დაემთხვეს წარსულის ცოდვები ნაპატიებია!"

7) ლოცვის პროცესში იმამი ქედის მოხრის შემდეგ საწყის, მდგომარე პოზიციას უბრუნდება. ამ დროს შემდეგი წინადადების "სემიღელლაჰუ ლიმენ ჰემიდეჰ" წარმოთქმა სუნნეთია. სუნნეთია აგრეთვე ლოცვის ბოლოს ორივე მხარეს მისალმება და მლოცველთა გასაგონად საკმარისად ხმამაღლა კითხვა. იმამის წინამძღოლობის

ქვეშ მყოფი მლოცველი ქედის მოხრის პოზიციიდან მდგომარე პოზიციაში დაბრუნებისას შემდეგ წინადადებას წარმოთქვამს: “რობბენა ლექელ ჰემდ”. ესეც სუნნეთია. მარტო ლოცვისას კი მლოცველი ამბობს ორივე წინადადებას; ჯერ “სემიღელლაჰუ ლიმენ ჰემიდეჰ”, შემდეგ კი -“ რობბენა ლექელ ჰემდ”

8) ლოცვის დროს ქედის მოხრის და სეჯდეს შესრულებისას, ყოველი მოხრის და გასწორების დროს “თექბირის” შესრულება სუნნეთია.

9) ლოცვის აღსრულების დროს, ქედის მოხრის პოზიციიდან საწყის, მდგომარე პოზიციაში დაბრუნებისას ჯერ “სემიღელლაჰუ ლიმენ ჰემიდეჰ”, შემდეგ “რობბენა ლექელ ჰემდ” წარმოთქმა სუნნეთია. პირველს იმამი ხმამაღლა წარმოთქვამს, მეორეს- ხმადაბლა. იმამის წინამძღოლობის ქვეშ მყოფი მლოცველი კი მხოლოდ მეორეს წარმოთქვამს ხმადაბლა.

10) ლოცვის აღსრულების დროს ფეხზე მდგომარე პოზიციაში ფეხებს შორის მანძილი ოთხი თითის ტოლა უნდა იყოს. ეს სუნნეთია. შაფის მიხედვით კი ფეხებს შორის მანძილი უფრო ფართოა.

11) ლოცვის დროს ქედის მოხრისას მამაკეცებმა ხელების მუხლისთავებს უნდა შემოაჭდონ, ამ დროს ხელის თითები თავისუფალ მდგომარეობაშია. მანდილოსნები კი -ხელებს მუხლებზე მხოლოდ შეახებენ. მამაკაცებმა ამ პოზიციაში ფეხები, ზურგი და თავი უნდა გაასწორონ. ანუ ფეხები იატაკთან მიმართებაში ვერტიკალურ მდგომარეობაშია, ხოლო ზურგი და თავი პარალელურ მდგომარეობაში. მამაკაცებისგან განსხვავებით ქალები მუხლებში ოდნავ იხრებიან და წელშიც ბოლომდე არ იხრებიან.

12) ქედის მოხრის პოზიციაში სამჯერ “სუბჰანე რობიელ ა’ზიიმ”-ის წარმოთქმა და სეჯდეს პოზიციაში სამჯერ “სუბჰანე რობიელ ა’ლაა”-ს წარმოთქმა სუნნეთია. ეს, წმ. შუამავლის მიერ შემდეგი ორი აიათის მოვლინების შემდეგ იქნა განმარტებული:

فَسَبِّحْ بِاسْمِ رَبِّكَ الْعَظِيمِ

მაშ. ადიდე შენი ღმერთი დიდებული სახელით! “ვაყია 56/96“

سَبِّحِ اسْمَ رَبِّكَ الْأَعْلَى

ადიდე სახელი ღმერთისა შენისა, უზენაესისა! „ეღლა 87/1“

ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს რამოდენიმე ჰადისი.

ჰუზეიფე გადმოგვცემს, რომ წმ. შუამავალთან ერთად ლოცვის აღსრულებისას გაიგონა, რომ შუამავალმა ქედის მოხრისას "სუბჰანე რობბიელ ა'ზიმ "წარმოთქვა, ხოლო სეჯდეს შესრულებისას - "სუბჰანე რობბიელ ა'ლაა". იბნი მესუდი გადმოგვცემს, რომ წმ. შუამავალი ამ სიტყვებს სამჯერ წარმოთქვამდა. მალიქის მიმდინარეობის მიხედვით ქედის მოხრის, ან სეჯდეს შესრულებისას ზემოთ ნახსენები სიტყვების წარმოსათქმელად რაოდენობის მაქსიმალური ზღვარი არ არსებობს.

13) სეჯდეს შესრულებისას და "ეთთეჰიათუს" კითხვის დროს მჯდომარე პოზიციაში მარჯვენა ფეხის თითები ქააბას მიმართულებით უნდა იყოს, ხოლო მარცხენა ფეხი შემოკეცილია. მანდილოსნები კი ფეხებს მარჯვენა მხრიდან შემოიკეცავენ და ისე იღებენ მჯდომარე პოზიციას.

14) სეჯდეს შესრულებისას ჯერ მუხლები უნდა შეეხოს იატაკს, შემდეგ ხელები, შემდეგ კი სახე, კერძორდ შუბლი და ცხვირი. წამოდგომისას ჯერ სახეს ვწევთ, შემდეგ ხელებს ვწევთ და ვიწყობთ მუხლებზე, მეორე სეჯდეს შემდეგ ვდგებით. ამ თანმიმდევრობით ადგომა ვისაც არ შეუძლია სახის შემდეგ მუხლებს წამოსწევს და შემდეგ ხელების დახმარებით წამოდგება.

მალიქის მიხედვით სეჯდეს შესრულებისას ჯერ ხელები ეხება იატაკს, შემდეგ მუხლები, ხოლო წამოდგომისას ჯერ მუხლებს ვწევთ, შემდეგ –ხელებს. ეს მოსაზრება აბუ ჰურაირას გადმოცემულ ჰადისს ეყრდნობა:

"სეჯდეს შესრულებისას აქლემის მსგავსად არ დაიჩოქოთ, ჯერ ხელები დააწყვეთ, შემდეგ- მუხლები!"

ისლამში, ზოგიერთი რიტუალი მურწმუნეს ღვთისმსახურების შესრულებას უადვილებს. სეჯდის შესრულების წინა მოდელის შესრულება ვისაც არ შეუძლია, ამ მეორე მოდელით შეასრულებს.

15) ლოცვის დროს, მჯდომარე პოზიციაში ყოფნისას ხელების მუხლებზე დაწყობა სუნნეთია. შესაბამისად მარჯვენა ხელი მარჯვენა მუხლის ზედა ნაწილზე, მარცხენა ხელი კი მარცხენა მუხლის ზედა ნაწილზე იდება. ამ დროს თითები თავისუფლადაა და ოდნავ გახსნილია. სავალდებულო არაა ხელების მუხლისთავებამდე ჩატანა, რადგან ეს ორგანიზმის დაძაბვას გამოიწვევს.

16) მჯდომარე პოზიციაში ყოფნისას "ეთთეჰიათუს" კითხვის დროს "ლა ილააჰე"- ს წარმოთქმისას მარჯვენა ხელის საჩვენე-

ბელი თითის წამოწევა და “ილლელლაჰ” წარმოთქმისას დაშვება სუნნეთია. ამ დროს ცერა და შუათითს ერთმანეთს ვახებთ და დანარჩენი თითები კი მოხრილია. ეს მოძრაობა ღმერთის ერთადერთობის დადასტურებაა.

17) სავალდებულო ლოცვის დროს მესამე და მეოთხე მუხლზე ფათიჰას სურას წაკითხვა სუნნეთია. ფათიჰას შემდეგ დამატებით რომელიმე სურას ან აიათების წაკითხვა დასაშვებია, რადგან ამ ორ მუხლზე ყურანის კითხვის საჭირო რაოდენობა არ არის მითითებული. ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების შეხედულებით მესამე და მეოთხე მუხლზე ფათიჰას წაკითხვა ფარზია.

ამ საკითხში ჰანეფის მიმდინარეობა მიიჩნევს, რომ ლოცვის ამ ფარზის შესრულებისთვის მხოლოდ ფათიჰას სურა არ არის მითითებული და შეიძლება სხვა რომელიმე სურას, ან აიათის წაკითხვა. ეს შემდეგ მტკიცებულებას ეყრდნობა:

فَاقْرَؤُا مَا تَيَسَّرَ مِنَ الْقُرْاٰنِ

მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ ყურანისგან. “მუზზემმილ 73/20.

მეორე მტკიცებულება წმ. შუამავლის ჰადისია: “ყურანიდან, რომელიც გეადვილება ის იკითხე!”

18) სავალდებულო ლოცვების, ვითირის და “მუექქედ სუნნეთების” ბოლო ჯდომისას, ხოლო “გაირი მუქქედ სუნნეთების” და სხვა ნაფილე ლოცვების ყველა ჯდომისას “ეთთეჰიათუს” გარდა “სალლი ბარიქის ლოცვების წაკითხვა სუნნეთია.

19) ყოველი ლოცვის ბოლო ჯდომისას ვიდრე სალმით ლოცვას დავასრულებდეთ ვედრების კითხვა სუნნეთია. როგორც წესი ამ დროს “რობბენა ათინას”ვედრებას კითხულობენ.

20) ლოცვის დასასრულს, მისალმებისას თავის ჯერ მარჯვენა მხარეს, ხოლო შემდეგ მარცხენა მხარეს მიტრიალება სუნნეთია. ამ დროს მლოცველი გულისხმობს მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მყოფ ადამიანებზე, ჯინებზე და ანგელოზებზე მისალმებას. იმამი დამატებით მასზე მიყოლილ მლოცველებზე მისალმებასაც იგულისხმებს.

მალიქის მიმდევრები მისალმებას ამატებენ სიტყვას “ვე ბერექათუ.”

ჰადისის თანახმად წმ. შუამავალი ლოცვის დასრულებისას მი-

სალმების შემდეგ მაშინვე არ წამოდგებოდა და შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდა: “ელლაჰუმმე ენთესსელამუ ვე მინქესსელამ, თებარექთე ია ზელ ჯელალი ველ –იქრაამ”

21) ლოცვის აღსრულების დროს ადამიანმა ან ცხოველმა რომ წინ არ გაგვიაროს რაიმე საგნის წინ დადება სუნნეთია. მლოცველების მიერ ერთიანად ლოცვის აღსრულებისას იმამის წინ რაიმის დადება საკმარისია. თუ დარწმუნებული ვართ, რომ ლოცვის დროს ჩვენს წინ არაფერი გაივლის რაიმე საგნის დადება საჭირო აღარ არის. ლოცვის მლოცველის წინ გავლა მექრუჰია.

ლოცვის დროს თუ ვინმე წინ გავლას დააპირებს შეგვიძლია ხელით, თვალით ან, თავით ვანიშნოთ. ან გასაფრთხილებლად წარმოვთქვათ “სუბჰანელლაჰ.”

ვ) ლოცვის აღსრულების დროს სხვა წესები

ისლამის ტერმინოლოგიით ეს არის ლოცვის “ადაბი”, ანუ წმ. შუამავლის მიერ ზოგჯერ შესრულებული და ზოგჯერ გამოტოვებული ქცევები. მათ მენდუფს, ან მუსთეჰაბსაც უწოდებენ. მსგავსი ქცევების შესრულება მადლია, ხოლო შეუსრულებლობა შენიშვნას ან სასჯელს არ ითვალისწინებს. ასეთებია, მაგ. ქედის მოხრისა და სეჯდეს პოზიციაში ყოფნისას წარმოსათქმელი ფრაზების სამზე მეტჯერ გამეორება და მსგავსი სხვა.

1) ლოცვის აღმსრულე თავისი გარეგანი შეხედულებით და შინაგანი სულიერი სამყაროთი თვინიერების, სიჩუმის და სიმშვიდის მდგომარეობაში უნდა იყოს.

2) გარეგნობის წესრიგში მოყვანა. მაგ. მცირე განბანვის (აბდესთი) დროს წამოწეული სახელოების და შარვლის ბოლოების გასწორება.

3) ყამეთის დროს “ჰეიაღა ლელ ფელაჰ” ფრაზის გაგონებისას მლოცველების ფეხზე წამოდგომა.

4) ასევე ყამეთის კითხვის დროს “ყედ ყამეთისსელაჰ” –წინადადების გაგონებისას იმამის მიერ ლოცვის დაწყება. ყამეთის დასრულებისთვის მოცდა და შემდეგ ლოცვის დაწყებაც მიღებულია. უფრო მეტიც, ჰანფის მიმდევრებსა და ებუ იუსუფს გარდა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი ქცევა უფრო მისაღებია.

5) ლოცვის დროს მდგომარე პოზიციაში ყოფნისას მლოცველები სასურველია იმ ადგილს უყურებდნენ, სადაც სეჯდე უნდა შესრულდეს. ქედის მოხრის დროს სასურველია საკუთარი ფეხების ტერფებზე ყურება, სეჯდეს დროს ცხვირის ნესტოების გარეთა მხარეზე, ჯდომის დროს კალთაში და მისალმების დროს ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა მხარზე შეხედვა.

6) ლოცვის აღსრულების პროცესში რამდენადაც შესაძლებელია მლოცველმა თავი უნდა შეიკავოს ხველების, მთქნარების და გაზმორებისაგან.

ზ) ლოცვის მექრუჰები (ლოცვის დროს მოუწონარი)

ლოცვის აღსრულების პროცესში ლოცვასთან შეუთავსებელი მოქმედებები თავისი შეუთავსებლობის ხარისხიდან გამომდინარე ორ ნაწილად იყოფა: ლოცვის მექრუჰები და ლოცვის მომშლელი ფაქტორები. ლოცვის აღსრულების დროს მოუწონებელ ქცევებს ლოცვაში არსებული მექრუჰი ჰქვია. მექრუჰიც თავისი მიუღებლობის ხარისხიდან გამომდინარე ორ ნაწილად იყოფა. პირობითად მძიმე და მსუბუქი. ლოცვის აღსრულების დროს ვაჯიბის გამოტოვება აკრძალულთან ახლო მექრუჰია, ხოლო სუნნეთის გამოტოვება-აკრძალულიდან შორს მყოფი მექრუჰი. თუმცა გააჩნია სუნნეთის კატეგორიას. მუექქედ სუნნეთის გამოტოვება თითქმის ვაჯიბის გამოტოვების ტოლფასია და შესაბამისად მისი გამოტოვება მძიმე მექრუჰად ითვლება.

ლოცვის მექრუჰები შემდეგია:

1) ლოცვის ვაჯიბის განზრახ გამოტოვება, ანუ შეუსრულებლობა. მაგ. ფათიჰას სურას გამოტოვება და წაუკითხველობა. ხმადაბლა სალოცავ ლოცვის ხმამაღლა ლოცვა, ან პირიქით. ასეთი დარღვევის შემდეგ ლოცვა მიღებულად ითვლება, მაგრამ მისი ხელახლა ლოცვა ვაჯიბია. განზრახ გამოტოვებული ვაჯიბის შემთხვევაში ზემოტ ნახსენები “სეჰივ “ სეჯდე ლოცვის სრულყოფილებას ვერ აღადგენს.

2) ლოცვის სუნნეთის განზრახ გამოტოვება.

3) ლოცვის მეორე მუხლზე, პირველ მუხლზე წაკითხულ ყურანზე უფრო გრძელი აიათების წაკითხვა მექრუჰია.

4) ლოცვის აღსრულების დროს სერიოზული მიზეზის გარეშე

რაიმეზე მიყრდნობა, ან დაყრდნობა მექრუჰია. მაგ. ბოძზე, კედელზე, ან რაიმე მსგავსზე.

5) ლოცვის აღსრულების დროს სერიოზული მიზეზი თუ არ იქნება სიარული მექრუჰია. მაგ. თუ გველი, ან მორიელი გვიახლოვდება მაშინ მის მოსაკლავად რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმა შეიძლება. ასეთი ლოცვგარე ქცევა თუ გახანგრძლივდა ლოცვა იშლება. ლოცვის აღსრულების დროს ვინმეს სიცოცხლის, ან სხეულის დაზიანებისგან გადასარჩენად, ან კიდევ ცოტაც რომ იყოს ვინმეს ქონების დასაცავად ლოცვის მოშლა შეიძლება. მნიშვნელობა არ აქვს ქონება მლოცველისა არის თუ არა.

6) ლოცვის აღსრულების დროს ერთ მუხლზე ერთი და იგივე სურას ორჯერ, ან მეტჯერ, ხოლო ორ სახვადასხვა მუხლზე ფათიჰას შემდეგ ერთი და იმავე სურას წაკითხვა მექრუჰია. თუმცა ეს ნაფილე ლოცვის აღსრულების დროს მექრუჰად არ ითვლება. ფათიჰას შემდეგ ყოველთვის ერთი და იგივე სურას კითხვაც მექრუჰია.

7) ლოცვის აღსრულების დროს ფათიჰას შემდეგ წასაკითხი სურას ან აიათების წაკითხვის დროს საჭიროა თანმიმდევრობის დაცვა. მაგ. პირველ მუხლზე ყურანის ბოლო “ნაასის” სურა რომ წავიკითხოთ და მეორე მუხლზე სხვა რომელიმე მანამდელი სურა. ამის გაუთვალისწინებლობა მექრუჰია.

8) ლოცვის აღსრულების დროს ტანსაცმლით თამაში და მსგავსი ლოცვისთვის შეუფერებელი ქცევები მექრუჰია.

იაჰია იბნ ები ქესირისგან გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია:

“ღმერთი სამ საქციელში ცოდვას ხედავს; ლოცვის აღსრულების დროს სხვა ლოცვისგარე საქმით გართობა, მარხვის დროს ბილწსიტყვაობა და სასაფლაოზე ყოფნისას გაცინება!”

ლოცვის აღსრულებისას შუბლიდან ოფლის მოწმენდა მექრუჰად არ ითვლება. მექრუჰად არ ითვლება აგრეთვე სეჯდის ადგილის ერთხელ გასწორება, თუ რა თქმა უნდა ადგილი სადაც მლოცველი სახეს ახებს სეჯდის შესასრულებლად მოუხეხრებელია.

ლოცვის აღსრულების დროს ბავშვის მხრებზე შესმა მექრუჰია.

9) ლოცვის აღსრულების პროცესში ყოველი მოძრაობისას თუ უძრავ მდგომარეობაში ხელების დასადები ადგილი და ფორ-

მა სუნნეთის მიხედვით განსაზღვრულია. ამის შეუსრულებლობა მექრუჰია.

10) ლოცვის აღსრულების დროს ჭიანჭველის, ტილის და მსგავსი არსებების მოკვლა მექრუჰია. თუმცა თუ ეს არსებები იკბინებიან და მლოცველი ტკივილს გრძნობს მათი დაჭერა და გაქნევა შეიძლება.

11) მამაკაცების მიერ სეჯდეს შესრულებისას მთლიანი მკლავებით ძირს შეხება მექრუჰია.

12) ლოცვის აღსრულების დროს უმიზეზოდ ფეხების წინ შემოკეცვით, ან მხოლოდ მუხლებზე დაჯდომა მექრუჰია.

13) ლოცვის აღსრულების დროს გაზმორება, ან დამთქნარება მექრუჰია. გაზმორება სიზარმაცეს გამოხატავს, მთქნარება კი ზედმეტად სიმაძღრის და მოშვებულობის შედეგია. საჭიროა შეძლებისდამიხედვით მათგან თავის შეკავება. შუამავლები მთქნარებისგან დაცულნი იყვნენ. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“მთქნარება სატანისეულია. თუ მთქნარება მოგეძალათ შეეცადეთ თავი შეიკავოთ.”

თუ ლოცვის აღსრულების დროს მთქნარებისგან თავის შეკავება, ან პირის გაუღებლად დამთქნარება ვერ მოხერხდა საჭიროა პირზე მარჯვენა ხელის ზურგის აფარება. ლოცვის გარდა სხვა სიტუაციაში მარცხენა ხელის ზურგი უნდა ავიფაროთ.

14) ლოცვის აღსრულების დროს განზრახ ხველება მექრუჰია. ხველებისგან თავის შეკავება ლოცვის წესს უფრო შეეფერება.

15) ლოცვის აღსრულების დროს სალამზე თავით, ან ხელით პასუხის დაბრუნება მექრუჰია.

16) ლოცვის აღსრულების დროს კბილებში ჩარჩენილი მცირე სიდიდის საკვების გადაყლაპვა მექრუჰია. თუ საჭმლის ნარჩენი დაახლოებით სიმინდის მარცვალზე დიდია ლოცვის აღსრულების დროს მისი გადაყლაპვა ლოცვას შლის.

17) თუ სუფრა დალაგებულია მშიერი მორწმუნის მიერ ლოცვის აღსრულების დაწყება მექრუჰია. თუმცა ლოცვის აღსრულების დროს გასვლის საფრთხე თუ არის ეს მდგომარეობას ცვლის.

ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს მორწმუნეს საჭმელი უნდა თუ არა.

18) ლოცვის აღსრულების დროს თვალების დახუჭვა, აქეთ-იქეთ ცქერა, ან ცაში ყურება, თავის შეტრიალება მექრუჰია. ლოცვის აღსრულების დროს თუ თვალი ისეთ რამისკენ გაგვექცა რაც ყურადღებას იპყრობს და კონცენტრაციაში ხელს გვიშლის კონცენტრაციის აღდგენის მიზნით თვალების დახუჭვა შეიძლება.

ენესის გადმოცემულ ერთ-ერთ ჰადისში ნაბრძანებია, რომ: "რა ჰგონია ხალხს, რომელიც ლოცვის აღსრულების დროს თვალებს ზეცაში აღაპყრობს?! ან ამ საქმეს შეეშვებიან, ან კიდევ ღმერთი მათ თვალებს სინათლეს წაართმევს!"

19) ლოცვის აღსრულების დროს თითების ერთიმეორეში გატარება, თითების გატკაცუნება და მსგავსი ქმედებები მექრუჰია. მსგავსი ქცევები მლოცველის კონცენტრაციის შენარჩუნებას უშლის ხელს.

20) იმამზე ადრე ქედის მოხრა, ან სეჯდეს შესრულება მექრუჰია. იგივე ეხება იმამზე ადრე ქედის მოხრის და სეჯდის პოზიციიდან იმამზე ადრე საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას. თუ მლოცველი იმამზე ადრე ქედს მოიხრის, სეჯდეს შეასრულებს და თავსაც იმამზე ადრე ასწევს მისი ლოცვა უქმდება. ხოლო თუ ეს მლოცველი გადასწრებულ ქედის მოხრას და სეჯდეს წესისამებრ გაიმეორებს ლოცვა მიღებულია.

21) ფერხზე დგომის, ქედის მოხრის და სეჯდის შესრულებისას საკითხავი ლოცვების სხვა დროისთვის გადადება მექრუჰია.

22) ანთებული ცეცხლის პირდაპირ ლოცვის აღსრულება მექრუჰია. ეს ცეცხლთაყვანისმცემლების ლოცვას ემსგავსება. ეს ეხება აგრეთვე დანთებულ ღუმელს, ბუხარს და სხვ, ხოლო ანთებული ლამპა, სანთელი და მსგავსი ლოცვას ხელს არ უშლის. ელექტრო გამათბობლებიც ლოცვას ხელს არ უშლის, მაგრამ ბუნებრივი გაზის ღუმელი და მსგავსი ანთებული ცეცხლის კატეგორიაში შედის.

23) რაიმე ფარდის გარეშე ადამიანის სახის პირდაპირ ლოცვა მექრუჰია. თუმცა ადამიანის უკან ლოცვა შეიძლება. მთავარია ადამიანმა, ვის უკანაც ვლოცულობთ რაიმენაირად ხელი არ შეგვიშალოს ლოცვაში.

24) თუ დროში არ ვართ შეზღუდულები, ძლიარად კუჭში გასვლის, ან მოშარდვის სურვილის შემთხვევაში ლოცვის დაწყება მექრუჰია.

ლოცვის დროს თუ აქ ჩამოთვლილმა მიზეზებმა ძალიან შეგვაწუხა და დროში არ ვართ შეზღუდულები, ლოცვის მოშლა, პრობლემის მოგვარება და ხელახალი განბანვის შემდეგ თავიდან ლოცვა დასაშვებია, რათა ლოცვისგაბათილების საფრთხე თავიდან იქნას აცილებული.

25) ლოცვისას ტანსაცმელზე, სხეულზე, ან სალოცავ ადგილზე მცირედი სიბინძურის არსებობა მექრუჰია. თუნდაც ეს სიბინძურე იმდენად მცირე იყოს, რომ ლოცვას ხელს არ უშლიდეს.

26) ცალ ფეხზე ლოცვა მექრუჰია. თუმცა სერიოზული მიზეზი გასათვალისწინებელია.

27) ლოცვის აღსრულების დროს ტანსაცმლის ჩაუცმელობა და მხრებზე მოსხმა მექრუჰია.

28) სხვა ტანსაცმლის არსებობის შემთხვევაში ჭუჭყიანი ან სამუშაო ტანსაცმლით ლოცვა მექრუჰია. აიათებში და ჰადისებში მითითებულია, რომ ლოცვის აღსრულებისას სუფთა და კოხტა სამოსით უნდა შევიმოსოთ.

29) მამაკაცების მიერ ჭიპის ზემოთ შიშველი სხეულით ლოცვა მექრუჰია.

30) თუ გამოუვალი მდგომარეობა არ არის მამაკაცების მიერ აბრეშუმის ტანსაცმლით ლოცვა მექრუჰია.

31) ქედის მოხრის, ან სეჯდეს შესრულების დროს ტანსაცმლის გაფრთხილების მიზნით ზევით წამოწევა მექრუჰია.

32) ლოცვის აღსრულების დროს თავზე რაღაცის შემოხვევა, მაგრამ თავის ზედა ნაწილის შიშველად დატოვება მექრუჰია.

33) სიზარულის, ან არაფრად ჩაგდების გამო თავდაუხურავად ლოცვა მექრუჰია. მიზეზის არსებობის შემთხვევაში მისაღებია.

ცნობილია, რომ წმ. შუამავალი ლოცვას თავდახურული ასრულებდა. მან კი ბრძანა: "როგორც მე ვლოცულობ, ისე ილოცეთ თქვენც!"

გამომდინარე აქედან ლოცვის აღსრულების დროს თავის დახურვა წმ. შუამავლის ქცევითი სუნნეთის შესრულებაა.

აქ საუბარია ლოცვის აღსრულების პერიოდში მამაკაცების მიერ

თავის დახურვაზე. რაც შეეხება მანდილოსნებს მათთვის თავის დახურვა ისედაც აუცილებელია და ლოცვის აღსრულების დროს თავდაუხურავობა მათ ლოცვას აბათილებს.

34) ადამიანის ან ცხოველის სურათიანი ტანსაცმლით ლოცვის აღსრულება მექრუჰია. იგივე ეხება ადგილს, ან მატერიას რაზეც მორწმუნე დგას და ლოცულობს. თუმცა ასეთი ტანსაცმლზე გარედან კოსტუმის, ან ნებისმიერი ტანსაცმლის ჩაცმა და ლოცვა მისაღებია.

ეს უფრო კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ თადარიგის დაჭერაა. წარსულში ხშირად ხდებოდა სხვადასხვა ხალხების მიერ კერპთაყვანისმცემლობის მსგავსი ყალბი რწმენის აღიარება. ამის მიზეზი ადამიანების რწმენისადმი შინაგანი მიდრეკილებაა. დღეს, ამ ცივილიზაციის ეპოქაში კიდევ შემორჩა მსგავსი გაუკუღმართებული რწმენა. უეჭველია, რომ ამ ადამიანებს სჭირდებათ გაიცნონ ჭეშმარიტი, ზეციური სარწმუნოება და ისინი აუცილებლად მიხვდებიან თავიანთი რწმენის მცდარობას.

ებუ ტალჰა გადმოგვცემს ჰადისს, სადაც წმ. შუამავალი ბრძანებს, რომ "იმ სახლში ანგელოზები არ შევლენ, სადაც ძაღლი, ხატი და ქანდაკებაა."

35) ლოცვის დროს მლოცველისგან მარჯვნივ, ან მარცხვნივ, ან ზევით კედლებზე ცოცხალი არსების გამოხატულების ყოფნა მექრუჰია. თუ სურათი უკანა მხარესაა ცოდვა ნაკლებია. თუ სურათი იმდენად პატარაა, რომ ცოტა შორი მანძილიდან ცოცხალი არსების ორგანოები არ ირკვევა ლოცვას ხელს არ უშლის.

პირადობის მოწმობის და მართვის მოწმობის მსგავსი სურათიანი დოკუმენტების, აგრეთვე ფულის ჯიბეში, ჩანთაში, საფულეში ყოფნა ლოცვას ხელს არ უშლის. ბუნებრივია მსგავსი რამეები არც ლოცვისგარე ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში ითვლებიან ცოდვად.

უსულო საგნების სურათები და გამოსახულებები არავითარ პრობლემას არ ქმნიან.

სულიერი არსებების გამოსახულებების შესახებ ყურანში შემდეგი ნაბრძანები:

وَقَالُوا لَا تَذَرُنَّ اٰلِهَتَكُمْ وَلَا تَذَرُنَّ وَدًّا وَلَا سُوَاعًا وَلَا يَغُوثَ وَيَعُوقَ وَنَسْرًا

وَقَدْ اَضَلُّوا كَثٖيرًا وَلَا تَزِدِ الظّٰالِمِينَ اِلَّا ضَلَالًا

და თქვეს: არ მიატოვოთ თქვენი ღვთაებები: არც ვედდი და არც სუვაღი, არც იეღუსა, არც იეღუყე და არც ნესრა.

და მათ უკვე ბევრი აცდუნეს, და არა შეჰმატა უსამართლოებს, გარდა ცდომილებისა. “ნუჰ 71/23-24. “

36) შვიდ ადგილას ლოცვის აღსრულება მექრუჰია: ნაგავსაყრელზე, ადგილზე, სადაც ცხოველები იკვლება, სასაფლაოზე, გზისპირას, აბანოში, ბოსელში და “ბეითულლაჰის”თავზე.

სანაგვესთან ლოცვის აღსრულება მექრუჰია, რადგან ირგვლივ სიბინძურის არსებობის დიდი ალბათობაა. მსგავს ადგილებზე სუფთა საფენის დაგება და ლოცვა შეიძლება. შაფის მიხედვით კი სიბინძურეში სუფთა საფენიც რომ დავაფინოთ ლოცვა მაინც მექრუჰია.

სასაფლაოზე ლოცვის აღსრულების აკრძალულობა იქ დასვენებული მიცვალებულების და იუდაიზმის მიმდევრებზე დამსგავსებისგან თავის არიდების გამოა. ჰადისში ნაბრძანებია: “ღმერთმა დასწყევლოს იუდეველები. მათ შუამავლების საფლავები სამლოცველოებად აქციეს. ჩემი საფლავი სამლოცველოდ არ გადააქციოთ!”

ჰანეფის მიხედვით სასაფლაოზე, საფლავის პირდაპირ ლოცვის აღსრულება მექრუჰია. თუ საფლავი გვერდით ან უკანაა ლოცვის აღსრულება მისაღებია. გარდა ამისა სადაც შუამავლების საფლავებია ისეთ ადგილებში ლოცვის აღსრულება მექრუჰად არ ითვლება.

აბანოში ლოცვის აღსრულება მექრუჰია, რადგან სატანის თავშესაფარია. აბანოში უმეტესად გამოყენებული და ბინძური წყალია. იქ ხდება გაშიშვლება და არამის დანახვის მეტი ალბათობაა.

გზის პირებზე ლოცვის აღსრულება მექრუჰია, რადგან შესაძლებელია მლოცველს ვინმემ წინ გაუაროს. გარდა ამისა, გზისპირები უმეტესად ჭუჭყიანია.

თ) ლოცვის მომშლელი ფაქტორები

ლოცვის პირობებიდან და ფარზებიდან რომელიმეს გამოტოვება ლოცვას შლის და მისი ხელახლა ლოცვა აუცილებელია. ლოცვის აღსრულების პროცესში შესაძლებელია ისეთი ქცევა დაფიქსირდეს, რომელიც ლოცვასთან შეუსაბამოდ ითვლება და ლოცვა მოიშალოს.

ვთქვათ ლოცვის პირობები და ფარზები დაცულია. ამ შემთხვე-

ვაში ლოცვის მომშლელი ფაქტორები შემდეგია:

1) ლოცვის აღსრულების დროს ლაპარაკი. ნებსით თუ უნებლიედ, შეცდომით, დავიწყების თუ შიშის გამო დალაპარაკება ლოცვას შლის.

ზეიდ იბნი ერკამი მოგვითხრობს: " ჩვენ ლოცვის აღსრულების პროცესში ვსაუბრობდით. გვერდით მდგომები ერთმანეთთან ვსაუბრობდით. შემდეგ სურა ბაყარას 2/238 აიათი მოევლინა, ჩვენ ლოცვის აღსრულების დროს სიჩუმე გვებრძანა და მას მერე ლოცვის დროს ლაპარაკი შევწყვიტეთ"

მუავიე იბნ ჰაქემ ეს-სულემი მოგვითხრობს: "წმ. შუამავალთან ერთად ლოცვის დროს ვიღაცას დააცემინა. მე კი- "იერხემუქელლაჰ"- ვუთხარი. ამის გამო ყველამ მე შემომხედა. მე გავიკვირვე და ვუთხარი, რატომ მიყურებდნენ ასე. ამჯერად ხელებს მუხლებზე ირტყამდნენ და მივხვდი, რომ ჩემი გაჩუმება უნდოდათ. მე გავჩუმდი. ლოცვის დამთავრების შემდეგ წმ. შუამავალი მომიბრუნდა. მე არ მინახავს არც მანამდე და არც მას შემდეგ მასზე უკეთესი მასწავლებელი. არც სახე შეუცვლია, არც დავუსჯივარ, არც უსაყვედურებია. ასე მიბრძანა: ლოცვის დროს ლაპარაკი მიუღებელია. ლოცვის აღსრულება მხოლოდ ვედრების, ღმერთის ხსენების და ყურანის კითხვისგან შემდგარი ღვთისმსახურებაა."

ახლა შევეცდებით განვმარტოთ რა ითვლება ლაპარაკად და რა -არა.

1) ლოცვის დროს დაცენებისას "იერჰემუქელლაჰ", წყალობა ღვთისა შენ, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და მსგავსი სიტყვების თქმა ლოცვას შლის. თუმცა პიროვნებამ საკუთარი ნავსის წინაშე რომ თქვას "იერჰემუქელლაჰ" , ეს ლოცვას არ შლის, რადგან ამაში სხვაზე პასუხის გაცემა არ იგულისხმება.

2) ავადმყოფობის გამო, ქონების, ან მეგობრის დაკარგვის მსგავსი უბედურების გამო ტირილი, "აჰ", "უჰ", "ვაიმე" და მსგავსი სიტყვების თქმა ლოცვას შლის. იგივე ეხება მტვერის გადაწმენდის მიზნით რაიმეზე სულის შებერვას.

ისეთი ავადმყოფის კვნესა და ზემოთ ნახსენები სიტყვების მსგავსი სიტყვების თქმა, რომელიც თავისთავს ვერ აკონტროლებს ლოცვას არ შლის. მისი ეს მდგომარეობა უნებლიე ხველას, დაცემინებას და მთქნარებას გავს. კვნესის დროს ავადმყოფმა შეიძლება გარკვეული ბგერები წარმოთქვას, მაგრამ ეს ლოცვას არ შლის.

ღმერთის შიშით, სამოთხის, ან ჯოჯოხეთის გახსენების გამო ტირილი, ან ოხვრა ლოცვას არ შლის.

3) ლოცვის აღსრულებისას იმამის ნაკითხ ყურანზე მოსმენის დროს, კითხვის მოწონების გამო ატირება გასარკვევია. თუ ეს რწმენის გამოა ლოცვა არ იშლება, ხოლო მლოცველს თუ ხმის ჟღერადობა ესიამოვნა და ატირდა ლოცვა მოშლილია.

4) ლოცვის დროს ვინმეს გარდაცვალების ამბავს თუ შევიტყობთ და ვიტყვით: "ინნა ლილლაჰი ვე ინნა ილეიჰი რაჯიღუნ" (ღმერთისგან მოვედით და ისევ მას დავუბრუნდებით) ლოცვა მოშლილია, რადგან ეს ლოცვისგარე, ცხოვრებისეულ სიტუაციაზე შეპასუხებაა.

5) ლოცვის დროს ღმერთის ან შუამავლის სახელის ხსენება ლოცვას არ შლის თუ მორწმუნე მხოლოდ მათ სადიდებლად ახსენებს, მაგრამ თუ ეს, რაიმე ლოცვისგარე მოვლენაზე ან ვინმეს ნათქვამზე პასუხის გაცემის მიზნითაა ლოცვა მოშლილია.

6) ვთქვათ მორწმუნე ლოცულობს, ამ დროს კი ვიღაც ეძახის, ან სახლში შესვლის ნებართვას თხოულობს. იმის მისახვედრად, რომ ლოცულობს მლოცველს შეუძლია ხმამაღლა "ელჰემდულილლაჰ", "ალლაჰუ ექბერ", ან "სუბჰანელლაჰ" წარმოთქვას. ან ლოცვები ხმამაღლა იკითხოს.

7) ლოცვის აღსრულების დროს დასაშვებია ისეთი ლოცვების და ვედრების კითხვა, რომლებიც ყურანში და ჰადისში არის მოცემული.

8) ლოცვის აღსრულების დროს ვინმეზე მისალმებბა, ან სალმის უკან დაბრუნება ლოცვას შლის. მნიშვნელობა არ აქვს დავიწყების, მოტყუების, ან განზრახ გაკეთების შემთხვევას.

9) ლოცვის აღსრულების დროს რაიმე ნაწერის დანახვა, მისი ამოკითხვა და გაგება ლოცვას არ შლის, თუმცა მექრუჰია. ებუ ჰანიფეს შეხედულებით ლოცვის აღსრულების დროს აიათების ყურანიდან წაკითხვა ლოცვას შლის, რადგან ყურანის ხელში აღება, ჩახედვა, ფურცლების გადაშლა ლოცვისგარე, ანუ ლოცვისთვის შეუთავსებადი ქცევებია. ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით კი ასეთ შემთხვევაში ლოცვა არ იშლება, რადგან ყურანის წაკითხვა ცალკე ღვთისმსახურებაა და ამდენად ლოცვის დროს მისი შესრულებით ღვთისმსახურება ემატება.

10) თუ ლოცვის დროს იმამს ყურანის კითხვა შეეშალა და გაჩერდა. მლოცველებს უფლება აქვთ შეუსწორონ და გზა მისცენ იმამს. თუმცა ამ დროს ზომიერებაა საჭირო. მლოცველებმა შეცდომის გასწორება არ უნდა იჩქარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქციელი მექრუჰი იქნება. ამ დროს იმამის მიერ დახმარებისათვის ლოდინიც მექრუჰია. მსგავს სიტუაციაში თუ იმამს ლოცვის მოთხოვნების შესაბამისი რაოდენობის აიათები უკვე წაკითხული აქვს უმჯობესია ქედის მოხრის რიტუალზე გადავიდეს (რუქუ) , ან სხვა აიათი წაიკითხოს.

1. ვთქვათ იმამი ასეთი შეცდომის შემდეგ სხვა აიათზე გადავიდა და ამ დროს მლოცველებმა წინა, შეცდომით ნაკითხი აიათი შეუსწორეს, მათი ლოცვა მოშლილია. სხვა აიათზე გადასული იმამი თუ დაგვიანებით ნაკარნახებ წინა აიათს დაუბრუნდება და გააგრძელებს მისი ლოცვაც მოიშლება.

2. ლოცვის დროს ჭამა, სმა.

ლოცვის აღსრულების დაწყების შემდეგ რაიმის ჭამა, ან სმა ლოცვას შლის. მნიშვნელობა არ აქვს რაოდენობას. ლოცვის დროს კბილებში დარჩენილი საკვების ნარჩენების გადაყლაპვა ლოცვას არ შლის, მაგრამ ასეთი ნარჩენების დაღეჭვა და ისე გადაყლაპვა მცირე რაოდენობის რომც იყოს ლოცვას შლის. გამომდინარე აქედან კევის ღეჭვაც ლოცვას შლის, რადგან აშკარად ლოცვასთან შეუთავსებელი საქციელია.

3) ლოცვის დროს სხვა ქცევები

ლოცვის დროს შესაძლო ქცევები ორ კატეგორიაშია განხილული. პირველ შემთხვევაში მლოცველი ასრულებს რაიმე მოქმედებას, რომელიც ლოცვის წესით არ არის განსაზღვრული, მაგრამ არ არის იმდენად გამოკვეთილი, რომ სხვა ადამიანი, რომელიც მლოცველს დაინახავს კონკრეტული ქმედების დროს მიხვდება, რომ ის ლოცულობს. მაგრამ მლოცველის მხრიდან რაიმე ქმედება თუ მეორე პირს აფიქრებინებს, რომ ქმედების ავტორი არ ლოცულობს ეს უკვე მეორე კატეგორიაში განიხილება და ეს უკანასკნელი ლოცვის მომშლელი ერთ-ერთი ფაქტიროა. პირველი შემთხვევის

დროს კი ლოცვა არ იშლება. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ რამოდენიმე მაგალითს:

1) მაგ. ლოცვის აღმსრულემ, რომ რაიმე ფრინველს, ცხოველს, ან საგანს ქვა ესროლოს ლოცვა იშლება, მაგრამ გვერდით მდებარე ქვა რომ მიაგოროს ლოცვა არ იშლება. თუმცა ეს არცერთი თვალსაზრისით მოსაწონი საქციელი არაა.

2) ლოცვის აღსრულების დროს, ერთი და იმავე მუხლის ლოცვისას სამჯერ სხეულის რომელიმე ნაწილის მოფხანა ლოცვას შლის, მაგრამ სამზე ნაკლებ შემთხვევაში ლოცვა არ იშლება. ხელის აუწევლად რამოდენიმეჯერ მოფხანა ერთხელ მოფხანად ითვლება.

3) ლოცვის აღსრულების დროს საკმარისი მიზეზის არარსებობის დროს შეუჩერებლად სამი ნაბიჯის გადადგმა ლოცვას შლის. თუმცა ქააბას მიმართულებით, ყოველ ნაბიჯზე სამჯერ "სუბჰანელლაჰ" წარმოთქმისთვის საკმარისი დროით რომ დაყოვნდეს მლოცველს ლოცვა არ ეშლება. გარდა ამისა რაიმე ზემოქმედების შედეგად, ანუ საკუთარი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ სამი ნაბიჯის გადადგმაც ლოცვას შლის.

4) ლოცვის აღსრულების დროს ქუდის მოხდა და ძირს დადება, ან აღება და თავზე დახურვა ლოცვას არ შლის. თუმცა ქუდის ასაღებად თუ ბევრი მოძრაობა გახდა საჭირო ლოცვა იშლება.

5) ლოცვის აღსრულების დროს მლოცველმა სხვას რომ ხელი დაარტყას ლოცვა მოშლილია, მაგრამ თუ რომელიმე ცხოველზე ამხედრებული ლოცულობს და ამ ცხოველს საჭირო დროს ერთიორჯერ დაარტყას ლოცვა არ იშლება. ამხედრებულ მდგომარეობაში ლოცვის დროს ცხოველის გზის გაგრძელების მიზნით ერთი ფეხის მირტყმა ლოცვას არ შლის, მაგრამ ორივე ფეხით მოქმედება ლოცვას შლის.

6) ლოცვის აღსრულების დროს ცხენზე, ან რომელიმე მსგავს გადაადგილების საშუალებაზე შეჯდომა ლოცვას შლის, მაგრამ ლოცვის დროს ცხენიდან ჩამოსვლა -არ შლის. ეს დებულება სხვა თანამედროვე ტრანსპორტით მგზავრობის შემთხვევაშიც ქმედითია.

7) ლოცვის აღსრულების დროს ფეხსაცმლის ორი ხელით ჩაცმა ლოცვას შლის, მაგრამ ფეხსაცმლის ბევრი მცდელობის გარეშე ადვილად გახდა ლოცვას არ შლის.

8) ლოცვის აღსრულების დროს ჭამა, სმა, თმების დავარცხნა, მაკიაჟის გაკეთება და მსგავსი ქმედება ლოცვას შლის. მნიშვნელობა არ აქვს მლოცველი განზრახ გააკეთებს ამას თუ დაავიწყდება.

9) ლოცვის აღმსრულე მამაკაცს თუ მეუღლე აკოცებს, ან მსუბუქად მოეფერება ლოცვა არ იშლება, მაგრამ თუ ამ ქმედებამ ქმრის აღგზნება გამოიწვია ლოცვა იშლება. ლოცვაზე მდგარ მანდილოსანს თუ ქმარი მოეფერება და აკოცებს მანდილოსნის ლოცვა იშლება.

10) ლოცვის აღმსრულეს თუ შეეკითხებიან რამდენი მუხლი ილოცა და ისიც თითებით აჩვენებს ნალოცი მუხლების რაოდენობას ლოცვა არ იშლება.

4) ლოცვის აღსრულებისას ქააბას მიმართულებაზე ზურგის შექცევა.

ჰანეფისა და შაფის მიხედვით ლოცვის ა;ღსრულებისას განზრახ ქააბასკენ ზურგშექცევით დადგომა ლოცვას შლის. თუ რაიმე სერიოზული მიზეზია მლოცველს ასეთი რამ ეპატიება.

5) სარწმუნოების მიხედვით სხეულის დასაფარი ადგილების გამოჩენა.

ლოცვის აღსრულების დროს სარწმუნოების მიხედვით სხეულის დასაფარი ადგილების გამოჩენა ლოცვას შლის. მაგ. მანდილოსანს ლოცვის დროს თავსაფარი ქარმაც რომ გადაუწიოს და ლოცვის ერთი რომელიმე ფარზის შესრულებისთვის საკმარისი დროით უთავსაფროდ დარჩეს ლოცვი მოეშლება. ჰანეფის მიხედვით სხეულის დასაფარი ორგანოს ერთი მეოთხედის გამოჩენა ლოცვის მოშლისთვის საკმარისია.

6) ლოცვის აღსრულების დროს აბდესთის მოშლა.

ლოცვის აღსრულების დროს თუ ისეთი უნებლიე ქმედება დაფიქსირდა, როგორიცაა ცხვირიდან სისხლის გადენა, ან ღებინება,

მლოცველისთვის უმჯობესია აბდესთი აიღოს და თავიდან ილოცოს. მარტო ლოცვისას მლოცველს შეუძლია ასეთ შემთხვევაში უახლოეს განბანვის ადგილამდე მივიდეს, განიბანოს (აბდესთი) და შეწყვეტილი ლოცვა გააგრძელოს. თუმცა ამ პერიოდში მისი მხრიდან ლოცვისთვის შეუფერებელი რაიმე ქცევა არ უნდა დაფიქსირდეს. კოლექტიურად ლოცვის შემთხვევაში მლოცველი განბანვის შემდეგ უბრუნდება დანარჩენ მლოცველების რიგს და აგრძელებს ლოცვას. თუ ლოცვა დამთავრებული დახვდა თავისით გააგრძელებს და დაასრულებს ლოცვას. ასეთ დროს, თუ წყალი ახლოსაა- შორს წასვლა, გზად ყურანის კითხვა, ან სხეულის დასაფარი ადგილის გამოჩენა ლოცვის მიტოვებულ ადგილიდან გაგრძელებას შეუძლებელს ხდის.

ვთქვათ ლოცვის აღმსრულე იმამს ცხვირიდან სისხლდენის მსგავსი მიზეზის გამო ლოცვა მოეშალა, ასეთ დროს მას შეუძლია მის მაგივრად სხვა იმამი დატოვოს. მას შეუძლია იმამობისთვის შესაფერისის და ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პიროვნებას ანიშნოს, ან ტანსაცმელში ხელის მოკიდებით იმამის ადგილზე გაიყვანოს. იმამი, იმამად სხვისი გაყვანის გარეშე, რომ მლოცველების ჯგუფს დაშორდეს, ან მეჩეთიდან გავიდეს მლოცველების ლოცვა მოშლილია. ასეთ შემთხვევაში იმამი მოიქცევა ისე, როგორც მარტო მლოცველი. მთელმა ამ პროცესმა მლოცველებში დაბნეულობა და არეულობა რომ არ გამოიწვიოს ლოცვის ხელახლა ლოცვა უკეთესია.

ჰანეფის მიხედვით ლოცვის აღსრულების დროს ბოლო დაჯდომისას “ეთთეჰიათუ”-ს წაკითხვისთვის საკმარისი დროით ჯდომის შემდეგ უნებლიედ აბდესთის მოშლის შემთხვევაში ლოცვა მიღებულია. დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით ლოცვის ბოლოს მისალმება ფარზია, ამიტომ აბდესთი მანამდე აუცილებლად შენარჩუნებული უნდა იქნას.

7) ხმამაღლა გაცინება

ლოცვის აღსრულების დროს ხმადაბლა გაცინება, ანუ იმდენად ხმადაბლა, რომ მხოლოდ მლოცველმა თავად შეძლოს გაგონება ლოცვას შლის. თუ ეს გვერდით მყოფმაც გაიგონა აბდესთიც იშლება. გაღიმება ლოცვას არ შლის. ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარებების მიხედვით ლოცვის აღსრულების დროს ხმამაღლა გაცინება ლოცვას შლის, მაგრამ აბდესთზე რაიმე ზემოქმედება არ გააჩნია.

ებუ მუსა ელ ეშარი მოგვითხრობს: “ერთ დღეს წმ. შუმავალი ლოცვას უძღვებოდა. მეჩეთში ერთი ბრმა კაცი შემოვიდა და იქ მყოფ ორმოში ჩავარდა. მლოცველების უმრავლესობას გაეცინა. ამის გამო წმ. შუამავალმა ბრძანა, ვისაც გაეცინა ლოცვასთან ერთად აბდესთიც განაახლოსო.”

8) გულწასვლა, გაგიჟება, სიკვდილი.

ლოცვის აღსრულების დროს თუ ამათგან რომელიმე დაფიქსირდა ლოცვა წყდება.

9) ლოცვის აღსრულების დროს ნიეთის (განზრახვის, მიზნის) შეცვლა.

ლოცვის აღსრულების დროს სხვა ლოცვისთვის განზრახვა და თექბირის აღება წინა ლოცვას აუქმებს. მაგ. მლოცველმა შუადღის ლოცვის პირველი მუხლის ლოცვის შემდეგ თავისი ნიეთის და თექბირის შესრულებით სამხრობის ლოცვის აღსრულება რომ დაიწყოს წინა ლოცვა უქმდება და ახალი ლოცვა იწყება. ვთქვათ, მორწმუნემ ლოცვის აღსრულება მარტომ დაიწყო, ამ დროს კი მლოცველები შეუკრიბნენ და ერთიანად დაიწყეს ლოცვის აღსრულება. თუ მარტოდ მლოცველი ახალ ნიეთს წარმოთქვამს და თექბირით მლოცველებს შეუერთდება ადრინდელი ლოცვა უქმდება და ახალ ლოცვაში ჩაერთვება.

10) უმიზეზოდ ლოცვის პირობის, ან ფარზის გამოტოვება.

ლოცვის ფარზის გამოტოვების შემთხვევაში ლოცვა იშლება. იგივეა ლოცვის პირობის გამოტოვების შემთხვევაშიც. სხეულის დასაფარი ადგილებისთვის ტანსაცმლის არარსებობა, სხეულზე, ან ტანსაცმელზე არსებული სიბინძურის მოსაშორებლად წყლის არარსებობა და ავადმყოფობა, როდესაც მლოცველს ქააბას მხარეს შეტრიალება არ შეუძლია. ეს ის მიზეზებია, როდესაც ლოცვის კონკრეტული პირობის შეუსრულებლობა შეიძლება. სხვა შემთხვევაში ლოცვის პირობის გამოტოვება ლოცვას შლის.

11) ლოცვის ფარზის იმამზე ადრე შესრულება.

ლოცვის რომელიმე ფარზის იმამზე ადრე შესრულების შემთხვევაში იგივე ფარზი იმამთან ერთად, ან მის შემდეგ უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მლოცველის ლოცვა მოშლი-

ლია. მნიშვნელობა არ აქვს მლოცველმა განზრახ გააკეთა ეს თუ დავიწყების გამო.

12) მამაკაცისა და მანდილოსნის ერთ რიგში ლოცვის აღსრულება.

მამაკაცისა და ქალის ერთ რიგში დგომით ლოცვის შემთხვევაში მათ შორის მანძილი იმდენი უნდა იყოს მინიმუმ ერთი ადამიანი რომ დადგეს. შესაძლებელია აგრეთვე მათ შორის ფარდის, ან კედლის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მამაკაცისა და ქალის ერთ რიგში ლოცვის აღსრულება მიუღებელია.

13) თეიმუმის მეთოდით განბანილი მლოცველის მიერ წყლის დანახვა.

თეიმუმის მეთოდით განბანილი მლოცველი თუ წყალს დაინახავს და ამ წყლით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცემა ლოცვა მოეშლება.

14) ლოცვის დამთავრებამდე განზრახ ლოცვის მისალმებით დამთავრება.

ოთხმუხლიანი ლოცვის აღსრულების დროს მეორე მუხლზე მისალმება ლოცვას შლის. თუმცა მორწმუნემ თუ იცის რომელ ლოცვას ასრულებს და რამდენ მუხლიანია და შეცდომით მეორე მუხლის ბოლოს სელამს წარმოთქვამს ლოცვა არ ეშლება. მისალმების შემდეგ თუ რაიმე ლოცვისთვის შეუთავსებელ ქმედებას არ ჩაიდენს შეუძლია ლოცვა ისევ გააგრძელოს. დაგვიანების გამო კი ბოლოს სეჰივ სეჯდეა საჭირო.

15) დილის ლოცვის აღსრულების დროს მზის ამოსვლა ლოცვა შლის. ჯუმის ლოცვისას სამხრობის ლოცვის დროის მოსვლა ლოცვას შლის. თუმცა შუადღის ლოცვის აღსრულების დროს სამხრობის ლოცვის დროის მოსვლა შუადღის ლოცვას არ შლის.

VI – კითხვის დროს შეცდომის დაშვება

ყურანის აიათების კითხვის დროს განზრახ სიტყვის დამახინჯება, რომელიც მისი მნიშვნელობის ცვლილებას გამოიწვევს ლოცვას შლის. თუმცა არსებობს გამონაკლისი, როდესაც მორწმუნე გამჩენის სადიდებელ სიტყვას სხვა იგივე მნიშვნელობის სხვა სიტყვით, ან ფრაზით ჩაანაცვლებს.

ა) ღამის ლოცვა

ღამის ლოცვის ბოლო ორი მუხლი სუნნეთის ოთხ მუხლად ლოცვაც შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში სამხრობის ლოცვის ოთხი მუხლი სუნნეთის მსგავსად სრულდება. შესაძლებელია აგრეთვე ორ-ორ მუხლად ლოცვა.

ღამის ლოცვის მარტოდ აღსრულების დროს დასაშვებია როგორც ხმამაღლა, ისე ხმადაბლა კითხვა.

თუ მლოცველი შუადღის და ღამის ლოცვას მარტოდ შეასრულებს მოგვიანებით შეუძლია სხვა მლოცველებთან ერთად ლოცვაში ჩაერთოს და კოლექტიურ ლოცვაში მიიღოს მონაწილეობა. ეს უკანასკნელი მას ნაფილე ლოცვის აღსრუელბაში ჩაეთვლება და არსებობს იმედი, რომ ერთიანად შესრულებული ლოცვის შესრულების მადლს მიიღებს. დილის, სამხრობის და საღამოს ლოცვის მარტოდ ლოცვის შემთხვევაში მლოცველი იგივე ლოცვის აღსრულებისთვის იმამს აღარ უნდა მიყვეს, რადგან აღსრულებული ლოცვის ჯემაათთან ერთად ხელმეორედ ლოცვა ნაფილედ ითვლება, ხოლო დილის და სამხრობის ლოცვების შემდეგ ნაფილეს ლოცვა მიღებული არაა, საღამოს ლოცვის ფარზი კი სამმუხლიანია და მისი მსგავსი ნაფილე ლოცვა არ არსებობს.

ბ) ვითირის ლოცვა

“ვითრი” არაბული სიტყვაა და ნიშნავს კენტს. ანუ ეს წყვილის ანტონიმია. წმ. შუამავალი დღის ბოლო ლოცვის შესრულებას გვირჩევდა. ამ ლოცვის აღსრულება შეიძლება ღამის ლოცვის შემდეგ, ან ძილის წინ. ხოლო ვისაც იმედი აქვს, რომ ღამეში გაღვიძებას შეძლებს დილის ლოცვისის დროის მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე რომ ილოცოს უფრო მეტი მადლია. შაფის, მალიქის და ჰანბელის მიხედვით ვითრის ლოცვა დილის ლოცვის დროის მოსვლის შემდეგაც შეიძლება, ოღონდ დილის ლოცვის შესრულებამდე.

ვითირის ლოცვის შესახებ სხვადასხვა ჰადისები არსებობს.

“სამი რამ არსებობს, რაც ჩემთვის ფარზია, თქვენთვის კი არა; ყუშლუღის ლოცვა, მსხვერპლის შეწირვა და ვითირის ლოცვა. “

“ღმერთმა კიდევ ერთი ლოცვა გიბრძანათ. ეს ვითირის ლოცვაა.”

“ ვითირის ლოცვა ღამის ლოცვის შემდეგ განთიადამდე ილოცეთ!”

ებუ ჰანიფეს აზრით ამ უკანასკნელ ჰადისში “ ილოცეთ” ბრძანებაა, რომელიც განაპირობებს, რომ ვითირის ლოცვის შესრულება ვაჯიბია.

ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და დანარჩენი სამი მიმდინარეობის იმამების აზრით ვითრის ლოცვა მუექქედი სუნნეთია.

ჰანეფის მიხედვით ვითირის ლოცვა საღამოს ლოცვის მსგავსად სამმუხლიანია. განსხვავება იმაშია. რომ ვითირის ლოცვის მესამე მუხლზე ფათიჰას შემდეგ სურა, ან აიათები და მერე დამატებითი თექბირის შემდეგ ე.წ. ყუნუთის ვედრეწბები წასაკითხი. ებუ ჰანიფეს მიხედვით ყუნუთის ვედრებების წაკითხვა ვაჯიბია, ხოლო ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედულებით კი – სუნნეთი.

მალიქის მიხედვით ვითირის ლოცვა მხოლოდ ერთი მუხლია. ღამის ლოცვის ფარზის შემდეგ ორი მუხლი სუნნეთი სრულდება, ხოლო შემდეგ -ერთი მუხლი ვითირი. თუმცა სამის, ან მეტის ლოცვაც შეიძლება.

შაფის მიხედვით ვითირი შეიძლება იყოს მინიმუმ ერთმუხლიანი და მაქსიმუმ თერთემტმუხლიანი.

მიმდინარეობების იმამებს შორის შეხედულებათა სხვადასხვაობა შემდეგ ჰადისებს ეყრდნობა:

“ვითირი ჭეშმარიტებაა. ვისაც სურს ხუთი მუხლი ილოცოს, ვისაც სურს -სამი და ვისაც სურს ერთი -მუხლი.

“ წმ. შუამავალი ორ მუხლ სუნნეთს და ვითრს (მისალმებით) განაცალკევებდა.”

აბდულლაჰ იბნ აბასის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია, რომ:

“ვითირის ლოცვა ღამის ბოლოს სალოცავი კენტი ლოცვაა.”

ვითირის ლოცვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხები

1) ვითირის ლოცვა მხოლოდ რამაზნის თვეში სრულდება კოლექტიურად. იმამი ლოცვას ხმამაღლა ასრულებს. რაც შეეხება ყუნუთის ვედრებებს იმამიც და მლოცველებიც ხმადაბლა კითხულობენ. რამაზნის თვის გარდა ვითრის კოლექტიურად შესრულება მექრუჰია.

2) ვითრის კოლექტიურად ლოცვის შემთხვევაში პირველი მუხლის შემდეგ ლოცვაში ჩართული მლოცველი იმამთან ერთად კითხულობს ყუნუთის ვედრებებს, ხოლო გაცდენილი მუხლების ანაზღაურების დროს ყუნუთს აღარ წაიკითხავს.

3) ვითრის ლოცვისას თუ მორწმუნეს დაავიწყდა მეორე მუხლზე იყო თუ მესამეზე, იგივე მუხლზე უნდა წაიკითხოს ყუნუთის ლოცვები, შემდეგ ქედის მოხრა და სეჯდე უნდა შეასრულოს, შემდეგ ისევ ერთ მუხლს ილოცავს და ისევ ქუნუთის წაკითხვის შემდეგ ისევ ქედის მოხრის, სეჯდეს და ბოლო ჯდომის შემდეგ ჩვეულებრივად მისალმებით დაასრულებს ლოცვას.

4) ვითირის ლოცვის გარდა სხვა ლოცვების დროს ყუნუთის ლოცვების წაკითხვა მიუღებელია. თუმცა არეულობის და რაიმე უბედურების დროს დილის ლოცვის ფარზის დროსაც შეიძლება. შაფის და მალიქის მიხედვით ყუნუთის ლოცვები ყოველ დილის ლოცვის ფარზის ლოცვისას შეიძლება წაკითხვა. მალიქის მიხედვით ეს მუსთეჰაბია, ხოლო შაფის მიხედვით –სუნნეთი.

5) დილის ლოცვას თუ შაფიი, ან მალიქი იმამი უძღვება ქუნუთის ლოცვების კითხვისას ჰანეფი მლოცველი ჩუმად ელოდება. თუ წაიკითხავს, ხმადაბლა უნდა წაიკითხოს.

ლოცვების კოლექტიურად შესრულების ფორმა VIII- იმამი

1) მლოცველების მიერ კოლექტიურად ლოცვის შესრულების დროს ყველა მლოცველი ვალდებულია წარმოთქვას ნიეთი- განზრახვა. ნიეთი უნდა შეიცავდეს არამარტო ლოცვის გადაწყვეტილებას, არამედ იმამზე მიყოლის განზრახვასაც. ნიეთის წარმოთქმის შემდე იმამი ხმამაღლა წარმოთქვამს თექბირს –ალლაჰუ ექბერ და დაიწყებს ლოცვას. ჯემაღეთიც იმამთან ერთად წარმოთქვამს

თექბირს, ხელებს ასწევს და მიყვება იმამს. იმამიც და მლოცველებიც ჩუმად კითხულობენ “ სუბჰანექეს” და ამის შემდეგ მლოცველები ჩუმად იცდიან. ღებდულლაჰ იბნი ომერის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნათქვამია, რომ: “

“ რომელიმე თქვენგანი თუ იმამის უკან ლოცულობს იმამის მიერ წაკითხული მისთვის საკმარისია, ხოლო |თუ მარტო ლოცულობს თვითონ წაიკითხოს!”

“ სუბჰანექე” –ს შემდეგ იმამი ხმადაბლა წარმოთქვამს “ ეუზუ ბესმელე”-ს და შეუდგება ყურანის კითხვას.

დილის, საღამოს და ღამის ლოცვის წინა ორ მუხლზე, ვითრის ლოცვის ყოველ მუხლზე, ჯუმის და ბაირამის ლოცვის ყოველ მუხლზე იმამი ფათიჰას და ყურანიდან აიათებს მლოცველთა გასაგონად ხმამაღლა კითხულობს. ხმამაღლა ამბობს აგრეთვე ქედის მოხრის პოზიციიდან საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას წარმოსათქმელ ფრაზას –“სემიღალლაჰუ ლიმენ ჰემიდე”.

2) იმამი დილის ლოცვის აღსრულების დროს პირველ მუხლზე უფრო მეტ ყურანს კითხულობს, ვიდრე მეორე მუხლზე. ეს სუნნეთია. ამით შესაძლებელია უფრო მეტმა მლოცველმა მიუსწროს ლოცვას.

3) მლოცველები თექბირს ხმადაბლა წარმოთქვამენ. იმამი ქედის მოხრის პოზიციიდან საწყის, მდგომარე პოზიციაში დაბრუნებისას ხმამაღლა ამბობს “ სემიალლაჰუ ლიმენ ჰემიდე” და ხმადაბლა ამბობს “რაბბენა ლექელ ჰემდ” . ებუ ჰანიფეს ერთ-ერთი განსხვავებული მოსაზრებით იმამი ამ უკანასკნელს არ წარმოთქვამს. ამას მხოლოდ მლოცველები ამბობენ ხმადაბლა. გარდა ამისა მლოცველები იმამთან ერთად ქედის მოხრის პოზიციაში ხმადაბლა სამჯერ წარმოთქვამენ “სუბჰანე რაბბიელ ღეზიმ” და სეჯდეს პოზიციაში “სუბჰანე რაბბიელ ეღლა” .

4) იმამიც და მლოცველებიც პირველი ჯდომისას ხმადაბლა კითხულობენ მხოლოდ “ეთთეჰიათუ”-ს და ბოლო ჯდომისას –“ეთთეჰიათუს, სალლი ბარიქს და რაბბენა”-ს. ამის შემდეგ იმამი ხმამაღლა ჯერ მარჯვენა და შემდეგ მარცხენა მხარეს მისალმებით დაასრულებს ლოცვას, ხოლო მლოცველებიც იგივეს გაიმეორებენ ხმადაბლა. ფათიჰას შემდეგ იმამი ხმადაბლა წარმოთქვამს “ამიინ” . იგივეს იმეორებენ მლოცველებიც.

დ) ლოცვის შემდეგ შესასრულებელი ვედრება და ხსენება.

ლოცვის შემდეგ ვედრება, ხსენება და მონანიების შემცველი ლოცვების კითხვა სუნნეთია. როგორც წესი, ეს ყველაფერი ლოცვის დასრულების შემდეგ სრულდება და ლოცვის ნაკლოვანებების გამოსასწორებლადაა მიმართული.

ლოცვის ბოლოს შესასრულებელი ვედრება და ხსენება ხმადაბლა სრულდება. თუმცა იმამს მლოცველებზე შესწავლების მიზნით ხმამაღლა შეუძლია იკითხოს. ლოცვის შემდეგ იმამი მლოცველებისკენ ნახევრად ტრიალდება, ისე რომ მლოცველები მის მარჯვენა პროფილს ხედავენ.

X- ჯუმის ლოცვა (პარასკევის ლოცვა)

ყოველ პარასკევს მუსლიმები პარასკევის ლოცვის შესასრულებლად მეჩეთში იკრიბებიან. სწორედ ამის გამო ეწოდა ამ ლოცვას ჯუმა. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ დღეს ზეგარდმოვლენილი სიკეთის გამო ეწოდა ჯუმა.

ისლამამდელ პერიოდში პარასკევ დღეს “არუბე” ეწოდებოდა. ყურეიშის გვარის წარმომადგენლები სწორედ ამ დღეს იკრიბებოდნენ და ცნობილია, რომ ქაბ იბნ ლუეინმა უწოდა ამ დღეს ჯუმა. მექაში ჰიჯრამდე ჯუმის ლოცვა არ შესრულებულა. აქაბეს ხელშეკრულების შემდეგ წმ. შუამავალმა მუსაბ იბნ უმეირი მედინაში მასწავლებლად მიავლინა და წერილობით აცნობა, რომ პარასკევობით შუადღის ლოცვის დროს ორი მუხლი ლოცვა აღევლინათ. ამის შემდეგ მუსლიმები მედინას გარეთ ერთ-ერთ ადგილას იკრიბებოდნენ და ჯუმის ლოცვას ასრულებდნენ. იბნ სირინის გადმოცემით მედინელი მუსლიმები შუამავლის იქ ჩასვლამდე და ჯუმის შესახებ აიათების მოვლენამდე ასრულებდნენ ამ ლოცვას. მათვე უწოდეს ამ დღეს ჯუმა.

ჯუმის ლოცვის შესახებ აიათი წმ. შუამავლის მედინაში ყოფნისას მოევლინა. ამის შემდეგ ჯუმის ლოცვა სავალდებულო გახდა. გამომდინარე აქედან, მანამდე მუსაბის წინამძღოლობით ნალოცი ჯუმის ლოცვა მაშინ იქნა შესრულებული ვიდრე ის ფარზი გახდებოდა.

ამ დღეს ისლამში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ დღეს უკავშირდება მატერიალური სამყაროს დასაწყისი, დასასრული და საიქიო ცხოვრება. ეს დღე მნიშვნელოვანი იყო სხვა ზეციურ

სარწმუნოებებშიც, მაგრამ შემდეგ სხვა დღეებს უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭეს.

არსებობს ჰადისები, რომლებიც პარასკევი დღის და ჯუმის ლოცვის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

”ჩვენ ვართ უკანასკნელნი, ვისაც წმინდა წიგნი ერგო. განკითხვის დღეს კი ყველაზე წინ აღმოვჩნდებით. ისინი ვერ შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ პარასკევი დღე მათთვის ფარზი იყო. ღმერთმა ის ჩვენ გვაჩვენა. სხვა ადამიანები ამ საკითხში ჩვენ გვეთანხმებიან. შემდეგი დღე იუდიანების, ხოლო იმის შემდეგი- ქრისტიანებისაა!”

“ყველაზე სიკეთიანი დღე პარასკევია; ამ დღეს გაჩნდა ადამი, ამ დღეს შევიდა იგი სამოთხეში და ამავე დღეს გამოძევებულ იქნა იქიდან, წარღვნაც ამ დღეს მოხდება!”

სხვა ჰადისებში ნაბრძანებია, რომ პარასკევ დღეს არის დროის რომელიღაც მონაკვეთი, როდესაც ღმერთი მორწმუნეთა ვედრებას შეისმენს. ამდენად სასიკეთოა ამ დღის ლოცვა-ვედრებაში გატარება. ჰადისებით ცნობილია აგრეთვე, რომ პარასკევის ლოცვებს ვინც სისტემატიურად ესწრება ჯუმის ლოცვიდან მეორე ჯუმის ლოცვამდე ჩადენილი ცოდვები მიეტევება. აგრეთვე ცნობილია, რომ ზერელე დამოკიდებულების გამო ვინც სამჯერ ზედიზედ გააცდენს ჯუმის ლოცვას ღმერთი მის გულს “ბეჭედს” დაასვამს.

ა) მტკიცებულებები, რომლებსაც ჯუმის ლოცვა ეყრდნობა

პარასკევის ლოცვა ეყრდნობა წმ. წიგნის, სუნნეთის და იჯმას მტკიცებულებებს.

1) ყურანის 62 სურაში პარასკევის ლოცვის შესახებაა საუბარი, ამიტომ ამ სურას ჯუმის სურა ეწოდა.

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اِذَا نُودِىَ لِلصَّلٰوةِ مِنْ يَوْمِ الْجُمُعَةِ فَاسْعَوْا اِلٰى ذِكْرِ اللّٰهِ وَذَرُوا الْبَيْعَ ذٰلِكُمْ خَيْرٌ لَكُمْ اِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგიხმობენ ლოცვისთვის პარასკევ დღეს, მაშინვე ისწრაფეთ ალლაჰის ხსენებისკენ და შეწყვიტეთ ვაჭრობა. ეს თქვენთვისვეა უკეთესი, რომ იცოდეთ თქვენ! “ჯუმღე 62/9”

2) სხვადასხვა ჰადისებით ცნობილია, რომ პარასკევის ლოცვა ძლიერი ფარზი და დიდი მადლია, ხოლო მისი უგულებელყოფა დიდ ცოდვად ითვლება.

3) ისლამის სწავლულებს შორის არსებობს აზრთა სრული თანხვედრა იმის თაობაზე, რომ პარასკევის ლოცვა სავალდებულოა. თუმცა მის ლოცვის ფორმასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ბ)პარასკევის ლოცვის აუცილებლობისათვის საჭირო პირობები

პარასკევის ლოცვა მორწმუნეთათვის სავალდებულოა, თუმცა ხუთი დროის ლოცვებთან შედარებით არსებობს რამდენიმე განსხვავებული პირობები.

ჯაბირ იბნ აბდულლაჰის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია, რომ:

“ ვისაც სწამს ღმერთის და განკითხვის დღისა მისთვის პარასკევის ლოცვა ფარზია. მხოლოდ მონა, ბავშვი, მანდილოსანი და ავადმყოფი გამონაკლისია!”

ამ გამონაკლისების გარდა ყოველ მუსლიმ მამაკაცისთვის პარასკევის ლოცვის შესრულება ფარზია. ამის მიხედვით პირობები შემდეგია:

1) მამაკაცი.

ყოველ მუსლიმ მამაკაცისთვის პარასკევის ლოცვის შესრულება ფარზია. მანდილოსნებისთვის კი პარასკევის ლოცვაზე დასწრება თავიანთ ნებასურვილზეა დამოკიდებული. თუ ისინი პარასკევის ლოცვას დაესწრებიან და ჯემაღეთთან ერთად შეასრულებენ, იმ დღის შუადღის ლოცვის აღსრულება აღარ ევალებათ. ცნობილია, რომ წმ. შუამავალი მანდილოსნების მიერ ხუთი დროის, პარასკევის

და ბაირამის ლოცვების ჯემაათთან ერთად ლოცვის წინააღმდეგი არ ყოფილა. უფრო მეტიც, ის მოითხოვდა კოლექტიურ ლოცვებზე დასწრების მსურველ ქალბატონებისთვის ხელი არ შეეშალათ, თუნდაც ღამე ყოფილიყო. აბდულლაჰ იბნ მესუდის მიერ ნათქვამი შემდეგი სიტყვები ამ საკითხისადმი მაშინდელ დამოკიდებულებას ნათლად გამოხატავს: "თქვენ, მანდილოსნები პარასკევის ლოცვას თუ იმამთან ერთად შეასრულებთ ორი მუხლი ილოცეთ, თუ მარტო ილოცავთ -ოთხი მუხლი." ანუ, მანდილოსნებს პარასკევის ლოცვის აღვლენა შუადღის ლოცვის აღსრულებაში ეთვლებათ. გამომდინარე აქედან, შესაფერისი პირობების არსებობისას, მანდილოსნებს უფლება აქვთ მეჩეთებში კოლექტიურად შესრულებულ ლოცვებს დაესწრონ. პირობებში კი იგულისხმება მეჩეთების ისეთი მოწყობა, სადაც მანდილოსნებს ლოცვა შეეძლებათ. მნიშვნელოვანია აგრეთვე გარემოც.

2) თავისუფლება.

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თავისუფლება დაკარგული ადამიანებისთვის პარასკევის ლოცვის აღსრულება სავალდებულო არ არის, რადგან ტყვეებს და მონებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება შეიძლება არ ჰქონდეთ. იგივე ეხებათ პატიმრებსაც. მაგრამ თუ ისინი ჯუმის ლოცვის შესასრულებლად პირობებს შეიქმნიან და ლოცვას შეასრულებენ შუადღის ლოცვის შესრულებაში ჩაეთვლებათ.

3) ადგილობრივი მაცხოვრებელი.

მგზავრისთვის პარასკევის ლოცვის შესრულება ფარზი არაა, რადგან მგზავრი, როგორც წესი შეიძლება გაუთვალისწინებელ პრობლემებს გადაეყაროს. მაგ. შეიძლება ბარგის შესანახი ადგილი ვერ იშოვოს, ან თანამგზავრი დაკარგოს და ა. შ. ამის გათვალისწინებით ისლამში მათთვის გარკვეული შეღავათებია დაწესებული და ერთ-ერთი სწორედ პარასკევის სავალდებულო ლოცვას ეხება. ზუჰრი და იბრაჰიმ ენ-ნეჰაის მსგავსი სწავლულები კი მიიჩნევდნენ, რომ თუ მგზავრი მეჩეთთან ახლოს არის დაბანაკებული ვალდებულია პარასკევის ლოცვას დაესწროს. ზაჰირის მიხედვით კი პარასკევის ლოცვა მგზავრისთვისაც ფარზია.

4) პარასკევის ლოცვაზე დაუსწრებლობისათვის საპატიო მიზეზის არარსებობა. საპატიო მიზეზები კი შემდეგი შეიძლება იყოს:

ა) ავადმყოფობა.

თუ მეჩეთში წასვლის შედეგად ავადმყოფობის გახანგრძლივება ან მომატებაა მოსალოდნელი მორწმუნე პარასკევის ლოცვის ვალდებულებისგან თავისუფლდება. იგივე ეხებათ ღრმად მოხუცებულ ადამიანებს, რომლებსაც სიარული აღარ შეუძლიათ და ავადმყოფის მომვლელებს. თუმცა იმ შემთხვევაში თუ ამ უკანასკნელთა მეჩეთში წასვლის შემთხვევაში ავადმყოფის ჯანმრთელობა გაუარესდება. პარასკევის ლოცვისგან თავისუფლდებიან აგრეთვე მორიგე ჯარისკაცები, პოლიციელები, დაცვის სამსახურის თანამშრომლები და ის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც შეუსვენებლად მუშაობენ. მათთვის საკმარისია იმ დღის შუადღის ლოცვა ილოცონ.

ბ) სიბრმავე და მოძრაობის უნარშეზღუდულობა.

ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და ჰანბელის მიხედვით თუკი ინვალიდ მორწმუნეს, რომელსაც გადაადგილება არ შეუძლია ჰყავს მეჩეთში წამყვანი ადამიანი მაშინ პარასკევის ლოცვა მისთვის სავალდებულოა. ისლამის სწავლულთა უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ მათთვის პარასკევის ლოცვა სავალდებულო არ არის. მოძრაობის უნარშეზღუდულ, ფეხებმოკვეთილ, ან ლოგინად ჩავარდნილ ავადმყოფებისთვის პარასკევის ლოცვა სავალდებულო არ არის.

გ) ცუდი მეტეოროლოგიური და საგზაო პირობები.

თუ ამინდი, ან გზა იმდენად საშიშია მორწმუნისათვის, რომ მოსალოდნელია სერიოზული საფრთხე მისთვის პარასკევის ლოცვა სავალდებულო აღარ არის. ასეთი შეიძლება იყოს ძლიერი წვიმა, თოვლი, სიცხე, სიცივე დას ხვ.

დ.) შიში.

თუ მეჩეთში წასვლის შემთხვევაში მორწმუნის ქონება, სიცოცხლე, ან სინდისი საფრთხეში შეიძლება ჩავარდეს, მისთვის პარასკევის ლოცვა სავალდებულო არ არის.

გ) პარასკევის ლოცვისას გასათვალისწინებელი პირობები

პარასკევის ლოცვა აღსრულებულად, რომ ჩაითვალოს შემდეგი პირობების გათვალისწინებაა საჭირო:

1) ადგილი, სადაც პარასკევის ლოცვა სრულდება ქალაქი, ან მსგავსი ტიპის დასახლება უნდა იყოს.

წმ. ალის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: “პარასკევის

ლოცვა, თეშრიქის თექბირები, რამაზნის და მსხვერპლშეწირვის ბაირამის ლოცვა ხალხმრავალ ქალაქებში შეასრულეთ!”

ამ ჰადისში ნახსენები “ხალხმრავალი ქალაქი” ისლამის სწავლულთა მიერ შემდეგნაირადაა განმარტებული:

ებუ ჰანიფეს აზრით ხალხმრავალ ქალაქში იგულისხმება დასახლებული ადგილი, რომლესაც ჰყავს გამგებელი, მოსამართლე, აქვს ქუჩები, ბაზარი და უბნები. ებუ იუსუფი მიიჩნევდა, რომ თუ დასახლებული პუნქტის მოსახლეობა ყველაზე დიდ მეჩეთში ვერ დაეტეოდა, ასეთი ადგილი ხალხმრავალ ქალაქად ითვლებოდა. იმამი შაფიი და იმამი აჰმედ იბნ ჰანბელი ხალხმრავალი ქალაქის შეფასების კრიტერიუმად მოსახლეობის რაოდენობას იღებდნენ და მიაჩნდათ, რომ სადაც 40 ადგილობრივი, თავისუფალი, ზრდასრული და გონებასრული მამაკაცი ზამთარ-ზაფხულ სტაბილურად ცხოვრობს ჰადისში ნახსენებ “ხალხმრავალი ქალაქს” წარმოადგენს და იქ მაცხოვრებლებისთვის პარასკევის ლოცვა სავალდებულოა. იმამ მალიქს მიაჩნდა, რომ მეჩეთი და ბაზარი სადაც იყო, ყველა ქალაქად ითვლებოდა. ანუ ამ შემთხვევაში ქალაქი და სოფელი ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. მნიშვნელობა არ აქვს მოსახლეობის რაოდენობას.

არსებობს მოსაზრება, რომლიც მიხედვითაც პარასკევის ლოცვა პატარა დასახლებულ პუნქტებშიც შეიძლება. ეს მოსაზრება შემდეგ მტკიცებულებებს ეყრდნობა:

ა) როდესაც ებუ ჰურაირა ბაჰრეინში იყო მივლინებული მოვალეობის შესასრულებლად და ხალიფა ომარს პარასკევის ლოცვის შესახებ შეეკითხა შემდეგი პასუხი მიიღო: “სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ პარასკევის ლოცვა აღავლინეთ!”

ბ) ომერ იბნ აბდილაზიზი ჯარების სარდალზე მიწერილ წერილში წერდა: “ნებისმიერ სოფელში, სადაც შეხვალ, თუ მოსახლეობა კარვებში არ ცხოვრობს პარასკევის ლოცვისათვის ერთი იმამი დატოვე!”

გ) იმამი მალიქი მოგვითხრობს, რომ წმ. შუამავლის თანამოღვაწე მეგობრები მექასა და მედინას შორის წყაროების პირას პარასკევის ლოცვებს ასრულებდნენ და იმ ადგილებში ქალაქი არ არსებობდა!”

დ) იბნი აბბასი იხსენებდა, რომ პარასკევის ლოცვი პირველად მედინაში, შუამავლის მეჩეთში ილოცა, ხოლო მეორედ ბაჰრეინში,

ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც სახელად ერქვა “ჯუვასა.”

ამ მოსაზრებებს არ იზიარებენ სხვა სწავლულები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პარასკევის ლოცვა ხალხმრავალ დასახლებულ ცენტრებში უნდა შესრულდეს. ისინი ზემოთ მოყვენის მაგალითებს შემდეგნაირ განმარტებას აძლევენ:

აა) ხალიფა ომარის სიტყვაში, “სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ” იგულისხმება რომელ ქალაქშიც არ უნდა იმყოფებოდეთო.

ბბ) ომერ იბნ აბდილაზიზის სიტყვა პიროვენბის სუბიექტურ მოსაზრებად იქნა მიჩნეული და მტკიცებულებად არ ჩაითვალა.

გგ) რაც შეეხება სოფელ “ჯუვასა”-ს, ეს ადგილი ციხესიმაგრე იყო და სახელმწიფოს აქ ჰყავდა თავისი მმართველი და ჯარის ნაწილები. გარდა ამისა იმ დროში სოფელსა და ქალაქს ერთი და იგივე მნიშვნელობით მოიხსენიებდნენ. მათ ენაზე სიტყვა “ქარიე” იმავდროულად ქალაქსაც გამოხატავდა.

აბუ ბაქარ ელ ქასსასი ამბობდა: “ სოფლებში პარასკევის ლოცვის შესრულება მისაღები რომ ყოფილიყო ამის შესახებ ურყევი მტკიცებულებები იქნებოდა.”

იბნი ომერი ქალაქთან ახლო მდებარე ადგილებს ქალაქად მიიჩნევდა. ენეს იბნ მალიქი ერაყში ყოფნის პერიოდში ბასრადან დაახლოებით 11 კილომეტრში ცხოვრობდა და პარასკევის ლოცვაზე ხანდახან ესწრებოდა. ეს მდგომარეობაც ამტკიცებს, რომ პარასკევის ლოცვა მხოლოდ ხალხმრავალი ქალაქის ცენტრებშია მისაღები.

სხვა მაგალითები

ა) წმ. შუამავალი სანამ ცოცხალი იყო პარასკევის ლოცვა მხოლოდ მედინაში, ქალაქის ცენტრში სრულდებოდა და მახლობლად მცხოვრები ხალხიც სალოცავად იქ მოდიოდა. იგივეს მოგვითხრობს წმ. აიშეც: -“წმ. შუამავლის დროს მედინას ახლომახლო ტერიტორიიდან მლოცველები მორიგეობით მოდიოდნენ.” გამოდინარე აქედან ამ ხალხისათვის პარასკევის ლოცვა ფარზი არ იყო, თორემ ან ადგილზევე შეასრულებდნენ ლოცვას, ან ყველანი მედინაში ჩავიდოდნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ წმ. შუამავალმა “ქუბას ხალხს” უბრძანა, პარასკევის ლოცვისთვის გამზადებულიყვნენ.

ქუბასა და მედინას შორი მანძილი კი 3700 მეტრს შეადგენს. აბდულლაჰ იბნ ომერი კი წმ. შუამავლის ნაბრძანებს შემდეგნაირად გადმოგვცემს: "ვისაც ეზანი ესმის მისთვის პარასკევის ლოცვა ფარზია!"

ბ) ისლამის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელების პერიოდში პარასკევის ლოცვა მხოლოდ ქალაქების ცენტრებში სრულდებოდა. მყარი მტკიცებულებებიც (აიათი-ჰადისი)პარასკევის ლოცვის ქალაქის ცენტრში შესრულების აუცილებლობაზე მიუთითებს.

ზემოთ მოყვენილი ცნობებიდან გამომდინარე საკითხი შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

აა) ქალაქი და სხვა დასახლებული პუნქტები

დასახლებულ ადგილს, რომელსაც ჰყავს თავისი მმართველი, მუფტი, მოსამართლე და წესრიგის დამცველი ორგანო "ქალაქის" სტატუსი ენიჭება. ისლამის სამართალმცოდნენი თავიანთ ნაწარმოებებში "გზებზე, სოფლებზე და სავაჭრო ადგილებზე" ყურადღებას აღარ ამახვილებდნენ, რადგან ქალაქს ეს თვისებები ისედაც გააჩნდა. ასეთი დასახლებული ადგილის მეჩეთში და თუნდაც ლოცვისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილებში პარასკევის ლოცვის შესრულება შეიძლება. ამის თაობაზე არსებობს აზრთა სრული თანხმობა. ბუნებრივია რეგიონალური და რაიონული ცენტრები იგივე სტატუსით სარგებლობენ.

ბბ) დასახლებული ადგილი, სადაც პარასკევის ლოცვის აღსრულებისთვის ვალდებული ადამიანების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ყველაზე დიდ მეჩეთშიც ვერ დაეტევიან "ქალაქის" სტატუსს იმსახურებს. ეს შეხედულება ებუ იუსუფისეულ "ქალაქის" განმარტებას გავს. მოგვიანებით ისლამის სამართალმცოდნეთა უმრავლესობა ამის მიხედვით გამოსცემდა "ფეთვას". ასეთ ადგილებში თუ ოფიციალური მმართველი არსებობს იმამ მუჰამმედისეულ "ქალაქის" განმარტებასაც აკმაყოფილებს. გამომდინარე აქედან დიდი სოფლები და საკრებულოები "ქალაქის" კატეგორიაში შედიან.

2) სახელმწიფოს მიერ ნებართვის გაცემა

პარასკევის ლოცვის სრულყოფილებისათვის სახელმწიფო ნებართვის აუცილებლობის საკითხი აზრთა სხვადასხვაობისა და დავის საგანი გამხდარა. არსებობდნენ ნებართვის აუცილებლობის

იდეის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ახლა შემოგთავაზებთ ორივე შეხედულების ავტორთა მოსაზრებებს.

ა) ჰანეფის შეხედულება

ჰანეფი სამართალმცოდნეების მიხედვით პარასკევის ლოცვისათვის ოფიციალური ნებართვა აუცილებელია. მტკიცებულება კი ჯაბირ იბნ აბდულლაჰის და იბნ ომერის მიერ გადმოცემული ჰადისია, სადაც სამართლიან და უსამართლო იმამზეა საუბარი.

პარასკევის ლოცვა ხალხმრავლობაში სრულდება და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ახლო კავშირშია. სახელმწიფოდან ნებართვის გარეშე მორწმუნეთა შორის შესაძლებელია ინტრიგა გაჩნდეს. ლოცვის წინამძღოლობა (იმამობა), ან ჰუთბეს წაკითხვა საკმაოდ ღირსეულ საქმედ ითვლება. ამიტომ შეიძლება მორწმუნეთა შორის პაექრობა და შუღლი ჩამოვარდეს. ეს გამოიწვევს სხვადასხვა დაჯგუფებების შექმნას, რაც ისლამის და ჯემაათისთვის მიუღებელია. ერთმა ჯგუფმა რომ შეასრულოს ლოცვა და მერე ჯგუფმა პროტესტის ნიშნად არ ილოცოს პარასკევის ლოცვის მიზანი მუღწველი დარჩება. მოკლედ საზოგადოების ფსიქოლოგიის გათვალისწინებით პარასკევის ლოცვის პროცესი კონტროლირებადი უნდა იყოს.

თუმცა შესაძლებელია სახელმწიფო მოხელეები არ დაინტერესდნენ პარასკევის ლოცვის საკითხით, ან მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე მლოცველთა პარასკევის ლოცვისგან ჩამოშორება განიზრახეს. ასეთ დროს მლოცველებს შეუძლიათ სასურველი იმამის უკან შეიკრიბონ და შეასრულონ ლოცვა. ამ საკითხში იმამი მუჰამმედი შემდეგ მტკიცებულებას იშველიებს; ხალიფა ოსმანი მედინაში ალყაში იყო მოქცეული. ამ დროს კი გარეთ დარჩენილი მორწმუნენი წმ. ალის გარშემო შეიკრიბნენ და პარასკევის ლოცვა შეასრულლეს.

პარასკევის ლოცვებს ოდითგანვე სახელმწიფოს მმართველები უძღვებოდნენ, მაგრამ დროის გასვლისთანავე ეს წესი დავიწყებას მიეცა და ისინი ამ საქმით დაკავებულმა იმამებმა ჩაანაცვლეს.

ხალიფა ოსმანი თავის პირველი ჰუთბის წაკითხვის დროს ძალიან ნერვიულობდა და აღელვებისაგან ენა დაება. ამის გამო ბრძანა, რომ თვითონ სახელმწიფოს მართვას აპირებდა და ჰუთბე მჭერმეტყველმა და სწავლულმა იმამებმა წაიკითხონო.

ბ) უმრავლესობის აზრი

შაფის, მალიქის და ჰანბელის მიხედვით პარასკევის ლოცვისათვის სახელმწიფოს მხრიდან ნებართვა აუცილებელი პირობა არ არის. ეს შეიძლება იყოს მუსთეჰაბი, ან უბრალოდ კარგი საქციელი. მათი შეხედულების დასამტკიცებლად ისინი "ყიასის" –შედარების გზას იყენებენ და პარასკევის ლოცვას ხუთი დროის ლოცვასთან ადარებენ. როგორც ხუთი დროის ლოცვის მარტოდ თუ კოლექტიურად ლოცვისათვის არ არის საჭირო რაიმე ნებართვა, ისე პარასკევის ლოცვისთვისაც ნებართვა აუცილებელი არაა. მეორე მტკიცებულებად იყენებენ ზემოთ მოყვანილ მაგალითს, სადაც წმ. ალი ხალიფა ოსმანის ნებართვის გარეშე პარასკევის ლოცვის დროს იმამი ხდება.

ჰანეფის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ წმ. ალიმ ეს ხალხის შესაკრებად გააკეთა და თან იმ მომენტში ხალიფა ოსმანისგან ნებართვის აღება შეუძლებელი იყო. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი რამ ყოველთვის მიზანშეწონილია.

3) მლოცველთა რაოდენობა

პარასკევის ლოცვისთვის მლოცველთა საკმარისი რაოდენობის თაობაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ა) ებუ ჰანიფეს შეხედულებით პარასკევის ლოცვისთვის იმამის გარდა მინიმუმ სამი მლოცველი უნდა იყოს, ხოლო ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით იმამის გარდა მინიმუმ ორი მამაკაცი მლოცველი საკმარისია.

ბ) შაფის და ჰანბელის მიხედვით კი პარასკევის ლოცვაზე ორმოცი მლოცველი უნდა ესწრებოდეს. ისეთ ადგილებში, სადაც 40-მდე ადგილობრივი მამაკაცი მლოცველი არ მოიპოვება პარასკევის ლოცვა არ სრულდება.

გ) იმამი მალიქი კი ზუსტ ციფრს არ ასახელებს. მისი შეხედულებით 40 კაცზე ნაკლები, მაგ. 12 კაცისგან შემდგარი ჯგემაათით პარასკევის ლოცვის შესრულება მისაღებია. მტკიცებულება შემდეგია: წმ. შუამავალი მედინაში პარასკევის ლოცვის დროს ჰუთბეს კითხულობდა. ამ დროს ამბავი მოიტანეს, რომ შამიდან საკვებით დატვირთული ქარავანი მოსულა. მლოცველები დაიფანტნენ და მეჩეთში მხოლოდ 12 ადამიანი დარჩა. აიათი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ ამ ამბის თაობაზე არის მოვლენილი:

ხოლო როცა დაინახეს ვაჭრობა და გართობა, უმალ გაქანდნენ მისკენ და მიგატოვეს შენ ფეხზე მდგომი. უთხარი: „რაცაა ალლაჰის წიაღ უკეთესია გართობასა და ვაჭრობაზე, რამეთუ ალლაჰი საუკეთესო სარჩოს მომმადლებელია!“ “ ჯუმა 62/11.”

რადგანაც წმ. შუამავლის პერიოდში, პარასკევის ლოცვის დროს მლოცველთა სხვადასხვა რაოდენობაა დაფიქსირებული, ზუსტი რიცხვის მითითების მაგივრად მლოცველთა ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც “ჯემაათად” ჩაითვლება საკმარისად უნდა ჩავთვალოთ.

4) ერთ ქალაქში ერთზე მეტ ადგილზე პარასკევის ლოცვის შესრულება.

წმ. შუამავლის დროს პარასკევის ლოცვა ქალაქის ცენტრში, მხოლოდ ერთ მეჩეთში სრულდებოდა, ამიტომ ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ა) ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის მიხედვით ერთ ქალაქში, ერთზე მეტ ადგილას პარასკევის ლოცვის შესრულება მისაღებია. არსებობს სხვა ვარაუდიც, რომლის მიხედვით ებუ ჰანიფეს საპირისპირო მოსაზრება ჩანს. ებუ იუსუფი კი მიიჩნევს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ერთ ქალაქში მხოლოდ ორ ადგილას შეიძლება პარასკევის ლოცვის შესრულება.

ბ) იმამი შაფიი თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ ერთ დასახლებულ პუნქტში მხოლოდ ერთ მეჩეთში შეიძლებოდა, მაგრამ როდესაც ბაღდადში ნახა სხვადასხვა მეჩეთებში როგორ ასრულებდნენ პარასკევის ლოცვას აზრი შეიცვალა.

ერთ ქალაქში ერთზე მეტ მეჩეთში პარასკევის ლოცვის შესრულების მიზანშეწონილობას ვინც ამტკიცებს შემდეგ მტკიცებულებებს იყენებენ: წმ. ალიმ ხალიფა ოსმანის ალყაში ყოფნის დროს გარეთ დარჩენილ მლოცველებს უწინამძღოლა და პარასკევის ლოცვა შეასრულეს. გარდა ამისა, ერთხელ მართლმორწმუნეებმა ბაირამის ლოცვა მედინას გარეთ, უდაბნოში შეასრულეს, ხოლო მოხუცებმა და მათ, ვინც ვერ შეძლო უდაბნოში გასვლა ქალაქში დარჩნენ და იქ ილოცეს. ბაირამის ლოცვა კი ლოცვის ფორმით პარასკევის ლოცვის მსგავსია. ჰადისში მითითებულია, რომ ჯუმის ლოცვა ხალხმრავალ ქალაქებში უნდა შესრუულდეს, მაგრამ ის არ არის დაკონკრეტებული, რომ მხოლოდ ერთ მეჩეთში თუ მეტში.

გარდა ამისა თუ ქალაქი დიდია ერთ მეჩეთში ყველა მლოცველის შეკრება გარკვეულ სიძნელესთან არის დაკავშირებული. აიათებში კი ნაბრძანებია:

لَا يُكَلِّفُ اللّٰهُ نَفْسًا اِلَّا وُسْعَهَا لَهَا مَا كَسَبَتْ وَعَلَيْهَا مَا اكْتَسَبَتْ رَبَّنَا لَا تُؤَاخِذْنَا اِنْ نَسِينَا اَوْ اَخْطَاْنَا رَبَّنَا وَلَا تَحْمِلْ عَلَيْنَا اِصْرًا كَمَا حَمَلْتَهُ عَلَى الَّذِينَ مِنْ قَبْلِنَا رَبَّنَا وَلَا تُحَمِّلْنَا مَا لَا طَاقَةَ لَنَا بِهٖ وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا اَنْتَ مَوْلٰينَا فَانْصُرْنَا عَلَى الْقَوْمِ الْكَافِرِينَ

ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. მისი იქნება რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმდეგ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე! “ ბაქარა 2/286“

وَجَاهِدُوا فِى اللّٰهِ حَقَّ جِهَادِهٖ هُوَ اجْتَبٰيكُمْ وَمَا جَعَلَ عَلَيْكُمْ فِى الدِّينِ مِنْ حَرَجٍ مِلَّةَ اَبِيكُمْ اِبْرٰهِيمَ هُوَ سَمّٰيكُمُ الْمُسْلِمِينَ مِنْ قَبْلُ وَفِى هٰذَا لِيَكُونَ الرَّسُولُ شَهِيدًا عَلَيْكُمْ وَتَكُونُوا شُهَدَاءَ عَلَى النَّاسِ فَاَقِيمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَاعْتَصِمُوا بِاللّٰهِ هُوَ مَوْلٰيكُمْ فَنِعْمَ الْمَوْلٰى وَنِعْمَ النَّصِيرُ

გაისარჯეთ ალლაჰისთვის სათანადო ბრძოლით. მან აგირჩიათ და არ დაუდგენია თქვენთვის არანაირი სიძნელე სარწმუნოებაში . ეს მამათქვენის, იბრაჰიმის სარწმუნოებაა. (ალლაჰმა) გიწოდათ თქვენ მუსლიმები უწინ და აქ (ყურანში), რათა შუამავალი ყოფილიყო მოწმედ თქვენდა, თქვენ კი ყოფილიყავით მოწმედ ხალხისა. შეასრულეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და მტკიცედ ჩაეჭიდეთ ალლაჰს. იგია თქვენი მფარველი. რა მშვენიერი მფარველია! რა მშვენიერი შემწეა! „ჰაჯ 22/78. “

5) დრო

პარასკევის ლოცვის დრო შუადღის ლოცვის დროა. ენეს იბნ მალიქის გადმოცემით წმ შუამავალი პარასკევის ლოცვას მზის ზენიტში ყოფნის შემდეგ, დასავლეთისკენ გადახრისას ლოცულობდა. ჰიჯრამდე, მუსაბ იბნ უმეირი მედინაში იქნა მივლინებული მასწავლებლად. წმ. შუამავალმა კი დაუბარა, რომ მზის დასავლეთისკენ გადახრისას პარასკევის ლოცვა აღესრულებინა. თუ პარასკევის ლოცვა თავის დროზე არ იქნა შესრულებული იმ დღის შუადღის ლოცვა შემდეგში უნდა ანაზღაურდეს.

6) ჰუთბე

წმ. შუამავლი ყოველ პარასკევის ლოცვაზე ჰუთბესაც კითხულობდა. ჰუთბის წაკითხვა რომ აუცილებელი არ ყოფილიყო შუა-

მავალი ზოგჯერ გამოტოვებდა. ჰუთბე ადამიანებისადმი მიმართვაა. ჰუთბეს მიზანია დიადი გამჩენის უზენაესობის გამოხატვა და ერთად შეკრებილ მორწმუნეთათვის მნიშვნელოვანი რელიგიური და ცხოვრებისეული საკითხების გაცნობა. გამომდინარე აქედან, ლოცვის დროის მონაკვეთში მინიმუმ ერთი ადამიანისთვის მაინც ჰუთბის წაკითხვა აუცილებელია. ჰუთბეს წაკითხვის პროცესში თუ არცერთი მლოცველი არ ესწრება და შემდეგ შეიკრიბებიან ასეთი ლოცვა დაუშვებელია.

მორწმუნეთა მხრიდან ჰუთბის გაგონება აუცილებელი პირობა არ არის. მთავარია მლოცველთა იქ მზადყოფნა. ჰუთბის დროს თუნდაც მგზავრი იყოს ერთი მამაკაცი მლოცველის დასწრებაც საკმარისია.

ებუ ჰანიფეს შეხედულებით ჰუთბის აუცილებელი პირობა გამჩენის ხსენებაა. ამიტომ ჰუთბეს მიზნით "ელჰემდულილლაჰ, სუბჰანელლაჰ, ან ლა ილაჰე ილლელლაჰ" –ის წარმოთქმა საკმარისია, რადგან ჰუთბის შესახებ მოვლენილ აიათში სწორედ ღმერთის ხსენებისკენაა მოწოდება და რაოდენობა არ აირის მითითებული. როდესაც ხალიფა ოსმანი პირველად ავიდა ჰუთბეზე მღელვარებისგან ენა დაება და მხოლოდ "ელჰემდულილლაჰ" წარმოთქვა, რის შემდეგაც ძირს ჩამოვიდა და პარასკევის ლოცვას წარუძღვა. თუმცა ასეთი რამის სისტემატიურად გაკეთება მექრუჰად ჩაითვლება.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით ჰუთბე უფრო ვრცლად უნდა იქნას წაკითხული.

ჰანეფის მიხედვით ჰუთბე უნდა შეიცავდეს ვედრებას, ხსენებას, ლოცვებს და რჩევა-დარიგებებს, ამიტომ აუცილებელი არაა მისი მთლიანობაში არაბულად წაკითხვა. უმჯობესია ხალხმა მათთვის გასაგებ ენაზე მოისმინონ ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რასაც ჰუთბე შეიცავს ხოლმე. შაფის და მალიქის მიხედვით კი ჰუთბის არაბულად წაკითხვა აუცილებელი პირობაა.

იმამ შაფის შეხედულებით ჰუთბის ორივე ნაწილში ხუთი აუცილებელი პირობაა: უზენაესი ალლაჰის განდიდება, წმ. შუამავლისადმი "სალავათის" მიძღვნა, მორწმუნეთათვის თაყვანისცემისკენ მოწოდება, ჰუთბის პირველ ნაწილში ერთი აიათის წაკითხვა და ჰუთბის მეორე ნაწილში მორწმუნეთა დალოცვა. ამ უკანასკნელის გარდა ჰანბელის მიმდევრები შაფის ყველა პირობას ეთანხმებიან.

იმამ მალიქის აზრით ჰუთბე საზოგადოებისთვის რაიმის მი-

ლოცვას, ან გაფრთხილებას უნდა შეიცავდეს.

ჰუთბის ვაჯიბები შემდეგია: ა) ჰუთბეს ფეხზე დგომით და მლოცველების პირისპირ წაკითხვა. ბ) დიდი და მცირე განბანილობა. გ) სხეულის დასაფარი ადგილების დაფარულობა.

ჰუთბის სუნნეთები შემდეგია: ჰუთბის ორ ნაწილად გაყოფა და მათ შორის მცირე ხნით ჩამოჯდომა (სამი აიათის წაკითხვისთვის საკმარისი დროით). ჰუთბის ორივე ნაწილში გამჩენის ხსენება და განდიდება, შაჰადა და სელავათი, ხოლო პირველ ნაწილში ერთი აიათის წაკითხვა და მორწმუნეთათვის რჩევა-დარიგების მიცემა სუნნეთია. მეორე ნაწილში კი ჰუთბე მორწმუნეთა დალოცვას უნდა შეიცავდეს. ჰუთბის მეორე ნაწილი პირველ ნაწილთან შედარებით ხმადაბლა სრულდება. ეს ყველაფერი სუნნეთია.

ასევე სუნნეთია ჰუთბის ზედმეტად გაგრძელებისგან თავის შეკავება. ამის მიზანია, რომ მლოცველები არ შეწუხდნენ.

იმამის ჰუთბეზე ასვლის და დაჯდომის შემდეგ მუეზინმა მის წინაშე ეზანი უნდა წაიკითხოს. წმ. შუამავლის დროს ასე იკითხებოდა ეზანი. საიდ იბნ იეზიდი გადმოგვცემს, რომ წმ. შუამავლის, ებუ ბექირის და ხალიფა ომარის დროს ეზნის კითხვის ასეთი ფორმა იყო მიღებული, ხოლო ხალიფა ომარის დროს მლოცველების რაოდენობა ძალზედ გაიზარდა, ამიტომ მედინაში, კერძოდ ზერვაში მერე ეზნის კითხვაც დაუშვეს. წმ. შუამავლის იმამობის დროს მხოლოდ ერთი მუეზზინი იყო.

ეზნის შემდეგ ჰუთბის მკითხველი ფეხზე წამოდგება და ხმადაბლა ამბობს ეღუზუ ბესმელეს, რის შემდეგაც ხმამაღლა წარმოთქვამს დიადი გამჩენის სადიდებელ სიტყვებს. ბრძოლით აღებულ ადგილებში იმამს მარცხენა ხელში ხმალი უპყრია და მასზე დაყრდნობილი კითხულობს ჰუთბეს. ეს ისლამის ძლიერების და ზეობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. ჰუთბეს დასრულებისას მუეზზინი ყამეთს კითხულობს. ყველა ეს ჩამოთვლილი ჰუთბის სუნნეთებია.

ჰუთბის სუნნეთის უგულებელყოფა მექრუჰია. ჰუთბის მოსმენისას ლაპარაკი და მოლაპარაკე ადამიანის გაფრთხილებაც მექრუჰია. ჰუთბის მოსმენისას მექრუჰია აგრეთვე აქეთ-ექეთ ცქერა და ერთიმეორეზე მისალმება.

ზოგიერთი საკითხი პარასკევის ლოცვის შესახებ

არსებობს უამრავი სოფელი, სადაც ოდითგანვე პარასკევის ლოც-

ვის შესრულება ნებადართულია. მორწმუნე, რომელიც პარასკევ დღეს სოფლიდან ქალაქში მიდის და განზრახული აქვს პარასკევის ლოცვის დრომდე იქ დარჩენა მისთვის პარასკევის ლოცვა ფარზია. მაგრამ თუ პარასკევის ლოცვის დრომდე აპირებს ქალაქიდან გასვლას მისთვის პარასკევის ლოცვაზე დასწრება ფარზი აღარ არის. სოფლიდან ჩამოსულმა მორწმუნემ პარასკევის ლოცვის დროის მოსვლის შემდეგაც რომ დააპიროს ქალაქიდან წასვლა მისაღები შეხედულების თანახმად პარასკევის ლოცვა მისთვის ფარზი არ არის. თუ სოფელში წამსვლელი სატრანსპორტო საშუალება ადრე აპირებს წასვლას და სხვა ტრანსპორტის ნახვის საშუალება არ არის სოფლელ ადამიანს შეუძლია პარასკევის ლოცვის აღსრულების გარეშე წავიდეს სოფელში. ასეთ შემთხვევაში შუადღის ლოცვის შესრულებაც საკმარისია.

პარასკევ დღეს დილიანად გამგზავრება დასაშვებია, მაგრამ მზის ზენიტში ყოფნისას (ზევალ), ანუ შუადღისას პარასკევის ლოცვის აღვლენის გარეშე გამგზავრება მექრუჰია.

მორწმუნე, რომელიც პარასკევის ლოცვის აღვლენამდე, საპატიო მიზეზის გარეშე სახლში დარჩება და შუადღის ლოცვას აღავლენს ცოდვას ჩაიდენს, რადგან პარასკევის ლოცვა უმიზეზოდ გააცდინა. თუმცა ნალოცი შუადღის ლოცვა მიღებულად ჩაეთვლება. თუ ეს ადამიანი შუადღის ლოცვის აღვლენის შემდეგ პარასკევის ლოცვას დააპირებს და მეჩეთში წავა, ლოცვას რომც ვერ მიუსწროს ებუ ჰანიფეს მიხედვით აღვლენილი ლოცვა ნაფილედ ჩაეთვლება. თუ პარასკევის ლოცვას ვერ მიუსწრო იმდღინდელი შუადღის ლოცვა ხელახლა უნდა ილოცოს. ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედულების თანახმად კი ასეთ შემთხვევაში პარასკევის ლოცვაში მონაწილეობის მიღებამდე ადრე აღვლენილი შუადღის ლოცვა არ უქმდება. ეს სამი იმამი თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში პარასკევის ლოცვამდე აღვლენილი შუადღის ლოცვა არ უქმდება თუ მორწმუნე მეჩეთში პარასკევის ლოცვის დასრულების შემდეგ წავა.

პარასკევ დღეს თექბირის წარმოთქმა, განბანვა, ნელსურნელების მიპკურება, მისვაქის გამოყენება (კბილების გახეხვა) და ლამაზი ტანსაცმლის ჩაცმა მუსთეჰაბია. ეზნის გაგონებისას კი სხვა საქმეების მიტოვება და მეჩეთში წასვლა ვაჯიბია.

პარასკევ დღეს ადრიანად მეჩეთში წასვლა, ორი მუხლი “თაჰიათულ მესჯიდ”-ის ლოცვის აღვლენა და “ქეჰფ”-ის სურას წაკითხვა, ან მოსმენა მენდუბია.

პარასკევ დღეს, მეჩეთში მისულ მორწმუნეს შეუძლია ჰუთბის ახლოს მივიდეს, მაგრამ სხვა მლოცველები არ უნდა შეაწუხოს. თუ იქამდე ვერ მოახერხა მისვლა სადაც თავისუფალ ადგილს ნახავს იქ უნდა დაჯდეს. თუ უკან ადგილი არ არის და წინა რიგებშია ადგილი, მაშინ შეუძლია წინ გადავიდეს.

როდესაც იმამი ჰუთბეზეა, ლაპარაკი, ერთიმეორეზე მისალმება და ნაფილე ლოცვის ასსრულება მიუღებელია. თუ მორწმუნეს, ამ მომენტისთვის პარასკევის ლოცვის პირველი სუნნეთის ლოცვა უკვე დაწყებული აქვს რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაამთავროს. ჰანეფის მიხედვით ჰუთბის კითხვის მომენტში მეჩეთში შესული მლოცველი სუნნეთის ლოცვას არ იწყებს, პირდაპირ ჯდება და ჰუთბეს უსმენს. შაფიის და ჰანბელის მიხედვით კი ორი მუხლი უნდა ილოცოს. ჯაბირ იბნ აბდულლაჰის გადმოცემით ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჰუთბის კითხვის დროს მეჩეთში შემოსული მლოცველისთვის წმ. შუამავალს მიუთითებია, რომ ლოცვა აღევლინა. მლოცველიც წამომდგარა და ორი მუხლი ულოცავს.

ჰუთბის მოსმენისას წმ. შუამავლის სახელების გაგონების დროსაც კი "სალათისსელამ"-ის კითხვის გარეშე უმჯობესია ჩუმად ყოფნა. თუმცა ებუ იუსუფი მიიჩნევს, რომ ამ დროს "სელათუსსელამ"-ის ჩუმად კითხვა შეიძლება .

პარასკევის ლოცვის იმამობა სასურველია იმან გასწიოს, ვინც ჰუთბე წაიკითხა. მლოცველმა იმამს ბოლო ჯდომისას, ან სეჰივ სეჯდეს დროსაც რომ მიუსწროს შეუძლია ლოცვაში ჩაერთოს. იმამ მუჰამმედის აზრით პარასკევის ლოცვის მეორე მუხლის ქედის მოხრის პოზიციის შემდეგ ლოცვაში ჩართული მორწმუნე, იმ დღის შუადღის ლოცვას შეასრულებს.

"ზუჰრი აჰირ"-ის ლოცვა

"ზუჰრი აჰირ"-ი ბოლო შუადღის სავალდებულო ლოცვას ნიშნავს ნიშნავს. პარასკევის ლოცვა შაუადღის ლოცვის დროს და მის მაგივრად სრულდება. მაშ, რა არის "ზუჰრი აჰირ"-ი და რატომ სრულდება ის?

წმ. შუამავლის და მის შემდგომ პერიოდის დასაწყისში "ზუჰრი აჰირ"-ის შესახებ არაფერია ნახსენები. ამ ლოცვის დღის წესრიგში დადგომა შემდეგმა მიზეზმა განაპირობა; როგორც ცნობილია და

ჩვენ ზემოთ ამაზე ვუსაუბრეთ, პარასკევის ლოცვის შესრულების სრულყოფილების ერთ-ერთი პირობა ერთ დასახლებულ ადგილზე მხოლოდ ერთ მეჩეთში ლოცვის შესრულებაა. მოგვიანებით კი, როდესაც ქალაქის და სხვა დასახლებული ადგილების მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა და მლოცველების ერთ ადგილას შეკრება უკიდურესად გაძნელდა საჭირო გახდა პარასკევის ლოცვის ერთზე მეტ ადგილას შესრულება. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება "ზუჰრი აჰირ"-ის ლოცვის აღსრულების დაწესება. ამ საკითხთან დაკავშირებით ისლამის სწავლულთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი სწავლულის შეხედულებით პარასკევის ლოცვის შესრულების შემდეგ ოთხი მუხლი "ზუჰრი აჰირ"-ის ლოცვა მიღებულია.

"ზუჰრი აჰირ"-ის ლოცვის ნიეთის (განზრახვის) შინაარსი შემდეგია: -განვიზრახე აღვასრულო ბოლო შუადღის ლოცვა, რომელიც მევალება და რომლის დროც ჯერ არ გასულა! ლოცვა ზუსტად შუადღის სავალდებულო ლოცვის მსგავსად სრულდება. თუმცა შესაძლებელია მისი ოთხმუხლიანი სუნნეთის მსგავსადაც შესრულება.

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით ერთ ქალაქში ერთზე მეტ მეჩეთში პარასკევის ლოცვის შესრულება ნებადართულია, რადგან დიდ ქალაქებში მლოცველთა ერთ მეჩეთში შეკრება შეუძლებელია.

თუმცა პატარა-პატარა მეჩეთებში პარასკევის ლოცვის მიუღებლობა და დიდ ქალაქებში მხოლოდ საჭირო რაოდენობის მეჩეთებში ნებადართულობა წმ. შუამავლის და ოთხი ხალიფას პერიოდში პარასკევის ლოცვის შესახებ არსებული მიდგომის შესაფერისია.

ზემოთ ნახსენები მიზეზებიდან გამომდინარე ისლამის სწავლულთა უმრავლესობა "ზუჰრი აჰირ"-ის წინააღმდეგი არ ყოფილა. უფრო მეტიც, შაფის მიმდევარი სწავლულების აზრით ზუჰრი აჰირის ლოცვას მიღებულად ითვლება. იმამ შაფიის მიხედვით კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში სადაც პირველად დაიწყეს პარასკევის ლოცვის შესრულება ლოცვის აღსრულება უფრო სანდოა, ვიდრე იქ სადაც უფრო გვიან დაიწყეს პარასკევის ლოცვის შესრულება. ამრიგად სადაც გვიან დაიწყეს პარასკევის ლოცვის შესრულება მლოცველები ვალდებულნი არიან იმ დღის შუადღის ლოცვა აღასრულონ. ამასთანავე, ცნობილი ფაქტია, რომ იმამი შაფიი თვითონ ჩავიდა ბაღდადში და საკუთარი თვალით ნახა რამოდენიმე მეჩეთში როგორ ლოცულობდნენ პარასკევის ლოცვას, თუმცა საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს.

იბნი რუშდის აზრით ერთ ქალაქში ერთზე მეტ ადგილზე პარასკევის ლოცვის შესრულების საწინააღმდეგოდ რაიმე სანდო მტკიცებულება არ არსებობს. მისი აზრით ასეთ მნიშვნელოვან საკითხს წმ. შუამავალი აუცილებლად განმარტავდა.

პარასკევის ლოცვის სუნნეთი ლოცვები

როგორც შუადღის ლოცვაშია, პარასკევის ლოცვასაც გააჩნია პირველი და ბოლო სუნნეთი. წინა სუნნეთი ოთხი მუხლისგან შესდგება და შუადღის ლოცვის სუნნეთის მსგავსად სრულდება. პარასკევის სავალდებულო ლოცვის არსრულების შემდეგ კი ბოლო ოთხი მუხლი სუნნეთი სრულდება. ამის შემდეგ კი ზემოთ ნახსენები ზუჰრი აჰირის ლოცვა და შემდეგ ე.წ. დროის სუნნეთი, რომელიც ორი მუხლისგან შედგება.

აბდულლაჰ იბნ აბბასის გადმოცემით წმ. შუამავალი პარასკევის ლოცვის წინ და უკან ოთხ-ოთხ მუხლ სუნნეთს ასრულებდა.

XI- ბაირამი და ბაირამის ლოცვა

ბაირამი მხიარულებას, სიხარულს, დღესასწაულს ნიშნავს. წელიწადში ორჯერ, რამაზნის და მსხვერპლშეწირვის ბაირამის დღეებში მორწმუნეებს სიხარულის უამრავი მიზეზი აქვთ. ერთთვიანი მარხვის დასრულება, მოწყალება, ჰაჯობა, მსხვეპლის შეწირვა, ნათესავების და მეგობრების მონახულება და მათი გამასპინძლება და სხვა.

ბაირამის ლოცვა ჰიჯრის პირველ წელს დადგინდა. ენესი გადმოგვცემს:

“წმ. შუამავალის მედინაში ჩასვლამდე მედინელებს ორი დღესასწაული ჰქონდათ. შუამავალმა ჰკითხა მათ თუ როგორ ატარებდნენ ამ დღესასწაულს ისინი. მათ კი უპასუხეს, რომ ამ დღეებში ერთობოდნენ. ამის შემდეგ წმ. შუამავალმა ბრძანა, რომ ღმერთმა ამ ორი დღის მაგივრად უფრო სასიკეთო ორი დღე უწყალობა მათ და ესენია რამაზნის ბაირამი და მსხვერპლსეწირვის ბაირამი.”

ბაირამის ლოცვა ეყრდნობა წმ. წიგნის, სუნნეთის და იჯმას მტკიცებულებებს. ყურანში ნაბრძანებია:

فَصَلِّ لِرَبِّكَ وَانْحَرْ

ილოცე შენი ღმერთისთვის და მას დაუკალი შესაწირი! “ ქევსერ 108/2”

ამ აიათში ნახსენები ლოცვა ბაირამის ლოცვაა. გარდა ამისა არსებობს ურყევი მტკიცებულებები, რომ წმ. შუამავალი ორივე ბაირამის ლოცვას ასრულებდა. პირველი ბაირამის ლოცვა, რომელსაც წმ. შუამავალი წარუძღვა ჰიჯრის მეორე წელს შესრულდა.

იბნი აბბასი წმ. შუამავლის იმამობით შესრულებულ რამაზნის ბაირამის ლოცვას შემდეგნაირად არწერს:

“მე, წმ. შუამავალთან, აბუ ბაქართან, ომართან და ოსმანთან ერთად რამაზნის ბაირამის ლოცვას ვესწრებოდი. ყოველი მათგანი ბაირამის ლოცვას ჰუთბის წაკითხვამდე ასრულებდნენ. ერთხელაც წმ. შუამავლი ჰუთბედან ჩამოვიდა და მე მომეჩვენა, რომ ფეხზე წამოდგომის მსურველ მამაკაცებს ხელით ანიშნა ჯდომა გააგრძელეთო. შემდეგ მლოცველთა რიგებს შორის გაიარა და ბილალთან ერთად მანდილოსნების რიგებს მიუახლოვდა. მან, მანდილოსან მლოცველებს შემდეგი აიათები წაუკითხა:

يَا اَيُّهَا النَّبِىُّ اِذَا جَاءَكَ الْمُؤْمِنَاتُ يُبَايِعْنَكَ عَلٰى اَنْ لَا يُشْرِكْنَ بِاللّٰهِ شَيْئًا وَّلَا يَسْرِقْنَ وَلَا يَزْنِيْنَ وَلَا يَقْتُلْنَ اَوْلَادَهُنَّ وَلَا يَاْتِيْنَ بِبُهْتَانٍ يَّفْتَرِيْنَهٗ بَيْنَ اَيْدِيْهِنَّ وَاَرْجُلِهِنَّ وَلَا يَعْصِيْنَكَ فِىْ مَعْرُوْفٍ فَبَايِعْهُنَّ وَاسْتَغْفِرْ لَهُنَّ اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ غَفُوْرٌ رَّحِيْمٌ

ჰეი, შუამავალო! თუ მოვლენ შენთან მორწმუნე ქალები, რომლებიც შემოგფიცავენ,რომ არავის ეთაყვანებიან, გარდა ალაჰისა, არ მოიპარავენ, არ იმრუშებენ,არ მოკლავენ შვილებს, ტყუილს არ იტყვიან თავისი გაკეთებული საქმეების შესახებ, არ იჭორავებენ და არ გეურჩებიან არანაირ კეთილ საქმეში, ირწმუნე მათი და გამოსთხოვე ალლაჰს მათთვის პატიება. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია. “ მუმთეჰინე 60/12,

შემდეგ მანდილოსანთა სახელით ერთი ქალბატონი წამოდგა და “დიახ, ვფიცავთ! –წარმოთქვა. ამის შემდეგ წმ. შუამავალმა მოწყალების გაცემისკენ მოუწოდა, რის შედეგადაც ბილალის მიერ გაშლილ საფენზე ოქროს და ვერცხლის სამკაულები დაცვივდა.”

ებუ საიდ ელ ჰუდრი მოგვითხრობს, რომ წმ. შუამავალი რამაზნის და მსხვერპლშეწირვის დღესასწაულების ლოცვების დროს უპირველესად ლოცვის აღსრულებას წარუძღვებოდა. შემდეგ მლოცველებისკენ მიტრიალდებოდა და რჩევა-დარიგებებს მისცემდა, აძლევდა ბრძანებებსაც. მოწყალება გაიღეთო, მოუწოდებდა. ყვე-

ლაზე მეტ მოწყალებას სწორედ მანდილოსნები იღებდნენ.

ისევ იბნი აბბასი გადმოგვცემს, რომ წმ. შუამავალი ბაირამის ლოცვას ეზნის და ყამეთის გარეშე ასრულებდა.

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით ბაირამის ლოცვის სწორად შესრულების პირობები ჰუთბის გარდა პარასკევის (ჯუმის) სავალდებულო ლოცვას გავს. ჰუთბე კი პარასკევის ლოცვის დროს აუცილებელია, ხოლო ბაირამის ლოცვის დროს –სუნნეთი. გარდა ამისა, პარასკევის ლოცვის დროს ჰუთბე ლოცვამდე სრულდება, ხოლო ბაირამის დროს ლოცვის შემდეგ. პარასკევის ლოცვა ფარზია, მაშინ როცა ბაირამის ლოცვა ვაჯიბია.

ჰანბელის მიხედვით ბაირამის ლოცვა ფარზი ქიფაია, ხოლო შაფიი და მალიქი მიიჩნევენ, რომ ბაირამის ლოცვა მუექქედი სუნნეთია.

შაფის მიხედვით ბაირამის კოლექტიურად ლოცვა უფრო მადლია, მაგრამ მარტოდ ლოცვაც შეიძლება. ამიტომ მგზავრებს და მანდილოსნებს შეუძლიათ თვითონ შეასრულონ ეს ლოცვა.

ბაირამის ლოცვის დრო ჰორიზონტიდან მზის ერთი, ან ორი შუბის ტარის სიმაღლეზე ასვლის შემდეგაა. ეს დრო კი მზის ამოსვლიდან 50-55 წუთის გასვლის შემდეგ დგება და შუადღის ლოცვის დროის მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე სრულდება.

ორივე ბაირამის ლოცვა ორ-ორი მუხლია და კოლექტიურად ლოცვის შემთხვევაში ხმამაღლა სრულდება. შესაბამისი ნიეთის (განზრახვა) წარმოთქმის შემდეგ იმამიც და ჯემაათიც ჩვეულებრივ ასრულებენ თექბირს. შემდეგ კითხულობენ სუბჰანექეს. შემდეგ იმამი ხმამაღლა მლოცველები კი ხმადაბლა სამჯერ წარმოთქვამენ თექბირს და სამჯერვე ხელებს აწევენ მაღლა. ხელების ყოველი აწევის შემდეგ თავისუფლად ჩამოუშვებენ და ყოველი თექბირის შემდეგ სამჯერ -“სუბჰანალლაჰ” -წარმოთქმისათვის საკმარისი ხნით იცდიან. მესამე თექბირის შემდეგ ხელებს შეკრავენ. იმამი ხმადაბლა ამბობს “ეღუზუ ბესმელეს” და ხმამაღლა იწყებს ფათიჰას წაკითხვას. შემდეგ ისევ ცოტაოდენ ყურანს წაიკითხავს და თექბირის თანხლებით ქედს მოიხრის. ბუნებრივია მლოცველებიც მიყვებიან. შესრულდება ქედის მოხრა, სეჯდე და იმამი და მლოცველები მეორე მუხლის ლოცვას იწყებენ. იმამი ჩუმად წარმოთქვამს ბესმელეს და ხმამაღლა იწყებს ჰათიჰას. შემდეგ ისევ კითხულობს ცოტაოდენ ყურანს და როგორც წინა მუხლის დასაწყისში სამი დამატებითი თექბირი შესრულდა, ისე სრულდება

ახლაც. თექბირების შემდეგ იმამი და მლოცველები ქედს იხრიან, სრულდება ორივე სეჯდე, ბოლო ჯდომა თავისი საკითხავი ეთთეჰიათუს, სალლი ბარიქის და რაბბენას თანხლებით და ორივე მხარეს მისალმებით ლოცვა მთავრდება. როგორც აღწერაში იყო მითითებული ბაირამის ლოცვის ორივე მუხლზე სამ-სამი თექბირი დამატებით შესრულდა და ეს ვაჯიბია.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით ორივე მუხლზე წარმოსათქმელი თექბირები ყურანის კითხვამდე სრულდება. იმამ მალიქის და ჰანბელის მიხედვით ბაირამის ლოცვის პირველ მუხლზე 6 თექბირის წარმოთქმაა საჭირო, ხოლო მეორე მუხლზე -5. იმამ შაფიის მიხედვით კი პირველ მუხლზე 7 თექბირი უნდა წარმოითქვას, ხოლო მეორეზე -5.

ბაირამის ლოცვის შემდეგ იმამი ჰუთბეზე ადის და ჩამოჯდომის გარეშე ჰუთბის წაკითხვას იწყებს. როგოორც პარასკევის ლოცვის დროსაა ჰუთბე ორ ნაწილადაა გაყოფილი. ბაირამის ჰუთბის დროს გარკვეული პერიოდულობით როგორც იმამის, ისე ჯემაათის მხრიდან თექბირები წარმოითქმის. რამაზნის ბაირამის დროს ჰუთბეზე მყოფი იმამი ფითრის მოწყალების შესახებ საუბრობს, ხოლო მსხვეპლშეწირვის ბაირამის დროს მსხვერპლის შეწირვის მნიშვნელობაზე. პარასკევის ლოცვის დროს ჰუთბის წაკითხვისას რაც სუნნეთია, იგივეა ბაირამის ჰუთბის შესრულების დროსაც და ბუნებრივია მექრუჰიც -მექრუჰია.

ბაირამის ჰუთბის ლოცვამდე შესრულება მექრუჰია.

ბაირამის ლოცვის დროს თუ იმამს დაავიწყდა პირველი მუხლის თექბირები და დაიწყო ფათიჰას კითხვა, შემდეგ კი გაახსენდა შეუძლია შეასრულოს თექბირები და ხელახლა იკითხოს ფათიჰა. ხოლო თუ ფათიჰას შემდეგ საკითხავი სურა, ან აიათებიც წაიკითხა და შემდეგ გაახსენდა მხოლოდ თექბირების შესრულება ევალება. ფათიჰას და დამატებითი სურას განმეორებით წაკითხვა სავალდებულო აღარაა.

ბაირამის ლოცვის დროს თუ იმამი პირველი მუხლის ქედმოხრილ პოზიციაშია, ამ დროს შემოსწრებულ მლოცველს შეუძლია წარმოთქვას ლოცვის დასაწყისის თექბირი და სამი დამატებითი (თექბირების რაოდენობა თავისი მიმდინარეობის მიხედვით შეუძლია განსაზღვროს), ბაირამის თექბირები და მიყვეს იმამს. თუ ამ მუხლზე ჩამორჩენისგან ეშინია შეუძლია თექბირები არც შეასრულოს და პირდაპირ ლოცვის დასაწყისი თექბირის შემდეგ

ჩაერთოს ლოცვაში. ამ დროს ქედმოხრილ პოზიციაში შეუძლია თექბირები წარმოთქვას, ოღონდ ხელების აუწევლად. იმამის საწყის პოზიციაში დაბრუნებისას შემოსწრებულ მლოცველს თექბირები რომც არ ჰქონდეს დასრულებული უნდა მიყვეს იმამს. ამ სიტუაციაში გამოტოვებული თექბირების შესრულება უკვე აღარ ევალება. ის ვალდებულია მიყვეს იმამს იმ შემთხვევაშიც თუ იმამის მიერ წარმოთქმული თექბირების რაოდენობა მის მიერ ნაცოდინარს არ ემთხვევა. ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც იმამი და მლოცველი სხვადასხვა მიმდინარეობის არიან. თუმცა იმამის მიერ აღებული თექბირების რაოდენობამ თუ ჰადისებით გადმოცემულს გადააჭარბა მლოცველს შეუძლია არ მიყვეს.

რომელიც ბაირამის ლოცვას მეორე მუხლზე მიუსწრებს გამოტოვებული წინა მუხლის ანაზღაურებისას ჩვეულებრივ შეასრულებს თექბირებს და რაოდენობასაც თავისი მიმდინარეობის მიხედვით განსაზღვრავს.

თუ ბაირამის ლოცვა და მიცვალებულის (ჯენაზე) ლოცვა ერთმანეთს დაემთხვა ჯერ ბაირამი უნდა შესრულდეს, შემდეგ ჯენაზე და შემდეგ ჰუთბე.

მლოცველი, რომელიც ვერ მიუსწრებს ბაირამის ლოცვას თავისით ვერ ილოცავს.

რამაზნის ბაირამის ლოცვა ცოტა შეგვიანებით აღსრულება მუსთეჰაბია, მაგრამ მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის ლოცვა არ უნდა დაგვიანდეს.

ბაირამის ლოცვა ერთ ქალაქში ერთზე მეტ ადგილას ლოცვა დასაშვებია.

ბაირამის დღეებში დილას ადრე წამოდგომა, განბანვა, სხეულის და ტანსაცმლის მოწესრიგება, მოწყალების გაღება, ნათესავებისა და მეგობრების მოკითხვა, მათთან სტუმრობა და ასევე გამასპინძლება, ბაირამის ღამეების ღვთისმსახურებაში გატარება და სიხარულის გამოხატვა მუსთეჰაბია.

რამაზნის დღესასწაულის ლოცვამდე ჰურმის მსგავსი, რაიმე ტკბილის მირთმევა, ხოლო მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის ლოცვამდე ჭამისგან თავის შეკავება მუსთეჰაბია.

ბურეიდეს გადმოცემით წმ. შუამავალი რამაზნის დღესასწაულის ლოცვის აღსრულებამდე საჭმელს მიირთმევდა მაგრამ მსხვერპ-

ლშეწირვის დღესასწაულის ლოცვამდე არაფერს მიირთმევდა. ამის მიზეზი მსხვერპლად შეწირული ხორცისთვის დალოდება იყო. მორწმუნისათვის მნიშვნელობა არ აქვს თვითონ სწირავს თუ არა მსხვერპლს. ამასთანავე ლოცვამდე რაიმის მირთმევა სასჯელს ან ცოდვას არ გულისხმობს.

მსხვერპლის შეწირვას ვინც აპირებს, ზილ ჰიჯჯეს ათი დღის განმავლობაში თმა და ფრჩხილები რომ არ მოიჭრას მენდუბია. ამით ის ჰაჯობაზე წასულ მომლოცველებს ემსგავსება.

საერთოდ, კვირაში ერთხელ ფრჩხილების და ულვაშების დამოკლება, აგრეთვე იღლიის ქვეშა და ბოქვენის მიდამოებში ზედმეტი ბანალის მოცილება და ხშირი განბანვა მორწმუნე ადამიასთვის კარგი და მადლიანი საქციელია.

“თეშრიყ” –ის თექბირები

ბაირამის წინა დღეს არაფა დღე ეწოდება. არაფა დღის დილის ლოცვიდან ბაირამის მეოთხე დღის სამხრობის ლოცვის ჩათვლით 23 დროის სავალდებულო ლოცვის შემდეგ წარმოსათქმელ თექბირებს თეშრიქის თექბირები ეწოდება.

თექბირების 23 დროის ლოცვაზე გადანაწილება ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედულების მიხედვითაა და შესაბამისი ფეთვაც (გადაწყვეტილება) ამის მიხედვით გამოიცა. ებუ ჰანიფეს მიხედვით კი ეს თექბირები იწყება არაფას დღის დილის ლოცვიდან და ბაირამის პირველი დღის სამხრობის ლოცვის დროს მთავრდება. ამ შემთვევაში 8 თექბირი გამოდის.

ამ თექბირების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი სწავლულის აზრით ისინი ვაჯიბია. ზოგი კი თვლის, რომ ისინი სუნნეთია. ებუ იუსუფი და იმამი მუჰამმედი მიიჩნევენ, რომ ვისაც ლავალდებულო ლოცვის შესრულება ევალება მისთვის ამ თექბირების წარმოთქმა ვაჯიბია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ადგილობრივს და მგზავრს, მამაკაცსა და ქალს, ქალაქში მცხოვრებსა და სოფლელს. ამრიგად ეს თექბირები მარტოდ ლოცვის შემთხვევაშიც სრულდება და კოლექტიური ლოცვის შემდეგაც. გაცდენის, ან გამოტოვების შემთხვევაში შესაძლებელია მათი შემდგომში ანაზღაურებაც. მამაკაცები ხმამაღლა წარმოთვამენ თექბირს, ხოლო მანდილოსნები -ხმადაბლა. ვითრის და ბაირამის ლოცვების შემდეგ თექბირის წაკითხვა არ შეიძლება.

ებუ ჰანიფეს მიხედვით აღნიშნული თექბირები ვაჯიბი რომ იყოს

საჭიროა პიროვნება იყოს ადგილობრივი, თავისუფალი, მამაკაცი და კონკრეტულ ლოცვას ჯემაათთან ერთად ასრულებდეს. გამომდინარე აქედან მგზავრის, პატიმრის, მანდილოსნის და მარტოდ მლოცველისთვის ვაჯიბი არ არის. თუმცა ისინი თუ იმამს მიყვებიან სხვა მლოცველებთან ერთად შეუძლიათ თექბირები წარმოთქვან. პატარა დასახლებულ პუნქტებში, სადაც პარასკევის და ბაირამის ლოცვები არ სრულდება არც აღნიშნული თექბირებია ვაჯიბი.

თუ ბაირამის დღეებში გაცდენილი ლოცვის სხვა დროს ანაზღაურება ხდება ამ თექბირების წარმოთქმა საჭირო არაა.

ბაირამის დღეებში მორწმუნეთა მიერ ერთმანეთის მოკითხვა და ტკბილად მისალმება მენდუბია.

XII- ნაფილე, ან თათავვუ ლოცვა

ფარზის და ვაჯიბის გარდა არსებული ლოცვები, რომელთა შესახებ არსებობს ვარაუდი, რომ შუამავალი მათ ასრულებდა ნაფილე ჰქვია. ნაფილე ლოცვები ორ ნაწილად ჯგუფდებიან; სუნნეთი ნაფილე და მენდუბი ნაფილე ლოცვები. სუნნეთი ნაფილე ლოცვები წმ. შუამავლის მიერ სისტემატიურად შესრულებული ლოცვებია, რომლებიც იშვიათად გამოუტოვებია ხოლმე. ზოგჯერ ამგვარი ქმედებით ის ადამიანებს მიანიშნებდა, რომ აღნიშნული ღვთისმსახურება ფარზი არ იყო. რაც შეეხება მენდუბ ნაფილე ლოცვებს, წმ. შუამავლს ისინი ზოგჯერ შეუსრულებია, ზოგჯერ კი -არა.

არსებობს სხვა განმარტება, რომლის მიხედვითაც დროის ლოცვების და პარასკევის ლოცვის თანმხლები სუნნეთები ცალკე კონტექსტში განიხილება და მათი შესრულების წესრიგიდან და ინტენსიურობიდან გამომდინარე "რევათიფ სუნნეთი" ეწოდათ. ამათგანაც სუნნეთი ორ ჯგუფად იყოფა; მუექქედი და გაირი მუექქედი. მუექქედ სუნნეთს მოვიხსენიებთ როგორც სუნნეთს, ხოლო გაირი მუექქედ სუნნეთს –როგორც მუსთეჰაბს, ან მენდუბს. თარავის ლოცვაც როგორც წესი ღამის ლოცვის შემდეგ სრულდება, ამიტომ ისიც "რევათიფ"-ის კატეგორიაში შედის.

ა) მუექქედი სუნნეთები

ხუთი დროის და პარასკევის ლოცვასთან ერთად შესასრულებელი სუნნეთების ერთი ნაწილი მუექქედია.

არსებობს ჰადისი, რომელიც უმმუ ჰაბიბეს, წმ. აიშეს, ებუ ჰურაირას, ებუ მუსა ელ ეშარის, და იბნი ომერის მიერაა გადმოცემული და მითითებულია რომ:

“ ვინც დღე-ღამის განმავლობაში სავალდებულო ლოცვების გარდა 12 მუხლ ლოცვას ილოცავს გამჩენი ღმერთი მისთვის სამოთხეში სახლს ააგებს. ესენია: დილის ლოცვის წინა ორი მუხლი, შუადღის ლოცვის წინა ოთხი მუხლი და მის შემდეგ ორი მუხლი, საღამოს ლოცვის შემდეგ ორი მუხლი და ღამის ლოცვის შემდეგ ორი მუხლი.”

დროის ლოცვებთან ერთად შესასრულებელი მუექქედი სუნნეთები.

1) დილის ლოცვამდე შესასრულებელი ორი მუხლი სუნნეთი. ეს ლოცვა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სუნნეთია. ამის მტკიცებულებად არსებობს მრავალი ჰადისი, სადაც მითითებულია თუ რაოდენ მადლის და სიკეთის მომტანია დილის ლოცვის სუნნეთი. ერთ –ერთი ჰადისით ცნობილია, რომ ჰეიბერის ლაშქრობიდან მობრუნებულ შუამავალს და მის მეგობრებს დილის ლოცვაზე გაღვიძება დაუგვიანდათ. ამიტომ მზის ამოსვლის შემდეგ წმ. შუამავალმა ჯერ ორი მუხლი ილოცა და შემდეგ ორი მუხლი ფარზი.

მსგავსი ჰადისებიდან გამომდინარე დილის ლოცვის გაცდენის შემთხვევაში მზის ამოსვლის შემდეგ ფარზთან ერთად, როგორც გამონაკლისის სუნნეთის ანაზღაურებაც შეიძლება.

თუ მორწმუნე დილის სუნნეთის ლოცვამდე ლოცვის პროცესში მყოფ ჯემაათთან ერთად ლოცვას დააპირებს ვალდებულია ჯერ დილის სუნნეთი შეასრულოს და შემდეგ ჩაერთოს ლოცვაში, მაგრამ თუ მიხვდა, რომ ამის გამო ფარზს ნამდვილად ვეღარ მიუსწრებს შეუძლია სუნნეთი გამოტოვოს და ჯემაათთან ერთად ლოცვაში ჩაერთოს. ჰანეფის მიხედვით დილის ლოცვა არემარის განათების შემდეგ უფრო მადლია.

2) შუადღის სავალდებულო ლოცვამდე 4 მუხლი სუნნეთი. ესეც მუექქედი სუნნეთია. წმ. აიაშეს გადმოცემით წმ. შუამავალს დილის ორი მუხლი და შუადღის ოთხი მუხლი სუნნეთი არასოდეს გამოუტოვებია. წმ. ალის მიერ გადმოცემულ ჰადისში კი ნათქვამია, რომ: “ წმ. შუამავალი შუადღის ლოცვის წინ ოთხ, ხოლო შუადღის ლოცვის შემდეგ ორ მუხლ ლოცვას ასრულებდა.

3) შუადღის ლოცვის შემდეგი ორი მუხლი სუნნეთი. ესეც მუ-

ექქედი სუნნეთია, ხოლო მისი ოთხ მუხლად ლოცვა მენდუბია.

4) საღამოს ლოცვის შემდეგი ორი მუხლი სუნნეთი. ეს სუნნეთიც მუექქედი სუნნეთის კატეგორიაში შედის, რომელსაც წმ. შუამავალი სისტემატიურად ასრულებდა.

5) ღამის ლოცვის ბოლო ორი მუხლი სუნნეთი. ცნობილ ჰადისში საუბარია 12 მუხლ სუნნეთზე. ამათგან ორი მუხლი სწორედ ღამის ლოცვის ბოლო ორი მუხლი სუნნეთია.

6) თარავიჰის ლოცვა. თარავიჰი არაბული სიტყვაა და "დასვენებას, მოსვენებას " ნიშნავს. აღნიშნული ლოცვა რამაზნის თვეში, ღამის ლოცვის შემდეგ სრულდება. მისი ლოცვის პროცესში ყოველი ოთხი მუხლის შემდეგ ჯდომას "თერვიჰა" ეწოდებოდა. მოგვიანებით კი ამ სიტყვამ მრავლობითი ფორმა "თერავიჰ"-ი მიიღო და ლოცვის სახელწოდებად იქცა. თარავიჰის ლოცვა მამაკაცებისთვის და მანდილოსნებისთვისაც მუექქედი სუნნეთია. თარავის კოლექტიურად ლოცვა ქიფაი სუნნეთია.

ცნობილია, რომ თარავიჰის ლოცვას წმ. შუამავალი უმეტესად მარტო ლოცულობდა და მხოლოდ რამოდენიმეჯერ ულოცავს ჯემაათთან ერთად. წმ. აიშე მოგვითხრობს, რომ რამაზნის თვის ერთ საღამოს, ღამის ლოცვის შემდეგ წმ. შუამავალმა მეჩეთში ლოცვა აღსრულა. იქ მყოფმა მორწმუნეებმაც მას მიბაძეს და იგივე ლოცვა შეასრულეს. დილას კი ურთიერთშორის წუხანდელი ლოცვის შესახებ საუბრობდნენ თურმე. მეორე საღამოს უფრო მეტი ხალხი შეიკრიბა და იგივე ლოცვა შუამავალთან ერთად ილოცეს. დილას კი ისევ ამ ახალი ლოცვის შესახებ ბჭობდნენ. მესამე ღამეს უფრო მეტი მლოცველი შეიკრიბა და წმ. შუამავალთან ერთად ილოცეს. მეოთხე ღამეს ისევ მოგროვდა ხალხი, მაგრამ წმ. შუამავალი სალოცავად აღარ გამოსულა. დილას კი, როდესაც დილის ლოცვა შეასრულეს წმ. შუამავალი მლოცველებს მიუბრუნდა და უთხრა: "წუხელ გნახეთ. არც ხელს მიშლიდა რაიმე, რომ ეს ლოცვა შეგვესრულებინა, მაგრამ იმის შემეშინდა ეს ლოცვა თქვენთვის ფარზი (სავალდებულო) არ გამხდარიყო და არ გაგძნელებოდათ!"

თარავიჰის ლოცვა ღამის ლოცვის შემდეგ და ვითრის წინ სრულდება. ამ ლოცვის შესრულების ღამის ნახევრის, ან ერთი მესამედის გასვლამდე მოცდა მუსთეჰაბია. გაცდენილი თარავიჰის ლოცვის შემდგომში ანაზღაურება არ შეიძლება. თარავიჰის მარტო ლოცვაც დასაშვებია. თუმცა კოლექტიურად ლოცვა უფრო მეტი მადლია.

თარავიჰის ლოცვა 20 მუხლია. თარავიჰის ლოცვისას ყოველ ორ მუხლზე მისალმებით ათ ნაწილად გაყოფა უფრო მეტი მადლია. შესაძლებელია აგრეთვე ყოველ ოთხ მუხლზე გაყოფა და ხუთ ნაწილად შესრულება. შეიძლება აგრეთვე რვა, ათ და ოც მუხლზე მისალმებით ლოცვის შესრულება.

თარავიჰის ლოცვას თუ ორ-ორ მუხლად დავყოფთ საღამოს ლოცვის სუნნეთის მსგავსად სრულდება. თუ ოთხ-ოთხ ნაწილად დავყოფთ, მაშინ ღამის ლოცვის ოთხი მუხლი სუნნეთის მსგავსად უნდა შესრულდეს. დასაწყისში და ყოველ დაჯდომის შემდეგ სუბჰანექე და ეუზუ ბესმელე უნდა წარმოვთქვათ, ხოლო ყოველ ჯდომის პოზიციაში ეთთეჰიათუსთან ერთად სალლი ბარიქიც იკითხება.

თარავიჰის ლოცვას იმამი ხმამაღლა ასრულებს.

ჰანეფის მიხედვით თარავიჰის ლოცვის რაოდენობა და კოლექტიურად ლოცვის ფორმა წმ. ომარის მიერ შესრულებულ მაგალითს ეყრდნობა. აბდურრაჰმან იბნ აბდიყარი მოგვითხრობს:

“ერთხელ ომართან ერთად მესჯიდი ნებევიში წავედით. მლოცველები მიმოფანტული იყვნენ. ზოგი მარტო, ზოგი კიდევ პატარა ჯგუფებად ლოცულობდნენ. წმ. ომარმა თქვა, კარგი იქნება თუ ამათ ერთი იმამის უკენ შევკრებო და უბეი იბნ ქაბის იმამის მოვალეობის შესრულება დაავალა. მეორე დღეს ისევ ომართან ერთად მივედი მეჩეთში და ყველა მლოცველი იმამის უკან მდგარი ვნახეთ. ყველანი ერთად ლოცვას აღავლენდნენ.

ამის შემდეგ არც ხალიფა ომარის და არც სხვა ხალიფების დროს მესჯიდი ნებევიში ოცი მუხლი თარავის კოლექტიურად ლოცვის წინააღმდეგი არავინ ყოფილა. წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ჩემს მერე, ჩემი და ხალიფების სუნნეთი არ მიატოვოთ!”

გარდა ამისა არსებობს ვარაუდი, რომლის თანახმად იბნი აბბასი ღამის ლოცვის შემდეგ ოც მუხლ თარავიჰის ლოცვას ასრულებდა მარტო, ხოლო შემდეგ სამ მუხლ ვითრის ლოცვას.

ებუ ჰანიფემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ხალიფა ომარს თარავის ამდაგვარი შესრულების ფორმა თავისით არ შეუმუშავებია, რადგან თარავი საკმაოდ ძლიერი სუნნეთია. მას არც ახალი რამ გამოუგონია. მხოლოდ რაც იცოდა იმაზე დაყრდნობით გაავრცელა.

ჰადისის ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ წმ. შუამავალი თარავიჰის ლოცვას 8 მუხლს ლოცულობდა. ამის მტკიცებულება

წმ. აიშეს მიერ ბუჰარის და სხვების საშუალებით გადმოცემული ჰადისია, რომლის თანახმადაც წმ. შუამავალს რამაზნის თვეში და სხვა თვეებშიც 11 მუხლზე მეტი ნაფილე ლოცვა არ შეუსრულებია. ერთხელ წმ. აიაშე ღვთის შუამავალს ეკითხება თურმე: -თარავიჰის ლოცვის გარეშე უნდა დაიძინო? –აიშე, ჩემი თვალები იძინებენ, გული კი –არა. –მიუგო ღვთის შუამავალმა. გარდა ამისა, ჯაბირის მიერ გადმოცემულ ჰადისში მითითებულია, რომ წმ. შუამავლი 8 მუხლი თარავიჰის შემდეგ 3 მუხლ ვითრს გვალოცებდაო.

გამომდინარე აქედან, თარავიჰის ლოცვა 8 მუხლი მუექქედი სუნნეთია. ამაში ეჭვი არ არსებობს. იბნულ ჰუმამი და ზოგიერთი სწავლული მიიჩნევდნენ, რომ დანარჩენი მუხლები მუსთეჰაბია.

7) პარასკევის ლოცვის წინ და ასევე პარასკევი ლოცვის შემდეგ შესასრულებელი ოთხი მუხლი სუნნეთი და აგრეთვე ზუჰრი აჰირის შემდეგი დროის სუნნეთი მუექქედი სუნნეთის კატეგორიაში შედის. თუმცა ამ ლოცვების სისტემატიურობის, მუხლების რაოდენობის და სალოცავი ადგილის შესახებ სხვადასხვა ვარაუდები არსებობს.

ბ) გაირი მუექქედ-ი (არამუექქედი) სუნნეთები

ესენი წმ. შუამავლის მიერ უმეტესწილად შესრულებული, მაგრამ ზოგჯერ გამოტოვებული სუნნეთებია.

1) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შუადღის ლოცვის ფარზის შემდეგი ორი მუხლი სუნნეთის ოთხ მუხლად ლოცვის შემთხვევაში დამატებული ბოლო ორი მუხლი.

2) სამხრობის ლოცვის ოთხი მუხლი სუნნეთი.

3) ღამის ლოცვის წინა ოთხი მუხლი სუნნეთი. ესენი სავალდებულო ლოცვებთან ერთად შესასრულებელი ნაფილე სუნნეთებია. ამათ გარდა არსებობს დამოუკიდებლად შესასრულებელი ნაფილე ლოცვების.

გ) მენდუბი (დამოუკიდებელი) ლოცვები

ხუთი დროის ლოცვასთან ერთად შესასრულებელი სუნნეთების გარდა არსებობს სხვა ნაფილე ლოცვები, რომლებიც მუსთეჰაბის, მენდუბის და თათავვუს სახელითაა ცნობილი.

1) თეჰეჯჯუდის ლოცვა

თეჰეჯჯუდის შესატყვისი ქართული სიტყვა ძილღვიძილია. როგორც რელიგიური ტერმინი ეს არის ღამეში გაღვიძება და ლოცვის აღსრულება, ანუ ღამის ლოცვა. ღამის ლოცვის შემდეგ დაძინების გარეშე, ან ცოტა ჩაძინების და შემდეგ გაღვიძებისას აღსრულებული ლოცვა ღამის ლოცვის სახელითაა ცნობილი. თუ მორწმუნე ღამეში გაიღვიძებს და შუაღამიდან მარხვის დაწყების დრომდე ლოცვას აღავლენს ეს უკვე თეჰეჯჯუდია. თეჰეჯჯუდის ლოცვა ორი მუხლიდან რვა მუხლამდეა.

ყურანში თეჰეჯჯუდის შესახებ შემდეგი აიათია მოვლენილი:

79. და ღამის ერთ ნაწილში ილოცე (ყურანით), კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული! “ ისრა 17/79. “

თეჰეჯჯუდის შესახებ არსებობს სხვა აიათებიც:

اِنَّ رَبَّكَ يَعْلَمُ اَنَّكَ تَقُومُ اَدْنٰى مِنْ ثُلُثَىِ الَّيْلِ وَنِصْفَهُ وَثُلُثَهُ وَطَآئِفَةٌ مِنَ الَّذ ينَ مَعَكَ وَاللّٰهُ يُقَدِّرُ الَّيْلَ وَالنَّهَارَ عَلِمَ اَنْ لَنْ تُحْصُوهُ فَتَابَ عَلَيْكُمْ ۚ فَاقْرَؤُا مَا تَيَسَّرَ مِنَ الْقُرْاٰنِ عَلِمَ اَنْ سَيَكُونُ مِنْكُمْ مَرْضٰى وَاٰخَرُونَ يَضْرِبُونَ فِى الْاَرْضِ يَبْتَغُونَ مِنْ فَضْلِ اللّٰهِ وَاٰخَرُونَ يُقَاتِلُونَ ف ى سَب يلِ اللّٰهِ فَاقْرَؤُا مَا تَيَسَّرَ مِنْهُ وَاَق يمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَاَقْرِضُوا اللّٰه قَرْضًا حَسَنًا وَمَا تُقَدِّمُوا لِاَنْفُسِكُمْ مِنْ خَيْرٍ تَجِدُوهُ عِنْدَ اللّٰهِ هُوَ خَيْرًا وَاَعْظَمَ اَجْرًا وَاسْتَغْفِرُوا اللّٰه اِنَّ اللّٰه غَفُورٌ رَح يمٌ

უეჭველად, შენი ღმერთი უწყის, რომ შენ ლოცვას აღავლენ სულ მცირე ღამის ორ მესამედ ან ამის ნახევარს, ან მის მესამედს, და ერთი ჯგუფი იმათგან, რომელნიც შენთან ერთად არიან. და ალლაჰმა გამოთვალა დღე და ღამე, იგი უწყის, რომ თქვენ ვერ გამოთვლიდით მას. ამიტომაც მოგიტევათ თქვენ. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ ყურანისგან. იგი უწყის, რომ თქვენგან ერთი ნაწილი ავად გახდებოდა და სხვა დანარჩენები იმოგზაურებდნენ დედამიწაზე ალლაჰის წყალობის საძიებლად. და კიდევ სხვები იბრძვიან ალლაჰის გზაზე. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ მისგან და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და ასესხეთ ალლაჰს კეთილი სესხი. და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან, უფრო დიდი სიკეთედ და უდიდეს საზღაურად. და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ, რამეთუ ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია! “ მუზემმილ 73/20. ,

تَتَجَافٰى جُنُوبُهُمْ عَنِ الْمَضَاجِعِ يَدْعُونَ رَبَّهُمْ خَوْفًا وَطَمَعًا وَمِمَّا رَزَقْنَاهُمْ يُنْفِقُونَ

ისინი საწოლებს განშორდებიან თავიანთ ღმერთზე შესავედრებლად ძრწოლვით და სასოებით, და რა სარჩოც ვუბოძეთ, გაიღებენ იქიდან! „სეჯდე 32/16. ,

وَعِبَادُ الرَّحْمٰنِ الَّذ ينَ يَمْشُونَ عَلَى الْاَرْضِ هَوْنًا وَاِذَا خَاطَبَهُمُ الْجَاهِلُونَ قَالُوا سَلَامًا

وَالَّذ ينَ يَب يتُونَ لِرَبِّهِمْ سُجَّدًا وَقِيَامًا

ხოლო მოწყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმეცარი შემოხვდებათ ეუბნებიან: „სალამი !“

რომელნიც ღამეს ატარებენ გართხმულნი და ფეხზე მდგარნი თავისი ღმერთის წინაშე, „ფურყან 25/63-64. ,

كَانُوا قَل يلًا مِنَ الَّيْلِ مَا يَهْجَعُونَ

ცოტას თუ წაიძინებდნენ ღამით. ზარიათ 51/17.

აბდულლაჰ იბნ ომერი სიზმარში ნახავს, რომ ჯოჯოხეთის უფსკრულშია. მას მიუახლოვდება ანგელოზი და ეტყვის:

-“ნუ გეშინია, შენ აქედან გააღწევ!” იბნ ომერი წმ. შუამავალს მოუყვება სიზმარს. წმ. შუამავალი ბრძანებს: -“აბდულლაჰი რა კარგი ღვთისმსახურია, მაგრამ ღამეში ადგომა და ლოცვის აღსრულება წესად რომ აქციოს უფრო უკეთესი იქნება!”

ამის შემდეგ აბდულლაჰმა ძილი შეამცირა.

ბილალის გადმოცემით წმ. შუამავალი ბრძანებდა: “სისტემატიურად აღავლინეთ ღამის ლოცვა, რადგან ეს თქვენამდელი მადლიან ღვთისმსახურთა წესი იყო. ის არის თქვენს გამჩენთან დაახლოების გზა. ის დაგიფარავს ბოროტების და ცოდვისაგან! სხვა ჰადისში ნაბრძანებია, რომ ფარზის შემდეგ ყველაზე მადლიანი ლოცვა ღამის ლოცვაა.

აბდულლაჰ იბნ აბბასი თავის დეიდასთან იყო სტუმრად, რომელიც იმავდროულად წმ. შუამავლის მეუღლე იყო. აბდუულლაჰი წმ. შუამავლის ღამის ღვთისმსახურებით დაინტერესდა, დეიდამ კი შემდეგი მოუყვა: “ღვთის შუამავალი ღამის ერთი მესამედის გასვლის შემდეგ წამოდგა საწოლიდან, ცაში აიხედა და ალი იმრანის სურას ბოლო ათი აიათი წაიკითხა. შემდეგ მცირე განბან-

ვა შეასრულა და ილოცა. მეც იგივე გავიმეორე. ორ-ორ მუხლად თორმეტი მუხლი ილოცა და ერთიც ვითრი. შემდეგ ბილალმა ეზანი იკითხა. შუამავალმა ორი მუხლი კიდევ ილოცა, შემდეგ წავიდა და სხვებთან ერთად დილის სავალდებულო ლოცვა შეასრულა.

რამაზნის და მსხვერპლშეწირვის დრესასწაულის წინა ღამეს, ყადირის ღამეს, რამაზნის თვის ბოლო ათი ღამის, შაღბანის თვის მეთხუთმეტე ღამის ღვთისმსახურებაში გატარება მენდუბია. შეიძლება მთელი ღამის, ან ღამის უმეტესი ნაწილის ღვთისმსახურებაში გატარება.

ზემოთ ნახსენები ღვთისმსახურების შესრულებისათვის მეჩეთში, ან სადმე სხვა ადგილას შეკრება მექრუჰია, რადგან არც ღვთის შუამავალს და არც მის თანამოღვაწე მეგობრებს ეს არ გაუკეთებიათ. თუმცა მორწმუნეს შეუძლია სასურველი რაოდენობის გაცდენილი ლოცვების ასანაზღაურებლად "ყაზა" ლოცვა და ღამის ნაფილე ლოცვა შეასრულოს. შეიძლება ყურანის კითხვა, ღმერთის ხსენება და განდიდება, ლოცვა და ვედრება.

2) ყუშლუქის ლოცვა

აბუ ჰურაირას გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: " ვინც სისტემატიურად ორ მუხლ ქუშლუქის ლოცვას სისტემატიურად აღავლენს ცოდვები ზღვის ქაფივით ბევრიც რომ ჰქონდეს მიეტევება."

ენეს იბნ მალიქი კი შემდეგი შინაარსის ჰადისს გადმოგვცემს: "ვინც თორმეტ მუხლ ქუშლუქს ილოცავს გამჩენი მისთვის სამოთხეში კოშკს ააგებს."

აბდულლაჰ იბნ შაყიყი დაინტერესდა თუ ლოცულობდა წმ. შუამავალი ქუშლუქს და ამის შესახებ წმ. აიშეს შეეკითხა. –არა, მხოლოდ მგზავრობიდან დაბრუნებისას ლოცულობდაო. – უპასუხია წმ. აიშეს. მუღაზის გადმოცემით კი წმ. შუამავალს 4 მუხლი ქუშლუქი ულოცავს.

უმმუ ჰანი ბინთი ები თალიბი იხსენებს, რომ მექას აღებისას წმ. შუამავალმა 8 მუხლი ქუშლუქი ილოცა.

ქუშლუქის ლოცვა მუსთეჰაბია და მისი ლოცვა დილას, მზის ერთ შუბისტარის სიმაღლეზე ასვლის შემდეგ შუადღემდე შეიძლება. ანუ მზის ამოსვლიდან 45-50 წუთის შემდეგ.

3) ევვაბინის ლოცვა

ევვაბი მომნანიებელს ნიშნავს. მისი მრავლობითი ფორმა ევვაბინ მომნანიებლების ლოცვას ეწოდება. ეს ლოცვა 6 მუხლია და საღამოს ლოცვის შემდეგ სრულდება. შესაძლებელია მისი ერთ, ორ და სამ ნაწილად ლოცვა. ამ ლოცვის შესახებ ყურანშიცაა საუბარი:

رَبُّكُمْ اَعْلَمُ بِمَا فِ ى نُفُوسِكُمْ اِنْ تَكُونُوا صَالِحِ ينَ فَاِنَّهُ كَانَ لِلْاَوَّابِ ينَ غَفُورًا

თქვენმა ღმერთმა ყველაზე უკეთ იცის, რა გიზით თქვენ სულში. თუკი იქნებით კეთილისმქმნელნი , მაშინ, უეჭველად, შემნდობია იგი მომნანიეთა! “ ისრა 17/25. “

ამმარ იბნ იასირის მიერ გადმოცემულ ჰადისში წერია: “ვინც საღამოს ლოცვის შემდეგ 6 მუხლ ლოცვას შეასრულებს ზღვის ქაფივით ბევრი ცოდვაც რომ ჰქონდეს მიეტევება.”

ცნობილია რომ წმ. შუამავალი საღამოს ლოცვის შემდეგ 6 მუხლ ლოცვას ლოცულობდა.

4) მეჩეთში შესვლისას შესასრულებელი ნამაზი

მეჩეთში შესვლისას შესასრულებელი ლოცვა. მეჩეთი ღმერთის სახლია, ამიტომ იქ შემსვლელი მორწმუნე მასზე მისასალმებლად და მის განსადიდებლად ორ მუხლ ლოცვას ასრულებდა. აღნიშნული ლოცვა მენდუბია. დღის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით მეჩეთში შესვლის შემთხვევაში აღნიშნული ლოცვის მხოლოდ ერთხელ ლოცვა საკმარისია.

აღნიშნული ლოცვა მეჩეთში შესვლისთანავე, დაჯდომამდე უნდა შესრულდეს. დაჯდომის შემდეგაც შეიძლება მისი შესრულება. ებუ ყათადეს მიერ გადმოცემულ ჰადისში წერია: “მეჩეთში შემოსვლისთანავე, სანამ დაჯდებოდეთ ორი მუხლი ლოცვა აღასრულეთ.” ეს ლოცვა მხოლოდ მესჯიდი ჰარამში არ სრულდება.

ჰანეფის და მალიქის მიხედვით აკრძალულ დროს მეჩეთში შესვლისას ეს ლოცვი არ სრულდება, მაგრამ შაფიი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ დროს, მეჩეთში შესვლისას ამ ლოცვის აღსრულება მისაღებია.

გარდა ამისა, მეჩეთში რომელიმე ლოცვის, ან სავალდებულო ლოცვის აღვლენისთვის იმამზე მიყოლის განზრახვით შესვლა აღნიშნული ლოცვის მაგივრობასაც ასრულებს.

5) დიდი და მცირე განბანვის(აბდესთი) შემდგომ შესასრულებელი ლოცვა

დიდი და მცირე განბანვის შემდეგ, თუ დრო და პირობები ხელსაყრელია, სანამ სისველე გაშრებოდეს ორი მუხლი ლოცვის აღსრულება ჰანეფის მიხედვით მენდუბია, ხოლო შაფის მიხედვით -სუნნეთი.

გარდა ამისა მცირე განბანვისთანავე რომელიმე ლოცვის აღსრულება აღნიშნული ლოცვის ადგილსაც დაიჭერს.

ამ ლოცვის შესახებ არსებობს ჰადისიც: "აბდესთის შემდეგ ვინც ადგება და მთელი გრძნობით ილოცავს წარსულის ცოდვები ეპატიება." აქ ყურადღება უნდა მიექცეს ჯილდოს სიდიდეს.

იჰრამში შესვლისას ორი მუხლი ლოცვა მუსთეჰაბად ითვლება.

6) გამგზავრების წინ და მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ სალოცავი ლოცვა

მართლმორწმუნე მუსლიმის მიერ სადმე გამგზავრებამდე, ან მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ ორი მუხლი ლოცვის აღსრულება მენდუბია. წასვლის წინ სახლში, ხოლო დაბრუნების შემდეგ მეჩეთში ლოცვა უფრო მეტი მადლია. წმ, შუამავალი მგზავრობიდან დღისით როცა ბრუნდებოდა მესჯიდი ნებევიში შევიდოდა, ორ მუხლ ლოცვას ასრულებდა და ცოტა ხანი იქ რჩებოდა.

ამ ლოცვის მიზანი მგზავრობის კეთილად და მშვიდობიანად დასრულებისთვის გამჩენის მიმართ მადლიერების გამოხატულებაა.

7) ჰაჯეთის ლოცვა

მორწმუნე ადამიანი ამ ქვეყნიური, ან საიქიო სასუფევლისთვის გამჩენს ევედრება. ამისათვის შეუძლია ღამის ლოცვის შემდეგ ორი, ოთხი, ან თორმეტი მუხლი ლოცვა აღავლინოს. ლოცვის შემდეგ ახსენებს და განადიდებს ღმერთს, წმ. შუამავალს კი სალათუსსალამს მიუძღვნის. შემდეგ წაიკითხავს ჰაჯეთის ლოცვას და მისი სურვილის შესრულებას შეევედრება ღმერთს.

8) ისტიჰარეს ლოცვა

ისტიჰარე სიკეთის სურვილს ნიშნავს. ზოგჯერ ადამიანს რაიმე საქმესთან ან პრობლემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უჭირს და არ იცის როგორ მოიქცეს. ასეთ დროს იმ საქმის მცოდნე და გამოცდილ ადამიანეთან საუბარი და რჩევა-დარიგების მოსმენა სუნნეთია. ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

فَبِمَا رَحْمَةٍ مِنَ اللّٰهِ لِنْتَ لَهُمْ وَلَوْ كُنْتَ فَظًّا غَلِيظَ الْقَلْبِ لَانْفَضُّوا مِنْ حَوْلِكَ فَاعْفُ عَنْهُمْ وَاسْتَغْفِرْ لَهُمْ وَشَاوِرْهُمْ فِي الْأَمْرِ فَإِذَا عَزَمْتَ فَتَوَكَّلْ عَلَى اللّٰهِ إِنَّ اللّٰهَ يُحِبُّ الْمُتَوَكِّلِينَ

ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები! “ ალი იმრან 3/159.

وَالَّذِينَ اسْتَجَابُوا لِرَبِّهِمْ وَأَقَامُوا الصَّلٰوةَ وَأَمْرُهُمْ شُورٰى بَيْنَهُمْ وَمِمَّا رَزَقْنَاهُمْ يُنْفِقُونَ

და რომელთაც, შეისმინეს თავიანთი ღმერთის და ჭეშმარიტად აღავლინეს ლოცვა და ერთმანეთში თათბირობენ თავიანთ საქმენს და რაც ვუწყალობეთ, გაიღებენ იქიდან. „შურა 42/38. “

ისტიჰარეს ლოცვის პირველ მუხლზე ქაფირუნის, ხოლო მეორე მუხლზე იჰლასის სურას წაკითხვა მუსთეჰაბია. ლოცვის დასრულების შემდეგ ისტიჰარეს ლოცვები იკითხება. შემდეგ ქააბას მიმართულებით უნდა დავწვეთ დასაძინებლად. სიზმარში თეთრის, ან მწვანის ნახვა სიკეთის ნიშანია, ხოლო შავი, ან წითელი ფერი ცუდის მომასწავებელი.

თუ ისტიჰარე გულითადად არის შესრულებული ღმერთისგან სუკეთეა მოსალოდნელი. ამის დასტურად მორწმუნე სხვადასხვა მინიშნებას მიიღებს. ზემოთ ნახსენები სიზმრის გარდა სხვა მინიშნება შეიძლება იყოს შინაგანი სიმშვიდის დაუფლება, რომელიც ასევე სიკეთის ნიშანია. ხოლო თუ მორწმუნეს გულზე წუხილი და მოუსვენრობა შემოაწვა ეს ცუდის ნიშანია. თუ პირველ ცდაზე შედეგს ვერ მივაღწიეთ სამჯერ, ან შვიდჯერ შეიძლება ვცადოთ. ისტიჰარეს ვედრების წაკითხვა შეიძლება როგორც არაბულ ენაზე, ისე ქართულადაც. თუ ვინმე ლოცვით ვერ ახერხებს ისტიჰარეს შესრულებას, შეუძლია მხოლოდ ისტიჰარეს ვედრება წაიკითხოს.

9) მონანიების ლოცვა

მართლმორწმუნე მუსლიმი ვალდებულია ცოდვის და ბორო-

ტებისგან თავი შორს დაიჭიროს. ამასთანავე ადამიანი იშვიათად შეძლებს თავი სრულად აარიდოს ცოდვის ჩადენას. ამიტომ ყურანის და სუნნეთის მიხედვით ცოდვის ჩადენის შემთხვევაში, ცოდვის ჩადენა არ უნდა გავაგრძელოთ და გულით მონანიების შემთხვევაში იმედია, რომ გამჩენი მოგვიტევებს. თუნდაც უცოდველად მიჩნეული ადამიანის მიერ მონანიება ურიგო არ იქნება, რადგან წმ. შუამავალი, რომელმაც იცოდა, რომ წარსულის და მომავლის ყველა ცოდვა ნაპატიები ჰქონდა მაინც დღეში სამოცდაათჯერ ინანიებდა.

მონანიებას კონკრეტული დრო და ადგილი არ სჭირდება, თუმცა იმის იმედით, რომ გამჩენის წინაშე მიღებული იქნება მადლიანი დღეები და ღამეები, გამთენიის დრო და ლოცვის შემდეგი დრო უნდა შეირჩეს.

ებუ ჰურაირა გადმოგვცემს ჰადისს, რომლის მიხედვით ღამის მასამედში გამჩენი დედამიწის ცაზე წყალობას მოავლენს და იტყვის: “არის ვინმე, ვინც შემევედრება, რომ მივიღო მისი ვედრება? - არავის სურს რაიმე, რომ ვუწყალობო? – პატიება არავის სურს, რომ მივუტევო?! “

ჰადისის სხვა ვარიანტში დრო მითითებულია ღამის ერთი მესამედის, ან ნახევრის გასვლის შემდეგი დროით.

ჰადისით ცნობილია, რომ გულითადი მონანიება ღმერთის წინაშე მიღებულია:

“ცოდვის ჩადენის შემთხვევაში, ვინც ადგება და მცირე განბანვის შემდეგ ორ მუხლ ლოცვას აღავლენს, თან მოინანიებს და პატიებას ითხოვს ღმერთი მას მიუტევებს.”

ამ ჰადისის შემდეგ წმ. შუამავალს შემდეგი აიათი წაუკითხავს:

وَالَّذِينَ إِذَا فَعَلُوا فَاحِشَةً أَوْ ظَلَمُوا أَنْفُسَهُمْ ذَكَرُوا اللَّهَ فَاسْتَغْفَرُوا لِذُنُوبِهِمْ وَمَنْ يَغْفِرُ الذُّنُوبَ إِلَّا اللَّهُ وَلَمْ يُصِرُّوا عَلَى مَا فَعَلُوا وَهُمْ يَعْلَمُونَ

ხოლო ისინი, რომელთაც ჩაიდინეს სიავე ან ავნეს საკუთარ თავს, გაიხსენონ ალლაჰი და მაშინვე შესთხოვონ პატიება (ჩადენილი) ცოდვებისათვის, და ვისღა ძალუძს მიუტევოს ცოდვები, თუ არა ალლაჰისა. და თუ შეგნებულად არ დაიჟინებენ იმას, რასაც ჩადიოდნენ, “ალი იმრან 3/135. “

10) თესბიჰის ლოცვა

თესბიჰის ლოცვა სასურველია მორწმუნემ სიცოცხლეში ერთხელ მაინც ილოცოს. მარტო ლოცვის, ან კოლექტიურად ლოცვის შემთხვევაში ხმამაღლა შესრულება შეიძლება.

ერთ დღეს წმ. შუამავალმა თავის ბიძას აბბას იბნ აბდულმუტტალიბს უთხრა: “გინდა გასწავლო ისეთი რამ, რისი შესრულების შემთხვევაში ყველა ცოდვა მოგეტევება; წინა და უკანასკნელი, ძველი და ახალი, ნებსით და უნებლიედ ჩადენილი, დიდი და პატარა, ღიად და ფარულად ჩადენილი ყველა ცოდვა, უთხრა და თესბიჰის ლოცვის აღსრულება ურჩია. აბბასმა აღიარა, რომ ყოველდღე ამ ლოცვის შესრულებას ვერ შეძლებდა. ამის თაობაზე წმ. შუამავალმა მიუგო: ეს ლოცვა კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ, წელიწადში ერთხელ, ან სიცოცხლეში ერთხელ მაინც რომ ილოცო საკმარისია.

თესბიჰის ლოცვა ოთხი მუხლია. ყოველ მუხლზე ფათიჰა და ერთი სურა უნდა იქნას წაკითხული. შეიძლება ერთ, ან ორ ნაწილად ლოცვა.

თესბიჰის ლოცვის აღსრულების ფორმა შემდეგია: განზრახვისა და თექბირის წარმოთქმის შემდეგ სუბჰანექე უნდა წავიკითხოთ, შემდეგ კი 15-ჯერ “სუბჰანელლაჰი ველჰემდუ ლილლაჰი ველა ილაჰე ილლელლაჰუ ველლაჰუ ექბერ.” –ს წარმოვთქვამთ. შემდეგ ეუზუ ბესმელეთი ფათიჰას და დამატებით სურას წავიკითხავთ. ამის შემდეგ ათჯერ იგივე თესბიჰს წარმოვთქვამთ, ქედის მოხრის პოზიციაშიც ათჯერ იგივე უნდა გავიმეოროთ, ქედის მოხრის პოზიციიდან საწყის, მდგომარე პოზიციაში დაბრუნებისასაც იგივეს ვიმეორებთ, პირველ სეჯდეს დროს, სეჯდეთა შორის მცირე ჯდომის და მეორე სეჯდეს დროსაც ათ-ათჯერ იგივე თესბიჰს ვიმეორებთ. ამრიგად ერთ მუხლზე სულ 75-ჯერ ვკითხულობთ თესბიჰს. დანარჩენი მუხლებიც იგივენაირად სრულდება და ლოცვის ბოლოს სულ 300 თესბიჰი გვექნება წაკითხული.

თუ თესბიჰის ლოცვის დროს შეცდომა იქნა დაშვებული სეჰივ სეჯდეს დროს თესბიჰების წაკითხვა საჭირო აღარ არის. მლოცველს თესბიჰების გონებაში დათვლა თუ შეუძლია თითებით არ უნდა დაითვალოს. თუ თესბიჰის ლოცვა კოლექტიურად სრულდება იმამი ლოცვას ხმამაღლა წარმართავს და თესბიჰებსაც ხმამაღლა კითხულობს. მანდილოსან მლოცველებში თესბიჰის ლოცვის დროს იმამობა ქალსაც შეუძლია. ის როგორც წესი მლოცველთა რიგის ზუსტად შუაში დგება.

11) წვიმის ვედრება

ძლიერი გვალვის პირობებში, წვიმების დიდი ხნით შეწყვეტისას, წყაროების დაშრობისას, მოსავლისა და ცოცხალი არსებებისათვის საჭირო წყლის ნაკლებობისას წვიმის ვედრება სრულდება. ღმერთი ადამიანებს ამ ტიპის განსაცდელს გამოსაცდელად მიუჩენს ხოლმე. მდგომარეობის შესაცვლელად მონანიება და ვედრებაა საჭირო. ყურანში ნახსენებია თუ როგორ ევედრებოდნენ გამჩენს წვიმისათვის წმ. ნუჰი, წმ. მუსა და წმ. ჰუდი.

فَقُلْتُ اسْتَغْفِرُوا رَبَّكُمْ اِنَّهُ كَانَ غَفَّارًا

يُرْسِلِ السَّمَاءَ عَلَيْكُمْ مِدْرَارًا

وَيُمْدِدْكُمْ بِاَمْوَالٍ وَبَنِينَ وَيَجْعَلْ لَكُمْ جَنَّاتٍ وَيَجْعَلْ لَكُمْ اَنْهَارًا

და ვუთხარი: მიტევება შესთხოვეთ თქვენს ღმერთს, რამეთუ იგი ყოვლისმიმტევებელია.

იგი ზეგარდმოგივლენთ ზეციდან უხვად წვიმას

და იგი შეგეწევა თქვენ ქონებითა და შვილებით, დაადგენს თქვენთვის ბაღებს და მდინარეებს. “ნუჰ 71/10-12.

وَاِذِ اسْتَسْقٰى مُوسٰى لِقَوْمِه فَقُلْنَا اضْرِبْ بِعَصَاكَ الْحَجَرَ فَانْفَجَرَتْ مِنْهُ اثْنَتَا عَشْرَةَ عَيْنًا قَدْ عَلِمَ كُلُّ اُنَاسٍ مَشْرَبَهُمْ كُلُوا وَاشْرَبُوا مِنْ رِزْقِ اللّٰهِ وَلَا تَعْثَوْا فِى الْاَرْضِ مُفْسِدِينَ

და როცა ითხოვა მუსამ სასმელი თავისი ხალხისთვის, ჩვენ ვუთხარით: „ამთხვიე შენი ჯოხი კლდეს!“ მაშინვე ამოიფრქვა იქიდან თორმეტი წყარო. ამგვარად, ყველამ გაიგნო გზა თავისი წყაროსკენ. „ჭამეთ და სვით ალლაჰისგან ნაბოძები, მაგრამ არ იყოთ ზღვარგადასულნი დედამიწაზე!“ „ბაყარა 2/60. “

ებუ ჰანიფეს აზრით წვიმის ვედრების ლოცვის კოლექტიურად შესრულება სუნნეთი არაა. რადგან წვიმის ვედრების ლოცვა მონანიების და ვედრებისგან შედგება, ამიტომ ეს ვედრება ჯემაათის და ჰუთბის გარეშე სრულდება. ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის მიხედვით წვიმის ვედრება შეიძლება შეასრულონ როგორც ადგილობრივებმა, ისე მგზავრებმა. ეს მენდუფია. ეს ვედრება წმ. შუამავლის და ხალიფების დროსაც სრულდებოდა. თუ წვიმამ დაიგვიანა წვიმის ვედრება რამოდენიმე დღის მანძილზე მეორდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ენეს იბნ მალიქი მოგვითხრობს:

“ერთხელ, როდესაც წმ შუამავალი ჯუმის ჰუთბეს კითხულობდა ერთი კაცი წარსდგა მის წინაშე და წმ. შუამავალს უთხრა, -ღვთის შუამავალო, ცხოველები მოგვესპო, გზები ჩაიკეტა, შეევედრე ღმერთს წვიმა მოგვცეს. ღვთის შუამავალმა ხელები აღაპყრო და წარმოთქვა: -ღმერთო მოგვივლინე წვიმა!

ამ დროს ცაში ღრუბლის ნასახიც არსად იყო, მაგრამ მოულოდნელად ცა ღრუბლებით დაიფარა და გაწვიმდა. ეს მდგომარეობა ერთ კვირას გაგრძელდა. შემდეგ პარასკევის ლოცვაზეც მოვიდა ვიღაც კაცი და წმ. შუამავალს შესჩივლა: -ღვთის შუამავალო, ქონება გვინადგურდება, გზები ჩაიკეტა, შეევედრეთ ღმერთს შეგვიწყვიტოს წვიმა.

ამის თაობაზე წმ. შუამავალმა ხელები აღაპყრო და შემდეგი ვედრება აღავლინა: “ ღმერთო, წვიმა აგვაშორე და ჩვენს ირგვლივ არემარეს, მთებს, გორაკებს, ველებს და ტყეებს მიეცი!“

ამ ვედრების დასრულებისთანავე წვიმა შეწყდა.“

ჰადისებით გადმოცემული წვიმის ვედრება შემდეგია: “ ღმერთო! მაცოცხლებელი, ტკბილი, უხვი და ბარაქიანი მოგვეც წვიმა ახლა და არა გვიან. ღმერთო, აწყურე შენი მსახურნი და ცხოველები. განავრცე წყალობა შენი, გააცოცხლე მკვდარი მიწა!”

წვიმის ვედრების ლოცვა პარასკევის ლოცვის მსგავსად ხმამაღლა სრულდება. იმამი ლოცვის შემდეგ ბაირამის ჰუთბის მსგავსად ჰუთბეს კითხულობს, მაგრამ მინბერზე არ ადის. ადგილზე დგება და ხმალს, ისარს, ან რაიმე საგანს ეყრდნობა.

გარდა ამისა, წვიმის ვედრება ხელს არ უშლის ისეთი ბუნბრივი და ტექნიკური საშუალებებით წყლის უზრუნველყოფას, როგორიცაა წყალსაცავის, სარწყავი არხების და მსგავსი საშუალებებით წყლის მარაგის გამდიდრება.

12) ქუსუფის ლოცვა

მზის დაბნელების დროს იმამი მლოცველებთან ერთად ეზნის და ყამეთის გარეშე მინიმუმ ორ მუხლ ლოცვას ასრულებს. ყოველ მუხლზე უფრო და უფრო მეტი ყურანი უნდა იქნას წაკითხული. ებუ ჰანიფეს მიხედვით იმამმა ყურანი ხმადაბლა უნდა წაიკითხოს, ხოლო ებუ იუსუფი და იმამი მუჰამმედი მიიჩნევენ, რომ იმამმა ყურანი ხმამაღლა უნდა წაიკითხოს. ქუსუფის ლოცვის დროს ჰუთბე

არ სრულდება.

ამის მტკიცებულება ებუ დავუდის მიერ გადმოცემული ჰადისია: “ მზის დაბნელებისას წმ. შუამავალმა ორი მუხლი ლოცვა აღასრულა და ყოველ მუხლზე უფრო მეტ ხანს რჩებოდა ფეხზე მდგომარე პოზიციაში. მზის განათებისას კი ლოცვა დაასრულა.”

ყურანში მზისა და მთვარის შესახებ ნაბრძანებია რომ:

وَمِنْ اٰيَاتِهِ الَّيْلُ وَالنَّهَارُ وَالشَّمْسُ وَالْقَمَرُ لَا تَسْجُدُوا لِلشَّمْسِ وَلَا لِلْقَمَرِ وَاسْجُدُوا لِلّٰهِ الَّذ ى خَلَقَهُنَّ اِنْ كُنْتُمْ اِيَّاهُ تَعْبُدُونَ

და მისი სასწაულებიდანაა ღამე და დღე, მზე და მთვარე. არ აღავლინოთ სეჯდე არც მზისთვის და არც მთვარისთვის, სეჯდე აღასრულეთ ალლაჰისთვის, რომელმაც გააჩინა ისინი, თუკი მხოლოდ მას სცემთ თაყვანს.“ ფუსსილეთ 41/37. “

როდესაც წმ. შუამავალს შვილი, იბრაჰიმი გარდაეცვალა იმ დღეს მზის დაბნელების მოვლენა მოხდა. ამის თაობაზე წმ. შუამავალმა ბრძანა: “მზე და მთვარე ღმერთის მიერ გაჩენილი აიათებიდანაა (სასწაულებიდანაა). ისინი ვინმეს სიკვდილის ან სიცოცხლის გამო არ ბნელდებიან. ასეთი მდგომარეობის დროს მზისა და მთვარის გახსნამდე ილოცეთ!”

მაშინ ხალხს შორის ზოგიერთმა იფიქრა, რომ მზე წმ. შუამავლის მწუხარებას შეუერთდა. სწორედ ასეთი არასწორი გაგების აღმოსაფხვრელად ბრძანა წმ. შუამავალმა ზემოთ წარმოდგენილი სიტყვები.

ქუსუფის ლოცვის დიდ მეჩეთში შესრულება უფრო მეტი მადლია. მისი ლოცვა შეიძლება დიდ მოედანზე, ქალაქგარეთ უდაბნოში, მდელოზე ან სხვა ცარიელ ტერიტორიაზე.

ქუსუფის ლოცვის შემდეგ იმამი ქააბასკენ პირისახით ფეხზე დგას, ან მლოცველებისკენ მიტრიალებული ჯდება და ვედრებას განაგრძობს. მლოცველები კი “ამინ”-ს წარმოთქვამენ.

თუ იმამი არ არის ყველას შეუძლია ეს ლოცვა საკუთარ სახლში შეასრულოს.

13) ჰუსუფის ლოცვა

მთვარის დაბნელების დროს მორწმუნეებს შეუძლიათ ქუსუფის ლოცვა ერთად, ან ცალკ-ცალკე ილოცონ. ქუსუფის ლოცვა ორი,

ან ოთხი მუხლისგან შესდგება და მისი შესრულება შეიძლება როგორც ხმამაღლა, ისე ხმადაბლა.

ებუ ჰანიფეს მიხედვით ამ ლოცვის მეჩეთში კოლექტიურად ლოცვა სუნნეთი არ არის, თუმცა ლოცვა დასაშვებია.

იმამ შაფის და აჰმედ იბნ ჰანბელის, აგრეთვე ჰადისის ზოგიერთი სწავლულის აზრით აღნიშნული ლოცვის კოლექტიურად აღსრულება შეიძლება, ხოლო იმამი მალიქი თვლის, რომ არ შეიძლება.

მიწისძვრის, ჭექა-ქუხილის, ძლიერი ქარიშხალის, გადაუღებელი წვიმების, ეპიდემმიის, მტრის შიშის და მსგავსი უბედურებების დროს ამ ორი ლოცვის მსგავსი ლოცვა დასაშვებია.

დ- მადლიანი დღეები და ღამეები

1) აშურა დღე

მთვარის თვებს შორის პირველი მუჰარრემმია და მუჰარრემის თვარის მეათე დღე აშურაა. სიტყვა აშურა ებრაულიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ აშუარა დღე დანარჩენ ზეციურ სარწმუნოებებშიც წმინდა დღედ ითვლებოდა.

წმ.ზ შუამავალი მედინაში რომ ჩავიდა ნახა, რომ იქაური ებრაელები აშურა დღეს მარხულობდნენ. შუამავალი მათი მარხვით დაინტერესდა. ებრაელებმა თქვეს, რომ ეს დღე ძალიან მადლიანი დღე იყო. სწორედ ამ დღეს გადაურჩნენ ისრაელის ხალხი ფარაონის წამებას. ამის გამო მადლიერების გამოსახატავად წმ. მოსემ აშურა დღეს იმარხულა და ჩვენც ამის გამო ვმარხულობთო. ამის თაობაზე წმ. შუამავალმა ბრძანა: “ჩვენ უფრო ახლოს ვართ მოსეს სუნნეთთან, ვიდრე თქვენ.” იმ დღეს წმ. შუამავალმაც იმარხულა და მის თანამოღვაწე მეგობრებსაც მარხვისკენ მოუწოდა. წმ. აიშე აშურა დღის მარხვის შესახებ ამბობდა: “უმეცრების ხანაში ყურეიშის გვარის ხალხი მარხულობდა. ჰიჯრამდე წმ. შუამავალიც მარხულობდა. შუამავალმა მედინაში ჰიჯრის შემდეგაც გააგრძელა მარხვა. მომდევნო წელს, როდესაც რამაზნის მარხვა ფარზი გახდა წმ. შუამავალმა აშურა დღეს მარხვა შეწყვიტა. მსურველებმა კი ამ დღეს მარხვა გააგრძელეს. ვისაც არ სურდა მარხვა შეწყვიტა.”

ჰანეფის მიხედვით, აშურა დღის მარხვა ისლამის აღმოცენების

წლებში ვაჯიბი იყო, მაგრამ როდესაც რამაზნის მარხვა ფარზი შეიქმნა აშურას მარხვა მუსთეჰაბი გახდა. გარდა ამისა მუჰარრემის თვის მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე დღეს მარხულობა მიღებულად და კარგ საქციელადაა მიჩნეული.

მუჰარრემის თვის მეათე დღეს ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა უკავშირდება. სწორედ ამ დღეს მიიღო გამჩენმა წმ. ადამის მონანიება. ამ დღეს მიადგა ხმელეთს წმ. ნოეს გემი. წმ. იაკობიც ამ დღეს შეხვდა თავის შვილს, იოსებს. ამ დღეს უკავშირდება ცნობილი ამბავი, როდესაც წმ. ნოეს გემში მყოფები ხმელეთზე გადავიდნენ და უზომო სიხარულს განიცდიდნენ. მათ გადაწყვიტეს ეს დღე გემრიელი საჭმლით აღენიშნათ. მათ გემის საცავში დარჩენილი სხვადასხვა საკვები ერთმანეთში აურიეს და ასე ერთიანად მოამზადეს კერძი. სწორედ ამას უკავშირდება აშურას კერძი, რომელსაც მუსლიმები დღესაც ამზადებენ და ნათესავ-მეგობრებს უმასპინძლდებიან.

შიიტები ამ დღეს გლოვის დღედ მიიჩნევენ, რადგან სწორედ ამ დღეს მოკლეს ჰუსეინი. ამის გამო შიას მიმდევრები მუჰარრემის პირველიდან მეათე დღის ჩათვლით გლოვობენ, ახალ ტანსაცმელს არ იცვამენ, ხორცს არ ჭამენ და ახალ საქმეს არ წამოიწყებენ. მათთვის ეს დღე ტანჯვის და გლოვის დღეა.

ისლამამდელ პირიოდში მიცვალებულის დატირება განსაკუთრებულად გამოიხატებოდა. ხმამაღლა მოთქმა და მწუხარების გადამეტებული დოზით გამოხატვა ცხოვრების წესი იყო. ჭირისუფლები ჩვეულებრივ პროფესსიონალ მოტირალეებს ქირაობდნენ და გადაჭარბებული გლოვის სცენებს დგამდნენ. მიცვალებულის ქვრივი ერთი წლის განმავლობაში გარეთ არ გამოდიოდა. ისლამმა გლოვის პროცესი დაარეგულირა და ყოველგვარი გადამეტებისგან გაათავისუფლა. გლოვის ასეთი ფორმის აკრძალვა შემდეგ ჰადისში ნათლადაა განმარტებული: “თავპირის გლეჯით მოტირალი, უმეცრების ადათების მიმდევარნი ჩვენიანი არ არიან!”

წმ. შუამავალსაც დაეღუპა ძალზედ ახლობელი ადამიანები, შვილი, შვილიშვილი. მას თვალები აუცრემლიანდა და თავისი თანამოღვაწე მეგობრების გასაგონად ბრძანა: “თვალი აცრემლდება, გული დამწუხრდება, მაგრამ ისეთ რამეს არ ვიტყვით რის გამოც გამჩენი ჩვენგან კმაყოფილი არ იქნება!”

ისლამის მიხედვით გლოვის ხანგრძლივობა სამი დღეა. თუმცა ქალი, რომლსაც ქმარი გარდაეცვალა 4 თვეს და 10 დღეს გლოვობს და ამ პერიოდს ქმრის სახლში ატარებს.

2) რეგაიბის ღამე

წმინდა სამთვეულის პირველი თვე რეჯებია. რეჯების თვის პირველი ხუთშაბათი საღამო პარასკევის დილამდე რეგაიბის ღამეა. გადმოცემით ცნობილია, რომ წმ. შუამავალი ამ ღამეს 12 მუხლს ლოცვას აღავლენდა. ვარაუდი, რომლის თანახმადაც წმ. შუამავალი ამ ღამეს ჩაისახა, მის დაბადების თარიღს ზუსტად არ ემთხვევა.

3) მირაჯის ღამე

რეჯების თვის 27-ღამე მირაჯის ღამეა. ამ ღამეს, წმ. შუამავალი სასწაულებრივ და წარმოუდგენელ სიტუაციაში ჯერ გადაიყვანეს ყუდუსში, მესჯიდი აქსაში, შემდეგ კი- ზეციურ მოგზაურობაში წაიყვანეს. იქ კი ბევრი სასწაული ნახა. მირაჯის ღამე ჰიჯრამდე ერთნახევარი წლით ადრე იყო და ხუთი დროის ლოცვა სწორედ ამ ღამეს გახდა ფარზი.

ყურანში ამ მოვლენის შესახებ ნაბრძანებია შემდეგი:

سُبْحَانَ الَّذ ى اَسْرٰى بِعَبْدِه لَيْلًا مِنَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ اِلَى الْمَسْجِدِ الْاَقْصَا الَّذ ى بَارَكْنَا حَوْلَهٗ لِنُرِيَهٗ مِنْ اٰيَاتِنَا اِنَّهٗ هُوَ السَّم يْعُ الْبَص يْرُ

დიდება იმას, რომელმაც ღამით გადაიყვანა თავისი მსახური მესჯიდი ჰარამიდან მესჯიდი აყსაში, რომლის შემოგარენიც ჩვენ დავლოცეთ , რათა გვეჩვენებინა მისთვის ნაწილნი ჩვენი სასწაულნისა. უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი! “ ისრა 17/1. “

მესჯიდი აქსას მიმდებარე ტერიტორია მადლიან და ბარაქიან ადგილად ითვლება, რადგან წმ. შუამავლები აქ იღებდნენ ზეცით ზეგარდმოვლენილ ღვთიურ ინფორმაციას. აქ ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. აქ იყო მომდინარე წყაროები და ხილით სავსე ბაღები.

მირაჯის ღამეს წმ. შუამავალი მეშვიდე ცამდე ამაღლდა და დიადი ღმერთის წინაშე საუბრის ბედნიერება ერგო. ხუთი დროის ლოცვი სწორედ მაშინ გახდა ფარზი და ბაქარას სურას ბოლო ორი აიათიც ამ ღამეს მოევლინა დედამიწას.

4) ბერათის ღამე

შა’ბანის თვის მეთხუთმეტე ღამე ბერათის ღამეა. ამ ღამეს ხდება დიადი ღმერთის მიერ ადამიანებისათვის ერთი წლის

განმავლობაში კუთვნილი სარჩოს განსაზღვრა. ამ ღამეს ღმერთი ანგელოზებს აცნობს პიროვნების ბედისწერის ერთწლიან პროგრამას, სადაც განსაზღვრულია მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, იცოცხლებს თუ გარდაიცვლება და ა. შ.

დუჰანის სურას მესამე აიათში ნაბრძანებია, რომ ყურანი მადლიან ღამეს მოევლინა დედამიწას. სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს ღამე ყადირის ღამეა, თუმცა ისლამის სწავლულთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ აქ ნაგულისხმევია სწორედ ბერათის ღამე. ამ მოსაზრების თანახმად ამ ღამეს ყურანი დედამიწის ცამდე მოღწეულა და შემდეგ რამაზნის თვეში, ყადირის ღამეს ნაწილ-ნაწილ დაწყებულა მისი დედამიწაზე მოვლინება. ეს პროცესი კი 23 წელიწადი გაგრძელდა. ამ საკითხის თაობაზე დასმულ შეკითხვას იბნი აბბასი შემდეგი შინაარსის პასუხს სცემს: “ყურანი ჯერ დედამიწის ცამდე ჩამოვიდა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა სახის სიტუაციისა და მოვლენის პასუხად ნაწილ- ნაწილ მოევლინა დედამიწას”

წმ. ალის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: “შაბანის თვის ნახევარში, ღამე ღვთისმსახურებაში გაატარეთ, დღისით კი იმარხულეთ. უეჭველია, რომ იმ ღამეს, მზის ჩასვლისთანავე გამჩენი დედამიწის ცამდე ჩამოვა თავისი წყალობით და იტყვის: -არ არის ვინმე, ვისაც პატიება სურს, რომ ვაპატიო?! –სარჩო არავის სურს, რომ ვუწყალობო, ან უბედურებაში ჩავარდნილი გადავარჩინო?! ასე გრძელდება განთიადამდე.”

ბერათის ღამე 5 განსაკუთრებული თვისებითაა ცნობილი: 1) . . . . 2) ამ ღამეში შესრულებული ღვთისმსახურება დიდი მადლია. ამ ღამეს სასურველია თეჰეჯჯუდი და თათავვუს ლოცვა. აგრეთვე გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება. დიდი მადლია ღარიბ-ღატაკებზე დახმარება. 3) გამჩენისგან წყალობა მოდის. 4) ეს ღამე მიტევების ღამეა. ჰადისის მიხედვით, ამ ღამეს ყველა მუსლიმს მიუტევებს ღმერთი, მხოლოდ მკითხავებს, ჯადოს მკეთებლებს, ღვარძლიანებს, ალკოჰოლზე დამოკიდებულ ადამიანებს და იმათ, ვისაც მშობლებთან ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს, ან კიდევ მრუშობაზე აყოლილთ ეს არ შეეხებათ. 5) ამ ღამეს წმ. შუამავალს შეღავათის უფლება სრულიად მიენიჭა.

5) ყადირის ღამე

წმ. ყურანში ყადირის ღამის თვისებები შემდეგნაირადაა განმარტებული:

„უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ იგი ყადირის ღამეს!“

„ის ღამე, ცისკრის ამოსვლამდე, მშვიდობითა და ბედნიერებითაა აღსავსე!“ (ქადრ 97/1-5)

ამ სურას მოვლინების მიზეზის შესახებ არსებობს სხვადასხვა ვარაუდი. მუჯაჰიდის აზრით, ერთხელ წმ. შუამავალს უბრძანებია, რომ ისრაელის ხალხს შორის ერთ-ერთი ჯარისკაცი ღვთის გზაზე ათასი თვე იარაღასხმული დადიოდაო. ამის გამო შუამავლის თანამოღვაწე მეგობრები დამწუხრებულან და რადგან თავიანთი ნამოქმედარი მადლი ეცოტავათ. ეს აიათი კი ამის გამო იქნა მოვლენილი.

იმამი მალიქი გადმოგვცემს, რომ, წმ. შუამავალი სწუხდა, რადგან წმ. შუამავლის ეპოქაში ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია, ვიდრე წინათ იყო და შესაბამისად მათ მიერ გაკეთებული მადლიანი საქმეც მცირე იქნებაო. ამის გამო იქნა მოვლენილი ეს აიათიო, - ამბობდა იმამი მალიქი.

წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ ყადირის ღამე რამაზნის თვის ბოლო ათი დღის კენტ რიცხვებში ეძიეთო. თუმცა უბეი იბნ ქაბი მიიჩნევს, რომ წმ. შუამავლის მიერ ნაბრძანები სხვა მინიშნებებიდან გამომდინარე ეს რამე რამაზნის თვის 27-ე ღამეა. გადმოცემით ცნობილია, რომ წმ. შუამავალი რამაზნის თვის 23-ე ღამეს, ღამის ერთი მესამედის გასვლამდე ლოცულობდა, 25-ე რამე ღამის ნახევრის გასვლამდე და 27 ღამეს კი – თითქმის ალიონამდე. ჰანეფის მიმდინარეობას სწორედ ეს შეხედულება აქვს გაზიარებული. რაც შეეხება იმამ შაფის, ის მიიჩნევს, რომ ყადირის ღამე რამაზნის თვის 21-ე ღამესაა.

ყადირის ღამის მადლის შესახებ წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ვინც ყადირის ღამის მადლს დაიჯერებს, ჯილდოს გამჩენისგან დაელოდება და ღვთისმსახურებაში გაატარებს წარსულის ცოდვები ეპატიება.”

ეს ჰადისი რამოდენიმე ადამიანის მიერაა გადმოცემული. მათ შორის არიან: ბუჰარი, მუსლიმი, ებუ დავუდი, თირმიზი, ებუ ჰურაირა, ნესაი, წმ. აიშე.

ყადირის ღამის დაზუსტება თითქმის შეუძლებელია, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე შუამავალს განსხვავებული პასუხები აქვს გაცემული. როგორც იბნი მელექი ამბობდა ეს ღამე ერთ წელს შეიძლება რამაზნის თვის კენტი

რიცხვებიდან რომელიმეს დაემთხვეს მეორე წელს კი – შეიძლება პირიქით, ლუწ რიცხვს დაემთხვეს.

თუმცა უეჭველია, რომ ყურანი, როგორც ბაყარას სურას 2/185-ე აიათშია ნაბრძანები რამაზნის თვეში მოევლინა დედამიწას. ყადირის ღამე კი სწორედ ის ღამეა, როდესაც ყურანი ზეგარდმოევლინა. გამომდინარე აქედან, ეს ღამე აუცილებლად რამაზნის თვეშია. ჭეშმარიტება მხოლოდ დიადმა ღმერთმა უწყის.

რამაზნის თვეში დღისით ვინც იმარხულებს, ღამეში კი თარავის ლოცვას შეასრულებს უდავოა, რომ ყადირის ღამის მადლი და წყალობა არ გამოეპარება.

საბოლოოდ, ამ მადლიანი ღამეებისთვის სპეციალურად შესასრულებელი ლოცვები არ არის მითითებული. რჩევა ის იქნება, რომ გაცდენილი ლოცვების ასანაზღაურებელი ლოცვა და სხვა ნაფილე ლოცვები შესრულდეს. უეჭველია, რომ ეს, მორწმუნეს დიდ მადლს შესძენს.

XIII- იმამზე მიყოლა

ა) ლოცვის დასაწყისშივე იმამზე მიყოლა

ლოცვის კოლექტიურად შესრულებისას შემოსწრებულ მლოცველს შეუძლია იმამს მიჰყვეს. იმამზე მიყოლა შეიძლება როგორც ლოცვის დასაწყისში, ისე ლოცვის პროცესში. ლოცვის პირველი მუხლის ქედმოხრის დროს იმამზე მიყოლა ლოცვაში დასაწყისიდანვე ჩართულობას ნიშნავს. ბუნებრივია, მლოცველის მიერ იმამის ქედის მოხრამდე ლოცვაში ჩართვაც ლოცვის დასაწყისიდანვე ჩართულობას ნიშნავს.

ლოცვის კოლექტიურად შესრულება 27-ჯერ უფრო მეტი მადლია, ვიდრე ცალკე ლოცვა. ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში ცალკე ლოცვის შეწყვეტა და კოლექტიურ ლოცვაში ჩართვა დასაშვებია.

ვთქვათ, მორწმუნე ლოცულობს რომელიმე ფარზ ლოცვას. ამ დროს კი იქვე მლოცველები შეიკრიბნენ და იგივე ლოცვის შესრულება კოლექტიურად დაიწყეს. თუ მლოცველს ჯერ სეჯდეს რიტუალი არ შეუსრულებია შეუძლია ლოცვა შეწყვიტოს და კოლექტიურ ლოცვაში ჩაერთოს. ეს მუსთეჰაბია. ასეთ შემთხვევაში

ლოცვის შეწყვეტისას მისალმება არ არის საჭირო. თუმცა ზოგი სწავლულის აზრით სასურველია მარჯვენა მხარეს მისალმება.

ცალკე ლოცვის დროს თუ მლოცველმა პირველი მუხლის სეჯდე უკვე შეასრულა, მაშინ გააჩნია რომელ ლოცვას ლოცულობს. თუ ეს ლოცვა დილის, ან საღამოს ლოცვაა მაშინ მლოცველი ლოცვას წყვეტს და კოლექტიურ ლოცვაში ერთვება. თუმცა აღნიშნული ლოცვების მეორე მუხლის სეჯდე თუ უკვე შესრულებულია მლოცველს აღარ აქვს უფლება ლოცვა შეწყვიტოს და კოლექტიურ ლოცვაში ჩაერთოს. ლოცვა მარტომ უნდა დაასრულოს და ამის შემდეგ კოლექტიური ლოცვა თუნდაც ჯერ არ იყოს დასრულებული მლოცველი იმამს აღარ უნდა მიყვეს. ეს იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში იმამთან ერთად ნალოცი ლოცვა ნაფილედ ითვლება, ხოლო დილის ლოცვის შემდეგ ნაფილე ლოცვის ლოცვა მიუღებელია. იგივე ეხება საღამოს ლოცვას, თუმცა ამ შემთხვევაში მიზეზი სხვაა. უბრალოდ საღამოს ლოცვის მსგავსი სამმუხლიანი ნაფილე ლოცვა არ არსებობს.

თუკი მორწმუნეს პირველი მუხლის სეჯდე შესრულებულ აქვს და ეს ლოცვა შუადღის, სამხრობის, ან ღამის ლოცვა, ანუ ოთხმუხლიანი ლოცვაა მლოცველი ნალოც პირველ მუხლს მეორესაც დაამატებს, ბოლო ჯდომის რიტუალსაც შეასრულებს, მისალმებით ლოცვას დაასრულებს და შემდეგ მიჰყვება იმამს. ცალკე ნალოცი ორი მუხლი კი ნაფილე ლოცვაში ჩაეთვლება.

ასეთი ლოცვის მესამე მუხლზე ყოფნისას, თუ მესამე მუხლის სეჯდე ჯერ კიდევ არ შეუსრულებია, მორწმუნე ფეხზე დგომის, ან ჯდომის დროს წყვეტს ლოცვას და მაშინვე იმამს მიჰყვება. ამ შემთხვევაშიც ორი მუხლი ექნება ცალკე ნალოცი, რომელიც ნაფილედ ჩაეთვლება. თუ მორწმუნეს მესამე მუხლის სეჯდეც შესრულებული აქვს, მაშინ ისევ ცალკე გააგრძელებს ლოცვას. თუმცა აქაც გააჩნია; თუ ლოცვა შუადღის, ან ღამის ლოცვაა მლოცველს შეუძლია ცალკე ლოცვის დასრულების შემდეგ ჯემაათში ჩაერთოს და მათთან ერთად შეასრულოს ლოცვა. სამხრობის ლოცვის შემთხვევაში, ცალკე ნალოცი ლოცვის შემდეგ იმამზე მიყოლა მიუღებელია, რადგან სამხრობის ლოცვის შემდეგ ნაფილე ლოცვის ლოცვა მექრუჰია.

თუ მორწმუნე ნაფილე ლოცვას ლოცულობს, ამ დროს კი მლოცველებმა კოლექტიურად დაიწყეს ლოცვის შესრულება, ამ დროს ის ორ მუხლზე ამთავრებს ნაფილე ლოცვას და კოლექტიურ ლოცვასი ერთვება. თუ მორწმუნე ნაფილე ლოცვის მესამე მუხლზეა მეოთ-

ხეც უნდა ილოცოს, წესისამებრ დაასრულოს ლოცვა და შემდეგ ჩაერთოს ჯემაათში. ამასთანავე, თუ მლოცველი ნაფილე ლოცვას ლოცულობს და ამ დროს მიცვალებულის (ჯენაზე) ლოცვა იწყება, მლოცველი მაშინვე წყვეტს ნაფილე ლოცვას და კოლექტიურად შესრულების პროცესში მყოფ მიცვალებულის ლოცვაში ერთვება. მოგვიანებით კი ვალდებულია ის ნაფილე ლოცვა აანაზღაუროს, რომელიც შეწყვიტა.

დილის ლოცვის კოლექტიურად შესრულებისას შემოსწრებული მლოცველი ჯერ უნდა შეეცადოს დილის ლოცვის სუნნეთი ილოცოს. ამ დროს, თუ აგვიანებს შეუძლია სუბჰანექე, ეუზუ ბესმელე, და ფათიჰას შემდგომი დამატებითი სურა გამოტოვოს, მხოლოდ ფათიჰა წაიკითხოს, ქედის მოხრა და სეჯდე შეასრულოს (თექბირებიც თითო შეიძლება) სუნნეთი ლოცვა დაასრულოს და მაშინვე ჩაერთოს კოლექტიურ ლოცვაში.

შუადღის, სამხრობის და ღამის ლოცვის კოლექტიურად შესრულებისას შემოსწრებულ მლოცველს შეუძლია სუნნეთის ლოცვის გარეშე პირდაპირ ჩაერთოს ლოცვაში. შუადღის სუნნეთს შემდეგ აანაზღაურებს. სამხრობის ლოცვის სუნნეთი ფარზის შემდეგ არ შეიძლება რომ ანაზღაურდეს და რაც შეეხება ღამის ლოცვის სუნნეთს, რადგანაც ის გაირი მუექქედი სუნნეთია მისი ანაზღაურება მლოცველის ნებასურვილზეა დამოკიდებული.

ბ)კოლექტიურად ლოცვის დროს აბდესთის მოშლის შემთხვევები და ლოცვის დასრულება

ვთქვათ, მორწმუნე იმამთან ერთად იწყებს ლოცვას, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ლოცვის ყველა მუხლს, ან ერთს, ან რამოდენიმეს იმამთან ერთად ვერ შეასრულებს, ვალდებულია გამოტოვებული მუხლები აანაზღაუროს. მიზეზი შეიძლება იყოს, ძილი, შეუძლოდ ყოფნა, ბურანში წასვლა, აბდესთის მოშლა და სხვა მსგავსი საპატიოდ ჩათვლილი მიზეზები. გარდა ამისა საპატიო მიზეზის გარეშეც შეიძლება ლოცვაში ჩართული მორწმუნე იმამზე მიყოლის პროცესიდან ამოვარდეს. მაგ. მლოცველის მიერ იმამზე ადრე ქედის მოხრა, ან სეჯდეს შესრულება და სხვა. ასეთ შემთხვევებში მლოცველი ვალდებულია ის მუხლები, რომლებიც იმამთან ერთად არ შეუსრულებია აანაზღაუროს.

საპატიო მიზეზის გამო ლოცვის შეწყვეტის შემთხვევაში, მლოცველი მდგომარეობის გამოსწორებისთანავე უბრუნდება ჯემაათს და აგრძელებს ლოცვას. თუ ამ მომენტისათვის აბდესთი მოშლილი აქვს, უმოკლეს დროში ასრულებს მცირე განბანვას და ისევ უბრუნდება ლოცვას.

მსგავს შემთხვევებში იმამზე ჩამოშორებული მლოცველი, გაცდენილი მუხლების მოგვიანებით ანაზღაურების დროს იგივე სტატუსით სარგებლობს, რითაც ის მლოცველები, რომლებმაც იმამთან ერთად დაიწყეს ლოცვა და ასევე იმამთან ერთად დაასრულეს. გაცდენილი მუხლების ანაზღაურების დროს მლოცველი ისე უნდა მოიქცეს, თითქოს ისევ იმამს მიყვება. ანუ ყურანს არ კითხულობს, სეჰივ სეჯდეს არ ასრულებს, რადგან იმამზე მიყოლილი მლოცველი ვალდებული არაა საკუთარი შეცდომის გამო სეჰივ სეჯდე შეასრულოს.

იმამს ჩამოშორებული მლოცველი ხელისშემშლელი მიზეზის აღმოფხვრისთანავე ჩაერთვება ლოცვაში. უპირველესად ის გაცდენილი მუხლების და ფარზების ანაზღაურებას შეეცდება. შემდეგ სრულიად იმამს დაექვემდებარება და მასთან ერთად დაასრულებს ლოცვას. ვთქვათ, მლოცველს, რომელიც იმამზეა მიყოლილი ლოცვის პირველ მუხლზე, ფეხზე მდგომარე პოზიციაში ყოფნისას ჩაეძინა და გამოღვიძებისას კი ნახა, რომ იმამი სეჯდეს ასრულებს, მაშინვე უნდა შეასრულოს გამოტოვებული ლოცვის ფარზები და იმამს დაეწიოს. თუ მლოცველი მიხვდა, რომ იმამს ვეღარ დაეწევა მაშინვე უნდა შეწყვიტოს ფარზების თავისით შესრულება და დაექვემდებაროს იმამს. გაცდენილ ფარზებს იმამის მიერ ლოცვის დასრულების შემდეგ აანაზღაურებს.

ვთქვათ მორწმუნე კოლექტიურ ლოცვაშია ჩართული და მეოთხე მუხლზე ყოფნისას ცხვირიდან სისხლდენა დაეწყო. ის მაშინვე უნდა წავიდეს მცირე განბანვის შესასრულებლად და ლოცვთან შეუთავსებელი ქმედებების გარეშე უსწრაფესად დაუბრუნდეს ლოცვას. თუ ლოცვა დასრულებული დახვდა მან თავისით უნდა გააგძელოს ლოცვა იქიდან, სადაც ლოცვის შეწყვეტა მოუხდა. ამ დროს ის იგივენაირად დაასრულებს ლოცვას, როგორც იმამზე დამოკიდებული.

ვთქვათ მლოცველი კოლექტიურ ლოცვაშია ჩართული და მესამე მუხლზე ლოცვის შეწყვეტა მოუწია, დაბრუნებისას კი ნახა, რომ იმამი მეოთხე მუხლზეა. მლოცველი ცდილობს ჯერ მესამე მუხლი აანაზღაუროს(ამ დროს ფათიჰას და სურას არ კითხულობს) და

იმამთან ერთად მეოთხე მუხლის ლოცვის შემდეგ დაასრულოს ლოცვა. თუ მიხვდება, რომ იმამს ვერ დაეწევა მაშინვე იმამს დაექვემდებარება და იმამის მიერ მისალმებით ლოცვის დასრულების შემდეგ ცალკე შეასრულებს გამოტოვებულ მუხლს.

ლოცვისას, თუ იმამი სეჰივ სეჯდეს გააკეთებს, ამ დროს კი ლოცვას ჩამორჩენილ მლოცველს ლოცვა არ აქვს დასრულებული სეჰივ სეჯდეს არ ასრულებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კოლექტიურად შესრულებული ლოცვა 27-ჯერ მეტი მადლია. ამიტომ მნიშვნელოვანია მლოცველი ლოცვის რომელიმე მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში ეცადოს ისევ დაუბრუნდეს ლოცვას და დაექვემდებაროს იმამს, მაგრამ ეს გარკვეულ სიძნელესთან არის დაკავშირებული, ამიტომ ასეთ დროს ლოცვის თავიდან ლოცვა უმჯობესად იქნა მიჩნეული.

გ) პირველი მუხლის შემდეგ იმამზე მიყოლა

მლოცველის მიერ ლოცვის რომელიმე მუხლზე მისწრება შეიძლება იმ მუხლის ქედის მოხრის პოზიციის დასრულებამდე, მაგრამ თუ იმამი ქედის მოხრის პოზიციიდან უკვე აიმართა, შემოსწრებული მლოცველი შემდეგი მუხლის ლოცვაში ჩაებმება. დაგვიანებულ და გაცდენილ მუხლებს კი ლოცვის დასრულების შემდეგ აანაზღაურებს.

კოლექტიურ ლოცვაში დაგვიანებით ჩაბმული მორწმუნე გაცდენილი მუხლების ანაზღაურებისას ისე იქცევა, როგორც ცალკე ლოცვისას. ეს იმიტომ, რომ ლოცვის დასაწყისიდანვე ის არ იყო ლოცვაში ჩაბმული და იმამზე მიყოლილი. ზემოთ განხილულ სიტუაციებში კი სიტუაცია სხვაგვარად იყო, რადგან იქ მლოცველი იმამზე ლოცვის დასაწყისიდანვე იყო მიყოლილი.

ლოცვაში დაგვიანებით ჩართული მორწმუნე გაცდენილი მუხლების ანაზღაურებისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ისე იქცევა, როგორც ცალკე ლოცვისას. ანუ ფეხზე წამოდგომის შემდეგ კითხულობს სუბჰანექეს, წარმოთქვამს ეუზუ ბესმელეს და დაიწყებს ფათიჰას სურას წაკითხვას.

1) დილის ლოცვის მეორე მუხლზე კოლექტიურ ლოცვაში ჩართული მლოცველი თექბირის შემდეგ ჩუმად ელოდება. მხოლოდ იმამთან ერთად ბოლო ჯდომისას კითხულობს ეთთეჰიათუს. იმამის მიერ ლოცვის დასრულების შემდეგ მლოცველი ფეხზე დგება და გამოტოვებულ პირველ მუხლის ლოცვას იწყებს. ჯერ სუბჰანექქეს კითხულობს, შემდეგ ეუზუ ბესმელეთი იწყებს ფათიჰას კითხვას. შემდეგ კითხულობს დამატებით ყურანს, ასრულებს ქედის მოხრის და სეჯდეს პოზიციას და ბოლო ჯდომის შემდეგ მისალმებით ამთავრებს ლოცვას.

2) საღამოს ლოცვის მეორე მუხლზე ლოცვაში ჩართული მორწმუნეც იგივენაირად იქცევა, როგორც ზემოთ განხილულ მაგალითში იყო. საღამოს ლოცვის მესამე მუხლზე ლოცვაში ჩართვის შემთხვევაში მლოცველი კითხულობს სუბჰანექქეს, იმამთან ერთად ასრულებს მესამე მუხლს ბოლომდე. იმამის მიერ ლოცვის დამთავრების შემდეგ მლოცველი ფეხზე დგება, კითხულობს სუბჰანექქეს, ეუზუ ბესმელეთი იწყებს ფათიჰას, შემდეგ ყურანს კითხულობს, ქედის მოხრისა და სეჯდეს შემდეგ დაჯდება და მხოლოდ ეთთეჰიათუს წაიკითხავს, შემდეგ “ალლაჰუ ექბერ” –ს წარმოთქვამს და ფეხზე წამოდგება. ბესმელეთი ფათიჰას და ყურანს წაიკითხავს, ჩვეულებრივ გააგრძელებს ლოცვას და ბოლო ჯდომის შემდეგ მისალმებით დაასრულებს ლოცვას. ამასთანავე, თუ მლოცველს მეორე მუხლის ბოლოს, დავიწყების გამო დაჯდომა გამორჩება ლოცვის ბოლოს სეჰივ სეჯდეს შესრულება არ არის საჭირო, რადგან ის პირველი მუხლის მაგიერია.

3) ოთხმუხლიანი ლოცვის მეოთხე მუხლზე ლოცვაში ჩართული მლოცველი იმამთან ერთად ბოლო ჯდომის პოზიციაში დაელოდება, იმამის მიერ მისალმების შემდეგ ფეხზე დგება და კითხულობს სუბჰანექქეს, ეუზუ ბესმელეს, ფათიჰას და ყურანს. ქედმოხრის და სეჯდის შემდეგ ჯდება, კითხულობს ეთთეჰიათუს და ისევ ფეხზე დგება. კითხულობს ფათიჰას და ყურანს, ქედმოხრისა და სეჯდის შემდეგ ფეხზე დგება, ბესმელეთი კითხულობს მხოლოდ ფათიჰას, ასრულებს ქედმოხრას, სეჯდეს, ბოლო ჯდომას და მისალმებით ამთავრებს ლოცვას.

4) ოთხ მუხლიანი ლოცვის მესამე მუხლზე იმამზე მიყოლის შემთხვევაში თავის პირველ ჯდომას იმამის ბოლო ჯდომისას შეასრულებს და მხოლოდ ეთთეჰიათუს წაიკითხავს. იმამის მიერ ლოცვის დასრულების შემდეგ ფეხზე დგება, სუბჰანექქეს, ეუზუ ბესმელეს, ფათიჰას და ყურანს კითხულობს და ასრულებს ქედმოხ-

რას და სეჯდეს. შემდეგ დგება, ბესმელეთი კითხულობს ფათიჰას და ყურანს, ჩვეულებრივ ქედმოხრის პოზიციით გააგრძელებს და ბოლო ჯდომის დროს, ეთთეჰიათუს, სალლი ბარიქს და რაბბენას წაკითხვის სემდეგ დაასრულებს ლოცვას.

5) ოთხმუხლიანი ლოცვის მეორე მუხლზე მისწრების შემთხვევაში მლოცველი დანარჩენ სამ მუხლს იმამთან ერთად ილოცავს, შემდეგ ფეხზე ადგება, წაიკითხავს სუბჰანექქეს, ეუზუ ბესმელეს, ფათიჰას და ყურანს. შემდეგ ქედმოხრა, სეჯდე და ბოლო ჯდომის შესრულების შემდეგ მისალმებით დასრულდება ლოცვი.

თუ მლოცველი იმამს პირველი მუხლის ქედმოხრის პოზიციაში მიუსწრებს მთლიან ლოცვზე მისწრებად ეთვლება და იმამთან ერთად დაასრულებს ლოცვას.

ლოცვაში დაგვიანებით ჩართული მლოცველი იმამის მისალმებით ლოცვის დამთავრებამდე გამოტოვებული მუხლების ანაზღაურების მიზნით რომ ფეხზე წამოდგეს მექრუჰია. თუმცა აბდესთის მოშლის, ან ლოცვის დროის გასვლის საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაგვიანებულ მლოცველს შეუძლია იმამის მიერ ლოცვის დასრულებამდე ეთთეჰიათუს წაკითხვისთანავე წამოდგეს და გააგრძელოს ლოცვა.

XIV- სეჯდე

სეჯდე გამჩენის წინაშე თაყვანისცემის ყველაზე საუკეთესო გამოხატულებაა. ეს არის ადამიანის ღმერთთან ყველაზე მეტად ახლოს ყოფნის მომენტი. სეჯდე, მიცვალებულის ლოცვის გარდა ყველა ლოცვის ყოველ მუხლში ორ-ორჯერ სრულდება. ლოცვის პროცესში დაშვებული ზოგი შეცდომის გამოსასწორებლად სრულდება დამატებითი სეჯდე, რომელსაც სეჰივ სეჯდე ეწოდება. გარდა ამისა, არსებობს სეჯდის მოწოდების შემცველი აიათები, რომელთა წაკითხვის შემდეგ სეჯდის შესრულება სავალდებულოა. მას თილავეთ სეჯდე ჰქვია. გამჩენისადმი მადლიერების გამოსახატავად შესრულებულ სეჯდეს “შუქურ სეჯდე”, ანუ მადლიერების სეჯდე ეწოდება. ახლა კი შევეცდებით ეს სამი სახის სეჯდე განვმარტოთ.

ა-სეჰივ სეჯდე

1)სეჰივ სეჯდეს განმარტება და მისი შესრულების ფორმა

სიტყვა “სეჰივ “ რაღაცაში მოტყუებას, მის უნებლიედ უგულებელყოფას ნიშნავს. ლოცვის ფარზის დაგვიანებით შესრულების ან ვაჯიბის შეცდომით გამოტოვების, ან შეუსრულებლობის შემთხვევაში შესასრულებელ სეჯდეს “სეჰივ სეჯდე” ეწოდება. ლოცვის ფარზის შეცდომით გამოტოვების, ან ვაჯიბის გამოტოვების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ბოლო ჯდომის და ორივე მხარეს მისალმებით შემდეგ “ალლაჰუ ექბერ” უნდა წარმოვთქვათ და სეჯდე შევასრულოთ. სეჯდის პოზიციაში ყოფნისას, ჩვეულებრივ სამჯერ “სუბჰანე რობბიელ ა’ლა” უნდა ვთქვათ და ისევ თექბირის თანხლებით სეჯდეთა შორის მცირე ჯდომის პოზიციაში ერთხელ “სუბჰანელლაჰ” წარმოთქმისათვის საკმარისი დროით გავჩერდეთ. შემდეგ ისევ თექბირის თანხლებით მეორე სეჯდეს ვასრულებთ და იქაც ისევ სამჯერ ვამბობთ “სუბჰანე რობბიელ ა’ლაა”. ამის შემდეგ ისევ თექბირის თანხლებით ვწევთ თავს და ლოცვის ბოლო ჯდომის პოზიციაში ვჩერდებით. ვკითხულობთ ეთთეჰიათუს, სალლი ბარიქს, რაბბენას და ორივე მხარეს მისალმებით ვამთავრებთ ლოცვას.

სეჰივ სეჯდეს შესრულებამდე ორივე მხარეს მისალმება ებუ ჰანიფეს და ებუ იუსუფის შეხედულების მიხედვითაა. იმამ მუჰამმედის აზრით კი მხოლოდ მარჯვენა მხარეს მისალმება უფრო მადლიანი და შესაფერისი ქცევაა. კოლექტიურად ლოცვის ლოცვისას სეჰივ სეჯდემდე მხოლოდ მარჯვენა მრახეს მისალმება უფრო მისაღებად ითვლება, რადგან ორივე მხარეს მისალმების შემთხვევაში შეიძლება მლოცველებმა ვერ გაიგონ კარგად და დაიშალონ.

შაფის და ჰანბელის მიხედვით სეჰივ სეჯდე მისალმებამდე სრულდება.

იმამი მალიქი კი თვლიდა, რომ სეჰივ სეჯდე ლოცვის ნაკლოვანების გამოსასწორებლად თუ სრულდება მისალმებამდე, ხოლო თუ რაიმის ზედმეტად გაკეთებისათვის სრულდება მისალმების შემდეგ უნდა შესრულდეს. ლოცვის ნაკლოვანება მუექქედი სუნნეთის, ან მინიმუმ ორი გაირი მუექქდი სუნნეთის გამოტოვებისას წარმოიშობა. ლოცვაში დამატებით რაიმის გაკეთება კი რაიმე ქცევის ზედმეტად გაკეთებას გულისხმობს. მაგ. ერთ მუხლზე ორი ქედმოხრა, ან სამი სეჯდე.

ჰანეფის მიხედვით სეჰივ სეჯდეს შესრულება ვაჯიბია, ხოლო სხვა მიმდინარეობების მიხედვით- სუნნეთი.

ჰანეფის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ სეჰივ სეჯდეს შეუსრულებლობით მლოცველი ცოდვას ჩაიდენს, მაგრამ ლოცვა არ უქმდება.

სეჰივ სეჯდე ვაჯიბის გამოტოვებისგან წარმოქმნილ ნაკლოვანებას აღადგენს, როგორიცაა ეთთეჰიათუს წაკითხვა, ან ლოცვის ბოლოს მისალმება. თუმცა ლოცვის ფარზის გამოტოვებით წარმოშობილი ნაკლოვანების გამოსწორება სეჰივ სეჯდეს შესრულებით შეუძლებელია. მაგ. როგორიცაა ქედის მოხრა.

სეჰივ სეჯდე საჭიროა როგორც იმამისთვის, ისე ცალკე მლოცველისათვის. იმამზე მიყოლილი მლოცველის მიერ დაშვებული შეცდომის გამო სეჰივ სეჯდე არ სრულდება. იმამის შეცდომა კი სეჰივ სეჯდეს შესრულებას მოითხოვს. მნიშვნელობა არ აქვს მლოცველი ლოცვის დასაწყისში მიყვება იმამს თუ პირველი მუხლის ლოცვის შემდეგ. სეჰივ სეჯდე იმამთან ერთად უნდა შეასრულოს. თუ იმამი სეჰივ სეჯდეს არ შეასრულებს მლოცველები არ არიან ვალდებულნი შეასრულონ. მხოლოდ ლოცვაში დაგვიანებით ჩართული მლოცველი არ მიყვება იმამს მისალმების დროს. სეჯდის შესრულებისას კი უნდა მიყვეს.

სეჰივ სეჯდე დროის ლოცვისათვის ხელსაყრელ დროს სრულდება. მაგ. დილის ლოცვის შემდეგ თუ მზე ამოვიდა, ან სამხრობის ლოცვის შემდეგ მზე ჩავიდა სეჰივ სეჯდე აღარ სრულდება.

პარასკევის და ბაირამის ლოცვის აღსრულებისას ხალხმრავლობის გამო სეჰივ სეჯდეს შეუსრულებლობა უკეთესია, რადგან ამან შეიძლება ხალხის დაბნევა და არეულობა გამოიწვიოს.

თუ მლოცველი სეჰივ სეჯდის შესრულებისასაც შეცდება დამატებით კიდევ ერთი სეჰივ სეჯდის გაკეთება საჭირო აღარაა.

2) მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც სეჰივ სეჯდე საჭიროდ ითვლება

სეჰივ სეჯდეს მტკიცებულება სუნნეთია. აბდულლაჰ იბნ მესუდის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია, რომ "თუ რომელიმე თქვენგანი ლოცვის აღსრულებისას ეჭვში ჩავარდა ეცადოს გაიხსენოს სიმართლე და თავისი გადაწყვეტილების მიხედვით ლოცვა დაასრულოს. შემდეგ სეჰივ სეჯდე გააკეთოს, ანუ შეცდომის გამო დამატებით ორი სეჯდე შეასრულოს!"

სხვა ჰადისში წმ. შუამავალს უბრძანებია: "ლოცვისას თუ დაეჭვდებით ნალოცი მუხლების რაოდენობის გამო, ეჭვი უკუაგდეთ

და როგორც იცით ისე დაასრულეთ ლოცვა. მისალმებამდე კი ორი სეჯდე შეასრულეთ. თუ ზედმეტი მუხლია ნალოცი ეს სეჯდე ლოცვას დაეხმარება. თუ სწორადაა ნალოცი ეს ორი სეჯდე სატანას ჩამოგაშორებთ.”

აბდულლაჰ იბნ ჯუჰაინე მოგვითხრობს, რომ ერთხელ შუადღის ლოცვისას წმ. შუამავალმა მეორე მუხლის შემდეგ დაუჯდომლად წამოდგა. მლოცველებიც მას მიჰყვნენ. ლოცვის ბოლოს კი მისალმებამდე ორი სეჯდე კიდევ შეასრულა და ლოცვა დაამთავრა.

ერთხელაც წმ. შუამავალმა შუადღის ლოცვა ხუთ მუხლად ილოცა თურმე. ლოცვის ბოლოს მისალმების შემდეგ კი ორი სეჯდე შეასრულა.

წმ. შუამავლის და მისი თანამოღვაწე მეგობრების მიერ სეჰივ სეჯდეს ხშირი გამოყენება ამტკიცებს, რომ ის ვაჯიბია.

3) სეჰივ სეჯდის გამომწვევი მდგომარეობები

როგორც ვიცით ლოცვას გააჩნია ფარზები, ვაჯიბები და სუნნეთები. ყურანის კითხვა, ქედმოხრა და სეჯდე ლოცვის ფარზების მაგალითებია. ფათიჰას და მის შემდეგ დამატებით ყურანიდან სურას წაკითხვა, თანმიმდევრობის დაცვა და მსგავსი ლოცვის ვაჯიბებია. ლოცვის ბოლო ჯდომისას სალლი ბარიქის ლოცვების კითხვა კი სუნნეთის მაგალითია. ამ ყველაფერის გათვალისწინებით შესრულებული ლოცვა სრულყოფილია, ხოლო მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ნაკლოვანების გამოსწორების გზების ცოდნა რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი რამაა, რადგან ყოველ შეცდომისთვის თუ ხელახლა ლოცვა დავიწყეთ ეს შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს.

ახლა შევეცდებით განვმარტოთ ლოცვის ნაკლოვანებების გამოსასწორებელი სხვადასხვა საშუალებები.

ლოცვის ფარზებიდან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში, თუ საშუალებაა გამოტოვებული ფარზი ისევ იგივე ლოცვის დასრულებამდე უნდა შესრულდეს და ფარზის დაგვიანების გამო ლოცვის ბოლოს სეჰივ სეჯდე დაემატოს. ნებსით თუ უნებლიედ ლოცვის რომელიმე ფარზის, ან მუხლის გამოტოვება ლოცვას შლის და მისი ხელახლა ლოცვაა საჭირო. ლოცვის ფარზის, ან

რომელიმე მუხლის გამოტოვებისას წარმოქმნილი ნაკლოვანებას სეჰივ სეჯდის შესრულება ვერ გამოასწორებს.

ლოცვის რომელიმე ვაჯიბის განზრახ გამოტოვებ, ან დაგვიანებით შესრულება ცუდი საქციელია და ასეთი ლოცვის ხელახლა ლოცვა უკეთესია. ფათიჰას სურას, ან ლოცვის პირველი ჯდომის განზრახ ან დავიწყების გამო გამოტოვება სეჰივ სეჯდეს საჭიროებს. სუნნეთის განგებ, ან შეცდომით გამოტოვება კი სეჰივ სეჯდეს შესრულებას არ საჭიროებს. თუმცა განზრახ გამოტოვება ნაკლოვანებაა. იგი შეიძლება ლოცვის მადლის დაკარგვის მიზეზი გახდეს.

სეჰივ სეჯდის მიზეზები შემდეგია:

1) ლოცვის ფარზებიდან რომელიმეს დაგვიანებით შესრულების გამო სეჰივ სეჯდეს შესრულებაა საჭირო. ოთხმუხლიანი ლოცვის აღვლენისას პირველი ჯდომის დროს ეთთეჰიათუს შემდეგ სალლი ბარიქის წაკითხვა შემდეგი ფარზის დაგვიანებით შესრულების მიზეზი ხდება. ამიტომ ლოცვის ბოლოს სეჰივ სეჯდეს შესრულება უკვე ვაჯიბია.

2) ლოცვის ვაჯიბებიდან რომელიმეს შეცდომით გამოტოვების გამო სეჰივ სეჯდეს შესრულებაა საჭირო. ეს შეიძლება იყოს რომელიმე ვაჯიბის საერთოდ შეუსრულებლობა, ან დაგვიანებით შესრულება, ან ადრიანად შესრულება, ან კიდევ ზედმეტი რაღაცის დამატება. ასეთი ვაჯიბი სულ თერთმეტია:

ა) ფარზი ლოცვისას ფათიჰას მთლიანად , ან უმეტესი ნაწილის გამოტოვება.

ბ) ფარზი ლოცვისას ფათიჰას შემდეგ სამი მოკლე, ან ერთი გრძელი აიათის წაუკითხველობა.

გ.) ლოცვის ხმამაღლა, ან ხმადაბლა ლოცვის წესის დარღვევა. შუადღის და სამხრობის ლოცვის ხმამაღლა შესრულების შემთხვევაში სეჰივ სეჯდეა საჭირო. იგივენაირად სეჰივ სეჯდის შესრულებას საჭიროებს დილის, საღამოს და ღამის ლოცვის ხმადაბლა ლოცვა.

დ) სამ და ოთხმუხლიან ლოცვებში მეორე მუხლის ლოცვის შემდეგ პირველი ჯდომისას ეთთეჰიათუს გამოტოვება.

ე) ბოლო ჯდომისას ეთთეჰიათის გამოტოვება.

ვ) ერთი რომელიმე მუხლის ლოცვისას ზედიზედ შესასრულებელი ერთი და იგივე მოძრაობის თანმიმდევრობის დარღვევა. ვთქვათ, პირველი სეჯდის შემდეგ მლოცველმა მეორე სეჯდე აღარ შეასრულა და ფეხზე წამოდგა, გამოტოვებული სეჯდე კი გაახსენდა და ბოლოს შეასრულა. ამ შემთხვევაში სეჰივ სეჯდის შესრულებაა საჭირო. იგივე მდგომარეობაბ ვრცელდება ლოცვის სხვა ფარზების თანმიმდევრობის დარღვევის და დაგიანების დროს.

ზ) ქედმოხრის და სეჯდის შესრულებისას დადგენილი წესების დარღვევა.

თ) ფარზი ლოცვის დროს ყურანის თანმიმდევრობის დარღვევა. მაგ. ფათიჰას შემდგომ საკითხავი აიათების ფათიჰაზე ადრე წაკითხვა. ან კიდევ ოთხმუხლიან ლოცვის ლოცვისას წინა ორი მუხლის მაგივრად ბოლო ორ მუხლზე ფათიჰას შემდეგ საკითხავი აიათების წაკითხვა.

ი) ვითრის ლოცვის დროს ე.წ. ყუნუთის ვედრებების გამოტოვება. ყუნუთის წაუკითხველობის შემთხვევაში საჭიროა სეჰივ სეჯდე შესრულდეს.

კ) ყუნუთუს თექბირის გამოტოვება.

ლ) ბაირამის ლოცვის დროს თექბირების გამოტოვება. მათი გამოტოვების შემთხვევაში სეჰივ სეჯდეა საჭირო, რადგან აღნიშნული თექბირების შესრულება ვაჯიბია.

3) ლოცვის ლოცვისას ზედმეტი რამის გაკეთება. მაგ. ერთ მუხლზე ორი ქედმოხრის შესრულება. ამ მდგომარეობაში სეჰივ სეჯდეა საჭირო.

4) შეცდომით გამოტოვებული რომელიმე რიტუალზე დაბრუნება. მაგ. თუ ლოცვის დროს პირველი ჯდომის დროა და მლოცველი შეცდომით ასადგომად წამოიწია, საჭიროა დაფიქრება. თუ ჯდომის პოზიციასთან უფრო ახლოა უნდა დაჯდეს და გააგრძელოს ლოცვი, თუ ადგომის პირასაა ადგება და ისე გააგრძელებს ლოცვას. ბოლოს კი სეჰივ სეჯდეს შეასრულებს.

თუ მლოცველი მეოთხე მუხლის ბოლო ჯდომის პოზიციიდან

შეცდომით ფეხზე წამოდგა და მეხუთე მუხლის ლოცვა დაიწყო სეჯდის შესრულებამდე შეუძლია ისევ დაჯდეს და ლოცვა დაასრულოს, მაგრამ თუ მეხუთე მუხლის სეჯდეც შეასრულა ლოცვა მოშლილია. და ნალოცი ლოცვა ნაფილე ხდება. აღნიშნული ლოცვის ექვსამდე დაწყვილება კი მენდუბია. ეს დებულება ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის მოსაზრების მიხედვითაა.

5) ლოცვის დროს შესრულებული მუხლების რაოდენობის თაობაზე ეჭვის გაჩენა. მაგ. ლოცვის დროს თუ მორწმუნეს ეჭვი შეეპარა მესამე მუხლზეა თუ მეოთხეზე, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მლოცველს პირველად მოუვიდა ასეთი რამ, თუ ასეთი დაბნეულობა ჩვეულებად ექცა. თუ პირველად მოუვიდა ლოცვა თავიდან უნდა შესრულდეს. ლოცვის ხელახლა დაწყებისთვის დაჯდომა და ლოცვის მისალმებით დამთავრება უფრო მისაღები საქციელია. მტკიცებულება შემდეგი ჰადისია: “თუ რომელიმე თქვენთაგანი ნალოცი მუხლების რაოდენობაში დაეჭვდება ლოცვა ხელახლა შეასრულოს.”

თუ მორწმუნეს ხშირად ემართება ასეთი რამ და დაბნეულობა წესად ექცა სანდო ვარიანტად რომელსაც ჩათვლის იმის მიხედვით გააგრძელებს ლოცვას. ესეც გაიოლების ერთ-ერთი მაგალითია, რადგან ასეთი დაბნეულობით შეპყრობილი ადამიანი თუ ყოველ დაეჭვებისას ხელახლა დაიწყებს ლოცვის შესრულებას გაწვალდება. წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ლოცვისას თუ დაეჭვდებით შეეცადეთ გაიხსენოთ სიმართლე და მის მიხედვით გააგრძელეთ!”

ლოცვის აღსრულების დროს ნალოცი მუხლების რაოდენობის საკითხში დაეჭვებული მორწმუნე თუ ვერ გადაწყვეტს რამდენი მუხლი აქვს ნალოცი, ორი ვარიანტიდან ნაკლებს აიღებს და მის მიხედვით იმოქმედებს, რადგან ნაკლების ჭეშმარიტება უფრო სარწმუნოა.

თუ ერთი და იგივე ლოცვის შესრულებისას მლოცველი ორჯერ, ან მეტჯერ დაეჭვდა ლოცვის ბოლოს ერთხელ სეჰივ სეჯდის (ორი სეჯდე) შესრულება საკმარისია.

ლოცვის ცალკე შესრულებისას ხმამაღლა, ან ხმადაბლა კითხვა სეჰივ სეჯდის შესრულებას არ საჭიროებს. თუმცა ხმადაბლა შესასრულებელ ლოცვის ხმამაღლა შესრულება ცუდ საქციელად ითვლება.

ცალკე ლოცვისას დღისით შესრულებული ნაფილე ლოცვის

დროს ხმამაღლა კითხვა მექრუჰია.

მაგ. დილის ლოცვის შესრულებისას თუ იმამი შეცდომით ფათიჰას ხმადაბლა წაიკითხავს და შემდეგ გახსენებისას დამატებით სურას – ხმამაღლა, ფათიჰას ხელახლა წაკითხვა საჭირო აღარაა.

ოთხმუხლიანი ფარზი ლოცვის დროს პირველი ჯდომისას ეთთეჰიათუს შემდეგ სალლი ბარიქის ლოცვების წაკითხვა სეჰივ სეჯდეს შესრულებას საჭიროებს. თუმცა ბოლო ჯდომისას ეთთეჰიათუს წაკითხვის შემდეგ ყურანის, ან ლოცვების წაკითხვა სეჰივ სეჯდეს არ საჭიროებს.

ლოცვის დროს თუ იმამი შეცდება, მამაკაც მლოცველებს მისი "სუბჰანელლაჰ" თქმით გაფრთხილება შეუძლიათ.

ბ) თილავეთის სეჯდე

ყურანში 14 ადგილას არის სიტყვები, რომელთა წაკითხვის შემთხვევაში წამკითხველიც და მსმენელიც ვალდებულნი არიან სეჯდე შეასრულონ. ამ სეჯდეს თილავეთი სეჯდე ეწოდება. ცნობილია, რომ წმ. შუამავალი ამ აიათების წაკითხვისას სეჯდეს ასრულებდა და მისი თანამოღვაწე მეგობრებიც იგივეს აკეთებდნენ.

1) თილავეთის სეჯდის მტკიცებულებები

ალლჰი ბრძანებს: "

" ინშიყაყ "

ასეთ შემთხვევებში მორწმუნის საქციელის დაწუნება შესაძლებელია, როდესაც ის ვაჯიბს არ ასრულებს. აბდულლაჰ იბნ ომერის გადმოცემით, როდესაც წმ. შუამავალი სეჯდის აიათს წაიკითხავდა მაშინვე სეჯდეს ასრულებდა და მას საჰაბეებიც მიჰყვებოდნენ ხოლმე. ისეთი ხალხმრავლობა იყო შუბლის დასადებ ადგილს ვერ ვპოულობდითო, ამბობდა აბდულლაჰ იბნ ომერი.

ერთხელ მექაში წმ. შუამავალს ადამიანების ჯგუფისათვის, რომელშიც მექელი ურწმუნონიც შედიოდნენ ნეჯმის სურა წაუკითხავს. 19-ე და 20-ე აიათების წაკითხვისას წმ. შუამავალს

სეჯდე შეუსრულებია. ამ სურაში მექელი ურწმუნოების კერპების სახელებიც იყო ნახსენები, ამიტომ ურწმუნოებსაც შეუსრულებიათ სეჯდე. ამრიგად მართლმორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის განსხვავებული მიზნით შესრულებული ერთნაირი საქციელი დაფიქსირდა.

ზეიდ იბნ საბითი იხსენებს, რომ: "წმ. შუამავალმა ნეჯმის სურა წაიკითხა და სეჯდე არ შეუსრულებია."

ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: "ადამის შვილთაგანი სეჯდეს აიათის გაგონებისას თუ სეჯდეს შეასრულებს სატანა ტირილითა და ვაი-ვიშით გაშორდება იქაურობას. თან ასე იტყვის: "ვაი ჩემს თავს! ადამის შვილს უბრძანეს სეჯდე შეასრულეო და მანაც შეასრულა, ამიტომ სამოთხე მისი ხვედრია. მე კიდე მიბრძანეს სეჯდე შეასრულეო და არ შევასრულე, ამიტომ ჯოჯოხეთია ჩემი ხვედრი!"

ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებების გათვალისწინებით ჰანეფის მიმდინარეობა მიიჩნევს, რომ თილავეთის სეჯდე ვაჯიბია. დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით თილავეთის სეჯდე სუნნეთია. მათი მტკიცებულება ზეიდ იბნ საბითის მიერ გადმოცემული ჰადისი, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი. გარდა ამისა ცნობილია, რომ წმ. ომარმა ჯუმის დროს სეჯდის აიათის წაკითხვისას მლოცველებს უთხრა: "ვინც სეჯდეს შეასრულებს მადლს მიიღებს, ვინც არ შეასრულებს ცოდვა არ არის!"

1) თილავეთის სეჯდის მიზეზი და შესრულება.

თუ იმ 14 აიათს, სადაც სეჯდეზეა საუბარი დაწვრილებით განვიხილავთ ჩანს, რომ მათ ერთ ნაწილში საუბარია ურწმუნოთა მიერ დიადი ალლაჰის წინაშე ქედის მოხრის და სეჯდის შეუსრულებლობაზე. მეორე ნაწილში კი მორწმუნეთა მიმართ პირდაპირი მოწოდებაა შეასრულონ სეჯდე. გამოდინარე აქედან, სეჯდის აიათების მკითხველი, ან მსმენელი სეჯდის შესრულებით ღმერთის ბრძანებას ასრულებს, ამავდროულად ეს არის პროტესტის გამოხატვა ურწმუნოთა საქციელის მიმართ, რომლებმაც გამჩენის წინაშე სეჯდე არ შეასრულეს. ლოცვის დროს იმამზე მიყოლილი მლოცველები ვალდებულნი არიან იმამთან ერთად შეასრულონ სეჯდე. მნიშვნელობა არ აქვს მლოცველმა კონკრეტული აიათი გაიგონა თუ არა.

თილავეთის სეჯდე შემდეგნაირად სრულდება: სეჯდეს შეს-

რულებისას მორწმუნის სხეული და ტანსაცმელი სუფთა უნდა იყოს. საჭიროა აგრეთვე მცირე განბანვა და სხეულის დასაფარი ადგილების დაფარულობა. თილავეთის სეჯდის შესრულების წინ სრულდება ნიეთი, განზრახვა, რომლიც თანახმად მლოცველი სეჯდის შესრულებას აპირებს. მლოცველი სახით ქააბასკენ დგება და ხელების აუწევლად წარმოთქვამს თექბირს. შემდეგ ასრულებს სეჯდეს და სამჯერ წარმოთქვამს: “ სუბჰანე რობბიელ ა’ლაა”. შემდეგ ისევ წარმოთქვამს თექბირს (ალლაჰუ ექბერ) და დგება ფეხზე. ცალად შესრულებული ამ სეჯდის მიზანი გამჩენი ღმერთის სადიდებლად თაყვანისცემის ასეთი ფორმით გამოხატვაა.

თილავეთის სეჯდის შესრულებისას ფეხზე დგომი მორწმუნის მიერ დაჩოქება, შემდეგ ისევ წამოდგომა და თექბირების წარმოთქმა მუსთეჰაბია. კონკრეტულად სეჯდე კი ვაჯიბია.

2) თილავეთის სეჯდესთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ჰანეფის მიხედვით ლოცვის გარდა, სხვა სიტუაციაში წაკითხული სეჯდის შემცველი აიათების გამო სრულდება სეჯდე, მაგრამ შესასრულებლად ზუსტი დრო არ არის მითითებული. თუმცა საპატიო მიზეზის გარეშე დაგვიანება მექრუჰია. ებუ იუსუფის აზრით აღნიშნული სეჯდე ლოცვის გარეშე, სასწრაფოდ უნდა შესრულდეს. არსებობს სამი დამატებითი პირობა, როდესაც სეჯდე აუცილებელია. ყურანს ადამიანი უნდა კითხულობდეს, უნდა იყოს მღვიძარე მდგომარეობაში და გონებასრული. გამომდინარე აქედან მკითხველი რომ იყოს მთვრალი, ჯუნუბი, და ა. შ. შედეგის თვალსაზრისით არაფერი შეიცვლება. მუსლიმი ადამიანი სეჯდის აიათის წაკითხვის, ან გაგონებისას ვალდებულია სეჯდე შეასრულოს. მნიშვნელობა არ აქვს წამკითხველი მთვრალია თუ ჯუნუბი. სეჯდე გამოფხიზლების და განბანვის შემდეგ უნდა შესრულდეს.

თილავეთის სეჯდის ვალდებულება რომ წარმოიშვას უპირველესად საჭიროა მკითხველმაც და მსმენელმაც იცოდნენ რომელი აიათი შეიცავს სეჯდეს. გამომდინარე აქედან, თუ მორწმუნემ არ იცის რომელია სეჯდის აიათი მისი წაკითხვის, ან მოსმენის შემთხვევაში თილავეთის სეჯდის შესრულება არ ევალება. თუმცა, წაკითხვის, ან გაგონების მომენტში თუ ვინმემ განმარტა მაშინ სეჯდის შესრულების ვალდებულება გაჩნდება. სეჯდის შემცველი აიათი თუ 7 წლამდე ჯერ არ მიღწეულმა ბავშმა წაიკითხა, მსმენელებს სეჯდე არ ევალებათ.

მენსტრუაციის და ორსულობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში

მყოფ მანდილოსანს არც წაკითხვის და არც მოსმენის შემთხვევაში სეჯდის შესრულება არ ევალება. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მანდილოსანს არც ლოცვის შესრულება ევალება.

ლოცვის დროს წაკითხული სეჯდის აიათის შემდეგ სასწრაფოდ სეჯდე უნდა შესრულდეს, რადგან ის ლოცვის ნაწილია. ლოცვის დამთავრების შემდეგ მისი ანაზღაურება მიუღებელია.

ლოცვის დროს, თუ სეჯდის აიათი ფეხზე დგომისას იქნა წაკითხული და მის მერე სამ აიათზე მეტი არ წავიკითხეთ ლოცვის ქედმოხრა და სეჯდე თილავეთის სეჯდის მაგივრობასაც გასწევენ. აქ მნიშვნელობა აღარ აქვს თილავეთის სეჯდისთვის ნიეთს, განზრახვას წარმოვთქვამთ თუ არა. ასეთ შემთხვევაში სამ აიათზე მეტი თუ წავიკითხეთ მაშინ თილავეთის სეჯდე დამოუკიდებლად უნდა შესრულდეს.

სეჯდის აიათის ლოცვის დროს წაკითხვის შემთხვევაში, წამკითხველს შეუძლია არც დაფიქრდეს წასაკითხი აიათების რაოდენობაზე და მაშინვე, თექბირის თანხლებით შეასრულოს სეჯდე. ამ დროს თილავეთის სეჯდის განზრახვით ქედმოხრაც საკმარისია. საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას კი რამოდენიმე აიათის წაკითხვა სავალდებულოა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლოცვის ქედმოხრისა და სეჯდის შესრულება. აიათების წაუკითხველად ლოცვის სეჯდის შესრულება მექრუჰია.

ლოცვის გარდა სხვა სიტუაციაში თილავეთის სეჯდის მხოლოდ ქედმოხრით შესრულება მიუღებელია.

თუ თილავეთის სეჯდე ერთი და იგივე ლოცვაში რამოდენიმეჯერ იქნა წაკითხული მხოლოდ ერთხელ სეჯდის შესრულება საკმარისია. მნიშვნელობა არა აქვს სეჯდის აიათები ერთი და იმავე მუხლზე იქნა წაკითხული თუ სხვადასხვა მუხლებზე. ეს შეხედულება ეკუთვნის ებუ იუსუფს. იმამ მუჰამმედის მიხედვით კი სხვადასხვა მუხლებზე წაკითხული სეჯდის აიათებისთვის ცალკ-ცალკე სეჯდის შესრულებაა საჭირო.

იმამის მიერ სეჯდის აიათის წაკითხვა და მაშინვე თექბირის თანხლებით სეჯდის შესრულება თუ მლოცველებს დააბნევს და ისინიც ლოცვის ქედმოხრის და სეჯდის შესრულების მიზნით სეჯდეს შეასრულებენ ლოცვა არ იშლება, მაგრამ თუ სეჯდე ხელმეორედაც შეასრულეს ლოცვა იშლება.

ჯუმის და ბაირამის ლოცვების დროს, აგრეთვე ხმადაბლა შე-

სასრულებელი ლოცვების აღსრულების დროს სეჯდის აიათების წაკითხვა მექრუჰია, რადგან ამან შეიძლება მლოცველებში დაბნეულობა და არეულობა გამოიწვიოს. თუმცა სეჯდის აიათი თუ ფათიჰას შემდგომ წასაკითხი აიათების ბოლოს ემთხვევა მექრუჰი აღარ არის.

სურას წაკითხვა და იქ მყოფი სეჯდის აიათის გამოტოვება მექრუჰია. თუმცა მხოლოდ სეჯდის აიათის წაკითხვა და სხვების გამოტოვება ცოდვა არაა. სეჯდის აიათთან ერთად რამოდენიმე სხვა აიათის წაკითხვა კი მუსთეჰაბია.

3) სეჯდის აიათის გამეორება

ერთი და იგივე მლოცველების გარემოში ერთი სეჯდის აიათის რამოდენიმეჯერე გამეორების შემთხვევაში სეჯდის მხოლოდ ერთხელ შესრულება საკმარისია. უმჯობესია პირველივე წაკითხვისთანავე მისი შესრულება. სხვა შეხედულებით კი სეჯდის აიათის ბოლო გამეორებამდე სეჯდის შესრულების დაგვიანება უკეთესია.

თუ სეჯდის ერთი და იგივე აიათი სხვადასხვა ადგილას, ან მსმენელთა გარემოცვაში განმეორდა სეჯდის ხელახლა შესრულება აუცილებელია.

სეჯდის შემცველი სხვადასხვა აიათების კითხვისას ყოველ აიათისთვის ცალკე სეჯდის შესრულებაა საჭირო. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ადგილი, ან მლოცველთა გარემოცვა ერთი და იგივე არის თუ არა.

ღია მინდორში, ან გზაზე პიროვნების მიერ სამი ნაბიჯის გადადგმა მის ჯგუფიდან ჩამოშორებას განაპირობებს, მაშინ როდესაც ოთახში, ან დიდ მეჩეთში პიროვნების მიერ ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადასვლით შედეგი არ იცვლება და პიროვნება ისევ ჯგუფში მოიაზრება. თუ ყურანის მკითხველი ოთახში, ან მეჩეთში ერთი და იგივე ადგილზეა, ხოლო მლოცველთაგან ერთი მცირე განბანვისათვის გარეთ გავიდა და შესაბამისად მლოცველთა ჯგუფი შეიცვალა, სეჯდის ვალდებულება მისთვისაც მეორდება.

4) ყურანში სეჯდის აიათები

اِنَّ الَّذ ينَ عِنْدَ رَبِّكَ لَا يَسْتَكْبِرُونَ عَنْ عِبَادَتِه وَيُسَبِّحُونَهُ وَلَهُ يَسْجُدُونَ

უეჭველად, რომელნიც შენ ღმერთთან არიან , არ გამედიდურდებიან მისადმი თაყვანისცემისგან და განადიდებენ მას და მის წინაშე პირქვე დაემხობიან! არაფ 7/206“,

وَلِلّٰهِ يَسْجُدُ مَنْ فِى السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ طَوْعًا وَكَرْهًا وَظِلَالُهُمْ بِالْغُدُوِّ وَالْاٰصَالِ

და სეჯდეზე განერთხმიან ალლაჰისთვის, რაცაა ცათა შინა და დედამიწასა ზედა, ნებით თუ უნებლიეთ , და ჩრდილნი თვისნი დილით და საღამოს. „რად 13/15“,

يَخَافُونَ رَبَّهُمْ مِنْ فَوْقِهِمْ وَيَفْعَلُونَ مَا يُؤْمَرُونَ

ეშინიათ თავიანთი ღმერთის, მათი მბრძანებელის და ასრულებენ იმას, რაც დაევალათ. „ნაჰლ 16/50“,

وَيَخِرُّونَ لِلْاَذْقَانِ يَبْكُونَ وَيَز يدُهُمْ خُشُوعًا

ისინი ტირილით პირქვე მიწას ემხობიან. და აძლიერებს მათ მოკრძალებას. „ისრა 17/109“,

اُولٰئِكَ الَّذ ينَ اَنْعَمَ اللّٰهُ عَلَيْهِمْ مِنَ النَّبِيّ نَ مِنْ ذُرِّيَّةِ اٰدَمَ وَمِمَّنْ حَمَلْنَا مَعَ نُوحٍ وَمِنْ ذُرِّيَّةِ اِبْرٰه يمَ وَاِسْرَائ لَ وَمِمَّنْ هَدَيْنَا وَاجْتَبَيْنَا اِذَا تُتْلٰى عَلَيْهِمْ اٰيَاتُ الرَّحْمٰنِ خَرُّوا سُجَّدًا وَبُكِيًّا

აი, ისინი, რომლებზედაც ალლაჰმა ჯილდო მოიღო შუამავალთაგან, ადამის შთამომავალთაგან , და რომელნიც აიყვანა ნუჰთან ერთად და იბრაჰიმის და ისრაილის შთამომავალთაგან და იმათგან, ვინც ჩვენ დავადგინეთ ჭეშმარიტ გზაზე და ვინც ჩვენ ვჰყავით რჩეულნი. მათ როცა ეკითებათ მოწყალის აიათები, ტირილით სეჯდეზე განერთხმიან მიწას! „მერიემ 19/58“,

اَلَمْ تَرَ اَنَّ اللّٰهَ يَسْجُدُ لَهُ مَنْ فِى السَّمٰوَاتِ وَمَنْ فِى الْاَرْضِ وَالشَّمْسُ وَالْقَمَرُ وَالنُّجُومُ وَالْجِبَالُ وَالشَّجَرُ وَالدَّوَابُّ وَكَث يرٌ مِنَ النَّاسِ وَكَث يرٌ حَقَّ عَلَيْهِ الْعَذَابُ وَمَنْ يُهِنِ اللّٰهُ فَمَا لَهُ مِنْ مُكْرِمٍ اِنَّ اللّٰهَ يَفْعَلُ مَا يَشَاءُ

ნუთუ ვერ ხედავ, რომ ალლაჰის წინაშე სეჯდეზე განერთხმებიან ისინი, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთები, ხეები, ცხოველები, ხალხი. ხოლო მრავალი მათგანი სასჯელის ღირსია. არავინ მიაგებს პატივს იმას, ვისაც ალლაჰი დაამცირებს. უეჭველად, ალლაჰი იქმს იმას, ინებებს რასაც! „ჰაჯ 22/18“,

وَاِذَا ق يلَ لَهُمُ اسْجُدُوا لِلرَّحْمٰنِ قَالُوا وَمَا الرَّحْمٰنُ اَنَسْجُدُ لِمَا تَاْمُرُنَا وَزَادَهُمْ نُفُورًا

როცა მათ ეუბნებიან: პირქვე დაემხეთ მოწყალის წინაშე! - პასუხობენ: რას ნიშნავს მოწყალე? ნუთუ პირქვე დავემხობით იმიტომ, რომ გვიბრძანებ? და ეს აძლიერებს მათ ზიზღს! „ფურყან 25/60“,

اَلَّا يَسْجُدُوا لِلّٰهِ الَّذ ى يُخْرِجُ الْخَبْءَ فِى السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ وَيَعْلَمُ مَا تُخْفُونَ وَمَا تُعْلِنُونَ

უთხრა: შევამოწმოთ, სიმართლე თქვი თუ ხარ ცრუთაგანი! „ნემლ 27/25“,

15. ჩვენს აიათებს მხოლოდ ისინი იწამებენ, რომელნიც სეჯდეზე განერთხმიან შეხსენებისთანავე და განადიდებენ თავიანთ ღმერთს ქება-დიდებით და ეგენი არც გაგოროზდებიან! „სეჯდე 32/15“,

„სად 38/25“,

38. და თუ ესენი ჯერ კიდევ ამპრტავნობენ, ისინი, რომელნიც შენი ღმერთის წინაშე არიან, ქებას აღავლენენ მისთვის დღისით და ღამით, და მათ არ ბეზრდებათ. „ფუსსილეთ 41/38“,

فَاسْجُدُوا لِلّٰهِ وَاعْبُدُوا

დაე, აღასრულეთ სეჯდე ალლაჰისთვის და ეთაყვანეთ! „ნეჯმ 53/62“,

وَاِذَا قُرِئَ عَلَيْهِمُ الْقُرْاٰنُ لَا يَسْجُدُونَ

და როცა ეკითხებათ ყურანი, მუხლს არ მოიყრიან ისინი (სეჯდეს არ შეასრულებენ). „ინშიქაქ 84/21“

كَلَّا لَا تُطِعْهُ وَاسْجُدْ وَاقْتَرِبْ

მაგრამ არა! არ დაემორჩილო მას, არამედ სეჯდე შეასრულე (ღმერთის წინაშე) და მასთან (ღმერთთან) დაახლოებას ეცადე! „ალაყ 96/19“.

შაფის და ჰანბელის მიხედვითაც სეჯდის აიათების რიცხვი 14-ია. თუმცა მიაჩნიათ, რომ “სად”-ის სურას აიათში მადლიერების

სეჯდეა, ხოლო “ ჰაჯ”-ის სურაში ორი -სეჯდე. მალიქის მიმდინარეობის მიხედვით კი სეჯდის აიათების რიცხვი 11-ია.

5) თილავეთის სეჯდის მომშლელი ფაქტორები

ლოცვის მომშლელი ყოველი ფაქტორი თილავეთის სეჯდესაც შლის. თუმცა აღნიშნული სეჯდის შესრულებისას ხმამაღლა გაცინება აბდესთს არ შლის და არც მანდილოსნების გვერდზე დგომა მოქმედებს მის სრულყოფილებაზე.

გ) მადლიერების სეჯდე

რაიმე წყალობის მიღების, ან რაიმე უბედურებიდან გადარჩენის შემდეგ მადლიერების გამოხატვის მიზნით შესრულებულ სეჯდეს მადლიერების სეჯდე ეწოდება. ის იგივენაირად სრულდება, როგორც თილავეთის სეჯდე.

ებუ ბექირის გადმოცემით წმ. შუამავალი სასიხარულო ამბის გაგებისთანავე სეჯდეს ასრულებდა.

მადლიერების სეჯდის შესრულება მუსთეჰაბია. თუმცა ლოცვის შემდეგ მისი შესრულება მექრუჰია. საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს შეიძლება ის ლოცვის ნაწილი ეგონოთ და მცდარი ცოდნა ჩამოუყალიბდეთ. მადლიერების სეჯდის შესრულება მექრუჰი დროების გარდა ყოველთვის შეიძლება.

XV- შიშის ლოცვი

ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის შეხედულებით მტრის შემოტევის, ან წყალდიდობის შიშის დროს შიშის ლოცვის ლოცვა შეიძლება. ებუ იუსუფის აზრით კი ეს ლოცვი წმ. შუამავლის პერიოდისთვისაა.

ყურანში ნაბრძანებია:

وَاِذَا كُنْتَ ف يهِمْ فَاَقَمْتَ لَهُمُ الصَّلٰوةَ فَلْتَقُمْ طَائِفَةٌ مِنْهُمْ مَعَكَ وَلْيَاْخُذُوا اَسْلِحَتَهُمْ فَاِذَا سَجَدُوا فَلْيَكُونُوا مِنْ وَرَائِكُمْ وَلْتَاْتِ طَائِفَةٌ اُخْرٰى لَمْ يُصَلُّوا فَلْيُصَلُّوا مَعَكَ وَلْيَاْخُذُوا حِذْرَهُمْ وَاَسْلِحَتَهُمْ وَدَّ الَّذ ينَ كَفَرُوا لَوْ تَغْفُلُونَ عَنْ اَسْلِحَتِكُمْ وَاَمْتِعَتِكُمْ فَيَم يلُونَ عَلَيْكُمْ مَيْلَةً وَاحِدَةً وَلَا جُنَاحَ عَلَيْكُمْ اِنْ كَانَ بِكُمْ اَذًى مِنْ مَطَرٍ اَوْ كُنْتُمْ مَرْضٰى اَنْ تَضَعُوا اَسْلِحَتَكُمْ وَخُذُوا حِذْرَكُمْ اِنَّ اللّٰه اَعَدَّ لِلْكَافِر ينَ عَذَابًا مُه ينًا

და როცა შენ (ო, მუჰამმედ!) მორწმუნეთა შორის ხარ და წარმართავ მათ ლოცვით , შენთან ერთად ილოცოს ერთმა ჯგუფმა იარაღით ხელში. როცა პირველი ჯგუფი ლოცვას დაასრულებს, შენ უკან დადგნენ და მოვიდეს მეორე ჯგუფი, რომელსაც ჯერ არ ულოცია და შენთან ერთად განაგრძოს ლოცვა. მაგრამ ფრთხილად იყვნენ და იარაღი ჰქონდეთ თან. ვინც ურწმუნოა, ნატრობს უგულისყუროდ დატოვოთ იარაღი და აღჭურვილობა , რომ მოულოდნელად დაგესხან თავს. ცოდვად არ გეთვლებათ, თუ იარაღს განზე გადადებთ წვიმით შეწუხებულნი ან ავად მყოფნი. და იყავით ფხიზლად! უეჭველად, ალლაჰმა გაუმზადა ურწმუნოებს სასჯელი დამამცირებელი! “ ნისა 4/102. “

ცნობილია, რომ წმ. შუამავალმა შიშის ლოცვი სულ 4 –ჯერ შეასრულა. წმ. შუამავლის შემდეგ შიშის ლოცვი შეასრულეს წმ. ალიმ, ებუ მუსა ელ ეშარიმ და ჰუზეიფემ.

მტერთან ორთაბრძოლის პირობებში ადამიანების ერთი ნაწილი მტრის წინაღმდეგ დადგება, ხოლო მეორე ნაწილი ლოცვის შესასრულებლად იმამს მიჰყვება. მლოცველები ორმუხლიანი ლოცვის პირველ მუხლს, ხოლო ოთხმუხლიანი ლოცვის წინა ორ მუხლს იმამთან ერთად ასრულებენ. შემდეგ კი მეორე სეჯდის, ან პირველი ჯდომის პოზიციაში ეთთეჰიათუს წაკითხვის შემდეგ დგებიან და მტრის პირისპირ იბრძვიან. ამ დროს მეორე ჯგუფი მოვა და იმამს მიყვება, ილოცავს დარჩენილ მუხლებს და ისევ მტრის წინააღმდეგ წავა. იმამი მისალმებით მარტო დაასრულებს ლოცვას. ამ დროს მოვა პირველი ჯგუფი, გააგრძელებენ და დაასრულებენ ლოცვას. შემდეგ კი ისევ ორთაბრძოლაში ჩაებმებიან. შემდეგ მოვა მეორე ჯგუფი და ლოცვას გააგრძელებენ, თუმცა ლოცვის წინა მუხლები აქვთ ასანაზღაურებელი და ლოცვის დროს ფათიჰას და შემდგომ აიათებს წაიკითხავენ. დაასრულებენ ლოცვას და ისინიც მტრის წინააღმდეგ ჩაებმებიან ბრძოლაში. მისვლა-მოსვლა თუ ძნელდება მათ შეუძლიათ ადგილზევე დაასრულონ ლოცვი.

მთელი ხალხის ამგვარი ლოცვი გამართლებულია ძალიან მადლმოსილი იმამის უკან ლოცვის სურვილით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ჯგუფის მიერ ცაკე იმამზე მიყოლით ლოცვის ლოცვა უფრო მეტად მადლიანია.

შიშის ლოცვის ლოცვის დროს ლოცვთან შეუსაბამო ქმედებები ლოცვის მოშლას გამოიწვევს. მაგ. მიმოსვლის დროს ცხენზე შეჯდომა.

ომი თუ გამძაფრდა და მებრძოლებს არ შეუძლიათ თავიანთი ადგილების დატოვება შეძლებისდაგვარად იმიტაციის მეთოდით შეასრულებენ ლოცვას. თუ ესეც შეუძლებელია ლოცვის შესრულებას შემდეგისთვის გადადებენ. ჰენდექის ბრძოლის დროს შუადღის, სამხრობის და საღამოს ლოცვი გადაიდო და შემდეგ იქნა ანაზღაურებული.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით გამძაფრებული ბრძოლის დროსაც იმიტაციის მეთოდით ლოცვის შესრულება შეიძლება.

XVI- ავადმყოფის ლოცვი

ისლამი იოლი სარწმუნებაა. ის არავის ავალდებულებს ისეთი რამის შესრულებას, რაც მის ძალებს აღემატება. ავადმყოფობის შემთხვევაში მორწმუნეს შეუძლია შეძლებისდაგვარად შეასრულოს ესა თუ ის ღვთისმსახურება.

ავადმყოფი, თავისი შეძლებისდაგვარად ვალდებულია ლოცვი შეასრულოს. მაგ. თუ ადამიანი იმდენად შეუძლოდაა, რომ ფეხზე დგომას ვერ შეძლებს, ან ფეხზე დგომის შემთხვევაში მისი ჯანმრთელობა უფრო გაუარესდება შეუძლია დამჯდარმა ილოცოს. თუ ჯდომაც არ შეუძლია დაწოლილი შეასრულებს ლოცვას.

შეუძლოდ მყოფი, თუ ვერ შეძლებს ქედმოხრა და სეჯდე ნორმალურად შეასრულოს წარმოსახვით, მინიშნებით, იმიტაციით შეასრულებს. ეს კი თავის მოძრაობით გამოიხატება. უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ ნახოთ ზემო თავებში განხილული თემა ლოცვის ფარზები.

XVII- მგზავრი და მგზავრის ლოცვი

ა) სეფერი

სეფერი მგზავრობას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი, სეფერი არის გარკვეული მაძილის გავლა, რომელიც საშუალო სიარულით დაახლოებით სამი დღის სავალი მანძილის გავლით განისაზღვრება. ანუ 18 საათის სავალი გზის გავლა.

ხმელეთზე მიღებულია საშუალო სიარულით 18 საათის სავალი გზა, ხოლო ზღვაში იალქნიანი გემით 18 საათის მანძილი. მანძილით, ან საათობის მიხედვით სეფერის განსაზღვრისას მხოლო ერთ მიმართულებას ვანგარიშობთ. ანუ მისვლა და მოსვლა ერთად აღებული არ შეიძლება.

თუ მგზავრი რაიმე საშუალებით ამ მანძილს უფრო სწრაფად გაივლის მაინც "მგზავრად" ითვლება და ლოცვი შეუძლია შემოკლებით შეასრულოს.

ყველაზე მცირე მანძილი, ან დრო რომლის მიხედვითაც ადამიანი მგზავრად ჩაითვლება.

ა) შეხედულება, რომლის დასაყრდენი სამი დღის სასიარულო მანძილია.

ჰანეფის მიხედვით წელიწადის ყველაზე მოკლე დღეებში საშუალო სიარულით სამი დღის მანძილის გავლა მგზავრობად ითვლება. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი მტკიცებულებები:

وَاِذَا ضَرَبْتُمْ فِى الْاَرْضِ فَلَيْسَ عَلَيْكُمْ جُنَاحٌ اَنْ تَقْصُرُوا مِنَ الصَّلٰوةِ اِنْ خِفْتُمْ اَنْ يَفْتِنَكُمُ الَّذ ينَ كَفَرُوا اِنَّ الْكَافِر ينَ كَانُوا لَكُمْ عَدُوًّا مُب ينًا

და როცა მოგზაურობთ ამ მიწაზე, ცოდვად არ გეთვლებათ, თუ ლოცვას შეამოკლებთ , თუკი შიშობთ, რომ რაიმეს გავნებენ ისინი, რომელნიც ურწმუნონი არიან. უეჭველად, ურწმუნონი აშკარა მტრები არიან თქვენდამი! " ნისა 4/101 "

ამ აიათში მანძილი არ არის მითითებული, მაგრამ მგზავრად ჩათვლისათვის საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით წასვლა რომ საჭიროა ეს აშკარაა. ბუნებრივია, საცხოვრებელი ადგილის შემოგარენში მოძრაობისას მგზავრად ისედაც არ ვითვლებით. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მეორე აიათიც:

اَيَّامًا مَعْدُودَاتٍ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَر يضًا اَوْ عَلٰى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ اَيَّامٍ اُخَرَ وَعَلَى الَّذ ينَ يُط يقُونَهُ فِدْيَةٌ طَعَامُ مِسْك ينٍ فَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَهُوَ خَيْرٌ لَهُ وَاَنْ تَصُومُوا خَيْرٌ لَكُمْ اِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს

), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ. “ ბაყარა 2/184. “

წმ. შუამავალმა მექელებს მიუთითა, რომ უსანზე უფრო ახლო მანძილზე გამგზავრებისას მგზავრად არ ითვლებოდნენ და ლოცვი მთლიანად უნდა შეესრულებინათ. ეს კი მანძილთან დაკავშირებით გარკვეულ მინიშნებას გვაძლევს. მექასა და უსფანს შორის მანძილი კი 88. 704 კმ-ა.

ჰანეფის მიმიდინარეობის წარმომადგენლები მგზავრად ჩათვლისათვის ყველაზე მოკლე მანძილს საშუალო სიარულით სამი დღის სავალ მანძილს მიიჩნევენ. მათი შეხედულება შემდეგ ჰადისს ეყრდნობა: “ადგილობრივს შეუძლია ერთი დღის განმავლობაში მესთის გარედან მესჰი გააკეთოს, ხოლო მგზავრს – სამი დღის განმავლობაში.”

მგზავრობასთან ზოგადად სიძნელე და შეწუხება ასოცირდება. ამიტომ ისლამი მგზავრებს გარკვეულ შეღავათებს უწესებს. მგზავრობის დროს, ბუნებრივია დღე და ღამე შეუჩერებლად გადაადგილება შეუძლებელია. ადამიანს დასვენებაც სჭირდება. ამიტომ დღიური სამოგზაურო პერიოდი 6 საათით განისაზღვრა. საათში საშუალო სიარულით 5 კმ. გავლა შეიძლება. ამის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ სამდღიანი მოგზაურობის შემდეგ გავლილი მანძილი 90 კმ. გამოგვივა. მოგზაურობის სწრაფად, ან ადვილად წარმართვა შედეგს არ ცვლის.

ებუ იუსუფის გამოანგარიშებით სეფერის მანძილი 83. 060 კმ-ა.

ბ) შეხედულება, რომლის დასაყრდენი გავლილი მანძილია.

შაფის, მალიქის და ჰანბელის მიმდინარეობის იმამებს მგზავრობის საკითხში საზომად გავლილ მანძილი აქვთ აღებული.

იმამ შაფის მგზავრობის მანძილთან დაკავშირებით 6 სხვადასხვა შეხედულება გააჩნდა, მაგრამ მისი ბოლო შეხედულების მიხედვით სეფერის მანძილი 88. 704 კმ-ა. შაფიის მიდევრების მიხედვით ეს მანძილი მკაცრად განსაზღვრულია და ამაზე ნაკლებ მანძილზე მგზავრისთვის მინიჭებული შეღავათებით არ სარგებლობენ. მტკიცებულებად გამოყენებულია ჰადისი, სადაც მექასა და უსფანს შორის მანძილზეა საუბარი. ეს მანძილი კი 88. 704 კმ-ა.

მალიქის მიხედვითაც სეფერის მანძილი 88.704 კმ-ა, ხოლო ჰანბელის მიხედვით -80.704 კმ.

საბოლოოდ მიმდინარეობების იმამების აზრთა სიახლოვის გამო სეფერის მანძილად დაახლოებით 90 კმ იქნა მიჩნეული.

ბ) მგზავრისთვის შეღავათების დაწყების ადგილი

პიროვნება მგზავრად რომ ჩაითვალოს და შეღავათებით ისარგებლოს ამისათვის გამგზავრების განზრახვა არ კმარა. ის რეალურად უნდა წავიდეს მგზავრად. ანუ თავისი საცხოვრებელი ადგილიდან და მახლობელი ტერიტორიიდან უნდა გავიდეს. მაგ. სახლიდან გამოსული და გზაზე დამდგარი მგზავრი მოძრაობის მიმართულებით მყოფ დასახლებას უნდა გასცდეს და ამასთანავე სამდღიანი მგზავრობის განზრახვა უნდა ჰქონდეს. ამ მომენტიდან ის უკვე მგზავრია და შეუძლია ისლამის სარწმუნოების მიერ დადგენილი შეღავათებით ისარგებლოს. ქალაქიდან წასული მგზავრი უნდა გასცდეს ქალაქის დასახლებას, აგრეთვე ქალაქზე მიბმულ გარეუბნებს, სოფლებს, სასაფლაოებს და სხვ.

ქალაქის გარეთ არსებული შენობა ნაგებობები, მაგ ფაბრიკები, ბენზინგასამართი სადგურები, მინდვრები და ყანები და მსგავსი ქალაქის ტერიტორიად არ ითვლება.

გ) მგზავრის შეღავათები

ისლამის მიხედვით მგზავრად ჩათვლილ ადამიანს გარკვეული შეღავათები ეკუთვნის. რამაზნის თვეში შეუძლიათ არ იმარხულონ და შემდეგისთვის გადადონ. მგზავრობის დროს მესჰის დროც სამი დღით არის განსაზღვრული. მგზავრი ოთხმუხლიანი ფარზი ლოცვის მხოლოდ ორ მუხლს ლოცულობს. ქვემოთ თითოეულ მათგანს სათითაოდ განვმარტავთ.

1) ოთხმუხლიანი ლოცვის ორ მუხლად ლოცვა.

მგზავრობის დროს ოთხმუხლიანი ლოცვის შემოკლებით, ორ მუხლად ლოცვის შესაძლებლობა ყურანით, სუნნეთით და იჯმათია დამტკიცებული.

ღმერთი ბრძანებს:

وَاِذَا ضَرَبۡتُمۡ فِی الۡاَرۡضِ فَلَیۡسَ عَلَیۡکُمۡ جُنَاحٌ اَنۡ تَقۡصُرُوۡا مِنَ الصَّلٰوۃِ اِنۡ خِفۡتُمۡ اَنۡ یَّفۡتِنَکُمُ الَّذِیۡنَ کَفَرُوۡا اِنَّ الۡکٰفِرِیۡنَ کَانُوۡا لَکُمۡ عَدُوًّا مُّبِیۡنًا

არ გამოიჩინოთ სისუსტე ხალხის დევნაში. და თუ თქვენ იტანჯებით, უეჭველად, იტანჯებიან ისინიც, როგორც თქვენ იტანჯებით, და თქვენ ალლაჰისგან იმის იმედი გაქვთ, რისი იმედიც მათ არ გააჩნიათ. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია! “ ნისა 4/101/ “

ამ აიათში ლოცვის შემოკლების მიზეზად შიშის ფაქტორი ჩანს. წმ. შუამავლის მოგზაურობა ხომ ხშირად საფრთხეს შეიცავდა. იალა იბნ იმეიე წმ. ომარს შეეკითხა: - “რატომ ვამოკლებთ ლოცვას, როცა საფრთხე არ გვემუქრება? “

წმ ომარმა მას უპასუხა: -“მეც ვკითხე შუამავალს იგივე და ასე მიბრძანა “ ეს ალლაჰის მიერ თქვენთვის ნაბოძები საჩუქარია. ღმერთის მოწყალება მიიღეთ!”

ჰაჯობის, უმრეს და ომის დროს მგზავრობისას წმ. შუამავალი ლოცვებს შემოკლებით ლოცულობდა. ამის შესახებ ურყევი ჰადისები მოგვითხრობენ.

აბდულლაჰ იბნ ომერის გადმოცემით წმ. შუამავალი მგზავრობისას ორ მუხლზე მეტს ლოცვას არ ლოცულობდა. იგივენაირად იქცეოდნენ ხალიფები; წმ. ებუ ბექირი, წმ. ომარი და წმ. ოსმანი.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს წმ. ომარის ჰადისიც: “მგზავრის ლოცვი ორი მუხლია.”

მგზავრის მიერ ლოცვის შემოკლებით ლოცვა სავალდებულოა, თუ მგზავრს უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს?

ჰანეფის მიხედვით მგზავრის მიერ ოთხი მუხლი ლოცვის მაგივრად ორის ლოცვა ნებართვა კი არ არის, არამედ გულწრფელი ღვთისმსახურებაა. გამომდინარე აქედან, მგზავრის მიერ შემოკლების მაგივრად განზრახ ოთხი მუხლის ლოცვა ცუდ საქციელად ითვლება და ნალოცი ლოცვის ბოლო ორი მუხლი ნაფილე ლოცვად ჩაეთვლება. იბნი აბბასის გადმოცემულ ჰადისში ვკითხულობთ: “ღმერთმა წმ. შუამავლის ენით მშვიდობიან დროს ოთხი მუხლი, ხოლო სეფერის დროს ორი მუხლი დააწესა!”

თუ მგზავრი ოთხმუხლიანი ლოცვის ლოცვისას, მეორე მუხლზე ჯდომისას ეთთეჰიათუს შემდეგ ზეზე წამოდგება და ორ მუხლს კიდევ ილოცავს წინა ორი მუხლი ფარზის შესრულებაში ჩაეთვლება, ხოლო ბოლო ორი-ნაფილე ლოცვასი. თუმცა მეორე მუხლის შემდეგ მისალმების და ლოცვის დასრულების დაგვინების გამო ცუდ საქციელს ჩაიდენს.

შაფის და ჰანბელის მიხედვით ოთხმუხლიანი ლოცვი ამ ფორმითაა ფარზი და მგზავრობის დროს მისი შემოკლებით ლოცვა მხოლოდ ნებართვაა. ამ მოსაზრებას ამყარებს წმ. ომარის მიერ გადმოცემული ჰადისი, სადაც ნათქვამია, რომ მგზავრობის დროს ლოცვის შემოკლება მოწყალებაა, საჩუქარია. ამ მოსაზრებას ადასტურებს წმ. აიშეს მიერ მგზავრობის დროს ლოცვის ზოგჯერ შემოკლების გარეშე შესრულება. იმამი შაფიი ამ საკითხს რამაზნის მარხვასთან ადარებს. თუმცა ჰანბელის მიმდინარეობის მიხედვით მგზავრის მიერ ლოცვის შემოკლება უფრო მადლია. მალიქის მიმდინარეობა კი მიიჩნევს, რომ მგზავრის მიერ ლოცვის შემოკლებით ლოცვა მუექქედი სუნნეთია, რადგან წმ. შუამავალი სწორედ ასე იქცეოდა.

2) მგზავრობის დროს ორი ლოცვის გაერთიანებული ფორმით ლოცვა.

ჰენფის მიხედვით ხუთი დროის ლოცვი თავთავიანთ დროზე უნდა შესრულდეს, რადგან დრო ლოცვის აუცილებელი პირობაა. თუმცა ჰაჯობისას, არაფა დღეს შუადღის და სამხრობის ლოცვის შეერთება და ერთად ლოცვა შეიძლება. ასევე შეერთებით შეიძლება საღამოს და ღამის ლოცვების შეერთებით ლოცვა მუზდელიფში. ეს ცნობები უეჭველ სუნნეთს ეყრდნობა. მგზავრობის დროს კი წმ. შუამავალს შუადღის ლოცვის ლოცვა ბოლო დრომდე დაუგვიანები, ხოლო სამხრობის ლოცვი დროის დასაწყისში შეუსრულებია. ამრიგად ეს ორი ლოცვი თითქმის ერთდროულად იქნა შესრულებული. წმ. შუამავალს იგივე მეთოდი აქვს გამოყენებული საღამოს და ღამის ლოცვის შესრულებისას.

მიმდინარეობათა უმრავლესობა კი მიიჩნევენ, რომ მგზავრობისას შუადღის და სამხრობის ლოცვის შეერთება და ერთი და იმავე დროს შესრულება მისაღებია. იგივე ეხება საღამოს და ღამის ლოცვებსაც. ეს ინფორმაცია ეყრდნობა ჰადისებს, რომელთა მიხედვითაც მგზავრობისას და ძლიერი წვიმის დროს წმ. შუამავალს აღნიშნული ლოცვები შეერთებით შეუსრულებია.

3) რამაზნის მარხვის სხვადროისთვის გადადება

მგზავრს შეუძლია რამაზნის მარხვა არ შეასრულოს და გაცდენილი დღეები მოგვიანებით აანაზღაუროს. ყურანში ნაბრძანებია, რომ:

أَيَّامًا مَعْدُودَاتٍ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا أَوْ عَلَى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ أَيَّامٍ أُخَرَ وَعَلَى الَّذِينَ يُطِيقُونَهُ فِدْيَةٌ طَعَامُ مِسْكِينٍ فَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَهُوَ خَيْرٌ لَهُ وَأَنْ تَصُومُوا خَيْرٌ لَكُمْ إِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ. “ ბაქარა 2/184. “

წმ. აიშე მოგვითხრობს, რომ ის წმ. შუამავალთან ერთად მედინადან მექაში მგზავრობდა. მექას რომ მიაღწიეს წმ. აიშემ წმ. შუამავალს მიმართა: -ღვთის შუამავალო, ზოგი ლოცვი სრულად ვილოცე, ზოგი კი შევამოკლე. ზოგჯერ ვიმარხული, ზოგჯერ კიდე არ ვიმარხულე. კარგად მოქცეულხარო, -უბრძანებია წმ. შუამავალს.

4) მესთებზე სამი დღის განმავლობაში მესჰის შესრულება.

მესთებზე მესჰის შესრულების ნებადართული დრო ადგილობრივი მაცხოვრებლისთვის ერთი დღე-ღამეა, ხოლო მგზავრისთვის –სამი. ასე იქცეოდა წმ. შუამავალი. თუმცა ჯუნუბობის (სქესობრივი კავშირის შემდგომი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი დიდ განბანვას საჭიროებს) შემთხვევაში მესთების გახდა აუცილებელია.

5) მგზავრობის დროს ნაფილე ლოცვების საკითხი

ჰანეფის მიხედვით მგზავრობისას გაჩერებებზე თუ შესაბამისი პირობები არსებობს ფარზ ლოცვთან დაკავშირებული ნაფილე ლოცვის ლოცვა საჭიროა. საუბარია მუეექედ სუნნეთად წოდებულ ნაფლე ლოცვებზე. ჰადისში ნაბრძანები: “ცხენებიც რომ მოგსდევდნენ დილის ლოცვის სუნნეთი არ უგულებელყოთ!”

წინა თავებში ნახსენები ჰადისის თანახმად ჰეიბერის ლაშქრობიდან დაბრუნებისას დილის ლოცვი ვერ შესრულდა, მზის ამოსვლის და ცაზე ამაღლების შემდეგ წმ. შუამავლმა ორი მუხლი სუნნეთი ილოცა, შემდეგ კი ჯგუფურად შეასრულეს დილის ლოცვის ფარზი. გარდა ამისა ცნობილია, რომ წმ. შუამავალი მგზავრობისას ნაფილე ლოცვებს ამხედრებულ მდგომარეობაში ლოცულობდა. მგზავრობსას რაიმე საფრთხის შიში, დროის უკმარისობა და სხვა სიძნელეები თუ არსებობს ნაფილე ლოცვის შეუსრულებლობა მისაღებია. ებუ მუსას გადმოცემით წმ. შუამავალი ბრძანებდა: “თუ ავადმყოფობის და მგზავრობის დროს მორწმუნემ ნაკლები

ღვთისმსახურება შეასრულა, ჯანმრთელობის და სახლში ყოფნის დროს შესრულებული ღვთისმსახურების მსგავსი ეწერება.”

სხვა მიმდინარეობების მიხედვით დილის ლოცვის სუნნეთის გარდა დანარჩენი დროის ფარზებთან დაკავშირებული ნაფილე ლოცვების შეუსრულებლობა დასაშვებია. მტკიცებულება აბდულლაჰ იბნ ომერის მიერ გადმოცემული ამბავია: იბნი ომერი მექაში მგზავრობის დროს შუადღის და სამხრობის ლოცვი ორ-ორ მუხლად შეასრულა. შუადღის ლოცვის შემდეგ მან დაინახა, რომ ზოგიერთები ფარზი შემდეგ ლოცვას ლოცულობდნენ. ამის თაობაზე მან თქვა, რომ: “მე რომ ნაფილე ლოცვის ლოცვა მდომებოდა ფარზ ლოცვას ოთხ მუხლად შევასრულებდიო.” და ამის შემდეგ გადმოგვცა ჰადისი: “მე წმ. შუამავალთან ერთად ვმოგზაურობდი. მგზავრობის დროს ორ მუხლზე მეტი ლოცვი არ შეუსრულებია. ვიყავი აგრეთვე ებუ ბექირის ერთადაც. არც მას შეუსრულებია ორ მუხლზე მეტი. ომარისა და ოსმანის ერთადაც ვყოფილვარ მგზავრობაში და არც მათ შეუსრულებიათ ორ მუხლზე მეტი.”

ამ ჰადისის პასუხად ნევევი ამბობდა: “შეიძლება, მგზავრობისას წმ. შუამავალი ნაფილე ლოცვას კარავში ლოცულობდა და ამიტომ ვერ დაინახა იბნ ომერმა.”

დ) მგზავრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები

მგზავრობის დროს მნიშვნელობა არ აქვს მგზავრობის მიზანს. მგზავრისთვის დაწესებული შეღავათები ნებისმიერ შემთხვევაში მოქმედია. მგზავრობის მიზანი შეიძლება იყოს ბოროტება, არამის ჩადენა, კეთილი საქმე, ან ჩვეულებრივი ცხოვრებისეული საქმიდან გამომდინარე რაიმე მიზეზი. გამომდინარე აქედან ნებისმიერი სახის მგზავრობის დროს მგზავრისთვის დაწესებული შეღავათების გამოყენება მისაღებია. ანუ, ამ დროს მგზავრს შეუძლია ლოცვი შეამოკლოს და მარხვა სხვა დროისთვის გადადოს.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევდნენ, რომ არამის საქმისათვის გზაზე მიმავალი ადამიანის მიერ აღნიშნული შეღავათებით სარგებლობა მიუღებელია, რადგან ასეთი მიზნით მგზავრობა ღმერთის მიერ დადგენილი კანონების უგულებელყოფაა.

თუ მგზავრი სადმე 15 დღეზე მეტხანს აპირებს დარჩენას ადგილობრივად ითვლება და ღვთისმსახურებაც სრულად უნდა შეას-

რულოს. ამაზე ნაკლები დროით თუ აპირებს დარჩენას შეუძლია შეღავათებით ისარგებლოს. მტკიცებულებად შემდეგ ჰადისს წარმოგიდგენთ, რომელიც იბნი აბბასის და იბნი ომერის მიერაა გადმოცემული: "მგზავრად ყოფნისას ერთ ადგილზე 15 დღემდე დარჩენას თუ აპირებთ ლოცვი სრულად ილოცეთ, ხოლო თუ არ იცი აღნიშნული ადგილიდან როდის წახვალ ლოცვი შემოკლებით ილოცე!"

ისლამის მიხედვით მგზავრად ჩათვლილ ადამიანს თუ ერთ რომელიმე დასახლებულ ადგილას ლოდინი უწევს და ყოველდღე ფიქრობს წასვლას 15 დღეზე მეტი ხნითაც რომ დარჩეს მგზავრის შეღავათებით შეუძლია ისარგებლოს. ცნობილია, რომ სად იბნ ები ვაკკასი ნიშაბურის ერთ-ერთ სოფელში ორი თვე დარჩენილა და ამ ორი თვის განმავლობაში ლოცვას შემოკლებით ასრულებდა. იგივე სიტუაციაში იყო აბდულლაჰ იბნ ომერი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში აზერბაიჯანში იმყოფებოდა და ისიც ები ვაკკასის მსგავსად ლოცვას შემოკლებით ლოცულობდა.

თუ ჯარი რომელიმე დასახლებულ ადგილას დაბანაკდება და 15 დღის განმავლობაში არ აპირებს წასვლას, მაინც მგზავრის შეღაათებით ისარგებლებს, რადგან საბრძოლო მოქმედებების დროს ერთ ადგილას დაბანაკების განზრახვა შეიძლება ყოველ წუთში შეიცვალოს.

შაფის და მალიქის მიხედვით, თუ მგზავრი ერთ ადგილას 4 დღე აპირებს დარჩენას ლოცვი სრულად უნდა ილოცოს. წმ. შუამავალი მექაში სამი დღე დარჩენილა და ამ სამი დღის განმავლობაში ლოცვას შემოკლებით ასრულებდა.

ჰანბელის მიხედვითაც განსაზღვრული დრო 4 დღეა,

მგზავრობის დროს სადმე დარჩენის გადაწყვეტილება და შესაბამისად მგზავრის შეღავათებით სარგებლობის უფლება გადაწყვეტილების მიმღებ პირზეა დამოკიდებული. მაგ. ჯარისკაცი ოფიცერზეა დამოკიდებული, მოსწავლე -მასწავლებელზე, ცოლი –ქმარზე და ა.შ. შესაბამისად მგზავრის სტატუსს ოფიცრის, მასწავლებლის და ქმრის განზრახვა განაპირობებს.

მგზავრის შეღავათები ბავშვებზე არ ვრცელდება, რადგან ისინი ზრდასრულობის ასაკს არ არიან მიღწეულნი.

მგზავრად წასული ადამიანი თუ სხვაზეა დამოკიდებული და არ იცის საით და რამდენი ხნით მიემგზავრება სამი დღის განმავლობაში

ლოცვას სრულად შეასრულებს, სამი დღის შემდეგ კი შეამოკლებს.

ისლამის სახლმწიფოს მეთაური თუ შესაბამისი განზრახვის გარეშე ქვეყნის შემოვლას გადაწყვეტს ვალდებულია ლოცვი სრულად ილოცოს, მაგრამ თუ იმდენი ხნით მოგზაურობა განიზრახა, რაც მას მგზავრის სტატუსს შესძენს შეუძლია ლოცვი შეამოკლოს.

თუ მგზავრი სხვა დროს გაცდენილი ოთხმუხლიანი ლოცვის ანაზღაურებას გადაწყვეტს ვალდებულია ოთხი მუხლი ილოცოს და პირიქით, მგზავრობის დროს გამოტოვებულ ლოცვას სახლში დაბრუნებისას ორ მუხლად შეასრულებს.

ნამზის ჯგუფურად შესრულებისას მგზავრ შეუძლია მიყვეს ადგილობრივ იმამს, და პირიქით, ადგილობრივს შეუძლია მიჰყვეს მგზავრ იმამს. თუ იმამი მგზავრია ორი მუხლის შემდეგ მისალმებით დასრულებს ლოცვას, მასზე მიყოლი ადგილობრივი მლოცველი კი ფეხზე წამოდგება და თავისით გააგრძელებს დანარჩენი მუხლების შესრულებას.

მგზავრი მლოცველი თუ ადგილობრივ იმამს მიყვება მის მსგავსად ოთხ მუხლს შეასრულებს.

ნაფი ამბობდა, რომ იბნი ომერი მგზავრობის დროს ადგილობრივი იმამის უკან ლოცვისას ლოცვას შემოკლებით არ ასრულებდა, ხოლო მარტოდ ლოცვისას შემოკლებით ლოცულობდაო.

მგზავრობის დროს გაცდენილი ლოცვის ასანაზღაურებლად ადგილობრივ იმამზე მიყოლა მიუღებელია, რადგან აღნიშნული ლოცვი გამოტოვების დროს ორი მუხლი იყო.

ე) მგზავრობის დასრულება

საკუთარ სახოვრებელ ადგილზე დაბრუნებისას მგზავრობა სრულდება. მნიშვნელობა არ აქვს იქ დარჩენას ვაპირებთ თუ არა. თუმცა ისეთ ადგილზე მისვლისას, სადაც არ ვცხოვრობთ, მაგრამ გვსურს 15 დღეზე მეტ ხანს გავჩერდეთ ნიეთია(განზრახვა) საჭირო.

ადგილი სადაც შეიძლება მგზავრის სტატუსი შეწყდეს სამი სახისაა:

1) ადგილი, სადაც ადამიანი დაიბადა, გაიზარდა, ან დაქორ-

წინდა და იქ სურს ცხოვრება. ასეთ ადგილს პირობითად მუდმივ საცხოვრებელს ვუწოდებთ.

2) ადგილი, სადაც პიროვნება არ დაბადებულა, არც იქ ცხოვრებას აპირებს, მაგრამ 15 დღეზე მეტ ხანს სურს რომ დარჩეს.

3) ადგილი, სადაც პიროვნება 15 დღეზე ნაკლები ხნით აპირებს დარჩენას.

ეს უკანასკნელს წინა ორზე რაიმე ზემოქმედება არ გააჩნია.

თუ პიროვნება მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მუდმივად დასახლების მიზნით სხვა ადგილას გადასახლდება ეს უკანასკნელი მისი მუდმივი საცხოვრებელი გახდება და მგზავრის სტატუსზე და შეღავათებზეც შესაბამისი ზემოქმედება შეუძლია. წინა საცხოვრებელი ადგილი კი მუდმივი საცხოვრებლის სტატუსს დაკარგავს.

მუდმივი საცხოვრებლიდან სწავლის, მუშაობის და სხვა მსგავსი მიზნით სხვა ადგილას 15 დღეზე მეტი ხნით წასვლა ადრინდელი ადგილის მუდმივი საცხოვრებლის სტატუსზე არ იმოქმედებს. გამოდინარე აქედან ეს ადამიანი თუნდაც სამი დღით სახლში დაბრუნებისას, მგზავრის შეღავათებით ვერ ისარგებლებს.

ვთქვათ პიროვნება ერთ ქალაქში ცხოვრობს და მეორე ქალაქში დაქორწინდა. მისთვის ორივე ქალაქი მუდმივი საცხოვრებლის სტატუსს იძენს და არცერთგან მგზავრისათვის დაწესებული შეღავათებით არ სარგებლობს.

რაც შეეხება ადგილს, სადაც ადამიანი 15 დღეზე მეტ ხანს ცხოვრობს სხვა ადგილას წასვლისთანავე სტატუსს კარგავს და დაბრუნებისას თუ 15 დღეზე ნაკლები დროით რჩება შეუძლია მგზავრის სტატუსით ისარგებლოს.

ადგილი სადაც 15 დღეზე ნაკლები დროით ვაპირებთ დარჩენას ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელობას არ ატარებს. ასეთ ადგილას წასვლისას, თუ ის მუდმივი საცხოვრებლიდან 90 კმ-ით დაშორებულია მგზავრის სტატუსით ვისარგებლებთ. იქ წასვლით მუდმივ საცხოვრებელს სტატუსი არ უწყდება და მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისას მგზავრის სტატუსით ვეღარ ვისარგებლებთ.

XVII- გაცდენილი ლოცვის ანაზღაურება

ა) გამოტოვებული ლოცვის ანაზღაურება და მტკიცებულებები

ყოველი ლოცვი თავის დროზე უნდა შესრულდეს. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ლოცვის თავის დროზე ვერ სრულდება და საჭირო ხდება მისი შემდგომში ანაზღაურება.

თავის დროზე გაცდენილი ფარზი ლოცვის ანაზღაურება ფარზია, ხოლო ვაჯიბისა- ვაჯიბი. სუნნეთის სახეობა, რომლის ანაზღაურება შეიძლება ძალიან ცოტაა. მაგ. თუ დილის ლოცვის ფარზი და სუნნეთი რაღაც მიზეზის გამო თავის დროზე არ შესრულდა, მზის ამოსვლიდან 50-55 წუთის გასვლის შემდეგ ორივეს ერთად ანაზღაურებაა შესაძლებელი. აღნიშნული ლოცვის ანაზღაურება შუადღის ლოცვის დროის მოსვლამდე შეიძლება.

იმამ მუჰამმედის აზრით, მარტო გამოტოვებული დილის ლოცვის სუნნეთის ანაზღაურებაც შეიძლება.

ამ საკითხის შესახებ ებუ ჰურაირა მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც წმ. შუამავალთან ერთად ჰეიბერის ლაშქრობიდან ბრუნდებოდნენ ერთ ადგილას დაბანაკდნენ. წმ. შუამავალმა მორიგეობა ბილალს დაავალა, მაგრამ ბილალი ძალიან დაღლილი იყო და დაეძინა. ამის გამო დილის ლოცვი თავს დროზე ვეღარ შეასრულეს. დილას კი, მზე რომ საკმაოდ ამაღლდა ცაზე ბილალმა ეზანი იკითხა და ორი მუხლი სუნნეთის შემდეგ, ორი მუხლი ფარზიც ჯგუფურად ილოცეს.

გარდა ამისა შუადღის ლოცვის წინა ოთხი მუხლი სუნნეთი ფარზის ჯგუფურად ლოცვაზე მისწრების გამო შეიძლება გამოვტოვოთ და ფარზის შემდეგ, ბოლო ორი მუხლი სუნნეთის წინ შევასრულოთ. შეიძლება აგრეთვე ბოლო ორი მუხლი სუნნეთის ლოცვის შემდეგაც. იგივენაირად შეიძლება ჯუმის ლოცვის წინა ოთხი მუხლი სუნნეთის ანაზღაურება. სხვა გამოტოვებული სუნნეთიების ანაზრღაურება საჭირო არაა. მხოლოდ ლოცვის პროცესში შეწყვეტილი და მოშლილი სუნნეთი ლოცვების ანაზღაურებაა აუცილებელი. ვთქვათ, შუადღის ლოცვის ბოლო ორ მუხლ სუნნეთს ვასრულებთ, ამ დროს კი მიცვალებულის ლოცვი დაიწყო. მიცვალებულის ლოცვი რომ არ მოგვასწრონ უნდა მივატოვოთ სუნნეთი და ჩავერთოთ მიცვალებულის ლოცვასი. შეწყვეტილ სუნნეთს კი შემდეგში ავანაზღაურებთ.

ლოცვის ისეთი ნაკლოვანებით ლოცვის დროს, რომელიც ლოცვას არ შლის, მაგრამ თაჰრიმენ მექრუჰია ლოცვის დროის გასვლამდე მისი ხელახლა შესრულება ვაჯიბია.

საპატიო მიზეზის გარეშე ლოცვის გაცდენა მიუღებელია. ღმერთი ბრძანებს:

فَإِذَا قَضَيْتُمُ الصَّلٰوةَ فَاذْكُرُوا اللّٰهَ قِيَامًا وَقُعُودًا وَعَلٰى جُنُوبِكُمْ فَإِذَا اطْمَأْنَنْتُمْ فَأَقِيمُوا الصَّلٰوةَ إِنَّ الصَّلٰوةَ كَانَتْ عَلَى الْمُؤْمِنِينَ كِتَابًا مَوْقُوتًا

და როცა ლოცვა დაასრულოთ, „ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი“ . და როცა უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულეთ სრულად. უეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია განსაზღვრულ დროს. “ ნისა 4/103.”

საპატიო მიზეზის გარეშე ლოცვის გაცდენა მხოლოდ შემდეგში მისი ანაზღაურებით არ გამოსწორდება. საჭიროა აგრეთვე მონანიებაც.

საპატიო მიზეზით ლოცვის გაცდენა ცოდვად არ ითვლება. მაგ. მტრის შიში, ექიმის მიერ ოპერაციაზე ყოფნა, რომელიც გაუთვალისწინებლად გაგრძელდა და ა.შ. ცნობილია, რომ ჰენდექის ბრძოლის დროს წმ. შამავალმა რამოდენიმე ლოცვის შესრულება გადადო. ამის თაობაზე აბდულლაჰ იბნ მესუდი მოგვითხრობს: “ჰენდექის ბრძოლაში მტერმა წმ. შუამავალს ოთხი მუხლი ლოცვის ლოცვის საშუალება არ მისცეს. ბოლოს დაღამდა და ღმერთმა უწყის ღამის მერამდენედი გავიდა. წმ. შუამავალმა უბრძანა ბილალს ეზანი წაეკითხა. ბილალმა ეზანი და ყამეთი იკითხა, წმ. შუამავალმა შუადღის ლოცვი გვალოცა. შემდეგ ბილალმა ყამეთი იკითხა და წმ. შუამავალმა სამხრობის ლოცვი გვალოცა. შემდეგ ბილალმა ყამეთი იკითხა და წმ. შუამავალმა საღამოს ლოცვი გვალოცა. შემდეგ ბილალმა ეზანი იკითხა და წმ. შუამავალმა ღამის ლოცვი გვალოცა.”

ლოცვის განზრახ გაცდენა, ან სიზარულის გამო თავის დროზე შეუსრულებლობა ცოდვაა და გაცდენილი ლოცვის ანაზღაურება ვაჯიბია. ჰადისით ცნობილია: “ვინც ძილის, ან დავიწყების მიზეზით ლოცვას თავის დროზე ვერ შეასრულებს გახსენებისთანავე ილოცოს!”

ჰადისებში ლოცვის გაცდენის მიზეზად ორი რამაა დასახელებული; ძილი და დავიწყება. ისლამის ზოგიერთი სწავლული მიიჩნევს, რომ ეს მიზეზები განსაზღვრულია და სხვა მიზეზით, მაგ

სიზარულის გამო ლოცვის გაცდენა შემდეგომში ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ასეთ დროს მონანიებაა საჭირო.

თუმცა ჰანეფის და სხვა მიმდინარეობების სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თუ დავიწყების და ძილის შემთხვევაში გაცდენილი ლოცვი ანაზღაურებადია, მაშინ სიზარმაცის გამო, ან განზრახ გაცდენის შემთხვევაში მითუმეტეს უნდა ანაზღაურდეს. განზრახ ვინც გააცდენს ლოცვას ღმერთის წინაშე მისი შესრულება ვალია და ვალი მხოლოდ გადახდის შემთხვევაში უქმდება.

ძილის, ან დავიწყების გამო ლოცვის გამცდენს ცოდვა არ ეწერება. თუმცა მორწმუნე უნდა ეცდებოდეს, რომ ლოცვის დროს გაიღვიძოს და ლოცვის ლოცვა არ დაავიწყდეს.

ბ) საპატიო მიზეზები, რომლებიც ლოცვის ვალდებულებას აუქმებენ

მენსტრუაცია და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდი მანდილოსნებს ლოცვის ვალდებულებისგან ათავისუფლებს. წმ. აიშე გადმოგვცემს: “წმ. შუამავალი მენსტრუაციის პერიოდში გაცდენილი ლოცვების ანაზღაურებას არ გვავალებდა. მხოლოდ გაცდენილი მარხვის ანაზღაურებას გვიბრძანებდა.”

ხუთი დროის ლოცვის გასვლის და უფრო მეტი ხნის განმავლობაში სიგიჟე, გულის წასვლა, ან კომაში ყოფნა მორწმუნეს ლოცვის ვალდებულებისგან ათავისუფლებს.

თუ ასეთი მდგომარეობა ხუთი დროის ლოცვის განმავლობაში, ან უფრო ნაკლებ ხანს გაგრძელდა გამოღვიძებისას საჭიროა გადაწყევტილების მიღება. თუ მცირე განბანვის და ლოცვის დასაწყისი თექბირის წარმოთქმისათვის საკმარისი დროა დარჩენილი იმ დროის ლოცვის ანაზღაურებაა საჭირო.

სარწმუნოებიდან გასული და შემდეგ ისევ მოქცეული პიროვნება ვალდებული არაა რწმენიდან გასვლის პერიოდში გაცდენილი ლოცვები აანაზღუროს. თუ ადრე ჰაჯობა ჰქონდა შესრულებული საჭიროა ხელახლა შეასრულოს. არამუსლიმან ქვეყანაში ისლამის რიგებში ვინც შევა, სანამ არ გაიგებს, რომ ლოცვის ლოცვა ფარზია მანამდე ლოცვის ლოცვა არ ევალება, რადგან არამუსლიმან ქვეყანაში რელიგიური კანონების უცოდინარობა საპატიო მიზეზად

ითვლება.

შაფის მიხედვით მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში მანდილოსანი ლოცვას არ ასრულებს და არც შემდგომში ანაზღაურება ევალება. ფსიქიკურად შეშლა, გონების დაკარგვა და კომის მდგომარეობაც მორწმუნეს ლოცვის ვალდებულებისგან ათავისუფლებს. თუმცა თუ ეს არამის გამოა გამოწვეული, მაგ. სიმთვრალის გამო, გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება აუცილებელია.

გ) თავის დროზე შეუსრულებელი ლოცვის შემდეგომში ანაზღაურების წესი

ლოცვი როგორც თავის დროზე სრულდება მისი ანაზღაურებაც იგივენაირად ხდება. მგზავრობისას ოთხმუხლიანი ფარზი ლოცვის შეუსრულებლობის დროს, მისი შემდგომში ანაზღაურებისას ორი მუხლი უნდა შესრულდეს. მნიშვნელობა არ აქვს სახლში ხდება ანაზღაურება თუ მგზავრობის დროს. ჩვეულებრივ დროს გაცდენილი ლოცვი ყველგან იგივენაირად სრულდება როგორც თავის დროზე შესრულების შემთხვევაში იყო საჭირო.

გაცდენილი ლოცვის ანაზღაურების დროს, თუ ხმადაბლა შესასრულებელი ლოცვია ხმადაბლა სრულდება, თუ ხმამაღლა შესასრულებელი ლოცვია ჯგუფურად ლოცვის შემთხვევაში ხმამაღლა სრულდება, ცალკე ლოცვისას კი მლოცველის ნებასურვილის მიხედვითაა.

შაფის და ჰანბელის მიხედვით გაცდენილი ლოცვის ანაზღაურების დროს მნიშვნელობა აქვს ადგილსა და დროს. მათი აზრით მგზავრს შეუძლია გაცდენილი ოთხმუხლიანი ლოცვი ორი მუხლის სახით აანაზღაუროს. მნიშვნელობა არ აქვს როდის მოხდა ლოცვის გაცდენა, მგზავრობისას თუ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ყოფნისას. მგზავრობისას გაცდენილი ოთხმუხლიანი ლოცვი სახლში ყოფნისას ანაზღაურების დროს ოთხ მუხლად უნდა ანაზღაურდეს, რადგან შემოკლების მიზეზი, მგზავრობა უკვე მოხსნილია.

თუ მორწმუნე ლოცვის შესრულების რაოდენობას და სისტემატიურობას იცავს გაცდენილი ლოცვების ანაზღაურებისას საჭიროა დროის ლოცვასა და გაცდენილს შორის თანმიმდევრობის დაცვა. მორწმუნეს, რომელსაც 6 დროის ლოცვი აქვს გაცდენილი

ეს აღარ ეხება.

მაგ. მორწმუნემ, რომელიც ნალოცი ლოცვების რაოდენობას ყურადღებას აქცევს და ლოცვას სისტემატიურად ასრულებს დილის ლოცვი, ძილის მიზეზით გაცდენის შემხვევაში შუადღის ლოცვის დროის მოსვლამდე უნდა აანაზღაუროს. თუ მორწმუნე აღნიშნულ ლოცვას შეუადღის ლოცვის შემდეგ შეასრულებს იმამ მუჰამმედის აზრით მიუღებელი იქნება, რადგან თანმიმდევრობა დაირღვა. ებუ იუსუფის აზრით კი, ეს ლოცვი აღარ იქნება ფარზი და ნაფილე გახდება. ებუ ჰანიფე კი მიიჩნევდა, რომ ასეთ შემთხვევაში ლოცვი დროებით მიღებულია. მაგ. თუ ამის შემდეგ, მორწმუნემ დილის ლოცვის აუნაზღაურებლად ხუთი ლოცვი შეასრულა ექვსივე დროის ლოცვი ყველა მისაღებია, მაგრამ თუ ხუთი ლოცვის ლოცვამდე აანაზღაურა გაცდენიდან ანაზღაურებამდე ნალოცი ლოცვები უქმდება და მათი თავიდან შესრულებაა საჭირო.

თუ გაცდენილი ლოცვები სხვადასხვაა და დროც იმდენად ცოტაა, რომ კონკრეტული დროის ლოცვთან ერთად გაცდენილი ლოცვების მხოლოდ რაღაც ნაწილის შესრულებაა შესაძლებელი მაშინ თანმიმდევრობის დაცვა აღარ არის საჭირო.

იმამ შაფის აზრით დროის ლოცვასა და გაცდენილ ლოცვას შორის თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელი არაა. შეიძლება ის მუსთეჰაბი იყოს.

ბევრი ლოცვის გაცდენის შემთხვევაში მორწმუნე ვალდებული აღარაა თანმიმდევრობა დაიცვას. საკმარისია განზრახვაში მიუთითოს, რომ აპირებს გაცდენილი პირველი, ან ბოლო დილის ლოცვის ანაზღაურებას.

თუ მორწმუნეს არ ახსოვს სულ რამდენი ლოცვი აქვს ასანაზღაურებელი მაქსიმუმს აიღებს საზომად, მაგრამ თუ ამაშიც არ არის დარწმუნებული, მაშინ მანამდე უნდა ილოცოს სანამ არ დარწმუნდება, რომ ყველა გაცდენილი ლოცვი აანაზღაურა.

თუ პიროვნება დაეჭვდა და ვერ გაიხსენა შეასრულა თუ არა კონკრეტული დროის ლოცვი, ლოცვის დროის გასვლამდე თავიდან უნდა ილოცოს. დროის გასვლის შემდეგ თუ დაეჭვდა არაფრის გაკეთება არაა საჭირო.

გაცდენილი ლოცვის ანაზღაურებისას თუ გვერდით ჯგუფურად კონკრეტული დროის ლოცვის ლოცვა დაიწყეს, მორწმუნე დაწყებული ლოცვის დასრულებამდე ჯგუფურ ლოცვასი ვერ ჩაერთვება.

ერთი და იგივე დროის გაცდენილი ლოცვების ჯგუფურად შესრულება შეიძლება.

გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება სახლში უკეთესია.

გაცდენილი ლოცვის ასანაზღაურებლად ლოცვის ლოცვა სამი აკრძალული დროის გარდა ნებისმიერ დროს შეიძლება. უქბე იბნ ამრის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: "სამი დრო არსებობს, როცა წმ. შუამავალმა ლოცვის ლოცვა და მიცვალებულის მიწას მიბარება აგვიკრძალა. ესენია: მზის ამოსვლის, ზენიტში ყოფნის და ჩასვლის დრო."

გაცდენილი ლოცვის ანაზღაურება დილის და სამხრობის ლოცვის შემდეგაც შეიძლება.

ვთქვათ, მორწმუნე მანდილოსანმა თქვა: "ხვალე ამდენ ლოცვას ვილოცავ, ვიმარხულებ." და მეორე დღეს ქალისთვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური პრობლემების (მენსტრუაცია) გამო დანაპირები ვერ შეასრულა. განწმენდის შემდეგ დანაპირები ღვთისმსახურება უნდა შეასრულოს.

გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაფილე ლოცვის ლოცვა, მაგრამ ხუთი დროის ლოცვთან ერთად შესასრულებელი სუნნეთები განსხვავებულია. ანუ, სუნნეთის გამოტოვება და მათ მაგივრად გაცდენილი ლოცვების ანაზღაურება მისაღები არაა. იგივე ეხება ქუშლუქის და თეჰეჯჯუდის ლოცვებს. ყველა ეს სუნნეთები ფარზი ლოცვების ნაკლოვანებებს ავსებს. გარდა ამისა მათი სხვა დროისთვის ანაზღაურებაც შეუძლებელია. გაცდენილი ლოცვის ანაზღაურება კი ყოველთვის შეიძლება.

XIX- ისყატი და დევრი

ისქათი გაუქმებას, ვალიდან გამოსვლას ნიშნავს. ადამიანს თავისი სიცოცხლის მანძილზე რამოდენიმე სახის და უამრავი რაოდენობის ღვთისმსახურება აქვს შესასრულებელი. ყველა ღვთისმსახურებას შესასრულებლად თავისი დრო აქვს, მაგრამ ადამიანი შეიძლება ისე გარდაიცვალოს, რომ მთელი რიგი ღვთისმსახურება შეუსრულებელი დარჩეს. გარდაცვლილის ასეთი, ვალიდ დარჩენილი და აუნაზღაურებელი ღვთისმსახურების ვალდებულებისაგან გასათავისუფლებლად ღარიბ და უპოვარ ადამიანებზე გარკვეული რაოდენობის თანხის შეწირვის პროცესს ისქათი ჰქვია. მეორენაირად თუ განვმარტავთ, პიროვნებას ლოცვისა და მარხვის ვალდებულება

ჯანმრთელობის დროს არ შეუსრულებია, ხოლო სიკვდილის შემდეგ ამ ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით მისი ქონებიდან რაღაც ნაწილის ღარიბებზე გაცემას ეწოდება. თუ გასაცემი თანხა, გამოანგარიშებულ ფიდიეზე ნაკლებია ამ შემთხვევაში იყენებენ თანხის ხელოვნურად გაზრდის მეთოდს. თანხის ხელოვნურად გაზრდის პროცესს კი “ დევირ” ეწოდება.

ისქათი და დევრი, როგორც ამას ქართველი მუსლიმები უწოდებენ შეუსრულებელი ფარზი და ვაჯიბი ღვთისმსახურების, (ხუთი დროის ლოცვი, ვითრი, რამაზნის მარხვა, მსხვერპლი და შენაპირები მსხვერპლი) ვალდებულებისგან გასათავისუფლებლად სრულდება.

კი მაგრამ შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ?

ისლამის ზოგიერთი სწავლულის აზრით ასეთი ადამიანის მიერ ჯანმრთელად ყოფნის პერიოდში ანდერძის დატოვების შემთხვევაში, სიკვდილის შემდეგ მისი საკუთარი ქონების ერთი მესამედი ნაწილიდან ყოველი გაცდენილი ფარზი და ვაჯიბი ლოცვის სამაგიეროდ გარკვეული თანხის გაცემისას გარდაცვლილს ვალდებულებისგან გათავისუფლებისათვის ღმერთს შეავედრებენ.

თუ გარდაცვლილს მსგავსი ანდერძი არ დაუტოვებია, მის ზრდასრულ მემკვიდრეს შეუძლია ეს როტუალი ჩაატაროს. უცნობმა ადამიანმა რომ გარდაცვლილისათვის მოწყალება გაიღოს მიცვალებულს არგებს.

ცოცხალი ადამიანის მიერ ლოცვის ვალდებულებისგან გასათავისუფლებლად ფიდიეს გაცემა არ შეიძლება, რადგან ცოცხალ ადამიანს შეუძლია გაცდენილი ლოცვები აანაზღაუროს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ანაზღაურებას ვერ შეძლებს მისი ანდერძის შესაბამისად დანატოვარი ქონების ერთი მესამედი ნაწილის ფიდიედ გაცემა შეიძლება. თუ მემკვიდრე არ ჰყავს მთელი ქონების ფიდიედ გაცემაა შესაძლებელი.

ლოცვის “სამაგიერო” თანხა- ფიდიე თუ რეალურად არსებულ თანხაზე მეტია დევრის მეთოდით ათ, ან მეტ ღარიბს გადაუნაწილდება.

მაგ. ვთქვათ, გარდაცვლილ ადამიანს მთელი ერთი წლის ლოცვი დარჩა შეუსრულებელი. ერთი თვის განმავლობაში ვითრის ჩათვლით ეს იქნება 180 დროის ლოცვი. წელიწადში კი- 2160 დროის ლოცვი გამოვა. იმ წლის ფიდიეს თუ 5 ლარს ჩავთვლით 10800 ლარს უდრის. ეს თანხა ათ ღარიბზე რომ გაიყოს თითოეულ 1080 ლარი

შეხვდება. უმეტესად კი თანხას ერთიმეორეში გაცვლის შედეგად ათ კაცზე ჩამოატარებენ და ბოლოს ერთს გადასცემენ. ეს ციფრები მაგალითისთვისაა მოყვანილი. რეალური ფიდიე ყველა ქვეყანაში შესაბამისი ფასების მიხედვით გამოიანგარიშება.

სინამდვილეში ეს გამოსავალი უშედეგო და რეალობასთან შეუსაბამოა, რადგან ლოცვი სხეულით შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. ამგვარი გამოსავლის არსებობის შესახებ რაიმე სანდო მტკიცებულებაც არ არსებობს.

მიცვალებულის მაგივრად ლოცვის და მარხვის შესრულებაც მიუღებელია. თუმცა ამგვარი ღვთისმსახურებიდან ნაწილი მადლის ჩუქება შეიძლება. არის იმედი რომ მიცვალებული ამ ნაჩუქარი მადლით ისარგებლებს.

რაც შეეხება მარხვას, ვისაც მარხვის დაცვა არ შეუძლია სამაგიეროდ ფიდიე უნდა გადაიხადონ. მარხვის შესახებ აიათის მოვლინებამდე მსურველები მარხულობდნენ, ხოლო ვისაც არ სურდა მარხვა ფიდიეს იხდიდნენ. ბაქარას სურას 185-ე აიათის მოვლინების შემდეგ კი ვისაც მარხვა შეეძლო ყველასთვის სავალდებულო გახდა მარხვა. მხოლოდ ავადმყოფებს და ღრმად მოხუცებს შეეძლოთ ამ შეღავათით ესარგებლათ. ამ საკითხთან დაკავშირებით ისლამის სწავლულთა შორის აზრთა თანხვედრაა.

ზემოთ მოყვანილი განხილვებიდან გამომდინარე ჰანეფის მიმდევარმა ზოგიერთმა სწავლულმა მარხვა და ლოცვი ერთმანეთს შეადარა და გამომდინარე იქიდან, რომ ლოცვი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მარხვა, მივიდნენ მოსაზრებამდე, რომ გაცდენილი ლოცვების ანაზღაურების შესაძლებლობა თუ აღარ არსებობს, ამ შემთხვევაში გაცდენილი ლოცვების სამაგიეროდ ფიდიეს გადახდა და გამჩენისგან პატიების თხოვნა მისაღებია.

იმამი მუჰამმედი თავის ნაწარმოებში “ზიადათ” წერს, რომ ეს, ღმერთის დახმარებით საკმარისი იქნება.” ფიდიეს საშუალებით ლოცვის მოვალეობისგან გათავისუფლება რომ შესაძლებელი ყოფილიყო და ეს დებულება მყარ მტკიცებულებაზე ყოფილიყო დაფუძნებული იმამი მუჰამმედი უფრო მკაფიოდ მიუთითებდა ამას.

ლოცვის ფიდიეს გადახდის შემდეგ მარხვის, მსხვერპლის და ფიცის დევრი სრულდება. შეწყვეტილი და შემდეგში აუნაზღაურებელი ნაფილე ლოცვების, შეპირებული შესაწირის და ვალად დარჩენილი მსხვერპლის გამოც დევრი სრულდება.

საბოლოო ჯამში, მიცვალებულის ლოცვის, მარხვის, ფიცის და შეპირებული შესაწირის მსგავსი შეუსრულებელი ღვთისმსახურების გამო ფიდიეს გადახდის შემთხვევაში, ეს პროცესი და ქმედება რეალური უნდა იყოს. მორწმუნე სანამ ცოცხალი და ჯანმრთელია უნდა დაადგინოს თავისი გაცდენილი ღვთისმსახურების რაოდენობა და აანაზღაუროს. თუ ეს ვერ შეძლო, ანდერძის საშუალებით თავისი ქონების ერთი მესამედის ფიდიეს სახით გამოყენები უნდა უზრუნველყოს. თუკი გარდაცვლილის მემკვიდრეობა დაგროვილ დავალიანებას ვერ სწვდება იმედია, რომ გამჩენი ღმერთი მას შეუნდობს და შეიწყალებს.

თემის დასასრულს, წმ. შუამავლის მიერ მედინელ ღარიბზე ნაჩვენები შეღავათის მაგალითს გიამბობთ. ამბავი ებუ ჰურაირას მიერაა გადმოცემული. ერთ დღეს ერთი ღარიბი მედინელი ეახლა წმ. შუამავალს და შესჩივლა დავიღუპეო.

-რამ დაგღუპა? –ჰკითხა მას წმ. შუამავალმა.

-რამაზნის თვეში მარხვისას მეუღლესთან სქესობრივი კავშირი დავამყარე, უთხრა ღარიბმა.

-წადი და ერთი მონა გაათავისუფლე! –უბრძანა წმ. შუამავალმა.

-ვერ ვნახავ მონას, -თქვა კაცმა.

-მაშინ ორი თვე ზედიზედ იმარხულე! – უბრძანა წმ. შუამავალმა.

-ვერ შევძლებო, მიუგო კაცმა.

-სამოცი ღარიბი დააპურე –ბრძანა ღვთის შუამავალმა.

-ვერც ამას შევძლებო, იუარა კაცმა.

ამ დროს ერთი კალათით სავეს ხურმა მოიტანეს. წმ. შუამავალმა უბრძანა კაცს, რომ წაეღო ეს ხურმა და მედინაში ღარიბებისთვის დაერიგებინა.

-ჩემზე ღარიბი მედინაში არავინააო. –უთხრა კაცმა.

ამაზე წმ. შუამავალს გაეღიმა და უბრძანა სახლში წაეღო ხურმა და ოჯახის წევრებისთვის მიერთმია.

XIX- მიცვალებული და მიცვალებულის ლოცვა

ა)გარდაცვალებამდე და გარდაცვალების მომენტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები

სიკვდილი ერთი სამყაროდან მეორეში გარდასვლას ჰქვია. ანუ, გარდაცვალება ამ მოვლენისათვის შესაფერისი სახელწოდებაა. სიკვდილი არ ნიშნავს მოსპობას, ყველაფრის დასასრულს. ის სხეულის და სულის გაყრის პროცესია. ისლამის სწავლულთა განმარტებით სული სხეულში მოთავსებული გამჭვირვალე არსებაა. სუნნეთის მიხედვით სული არ ნადგურდება. ის უკვდავია. სამყაროს შემოქმედმა ძალიან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ადამიანს და მას უკვდავი არსებობის წყალობა არგუნა.

ადამიანის არსებობა ოთხ ეტაპად შეიძლება რომ დაიყოს. 1) სულის გაჩენიდან მისი სხეულში ჩაბერვამდელი პერიოდი. 2) ამქვეყნიური ცხოვრება. 3) გარდაცვალების შემდეგ საფლავში ყოფნის პერიოდი. 4) უსასრულო საიქიო ცხოვრება.

სიკვდილის გახსენება, მუდმივად სიკვდილისთვის მზადება ყოველი მუსლიმანისათვის მუსთეჰაბია. წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ყველა სიტკბოების გამანადგურებელი სიკვდილი ხშირად გაიხსენეთ!” ან კიდევ: “გაიხსენეთ სიკვდილი და სიკვდილის შემდეგ ძვლების გახრწნა. საიქიო ცხოვრების მსურველი ამქვეყნიურ სიამოვნებას უარყოფს!”

თუმცა, მორწმუნე ადამიანი, თუნდ მადლიანი იყოს, ან ცოდვილი სიკვდილს არ უნდა ნატრობდეს.

ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ ჰადისში წმ. შუამავალი ბრძანებს: “სიკვდილი არ ინატროთ. თუ კარგი მორწმუნე ხართ უფრო მეტი მადლის მიღების, ხოლო თუ ცოდვილი ხართ პატიების თხოვნის იმედია.”

ენეს იბნ მალიქის მიერ გადმოცემულ ჰადისში წერია: “რომელიმე თქვენთაგანმა ამქვეყნიური გასაჭირის გამო სიკვდილი არ ინატროს, მაგრამ შემდეგნაირად თქვას; ღმერთომ სანამ ჩემი სიცოცხლე ჩემთვის სიკეთის მომტანია მაცოცხლე. თუ სიკვდილი უფრო სიკეთეს მომიტანს მიიბარე ჩემი სული.”

ავადმყოფის მონახულება სუნნეთია. ბერა იბნ აზიბი ამბობდა:

“წმ. შუამავალმა მიცვალებულის ლოცვზე დასწრება და ავადმყოფების მონახულება გვიბრძანა.”

ებუ ჰურაირას გადმოცემულ ჰადისში ვკითხულობთ: “მუსლიმს მუსლიმის წინაშე ექვსი ვალდებულება გააჩნია: 1. შეხვედრისას მისალმება. 2. მიპატიჟების დროს სტუმრობა. 3. რჩევის კითხვისას რჩევის მიცემა 4. დაცემინების დროს თუ თქვა “ელჰემდულილლაჰ” უნდა უთხრა “იერჰამუქელლაჰ.” 5. ავადმყოფობის დროს მონახულება. 6. გარდაცვალების დროს მიცვალებულის ლოცვზე დასწრება.

ჰადისებით ცნობილია, რომ ავადმყოფობის დროს მორწმუნის შეცდომები და ცოდვები კლებულობს.

ჰადისებით ცნობილია აგრეთვე, ის ლოცვები რომელთა წაკითხვაც ავადმყოფთან მუსთეჰაბია.

ასეთია: იასინის, მულქის, რად’ის, ფათიჰას, იჰლასის და მუავვიზეთეინის სურები.

ავადმყოფთან ისეთი რამ უნდა ვისაუბროთ, რაც მას გაახარებს და დააიმედებს. ღმერთის განგებას ვერაფერი შეცვლის, მაგრამ ავადმყოფის გახარება და დაიმედება კარგი საქციელია. სასურველია ავადმყოფზე მონანიების და ანდერძის დატოვების შეხსენება. ასევე საჭიროა ავადმყოფსაც და ყველას, ვისაც რაიმე უბედურება დაატყდება თავს მოთმინებისკენ მოვუწოდოთ.

ჰადისით ცნობილია, რომ ერთმა მორწმუნე მანდილოსანმა წმ. შუამავლთან მივიდა და სთხოვა ღმერთს შევედრებოდა, რათა ის ავადმყოფობისგან განეკურნა. წმ. შუამავალმა კი უბრძანა. “გირჩევნია ღმერთს ვთხოვო და გამოჯანმრთელდე თუ მოითმინო და საიქიოში განკითხვისგან გადარჩე?! “ - მირჩევნია მოვითმინოო, -უპასუხა ქალმა.

ბ) რა უნდა გავაკეთოთ ადამიანის გარდაცვალების მომენტში?

გარდაცვალების მომნტში მყოფი ადამიანი მარჯვენა მხარეს უნდა დავაწვინოთ და ქააბასკენ მივატრიალოთ. თუ ადგილი ვიწროა და ამის საშუალებას არ იძლევა მომაკვდავი სახით და ფეხე-

ბით ქააბასკენ ზურგზე უნდა დავაწვინოთ. თუ ესეც არ ხერხდება როგორც არის ისე შეიძლება რომ დარჩეს. მომაკვდავს შეიძლება კოვზით, ან ბამბით წყალი მივაწოდოთ.

ჰადისში ნაბრძანებია, რომ ვინც ბოლო ფრზას შაჰადას იტყვის სამოთხეში წავა. ამიტომ მომაკვდავს შაჰადას სიტყვები უნდა ჩავჩურჩულოთ. თუმცა ამ დროს არ შეიძლება მიძალება და თქმა, რომ გაიმეოროს. სასურველია ეს ფრაზა მომაკვდავისთვის ახლობელმა და საყვარელმა ადამიანებმა უთხრან. შაჰადასთან ერთად მონანიების შინაარსის შემცველი ფრაზის წარმოთქმაც დასაშვებია.

როდესაც წმ. შუამავლის გამზრდელი ბიძა ებუ თალიბი კვდებოდა, წმ. შუამავალს სურდა, რომ სიკვდილის წინ მაინც ეთქვა ბიძამისს შაჰადას სიტყვები, მაგრამ იქ მყოფმა ებუ ჯეჰილმა და სხვებმა აიძულეს ებუ თალიბი მამის, აბდულ მუტტალიბის რწმენიდან არ გადასულიყო. ამის შემდეგ წმ. შუამავალი ევედრებოდა ღმერთს მიეტევებინა მისი საყვარელი ბიძისთვის, რის გამოც შემდეგი აიათი ზეგარდმოევლინა:

مَا كَانَ لِلنَّبِيِّ وَالَّذ ينَ اٰمَنُوا اَنْ يَسْتَغْفِرُوا لِلْمُشْرِك ينَ وَلَوْ كَانُوا اُول ى قُرْبٰى مِنْ بَعْدِ مَا تَبَيَّنَ لَهُمْ اَنَّهُمْ اَصْحَابُ الْجَح يمِ

და არ არის შუამავლისთვის და მათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ შენდობა ითხოვონ წარმართთათვის, თუნდაც ახლო ნათესავები იყვნენ, მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა მათთვის, რომ ჯოჯოხეთის მკვიდრნი არიან ეგენი. “ თევბე 9/113. “

ვინმეს სიკვდილის შესახებ, რომ გავიგებთ სასურველია წარმოვთქვათ შემდეგი სიტყვები: “ინნა ლილლაჰი ვე ინნა ილეიჰი რაჯიღუნ.” (უეჭველია, რომ ჩვენ ღმერთს ვეკუთვნით და მხოლოდ მას დავუბრუნდებით).

უმმუ სელემეს მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: “ავადმყოფთან ყოფნისას კარგი რამ თქვით, რადგან თქვენს სიტყვებზე ანგელოზები “ამინ”-ს ამბობენ”

ენეს იბნ მალიქის მიერ გადმოცემული ჰადისის თანახმად წმ. შუამავალი ერთ ქალს შეხვედრია, რომელიც საკუთარი პატარის საფლავზე მოთქვამდა. წმ. შუამავალმა მგლოვიარეს ღვთის შიშის და მოთმინებისაკენ მოუწოდა. შვილმკვდარმა ქალმა კი უთხრა, რომ ის მის იბედურებას ვერ გაიგებდა. იქ მყოფებმა კი უთხრეს ქალს, რომ ეს ადამიანი წმ. შუამავალი მუჰამმედი იყო და მასაც ჰყავდა შვილი გარდაცვლილი. მგლოვიარე დედამ ინანა თავისი ნათქვამი, წმ. შუამავალს ეახლა და ბოდიში მოუხადა. წმ. შუამა-

ვალმა კი ბრძანა: “მოთმინება, რომელიც ყველაზე დიდ ჯილდოს იმსახურებს უბედურების ჩვენს თავზე დატყდომისთანავე გამოჩენილი მოოთმინებაა!”

როდესაც წმ. ომარი დაიჭრა და მდგომარეობა უკიდურესად გაურთულდა მისმა ქალიშვილმა ტირილი დაიწყო. წმ. ომარმა კი უთხრა: “იცი, რა ბრძანა წმ. შუამავალმა?! ოჯახის წევრების ტირილის გამო მიცვალებული ეწამება!”

ისლამის სწავლულები მიიჩნევენ, რომ გადაჭარბების გარეშე ტავშეკავებული ტირილი და მიცვალებულის მიმართ პატივისცემა მისაღებია.

გარდაცვალების დროს მიცვალებულს თვალები უნდა დავუხუჭოთ და ნაჭრით ყბა ავუკრათ. ამ დროს სასურველია სპეციალური ლოცვების წაკითხვა.

ამის შემდეგ მიცვალებულს ტანსაცმელი უნდა გავხადოთ და რაიმე ნაჭერი დავაფაროთ. გასივების საწინაღმდეგოდ კი მუცელზე რაიმე მეტალის საგანი შეიძლება რომ დავადოთ. ხელები გვერდით უნდა გავაშლევინოთ და რაიმე სასიამოვნო სუნის მქონე სუნამო ვიქონიოთ. მიცვალებულის განბანვამდე მასთან ყურანის კითხვა მექრუჰია. ყურანის კითხვა სხვა ოთახში შეიძლება.

გ) წმ. შუამავლის გარდაცვალება

წმ. აიაშეს გადმოცემით, ნასრის სურას მოვლინების შემდეგ წმ, შუამავალი ყოველი ლოცვის ლოცვისას წარმოთქვამდა ვედრებას: “სუბჰანექე რაბბენა! ვე ბიჰემდიქე, ალლაჰუმმე’ფირლი.” მიზეზი რომ ჰითხეს ასე უპასუხა: “ღმერთმა მითხრა, რომ ჩემს მიმდევრებში რაღაც ნიშანს დავინახავ და მისი დანახვის დროს გამჩენის განდიდება, ხსენება და მონანიება მიბრძანა.”

ნასრის სურას მოვლინების შემდეგ, როდესაც წმ. შუამავალი ჰუთბეს კითხულობდა ბრძანა: “ერთ მონას ღვთისას ღმერთმა ამ ქვეყანასა და მასთან დაბრუნებას შორის არჩევანის უფლება მიანიჭა, მან კი ღმერთთან დაბრუნება ამჯობინა!”

წმ. ებუ ბაქარი მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას და თქვა; “ჩვენი სიცოცხლე, ქონება, წინაპრები, შვილები შენ შემოგევლოს!”

იბნ. აბბასი ატირებულა, ნუთუ გარდაცვალების ამბავი გამცნესო. წმ. შუამავალმა დაადასტურა: “დიახ, ეგრეა!”

ჰიჯრით მეათე წელს გამოსამშვიდობებელი ჰაჯობის დროს მოვლენილ აიათში (მაიდე 5/3) ნაბრძანები იყო, რომ ისლამის სარწმუნოება უკვე ჩამოყალიბებული იყო. გამოსამშვიდობებელი ჰუთბის წაკითხვის შემდეგ წმ. შუამავალი მედინაში წავიდა. ბოლოს კი ბაქარას სურას 281-ე მოევლინა:

وَاتَّقُوا يَوْمًا تُرْجَعُونَ ف يهِ إِلَى اللَّهِ ثُمَّ تُوَفَّى كُلُّ نَفْسٍ مَا كَسَبَتْ وَهُمْ لَا يُظْلَمُونَ

უფრთხილდით იმ დღეს, როცა იქნებით დაბრუნებულნი ალლაჰთან. მაშინ სრულად მიეგება ყველა სულს იმისთვის, რაც კი მოუხვეჭია და არ დაიჩაგრებიან ისინი. “ ბაყარა 2/281.”

გამოსამშვიდობებელი ჰუთბის შემდეგ წმ. შუამავალმა 80 დღე იცოცხლა. საფერის თვის ბოლოსკენ თავის ტკივილები დაეწყო, ბოლო სამ დღეს კი მეჩეთში ვეღარ გავიდა. ეზნის გაგონებისას ბრძანებდა: “უთხარით ებუ ბაქარს, ლოცვი ალოცოს!” რებიულ ევველის მთვარის მეთორმეტე დღეს, ორშაბათს (მისი ბადადების დღეს) მის წინ დადგმულ ჭიქაში ხელს ისველებდა და სახეზე ისვამდა, თან ღმერთს ევედრებოდა. ქუშლუქის დროს დამძიმდა და წმ. აიშეს კალთაში მისვენებულმა თვალები სამუდამოდ დახუჭა.

დ) მიცვალებულის განბანვა

მიცვალებულის რაც შეიძლება სასწრაფოდ დაბანა და მიცვალებულის ლოცვის ლოცვის შემდეგ მისი მიწას მიბარება მუსთეჰაბია. მიცვალებულის განბანვის წესი შემდეგია:

განბანვას ვინც ასრულებს საამისოდ განზრახვა და ბესმელე უნდა წარმოთქვას, ხოლო დაბანის დასრულებამდე შიგადაშიგ “ღუფრანექე ია რაჰმან.” იკითხოს. განმბანველები აბდესთიანი (განბანილნი)უნდა იყვნენ.

გაშიშვლებულ მუცვალებულს ჭიპისა და მუხლებს შორის დაფარებულ მდგომარეობაში ფეხებით ქააბასკენ ხის ფიცარნაგზე, რომელსაც თენეშური ჰქვია გულაღმა აწვენენ. თენეშური სპეციალურად მიცვალებულების განსაბანად დამზადებული შემაღლებული

ხის მაგიდაა. მამაკაც მიცვალებულებს მამაკაცი განმბანველები, ხოლო ქალს, ქალი განმბანველები დაბანენ ტანს. განმბანველს ერთი ადამიანი ეხმარება და წყალს უსხამს.

მიცვალებულის თავი და სხეულის უმეტესი ნაწილი თუ ადგილზეა მისი განბანვა, ქეფენში შეხვევა და ლოცვის ლოცვა შეიძლება. თუ მიცვალებულის თავი და სხეულის ნახევარი, ან სხეულის უმეტესი ნაწილი დაკარგულია მისი დაბანა, ქეფენში შეხვევა, ან ლოცვის ლოცვა მიუღებელია. ის მატერიაში უნდა გავახვიოთ და დავასაფლავოთ.

მალიქის მიხედვით თავთან ერთად მიცვალებულის სხეულის 2/3 ადგილზე უნდა იყოს.

იმამი შაფიი, აჰმედ იბნ ჰანბელი და იბნ ჰამზა მიიჩნევენ, რომ მუსლიმი ადამიანის სხეულის ცოტაოდენი ნაწილიც რომ იყოს, მისი განბანვა, ქეფენში შეხვევა და ლოცვის ლოცვა შეიძლება. იმამი შაფიი, თავისი გადაწვეტილების მიღებისას შემდეგ არგუმენტს ეყრდნობა: ერთხელ მექაში გარეულმა ფრინველმა ადამიანის ხელი მოიტანა. მექელებმა ამოიცნეს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ხელი. მოკვეთილი ხელი განბანეს და ლოცვიც შეასრულეს. ეს ამბავი წმ. შუამავლის თანამებრძოლი მეგობრები ესწრებოდნენ და ამის წინააღმდეგი არ ყოფილან. აჰმედ იბნ ჰანბელი კი თავისი აზრის დასამტკიცებლად ამბობს: “ებუ ეუბმა მხოლოდ ერთი ფეხის ჯენაზე შეასრულა, ხოლო წმ. ომარმა -ერთი ძვლის.”

მიცვალებულის განბანვა ჩვეულებრივი დიდი განბანვაა. ამიტომ ვინც დიდი განბანვის წესები იცის შეუძლია მიცვალებული განბანოს. მიცვალებულის განბანვისათვის რაიმე განსაკუთრებული ცოდნა და ლოცვები არ არის საჭირო.

განმბანველი ხელზე ნაჭერს შემოიხვევს და პირველად მიცვალებულის სასირცხო ადგილებს დაბანს და გაასუფთავებს. ამის შემდეგ მიცვალებულს აბდესთს ააღებინებს, ანუ მცირე განბანვას შეასრულებინებს. მცირე განბანვისას პირსა და ცხვირში წყალს არ მიაწოდებს. მხოლოდ თითების მოსმით შემოიფარგლება. სახეს და ხელებს დაბანს, თავზე სველ ხელს მოუსვამს და ფეხების დაბანის შემდეგ მცირე განბანვა დასრულდება.

ამის შემდეგ გამნბანველი მიცვალებულის სხეულზე წყალს დაასხამს და საპნის დახმარებით სხეულის წინა მხარეს გულდასმით დაბანს. შემდეგ მარცხენა გვერდზე დააწვენს და მარჯვენა ნაწილს

დაბანს, ხოლო შემდეგ მარჯვენა მხარეზე დააწვენს და მარცენა მხარესაც იგივენაირად საპნით და სუფთა წყლით დაბანს. სხეული ყოველი ნაწილის სამჯერ დაბანა სუნნეთია. სხეულის ისეთი ორგანობის დაბანისას, სადაც წყალი ძნელად აღწევს საჭიროა მეტი ყურადღება და წყლის ყველგან მიღწევის უზრუნველყოფა. შემდეგ განმბანველი მიცვალებულს წამოაჯენს, მიიყრდნობს და მუცელს დაუზელს. თუ უკანალიდან რაიმე გამოვიდა უნდა განიბანოს. ხელახლა მცირე განბანვის შესრულება საჭირო არ არის. მხოლოდ სიბინძურის მობანა უნდა მოხდეს. ამრიგად დაბანა დასრულდება და შემშრალების შემდეგ მიცვალებულს ქეფენში ახვევენ და სასიამოვნო სურნელების მქონე სუნამოს აპკურებენ. გარდა ამისა, სეჯდის ადგილებზე "ქაფურს" წაუსვამენ.

განბანვის დროს მიცვალებულის თმების, ან წვერის დავარცხნა, თმების ან ფრჩხილების მოჭრა, წინადაცვეთილი თუ არ არის წინადაცვეთა არ შეიძლება. სასურველია, მიცვალებული დახურულ ადგილას იქნას განბანილი.

სასურველია, მიცვალებულს მისმა ახლობელმა, კარგმა და დაბანის მცოდნე ადამიანმა დაბანოს.

ცოლს შეუძლია მიცვალებული ქმრის დაბანა, რადგან იგი ვალდებულია ქმრის გარდაცვალების შემდეგ 4 თვე და 10 დღე ქორწინებაში დარჩეს. მაგრამ ქმარი, მიცვალებულ ცოლს ტანს ვერ დაბანს. რადგან მამაკაცს დაქვრივების შემდეგ ქორწინებაში დარჩენის ვალდებულება ეხსნება. თუ განმბანველი მანდილოსანი არ მოიძებნა უკიდურეს შემთხვევაში ქმარს შეუძლია თეიმუმის მეთოდით განბანოს მეუღლე. ჰანეფის გარდა სამივე მიმდინარეობების იმამები მიიჩნევენ, რომ ქმარს შეუძლია მიცვალებული მეუღლე განბანოს.

თუ განმბანველი ქალი არ მოიძებნა, ანუ ირგვლივ ყველა მამაკაცია და მიცვალებული –ქალი. საჭიროა მისმა უახლოესმა ნათესავმა თეიმუმის მეთოდით განბანოს. თუ უახლოესი ნათესავი არ აღმოჩნდა ვინმე, მაშინ უცხო მამაკაცს შეუძლია ხელში სუფთა ტილო აიღოს და შეუხედავად, თეიმუმის მეთოდით განბანოს მიცვალებული.

თუ მიცვალებული ზრდასრულობას მიუღწეველი პატარა გოგონაა და განმბანველი ქალი ვერ მოიძებნა მამაკაცს შეუძლია განბანოს. იგივენაირად შეიძლება მანდილოსანმა განმბანველმა ზრდასრულობას მიუღწეველი პატარა ბიჭის ცხედარი განბანოს.

წყალში დამხრჩვალი ადამიანი სამჯერ წყალში ამოძრავების გზით განიბანება.

თუ წყალი არ იშოვება მიცვალებული თეიმუმის მეთოდით განიბანება.

კრიტიკულად შეშუპებული და დაშლის პირას მისული მიცვალებულის სხეულზე მარტო წყლის დასხმა საკმარისია.

მუცლის მოშლის შედეგად დაბადებული მკვდარი ბავშვის სხეულს განბანვა არ სჭირდება. მატერიაში უნდა იქნას გახვეული და დასაფლავდეს.

მუსლიმ მიცვალებულს თუ მთელი თავისი სანათესავო არამუსლიმი ჰყავს მიცვალებული მათ არ გადაეცემათ, რადგან მუსლიმი მიცვალებულის წესის აგება და დამარხვა მუსლიმთა ვალია.

ე) მიცვალებულის ქეფენში შეხვევა

მიცვალებულის ქეფინში გახვევა, ისე რომ სხეულის ნაწილები არ გამოუჩნდეს ფარზია. მატერიას, რომელშიც მიცვალებულს განბანვის შემდეგ ახვევენ ქეფენი ჰქვია.

მამაკაცის ქეფენი სამი ნაწილისაგან შედგება; პერანგი (ქამის), ქვედა საცვლები (იზარ)და შემოსახვევი.(ლიფაფე) მანდილოსნის ქეფენს კი ემატება თავსაფარი და მკერდზე დასაფარებელი. ამრიგად მანდილოსნის ქეფენი 5 ნაჭერი გამოდის. ესენი საჭიროა, იმისათვის, რომ “შექეფინვა” ანუ სუდარაში შეხვევა სუნნეთის მიხედვით შესრულდეს. როგორც წესი ქეფენი მიცვალებულის ფინასური მდგომარეობის მიხედვით უნდა იყოს. თუ ამდენი მატერია არ არის მამაკაცისთვის ქვედა სამოსი და შემოსახვევი კმარა, ხოლო ქალისთვის ამ ორს თავსაფარი დაემატება. თუ ამის საშუალებაც არ არის და მხოლოდ ერთი მატერია საკმარისია. მიცველაბული ერთ ნაჭერ მატერიაში იხვევა და ისე ხდება მისი დასაფლავება. იყო შემთხვევები, როდესაც შუამავლის თანამებრძოლი მეგობრებიდან ზოგიერთები მატერიის საერთოდ არ არსებობის გამო თავიანთი ტანსაცმლით იქნენ მიწას მიბარებულნი.

ქამის- კისრიდან ფეხებამდე სიგრძის პერანგის მსგავსი ჩასაცმელი.

იზარ- ქვედა საცვლლების მაგივრად თავიდან ფეხებამდე სიგრძის მატერია.

ლიფაფე- შემოსახვევი მატერია, რომელიც ადამინის მთელ სიგრძეზე მეტი უნდა იყოს, რადგან თავს ზემოთ და ფეხებს ქვემოთ შესაძლებელი იყოს მისი შეკვრა.

სასურველია, ქეფენი იყოს თეთრი ბამბის მატერია. აუცლებელი არაა იყოს ახალი, ან გარეცხილი. შეხვევამდე ქეფენისათვის სასიამოვნო სურნელების მქონე სუნამოს ცხება- წესია.

ქალის თმები შუაზე ორად უნდა გაიყოს და დაიწნულ მდგომარეობაში მკერდზე უნდა დალაგდეს. შემდეგ თავსაფარი უნდა გადაეფაროს როგორც თმებზე ისე სახეზეც. შემდეგ იზარი უნდა შემოეხვიოს და მკერდის საფარით შეიკრას. ბოლოს კი შემოსახვევში შეიხვევა.

ქეფენი მიცვალებულის ქონებიდან უნდა იქნას შეძენილი. თუ ქონება არ გააჩნია უახლოესი ნათესავები გაიღებენ. თუ ასეთი ნათესავიც არ ჰყავს სხვა მორწმუნე მუსლიმები გაიღებენ. მსგავსი სახის ხარჯები ისლამის სახელით მოქმედ საქველმოქმედო საზოგადოებებსაც შეუძლიათ რომ გაიღონ.

ქორწინებაში მყოფი მანდილოსნის გარდაცვალების შემთხვევაში საკუთარი ქონება რომც არ გააჩნდეს ქეფენის ხარჯებს მისი ქმარი აანაზღაურებს. ჰანეფის მიმდინარეობის გადაწყვეტილება ამ შეხედულებაზეა დამოკიდებული. იმამი მუჰამმედი და შაფიი მიიჩნევენ, რომ ასეთ შემთხვევაში ქეფენის ხარჯებს უახლოესი ნათესავები იხდიან.

ვ) მიცვალებულის ლოცვი

მიცვალებულის ლოცვი მზის ამოსვლისას და ჩასვლისას არ სრულდება მხოლოდ. სხვა დროს მიცვალებულის ლოცვის ლოცვა მისაღებია. მიცვალებულის ლოცვის შესრულებისას ქედმოხრა და სეჯდე არ სრულდება. მიცვალებულის ლოცვი თექბირით იწყება და მისალმებით სრულდება. აღნიშნული ლოცვი ქააბას მიმართულებით ფეხზე მდგომარე პოზიციაში სრულდება. მორწმუნე მუსლიმი რომ გარდაიცვლება იმ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მუსლიმებისათვის, გასვენებაში მისვლა და მისთვის უკანასკნელი

ლოცვის და ვედრებისთვის ლოცვის ლოცვა ფარზი ქიფაეა. ფარზი ქიფაეს შემთხვევაში, ღვთისმსახურებას როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, მუსლიმთა ერთი ნაწილი თუ შეასრულებს, მეორე ნაწილი მოვალეობისგან თავისუფლდება. იგივეა მიცვალებულის ლოცვის დროსაც. მიცვალებულის ლოცვი საერთოდ თუ არ შესრულდება იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მუსლიმი ცოდვაში ჩავარდება.

მიცვალებულის ლოცვის აუცილებელი პირობა განზრახვაა. განზრახვის წარმოთქმისას უნდა მიეთითოს მამაკაცია მიცვალებული თუ ქალი, ბავშვის შემთხვევაში გოგონაა, თუ -ბიჭი.

იმამი განზრახვაში მიუთითებს, რომ ღმერთის კმაყოფილებისთვის სრულდება იქვე მზად მყოფი მიცვალებულის ლოცვი და მისთვის სრულდება ვედრებაც. ამის შემდეგ იმამათან ერთად ყველა, ჯგუფურად იწყებს ლოცვის შესრულებას. იმამი ცალკე თავისი იმამობის დამადასტურებელ განზრახვას არ წარმოთქვამს. მლოცველებიც წარმოთქვამენ განზრახვას და მიუთითებენ, რომ ღმერთის კმაყოფილებისათვის განიზრახეს შეასრულონ მიცვალებულის ლოცვი და ვედრებას მიცვალებულისთვის აღავლენენ. მლოცველების განზრახვაში საჭიროა მითითება, რომ თითოეული მათგანი მიჰყვა იმამს.

მიცვალებულის ლოცვის შიდა ფარზები თექბირებისაგან და ფეხზე დგომისგან შესდგება. აღნიშნულ ლოცვასი არ არის ქედმოხრა და სეჯდე. არც ყურანის აიათები იკითხება. აუცილებელი პირობები ექვსია: მიცვალებული უნდა იყოს მუსლიმი, თავად მიცვალებული და ადგილი, სადაც ის დევს უნდა იყოს სუფთა. მიცვალებული მლოცველების წინ უნდა იყოს დასვენებული, სხეულის ორგანოების უმეტესობა, ან თავთან ერთად ნახევარი სხეული ნაინც უნდა იყოს სახეზე, მიწის ზედაპირზე უნდა იყოს დასვენებული, მლოცველები უნდა იყვნენ ფეხზე მგომ მდგომარეობაში. ამხედრებული ლოცვა მიუღებელია.

მიცვალებულის ლოცვის დროს მლოცველთა სიმრავლე აუცილებელი არაა. მხოლოდ ერთი მამაკაცი მლოცველი, ან ქალი თუ ესწრება ლოცვის ფარზი შესრულებულია. მიცვალებულის ლოცვი მხოლოდ მანდილოსნებმა რომ შეასრულონ მისაღებია. გამოდინარე აქედან, მიცვალებულის ლოცვზე დასწრება მამაკებთან ერთად მანდილოსნებსაც შეუძლიათ.

ცნობლია, რომ წმ. ოსმანი, იბნ ომერი და ბუ ჰურაირა მედინაში მამაკაცების და ქალების ჯემაათს უძღვებოდნენ. ასეთ შემთხვევაში

მანდილოსნები უკანა რიგებს იკავებენ. თუ ადგილის სივიწროვეა, ან რაიმე მსგავსი პრობლემა, მანდილოსნების ჯგუფს შეუძლია მამაკაცების რიგებს გვერდით დადგნენ, მაგრამ შუაში სიცარიელე უნდა დატოვონ. ქააბაში მანდილოსნების ჯგუფი მამაკაცები წინ და გვერდით დგება და ღვთისმსახურებას ასრულებს.

მიცვალებულის ლოცვის დროს რაც უფრო მეტი მლოცველია მით უფრო მეტი მადლია. ძვირფასი აიშეს გადმოცემით წმ. შუამავალი ბრძანებდა: "მიცვალებულის ლოცვას თუ ასი მლოცველი ილოცავს და მისთვის შეღავათს ითხოვს, შეღავათის უფლება მიენიჭებათ."

მიცვალებულის ლოცვის სუნნეთები ოთხია:

1) იმამი დასვენებული მიცვალებულის მკერდის პირდაპირ დგება.

2) ლოცვის დასაწყისის თექბირის შემდეგ სუბჰანექე იკითხება ფრაზის "ვეჯჯელლესენაუქე" დამატებით. ამის შემდეგ პირველი თექბირის შემდეგ (სპეციალური ლოცვის მაგივრად) ფათიჰას წაკითხვა შეიძლება. თუმცა შაფიის და ჰანბელის მიხედვით ფათიჰას წაკითხვა ფარზია. იბნი აბბასის აზრით ფათიჰას კითხვა სუნნეთია, ხოლო მალიქი მიიჩნევდა, რომ ის თენზიჰენ მექრუჰია.

3) შემდეგი თექბირის შემდეგ სალლი ბარიქის ლოცვები სრულდება.

4) მომდევნო თექბირის შემდეგ მიცვალებულისთვის და სხვა მუსლიმებისთვის ლოცვა-ვედრება იკითხება.

ვინც ეს ლოცვა არ იცის, მის მაგივრად სხვა, უფრო ადვილი ლოცვა შეუძლია წაიკითხოს. მაგ. რობენა ათინა.

ფსიქიკურად დაავადებულის და პატარა ბავშვებისთვის მიტევების ლოცვები არ იკითხება, რადგან მათ ცოდვა არ გააჩნიათ. მათთვის, მიცვალებულისთვის სპეციალური ლოცვის მაგივრად სხვა ლოცვა იკითხება.

ამ ლოცვების წაკითხვის შემდეგ იმამი მეოთხე თექბირს წარმოთქვამს. შემდეგ კი ჯერ მარჯვენა, შემდეგ კი მარცხენა მხარეს მისალმებით ლოცვას დაასრულებს. იმამი მისალმებას ხმამაღლა წარმოთქვამს, მლოცველები კი ხმადაბლა. ეს მისალმება ვაჯიბია და მის განზრახვაში ნიცვალებულზე, იმამზე და მლოცველებზე მისალმება უნდა იგულისხმებოდეს. თუ მლოცველი ლოცვის და-

საწყისიდანვე ვერ მიუსწრებს ლოცვას, მისვლისთანავე ლოცვის დასაწყისის თექბირით მიყვება იმამს და დანარჩენ თექბირებს იმამთან ერთად შეასრულებს. იმამის მიერ მისალმებით ლოცვის დასრულების შემდეგ გვიან შემოსწრებული მლოცველი გამოტოვებულ თექბირებს აანაზღაურებს და თექბირებს შორის რაიმე ლოცვა-ვედრებას არ წარმოთქვამს.

თუ ერთდროულად რამოდენიმე მიცვალებულია ყველასთვის ცალკ-ცალკე ლოცვის შესრულება უკეთესია. ჯერ ყველაზე ადრე მოყვანილის ლოცვი ადრე შესრულდება. ასეთ შემთხვევაში ესაა თანმიმდევრობის პრინციპი. ყველა მიცვალებული თუ ერთდროულადაა მოყვანილი, პირველად მათ შორის ყველაზე მადლიანის ლოცვი სრულდება. ყველას ერთდროულად შესრულებაც შეიძლება. ასეთ შემთხვევაში, ყველა მიცვალებული რიგში ლაგდება და იმამიც რომელიმე მათგანის მკერდის გასწვრივ დადგება. მიცვალებულების დალაგება ქააბას მიმართულებით რიგშიც შეიძლება.

დღეღამის პერიოდში ლოცვის ლოცვისათვის სამი მექრუჰი დროა. ესნია: მზის ამოსვლის დრო, შუადღისას, მზის ზენიტში ყოფნის დრო და საღამოს, მზის ჩასვლის დრო. ამ სამი დროის მონაკვეთში არც მიცვალებულის ლოცვის ლოცვა შეიძლება. თუმცა, თუ მიცვალებულის ლოცვი რომელიმე აკრძალულ დროის მომენტში შესრულდა მისი შემდგომში ანაზღაურება საჭირო აღარაა. მეჩეთში და სასაფლაოზე მიცვალებულის ლოცვის შესრულება მიუღებელია. თუმცა იმამის და იმამი და მლოცველთა ერთი ნაწილი თუ მეჩეთის გარეთაა და მეორე ნაწილი შიგნით, ამ შემთხვევაში დასაშვებია. ლოცვის მომშლელი ფაქტორები მიცვალებულის ლოცვასაც შლის.

ჰაჯობის, ან უმრეს დროს გარდაცვლილი ადამიანის სხეული განიბანება, სუნამოების გარეშე ქეფენში ეხვევა და ლოცვი სრულდება. თუმცა საფლავში ჩასვენებულ მიცვალებულს თავზე არ უნდა ეხურს, რადგანაც წმ. შუამავლის გადმოცემით, განკითხვის დღეს ასეთი ადამიანები "ლებბეიქ"-ს წარმოთქვამენ და ისე წამოდგებიან საფლავებიდან.

ცოცხლად დაბადებული და შემდეგ გარდაცვლილი ჩვილს სახელი უნდა დაერქვას, შემდეგ ცხედარი უნდა განიბანოს, ქეფენში შეეხვიოს და ლოცვი შესრულდეს. თუ ახალშობილი უკვე მკვდარი დაიბადა სახელი უნდა დაერქვას, განიბანოს, ნაჭერში შეიხვეს და მიწას მიბარდეს. ლოცვი არ სრულდება. ორსულად მყოფი ქალის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ნაყოფი მოძრაობს მიცვალებული დედის მუცელი უნდა გაიკვეთოს და ბავშვი გადარჩეს.

მშობლების განზრახ მკვლელის, ორთაბრძოლის დროს დაღუპული ყაჩაღის, ან მძარცველისათვის მიცვალებულის ლოცვი არ სრულდება. თუმცა შარიათის მიხედვით გასამართლების და დასჯის შედეგად თუ იქნენ გარდაცვლილნი უნდა მოხდეს მათი განბანვა და მიცვალებულის ლოცვიც სრულდება. ისლამის უარმყოფელი და სარწმუნოებიდან გასული მიცვალებულის ლოცვი არ სრულდება და არც მუსლიმთა სასაფლაოზე შიძლება მისი დასაფლავება. თვითმკვლელი მიცვალებულის ლოცვის ლოცვა დასაშვებია. თუმცა ებუ იუსუფის აზრით შეცდომით თავის მოკვლის და გაუსაძლისი ტკივილის გამო თავის მოკვლის გარდა, განზრახ თვითმკვლელობის ჩამდენთა ჯენაზე ლოცვი არ სრულდება.

“მიცვალებულის ლოცვის ლოცვამდე იქ მყოფი მორწმუნე ერთ ქირათ მადლს მიიღებს, ხოლო დასაფლავებამდე ვინც მოიცდის –ორს.”

ეს ერთი და ორი ქირათი რა არისო რომ უკითხავთ, წმ. შუამავალს მათთვის გასაგებ ენაზე განუმარტავს: “ორი დიდი მთის ხელა მადლი.”

“მიცვალებულის დასაფლავება იჩქარეთ. თუ ეს მიცვალებული მადლიანი ადამიანია რაც შეიძლება მალე რომ მიებაროს მიწას უკეთესია. ხოლო თუ მიცვალებული კარგი ადამიანი არ იყო, ესეც ცუდია. რაც შეიძლება მალე მოიშორებთ მხრებიდან!”

“როდესაც მიცვალებული გამზადებილია სასაფლაოზე წასაყვანად და მამაკაცები მხრებზე შეისვამენ მადლიანი თუა იტყვის, -“რაც შეიძლება მალე წამიყვანეთ.”, ხოლო თუ მადლიანი ადამიანი არაა, თავის ოჯახს ყვირილით შეეხმიანება: “საით მივყავარ მე ამათ?!” მისი ხმა ადამიანის გარდა ყველაფერს ესმის. ადამიანს რომ გაეგონა გული წაუვიდოდა.”

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მიცვალებული არ უნდა ვალოდინოთ და რაც შეიძლება მალე მივაბაროთ მიწას. მიცვალებულის შესახებ კარგი ან ცუდი მოწმეობა გამჩენის წინაშე მისაღებია. ამიტომ მიცვალებულის შესახებ კარგის თქმა სუნნეთია. ჰადისში ნაბრძანებია, რომ: “მიცვალებულები კარგად გაიხსენეთ. მათი ცუდი ნამოქმედარი დაფარეთ!”

დღეისათვის, მიცვალებულის ლოცვის შემდეგ იმამი ეკითხება მლოცველებს, თუ როგორი ადამიანი იყო მიცვალებული. მლოცველები პასუხობენ: “კარგი ადამიანი იყო!” ეს კარგი საქციელია.

მიცვალებულის ლოცვის დროს იმის დადასტურება, რომ გარდაცვლილი კარგი ადამიანი იყო ძალიან მნიშვნელოვანია. ხალიფა ომარს, თავისი ხალიფობის დროს უთქვამს, რომ ოთხი ადამიანის ამგვარი მოწმობა მიცვალებულს გადაარჩენს. ოთხზე ნაკლები რომ იყოსო, უკითხავთ იქ მყოფებს. სამი და ორიც საკმარისიაო , - დასძინა თურმე ბოლოს.

ებუ ჰურაირას გადმოცემით წმ. შუამავალმა ჰაბეშის მმართველის სიკვდილის ამბავი გაიგო და თავის თანამებრძოლ მეგობრებთან ერთად მიცვალებულის ლოცვი ილოცა. ჰაბეშის მმართველი ჰიჯრით მეცხრე წელს გარდაიცვალა და წმ. შუამავალმა მისთვის ლოცვი მედინაში შეასრულა. ეს იყო უიშვიათესი გამონაკლისი, რომელიც სერიოზულ მიზეზზე იყო დამოკიდებული. ჰანეფის და მალიქის მიმდინარეობების მიხედვით, მიცვალებული თუ ადგილზე არ იმყოფება იქ მიცვალებულის ლოცვის შესრულება მიუღებელია.

მიცვალებულის ლოცვის გარეშე დამარხული გარდაცვლილისთვის ლოცვის ლოცვა საფლავთან შეიძლება, თუმცა მანამ, სანამ სხეული დაიშლებოდეს და გაიხრწნებოდეს. იბნი აბბასის მიერ გადმოცემულ ჰადისში ვკითხულობთ: “წმ. შუამავალი ღამით დამარხული, პატარა ბავშვის საფლავთან შეჩერდა. რატომ არ გამაგებინეთო,- უკითხავს. ღამით დავმარხეთ და შენი გაღვიძება არ გვინდოდაო, –უპასუხეს. მაშინ შუამავლის ბრძანებით მწკრივებად დადგნენ და წმ. შუამავლის წინამძღოლობით ლოცვი შეასრულეს.

ერთხელ მედინაში, მეჩეთის დამლაგებელი ზანგი ქალი ვეღარ დაინახა შუამავალმა და როდესაც იკითხა, უთხრეს რომ გარდაიცვალა. წმ. შუამავალმა შეკრიბა მლოცველები, მივიდა და საფლავთან მიცვალებულის ლოცვი შეასრულა. შემდეგ კი ბრძანა: ‘უეჭველია, რომ ეს საფლავები თავიანთ მკვიდთათვის სიბნელითაა სავსე. ღმერთო, ჩემი ამ ვედრებითა და ლოცვით მათი საფლავები განანათლე!”

ზ) მიცვალებულის გადაყვანა და დასაფლავება

მიცვალებულის საფლავამდე გადაყვანა მისთვის გაწეული ერთერთი უკანასკნელი მომსახურებაა. მიცვალებულის გადაყვანა, იმავე დროს ღმერთისადმი თაყვანისცემაა. ამიტომ სასაფლაო თუ ახლოსაა, მიცვალებულის ხელით გადაყვანა მლოცველებს დიდ მადლს მიაღებინებს.

როგორც სუნნეთითაა განსაზღვრული, თაბუთს (ხისგან დამზა-

დებული მიცვალებულის მოსათავსებელი) ოთხი მამაკაცი ოთხივე მხრიდან მიუდგება და წაიღებს. თაბუთის ოთხი მხრიდან ათ-ათი ნაბიჯის ტარება მუსთეჰაბია. უფრო მეტს თუ წაიღებს, მეტი მადლი ეწერება. მიცალებულის წაღებისას ჯერ მარჯვენა, წინა მხრიდან აწევა კეთესია. შემდეგ მარჯვენა უკანა მხარეს უნდა გადავიდეთ. შემდეგ მარცხენა წინა მხარეს შევეცვლებით ვინმეს და ბოლოს მარცხენა უკანა მხარეს შევუდგებით. ამრიგად ყოველ კუთხეში ყოფნისას ათ-ათი ნაბიჯი თუ გადავდგით ჯამში 40 ნაბიჯი გამოგვივა. მიცვალებულის სწრაფად წაყვანაც მუსთეჰაბია.

მიცვალებულის უკან მიმავალნი უადგილო და უსარგებლო თემებზე არ უნდა საუბრობდნენ და ხმამაღლა არ იცინოდნენ. უფრო მეტიც, ხმამაღლა ღმერთის ხსენებისთვის ლოცვები და ყურანიც არ იკითხება. მხოლოდ სიკვდილზე და საიქიოზე უნდა ვფიქრობდეთ. მიცვალებულის საფლავში ჩასვენების შემდეგ მლოცველებს შეუძლიათ ძირს დასხდნენ.

როდესაც გზაზე მიცვალებული მოყავთ, გზის პირას თუ ვინმე ზის უნდა წამოდგეს და სანამ მიცვალებული მას არ გასცდება ფეხზე უნდა იდგეს. ეს ადამიანის მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა. წმ. შუამავალი ასე აკეთებდა. მიცვალებულის გადაყვანის პროცესს რომ შეხვდებოდა ფეხზე დგებოდა. როდესაც ის ებრაელი მიცვალებულისთვისაც წამოდგა ფეხზე, იქ მყოფებმა აცნობეს, ეს ხომ ებრაელიაო. მან კი უპასუხა: -“ადამიანი ხომ არის!”

წმ. ალის და იბნი აბბასისგან გადმოცემულ ვარაუდების თანახმად, არამუსლიმი მიცვალებულისთვის ფეხზე წამოუდგომლობის ნებართვა არსებობს.

მიცვალებულის საფლავში ჩასვენებისას, ჯერ რამოდენიმე ადამიანი ჩადგება საფლავში და მიცვალებულს ჩაიტანენ. მიცვალებულს თავი დასავლეთისკენ, ფეხები აღმოსავლეთისკენ, შესაბამისად მარჯვენა მხარე ქააბასკენ უნდა ჰქონდეს. სახეც ქააბასკენ უნდა ჰქონდეს მიტრიალებული. შემდეგ ქეფენის თავს და ბოლოს გახსნიან. სასურველია, მანდილოსანი საფლავში თავისმა უახლოესმა ნათესავებმა ჩაასვენონ.

შემდეგ საფლავის მარცხენა ძირიდან მარჯვენა კიდეზე, მიცვალებულის ცხედრის მიწისგან დასაცავად ქვებს. ან ფიცრებს მიაფარებენ და მიწას მიაყრიან. საფლავი მიწის ზედაპირამდე რომ აივსება მიწით იქ მყოფები დასხდებიან. ამ დროს შეიძლება ყურანის ზოგიერთი სურას წაკითხვა. უმეტესწილად, მულქის, ვაქიას,

იჰლასის, ფელეყის, ნასის, ფათიჰას და ბაქარას სურას ხუთი აიათი იკითხება. მადლი მიცვალებულის სულს და სხვა მორწმუნეთა სულებს უნდა ვაჩუქოთ.

თელქინ- მიცვალებულის დასაფლავების და ლოცვა-ვედრების წაკითხვის შემდეგ, მლოცველები იშლებიან. იმამი, ან ვინმე დარჩება საფლავის თავთან და მიცვალებულს ხმამაღლა იმანის (რწმენის) პირობებს შეახსენებს. ამ პროცესს თელქინ-ი ეწოდება. წმ. შუამავლის ჰადისი, "მიცვალებულებს, ლაა ილაჰე ილლელლაჰ!" –ჩასჩურჩულეთო ზოგიერთმა სწავლულმა იფიქრა მიცვალებულებში სიკვდილის სარეცელზე მყოფები იგულისხმაო, მაგრამ ჰანეფის ზოგი სწავლულის აზრით მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ მსგავსი "თელყინის" შესრულება მისაღებია.

შაფის და ჰანბელის სწავლულთა ერთი ნაწილის მიხედვით თელყინი მუსთეჰაბია. მალიქის მიმდინარეობა კი მიიჩნევს, რომ მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ თექლყინის შესრულება მექრუჰია.

თელქინი შემდეგნაირად სრულდება: მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ იმამი, ან ვინმე შესაფერისი პიროვნება მიცვალებულის სახის პირისპირ გაჩერდება და მიმართავს მიცვალებულს. მიცვალებულს, როგორც წესი სახელითა და დედის სახელით მიმართავენ. ამგვარი ფორმით სამჯერ მიმართავს და ეტყვის: ამ სამყაროში არ არსებოსბ უფალი გარდა ერთადერთი ალლაჰისა, მუჰამმედი მისი შუამავალია, სიკვდილის შემდგომ ხელახლა გაცოცხლებაც ჭეშმარიტებაა, უეჭველად დადგება განკითხვის დღეც, ღმერთი გააცოცხლებს იმათ, ვინც საფლავებში არიან! გაიხსენე ესენი, რაც შენი ცოცხლად ყოფნისას დაადასტურე! შენ, გამჩენად ალლაჰი აირჩიე, სარწმუნოებად –ისლამი, შუამავლად –მუჰამმედი, გზამკვლევად –ყურანი, ლოცვის მიმართულებად – ქააბა, ძმებად მორწმუნენი გაიხადე. ახლა წარმოთქვი! არ არსებობს უფალი გარდა ალლაჰისა! მას მივენდე, ისაა სამყაროს პატრონი. ეი, ღვთის მონავ! თქვი, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა. თქვი რომ შენი გაჩენი ალლაჰია, სარწმუნოება-ისლამი, შუამავალი –მუჰამმედი. გამჩენო! ნუ მიატოვებ მას მარტო. შენ ყველაზე უკეთ უწყი როგორ მიანიჭო წყალობა!

მიცვალებულის სახლში საჭმლის ჭამა, ჭირისუფალზე მისამძიმრება და ზოგჯერ საფლავის მონახულება სუნნეთია.

მიცვალებულის ოჯახის წევრებს აუცილებელია მივუსამძიმროთ, მაგრამ სამი დღის შემდეგ ჭირისუფალზე მისამძიმრება უკვე

მიღებული აღარაა. თუმცა ისეთი ახლობლებისათვის, ვინც გასვენებაში ვერ მოვიდა სამი დღის შემდეგაც შეიძლება მისამძიმრება. ანუ როდესაც მათთან შეხვედრას მოვახერხებთ.

მიცვალებულის დასაფლავებამდე, ან დასაფლავების შემდეგ ტირილი მისაღებია, მაგრამ ხმამაღალი მოთქმა-გოდება და ბედისწერის საწინააღმდეგო სიტყვების წარმოთქმა მიუღებელია.

წმ. შუამავალიც ატირებულა ზოგჯერ. მაშინ, როდესაც შვილი და შვილიშვილი გარდაეცვალა. მიზეზი ჰკითხეს, მან კი ბრძანა: "ეს ცრემლები ღმერთის წყალობაა. ღმერთმა ის ადამიანთა გულებში მოათავსა. ღმერთი მხოლოდ მოწყალეთა მიმართ იქნება მწყალობელი!"

XX-ღმერთის გზაზე შეჰიდობა (სიცოცხლის გაწირვა)

ა) შეჰიდობა და მისი მადლი

შეჰიდობა მაღალი საფეხურია. ღვთის გზაზე სიცოცხლის გამწირავ მუსლიმს შეჰიდი ჰქვია. შეჰიდი მოწმეს ნიშნავს. ასე ალბათ იმიტომ ეწოდათ, რომ შეჰიდის სამოთხეში მოხვედრა დადასტურებულია. რომ შეჰიდები ღვთის წინაშე ცოცხლები არიან. ან კიდევ, მათი სიკვდილის მოწმენი ანგელოზები არიან.

ჰანეფის მიხედვით შეჰიდად ითვლებიან: ომის დროს მტრის მიერ მოკლული მორწმუნენი. აგრეთვე მეამბოხეების, მძარცველების, ყაჩაღების ხელით მოკლული მორწმუნენი. გარდა ამისა შეჰიდად ითვლება დღისით, ან ღამით სახლში შეპარული ქურდის მიერ მძიმე, ბლაგვი, ან მჭრელი საგნით მოკლული ადამიანები. ომის დროს სხვადასხვა სახის ჭრილობების გამო თვალებიდან და ყურებიდან სისხლგადენილ მდგომარეობაში მყოფი მკვდრებიც შეჰიდები არიან. შაჰიდია, აგრეთვე მუსლიმის მიერ უსამართლოდ და განზრახ მოკლული მუსლიმი.

გარდა ამისა, შეჰიდი უნდა იყოს მუსლიმი, გონებასრული, ზრდასრული, არ უნდა იყოს "ჯუნუბი", არც მენსტრუაციის და ორსულობის შემდგომ სისხლდენის პერიოდში და სროლის, ან დაჭრისთანავე უნდა მოკვდეს.

ამ კატეგორიაში შემავალი შეჰიდები როგორც ამქვეყნიური, ისე იმ ქვეყნიური თვალსაზრისით ნამდვილი შეჰიდები არიან. ასეთი შეჰიდების განბანვა და ქეფენში გახვევა საჭირო არაა. ისინი თავიანთი ტანსაცმლით უნდა დასაფლავდნენ. მიცვალებულის ლოცვი სრულდება.

შეჰიდს ყველა ცოდვის და ვალდებულებისაგან თავისუფალია, გარდა ნივთიერი ვალისა. წმ. წიგნით და სუნნეთითა დამტკიცებული, რომ საიქიოში შეჰიდებისათვის მაღალი საფეხურის განსასვენებელი მზადდება. ღმერთი ბრძანებს:

وَلَا تَحْسَبَنَّ الَّذ ينَ قُتِلُوا ف ى سَب يلِ اللّٰهِ اَمْوَاتًا بَلْ اَحْيَاءٌ عِنْدَ رَبِّهِمْ يُرْزَقُونَ

فَرِح ينَ بِمَا اٰتيهُمُ اللّٰهُ مِنْ فَضْلِه وَيَسْتَبْشِرُونَ بِالَّذ ينَ لَمْ يَلْحَقُوا بِهِمْ مِنْ خَلْفِهِمْ اَلَّا خَوْفٌ عَلَيْهِمْ وَلَا هُمْ يَحْزَنُونَ

يَسْتَبْشِرُونَ بِنِعْمَةٍ مِنَ اللّٰهِ وَفَضْلٍ وَاَنَّ اللّٰهَ لَا يُض يعُ اَجْرَ الْمُؤْمِن ينَ

და შენ არავითარ შემთხვევაში მკვდრად არ ჩათვალო ისინი, ვინც დაეცა ალლაჰის გზაზე, არამედ ცოცხალნი არიან, თავიანთ ღმერთთან იღებენ სარჩოს,

ხარობენ იმით, რაც ალლაჰმა უბოძა თავისი სიკეთეებიდან, და ხარობენ იმით, ვინც მათ უკანაა და ჯერ არ მისწევიათ, რომ მათ არ მოელით არცა შიში და არცა მწუხარება!

ხარობენ ალლაჰის წყალობისა და მადლის გამო და რომ ალლაჰი საზღაურს არ დაუკარგავს მორწმუნეებს, “ ალი იმრან 3/169-171. “

წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“სამოთხეში ვინც მოხვდება, ამ ქვეყნად რაც არსებობს ყველაფერი რომ მისცეთ უკან აღარ დაბრუნდება. თუმცა შაჰიდი განსხვავებულია. ის მისთვის მოსალოდნელი წყალობათა სიუხვის გამო ათჯერ დედამიწაზე დაბრუნებას და იგივენაირად სიკვდილს ისურვებს. ვფიცავ ვისურვებდი ვიბძოლო ღვთის გზაზე და მომკლან, ისევ ვიბრძოლო და მომკლან, ისევ ვიბრძოლო და მომკლან. “

ბ)სხვადასხვა დებულებები, რომლებიც შაჰიდს შეეხება

შაჰიდების მიმართ, სხვა მიცვალებულებისგან ცოტათი განსხვავებული დებულებები მოქმედებს. შაჰიდი ქეფენში ტანსაცმლის გაუხდელად უნდა იქნას შეხვეული. სისხლი არ მოიბანება, ქურქი, პალტო, იარაღი, მესთი და მსგავსი რამ თუ აქვს უნდა მოვაცილოთ

და ისე დავასაფლავოთ.

შუამავლის ბრძანებით უჰუდის ბრძოლაში დაცემული შაჰიდები განბანვის გარეშე, სისხლიანი ტანსაცმლიანად დაასაფლავეს და არც მიცვალებულის ლოცვი შეუსრულებიათ.

წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“შაჰიდები არ განბანოთ, რადგან განკითხვის დღეს ყოველი ჭრილობა და სისხლის წვეთი სასიამოვნო სურნელებას გამოყოფს!”

ბრძოლის ველზე ურწმუნოთა მიერ მოკლული შაჰიდები არ განიბანებიან, ქეფენის მსგავსი ტანსაცმლით უნდა შევახვიოთ და ისეთივე სისხლიანი უნდა დავასაფლავოთ. ჰანეფის მიხედვით მიცვალებულის ლოცვი სრულდება.

ჯუნუბი, მენსტრუაციის, ან ორსულობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში მყოფი ადამინი თუ ბრძოლის ველზე დაიღუპება ჰანეფის მიხედვით, როგორც პატარა ბავშვის, ან ფსიქიკურად დაავადებულის შემთხვევაშია, ისე უნდა განიბანოს. ამის მტკიცებულება ჰანზალას შესახებ გადმოცემული ჰადისია: “ჰანზალა იბნ ები ამრი უჰუდის ბრძოლაში დაიღუპა. მაშინ წმ. შუამავალმა ბრძანა: ჰანზალას ანგელოზებმა განბანეს. ეს ამბავი ჰანზალას მეუღლეს ჰკითხეს. მან აღიარა, რომ ჰანზალა ჯუნუბი იყო და დიდი განბანვისთვის დრო აღარ დარჩა ისე გაჰყვა ჯარს. სწორედ ამიტომ განბანეს ის ანგელოზებმა!” –ბრძანა ღვთის შუამავალმა.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით, შაჰიდი ჯუნუბი რომ იყოს, ან მენსტრუაციის და მშობიაროობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში, ანდა ბავშვი მაინც არ საჭიროებს განბანვას.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევდნენ, რომ შაჰიდი არც განბანვას, არც სუდარაში გახვევას და არც მიცვალებულის ლოცვის შესრულებას არ საჭიროებს. თუ სისხლის გარდა სხვა სიბინძურე აცხია საკმარისია მისი მობანა. ამის მტკიცებულება ჯაბირის მიერ გადმოცემული ჰადისია:

“წმ. შუამავალმა ბრძანა უჰუდში დაღუპული შაჰიდები განბანვის გარეშე სისხლიანი დაესაფლავებინათ. არც ლოცვი შეუსრულებიათ.”

თუ ადამიანს გულში თვალთმაქცობა გააჩნია და გარეგნულად მუსლიმთა რიგებში მყოფი მტერთან ბრძოლისას დაიღუპა შაჰიდის მხოლოდ ამქვეყნიური ჯილდოთი ისარგებლებს. ისინიც

ჩვეულებრივ განბანვის გარეშე დაიკრძალებიან.

შაფის მიხედვით ნადავლისთვის, , ან სხვების საჩვენებლად, ან კიდევ ნადავლის მოსაპარად ომში მებრძოლი ადამიანი მხოლოდ "ამქვეყნიურ" შაჰიდად ითვლება. ამავე დროს თუ ღმერთის სახელის სადიდებლადაც იბრძვის მდგომარეობა მაინც არ შეიცვლება. ისინი გარეგნულად როგორც იქცევიან, იგივენაირად შეფასდებიან.

ზოგიერთი შაჰიდი მხოლოდ "საიქიო" შაჰიდად იღუპება. მაგ. შეცდომით მოკლულნი, ომის დროს დაჭრილები, რომლებიც მაშინვე არ დაიღუპნენ და მოგვიანებით გარდაიცვალნენ. ესენი სხვა, ჩვეულებრივი მუსლიმი მიცვალებულების მსგავსად განიბანებიან და სუდარაში შეხვევის შემდეგ უნდა დასაფლავდნენ. ბუნებრივია, მიცვალებულის ლოცვიც სრულდება.

გარდა ამისა, წყალში დამხრჩვალი, ცეცხლში დამწვარი, ნიაღვარის, მეწყერის, ზვავის, მიწისძვრის შედეგად შენობის ქვეშ მოქცეული, ეპიდემიის მსხვერპლი, მორიელის ნაკბენი, სამუშაოდ, ან ცოდნის მისაღებად წასული, ხუთშაბათ საღამოს, პარასკევის დილამდე გარდაცვლილი მუსლიმი იგივე სტატუსით სარგებლობს. იგივენაირად, შაჰიდად ითვლება მშობიაროზის დროს დაღუპული ქალიც.

ჰადისებში მითითებულია სხვა და სხვა დაავადებებით დაავადებული ადამიანები, რომლებიც დაღუპვის შემთხვევაში შაჰიდებად ითვლებიან. მაგ. ეპიდემიის სახით გავრცელებული დაავადებები, ქოლერა, ფილტვის დაავადება და და სხვ.

საბოლოო ჯამში, შაჰიდობა დიდი წყალობაა. ადამიანი, რომელიც მულსიმად იცხოვრებს და ბილოს შაჰიდი გახდება მისთვის ყველაზე დიდი სიკეთე და ბედნიერებაა. თუმცა ყველას როდი ეღირსება ეგოდენ დიდი წყალობა. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

"ვინც შაჰიდობას გულწრფელად ინატრებს, საკუთარ საწოლშიც რომ გარდაიცვალოს გამჩენი მას შაჰიდის საფეხურზე აიყვანს!"

XXI- საფლავის ცხოვრება და საფლავის მონახულება

ა) საფლავის ცხოვრება

ადგილი, სადაც მიცვალებულს ჩაასვენებენ საფლავი ჰქვია. გარდაცვალებიდან განკითხვის დღემდე, ანუ ხელახლა სულის ჩაბერვამდე საფლავში ყოფნის პერიოდს საფლავის ცხოვრება ჰქვია. ადამიანი სულისა და სხეულისგან შედგება. სული ბევრად უფრო ადრე არის გაჩენილი ვიდრე სხეული. ადამიანის სიცოცხლის ეტაპები ოთხი ნაწილისგან შესდგება.

1) სულის გაჩენიდან სხეულში ჩასახვამდე არსებული დრო. ჩანასახი დედის საშვილოსნოში 4 თვის და ათი დღის შემდეგ ცოცხალი არსება ხდება და იწყება სულიერი არსების სიცოცხლის პერიოდი. სულების გაჩენა და მათი თავდაპირველი განკითხვა ყურაში შემდეგნაირადაა ახსნილი:

وَاِذْ اَخَذَ رَبُّكَ مِنْ بَنِ ی اٰدَمَ مِنْ ظُهُوْرِهِمْ ذُرِّيَّتَهُمْ وَاَشْهَدَهُمْ عَلٰى اَنْفُسِهِمْ اَلَسْتُ بِرَبِّكُمْ قَالُوْا بَلٰى شَهِدْنَا اَنْ تَقُوْلُوْا يَوْمَ الْقِيٰمَةِ اِنَّا كُنَّا عَنْ هٰذَا غٰفِلِيْنَ

აკი, შენმა ღმერთმა ადამის შვილთა წელიდან მათივე შთამომავლობა გამოიყვანა, და საკუთარი თავის წინააღმდეგ ამოწმებინა: „განა არა ვარ თქვენი ღმერთი მე?“ უთხრეს: „დიახ, ვაღიარეთ ჩვენ.“ უეჭველად, ჩვენ არ ვუწყოდით ამას, რომ არ ეთქვათ აღდგომის დღეს. “ არაფ 7/172. “

2) ამქვეყნიური ცხოვრების პერიოდი. დედის საშვილოსნოში ყოფნისას ნაყოფზე სულის ჩაბერვიდან და დაბადებიდან დაწყებული, გადაცვალებით დამთავრებული პერიოდი ამქვეყნიური ცხოვრების პერიოდია. ამქვეყნიური ცხოვრების მიზანი ისა, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი და როგორ ყოფას დაიმსახურებს ცხოვრების შემდეგი ეტაპისთვის.

3) საფლავის ცხოვრებ ის პერიოდი. საფლავის ცხოვრება იწყება სიკვდილისთანავე და გრძელდება განკითხვის დღემდე.

4) საიქო ცხოვრების პერიოდი. წარღვნიდან დაწყებული და უსასრულობამდე წასული უკვდავი ცხოვრება.

ამ თავში ადამიანის ცხოვრების მესამე ეტაპს განვიხილავთ.

მიცვალებულის საფლავისეული ცხოვრება გარდაცვალებისთანავე იწყება. მნიშვნელობა არ აქვს გარდაცვლილის სხეული რა მდგომარეობაშია. ის შეიძლება იყოს საფლავში დასვენებული, ზღვაში დაკარგული, დამწვარ-დაფერფლი, ან განადგურებული. პრინციპი მაინც ერთია. საფლავისეულ ცხოვრებას ყველა თავისი პირობების შესაბამისად დაიწყებს.

საფლავის ცხოვრებაზე სხვადასხვა აიათები და ჰადისები მოგვითხრობენ:

اَلنَّارُ يُعْرَضُونَ عَلَيْهَا غُدُوًّا وَعَشِيًّا وَيَوْمَ تَقُومُ السَّاعَةُ اَدْخِلُوا اٰلَ فِرْعَوْنَ اَشَدَّ الْعَذَابِ

ცეცხლი, სადაც შენივთებულ იქნებია დილით და საღამოს. ხოლო დღეს საათის დადგომის; „შეიყვანეთ ფარაონის სახლეული მწარე სასჯელში“! “ მუ’მინ 40/46. “

ამ აიათში განმარტებულია, რომ საჯელი და წამება წარღვნამდე და განკითხვამდეც არსებობს. ეს კი საფლავისეული სასჯელია. თირმიზის და სხვების მიერ გადმოცემულ ჰადისში საიქიოსთან პირველი კავშირი შემდეგნაირადაა მოთხრობილი:

“ როდესაც მიცვალებულს სამარეში დაასვენებენ, მასთან ორი ანგელოზი მივა და შეკითხვებს დაუსვამენ; ვინ არის შენი გამჩენი? –ვინ არის შენი შუამავალი? –რა არის შენი სარწმუნოება?...

მადლმოსილი ადამიანები სწორ პასუხებს გასცემენ, მათი საფლავები გაფართოვდება და გაბრწყინდება. იწექი და მშვიდად განისვენე, ეტყვიან მას ანგელოზები. რაც შეეხება ურწმუნო და თვალთმაქც (მუნაფიყი) ადამიანებს, ანგელოზების შეკითხვებზე დაიბნევიან და სწორ პასუხებს ვერ გასცემენ. ამიტომ უბრძანებენ მიწას შევიწროვდეს და მიწა ისე შევიწროვდება ცოდვილი მიცვალებულის ძვლებს ერთიმეორეში აურევს. ასე გაგრძელდება განკითხვის დღემდე.

წმ. შუამავალმა, როდესაც ის გზაზე მიდიოდა და სასაფლაოს ჩაუარა ორი მიცვალებულის ტანჯვის ხმა შემოესმა, რომელიც მათი საფლავებიდან მოდიოდა. სიცოცხლეში, ერთი ბოროტებას თესავდა, მეორე კი საპირფარეშოში სისუფთავის წესებს არ იცავდა. წმ. შუამავალმა აიღო მწვანე ხის ტოტი, შუაზე გახლიჩა და იმ მიცვალებულების საფლავებზე დაარჭო. თანამგზავრებს კი აუხსნა: თუ ეს ტოტები არ გახმა იმედია, რომ მათი ტანჯვა-წამება

შემცირდებაო. ამ ჰადისთანაა დაკავშირებული სასაფლაოზე ხის დარგვის ადათის შემოღება.

ზოგიერთ ჰადისში საფლავი განმარტებულია, როგორც: “სამოთხის ბაღებიდან ერთ-ერთი ბაღი, ან ჯოჯოხეთის უფსკრულებიდან ერთ-ერთი უფსკრული”

“საფლავი, საიქიო ცხოვრების პირველი გაჩერებაა. ვინც მას ადვილად გაივლის დანარჩენი დაბრკოლებების გადალახვა გაუადვილდება. ვინც ვერ გადაურჩება ამ პირველ გაჩერებას, შემდეგი დაბრკოლებების გადალახვა უფრო გაუჭირდება.”

ყურანში შაჰიდების საფლავისეული ცხოვრებაა მოთხრობილი:

وَلَا تَحْسَبَنَّ الَّذِينَ قُتِلُوا فِي سَبِيلِ اللَّهِ أَمْوَاتًا بَلْ أَحْيَاءٌ عِنْدَ رَبِّهِمْ يُرْزَقُونَ

და შენ არავითარ შემთხვევაში მკვდრად არ ჩათვალო ისინი, ვინც დაეცა ალლაჰის გზაზე, არამედ ცოცხალნი არიან, თავიანთ ღმერთთან იღებენ სარჩოს, “ ალი იმრან 3/ 169. “

ებუ ჰანიფეს შეხედულებით შუამავლებს, შაჰიდებს და ბავშვებს საფლავში განკითხვა არ მოუწევთ. თუმცა ებუ ჰანიფეს ურწმუნოთა ბავშვების შესახებ შეკითხვა უპასუხოდ დაუტოვებია. იბნი აბბასის და ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ ჰადისში წმ. შუამავლის პასუხი შემდეგნაირადაა დაფიქსირებული:

“მათ რომ ეცოცხლათ, ყველაზე უკეთ ალლაჰმა უწყის როგორი ცხოვრებით იცხოვრებდნენ. “

ბუჰარი, ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ ჰადისში მოგვითხრობს:

“ყოველი ბავშვი დაბადებიდანვე ისლამის მიმდევრად იბადება, მაგრამ მშობლები აქცევენ მათ იუდეველად, ქრისტიანად, მეჯუსად”

ისლამში ვალდებულებები ზრდასრულობის ასაკიდან იწყება, ამიტომ ზრდასრულობის ასაკამდე გარდაცვლილი ბავშვები ისლამის მიმდევრებად ითვლებიან. ზემოთ მოყვანილ ჰადისს და გამჩენის უზადო მოწყალებას ასეთი შეხედულება უფრო შეეფერება.

საფლავში მოსალოდნელი ტანჯვა სულიერი იქნება თუ ხორციელი, ისლამის მეცნიერთა და სწავლულთა შორის დავის საგანია. შეხედულება, რომლის თანახმადაც ეს ტანჯვა სულიერიც იქნება და ხორციელიც, უფრო დამაჯერებელი ჩანს. სული და მისი თვი-

სობრიობა არ არის ამოხსნილი. აიათში კი ნაბრძანებია:

وَقُلِ الْحَمْدُ لِلّٰهِ الَّذ ى لَمْ يَتَّخِذْ وَلَدًا وَلَمْ يَكُنْ لَهُ شَر يكٌ فِى الْمُلْكِ وَلَمْ يَكُنْ لَهُ وَلِىٌّ مِنَ الذُّلِّ وَكَبِّرْهُ تَكْب يرًا

და გეკითხებიან შენ სულის შესახებ , უთხარი: „სული ჩემი ღმერთის მბრძანებლობაშია , და არ მოგნიჭებიათ თქვენ ცოდნისგან მცირედის გარდა!“ “ ისრა 17/85. “

ბ)საფლავები და სასაფლაო

სასაფლაო, ეს არის ადგილი, სადაც მიწას მიბარებული ადამიანი ყველაზე დიდხანს რჩება. ამიტომ ისლამში, სასაფლაოს საკითხისადმი ყურადღების მიქცევა მნიშვნელოვანია. სასაფლაოს სუფთად და გულმოდგინედ დაცვა და გამწვანებაა საჭირო. სასაფლაოს მიმართ გამოხატული პატივისცემა, ზოგადად ადამიანის მიმართ პატივისცემას ნიშნავს.

შეგახსენებთ ჰადისს:

“მიცვალებულების შესახებ კარგი რამ გაიხსენეთ. ცუდი საქმეები გადაფარეთ!”

უმჯობესია, საფლავი იყოს სადა და ნაკლებად გამორჩეული. ზედაპირი კი მიწით უნდა იყოს დაფარული.

ყურანში მოთხრობილია, რომ კერპთაყვანისმცემლობა სწორედ გამორჩეულ ადამიანთა საფლავზე დადგმული ქანდაკებების და მომდევნო თაობების მიერ მათზე თაყვანისცემით დაიწყო. ეს განხილულია წმ. ნოეს ხალხის მაგალითზე:

وَقَالُوا لَا تَذَرُنَّ اٰلِهَتَكُمْ وَلَا تَذَرُنَّ وَدًّا وَلَا سُوَاعًا وَلَا يَغُوثَ وَيَعُوقَ وَنَسْرًا

და თქვეს: არ მიატოვოთ თქვენი ღვთაებები: არც ვედდი და არც სუვაღი, არც იეღუსა, არც იეღუყე და არც ნესრა.“ ნუჰ 71/23. “

ეს ჩამოთვლილი სახელები იმ ტომის ხალხში გამორჩეული და ყველასათვის საყვარელი პიროვნებები იყვნენ. გარდაცვალების შემდეგ მათ საფლავებზე ქანდაკებები დადგეს. შემდეგმა თაობებმა კი, ვინც პირადად აღარ იცნობდა მათ, სათაყვანებელ კერპებად გადააქციეს ისინი.

ჰადისში, რომელიც წმ აიშემ გადმოგვცა, წმ შუამავალი ბრძანებს:

“ღმერთმა დასწყევლოს იუდეველები და ქრისტიანები. მათ შუამავლების საფლავები სამლოცველოებად აქციეს!”

მუსლიმი ჯუნდების მიერ გადმოცემულ ჰადისს გვთავაზობს:

“ყურადღება მიაქციეთ! თქვენზე ადრინდელმა ხალხებმა თავიანთი შუამავლების და მადლმოსილი ადამიანების საფლავები სალოცავად აქციეს. თქვენ საფლავები მეჩეთად არ აქციოთ!”

საფლავებზე სამლოცველოების მშენებლობა, შემდეგ ლოცვა და მათდამი ვედრება, მათი ერთგვარად კერპად აღიარებაა. ამიტომ დასწყევლა ღმერთმა ისინი და მუსლიმებს ასეთი რამ აუკრძალა.

თუ ვინმე სულიერად გამორჩეული და მადლმოსილი ადამიანის საფლავის გვერდით მეჩეთი აშენდება და ნორმალურად იფუნქციონირებს ამაში რაიმე პრობლემა არაა.

თუ სასაფლაოზე გზა გადის, ან წყალმა დატბორა, ადგილი სხვას ეკუთვნის, ან მტრისგან საფლავის წაბილწვის საფრთხეა, ამ და მსგავსი მიზეზების გამო მიცვალებულის ცხედრის სხვა ადგილას გადატანა, გადასაფლავება დასაშვებია.

ჯაბირ იბნ აბდულლაჰი მოგვითროობს: “ უჰუდის ბრძოლაში მამაჩემი პირველი შაჰიდი გახდა. ის იქვე სხვასთან ერთად დავასაფლავეთ. შემდეგ გულმა აღარ მომითმინა. ექვსი თვის შემდეგ მივედი, საფლავი ამოვთხარე, მამაჩემის ცხედარი ამოვიღე და სხვა საფლავში ჩავასვენე. ის, ისევ ისეთი მთელი და გაუხრწნელი იყო.”

მიცვალებულის, სადაც გარდაიცვალა იქაურ სასაფლაოზე დამარხვა მენდუფია. თუმცა შეიძლება ერთი-ორი მილის მოშორებით წაყვანაც. უჰუდის ბრძოლაში დაცემული შაჰიდები იქვე იქნენ დამარხულნი, მიუხედავად იმისა, რომ მედინას სასაფლაო ახლოს იყო. თუმცა ზოგიერთი სწავლული საჭიროების შემთხვევაში მიცვალებულის სხვა ადგილას წაღებას მისაღებად მიიჩნევს.

დროის გასვლის შემდეგ, საფლავში მყოფი ცხედრის გარწნისა და მოსპობის შემდეგ საფლავის ხელახლა მოთხრა და სხვა მიცვალებულის დამარხვა მისაღებია. წინა მიცვალებულის ძვლები თუ აღმოჩნდა სუფთა ნაჭერში უნდა იქნას გახვეული და ფეხების მხარეს დაიმარხოს.

ებუ ჰანიფეს აზრით საფლავზე სახლის, გუმბათის და მსგავსი რამის აშენება მექრუჰია, რადგან ჯაბირის მიერ გადმოცემულ

ჰადისში ნაბრძანებია:

“წმ. შუამავალმა საფლავის კირით შეთეთრება, ზედ რაიმის დაწერა, სახლის აშენება და ზედ დაჯდომა აკრძალა!”

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ადგილებში სიმაგრის, გაძარცვის თავიდან აცილების, ადვილად მიგნების და მსგავსი მიზეზების გამო მუსლიმები საფლავის ირგვლივ ქვის და ბეტონის ე.წ. აკვნებს აკეთებენ. აქ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები მომენტი ისაა, რომ ასეთი რამის გაკეთების დროს გადაზედმეტება არ მოგვივიდეს. მოკრძალებულ ფარგლებში კი, წმ. შუამავლის ჰადისის თანახმად: -“მუსლიმების მიერ მოწონებული საქმე ღმერთისთვისაც მოსაწონია!” -ასეთი რამ მისაღები და დასაშვებია.

ასევე, ჰადისით ცნობილია, რომ როდესაც ოსმან იბნ მაზუნი გარდაიცვალა წმ. შუამავალმა მის საფლავზე, თავის მხარეს ქვა დაარჭო და ბრძანა, რომ ამით ის თავისი ძმის საფლავს იცნობდა და თავისი ოჯახიდან ვინც გარდაიცვლებოდა მის გვერდით დამარხავდა.

დღეს გავრცელებული სახელის და გვარის დაწერაც საფლავის ცნობის მიზეზით კეთდება . თუმცა საფლავის ქვაზე ყურანის აიათების დაწერა მექრუჰია.

ისლამური სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მის ტერიტორიაზე არსებული საფლავები. მნიშვნელობა არ აქვს მუსლიმის იქნება საფლავი, ქრისტიანის, თუ იუდეველის.

გ) საფლავის მონახულება

საფლავის მონახულება, საერთოდ მამაკაცებისთვის მუსთეჰაბია, ხოლო ქალებისთვის ნებადართული. მადლმოსილი ადამიანების, მშობლების და ახლო ნათესავების საფლავების მონახულება მენდუფია. საფლავის მონახულების დროს მანდილოსნებმა ზედმეტი გრძნობების გამოხატვისგან თავი უნდა შეიკავონ და საფლავის მონახულების წესები დაიცვან. ცნობილია, რომ შვილის საფლავთან მოთქმით მოტირალ დედას წმ. შუამავალმა მოთმინებისკენ მოუწოდა და მისთვის საფლავის მონახულება არ აუკრძალავს. ასევე ცნობილია, რომ წმ. აიშე თავისი ძმის, აბდურრაჰმან იბნ ებუ ბექირის საფლავის მოსანახულებლად დადიოდა.

თავდაპირველად, წმ. შუამავალმა საფლავის მონახულების

ტრადიცია აკრძალა, რადგან იმ დროის მექელები, ზოგიერთ საკითხებში ჯერ კიდევ უმეცრების ხანის წესებით მოქმედებდნენ, მაგ. მიცვალებულის დატირება და საფლავის მონახულების დროს ქალები ხმამაღლა და კივილით მოთქვამდნენ. თუმცა მოგვიანებით, როდესაც ბედისწერის საკითხებში ხალხი გათვითცნობიერდა წმ. შუამავალმა საფლავის მონახულების ნებართვა გასცა.

“მე თქვენ ადრე საფლავის მონახულება აგიკრძალეთ, მაგრამ ამის შემდეგ შეგიძლიათ მოინახულოთ საფლავები, რადგან ეს სიკვდილს გაგახსენებთ!”

იმ მიცვალებულის სულისთვის, რომელიც ცნობილია, რომ ურწმუნო იყო ლოცვა -ვედრების შესრულება მიუღებელია. ერთ ერთი მორწმუნე მუსლიმის მშობლები ურწმუნონი იყვნენ და ასე ურწმუნოდვე გარდაიცვალნენ. მათ საფლავზე მისული შვილი ღმერთისგან მათდამი შენდობას ითხოვდა. ამის გამო წმ. ალიმ გააფრთხილა, მაგრამ იმან მიუგო, რომ წმ. აბრაამიც სთხოვდა ღმერთს თავისი ურწმუნო მამის გამო. ამის თაობაზე წმ. ალიმ შეკითხვა ღვთის შუამავალს დაუსვა. რის შედეგადაც თევბეს სურას 114-ე აიათი იქნა მოვლინებული:

وَمَا كَانَ اسْتِغْفَارُ إِبْرٰهِيمَ لِأَبِيهِ إِلَّا عَنْ مَوْعِدَةٍ وَعَدَهَا إِيَّاهُ فَلَمَّا تَبَيَّنَ لَهُ أَنَّهُ عَدُوٌّ لِلّٰهِ تَبَرَّأَ مِنْهُ إِنَّ إِبْرٰهِيمَ لَأَوَّاهٌ حَلِيمٌ

და არ იყო შეწყნარების თხოვნა იბრაჰიმის მიერ თავისი მამისათვის, გარდა აღთქმის აღსრულებისა, რომელიც მან აღუთქვა. მაგრამ, როცა მისთვის ცხადი გახდა, რომ იგი ალლაჰის მტერია, განუდგა მას. უეჭველად, იბრაჰიმი თანამგრძნობი და მომთმენი იყო. “თევბე 9/114. “

გარდა ამისა, წმ. შუამავლის ბიძის ებუ ტალიბის გარდაცვალების შემდეგ წმ. შუამავალი მისთვის შენდობას სთხოვდა ღმერთს, მაგრამ ზეგარდმოვლენილი ორი აიათით აეკრძალა.

ჰადისები, რომლებშიც დაწყევლილნი არიან ის ქალები, რომლებიც ხშირად დადიან სასაფლაობზე საფლავის მოსანახულებლად, აკრძალული პერიოდისაა. თირმიზი ამას აშკარად გამოხატავს. ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით ქალების მიერ საფლავის მოსანახულებლად წასვლა მისაღებია, მაგრამ ზომიერების ფარგლებს არ უნდა გასცდეს.

საფლავის მონახულება ადამიანს საიქიოს ახსენებს. მოუწოდებს

ლოცვისა და ღვთისმსახურებისაკენ. ხელს უშლის გადაჭარბებულად სურვილებზე აყოლას და არამ საქმიანობას. წმ. შუამავლის და მადლმოსილი ადამიანების საფლავების მონახულების დროს ადამიანი სულში სიხალვათეს გრძნობს და გულში ამაღლებული გრძნობები უჩნდება. ასეთი მოგზაურობაში წასვლა მენდუფია. წმ. შუამავლის ჰადისი კი გვეუბნება:

“ჩემი სიკვდილის შემდეგ, ვინც მომინახულებს, თითქოს სიცოცხლეში ყოფილა ჩემთან, ისეთია.”

წმ. შუამავალი წელიწადში ერთხელ უჰუდის ბრძოლის დროს დაღუპუსი შაჰიდების საფლავთან მიდიოდა და ესალმებოდა. აგრეთვე მათი სულებისთვის ლოცვა-ვედრებას აღავლენდა.

საფლავის მონახულებისას საფლავის პირდაპირ ლოცვის შესრულება მიუღებელია. საფლავის არც სამლოცველოდ გაკეთება შეიძლება. სანთლის დანთება საქონლის არაყაირათიან მოხმარებაში ითვლება და მიღებული არც ეგაა. თუმცა, არემარის განათებისათვის კი შეიძლება.

საფლავების გვერდით დაძინება, არემარის დაბინძურება, ნედლი ბალახის, ყვავილის და მცენარის მოწყვეტა მექრუჰია, რადგან, როგორც წმ. შუამავალი ბრძანებდა, ამ სიმწვანის გამო იმედია, რომ იქ მყოფ მიცვალებულებს ტანჯვა შემსუბუქებული აქვთ.

წმ. ალის და ენეს იბნ მალიქის გადმოცემით, საფლავთან იასინის სურას წაკითხვის დროს ღმერთი მიცვალებულებს ყოფას შეუმსუბუჯებს წამკითხველს კი - სიკეთეს მიანიჭებს.

ნაწილი მეხუთე

მარხვა

- მარხვა, როგორც ღვთისმსახურება და მისი დადებითი მხარეები
- მტკიცებულებები, რომელთაც მარხვის აუცილებლობა ეყრდნობა
- მარხვის სახეები
- მარხვის დრო
- მარხვის პირობები
- მარხულისთვის შესაფერისი, კარგი ქცევები (მუსთეჰაბი)
- მარხულისთვის მიუღებელი ქცევები
- მარხვის მოშლა, ანაზღაურება, სამაგიერო
- მარხვის სამაგიეროს სახეები
- შეპირებული შესაწირი და სახეები
- განდეგილობა

მარხვა. როგორც ღვთისმსახურება და მისი დადებითი მხარეები

ა)მარხვის ცნება და ისტორია

მარხვა არაბულად ჟღერს, როგორც “სავმ” ან “სიამ” და ნიშნავს რაიმისგან შორს დგომას, რაიმისგან თავშეკავებას, შეწინააღმდეგებას, მარხვის დაცვას. როგორც რელიგიური ტერმინი, ეს არის გამთენიისას, მეორე გარიჟრაჟის დაფიქსირების დროიდან საღამოს, მზის ჩასვლამდე მარხვის მომშლელი ფაქტორებისგან თავის დაცვა. მოკლედ, დროის რაღაც მონაკვეთის მანძილზე ჭამა-სმისგან და სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავებას მარხვა ჰქვია.

მარხვის დრო გამთენიისას, მეორე გარიჟრაჟის დაფიქსირების მომენტიდან საღამოს, მზის ჩასვლამდე დროის მონაკვეთია. ერთი დღე-ღამის მარხვის დაწყების დროს “იმსაქი “ ეწოდება. ამ დროს ღამის ლოცვის დრო სრულდება და დილის ლოცვის დრო იწყება. საღამოს, მზის ჩასვლისას ერთდღიანი მარხვის დასრულების დროს კი “იფთარი” ეწოდება. ეს დრო, ჰორიზინტზე მზის ჩასვლის შემდეგ დგება და საღამოს ლოცვის დროა.

აიათში, მარხვის დაწყების და დამთავრების დრო გადატანითი მნიშვნელობითაა გადმოცემული:

أُحِلَّ لَكُمْ لَيْلَةَ الصِّيَامِ الرَّفَثُ إِلَىٰ نِسَائِكُمْ هُنَّ لِبَاسٌ لَكُمْ وَأَنْتُمْ لِبَاسٌ لَهُنَّ عَلِمَ اللَّهُ أَنَّكُمْ كُنْتُمْ تَخْتَانُونَ أَنْفُسَكُمْ فَتَابَ عَلَيْكُمْ وَعَفَا عَنْكُمْ فَالْآنَ بَاشِرُوهُنَّ وَابْتَغُوا مَا كَتَبَ اللَّهُ لَكُمْ وَكُلُوا وَاشْرَبُوا حَتَّىٰ يَتَبَيَّنَ لَكُمُ الْخَيْطُ الْأَبْيَضُ مِنَ الْخَيْطِ الْأَسْوَدِ مِنَ الْفَجْرِ ثُمَّ أَتِمُّوا الصِّيَامَ إِلَى اللَّيْلِ وَلَا تُبَاشِرُوهُنَّ وَأَنْتُمْ عَاكِفُونَ فِي الْمَسَاجِدِ تِلْكَ حُدُودُ اللَّهِ فَلَا تَقْرَبُوهَا كَذَٰلِكَ يُبَيِّنُ اللَّهُ آيَاتِهِ لِلنَّاسِ لَعَلَّهُمْ يَتَّقُونَ

ნებადართული იქმნა თქვენთვის მარხვის დროს ღამით ცოლებთან თანაცხოვრება, ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი. ალლაჰმა იცოდა, რომ თავს იწვალებდით, ამიტომაც მიიღო თქვენი სინანული და მოგიტევათ. ახლა შეგიძლიათ თანაეცხოვროთ მათ და ეძიოთ, რაც ალლაჰმა დაგიწესათ. ჭამეთ და სვით, ვიდრე განთიადისას თეთრი ძაფი განირჩევოდეს შავი ძაფისგან. მერე სრულჰქმენით მარხვა ღამემდე და როცა სამლოცველოებში ღვთისმსახურებად ხართ შემდგარი (იღთიქაფის დროს) არ ეთანაეცხოვროთ მათ (ცოლებს). ესაა საზღვრები ალლაჰისა და არ მიუახლოვდეთ მათ. ასე განუმარტავს ალლაჰი ხალხს თავის აიათებს, ეგების დაცული იქმნან ყოველივე ცუდისგან. “ ბაყარა 2/187.”

ამ აიათში ნახსენები “ძაფი” გადატანითი მნიშვნელობაა გამოყე-

ნებული და დღე-ღამის გაყოფას, გამყოფ საზღვარს მიანიშნებს. წმ. შუამავლის დროს მარხვისათვის მოსამზადებელი ჭამის “საჰურის” და მარხვის დაწყების მისანიშნებლად ორი ეზანი სრულდებოდა. ჰადისში ნაბრძანებია, რომ: “ ბილალის ეზანმა არ მოგატყუოთ, რადგან ის ეზანს ღამეში კითხულობს. ამიტომ თქვენ, აბდულლაჰ იბნ უმუ მექთუმუს ეზნის კითხვამდე ჭამეთ და სვით.”

ბილალი ეზნით, როგორც წესი საჭმლისათვის აღვიძებდა ხალხს. აბდულლაჰი კი, რადგანაც თავად ვერ ხედავდა სხვებს ჰკითხავდა მოსული იყო, თუ არა იმსაქის დრო და მხოლოდ ამის შემდეგ ასრულებდა ეზანს.

როდესაც წმ. შუამავალი მედინაში ჩავიდა ბრძანა, რომ ემარხულათ ყოველ თვეში სამი დღე და კიდევ აშურას დღე. რამაზნის მარხვა კი – ჰიჯრიდან წელიწადნახევარის შემდეგ გახდა სავალდებულო. გარდა ამისა, ადრინდელი მარხვის საკითხში მორწმუნთ თავისუფალი არჩევანის უფლება მიენიჭათ. ანუ, რამაზნის გარდა, ზედმეტად მარხულობსკენ იქმნენ მოწოდებულნი, მაგრამ ეს სავალდებულო არ იყო, ისევე როგორც ეს შაბანის და რეჯების თვეებშია. ანუ დარჩა, როგორც მედუფი.

ყურანში მითითებულია, რომ რამაზნის მარხვა ადრინდელი ხალხებისთვისაც იყო ნაბრძანები. თუმცა ჯერ იუდაიზმის მიმდევრებმა უარყვეს იგი და წელიწადში ერთ დღემდე შეამცირეს. ქრისტიანებმა მოძღვართა გადაწყვეტილებით გაზაფხულზე დაადგინეს და ამ ცვლილების სანაცვლოდ ათი, ქვეყნის ავადმყოფი მმართველის გამოჯანმრთელებისთვისაც ათი და გადამდები დაავადებების თავიდან ასაცილებლად კიდე ათი დღე დაამატეს და სულ 50 დღე გახადეს.

ადგილები, სადაც დღე და ღამე ნორმალურად არ ფიქსირდება, უნდა მიყვეს იმ ადგილიდან ყველაზე ახლო დასახლებულ ადგილზე მოქმედ კალენდარს და დროს, სადაც დღე და ღამე ფიქსირდება.

ბ) მარხვის მადლი და დადებითი მხარეები

მარხვის მიზანია მორწმუნე ადამიანი ღმერთის ბრძანებების შესრულებას და აკრძალულებისგან თავის შეკავებას მიაჩვიოს. მარხვა, ეს არის ღვთისმსახურება, რომელშიც თვალთმაქცობის ძალიან ცოტა ალბათობაა. ამიტომ ძალიან მადლიანი ღვთისმსა-

ხურებებიდან ერთ-ერთი სწორედ მარხვაა.

მარხვასა და რამაზნის თვეს შორის ძალიან მჭიდრო კავშირია. ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ ჰადისში წმ. შუამავალი ბრძანებს:

“რამაზნის თვე რომ დადგება სამოთხის კარები გაიღება, ჯოჯოხეთის კარები იხურება და სატანა ჯაჭვით არის დაბმული!”

ამ ჰადისის შემდეგნაირად გაგება უფრო უპრიანი იქნება: ამ თვეში მორწმუნეთათვის იხსნება წყალობის კარები, რათა მათ შეძლონ სამოთხეში მოხვედრა. ადამიანი შორდება ისეთი ქმედებების ჩადენას რაც მას ჯოჯოხეთში წაიყვანს. ამიტომ სატანასაც ადამიანის მიმართ ზემოქმედების განხორციელება უძნელდება. მითუმეტეს, ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემულ იგივე ჰადისის სხვა ვარიანტში “სამოთხის კარების” მაგივრად “წყალობის კარებია” ნახსენები.

რამაზნის თვის მნიშვნელობა უპირველესად განისაზღვრება ყურანის მთლიანი ფორმით დედამიწის ცამდე ზეგარდმოვლინებით. ეს მოხდა რამაზნის თვეში, კერძოდ ყადირის ღამეს. იმავე ღამეს, ალაქის სურას პირველი აიათი მოვლინა ჰირას გამოქვაბულში მყოფ ღვთის შუამავალს. ამ თვეში მარხვა ერთგვარი აღნიშვნაა წმინდათაწმინდა წიგნის მოვლინებისა ამ ქვეყანაზე. ეს არის დაახლოებით მიმსგავსება ანგელოზებისებრი ცხოვრების, რადგან ანგელოზები არ იკვებებიან.

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

“ყოველი ერთი სიკეთისთვის ათიდან შვიდასამდე მრავლდება მადლი, მაგრამ ეს მარხვას არ ეხება. მარხვა ჩემთვისაა და მის მადლსაც მე მოგანიჭებთ!”

სხვა ჰადისში ნაბრძანებია, აგრეთვე, რომ:

“ვინც რწმენით და სამაგიეროს ღმერთისგან მოლოდინით რამაზნის თვეში მარხვას დაიცავს წარსულის ცოდვები მიეტევება!”

მარხვა ადამიანს მოთმინებას აჩვევს. ყოველდღიურ ცხოვრებაში მოთმინება ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრებისთვის ბევრ სარგებელს განაპირობებს. აიათებში ნაბრძანებია:

يَا أَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اسْتَع ينُوا بِالصَّبْرِ وَالصَّلٰوةِ اِنَّ اللّٰهَ مَعَ الصَّابِر ينَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ეძიეთ შველა მოთმინებასა და ლოცვაში, უეჭველად, ალლაჰი მომთმენებთან ერთადაა. “ ბაყარა 2/153. “

მარხვა ეხმარება ადამიანს შეასრულოს ღვთის ბრძანებები და მოერიდოს აკრძალულებს.

ყურანში ნაბრძანებია:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا كُتِبَ عَلَيْكُمُ الصِّيَامُ كَمَا كُتِبَ عَلَى الَّذِينَ مِنْ قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა , როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან. “ ბაქარა 2/183.”

მარხვას გააჩნია როგორც რელიგიური, ისე სულიერი, სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის მხრივ მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები. მარხვა, უპირველესად დიადი გამჩენის კმაყოფილებისათვის სრულდება. მისი დანარჩენი სულერი და ფიზიკური სარგებელი შემდეგ მოდის.

მარხვა, მთელი წლის განმავლობაში გადაღლილი და დამძიმებული სხეულის განტვირთვას უწყობს ხელს. მარხვის დროს, განსაკუთრებით კუჭი და საჭმლის მონელების სისტემა ისვენებს. სწორედ ესაა განმარტებული შემდეგ ჰადისში: “იმარხულეთ და იყავით ჯანმრთელნი!”

მარხვა ცდუნებების წინააღმდეგ საუკეთესო მებრძოლია. წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ახალგაზრდებო, ვისაც დაქორწინება შეგიძლიათ დაქორწინდით! ქორწინება დაგიცავთ არამზე შეხედვისაგან. ვისაც დაქორწინება არ შეუძლია იმარხულოს, რადგან მარხვა ცდუნებებისაგა დაგიცავთ!”

იბნულ ჰუმამს განმარტებული აქვს მარხვის უამრავი დადებითი თვისება, მაგრამ მათგან სამს გამოყოფს:

1) ადამიანის ნავსი, მისი სურვილები მუდმივად ცდუნებების-

კენაა მიდრეკილი და მარხვა მის მოთოკვაში ეხმარება.

2) მარხვა ასწავლის ადამიანს უკეთ გაიგოს ღარიბ-ღატაკთა და უპოვართა გასაჭირი. შესაბამისად, მორწმუნეს სურვილი უჩნდება დაეხმაროს მათ.

3) მარხული თავად გრძნობს შიმშილს, თავშეკავებას, აკრძალულისადმი მორჩილებას. ეს მდგომარეობა გაჭირვებული ხალხისათვის გამოსავლის ძიებისკენ უბიძგებს. ამით კი სიკეთეს გააკეთებს მადლს მიიღებს.

II- მტკიცებულებები, რომელთა მიხედვით მარხვა ფარზია

ისლამის ხუთი პირობიდან ერთ-ერთი რამაზნის მარხვაა. მტკიცებულებები კი ყურანი, სუნნეთი და იჯმაა.

ყურანში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا كُتِبَ عَلَيْكُمُ الصِّيَامُ كَمَا كُتِبَ عَلَى الَّذ ينَ مِنْ قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ

اَيَّامًا مَعْدُودَاتٍ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَر يضًا اَوْ عَلٰى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ اَيَّامٍ اُخَرَ وَعَلَى الَّذ ينَ يُط يقُونَهُ فِدْيَةٌ طَعَامُ مِسْك ينٍ فَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَهُوَ خَيْرٌ لَهُ وَاَنْ تَصُومُوا خَيْرٌ لَكُمْ اِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა , როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან.

(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ. “ ბაყარა 2/183-184,

شَهْرُ رَمَضَانَ الَّذ ى اُنْزِلَ ف يهِ الْقُرْاٰنُ هُدًى لِلنَّاسِ وَبَيِّنَاتٍ مِنَ الْهُدٰى وَالْفُرْقَانِ فَمَنْ شَهِدَ مِنْكُمُ الشَّهْرَ فَلْيَصُمْهُ وَمَنْ كَانَ مَر يضًا اَوْ عَلٰى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ اَيَّامٍ اُخَرَ يُر يدُ اللّٰهُ بِكُمُ الْيُسْرَ وَلَا يُر يدُ بِكُمُ الْعُسْرَ وَلِتُكْمِلُوا الْعِدَّةَ وَلِتُكَبِّرُوا اللّٰهَ عَلٰى مَا هَدٰيكُمْ وَلَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

რამადანის თვეა, რომელშიც ზემოვლინებული იქნა ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისთვის და ცხად ცნობარად ჭეშმარიტი გზისა და განმასხვავებლად ჭეშმარიტებისა ბათილისგან. და თქვენგან ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში. და ვინც ავად იყოს ან მგზავრობაში, ამდენივე სხვა დღეებში. ალლაჰის ნებაა თქვენთვის შვება და არა ვნება და რომ შეასრულოთ ეს რაოდენობა და ადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტ გზას დაგადგინათ. ეგებ მადლიერნი იყოთ! ბაყარა 2/185,

أُحِلَّ لَكُمْ لَيْلَةَ الصِّيَامِ الرَّفَثُ إِلَىٰ نِسَائِكُمْ هُنَّ لِبَاسٌ لَّكُمْ وَأَنتُمْ لِبَاسٌ لَّهُنَّ عَلِمَ اللَّهُ أَنَّكُمْ كُنتُمْ تَخْتَانُونَ أَنفُسَكُمْ فَتَابَ عَلَيْكُمْ وَعَفَا عَنكُمْ فَالْآنَ بَاشِرُوهُنَّ وَابْتَغُوا مَا كَتَبَ اللَّهُ لَكُمْ وَكُلُوا وَاشْرَبُوا حَتَّىٰ يَتَبَيَّنَ لَكُمُ الْخَيْطُ الْأَبْيَضُ مِنَ الْخَيْطِ الْأَسْوَدِ مِنَ الْفَجْرِ ثُمَّ أَتِمُّوا الصِّيَامَ إِلَى اللَّيْلِ وَلَا تُبَاشِرُوهُنَّ وَأَنتُمْ عَاكِفُونَ فِي الْمَسَاجِدِ تِلْكَ حُدُودُ اللَّهِ فَلَا تَقْرَبُوهَا كَذَٰلِكَ يُبَيِّنُ اللَّهُ آيَاتِهِ لِلنَّاسِ لَعَلَّهُمْ يَتَّقُونَ

ნებადართული იქმნა თქვენთვის მარხვის დროს ღამით ცოლებთან თანაცხოვრება, ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი. ალლაჰმა იცოდა, რომ თავს იწვალებდით, ამიტომაც მიიღო თქვენი სინანული და მოგიტევათ. ახლა შეგიძლიათ თანაეცხოვროთ მათ და ეძიოთ, რაც ალლაჰმა დაგიწესათ. ჭამეთ და სვით, ვიდრე განთიადისას თეთრი ძაფი განირჩევოდეს შავი ძაფისგან. მერე სრულჰქმენით მარხვა ღამემდე და როცა სამლოცველოებში ღვთისმსახურებად ხართ შემდგარი (იღთიქაფის დროს) არ ეთანაეცხოვროთ მათ (ცოლებს). ესაა საზღვრები ალლაჰისა და არ მიუახლოვდეთ მათ. ასე განუმარტავს ალლაჰი ხალხს თავის აიათებს, ეგების დაცული იქმნან ყოველივე ცუდისგან. ბაყარა 2/187.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარხვა ისლამის პირობებიდან ერთ-ერთია. ეს პირობები ჰადისშია ჩამოთვლილი: ა) შაჰადა. ბ) ლოცვა გ) ზექათი (სავალდებულო მოწყალება) დ) რამაზნის თვეში მარხვა. 5) ჰაჯობა. წმინდა ადგილების მოლოცვა.

ერთხელ წმ. შუამავალს ერთი კაცი ეახლა და მათ შორის შემდეგი დიალოგი გაიმართა:

-ღვთის შუამავალო, მარხვის შესახებ მიბრძანე, რა მევალება?

-რამაზნის თვეში მარხვა გევალება.

-რა მევალება კიდევ, ამის გარდა?

-არაფერი, თუ შენი სურვილით ნაფილე მარხვას დაიცავ შეიძლება.

-ლოცვის შესახებ მიბრძანე, რა მევალება?

-ხუთი დროის ლოცვი ფარზია. ამის გარდა თუ შენი სურვილით

ნაფილე ლოცვას შეასრულებ შეიძლება.

-ზექათის შესახებ მიბრძანე, რა მევალება?

წმ. შუამავალმა აუხსნა ისლამის სხვა პირობები და განუმარტა, თუ რა ევალებოდა. მომხვდურმა კი თქვა: -ვფიცავ, შევასრულებ ყველა ამათგანს! არც მოვაკლებ და არც დავამატებ რაიმეს.

ამის თაობაზე წმ. შუამავალმა ბრძანა: "თუ ეს ადამიანი გულწრფელია გადარჩება. ანუ საოთხეში შევა!"

ბოლოს, რამაზნის თვეში მარხვის აუცილებლობის თაობაზე ისლამის სწავლულთა შორის აბსოლუტური აზრთა თანხვედრაა.

III- მარხვის სახეები

ჰანეფის მიხედვით, სხვა ღვთისმსახურების მსგავსად მარხვაც შეიძლება იყოს ფარზი, ვაჯიბი, ან ნაფილე. დანარჩენი მიმდინარეობების მიხედვით ვაჯიბის კატეგორია ფარზ და ვაჯიბს აერთიანებს. სხვა დანარჩენს კი ნაფილეს უწოდებენ.

ა-სავალდებულო მარხვა. ფარზი

მარხვა, როგორც ფარზი უპირველესად გულისხმობს რამაზნის თვეში შესასრულებელ სავალდებულო მარხვას. საპატიო, ან არასაპატიო მიზეზით მარხვის შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი შემდგომში ანაზღაურებაც ფარზია.

ჯარიმის სახით შესასრულებელი მარხვაც ფარზია. მაგ. რამაზნის მარხვის განზრახ უგულებელყოფის და შეწყვეტის შემთხვევაში დაკისრებული საჯარიმო მარხვის შესრულება ფარზია. იგივე ეხება შემთხვევით მკვლელობის ჩადენის, ტყუილი ფიცის, ჰაჯობის დროს, იჰრამში დროზე ადრე წვერის გაპარსვისათვის დაკისრებულ საჯარიმო მარხვასაც. საჯარიმო მარხვა შეცდომის გამოსასწორებელი ღვთისმსახურებაა.

რამაზნის მარხვის შემდგომში ანაზღაურება ნებისმიერ დროს შეიძლება, გარდა იმ დღეებისა, როდესაც მარხვა მექრუჰია. გაცდენილი რამაზნის მარხვის ანაზღაურება თუ იმავე წელს მოხდება უკეთესია.

ბ)ვაჯიბი მარხვა

შეპირებული მარხვის შესრულება ვაჯიბია. ვაჯიბია, აგრეთვე შეწყვეტილი ნაჰილე მარხვის ანაზღაურება. შეპირების დროს თუ მორწმუნე მარხვისათვის ზუსტ დღეს უთითებს ვალდებულია იმ დღეს შეასრულოს. თუ ზუსტი თარიღი არ არის მითითებული, მორწმუნეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეასრულოს.

თუ დაწყებული ნაფილე მარხვა რაღაც მიზეზის გამო შეწყდა, მისი შემდგომში ანაზღაურება ჰანეფის მიხედვით ვაჯიბია. შაფის და მალიქის მიხედვით ნაფილე მარხვა ანაზღაურებას არ საჭიროებს.

გ) ნაფილე მარხვა

ფარზი და ნაფილე მარხვის გარდა შესრულებულ მარხვას ნაფილე მარხვა ეწოდება. ნაფილე მარხვის შესრულება ნებისმიერ დღეს შეიძლება, გარდა მარხვისათვის აკრძალული დღეებისა. თუმცა ზოგ დღეებში მარხვა უფრო უკეთესია. წმ. შუამავალი უმეტესად შემდეგ დღეებში მარხულობდა:

1) წმ. დავითის დღე. წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ყველაზე მადლიანი მარხვა დავითის მარხვაა. ის ერთ დღეს მარხულობდა, ხოლო მეორე დღეს –არა..” აბდულლაჰ იბნ ომერმა თქვა, - “მე უფრო მეტი შემიძლია ვიმარხო”. –“ამაზე მეტი აღარ არსებობს!” –მიუგო წმ. შუამავალმა.

2) ყოველ თვეში სამი დღით მარხვა. ყოველი თვის 13-ე, 14-ე და 15-ე რიცხვებში მარხვა მუსთეჰაბია. ეს არის მთვარის კალენდრის მიხედვით. ჰადისებით ცნობილია, რომ წმ. შუამავალი თვეში სამ დღეს მარხულობდა.

3) ორშაბათ-ხუთშაბათის მარხვა. უსამე იბნ ზეიდის გადმოცემით წმ. შუამავალი ორშაბათ და ხუთშაბათ დღეებში მარხულობდა. როდესაც მიზეზი შეეკითხნენ, ბრძანა: “ადამიანთა ნამოქმედარი გამჩენს ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს წარედგინება. მე კი მიყვარს ამ დროს მარხული ვიყო.”

4) შევვალის მარხვა. მთვარის კალენდრის მიხედვით რამაზნის თვის შემდეგ შევვალის თვე დგება. ამ თვეში ექვსი დღით მარხვა მუსთეჰაბია. ამ ექვსი დღის, ბაირამის შემდეგ, თანმიმდევრობით

მარხვა უფრო მეტი მადლია, თუმცა ცალკ-ცალკეც შეიძლება. ამ დღეებში გაცდენილი მარხვის ანაზღაურება, შეპირებული მარხვის შესრულება და სხვ. იგივე მადლს მიგვაღებინებს. ებუ ეიუბის მიერ გადმოცემულ ჰადისში წერია: "ვინც რამაზნის თვეს მარხვაში გაატარებს და შევვალის თვეში ექვს დღესაც იმარხულებს ერთი წლის მარხვაში ეთვლება."

ცნობილია, რომ რამაზნის თვეში ღვთისმსახურება ათმაგად მეტი მადლია. გამომდინარე აქედან, რამაზნის თვის ოცდაათ დღეს მიმატებული შევვალის ექვსი დღე არის ოცდათექვსმეტი. ამ რიცხვს თუ გავამრავლებთ ათზე მივიღებთ 360 დღეს, რომელიც თითქმის ერთი წლის დღეებს უდრის.

5) არაფას დღის მარხვა. ვინც ჰაჯობას არ ესწრება მისთვის ზილ ჰიჯჯეს თვის მეცხრე დღეს მარხვა მუსთეჰაბია. წმ. შუამავალი ბრძანებდა: "არეფე დღეს ვინც იმარხულებს, ღმერთისგან იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ერთი წლით წინ და უკან ჩადენილ ცოდვები მიეტევება."

6) ზილჰიჯჯეს მარხვა. ზილ ჰიჯჯეს თვის პირველი 9 დრის მარხვაში გატარება მადლია. თუმცა, ვინც ჰაჯობაზეა წასული მათთვის არეფე დღეს მარხულობა მექრუჰია, რადგან ეს მათ გადაღლას გამოიწვევს. ჰადისით ცნობილია, რომ წმ. შუამავალს ოთხი რამ არასოდეს მიუტოვებია: აშურეს დღის მარხვა, ზილ ჰიჯჯეს თვის პირველი ათი დღის მარხვა, ყოველ თვეში სამი დღით მარხვა და დილის ლოცვის სუნნეთის შესრულლება.

7) აშურეს მარხვა. მუჰარრემის მთვარის მეათე დღეს "აშურა" ეწოდება. მარტო ამ დღეს არა, მის წინა, ან შემდეგ დღესთან ერთად მარხვა მუსთეჰაბია. წმზ შუამავალი მედინაში რომ ჩავიდა ნახა, რომ იქაური ებრაელები აშურა დღეს მარხულობდნენ. შუამავალი მათი მარხვით დაინტერესდა. ებრაელებმა თქვეს, რომ ეს დღე ძალიან მადლიანი დღე იყო. სწორედ ამ დღეს გადაურჩნენ ისრაელის ხალხი ფარაონის წამებას. ამის გამო მადლიერების გამოსახატავად წმ. მოსემ აშურა დღეს იმარხულა და ჩვენც ამის გამო ვმარხულობთო. ამის თაობაზე წმ. შუამავალმა ბრძანა: "ჩვენ უფრო ახლოს ვართ მოსეს სუნნეთთან, ვიდრე თქვენ." იმ დღეს წმ. შუამავალმაც იმარხულა და მის თანამოღვაწე მეგობრებსაც მარხვისკენ მოუწოდა. წმ. აიშე აშურა დღის მარხვის შესახებ ამბობდა: "უმეცრების ხანაში ყურეიშის გვარის ხალხი მარხულობდა. ჰიჯრამდე წმ. |შუამავალიც მარხულობდა. შუამავალმა მედინაში ჰიჯრის შემდეგაც გააგრძელა მარხვა. მომდევნო წელს, როდესაც

რამაზნის მარხვა ფარზი გახდა წმ. შუამავალმა აშურა დღეს მარხვა შეწყვიტა. მსურველებმა კი ამ დღეს მარხვა გააგრძელეს. ვისაც არ სურდა მარხვა შეწყვიტა.”

8) არამ თვეებში მარხვა. ზილქადეს, ზილჰიჯჯეს, მუჰარრემის და რეჯების თვეებში ხუთშაბათ, პარასკევ და შაბათ დღეებში მარხვა მენდუფია.

9) შაბანის თვის მარხვა. შაბანის თვეში მარხვა მუსთეჰაბია.

დ- დღეები, როდესაც მარხვა აკრძალულია

მარხვისთვის აკრძალული (მექრუჰ) დღეები ორ ნაწილად იყოფა; თაჰრიმენ მექრუჰი და თენზიჰენ მექრუჰი.

1) თაჰრომენ მექრუჰი მარხვა. რამაზნის ბაირამის პირველი დღე და მსხვერპლშეწირვის ბაირამის ოთხი დღე მარხვისათვის მექრუჰია. რამაზნის ბაირამის პირველი დღე დღესასწაულია. ამ დღეს ერთმანეთთან სტუმრობა, გამასპინძლება და ერთიმეორეზე მილოცვაა საჭირო. მსხვერპლშწირვის დღესასწაულის დღეებში კი მსხვერპლი იკვლება და ეს დღეები გემრიელი კერძების მირთმევის, სხვებზე მიწოდების, სტუმრობის, გამასპინძლების და ღმერთის ხსენების დღეა. ამ დღეებში მარხვა ცოდვაა, მაგრამ მარხვად ითვლება. თუმცა მარხვის შეწყვეტის შემთხვევაში ანაზღაურება საჭირო არაა, რადგან ისედაც მიუღებელი ქმედება იყო.

2) თენზიჰენ მექრუჰი მარხვა. მხოლოდ აშურა დღეს მარხვა. ზოგიერთის აზრით მხოლოდ პარასკევ დღეს მარხვა, ნევრუზის და მიჰრეჯანის (გაზაფხული და შემოდგომის) დღესასწაულების დღეებში მარხვა თენზიჰენ მექრუჰია. თუ ადამიანი რეგულარულად მარხულობს და მისი მარხვა ასეთ დღეს დაემთხვევა, მარხვა მისაღებია. სამი დღე, ზედიზედ, იფთრის გარეშე მარხვა მექრუჰია.

შექის დღეს მარხვა თენზიჰენ მექრუჰია. შექის დღე, ანუ შაბანის მთვარის დასასრულს, 29-ე დღის შემდეგი დღე, რომელიც, ღრუბლიანი ამინდის გამო გაურკვეველია შაბანის მთვარეს ეკუთვნის თუ რამაზნის პირველი დღეა. ამ დღეს, რამაზნის, ან სხვა სავალდებულო მარხვის შესრულების მიზნით მარხვა მექრუჰია. უფრო მეტიც, რამაზნის მთვარის დადგომამდე ერთი, ან ორი დღით ადრე მარხვაც მექრუჰია. ეს, წმ. შუამავლის ჰადისის მიხედვითაა აკრ-

ძალული. თუმცა ვინც რეგულარულად მარხულობს და ეს დღე დაემთხვევა მისთვის მექრუჰად არ ითვლება. აკრძალულობის მიზეზი კი ისაა, რომ ასე შეიძლება ეს დღეები ყოველთვის დაამატონ და დროთა განმავლობაში სავალდებულოდ ჩათვალონ. ამ დღეს ნაფილე მარხვის შესრულება შეიძლება, რომელსაც არავითარი კავშირი არ გააჩნია სავალდებულო მარხვასთან. ასეთ შემთხვევაში, თუ ეს დღე რამაზნის პირველი დღე გამოდგება, მარხვაც რამაზნის მარხვად ჩაითვლება, თუ რამაზანი არ იქნება და შაბანის ბოლო დღე აღმოჩნდება მარხვა ნაფილედ ჩაითვლება.

ამ დღისთვის ორაზროვანი განზრახვის წარმოთქმა არ შეიძლება. მაგ. "თუ რამაზანია ვმარხულობ, თუ არ არის რამაზანი არ ვმარხულობ." განზრახვა ორაზროვანი არ შეიძლება რომ იყოს. მარხვის განზრახვა პირდაპირი უნდა იყოს.

მიუხედავად მექრუჰობისა, ამ დღეს ვინც რამაზნის განზრახვით მარხვას დაიცავს და შემდეგ სინამდვილეში, მართლა რამაზანი აღმოჩნდება მარხულობა მისაღებია. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაფილეა. თუ განზრახვაში ვაჯიბია მითითებული მარხვაც ვაჯიბად ითვლება. თუ დღე საეჭვოდ დარჩა, ვაჯიბის განზრახვით დაცული მარხვა ვაჯიბად აღარ ითვლება, რადგან ის დღე შეიძლება რამაზნის თვეს ეკუთვნოდეს.

ამ დღისათვის, სიტუაციის გარკვევამდე მოცდა და შუადღემდე მარხვის მომშლელ ფაქტორებზე მორიდება უკეთესია.

ვინც შაბანის თვეს მარხვაში ატარებს, ან ბოლო სამი დღე მარხულობს, მისთვის შექის დღეს მარხვა უფრო მეტი მადლია.

მანდილოსნის მიერ, ქმრის ნებართვის გარეშე ნაფილე მარხვის დაცვა მექრუჰია. ქმარს შეუძლია ეს მარხვა შეაწყვეტინოს. შემდეგ კი, შესაფერისი პირობების არსებობის შემთხვევაში აანაზღაურებს. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

"ქალი, როდესაც ქმრის გვერდითაა მისი ნებართვის გარეშე თუ ნაფილე მარხვას დაიცავს ალალი არ იქნება."

თუ ქმარს მეუღლე არ სჭირდება, ან სადმე წასულია ქალს შეუძლია სასურველი რაოდენობის ნაფილე მარხვა შეასრულოს.

ვთქვათ, მორწმუნე სხვასთან მუშაობს და იღებს გასამრჯელოს. თუ მისი მარხულობა საქმეს აფერხებს, უფროსის ნებართვის გარეშე ნაფილე მარხვის დაცვის უფლება არ აქვს. თუ საქმე არ ფერხდება

ნებართვა საჭირო აღარაა.

ჰაჯობაზე, მექაში ჩასული მომლოცველების მიერ ზილჰიჯჯეს 8-ე და 9-ე დღეებში ნაფილე მარხვა მექრუჰია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მლოცველი ამით შეიძლება გადაიღალოს და შეუძლოდ გახდეს.

Ⅳ- მარხვის დრო

ა-მარხვის დრო

მარხვის დრო მეორე გარიჟრაჟიდან მზის ჩასვლამდე გასული დროის მონაკვეთია. ისლამის ზოგიერთი სამართალმცოდნე მიიჩნევს, რომ მეორე გარიჟრაჟის დასაწყისიდანვე მარხვის დრო დაწყებულია. სიფრთხილის თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანია. თუმცა სწავლულთა სხვა ნაწილს მიაჩნია, რომ მარხვის დრო აღმოსავლეთის ცაზე ნათების ცოტათი გახანგრძლივების და გავრცელების დროს იწყება. მარხულებისათვის კი, ეს დრო უფრო შესაფერისია.

ამ დროს იმსაქი ეწოდება.

დღეისათვის, ქალაქების, სოფლების და სხვა დასახლებული პუნქტების სასაათო ზოლების მიხედვით დამზადებულია კალენდრები, სადაც მითითებულია მარხვის და საწყისისა და დასასრულის ზუსტი დროები. ამიტომ, რიგითი მორწმუნე ვალდებული აღარაა თვითონ იზრუნოს მარხვის დროის დადგენაზე.

თუ, მორწმუნემ არ იცის ზუსტად რომელ საათზეა მარხვის დასაწყისი, საჭიროა თავად დააკვირდეს აღმოსავლეთის ცას და დააფიქსიროს მეორე გარიჟრაჟის მომენტი. გარიჟრაჟის რეალობაში თუ ვერ დარწმუნდა და ორჭოფობს ჭამის შეწყვეტა უფრო უკეთესია. თუმცა, ამ მდგომარეობაში მორწმუნემ ჭამა რომც გააგრძელოს მარხვა მიღებულია. თუ მორწმუნე მოგვიანებით მიხვდება, რომ გარიჟრაჟის შემდეგაც მიუღია საკვები იმ დღის მარხვას შემდეგში აანაზღაურებს.

რამაზნის მარხვა, უღრუბლო ამინდში ახალი მთვარის გამოჩენისთანავე, ხოლო ღრუბლიან ამინდში შაბანის თვის 30 დღის გასვლის შემდეგ ფარზი ხდება. ღმერთი ბრძანებს:

شَهْرُ رَمَضَانَ الَّذ ى اُنْزِلَ ف يهِ الْقُرْاٰنُ هُدًى لِلنَّاسِ وَبَيِّنَاتٍ مِنَ الْهُدٰى وَالْفُرْقَانِ فَمَنْ شَهِدَ مِنْكُمُ الشَّهْرَ فَلْيَصُمْهُ وَمَنْ كَانَ مَر يضًا اَوْ عَلٰى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ اَيَّامٍ اُخَرَ يُر يدُ اللّٰه بِكُمُ الْيُسْرَ وَلَا يُر يدُ بِكُمُ الْعُسْرَ وَلِتُكْمِلُوا الْعِدَّةَ وَلِتُكَبِّرُوا اللّٰه عَلٰى مَا هَدٰيكُمْ وَلَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

რამადანის თვეა, რომელშიც ზემოვლინებული იქნა ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისთვის და ცხად ცნობარად ჭეშმარიტი გზისა და განმასხვავებლად ჭეშმარიტებისა ბათილისგან. და თქვენგან ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში. და ვინც ავად იყოს ან მგზავრობაში, ამდენივე სხვა დღეებში. ალლაჰის ნებაა თქვენთვის შვება და არა ვნება და რომ შეასრულოთ ეს რაოდენობა და ადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტ გზას დაგადგინათ. ეგებ მადლიერნი იყოთ! “ ბაყარა 2/185. “

წმ. ჰადისში ნაბრძანებია:

“რამადანის მთვარის გამოჩენისთანავე მარხვა დაიწყეთ. შევვალის მთვარის გამოჩენისთანავე კი შეწყვიტეთ მარხვა და იდღესასწაულეთ. თუ ამინდი ღრუბლიანია შაბანის თვე 30-მდე შეავსეთ.”

ბუჰარის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია;

“მთვარის თვე 29 დღეა. მთვარის დანახვამდე მარხვა არ დაიწყოთ. თუ ამინდი ღრუბლიანია შაბანის თვე ოცდაათამდე შეავსეთ!”

თუ მარხული ადამიანი არ არის დარწმუნებული მზე ჩავიდა თუ არა, მარხვის შეწყვეტის უფლება არ აქვს. ვთქვათ, მორწმუნემ საეჭვო ვითარებაში შეწყვიტა მარხვა და მიიღო საკვები. შემდეგ კი სიმართლის დადგენა ვერ მოხერხდა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა იმ დღის მარხვის შემდგომში ანაზღაურება. თუ დადგინდა, რომ სინამდვილეში მარხვა მზის ჩასვლამდე იქნა შეწყვეტილი, საჭირო ხდება საჯარიმო მარხვის შესრულება.

მარხულს შეუძლია თავად შეეცადოს მარხვის დაწყებისა და შეწყვეტის დრო დაადგინოს და იმის მიხედვით იხელმძღვანელოს. სხვა საშუალება თუ არ არის, მორწმუნეს შეუძლია თავად დააკვირდეს მეორე გარიჟრაჟის დაფიქსირების მომენტს და როცა თავის სიმართლეში დარწმუნდება მარხვას დაიწყებს. საღამოსაც იგივენაირად, მორწმუნე თავად შეეცდება დაადგინოს მზე ნამდვილად ჩავიდა თუ არა. თუ დარწმუნდება, რომ მზე ჩავიდა მარხვას შეწყვეტს.

ბ) რამაზნის მთვარის დაწყების დადასტურება

შაბანის მთვარის 29-ე დღის შემდეგ ახალი მთვარის აღმოჩენისათვის იწყება დაკვირვებები. რამაზნის ბოლოს კი, შევვალის მთვარეზე დაკვირვებაა საჭირო, რათა დავრწმუნდეთ ნამდვილად დასრულდა თუ არა რამადანი.

შაბანის მთვარის დასრულების შემდეგ, თუ ახალი მთვარე გამოჩნდა მეორე დღიდან მარხვის დაწყება აუცილებელია. ხოლო თუ ღრუბლიანი ამინდია, შაბანის მთვარის დღეები 30-მდე უნდა შეივსოს და მეორე დღიდან დაიწყოს მარხვა. რამაზნის 29-ე დღეს კი შევვალის მთვარის აღმოჩენისათვის დაკვირვებების წარმოება უნდა დაიწყოს. ახალი მთვარე თუ დაფიქსირდა მეორე დღეს ბაირამია. თუ ახალი მთვარე არ გამოჩნდა რამაზნის მარხვა 30 დღე იქნება.

ახალი მთვარის შუადღის შემდეგ გამოჩენა მიღებულია. ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის შეხედულებით ახალი მთვარის შუადღემდე, ან შუადღის შემდეგ გამოჩენის შემთხვევაში იმ დღის მარხვის არც დაწყება შეიძლება და არც შეწყვეტა. ეს მთვარე შემდეგი დღის განსაზღვრისთვის გამოდგება. ებუ იუსუფის აზრით, შუადღემდე გამოჩენილი მთვარე წინა ღამეს, ხოლო შუადღის შემდეგ გამოჩენილი მთვარე შემდეგ ღამეს ეკუთვნის. ამით შესაძლებელია რამადანის, ან ბაირამის დროის დაფიქსირება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როგორც წესი, მთვარე სანამ ორი დღის არ გახდება შუადღემდე მისი გამოჩენა შეუძლებელია.

შაფის, მალიქის და ჰანბელის მიხედვით დღისით გამოჩენილი მთვარის მიხედვით მოქმედება მიუღებელია. ეს მთვარე აუცილებლად შემდეგ ღამეს ეკუთვნის.

რამადანის მთვარის დადგენის წესი:

ა- უღრუბლო ამინდში რამადანის და ბაირამის თარიღის დასამტკიცებლად ხალხის მიერ ახალი მთვარის დაახვაა საჭირო. ასეთ დროს ერთი კაცის მიერ ნათქვამი “მე მთვარეს ვხედავ” არ არის სანდო. ებუ ჰანიფეს აზრით, უღრუბლო ამინდში ორი სამართლიანი და სანდო კაცის მიერ ახალი მთვარის გამოჩენის დადასტურება საკმარისია.

ბ- თუ ცა ღრუბლიანია, ან სხვა რამ მიზეზით ხილვადობა შეზღუდულია, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისეთ ადამიანზე დაჯერება, რომელსაც შემდეგი თვისებები გააჩნია: უნდა იყოს მუსლიმანი, სამართლიანი, გონიერი და ზრდასრული. ასეთი ადამიანი თუ იტყვის ახალი მთვარე დავინახეო მარხვა დაწყებულად ითვლება. ეს პიროვნება შეიძლება მანდილოსანიც იყოს. ახალი მთვარის მნახველმა მოსამართლის წინაშე უნდა დაადასტუროს, რომ მან კონკრეტული თვის ახალი მთვარე დაინახა. თუ ისეთი ადგილია, სადაც მოსამართლე არაა, მთვარის დამნახველი ადამიანი ხალხის წინაშე დაადასტურებს ამას. ხალხიც მის სიტყვას ენდობა და მარხვას დაიწყებენ.

შაფის მიხედვით მოსამართლის გადაწყვეტილება ერთი ადამიანის დადასტურებასაც რომ ეყრდნობოდეს, ხალხისთვის მარხვა მაინც ფარზია. აბდულლაჰ იბნ ომერმა ახალი მთვარე შენიშნა და ეს ამბავი წმ. შუამავალს მოახსენა. მან კი, ამაზე დაყრდნობით მარხვა დაიწყო და თან ხალხსაც უბრძანა დაეწყოთ მარხვა. ამრიგად გადაწყვეტილების მიღება ვისაც ხელეწიფება და გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს ეჭვის უკუგდებას გამოიწვევს და ყველა მიმდინარეობის მიმდევრები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ.

რამაზნის მთვარის დადგომა სხვადასხვა გზებით რომ დადასტურდეს საკმარისია. მარხვა ფარზი ხდება. ვთქვათ, პიროვნებას სხვა პიროვნებისგან რამაზნის თვის პირველ დღეს ვალი ჰქონდა ასაღები და სასამართლოში უჩივლა. მომჩივანმა თუ ორი მოწმის თანხლებით დაადასტურა, რომ მათ ახალი მთვარე დაინახეს და რამაზნის მთვარე უკვე დადგა, ეს საკმარისია, რომ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისათვის მარხვა დაწყებულად ჩაითვალოს.

შევვალისა და ლიჰიჯჯეს მთვარის დადგომა ღრუბლიანობის გამო თუ საეჭვო გახდა, ორი სამართლიანი მამაკაცი (ან ერთი მამაკაცი და ორი ქალი) მოწმის დასტური განამყარებს.

სადაც მოსამართლე, ან გადაწყვეტილების მიღებისათვის უფლებამოსილი პიროვნება არ არის, ორი სანდო მამაკაცის მიერ, ხალხის წინაშე შევვალის ახალი მთვარის დადგომის დადასტურება საკმარისია.

ღრუბლიან ამინდში თავად მოსამართლემ, ანუ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა ახალი მთვარე რომ დაინახოს, შეუძლია თავისი მოვალეობა სხვას გადააბაროს და თავად კი მოწმის სტატუსით ნანახი დაადასტუროს. ან შეუძლია პირდაპირ გამოაცხადოს მარხვის

დაწყების შესახებ. თუმცა ბაირამის გამოცხადებისთვის, ამგვარად ერთი კაცის მოწმეობა არ კმარა, რადგან ამ გადაწყვეტილებით ღვთისმსახურება მთავრდება.

შაფიის მიხედვით შევვალის მთვარის დადგომის თაობაზე ერთი სანდო ადამიანის მოწმეობაც საკმარისია. თუ მოსამართლე გადაწყვეტს ბაირამი შესრულდება.

გ) ადგილები, სადაც მთვარე განსხვავებულ დროს ჩნდება

დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებზე, სხვადასხვა კონტინენტსა თუ მხარეში მზე და მთვარე ცაზე სხვა და სხვა დროს ჩნდება ხოლმე. ამიტომ მთელი დედამიწის ზედაპირზე, ყველა მუსლიმის მერ ერთი და იმავე დღეს რამაზნის მარხვის დაწყება სავალდებულოა თუ არა, ამის შესახებ ორი შეხედულება არსებობს:

1) ისლამის სწავლულთა უმრავლესობის აზრით მთვარის სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა დროს გამოჩენას ყურადღება არ უნდა მიექცეს და მთელი მსოფლიოს მუსლიმანებმა ერთი და იმავე დღეს უნდა დაიწყონ რამაზნის მარხვა. ჰანეფის შეხედულება ესაა და გადაწყვეტილებაც ამის მიხედვითაა გაცემული.

გამომდინარე აქედან, დასავლეთში მცხოვრები მუსლიმანები თუ ახალ მთვარეს დაინახავენ და ამის შესახებ აღმოსავლეთში მცხოვრები მუსლიმები გაიგებენ ვალდებულნი არიან დაიწყონ მარხვა. თუმცა ახალი მთვარის მნახველთა ჩვენებები მოსმართლის გადაწყვეტილებით უნდა გამყარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ტერიტორიაზე მარხვის დაწყება, სადაც მთვარე არ უნახავთ მირებული არ იქნება. ამბის გადაცემა შემდეგნაირად ხდება: ორი სანდო ადამიანი მივა მოსამართლესთან და მოახსენებს, რომ ერთ-ერთ ადგილას გამოჩნდა ახალი მთვარე და იმ ტერიტორიაზე გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მე კი ამ ამბის სიმართლეს ვადასტურებ!.

დედამიწის სხვადასხვა ადგილზე მთვარის სხვადასხვა დროს გამოჩენის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას ასტრონომიულ გათვლებზე და წინასწარ ინფორმაციებზე დაყრდნობა მიზანშეწონილი არაა, რადგან წმ. შუამავალი ბრძანებდა: “მთვარეს დაინახავ, მარხვა დაიწყეთ! მთვარეს დაინახავ მარხვა შეწყვიტეთ! თუ ამინდი ღრუბლიანია შაბანის მთვარე 30-მდე შეავსეთ!”

ამ ჰადისში მითითებულია, რომ მარხვა ყველა მუსლიმისთვის სავალდებულოა და ეს ახალი მთვარის გამოჩენაზეა დამოკიდებული. ამიტომ ხალხის მიერ ახალი მთვარის დანახვა, ან რამოდენიმე, საკმარისად ჩათვლილი სანდო პიროვნების მიერ დანახვა და ამის ოფიციალურად დადასტურება საკმარისადაა მიჩნეული.

გარდა ამისა ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შორი ქვეყნების მდგომარეობა დამოკიდებულია მათთან ახლო მყოფ ადგილებზე, სადაც ახალი მთვარის გამოჩენა, ზემოთ მოყვანილი წესების დაცვით ფიქსირდება.

2) შაფის მიხედვით ერთ, რომელიმე ტერტორიულ ერთეულში ახალი მთვარის გამოჩენა მხოლოდ მახლობელ ტერიტორიებზე ვრცელდება და შორი ქვეყვებისადმი ამ მოვლენის ზემოქმედება არამიზანშეწონილია. მათი უტყუარი შეხედულების თანახმად მთვარე თავისი ციკლის მიხედვით სხვადასხვა ტერიტორიებზე განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. თუმცა ეს განსხვავება დაახლოებით 120 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე არ ვრცელდება.

შაფის მიმდევრებმა მთვარე მზეს შეადარეს და რახან მზის მიხედვით დედამიწის სხვადასხვა წერტილში ლოცვის დროები განსხვავდება, ამიტომ მთვარის გამოჩენაც და შესაბამისად მარხვის დაწყებაც დედამიწის სხვადასხვა წერტილისათვის განსხვავებულ დროს უნდა იყოს.

ზემოთ მოყვანილი ორი შეხედულებიდან პირველი მუსლიმთა ერთიანობის და მათ შორის განსხვავებების აღმოფხვრის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია და შესაბამისად უფრო მეტად მხარდასაჭერი. ასტრონომიული გამოთვლებით დადგინდა, რომ ერთ მუსლიმანურ ქვეყანაში ახალი მთვარის გამოჩენის მომენტიდან დედამიწის ყველაზე შორეულ ადგილზე მთვარის გამოჩენას შორის მაქსიმუმ 9 საათიანი სხვაობაა. გამომდინარე აქედან, ყველა მუსლიმანური ქვეყანა ღამის პერიოდში შესაძლებელია, რომ თანაბარ წესებს დაექვემდებაროს. დღეისათვის საკმაოდ განვითარებული და მოხერხებული საკომუნიკაციო საშუალებები არსებობს და მათი საშუალებით ურთიერთკავშირი და ყოველგვარი დაბნეულობის თავიდან აცილება შესაძლებელია.

გარდა ამისა შეუიარაღებელი თვალით ახალი მთვარის ადრიანად შემჩნევა ძალზედ ძნელია. ამან შეიძლება მარხვისათვის განკუთვნილი დღის დაკარგვა გამოიწვიოს.

V- მარხვის პირობები

ა-მარხვის აუცილებლობის განმსაზღვრელი პირობები

ადამიანისთვის მარხვა სავალდებულო რომ გახდეს, რამოდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს; უნდა იყოს ისლამის მიმდევარი, უნდა იყოს სრულ გონებაზე, უნდა იყოს ზრდასრული და ამასთანავე საჭიროა მარხვის შესაძლებლობა ჰქონდეს. ანუ საამისოდ ჯანმრთელობა უნდა უწყობდეს ხელს და არ უნდა იყოს მგზავრი. ქვემოთ, შევეცდებით სათითაოდ განვმარტოთ თითოეული მათგანი.

1- მუსლიმი.

მარხვა მუსლიმთათვის ფარზია, ანუ სავალდებულოა. არამუსლიმებს ისლამის ვალდებულებისა და აკრძალვების შესრულება არ ევალებათ. აგრეთვე, სხვა აღმსარებლობის ადამიანი თუ ისლამს აღიარებს მანამდელი ვალდებულებების შესრულება არ ევალება. ჰანეფის მიხედვით, ურწმუნო ადამიანებს საიქიო სასჯელი მხოლოდ ურწმუნოებისათვის მიეზღვებათ. სხვა მიმდინარეობების იმამები კი მიიჩნევენ, რომ გარდა ურწმუნოებისა, მათ ისლამის ვალდებულებების შეუსრულებლობისთვისაც მოუწევთ სასჯელი.

თუ პიროვნება რამაზნის თვეში შევა ისლამის რიგებში რამაზნის დარჩენილ დღეებში უნდა იმარხულოს. წარსულის ცოდვები კი მიეტევება. ყურანში ნაბრძანებია:

قُلْ لِلَّذِ ينَ كَفَرُوا اِنْ يَنْتَهُوا يُغْفَرْ لَهُمْ مَا قَدْ سَلَفَ وَاِنْ يَعُودُوا فَقَدْ مَضَتْ سُنَّتُ الْاَوَّل ينِ

უთხარი, რომელთაც უარყვეს : თუ ისინი შეწყვეტენ , მიეტევება მათ რაც წარსულში იყო. და თუ დაუბრუნდებიან , უეჭველად, წინათ მოქმედი კანონი ძალაში შევა . “ ენფალ 8/38. “

2- ზრდასრული და გონებასრული.

ბავშვებზე, ფსიქიკურად დაავადებულებზე, გულწასულებზე და მთვრალებზე მარხვის ვალდებულება არ ვრცელდება. წმ. შუამავალი თვის წმ. ჰადისში ბრძანებდა: “სამ პიროვნების ნამოქმედარი არ იწერება: ზრდასრულობამდე ბავშვის, გამოჯანმრთელებამდე ფსიქიკურად ავადმყოფის და გამოღვიძებამდე მძინარის!”

ჰანეფის, შაფის და ჰანბელის მიხედვით ბავშვს, რომელსაც მარხვისათვის ძალა შესწევს და კარგისა და ცუდის გარჩევა შეუძლია შვიდი წლის ასაკიდან მშობლებმა მარხვა უნდა დაავალონ. მათ მიერ შესრულებული ღვთისმსახურება მისაღებია და მშობლებისთვის სასარგებლო. მიზანი, ბავშვების მარხვაზე შეჩვევაა. ამ შემთხვევაში ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა ყურადსაღებია, რადგან მარხვა საკმაოდ ძნელი ღვთისმსახურებაა. მალიქის მიხედვით კი მარხვა ლოცვისგან განსხვავდება. ბავშვი მხოლოდ ზრდასრულობის ასაკშია ვალდებული იმარხოს.

ფსიქიურად დაავადება და გონების დაკარგვა თუ პერიოდულობით ხასიათდება მისი შესრულება ფარზია და გამოჯანმრთელებისას უნდა ანაზღაურდეს, მაგრამ თუ ავადმყოფობა რამაზნის თვის პერიოდში გაგრძელდა ავადმყოფი იმ წლის მარხვის ვალდებულებისაგან თავისუფლდება და არც შემდგომში ანაზღაურებაა საჭირო.

მალიქის მიხედვით ფსიქიურად დაავადებულების მიერ გაცდენილი მარხვის შემდეგომში ანაზღაურებაა საჭირო. ამ შეხედულებას, ისინი შემდეგი ჰადისით ამყარებენ: “გამოჯანმრთელებამდე, ფსიქიურად დაავადებულების ნამოქმედარი არ იწერება.”

3-მარხვის შეძლება და ადგილობრივი მკვიდრი.

ავადმყოფებისა და მგზავრებისათვის მარხვა ფარზი არაა. თუმცა მარხვის დაცვის შემთხვევაში მათი ღვთისმსახურება მისაღებია. თუ მარხვას არ შეასრულებენ გაცდენილი დღეები შემდეგში უნდა აანაზღაურონ. ყურანში ნაბრძანებია:

أَيَّامًا مَعْدُودَاتٍ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا أَوْ عَلَى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ أَيَّامٍ أُخَرَ وَعَلَى الَّذِينَ يُطِيقُونَهُ فِدْيَةٌ طَعَامُ مِسْكِينٍ فَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَهُوَ خَيْرٌ لَهُ وَأَنْ تَصُومُوا خَيْرٌ لَكُمْ إِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ. “ ბაყარა 2/184. “

ღრმად მოხუცებულობის გამო მარხვის შეუძლებლობის შემთხვევაში მარხვის ვალდებულება უქმდება. ასევე არ მარხულობენ მენსტრუაციის და ორსულობის შემდგომი სისხლდენის პერიოდში მყოფი მანდილოსნები, ორსული და ჩვილბავშვიანი ქალები, თუ რა თქმა უნდა ეს მათი, ან მათი ნაყოფის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედებს. არ მარხულობს, აგრეთვე მგზავრი, რომელმაც 90 კმ. და მეტი მანძილი გაიარა. გაცდენილი დღეების შემდგომში ანაზღაურება აუცილებელია.

ისლამის რიგებში ახლად შესულმა პროვნებამ უნდა იცოდეს, რომ მარხვა ფარზია. აქ, არ ცოდნა საპატიო მიზეზად ითვლება.

ბ-მარხვის შეუსრულებლობისათვის საპატიო მიზეზები

ისლამის მიერ დაწესებული ვალდებულებები ადამიანის შესაძლებლობების მიხედვითაა განსაზღვრული. ამიტომ გართულების, ან შეუძლებლობის შემთხვევაში გარკვეული შეღავათებია დაწესებული. ზოგ შემთხვევებში კი მორწმუნე სავალდებულო მარხვისგან თავისუფლდება. რამაზნის მარხვის შეუსრულებლობა, ან დაწყებული მარხვის შეწყვეტა შემდეგი მიზეზებითაა შესაძლებელი.

1) მგზავრობა.

რამაზნის თვეში, სულ მცირე სამი დღის სავალ გზაზე (18 საათი) მიმავალ მგზავრს გამგზავრების წინა ღამეს შეუძლია მარხვა აღარ განიზრახოს და ისე გაუდგეს გზას. ანუ დილას გზას რომ დაადგება მარხული არ იქნება. თუმცა მარხულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თუ შუადღისას გადაწყვეტს გამგზავრებას და გზას დაადგება იმ დღის მარხვის შეწყვეტის უფლება არ აქვს. ამასთანავე, თუ ეს ადამიანი მარხვას შეწყვეტს მხოლოდ შემდგომში ანაზღაურება დაევალება, რადგან მარხვა მგზავრობის მიზეზით შეწყვიტა.

წმ. ყურანში წერია:

أَيَّامًا مَّعْدُودَاتٍ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا أَوْ عَلَىٰ سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ أَيَّامٍ أُخَرَ وَعَلَى الَّذِينَ يُطِيقُونَهُ فِدْيَةٌ طَعَامُ مِسْكِينٍ فَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَهُوَ خَيْرٌ لَهُ وَأَنْ تَصُومُوا خَيْرٌ لَكُمْ إِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით

(დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ. “ ბაყარა 2/184. “

თუ მარხვა პიროვნებას რაიმე სახის ზიანს არ მოუტანს უმჯობესია მარხვა შეასრულოს. აიათშიც მითითებულია, რომ მარხვა უფრო სიკეთის მომტანია. გარდა ამისა თუ თანამგზავრები მარხულობენ და გზის ხარჯი საერთო არაა, ასეთ შემთხვევაში მარხვის შესრულება ჯობს. თუ თანამგზავრების უმრავლესობა არ ასრულებს მარხვას და ხარჯები საერთოა უმჯობესია მარხვისგან თავის შეკავება.

შაფის და ჰანბელის მიხედვით მგზავრს შეუძლია ღამით დაწყებული მარხვა შეწყვიტოს. მათი შეხედულება შემდეგ მტკიცებულებას ეყრდნობა: “რამაზნის თვეში, წმ. შუამავალი მექას ასაღებად გზას დაადგა. ქადიდამდე მარხულობდა. იქ კი თვითონაც და მხლებლებმაც მარხვა შეწყვიტეს.”

2- ავადმყოფობა.

მორწმუნე, რომელსაც მარხვის შესრულების შემთხვევაში ჯანმრთელობის გაუარესება, გონების დაკარგვა, ან გარდაცვალების საფრთხე ემუქრება მარხვის ვალდებულებისაგან თავისუფლდება. ასეთ ადამიანს შეუძლია მარხვისგან თავი შეიკავოს, ან დაწყებული მარხვა შეწყვიტოს. მოგიანებით კი, როდესაც უკეთ იქნება გაცდენილ მარხვას აანაზღაურებს.

უბრალო ავადმყოფობის დროს, როდესაც მარხვა დაავადების გამწვავებას არ იწვევს მარხვის შეუსრულებლობა მიუღებელია. იმის გასაგებად, მარხვა რამდენად საშიშია კონკრეტული პიროვნების მართლმორწმუნე მუსლიმი ექიმის მიერ გულდასმით გასინჯვა და შესაბამისი დიაგნოზი.

რამაზნის თვეში ჯანმრთელი ადამიანი თუ შიშობს, რომ მარხვის შემთხვევაში დაავადდება და ამას სამედიცინო დასკვნაც დაადასტურებს ავადმყოფად ითვლება და შეუძლია შეღავათით ისარგებლოს.

3- ორსულობა და ძუძუთი ბავშვის გამოკვების პერიოდი

რამაზნის თვეში ორსული და მეძუძური ქალბატონები თუ შიშობენ, რომ მარხვის შემთხვევაში მათი, ან მათი შვილების ჯანმრთე-

ლობას საფრთხე ემუქრება შეუძლიათ მარხვისგან თავი შეიკავონ. გაცდენილ დღეებს მოგვიანებით აანაზღაურებენ. თუ მანდილოსანი ძუძუთი სხვის ბავშვს კვებავს, მარხვის შეუსრულებლობის უფლებისათვის საჭიროა სხვა ალტერნატიული რძის მიმცემი ძიძა არ არსებობდეს და თუ არსებობს ბავშვი არ უნდა ეკარებოდეს.

ორსული და მეძუძური მანდილოსნებისათვის შეღავათების დაწესება შედარების (ქიას) გზით მოხდა. მათი მდგომარეობა ავადმყოფის და მგზავრის მდგომარეობაზეა შედარებული.

არსებობს სხვა მტკიცებულებაც. ეს არის წმ. შუამავლის ჰადისი: “ღმერთმა მგზავრი მარხვის და ლოცვის ნახევრის შესრულებისგან გაათავისუფლა. ხოლო ორსული და მეძუძური ქალები მარხვისგან.”

4.) მოხუცებულობა

თუ მორწმუნე იმდენად მოხუცია, რომ წელიწადის არცერთ დროს არ შეუძლია მარხვა, რამადანის თვეში აღარ მარხულობს და ყოველი გაცდენილი დღისათვის ფიდიეს გადაიხდის. გაცდენილის მარხვითვე ანაზღაურება არ ევალება. ყოველი გაცდენილი დღის სანაცვლოდ ერთი ღარიბი უნდა დაანაყროს. ყურანში ნაბრძანებია:

أَيَّامًا مَعْدُودَاتٍ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا أَوْ عَلَى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ أَيَّامٍ أُخَرَ وَعَلَى الَّذِينَ يُطِيقُونَهُ فِدْيَةٌ طَعَامُ مِسْكِينٍ فَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَهُوَ خَيْرٌ لَهُ وَأَنْ تَصُومُوا خَيْرٌ لَكُمْ إِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ. “ბაყარა 2/184. “

იბნი აბბასის აზრით, ეს აიათი ღრმად მოხუცებულებს გულისხმობს, რომლებსაც მარხვის შესრულება აღარ შეუძლიათ.

თუ ავადმყოფის გამოჯანმრეთელების იმედი აღარაა, იგივე სტატუსით სარგებლობს, რითაც ზემოთ განხილული ღრმად მოხუცი ადამიანი. ღმერთი ბრძანებს:

وَجَاهِدُوا فِي اللَّهِ حَقَّ جِهَادِهِ هُوَ اجْتَبَاكُمْ وَمَا جَعَلَ عَلَيْكُمْ فِي الدِّينِ مِنْ حَرَجٍ مِلَّةَ أَبِيكُمْ إِبْرَاهِيمَ هُوَ سَمَّاكُمُ الْمُسْلِمِينَ مِنْ قَبْلُ وَفِي هَذَا لِيَكُونَ الرَّسُولُ شَهِيدًا عَلَيْكُمْ وَتَكُونُوا شُهَدَاءَ عَلَى النَّاسِ فَأَقِيمُوا الصَّلَاةَ وَآتُوا الزَّكَاةَ وَاعْتَصِمُوا بِاللَّهِ هُوَ مَوْلَاكُمْ فَنِعْمَ الْمَوْلَى وَنِعْمَ النَّصِيرُ

გაისარჯეთ ალლაჰისთვის სათანადო ბრძოლით. მან აგირჩიათ და არ დაუდგენია თქვენთვის არანაირი სიძნელე სარწმუნოებაში . ეს მამათქვენის, იბრაჰიმის სარწმუნოებაა. (ალლაჰმა) გიწოდათ თქვენ მუსლიმები უწინ და აქ (ყურანში), რათა შუამავალი ყოფილიყო მოწმედ თქვენდა, თქვენ კი ყოფილიყავით მოწმედ ხალხისა. შეასრულეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და მტკიცედ ჩაეჭიდეთ ალლაჰს. იგია თქვენი მფარველი. რა მშვენიერი მფარველია! რა მშვენიერი შემწეა! “ ჰაჯ 22/78. “

სხვა ავადმყოფები, რომლებსაც ჯერჯერობით არ შეუძლიათ მარხვა, მაგრამ შემდეგში ანაზღაურებას შეძლებენ ფიდიეს არ იხდიან და გაცდენილ დღეებს გამოჯანმრთელებისთანავე აანაზღაურებენ.

მარხვის ფიდიეს გაცემა რამაზნის თვის დასაწყისში, ან ბოლოს შეიძლება. 30 დღიანი ფიდიეს გაცემა შეიძლება, როგორც სხვადასხვა ადამიანებზე, ისე ერთ პიროვნებაზეც. უფრო მეტიც, ებუ იუსუფის მოსაზრებით ერთი დღის ფიდიეს რამოდენიმე ღარიბზე გადანაწილებაც შეიძლება. ფიდიე შეიძლება იყოს, როგორც ფულის სახით, ისე საკვებიც. ანუ, ყოველ დღე, დილას და საღამოს ერთი ღარიბი უნდა იქნას დანაყრებული.

თუ მოხუცი, ან ავადმყოფი მუდმივად შეუძლოდ ყოფნის გამო ფიდიეს იხდის, მაგრამ მოგვიანებით გამოკეთდება და მარხვას შეძლებს, ფიდიეს შეღავათით სარგებლობის უფლება უწყდება და ვალდებულია იმარხულოს. ვალდებულია, აგრეთვე წინა გაცდენილი დღეებიც აანაზღაუროს.

5.) მტერთან ბრძოლა.

რამაზნის თვეში მტერთან მებრძოლი ჯარისკაცი თუ შიშობს, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუძლურდება, შეუძლია მარხვა აღარ შეასრულოს. ბრძოლა რომ არც შედგეს მას მხოლოდ გაცდენილი დღეების ანაზღაურება ევალება.

6) დაძალების და შიშის ქვეშ მარხვის შეწყვეტა.

თუ ადამიანის სიცოხლეს, ან რომელიმე ორგანოს საფრთხე ემუქრება შეუძლია მარხვა შეწყვიტოს. შეწყვეტილი მარხვის გამო გაცდენილი დღე შემდგომში უნდა აანაზღაუროს. ამასთანავე, მორწმუნე, რომელიც არც მგზავრია და არც ავადმყოფი, მაგრამ მარხვის შეწყვეტას აიძულებენ და უარის შემთხვევაში რომ მოკლან ცოდვილი არ იქნება. შეიძლება დიდი მადლი მიიღოს, რწმენისადმი

ესოდენ დიდი ერთგულების გამო. თუმცა, მგზავრი, ან ავადმყოფი თუ მსგავს სიტუაციაში თავს შეაკლავს ცოდვაში ჩავარდება, რადგან ისლამმა მათ ისედაც მიანიჭათ შეღავათი და შეეძლოთ მარხვა არ შეესრულებინათ. როდესაც ძალადობას აქვს ადგილი, ასეთი ნებართვის გამოუყენებლობა მიზანშეწონილი არ არის. მარხულ ქალთან ძალის გამოყენებით, ან მძინარე მდგომარეობაში სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევაში ქალი მხოლოდ იმ დღის გაცდენილ მარხვას აანაზღაურებს.

ზექათი

სავალდებულო მოწყალება

ზექათის მომცველობა

ა) ზექათი ლექსიკონში მატებას, გამრავლებას, ბარაქას ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი, ეს არის გარკვეული კატეგორიის და გარკვეული რაოდენობის საქონელის ღვთით დადგენილი წესის მიხედვით ღარიბ მუსლიმთათვის საუთრებაში გადაცემა.

ეს არის სავალდებულო მოწყალება რომლის გაღებაც მდიდარ მუსლიმებს ევალებათ. ზოგადად მოწყალება უფრო ფართე მცნებაა და ყველა სახის მოწყალებას აერთიანებს. ხოლო რაც შეეხება ზექათს, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში მისი შესრულება ფარზია, ანუ სავალდებულოა.

მდიდარი მუსლიმის მიერ თავისი ქონებიდან გარკვეული ნაწილის ღარიბ მუსლიმთათვის გადაცემა მათი ქონების ზრდის მიზეზი გახდება. ყურანში ნაბრძანებია:

აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია! “ თევბე 9/103. “

ღმერთს ადამიანები სხვადასხვანაირი თვისებებით შემკული გაუჩენია და სარჩოს და ქონებასაც განსხვავებულს უწყალობებს ხოლმე. ყურანში ნაბრძანებია:

და ალლაჰმა აღამაღლა თქვენგან ერთი ნაწილი მეორეზე ქონებითა და სარჩოთი. ხოლო რომელნიც აღმატებულ იქმნენ, საარსებოს არ მისცემენ, ვინც მათ ხელთქვეშაა, რათა ისინი არ გაუთანაბრდნენ მათ. ნუთუ ალლაჰის წყალობას უარყოფენ ეგენი? “ნაჰლ 16/71“

აიათის მიხედვით ნათელია, რომ მდიდარი მუსლიმი ვადებულია ქონების გარკვეული ნაწილი ღარიბ მოძმეს გაუზიაროს. ამგვარი ვალდებულების გარეშე მქიქრების ქონების ღარიბებზე გადანაწილება შეუძლებელი იქნებოდა. ყურანშI ნაბრძანებია:

وَالَّذ ينَ ف ى اَمْوَالِهِمْ حَقٌّ مَعْلُومٌ

და რომელთა ქონებაშიც წილია განსაზღვრული “მუღარიჯი 70/24“

ისლამის მიერ დადგენილი ეს დებულება მდიდარსა და ღარიბ ადამიანებს შორის თანასწორობისა და ურთიერთსიყვარულის გამოხატვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამით სოციალური პრობლემები მნიშვნელოვნად მცირდება და საყოველთაო მშვიდობის გარანტია იქმნება. ეს ხელს უშლის მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის გაჩენას და მის უსასრულოდ გაღრმავებას. ისლამის გავრცელების პირველ ხანებში ეგვიპტის, სირიის და ერაყის მოსახლეობას მიწები თავიანთ მფლობელობაში დაუტოვეს და მათგან გადასახადს იღებდნენ, რომელსაც შემდგომში საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისთვის ხარჯავდნენ.

ყურანში ნაბრძანებია:

გამომდინარე აქედან, ისლამის მიხედვით მდიდარი ადამიანების მიერ ქონების დაგროვება, მაშინ როდესაც ხალხის უმრავლესობა უკიდურესად ღარიბად ცხოვრობს და თავის გატანა უჭირს მიუღებელია.

ბ) ზექათის, ანუ სავალდებულო მოწყალების დადებითი თვისებები შემდეგნაირად შეიძლება რომ ჩამოვაყალიბოთ:

ა) სავალდებულო მოწყალება მდიდარსა და ღარიბს ერთმანეთთან აახლოებს. მდიდარს გაკეთებული სიკეთის გამო კმაყოფილება ეუფლება, ღარიბს კი გარდა სარჩოსა და საკვებისა მდიდრისადმი სიყვარულულის და პატივისცემის გრძნობა უჩნდება. წინააღმდეგ

შემთხვევაში სიყვარულის მაგივრად შური და სიძულვილი დაისადგურებდა.

ბ) ზექათი მუშაობის უნარშეზღუდულებს თავის გატანის და ნორმალურად არსებობის საშუალებას მისცემს. სავალდებულო მოწყალება მოსახლეობას სირარიბისგან, ხოლო სახელმწიფოს დასუსტებისგან დაიცავს.

გ.) ზექათი პიროვნებას სიძუნწისგან დაიცავს და ხელგაშლილობას ასწავლის.

დ.) ზექათი ღვთით მონიჭებული წყალობის მიმართ ერთგვარი მადლიერების გამოხატულებაა და ადამიანს საიქიო სასჯელს აააშორებს. ის ქონებას კი არ აკლებს რაიმეს. პირიქით, ქონება უფრო ბარაქიანი და დაცული ხდება.

ე.) ადამიანი სოციალური არსებაა. ის საზოგადოების ნაწილია და მისგან ცალკე, განდეგილად ცხოვრება მისი გაჩენის პრინციპს ეწინააღმდეგება. საზოგადოება კი ერთი მთლიანობაა. საზოგადოების წევრებმა ერთიმეორისგან გარკვეული სარგებელი უნდა ნახონ. ამის კვალობაზე შემქნილ სიმდიდრეში კი სხვებსაც გარკვეული წილი გააჩნიათ. ვერავინ უარყოფს იმას, რომ მდიდარი ადამიანი თავის სიმდიდრეს სხვა ადამიანებისგან მიღებული სარგებელის შედეგად აგროვებს. გამომდინარე აქედან ის ვალდებულია უპირველესად გამჩენს შესწიროს მადლობა და შემდეგ მის გარშემო მყოფ ღარიბ ადამიანებს დაეხმაროს.

ვ.) სავალდებულო მოწყალება გამცემისთვის სულ მცირე იმდენადვე სასარგებლოა, რამდენადაც მიმღებისთვის.

გ) მტკიცებულებები, რომლებსაც სავალდებულო მოწყალების შესახებ დებულება ეყრდნობა

სავალდებულო მოწყალება ისლამის ხუთი საფუძვლიდან ერთერთია და ის ჰიჯრით მეორე წელს გახდა ფარზი.

ყურანში ზექათი როგორც სიტყვა და როგორც ტერმინი დაახლოებით 30-ჯერაა ნახსენები. გარდა ამისა ის ადრინდელ შუამავლებისთვისაც ლოცვთან ერთად სავალდებულო იყო.

ყურანში ნაბრძანებია:

უეჭველად, მოწყალებანი სავალდებულოა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, ღატაკთათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ საქმითაა დაკავებული , ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია , მონათათვის , ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას და მგზავრთათვის. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

და მათგან , რომელნიც გულს სტკენენ შუამავალს და ამბობენ: იგი ყურია ! უთხარი: ყურია თქვენთვის სასიკეთოდ, სწამს ალლაჰი და ენდობა მორწმუნეებს. ის წყალობაა მორწმუნეთათვის, რომელთაც ირწმუნეს თქვენგან, ხოლო რომელნიც გულს სტკენენ ალლაჰის შუამავალს, მათთვისაა მწარე სასჯელი!

გეფიცებიან თქვენ ალლაჰზე, რათა თქვენ გასიამოვნონ, თუმცაღა ეგენი რომ იყვნენ მორწმუნენი, ჭეშმარიტება ალლაჰისა და მისი შუამავლის მორჩილება იქნებოდა.

განა არ იციან, რომ ის, ვინც წინ აღუდგება ალლაჰსა და მის შუამავალს, სწორედ მისთვისაა ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც დამკვიდრდება სამუდამოდ? აი, ესაა უდიდესი დამცირება!

თვალთმაქცნი შიშობენ, რომ გარდმოევლინება სურა მათ წინააღმდეგ, რომელიც გამოააშკარავებს, რაც გულებში უზით მათ. უთხარი: გაერთეთ! უეჭველად, ალლაჰი გამოააშკარავებს იმას , რისიც გეშინოდათ!

და თუ მათ შეეკითხები , უეჭველად, იტყვიან: მხოლოდ ვყბედობდით და ვერთობოდით. უთხარი: ნუთუ თქვენ დასცინოდით ალლაჰს, მის აიათებს და მის შუამავალს?

ნუ ბოდიშობთ. თქვენ უკვე უარყავით რწმენის მიღების შემდეგ. თუ მივუტევებთ თქვენს შორის ერთ ნაწილს , დავსჯით მეორე ნაწილს, რადგანც ცოდვილნი იყვნენ ეგენი.

თვალთმაქცი კაცები და თვალთმაქცი ქალები ერთმანეთს ჰგვანან: უბრძანებენ ერთმანეთს უკეთურობას და უკრძალავენ სიკეთეს , და ხელმომჭირნეობენ. მათ დაივიწყეს ალლაჰი. მაშ, დაივიწყა მანაც ეგენი . უეჭველად, თვალთმაქცნი არიან გზასამცდარი!

აღუთქვა ალლაჰმა თვალთმაქც კაცებს და თვალთმაქც ქალებს და ურწმუნოებს ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. იგი ეყოფათ მათ . და ალლაჰმა დაწყევლა ეგენი, და მათთვისაა გამზადებული მუდმივი სასჯელი!

მსგავსად იმათისა, რომელნიც თქვენ უწინ იყვნენ. ისინი ძალითაც გჯობდნენ თქვენ და სიმდიდრითაც და იყვნენ შვილმრავალნიც. ამრიგად, ისინი დატკბნენ თავიანთი წილით. მაშ, თქვენც დატკბით თქვენი წილით, როგორც დატკბნენ თქვენი წინამორბედნი. აი, ეგენი, რომელთა საქმენიც ფუჭია ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. და სწორედ, წაგებული არიან ეგენი!

განა არ მოღწეულა მათთან ამბავი, რომელნიც იყვნენ მათ უწინ: ნუჰის, ადისა და სემუდის ხალხისა, იბრაჰიმის ხალხის, მედიენისა და დაქცეულთა მკვიდრნისა? განა მათივე შუამავალთ არ მოუტანიათ ცხადი სასწაულები? მაშ, ალლაჰი კი არ მოპყრობია მათ უსამართლოდ, არამედ თავად მოექცნენ საკუთარ სულებს უსამართლოდ.

მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!

აღუთქვა ალლაჰმა მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან; თანაც ედემის ბაღები საუკეთესო ადგილსამყოფელად. და ალლაჰისგან კმაყოფილება ყოვლად აღემატება ამას , სწორედ ეს არის უდიდესი ნეტარება!

ჰეი, შუამავალო! შეებრძოლე ურწმუნოებს და პირმოთნეებს , იყავი მკაცრი მათ მიმართ. თავშესაფარი მათი ჯოჯოხეთია. და (იგი) რა საზარელი განსასვენებელია!

იფიცებენ ალლაჰზე, რომ არაფერი გვითქვამსო! უეჭველად, წარმოთქვეს ურწმუნოების სიტყვა და შეიქმნენ ურწმუნონი მას მერე, რაც ისლამი მიიღეს. მათ განიზრახეს იმის ჩადენა, რაც ვერ შეძლეს. და ვერ აიტანეს ის, რომ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა ისინი გაამდიდრა თავისი წყალობით. ასე, რომ თუ მოინანიებენ, მათთვისვე იქნება უკეთესი. ხოლო თუ არ შეაქცევენ ზურგს , ალლაჰი დასჯის მათ მწარე სასჯელით ამქვეყნად და იმქვეყნად . არ ეყოლებათ მათ ქვეყნად არც მფარველი და არც შემწე!

და მათგან , ვინც ალლაჰს აღუთქვა: თუკი ის გვიბოძებს თავისი წყალობიდან, აუცილებლად გავიღებთ მოწყალებას და დიახაც ვიქნებით მართალთაგანიო,

და როცა მათ თავისი წყალობა მოჰმადლა, ძუნწობა დაიწყეს მისადმი და აქციეს ზურგი . სწორედ ეგენი არიან სახემიქცეულნი!

ამიტომაც ჩათესა მათ გულებში ორპირობა იმ დღემდე, როცა მასთან წარსდგებიან იმის გამო, რომ ალლაჰის წინაშე არ შეასრულეს ის, რაც აღუთქვეს მას, და იმის გამო, რომ ცრუობდნენ.

განა არ იციან , რომ ალლაჰი უწყის მათ საიდუმლოს და მათ ფარულ ჩურჩულსაც? რამეთუ, უეჭველად, ალლაჰი უწყის ყოველგვარ დაფარულს.

რომელნიც ძრახავენ ნებაყოფლობით წყალობის გამღებ მორწმუნეებს და იმათ, რომელთაც არაფერი აბადიათ, გარდა თავიანთი გულმოდგინებისა და ამის გამო გასცინიან მათ, ალლაჰმა გასცინა მათ. და მათთვისაა მწარე სასჯელი! თევზე 9/60-79.

وَكَانَ يَاْمُرُ اَهْلَهٗ بِالصَّلٰوةِ وَالزَّكٰوةِ وَكَانَ عِنْدَ رَبِّه مَرْضِيًّا

და იგი უბრძანებდა თავის ხალხს ლოცვასა და ზექათს, და მან მიაღწია თავის ღმერთთან კმაკოფილებას. მერიემ 19/55“

وَاَقِيمُوا الصَّلٰوةَ وَاٰتُوا الزَّكٰوةَ وَارْكَعُوا مَعَ الرَّاكِعِينَ

და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და წელში მოიხარეთ წელმოხრილებთან ერთად. ბაყარა 2/43.”

وَاكْتُبْ لَنَا فِى هٰذِهِ الدُّنْيَا حَسَنَةً وَفِى الْاٰخِرَةِ اِنَّا هُدْنَا اِلَيْكَ قَالَ عَذَابِى اُصِيبُ بِه مَنْ اَشَاءُ وَرَحْمَتِى وَسِعَتْ كُلَّ شَىْءٍ فَسَاَكْتُبُهَا لِلَّذِينَ يَتَّقُونَ وَيُؤْتُونَ الزَّكٰوةَ وَالَّذِينَ هُمْ بِاٰيَاتِنَا يُؤْمِنُونَ

და ჩვენ სიკეთე დაგვიწერე სააქაოშიც და საიქიოშიც. უეჭველად, ჩვენ მოვიქეცით შენდამი მონანიებით! უთხრა: „სასჯელს ჩემსას ვაწევ, ვინებებ ვისაც, ხოლო წყალობა ჩემი გარემოიცავს ყველაფერს . მე დავუწერ მას , რომელნიც მოკრძალებულნი იქნებიან , გასცემენ ზექათს და ირწმუნებენ ჩვენს აიათებს. არაფ 7/156 “

وَجَعَلَنِى مُبَارَكًا اَيْنَ مَا كُنْتُ وَاَوْصَانِى بِالصَّلٰوةِ وَالزَّكٰوةِ مَا دُمْتُ حَيًّا

და მე დამადგინა დალოცვილი, სადაც არ უნდა ვიყო; და მე სიცოცხლის ბოლომდე ლოცვა და ზექათი დამავალა! მერიემ 19/31

فِى قُلُوبِهِمْ مَرَضٌ فَزَادَهُمُ اللّٰهُ مَرَضًا وَلَهُمْ عَذَابٌ اَلِيمٌ بِمَا كَانُوا يَكْذِبُونَ

მათ სენი აქვთ გულებში. ამ სიცრუის სანაცვლოდ ალლაჰი მათ გაუმწვავებს სენს, რის გამოც უაღრესად მწარე სასჯელი მოელით. ბაყარა 2/10

خُذْ مِنْ اَمْوَالِهِمْ صَدَقَةً تُطَهِّرُهُمْ وَتُزَكِّيهِمْ بِهَا وَصَلِّ عَلَيْهِمْ اِنَّ صَلٰوتَكَ سَكَنٌ لَهُمْ وَاللّٰهُ سَمِيعٌ عَلِيمٌ

აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია! თევბე 9/103

وَهُوَ الَّذِی اَنْشَاَ جَنّٰتٍ مَعْرُوشٰتٍ وَغَيْرَ مَعْرُوشٰتٍ وَالنَّخْلَ وَالزَّرْعَ مُخْتَلِفًا اُكُلُهُ وَالزَّيْتُونَ وَالرُّمَّانَ مُتَشَابِهًا وَغَيْرَ مُتَشَابِهٍ كُلُوا مِنْ ثَمَرِهِ اِذَا اَثْمَرَ وَاٰتُوا حَقَّهُ يَوْمَ حَصَادِهِ وَلَا تُسْرِفُوا اِنَّهُ لَا يُحِبُّ الْمُسْرِفِينَ

და იგია, რომელმაც გააჩინა ბაღები ძირსგართხმული და ამაღლებული , და ხურმა, და ნათესნი სხვადასხვა ნაყოფიანი, ზეთის ხილი და ბროწეული ერთმანეთის მსგავსი და განსხვავებული. მიირთვით მათი ნაყოფი, როცა დამწიფდება, და მომკის დღეს გაეცით წილი მისგან. და არ იყოთ მფლანგველნი. უეჭველად, მას არ უყვარს მფლანგველნი! ენღამ 6/141

გარდა ამისა ზექათთან დაკავშირებით არსებობს წმ. შუამავლის ჰადისები.

ისლამის სწავლულები კი საუკუნეების განმავლობაში ერთხმად აღიარებდნენ, რომ სავალდებულო მოწყალების გაცემა ფარზია.

დ) სასჯელი, რომელსაც სავალდებულო მოწყალების გაუცემლობა იწვევს

ზექათის გაუცემლობის შემთხვევაში გაითვალისწინება როგორც ამქვეყნიური სასჯელი, ისე იმქვეყნიური. ყურანში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذِينَ اٰمَنُوا اِنَّ كَثِيرًا مِنَ الْاَحْبَارِ وَالرُّهْبَانِ لَيَاْكُلُونَ اَمْوَالَ النَّاسِ بِالْبَاطِلِ وَيَصُدُّونَ عَنْ سَبِيلِ اللّٰهِ وَالَّذِينَ يَكْنِزُونَ الذَّهَبَ وَالْفِضَّةَ وَلَا يُنْفِقُونَهَا فِی سَبِيلِ اللّٰهِ فَبَشِّرْهُمْ بِعَذَابٍ اَلِيمٍ

ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად, უმეტესი მწიგნობარი და ბერი უსამართლოდ მიირთმევენ ხალხის ქონებასა და აცდუნებენ მათ ალლაჰის გზიდან. და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე , მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი!

იმ დღეს გაშანთებული იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლზე მათი ზედაპირი, გაახურებენ და დაიდაღება შუბლნი მათი, და ფერდნი მათნი, და ზურგნი მათნი: აი, ესაა, რაც მოაგროვეთ თქვენი სულისთვის. მაშ, იგემეთ ის, რასაც აგროვებდით!

თევბე 9/34-35

قُلْ اِنَّمَا اَنَا بَشَرٌ مِثْلُكُمْ يُوحٰى اِلَىَّ اَنَّمَا اِلٰهُكُمْ اِلٰهٌ وَاحِدٌ فَاسْتَقِيمُوا اِلَيْهِ وَاسْتَغْفِرُوهُ وَوَيْلٌ لِلْمُشْرِكِينَ

اَلَّذِينَ لَا يُؤْتُونَ الزَّكٰوةَ وَهُمْ بِالْاٰخِرَةِ هُمْ كَافِرُونَ

უთხარი: „მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. ზეშთამეგონა, რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაშ, წარსდექით მის წინაშე ჭეშმარიტი რწმენით და მიტევება შესთხოვეთ მას. და ვაი, წარმართთა მდგომარეობას!

რომელნიც არ გასცემენ ზექათს , დიახ, ისინი საიქიოს უარმყოფელნიც არიან. ფუსსილეთ 41 /6-7

مَا سَلَكَكُمْ فِى سَقَرَ

قَالُوا لَمْ نَكُ مِنَ الْمُصَلِّينَ

وَلَمْ نَكُ نُطْعِمُ الْمِسْكِينَ

რამ მოგახვედრათ თქვენ ჯოჯოხეთში? მიუგეს: არ ვიყავით მლოცველთა შორის, და არ ვაპურებდით უპოვართ, მუდესსირ 74/42-44

III –ზექათის პირობები

ა) პირობები, რომელთა განხორციელების შემთხვევაში სავალდებულო მოწყალების გაცემა ფარზია

1) ვალდებულება. ადამიანს ზექათის გადახდა რომ დაევალოს აუცილებელია იყოს მუსლიმი, თავისუფალი, გონებასრული და ზრდასრული. არამუსლიმებს, მონებს, მოსამსახურეებს, ფსიქიკურად დაავადებულებს და ბავშვებს ზექათის ვალდებულება არ ეხებათ.

არამუსლიმი ვალდებული არ არის სავალდებულო მოწყალება გაიღოს. უფრო მეტიც, თუ მუსლიმი რწმენას განუდგება და შემდეგ

ისევ აღიარებს ისლამს ურწმუნოების პერიოდის ზექათის გადახდა აღარ ევალება. ასევე აღარ ევალება წინა პერიოდში ვალად დარჩენილი ზექათის გადახდა.

შაფის მიხედვით კი ასეთ შემთხვევაში ზექათის ადრინდელი ვალი არ უქმდება და მორწმუნემ ის უნდა გადაიხადოს.

ჰანეფის მიხედვით ზრდასრულობა და გონებასრულობა აუცილებელი პირობაა, მაშინ როდესაც სხვა მიმდინარეობების იმამების აზრით აღნიშნული პირობები აუცილებელი არ არის. მათი შეხედულების თანახმად ბავშვის და ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის საკუთრებაში არსებული ქონებიდან სავალდებულო მოწყალების გაცემა ფარზია.

ჰანეფის მიხედვით თუ ფსიქიკური დაავადება პიროვნებას ბავშვობიდან აქვს ზექათის ვალდებულება ეხსნება, მაგრამ თუ ზრდასრულობის შემდეგ გამოჯანმრთელდა ზექათის გადახდა მისთვის სავალდებულო გახდება. თუ პიროვნება ზრდასრულობის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდება და ეს მდგომარეობა 1 წელს გაგრძელდება იმ წლის სავალდებულო მოწყალება აღარ დაეკისრება, რადგან ასეთ დროს რელიგიური კანონების შესრულება არ ევალება. თუ აღნიშნული წლის განმავლობაში მცირე ხნით მაინც გამოჯანმრთელდა, მაგ. 1-2 დღე აღნიშნული პიროვნება ვალდებულია გახდება იმ წლის ზექათი გადაიხადოს. ეს იმამ მუჰამმედის შეხედულებაა. ებუ ისუფის აზრით კი ასეთ შემთხვევაში საჭიროა პიროვნებ წლის ნახევარზე მეტი ხნით იყოს ჯანმრთელ მდგომარეობაში.

გულწასვლა და კომა ზექათის ვალდებულებას არ აუქმებს, რადგან ასეთI მდგომარეობის დიდხანს გაგრძელება ნაკლებად სავარაუდოა.

2) ქონების ზღვრულ რაოდენობამდე მიღწევა.

სავალდებულო მოწყალების ვალდებულება რომ გაჩნდეს საჭიროა ქონების რაოდენობა ძირითადი საჭიროების და ვალების გარდა ისლამის მიერ დადგენილ ზღვრულ რაოდენობას ან მეტს აღწევდეს. ვისაც აღნიშული რაოდენობის ქონება არ გააჩნია სავალდებულო მოწყალების გაცემა არ ევალება.

ქონების ზღვრული რაოდენობა კი ნებისმიერი სახის საქონლისათვის წმ. შუამავლის მიერაა მითითებული. ეს მინიმალური რაოდენობა მაშინდელი სოციალური დონის და ცხოვრებისეული

სტანდარტების გათვალისწინებით იყო დადგენილი, რომელიც შემდეგში უცვლელად დარჩა. სწავლულთა ერთიანი აზრით ხილბოსტნეულის და მარცვლეულის გარდა სხვა ტიპის საქონლის ზექათისადმი დაქვემდებარებისათვის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა აუცილებელია.

ძირითად საჭიროებებში შედის შემდეგი სახის ქონება, რომელიც ზექათს არ ექმევდებარება.

1) საცხოვრებელი სახლი, ბაღი, ბოსტანი, ყანა და სხვ.

2) ცხენი და სხვა სატრანსპორტო, გამწევი თუ გადაზიდვის საშუალება. მაგ. ავტომობილი, ტრაქტორი, წყალსაქაჩი, ხელსაწყო-დანადგარები, სხვადასხვა დაზგები, ფაბრიკა, ქარხანა და სხვ.

3) ტანსაცმელი და სახლის ავეჯი. ხალიჩა, კარადა, მაცივარი, სარეცხი მანქანა და სხვა.

4) მეცნიერების საკუთრებაში არსებული კერძო ბიბლიოთეკა.

5) პიროვნების და მასზე დამოკიდებული ოჯახის სხვა წევრების ერთი წლის ძირითადი საჭიროებებისათვის განკუთვნილი ხარჯები.

6) ოქროს, ვერცხლის, ნაღდი ფულის და სავაჭრო საქონლის ის რაოდენობა, რომელიც ისლამის მიხედვით ზღვრულ რაოდენობას არ აღწევს.

3- ქონებას უნდა ჰქონდეს მატების თვისება

ქონება, რომელიც სავალდებულო მოწყალებას ექვემდებარება მატებადი უნდა იყოს. ამ ნიშნით ქონება ორ ნაწილად იყოფა:

1- პირდაპირი მატება. ამ კატეგორიაში შედის ისეთი საქონელი, რომელთა მატება ვაჭრობით, გამრავლებით და წარმოებითაა შესაძლებელი. ამიტომ ვაჭრობის მიზნით არსებული სხვადასხვა საქონელი და პირუტყვი სავალდებულო მოწყალებას ექვემდებარება. ეს ეხება მერძევე საქონელსაც.

2- არაპირდაპირი მატება. ეს არის ქონება, ანუ ძვირფასეულობა, რომელსაც აქვს თვისება იმატოს. მაგ. ფული, ოქრო და ვერცხლი ამ კატეგორიაში შედის. მათი ვაჭრობაში გამოყენებით შესაძლებელია მატება. ამიტომ ნაღდი ფულის, ოქროს და ვერცხლის სამკაულების რაოდენობა შესაბამის ზღვარს რომ მიაღწევს სავალდებულო მოწყალებას დაექვემდებარება.

მეცნიერების საკუთრებაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ან ხელოსანთა ხელსაწყოები სავალდებულო მოწყალებას არ ექვემდებარება.

დაკარგული და წლების შემდეგ ნახული ქონება სავალდებულო მოწყალებას არ ექვემდებარება. იგივე ეხება ზღვაში ჩაძირულ და დაკარგულ ქონებას. ასეთ შემთხვევაში ქონება მის ნამდვილ მფლობელს ეკუთვნის, მაგრამ ის რეალურად არ არის მის ხელში და მისი გამოყენება არ შეუძლია, ამიტომ სავალდებულო მოწყალებასაც არ გადაიხდის.

4.- ქონების სრული მნიშვნელობით მფლობელის განკარგულებაში ყოფნა.

ქონება, რომელიც სავალდებულო მოწყალების გაღებას ექვემდებარება საჭიროა მფლობელს ეკუთვნოდეს არამარტო კანონიერად, არამედ მის საკუთრებაში უნდა არსებობდეს და მფლობელს შეეძლოს მისი განკარგვა. მაგ. ადამიანს, რომელსაც ვალი აქვს მისაცემი, იმ ვალის საფასური ქონების ზექათს არ გადაიხდის, რადგან ქონება, რომელიც მის განკარგულებაშია სინამდვილეში მას არ ეკუთვნის.

ქონება, რომელიც შესყიდულია, მაგრამ ჯერ მფლობელს არ მიუღია სავალდებულო მოწყალებას ექვემდებარება. სავალდებულო მოწყალების გაღებას მგზავრობა ხელს არ უშლის.

ქონება, რომელსაც კონკრეტული მფლობელი არ ჰყავს სავალდებულო მოწყალებას არ ექვემდებარება. საერთო სარგებლობის ქონებაც ზექათის გაცემას არ საჭიროებს, რადგან ის მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად ეკუთვნით.

ქონება, რომელიც კანონიერ მფლობელს ეკუთვნის, მაგრამ რეალურად მის ხელში არ არის სავალდებულო მოწყალებას არ ექვემდებარება.

შაფის მიხედვით ნათხოვარი ქონება თუ მთხოვნელთან ერთ წელზე მეტ ხანს დარჩა ზექათის გადახდას დაექვემდებარება.

5- ერთი წლის გასვლა.

როგორც მარხვის და ჰაჯობის ღვთისმსახურება, სავალდებულო

მოწყალებაც მთვარის კალენდრის მიხედვითაა განსაზღვრული. ქონება ზღვრულ რაოდენობას რომ მიაღწევს, მას შემდეგ მთვარის კალენდრის მიხედვით ერთი წელიწადი უნდა გავიდეს, რომ ზექათი ფარზი გახდეს.

ებუ ჰანიფეს აზრით ამ მხრივ ქონება ორად იყოფა: ა) ნაღდი ფული, ოქრო, ვერცხლი და სავაჭრო საქონელი. ბ) მარცვლეული კულტურები, საბადო და განძეულობა. პირველი კატეგორიის ქონება ზღვრული რაოდენობის მიღწევის შემდეგ ერთი წლის გასვლას საჭიროებს, მაგრამ მეორე კატეგორიაში შემავალი საქონლისათვის ერთი წლის გასვლა აუცილებელი პირობა არაა. ეს უკანასკნელი ეხება ნათესებს და სავარგულებს. ხოლო მოსავალი რამოდენიმე თვეში შეიძლება მოვიდეს, ან ერთი წლის განმავლობაში რამოდენიმე მოსავალი მოვიდეს. ამ მდგომარეობაში კი ღარიბის მიერ ერთი წლის განმავლობაში ლოდინი მისთვის სულაც არ არსი ხელსაყრელი.

აღნიშნულ საკითხს იბნ ქუდამე შემდეგნაირად ხსნის: ცხოველების რაოდენობა ზღვრულ რაოდენობას რომ მიაღწევს სავალდებულო მოწყალებისადმი დაქვემდებარებისათვის ერთი წლის გასვლა აუცილებელია, რადგან ცხოველი შეიძლება ერთი წლის განმავლობაში შენახული იქნას რძისთვის, მატყლისთვის, გამრავლებისთვის და სხვ. ნაღდი ფული და სავაჭრო საქონელიც მოგების მიზნით შეიძლება იქნას შენახული. ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული ქონება იმატებს და ღარიბებისთვის ხანგრძლივ შემოსავლად იქცევა. რაც შეეხება მარცვლეულს და ხილ-ბოსტნეულს, სავალდებულო მოწყალების გაღებისას მათი ზრდა და მატება დასრულებულია. მათი შენახვა წონის და ხარისხის დაკარგვას იწვევს.

მოსავლის ზექათი ერთი მეათედით განისაზღვრება, ხოლო ისეთ ადგილბში სადაც მიწის მორწყვა აუცილებელია -ერთი მეოცედი. საბადოს შემთხვევაში ზექათის რაოდენობა ერთი მეხუთედიტ განისაზღვრება. თუმცა აღნიშნულ საქონელს თუ ვინმე ვაჭრობის მიზნით შეიძენს და შეინახავს, მაშინ ისიც სხვა სავაჭრო საქონლის კატეგორიაში განიხილება. ასეთი საქონლის რაოდენობა თუ ზღვრულ რაოდენობას მიაღწევს და ერთი წელი გავა ერთი მეორმოცედი ზექათის სახით უნდა გაიცეს.

ებუ ჰანიფეს შეხედულებით ადამიანის ხელით მოყვანილი მოსავალი, მაგ. ხორბალი, ქერი, ბრინჯი, საზამთრო, ბადრიჯანი, ჩაი, შაქრის ჭარხალი და სხვ. ზღვრულ რაოდენობის მიღწევას და წელიწადის გასვლას არ საჭიროებს და მოსავლის ერთი მეათედი ნაწილი სავალდებულო მოწყალების სახით გაიცემა. შესაბამისად,

სარწყავ ადგილებში მოსავლის ერთი მეოცედი გაიცემა.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით მოსავლის რაოდენობა თუ 653 კგ-ს არ აღწევს სავალდებულო მოწყალების გაცემას არ საჭიროებს. იგივე ეხება მოსავალს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში არ ძლებს.

ქონება, რომელიც ზექათის გადახდას ექვემდებარება წლის დასაწყისიდან ბოლომდე ზექათისათვის საკმარისი რაოდენობით უნდა იყოს.

მაგ. ვთქვათ, პიროვნებას რამადანის თვის პირველ დღეს ძირითადი საჭიროებების გარდა 300 გრ. ოქრო გააჩნია, ხოლო წლის ნახევარის გასვლის შემდეგ ოქროს რაოდენობამ 50 გრამამდე დაიწია, ან 400 გრამამდე აიწია, წლის ბოლოს კი ოქროს რაოდენობა 200 გრამი დაფიქსირდა. ამ სიტუაციაში პიროვნებამ 5 გრ. ოქრო ზექათის სახით უნდა გასცეს. თუ წლის ბოლოსთვის ოქროს რაოდენობა 80 გრამია მაშინ სავალდებულო მოწყალებას არ ექვემდებარება, რადგან ქონება მინიმალურ ზღვრულ რაოდენობამდე არ არის მიღწეული. თუმცა ამის გარდა თუ სხვა რამ გააჩნია, მაგ. ვერცხლი, ფული, სავაჭრო საქონელი რითაც დანაკლის ფასეულობის შევსება შეიძლება მაშინ მთლიანობაში ერთი მეორმოცედი ზექათის სახით უნდა გაიცეს.

თუ პიროვნებას წლის დასაწყისში 60 გრ. ოქრო აქვს, ხოლო წლის ბოლოსთვის 200 გრამამდე მოაგროვებს სავალდებულო მოწყალების გაღება არ ევალება. ან პირიქით, თუ პიროვნებას წლის დასაწყისში 200 გრ. ოქრო აქვს და წლის ბოლოს 60 გრამამდე შეუმცირდება ზექათს არ იხდის. თუ ათვლას იმ დღიდან დაიწყებს, როდესაც 80 გრ. ოქრო ექნება და ერთი წლის შემდეგ ისევ 80 გრ. ან მეტი ოქრო ექნება ზექათი სავალდებულოა.

იმამ ზუფერის აზრით წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე, მთელი წლის განმავლობაში ქონება სავალდებულო მოწყალებისათვის საკმარისი რაოდენობის უნდა იყოს.

შაფიის და ჰანბელი მიხედვით წლის დასაწყისიდან ბოლომდე, მტელი წლის განმავლობაში ქონების ზღვრული რაოდენობა აუცილებელია. თუ წლის მიმდინარეობის დროს ქონების რაოდენობამ ზღვარს ჩამოსცილდა ზექათს აღარ ექვემდებარება. თუ დაცემის შემდეგ ისევ ზღვრულ რაოდენობას თუ გადაცდა, ისევ ერთი წლის პერიოდი თავიდან დაიწყება.

წლის განმავლობაში ნამრავლი ცხოველები (ხბო, ბატკანი და სხვ.) და სავაჭრო საქონლის მოგება ძირითად ქონებასთან ერთად მოიანგარიშება.

მონაგები ქონება და ნამრავლი საქონელი ერთი წლის გასვლამდე ზექათს არ ექვემდებარება. მაგ. თუ პიროვნებას რამადანის თვის პირველ დღეს ზღვრული რაოდენობის ოქრო გააჩნია, წლის ბოლოს კი 300 გრ. ოქრო გაუხდა 7.5 გრ. ოქრო სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გასცეს. ხოლო თუ ორი დღის შემდეგ ოქროს რაოდენობა 400 გრამამდე აიწია დანამატ ოქროსთვის ახალი წლის ათვლა უნდა დაიწყოს.

6- ქონება ვალში გასაცემი არ უნდა იყოს.

ქონება, რომელიც სავალდებულო მოწყალების გადახდას ექვემდებარება ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. მფლობელს თავის ქონებაზე უნდა გააჩნდეს როგორც კანონიერი საკუთრების უფლება, ისე, ქონება რეალურად მის ხელში უნდა იყოს. ქონება არ უნდა იყოს აგრეთვე ვალში მისაცემი. „ფარულ ქონებად“ წოდებული ფული, ოქრო, ვერცხლი და სავაჭრო საქონელი სავალდებულო მოწყალებისადმი დაქვემდებარების თვალსაზრისით ვალების არსებობის შემთხვევაში იცვლება. ამის თაობაზე ისლამის სწავლულთა შორის აზრთა თანხვედრა არსებობს. რაც შეეხება „ღია ქონებად“ წოდებულ საქონელს, როგორებიცაა მოსავალი, შინაური ცხოველები და საბადოები ვალის ფაქტორის ზემოქმედების შესახებ ისლამის სწავლულთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ქონება, რომელიც მევალემ შეიძლება მოითხოვოს ზექათის ვალდებულებას არ ექვემდებარება. ვალი შეიძლება იყოს ნისიად ნაყიდი საქონლის საფასური, ან ნასესხები ფული, ან კიდე სხვისი თავდებობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება. მნიშვნელობა არ აქვს ვალის წარმოშობის მიზეზს, თუ ვალი არსებობს ჯერ ის უნდა იქნას გადახდილი. წინა წლებიდან დარჩენილი ზექათის ვალებიც იგივე კატეგორიაში განიხილება. ამ ვალების გასტუმრების შემდეგ არსებული ქონება ზღვრულ რაოდენობას თუ ვერ აღწევს სავალდებულო მოწყალების ვალდებულება არ ჩნდება. რაც შეეხება ისეთი ტიპის ვალებს, როგორიცაა შეპირებული ღვთისმსახურება, საჯარიმო გამოსასყიდი და ჰაჯობა ზექათის ვალდებულებაზე ვერ მოქმედებას, რადგან სხვა ადამიანები მას ვერ მოითხოვენ.

მაგ. თუ პიროვნებას 30 მისხალი ოქრო აქვს და ამავდროულად 12 მისხალი ოქროს საფასური გასასტუმრებელი ვალი მისი ქონება 18

მისხალად ითვლება. ეს კი ზღვრულ რაოდენობაზე ცოტაა, რადგან ზღვრული რაოდენობა 20 მისხალი ოქროა. (80 გრ.) შესაბამისად 18 მისხალისთვის ზექათის გადახდა საჭირო არ არის.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჯერ სხვათა მიმართ გასაცემი ვალი უნდა იქნას გადახდილი, ან ვალის შესაბამისი ღირებულების ქონება უნდა გამოიყოს. ისლამში სხვათა უფლებებს და ვალებს დიდი ყურადღება ექცევა. არსებობს ჰადისები, რომელტა მიხედვით წმ. შუამავალს არ სურდა ისეთი ადამიანების მიცვალებულის ლოცვის წინამძღოლობა, რომელის ვალს არ იხდიდა და სიკვდილამდე არც ვალის გასასტუმრებელი რაიმე დატოვა. ხალიფა ოსმანი თავისი მმართველობის დროს ბრძანებდა: „ეს თვე ზექათის გადახდის თვეა. ვისაც ვალი აქვს გაისტუმროს. შემდეგ კი ქონების სავალდებულო მოწყალება გაიღოს!“ ხალიფა ოსმანი ამ სიტყვებს წმ. შუამავლის თანამოღვაწე მეგობრების წინაშე ამბობდა და მისი სიტყვების წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

ჰანბელის მიხედვით ვალი ნებისმიერ საქონელზე მოქმედებს და მისი არსებობის შემთხვევაში ზექათის ვალდებულება აღარ არსებობს. გამომდინარე აქედან, უპირველესად ვალები უნდა იქნას გასტუმრებული და შემდეგ დარჩენილი საქონელი თუ სავალდებულო მოწყალებისათვის საკმარის მინიმალურ ზღვარს აღემატება აღნიშნული საქონელი ზექათის გადახდას დაექვემდებარება.

იმამ მალიქის აზრით ვალი მხოლოდ ნაღდ ფულზე მოქმედებს და მისი რაოდენობა თუ ზღვარს ქვემოთ დასცა ზექათის ვალდებულება აღარ იქნება. რაც შეეხება მოსავალს, შინაურ პირუტყვს და საბადოს მსგავს ქონებაზე ვალი არ მოქმედებს და ზექათის გადახდას ექვემდებარება.

იმამ შაფიის მიხედვით კი ვალი არცერთ საქონელზე არ მოქმედებს და მინიმალურ ზღვარს მიღწეული ნებისმიერი ქონებიდან, რომელზეც ზექათი ვრცელდება სავალდებულო მოწყალება უნდა იქნას გაცემული. მისი შეხედულებით ერთი ვალი მეორეს არ აუქმებს.

ბ) გასაცემი ზექათის სრულყოფილებისათვის საჭირო პირობები

1- განზრახვა

ზოგადად ყველა ღვთისმსახურების დროს განზრახვა აუცილებელი პირობაა. იგივე ეხება სავალდებულო მოწყალებასაც. ზექათი, ლოცვის მსგავსი ღვთისმსახურებაა, ამიტომ სხვა ნაფილე მოწყალების თუ ქველმოქმედებისგან მის განსასხვავებლად განზრახვაა საჭირო.

სავალდებულო მოწყალების უპოვარზე გადაცემისას, ან გასაცემი საქონლის განცალკევებისას გულში შესაბამისი განზრახვა უნდა გვქონდეს. განზრახვის სიტყვიერი დაფიქსირება, ანუ წარმოთქმა აუცილებელი არაა.

განზრახვა მოწყალების გაცემის პერიოდს უნდა ემთხვეოდეს, რადგან შეიძლება გასაცემი ქონება ადრე ერთიანად იქნას შეგროვებული და შემდეგ ცალკ-ცალკე სხვადასხვა პიროვნებებს და სხვადასხვა დროს გადაეცეს. ამიტომ გასაცემი საქონლის ცალკე გამოყოფისას განზრახვის ქონა საკმარისია. ეს ზექათის გამცემისათვის აღნიშნული ღვთისმსახურების გაიოლებაა.

სავალდებულო მოწყალებისათვის გამოყოფილი საქონელი რომ დაიკარგოს, ან მოპარულ იქნას ზექათის ვალდებულება არ უქმდება. მისი სამაგიეროს გადახდა აუცილებელია, რადგან დარჩენილი საქონლიდან ზექათისთვის საკმარისი ნაწილის გამოყოფა შესაძლებელია.

თუ პიროვნება განზრახვის გარეშე ღარიბს საქონელს გადასცემს და შემდეგ განზრახვას მოიწადნებს, თუ ის საქონელი ისევ იმ ღარიბის მფლობელობაშია მაშინ მისი განზრახვა მიღებულია. ხოლო თუ საქონელი იმ ღარიბის ხელიდან გასულია საქონლის გამცემის განზრახვა ქმედითად აღარ ჩაითვლება. თუ პიროვნება სხვისი ქონებიდან, სხის მაგივრად სავალდებულო მოწყალებას გასცემს, სანამ ქონება მიმღების საკუთრებაშია მანამდე საქონლის პატრონის ნებართვა თუ გაცემულ იქნა სავალდებულო მოწყალება, როგორც ღვთისმსახურება ჩათვლილია.

სავალდებულო მოწყალების გაცემისას საჭიროა საქონლის მფლობელის განზრახვა და არა თავდების. ამიტომ საქონლის მფლობელმა ნდობით აღჭურვილ პირზე ქონების გადაცემისას, ან არაუგვიანეს ნდობით აღჭურვილი პირის მიერ ღარიბზე ქონების გადაცემისას განზრახვა უნდა გაივლოს გულში, ან სიტყვიერად დააფიქსიროს. ნდობით აღჭურვილი პირის განზრახვა არ არის საკმარისი. ნდობით აღჭურვილი პირი შეიძლება იყოს როგორც მუსლიმანი, ისე ქრისტიანი, ან იუდაიზმის მიდევარი.

პიროვნებას, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს სავალდებულო მოწყალების გაცემა და ამისათვის ცალკე საქონელი არ აქვს გამოყოფილი, მაგრამ დრო და დრო ღარიბებს რაღაცაებს ჩუქნის თუ გონებაში შესაბამისი განზრახვა არ აქვს ზექათის გაცემაში არ ჩაეთვლება. თუმცა ღარიბის შეკითხვაზე , „ამას რისთვის მაძლევ?“ თუ დაუფიქრებლად შეუძლია უპასუხოს „გაძლევ, როგორც სავალდებულო მოწყალებას“ მისის განზრახვა მიღებულია და შესაბამისად გაცემული საქონელიც ზექათში ჩაეთვლება.

გარდა ამისა, თუ პიროვნება გარკვეული ხნის განმავლობაში ღარიბებზე გარკვეული რაოდენობის საქონელს გასცემს, ბოლოს კი გადაწყვეტს გაცემული საქონელი ზექათის ჩარჩოებში მოაქციოს მისი განზრახვა საკმარისი აღარ იქნება, რადგან მანამდე რაც გასცა ეთვლებოდა, როგორც ნაფინე ღვთისმსახურება და შემდეგ მისი ფარზ ღვთისმსახურებად გადაკეთება მიუღებელია.

თუ პიროვნება მთელ თავის ქონებას სავალდებულო მოწყალების განზრახვის გარეშე ქველმოქმედების სახით გასცემს ისთიჰსანის გზით ზექათის ვალდებულება უქმდება. აღნიშნულ შემთხვევაში შეპირების, ან საჯარიმო გამოსასყიდის განზრახვა არ უნდა დაფიქსირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ამ უკანასკნელი განზრახვის შესაბამისად იქნება გაცემული ზექათის ვალდებულება ვალად დარჩება.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით განზრახვის გარეშე მთელი ქონების ღარიბებზე გაცემის შემთხვევაში სავალდებულო მოწყალების ვალდებულება არ იხსნება, რადგან ფარზი ღვთისმსახურებისთვის შესაბამისი განზრახვა არ ყოფილა. ეს მდგომარეობა შედარებულია ასი მუხლი ლოცვის ლოცვის შემთხვევაზე, რომლის დროსაც ფარზი ღვთისმსახურებისთვის განზრახვა არ ახლავს თან.

თუ პიროვნება სავალდებულო მოწყალებას დაქვემდებარებული ქონების ნაწილს თუ ღარიბზე გასცემს გაცემული ქონების ნაწილის ზექათი ეხსნება. გამომდინარე აქედან, თუ მდიდარს ღარიბისგან ასაღები ვალი აქვს და აჩუქებს, იმ რაოდენობის ქონების ზექათისგან თავისუფლდება. ამ შემტხვევაში განზრახვა მნიშვნელოვანი არაა და შედეგს არ ცვლის, რადგან აღნიშნული მდგომარეობა კონკრეტული ქონების არარსებობის მდგომარეობას გავს. იმ რაოდენობის ქონება რომ არ ჰქონოდა, ზექათის ვალდებულებაც არ ექნებოდა.

მაგ. თუ მდიდარს ღარიბისგან 400 გრ. ოქრო აქვს ასაღები და

მთლიანად აჩუქებს, მის მიერ 400 გრ. ოქროს შესაბამისი სავალდებულო მოწყალება 10 გრ. ოქრო როგორც სავალდებულო მოწყალება გადახდას აღარ ექვემდებარება.

გარდა ამისა, თუ პიროვნება მდიდრისგან ასაღებ ვალს აჩუქებს არც იმ და არც სხვა ქონების ზექათის ვალდებულებისაგან არ თავისუფლდება.

2-მფლობელობაში გადაცემა

სავალდებულო მოწყალების გაცემისას მეორე აუცილებელი პირობაა მიმღები კონკრეტული საქონლის სრული მფლობელი გახდეს. გამომდინარე აქედან, ღარიბის დაპატიჟება და გამასპინძლება სავალდებულო მოწყალებაში არ ჩაითვლება. ეს მხოლოდ ნაფილე ქველმოქმედება იქნება. სავალდებულო მოწყალება ფსიქიკურად ავადმყოფზე და ბავშვზე არ გადაიცემა. თუმცა მათი სახელით მშობლებზე, ან მეურვეებზე გადაცემა მისაღებია.

გ) სავალდებულო მოწყალების ვალდებულების წარმოშობა და გადახდის დრო

ძირითად საჭიროებებზე მეტი ქონება, რომელიც ზღვრულ რაოდენობას მიაღწევს და რომელზეც სავალდებულო მოწყალების გადახდა ვრცელდება ერთი წლის გასვლის შემდეგ ზექათი უნდა გაიცეს. სავალდებულო მოწყალების გაცემის დაგვიანება სასურველი არ არის. საქონლის პატრონი, რომელსაც სავალდებულო მოწყალების გაცემა ევალება და დროის მოსვლის მიუხედავად საპატიო მიზეზის გარეშე არ გასცემს ცოდვილი გახდება. ამით იმ ღარიბის უფლება ირღვევა, რომელმაც ის უნდა მიიღოს და გამოიყენოს. სავალდებულო მოწყალება ღარიბის საჭიროებების დაკმაყოფილებისთვისაა ფარზი. დაგვიანების შემთხვევაში კი ღვთისმსახურება სრულყოფილად შესრულებული აღარ იქნება.

სავალდებულო მოწყალების გადახდის დრო საქონლის სახეობებიდან გამომდინარე იცვლება.

ა- ოქროს, ვერცხლის, ფულის, სავაჭრო საქონლის და პირუტყვის ზექათი წელიწადში ერთხელ, მთვარის კალენდრის მიხედვით საქონლის ზღვრული რაოდენობის მიღწევიდან ერთი წლის შევსების შემდეგ უნდა იქნას გადახდილი.

ბ- მარცვლეული კულტურები და ხილი თუ წლის განმავლობაში ერთზე მეტჯერ იძლევა მოსავალს ერთი წლის გასვლა საჭირო

აღარ არის. ებუ ჰანიფეს შეხედულებით საქონლის ზღვრულ რაოდენობამდე მიღწევაც არ არის აუცილებელი პირობა. სწავლულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია საქონლის რაოდენობამ მინიმალურ ზღვარს მიაღწიოს.

ებუ ჰანიფეს და იმამ ზუფერის შეხედულების თანახმად მოსავლის დამწიფებისას, როდესაც მისი გაფუჭება საშიში აღარ არის ზექათის გაცემა სავალდებულოა. ებუ იუსუფის აზრიტ მოსავლის აღების დროს ზექათის გაცემა სავალდებულო ხდება.

შაფიის და ჰანბელის მიხედვით მარცვლეულის გამაგრების და ხილის დამწიფებისთანავე ქექათის გაცემა ფარზი ხდება.

გ- თაფლი შესაბამის რაოდენობას რომ მიაღწევს სავალდებულო მოწყალებას ექვემდებარება. იგივე ეხება საბადოსაც.

პიროვნება, რომელსაც სავალდებულო მოწყალებისადმი დაქვემდებარებული საკმარისი რაოდენობის საქონელი გააჩნია, შეუძლია თავისი სურვილისამებრ ერთი წლის გასვლამდე მოწყალება გასცეს. წმ. შუამავლის დროს ზექათის ამგვარად ადრე გაცემის შემთხვევა დაფიქსირებულა და წმ. შუამავალს საამისოდ ნებართვა გაუცია. ზექათის გაცემის წლის ბოლოსთვის გადადება მოწყალების გამღებთა მიმართ დაშვებული შეღავათია. თუ მოწყალების გამცემის სურვილი იქნება მოწყალების ადრე გაცემით ღარიბს ადრე ექნება საქონლით სარგებლობის საშუალება. ეს სიტუაცია ვალის დროის მოსვლამდე გადახდას გავს.

მალიქის და ზაჰირის მიხედვით წლის გასვლამდე ზექათის გაცემა მიღებული არ არის. შესაბამისად ზექათის დროზე ადრე გაცემა საკმარისი არ არის.

დ- ღია და ფარული საქონელი

საქონელი, რომელიც სავალდებულო მოწყალების გადახდას ექვემდებარება გარკვეული თვისებებიდან გამომდინარე შეიძლება დაიყოს ღია და ფარულ საქონლად. ამ ორი ტერმინის შემოღება მაშინ გახდა საჭირო, როდესაც ზექათს სახელმწიფო თავად აგროვებდა.

1- ღია საქონელი

ამ კატეგორიაში შედის საქონელი, რომელიც ჩანს და მისი დამტკიცება შესაძლებელია. ესენია: მოსავალი კულტურები, პირუტყვი

და საბადო. ფარულ საქონლად კი ოქრო, ვერცხლი, ფული და სავაჭრო საქონელი ითვლება.

სავალდებულო მოწყალების მოკრება სახელმწიფოს შეუძლია. ამის მტკიცებულება შემდეგია:

خُذْ مِنْ اَمْوَالِهِمْ صَدَقَةً تُطَهِّرُهُمْ وَتُزَكِّيْهِمْ بِهَا وَصَلِّ عَلَيْهِمْ اِنَّ صَلٰوتَكَ سَكَنٌ لَهُمْ وَاللّٰهُ سَمِيْعٌ عَلِيْمٌ

اَلَمْ يَعْلَمُوا اَنَّ اللّٰهَ هُوَ يَقْبَلُ التَّوْبَةَ عَنْ عِبَادِهٖ وَيَاْخُذُ الصَّدَقَاتِ وَاَنَّ اللّٰهَ هُوَ التَّوَّابُ الرَّحِيْمُ

აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია!

ნუთუ არ უწყიან ეგენი, უეჭველად, ალლაჰი შეიწყნარებს მონანიებას თავის მსახურთაგან და მიიღებს მათგან მოწყალებას? უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!„ თევბე 9/103-104. „

სანამ წმ. შუამავალი ცოცხალი იყო ზექათი მას, ან სპეციალურად ამ საქმით დაკავებულ სახელმწიფო მოხელეებს გადაეცემოდა. ხალიფა აბუ ბაქარის დროსაც ზექატს სახელმწიფო მოხელლები კრებდნენ. იგივე მეორდებოდა ხალიფა ომარისა და ოსმანის მმართველობის დროსაც. შემდეგ კი მოსახლეობის აზრი ორად გაიყო. ზოგნი ისევ სახელმწიფო მოხელეებს აბარებდნენ ზექათს, ზოგმა კი დამოუკიდებლად დაიწყეს სავალდებულო მოწყალების გაღება.

ხალიფა ოსმანის მმართველობის შემდეგ სახელმწიფო მოსავალს, საბადოს და პირუტყვის ზექათს აგროვებდა. ამ კატეგორიის საქონლის მოწყალებად გასაცემი ნაწილის გამოანგარიშება შემდეგნაირად ხდება.

ა- ადამიანის ხელით ნათესი კულტურებიდან, რომელიც წვიმის საშუალებით ირწყვება 1/10 (ერთი მეათედი) სავალდებულო მოწყალებას ექვემდებარება.

ბ- ნათესი, რომელსაც მორწყვა, განოყიერება და მსგავსი ხარჯები სჭირდება მოწყალების სახით 1.20 (ერთი მეოცედი) გაიცემა.

გ- მიწისქვეშა წიაღისეული, მადნეული, ნავთობი და მსგავსი, აგრეთვე განძი 1/5 (ერთი მეხუთედი) მოწყალების სახით გაიცემა.

დ- რაც შეეხება პირუტყვს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 1/30, თხა, ან ცხვარი 1/40. აქლემის შემთხვევაში ყოველ 5 აქლემზე

1 ცხვარი მოწყალების სახით უნდა გაიცეს. რაც შეეხება ცხენს, ყოველ ერთ ცხენზე 1 დინარი. (4 გრამიანი ოქროს ფული)

ამათ გარდა არსებული საქონელი, ეს იქნება ოქრო, ვერცხლი, ფული, სავაჭრო საქონელი და სხვ. ხალიფა ოსმანის შემდეგ პირადად მფლობელების მიერ გაიცემოდა.

2- ფარული საქონელი.

ამ კატეგორიაში შედის ფარული საქონელი, ან ისეთი საქონელი, რომელიც შეიძლება სახელმწიფო მოხელლებს დავუმალოთ. მათი რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა თითქმის შეუძლებალია. ამ კატეგორიაში შედის ნაღდი ფული, ოქრო, ვერცხლი, სამკაულები, სხვა ძვირფასეულობა და სავაჭრო საქონელი. მაგ. თუ მანდილოსანმა თავისი სამკაულები დამალა და ზექათის ამკრებ მოხელეს არ აჩვენა მათი აღმოჩენა და დათვლა უკიდურესად გართულდება. ამიტომ ფარული საქონლის ზექათი საქონლის მფლობელთა კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული და სახელმწიფო კონტროლს აღარ აწარმოებს.

ხალიფა ოსმანის მმართველობის პერიოდის ჩათვლით ორივე კატეგორიის საქონლის ზექათი სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელეების მიერ იკრიბებოდა. გაიზარდა სახელმწიფო შემოსავლები. ამავდროულად გაძნელდა ფარული საქონლის ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა და შესაბამისად ზუსტი მოსაკრებელის აგროვება. ამიტომ ხალიფა ოსმანმა ფარული საქონლის ზექათი მფლობელების კეთილსინდისიერებაზე დატოვა. ამ შემთხვევაში საქონლის მფლობელები სახელმწიფოს მმართველის ნდობით აღჭურვილ პირებად მოიაზრებოდნენ და მათ უფლება მიეცათ თავად განესაზღვრად საჭიროების მქონე ადამიანები და სავალდებულო მოწყალება მიეცათ. საიდ იბნ იაზიდის გადმოცემით ხალიფა ოსმანი მინბერიდან ხალხს ეუბნებოდა: „ეს თვე სავალდებულო მოწყალების გაცემის თვეა. ვისაც ზექათის ვალი აქვს გასცეს.“

ეს მეთიდი ხალიფა ოსმანის შემდეგ საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ისლამურ სახელმწიფოს, თუ საჭიროდ ჩათვლის ფარული საქონლის ზექათის მოკრების უფლება გააჩნია. ღია საქონლის შემთხვევაში ზექათის სახელმწიფოს მხრიდან მოკრება უფრო მისაღებია.

III-საქონელი, რომელიც სავალდებულო მოწყალების გაღებას ექვემდებარება

არსებობს ხუთი სახის საქონელი, რომლებზეც სავალდებულო მწყალების გაცემა ვრცელდება და როგორც ღვთისმსახურება ფარზია. ესენია: ოქრო, ვერცხლი და ფული, საბადო და საგანძური, სავაჭრო საქონელი, მოსავალი კულტურები და პირუტყვი. ქვემოთ თითოეულ მათგანს განვიხილავთ.

ა) ოქრო, ვერცხლი და ფული

1) ოქროს და ვერცხლის ზღვრული რაოდენობა

ოქროს ზღვრული რაოდენობა 20 მისხალია, ხოლო ვერცხლისა -200 დირჰემი. ძირითადი საჭიროებების და ვალების გარდა თუ პიროვნებას ოცი მისხალი ოქრო, ან ორასი დირჰემი ვერცხლი, ან მათი საფასური ფული, ან სავაჭრო საქონელი გაჩნია და ამ მდგომარეობაში ერთი წელი გავა აღნიშნული საქონელი სავალდებულო მოწყალებას ექვემდებარება. აღნიშნული საქონლის შემტხვევაში გასაცემი წილი ერთი მეორმოცედია, ანუ 2.5 პროცენტი.

20 მისხალი = 80 გრამს.

200 დირჰემი = 560 გრამს.

გამომდინარე აქედან ოქროსთვის ზღვრული რაოდენობა 80 გრამია, ხოლო ვერცხლისთვის- 560 გრ. ამ ორი ფასიანი ლითონის შედარებისას ზოგიერთ ქვეყანაში ფასთა სხვადასხვაობა ფიქსირდებოდა. ამიტომ ისლამის სწავლულთა აზრით საჭიროა კნკრეტული ქვეყნის ფასები იქნას გათვალისწინებული. მაგ. ოსმალეთის იმპერიაში 20 მისხალი ოქრო 96 გრამს უდრიდა, ხოლო 200 დირჰემი ვერცხლი -640 გრამს. ამიტომ სავალდებულო მოწყალებაც შესაბამისი საზომების მიხედვით გაიცემოდა.

ოქროსა და ვერცხლის ზღვრული რაოდენობა ჰადისებითაა განმტკიცებული.

წმ. ალის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: „ოქროსთვის ოც დინარამდე არაფერია გადასახადი. თუ ოცი დინარი გექნება და ასე ერთი წელი გავა ნახევარი დინარი სავალდებულო მოწყალების სახით გაეცი!“

წმ. ომარის მიერ გადმოცემულ ჰადისშიც იგივე რაოდენობაა დაფიქსირებული: „ოც მისხალზე ნაკლები ოქროსთვის ზექათი არ არსებობს!“

აბდულლაჰ იბნ ომერი და წმ. ალი გადმოგვცემენ, რომ: „წმ. შუამავალი ყოველი ოცი დინარისთვის ნახევარ დინარს, ხოლო ორმოცი დინარისთვის ერთ დინარ ზექათს იღებდა.“

წმ. ალის გადმოცემით წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ცხენისა და მონის ზექათი მიპატიებია. ყოველ ორმოც დირჰემზე ერთი დირჰემი მოწყალებად გაეცით. 199 დირჰემისთვის ზექათი არ არსებობს, მაგრამ თუ ვერცხლი ორას დირჰემს მიაღწევს ხუთი დირჰემი მოწყალების სახით გაცემაა საჭირო!“

იბნი ომერი და წმ ალი გადმოგვცემენ, რომ შუამავლის თანამოღვაწე მეგობრებისგან 200 დირჰემი ვერცხლისათვის უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს.

ებუ ჰანიფეს შეხედულებით თუ ოქროს რაოდენობა 20 მისხალს გადაცდება და გადაცილებული რაოდენობა 4 მისხალამდე არ აღწევს აღნიშნულ 20 გრამზე მეტი ოქრო ცალკე ზექათს არ ექვემდებარება. იგივე ეხება ვერცხლსაც. თუ ვერცხლის რაოდენობამ ზღვრულ საზომს მიაღწია, ანუ 200 დირჰემი შეადგინა, გადაცილებული ერცხლი მის მეორმოცედს, ანუ 40 დირჰემს უნდა შეადგენდეს, რომ ცალკე ზექათს დაექვემდებაროს. თუმცა ორივე ფასეულობის შემთხვევაში, მფლობელს თუ სხვა სავაჭრო საქონელი გააჩნია მათთან ერთად მოიანგარიშება. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ვერცხლის ზექათი ორმოცში ერთი გადაიხადეთ! , მაგრამ ოქროსა და ვერცხლის ზღვრულ რაოდენობაზე მეტი რაოდენობა რომ შეიკრიბოს და ან, 4 მისხალ ოქროს, ან 40 დირჰემ ვერცხლს უდრიდეს ამ უკანასკნელისთვისაც ცალკე ერთი მეორმოცედი უნდა გაიცეს.

ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით ოქრო და ვერცხლი ზღვრულ რაოდენობას რომ გადაცდება მთელი ღირებულების 2.5 პროცენტ სავალდებულო მოწყალების გაცემას ექვემდებარება. ზღვრულ რაოდენობაზე გადაცილებული საქონელი ცოტაც რომ იყოს 2.5 პროცენტის გადახდას ექვემდებარება.

მაგ. თუ პიროვნებას 239 გრამი დირჰემი ვერცხლი აქვს ებუ ჰანიფეს მიხედვით მხლოდოდ 20 გრამის ზექათს იხდის, ხოლო ზედმეტი 39 დირჰემისთვის ზექათის გადახდა საჭირო არ არის.

ასეთი დანამატი სანამ 40-ს არ მიარწევს ზექათი არ ეხება. სხვა იმამების შეხედულებით კი 239 დირჰემი ვერცხლისთვის მთელი რაოდენობის 2.5 პროცენტია გადასახდელი. ან კიდევ, თუ პიროვნებას 270 დირჰემი ვერცხლი აქვს ებუ ჰანიფეს შეხედულებით 240 გრამი ვერცხლისთვის 6 დირჰემს გადაიხდის, ხოლო დარჩენილი 30 დირჰემს ზექათი არ ეკუთვნის. სხვა მიმდინარეობების მიხედვით კი 270 გრამ ვერცხლს მთლიანი რაოდენობის 2.5 პროცენტი ზექათი ეკუთვნის.

იგივე ეხება ოქროსაც. ზღვრული რაოდენბის შემდეგ ყოველ 4 მისხალზე ცალკე ზექათი გაიცემა.

ოქროსა და ვერცხლის ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში მისაღებია არა ფასი, არამედ წონა. ამის თაობაზე ისლამის სწავლულთა მხრიდან აზრთა თანხვედრა არსებობს.

მაგ. თუ ოქროსგან დამზადებული ვაზა 80 გრამზე ნაკლებს იწონის, მაგრამ ფასით გაცილებით მეტი ღირს სავალდებულო მოწყალების გადახდას არ ექვემდებარება. თუ მფლობელს აღნიშნული ვაზას გარდა სხვა საქონელიც გააჩნია და მათი შეკრების საფუძველზე ზღვრულ რაოდენობას ასცდა მდგომარეობა შეიცვლება და საქონელი ზექათის გადახდას დაექვემდებარება.

საქონელს, რომელსაც პროცენტი არ ეხება და წონით, ან ზომით იყიდება სავალდებულო მოწყალების გაცემისას ფასი უნდა იქნას გათვალისწინებული. წინა და რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება. გამომდინარე აქედან, პიროვნებას, რომელსაც ორი საშუალო სიდიდის ცხვარი ევალება როგორც გასაცემი ზექათი შეუძლია მათი ღირებულების ფული, ან ერთი ორივეს ფასის დიდი ცხვარი გაიღოს.

მაგრამ საქონელს, რომლის პროცენტებად დაყოფა შესაძლებელია სხვა ფასის მქონე იგივე საქონელი ვერ ჩაანაცვლებს. მაგ. ხუთი კგ. ნაკლებად ხარისხიანი ხორბლის მაგივრად ოთხი კგ. ხარისხიანი ხორბლის გაცემა მიუღებელია. ან კიდევ, ორი მისხალი ოქროს მაგივრად იგივე ფასის ოქროს ერთმისხალიანი ნაკეთობა არ გაიცემა. ამ შეხედულებას ებუ ჰანიფესთან ერთად ებუ იუსუფი და იმამი მუჰამმედიც იზიარებენ. იმამი ზუფერი კი მიიიჩნევს, რომ მსგავსი რამ დასაშვებია, რადგან მათი ფასი ერთნაირია და ღმერთსა და მონას შორის პროცენტი არ არსებობს.

2) სამკაულების და ძვირფასი ნივთების ზექათი

ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, სხვადასხვა ნივთები თუ ჭურჭელი ზღვრული რაოდენობის მიღწევის შემდეგ ზექათის გადახდას ექვემდებარება. ოქრო და ვერცხლი მატებადი საქონელია და ისინი მუდამ სავაჭრო საქონლად ითვლებოდნენ. გარდა ამისა ეს მეტალები თავად წარმოადგენენ ფასს. ამიტოომ ოქროსა და ვერცხლის მფლობელს სავალდებულო მოწყალების გაღება ევალება.

ჰანეფის მიხედვით ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული სამკაულები სავალდებულო მოწყალების გაცემას ექვემდებარება. მაგ. თუ ოქროს, ან ვერცხლის სამკაულები ზღვრულ რაოდენობას მიაღწევს მფლობელი ვალდებულია აღნიშნული საქონლის ზექათი გადაიხადოს. ზღვრული რაოდენობა ოქროს შემთხვევაში 80 გრამია, ხოლო ვერცხლის შემთხვევაში 560 გრამი. თუ პიროვნების ოქროს სამკაულების წონა 80 გრამს აღწევს და ამ მდგომარეობაში ერთი წელი გავიდა მფლობელი ვალდებულია აღნიშნული საქონლის ფასის ერთი მეორმოცედი, ანუ 2.5 პროცენტი გასცეს როგორც სავალდებულო მოწყალება.

არსებობს ვარაუდი, რომლის თანახმადაც აბდულლაჰ იბნ ომერი თვის ქალიშვლების და მოახლეებისთვის გაკეთებული სამკაულებისთვის ზექათს არ გასცემდა, ხოლო სავაჭროდ და საჭიროებისთვის შენახული ძვირფასეულობის ზექათს იხდიდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს წინას და არა ფასს.

მანდილოსნებისათვის განკუთვნილი სამკაულები რამდენად ექვემდებარება ზექათს ამის შესახებ ისლამის სწავლულთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. თუმცა ისინი ქვემოთ მოცემულ საკიტხებზე თანხმდებიან.

ა- ოქროსა და ვერცხლის გარდა სხვა ძვირფასი ქვებისთვის, მაგ. ზურმუხტი, ალმასი, იაგუნდი და სხვ. ზექათის გადახდა სავალდებულო არ არის.

ბ- ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, რომლებსაც მამაკაცები ატარებენ და მათი ტარება მამაკაცებისთვის რელიგიურად მიუღებელია ზექათის გადახდას საჭიროებს.

ებუ ჰანიფეს და ებუ იუსუფის შეხედულებით ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ვაზები, ჭურჭლები და სხვა ზღვრულ რაოდენობას მიღწევის შემდეგ ზექათის გადახდას ექვემდებარება და გაითვა-

ლისწინება არა მათი ფასი, როგორც ნაკეთობების, არამედ -წონა.

3) საქონლის ზღვრული რაოდენობის შევსება

ოქრო, ვერცხლი, ფული და სავაჭრო საქონელი ზღვრული რაოდენობის შევსებისათვის ერთიმეორეს ემატება. გამომდინარე აქედან, თუ პიროვნებას გარკვეული რაოდენობის ოქრო, ვერცხლი, სავაჭრო საქონელი გააჩნია და მათი ჯამი რომელიმე ზღვრულ რაოდენობას უტოლდება, მაგ. 80 გრამ ოქროს ერთი მეორმოცედი ნაწილი ზექათის სახით უნდა გაიღოს.

ებუ ჰანიფეს შეხედულებით საქონლის ერთიმეორეზე მიმატება ფასის გათვალისწინებით ხდება, ხოლო ებუ იუსუფი და იმამი მუჰამმედის აზრით ყურადღება შედგენილობას ექცევა.

იმამ შაფიის აზრით ოქროს და ვერცხლის ერთიმეორეზე დამატება მიუღებელია, რადგან შედგენილობით სხვადასხვაა.

4) შერეული ლითონის ზექათი

ოქრო, ან ვერცხლი შეიძლება ერთიმეორეში, ან სხვა ლითონში იყოს გარეული.

თუ ოქრო, ან ვერცხლი სხვა ლითონშია გარეული, თუ ოქრო მეტია ოქროს კატეგორიაში შედის, თუ ვერცხლი მეტია- ვერცხლის კატეგორიაში. თუ შერეული სხვა ლითონი ნახევარზე მეტია, დარჩენილი ოქროს , ან ვერცხლის რაოდენობა თუ ზღვრულ რაოდენობას უტოლდება ზექათს ექვემდებარება. თუ ზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებია საჭიროა სხვა საქონელს დაემატოს და ამგვარად თუ ზღვრულ რაოდენობას მიაღწევს ზექათს დაექვემდებარება.

ოქროსა და ვერცხლის ერთიმეორეში შერევის შემთხვევაში საჭიროა გამოკვლევა. თუ ოქრო ზღვრულ რაოდენობას აღწევს, ან ორივე ერთად ზღვრული რაოდენობისაა, ხოლო თუ ოქრო ვერცხლის ტოლი, ან მეტია ყველა ოქროდ ითვლება და ზექათის შესაბამისად გაიცემა. ასეთ შემთხვევაში თუ ოქრო ზღვრულ რაოდენობას ვერ აღწევს და ვერცხლი ოქროზე მეტია მთლიანად ვერცხლად ითვლება და შესაბამისად ვერცხლის ზექათს გადაიხდის.

5) ქაღალდის ფულის ზექათი

ქაღალდის და მეტალის ფული ოქროსა და ვერცხლის ფულის მაგივრად გამოიყენება. შესაბამისად მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის შესაბამისი რაოდენობის ოქრო სახელმწიფო ბანკში ინახება. ქარალდის ფული 17-ე საუკუნეში ევროპაში ოქროს ფულის შემცვლელად დაიბეჭდა. ოქროს ფული გამოსაყენებლად, შესანახად და სატარებლად საკმაოდ მოუხერხებელი იყო, ამიტომ არჩევანი ქაღალდის ფულზე შეჩერდა, რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ იოლი მოსახმარი იყო.

მეოცე საუკუნეში ქარალდის ფულის სანაცვლო რაოდენობის ოქროს ბანკში შენახვა თანდათან არაპოპულარული გახდა. 20-საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმოქცევაში არსებული ფული სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე გახდა დამოკიდებული.

ქაღალდის ფულის ოქროზე, ან ვერცხლზე გადაცვლა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. გამომდინარე აქედან ქაღალდის ფული რომ ზღვრულ რაოდენობას მიარწევს ოქროსა და ვერცხლის მსგავსად ერთი მეორმოცედი ზექათის სახით უნდა გაიცეს. სწავლულთა უმრავლესობის შეხედულება ესაა.

ფულის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ბევრი სწავლულის აზრით საზომად ვერცხლი უნდა იქნას აღებული, მაგრამ საზომად ოქროს აღება უფრო მისაღებია, რადგან ვერცხლმა დროთა განმავლობაში ფასი დაკარგა, მაგრამ ოქრო ისევ და ისევ ძლიერი კურსს ინარჩუნებს. ამიტომ თუ პიროვნებას 80 გრამი ოქროს შესასყიდად საკმარისი ფული თუ აქვს და ამ მდგომარეობაში ერთი წელი გავიდა ფულის 2.5 პროცენტი სავალდებულო მოწყალების სახით გასცა.

ოქროსა და ვერცხლს თავად ჰქონდა ფასი, მაგრამ ქაღალდის ფულის თავისი ფასი ძალიან დაბალია. მისი ფასი მისი მსყიდველობითი უნარით უნდა განისაზღვროს.

6)ხელფასის, სხვა ანაზღაურების და თავისუფალი შემოსავლების ზექათი

თუ პიროვნება ჩვეულებრივ სამსახურში მუშობს და თვეში შესაბამის ანაზღაურებას იღებს ჩვენ ამას ხელფასს ვუწოდებთ. თუ პიროვნება გარკვეული ფულის სანაცვლოდ გარკვეულ სამუშაოს

შეასრულებს ეს სხვა ანაზრაურების კატეგორიაში იქნება განხილული. რაც შეეხება თავისუფალი შემოსავლების მქონე პიროვნებას, ჩვენ ამას ადვოკატის, ბუღალტრის და მსგავსი დროებითი სამუშაოს შემსრულებელ პიროვნებას ვუწოდებთ.

ყველა აღნიშნული კატეგორიის შემოსავლის მქონე ადამიანი, რომელსაც ძირითადი საჭიროებების და ვალების გარდა ზღვრული რაოდენობის ფული დაუგროვდება და ამ მდგომარეობაში ერთი წელი გავა ვალდებულია 2.5 პროცენტი სავალდებულო მოწყალების სახით გასცეს. თუ ასეთ პიროვნებას სხვა ზექათვალდებული ქონებაც გააჩნია წლის ბოლოს ყველა ერთად უნდა იქნას დაანგარიშებული და შესაბამისი რაოდენობის სავალდებულო მოწყალება უნდა გაიცეს.

7) ასაღები ფულის ზექათი

სხვის სარგებლობაში მყოფი ზღვრულ რაოდენობას მიღწეული ასაღები ფულის სავალდებულო მოწყალებისადმი დაქვემდებარება შემდეგ სამ კატეგორიაშია განხილული:

1- საიმედო ასაღები; ეს არის გასესხებული ფული, ან ნისიად გაცემული სავაჭრო საქონლის ასაღები. თუ ასეთი ვალის არსებობას მევალე აღიარებს და შესაბამისი საბუთით მისი დამტკიცება შესაძლებელია მაშინ ასაღები საიმედოდ ითვლება. მათი აღების შემდეგ გასული წლების ზექათი გაიცემა.

საიმედო ასაღები, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იგივე მდგომარეობაში დარჩა და მფლობელმა ზღვრული რაოდენობის ერთი მეხუთედი ნაწილი თუ აიღი იმ რაოდენობის შესაბამისი სავალდებულო მოწყალება მაშინვე უნდა გასცეს. თუ ამაზე ნაკლები აიღო და ზექათდაქვემდებარებული სხვა საქონელი თუ არ გააჩნია სავალდებულო მოწყალებას ჯერ არ გასცემს.

გარდა ამისა, იმამი მუჰამმედი თვლიდა, რომ თუ ასაღებ ვალს ვალში მყოფი უარყოფს, ვალის დასამტკიცებლად საკმარისი საბუთები რომც არსებობდეს მევალის მიერ ვალის აღების შემთხვევაში გასული წლების სავალდებულო მოწყალების გაღება არ ევალება. ეს ითვლება ყველაზე საიმედო შეხედულებად, რადგან მოსამართლემ შეიძლება ყველა საბუთი არ დააკმაყოფილოს, ან ყველას სარჩელის შეტანის საშუალება შეიძლება არც გააჩნდეს.

2- საშუალო ასაღები; ამ კატეგორიაში შედის სახლის. ან კომერციული ფართის გაქირავების შედეგად წარმოშობილი ასარები. მოგეხსენებათ თავად სახლი და სხვა ფარტი ზექათის გადახდას არ ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში ზექათის ვალდებულების პერიოდის აღრიცხვა გაქირავებიდან იწყება და მომავალი წლებისათვის სავალდებულო მოწყალება უნდა გაიცეს. თუ მევალე ზღვრული რაოდენობის ფულს არ აიღებს სავალდებულო მოწყალების გადახდა მაშინვე არ ევალება. თუ რა თქმა უნდა ზექათვალდებული სხვა რამ ქონება არ გააჩნია.

ებუ ჰანიფეს შეხედულებით ამგვარი ასაღების გამო გასული წლების სავალდებულო მოწყალების გაღება საჭირო არ არის. თუ სხვა ზექათვალდებული ქონება გააჩნია მაზე მიმატება შეიძლება.

3- სუსტი ასაღები; რაიმე ქონების, ან სესხის გაუცემლად წარმოშობილი ვალები ამ კატეგორიაში გადის. მაგ. მემკვიდრეობის, ანდერძის, განქორწინების და მსგავსი მიზეზებისგან მომდინარე ასაღები. ამ ტიპის ასაღები თუ მფლობელმა ზღვრული რაოდენობით არ აიღო და ერთი წელი არ გავიდა სავალდებულო მოწყალების გაცემას არ ექვემდებარება.

ასაღების ამ კატეგორიებად დაყოფა ებუ ჰანიფეს შეხედულების მიხედვითაა.

საბოლოო ჯამში, ყველა ამ კატეგორიის ასარების შემთხვევაში ზექათის გადახდა აუცილებელია. თუ ის ვალის აღების შემდეგაა ფარზი. საიმედო ასაღების შემთხვევაში ვალის ერთი მეხუთედი რომ იქნას აღებული ზექათი უნდა გაიცეს. საშუალო და სუსტი ასაღების შემთხვევაში კი აღებულმა ვალმა მინიმუმ ზექათის ზღვრული რაოდენობა უნდა შეადგინოს, რომ სავალდებულო მოწყალების გაღება ფარზი გახდეს.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედულებით პიროვნება ასაღებ ფულს რომ აიღებს ერთი წლის გასვლა საჭირო არ არის და მაშინვე ზექათი უნდა გასცეს, რადგან ასაღებ პერიოდში გასული დრო ქონების თავის საკუთრებაში ქონებად ეთვლება.

შაფიის მიხედვით თუ ვალი ოქროს, ვერცხლის, ან სავაჭრო საქონლის საფასურია აღებისთანავე გასული წლების ზექათი უნდა გაიცეს. ხოლო თუ ასაღები ფული გაყიდული პირუტყვის, ან ხურმის და ყურძნის მსგავსი საკვები პროდუქტების საფასურია ზექათის გადახდას არ საჭიროებს.

ბ) სავაჭრო საქონლის ზექათი

ეს არის საქონელი, რომელიც გასაყიდადაა გამიზნული და მფლობელს მოგებას მოუტანს. ამ კატეგორიის საქონელი მფლობელის ხელში ყოფნისას ზექათის გადახდას ექვემდებარება.

საცხოვრებელი სახლი, მაღაზია, ან მსგავსი ტიპის სავაჭრო ფართი, საწყობი და სხვ. ზექათს არ ექვემდებარება.

1) მტკიცებულებები, რომლებსაც სავაჭრო საქონლის ზექათისადმის დაქვემდებარება ემყარება

ყურანში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اَنْفِقُوا مِنْ طَيِّبَاتِ مَا كَسَبْتُمْ وَمِمَّا اَخْرَجْنَا لَكُمْ مِنَ الْاَرْضِ وَلَا تَيَمَّمُوا الْخَب يثَ مِنْهُ تُنْفِقُونَ وَلَسْتُمْ بِاٰخِذ يهِ اِلَّا اَنْ تُغْمِضُوا ف يهِ وَاعْلَمُوا اَنَّ اللّٰهَ غَنِيٌّ حَم يدٌ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ, გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!„ ბაყარა 2/267. „

ეს აიათი სავაჭრო საქონლისა და მოსავლის შესახებაა მოვლენილი.

ებუ ამრ იბნ ჰამმასის გადმოცემის თანახმად წმ. ომარი ისრების ჩასაწყობი ჩანთებით და ტყავით ვაჭრობდა და ზექათს იხდიდა.

იმამი მალიქი და დავუდ ეზ-ზაჰირის შეხედულება, რომლის ტანახმადაც სავაჭრო საქონელზე ზექათი არ ვრცელდება შემდეგ ჰადისს ეყრდნობა: „ცხენების და მონების ზექათი მიპატიებია!“ თუმცა ეს ჰადისი გულისხმობს, რომ ცხენების და მონების ყოლა ზექათს არ ითვალისწინებს, მაგრამ თუ ისინი ვაჭრობის და მოგების მიზნით არიან მფლობელის ხელში მფლობელი ვალდებულია ზექათი გადაიხადოს. გარდა ამისა მალიქის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ თუ პირობები შესრულდა სავაჭრო საქონელი ზექათს ექვემდებარება.

2) სავაჭრო საქონლიდან ზექათის აღების პირობები

ა- სავაჭრო საქონლის ზღვრულ რაოდენობამდე მიღწევა. წლის დასაწყისში სავაჭრო საქონლის ფასი თუ 80 გრამი ოქროს, ან 653

გრამი ვერცხლის ტოლია მისგან ასარები ზექათი წლის ბოლონდელ ფასის მიხედვით უნდა განისაზღვროს. თუ საქონელი ქალაქგარეთ მდებარეობს ყველაზე ახლო ქალაქის ფასი მიიღება მხედველობაში.

სავაჭრო საქონლის ზღვრულ რაოდენობამდე შესავსებად ოქრო, ვერცხლი და ფული ემატება. მოკლედ, გამოანგარიშება ამ ყველაფრის შეკრებით მიღებული რაოდენობის მიხედვით ხდება.

ბ- სავაჭრო საქონელის ზექათისადმი დაქვემდებარებისათვის ერთი წელი უნდა გავიდეს. როდესაც პიროვნება სავაჭრო საქონლის მფლობელი გახდება იმ მომენტიდან ერთი წლის შემდეგ საქონელი ზექათის გადახდას დაექვემდებარება. ჰანეფის და მალიქის მიხედვით ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია წლის დასაწყისი და დასასრულია. ანუ დასაწყისში და დასასრულს დაფიქსირებული საქონლის ფასი. მაგ. თუ პიროვნებას წლის დასაწყისში ზღვრული რაოდენობის სავაჭრო საქონელი გააჩნია, ხოლო წლის შუაში ეს საქონელი შემცირდა და წლის ბოლოს კი ისევ ზღვრულ რაოდენობას მიაღწია საქონელი ზექათის გადახდას ექვემდებარება. წლის დასაწყისში, ან წლის ბოლოს თუ ქონება ზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებია ზექათს არ ექვემდებარება.

შაფიის მიხედვით სავაჭრო საქონლის ზექათისადმი დამოკიდებულებისათვის წლის ბოლოა მთავარი, რადგან ზექათი წლის ბოლოთვისაა ფარზი. გამომდინარე აქედან, თუ პიროვნებას წლის დასაწყისში 60 გრ. ოქრო აქვს, წლის შუაში კი ამ 30 ოქროთი სავაჭრო საქონელს შეიძენს და წლის ბოლოსათვის მოგებიანად 50 ოქროს მიიღებს ჯამში 80 გრამი ოქრო გაუხდება და ეს კი ზექათისთვის მიმინალური ზღვრული რაოდენობაა. შესაბამისად აღნიშნულმა პიროვნებამ ზექათი უნდა გადაიხადოს.

ჰანბელის მიხედვით სავაჭრო საქნელი მთელი წგანმავლობაში ზღვრულ რაოდენობაზე დაბლა არ უნდა წამოვიდეს. რამოდენიმე საათით, ან ნახევარი დღით ზღვრულ რაოდენობაზე დაბლა ჩამოსვლა შედეგს არ ცვლის.

გ- საქონელი ვაჭრობის განზრახვით უნდა იქნას შესყიდული. პიროვნებამ საქონელი იმ განზრახვით უნდა შეიძინოს, რომ გაყიდოს და მოგება ნახოს. საქონელი ამ მიზნითაც რომ იყოს შეძენილი და მფლობელმა მისი გაყიდვის არანაირი მცდელობა არ გამოხატოს საქონელი სავაჭროს საქონლად არ ჩაითვლება.

საქონელი სავაჭროდ რომ ჩაითვალოს და ზექათის გადახდას

დაექვემდებაროს საჭიროა ზღვრულ რაოდენობას მიაღწოს, ამასთანავე გავიდეს ერთი წელი, განზრახვასთან ერთად ვაჭრობის მცდელობა დაფიქსირდეს და საქონელი სავაჭროდ გამოსადეგი უნდა იყოს.

3) სავაჭრო საქონლის ზექათის გამოანგარიშება

სავაჭრო საქონელი ფლობიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ზექათის გასაანგარიშებად, უპირველესად ღარიბის ინტერესების გათვალისწინებაა საჭირო. თუ ღარიბი ოქროს ფასის მიხედვით მეტ სარგებელს ნახავს ზექათის რაოდენობა ოქროს მიხედვით უნდა განისაზღვროს. თუ ვერცხლის ფასის გათვალისწინებით ღარიბს მეტი სარგებელი ექნება შესაბამისად საზმად ვერცხლის ფასი უნდა იქნას აღებული. თუმცა დღეისათვის ვერცხლი ოქროსთან შედარებით გაცილებით გაუფასურებულია, ამიტომ სასურველია საზომად ოქრო იქნეს აღებული.

სიმდიდრს მინიმალური ზრავარის დადგენისას, ძირითადი საჭიროებების გარდა იმ ადამიანების ერთი წლის სარჩენი ფული და ვალები უნდა გამოაკლდეს, რომელთა რჩენაც საქონლის მფლობელს ევალება და დარჩენილი ქონება თუ ზღვრულ რაოდენობას აღწევს და ერთი წელიც გასულია, ქონების ერთი მეორმოცედი ზექათის სახით უნდა გაიცეს.

სავაჭრო საქონლიდან სავალდებულო მოწყალებად იგივე საქონლის ნაწილის გაცემაც შეიძლება. შეიძლება გაიცეს, აგრეთვე იგივე საქონლის საფასური. მოწყალების გამცემს აქვს არჩევანის უფლება. სავაჭრო საქონელი იგივე სტატუსით სარგებლობს, როგორც სხვა, ზექათისადმი დაქვემდებარებული საქონელი, მაგ. ოქრო, ვერცხლი და სხვა. ეს შეხედულება ჰანეფის მიმდინარეობას ეკუთვნის.

სწავლულთა უმრავლესობა კი მიიჩნევენ, რომ სავაჭრო საქონლის ზექათი მისი ფასის მიხედვით უნდა იქნას გადახდილი, რადგან ზღვრული რაოდენობა არა რაოდენობის, არამედ ფასის მიხედვით დგინდება. ამიტომ ზექათი ეხება ფასს და არა საქონელს.

ჰანეფის მიხედვიტ სავაჭრო საქონლის ზექათის ისევ სავაჭრო საქონლიდან გაღება მოწყალების გამცემისთვის და მიმღებისთვის გარკვეულ შეღავათს წარმოადგენს. ღარიბს შესაძლებლობა ეძლევა პირდაპირ მიიღოს რაც მას სჭირდება, ეს იქნება ტანსაცმელი, საკები პროდუქტები თუ სხვა რამ. გარდა ამისა მოწყალე-

ბის გასაცემად გამოყოფილი საქონლის ნაღდ ფულზე გადაცვლა მოწყალების გამცემისთვის სერიოზულ სიძნელეს წარმოადგენს და ამან შეიძლება ან მოწყალების გაცემა შეაგვიანოს, ან საქონლის მფლობელს მოწყალების გაცემაზე საერთოდ ააღებინოს ხელი.

ვაჭრობიდან მთელი წლის განმავლობაში მოღებული მოგება, პირუტყვის ნამრავლი, მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ნაჩუქარი საქონელი და მსგავსი გროვდება როგორც კაპიტალი. წლის ბოლოს ეს ყველაფერი იკრიბება და ზექათის ანგარიში ტარდება. წლის შესრულების შემდეგ შემოსული მატება იმ წლის ქონებას აღარ დაემატება. ამის შესახებ სწავლულთა შორის აზრთა თანხვედრაა.

გ) ფირმის ზექათი

ისლამის საფუძვლებიდან გამომდინარე ფირმის ყოველი მეწილე თავისი აქციის და წილის შესაბამისად გასცემს მოწყალებას. პარტნიორები ერთიმეორის ადგილს მხოლო სავაჭრო ურთიერთობებში იკავებენ. ზექათი კი ღვთისმსახურებაა, ამიტომ მისი შესრულება განზრახვაზეა დამოკიდებული. ფირმის სახელიტ ზექათის გასაცემად აქციის მფლობელებმა ერთმანეთს სპეციალური ნებართვა უნდა მისცენ. ფირმები, კაპიტალის წილის და მოგების წილის მიხედვით შემდეგნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ.

1) კაპიტალის წილის მიხედვით ფირმის აქციის მფლობელების ზექათი

ეს არის ორი, ან მეტი პარტნიორის მიერ კაპიტალდაბანდების შედეგად ჩამოყალიბებული ფირმა. კაპიტალის შეგროვებაში თანამონაწილეობა შეიძება იყოს თანაბარი, ან განსხვავებული. მოგების განაწილება ძირითადად ხელშეკრულების თანახმად ხდება, ზარალი კი, როგორც წესი კაპიტალის თანამონაწილეობისას ჩადებული თანხის რაოდენობიდან გამომდინარე ფიქსირდება. ასეთი ტიპის ამხანაგობა შეიძლება იყოს სავაჭრო ან საწარმოოო ტიპის.

ისეთი ქონება, რომელიც ზექათს არ ექვემდებარება, მაგ. მაღაზია, საწყობი, სერვისისთვის ტრანსპორტი და მსგავსი სავაჭრო ფირმას, როგორც წესი ნაკლები ჰყავს. საკვები პროდუქტებით მოვაჭრე ფირმას წლის ბოლოსთვის ვალების გარდა თუ 20 კგ. ოქროს საფასური ნაღდი ფული, 20 ტონა ბრინჯი, 20 ტონა შაქარი და 20 ტონა მშრალი ლობიო გააჩნია და აგრეთვე ფირმას ოთხი

თანაბარი აქციების მფლობელი მეწილე ჰყავს თითოეული მათგანი ვალდებულია საქონლის ერთი მეოთხედი ნაწილისთვის ზექათი გასცეს. თუ რომალიმე პარტნიორს ფირმის გარდა სხვა ვალი, ან ზექათვალდებული ქონება არ გააჩნია ფირმა ვადებულია 125 გრ. ოქრო, 125 კგ. ბრინჯი, 125 კგ. შაქარი და 125 კგ. მშრალი ლობიო, ან მათი შესაბამისი ნაღდი ფული სავალდებულო მოწყალების სახით გასცეს.

საწარმოს კი, ისეთი ქონება, რომელიც ზექათის გადახდას არ ექვემდებარება გაცილებით მეტი აქვს. მაგ. ფაბრიკის, ან ქარხნის შენობა, დაზგები, საწყობები, სერვისისთვის ტრანსპორტი და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც სავაჭრო საქონლის კატეგორიაში არ შედის. ამათ გარდა, წლის ბოლოს საწარმოს ვალების გამოკლების შემდეგ დარჩენილი ნაღდი ფული, ვალუტა, დასამუშავებელი, ან დაუმუშავებელი მასალა და ყველა ეკონომიკურად ფასის მქონე საქონელი 2.5 პროცენთ სავალდებულო მოწყალების გადახდას ექვემდებარება. საწარმოს მფლობელი პარტნიორები ვალდებულნი არიან გამოთვალონ თავიანთი წილი ზექათვალდებული საქონელი და შესაბამისად 2.5 პროცენტი ზექათის სახით გასცენ. თუ პიროვნებას საწარმოს გარდა სხვა ვალი აქვს საწარმოს წილიდან იმ ვალის საფასური უნდა გამოაკლოს და დარჩენილი საქონლის სავალდებულო მოწყალება გაიღოს. აგრეთვე, თუ პიროვნებას საწარმოს საქონლის გარდა სხვა ზექათვალდებული ქონებაც გააჩნია საწარმოში თავის წილ საქონელს უნდა დაამატოს და საერთო რაოდენობიდან სავალდებულო მოწყალება უნდა გაიღოს.

ისლამის ზოგიერთი სწავლულის აზრით საწარმოს კუთვნილი შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობის მსგავსად ზექათს ექვემდებარება, მაგრამ ეს აზრი კრიტიკის საგანი გახდა, რადგან შენობა-ნაგებობებს და მანქანა-დანადგარებს გააჩნიათ ამორტიზაცია, დროთა განმავლობაში ისინი შეკეთებას და განახლებას საჭიროებენ. ამიტომ ეს შედარება მიუღებლად ჩაითვალა.

1965 წლის ქაიროს და 1984 წლის ქუვეითის ისლამის სამეცნიერო კონფერენციაზე საწარმოო მანქანა-დანადგარების მოგების 2.5 პროცენტის ზექათის სახით გაცემა საწარმოს მფლობელებს რჩევის სახით მიეცათ.

გარდა ამისა, რამოდენიმე სწავლულის აზრით, რომელთა უმრავლესობა ეგვიპტელი იყო საწარმო სექტორში ზექათი მბრუნავი კაპიტალისა და მოგების ჯამის 2.5 პროცენტი უნდა იყოს.

2) აქციების მფლობელთა ზექათი

ფირმის მფლობელთა წილი აქციებით განისაზღვრება. აქციების ღირებულება თავდაპირველად ფირმის ნამდვილ კაპიტალს წარმოადგენს, მაგრამ ფირმის მუშაობასთან ერთად, დროთა განმავლობაში ფირმის ქონება შეიძლება ასჯერ და მეტჯერ გაიზარდოს.

ფირმის მფლობელთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ფირმის მოგება შესაძლებელია არ განაწილდეს და ფირმის მუშაობისთვის იქნას გამოყენებული. ამგვარად ფირმის სამუშაო პოტენციალი და შესაბამისად მოგებაც გაიზრდება. თუმცა, პარტნიორთაგან რომელიმე თუ მოგებიდან თავისი წილის აღებას მოითხოვს, ბუნებრივია თავისი წილი უნდა მიეცეს. გამომდინარე აქედან, იმ პარტნიორების წილი, რომლებმაც თავიანთი მოგება არ აიღეს და ფირმის საკუთრებაში დატოვეს, გაიზრდება. ამიტომ, არამარტო ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო, არამედ ინფლაციის და სხვა მიზეზთა გამო საჭიროა თითოეული აქციის მეპატრონის წილი და აქციის ფასი ხშირად იქნას განსაზღვრული.

შაფიის მიხედვით ფირმის ზექათი წლის ბოლოს ფირმის მმართველთა მხრიდან უნდა იქნას გამოანგარიშებული და გაიცეს. აქციის მფლობელებს ბუნებრივია თავიანთი წილის მიხედვით გასაცემი ზექათის განსაზღვრა გაუძნელდებათ, ამიტომ ასე ერთიანად გადახდა მათთვის შეღავათია.

ჰანეფის მიხედვით იგივე მეთოდით ზექათის გაცემა მისაღებია, ოღონდ აქციის მფლობელებმა ხელშეკრულებაში შესაბამისი მუხლი უნდა შეიტანონ, ან შემდეგ შეთანხმდნენ. ამის შემდეგ ფირმის საერთო ზექათის გადახდა მისაღებია.

1984 წელს ქუვეითში ჩატარდა „ზექათის კონგრესი“ სადაც გამოითქვა აზრი, რომ ფირმის ძირითად ხელშეკრულებაში შესაბამისი მუხლის ჩაწერის და მმართველი საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად და პარტნიორთა ნებართვიდან გამომდინარე ფირმის ხელმძღვანელობას შეუძლია ფირმის საერთო ზექათი გასცეს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ თითოეულმა აქციის მფლობელმა თავისი წილი გასაცემი ზექათის რაოდენობა უნდა გამოიანგარიშოს და გასცეს.

ა- თუ აქციის ფლობის მიზანი ვაჭრობაა, ანუ ბირჟაზე აქციების ფასის მატების შედეგად სარგებელის ნახვა, მაშინ შესაბამის დროს აქციების ფასის მიხედვით 2.5 პროცენტი ზექათის სახით უნდა გაიცეს.

ბ- თუ აქციები მოგების მიზნითაა შეძენილი, მოგებულ ფულს სხვა საქონელიც უნდა დაემატოს (არსებობის შემთხვევაში) და 2.5 პროცენტი ზექათის სახით გაიცეს.

3) პარტნიორობა, რომელშიც შრომითი კაპიტალია

ეს არის „ ამხანაგობის“ ჩამოყალიბების ფორმა, როდესაც ერთი მხარე საქმეში აბანდებს კაპიტალს, ხოლო მეორე მხარე -შრომას. ასეთ შემთხვევაში მოგების განაწილება კაპიტალის მფლობელსა და შრომითი საქმიანობის განმახორციელებს შორის შეთანხმების საფუძველზე ხდება. ზარალი მხლოლოდ კაპიტალის მფლობელს შეეხება, თუ რა თქმა უნდა მეორე მხარეს ზარალის წარმოქმნაში რაიმე დანაშაული არ მიუძღვის. საქმის მწარმოებელი მხარე დაზარალდება იმით, რომ ამაგი ფუჭად ჩაუვლის. წლის ბოლოს კაპიტალის მფლობელი კაპიტალის და მოგების ზექათს გადაიხდის, ხოლო მეორე მხარე, რომელიც შრომით საქმიანობას ეწეოდა, თუ თუ ზექათის გადახდა ევალება მხოლოდ მოგებიდან გადაიხდის ზექათს.

დ) სასარგებლო წიაღისეულის და საგანძურის ზექათი

ყველა ის სიმდიდრე, რომელიც ღმერთმა მიწის ქვეშ გააჩინა სასარგებლო წიაღისეულის სახელითაა ცნობილი. მიწაში ადამიანის ხელით დამარხულ სიმდიდრეს კი განძი ჰქვია.

მიწისქვეშა საბადო, ანუ მადანი სამი სახისაა:

1- მყარი მადანი, რომელიც მარალ ტემპერატურაზე ლღვება და სასურველ ფორმას იღებს. ესენია: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა და სხვა. მათი რაოდენობა ზღვრულ რაოდენობას რომ მიაღწევს ერთი მეხუთედი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს.

2- მყარი მადანი, რომელიც არ დნება. მარმარილო, ალმასი, იაგუნდი და მსგავსი ამ კატეგორიაში შედის. ამ ტიპის მადანის მწარმოებელს ზექათი არ ეხება. იგი მთლიანად პატრონს, ან მპოვნელს ეკუთვნის.

3- თხევადი ნივთიერებები. მაგ. ნავთობი. მათი წარმოებისთვის ზექათი არ არის საჭირო. წარმოების შემდეგ, როდესაც ისინი სავაჭრო საქონლად გადაიქცევიან ზექათს დაექვემდებარებიან.

გამომდინარე აქედან წარმოების პროცესში მხოლოდ პირველი კატეგორიის მადნეული ექვემდებარება ზექათს. ასეთი ტიპის საქონლის წარმოებისას ერთი მეხუთედი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს. ეს დამტკიცებულია წმ. წიგნით, სუნნეთით და ქიასით(შედარების გზით გადაწყვეტილების მიღება).

ყურანში ნაბრძანებია:

وَاعْلَمُوا اَنَّمَا غَنِمْتُمْ مِنْ شَىْءٍ فَاَنَّ لِلّٰهِ خُمُسَهُ وَلِلرَّسُولِ وَلِذِى الْقُرْبٰى وَالْيَتَامٰى وَالْمَسَاكِينِ وَابْنِ السَّبِيلِ اِنْ كُنْتُمْ اٰمَنْتُمْ بِاللّٰهِ وَمَا اَنْزَلْنَا عَلٰى عَبْدِنَا يَوْمَ الْفُرْقَانِ يَوْمَ الْتَقَى الْجَمْعَانِ وَاللّٰهُ عَلٰى كُلِّ شَىْءٍ قَدِيرٌ

და იცოდეთ, რომ თუ რამე ალაფს მოიპოვებთ, უეჭველად, ამის მეხუთედი ალლაჰისაა , მისი შუამავალის და ახლო ნათესავების , ობლებისა და უპოვრების და მგზავრების. თუკი თქვენ ირწმუნეთ ალლაჰი , და რაც მოვუვლინეთ ჩვენს მსახურს განსხვავების დღეს ; იმ დღეს, როცა ორი ლაშქარი შეხვდა ერთმანეთს. და ალლაჰი ყოვლისშემძლეა! „ენფალ 8/41.„

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით მადნეული ნადავლის კატეგორიაში შედის.

წმ. ომარი და წმ. ალი თავიანთი ხალიფობის პერიოდში მოპოვებული მადნეულიდან ერთ მეხუთედს სახელმწიფოსთვის იღებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, მიწისქვეშა მადნეული ნადავლთანაა შედარებული. მუსლიმთა ჯარები სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ თუ განძს მიაგნებდნენ ერთი მეხუთედი ზექათის სახით გაიცემოდა. ხოლო რადგანაც ნადავლი, განძი და მადნეული ერთ კატეგორიაში შედის მიწიდან ამოღებული მადნეულის ერთი მეხუთედი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა იქნას გაცემული.

იმამი შაფიის, მალიქის და აჰმედ იბნ ჰანბელის შეხედულებით მიწისქვეშა მადნეული განძს და ნადავლს არ ჰგავს და სხვა კატეგორიაში უნდა იქნას განხილული.

გამომდინარე აქედან ჰანეფის მიხედვით მადნეულის ზექათი ერთი მეხუთედით განისაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მიმდინარეობის იმამები მიიჩნევდნენ, რომ მადნეულის ზექათი ერთი მეორმოცედია.

ჰანეფის მიმდინარეობის მიხედვით, აღმოჩენილი მადანის, ან საგანძურის ერთი მეხუთედი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს. დარჩენილი ნაწილი კი, თუ ვინმეს საკუთრებაში არსებულ მიწაშია აღმოჩენილი მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის, ხოლო

თუ ტერიტორია არავის ეკუთვნის სიმდიდრე მპოვნელს ეკუთვნის.

გამომდინარე აქედან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მადნეული და საგანძური სახელმწიფოს ეკუთვნის.

განძი სამ კატეგორიაში განიხილება:

ა- თუ განძი უპატრონო, ან დაუდგენელი პიროვნების საკუთრებაშია ნაპოვნი ერთი მეხუთედი ზექათს ექვემდებარება. დარჩენილი 4/5 ნაწილი მპოვნელის საკუთრებაა. თუ საგანძური ვინმე პიროვნების კუთვნილ მიწაში აღმოჩნდა, მაშინ განძის 4/5 ნაწილი მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს განძი არამუსლიმის საკუთრებაში აღმოჩნდება, თუ ბავშვის.

ბ- თუ ნაპოვნი ორქოს, ან ვერცხლის მსგავსი ძვირფას ნივთებს აქვთ დამამტკიცებელი წარწერა, ან ბეჭედი, რომ განძი ისლამის პერიოდს ეკუთვნის მაშინ ის "ნაპოვნი საქონლის" კატეგორიაში განიხილება. ანუ ერთი წლის განმავლობაში, შესაბამისი წესების დაცვით ნახულის თაობაზე განცხადება უნდა გაკეთდეს. შემდეგ კი თუ მპოვნელი ღარიბია მას დარჩება, თუ მდიდარია სხვა ღარიბებზე განაწილდება, ან სახელმწიფოს გადაეცემა.

გ- თუ ნაპოვნი განძი არ ირკვევა რომელი ეპოქოსაა, კერძოდ გაურკვეველია ისლამის პერიოდს ეკუთვნის თუ მანამდელია, ერთი შეხედულების თანახმად ისევე უნდა იქნას განხილული, როგორც ისლამის პერიოდში ნახული განძი, ხოლო მეორე შეხედულების თანახმად, პირიქით, განძის საკითხი იმგვარად უნდა იქნას განხილული როგორც ისლამამდელ ეპოქის საკუთრება.

ამ ტიპის ნაპოვნი სიმდიდრის ზექათისადმი დაქვემდებარების საკითხის გადაწყვეტისას მისი ზღვრული რაოდენობა საჭირო არ არის, ხოლო იმამი შაფიი მიიჩნევდა, რომ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინება აუცილებელია. ისლამის სწავლულები თანხმდებიან, რომ ნაპოვნი განძის ზექათისადმი დაქვემდებარების გააწყვეტილების მიღებისას ერთი წლის გასვლის აუცილებლობა საჭირო არ არის.

სახლში ნაპოვნი განძი სახლის მფლობელს ეკუთვნის. ებუ ჰანიფეს შეხედულებით ერთი მეხუთედის გაცემა საჭირო არაა. ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედულებით კი სახლში ნაპოვნი

განძიც ერთი მეხუთედის ზექათის სახით გაცემას საჭიროებს. მათი აზრით შენობაში და შენობის გარეთ ნაპოვნი განძი არ განსხვავდება.

ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის შეხედულების თანახმად ზღვიდან ამოღებული მარგალიტი, ფული და თევზი ზექათს არ ექვემდებარება. ხოლო ებუ იუსუფის აზრით ზღვიდან ამოღებული ოქროს, ვერცხლის და მარგალიტისათვის ზექათის გაცემა სავალდებულოა.

პიროვნება, რომელიც თევზჭერას მისდევს და ამით ვაჭრობს, თუ მდიდარია 2.5 პროცენტი ზექათი უნდა გადაიხადოს.

მადნეულის საკითხთან დაკავშირებით საჭიროა დამატებითი განმარტება. ნავთობმა და სხვა წიაღისეულმა, რომელიც მეტალად არ ითვლება და არ დნება (ალმასი, მარმარილო და სხვა) თანამედროვე ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა და მათი ზექათს გარეთ დარჩენა ყურადღების საგანია. ნავთობის, ალმასის, მარმარილოს და მსგავსი წიაღისეულის წარმოებით დაკავებული ადამიანები საქონლის ერთი მეხუთედის გადახდისგან გათავისუფლებულნი არიან. თუმცა, როდესაც წარმოებული ნავთობი, ან აქ აღნიშნული კატეგორიის წიაღისეული ბაზარზე გასაყიდად გავა, უკვე სავაჭრო საქონლის სტატუსს შეიძენს და ზღვრული რაოდენობის მიღწევისთანავე 2.5 პროცენტ ზექათს დაექვემდებარება. საქონლის საწყობში შენახვის შემთხვევაში ყოველი გასული წლისთვის ერთი მეორმოცედი ზექათი უნდა იქნას გადახდილი.

იმამ შაფიის შეხედულებით ოქროსა და ვერცხლის გარდა სხვა მადნეულს ზექათი არ ეხება. ოქროსა და ვერცხლისათვის კი ერთი მეორმოცედი ზექათის სახით უნდა იქნეს გაცემული. გარდა ამისა ოქროსა და ვერცხლის შემთხვევაში ერთი წლის გასვლის პირობა არ არის საჭირო. ერთი წლის პირობა ეხება საქონელს, რომელიც მატებადია.

ე) სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათი

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათისადმი ვალდებულება წმ. წიგნით, სუნნეთითა და იჯმათია განსაზღვრული.

წმ. წიგნში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اَنْفِقُوا مِنْ طَيِّبَاتِ مَا كَسَبْتُمْ وَمِمَّا اَخْرَجْنَا لَكُمْ مِنَ الْاَرْضِ وَلَا تَيَمَّمُوا الْخَب يثَ مِنْهُ تُنْفِقُونَ وَلَسْتُمْ بِاٰخِذ يهِ اِلَّا اَنْ تُغْمِضُوا ف يهِ وَاعْلَمُوا اَنَّ اللّٰه غَنِيٌّ حَم يدٌ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაეცით იმ საუკეთესოთაგან,

რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ, გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!" ბაყარა 2/267. "

ისლამის სწავლულები მიიჩნევენ, რომ ამ აიათში მოცემული ბრძანება მიწიდან ამოღებულ საკვებ პროდუქტებს ეხება. ამის შესახებ არსებობს სხვა აიათიც:

وَهُوَ الَّذِ ى اَنْشَاَ جَنَّاتٍ مَعْرُوشَاتٍ وَغَيْرَ مَعْرُوشَاتٍ وَالنَّخْلَ وَالزَّرْعَ مُخْتَلِفًا اُكُلُهُ وَالزَّيْتُونَ وَالرُّمَّانَ مُتَشَابِهًا وَغَيْرَ مُتَشَابِهٍ كُلُوا مِنْ ثَمَرِه اِذَا اَثْمَرَ وَاٰتُوا حَقَّهُ يَوْمَ حَصَادِه وَلَا تُسْرِفُوا اِنَّهُ لَا يُحِبُّ الْمُسْرِف ينَ

და იგია, რომელმაც გააჩინა ბაღები ძირსგართხმული და ამაღლებული , და ხურმა, და ნათესნი სხვადასხვა ნაყოფიანი, ზეთის ხილი და ბროწეული ერთმანეთის მსგავსი და განსხვავებული. მიირთვით მათი ნაყოფი, როცა დამწიფდება, და მომკის დღეს გაეცით წილი მისგან. და არ იყოთ მფლანგველნი. უეჭველად, მას არ უყვარს მფლანგველნი!" ენამ 6/141. "

წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც მდინარის, ან წვიმის წყლით ირწყვება 1/10 რაოდენობით ზექათს ექვემდებარება, ხოლო ის მოსავალი, რომელიც ხელით ირწყვება 1/20-ით.

გარდა ამისა, ისლამის სწავლულები თანხმდებიან, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების 1/10, ან 1/20 ზექათს ექვემდებარება. თუმცა კონკრეტულად რომელი სახის პროდუქტი ექვემდებარება ზექათს ამის თაობაზე აზრთა სხვადსხვაობაა.

1) სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ზექათის აღების პირობები

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათისადმი ვალდებულების განსაზღვრისას მფლობელის ზრდასრულობა და სრულ გონებაზე ყოფნა აუცილებელი არაა. ფსიქიკურად დაავადებულები და ბავშვებიც აღნიშნული ტიპის საქონლის ფლობის შემთხვევაში ვალდებულნი არიან ზექათი გასცენ. რაც შეეხება აღმსარებლობას, ზექათის გამცემი აუცილებლად მუსლიმი უნდა იყოს.

ჰანეფის მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათისადმი დაქვემდებარების დამატებითი პირობები შემდეგია:

1- აღნიშნულ მიწას ხარკის გადახდა არ უნდა ეხებოდეს, რადგან ხარკიც და მოსავლის 1/10 ზექათის ვალდებულება მუსლიმის მიწაზე არათავსებადია.

2- მოსავალის მოსვლა. თუ მოსავალი არ იქნება შესაბამისად არც ზექათის ვალდებულება გაჩნდება. ჰარაჩ

3- მიწის დამუშავება მოსავლის მიღების და ნადავლის მოგროვების მიზნით უნდა ხდებოდეს. გამომდინარე აქედან, უსარგებლო მცენარეებით სავსე მიწა ზექათს არ ექვემდებარება. ასეთი მცენარეები, მაგ. ბალახი თუ მოითიბა და გასაყიდად იქნა გატანილი, როგორც სავაჭრო საქონელი სხვა ამგვარ საქონლს დაემატება და მისი ზექათისადმი დაქვემდებარებაც შესაბამისად განისაზღვრება.

მიწის პროდუქტები, ისევე როგორც შინაური პირუტყვი "ღია საქონლის" კატეგორიაში შედის, ამიტომ სავალდებულო მოწყალებას სახელმწიფო მოხელეები აგროვებდნენ. სახელმწიფოს მხრიდან მოსავლის წილის აღება მიწის სახეობიდან გამომდინარე სხვადსხვა იყო. აღებული წილი, ან ზექათის, ან ქველმოქმდების (სადაქა), ან ხარკის და ან ქირის ფარგლებში შედიოდა.

2) სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც ზექათის გადახდას ექვემდებარება და გადამხდელები

ებუ ჰანიფეს შეხედულებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათისადმი დაქვემდებარებისათვის ზღვრული რაოდენობის მიღწევა აუცილებელი არაა. ხორბალი, ქერი, ბრინჯი, საზამთრო, ბადრიჯანი, პომიდორი, ყურძენი და მსგავსი პროდუქტები, ბევრი ან ცოტა მოსავლიანობის შემთხვევაშიც ზექათის გადახდას ექვემდებარება. წმ. წიგნში წერია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اَنْفِقُوا مِنْ طَيِّبَاتِ مَا كَسَبْتُمْ وَمِمَّا اَخْرَجْنَا لَكُمْ مِنَ الْاَرْضِ وَلَا تَيَمَّمُوا الْخَب يثَ مِنْهُ تُنْفِقُونَ وَلَسْتُمْ بِاٰخِذ يهِ اِلَّا اَنْ تُغْمِضُوا ف يهِ وَاعْلَمُوا اَنَّ اللّٰه غَنِيٌّ حَم يدٌ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ, გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!" ბაყარა 2/267. "

მოკლედ, ებუ ჰანიფეს აზრით ადამიანის ხელით მოყვანილი მიწის პროდუქტები ზექათს ექვემდებარება. ზექათის ეს სახეობა იგულისხმება, როგორც გადასახადი, ამიტომ ისლამურ სახელმწიფოში ხელისუფლებას მისი აღება იძულების წესითაც შეუძლია. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათი ეხება როგორც არასრულწლოვან მეპატრონეებს, ისე ფსიქიკურად შეშლილებს.

ჰანეფის მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემთხვევაში ზექათის გასაცემად ერთი წლის გასვლა აუცილებელი არ არის. ისეთ ადგილებში, სადაც წელიწადში ერთზე მეტჯერ მოდის მოსავალი თითოეული მოსავალისთვის ზექათის გაცემაა საჭირო.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით, თუ მოსავალი 653 კგ- არ აღწევს, ზექათის გადახდას არ საჭიროებს.

გარდა ამისა, მოსავალი ერთი წლის განმავლობაში უნდა ძლებდეს. ამიტომ მალფუჭებად პროდუქტებს ზექათი არ ეხება. ასეთებია: ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, პომიდორი და სხვა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათი ნიადაგზეც არის დამოკიდებული. თუ ნიადაგს მორწყვა არ სჭირდება და ეს შესაბამისად დამატებით ხარჯებთან არ არის დაკავშირებული მოსავლის ზექათი ერთი მეათედით განისაზღვრება, მაგრამ თუ ნიადაგს მორწყვა სჭირდება და დამატებითი ხარჯებია გასაღები მოსავლის ზექათი ერთი მეოცედი უნდა იყოს.

თუ მიწა თან ხელით და თან წვიმის, ან მდინარის წყლით ირწყვება, მოსავლის ზექათისადმი დაქვემდებარება იმის მიხედვით გადაწყდება, რომელი მეთოდით უფრო მეტჯერ მოირწყო. ამგვარი მიდგომით ჩანს, რომ მოსავლის ზექათის დადგენისას ხარჯიანი და უხარჯო მიწის შედარებისას გარკვეული წონასწორობაა დაცული.

მოსავლის ზექათის რაოდენობის დადგენისას თესლის, შრომის, მორწყვის, შეწამლვის და მსგავსი ხარჯები მოსავლის რაოდენობას არ აკლდება. ის მიწა რომელიც განსაკუთრებით ხელით მორწყვას საჭიროებს, ისედაც შეღავათით სარგებლობს. ეს შეღავათი კი არამარტო მორწყვის, არამედ სხვა ხარჯებსაც მნიშვნელოვნად აანაზღაურებს.

დღეისათვის ნიადაგის დამუშავების ხარჯები მნიშვნელოვნად გაზრდილია. ამიტომ ისლამის ზოგიერთი სწავლული მიიჩნევს, რომ ნიადაგის განოყიერება, მოსავლის შეწამლვა და მსგავსი ხარჯები ისეთივე შეღავათს უნდა განაპირობებდეს, როგორი შერავათიც

ხელით მორწყვის შემთხვევაშია დაწესებული.

იმამ შაფიის და მალიქის შეხედულების თანახმად, მოსავალი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში არ ფუჭდება, იმამი შაფიი მიიჩნევდა, რომ ხილისგან ზექათს მხოლოდ ხურმა და ყურძენი ექვემდებარება. აჰმედ იბნ ჰანბელის აზრით კი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები ყველა ერთ კატეგორიაში უნდა იქნას განხილული და შესაბამისად ხილი იქნება თუ მიწის სხვა პროდუქტი, რომელიც ძლებს და თან ზომა-წონით იყიდება ზექათს ექვემდებარება.

ზეთისხილის და მზესუმზირას მოსავლის ზექათის გადახდის შემდეგ მისგან წარმოებული ზეთისთვის ცალკე ზექათის გადახდა საჭირო არ არის. თუმცა ამ ტიპის საქონლის ვაჭრობის მიზნით შეძენა მის ხელმეორედ ზექათისადმი დაქვემდებარებას გამოიწვევს.

მიწის პროდუქტების ზექათი მოსავლის აღების, ხოლო ხილის ზექათი კრეფის შემდეგ გაიცემა. აღნიშნულ დროს, მოსავლის პატრონი გარდაცვლილიც რომ იყოს მისი მემკვიდრეები ვალდებულნი არიან ზექათი გასცენ.

მოსავლის ზექათის გაცემამდე, ხის ნაყოფის, ან სხვა პროდუქტის მოხმარების შემთხვევაში ზექათი გათვალისწინებული უნდა იყოს. მაგ. თუ ზექათის გაცემამდე ხიდან ათ კგ. ვაშლს მოვკრეფთ ერთი კგ. ზექათის სახით უნდა გაიცეს. ეს შეხედულაბა ებუ ჰანიფეს ეკუთვნის.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზღვრული რაოდენობის შესავსებად (653 კგ) სხვადასხვა ჯიშის საქონლის ერთმანეთზე მიმატება მიუღებელია. ზღვრული რაოდენობის შესავსებად ყოველი პროდუქტი საკმარის რაოდენობას ცალკ-ცალკე უნდა შეადგენდეს.

მიწის გაქირავების შემთხვევაში მოსავლის ზექათი, ებუ ჰანიფეს შეხედულების თანახმად გამქირავებელს ეკისრება. ზექათი მიწაზე დამოკიდებული გადასახადია, ამიტომ გამქირავებელმა აღებული ქირიდან უნდა გადაიხადოს.

ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და ჰანეფის მიმდინარეობის გარდა სხვა მიმდინარეობების იმამების შეხედულებით კი მიწის გაქირავების შემთხვევაში ზექათი მქირავებელმა უნდა გადაიხადოს. ჰანეფის მიმდევარმა იმამებმა თავდაპირველად ებუ ჰანიფეს შეხედულების მიხედვით გადაწყვეტილება (ფეთვა) გამოსცეს, მაგრამ მოგვიანებით ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედუ-

ლება გაითვალისწინეს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღეს.

მიწის ნაკვეთის საზიაროდ გაქირავების შემთხვევაში, ებუ ჰანიფეს აზრით ზექათი ისევ მიწის პატრონმა უნდა გადაიხადოს, ხოლო ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით მოსავლის გაყოფის გათვალისწინებით ორივემ, გამქირავებელმაც და მქირავებელმაც უნდა გადაიხადონ.

ზექათისადმი დაქვემდებარებული მიწა მოსავლის დამწიფებამდე რომ გაიყიდოს ზექათის გადახდა მიწის ყოფილ პატრონს ევალება, ხოლო დამწიფების შემდეგ თუ გაიყიდა ზექათი მყიდველმა უნდა გადაიხადოს.

თუ ფუტკრები ზექათისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე აგროვებენ თაფლს, ერთი მეათედი ზექათის სახით უნდა გაიცეს, ხოლო თუ საერთო სარგებლობის მიწებზე, ან ტყეში აგროვებენ თაფლის ზექათი არ გაიცემა.

შაფიის და მალიქის მიხედვით თაფლი სავალდებულო მოწყველაბის გადახდას არ ექვემდებარება. ისინი ეყრდნობიან თირმიზის მიერ ნათქვამს, რომლის მიხედვიტაც თაფლის ზექათის შესახებ მნიშვნელოვანი ჰადისი არ არსებობს. ამ შემთხვევაში თაფლი რძესთანაა შედარებული.

ვ) მიწის სტატუსის განსაზღვრისას ისლამისეული ხედვა

ისლამის წარმოშობიდან დღემდე მიწის სტატუსის განსაზღვრისას სხვადასხვა მიდგომები ხორციელდებოდა. ისინი შემდეგ კატეგორიაში შეიძლება განვიხილოთ.

1) დაპყრობის მიხედვით მიწის სტატუსის განსაზღვრა

ა- ისლამის სახელმწიფოს მოწინააღმდეგე დამარცხების შემდეგ თუ ისლამს აღიარებს მათი ქონება და სიცოცხლე ხელშეუხებელია. უომრად ისლამის მაღიარებელი ხალხიც იგივე პრივილეგიით სარგებლობს.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: ”იმ ხალხის ქონება და სიცოცხლე ხელშეუხებელია, რომლებიც ისლამს აღიარებენ!”

ებუ იუსუფის შეხედულებით ამგვარი მიწები, ისევე როგორც გამუსულმანებულ მედინელთა მიწები ზექათს ექვემდებარება.

ბ- მიწის მშვიდობიანი გზით დაკავების მიუხედავად თუ ხალხმა ისლამი არ აღიარა მიწის სტატუსი ხელშეკრულების მიხედვით განისაზღვრება.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: "მომავალში ზოგიერთ ხალხთან ბრძოლა მოგიწევთ. ეს ხალხი ზოგჯერ სიცოცხლისა და ოჯახების გადასარჩენად ქონებას დათმობენ და თქვენთან მშვიდობიან ხელშეკრულებას დადებენ. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაში რაც იქნება გათვალისწინებული იმაზე მეტი არ ინდომოთ და არ აიღოთ, რადგან ეს თქვენთვის ალალი არ იქნება!"

ამგვარად, არამუსლიმ პირთა მფლობელობაში დარჩენილ მიწა ხარკს დაქვემდებარებული მიწაა.

გ- მოწონააღმდეგის მიწები თუ ძალისმიერი მეთოდითაა დაპყრობილი ისლამის სახელმწიფოს უფლება აქვს შემდეგი სამი სახის მიდგომა განახორციელოს:

ა- მიწა ძველი მფლობელების განკარგულებაში რჩება და ხალხის ისლამის რიგებში შესვლის შემდეგ ზექატს დაექვემდებარება. წმ. შუამავალმა მექას მიწების საკითხი სწორედ ასე გადაწყვიტა.

ბ- მიწის ერთი მეხუთედი სახელმწიფოს გადაეცემა, ხოლო დანარჩენი ოთხი მეხუთედი ლაშქრობაში მონაწილე მეომრებზე განაწილდება. ამრიგად, მიწა მათი საკუთრება და შესაბამისად ზექათისადმი დაქვემდებარებული გახდება. წმ. შუამავალმა ძალის გამოყენებით დაპყრობილ ჰეიბერის მიწებს სწორედ ეს სტატუსი მიანიჭა. თუმცა ეს მიწები მცირე ხნით ძველ მფლობელებს ჰქონდათ.

გ- ისლამის სახელმწიფოს მიერ ძალის ამოყენებით დაპყრობილი ტერიტორიების ხარკის სანაცვლოდ ძველ მესაკუთრეთა მფლობელობაში დატოვება.

ხალიფა ომარის მმართველობის დროს სირიის და ერაყის მიწები სწორედ ამ სტატუსით სარგებლობდნენ. მაშინ ბრძოლაში მონაწილე მეომრებს მიწების განაწილება სურდათ, მაგრამ ხალიფა ომარი თანახმა არ იყო. აბდულლაჰ იბნ ავფი, ზუბეირი და ბილალი ჰაბეშიც ამ აზრს იზიარებდნენ და მოითხოვდნენ აღნიშნული მიწები ნადავლად ჩათვლილყო და წმ. შუამავალმა, როგორც ჰეიბერის მიწები გაანაწილა იგივენაირად გაენაწილებინათ. თათბირის დროს

ხალიფა ომარის აზრს მხარს უჭერდნენ მუაზ იბნ ჯებელი, წმ. ალი და მსგავსი "ასჰაბის" წარმომადგენლები. ხალიფა ომარმა და მისმა მომხრეებმა მტკიცებულებად ჰაშრის სურას 6, 7, 8, 9, 10-ე აიათები გამოიყენეს და აღნიშნულ მიწებს შესაბამისი სტატუსი მიანიჭეს.

2) ზექათისადმი დაქვემდებარების მიხედვით მიწის სახეები

ა- ზექათს დაქვემდებარებული მიწები. ესენია დაპყრობილი მიწები, რომლის მფლობელებმა ისლამი მიიღეს, ან მეომრებისთვის მფლობელობაში გადაცემული მიწები. ამ მიწების ზექათი მოსავლის ერთი მეათედით, ან ერთი მეოცედით განისაზღვრება.

ბ- ხარკს დაქვემდებარებული მიწა. ეს არის დაპყრობილი მიწა, რომელიც ძველ, ან ახალ არამუსლიმ მფლობელთა საკუთრებაშია. ერაყის სოფლები და მიმდებარე ტერიტორიები მსგავს სტატუსს ატარებს. ამ ტიპის მიწებიდან აღებული მოსავლის გადასახადი "ხარკის" კატეგორიაში შედის და სავალდებულო მოწყალებად არ ითვლება.

გ- სახელმწიფოს საკუთრებაში შეტანილი და მერე მიყიდვის შედეგად გასხვისებული მიწები. ამ მიწებზე მოსული მოსავალი, თუ მფლობელი მუსლიმია ზექათს ექვემდებარება.

საკუთრებაში არსებული სახლის ახლოს მდებარე ბაღის მოსავალი, რომელიც აგრეთვე საკუთრებაშია ზექათს არ ექვემდებარება.

დ- მიწები, რომელიც ისლამურ სახელმწიფოს ეკუთვნის და სარგებლობისთვის გლეხებზეა გადაცემული. ამ შემთხვევაში მიწით მოსარგებლე გლეხები არიან, როგორც დამქირავებლები და მათ მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილი ფული, თუ საქონელი ქირის სტატუსს ატარებს.

ამ ტიპის მიწებისათვის ზექათის გაცემა სავალდებულო არ არის, რადგან მიწა, რომელსაც მუსლიმი სარგებლობს ზექათს და ქირას, ან ზექათს და ხარკს ერდროულად არ შეიძლება ექვემდებარებოდეს.

ჰანეფის მიხედვით, ხარკს დაქვემდებარებული მიწა მუსლიმის საკუთრებაში რომ გადავიდეს მაინც ხარკს დაქვემდებარებული იქნება და მისგან სავალდებულო მოწყალების გაღება სავალდებულო არ არის.

შაფიის, მალიქის და ჰანბელის მიხედვით ამ ტიპის მიწები ხარკს ექვემდებარება, ხოლო მოსავალი -ზექათს.

ისინი ეყრდნობიან იმ აიათებს და ჰადისებს სადაც მოსავლის ზექათი სავალდებულოდაა გამოცხადებული და მიწის კატეგორია არ არის მითითებული. მათი მტკიცებულებაა, აგრეთვე ზექათის და ხარკის სხვადასხვა მნიშვნელობა. მაგ. ზექათი ღვთისმსახურებაა, მაშინ როცა ხარკი სასჯელია. ზექათი მოსავლისგან აირება, ხოლო ხარკი მიწას და მის მფლობელობას ეხება. მიწაზე მოსავალი მოვა თუ არ მოვა ხარკი მაინც გადახდილი უნდა იქნას. ზექათი ღარიბებს და უპოვართ უნაწილდება, ხოლო ხარკი საერთო სარგებლობისთვის და მებრძოლებისთვის გამოიყენება. ზექათის აუცილებლობა აიათებს და ჰადისებს ეყრდნობა, ხოლო ხარკი სახელმწიფო საერთო სარგებლობის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილებაა. ამდენად განსხვავებული ორი გადასახადის ერთი პიროვნებისთვის დაკისრება მისაღებია.

ზ) შინაური პირუტყვის ზექათი

შინაური პირუტყვის ზექათისადმი დაქვემდებარების შესახებ ყურანში პირდაპირ არაფერია მითითებული, მაგრამ შინაური ცხოველები ერთ, ფართო მნიშვნელობიან სიტყვაში "საქონელი" ერთიანდებიან. ამიტომ შევიძლია ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა შინაურ პირუტყვსაც მოიცავს. მითუმეტეს მაშინდელი არაბეთის მომთაბარე ბედუინებში პირუტყვი, ანუ საქონელი მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროდ ითვლებოდა.

რაც შეეხება წმ. შუამავლის ჰადისებს, იქ პირდაპირაა მითითებული, რომ შინაური პირუტყვი ზექათის გადახდას ექვემდებარება. წმ. შუამავალმა საქონელტან დაკავშირებული საგადასახადო ნორმები თავის სიცოცხლეშივე მომაზადებინა და სანამ საჭირო ადგილებში გაგზავნიდა გარდაიცვალა. მოგვიანებით კი აბუ ბაქარმა და ხალიფა ომარმა ეს ნორმები განახორციელეს.

ამ ნორმების და სხვა ჰადისების მიხედვით შინაური პირუტყვის ზექათი შემდეგი პირობების მიხედვითაა განსაზღვრული.

ა- წმ. შუამავლის და თავისი თანამოღვაწე მეგობრების პერიოდში მხოლოდ აქლემი, ძროხა და ცხვარი ექვემდებარებოდა ზექათს. კამეჩი ძროხის კატეგორიაში შედის, ხოლო თხა-ცხვრის კატეგორიაში. ყველა ესნი შინაური ცხოველები არიან. გარეულ ცხოველებს ზექათი არ ეხებათ.

ბ- აქლემის ზღვრული რაოდენობა ხუთით არის განსაზღვრული, ცხვრისა -ორმოცით, ხოლო ძროხის ზღვრული რაოდენობა ოცდაათია. ამ რაოდენობამდე თუ არ არის მიღწეული ჩამოთვლილთაგან არცერთი ცხოველის შენახვა ზექათის გადახდას არ ითვალისწინებს.

გ- შინაური ცხოველების მესაკუთრე ერთი წლის განმავლობაში უნდა ფლობდეს ზღვრული რაოდენობის , ან მეტ საქონელს. თუ პირუტყვი კონკრეტულ პატრონთან ერთ წელზე ნაკლები ხნით დარჩა ზექათს არ დაექვემდებარება, რადგან საქონონელი ერთი წლის განმავლობაში მრავლდება და იზრდება.

გამომდინარე აქედან, წლის განმავლობაში პირუტყვის გაყიდვის, გაჩუქების და ან სხვაგვარად გასხვისების შემთხვევაში, თუ საქონლის მფლობელი ხელახლა შეიძენს პირუტყვს, შეძენილი პირუტყვისთვის წლის ათვლა შესყიდვიდან იწყება.

დ- შიანაური პირუტყვი წლის უმეტეს ხანს საბალახოზე უნდა ძოვდეს. ბაკურ კვებაზე დატოვებული პირუტყვი ზექათს არ ექვემდებარება. გამომადინარე აქედან, 6 თვეზე ნაკლები ხნით საბალახოზე გაშვებული, ან შესაჯდომად, სატვირთოდ და სახორცედ განკუთვნილი პირუტყვი ზექათს არ ექვემდებარება. ვაჭრობის მიზნით შენახული საქონელი სხვა სავაჭრო საქონლის მსგავსად ზექათს ექვემდებარება. პირუტყვი, რომელიც სავაჭროდ არ არის შეძენილი წლის ნახევარზე მეტი ხნით საერთო სარგებლობის საძოვრებზე უნდა ძოვდეს, რათა ის ზექათს დაექვემდებაროს. ეს დებულება სხვადასხვა ჰადისებითაა გამყარებული.

ე- სოფლის მეურნეობის და გადაზიდვის საქმიანობაში გამოყენებული პირუტყვი ზექათს არ ექვემდებარება.

იმამ მალიქის აზრით მნიშვნელობა არ აქვს პირუტყვი სოფლის მეურნეობის სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენება თუ არა. ზღვრული რაოდენობის მიღწევის შემდეგ ზექათს ექვემდებარება.

ზექათისადმი დაქვემდებარებული ცხოველები და მათი ზღვრული რაოდენობა შემდეგია:

1) თხისა და ცხვრის ზექათი

წმ. შუამავლის ჰადისი თანახმად ცხვრის რაოდენობა 40-ს რომ მიაღწევს, 120- მდე ერთი ცხვარი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს. ცხვრის რაოდენობა 120-ს რომ გადასცდება

200-მდე,- 2 ცხვარი უნდა გაიცეს. 200-ს რომ გადასცდება 300-მდე 3 ცხვარი უნდა გაიცეს და ამის შემდეგ ყოველ 100 ცხვარზე თითო ცხვარი ემატება.

გამომდინარე აქედან თხა, ან ცხვარი, რომელიც წლის ნახევარზე მეტს საერთო საბალახოზე ძოვს სანამ მათი რაოდენობა 40 სული არ გახდება ზექათი არ ეხებათ. თუ პიროვნებას 40 ცხვარი, ან თხა გაუხდება და ამის შემდეგ ერთი წელი გავა საქონელი ზექათს დაექვემდებარება. ამის შემდეგ სანამ ცხვრის რაოდენობა 120-ს არ მიაღწევს ზექათის სახით ერთი ცხვარი უნდა გაიცეს. 121-დან 200-მდე ცხვრის პატრონს ორი ცხვრის ზექათი ევალება. 201-დან 399-მდე ცხვრის პატრონს 3 ცხვრის ზექათის სახით გაცემა ევალება. 400 ცხვარს კი 4 ცხვრის სავალდებულო მოწყალების სახით გაცემა ეკუთვნის. ამის შემდეგ ყოველი ასი ცხვრისთვის თითო ცხვარი ემატება. გამომდინარე აქედან თუ პიროვნებას 40 ცხვარი ჰყავს ერთი წლის განმავლობაში 1 ცხვარი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გასცეს. იგივენაირად ერთი ცხვრის ზექათი ეკუთვნის 120 ცხვრის პატრონსაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ცხვარი და თხა ერთ კატეგორიაში განიხილება. ამიტომ ზღვრული რაოდენობის შესავსებად მათი ერთიმეორეზე მიმატება შეიძლება. მაგ. თუ პიროვნებას 30 ცხვარი და 10 თხა ჰყავს ზექათი უნდ გასცეს. ზექათის სახით გასაცემი პირუტყვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

ცხვრისა და თხის შერეულ რაოდენობაში თუ ცხვარი მეტია სავალდებულო მოწყალებად ცხვრის გაცემა სუნნეთთან უფრო შესაბამისობაშია. თუ რაოდენობა თანაბარია პატრონი გადაწყვეტს და რომელსაც მოისურვებს იმას გასცემს. თუ მთლიანად ცხვარია მოწყალებად ცხვარი უნდა გაიცეს და პირიქით.

2) ძროხისა და კამეჩის ზექათი

ძროხის ზექათისადმი დაქვემდებარებულობა სუნნეთითა და იჯმას გადაწყვეტილებით ფარზია. მუაზ იბნ ჯებელი ამბობდა: ”როდესაც წმ. შუამავალმა იემენში გამაგზავნა მიბრძანა, რომ ყოველი 30 ძროხისგან 2 წლის პირუტყვი ზექათის სახით ამეღო. 40 ძროხისგან 3 წლის პირუტყვი უნდა ამეღო, ან მისი ფასისი შესაბამისი მატერია”

ძროხის კატეგორიაში შემავალი შინაური ცხოველების ზექათისადმი დაქვემდებარებისათვის ზღვრული რაოდენობა 30-ია.

30-დან 40 სულამდე 2 წლის მოზვერი, ან დეკეული სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს. 40-დან, 60 -მდე 3 წლის მოზვერი ან დეკეული უნდა გაიცეს, ხოლო 60 ძროხის პატრონმა ერთ წელზე მეტი ხნის ორი ხბო უნდა გასცეს.

ძროხა და კამეჩი ერთ კატეგორიაში განიხილება, ამიტომ ზღვრული რაოდენობის შესავსებად ერთმანეთს უნდა დაემატოს. მაგ. თუ პიროვნებას 20 ძროხა და 10 კამეჩი ყავს ეს უკვე ზღვრული რაოდენობაა და ერთი ორწლიანი პირუტყვი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს. თუ კამეჩი ძროხასთან შედარებით უფრო ძვირია, გასაცემად არჩეულთაგან ყველაზე იაფი გაიცემა, ხოლო თუ ძროხის ხბოს ავირჩევთ გასაცემად, რადგან ამ შემთხვევაში კამეჩთან შედარებით იაფია ხბოებს შორის ყველაზე ძვირი უნდა გაიცეს.

თუ საქონლეში სახარე და საფურე, ორივე სქესის პირუტყვი ურევია სავალდებულო მოწყალების გასაცემად დეკეული უნდა შეირჩეს, რადგან ის ღარიბს რძეს მისცემს და გამრავლდება. თუ 30-ვე პირუტყვი მამრია მაშინ შესაბამისად მამრი ხბო გაიცემა.

3) აქლემის ზექათი

წმ. შუამავალს თავის წერილში, სადაც ზექათია განხილული აქლემის ზღვრული რაოდენობის და გასაცემი ზექათის შესახებ გარკვეული ნორმები აქვს დადგენილი. აქვე წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ 5 აქლემზე ნაკლები თუ ყავს პიროვნებას ზექათის გადახდა არ ევალება.

ხუთი აქლემი, რომელთა ასაკი ერთ წელს აღემატება სავალდებულო მოწყალების გაღებას ექვემდებარება და ერთი ცხვარი მოწყალებად უნდა გაიცეს. ხუთ აქლემზე მეტი, ცხრამდე დამატებით ზექათს არ ექვემდებარება. 10 აქლემიდა 20 აქლემამდე ყოველი ხუთი აქლემისთვის თითო ცხვარი უნდა გაიცეს. 20 აქლემიდან 25-მდე დამატებითი ზექათის გადახდა არ არის საჭირო. 25-დან 35 აქლემამდე ორი წლის ასაკში გადასული დედალი აქლემი უნდა გაიცეს. 36 აქლემიდან 45 აქლემამდე 3 წლის ასაკში გადასული დედალი აქლემი უნდა გაიცეს. 46 აქლემიდან 60 აქლემამდე 4 წლის დედალი აქლემი გაიცემა. 61 აქლემიდა 75 აქლემამდე 5 წლის დედალი აქლემი უნდა გაიცეს. 76 აქლემიდან 90 აქლემამდე ორი, სამ წლამდე ასაკის დედალი აქლემი უნდა გაიცეს. 91- დან , 120-მდე ორი 4 წლის ასაკამდე დედალი აქლემი, 120 -დან 145 აქლემამდე ორ 4 წლის დედალ აქლემთან ერთად ყოველ ხუთ აქლემზე თითო

ცხვარი უნდა დაემატოს.

რაოდენობის თვალსაზრისით აქლემების სქესს მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა სავალდებულო მოწყალებად მდედრი აქლემი უნდა გაიცეს.

წლის დასაწყისში პირუტყვის რაოდენობა თუ ზღვრულ რაოდენობას აღწევს და წლის განვავლობაში შესყიდვით, მემკვიდრეობით და მსგავსი საშუალებებით მათი რაოდენობა გაიზარდა წლის ბოლოს ყველა ერთად ზექათს დაექვემდებარება.

იმამ შაფიის აზრით შემდეგ შეძენილი საქონლისთვის წლის ათვლა შეძენის დღიდან უნდა დაიწყოს.

პირუტყვს შორის თუ ბრმა, ან სუსტი ცხოველი ურევია საერთო რაოდენობაში ითვლებიან. თუმცა მათი სავალდებულო მოწყალებად გაცემა მიუღებელია. ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის შეხედულებით პატარა ბატკნები, ხბოები და კოზაკები ზღვრული რაოდენობის შესავსებად არ ითვლებიან. ისინი თავიანთი ჯიშის ზრდასრულ პირუტყვებთან ერთად დაექვემდებარებიან ზექათს.

მაგ. თუ პიროვნებას წლის განმავლობაში 50 ცხვარი და 75 რვა თვის ასკის ბატკანი ყავს წლის ბოლოს ორი ცხვარი ზექათის სახით უნდა გასცეს. ან კიდევ, თუ პიროვნებას ერთი ძროხა და 29 ხბო ჰყავს წლის ბოლოს ერთი წლის ასაკის ერთი ხბო ზექათის სახით უნდა გასცეს.

ასევე, თუ მორწმუნეს 4 აქლემის კოზაკი ყავს და ორი, ან სამი წლის ერთი აქლემი წლის ბოლოს ერთი ცხვარი ზექათის სახით უნდა გაიცეს.

ებუ იუსუფის აზრით ერთ წლამდე ასაკის პირუტყვი თუ ზღვრულ რაოდენობას აღწევს ზექატს ექვემდებარება. მაგ. 40 ბატკნისათვის ერთი ბატკანი მოწყალებად უნდა გაიცეს. იგივე აზრს იზიარებს იმამი შაფიიც.

ზექათისადმი დაქვემდებარებული საქონლიდან გარკვეული ნაწილი თუ განადგურდა ებუ ჰანიფეს და ებუ იუსუფის აზრით ზექათის რაოდენობაზე არ აისახება, ხოლო იმამი მუჰამმედი და ზუფერი მიიჩნევდნენ, რომ დანაკლისი ზექათის რაოდენობაზე აისახება.

მაგ. თუ პიროვნებას ყავს 60 ცხვარი და წლის განვავლობაშე

20 მათგანი დაეღუპა, პირველი შეხედულების მიხედვით, რადგან უკან ისევ 40 ცხვარი დარჩა ზექათის სახით ერთი ცხვარი უნდა გაიცეს. მეორე შეხედულების მიხედვით კი აღნიშნული ზარალი ზექათის რაოდენობაზე გარკვეული პროცენტით უნდ აისახოს.

ჰანეფის და ჰანბელის მიხედვით, წლის ბოლოსათვის ზექათს დაქვემდებარებული საქონლის მოწყალების გაცემამდე გაყიდვისას ზექათის რაოდენობის კომპენსაციაა საჭირო.

შაფიი მიიჩნევს, რომ ზექათის გაცემამდე საქონლის გაყიდვის შემთხვევაში მოწყალებად გასაცემი რამდენი პირუტყვიცაა იმდენი პირუტყვის ყიდვა-გაყიდვის შეთანხმება მიზანშეუწონელია. ისინი ღარიბთა საკუთრებაა. ამიტომ მათი ნებართვის გარეშე არ უნდა გაიყიდონ.

4) ცხენების ზექათი

წმ. შუამავალი ბრძანებდა: "ცხენების და მონების ზექათისგან გათავისუფლებთ!"

"მუსლიმს ცხენის და მონის გამო ზექათი არ ეკუთვნის!"

თუმცა გამრავლების მიზნით შენახული და საერთო სარგებლობის საძოვრებზე მძოვარი ცხენები ზექატს ექვემდებარებიან.

ცხენების ზექათთან დაკავშირებულ საკითხზე ხალიფა ომართან მოსულ ხალხს ომარმა წმ. შუამავლის და აბუ ბაქარის მიდგომების გათვალისწინებით აუწყა, რომ ცხენები ზექათს არ ექვემდებარებოდა. მოგვიანებით ხალიფა ომარმა ებუ უბეიდეს წერილი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ თუ მათ სურდათ ცხენების ზექათის გადახდა შეეძლო მათგან აეღო ზექათი და ღარიბებისთვის გაენაწილებინა.

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ცხენის კატეგორიაში შემავალი პირუტყვის ზექათი სავალდებულო არ არის, რადგან წმ. შუამავალმა ისინი ზექათისგან გაათავისუფლა.

წმ. შუამავლის და ოთხი ხალიფას პერიოდში ცხენები უმეტესად სამგზავროდ, ომის დროს და ტვირთის გადასატანად გამოიყენებოდნენ. ამიტომ ისინი ზექათისგან გათავისუფლებულდნენ. ისევე როგორც სხვა პირუტყვი, მაგ. ხარი, აქლემი და სხვა, რომლებიც გამწევ ძალას, ან გადატანის საშუალებას წარმოადგენდნენ.

თუმცა, ცხენები თუ გამრავლების მიზნით არიან მოშენებული

და ისინი წლის უმეტეს დროს საერთო სარგებლობის საძოვრებზე ძოვენ მათი ზექათის გადახდა სავალდებულოა. ებუ ჰანიფეს და ზუფერის შეხედულების თანახმად გამრავლების მიზნით მოსენებული ცხენები, რომლებიც წლის უმეტეს ხანს საერთო სარგებლობის საძოვრებზე ძოვენ ზექატს ექვემდებარებიან და ყოველი ცხენისთვის წლიწადში 1 დინარი, ან ცხენის საფასურის 2.5 პროცენტი უნდა გაიცეს.

ებუ ჰანიფე, ამ შემთხვევაში ცხენებს სავაჭრო საქონლად მიიჩნევს. ცხენების ზექათთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა მათი მოშენების მიზანმა წარმოქმნა. თუმცა ვაჭრობის მიზნით მოშენებული, ან ნაყიდი ცხენი ზექათს ექვემდებარება. ეს უდავოა.

5) თევზის და მსგავსი კატეგორიის ცხოველთა ზექათი

თევზი, ისევე როგორც საქონლის ხორცი საკვები პროდუქტია და ამავდროულად მნიშვნელოვანი სავაჭრო საქონელი. გამომდინარე აქედან, თევზით მოვაჭრე ადამიანი თუ ისლამის მიხედვით მდიდრის მდგომარეობამდე მიარწევს და მის ხელში არსებული თევზის ფასიდან გამომდინარე 2.5 პროცენტი ზექათის სახით უნდა გაიცეს.

რაც შეეხება ქათმის ფერმას, აქ ორი რამ არის გასათვალისწინებელი; თუ ქათმები კვერცხით ვაჭრობის მიზნით არიან მოშენებული, წლის ბოლოს ძირითადი საჭიროებები და ვალები უნდა იქნას გათვალისწინებული და დარჩენილი ნაღდი ფული, გასაყიდი კვერცხი, დასაკლავი , ან გასაყიდი წიწილები და ქათმები ერთად აღებული სავაჭრო საქონლად ჩაითვლება და შესაბამისად 2.5 პროცენტ ზექათს დაექვემდებარება. ფერმის მუშაობისათვის აუცილებელი ტრანსპორტი და სხვა საშუალებები, აგრეთვე ძირითადი კაპიტალი ზექათს არ ექვემდებარება. სახორცე წიწილები კი წლის ბოლოს გაყიდვისას ზექატს დაექვემდებარება. იგივე ეხება სირაქლემის და ინდაურის ფერმების მუშაობას.

ძროხის კატეგორიის ფერმებში კი, თუ მთელი წელი, ან წლის ნახევარზე მეტი პირუტყვი ბაგურ კვებაზეა სამეწარმეო ზექათი არ ვრცელდება. თუ პირუტყვი რძით ვაჭრობის მიზნით არის მოშენებული წლის ბოლოს ხარჯების, ვალების, ძირითადი საჭიროებების გამოკლების შემდეგ დარჩენილი ნაღდი ფული, საიმედო ასაღები, დამზადებული რძის პროდუქტები და ხორცად გასაყიდი საქონელი ზექატს დაექვემდებარება და მთლიანი ფასის 2.5 პროცენტი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს. თუ ამგვარი ფერმა ხორცის წარმოების მიზნითაა შექმნილი წლის ბოლოს დარჩენილი

ნაღდი ფული, საიმეოდ ასარები და მთლიანი პირუტყვი ზექათს დაექვემდებარება და ერთიანი ფასის 2.5 პროცენტი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს.

თ) პირუტყვის ზექათთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ა- ვაჭრობის მიზნით მოშენებული პირუტყვი, როგორც სავაჭრო საქონელი ზექათს ექვემდებარება. ვაჭრობის და მოგების მიზნით შესყიდული დდი თუ პატარა პირუტყვი სავაჭრო საქონლად ითვლება და შესაბამისად ზექათი მათზეც ვრცელდება. ზღვრული რაოდენობის მიღწევისას წლის ბოლოს მათი ერთი მეორმოცედი ზექათის სახით უნდა გაიცეს.

მაგ. თუ პიროვნებამ ვაჭრობის მიზნით იყიდა ათი ცხვარი, სამი ცხენი და ხუთი ძროხა, წლის ბოლოს მათი მთლიანი ფასის 2.5 პროცენტი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გასცეს.

ბ- თუ ძროხის კატეგორიაში შემავალი პირუტყვი და აქლემი გამწევ ძალად, ან ტვირთის გადასატანად გამოიყენება ზექათისგან თავისუფალია. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ პირუტყვი, რომელიც სამუშაოდ გამოიყენება ზექათს არ ექვემდებარება.

გ- მთელი წლის, ან წლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში ბაგურ კვებაზე მყოფი საქონელი, მათი შენახვის ხარჯიანობიდან გამომდინარე ზექატს არ ექვემდებარება. ამასთანავე ისინი საერთო სარგებლობის საძოვრებზე არ ძოვენ, ამიტომ მათ ფასში სხვების წილი არ არის. გამომდინარე აქედან, თუ პირუტყვი გაზრდის და შემდეგ გაყიდვის, ანუ ვაჭრობის მიზნით არ არის შეძენილი და მხოლოდ რძის პროდუქტების დამზადებისა და გამრავლების მიზნით არის მოშენებული მათზე ზექათი არ ვრცელდება. თუმცა გასაყიდი რძის პროდუქტები, ხორცი, გასაყიდი ნამრავლი, როგორც სავაჭრო საქონელი ზექათს ექვემდებარება და შესაბამისად გარკვეული ნაწილი სავალდებულო მოწყალების სახით უნდა გაიცეს. ამდენად, ამ ტიპის ფერმებში მოშენებული პირუტყვი ზექათისგან აბსოლუტურად გათავისუფლებულად არ ითვლება.

დ- წლის ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში საერთო სარგებლობის საძოვრებზე მობალახე პირუტყვი ზექათს ექვემდებარება. თუმცა ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მათი რაოდენობა

ზღვრულს აღწევდეს. მაგ. თუ პიროვნებას 38 ცხვარი, 28 ძროხა და 4 აქლემი გაჩნია სავალდებულო მოწყალების გადახდა არ ეხება, რადგან აღნიშნული ცხოველები ცალკ-ცალკე ზღვრულ რაოდენობას არ აღწევენ და არც ერთიმეორეზე მიმატებაა მიღებული, რადგან ერთი ჯიშისანი არ არიან. მათი მიმატება არც სავაჭრო საქონელზე შეიძლება.

დანარჩენი შინაური ცხოველები, როგორებიცაა ცხენი, ჯორი, ვირი, ქათამი, ინდაური, სირაქლემა და მსგავსი შინაური თუ მოშინაურებული ცხოველი თუ ვაჭრობის და მოგების მიზნითაა შენახული სავაჭრო საქონლის მსგავსად ზექათის გადახდას დაექვემდებარება. გაყიდვის დროს მათი ფასი სხვა სავაჭრო საქონლის ფასს დაემატება და წლის ბოლოს სავალდებულო მოწყალებას დაექვემდებარება.

ი) სავალდებულო მოწყალების პირადად, ან სახელმწიფოს ხელით გაცემა

სავალდებულო მოწყალება შესაბამისი ვალდებულების მქონე მუსლიმისათვის ფარზია. შესაბამისად მისი შესაბამისი განზრახვით პირადად შესრულება მისაღებია. თუმცა, თავდაპირველად ზექათი სახლემწიფოს მიერ იკრიბებოდა და შესაბამის პიროვნებებზე ნაწილდებოდა.

წმ. შუამავალმა ზექათის მოსაკრებად სპეციალური მოხელეები დანიშნა და გასამრჯელოდ ისევ მოკრებილი სავალდებულო მოწყალებიდან წილის აღების უფლება მისცა. წმ. შუამავლის და ოთხივე ხალიფას პერიოდში ზექათის მოკრებას სახელმწიფო მოხელეები ახორციელებდნენ და საჭიროების მქონე ადამიანებს უნაწილებდნენ. წმ. შუამავალმა მუაზ იბნ ჯებელი იემენში მმართველად გაგზავნა და უბრძანა, მდიდრებისგან ზექათი აეღო და ღარიბებისთვის გადაეცა.

ზექათის შემგროვებელ მოხელეს გასამრჯელოდ სახელმწიფო ზექათის ფონდიდან შეგროვებული მოწყალების ერთი მერვედი ერგებოდა. თუმცა ეს, როგორც აუცილებელი პირობა არ არის. სახელმწიფოს შეუძლია ამ სამსახურისათვის გარკვეული ჯამაგირი დააწესოს.

წმ. შუამავალი ზექაის ამკრებ მოხელეების შესახებ ბრძანებდა:

”ვინც ჩვენთან იმუშავებს, თუ არ აქვს სახლი- მიეცეს, თუ არ ჰყავს მეუღლე დაქორწინებულ იქნას, თუ არ ჰყავს მოსამსახურე და შესაჯდომი პირუტყვი მიეცეს მოსამსახურეცა და შესაჯდომიც! თუ ამაზე მეტი მოისურვოს, ან თვალთმაქცია, ან ქურდი!”

სწავლულთა უმრავლესობის შეხედულების თანახმად ისლამურ სახელმწიფოს უფლება აქვს ზექათს დაქვემდებარებული ყველა საქონელის ზექათი მოითხოვოს. შესაბამისად შეუძლია ძალისმიერი მეთოდითაც მოაგროვოს. ზოგი სწავლულის აზრით კი სავალდებულო მოწყალების პირდაპირ ვალდებული პიროვნების მიერ ღარიბზე გადაცემა მიზანშეწონილია, რადგან სახელმწიფოს მიერ შეკრების შემთხვევაში შეიძლება ზუსტ ადრესატამდე, ანუ ღარიბებამდე შეიძლება სრულად არ მიაღწიოს.

კ) ზექათის გადახდის ფორმა

ჰანეფის მიხედვით ზექათის გაცემა შეიძლება, როგორც იმავე საქონლიდან, ისე საქონლის შესაბამისი ფასის სხვა საქონლიდანაც. მტკიცებულება სუნნეთს ეყრდნობა. ზექათის გამცემს უფლება აქვს არჩევანი თვითონ გააკეთოს.

ებუ ჰანიფეს შეხედულებით მოწყალებად გასაცემი საქონლის ფასის განსაზღვრისას ის დროა მნიშვნელოვანი, როდესაც კონკრეტული საქონლის ზექათის გაცემა ფარზი გახდა. ხოლო ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით მხედველობაში მისაღები ზექათის გადახდის დროა.

წმ. შუამავალს ზექათისთვის შეკრებილ საქონელს შორის დიდი და გამორჩეული აქლემი დაუნახავს და მაშინვე ზექათის ამკრებ მოხელისთვის უსაყვედურებია, ადამიანებს საუკეტესი საქონელს ნუ გამოართმევო. მოხელესაც თავი უმართლებია, ეს აქლემი ორი პატარა აქლემის სამაგიეროდ გამოვართვიო. წმ. შუამავალს არარაფერი უთქვამს. გამოდინარე აქედან, ზოგჯერ ფასია მხედველობაში მისაღები.

სავალდებულო მოწყალების მიზანი ღარიბთა საჭიროებების დაკმაყოფილებაა. ღარიბს შეუძლია გამოიყენოს როგორც ზექათქვემდებარე საქონელი, ისე მისი საფასურის სხვა საქონელი, ან ფული.

შაფიის მიხედვით ყოველი ზექათქვემდებარე საქონელის მოწყალება იგივე საქონლის გაცემას გულისხმობს. მისის ფასის სხვა

საქონელი ან ფული არ გაიცემა.

თუ მდიდარი ღარიბს ასაღებ ვალს აჩუქებს ზექათად ჩაეთვლება. ასაღები ვალის ნაწილი რომ აჩუქოს მხოლოდ ის ნაწილი ჩაეთვლება ზექათად.

გარდა ამისა, ასაღები ვალის სხვა საქონლის ზექათად ჩათვლა მიუღებელია. ასეთი რამ მისაღები რომ ყოფილიყო ურჩი გადამხდელებისგან ასაღებ ვალს ზექათს მიაწერდნენ. გადამხდელებიც ვალის გასაბათილებლად გადახდას განგებ წლის ბოლომდე დააგვიანებდნენ, რათა ჩამოაწერონ. ეს მდგომარეობა კი იმ ღარიბებს დააზარალებს, ვისაც მოწყალება მართლა სჭირდება.

გარდა ამისა თუ ვალში მყოფი ვალის ჩამოწერას ზექათის არების სანაცვლოდ ითხოვს, ზექათის გამცემს შეუძლია სხვა საქონლის ზექათი მისცეს და იმანაც იქიდან ვალი დაუბრუნოს.

თუმცა მდიდარ ადამიანს სხვა მდიდარისგან თუ აქვს ასაღები ვალი და აჩუქებს სანდო შეხედულების ღანახმად ზექათს არ გამოაკლდება.

ზღვრულ რაოდენობას მიღწეული საქონლის ზექათი წლის შესრულებამდე შესაძლებელია, რომ გაიცეს. თუმცა ზღვრულ რაოდენობის მიუღწევლად ქონების ზექათის ადრიანად გადახდა მიუღებელია. აღნიშნული საქონელი ზღვრულ რაოდენობის მიღწევის შემდეგ ერთი წლის გასვლისთანავე ხელახლა ზექათის გადახდას დაექვემდებარება. ადრიანად გაცემული მოწყალება კი ნაფილე მოწყალებად ჩაითვლება.

იმამ მალიქის შეხედულების თანახმად ზექათის დროზე ადრე გაცემა მიუღებელია, რადგან ღვთისმსახურება თავის დროზე უნდა შესრულდეს.

ჰანეფის მიხედვით ზღვრულ რაოდენობას მიღწეული საქონლის რამოდენიმე წლის ზექათის ერთდროულად გაცემა შეიძლება. თუ წლის ბოლოსთვის საქონლის ზღვრული რაოდენობა შენარჩუნდება მოწყალება ზექათად ჩაითვლება, თუ შემცირდება და ზღვრულ რაოდენობას ჩამოსცილდება -ნაფილე მოწყალებად.

ღარიბი, რომელიც ზექათს მიიღებს და სასიკეთო საქმეში დახარჯავს თავადაც მადლს მიიღებს და ისიც, ვინც მას ზექათი გადასცა.

ზექათის გაცემის ერთ-ერთი პირობა საქონლის სხვის საკუთრებაში

გადაცემაა. ამიტომ სახლში სტუმრის მიწვევა და გამასპინძლება ზექათად არ ითვლება. იგივე ვრცელდება ზექათის ფულით გზის, ხიდის, მეჩეთის, სკოლის და მსგავსი სასიკეთო საქმის გაკეთების შემთხვევებზეც.

Ⅳ-ზექათის გასაცემი ადგილები და პირები

ყურანში ნაბრძანებია თუ ვისზე შეიძლება სავალდებულო მოწყალების გაცემა.

وَمِنْهُمْ مَنْ يَلْمِزُكَ فِى الصَّدَقَاتِ فَاِنْ اُعْطُوا مِنْهَا رَضُوا وَاِنْ لَمْ يُعْطَوْا مِنْهَا اِذَا هُمْ يَسْخَطُونَ

وَلَوْ اَنَّهُمْ رَضُوا مَا اٰتيهُمُ اللّٰهُ وَرَسُولُهُ وَقَالُوا حَسْبُنَا اللّٰهُ سَيُؤْتِينَا اللّٰهُ مِنْ فَضْلِه وَرَسُولُهُ اِنَّا اِلَى اللّٰهِ رَاغِبُونَ

اِنَّمَا الصَّدَقَاتُ لِلْفُقَرَاءِ وَالْمَسَاكِينَ وَالْعَامِلِينَ عَلَيْهَا وَالْمُؤَلَّفَةِ قُلُوبُهُمْ وَفِى الرِّقَابِ وَالْغَارِمِينَ وَفِى سَبِيلِ اللّٰهِ وَابْنِ السَّبِيلِ فَرِيضَةً مِنَ اللّٰهِ وَاللّٰهُ عَلِيمٌ حَكِيمٌ

და მათგან არიან, რომელნიც გძრახავენ შენ ნადავლის თაობაზე, თუ რამე მიეცათ მისგან, კმაყოფილი არიან და თუ არ მიეცათ, მაშინ რისხვა იპყრობს მათ.

და რომ ისინი დასჯერებოდნენ იმას, რაც მათ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უბოძა და რომ ეთქვათ: ალლაჰი კმარა ჩვენთვის. გვიწყალობებს ალლაჰი თავის წყალობას და მისი შუამავალიც , უეჭველად, ჩვენ წადილი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების სურვილია,...

უეჭველად, მოწყალებანი სავალდებულოა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, ღატაკთათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ საქმითაა დაკავებული , ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია , მონათათვის , ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას და მგზავრთათვის. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!” „თევბე 9/58-59-60“

ქონების მოყვარული ზოგიერთი ადამიანი ზექათს უსამართლოდ ითხოვდა. ამის თაობაზე ზეგარდმოევლინა ეს აიათები.

წმ. შუამავლის ჰადისების თანახმად კი ზექათი მდიდრებისგან აღებულ უნდა იქნას და ღარიბებს გადაეცეთ. ეს ზემოთ მოყვანილ ჰადისში ჩანს, რომელიც იემენში მმართველად წარგზავნილ მუაზ იბნ ჯებელს ეხება. მაშინ შუამავალმა მუაზ იბნ ჯებელს წმ. წიგნის და სუნნეთის მტკიცებულებებით გამყარებული დებილებები გააყოლა და ამის გარდა გადაწყვეტილებების მიღების უფლებაც მისცა.

ა) ზექათის გაცემა შემდეგ რვა კატეგორიაზე შეიძლება

ზემოთ მოყვანილ აიათში ზექათის გაცემა შემდეგი კატეგორიის ადამიანებზე შეიძლება.

1-2- ღარიბები და უპოვარნი. ღარიბად ითვლება ადამიანი, რომელსაც აქვს სახლი, საჭირო ავეჯი, ძირითადი საჭიროებისთვის სამყოფი ქონება, მაგრამ სხვა აუცილებელ საჭიროებებს მისი შემოსავალი არ ჰყოფნის და ვალების გამოკლების შემდეგ მისი ქონება ზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებია. ადამიანი, რომელიც სადმე მუშაობს, მაგრამ მისი შემოსავალი ძირითად საჭიროებებს არ ჰყოფნის ამავე კატეგორიაში შედის.

რაც შეეხება უპოვარს, მას არავითარი შემოსავალი და ქონება არ გააჩნია. გამომდინარე აქედან, უპოვარს უფრო მეტად სჭირდება დახმარება.

ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და მალიქის მიმდინარეობიდან იბნულ ქასიმის აზრით ღარიბსა და უპოვარს შორის ამ თვალსაზრისით განსხვავება არ არსებობს.

წმ. ომარი თვლიდა, რომ ღარიბი მუსლიმ გაჭირვებულს ნიშნავდა, ხოლო, ამ შემთხვევაში უპოვარი არამუსლიმ გაჭირვებულებს გულისხმობდა. ომარი სახელმწიფო ხაზინიდან ერთ-ერთი გაჭირვებული ებრაელისთვის ხელფასის სახით ფულის გადახდას მოითხოვდა. ის ამბობდა, რომ ყურანში ნახსენები სიტყვა ”მისქინ” საერთოდ წმ. წიგნის ხალხს გულისხმობდა. თუმცა ეს აზრი სწავლულთაგან იქრიმემ და ჰანეფის მიმდინარეობის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ზუფერმა გაიზიარეს. დანარჩენი ყველა სწავლული იმამები მიიჩნევდნენ, რომ არამუსლიმ ღარიბებზე მხოლოდ ნაფილე მოწყალების გაცემა შეიძლება.

ჰანეფის მიხედვით, ღარიბებისა და უპოვრებისთვის ერთჯერადად გასაცემი მოწყალების მაკსიმალური რაოდენობა ზღვრული რაოდენობითაა განსაზღვრული. სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევენ, რომ ერთჯერადად გასაცემი მოწყალების რაოდენობა ღარიბის საჭიროების მიხედვით განისაზღვრება. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია ერთჯერადად ზღვრულ რაოდენობაზე მეტიც გაიცეს.

შაფიის მიხედვით, ღარიბზე იმდენი მოწყალების მიცემა, რომ სიღარიბეს თავი დააღწიოს, მთელი ცხოვრება ეყოს და ზექათის

აღება აღარ დაჭირდეს, მისაღებია. მალიქის და ჰანბელის მიხედვით ღარიბზე და უპოვარზე მხოლოდ ერთი წლის სამყოფი მოწყალება მიიცემა. რაოდენობა კი, ამ შემთხვევაში გარემო და ცხოვრებისეულ პირობებზეა დამოკიდებული.

3- ზექათთან დაკავშირებული სამუშაოს შემსრულებელი ადამიანები.

ესენი არიან სპეციალურად ზექათის აკრებისა და შესაბამისად განაწილების საქმიანობით დაკავებული ადამიანები.

ზექათის აკრეფის სამუშაო, ისევ ზექათიდან გარკვეული პროცენტის სანაცვლოდაც შეიძლება. საამისოდ შესაძლებელია სპეციალური ფონდის ჩამოყალიბება და ამ მნიშვნელოვანი სოციალური დახმარების ეფექტურად ორგანიზება.

ზექათის საქმიანობით დაკავებული პიროვნება სამართლიანი და ზექათის საკითხებში კარგად გარკვეული უნდა იყოს.

4- მეოთხე კატეგორიის ადამიანები, რომელთა შესახებ ყურანშია საუბარი და რომლებზეც მოწყალების გაცემა შესაძლებელია არიან ისინი, ვისაც ისლამის მიმართ დადებითი დამოკიდებულების შექმნა სჭირდებათ. ამგვარი მოპყრობით მათი გულები ისლამის მიმართ გათბება და სიმპათია გაუჩნდებათ. მექას დაპყრობის შემდეგ წმ. შუამავალმა ისლამის რიგებში ახლად შესულ ადამიანებს ზექათიდან გარკვეული წილი დაუნიშნა. მათ შორის იყვნენ ისეთბიც, რომლებსაც ჯერაც არ ეღიარებინათ ისლამი. ამ კატეგორიის ხალხზე ზექათის გაცემის მიზანი მათი რწმენის გაძლიერება და მათი სიკეთისკენ მოწოდებაა.

წმ. შუამავალი ისლამის გაძლიერების მიზნით აღნიშნული კატეგორიის ადამიანებს ზექათიდან წილს აძლევდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ხალხი მივიდა აბუ ბაქართან და ზექათი მოითხოვა. ამ საკითხის გასარკვევად ისინი წმ. ომართან გააგზავნეს. ომარმა კი უთხრა მათ: ”წმ. შუამავალი ზექათიდან წილს გაძლევდათ, რადგან სურდა ისლამის მიმართ რწმენა გაგძლიერებოდათ. ახლა ისლამი გაძლიერდა. თუ მუსლიმად დარჩებით დარჩით, თუ არადა თქვენს წინააღმდეგ ვიბრძოლებთ!”

წმ. ომარის ეს გადაწყვეტილება ოთხივე ხალიფას დროს მოქმედებდა.

ჰანეფის და მალიქის მიხედვით წმ. შუამავლის გარდაცვალების

შემდეგ ზექათის გაცემის აღნიშნული მეთოდი გაუქმდა. იმამ შაფიის აზრით კი, თუ ომის მსგავსი კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა იგივე ფონდით სარგებლობა შესაძლებელია.

წმ. შუამავლის დროინდელის მსგავსი სიტუაცია თუ შეიქმნება აღნიშნული კატეგორიის ხალხზე ზექათის გაცემა შესაძლებელია.

5- მონები

ზექათის ფულით მონის გათავისუფლება შეიძლება. ზექათის ფონდის მონების გასათავისუფლებლად გამოყენება მიანიშნებს, რომ ისლამის ადამიანის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობას ანიჭებს. ისლამის აღმოცენების პერიოდში მთელ დედამიწაზე მონობა ფართოდ იყო გავრცელებული. ადამიანებს ძალით იტაცებნენ და მონად აქცევდნენ. ვალში ჩავარდნილი თუ ვალს ვერ გადაიხდიდა მონად იქცეოდა. იგივე ხდებოდა დანაშაულის ჩადენისას . ისლამმა ყველა ეს მეთოდი, რომლითაც ადამიანებიმონები ხდებოდნენ აკრძალა. ომში შეპყრობის ტყვეებს ან გამოსასყიდის სანაცვლოდ, ან გამოსასყიდის გარეშე ათავისუფლებდნენ. თუმცა დანარჩენ მსოფლიოში ომის ტყვეების მონებად გადაქცევა ფარტდ იყო გავრცელებული. ამის საპასუხოდ ისლამის სახელმწიფოს მმართველს ტყვეების მონად ქცევის უფლება მიეცა. ამასთანავე, ისლამი მონებს ყოველთვის ადამიანური ცხოვრების საშუალებას აძლევდა და გათავისუფლებისათვის ბევრ შანსს უტოვებდა.

6- ვალში ჩავარდნილები.

ვალის გამოკლების შემთხვევაში თუ პიროვნებას ქონების ზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები დარჩა მისთვის სავალდებულო მოწყალების მიცემა შეიძლება. ვალში ჩავარდნილად ითვლება ის ადამიანი, რომელსაც ასაღები აქვს და აღება შეუძლებალია. ამგვარად, ვალში ჩავარდნის გამო გაჭირვებულად მცხოვრები ადამიანისთვის ზექათის მიცემა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე ღარიბისთვის, რომელსაც ვალი არ აქვს, რადგან ვალში ჩავარდნილ ადამიანს გარკვეულწილად თავისუფლება ეზღუდება და მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა მნიშვნელოვანია.

სხვისი ქონების ან სიცოცხლის გადასარჩენად, სხვისი თავდებობით ვალში ცავარდნილი პიროვნება მდიდარიც რომ იყოს ”ვალში ჩავარდნილად” ითვლება და შესაბამისად ზექათით სარგებლობა შეუძლია.

სწავლულთ უმრავლესობის აზრით ვალში ჩავარდნა ორგვარად

ხდება. ადამიანი საკუთარი საჭიროებებისთვის, მკურნალობისთვის, ოჯახის შენახვისთვის, დაქორწინებისთვის და ა. შ შეიძლება ვალში ჩავარდეს. მეორენაირად კი, პიროვნება ხალხის შერიგებისთვის, დაპირისპირებული მხარეების მოსარიგებლად, ან საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმის გაკეთების გამო ვალში ჩავარდეს.

საკუთარი საჭიროებებისთვის ვალში ჩავარდნილ ადამიანს ზექათით სარგებლობის უფლება რომ ჰქონდეს შემდეგი პირობების გათვალისწინებაა საჭირო:

ა- პიროვნებას ზღვრული რაოდენობის საქონლის გარდა ვალის გადასახდელად საკმარისი ფასეულობის საქონელი არ უნდა გააჩნდეს.

ბ- არამი საქმეების გამო, როგორიცაა ალკოჰოლური სასმელები, მრუშობა, აზრტული თამაშები და აშკარად გამოხატული ზედმეტი მხარჯველობა, ვალში ჩავარდნილი არ უნდა იყოს.

გ- ვალის გადახდის დრო მოსული უნდა იყოს.

დ- ვალი პიროვნებაზე, ან დაწესებულებაზე მისაცემი უნდა იყოს. ზექათის ვალი, რომელსაც მისგან არ მოითხოვენ ამ კატეგორიაში არ შედის.

დღეისათვის, სამრეწველო ბუმის ეპოქაში ყველაზე დიდი ვალი ყველაზე დიდი კაპიტალის მქონეებს აქვთ. ზოგიერთი მეწარმეს ვალი 20 წლით აქვს აღებული. ამ ვალის შესაბამისი სავაჭრო საქონელი, სამეწარმეო შეობა-ნაგებობები და სხვა ფასეული საქონელი თუ გააჩნია პიროვნება ღარიბად ვერ ჩაითვლება. მას შეუძლია ეს ყველაფერი გაყიდოს და ვალი გაისტუმროს. ამასტანავე ვალის გასასტუმრებლად საკმარისი ეკონომიკური ფასეულობები ზექათს არ ექვემდებარება. მაგ. თუ პიროვნებას 10 კგ. ოქროს ფასის სავაჭრო საქონელი გააჩნია და ერთი წელი გავიდა, ბუნებრივია ამ პიროვენებას აღნიშნული საქონელის გამო ზექათის გადახდა ევალება, მაგრამ თუ იმავე პიროვნებას 12 კგ. ოქროს შესაბამისი ფასის ვალი აქვს და აღნიშნული ქონების გარდა სხვა ქონება არ გააჩნია მთელი საქონელი რომ გაყიდოს 2 კგ. ოქროს საფასური ვალად დარჩება. ამიტომ მას შეუძლია ზექათის ფონდიდან ისარგებლოს.

ბოროტების და ცოდვის გზაზე ვალში ჩავარდნილი ადამიანი თუ გულწრფელად მოინანიებს თავის საქციელს ზექათის ფონდიდან მასაც წილი ერგება.

7- ღმერთის გზაზე მავალნი

ღვთის გზაზე მავალნი შეიძლება ორ კატეგორიაში განვიხილოთ. პირველი, საღვთო ომში მონაწილენი. საღვთო ომში მონაწილეებზე ზექათის გაცემა შეიძლება. იმამ შაფიის და მალიქის შეხედულების თანახმად საღვთო ომში მონაწილეთა შორის მდიდარი და ღარიბი არ განირჩევა. მდიდარი ადამიანი საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიაზეა მდიდარი, ომში კი საკუთარ ქონებასთან დაშორებულია.

ღვთის გზაზე ყოფნის მეორე მნიშვნელობა ყოველგვარი სასიკეთო საქმის კეთებაა, რომელიც ღმერთ□ს კმაყოფილებისათვის და მასთან დაახლოებისთვის არის გამიზნული.

ამორი მნიშვნელობის გამო ზოგიერთი სწავლულის აზრით ზექათით სარგებლობა მხოლოდ საღვთო ომში მონაწილეებს, ჰაჯობაზე და უმრეზე წასულთ და ისლამის მეცნიერებით დაკავებულ პიროვნებებს შეუძლიათ. ზოგი სწავლული კი მიიჩნევს, რომ ზექათის ფონდიდან მეჩეთის, სკოლის, საავადმყოფოს, ხიდის და მსგავსი სასიკეთო საქმისთვის თანხის გამოყოფა შეიძლება.

გარდა ამისა ისლამის დიდი სამართალმცოდნე ელ ქასანი ყველა საქმეს, რომელიც ადამიანს ღმერთთან აახლოებს ღვთის გზაზე სიარულად თვლიდა. გამომდინარე აქედან, ღვთისმსახურებით და სასიკეთო საქმით დაკავებული ადამიანი თუ საჭიროებს შეუძლია ზექათით ისარგებლოს.

ისლამის მეცნიერებას ვინც ეწაფება მდიდარიც რომ იყოს ზექათით სარგებლობა შეუძლია.

8- გზაზე დარჩენილი

ამ კატეგორიაში შედის მგზავრი, რომელიც სასიკეთო და სასარგებლო საქმისთვის გაუდგა გზას და დანიშნულების ადგილზე დახმარების გარეშე მისვლა არ შეუძლია. მგზავრობის მიზანი შეიძლება იყოს ჰაჯობა, ომი, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მიზნების განხორციელება, ვაჭრობა და მსგავსი.

მგზავრი, თუნდაც მდიდარი, თუ რაღაც მიზეზით გზაში დარჩა და დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევს საამისოდ საკმარისი რაოდენობის მოწყალება შეიძლება რომ მიეცეს.

საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე ქონების დაკარგვის, ან ასაღები ვალის აურებლობის შემთხვევაში პიროვნება იგივე მდგომარეობაში

ითვლება, როგორც მგზავრი. მათ შეუძლიათ მათთვის საკმარისი მოწყალება მიიღონ, ხოლო თუ შემდეგ დაკარგულ ქონებას დაიბრუნებენ მოწყალების უკან დაბრუნება, ან მოწყალებად გაცემა სავალდებულო არ არის.

ზექათის გამცემს შეუძლია რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში შემავალ ადამიანს მოწყალება მისცეს. ასევე შეუძლია რამოდენიმეს, ან ყველა კატეგორიის გაჭირვებულს დაუნაწილოს.

შაფიის მიხედვით ზექათი კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილზე ზემოთ ჩამოთვლილ 8 კატეგორიის ადამიანებს უნდა მიეცეს. თ□ ზექათს სახელმწიფო ანაწილებს რვავე კატეგორიის ადამიანებს უნდა გაუნაწილოს. მათგან ერთი კი ზექათის საქმეებით დაკავებული მოხელეების კატეგორიაა. თუ ზექათს არა სახელმწიფო, არამედ პიროვნებები თავად გასცემენ მოხელის კატეგორია ბუნებრივია არ იარსებებს. შესაძლებლობის ფარგლებში ზექათის ყველა კატეგორიის ადამიანებზე განაწილება მუსტეჰაბია. ყოველი კატეგორიიდან მინიმუმ სამ ადამიანს რომ მიეცეს უფრო მიზანშეწონილია.

დღეისათვის ამ რვა კატეგორიიდან ოთხია შემორჩენილი. ესენია: ღარიბები, უპოვარნი, ვალში ჩავარდნილები და მგზავრები.

ოტხივე მიმდინარეობის სწავლულთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზექათი, ყურანში ნახსენები კატეგორიის ადამიანების გარდა სხვაგან არ შეიძლება გაიცეს. ამიტომ, მეჩეთის, გზის, ხიდების, შადრევანის და ა. შ. ასაშენებლად, მიცვალებულის ქეფენის შესასყიდად, მიცვალებულის ვალის გასასტუმრებლად, ომისათვის იარაღის და სხვა საშუალებების შესაძენად და სხვა მსგავსი ხარჯებისათვის ზექათის ფულის გამოყენება მიღებული არ არის. რადგან ღმერთის ბრძანებით ის, ღარიბთა და უპოვართა საკუთრებაა.

ბ) ადამიანთა კატეგორია, რომლებზეც ზექათის გაცემა მიუღებელია

ზემოთ ჩამოთვლილი რვა კატეგორიის გარდა სხვაგან ზექათის გაცემა მიუღებელია. გაცემის შემთხვევაში გამცემს ზექათის ვალდებულება არ ეხსნება და ამასთანავე, ეს მნიშვნელოვანი სოციალური დახმარებაც მიზანს ვერ მიაღწევს. გარდა ამისა არსებობენ ადამიანები, რომლებიც სეიძლება ამ რვა კატეგორიაში შედიოდნენ,

მაგრამ პიროვნება მათ მოწყალებას ვერ მისცემს.

1- მშობლები, მეუღლე და შვილები.

პიროვნება, რომელსაც ზექათის გაცემა ევალება თავის მშობლებს, ბებიას და ბაბუას, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს მოწყალებას ვერ მიაკუთვნებს, თუნდაც ისინი ღარიბთა კატეგორიაში შედიოდნენ. ქონების პატრონი ისედაც ვალდებულია ამ ადამიანებს მიხედოს და დაეხმაროს. თუ მოწყალებას მათ მისცემს ფაქტიურად მას უკანვე უბრუნდება.

შაფიის მიხედვით, პიროვნების მიერ იმ ნათესავებზე ზექათის გაცემა, რომელთა მოვლაც მას ევალება მიუღებელია. ადამიანი, რომელსაც ნათესავები ეხმარებიან ზექათის საჭიროების მქონედ არ ითვლება.

ებუ ჰანიფეს და ჰანბელის შეხედულების თანახმად ცოლი ღარიბ ქმარს ზექათს ვერ მისცემს. ხოლო ებუ იუსუფი, იმამი მუჰამმედი, იმამი შაფიი და იმამი მალიქი მიიჩნევენ, რომ ცოლს შეუძლია ღარიბ ქმარს ზექათი მისცეს.

ჩამოთვლილი ახლო ნათესავების გარდა, ზექათის სხვა ღარიბ ნათესავებზე გაცემა უფრო მიზანშეწონილია. უპირველესად ღარიბ ძმებსა და დებს, შემდეგ მათ შვილებს, შემდეგ ბიძებს, მამიდებს, შემდეგ მათ შვილებს, შემდეგ დედის ძმებს, დეიდებს და მათ შვილებს, შემდეგ კი სხვა ნათესავებს უნდა მიეცეთ.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: "ღარიბებზე გაცემული მოწყალება ერთი მოწყალებაა, ხოლო ნათესავებზე გაცემული მოწყალება -ორი. ერთი მოწყალება და მეორე ნათესავზე გაკეტებული სიკეთე!"

ნაფილე მოწყალება კი უახლოეს ნათესავებზეც გაიცემა. ამგვარად, როგორც ჰადისშია ნაბრძანები ორმაგი მადლის მოგებაა შესაძლებელი. ნაფილე მოწყალების გაცემა მდიდრებზეც და არამუსლიმებზეც შეიძლება.

2- არამუსლიმები

სავალდებულო მოწყალება, რადგანაც ის ღვთისმსახურებაა, არამუსლიმ, ურწმუნო და რწმენიდან გასულ ადამიანებზე არ გაიცემა. წმ. შუამავალმა იემენში მმართველად წარგზავნილ მუაზიბნ ჯებელს დაუბარა: "მათ შორის მდიდრებისგან ზექათი აიღე და მათ შორისვე ღარიბებს მიეცი!"

ისლამის სწავლულთა შეხედულებით ზექათის გაცემა არამუსლიმ ადამიანებზე მიუღებელია, რადგან ის მუსლიმ ღარიბებს ეკუთვნით. მუსლიმ მდიდრებისგან უნდა იქნას აღებული და ასევე მუსლიმ ღარიბებს უნდა გაუნაწილდეს. არამუსლიმ მდიდრებს ზექათის გადახდა არ ევალებათ.

წმ. ომარი თვლიდა, რომ ზექათის გაცემა "ზეციური წიგნის ხალხზე" ანუ ებრაელებზე და ქრისტიანებზეც შეიძლებოდა. იგივე აზრს იზიარებდა ჰანეფის მიმდინარეობიდან ზუფერიც.

ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის შეხედულებით არამუსლიმ ღარიბებზე მხოლოდ ნაფილე მოწყალების გაცემა შეიძლება. მტკიცებულებად შემდეგი აიათია დასახელებული:

اِنْ تُبْدُوا الصَّدَقَاتِ فَنِعِمَّا هِيَ وَاِنْ تُخْفُوهَا وَتُؤْتُوهَا الْفُقَرَاءَ فَهُوَ خَيْرٌ لَكُمْ وَيُكَفِّرُ عَنْكُمْ مِنْ سَيِّئَاتِكُمْ وَاللّٰهُ بِمَا تَعْمَلُونَ خَبِيرٌ

თუ აშკარად გაიღებთ თქვენსა მოწყალებანსა, კარგია ეს. ხოლო თუ ფარულად გაიღებთ მას და მიაგებთ გლახაკებს, უკეთესია ეს თქვენთვის და (ალლაჰი) დაფარავს თქვენ ჩადენილ ცოდვათაგან ნაწილს. და ალლაჰმა უწყის ის, რასაც სჩადიხართ." ბაყარა 2/271. "

ამ აიათში ზუსტად არ არის მითითებული მუსლიმი და არამუსლიმი ღარიბები. თუმცა ზემოთ მოყვანილი ჰადისის თანახმად, რომელიც მუაზ იბნ ჯებელის იამენში გაგზავნას ეხებოდა ზექათი მხოლოდ მუსლიმ ღარიბებზე გაიცემა.

ებუ იუსუფის, იმამი შაფიის და სხვა უმრავლესობათა აზრით არამუსლიმებზე არც სავალდებულო მოწყალება და არც ნაფილე მოწყალება არ გაიცემა.

3- მდიდრები

მდიდარ ადამიანზე სავალდებულო მოწყალების მიცემა მიღებული არ არის. მხოლოდ ზექათთან დაკავშირებული საქმიანობით დაკავებული მოხელე არის უფლებამოსილი ისარგებლოს ზექათის წილით, თუნდაც ის მდიდარი იყოს. რადგან ეს მისი შრომის საზღაურია. გარდა ამისა, მგზავრი, რომელიც ფაქტიურად მდიდარია, მაგრამ მგზავრობის დროს გასაჭირში ჩავარდა ზექათის წილიდან ისარგებლებს.

ძირითადი საჭიროებების გარდა ზღვრული რაოდენობის საქონელი ვისაც გააჩნია მდიდრად ითვლება. ამაზე ნაკლები ფასეულობა ვისაც გააჩნია, ჯანმრთელი და შრომისუნარიანიც რომ იყოს შეუძლია

ზექათი მიიღოს. ჯანმრთელმა და შრომისუნარიანმა ადამიანმაც შეიძლება ვერ იშოვოს სამსახური და გაუჭირდეს ოჯახის რჩენა. გამომდინარე აქედან, ადამიანს, რომელსაც აქვს სახლი, საჭირო ავეჯი, მოსამსახურე, გადაადგილების საშუალება, იარაღი, ტანსაცმელი, შრომის ხელსაწყოები, თუ მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ბიბლიოთეკაც და ამის მიუხედავად ოჯახის რჩენა უჭირს, შეუძლია ზექათი აიღოს. ეს ჩამონათვალი მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი საჭიროებისთვისაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნაფილე მოწყალება მდიდრებსაც შეიძლება რომ მიეცეთ.

თუ მდიდარი ადამიანი გამოკვლევის შემდეგ დაადგენს, რომ კონკრეტულ პიროვნებას ზექათის აღების უფლება აქვს და კუთვნილ ზექათს მისცემს, მოგვიანებით კი დადგინდება, რომ ეს პიროვნება მართლაც იმ კატეგორიაში შედის, რომელზეც ზექათის გაცემა ვრცელდება ღვთისმსახურება მიღებულად ჩაეთვლება. ამის საპირისპიროდ თუ მოგვიანებით პიროვნება მდიდარ კატეგორიაში შემავალი აღმოჩნდა ებუ ჰანიფეს და იმამ მუჰამმედის აზრით მოწყალება, როგორც ღვთისმსახურება მიღებულია. თუმცა ყოველგვარი გამოკვლევისა და დაფიქრების გარეშე ვინმეზე მოწყალების გაცემის შემთხვევაში ზექათი მაინც მიღებულია, მაგრამ თუ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პიროვნება ზექათის აღებას არ იმსახურებდა მოწყალების გამცემმა მოწყალება თავიდან უნდა გასცეს, რადგან გასაცემი პიროვნების დადგენისას ნაკლოვანება იყო.

გამომდინარე აქედან, თუ არ ვართ დარწმუნებული, რომ პიროვნება, ვიზეც მოწყალების გაცემას ვაპირებთ ნამდვილად საჭიროების მქონეა თუ არა ღვთისმსახურების სრულყოფილება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თუ აღმოჩნდება, რომ აღნიშნული პიროვნება ნამდვილად საჭიროების მქონეა საეჭვო სიტუაცია უქმდება და მოწყალება მიღებულია.

შაფიის მიხედვით ვისაც შრომა და ოჯახის რჩენა შეუძლია ზექათი არ მიეცემა. წმ. შ□ამავალი ბრძანებდა: ”მდიდრებს და ვისაც მუშობა და სარჩოს მოპოვება შეუძლია ზექათში წილი არ აქვს!”

4- წმ. შუამავლი ახლობლები

წმ. შუამავლის ოჯახის წევრებზე ზექათის გაცემა მიუღებელია. წმ. შუამავლის ოჯახი სახელმწიფო ხაზინის ერთი მეხუთედი

ნაწილიდან საჭირო რაოდენობის წილს იღებდა. მოგვიანებით კი შუამავლის შთამომავლები ვერარ იღებდნენ ამ წილს, ამიტომ ამკრძალავი ჰადისების მიუხედავად ებუ ჰანიფემ გაითვალისწინა შეცვლილი პირობები და წმ. შუამავლის შთამომავლებისთვის ზექათის აღების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

5- პატარები და ფსიქიკურად დაავადებულები

შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებზე და ფსიქიკურად დაავადებულებზე ზექათის პირადად გადაცემა მიუღებელია. ზექათი მათ მეურვეებს უნდა მიეცეთ. რელიგიურ დღესასწაულის დღეებში მოსამსახურეებს, მუშებს და პატარა ბავშვებს, აგრეთვე სასიხარულო ამბის მახარობელს ზექათის მიზნით საჩუქრი რომ მიეცეს მისაღებია.

მდიდრის პატარა ბავშვზე ზექათი არ გაიცემა. ბავშვი, თავისი მშობლის სიმდიდრის გამო მდიდრად ითვლება. ამასტანავე მდიდარი ქალის ობოლ ბავშვზე ზექათის გაცემა შეიძლება, თუ მამა მუსლიმია.

ზექათის გამცემს შეუძლია მოწყალება მდიდარი პიროვნების ღარიბ მამას, ან ზრდასრულ შვილს, ან მეუღლეს მისცეს.

ზექათი ადგილობრივ ღარიბებს უნდა მიეცეთ. წლის ბოლოს ზექათის სხვა ადგილებზე გაგზავნა თენზიჰენ მექრუჰია. თუმცა სხვა ადგილას თუ ზექათის გამცემის ღარიბი ნათესავები არიან, ან იქაურებს ადგილობრივებზე უფრო მეტად სჭირდებათ ზექათი მაშინ ზექათის გაგზავნა მისაღებია.

გ) ზექათის და გადასახადის ურთიერთკავშირი

წმ. წიგნში და სუნაში ზექათი ლოცვთან ერთად ნახსენები ღვთისმსახურებაა, რომელიც ქონებასთანაა დაკავშ□რებული. ზექათი, როგორც ღვთისმსახურება სესაბამისი განზრახვით სრულდება. წმ. შუამავლის ცხოვრების პერიოდში და აგრეთვე ხალიფების დროს ზექათის ყველა სახეობა სახელმწიფო მოხელეების მიერ იკრიბებოდა და წლის განმავლობაში საჭიროების მქონე ადამიანებს უნაწილდებოდა. ხალიფა ოსმანის დროს "ფარულ საქონლად" წოდებული ოქრო, ვერცხლი, ნაღდი ფული და სავაჭრო საქონელი

ზექათის გამცემი პიროვნებების მიერ გაიცემოდა. საზოგადოებრივი ხარჯები ხარკით, სასაზღვრო გადასახადით და მსგავსი შემოსავლებით იფარებოდა. ზექათი კი ზემოთ ჩამოთვლილ რვა კატეგორიის ადამიანებზე გაიცემოდა.

დღეისათვის სახელმწიფო რამოდენიმე სახის გადასახადს აგროვებს. გადასახადი ზექათად ბუნებრივია ვერ ჩაითვლება. ისინი შინაარსობრივად და თავიანთი მიზნით არიან განსხვავებული. ზექათვალდებული ადამიანი გადასახადს ზექათად ვერ ჩათვლის. ისლამურ სახელმწიფოშიც ყოველთვის იკრიბებოდა ზექათის გარდა სხვა სახის გადასახადი. სახელმწიფო გზების, ხიდების, სკოლების, და სხვა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის საჭირო ნაგებობების მშენებლობა ხარჯებს საჭიროებდა.

ზექათი ღვთ□ური ბრძანებაა და ის დამოკიდებულია საქონლის როგორც სახეობაზე, ისე რაოდენობაზე. ზექათის გამოთვლის მეთოდები წმ. შუამავლის მიერაა გადმოცემული. რაც შეეხება გადასახადს, იგი კანონის სესაბამისად დგინდება და იცვლება. რაოდენობაც კანინის სესაბამისად იცვლება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის იმპერიაში სწავლა-განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სიღარიბის დაძლევის და რელიგიური მომსახურების ხარჯებისათვის მდიდარი ადამიანების მიერ ჩამოყალიბებული საქველმოქმედო ფონდები მნიშვნელოვან თანხებს იღებდნენ.

V-ფითრა - ფითრის მოწყალება

ა) ფითრის განმარტება და მტკიცებულებები

ლექსიკონში სიტყვა "ფითრ" მარხვის შეწყვეტას ნიშნავს, "ფითრე" კი- გაჩენას. როგორც რელიგიური ტერმინი, ეს არის ქონების გაცემით შესრულებული ღვთისმსახურება, რომელსაც რამადანის ბაირამს მიღწეული მორწმუნე მუსლიმი გასცემს მისთვის და მის მეურვეობის ქვეშ მყოფთათვის.

ფითრის მოწყალება ჰიჯრით მეორე წელს დადგინდა. ეს ერთგვარი დახმარებაა, რომელიც ადამიანის მარხვის სრულყოფილებისათვის ერთ-ერთი მიზეზი გახდება და სიკვდილისას ადამიანს წამებისგან დაიცავს.

ფითრის მოწყალება ჰადისის მტკიცებულებას ეყრდნობა. აღნიშნული ჰადისები მისი შესრულების ფორმებსაც შეიცავს.

ჰადისებიდან გამომდინარე ფითრის მოწყალების რაოდენობა შემდეგნაირად შეიძლება განვსაზღვროთ:

1- ფითრის მოწყალების რაოდენობა ქერის, გამხმარი ხურმის და გამხმარი ყურძნის შემთხვევაში რელიგიური საზომის მიხედვით 3 კგ-ა. ხოლო ტრადიციული საზომის მიხედვით 3.33 კგ.

2- ხორბლის და შესაბამისად ხორბლის ფქვილის შემთხვევაში ფითრის მოწყალების რაოდენობა რელიგიური საზომით 1.5 კგ-ა, ხოლო ტრადიციული საზომის მიხედვით 1.66 კგ.

ამ ორი კატეგორიის საკვები პროდუქტებიდან საზომად ნებისმიერის არჩევა შეიძლება. ხოლო რადგანაც ტრადიციული საზომი უფრო მეტია ღარიბთა სასარგებლოდ ფითრის რაოდენობის გამოანგარიშება ამ უკანასკნელის მიხედვით უფრო მიზანშეწონილია.

ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების გარდა მათი საფასურის ფულის გაცემაც შეიძლება. თუ ღარიბს არნიშნული პროდუქტები გამოადგება მათი გაცემა უმჯობესია.

ბ) ფითრის მოწყალების გაღებისთვის საჭირო პირობები

1- პიროვნება უნდა იყოს მუსლიმი.

პიროვნებას ფითრის მოწყალების გადახდა რომ დაეკისროს საჭიროა მუსლიმი იყოს. თუმცა შაფიის მიმდინარეობის ერთ-ერთი შეხედულების თანახმად არამუსლიმი პიროვნება ვალდებულია თავის მეურვეობაში მყოფ მუსლიმის ფითრის მოწყალება გადაიხადს.

2- ქონება.

ჰანეფის მიხედვით პიროვნებისთვის ფითრის მოწყალების გაცემა სავალდებულო რომ გახდეს, საჭიროა რამადანის ბაირამის პირველ დღეს ძირითადი საჭიროებების გარდა ზღვრული რაოდენობის ქონებას ფლობდეს. ზექათისგან განსხვავებით ფითრის მოწყელბისთვის აუცილებელი პირობა არ არის ქონება მატებადი იყოს, ან ერთი წელი გავიდეს.

შაფიის, მალიქის და ჯანბელის მიხედვით ფითრის მოწყალებისთვის ქონების ზღვრული რაოდენობა საჭირო არ არის.

3- ებუ ჰანიფეს, ებუ იუსუფის და სხვა მიმდინარეობების იმამების შეხედულებით ფითრის მოწყალებაში ქონებრივი მიმართულება მეტია, ამიტომ ბავშვების და ფსიქიკურად დაავადებულების მოწყალებაც უნდა გაიცეს. ხოლო იმამი მუჰამმედი და ზუფერი მიიჩნევენ, რომ ფითრის მოწყალებაში ღვთისმსახურების მიმართულება მეტია, ამიტომ პატარა ბავშვების და ფსიქიკურად დაავადებულების მოწყალება არ გაიცემა.

4- პიროვნებამ სხისი მოწყალებაც რომ გასცეს მისი მეურვე უნდა იყოს. ანუ მის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი უნდა ოყოს.

5- დრო.

ჰაანეფის მიხედვით ფითრის მოწყალება რამადანის ბაირამის პირველ დღეს გათენებისთანავე ვაჯიბი ხდება. ფიტრის მოწყალება ბაირამთან, ანუ დღესასწაულთან არის ასოცირებული. ამ მოწყალების მიზანი, ბაირამის დღეს ღარიბების გახარებაა.

ფითრის მოწყალების გაცემა რამადანის ბაირამამდე 1-2 დღით ადრე, ან ბაირამის დღეს, ლოცვის ლოცვამდე შეიძლება. ამგვარად, ღარიბებს შესაძლებლობა ეძლევათ რამადანის ბაირამის დღეს აუცილებელი საჭიროებები დაიკმაყოფილონ. გარდა ამისა, ფითრის მოწყალების გაცემა რამადანის თვის დასაწყისიდანვე და დაწყებამდეც შეიძლება. თუ რაღაც მიზეზის გამო დაგვიანდა და რამადანის ბაირამი გავიდა ვალდებულება არ იხსნება და პირველივე შემთხვევისთანავე უნდა გაიცეს.

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა თვლის, რომ ფითრის მოწყალების გაცემა ბაირამის დღის დილის ლოცვიდან ბაირამის ლოცვის ლოცვამდე უფრო მიზანშეწონილი და მადლია.

რამადანის ბაირამის პირველ დღეს, გათენებამდე გარდაცვლილ, გაღარიბებულ, ახლად დაბადებულ, ან ახალად გამუსულმანებულ ადამიანებისთვის ფითრის გაცემა ვაჯიბი არ არის. თუმცა გათენების შემდეგ გარდაცვლილ მდიდარ მუსლიმანისათვის ფითრის მოწყალება ვაჯიბია. თუ ანდერძი დატოვებული აქვს, ქონების ერთი მესამედიდან ფითრის მოწყალება უნდა გაიცეს.

მორწმუნე, რომელიც საპატიო მიზეზის გამო ვერ იმარხულებს

ფითრის ვალდებულებისგან არ თავისუფლდება.

ყოველი მუსლიმი, რომელსაც ზღვრული რაოდენობის ქონება გააჩნია, ვალდებულია მისი და მის მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვების, ფსიქიკურად დაავადებულების და მოსამსახურეების ფითრის მოწყალება გაიღოს.

ღარიბი ბავშვის მამა რომ გარდაიცვალოს, ან გაღარიბდეს და ბაბუას ზღვრული რაოდენობის სიმდიდრე გააჩნდეს შვილიშვილის ფითრის მოწყალება უნდა გასცეს.

შვილი ვალდებული არ არის მშობლების ფითრის მოწყალება გასცეს, თუნდაც ერთად ცხოვრობდნენ, თუ ის ღარიბი, ან ფსიქიკურად დაავადებული არ არის.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით ფითრის მოწყალება რამადანის თვის ბოლო საღამოს, მზის ჩასვლიდან ვაჯიბი ხდება. აღნიშნული მოწყალების ბაირამის ლოცვის ლოცვის შემდეგისთვის გადადება მიუღებელია. ბუნებრივია, საპატიო მიზეზი გაითვალისწინება. ამასთანავე, ფითრის მოწყალების დაგვიანება ვალდებულებას არ ხსნის და მისი ანაზღაურებაა საჭირო.

გ) ფითრის გაცემა

ფითრის მოწყალება გასაცემი ობიექტის მიხედვით ყოველმხრივ ზექათს გავს. საჭიროა შესაბამისი განზრახვა და როგორც ზექათი, ფითრაც პიროვნებას სრული განკარგვის უფლებით გადეცემა. განზრახვა შიძლება როგორც ფითრის მოწყალების ცალკე გამოყოფის დროს, ისე გაცემის მომენტში. თუმცა, ღარიბზე იმის თქმა, რომ ფითრის მოწყალებას ვაძლევთ საჭირო არაა.

ფითრის მოწყალების მეუღლეზე და უახლოეს ნათესავებზე გაცემა მიუღებელია.

ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით ფითრის მოწყალების არამუსლიმზე გაცემა მიუღებელია, თუნდაც ის ისლამურ სახელმწიფოში ადგილობრივი მოქალაქე იყოს. ფითრის მოწყალების მიზანი რამადანის ბაირამის სადღესასწაულო დღეს ღარიბი მუსლიმების გახარებაა. არამუსლიმებისთვის კი ეს დღე დღესასწაული არ არის.

პიროვნებას შეუძლია ფითრის მოწყალება ერთ, ან რამოდენი-

მე ღარიბზე გასცეს. თუმცა სხვა შეხედულების თანახმად ერთი მოწყალების ერთზე მეტ პიროვნებაზე განაწილება მიუღებელია. სხვადასხვა პიროვნებების ფითრის მოწყალების ერთად გაცემა მისაღებია, თუმცა თითოეულის ცალკ-ცალკე გაცემა უფრო მიზანშეწონილია.

ფითრის მოწყალება ადგილობრივ ღარიბებზე უნდა გაიცეს. სხვა ადგილებზე გაგზავნა მექრუჰია.

ფითრის მოწყალებისთვის ჰადისებში 4 ძირიტადი საკვები პროდუქტია მითითებული. ეს კი ნებისმიერ დროსა და ადგილზე მოწყალების გაცემას აიოლებს. მიზანი ღარიბის ერთი დღის საჭიროებების დაკმაყოფილებაა. ეს შეიძლება აღნიშნული საკვები პროდუქტების გაცემით და აგრეთვე შესაბამისი ფულით. ფულის რაოდენობის გამოთვლა აღნიშნული პროდუქტების ფასის მიხედვით ხდება და ფასების ცვლილებასთან ერთად შესაძლებელია ყოველ წელს შეიცვალოს.

ფითრის მიზანია ღარიბის ერთი დღის კვების ხარჯების ანაზღაურება. თუ ფითრის მოწყალება არა პროდუქტის, არამედ თანხის სახით უნდა გაიცეს ჰადისებში მითითებული პროდუქტების ფასების საშუალო უნდა იქნას აღებული.

ნაწილი მეშვიდე

ჰაჯობა და უმრე

- ჰაჯობის განმარტება და მომცველობა

- ჰაჯობა, როგორც ფარზი და მისი მტკიცებულებები

- ჰაჯობის მალე ან დაგვიანებით შესრულება

- ჰაჯობის ფარზობის პირობები

- ჰაჯობის სრულყოფილების პირობები

- იჰრამის ადგილები

- იჰრამი

- ჰაჯობის სახეები

- ჰაჯობის ფარზები

- ჰაჯობის ვაჯიბები

- ჰაჯობის სუნნეთები

- თავდებობა

- იჰრამით გათვალისწინებული აკრძალულების გაუთვალისწინებლობა და სასჯელი. ჰაჯობის შესრულებისას ნაკლოვანებების სრულყოფა.

- ჰაჯობის გამოტოვება

- ჰაჯობასთან დაკავშირებული რიტუალები

- უმრე და მისი შესრულება

- ჰაჯობის დროს შესაწირი მსხვერპლი

- მექაში მოსალოცი ადგილები

- მედინაში მოსალოცი ადგილები

- ჰიჯაზის გარდა სხვა ორი მოსალოცი ადგილი

II – ჰაჯობის განმარტება და მომცველობა

ა) ჰაჯობის განმარტება

ჰაჯობა ისლმის ერთ-ერთი პირობაა. ეს არის ღვთისმსახურების ფორმა, რომლის დროსაც მექაში, კერძოდ ქააბაში და მის ირგვლივ ტერიტორიაზე წმ. ადგილების მოლოცვა სრულდება. როგორც ყველა ღვთისმსახურებას, ჰაჯობასაც გააჩნია შესრულებისათვის განკუთვნილი დრო. ეს არის ღვთისმსახურება, რომელიც როგორც სხეულით, ისე ქონებით სრულდება.

მოსალოცი ადგილებია: ქააბა, არაფატი და მიმდებარე ტერიტორია. ჰაჯობის დრო, ჰაჯის თვეებად წოდებული შევვალის, ზილქადეს და ზილჰიჯჯეს თვეებია. ჰაჯობის შესრულებისას ყოველ რიტუალს თავისი შესაბამისი დრო და ფორმები აქვს.

მექას და მედინას გარშემო გარკეულ ტერიტორიას "ჰარემის ორი ტერიტორია" ეწოდება. მექას ჰარემის ტერიტორია შემდეგ მანძილებს შორის მოქცეული ტერიტორიას მოიცავს: მედინას გზიდან მექასკენ 5.5 კმ, იემენის გზიდან 13 კმ. ტაიფის და არაფატის გზაზე 13 კმ. ჯირანეს გზაზე 16.6 კმ. ჯიდდეს გზაზე 18.5 კმ.

ცნობილია, რომ მექას ჰარემის ტერიტორია ანგელოზ ჯებრაილს წმ. აბრაამისთვის უჩვენებია. ხოლო წმ. შუამავალს კი, იგივე საზღვრები განუახლებია. გამომდინარე აქედან მექას ჰარემის საზღვრებს დიდი ხნის ისტორია გააჩნია. როდესაც წმ. შუამავალი თავისი ლაშქრით მექაში შედიოდა, ბრძანა: "აქაურობა გამჩენის მიერ ცისა და მიწის გაჩენის დღიდან პატივდებულია. აქაურობა წარღვნის დღემდე ღვთის მიერ პატივდებული იქნება!"

მექაში, ქააბა და ჰარემის მეჩეთი ჰარემის ტერიტორიის ცენტრს წარმოადგენს. მთელს დედამიწაზე ღვთისმსახურებისთვის აგებული პირველი სალოცავი ქააბაა.

ჰაჯობის და უმრესთვის მექაში ჩასული მომლოცველები მიქათად წოდებულ ადგილზე "იჰრამში" შედიან. ანუ აქედან იწყება იჰრამით გათვალისწინებული აკრძალვები და ვალდებულებები. მაგ. იჰრამის ტერიტორიაზე არ შეიძლება მეუღლესთან სქესობრივი კავშირის დამყარება, აკრძალულია თმების შეკრეჭა და წვერის გაპარსვა, დაუშვებელია ნადირობა და მწვანე მცენარეების მოგლეჯა.

ჰარემის ტერიტორია მედინაშიც არის. ის სამხრეთით და ჩრდი-

ლოეთით მდებარე აირის და სევრის მთებს შორის ტერიტორიას მოიცავს.

მედინას ამ წმინდა ადგილას შესრულებული ღვთისმსახურება, მექას ჰარემის გარდა ყველა სხვა ადგილზე უფრო მეტად მადლიანია.

ჰაჯობა დიდ ხარჯებთან და ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, ამიტომ დიდი მადლია.

ყურანში ნაბრძანებია:

اِنَّ اَوَّلَ بَيْتٍ وُضِعَ لِلنَّاسِ لَلَّذ ى بِبَكَّةَ مُبَارَكًا وَهُدًى لِلْعَالَمِ ينَ

ف بِهِ اٰيَاتٌ بَيِّنَاتٌ مَقَامُ اِبْرٰه يمَ وَمَنْ دَخَلَهُ كَانَ اٰمِنًا وَلِلّٰهِ عَلَى النَّاسِ حِجُّ الْبَيْتِ مَنِ اسْتَطَاعَ اِلَيْهِ سَب يلًا وَمَنْ كَفَرَ فَاِنَّ اللّٰهَ غَنِىٌّ عَنِ الْعَالَمِ ينَ

უეჭველად, სამყაროსადმი ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლად უპირველესი სახლი (სამლოცველო) სწორედ, რომ ბექაში (მექაში), იქნა აღმართული ხალხთათვის.

იქაა ცხადი სასწაულები , სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა.” ალი იმრან 3/96-97“

وَاِذْ قَالَ اِبْرٰه يمُ رَبِّ اجْعَلْ هٰذَا بَلَدًا اٰمِنًا وَارْزُقْ اَهْلَهُ مِنَ الثَّمَرَاتِ مَنْ اٰمَنَ مِنْهُمْ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ قَالَ وَمَنْ كَفَرَ فَاُمَتِّعُهُ قَل يلًا ثُمَّ اَضْطَرُّهُ اِلٰى عَذَابِ النَّارِ وَبِئْسَ الْمَص يرُ

და აკი, თქვა იბრაჰიმმა: ღმერთო ჩემო! ჰქმენ ეს უსაფრთხო მხარედ და მოჰმადლე ნაყოფნი მის ხალხს, ვინც მათგან ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მან (ალლაჰმა) ბრძანა: „და ვინც უარყო (არ ირწმუნა), მათ ცოტა ხანს ვადროვებ, მერე კი ძალით მივიყვან ცეცხლის სასჯელთან“. და რა საზარელი ფინიშია! „ბაყარა 2/126“

وَاِذْ جَعَلْنَا الْبَيْتَ مَثَابَةً لِلنَّاسِ وَاَمْنًا وَاتَّخِذُوا مِنْ مَقَامِ اِبْرٰه يمَ مُصَلًّى وَعَهِدْنَا اِلٰى اِبْرٰه يمَ وَاِسْمٰع يلَ اَنْ طَهِّرَا بَيْتِىَ لِلطَّائِف ينَ وَالْعَاكِف ينَ وَالرُّكَّعِ السُّجُودِ

და აკი, დავადგინეთ ჩვენ ეს სახლი ხალხის შესაკრებად (მადლის შესაძენად) და უსაფრთხოდ მათთვის: აიღეთ იბრაჰიმის სადგომი სამლოცველოდ! და ჩვენ აღთქმა დავუდეთ იბრაჰიმსა და ისმაილს: განწმინდეთ ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარშემომვლელია, ღვთისმოსავია, რუქუღისა (მუხლის მომყრელია) და სეჯდეს შემსრულებელიაო. „ ბაყარა 2/125“

وَقَالُوا اِنْ نَتَّبِعِ الْهُدٰى مَعَكَ نُتَخَطَّفْ مِنْ اَرْضِنَا اَوَلَمْ نُمَكِّنْ لَهُمْ حَرَمًا اٰمِنًا يُجْبٰى اِلَيْهِ ثَمَرَاتُ كُلِّ شَىْءٍ رِزْقًا مِنْ لَدُنَّا وَلٰكِنَّ اَكْثَرَهُمْ لَا يَعْلَمُونَ

ისინი იტყვიან: „თუ შენთან ერთად დავადგებით ჭეშმარიტ გზას, მაშინ გაგვაძევებენ ჩვენი მიწებიდან!“ განა არ განვუმტკიცეთ მათ ნაკრძალი ადგილი, სადაც იწევენ ყველანაირ ნაყოფს საკვებად ჩვენგან? არადა, უმრავლესობა მათგან არ უწყის ამას! „ყასსას 28/57“

اَوَلَمۡ يَرَوۡا اَنَّا جَعَلۡنَا حَرَمًا اٰمِنًا وَّيُتَخَطَّفُ النَّاسُ مِنۡ حَوۡلِهِمۡ اَفَبِالۡبَاطِلِ يُؤۡمِنُوۡنَ وَبِنِعۡمَةِ اللّٰهِ يَكۡفُرُوۡنَ

ნუთუ ვერ ხედავენ, უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ (მექა) უსაფრთხოდ და ნაკრძალად მაშინ, როცა ირგვლივ ხალხს ხოცავენ. ნუთუ სწამთ სიცრუე და უარყოფენ ალლაჰის წყალობას? „ანქებუთ 29/67”

წმ. შუამავალი ბრძანებდა: ”ჰაჯობის მაგალითი ჩემგან აიღეთ, როგორც მე ვასრულებ ისე შეასრულეთ!”

”უმრე, მეორე უმრემდე ჩადენილი ცოდვებისგან განმწმენდია!”

”ჰაჯობის და უმრეს შემსრულებლები ღმერთის სტუმრები არიან. თუ მისგან რამეს მოითხოვენ, ღმერთი მათ მოუსმენს. მიტევებას თუ ითხოვენ მიუტევებს!”

ჰაჯობა ადამიანს ცოდვებისგან ათავისუფლებს. ჰადისში ნაბრძანებია, რომ: ”ვინც ღვთის გულისათვის ჰაჯობას შეასრულებს და როგორც ცუდ სიტყვას, ისე ცუდ საქციელს მოერიდება ყველა ცოდვა (ადამიანის წინაშე ცოდვის გარდა) მიეტევება და ახალშობილის მსგავსი გახდება!”

ისლამის სწავლულები ერთხმად მიიჩნევენ, რომ ჰაჯობა ადამიანს ცოდვებისგან გაათავისუფლებს, დიდი ცოდვების შემთხვევაში კი მონანიებაა საჭირო. თუმცა სწავლულთა აზრით, ლოცვის და ზექათის მსგავსი ღვთისმსახურება, რომელიც გამჩენის წინაშე ვალია და ადამიანის წინაშე არსებული ვალი ისევ ვალად რჩება.

ჰაჯობაზე, ამ მნიშვნელოვანი ღვთისმსახურების შესასრულებლად მსლოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, სხვადასხვა ეროვნების, რასის, თუ სქესის ადამიანები ერთად იყრიან თავს. ეცნობიან ერთმანეთს და ცხოვრების მრავალ სფეროში ურთიერთთანამშრომლობისთვის შესანიშნავი შემთხვევით სარგებლობენ.

ჰაჯობა მუსლიმებს ისლამის ძლიერებაში არწმუნებს და ურთიერთშორის ძმობის კავშირებს განამტკიცებს. აქ რწმუნდება ადამიანი, რომ არაბსა და არაარაბს შორის, მდიდარსა და ღარიბს შორის, თეთრკანიანსა და შავკანიანს შორის ღვთის წინაშე განს-

ხვავება არ არსებობს.

ბ) ქააბას ისტორია

ქააბა მექაში აღმართულ ოთხკუთხედ შენობას, ქააბას სიმაღლე დაახლოებით 13 მეტრია, სიგანე 11, ხოლო სიგრძე- 12 მეტრი. ქააბას სახელი ყურანში ორ ადგილასაა ნახსენები.

როგორც ყურანშია ნაბრძანები ქააბა არის პირველი სალოცავი, რომელიც დედამიწაზე აიგო.

اِنَّ اَوَّلَ بَيْتٍ وُضِعَ لِلنَّاسِ لَلَّذ ى بِبَكَّةَ مُبَارَكًا وَهُدًى لِلْعَالَمِ ينَ

უეჭველად, სამყაროსადმი ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლად უპირველესი სახლი (სამლოცველო) სწორედ, რომ ბექაში (მექაში), იქნა აღმართული ხალხთათვის.” ალი იმრან 3/96. ”

წმ.შუამავლის თანამოღვაწე მეგობრებიდან ებუ ზერრის შეკითხვის პასუხად წმ. შუამავალმა ბრძანა, რომ დედამიწაზე პირველი სალოცავი ქააბა იყო, ხოლო 40 წლის შემდეგ მესჯიდი აქსა აიგო.

არსებობს ვარაუდი, რომლის თანახმადაც ქააბა პირველად ანგელოზებმა სინათლისგან ააგეს. როგორც ნაგებობა წმ. ადამმა და შიდმა ააგეს. მოგვიანებით კი, წმ. ნოეს ხანაში მომხდარი წარღვნის გამო დაკარგულა.

ყურანში ნაბრძანებია, რომქააბა ხელმეორედ წმ. აბრაამის ვაჟმა ისმაილმა ააგო. წმ. აბრაამმა თავისი შუამავლური მისია ერაყის და სამხრეთ ანატოლიის მხარეში დაიწყო. როდესაც ის ნემრუდს გადაეყარა, რომელიც თავისთავს ღმერთს უწოდებდა მოვალეობის გასაგრძელებლად პალესტინაში გადავიდა. სწორედ აქ მოღვაწეობდა დიდი ხანი და ღვთის სარწმუნოებას ავრცელებდა. წმ. აბრაამის პირველ ცოლს სარას, რომლისგანაც აბრაამს ვაჟიშვილი ისაკი შეეძინა და მეორე ცოლს ჰაჯერს, რომლისგანაც აბრაამს პირველი ვაჟიშვილი ისმაილი ჰყავდა, ეჭვიანობის ნიადაგზე უკმაყოფილება მოუვიდათ და საჭირო გახდა ჰაჯერი სხვა ტერიტორიაზე დასახლებულიყო. წმ. აბრაამმა ჰაჯერი და მცირეწლოვანი შვილი ისმაილი ჰიჯაზში, ახლანდელი ზემზემის წყლის ადგილას გადაიყვანა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ქალაქი მექა და არც ვინმე ადამიანი იქ, დაბინადრებული. როდესაც ჰაჯერმა გაიგო, რომ წმ. აბრაამი ცოტაოდენი საკვების და წყლის ამარა უპირებდა დატოვებას ჰკითხა მას, თუ იყო ეს ღვთის ბრძანება და როდესაც

გაიგო, რომ წმ. აბრაამი მართლაც ღვთის ბრძანების შესაბამისად მოქმედებდა სრული მორჩილება გამოხატა.

წმ. ჰაჯერის და ისმაილის პალესტინიდან წასვლა თორაშიც მსგავსადაა აღწერილი.

წმ. აბრაამმა მათთან განშორების შემდეგ შემდეგი ლოცვა აღავლინა:

رَبَّنَا اِنّ ی اَسۡکَنۡتُ مِنۡ ذُرِّیَّتِ ی بِوَادٍ غَیۡرِ ذ ی زَرۡعٍ عِنۡدَ بَیۡتِکَ الۡمُحَرَّمِ رَبَّنَا لِیُق یۡمُوا الصَّلٰوۃَ فَاجۡعَلۡ اَفۡـِٕدَۃً مِنَ النَّاسِ تَهۡو ی اِلَیۡهِمۡ وَارۡزُقۡهُمۡ مِنَ الثَّمَرَاتِ لَعَلَّهُمۡ یَشۡکُرُونَ

ღმერთო ჩვენო! უეჭველად, მე დავასახლე ნაწილი ჩემი შთამომავლებისა უნაყოფო ხეობაში , შენი წმინდა სახლის მახლობლად, რათა ლოცვა აღავლინონ. ზოგი ადამიანის გულში გააღვივე მათდამი კეთილგანწყობა, და ნაყოფთაგან უწყალობე სარჩო, ეგების შეიქმნან მადლიერნი!” იბრაჰიმ 14/37. ”

მცირეოდენი წყლის და საკვების ამარა დარჩენილი ჰაჯერი წყლის მოსაძებნად საფასა და მერვეს გორაკებს შორის დადიოდა. ამ დროს კი ღვთის სასწაულებრივი ძალით ისმაილი სადაც იმყოფებოდა, უდაბნოში წყალმა ამოხეთქა და იწყო დინება. ამის შემხედვარე ჰაჯერი წყალს წინ ეღობებოდა. არ უნდოდა დაღვრილიყო. თან იძახოდა; ”ზემ, ზემ” (შეჩერდი, შეჩერდი!) არადა, დედამიწის ამ ცხელ ადგილას უნაკლო და ხარისხიანი წყალი მოჩქეფდა.

მცირე ხნის გასვლის შემდეგ ერთ-ერთმა არაბულმა მომთაბარე ჯურჰუმის ტომმა ფრინველების მოძრაობით მიხვდა, რომ ამ ადგილას წყალი იყო და იქითკენ გაიარა. წმ. ჰაჯერმა მათ წყლით გაუმასპინძლდა, მათ კი მას და მის შვილს რძე და საკვები მიართვეს. აი ეს ტომი იყო, რომელიც წმ. ნოეს ხანაში მომხდარი წარღვნის შემდეგ დაცარიელებულ ამ ადგილას დამკვიდრდა და მექას პირველი მკვიდრი ტომი აღმშენებელი გახდა.

ამის შემდეგ წმ. აბრაამი ხშირად ჩადიოდა ჰაჯერის და ისმაილის სანახავად და ერთხელაც ღვთის ბრძანებით წმ. აბრაამმა და ისმაილმა ქააბა ააგეს. ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

وَاِذۡ بَوَّاۡنَا لِاِبۡرٰہِ یمَ مَکَانَ الۡبَیۡتِ اَنۡ لَّا تُشۡرِکۡ ب ی شَیۡـًٔا وَّطَهِّرۡ بَیۡتِیَ لِلطَّآئِف ینَ وَالۡقَآئِم ینَ وَالرُّکَّعِ السُّجُودِ

აი, მივუთითეთ იბრაჰიმს ადგილი სახლისა (ქააბა): არ გამიხადო არავინ თანამეგობრად და წმინდად შეინახე ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარს შემო უვლის: მდგომელია, თაყვანისმცემელია თუ მუხლმოდრეკილია!” ჰაჯ 22/26. ”

ქააბას მშენებლობისას წმ. ისმაილი ქვებს ეზიდებოდა, ხოლო წმ. აბრაამი კედლებს აგებდა. "ჰაჯერულ ესვედი", ე.წ. შავი ქვა აბუ ქუბეისის მთიდან მაშინ იქნა მოტანილი, რომელიც დღესაც იმავე ადგილასაა, სადც ის მოათავსეს.

ქააბას კედლების ამღლებისას წმ. აბრაამი და წმ. ისმაილი შემდეგნაირად ლოცულობდნენ:

وَاِذْ يَرْفَعُ اِبْرٰه يمُ الْقَوَاعِدَ مِنَ الْبَيْتِ وَاِسْمٰع يلُ رَبَّنَا تَقَبَّلْ مِنَّا اِنَّكَ اَنْتَ السَّم يعُ الْعَل يمُ

رَبَّنَا وَاجْعَلْنَا مُسْلِمَيْنِ لَكَ وَمِنْ ذُرِّيَّتِنَا اُمَّةً مُسْلِمَةً لَكَ وَاَرِنَا مَنَاسِكَنَا وَتُبْ عَلَيْنَا اِنَّكَ اَنْتَ التَّوَّابُ الرَّح يمُ

رَبَّنَا وَابْعَثْ ف يهِمْ رَسُولًا مِنْهُمْ يَتْلُوا عَلَيْهِمْ اٰيَاتِكَ وَيُعَلِّمُهُمُ الْكِتَابَ وَالْحِكْمَةَ وَيُزَكّ يهِمْ اِنَّكَ اَنْتَ الْعَز يزُ الْحَك يمُ

და როცა იბრაჰიმი ამაღლებდა სახლის საძირკველს ისმაილთან ერთად, (ევედრებოდნენ): ღმერთო ჩვენო! მიიღე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ, უეჭველად, ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!

ღმერთო ჩვენო! გვქმენი ჩვენ შენდა მორჩილებად და ჩვენი შთამომავლებიდან შენდამი მორჩილი თემი. გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები და მოგვიტევე. უეჭველად, შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი!

ღმერთო ჩვენო! და მოავლინე მათში შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც წაუკითხავს მათ შენს აიათებს, ასწავლის მათ წიგნს და სიბრძნეს, განწმენდს მათ. უეჭველად, შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი! "ბაყარა 2/127/129. "

წმ. აბრაამის ლოცვა ვედრება გამცენის მიერ შესმენილ იქმნა და მის შემდეგ ღვთის შუამავლები მისი შთამომავლებიდან მოდიოდნენ. გამომდინარე აქედან, წმ. იესომდე ღვთის შუამავლების წინაპარი ზემოთ ნახსენები, წმ. აბრაამის ვაჟი ისაკია, ხოლო წმ. შუამავალი მუჰამმედი აბრაამის მეორე ვაჟის, ისმაილის შთამომავალია. ამრიგად წმ. შუამავალს მუჰამმედის და წმ. იესოს საერთო წინაპარი წმ. აბრაამია.

ქააბას მშენებლობის დასრულების შემდეგ წმ. აბრაამს ადამიანების ქააბაში სალოცავად დაპატიჟება სურდა.

وَاَذِّنْ ف ى النَّاسِ بِالْحَجِّ يَاْتُوكَ رِجَالًا وَعَلٰى كُلِّ ضَامِرٍ يَاْت ينَ مِنْ كُلِّ فَجٍّ عَم يقٍ

აუწყე ხალხს ჰაჯის შესახებ და მოვლენ ისინი შენთან ფეხით და ჩქარმავალი აქლემებით ქვეყნის შორეული მხარეებიდანაც!"ჰაჯ 22/27"

ამის შემდეგ წმ. აბრაამი ებუ ქუბეისის მთაზე ავიდა. იქიდან კი ოთხივე მხარეს შეეხმიანა, რომ ადამიანებისთვის ქააბას მოლოცვა ღვთის მიერ ფარზად იყო გამოცხადებული.

წმ. აბრაამის მიერ ამ მოწოდების გახმიანების შემდეგ ანგელოზი ჯებრაილი მივიდა მასთან და ჰაჯობის რიტუალები ასწავლა. ჯებრაილმა აჩვენა, აგრეთვე იჰრამის ტერიტორია და საზღვრებზე ქვების აღმართვა ურჩია. ეს ყველაფერი, მოგვიანებით წმ. ისმაილმა ჰიჯაზის ხალხს ასწავლა. ამასობაში წმ. ისაკი ჰიჯაზში ჩავიდა და თავის უფროს ძმის, წმ. ისმაილთან ერთად ქააბა მოილოცა.

ამის შემდეგ ასწლეულების მანძილზე ქააბაში და იერუსალიმში მდებარე მესჯიდი აქსაში, როგორც წმინდა ადგილებში მლოცველები სხვადასხვა მხრიდან ჩადიოდნენ. ისლამდელ პერიოდში ქააბა კერპებით გაივსო და მახლობელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი მოსალოცად ჩადიოდნენ.

ქააბას პირველი აგებიდან დღემდე რამოდენიმეჯერ საჭირო გახდა მისი შეკეთება და რესტავრაცია. ერთხელ ის წმ. შუამავლის ბაბუის, ქუზაის დროს შეკეთებულა. ხოლო, როდესაც წმ. შუამავალი 35 წლის იყო ძლიერმა ღვარმა და ხანძარმა ქააბა გაანადგურა. ამიტომ ყურეიშელებმა მისი ხელახლა აშენება გადაწყვიტეს. თუმცა კედლების დანგრევას ვერავინ ბედავდა. მაშინ ველიდ იბნ მუღირემ გაბედა და პირველმა დაიწყო ნგრევა. ქააბას მშენებლობის დროს ზემოთ ნახსენები შავი ქვის ჩადგმისას უთანხმოება მოხდა. ყოველ გვარს სურდა შავი ქვა მათ ჩაესვათ. მორიგება არ ხერხდებოდა. მაშინ გადაწყვიტეს სალოცავში პირველი ვინც შევიდოდა დავის გადაწყვეტის უფლება მიენიჭებინათ. სალოცავში კი პირველი წმ. შუამავალი მუჰამმედი შევიდა. ძვირფასი ქვა ნაჭერზე დაადებინა და ირგვლივ ყოველი გვარის წარმომადგენელმა ასწია. ამგვარად ქვა თავის ადგილზე მოთავსდა და თან ყოველმა გვარმა თავი ღირსეულად იგრძნო.

II- ჰაჯობა, როგორც ფარზი ღვთისმსახურება და მტკიცებულებები

ქააბა წმ. აბრაამის და მისი ვაჟის წ,. ისმაილის მიერაა აგებული და ჰაჯობის, როგორც ღვთისმსახურების სათავე მათგან იღებს სათავეს. ქვემოთ მოცემულ აიათებში ჰაჯობის დასაწყისის შესახებაა მოთხრობილი:

وَاِذْ بَوَّاْنَا لِاِبْرٰه يمَ مَكَانَ الْبَيْتِ اَنْ لَا تُشْرِكْ ب ى شَيْـًٔا وَطَهِّرْ بَيْتِىَ لِلطَّائِف ينَ وَالْقَائِم ينَ وَالرُّكَّعِ السُّجُودِ

وَأَذِّنْ فِى النَّاسِ بِالْحَجِّ يَأْتُوكَ رِجَالًا وَعَلٰى كُلِّ ضَامِرٍ يَأْت ينَ مِنْ كُلِّ فَجٍّ عَم يقٍ

لِيَشْهَدُوا مَنَافِعَ لَهُمْ وَيَذْكُرُوا اسْمَ اللّٰهِ ف ى اَيَّامٍ مَعْلُومَاتٍ عَلٰى مَا رَزَقَهُمْ مِنْ بَه يمَةِ الْاَنْعَامِ فَكُلُوا مِنْهَا وَاَطْعِمُوا الْبَائِسَ الْفَق يرَ

ثُمَّ لْيَقْضُوا تَفَثَهُمْ وَلْيُوفُوا نُذُورَهُمْ وَلْيَطَّوَّفُوا بِالْبَيْتِ الْعَت يقِ

აი, მივუთითეთ იბრაჰიმს ადგილი სახლისა (ქააბა): არ გამიხადო არავინ მოზიარედ და წმინდად შეინახე ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარს შემოუვლის: ფეხზე მდგომი, წელშიმოხრილი თუ სეჯდეს აღმსრულებელი!

აუწყე ხალხს ჰაჯის შესახებ და მოვლენ ისინი შენთან ფეხით და ჩქარმავალი აქლემებით ქვეყნის შორეული მხარეებიდანაც!

დაე, დაამოწმონ მათ ის, რასაც სარგებელი მოაქვს მათთვის და ახსენონ ალლაჰის სახელი პირუტყვზე დანიშნულ დღეს , რომელიც მან სარჩოდ უბოძა. ჭამეთ მისგან და უწყალობეთ გაჭირვებულ ღატაკებს!

მერე კი დაიცვან თავიანთი წესები, აღასრულონ აღთქმა და შემოუარონ უპირველეს სახლს (ქააბას)!”ჰაჯ 22/ 26-29.”

630 წლამდე ქააბაში კერპები იყო განთავსებული და კერპთაყვანისმცემლები თავიანთი წესისამებრ ლოცულობდნენ. 630 წელს კი წმ. შუამავალმა მექა აიღო და ქააბა კერპებისგან გაწმინდა.

ჰიჯრით მეექვსე წელს წმ. შუამავალი უმრეს შესასრულებლად 1400 მხლებლითურთ მექასკენ გაემართა, მაგრამ მექაში გაბატონებულმა ურწმუნოებმა იქ შესვლის უფლება არ მისცეს. სწორედ ამ დროს შედგა ცნობილი ”ჰუდეიბიეს შეთანხმება”, რომლის თანახმადაც მუსლიმებს მომავალ წელს უფლება ეძლეოდათ მოელოცათ წმინდა ადგილები.

სანდოდ ჩათვლილი შეხედულების თანახმად ჰაჯობა ჰიჯრით მეცხრე წელს გამხდარა ფარზი. იმ წელს, წმ. შუამავალმა ჰაჯობის მსურველთა ამალას აბუ ბაქარი ჩაუყენა სათავეში და მექაში გააგზავნა. თავად კი არ ესწრებოდა. ჰიჯრით მეათე წელს კი თავადაც მიიღო მონაწილეობა ჰაჯობის ღვთისმსახურებაში. ეს იყო მის მიერ შესრულებული ერთადერთი ჰაჯობა.

ჰადისებში ნაბრძანებია: ” ისლამი ხუთ ძირითად საფუძველზეა დამყარებული. შაჰადა იმის შესახებ, რომ არ არსებობს ღმერთი

გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია, ლოცვის ლოცვა, ზექათის გაცემა, ჰაჯობა და რამადანის მარხვა.”

ზემოთ მოყვანილი აიათის ზეგარდმოვლინების შემდეგ წმ. შუამავალმა თავის მეგობრებს უბრძანა: ”უეჭველია, რომ ღმერთმა ჰაჯობა ფარზად დაგვიკანონა. ჰაჯობა შეასრულეთ”!

მაშინ მსმენელთაგან ერთ-ერთი დაინტერესდა, ყოველ წელს უნდა შეესრულებინათ ჰაჯობა თუ არა. წმ. შუამავალმა კი ბრძანა, რომ რასაც უბრძანებდა შესაძლებლობების ფარგლებში შეესრულებინათ. თუ რამეს აუკრძალავდა ის არ გაეკეთებინათ. გამომდინარე აქედან, იბნი აბბასის მიერ გამოთქმული ვარაუდის თანახმად ვინც ჰაჯობას ერთზე მეტჯერ შეასრულებს ნაფილე ჰაჯობად ჩაეთვლება. ისლამის სწავლულთა შორის ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტური აზრთა თანხვედრაა.

ზოგჯერ შეიძლება ერთზე მეტი ჰაჯობის შესრულება აუცილებელიც გახდეს. მაგ. შეპირება, ან ნაფილე ჰაჯობის შეწყვეტა ჰაჯობის თავიდან შესრულებას საჭიროებს. ზოგჯერ კი შეიძლება ჯჰაჯობის შესრულება არამი გახდეს. მაგ. არამი ფულით ჰაჯობის შესრულება. ზოგჯერ ჰაჯობა მექრუჰია; მაგ. თუ მშობლებს მოვლა სჭირდებათ და მათი ნებართვის გარეშე ჰაჯობაზე წასვლა. მექრუჰია, აგრეთვე თუ მისაცემი ვალის შემთხვევაში, ვალში მყოფს, ან თავდებს ვალის გადასახდელად სხვა საქონელი არ გააჩნია და მევალის ნებართვის გარეშე ჰაჯობაზე წავა. ჰანეფის მიხედვით ეს არამთან ახლო ცოდვაა.

ჰანეფის, შაფიის და მალიქის მიხედვით არამი ფულით შესრულებული ჰაჯობა ცოდვათან ერთად მისაღებია. ამით მხოლოდ ჰაჯობის ვალდებულების მოხსნა არის შესაძლებელი

ჰანბელის მიხედვით არამი ფულით შესრულებული ჰაჯობა შესრულებულად არ ითვლება.

III- ჰაჯოჯბის მალე, ან გვიან შესრულება

ები ჰანიფეს, ებუ იუსუფის, იმამ მალიქის და აჰმედ იბნ ჰანბელის შეხედულების თანახმად ჰაჯობა როდესაც პიროვნებისთვის ფარზი გახდება მაშინვე უნდა შესრულდეს. ანუ, პიროვნება თუ უკვე ჰაჯობისთვის საკმარის პირობებს აკმაყოფილებს და შესაბამისი შესაძლებლობა გააჩნია პირველივე ჰაჯობას უნდა დაესწროს. ჰაჯობის შემდეგი წლებისთვის გადადება ცოდვაა და ასეთი პიროვნების მიერ სასამართლოში მოწმეობა არ მიიღება. ჰაჯობის დაგვიანების შემთხვევაში, თუ პიროვნებას შემდეგ წლებში შემოსავალი შუმცირდა და ჰაჯობას ვეღარ ასრულებს და ნასესხები ფულით ჰაჯობას შეასრულებს იმედია, რომ ღვთის წყალობას დაიმსახურებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ჰადისები: ”ჰაჯობის შესრულება იჩქარეთ, რადგან არცერთმა თქვენგანმა არ იცის როდის მოკვდება!”

შაფის და იმამ მუჰამმედის შეხედულებით ჰაჯობის პირველივე წელს შესრულება სავალდებულო არ არის. თუმცა, ჰაჯობის და უმრეს პირველივე წელს შესრულება სუნნეთია. ამ მეორე შეხედულების თანახმად ჰაჯობის საპატიო მიზეზით, ან უმიზეზოდ გადადება შეიძლება. დასაყრდენი მტკიცებულება ისაა, რომ წმ. შუამავალმა, მიუხედავად იმისა, რომ ჰაჯობა ჰიჯრით მეცხრე წელს გახდა ფარზი, შემდეგი წლისთვის გადადო მისი შესრულება და ჰიჯრით მეათე წელს შეასრულა. დაგვიანება მიუღებელი რომ ყოფილიყო წმ. შუამავალი ასე არ მოიქცეოდა. ეს შეხედულება მუსლიმებისათვის ღვთისმსახურების გაიოლების თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია.

IV - ჰაჯის ფარზობის პირობები

პიროვნებას ჰაჯობის შესრულება სავალდებულოდ რომ გაუხდეს, ანუ მისთვის ფარზი გახდეს შემდეგი პირობებია საჭირო:

1- მუსულმანობა. არამუსლიმებს ჰაჯობის შესრულება არ ევალებათ. გამომდინარე აქედან, თუ არამუსლიმი პიროვნება, ნებისმიერი მიზეზით ჰაჯობას შეასრულებს და შემდეგ მუსლიმი გახდება, თუ ჰაჯობის ფარზობის პირობებს აკმაყოფილებს ეს ღვთისმსახურება ხელახლა უნდა შეასრულოს.გარდა ამისა, თუ მუსლიმს ჰაჯობა შესრულებული აქვს და შემდეგ სარწმუნოებიდან

გავა, ხოლო მოგვიანებით მოინანიებს და ისვ აღიარებს ისლამს, ჰაჯობის პიროებებს თუ აკმაყოფილებს ხელახლა უნდა შეასრულოს.

2- ზრდასრულობა და გონებასრულობა. პატარა ბავშვები და ფსიქიკურად დაავადებულები ვალდებულნი არ არიან ჰაჯობა შეასრულონ, რადგან მათ სარწმუნოებრივი ვალდებულებები არ ეხებათ. ფსიქიკურად დაავადებულის მიერ შესრულებული ჰაჯობა ღვთისმსახურებად არ ჩაითვლება, ამიტომ მიღებული არ არის. ამ ორი კატეგორიის ადამიანმა ჰაჯობა რომ შეასრულოს და შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული გამოჯანმრთელდეს, ხოლო ბავშმა ზრდასრულ ასაკს მიაღწიოს ჰაჯობა ხელახლა უნდა შეასრულონ. ზრდასრულობამდე შესრულებული ჰაჯობა ნაფილე ღვთისმსახურებად ითვლება.

3- თავისუფლება. მონას, ტყვეს და პატიმარს ჰაჯობის ვალდებულება არ ეხება. ჰაჯობის შესრულებას დრო, ძალისხმევა და ფინანსები სჭირდება. ამიტომ აღნიშნული კატეგორიის ადამიანებს საამისო საშუალება არ აქვთ.

4- დრო. ჰაჯობა წელიწადში ერთხელ, ისლამით გათვალისწინებულ დროს სრულდება. ამის შესახებ აიათებშია მითითებული:

يَسْئَلُونَكَ عَنِ الْأَهِلَّةِ قُلْ هِيَ مَوَاقِيتُ لِلنَّاسِ وَالْحَجِّ وَلَيْسَ الْبِرُّ بِأَنْ تَأْتُوا الْبُيُوتَ مِنْ ظُهُورِهَا وَلٰكِنَّ الْبِرَّ مَنِ اتَّقٰى وَأْتُوا الْبُيُوتَ مِنْ أَبْوَابِهَا وَاتَّقُوا اللّٰهَ لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

გეკითხებიან შენ ახალმთვარეთა შესახებ, უპასუხე: ის არის განსაზღვრული ვადები ხალხისთვის და ჰაჯისთვის. ღვთისმოსაობა არ არის ის, რომ სახლებში მათი უკანა მხრიდან შეხვიდეთ. ღვთისმოსაობაა, როცა ღვთისმოშიში ხარ. მაშ, შედით სახლებში მათი კარიდან და გეშინოდეთ ალლაჰის, ეგების იქმნეთ გადარჩენილი!”ბაყარა 2/189,“

اَلْحَجُّ اَشْهُرٌ مَّعْلُومَاتٌ فَمَنْ فَرَضَ ف يهِنَّ الْحَجَّ فَلَا رَفَثَ وَلَا فُسُوقَ وَلَا جِدَالَ فِى الْحَجِّ وَمَا تَفْعَلُوا مِنْ خَيْرٍ يَعْلَمْهُ اللّٰهُ وَتَزَوَّدُوا فَاِنَّ خَيْرَ الزَّادِ التَّقْوٰى وَاتَّقُونِ يَا اُولِى الْاَلْبَابِ

ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს (ქალს), არ იბილწოს, არ იჩხუბოს ჰაჯის დროს; და რასაც კარგს იქმთ, ამას უწყის ალლაჰი: გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, ღვთისმოშიშობაა. ჰეი გონიერნო, გეშინოდეთ ჩემი! „ბაყარა 2/197. ”

წმ. შუამავალმა თავისი ჰაჯობა, მეგობრებთან ერთად ზილჰიჯჯეს თვეში შეასრულა და ბრძანა: ”ჰაჯობის მაგალითი ჩემგან

აიღეთ, რგორც მე შევასრულებ, ისე შეასრულეთ!”

ჰანეფის და ჰანბელის მიხედვით ჰაჯობის დრო შევვალის და სილქადეს თვეები და ზილჰიჯჯეს პირველი ათი დღეა.

სხვა დროს ჰაჯობაზე წასვლა და მოლოცვა ჰაჯობის ფარზის ვალდებულებას არ ხსნის. თუმცა ამ თვეებზე ადრე იჰრამში შესვლა მისაღებია.

5- ჰაჯობის შესასრულებლად საკმარისი შესაძლებლობები. ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს, ფიზიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებზე და მგზავრობის უსაფრთხოებაზე. აიათში ნაბრძანებია:

ف بِهِ اٰيَاتٌ بَيِّنَاتٌ مَقَامُ اِبْرٰهِ يمَ وَمَنْ دَخَلَهُ كَانَ اٰمِنًا وَلِلّٰهِ عَلَى النَّاسِ حِجُّ الْبَيْتِ مَنِ اسْتَطَاعَ اِلَيْهِ سَب يلًا وَمَنْ كَفَرَ فَاِنَّ اللّٰهَ غَنِيٌّ عَنِ الْعَالَمِ ينَ

იქაა ცხადი სასწაულები , სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა.” ალი იმრან 3/97. ”

თუ პიროვნებას საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია და სხვისი მიპატიჟებით მსხვერპლშეწირვის ბაირამის წინა დღემდე ჩავიდა მექაში, იგივე სტატუსს იღბს როგორც მექას მკვიდრი და რადგან ჰაჯობის შესასრულებლად შესაძლებლობა მიეცა ჰაჯობის ფარზს შეასრულებს. იგივე ეხებათ სხვადასხვა მოვალეობის შემსრულებელთ, მაგ. მძღოლებს, მუშებს, ყასბებს და სხვა.

V- ჰაჯობის შესრულების პირობები

ა) საერთო პირობები

1- ჯანმრთელობა.

ებუ ჰანიფეს და მალიქის შეხედულების თანახმად ჰაჯობის შესასრულებლად ჯანმრთელობა აუცილებელი პირობაა. ამიტომ დაავადებულ ადამიანს ეს ვალდებულება არ ეხება. გამომდინარე აქედან მათ მაგივრად ნდობით აღჭურვილი პირის გაგზავნაც არ არის საჭირო.

ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის, შაფიის და ჰანბელის სამართალმცოდნეთა შეხედულების თანახმად, პიროვნება, რომელიც მუდმივად ავადმყოფობს და სხვამხრივ ჰაჯობისთვის ყველა პირობა

გააჩნია თავის მაგივრად სხვა უნდა გაგზავნოს. თუ ეს სიცოცხლეში ვერ მოახერხა შესაბამისი ანდერძი უნდა დატოვოს. თუ სხვისი გაგზავნის შემდეგ გამოჯანმრთელდა და თავად შეძლებს ჰაჯობის შესრულებას უნდა შეასრულოს.

2- მგზავრობის უსაფრთხოება.

ჰანეფის და ჰანბელის შეხედულების თანახმად, რომლის მიხედვითაც შესაბამის გადაწყვეტილებაა მიღებული მგზავრობის უსაფრთხოება ჰაჯობის აუცილებელი პირობაა. საფრთხე შეიძლება იყოს ეპიდემია, ომის საფრთხე, ყაჩაღების მოსალოდნელი თავდასხმა, სიკვდილის საფრთხე და სხვა.

მანდილოსნების მგზავრობის უსაფრთხოებისთვის საჭიროა გვერდით ეხლას ქმარი, ან უახლოესი სისხლით ნათესავი, რომელთანაც ქორწინება ნებისმიერ დროს მიუღებელია. სამი დღე-ღამის სავალი გზის და მეტი მანძილიდან მსგავსი მხლებელის გარეშე მანდილოსნის მიერ მექაში ჩასვლა და ჰაჯობის შესრულება არამთან მიახლოებული მექრუჰია. თუმცა ცოდვასთან ერთად ჰაჯობა შესრულებულად ითვლება. მხლებელის თანხლება ვალდებულების პირობაა. ზოგიერთის აზრით კი ეს ჰაჯობის შესრულების პირობად მიიჩნევა. შაფიის შეხედულების თანახმად მანდილოსანს სხვა სანდო მანდილოსნებთან ერთად ჰაჯობაზე წასვლა და შესრულება შეუძლია.

3- ჰაჯობის შესრულებისთვის გარე ხელისშემშლელი ფაქტორები.

დაკავება, ქალაქიდან ან ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა და მსგავსი მიზეზები ჰაჯობის შესრულებას ხელს უშლის. სხვა ყველა პირობა დამაკმაყოფილებელიც რომ იყოს აღნიშნული მიზეზის გამო პიროვნებას შეუძლია ჰაჯობის შესრულება მომავლისთვის გადადოს.

ბ) მანდილოსნებისთვის განსაკუთრებული პირობები

მანდილოსნებისთვის დამატებით ორი პირობა კიდევაა, რატა მათ ჰაჯობის შესრულების უფლება ჰქონდეთ.

1- მანდილოსანს ან ქმარი, ან ახლო ნათესავი უნდა ახლდეს.

ჰანეფის მიხედვით, როდესაც მანდილოსანი ჰაჯობის შესასრუ-

ლებლად მიდის და საამისოდ იმ მანძილის გავლა უწევს, რომელიც მას მგზავრის სტატუსს მიანიჭებს ქმრის, ან ახლო ნათესავის გარეშე წასვლის უფლება არ აქვს. ეს პირობა საჭიროა, რათა მანდილოსნებისთვის ჰაჯობის შესრულება ფარზი გახდეს.

შაფიის მიმდევრები კი თვლიან, რომ მანდილოსანს სხვა სანდო მანდილოსნებთან ერთად ჰაჯობაზე წასვლა და წმინდა ადგილების მოლოცვა შეუძლია. ამ შემთხვევაში, თანამგზავრად მხოლოდ ერთი მანდილოსანი საკმარისი არ არის.

იბნი აბბასის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნაბრძანებია: "მანდილოსანი თავის ახლო ნათესავი თანმხლების გარეშე მარტო სხვა კაცთან არ დარჩეს, თუ ახლო ნათესავი არ ახლავს მგზავრად არ წავიდეს!"

2- განქორწინების შემდგომი პერიოდი

მანდილოსანმა განქორწინების, ან დაქვრივების შემტხვევაში გარკვეული დრო უნდა მოიცადოს, რათა ჰაჯობის ვალდებულების შესრულების უფლება ჰქონდეს. განქორწინების შემთხვევაში, ეს დრო სამი მენსტრუაციული ციკლის და სისუფთავის პერიოდის გასვლით განისაზღვრება. დაქვრივებული მანდილოსანი კი 4 თვე და 10 დღე ელოდება, ხოლო ორსული - მშობიაროაბამდე.

წმ. წიგნში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا النَّبِىُّ اِذَا طَلَّقْتُمُ النِّسَاءَ فَطَلِّقُوهُنَّ لِعِدَّتِهِنَّ وَاَحْصُوا الْعِدَّةَ وَاتَّقُوا اللّٰهَ رَبَّكُمْ لَا تُخْرِجُوهُنَّ مِنْ بُيُوتِهِنَّ وَلَا يَخْرُجْنَ اِلَّا اَنْ يَاْتِينَ بِفَاحِشَةٍ مُبَيِّنَةٍ وَتِلْكَ حُدُودُ اللّٰهِ وَمَنْ يَتَعَدَّ حُدُودَ اللّٰهِ فَقَدْ ظَلَمَ نَفْسَهُ لَا تَدْرِى لَعَلَّ اللّٰهَ يُحْدِثُ بَعْدَ ذٰلِكَ اَمْرًا

ჰეი, შუამავალო! როცა გაეყრებით ცოლებს , მაშინ გაეყარეთ დადგენილი ვადის დაცვით და გადაითვალეთ დადგენილი ვადა, გეშინოდეთ ალლაჰის, თქვენი ღმერთის! არ გააძევოთ ისინი სახლებიდან და არც ისინი წავიდნენ, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. აი, ესაა ალლაჰის დადგენილი ნორმები, ხოლო ვინც გადასცდება ალლაჰის დადგენილ ნორმებს, ის საკუთარ თავს მოექცევა უსამართლოდ. შენ ვერ მიხვდები, ეგების ალლაჰმა ამის შემდგომ შეცვალოს მდგომარეობა." ტალაყ 65/1. "

ჰაჯობა შეიძლება სხვა დროს შესრულდეს, ხოლო მსგავსი "ლოდინის" პერიოდი მხოლოდ კონკრეტულ დროსაა. ჰანეფი აღნიშნულ პირობას შესრულების პირობად თვლის, ხოლო სხვა მიმდინარეობების მიხედვით ის ვალდებულების პირობაა.

თუ პიროვნება, ვალდებულების პირობებიდან რომელიმეს ვერ

აკმაყოფილებს საჭიროა თავის მაგივრად სხვა გააგზავნოს.

გ) სხვა შემთხვევები, რომლებიც ჰაჯობას ხელს უშლიან

1- მეურვის ნებართვა

ბავშვი, რომელიც მექაში არ ცხოვრობს და ნაფილე ჰაჯობის, ან უმრეს შესრულებას დააპირებს მშობლებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ. ხოლო თუ ჰაჯობა მისთვის ფარზია მშობლები ხელს ვეღარ შეუშლიან, რადგან ფარზი ჰაჯობისთვის ნებართვის თხოვნა მხოლოდ სუნნეთია, ხოლო ნაფილე ჰაჯობის შესრულების საჭიროება მშობლების ნებართვაზე მაღლა არ დგას.

2- ქორწინება

ისლამის სწავლულთა უმრავლესობის აზრით, თუ მანდილოსანისთვის ჰაჯობის შესრულება ფარზი გახდა და ყველა პირობას აკმაყოფილებს ქმარს უფლება არ აქვს დაუშალოს. შაფის მიხედვით კი ქმარს უფლება აქვს არ გაუშვას ცოლი არც ფარზი და არც ნაფილე ჰაჯობის შესასრულებლად. ქმრის ნება გასათვალისწინებელია, ხოლო ჰაჯობა მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნებისმიერ წელს შეიძლება შესრულდეს.

3- მონობა.

პატრონს უფლება აქვს არ გაუსჰვას მონა ფარზ, ან ნაფილე ჰაჯობის შესასრულებლად. თუ მონა, პატრონის ნებართვით იჰრამში შესულია პატრონი მას ჰაჯობის დამთავრებამდე ხელს ვეღარ შეუშლის.

4- პატიმრობა

უსამართლოდ, ან გაჭირვების გამო ვალში ჩავარდნილი პატიმრის მდგომარეობა ჰაჯობის შესრულებას ხელს უშლის.

5- ვალში ყოფნა

თუ ვალის გადახდისდრო მოსულია და ვალში მყოფს ვალის გასასტუმრებლად სხვა ფული არ გააჩნია მევალეს შეუძლია ჰაჯობის შესრულებისთვის წინააღმდეგობა გასწიოს. თუ ვალის გადახდის დრო არ არის მოსული მევალე ხელს ვერ შეშლის.

6- მფლანგველობა

თუ პიროვნებას ფულის უაზროდ ფლანგვა აქვს წესად, მეურვის ნებართვის გარეშე ჰაჯობას ვერ შეასრულებს.

7- ჰაჯობის შეწყვეტა.

ჰაჯობის, ან უმრეს დროს იჰრამში შესული პიროვნება ავადმყოფობის, მტრის შიშის, პატომრობის მიზეზით შესაძლოა იძულებული გახდეს ჰაჯობის პროცესი შეწყვიტოს. ასეთ დროს მომლოცველს შეუძლია პრობლემის მოგვარების სავარაუდო დროს დაელოდოს და თუ იმედი აღარ არის იჰრამიდან გამოვიდეს. თუმცა ასეთ შემთხვევაში მსხვერპლი უნდა შეწიროს.

8- ავადმყოფობა

თუ პიროვნება იჰრამში ყოფნისას ავად გახდა ჰანეფის მიხედვით შეუძლია იჰრამიდან გამოვიდეს. შაფიის, მალიქის და ჰანბელის მიხედვით კი იჰრამში ყოფნის დროს ავად გამხდარ ადამიანს შეუძლოდ ყოფნა რომც გაუგრძელდეს გამოჯანმრთელებამდე იჰრამში უნდა დარჩეს.

VI- ჰაჯობის სრულყოფილების პირობები

ჰაჯობა რომ შესრულდეს საჭიროა შემდეგი პირობების შესრულება:

1- მომლოცველი უნდა იყოს მუსლიმი. არამუსლიმებისთვის ჰაჯობა არც ფარზია და შესაბამისად არც შესრულება ევალებათ.

2- განსაკუთრებული ადგილები. ჰაჯობა მექაში, არაფატსა და ქააბას მიმდებარე ტერიტორიაზე სრულდება.

3- სპეციალური დრო. ჰაჯობის შესრულებისას ყოველ რიტუალს თავის კონკრეტული დრო აქვს მითითებული.

4- იჰრამი. ეს არის, მომლოცველისათვის გარკვეული აკრძალვების დაწესება, რომელიც ჩვეულებრივ დროს აკრძალული არ არის. ამ დროს მამაკაცის სამოსელი ორი ნაჭრისაგან შედგება, რომელსაც იჰრამი ეწოდება.

VII-ადგილები, სადაც იჰრამში შესვლაა საჭირო

ადგილებს, სადაც მომლოცველს იჰრამით გათვლისწინებული სამოსალის ჩაცმა და წესების დაცვა ევალება მიქათი ეწოდება. მომლოცველს უფლება არ აქვს იჰრამის გარეშე აღნიშნული ადგილები მოილოცოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მომლოცველი უნდა დაუბრუნდეს მიქათის ადგილს და მსხვერპლი შესწიროს.

ჰანეფის მიხედვით, იჰრამში შესვლა მიქათად წოდებულ ადგილებამდეც შეიძლება. მაგ. მომლოცველს შეუძლია საცხოვრებელი ადგილიდანვე შესაბამისად ჩაიცვას და იჰრამის წესებს დაემორჩილოს.

დანარჩენი მიმდინარეობების იმამები მიიჩნევენ, რომ იჰრამში შესვლა სპეციალურ ადგილებში მიღწევისას სუნნეთია, ამიტომ უფრო მადლიანია.

აიათებიდან გამომდინარე მექა და მიმდებარე ტერიტორია ჰარემად, ანუ პატივდებულ ადგილად არის მიჩნეული. ამ ადგილების საზღვრები ანგელოზმა ჯებრაილმა წმ. აბრაამს აჩვენა, ხოლო მოგვიანებით წმ. შუამავალმა მუჰამმედმა ეს საზღვრები განაახლა. ეს საზღვრები ქააბადან თანაბარი მანძილით არ არის დაშორებული.

მექაში მცხოვრებ მორწმუნეთ შეუძიათ საცხოვრებელ ადგილიდანვე, ან იჰრამის საზღვრებში დაიცვან იჰრამის წესები.

ზემოთ განმარტებული მიქათის ადგილები შემდეგია:

1- ზულჰულეიფე; -ეს არის მედინადან მექასკენ მომავალ მომლოცველთათვის მიქათის ადგილი. ამ ადგილამდე მედინადან დაახლოებით 10 კმ-ა, ხოლო მექამდე -450 კმ. ეს არის ყველაზე დიდი მიქათის მანძილი.

2- ჯუჰფე; - ეს არის თურქეთიდან სირიიდან, ეგვიპტიდან და ევროპიდან მიმავალ მლოცველთათვის მიქათის ადგილი. მექადან დაახლოებით 187 კმ-ა.

3- ზათუ ირქ. - ერაყიდან და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მიმავალ მლოცველთათვის მიქათის ადგილი. ეს ადგილი მექადან 94 კმ-ა.

4- ქარნულ-მენაზილ. - ქუვეითის და ნეჯიდის მხრიდან მიმავალ მლოცველთათვის მიქათის ადგილი. მექადან დაახლოებით 96 კმ-

თაა დაშორებული.

5- იელემლემ. - ეს არის მექას სამხრეთით მდებარე ადგილი, რომელიც იემენიდან მიმავალ მლოცველთათვის მიქათის ადგილია. მექადან დაახლოებით 54. კმ-ა.

იჰრამის ადგილების წმ. შუამავალის მიერაა მითითებული. ამიტომ იჰრამის ტერიტორიაზე შესული ადამიანი იჰრამის წესებს უნდა დაემორჩილოს. ეს ეხება სხვადასხვა მიზნით ჩასულ მგზავრსაც. ეს იქნება ჰაჯობა, უმრე, ვაჭრობა, სამუშაო, მკურნალობა თუ სხვა მსგავსი მიზანი. ყველა მუსლიმი ვალდებულია ამ ადგილებში მიღწევისას, ან მანამდე იჰრამის წესებს დაემორჩილოს.

ჰაჯობის და უმრესთვის გარედამ მოსული მორწმუნე აღნიშნულ ტერიტორიაზე თუ იჰრამის გარეშე შევა, ვალდებულია ან მსხვერპლი შეწიროს, ან უკან დაბრუნდეს და იჰრამში შევიდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იჰრამშ შესვლა გულისხმობს, როგორც შესაბამისი სამოსელით შემოსვას, ისე გარკვეული წესების დაცვას.

თუ პიროვნებას მექაში ჩასვლის მიზანი არ აქვს და აღნიშნულ საზღვრებს გადაკვეთს იჰრამის წესების დაცვა არ ეხება. იგივე ეხებათ სხვაგან მიმავალ მგზავრებს, რომლებსაც საჰაერო, ან სახმელეთო გზით აღნიშნული ტერიტორიის გადაკვეთა უწევს. თუ ასეთი მგზავრი მოგვიანებით ჰაჯობის, ან უმრეს შესრულებას განიზრახავს სადაც იმყოფება იქიდანვე იჰრამის წესებს დაემორჩილება.

VIII- იჰრამი

იჰრამი ლექსიკონში არამად ცნობას, საკუთარი თავისთვის რაიმის აკრძალვას, წმინდა ადგილებზე შესვლას და მათდამი პატივისცემას ნიშნავს. როგორც ჰაჯობასთან დაკავშირებული ტერმინი, ეს არის პიროვნების მიერ ჰაჯობის, ან უმრეს შესრულების განზრახვით სხვა დროს ჩვეულებრივი ზოგიერთი ქმედებების ჰაჯობის, ან უმრეს პროცესში შეზღუდვა. როგორც ლოცვის ლოცვა იწყება თექბირით, ისე ჰაჯობის დაწყება იჰრამში შესვლით იწყება. ამასთან ერთად, სხვა დროს ჩვეულებრივი ზოგიერთი ქმედება, ჰაჯობის პროცესში არამი ხდება. ასეთებია, ცუდსიტყვაობა და ცუდი საქციელი, ჩვეულებრივი ჩაცმულობა, სქესობრივი ცხოვრება, ნადირობა და აღნიშნულ ტერიტორიაზე მწვანე მცენაარზე ზიანის მიყენება. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში სასჯელის სახით სხვადასხვა ჯარიმაა შესასურლებლი, მაგ. მსხვერპლის შეწირა, მოწყალების

გაცემა და სხვა.

ჰანეფის მიხედვით იჰრამი ჰაჯობის არა შიგა ფარზი, არამედ პირობაა. შესაბამისად ჰაჯობის, ან უმრეს განზრახვიტ ვინც იჰრამშ შევა აღნიშნული ღვთისმსახურების შესრულების პროცესი დაწყებული აქვს.

ა) იჰრამის ფარზები

ჰანეფის მიხედვით იჰრამისთვის ორი ფარზია შესასრულებელი; განზრახვა და თელბიე, ანუ გარკვეული ლოცვების წარმოთქმა. დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით მხოლოდ ნიეთი (განზრახვა) საკმარისია.

1- განზრახვა.

ეს არის გადაწყვეტილების მიღება ჰაჯობის, ან უმრეს შესრულების შესახებ და შესაბამისად რომელიც სრულდება იმ ღვთისმსახურების მითითება. განზრახვის ენით წარმოთქმა მუსთეჰაბია. განზრახვის დაფიქსირება ყველას მშობლიურ ენაზე შეუძლია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰაჯობა და უმრე იჰრამში შესვლით იწყება. მიქათის ადგილას საჭიროა მცირე, ან სრული განბანვა და თუ აკრძალული დრო არ არის ორი მუხლი იჰრამის ლოცვის შესრულება.

ამის შემდეგ ჰაჯობის, ან უმრესთვის განზრახვა სრულდება.

თუ პიროვნება ჰაჯობის, ან უმრეს შესრულების დროს ჰაჯობას ასრულებს, თუ უმრეს არ დააფიქსირებს ჰანეფის მიხედვით იჰრამი მიღებულია. ასეთ დროს თავაფის დაწყებამდე მითითება საკმარისი, რომ აღნიშნული ღვთისმსახურება ჰაჯობაა თუ უმრე.

შაფიის მიხედვით ჰაჯობის და უმრეს რითუალების დაწყებისას მსგავსი გაურკვევლობა უნდა აღმოიფხვრას და კონკრეტული ნიეთი იქნას მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში რიტუალი შესრულებულად არ ჩაითვლება, რადგან ღვთისმსახურება განზრახვის შესაბამისად სრულდება.

ებუ ჰანიფეს და ებუ იუსუფის შეხედულების თანახმად ფარზი ჰაჯობის შესრულებამდე თუ პიროვნება ნაჰილე ჰაჯობის შესრულებას გადაწყვეტს მისი განზრახვის შესაბამისად ღვთისმსახურება ნაფილედ ჩაეთვლება. იმამ მუჰამმედის და შაფიის აზრით კი ასეთ

შემთხვევაში შსრულებული ჰაჯობა ფარზად ითვლება, რადგან ეს მდგომარეობა შედარებულია რამადანის მარხვასთან. რამადანის მარხვის დრო ნაფილე მარხვის განზრახვაც რომ დაფიქსირდეს ღვთისმსახურება მაინც ფარზად ითვლება.

2- თელბიე

ეს არის ჰაჯობის, ან უმრეს ღვთისმსახურების დაწყების პროცესში წარმოსათქმელი გარკვეული ლოცვები. თელბიე ლოცვის დასაწყის თექბირს ჰგავს. ცნობილია, რომ წმ. შუამავალს თელბიე ორი მუხლი იჰრამის ლოცვის შესრულების შემდეგ წარმოუთქვამს.

როგორც განზრახვის, ისე თელბიეს წარმოთქმა მშობლიურ ენაზე მისაღებია.

თელბიე, იჰრამში შესვლისას მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა წარმოითქვას.

ჰანეფის მიხედვით, პიროვნება შესაბამის დროს და ადგილზე განზრახვის და თელბიეს წარმოთქმისას იჰრამში შესულად ითვლება. ამის შემდეგ, გზებზე, ტანამგზავრებთან შეხვედრისას, გამთენიისას და ლოცვი ლოცვის შემდეგ თელბიეს მრავლად შესრულება და ზოგჯერ ხმამაღლა წარმოთქმა მუსთეჰაბია. მანდილოსნები თელბიეს შედაებით ხმადაბლა წარმოთქვამენ.

ბ) ჰარემის ტერიტორიაზე იჰრამის გარეშე შესვლის შედეგები

ჰანეფის და მალიქის მიხედვით იჰრამის ტერიტორიაზე რა მიზნითაც არ უნდა შედიოდეს პიროვნება აუცილებელია იჰრამში შევიდეს, რადგან იჰრამი ამ წმინდა ადგილისადმი პატივისცემის გამოხატვის მიზნით ვაჯიბია. ამ შემტხვევაში მნიშვნელობა არ აქვს რა მიზნიტ შედის პიროვნება ჰარემის ტერიტორიაზე.

თუ პიროვნება ჩვეულებრივი ტანსაცმლიტ იჰრამის ტერიტორიაზე შევიდა და ერთი დღის, ან-ღამის განმავლობაში დარჩა ვალდებულია მსხვერპლი შესწიროს, ან დაბრუნდეს და იჰრამის წესების შესაბამისად ჩაიცვას.

შაფიის მიხედვით კი იჰრამის ტერიტორიაზე შესულ პიროვნებას თუ ჰაჯობის, ან უმრეს შესრულების განზრახვა არ აქვს იჰრამის წესების დაცვა მისთვის არა ვაჯიბი, არამედ მუსთეჰაბია.

გ- იჰრამით გათვალისწინებული აკრძალულები

იჰრამში შესულ პიროვნებას, იჰრამიდან გამოსვლამდე გარკვეული აკრძალვები აქვს დაწესებული. ესენია:

1- სხეულთან დაკავშირებული აკრძალვები.

ა) თმის წვერის და ულვაშების შეჭრა .

ბ) სხეულის სხვა ნაწილებზე არსებული ბანალის მოჭრა ან მოწყვეტა.

გ) ფრჩხილების მოჭრა

დ) პარფიუმერიის გამოყენება, თმების ან წვერის შეღებვა და სურნელოვანი საპონის ან სუნამოს გამოყენება.

2- ჩასაცმელთან დაკავშირებული აკრძალვები.

ტანსაცმელთან დაკავშირებუი აკრძალვები მხოლოდ მამაკაცებს შეეხებათ. მადილოსნები კი ჩვევლებრივი ტანსაცმლით არიან შემოსილი მხოლოდ სახე უჩანთ.

ა) შეკერილი ტანსაცმლის და შიგნითა ტანსაცმლის ჩაცმა.

პალტოს მხრებზე მოსხმა ქამრის შემოხვევა ჩანთის მხარზე გადაკიდება და ღია ფეხსაცმლის ან ჩუსტების ჩაცმა იჰრამის აკრძალულებში არ შედის.

აკრძალული ტანსაცმლის ჩაცმა ერთი დღის ან ერთი ღამის განმავლობაში ჯარიმის სახით მსხვერპლის შეწირვას ითვალისწინებს თუ აკრძალული ტანსაცმელი ამაზე ნაკლები ხნით იქნა გამოყენებული მსხვერპლის შეწირვა მოწყალებად გადაიქცევა.

შაფიის და ჰამბელის მიხედვით თუ პიროვნება იძულებულია აკრძალული ტანსაცმელი ჩაიცვას ჯარიმა არ ეხება.

ბ) თავის და სახის დაფარვა. თავზე ქუდის ან მსგავსის დახურვა აკრძალულია.

მანდილოსნები იჰრამში შესვლისას თავის და სახის გარდა მთელს სხეულს შეკერილი ტანსაცმლით იფარავენ . მანდილოსნის სახე, ისევე როგორც მამაკაცის თავი არ უნდა იყოს დაფარული.

გ) ხელთათმანის წინდის ან ისეთი ფეხსაცმლის ჩაცმა რომელიც კოჭებს დაფარავს.

3 - სქესობრივ საკითხებთან დაკავშირებული აკრძალვები

ა) სქესობრივი კავშირი და მის წინა პირობად მიღებული კოცნა ან მსგავსი ქცევა.

ყურანში ნაბრძანებია:

اَلْحَجُّ اَشْهُرٌ مَعْلُومَاتٌ فَمَنْ فَرَضَ ف يهِنَّ الْحَجَّ فَلَا رَفَثَ وَلَا فُسُوقَ وَلَا جِدَالَ فِى الْحَجِّ وَمَا تَفْعَلُوا مِنْ خَيْرٍ يَعْلَمْهُ اللّٰهُ وَتَزَوَّدُوا فَاِنَّ خَيْرَ الزَّادِ التَّقْوٰى وَاتَّقُونِ يَا اُولِى الْاَلْبَابِ

ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს (ქალს), არ იბილწოს, არ იჩხუბოს ჰაჯის დროს; და რასაც კარგს იქმთ, ამას უწყის ალლაჰი: გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, ღვთისმოშიშობაა. ჰეი გონიერნო, გეშინოდეთ ჩემი!”ბაყარა 2/197”

წმინდა შუამავალი ბრძანებდა: ”ვინც ჰაჯობას შეასრულებს, ჰაჯობის შესრულების პროცესში სქესობრივი კავშირიდან თავს შეიკავებს და ცოდვას არ ჩაიდენს ისეთივე უცოდველი გახდება როგორც ახალშობილი”

ჰანეფის მიხედვით იჰრამში ყოფნისას დანიშნვა ან დაქორწინება მიღებულია თუმცა სწავლულთა უმრავლესობა ამას მიუღებლად მიიჩნევენ.

ჰაჯობის შესრულების მიზნით იჰრამში შესული პიროვნება არაფათში ვაქფეს რიტუალის შესრულებამდე თუ სქესობრივ კავსირს დაამყარებს ჰაჯობა, როგორც ღვთის მსახურება წყდება და მომავალ წელს უნდა ანაზღავროს გარდა ამისა ჯარიმის სახით ერთი მსხვერპლი უნდა შეწიროს. ხვევნა კოცნა და სხვა ქმედებები რომლებიც პიროვნებას სქესოიბრივი კავშირისკენ უბიძგებენ ჯარიმის სახით მსხვერპლის შეწირვას საჭიროებას.

ბ) ისეთი სიტყვების თქმას რომლებიც აღგზნებას იწვევენ.

4.- ნადირობის აკრძალვა

ჰარემის ტერიტორიაზე ან მის გარეთ ნებისმიერი ცხოველის მოკვლა, მონადირეზე ჩვენება და ნადირობაში დახმარება ან ცხოველებზე ზიანის მიყენება აკრძალულია. ეს ეხებათ მხოლოდ გარეულ ცხოველებს ზღვის ცხოველების დაჭერა, აგრეთვე ქათმის, ცხვრის და ძროხის მსგავსი შინაური ცხოველების დაკვლა აკრძალული არ არის.

5.- ჰარემის ტერიტორიასთან დაკავშირებული აკრძალვები.

ქალაქ მექაში და მიმდებარე ტერიტორიაზე ჰარემად წოდებულ ადგილებში ნადირობა, მცენარეების მოჭრა ან ბალახის მოწყვეტა აკრძალულია. მნიშვნელობა არ აქვს პიროვნება იჰრამს ატარებს თუ არა ამ აკრძალვაში მუსლიბეისათვის გარემოსადმი მზრუნველობს შესწავლება ჩანს

6- ღვთის წინაშე წინაღმდეგობის გაწევა და ადამიანებისადმი ცუდად მოპყრობა.

ყურანში ნაბრძანებია :

اَلْحَجُّ اَشْهُرٌ مَعْلُومَاتٌ فَمَنْ فَرَضَ ف يهِنَّ الْحَجَّ فَلَا رَفَثَ وَلَا فُسُوقَ وَلَا جِدَالَ فِى الْحَجِّ وَمَا تَفْعَلُوا مِنْ خَيْرٍ يَعْلَمْهُ اللّٰهُ وَتَزَوَّدُوا فَاِنَّ خَيْرَ الزَّادِ التَّقْوٰى وَاتَّقُونِ يَا اُولِى الْاَلْبَابِ

ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს (ქალს), არ იბილწოს, არ იჩხუბოს ჰაჯის დროს; და რასაც კარგს იქმთ, ამას უწყის ალლაჰი: გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, ღვთისმოშიშობაა. ჰეი გონიერნო, გეშინოდეთ ჩემი!”ბაყარა2/197”

დ) იჰრამის დროს ნებადართული ქცევები

იჰრამში მყოფ პიროვნებისთვის ზემოთ მითითებული ქცევების გარდა დარჩენილი სხვა ქცევები როგორებიცაა დაბანა, უსუნო საპონის გამოყენება, იჰრამის სამოსელის გარეცხვა, კბილების გამოხეხვა, მოტეხილი ფრჩხილის და შემაწუხებელი ბეწვის მოწყვეტა, კბილის ამოღება, ჭრილობის შეხვევა, იარაღს ტარება, სამაჯურის და საათის ტარება, ქამრის გამოყენება, ღამით ადიალის ან საბნის დახურვა, სიცივისგან დასაცავად კოსტუმის ან პალტოს მხრებზე მოსხმა, ქოლგის ტარება, ჩრდილში დაჯდომა, თევზის და მსგავსი ზღვის ცხოველების მონადირება, გველის, მორიელის, თაგვის, ბუზის მსგავსი ცხოველების რომლებიც ნადირად არ ითვლებიან და მგლის ვეფხვის მტაცებელი ცხოველების მოკვლა ნებადართულია.

IX ჰაჯობის სახეები

ჰაჯი შეიძლება იყოს ფარძი, ვაჯიბი ან სუნეთი. ყოველი მუსლიმანი რომელიც ჰაჯობისთვის საკმარის პირობებს აკმაყოფილებს ვალდებულია სიცოცხლეში ერთხელ მექაში უნდა ჩავიდეს და

წმინდა ადგილები მოლოცოს. მისთვის ეს ფარძია. თუ პიროვნებას ჰაჯობის შესრულება არ ევალება და ღმერთის წინასე ჰაჯობის შესრულების პირობას დადებს, შეპირებულის შესრლება მისთვს ვაჯიბია. გარდა ამისა, როგორც ყველა ნაფილე ღვთის მსახურებაშია შეწყვეტილი ჰაჯობის ანაზღავრება ვაჯიბია. თუ პიროვნებას აღნიშნული ღვთის მსახურება როგორც ფარძი შესრულებული აქვს სხვა დროს ხელმეორედ შესრულება და აგრეთვე ზრდასრულებას მიუღწეველი ბავშვის შესრულებული ჰაჯობა ნაფილედ ითვლება.

სამივე კატეგორიის ჰაჯობა შესრულების მიხედვით სამ ნაწილად იყოფა: იფრად, თემეთთუდ, ქირან.

ა) იფრადი

იფრადი არის ჰაჯობა რომელიც უმრეს გარეშე სრულდება ჰაჯისთვის განკუთვნილ თვეებში მხოლოდ ჰაჯობის შესრულებას იფრადი ეწოდება. იფრადის დროს ჰაჯობისთვის საჭირო მადლიერების მსხვერპლის შეწირვა აუცილებელი არარის თუმცა მსურველებს შეუძლიათ მსხვერპლი შეწირონ. იფრადის დროს ჰაჯობამდე უმრეს შესრულება მიუღებელია. იჰრამსი შესვლისას განზრახვა მხოლოდ ჰაჯობისთვის სრულდება და იჰრამის დასრულება ბაირამის პირველ დღეს წვერის გაპარსვამდე არ შეიძლება.

ყურანში ჰაჯობის შესახებ ღმერთი ბრძანებს:

ف بِهِ اٰيَاتٌ بَيِّنَاتٌ مَقَامُ اِبْرٰهِ يمَ وَمَنْ دَخَلَهُ كَانَ اٰمِنًا وَلِلّٰهِ عَلَى النَّاسِ حِجُّ الْبَيْتِ مَنِ اسْتَطَاعَ اِلَيْهِ سَب يلًا وَمَنْ كَفَرَ فَاِنَّ اللّٰهَ غَنِيٌّ عَنِ الْعَالَمِ ينَ

იქაა ცხადი სასწაულები , სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა. ”ალ იმრან 3/97”

ეს აეთი უპირველესად იფრათს გულისხმობს

ბ) თემეთთუ

ჰაჯობის თვეში ჯერ უმრეს განზრახვით იჰრამში შესვლას და მისი დასრულების შემდეგ ხელმეორედ იჰრამში შესვლით ჰაჯობის შესრულებას თემეთთუ ეწოდება. ამ შემთხვევაში უმრე და ჰაჯი სხვადასხვა იჰრამით სრულდება.

ჰაჯობა რომ თემეთთუდ რომ ჩაითვალოს საჭიროა უმრე და ჰაჯობა ერთ და იგივე ჰაჯობის სეზონში შესრულდეს. ჰაჯობის სეზონის დაწყებამდე უმრეს, ხოლო ჰაჯობის სეზონის მოსვლის

შემდეგ ჰაჯობის შესრულება თემეთთუდ არ ჩაითვლება. ასევე არ იქნება თემეთთუ თუ ერთ წელს ჰაჯობის სეზონის დროს უმრე შესრულდა, ხოლო მეორე წელს - ჰაჯობა.

სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული მლოცველები უმეტესად თემეთთუ ჰაჯობას ასრულებენ. რადგან ერთდროულად ორივეს შესრულების შესაძლებლობა ეძლევათ მომლოცველებმა მადლიერების მსხვერპლი უნდა შესწირონ. ვისაც მსხვერპლის შეწირვა არ შეუძლიათ ბაირამამდე სამი დღე ხოლო შინ დაბრუნების შემდეგ შვიდი დღე უნდა იმარხულონ.

ყურანში ნაბრძანებია:

وَاَتِمُّوا الْحَجَّ وَالْعُمْرَةَ لِلّٰهِ فَاِنْ اُحْصِرْتُمْ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْىِ وَلَا تَحْلِقُوا رُؤُسَكُمْ حَتّٰى يَبْلُغَ الْهَدْىُ مَحِلَّهٗ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيْضًا اَوْ بِهٖۤ اَذًى مِّنْ رَّاْسِهٖ فَفِدْيَةٌ مِّنْ صِيَامٍ اَوْ صَدَقَةٍ اَوْ نُسُكٍ فَاِذَاۤ اَمِنْتُمْ فَمَنْ تَمَتَّعَ بِالْعُمْرَةِ اِلَى الْحَجِّ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْىِ فَمَنْ لَّمْ يَجِدْ فَصِيَامُ ثَلٰثَةِ اَيَّامٍ فِى الْحَجِّ وَسَبْعَةٍ اِذَا رَجَعْتُمْ تِلْكَ عَشَرَةٌ كَامِلَةٌ ذٰلِكَ لِمَنْ لَّمْ يَكُنْ اَهْلُهٗ حَاضِرِى الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاتَّقُوا اللّٰهَ وَاعْلَمُوْۤا اَنَّ اللّٰهَ شَدِيْدُ الْعِقَابِ

აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის. თუ რამე გაბრკოლებთ, მაშინ შესაწირი პირუტყვი გაგზავნეთ, რაც გეადვილებათ. და არ გადაიპარსოთ თავი, სანამ შესაწირი თავის ადგილას არ ჩავა. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალების გაღება ან შესაწირი. მაგრამ როცა უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვინც აღასრულებს უმრას ჰაჯთან ერთად, მან შეწიროს პირუტყვი, რაც ეადვილება; თუ ეს არ მოეპოვება, იმარხულოს სამი დღე ჰაჯობის დროს და შვიდი, როცა დაბრუნდება. ეს არის სრული ათი. ეს იმათთვის, ვისი ოჯახიც მესჯიდი ჰარამთან სიახლოვეს არ სახლობს. და გეშინოდეთ ალლაჰის, იცოდეთ, რომ ალლაჰის სასჯელი მკაცრია.”ბაყარა 2/196”

გ) ქირან

ქირანად წოდებული ჰაჯობის დროს, ჰაჯობის სეზონში უმრეც და ჰაჯობაც ერთი იჰრამის ქვეშ სრულდება. ასეთ შემთხვევაში მომლოცველი ორივე ღვთისმსახურების ერთ დროულად შესრულების შესაბამის განზრახვას წარმოთქვავს და იჰრამში შედის.

თემეთთუ და ქირანი ჰაჯობის დროს მომლოცველის მიერ მადლიერების მსხვერპლის შეწირვა ვაჯიბია. იფრადის დროს კი მსგავსი ვალდებულება კი არ არსებობს. მომლოცველი თუ მოისურვებს იმ შემთხვევაში შეწირავს მსხვერპლს. როგორც თემეთთუს შემთხვევაში იყო ქირანის დროსაც, თუ მომლოცველს მსხვერპლის შეწირვა არ შეუძლია იგივე განაწილებით ჯამში ათი დღე უნდა იმარხულოს.

მექაში და ჰარემის ტერიტორიაზე მცხოვრებ მორწმუნეთა მიერ

თემეთთუს და ქირანის შესრულება მიღებული არ არის, ისინი მხოლოდ იფრადს ასულებენ და შესაბამისად მსხვერპლასც არ სწირავენ.

X-ჰაჯობის ფარძები

როგორც ყველა ღვთისმსახურებას ჰაჯობასაც გაჩნია თავისი ფარზი ვაჯიბი და სუნეთი. ჰანეფის მიხედვით ჰაჯობას სამი ფარზი გაჩნია. ესენია: იჰრამი, არაფათთან დგომა(ვაქფე) და ტავაფი. ამ სამი ფარზის თანმიმდევრობით შესრულების შემთხვევაში ჰაჯობა შესრულებულად ითვლება. ამ ფარზებიდან რომელიმეს უგულებელყოფა ჰაჯობას შლის.

ჩვენ ზემოთ იჰრამი განვმარტეთ ამიტომ ახლა შევეცდებით ორ ფარზი განვმარტოთ.

ა) არაფატზე დგომა (ვაქფე)

არაფატი მექას სამხრეთ-დასავლეთით ჰარემის საზღვრებს გარეთ, მექადან დაახლოებით 25 კილომეტრში მდებარეობს. ბაირამის წინა დღეს მზის ზენითში ყოფნის შემდეგ ბაირამის პირველი დღის გამთენიის დრომდე არაფატზე გარკვეული დროით დგომა ჰაჯობის ერთერთი ფარზია ამ საკითხთან დაკავშირებით ისლამის სწავლულთა შორის აზრთა სრული თანხვედრაა.

1) არაფატზე დგომის პირობები

აღნიშნული ფარზი რომ შესრულდეს საჭიროა მომლოცველი იყოს იჰრამის ქვეშ და აგრეთვე გათვალისწინებული იქნას საჭირო დრო და ადგილი.

ა) არაფატზე დგომის ადგილი. დღეს, არაფატზე დგომის ადგილი შემოსაზღვრულია და ამ საზღვრებს შიგნით ნებისმიერ ადგილას შეიძლება აღნიშნული რიტუალის შესრულება.

ბ) არაფატზე დგომის დრო -ზილჰიჯჯეს მეცხრე, ანუ ბაირამის წინა დღის შუა დღის შემდეგ ბაირამის პირველი დღის გამთენიომდე დროის მონაკვეთი. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობებს შორის აზრთა შორის სრული თანხვედრაა. მხოლოდ ჰანბელის მიხედვით დგომის დრო იწყება არა შუადღიდან, არამედ დილიდან.

არაფატზე დგომის როგორც რიტუალის შესრულებისთვის განძრახვა აუცილებელი არ არის. დროის ამ მონაკვეთში მორწმუნის იქ ყოფნა ან თუნდაც გავლა საკმარისია.

ჰანეფის, მალიქიის და ჰანბელის მიხედვით მზის ჩასვლამდე არაფატზე დგომა ვაჯიბია, რადგან წმინდა შუამავალი ამგვარად მოქცეულა. ის კი ბრძანებდა, ჰაჯობის მაგალითი ჩემგან აიღეთო. წინალმდეგ შემთხვევაში მლოცველს მსხვერპლის შეწირვა ევალება. ასეთ შემთხვევაში შაფიის მიმდევრებს მსხვერპლის შეწირვა არ ევალებათ, რადგან მათი შეხედულების თანახმად არაფატზე მზის ჩასვლამდე დგომა სუნეთია.

ისლამის სწავლულთა შეხედულებით არაფატზე დგომისას განბანვა, ქააბასკენ შეტრიალება და განზრახვა აუცილებელი არ არის.

2) არაფატზე დგომის სუნეთები

ა) ზილჰიჯჯეს მერვე დღის ღამე მორწმუნემ მინაში უნდა გატაროს და მეორე დღეს მზის ამოსვლის შემდეგ არაფატისკენ გაუდგეს გზას.

ბ) ბაირამის წინა დღეს შუა დღემდე მორწმუნე არაფატში უნდა იყოს და თუ შესაძლებელია სრულად განიბანოს.

გ) შუადღის შემდეგ შუადღის ზამაზმდე ნამირეს მეჩეთში ხუთბე უნდა იქნას წაკითხული.

დ) შუადღის და სამხრობის ლოცვების ერთად ლოცვა.

ე) არაფატზე დგომისას განბანილი და ქააბასკენ მიტრიალებული დგომა.

ვ) არაფატზე დგომის, სამხრობის ლოცვის ლოცვის შემდეგ შესრულება არაფატზე დგომის პროცესში ფეხზე დგომა ჯდომასთან შეარებით, ხოლო ამხედრებული დგომა ფეხზე დგომასთან შედარებით უფრო მადლიანია.

ზ) თუ შესაძლებელია ჯებელურ რაჰმეს გორასთან ახლოს ყოფნა.

თ)ბაირამის წინა დღით მარხვისაგან თავის შეკავება.

ი) დღის განმავლობაში თელბიეს და ლოცვა ვედრების ხშირად წარმოთქმა. საკუთარი თავის მშობლების, შვილების და ყველა

მუსლიმანის შევედრება.

ებუ ჰანიფეს შეხედულების თანახმად ამ დღეს შუადღისა და სამხრობის ლოცვების გაერთიანების ლოცვას ორი პირობა სჭირდება. ა) ბაირამის წინა დღეს იჰრამში შესული არაფატზე ყოფნა. ბ) ნემირეს მეჩეთში ხალხმრავან ჯემათთან ლოცვა. წინაღმდეგ შემთხვევაში ყოველი ლოცვი თავის დროს უნდა შესრულდეს.

დანარჩენი სამი მიმდინარეობის, ები უსუფის და იმამ მუჰამედის აზრით ბაირამის წინა დღეს იჰრამში მყოფ მომლოცველკებს არაფატში შუადღის და სამხრობის ლოცვის გაერთიანებით ლოცვა შეუძლიათ. მნიშვნელობა არ აქვს მემირეს მეჩეთში იქნებიან კარვებში თუ სხვაგან.

შუადღის და სამხრობის ლოცვის გაერთიანება შემდეგნაირად ხდება: სუადღის ლოცვის ეზნის შემდეგ შუადღის ლოცვის წინა სუნეთი სრულდება. შემდეგ ყამეთი და შუადღის ლოცვის ფარზი. შემდეგ ხელახლა ყამეთი და სამხრობი ლოცვის ფარზი სრულდება.

ბ) ტავაფი

ტავაფი რაიმის გარშემო სიარულს ტრიალს ქვია. როგორც რელიგიური ტერმინი ეს არის ქააბას ირგვლივ შვიდჯერ შემოვლა. ტავაფი ჰაჯობის ფარზია. ყრანში ნაბრძანებია:

ثُمَّ لْيَقْضُوا تَفَثَهُمْ وَلْيُوفُوا نُذُورَهُمْ وَلْيَطَّوَّفُوا بِالْبَيْتِ الْعَتِ يقِ

მერე კი დაიცვან თავიანთი წესები, აღასრულონ აღთქმა და შემოუარონ უპირველეს სახლს (ქააბას)!”ჰაჯ 22/29”

ტავაფი ერთგვარი ლოცვია.

როგორც ყველა ღვთისმსახურება ტავაფს განზრახვა სჭირდება. განზრახვის გულში გავლება საკმარისია ცალკე ენით წარმოთქმა კი მუსთეჰაბი.

ტავაფის დაწყების დრო მნისვნელოვანია ხოლო დამთავრების დრო მითითებული არ არის სიცოცხლის ბოლომდე ნებისმიერ

დროს შეიძლება მისი დამთავრება თუმცა ბაირამის დღეების შემდეგისთვის გადადება მსხვერპლის შეწირვას ითვალისწინებს.

ჰანიფის და მალიქის მიხედვით ტავაფი ბაირამის პირველ დღეს გამთენიისას იწყება. ხოლო შაფის და ჰანბელიის მიმდევრები მიჩნევენ რომ ტავაფი ბაირამის წინა დღით შუა ღამისას იწყება. ებუ ჰანიფეს მიხედვით ტავაფის დასრულება ბაირამის მესამე დღეს მზის ჩასვლამდე შეიძლება, მალიქის მიხედვით კი, ტავაფის ზილჰჯჯეს კი ბოლომდე დასრულება ვაჯიბია. თუ საპატიო მიზეზი არ არსებობს ამაზე მეტი დაგვიანება მსხვერპლის შეწირვას განაპირობებს. ები უსუფის, იმამ მუჰამედის, შაფიის და ჰამბელის მიხედვით ტავაფის ბაირამის პირველ სამ დღეში სესრულება ვაჯიბი კიარა სუნეთია. საპატიო მიზეზის გარეშე ამაზე მეტი დაგვიანება მქრუჰია მაგრამ ჯარიმას არ ითვალისწინებს.

ტავაფის ბაირამის დღესვე შესრულება უფრო მეტი მადლია.

ჰანეფის მიხედვით ტავაფის შესრულებისას ნახევარზე მეტი ანუ 4 წრე მნიშვნელოვანია დანარჩენი სამი რომც ვერ შესრულდეს ტავაფი მიღებულია. თუმცა თუ ტავაფი ფარზი ან ვაჯიბია დარჩენილი წრეების შესრულება ვაჯიბია. შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი წრე სასჯელს ითვალისწინებს. დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით ტავაფის შვიდივე წრე ფარზია და რომელიმეს დაკლების შემთხვევაში ტავაფი მიუღებელია.

ტავაფის შესრულებისას ლოცვის მლოცველების წინ გავლა მიღებულია.

ტავაფის შესრულებისას რაიმის ჭამა მექრუჰია, ხოლო წყლის სმა მიღებულია.

გ) ტავაფის მადლი

ყურანის მიხედვით, ჰაჯობაზე და უმრეზე ჩასული მომლოცველები ვალდებულები არიან ქააბას გარშემოუარონ ანუ ტავაფი შეასრულონ. გარდა ამისა წმინდა შუამავალი ბრძანებდა, რომ ტავაფი ერთგვარი ლოცვია. თუმცა ტავაფის დროს ლაპარაკი შეიძლება.

მექას გარეთ მცხოვრებთათვის ნაფილე ტავაფი ლოცვზე უფრო მადლიანია და ნებისმიერ დროს შეიძლება ტავაფის შესრულება, ხოლო მექელებისთვის მექაში ლოცვის ლოცვა ნაფილე ტავაფზე უფრო მეტი მადლიანია.

ჯუბეირ იბნ მუთიმის გადმოცემით წმინდა შუამავალი ბრძანებდა. ”ამ სახლის ტავაფის მსურველს და იქ დღე ღამის ნებისმიერ დროს ლოცვის ლოცვის მსურველს ხელი არ შეუშალოთ.”

XI – ჰაჯის ვაჯიბები

ჰანეფის მიხედვით ჰაჯის შესრულებისას ხუთი ძირითადი ვაჯიბიაა. საი, მუზდელიფში დგომა, სატანის ჩაქოლვა, წვერის მოპარსვა ან თმების შეკრეჭა და გამოსამშვიდებელი ტავაფი. ამათ გარდა არსებობს ათი ვაჯიბი რომლებიც ჰაჯის პირობებს ან ფარზს აგვირგვინებს.

1) საი

საი ლექსიკონში ჩქარა სიარულს სირბილს მომდომებას ნისნავს. როგორც ჰაჯის და უმრესთან დაკავშირებული ტერმინი ეს არის ქააბას აღმოსავლეთით მდებარე საფას და მერვეს გორაკებს შორის მიმოსვლა. ეს მისვლა მიმოსვლა საფას გორაკებიდან უნდა იქნა დაწყებული. ოთხი მისვლით და სამი მოსვლით საი შესრულებულად ითვლება. ამ გორაკებს შორის მანძილი დაახლოებით 350 მეტრია.

საი მხოლოდ და მხოლოდ ჰაჯის შესრულების დროს არის ვაჯიბი. ამიტომ ჰაჯის ან უმრეს შემსრულებელი ტავაფის შემდეგ საის შესრულების განზრახვით საფას გორაკზე უნდა ავიდეს, საიდანაც ქააბა გამოჩნდება. მომლოცველი ქააბასკენ ტრიალდება ხელებს მაღლა წევს და წარმოთქვამს ლოცვებს. შემდეგ კი წავა მერვეს გორაკისკენ. იქაც იმ სიმაღლემდე ავა საიდანაც ქააბა ჩანს იქაც ხელებს ასწევს და წარმოსთქვამს ლოცვებს. იგივენაირად მეორდება შვიდივე მიმოსვლის დროს.

ყურანში ნაბრძანებია:

اِنَّ الصَّفَا وَالْمَرْوَةَ مِنْ شَعَآئِرِ اللّٰهِ فَمَنْ حَجَّ الْبَيْتَ اَوِ اعْتَمَرَ فَلَا جُنَاحَ عَلَيْهِ اَنْ يَطَّوَّفَ بِهِمَا وَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَاِنَّ اللّٰهَ شَاكِرٌ عَلِيْمٌ

უეჭველად, საფა და მერვე ალლაჰის დადგენილი ნიშანთაგანია; და ვინც ჰაჯობა აღასრულოს ამ სახლში, ან უმრა შეასრულოს, ცოდვად არ ჩაეთვლება თუ გარს შემოუვლის ორივეს; და ვინც თავისი სურვილით სიკეთეს იქმს, ალლაჰი, უეჭველად, მადლიერია, ყოვლისშემძლეა!”ბაყარა 2/158”

საი იჰრამში შესვლის შემდეგ უნდა შესრულდეს, რადგან იჰრამში შესვლამდე ჰაჯის და უმრეს არცერთი რიტუალი არ სრულდება.

საი არ არის დამოუკიდებელი ღვთისმსახურება ის ტავაფზეა დამოკიდებული.

ჰანეფის მიხედვით საი შვიდჯერ გადადგილებიდან ოთხი ფარზია ხოლო კი სამი ვაჯიბი. სხვა მიმდინარეობის მიხედვით შვიდივე ფარზია.

საის შესრულებისას რიტუალი საფას გორაკიდან უნდა იქნეს დაწყებული და მერვეს გორაკზე დამთავრებული ყოველი მიმოსვლისას მათ შორის მანძილი მთლიანად უნდა იქნას გავლილი.

2) მუზდელიფში დგომა

მუზდელიფი არაფატსა და მინას შორის ერთ-ერთი ადგილია. მომლოცველის მიერ ბაირამის პირველ დღეს, გამთენიისას მზის ამოსვლამდე მუზდელიფში ერთი წამითაც ყოფნა ვაჯიბი, ხოლო ღამის იქ გატარება - სუნეთი.

ყურანში ნაბრძანებია:

لَيْسَ عَلَيْكُمْ جُنَاحٌ اَنْ تَبْتَغُوا فَضْلًا مِنْ رَبِّكُمْ فَاِذَا اَفَضْتُمْ مِنْ عَرَفَاتٍ فَاذْكُرُوا اللّٰهَ عِنْدَ الْمَشْعَرِ الْحَرَامِ وَاذْكُرُوهُ كَمَا هَدٰيكُمْ وَاِنْ كُنْتُمْ مِنْ قَبْلِه لَمِنَ الضَّالّ ينَ

ცოდვა არ გექნებათ, თუ ეძიებთ სარგებელს თქვენი ღმერთისგან. და როცა დაიძვრებით არაფატიდან , ახსენეთ ალლაჰი მეშღერი ჰარამთან (ქუზაჰის მთასთან). და გაიხსენეთ იგი, როგორ დაგადგინა ჭეშმარიტ გზას, თუმცა კი ადრე გზასამცდარნი იყავით თქვენ.”ბაყარა 2/198”

აღნიშნული რიტუალის დრო ჰანეფის მიხედვით ბაირამის პირველ დღეს გამთენიიდან მზის ამოსვლამდეა. მალიქის მიხედვით ბაირამის წინა საღამოს მზის ჩასვლიდან დილით მზის ამოსვლამდეა. ხოლო შაფის და ჰანბელის მიხედვით შუაღამიდან გამთენიომდე.

აღნიშნულ ღვთისმსახურებას არ სჭირდება არც განზრახვა და არც ცოდნა. მომლოცველის მიერ ნებსით თუ უნებლიედ იქ ყოფნა საკმარისია.

ღამის მუზდელიფეში გატარება, დილის ლოცვის ადრიანად ლოცვა, შემდეგ მზის ამოსვლამდე ლოცვა ვედრების წარმოთქმა, ხოლო მზის ამოსვლამდე მინასკენ გამგზავრება ყველა მიმდინარეობის მიხედვით სუნეთია.

მუზდელიფეში ყოფნის საპატიო მიზეზით უგულელყოფა სასჯელს არ ითვალისწინებს, რადგან წმინდა შუამავალს სუსტი და შეუძლო ადამიანებისათვის ამ რიტუალის შეუსრულებლობის ნებართვა მიუცია. აღნიშნული რიტუალის უმიზეზოდ გამოტოვება მსხვერპლის შეწირვას ითვალისწინებს.

3) მინაში სატანის ჩაქოლვა.

ბირამის დღეებში სატანის ჩაქოლვის რიტუალის შესრულება ვაჯიბია. ქვების სროლის რიტუალი წმინდა აბრამის მისი მეუღლის ჰაჯერის და შვილის ისმაილის მიერ სატანისთვის ქვების სროლასთან სიმბოლურ კავშირშია. მაშინ სატანა ცდილობდა ისმაილის მსხვერპლად შეწირვის აზრი გაეღვივებია.

მომლოცველმა ქვები საკუთარი ხელით და ცალცალკე უნდა ისროლოს. ვისაც ამის ძალა არ შესწევს შეუძლია ქვები ნდობით აღჭურვილ პირს ასროლინოს. ვისაც ლოცვის ფეხზე დგომით შესრულება შეუძლია, აღნიშნული რიტუალის დროს ქვების სროლას სხვას ვერ დავალებს. ისეთ ავადმყოფებს და მოხუცებს რომლებსაც სიარული არ შეუძლიათ ან კიდე ორსულ ქალბატონებს რომლებსაც ნაყოფის დაზიანების ეშინიათ შეუძლიათ ქვები სხვას ასროლიოს.

ქვის სროლის რიტუალის დრო ბაირამის პირველი დღის გამთენიიდან ბაირამის მეოთხე დღის მზის ჩასვლამდე გრძელდება.

ბაირამის პირველ დღეს აქაბეში მომლოცველმა შვიდი ქვა უნდა ისროლოს. ჰანეფის მიხედვით აღნიშნული რიტუალის შესრულების დრო გამთენიიდან მეორე დღის გამთენიამდე. დროის ამ მონაკვეთში მზის ამოსვლიდან შუადღის ლოცვის ლოცვის დრომდე ქვების სროლის რიტუალის შესრულება სუნეთია, შუადღიდან მზის ჩასვლამდე - მუბაჰი, ხოლო დილას მზის ამოსვლამდე ან საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ აღნიშნული რიტუალის შესრულება მექრუჰია. საპატიო მიზეზის მქონედ მზის ამოსვლამდე ან ღამეშიც შეუძლიათ ქვების სროლის რიტუალი შეასრულოთ. გარდა ამისა ღამის საათებში ქვების სროლის რიტუალის მიზანშეუწონობის მიზეზი სიბნელე და აქიდან გამომდინარე რიტუალის შესრულე-

ბის სიძნელე იყო. თუმცა დღეისათვის ხელოვნური განათების გამო აღნიშნული სიძნელე აღარ არსებობს. ამოტომ მოხუცებს და მანდილოსნებს რომელებსაც დღისით აღნიშნული რიტუალის შესრულება გარკვეული მიზეზების გამო უძნელდებათ, შეუძლიათ ეს რიტული ღამის საათებში შეასრულონ.

ბაირამის მეორე და მესამე დღეს მომლოცველმა სამივე ადგილზე შვიდ-შვიდი ქვა უნდა ისროლოს. ამ ორი დღისთვის ქვის სროლის დრო შუადღიდან მეორე დღის გამთენიამდეა. ამ ორივე დღეს შუადღემდე ქვის სროლა მიუღებელია.

ბაირამის მეოთხე დღეს ები უსუფის, იმამ მუჰამმედის და სხვა სამი მიმდინარეობის იმამების შეხედულებების თანახმად მეოთხე დღეს სატანის ჩაქოლვის რიტუალის დრო წინა ორი დღის მსგავსია. ებუ ჰანიფეს აზრით კი მეოთხე დღეს სატანის ჩაქოლვის რიტუალის დრო დილიდანვე იწყება. თუმცა მზის ამოსვლამდე ქვების სროლა მექრუჰია.

მეოთხე დღეს მექადან გამგზავრების მსურველებს შეუძლიათ ქვის სროლის რიტუალი აღარ შეასრულონ.

ბაირამის პირველ დღეს მომლოცველმა სულ შვიდი ქვა უნდა ისროლოს დანარჩენ დღეებში კი 63 (თითოეულ დღეს კი 21). თუ ბოლო დღეს ქვის სროილის რიტუალი არ შეასრულა ეს რიცხვი კი 49 შემცირდება. ყოველი ქვის სროლისას მორწმუნემ უნდ წარმოთქვას შემდეგი სიტყვები: "ბისმილლაჰი ალლაჰუ ექბერ". თუ ქვა შესაბამის ადგილამდე არ მიაღწევს ან გადასცდება მის მაგივრად სხვა ქვა უნდა იქნას ნასროლი.

ქვების სროლის დღეებში აღნიშნული რიტუალის შესრულება ვაჯიბია. გამოტოვების შემთხვევაში მეოთხე დღეს მზის ჩასვლის შემდეგ მიუღებელია.

ებუ ჰანიფეს და იმამ მაალიქის მიხედვით, თუ ქვების სროლის რიტუალი თავის დროზე არ შესრულდა, მაგრამ რიტუალის დროის გასვლამდე ანაზღავრებული იქნა. ჯარიმას მაინც ითვალისწინებს. ები იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით კი ასეთ შემთხვევაში კი ჯარიმა საჭირო არ არის.

შვიდი ქვიდან მთლიანი ან უმეტესობა თუ არ იქნა ნასროლი მლოცველმა ჯარიმის სახით მსხვერპლი უნდა შესწიროს. თუ მლოცველმა შვიდი ქვიდან ერთი, ორი ან სამი არ ისროლა ყოველი გაუსროლელი ქვისთვის მოწყალება უნდა გასცეს.

ქვის სროლის პროცესი ბაირამის მეოთხე დღეს მზის ჩასვლისას მთავრდება.

4) წვერის გაპარსვა ან თმების შეკრეჭვა.

ჰაჯის და უმრეს დასრულების შემდეგ თმების გადაპარსვა ან დამოკლება იჰრამიდან გამოსვლის სიმბოლოა. თუ ეს ქმედება არ იქნა შესრულებული იჰრამიდან გამოსვლა მიუღებელია. იფრად ჰაჯის შემსრულებელი მინაში, ბაირამის პირველ დღეს შვიდი ქვის სროლის შემდეგ, ხოლო თემეთუ და ქირან ჰაჯის შემსრულებლები შვიდი ქვის სროლისა და შემდეგ მადლიერების მსხვერპლის შეწირვის შემდეგ მექას ჰარემში ბაირამის პირველი სამი დღიდან რომელიმე დღეს თმების ერთ მეოთხედს იჭრიან. ამ რიტუალის შესრულება ვაჯიბია. მთლიანი თმის მოპარსვა ან დამოკლება კი სუნეთია.

შააფის მიხედვით ამ ვაჯობის შესასრულებლად სამი ღერი თმის მოჭრა შესაძლებელია. მალიქი და ჰანბელი მიჩნევდნენ რომ მთლიანი თმის მოპარსვა ან დამოკლება ვაჯიბია.

წმინდა შუამავალს თავისი ჰაჯის შესრულების დროს, ბაირამის პირველ დღეს მინაში შვიდი ქვა უსროლია, შემდეგ მსხვერპლი შეუწირავს, მოპარსვის რიტუალის შემდეგ იმავე დღეს მექაში ტავაფი შეუსრულებია და ისევ მინაში დაბრუნებულა.

ებუ ჰანიფეს მიხედვით ჩამოთვლილთაგან პირველი სამის თანმიმდევრობით შესრულება ვაჯიბია. წინაღმდეგ შემთხვევაში ჯარიმის სახით მსხვერპლის შეწირვა საჭირო. ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით კი თანმიმდევრობის დაცვა სუნეთია, თანმიმდევროის დაუცველობა მექრუფია თუმცა ჯარიმის სახით მსხვერპლის შეწირვას არ ითვალისწინებს.

ებუ ჰურაირას მიერ გადმოცემული ჰადისის თანახმად თმების მოპარსვა უფრო მადლიანია ვიდრე დამოკლება.

ყურანში ნაბრძანებია:

لَقَدْ صَدَقَ اللّٰهُ رَسُولَهُ الرُّءْيَا بِالْحَقِّ لَتَدْخُلُنَّ الْمَسْجِدَ الْحَرَامَ اِنْ شَاءَ اللّٰهُ اٰمِنِينَ مُحَلِّقِينَ رُؤُسَكُمْ وَمُقَصِّرِينَ لَا تَخَافُونَ فَعَلِمَ مَا لَمْ تَعْلَمُوا فَجَعَلَ مِنْ دُونِ ذٰلِكَ فَتْحًا قَرِيبًا

ვფიცავ, ჭეშმარიტ ჰყო ალლაჰმა თავისი შუამავალის სიზმარი. უთუოდ, შეხვალ თქვენ მეჯიდი ჰარამში, თუკი ინებებს ალლაჰი, უშიშრად და მშვიდობით. თავ გადაპარსულნი და გაკრეჭილნი. მაგრამ უწყოდა იმას, რაც არ იცოდით თქვენ. და მოგმადლათ,

ამის გარდა (უწინ) ახლო გამარჯვება.”ფეთიჰ 48/27”

5) გამოსამშვიდობებელი ტავაფი.

ჰარემის ტეროტორიის გარეთ მცხოვრები მომლოცველები მექადამ გამგზავრებამდე ვალდებულნი არიან ქააბას ტავაფი შეასრულონ. მათთვის ეს ვაჯიბია.

ხალიფა ომარის გადმოცემით მომლოცველები ვალდებულნი არიან მექადან გამგზავრებამდე ქააბას ტავაფი სეასრულონ. ამ რიტუალს მხოლოდ ის ქალბატონები არ ასრულებენ ვისაც მენსტრუაციის პერიოდი აქვთ.

6) იჰრამის მიქათად წოდებული ადგილებიდან დაწყება.

ჰარემის ტერიტორიის გარეთ მცხოვრები ადამიანები ვალდებულნი არიან მიქათად წოდებული ადგილები იჰრამის წესების დაცვით გაიარონ. აღნიშნულ საზღვრებს ვინც იჰრამის გარესე გასცდება ვალდებულია უკან დაბრუნდეს და იჰრამის წესებს დაქვემდებაროს. წინაღმდეგ შემთხვევაში ვალდებულია მსხვერპლი შეწიროს.

ჰადისში მითითებულია ხუთი ადგილი, რომლებიც მიქათად არის წოდებული. ესენია: მედინელებისთვის ზულ-ჰულეიფე, შამელებისთვის ჯუჰფე, ნეჯიდელებისთვის ქარნულ მენაზილი და იემენელებისთვი იელემნელი. სხვა ქვეყნებიდან მოსული მომლოცველებისისთვის მიქათად ის ადგილი ჩაითვლება ჩამოთვლილთაგან რომლის გადაკვეთა მათ მოუწევთ. მიქათის საზღვრებს შიგნით მცხოვრებლებს კი შეუძლიათ საცხოვრებელი ადგილიდანვე იჰრამში შევიდნენ. სესაბამისად მექელები მექაშივე შედიან იჰრამშ.

7) იჰრამის მიხედვით აკრძალული ქმედებებისკენ თავის შეკავება.

ჰაჯის და უმრეს შემსრულებელი იჰრამში შესვლის თანავე ვალდებულია იჰრამით გათვალისწინებულ წესებს დაემორჩილოს. წინაღმდეგ შემთხვევაში მსხვერპლის შეწირვით, მოწყალების გაცემით ან მარხვით დაჯარიმდება.

8) არაფატზე შუადღიდან მზის ჩასვლამდე დგომა.

9) ტავაფის ბაირამის პირველ ან მეორე დღეს შესრულება.

10) ტავაფის შესრულებისას საჭიროა მცირე განბანვა და სხეულის დასაფარი ადგილების დაფარვა.

11) ტავაფის შესრულებისას მომლოცველი ქააბადან მარჯვნივ უნდა იმყოფებოდეს და ისე შემოუაროს ქააბას.

12) მომლოცველმა ტავაფის შესრულება ჰაჯერულ ესვედიდან ან მის გასწვრივ რომელიმე ადგილიდან უნდა დაიწყოს.

13) ტავაფის სესრულებისას მომლოცველმა ჰათიმსაც უნდა შემოუაროს.

14) ტავაფის დროს ოთხჯერ გარშემოვლა ფარზია ხოლო მისი შვიდამდე შესრულება ვაჯიბია.

15) ყოველი გარშემოვლის შემდეგ ორი მუხლის ლოცვის ლოცვა.

ტავაფის შესრულებისას ყოველი გარსემოვლის შემდეგ ორი მუხლი ლოცვის ლოცვა ვაჯიბია. თუ აკრძალული დრო არ ემთხვევა ლოცვი ყოველი გარშემოვლის დასრულებისთანავე უნდა შესრულდეს. ეს მუსთეჰაბია. თუმცა ლოცვი მოგვიანებითაც რომ შესრულდეს მიღებულია, რადგან ის როგორც ვითრის ლოცვი დამოუკიდებელი ვაჯიბია.

ლოცვის გარეშე ზედიზედ გარშემოვლა მექრუჰია.

როგორც იჰრმის ლოცვის დროს აღნიშნული ლოცვის ლოცვისას პირველ მუხლზე ქაფირუნის, ხოლო მეორე მუხლზე იჰლასის სურას წაკითხვა მუსთეჰაბია.

ჰანეფის მიხედვით მზის ამოსვლისას, მზის ზენითში ყოფნისას, მზის ჩასვლისას, დილის ლოცვის ფარზის და სამხრობის ლოცვის ფარზის შესრულების შემდეგ ტავაფის ლოცვის ლოცვა მიუღებელია. ის მოგვიანებით უნდა შესრულდეს.

ჰაჯისვაჯიბებიდან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში ჰაჯი როგოირც ღვთისმსახურება მაინც მიღებულია. თუმცა ჯარიმის სახით მსხვერპლის შეწირვაა საჭირო. შეწირული მსხვერპლის ხორი მექაში ღარიბებს უნდა დაურიგდეს.ამასთანავე, გამოტოვებული ვაჯიბის ხელახლა შესრულების შემთხვევაში ჯარიმა უქმდება.

XII - ჰაჯის სუნეთები

1) იჰრამში შესვლისას, სისუფთავის მიზნით დიდი და მცირე განბანვის შესრულება.

ცნობილია, რომ წმინდა შუამავალმა ჰაჯობის დროს ზულ-ჰულეიფეში იჰრამში შესვლისას მთელი სხეული დაიბანა. რადგანაც ამ განბანვის მიზანი სისუფთავეა, ჰაჯის ან უმრესთვის იჰრამში შემსვლელ იმ ქალბატონებსაც შეუძლიათ განბანვა, რომლებსაც მენსტრუაციის, ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდი აქვთ. იბნი აბბასის მიერ გადმოცემიული ჰადისის თანახმად აღნიშნულ პერიოდში მყოფ მანდილოსნებს შეუძლიათ განიბანონ, იჰრამში შევიდნენ და ჰაჯის ყველა რიტუალი შეასრულონ, გარდა ქააბას გარშემოვლისა.

2) ორი მუხლი იჰრამის ლოცვის ლოცვა.

ჰადისის მიხედვით, წმინდა შუამავალმა ზულ-ჰულეიფეში ჯერ ორი მუხლი ლოცვი ილოცა და შემდეგ იჰრამში შევიდა. აღნიშნული ლოცვის პირველ მუხლზე ქაფირუნის ხოლო მეორე მუხლზე იჰლასის სურას წაკითხვა სუნნეთია.

ჰანეფის მიხედვით თუ იჰრამის ლოცვი რომელიმე ფარზ ლოცვ დაემთხვა ფარზი ლოცვის ლოცვა საკმარისია.

3) იჰრამისთვის თეთრი ფერის ახალი შემოსახვევის და მხრებზე მოსასხამის მხრებზე შემოხვევა.

მამაკაცების მიერ მთელი ტანსაცმილის გახდა და ზევით და ქვევით ორი ნაჭრის შემოხვევა სუნნეთია. ეს მატერია თეთრი, ახალი ან გარეცხილი რომ იყოს მუსთეჰაბია.

მამაკაცები ქუდის ან რაიმე თავსაფრის გარეშე და ფეხშიშველა უნდა იყვნენ. თუმცა შეუძლიათ ჩუსტები ჩაიცვათ.

რაც შეეხებათ მანდილოსნებს ტანსაცმელს და თავსაფარს არ იხიდან მხოლოდ სახეს ღიად იტოვებენ და თელბიეს წარმოთქმისას ხმას არ უმაღლებენ.

4) იჰრამში შესვლამდე ვარდის წყლის მსგავსი სურნელების ბკურება.

ჰადისით ცნობილია, რომ წმინდა შუამავალი იჰრამში შესლამდე სასიამოვნო სურნლების ნელსაცხებელს ისვამდა. გამომდინარე აქედან სურნელება მომლოცველს იჰრამში შესვლის შემდეგაც რომ გაჰყვეს ცოდვა არ არის მაგრამ იჰრამში ყოფნის დროს სუნამოს გამოყენება უფრო მეტიც სურნელოვანი საპონის გამოყენება მიუღებელია.

5) იჰრამში შესვლის შემდეგ ყოველი გამთენიისას, ყოველი ლოცვის ლოცვისას, ყოველ აღართზე ასვლისას და ჩასვლისას, ადამიანების ყოველ ჯგუფთან შეხვედრისას საშუალო ხმით სამჯერ თელბიეს წარმოთქმა.

მიქათად წოდებულ ადგილზე, იჰრამში შესვლის განზრახვით პირველი თელბიეს წარმოთქმისთანავე იჰრამის პროცესი დაწყებულად ითვლება. ამის შემდეგ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების დროს თელბიეს წარმოთქმა სუნნეთია. თელბიეს წარმოთქმისას მომლოცველმა დროდარო ხმას უნდა წამოუწიოს.

მალიქის მიმდინარეობის გარდა უმრავლესობის მიხედვით თელბიეს წარმოთქმა ბაირამის პირველ დღეს აქაბეში პირველი ქვის სროლისთანავე უნდა შეწყდეს.

6) თელბიეს შემდეგ წმინდა შუამავალის ბევრჯერ ხსენება და სალათუ სალამის წარმოთქმა.

7) სალათუ სალამის შემდეგ გამჩენის წინაშე ლოცვა ვედრების წაკითხვა.

8) მექაში შესვლის წინ განბანვა და დღისით შესვლა. ქააბას დანახვისას ლოცვა ვედრების წაკითხვა.

9) ქუდუმის ტავაფის შესრულება.

10) რემელ

ტავაფის შესრულებისას მამაკაცების მიერ მოკლე ნაბიჯებით სირბილი. მანდილოსნები რემელს არ ასრულებენ. გამოსამშვიდობებელი ტავაფის დროს რემელი არ სრულდება.

11) იზდიბა. რემელის შესრულების დროს მამაკაცების მიერ ზედა მოსასხამის ისეთნაირად შემოხვევა, რომ მარჯვენა მხარი და მკლავი შიშველი იყოს.

12) ჰერველე. მამაკაცების მიერ საფას და მერვეს გორაკებს მიმოსვლის რიტუალის შესრულებისას ორ მწვანე ბოძს შორის სირბილით გავლა.

13) ჰაჯის პროცესში ბევრი ნაფილე ტავაფის შესრულება.

14) ზილჰიჯჯეს მთვარის მეშვიდე დღეს შუა დღის ლოცვის შემდეგ ჰუთბეს წაკითხვა მექაში და ჰაჯის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

15) ზილჰიჯჯეს მთვარის მერვე დღეს მზის ამოსვლის შემდეგ მინაში წასვლა და ღამის იქ გატარება.

16) ზილჰიჯჯეს მთვარის მეცხრე დღეს მინადან არაფატზე ასვალ.

17) არაფატზე, ჰაჯის წინამძღოლის მიერ შუადღის შემდეგ ორი ჰუთბეს წაჯითხვა და ამის შემდეგ შუადღის და სამხრობის ლოცვის ერთად ლოცვა.

18) ბაირამის პირველ დღეს ჰუთბეს წაკითხვა, რომლის დროსაც შესასრულებელი ღვთისმასხურების შესახებ ინფორმაცია ხალხს მიეწოდება.

19) არაფატზე და მუზდელიფში ნალოცი ლოცვების დროს საკუთარი თავის, მშობლების და სხვა მორწმუნეთათვის ლოცვა ვედრების წაკითხვა.

20) მზის ჩასვლის შემდეგ არაფატოდან ნელნელა ჩამოსვლა და მუზდელიფეში მიღწევისას ქუზაჰის გორაკის მახლობლად დაბინავება.

21) ბაირამის ღამეს მუზდელიფეში დარჩენა, ბაირამის დილას მინაში წასვლა და ბაირამის დღეების იქ გატარება.

22) მინაში ქვების სროლის რიტუალის შესრულებისას მინა მომლოცველის მარჯვნი ხოლო მექა მარცხვნივ უნდა იყოს. პირველ და საშვალო ჯემრეს მომლოცველმა ფეხზე დგომით უნდა ესროლოს ქვები, ხოლო მესამე დიდ, აქაბეს ჯემრეს მორწმუნემ ამხედრებულ მდგომარეობაში უნდა ესროლოს ქვები. დღეისათვის აქაბეს

ჯემრეც ფეხზე მდგარი ესვრიან ქვებს.

23) ქვების სროლის რიტუალის პირვლ დღეს მზის ამოსვლიდან შუადღემდე, ხოლო დანარჩენ დღეებში შუადღიდან მზის ჩასვლამდე შესრულება.

24) თუ მომლოცველს მინადან მექაში წასვლა ეჩქარება ბაირამის მესამე დღეს მზის ჩასვლამდე მინადან წასვლა.

25) მინადან მექასკენ მიმავალი მლოცველის მიერ მუჰასაფში ცოტახნით გაჩერება.

26) მექაში გამოსამშვიდობებელი ტავაფის შესრულების და ტავაფის ლოცვის შემდეგ ქააბაზე შეხედვა და ფეხზე მდგომი ზემზემის წყლის ბლომად სმა, თან სხეულზე დასხმა.

27) ჰაჯერულ ესვედის და ქააბას კარებს შორის მდებარე მულთეზემზე მკერდთ და სახით შეხება.

28) ქააბას გადასაფარებელზე შეხება და ლოცვა ვედრების წარმოთქმა. ხოლო თუ ქააბაშეი შესვლა შესაძლეელი გახა ორი მუხლი ლოცვის ლოცვა.

29) მედინაში წასვლა და წმინადა შუამავალის საფლავის მონახულება.

ჰაჯის სუნეთებს ვინც გამოტოვებს მართალია მადლის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავს მაგრამ ჯარიმის სახით მსხვერპლის სეწირვა არ ევალება.

XIII - ჰაჯის თავდებობა

ა) ღვთისმსახურების დროს თავდებობა

ღვთისმასხურება, სხვის მაგივრად შესრულება არ შესრულების თვალსაზრისით სამ ნაწილად იყოფა.

ა) ქონებით შესრულებელი ღვთისმსახურება. ზექათის, დანაშაულის გამოსასყიდის და მსხვერპლის შეწირვის და ხორცის დარიგების მსგავსი ქონებრივი ღვთისმსახურების შესრულების სხვა პიროვნებაზე დავალება და შესრულებინება შესაძლებელი და

მისაღებია. საამისოდ საპატიო მიზეზის არსებობა აუცილებელი არ არის.

ბ) სხეულით შესასრულებელი ღვთისმსახურება. ლოცვის ლოცვა, მარხვა და მსგავსი ღვთისმსახურება თავად პიროვნებამ უნდა შეასრულოს, რადგან მსგავსი ღვთისმსახურების მიზანის ადამიანის სულიერად გაწრთვნაა, ამიტომ მსგავსი ღვთისმსახურების სხვის მაგივრად სესრულება ან დავალება მიუღებელია.

გ) ერთდროულად სხეულით და ქონებით შესასრულებელი ღვთისმსახურება. ჰაჯი სრულდება როგორც სხეულით ისე ქონბით. მალიიქის გარდა ისლამის სამართალმცოდნეთა უმრავლესობა მიჩნევს, რომ უძლურების და საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში ჰაჯის შესასრულებლად თავდების გაგზავნა მისაღებია. მალიიქის მიმდევრები კი მიჩნევენ, რომ ცოცხლი ადამიანის მაგივრად სხვა ადამიანის მიერ ჰაჯის შესრულება მიუღებელია.

პიროვნება რომლისთვისაც ჰაჯის შესრულება ფარზი იყო, მაგრამ არ შეასრულა და არც მის მაგივრად სხვა გააგზავნა, გარდაცვალების შემდეგ მის ადგილზე ჰაჯის შესრულების მიზნით სხვა უნდა გაიგზავნოს და ამის სესახებ გარდაცვლილის მიერ დატოვებული ანდერძი უნდა არსებობდეს. თუ გარდაცვლილის დანატოვარი ქონების ერთი მესამედი ჰაჯის ხარჯებისთვის საკმარისია მემკვიდრეები ვალდებულნი არიან გარდაცვლილის მაგივრად სხვა გააგზავნონ. წინაღმდეგ შემთხვევაში ისინი ღმერთის წინაშე პასუხისმგებელნი იქნებიან. თუ გარდაცვლილ ადამიანს მსგავსი ანდერძი არ აქვს დატოვებული, ან ანდერძი არსებობს მაგრამ დანატოვარი ქონების ერთი მესამედი ჰაჯის შესრულებისთვის საკმარისი არ არის, მემკვიდრეები ვალდებულნი არ არიან ჰაჯის შესასრულებლად მაგიერი გაგზავნონ. ამასთანავე, თუ ანდერძი არ არსებობს, ან არსებობს და მისი ერთი მესამედი ჰაჯის ხარჯებს არ ჰყოფნის და გარდაცვლილის შვილები თავიანთი ფულით ჰაჯს შეასრულებენ ან სხვას გაგზავნიან გარდაცვლილისთვის ესეც საკმარისი იქნება.

შაფის მიხედვით, თუ პიროვნებისთვის ჰაჯის შესრულება ფარზი იყო და მის შეუსრულებლად გარდაიცვალა, თუნდაც ამ საკითხთან დაკავშირებით ანდერძი არ ქონდეს დატოვებული და არც მისი დანატოვარი ქონების ერთი მესამედი ჰყოფნიდეს ჰაჯის ხარჯებს, მემკვიდერეები ვალდებულნი არიან დანატოვარი ქონების მთლიანად დახარჯვაც რომ გახდეს საჭირო, ჰაჯი შეასრულონ, ან სხვა გააგზავნონ.

ვთქვათ პიროვნებისთვის ჰაჯის შესრულება სავალდებულო გახდა და იმავე წელს გაემგზავრა ჰაჯის შესასრულებლად, მაგრამ გზაში გარდაიცვალა, ამ შემთხვევაში მის მაგივრად ვინმეს გაგზავნის შესახებ ანდერძის დატოვება საჭირო არ არის. მაგრამ ჰაჯის ვალდებულების წარმოშობის პირველივე წელს არა და შემდეგ რომელიმე წელსაა წასული, მაშინ შესაბამისი ანდერძი უნდა იქნას დატოვებული, რომლის თანახმადაც აღნიშნული ჰაჯი სხვა პიროვნებამ უნდა შეასრულოს. ამ შემთხვევაში, ებუ ჰანიფეს მიხედვით სხვა პიროვნება მისი სამშობლოდან უნდა გაიგზავნოს. ებუ იუსფის და იმამ მუჰამმედის აზრით კი, ამ შემთხვევაში სხვა პიროვნება მისი სიკვდილის ადგილიდან უნდა გაიგზავნოს.

ისლამის სწაულულთა უმრავლესობის აზრით, პიროვნებას შეუძლია ლოცვი, მარხვა, მოწყალება და მსგავსი ღვთისმსახურება და აგრეთვე წაკითხული ყურანის მადლი სხვა პიროვნებას აჩუქოს. წმ. შუამავალს ორი მსხვერპლი შეუწირავს ერთი თავისთვის და ერთიც მათვის უჩუქებია ვინც ღმერთის ერთადერთობა აღიარა.

ერთხელ ჰასმის ტომიდან წმინდა შუამავალთან ერთი ქალი მისულა და უკითხავს, ქონდა თუ არა უფლება მამის მაგივრად ჰაჯი შეესრულებინა, რადგან მამამისი იმდენად მოხუცი იყო მგზავრობას ვერ შეძლებდა. წმინდა შუამავალს მისთვის ნებართვა მიუცია.

ჰანეფის მიხედვით, თუ პიროვნებას საპატიო მიზეზი გაჩნია და არ შეუძლია ჰაჯის შესრულება თავის მაგივრად შეუძლია სხვა გააგზავნოს, თუმცა ასეთ შემთხვევაში ჰაჯის შესრულების შეუძლებლობის მიზეზი სიკვდილამდე უნდა გრძელდებოდეს.

ბ) ფარზი ჰაჯის თავდებობის პირობები

1) პიროვნებას, რომლისთვისაც ჰაჯის შესრულება ფარზია, ჰაჯის შესასრულებლად სხვისი გაგზავნისათვის უნდა ჰქონდეს ისეთი საპატიო მიზეზი, რომელიც მუდმივად გაგრძელდება. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს სიკვდილი, მოძრაობის უნარშეუზღუდაობა, უკურნებელი სენით დავადება, მანდილოსნისთვის სანდო და შესაფერისი თანამგზავრის არარსებობა და სხვა. გამომდინარე აქიდან დროებითი ავადმყოფობის, ციხეში ჩავარდნის და მსგავის მიზეზების გამო სხვა პიროვნების ჰაჯის შესასრულებლად გაგზავნა მიუღებელია. გაგზავნის შემთხვევაში შესრულებული ჰაჯი ნაფილე იქნება.

2) პიროვნებისთვის ჰაჯის შესრულება ფარზი უნდა იყოს. თუ ფარზი არ არის მის მაგივრად შესრულებული ჰაჯი ნაფილე ჰაჯად ჩაითვლება.

3) გასაგზავანი პიროვნება მუსლიმი, გონება სრული, ზრდასრული ან მოზრდილი ბავშვი მაინც უნდა იყოს.სხვის მაგივრად ჰაჯის შესრულება მანდილოსნებსაც შეუძლიათ.

4) პიროვნება, რომელიც სხვის მაგივრად ასრულებს ჰაჯს იჰრამში სესვლისას მხოლოდ გამგზავნის სახელით უნდა შევიდეს. თუ ეს პიროვნება საკუთარი ან რამოდენიმე პიროვნების სახელით შევა იჰრამში ჰაჯის სესრულება მხოლოდ მას ჩაეთვლება და აღებული ფული უკან უნდა დააბრუნოს.

5) სხვის მაგივრად ჰაჯის შესრულებისათვის გასამრჯელო აუცილებელი პირობა არ არის, რადგან ჰაჯი ერთ ერთი ღვთისმსახურება. ღვთისმსახურება კი არა ფულის, არამედ ღვთის გულისათვის სრულდება.

სხვის მაგივრად ჰაჯის შესასრულებლად წასული პიროვნება ვალდებულია ფული არ გაფლანგოს, მაგრამ არც ზედმეტად იძუნწოს, მორჩენილი ფული უკან უნდა დააბრუნოს, მაგრამ თუ ამ ფულს მას აჩუქებენ ამაში მიუღებელი არაფერი არ არის.

6) სხვის მაგივრად ჰაჯად წასული პიროვნების ძირითადი ხარჯები გამგზავნმა უნდა გაიღოს. სხვისი სახელით და საკუთარი ფულით ჰაჯათ წსულ პიროვნებას ჰაჯის ღვთისმსახურება თავად ეთველება შესრულებულად. მას შეუძლია მადლი აჩუქოს მაგრამ იმ პიროვნებას ვისი სახელითაც მან ჰაჯი შეასრულა ჰაჯის ვალდებულება არ მოეხსენაბ. შაფის მიხედვით კი ასეთ შემთხვევაში ჰაჯის ვალდებულება იხსნება.

7) პიროვნებამ რომელსაც სურს თავის მაგივრად ჰაჯის შესასრულებლად სხვა გააგზავნოს ამის შესახებ თავად უნდა სთხოვოს მას. ნებართვის ან ანდერძის გარეშე სხვის მაგივრად ჰაჯის შესრულების იმ პიროვნების ჰაჯის ვალდებულება არ მოიხსნება. მემკვიდრის გარდა სხვის გარდა ჰაჯის უნებართოდ ჰაჯის შესრულება არ შეუძლიათ.

8) სხვის მაგივრად ჰაჯად წასული პიროვნება ვალდებულია ჰაჯი თავად შეასრულოს, მაგრამ თუ რაიმე პრობლემა შეექმნა შეუძლია ეს უფლება სხვას გადაბაროს.

9) სხვის მაგივრად ჰაჯათ წასული პიროვნება ვალდებულია ჰაჯობის ის სახეობა შეასრულოს, რომელიც მის გამგზავნს სურს. თუ თავისუფალი არჩევანის უფლება მისცეს, მას შეუძლია აირჩიოს.

10) თუ გარდაცვლილის ანდერძში მითითებულია თანხა და ადგილი თუ საიდან უნდა გააგზავნონ პიროვნება საჭიროა ანდერძის პირობების გათვალიწინება. თუ ნაანდერძევი ფული ან დანატოვარი ქონების ერთი მესამედი საკმარისია პიროვნება მისი სამშობლოდან უნდა იქნას გაგზავნილი. თუ საკმარისი ფული არ არის, საიდანაც ეყოფა პიროვნება იქედან უნდა გაიგზავნოს.

11) სხვის მაგივრად ჰაჯად წასული პიროვნება ვალდებულია ჰაჯისთვის აუცილებელი ყველა საჭირო რიტუალი მოილოცოს. ამის შემდეგ შეუძლია საკუთარი სახელით შეასრულოს ჰაჯი.

12) სხვის მაგივრად ჰაჯად წასულ პიროვნებას, თუ ჰაჯი მოეშალა ფული გამგზავნს უნდა დაუბრუნოს, ხოლო თავად ჰაჯის ხელმეორედ ანაზღაურება ევალება.

თუ პიროვნებას თავისი ჰაჯი არ შეუსრულებია, სხვის მაგივრად ჰაჯის შესასრულებლად წასვლა შეუძლია, მაგრამ სხვის მაგივრად ისეთი პიროვნების წასვლა, რომელსაც აღნიშნული ღვთისმსახურება შესრულებული აქვს და ჰაჯის რიტუალები იცის უფრო მიზანშეწონილია.

შაფიის და ჰანბელის მიხედვით ვისაც თავისი ფარზი ჰაჯი არ აქვს შესრულებული უფლება არ აქვს აღნიშნული ღვთისმსახურება სხვის მაგივრად შეასრულოს.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობები ჰანეფის მიხედვით ფარზ და ვაჯიბ ჰაჯს ეხება.

XIV-იჰრამით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოწვეული სასჯელი

ჰაჯის და უმრეს შესრულების პროცესში ვაჯიბი რიტუალებიდან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში ჯარიმის სახით მსხვერპლის შეწირვაა საჭირო. თუ ვაჯობი საპატიო მიზეზის გამო იქნა გამოტოვებული, ან ხელახლა თავის წესით და რიგით შესრულდა ჯარიმა უქმდება. ჰანეფის მიხედვით, ქირანი ჰაჯის შესრულებისას იჰრამით გათვალისწინებული აკრძალვებიდან

რომელიმეს უგულებელყოფის შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება, რადგან ირღვევა როგორც ჰაჯის ასევე უმრეს წესები. ისეთი აკრძალვის უგულებელყოფა, რომელიც ხოლოდ ჰაჯს ან მხოლოდ უმრეს შეეხება, შესაბამისად ერთ ჯარიმას განაპირობებს. დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით იჰრამით გათვალისწინებული აკრძალულებიდან რომელიმეს უგულებელყოფის შემთხვევაში მხოლოდ ერთი ჯარიმა საკმარის.

ა) იჰრამით გათვალისწინებული აკრძალულებიდან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში შესასრულებელი ჯარიმა და გამოსასყიდი

ჰაჯის შესრულებისას ზოგიერთი აკრძალულის გაუთვალისწინებლობა ჰაჯის, როგორც ღვთისმსახურების გაუქმებას განაპირობებს. ხოლო ზოგიერთი დანაშაული თავისი სიმძიმის მიხედვით მსხვერპლის შეწირვას ან მოწყალების გაღებას საჭიროებს.

1) დანაშავულები რომლებიც ჰაიჯის ან უმრეს ხელახლად შესრულებას განაპირობებს.

ა) ჰაჯის შესრულების მიზნით იჰრამში მყოფი პიროვნება არაფატზე დგომის რიტუალის შესრულებამდე თუ სქესობრივ კავშირს დაამყარებს ჰაჯი უქმდება. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობებს შორის სრული აზრთა თანხვედრაა. ასეთ შემთხვევაში პიროვნება ვალდებულია თხა ან ცხვარი მსხვერპლად შეწიროს, იჰრამიდან გამოვიდეს და შეწყვეტილი ჰაჯი შემდგომ წლებში ანაზღაუროს.

ჰაჯის შესრულებისას არაფატზე ყოფნის შემდეგ, სანამ გაპარსვის და იჰრამიდან გამოსცლის რიტუალი არ არის შესრულებული სქესობრივი კავშირის დამყარება ჰაჯობას არ აუქმებს მაგრამ ჯარიმის სახით ძროხა ან აქლემი უნდა იქნას შეწირული. ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით ჰაჯი, როგორც ღვთისმსახურება ამ შემთხვევაშიც უქმდება.

ბ) უმრესთვის იჰრამში შესვლის შემდეგ უმრეს ტავაფის დროს მინიმუმ ოთხი გარშემოვლის შესრულებამდე სქესობრივი კავშირის დამყარება უმრეს შლის. მომლოცველმა მოშლილი უმრე მაინც უნდა დაასრულოს და იჰრამიდან გამოსვლის შემდეგ წვრილფეხა მსხვერპლი შეწიროს. ბუნებრივია შეწყვეტილ უმრეს ხელახლა იჰრამი და ანაზღაურება სჭირდება.

2) დანაშაული, რომელიც აქლემის, ან ძროხის მსხვერპლად შეწირვას განაპირობებს.

ა- არაფატზე ყოფნის შემდეგ, მაგრამ იჰრამიდან გამოსვლამდე სქესობრივი კავშირის დამყარება.

ბ- ქააბას ტავაფის ჯუნუბ (სქესობრივი კავშირის შემდეგი მდგომარეობა სრულ განბანვამდე) მდგომარეობაში შესრულება. სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იგივე ეხებათ მანდილოსნებს, რომლებიც აღნიშნულ რიტუალს მენსტრუაციის , ან მელოგინეობის (მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდი) დროს შეასრულებენ. სწავლულთა უმცირესობის აზრით კი , ასეთ შემთხვევაში მანდილოსნებს ჯარიმა არ ეკუთვნით, რადგან მენსტრუაცია და ორსულობის შემდგომი სისხლდენა მათ ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.

თუ მორწმუნე ტავაფს განბანილ მდგომარეობაში ხელახლა შეასრულებს ჯარიმა უქმდება.

3- დანაშაული, რომლის ჩადენის შემთხვევაში ცხვრის, ან თხის შეწირვაა საჭირო.

ამგვარი დანაშაული თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა.

ა- ჰაჯის და უმრეს ვაჯიბებთან დაკავშირებული გადაცდომები.

1- მიქათად წოდებული ადგილის იჰრამის გარეშე გავლა. უმრეს და ქუდუმის ტავაფის მსგავსი რიტუალების შესრულებამდე უკან დაბრუნების და იჰრამში შესვლის შემთხვევაში ჯარიმა უქმდება.

2- საის (საფას და მერვეს გორაკებს შორის 7 -ჯერ მიმოსვლა) მთლიანად, ან მინიმუმ 4 -ჯერ გადაადგილების გამოტოვება, ან საპატიო მიზეზის გარეშე ქვეითად სიარულისგან თავის არიდება.

3- მუზდელიფეში ყოფნის რიტუალისგან საპატიო მიზეზის გარეშე თავის არიდება.

4- სატანის ჩაქოლვის რიტუალის შეუსრულებლობა, ან ერთ დღეში სავალდებულო ქვების გასროლის რაოდენობის ნახევაზე მეტის უგულებელყოფა. ამ შემტხვევაში თუ ქვების ნახევარზე მეტი გასრილილია, დარჩენილი ყოველი ქვისთვის თითო მოწყალება უნდა გაიცეს.

5- ზიარეთის, ან უმრეს ტავაფის შესრულებისას ბოლო სამი, ან მხოლოდ ერთი წრის გამოტოვება.

6- მექას გარედან მოსული მომლოცველების მიერ გამოსამშვიდობებელი ტავაფის მთლიანად, ან მინიმუმ ოთხი წრის შეუსრულებლობა.

7- ნებისმიერი ტავაფის შესრულებისას სხეულის დასაფარი ადგილების დაფარვის გარეშე შესრულება.

8- ბაირამის წინა დღეს არაფატიდან მზის ჩასვლამდე წასვლა.

9- ებუ ჰანიფეს მიხედვით რიტუალების შესრულების თანმიმდევრობის დაცუცველობაც იგივე ჯარიმას ითვალისწინებს. თუმცა ებუ იუსუფი, იმამი მუჰამმედი და სხვა მიმდინარეობების იმამები მიიჩნევდნენ, რომ ეს სუნნეთია და მისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ჯარიმა სავალდებულო არ არის.

ბ) იჰრამის აკრძალულებთან დაკავშირებული დანაშაულები

1- მამაკაცების მიერ მთელი დღის, ან ღამის განმავლობაში ტანსაცმლისა და შიგნითა საცვლების ჩაცმა, ან სახისა და თავის დაფარვა. ერთი დღისა და ღამეზე ნაკლები დროით ჩაცმა მხოლოდ მოწყალების გაცემას ითვალისწინებს.

შაფიის და ჰანბეის მიხედვით ტანსაცმლის ჩაცმის შემტხვევაში გარკვეული დროის გასვლა აუცილებელი არაა. მომლოცველმა ტანსაცმლის ჩაცმისთანავე ჯარიმა უნდა გადაიხადოს. მალიქის მიხედვით კი, თუ ტანსაცმელი სიცივის, ან სიცხისგან დავდასაცავადაა მცირე ხნით ჩაცმა შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი დღის გასვლის შემდეგ მლოცველი ჯარიმდება.

მანდილოსნები ჰაჯს ჩვეულებრივ ტანსაცმელში ჩაცმულნი ასრულებენ. ისინი მხოლოდ სახეებს არ იფარავენ.

2- მთელ სხეულზე, ან სხეულის რომელიმე ორგანოზე სუნამოს, ან ნელსაცხებელის წასმა. თუ სუნი მთელი დღის. ან ღამის განმავლობაში იგრძნობა ჯარიმის სახით ცხვრის , ან თხის შეწირვაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში სუნის სიძლიერისდა მიხედვით მოწყალების გაღება საკმარისია.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით სუნამოს წასმის შემთხვევაში დრო და რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება. მისი გამოყენება საკმარისია.

3- სხეულზე, თმაზე, წვერზე და მსგავს ადგილებზე სილამაზის გულისთვის რაიმეს წასმა, ეს იქნება ჯელე, ბრილიონი, ინა თუ სხვა. სამკურნალო მიზნით უსუნო მალამოს, ან სხვა წამლის წასმა ჯარიმას არ ითვალისწინებს.

4- თმის, ან წვერის მინიმუმ ერთი მეოთხედის, ან სხვა ორგანოს მთლიანად გაპარსვა.

5- მთლიანი ფრჩხილების, ან ერთი ხელის, ან ფეხის ყველა ფრჩხილის მოჭრა. თუ მომლოცველი სხვადასხვა დროსა და ადგილას ფრჩხილებს მთლიანად მოიჭრის თითოეულ შემთხვევაში ცალკე ჯარიმას გადაიხდის. ხოლო თუ ფრჩხილების რაღაც ნაწილს მოიჭრის, თითოეული ფრჩხილისთვის თითო მოწყალება უნდა გასცეს. თუ მორწმუნეს ფრჩხილი თავისით მოძვრება ჯარიმის გადახდა სავალდებულო არ არის.

4- დანაშაული, რომელიც ფითრის მოწყალების რაოდენობის მოწყალების გაცემას საჭიროებს.

1- იჰრამში მყოფის მიერ სხეულის ერთ ორგანოზე ნაკლებ ადგილზე სუნამოს წასმა.

2- თმის, ან წვერის ერთ მეოთხედზე ნაკლების მოპარსვა.

3- ერთი დღეზე, ან ღამეზე ნაკლები დროით ტანსაცმლის ჩაცმა, ან თავზე დახურვა.

4- ხუთზე ნაკლები ფრჩხილის მოჭრა.

5- ქუდუმის, ან გამოსამშვიდობებელი თავაფის, ან ნებიმიერი ნაფილე ტავაფის განბანვის გარეშე შესრულება. ქუდუმის ტავაფს ვინც ჯუნუბი შეასრულებს მამალი ცხვარი უნდა შეწიროს. იგივე ეხება მომლოცველს, რომელიც ზიარეთის ტავაფს აბდესთის გარეშე შეასრულებს.

6- გამოსამშვიდობებელი ტავაფის, ან საის შესრულებისას რომელიმე წრის გამოტოვება. იგივე ეხება სატანის ჩაქოლვის რიტუალის შესრულებისას მომლოცველი ნაკლებ ქვას თუ გამოიყენებს.

7- იჰრამის ქვეშ მყოფის მიერ სხვაზე თმის შეკრეჭა.

5- დანაშაული, რომელიც სამაგიეროს გადახდას ითვალისწინებს

აღნიშნული დანაშაული ორ კატეგორიასთანაა დაკავშირებული:

ა- ხმელეთზე მცხოვრები ნადირი.

ჰანეფის მიხედვით თუ მომლოცველი ხმელეთზე არსებულ ნადირს მოინადირებს მისი საფასური უნდა გადაიხადოს. გადახდილი თანხა ფითრის რაოდენობის მიხედვით დაიყოფა და ღარიბებს გაუნაწილდება. გადაუხდელობის შემთხვევაში თანხა რამდენ ფითრასაც შეადგენს მომლოცველმა იმდენი დღე უნდა იმარხულოს. ხოლო თუ აღნიშნული თანხა მსხვერპლის შესასყიდად საკმარისია მსხვერპლი უნდა შეწიროს. თუ თანხა მსხვერპლის საფასურზე მეტია მონარჩენი ფულის მოწყალებად გაცემა აუცილებელი არ არის.

ბ- ჰარემის ტერიტორის ცხოველები და მცენარეული საფარი.

მექას ჰარემის ტერიტორიაზე თავისით ამოსული მცენარეების მოჭრა სამაგიეროს გადახდას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში სოკო და მსგავსი გამონაკლისია. ჰარემის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების, ან მცენარეებისადმი ზიანის მიყენების შემტხვევაში სამაგიეროს გადახდა აუცილებელია. მნიშვნელობა არ აქვს მომლოცველმა ეს განზრახ გააკეტა თუ უნებლიედ. ან დავიწყების გამო.

ყურანში ნაბრძანებია, რომ:

يَا اَيُّهَا الَّذ ِينَ اٰمَنُوا لَا تَقْتُلُوا الصَّيْدَ وَاَنْتُمْ حُرُمٌ وَمَنْ قَتَلَهُ مِنْكُمْ مُتَعَمِّدًا فَجَزَاءٌ مِثْلُ مَا قَتَلَ مِنَ النَّعَمِ يَحْكُمُ بِهِ ذَوَا عَدْلٍ مِنْكُمْ هَدْيًا بَالِغَ الْكَعْبَةِ اَوْ كَفَّارَةٌ طَعَامُ مَسَاك ِينَ اَوْ عَدْلُ ذٰلِكَ صِيَامًا لِيَذُوقَ وَبَالَ اَمْرِه عَفَا اللّٰه عَمَّا سَلَفَ وَمَنْ عَادَ فَيَنْتَقِمُ اللّٰه مِنْهُ وَاللّٰه عَز يزٌ ذُو انْتِقَامٍ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მოჰკლათ ნადირი, როცა თქვენ ხართ იჰრამში შემოსილი. და რომელი თქვენგანიც მოკლავს მას განზრახ, სამაგიეროა შინაური ცხოველით, მისი შესაბამისი, რაც მოჰკლა. თქვენგან ორმა მართალმა კაცმა განსაჯოს ეს საქმე და შერჩეული საქონელი გაიგზავნოს ქააბასთან; ან გამოსასყიდია უპოვრების დაპურებით; ან ამის სანაცვლოდ იმარხულოს, რათა იგემოს საკუთარი საქციელის სიმძიმე. ალლაჰმა შეუნდო, რაც მოხდა ადრე, ხოლო ვინც დაუბრუნდება, ალლაჰი შურს იძიებს მასზე. და ალლაჰი ძლევამოსილია, შურისმგებელია!” მაიდე 5/95. ”

ჰარემის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების და მცენარეთა საფარის დაცვა ისლამის ჰუმანურობის დამამტკიცებელი მაგალითებიდან ერთ-ერთია.

ფარზი ჰაჯის შესრულებისათვის იჰრამში შესული მომლოცველისათვის აკრძალულები უმრეს შემსრულებლისთვისაც საერთოა. ადამიანის ხელით დარგული ხეების მოჭრის უფლება მესაკუთრეებს, ან მათ მიერ დავალებულ მუშებს აქვთ.

6- იჰრამის აკრძალულების საპატიო მიზეზით გაუთვალისწინებლობა.

იჰრამის ქვეშ მყოფი მომლოცველი თუ საპატიო მიზეზით წვერს გაიპარსავს, სუნამოს დაისხამს, ან ტანსაცმელს ჩაიცვამს ჯარიმის სახით ქვემოთ მოცემული ნებისმიერი ალტერნატივა შეუძლია აირჩიოს.

ა- ჰარემის ტერიტორიაზე ცხვრის, ან თხის მსხვრპლად შეწირვა,. ბ- ექვს ღარიბზე ფიტრის მოწყალების რაოდენობის მოწყალების გაცემა. 3- სამი დღით მარხულობა. აიათში ნაბრძანებია:

وَأَتِمُّوا الْحَجَّ وَالْعُمْرَةَ لِلَّهِ فَإِنْ أُحْصِرْتُمْ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْيِ وَلَا تَحْلِقُوا رُؤُسَكُمْ حَتَّى يَبْلُغَ الْهَدْيُ مَحِلَّهُ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا أَوْ بِهِ أَذًى مِنْ رَأْسِهِ فَفِدْيَةٌ مِنْ صِيَامٍ أَوْ صَدَقَةٍ أَوْ نُسُكٍ فَإِذَا أَمِنْتُمْ فَمَنْ تَمَتَّعَ بِالْعُمْرَةِ إِلَى الْحَجِّ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْيِ فَمَنْ لَمْ يَجِدْ فَصِيَامُ ثَلَاثَةِ أَيَّامٍ فِي الْحَجِّ وَسَبْعَةٍ إِذَا رَجَعْتُمْ تِلْكَ عَشَرَةٌ كَامِلَةٌ ذَلِكَ لِمَنْ لَمْ يَكُنْ أَهْلُهُ حَاضِرِي الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاتَّقُوا اللَّهَ وَاعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის. თუ რამე გაბრკოლებთ, მაშინ შესაწირი პირუტყვი გაგზავნეთ, რაც გეადვილებათ. და არ გადაიპარსოთ თავი, სანამ შესაწირი თავის ადგილას არ ჩავა. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალების გაღება ან შესაწირი. მაგრამ როცა უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვინც აღასრულებს უმრას ჰაჯთან ერთად, მან შეწიროს პირუტყვი, რაც ეადვილება; თუ ეს არ მოეპოვება, იმარხულოს სამი დღე ჰაჯობის დროს და შვიდი, როცა დაბრუნდება. ეს არის სრული ათი. ეს იმათთვის, ვისი ოჯახიც მესჯიდი ჰარამთან სიახლოვეს არ სახლობს. და გეშინოდეთ ალლაჰის, იცოდეთ, რომ ალლაჰის სასჯელი მკაცრია.” ბაყარა 2/196“

ჰანეფის მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათებით სარგებლობის და ალტერნატიული ჯარიმის არჩევის უფლება მხოლოდ ავადმყოფობის, ავარიის,, მზის დაკვერის და მსგავსი მიზეზის

მქონეთ აქვთ. სხვა ტიპის მიზეზების შემთხვევაში, როგორიცაა შეცდომა, დავიწყება, მუქარის ქვეშ ყოფნა და სხვა მომლოცველი ვალდებულია გადაცდომის შემთხვევაში მსხვერპლი შესწიროს. სხვა მიმდინარეობების მიხედვით ამ უკანასკნელი ტიპის მიზეზების დროსაც მომლოცველს ჯარიმის სახის არჩევანის უფლება გააჩნია.

ბ- ჰაჯის და უმრეს შესრულების დროს დაკისრებული ჯარიმის გადახდის დრო და ადგილი.

ჰაჯის და უმრეს შესრულების დროს დაკისრებული ჯარიმის შესასრულებლად კონკრეტული დრო არ არის მითითებული. მომლოცველს უფლება აქვს სიცოცხლის ბოლომდე, ნებისმიერ დროს შეასრულოს. თუმცა მსგავსი ჯარიმის მალე შესრულება უფრო მიზანშეწონილია. თუ მომლოცველი დაკისრებულ ჯარიმას სიცოცხლეში ვერ შეასრულებს და გარდაცვალებისას ანდერძსაც არ დატოვებს ცოდვილი გახდება. თუ მემკვიდრეები ანდერძის გარეშე დაკისრებულ ჯარიმას შეასრულებენ მიცვალებულს ვალდებულება მოეხსნება.

ჰაჯის და უმრეს შესრულებისას რაიმე გადაცდომის შემთხვევაში დაკისრებულ ჯარიმის სახით შეწირულ მსხვერპლს "ჰედი" ეწოდება და ის ჰარემის ტერიტორიაზე უნდა იქნას შეწირული. სხვა დანარჩენი ჯარიმის სახეები, მაგ. მარხვა, მოწყალება, ან ნანადირევის საფასური მომლოცველს შეუძლია ნებისმიერ ადგილზე შეასრულოს.

XV- ჰაჯის გაგრძელების შეუძლებლობა და ჰაჯის გამოტოვება

ა) ჰაჯის გაგრძელების შეუძლებლობა

ვთქვათ, ჰაჯის , ან უმრეს შესრულების მიზნით იჰრამში შესული მომლოცველი, რაიმე მიზეზის გამო ვეღარ აგრძელებს ჰაჯის ღვთისმსახურებას, ასეთ მდგომარეობას "იჰსარი" ეწოდება. ჰანეფის მიხედვით ამის მიზეზი შეიძლება იყოს მტრის წინააღმდეგობა, ომის გამო გზების გადაკეტვა, ავადმყოფობა, მანდილოსნისთვის საიმედო და შესაფერისი თანამგზავრის სიკვდილი და ა.შ. შაფიის მიხედვი კი "იჰსარის" მიზეზად მხოლოდ მტრის წინააღმდეგობა ითვლება.

ჰაჯის და უმრეს შესრულების მიზნითიჰრამში შესული მომლოცველი იჰრამიდან მხოლოდ ღვთისმსახურების შესრულების შემდეგ გავა. აღნიშნული მიზეზების გამო თუ მომლოცველი ვეღარ აგრძელებს დაგეგმილ ღვთისმსახურებას მსხვერპლი უნდა შეწიროს. თუ მისი განზრახვა უმრეს, ან იფრადის ჰაჯის შესრულება იყო მომლოცველი მხოლოდ ერთ მსხვერპლს წირავს, ხოლო თუ ქირან ჰაჯს ასრულებდა მომლოცველი ვალდებულია ორი მსხვერპლი შეწიროს. აღნიშნული მსხვერპლი იჰრამის ტერიტორიაზე უნდა იქნას შეწირული. მსხვერპლის შეწირვისთანავე მომლოცველი იჰრამიდან გასულად ითვლება.

შაფიის მიხედვით მსხვერპლი იმ ადგილას უნდა იქნას შეწირული, სადაც მომლოცველი წინააღმდეგობას წააწყდა და სანამ წვერს არ გაიპარსავს იჰრამიდან გასულად არ ითვლება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო შეწყვეტილი ჰაჯი მომლოცველმა მოგვიანებით უნდა აანაზღაუროს. ჰაჯისთვის იჰრამში შესული მომლოცველი შეწყვეტის შემთხვევაში მხოლოდ ერთ ჰაჯს და ერთ უმრეს აანაზღაურებს. შეწყვეტილი ქირანი ჰაჯის შემთხვევაში მომლოცველი ერთ ჰაჯს და ორ უმრეს აანაზღაურებს.

ბ) ჰაჯის გამოტოვება

ჰაჯის შესრულების მიზნით იჰრამში შესული მომლოცველი თუ არაფატზე ყოფნისათვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში იქ არ აღმოჩნდება, ასეთ მდგომარეობას ჰაჯის გამოტოვება ჰქვია. რაიმე მიზეზით ან უმიზეზოდ ბაირამის წინა დღეს შუადღიდან ბაირამის ღამის გამთენიამდე დროის მონაკვეთში თუ მომლოცველი არაფატზე ერთი წამითაც არ იმყოფება იმ წლის ჰაჯი გამოტოვებულად ეთვლება. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მომლოცველი, თუ იფრადის ჰაჯს ასრულებდა უმრეს შეასრულებს, იჰრამიდან გავა და შემდეგ წლებში გაცდენილ ჰაჯს აანაზღავრებს.

თუ მომლოცველი თემეთთუ ჰაჯს ასრულებდა, ე.ი უმრე შესრულებული უნდა ჰქონდეს და იჰრამიდან გამოსული უნდა იყოს. ამის შემდეგ თუ ჰაჯის მიზნით ხელახლა იჰრამშია შესული და არაფატზე განკუთვნილ დროში ვერ მივიდა ჰაჯი უქმდება და შესაბამისად არც მადლიერების მსხვერპლი უნდა შესწიროს. ამ მდგომარეობაში მომლოცველი ერთ უმრეს კიდე შეასრულებს და იჰრამიდან გავა. ხოლო სემდეგ წლებში გაცდენილ ჰაჯს აანაზღავრებს. თუ მომ-

ლოცველი ქირან ჰაჯს ასრულებდა და არაფატზე თავის დროზე ვერ მივიდა იგივენაირად მოიქცევა როგორც წინა შემთხვევაში. მომლოცველი ვალდებულია შემდეგ წლებში ჰაჯი აანაზღავროს.

ჰანეფის მიხედვით ზემოთ განხილულ სიტუაციებში მომლოცველს მსხვერპლის შეწირვა არ ევალება რადგან დამატებითი უმრე მსხვერპლის მაგივრად ითვლება. დანარჩენი მიმდინარეობების მიხედვით გაცდენილი ჰაჯის აანაზღავრებისას მსხვერპლის შეწირვა ვაჯიბია.

XVI – ჰაჯის შესრულება

ა - იჰრამში შესვლა.

ჰაჯის და უმრეს რიტუალი იჰრამში შესვლით იწყება მიქათად წოდებულ ადგილებში მომლოცველი სრულ ან მცირე განბანვას ასრულებს და თუ აკრძალული დრო არ არის ორ მუხლ ლოცვას ილოცავს. შემდეგ შესაბამის განზრახვა და ლოცვა ვედრება სრულდება. მამაკაცები ტანსაცმელს მთლიანად იხდიან და ორი ნაჭერი მატერიით იმოსებიან.

განზრახვის და თელბიეს შემდეგ იჰრამის აკრძალულები იწყება.

ბ - ჰაჯის შესრულებისას ტავაფის და საის რიტუალი იმის მიხედვით უნდა შესრულდეს, რომელი სახის შესრულებასაც მომლოცველი აპირებს.

გ - ნებისმიერი ჰაჯის შესრულებისას ზილჰჯჯეს მერვე დღეს მომლოცველები მექდან მინაში ან არაფატზე მიდიან.

დ - არაფატზე დარჩენა. ბაირამის წინა დღეს მზის ამოსვლის შემდეგ მომლოცველები მინადან არაფატისკენ მიდიან.

ე - მუზდელიფეში ღამის გატარება. მუზდელიფე ადგიალია მინასა და არაფატს შორის. ბაირამის ღამეს მომლოცველები აქ საღამოს და ღამის ლოცვებს ღამის ლოცვის დროზე ერთ დროულდა ლოცულობენ.

ვ - სატანის ჩაქოლვა. ბაირამის პირველ დღეს მომლოცველმა აქაბეს ჯემრეს შვიდი ქვა უნდა ესროლოს. ამის შემდეგ იფრად ჰაჯის შემსრულებლები წესისამებრ იჰრამიდან გამოდიან, ხოლო თემეთ-

თუ და ქირანი ჰაჯის შემსრულებლები მადლიერებს მსხვერპლს სწირავენ და ისინიც წესისამებრ იჰრამიდან გამოდიან.

ზ) იჰრამიდან გამოსასვლელად თმების შეკრეჭა უფრო მადლიანია. თმების ერთი მეოთხედით დაპატარავება საკმარისია. შაფიის მიხედვით საკმარისია მომლოცველმა ორი სამი თმის ღერი მოიჭრა. ამის შემდეგ მომლოცველები ჩვევლებრივ ტანსაცმელს იცვამენ და მეუღლეს და სქესობრივი კავშირის გარდა იჰრამის ყველა აკრძალვა დამთავრებულია.

თ) თუ შესაძლებელია, მორწმუნე იმავე დღეს ასრულებს ზიავეთის ტავაფს და ორ მუხლ ტვაფის ლოცვას ლოცულობს. ზემზემის წყალს დალევს და ლოცვა ვედრებას აღავლენს. უკვე ამის შემდეგ იჰრამის ყველა აკრძალული უქმდება.

ი) ამის შემდეგ მომლოცველები მინაში მიდიან. მომლოცველთა იმ ნაწილს, რომელსაც არ ეჩქარება შეუძლიათ სამი დღით მინაში დარჩენ. იქ მომლოცველები ბაირამის მეორე, მესამე და მეოთხე დღეს შესაბამისი წესის დაცვით სატანის ჩაქოლვის რიტუალს შეასრულებს.

კ) გამოსამშვიდობებელი ტავაფი. ქვის სროლის რიტუალის შემდეგ მომლოცველები მექაში ბრუნდებიან. საზღვარგარეთიდან მოსულები გამოსამშვიდობებელს ტავაფს და ორ მუხლ ლოცვას ასრულებენ.

XVII-უმრეს შესრულება

ა) უმრე და მისი მტკიცებულებები

უმრეს შესრულებისას მომლოცველი იჰრამში შედის, ტავაფის და საის რიტუალებს ასრულებს, შემდეგ კი შესაბამისი წესის დაცვით იჰრამიდან გამოდის. ჰანეფის და მააღიქის მიხედვით სიცოცხლეში ერთხელ უმრეს შესრულება მუსლიმისთვის მუექედი სუნეთთია, ხოლო შაფის და ჰანბელის მიხედვით - ფარზი.

ჰანეფის მიხედვით უმრეს ორი ფარზი გაჩნია; იჰრამი და ტავაფი.

ყურანში ნაბრძანებია:

وَأَتِمُّوا الْحَجَّ وَالْعُمْرَةَ لِلَّهِ فَإِنْ أُحْصِرْتُمْ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْيِ وَلَا تَحْلِقُوا رُؤُسَكُمْ حَتَّى يَبْلُغَ الْهَدْيُ مَحِلَّهُ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا أَوْ بِهِ أَذًى مِنْ رَأْسِهِ فَفِدْيَةٌ مِنْ صِيَامٍ أَوْ صَدَقَةٍ أَوْ نُسُكٍ فَإِذَا أَمِنْتُمْ فَمَنْ تَمَتَّعَ بِالْعُمْرَةِ إِلَى الْحَجِّ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْيِ فَمَنْ لَمْ يَجِدْ فَصِيَامُ ثَلَاثَةِ أَيَّامٍ فِي الْحَجِّ وَسَبْعَةٍ إِذَا رَجَعْتُمْ تِلْكَ عَشَرَةٌ كَامِلَةٌ ذَلِكَ لِمَنْ لَمْ يَكُنْ أَهْلُهُ حَاضِرِي الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاتَّقُوا اللَّهَ وَاعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის. თუ რამე გაბრკოლებთ, მაშინ შესაწირი პირუტყვი გაგზავნეთ, რაც გეადვილებათ. და არ გადაიპარსოთ თავი, სანამ შესაწირი თავის ადგილას არ ჩავა. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალების გაღება ან შესაწირი. მაგრამ როცა უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვინც აღასრულებს უმრას ჰაჯთან ერთად, მან შეწიროს პირუტყვი, რაც ეადვილება; თუ ეს არ მოეპოვება, იმარხულოს სამი დღე ჰაჯობის დროს და შვიდი, როცა დაბრუნდება. ეს არის სრული ათი. ეს იმათთვის, ვისი ოჯახიც მესჯიდი ჰარამთან სიახლოვეს არ სახლობს. და გეშინოდეთ ალლაჰის, იცოდეთ, რომ ალლაჰის სასჯელი მკაცრია.”ბაყარა 2/196”

اِنَّ الصَّفَا وَالْمَرْوَةَ مِنْ شَعَآئِرِ اللّٰهِ فَمَنْ حَجَّ الْبَيْتَ اَوِ اعْتَمَرَ فَلَا جُنَاحَ عَلَيْهِ اَنْ يَطَّوَّفَ بِهِمَا وَمَنْ تَطَوَّعَ خَيْرًا فَاِنَّ اللّٰهَ شَاكِرٌ عَلِيْمٌ

უეჭველად, საფა და მერვე ალლაჰის დადგენილი ნიშანთაგანია; და ვინც ჰაჯობა აღასრულოს ამ სახლში, ან უმრა შეასრულოს, ცოდვად არ ჩაეთვლება თუ გარს შემოუვლის ორივეს; და ვინც თავისი სურვილით სიკეთეს იქმს, ალლაჰი, უეჭველად, მადლიერია, ყოვლისშემძლეა! ”ბაყარა 2/158”

უმრეს შესრულებისთვის კონკრეტული დრო არ არის მისი შესრულება ნებისმიერ დროს შეიძლება, თუმცა რამაზანში უფრო მეტი მადლია. ჰანეფის მიხედვით წელწადში არის ხუთი დღე როდესაც უმრეს შესრულება მექრუჰია. ეს დღეებია: ბაირამის წინა დღით დილიდან დაწყებული ბაირამის მეოთხე დღეს მზის ჩასვლამდე.

ბ) უმრეს შესრულება

მექააში, ან ჰარემის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ჰარემის ტერიტორიის გარეთ, რომელიმე ადგილზე ორ მუხლ იჰრამის ლოცვას ასრულებენ და უმრეს განზრახვით და თელბიეს წარმოთქმით იჰრამში შედიან. მამაკაცები მთელ ტანსაცმელს იხდიან და ზევით და ქვევით იჰრამის სპეციალური მატერიით იმოსებიან. მომლოცველები მთელ გზის მანძილზე თელბიეს წარომთქვამენ და იჰრამით აკრძალულებს ითვალისწინებენ. შემდეგ შესაბამისი განზრახვას წარმოთქვამენ და უმრეს ტავაფს ასრულებენ. ტავაფის შესრულების დროს პირველ სამ წრეს ჩქარი ნაბიჯით უვლიან. 7 წრის შემოვლის შემდეგ მლოცველები ორ მუხლ ტავაფის ლოცვას ასრულებენ.

შემდეგ საის შესასრულებლად განზრახვას წარმოთქვამენ. საი იგივენაირად სრულდება, როგორც ჰაჯის დროს. მომლოცველები საფასა და მერვეს გორაკებს შორის 7 ჯერ გადაადგილდებიან. ანუ, საფადან მერვემდე 4 -ჯერ მიდიან, ხოლო მერვედან საფამდე 3-ჯერ. მერვეს გორაკზე საის რიტუალის სრულდება. ამის შემდეგ მომლოცველები თმებს შეიკრეჭენ და იჰრამიდან გადიან.

უმრეს ფარზი ტავაფია, ხოლო ვაჯიბი საის შესრულებაა.

გ) წმ. შუამავლის მიერ შესრულებული უმრეები

ჰიჯრით მეექვსე წელს წმ. შუამავალი 1400 კაციანი ამალის თანხლებითა და უმრეს შესრულების მიზნით აქაბემდე მივიდა. ამ დროს წმ. შუამავალს ესიზმრა, თუ როგორ მშვიდობიანად შედიოდა მუსლიმთა ამალა მექაში. მაშინ ეს სიზმარი იმით აიხსნა, რომ მუსლიმები იამვე წელს მექას წმინდა ადგილების მოლოცვას შეძლებდნენ.

აღნიშნული სიზმრის შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

لَقَدْ صَدَقَ اللّٰهُ رَسُولَهُ الرُّءْيَا بِالْحَقِّ لَتَدْخُلُنَّ الْمَسْجِدَ الْحَرَامَ اِنْ شَاءَ اللّٰهُ اٰمِنِينَ مُحَلِّقِينَ رُؤُسَكُمْ وَمُقَصِّرِينَ لَا تَخَافُونَ فَعَلِمَ مَا لَمْ تَعْلَمُوا فَجَعَلَ مِنْ دُونِ ذٰلِكَ فَتْحًا قَرِيبًا

ვფიცავ, ჭეშმარიტ ჰყო ალლაჰმა თავისი შუამავალის სიზმარი. უთუოდ, შეხვალ თქვენ მეჯიდი ჰარამში, თუკი ინებებს ალლაჰი, უშიშრად და მშვიდობით. თავ გადაპარსულნი და გაკრეჭილნი. მაგრამ უწყოდა იმას, რაც არ იცოდით თქვენ. და მოგმადლათ, ამის გარდა (უწინ) ახლო გამარჯვება.” ფეთიჰ 48/27. ”

როდესაც წმ. შუამავალი თავისი ამალითურთ ჯერ კიდევ ჰუდეიბიეში იმყოფებოდა, ცნობილი გახდა, რომ მექაში გაბატონებული ურწმუნოები მუსლიმებს იქ შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. წმ. შუამავალმა მოსალაპარაკებლად წმ. ოსმანი გაუგზავნა, მაგრამ პასუხი უარყოფითი იყო. ამ დროს ხმა გავრცელდა, რომ წმ. ოსმანი ურწმუნოთა მიერ იქნა მოკლული, რის შემდეგაც წმ. შუამავალმა ბრძანა, რომ ამ ხალხთან ბრძოლის გარეშე უკან ვერ დაბრუნდებოდნენ. მან ფიცი ჩამოართვა თითოეულ მხლებელს, რომ იბრძოლებდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. წმ. შუამავალმა იქ მყოფ შეფიცულებს საქციელი მოუწონა და მათდამი უსაზღვრო კმაყოფილება გამოთქვა.

მექელებმა მალევე გაიგეს ამ გადაწყვეტილების შესახებ და ელჩად სუჰეილი გამოაგზავნეს. სწორედ მაშინ შედგა ცნობილი ჰუდეიბიეს შეთანხმება. ამ შეთანხმების ერთ-ერთი მუხლის თანახმად მუსლიმთა ამალა ამ წელს უკან უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მომავალ წელს მათ უფლება ჰქონდათ მექაში შესულიყვნენ და სამი დღის განმავლობაში იქ დარჩენილიყვნენ. ამ სამი დღის განმავლობაში მექელი ურწმუნოები მექას დატოვებდნენ და მუსლიმების წასვლას დაელოდებოდნენ. მუსლიმთა ამალას ხმლის გარდა სხვა იარაღი არ უნდა ჰქონოდა თან.

აღნიშნული შეთანხმების შემდეგ წმ. შუამავალმა მსხვერპლი შეწირა, თმა შეიკრიჭა და იჰრამიდან გავიდა. იგივენაირად მოიქცა მისივე ამალაც.

ამის გამო, შემდეგ წელს შესრულებული უმრე ჩაითვალა, როგორც წინა წელს დაწყებული უმრეს გაგრძელება, ანუ როგორც შეწყვეტილი ღვთისმსახურების ანაზღაურება.

1) უმრეს ანაზღაურება

ჰიჯრით მეშვიდე წელს წმ. შუამავალმა, ჰუდეიბიეს შეთანხმებისამებრ ორიათასკაციანი ამალის თანხლებით ზულ ჰულეიფეში იჰრამში შევიდა და თელბიე წარმოთქვა. ამრიგად მუსლიმები გასულ წელს შეწყვეტილი უმრეს გასაგრძელებლად გზას გაუდგნენ. ყურეიშელი თავკაცები ქალაქგარეთ, მექას ახლომახლო იყვნენ დაბანაკებულნი.

მუსლიმთა ამალის მექაში შესვლამდე გავრცელდა ხმა, რომ მექელ ურწმუნოებს მათზე ძალაინ ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მუსლიმები გაღატაკებულები, სუსტები, დაუძლურებულები იყვნენ. ამის თაობაზე წმ. შუამავალმა ტავის ამალას აუწყა, რომ ურწმუნოთა თვალში ისინი ძლიერები უნდა გამოჩენილიყვნენ და დალოცა ყველა ის მუსლიმი, ვინც ასეთი წარმოჩნდებოდა. წმ. შუამავალმა იჰრამის წესების თანახმად მხრებზე შემოხვეული მატერიის ერთი ბოლო მარჯვენა იღლიის ქვეშ გაიტარა და მხარზე გადაიგდო. ამრიგად მისი მარჯვენა მკლავი და მხრი დაუფარავი დარჩა. იგივე გააკეთეს მისმა მხლებლებმაც. მოსასხამის ამგვარად მოსხმას იზდიბა ეწოდება.

მუსლიმები საის შესრულებისას მხრების მოძრაობით, მოკლე

ნაბიჯებით და ნახევრად სირბილით გადადგილდებოდნენ საფას გორაკიდან მერვეს გორაკამდე და პირიქით. მათი ამგვარი მოძრაობა, რომელსაც რემელი ეწოდება ურწმუნოთა თვალში თავიანთი სულიერი და ფიზიკური ძალის უკეთ წარმოსაჩენად იყო მიმართული. ტავაფის ბოლო ოთხი გარსშემოვლა კი მუსლიმებმა ნელი ნაბიჯებით შეასრულეს. ტავაფის დასრულების შემდეგ მუსლიმებმა ორი მუხლი ტავაფის ლოცვი ილოცეს. როგორც წესი, მანდილოსნები რემელს არ ასრულებენ.

ტავაფის და საის შესრულების შემდეგ მსხვერპლი შეწირეს. ჰუდეიბიეში ვინც იყო მათაც შეწირეს მსხვერპლი, ხოლო ამ წელს წამოსულებმა მსხვერპლის გარეშე დაასრულეს უმრე. ბოლოს ყლემა ერტად თმა შეიკრიჭა და იჰრამიდან გავიდნენ.

2) ჰიჯრით მერვე წელს ჯირანედან შესრულებული უმრე

მექას აღების შემდეგ მუსლიმებსა და მექელ ურწმუნოთა შორის გამართულ ბრძოლაში მუსლიმებმა იმძლავრეს და მნიშვნელოვანი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. ამის შემდეგ წმ. შუამავალმა ჯირანეში მივიდა და უმრე შეასრულა. ტაიფის მხრიდან მომავალი მლოცველებისთვის ჯირანე იჰრამში შესვლის ადგილია.

3) გამოსამშვიდობებელ ჰაჯთან ერთად შესრულებული უმრე

ისლამის სწავლულთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ გამოსამშვიდობებელი ჰაჯის დროს წმ. შუამავალმა მხოლოდ ჰაჯი შეასრულა. თუმცა სხვების მტკიცებით წმ. შუამავალმა იმ წელს ჰაჯთან ერთად უმრეც შეასრულა. ამ უკანასკნელი შეხედულების თანახმად ეს ქირანი ჰაჯი იყო. ისიც ცნობილია, რომ წმ. შუამავალმა ჰაჯის შესრულების შემდეგ მადლიერების მსხვეპლი შეწირა და აღნიშნა, რომ ამ მსხვერპლის მიზეზით უმრესა და ჰაჯს შორის იჰრამიდან გასვლა მიუღებელია.

აბდულლაჰ იბნ ომერის გადმოცემის თანახმად წმ. შუამავალს უმრე და ჰაჯი ერთდროულად შეუსრულებია, რომელსაც თემეთთუ ეწოდება. ამის მიხედვით, უმრეს შესრულების შემდეგ იჰრამი-

დან არ გასულა და ჰაცი შეუსრულებია, ხოლო შემდეგ, ბაირამის დრეს მსხვერპლი შეუწირავს და ფარზი ტავაფი შეუსრულებია. ამის შემდეგ გასულა იჰრამიდან. აქ წარმოდგენილი შესრულების ფორმა რაცარუნდა თემეთთუს ჰგავდეს, შესრულებული ჰაჯი მაინც ქირანია, რადგან ჰაჯი და უმრე ერთი იჰრამის ქვეშ იქნა შესრულებული.

XVIII- ჰედი მსხვერპლი

ა) ჰედი მსხვერპლი და მტკიცებულებები

ჰაჯის და უმრეს როტუალების შესრულებასთან დაკავშირებულ მსხვერპლს ჰედი ეწოდება. ეს არის ქააბას და ჰარემის ტერიტორიაზე საჩუქრად შეწირული მსხვერპლი. სწორედ ამიტომ ეწოდება ჰედი. მსხვერპლშიწირვის დღესასწაულთან დაკავშირებულ მსხვერპლს კი- უდჰიე ეწოდება.

ვალდებულების თვალსაზრისით ეს ორის სახის მსხვერპლი განსხვავდება, მაგრამ სხვამხრივ ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ორივე სახის მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ძროხის ჯიშის, ისე ცხვრის და აქლემის ჯიშისა. ძროხის, ან აქლემის ჯიშის მსხვერპლის შეწირვისას შესაძლებელია 7 მუსლიმი შეზიარდეს და ერთად შეწირონ.

იფრადი ჰაჯის შემსრულებლები, თუ გადაცდომის გამო მსხვერპლის შეწირვით არ დაჯარიმდებიან ჰედი მსხვერპლის შეწირვას არ საჭიროებენ. თუ მოისურვებენ ნაფილე მსხვერპლს შეწირავენ და ეს მუსთეჰაბია. თემეთთუ და ქირანი ჰაჯის შემსრულებლების მიერ მადლიერების მსხვერპლის შეწირვა კი ვაჯიბია. გარდა ამისა რომელიმე ვაჯიბი რიტუალის გამოტოვების, ან იჰრამის აკრძალული რომელიმე წესის უგულებელყოფის შემთხვევაში დაკისრებული საჯარიმო მსხვერპლიც ჰედის გატეგორიაში შედის.

ჰედი მსხვერპლის შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

وَاَتِمُّوا الْحَجَّ وَالْعُمْرَةَ لِلّٰهِ فَاِنْ اُحْصِرْتُمْ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْىِ وَلَا تَحْلِقُوا رُؤُسَكُمْ حَتّٰى يَبْلُغَ الْهَدْىُ مَحِلَّهٗ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا اَوْ بِهٖۤ اَذًى مِنْ رَاْسِهٖ فَفِدْيَةٌ مِنْ صِيَامٍ اَوْ صَدَقَةٍ اَوْ نُسُكٍ فَاِذَاۤ اَمِنْتُمْ فَمَنْ تَمَتَّعَ بِالْعُمْرَةِ اِلَى الْحَجِّ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْىِ فَمَنْ لَّمْ يَجِدْ فَصِيَامُ ثَلٰثَةِ اَيَّامٍ فِى الْحَجِّ وَسَبْعَةٍ اِذَا رَجَعْتُمْ تِلْكَ عَشَرَةٌ كَامِلَةٌ ذٰلِكَ لِمَنْ لَّمْ يَكُنْ اَهْلُهٗ حَاضِرِى الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاتَّقُوا اللّٰهَ وَاعْلَمُوۤا اَنَّ اللّٰهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის. თუ რამე გაბრკოლებთ, მაშინ შესაწირი პირუტყვი გაგზავნეთ, რაც გეადვილებათ. და არ გადაიპარსოთ თავი, სანამ შესაწირი თავის ადგილას არ ჩავა. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალების გაღება ან შესაწირი. მაგრამ როცა უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვინც აღასრულებს უმრას ჰაჯთან ერთად, მან შეწიროს პირუტყვი, რაც ეადვილება; თუ ეს არ მოეპოვება, იმარხულოს სამი დღე ჰაჯობის დროს და შვიდი, როცა დაბრუნდება. ეს არის სრული ათი. ეს იმათთვის, ვისი ოჯახიც მესჯიდი ჰარამთან სიახლოვეს არ სახლობს. და გეშინოდეთ ალლაჰის, იცოდეთ, რომ ალლაჰის სასჯელი მკაცრია.” ბაყარა 2/196. ”

ეს აიათი ჰუდეიბიეს შეთანხმებიდან ერთი წლის შემდეგ არის მოვლენილი. აქ კონკრეტულად არ არის მითითებული, რომ ჰაჯის შესრულება ფარზია, მაგრამ ჩანს, რომ დაწყებული ჰაჯის გაგრძელება, ანუ ანაზღაურება ვაჯიბია. აქვე მითითებულია თუ როგორ უნდა მოიქცეს მომლოცველი, რომელიც ჰაჯის, ან უმრეს შესრულებისას შეუძლოდ შეიქმნება.

აქვე საუბარია მსხვერპლის შესახებაც:

وَالْبُدْنَ جَعَلْنَاهَا لَكُمْ مِنْ شَعَائِرِ اللَّهِ لَكُمْ فِيهَا خَيْرٌ فَاذْكُرُوا اسْمَ اللَّهِ عَلَيْهَا صَوَافَّ فَإِذَا وَجَبَتْ جُنُوبُهَا فَكُلُوا مِنْهَا وَأَطْعِمُوا الْقَانِعَ وَالْمُعْتَرَّ كَذَلِكَ سَخَّرْنَاهَا لَكُمْ لَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

აქლემები დაგიდგინეთ ალლაჰისთვის ზვარაკად შესაწირი, რიტუალურ სიმბოლოდ. მათ მოაქვთ თქვენთვის სიკეთე. მაშ, წარმოთქვით მათზე ალლაჰის სახელი , როცა დგანან მწკრივად და როცა გვერდზე დაეცემიან; ჭამეთ მათგან და უწილადეთ იმათ, ვინც მცირედითაა კმაყოფილი და ვინც ითხოვს სიღატაკის გამო. ასე დაგიმორჩილეთ ისინი, ეგებ შეიქმნეთ მადლიერნი!” ჰაჯი 22/36. ”

გარდა ამისა, ჰედი მსხვერპლისა და მისდამი მოპყრობის შესახებ არსებობს სხვა აიათებიც:

” მაიდე 5/2, მაიდე 5/97, მაიდე 5/95, ფეთჰ 48/25.

ბ) ჰედი მსხვერპლის სახეები

1) ნაფილე ჰედი. ჰაჯის, ან უმრეს შემსრულებლის მიერ ვალდებულების გარდა, საკუთარი სურვილით შეწირული მსხვერპლი.

2) მადლიერების მსხვერპლი. თემეთთუ, ან ქირანი ჰაჯის შემსრულებელთათვის სავალდებულო შესაწირი მსხვერპლი, რომლის შეწირვაც ვაჯიბია. ჰანეფის მიხედვით ეს არის მომლოცველის მიერ მადლიერების გამოხატულება, რადგან მან ერთ წელს ჰაჯის და უმრეს ერთდროულად შესრულება შეძლო. შააფის მიხედვით აღნიშნული მსხვერპლი თემეთთუ ჰაჯის დროს ჰაჯისთვის იჰრამში არა მიქათის ადგილიდან არამედ მექაში შესვლის გამო უნდა შეიწიროს.

3) საჯარიმო ჰედი. ჰაჯის ან უმრეს ვაჯიბებიდან რომელიმეს გამოტოვების, თავის დროზე შეუსრულებლობის ან იჰრამის აკრძალულების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შესაწირი მსხვერპლია. აეთში ნაბრძანებია:

وَاَتِمُّوا الْحَجَّ وَالْعُمْرَةَ لِلّٰهِ فَاِنْ اُحْصِرْتُمْ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْىِ وَلَا تَحْلِقُوا رُؤُسَكُمْ حَتّٰى يَبْلُغَ الْهَدْىُ مَحِلَّهٗ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا اَوْ بِهٖۤ اَذًى مِنْ رَّاْسِهٖ فَفِدْيَةٌ مِنْ صِيَامٍ اَوْ صَدَقَةٍ اَوْ نُسُكٍ فَاِذَاۤ اَمِنْتُمْ فَمَنْ تَمَتَّعَ بِالْعُمْرَةِ اِلَى الْحَجِّ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْىِ فَمَنْ لَّمْ يَجِدْ فَصِيَامُ ثَلٰثَةِ اَيَّامٍ فِى الْحَجِّ وَسَبْعَةٍ اِذَا رَجَعْتُمْ تِلْكَ عَشَرَةٌ كَامِلَةٌ ذٰلِكَ لِمَنْ لَّمْ يَكُنْ اَهْلُهٗ حَاضِرِى الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاتَّقُوا اللّٰهَ وَاعْلَمُوۤا اَنَّ اللّٰهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის. თუ რამე გაბრკოლებთ, მაშინ შესაწირი პირუტყვი გაგზავნეთ, რაც გეადვილებათ. და არ გადაიპარსოთ თავი, სანამ შესაწირი თავის ადგილას არ ჩავა. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალების გაღება ან შესაწირი. მაგრამ როცა უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვინც აღასრულებს უმრას ჰაჯთან ერთად, მან შეწიროს პირუტყვი, რაც ეადვილება; თუ ეს არ მოეპოვება, იმარხულოს სამი დღე ჰაჯობის დროს და შვიდი, როცა დაბრუნდება. ეს არის სრული ათი. ეს იმათთვის, ვისი ოჯახიც მესჯიდი ჰარამთან სიახლოვეს არ სახლობს. და გეშინოდეთ ალლაჰის, იცოდეთ, რომ ალლაჰის სასჯელი მკაცრია.”ბაყარა 2/196.”

4) ჰაჯის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაწირი მსხვერპლი. ჰაჯის ან უმრეს შესრულების პროცესში წარმოქმნილი რაიმე მიზეზის გამო ღვთის მსახურების შეწყვეტის შემთხვევაში შესაწირი მსხვერპლი. მიზეზი შეიძლება იყოს მტრის წინაღმდეგობა, ომის გამო გზების ჩაკეტვა, ავადმყოფობა, უფულოდ დარჩენა, მანდილოსნის შესაფერისი თანამგზავრის გარდაცვალება.

5) შეპირებული ჰედი. ეს არის მსხვერპლი რომელსაც მომლოც-

ველი შეპირებისამებრ ჰარემის ტერიტორიაზე დაკლავს. აეთში ნაბრძანებია:

ثُمَّ لْيَقْضُوا تَفَثَهُمْ وَلْيُوفُوا نُذُورَهُمْ وَلْيَطَّوَّفُوا بِالْبَيْتِ الْعَتِ يقِ

მერე კი დაიცვან თავიანთი წესები, აღასრულონ აღთქმა და შემოუარონ უპირველეს სახლს (ქააბას)!"ჰაჯი 22/29."

გ) ჰედი მსხვერპლის შეწირვის ადგილი და დრო

ამ კატეგორიის ნებისმიერი მსხვერპლი ჰარემის ტერიტორიაზე იკვლება. ბაირამის პირველ სამ დღეს შეწირული მსხვერპლი მინაში იკვლება, ხოლო დანარჩენ დღეებში შეწირული მსხვერპლი - მექაში.

ჰანეფის, მალიქიის და ჰანბელის მიხედვით თემეთთუ და ქირანი ჰაჯის გამო მადლიერების შეწირული მსხვერპლი ბაირამის პირველ დღეს გათენების შემდეგ უნდა დაიკლას. უფრო ადრე შეწირვა მიუღებელია. მადლიერების მსხვერპლის ბაირამის პირველი დღიდან ბაირამის მესამე დღეს მზის ჩასვლამდე დაკვლა ებუ ჰანიფეს მიხედვით ვაჯიბია, ხოლო ები იუსუფის და იმამ მუჰამმედის აზრით კი - სუნეთი. თუ აღნიშნული მსხვერპლი დროის ამ მითითებულ მონკვეთში არ იქნა შეწირული მის ადგილას ორი მსხვერპლი უნდა შეიწიროს.

დ) ჰაჯობაზე შეწირული მსხვერპლის ხორცი

თემეთთუ და ქირანი ჰაჯის ჰედის გარდა სხვა სახის ჰედის შეწირვისთვის კონკრეტული დრო არ არის მითითებული.

თემეთთუ და ქირანი ჰაჯის დროს შეწირული მადლიერების მსხვერპლის და ნაფილე მსხვერპლის ხორცი ყველას შეუძლია მიირთვას; მდიდარმაც და ღარიბმაც.

ყურანში ნაბრძანებია:

لِيَشْهَدُوا مَنَافِعَ لَهُمْ وَيَذْكُرُوا اسْمَ اللَّهِ ف ى اَيَّامٍ مَعْلُومَاتٍ عَلٰى مَا رَزَقَهُمْ مِنْ بَه يمَةِ الْاَنْعَامِ فَكُلُوا مِنْهَا وَاَطْعِمُوا الْبَائِسَ الْفَق يرَ

დაე, დაამოწმონ მათ ის, რასაც სარგებელი მოაქვს მათთვის და ახსენონ ალლაჰის სახელი პირუტყვზე დანიშნულ დღეს, რომელიც მან სარჩოდ უბოძა. ჭამეთ მისგან და უწყალობეთ გაჭირვებულ

ღატაკებს!”ჰაჯ 22/28. ”

وَالْبُدْنَ جَعَلْنَاهَا لَكُمْ مِنْ شَعَائِرِ اللَّهِ لَكُمْ ف يهَا خَيْرٌ فَاذْكُرُوا اسْمَ اللَّهِ عَلَيْهَا صَوَافَّ فَإِذَا وَجَبَتْ جُنُوبُهَا فَكُلُوا مِنْهَا وَأَطْعِمُوا الْقَانِعَ وَالْمُعْتَرَّ كَذَٰلِكَ سَخَّرْنَاهَا لَكُمْ لَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

აქლემები დაგიდგინეთ ალლაჰისთვის ზვარაკად შესაწირი, რიტუალურ სიმბოლოდ. მათ მოაქვთ თქვენთვის სიკეთე. მაშ, წარმოთქვით მათზე ალლაჰის სახელი, როცა დგანან მწკრივად და როცა გვერდზე დაეცემიან; ჭამეთ მათგან და უწილადეთ იმათ, ვინც მცირედითაა კმაყოფილი და ვინც ითხოვს სიღატაკის გამო. ასე დაგიმორჩილეთ ისინი, ეგებ შეიქმნეთ მადლიერნი!” ჰაჯ 22/36.”

ჯარიმის სახით შესაწირი მსხვერპლი შეპირებული მსხვერპლის მსგავსად განსხვავებულია. საჯარიმო და შეწყვეტილი ჰაჯის გამო შეწირული მსხვერპლი მისმა პატრონმა და ოჯახის წევრებმა, აგრეთვე მდიდრებმა არ უნდა მიირთვან. ეს ხორცი მხოლოდ ჰიჯაზის, ან სხვა რომელიმე ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ღარიბთა შორის განაწილდება.

გამომდინარე აქედან, ჰიჯაზის ტერიტორიაზე და მახლობელ ადგილებში ბევრი მსხვერპლის შეწირვა ხდება. ხოლო რადგანაც აქ მაცხოვრებელი საჭიროების მქონე ადამიანთა რაოდენობა ხორცის რაოდენობასთან შედარებით შეზღუდულია მსხვერპლის ხორცი მუსლიმებით დასახლებულ სხვა ქვეყნებში იგზავნება, რათა იქაურ ღარიბებზე განაწილდეს.

ე) მსხვერპლის შეწირვის მაგივრად მარხვის შესრულება

ისლამში ყოველი ვალდებულება შესაძლებლობების მიხედვითაა განსაზღვრული. ამიტომ ვისაც მსხვერპლის შესაწირად საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია მინიჭებული აქვს შეღავათი, რომლის თანახმადაც შეუძლია ბაირამამდე 3, ხოლო სახლში დაბრუნების შემდეგ 7 დღე, ჯამში 10 დღე იმარხულოს. შეგახსენებთ წმ. აიათს:

وَأَتِمُّوا الْحَجَّ وَالْعُمْرَةَ لِلَّهِ فَإِنْ أُحْصِرْتُمْ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْيِ وَلَا تَحْلِقُوا رُءُوسَكُمْ حَتَّىٰ يَبْلُغَ الْهَدْيُ مَحِلَّهُ فَمَنْ كَانَ مِنْكُمْ مَرِيضًا أَوْ بِهِ أَذًى مِنْ رَأْسِهِ فَفِدْيَةٌ مِنْ صِيَامٍ أَوْ صَدَقَةٍ أَوْ نُسُكٍ فَإِذَا أَمِنْتُمْ فَمَنْ تَمَتَّعَ بِالْعُمْرَةِ إِلَى الْحَجِّ فَمَا اسْتَيْسَرَ مِنَ الْهَدْيِ فَمَنْ لَمْ يَجِدْ فَصِيَامُ ثَلَاثَةِ أَيَّامٍ فِي الْحَجِّ وَسَبْعَةٍ إِذَا رَجَعْتُمْ تِلْكَ عَشَرَةٌ كَامِلَةٌ ذَٰلِكَ لِمَنْ لَمْ يَكُنْ أَهْلُهُ حَاضِرِي الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاتَّقُوا اللَّهَ وَاعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის. თუ რამე გაბრკოლებთ, მაშინ შესაწირი პირუტყვი გაგზავნეთ, რაც გეადვილებათ. და არ გადაიპარსოთ თავი, სანამ შესაწირი თავის ადგილას არ ჩავა. თუ

რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალების გაღება ან შესაწირი. მაგრამ როცა უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვინც აღასრულებს უმრას ჰაჯთან ერთად, მან შეწიროს პირუტყვი, რაც ეადვილება; თუ ეს არ მოეპოვება, იმარხულოს სამი დღე ჰაჯობის დროს და შვიდი, როცა დაბრუნდება. ეს არის სრული ათი. ეს იმათთვის, ვისი ოჯახიც მესჯიდი ჰარამთან სიახლოვეს არ სახლობს. და გეშინოდეთ ალლაჰის, იცოდეთ, რომ ალლაჰის სასჯელი მკაცრია.”ბაყარა 2/196. ”

თუ მომლოცველი ბაირამამდე 3 დღით მარხვას ვერ მოასწრებს მსხვერპლის შეწირვის შესაძლებლობა რომც არ გააჩნდეს, მარხვა მსხვერპლის სამაგიეროდ აღარ ჩაეთვლება. სამდღიანი მარხვის შემდეგ, ბაირამის დღეებში თუ მომლოცველს მსხვერპლის შეწირვისთვის საკმარისი შესაძლებლობა გაუჩნდა მსხვერპლი უნდა შეწიროს, მაგრამ თუ, ასეთ შემთხვევაში თმის შეკრეჭის რიტუალი უკვე შესრულებული აქვს და იჰრამიდან გასულია მსხვერპლის შეწირვა საჭირო აღარ არის.

XIX-მექაში არსებული ძირითადი ღირსშესანიშნავი ადგილები

ქააბას, მესჯიდი ჰარამის და მესჯიდი აქსას სახელები და მადლი ყურანშია მოცემული. მედინაში მდბარე წმ. შუამავლის მეჩეთის, ქუბას მეჩეთის და მსგავსი მნიშვნელოვანი სალოცავების სახელები და მნიშვნელობა კი წმ. შუამავლის ჰადისებითაა განმარტებული. ქვემოთ წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციას ამ და სხვა მნიშვნელოვან მოსანახულებელ აქგილების შესახებ.

ა) მესჯიდი ჰარამი

ეს არის ცნობილი მეჩეთი, რომელიც ქააბას ირგვლივაა აშენებული. მეჩეთის შუა ნაწილი ღიაა, ხოლო ირგვლივ გუმბათებითაა დამშვენებული. ეს არის დედამიწაზე აგებული პირველი სალოცავი და მუსლიმთა ლოცვის დროს მიმართულების ადგილი. მეჩეთის ცენტრში, ღია ადგილზე ქააბა, ზემზემის წყარო, ”მექანი იბრაჰიმ” - ი და ტავაფის შესასრულებლად საჭირო ადგილი მდებარეობს. ამ წმინდა ადგილს იმიტომ ეწოდება ჰარამი, რომ მისდამი მოკრძალება გვმართებს. ამიტომაა, რომ ამ ადგილას სისხლის დაღვრა, მცენარის მოჭრა და ნადირობა აკრძალულია. ამის შესახებ ყურანში შემდეგია ნაბრძაენები:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا لَا تُحِلُّوا شَعَائِرَ اللّٰهِ وَلَا الشَّهْرَ الْحَرَامَ وَلَا الْهَدْىَ وَلَا الْقَلَائِدَ وَلَا اٰمّ ينَ الْبَيْتَ الْحَرَامَ يَبْتَغُونَ فَضْلًا مِنْ رَبِّهِمْ وَرِضْوَانًا وَاِذَا حَلَلْتُمْ فَاصْطَادُوا وَلَا يَجْرِمَنَّكُمْ شَنَاٰنُ قَوْم اَنْ صَدُّوكُمْ عَنِ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ اَنْ تَعْتَدُوا وَتَعَاوَنُوا عَلَى الْبِرِّ وَالتَّقْوٰى وَلَا تَعَاوَنُوا عَلَى الْاِثْمِ وَالْعُدْوَانِ وَاتَّقُوا اللّٰهَ اِنَّ اللّٰهَ شَد يدُ الْعِقَابِ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ არის ნებადართული ალლაჰის ნიშნები და არც ნაკრძალი თვე , და არც ზვარაკი , და არცა აქლემნი კისერსაბმელით; და არცა უსაფრთხო სახლში მიმავალთათვის, რომელნიც უფლისგან მადლსა და მწყალობლობას მიელტვიან. ხოლო როცა იჰრამიდან გამოხვალთ, ინადირეთ, და ცოდვას ნუ ჩაგადენინებთ იმ ხალხისადმი სიძულვილი, მესჯიდი ჰარამს რომ არ გაკარებდათ. და შეეწიეთ ერთმანეთს ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობაში, მაგრამ არ შეეწიოთ ერთმანეთს ცოდვასა და მტრობაში. და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰის საზღაური სასტიკია!” მაიდე 5/2“,

يَسْـَٔلُونَكَ عَنِ الشَّهْرِ الْحَرَامِ قِتَالٍ ف يهِ قُلْ قِتَالٌ ف يهِ كَبِيرٌ وَصَدٌّ عَنْ سَبِيلِ اللّٰهِ وَكُفْرٌ به وَالْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاِخْرَاجُ اَهْلِه مِنْهُ اَكْبَرُ عِنْدَ اللّٰهِ وَالْفِتْنَةُ اَكْبَرُ مِنَ الْقَتْلِ وَلَا يَزَالُونَ يُقَاتِلُونَكُمْ حَتّٰى يَرُدُّوكُمْ عَنْ د ينِكُمْ اِنِ اسْتَطَاعُوا وَمَنْ يَرْتَدِدْ مِنْكُمْ عَنْ د ينِه فَيَمُتْ وَهُوَ كَافِرٌ فَاُولٰئِكَ حَبِطَتْ اَعْمَالُهُمْ فِى الدُّنْيَا وَالْاٰخِرَةِ وَاُولٰئِكَ اَصْحَابُ النَّارِ هُمْ ف يهَا خَالِدُونَ

გეკითხებიან ისინი აკრძალულ თვეში ომის შესახებ, უპასუხე: ბრძოლა აკრძალულ თვეში დიდი ცოდვაა, ალლაჰის გზიდან გადახვევაა, ურწმუნოება მის მიმართ და მესჯიდი ჰარამის მიმართ, იქ მცხოვრებთა განდევნა კიდევ უფრო დიდი ცოდვაა ალლაჰის წინაშე, რამეთუ საცდური უარესია, ვიდრე კვლა! ხოლო ისინი არ შეწყვეტენ თქვენთან ბრძოლას, სანამ არ გადაგიყვანებენ თქვენი რწმენიდან, თუკი შეძლებენ ამას. და თუ რომელიმე თქვენგანი განეშორება თავის სარწმუნოებას და მოკვდება ურწმუნოდ, ასეთებს ამაოებად ექცევათ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება; აი, ცეცხლის ბინადარნი, ისინი იქ სამუდამოდ დარჩებიან. „ ბაყარა 2/217“,

جَعَلَ اللّٰهُ الْكَعْبَةَ الْبَيْتَ الْحَرَامَ قِيَامًا لِلنَّاسِ وَالشَّهْرَ الْحَرَامَ وَالْهَدْىَ وَالْقَلَائِدَ ذٰلِكَ لِتَعْلَمُوا اَنَّ اللّٰهَ يَعْلَمُ مَا فِى السَّمٰوَاتِ وَمَا فِى الْاَرْضِ وَاَنَّ اللّٰهَ بِكُلِّ شَىْءٍ عَل يمٌ

ალლაჰმა ქააბა, სახლი ნაკრძალი (წმინდა), თვე ნაკრძალი, და შესაწირი ცხოველი და აქლემები სამკაულებშებმული ადამიანთა არსებობისთვის დაადგინა. ეს იმისთვის, რომ იცოდეთ, ალლაჰი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; და რომ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა. „ მაიდე 5/97. ”

გამომდინარე აქედან მოკრძალება და პატივისცემაა საჭირო არამარტო ამ ადგილის მიმართ, არამედ მათ მიმართ, ვინც მოსალოცად ჩავა. გარდა ამისა თუ თავდასხმის შემთხვევა არ არის ამ

წმინდა ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე ომი და სისხლისღვრა დაუშვებელია.

აიათში ნაბრაძანებია:

وَاقْتُلُوهُمْ حَيْثُ ثَقِفْتُمُوهُمْ وَأَخْرِجُوهُمْ مِنْ حَيْثُ أَخْرَجُوكُمْ وَالْفِتْنَةُ أَشَدُّ مِنَ الْقَتْلِ وَلَا تُقَاتِلُوهُمْ عِنْدَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ حَتَّى يُقَاتِلُوكُمْ فِيهِ فَإِنْ قَاتَلُوكُمْ فَاقْتُلُوهُمْ كَذَلِكَ جَزَاءُ الْكَافِرِينَ

მოჰკალით ისინი, სადაც წააწყდეთ მათ. და განდევნეთ იქიდან, საიდანაც მათ თვითონ თქვენ გამოგდევნეს. წნეხში ჩაგდება ხოცვა-ჟლეტაზე უარესია. და არ ეომოთ მათ მესჯიდი ჰარამთან, ვიდრე თვითონ არ გეომოთ იქ. ხოლო თუ თავს დაგესხმიან თქვენ, მაშინვე მოჰკალით. ასეთია ურწმუნოთა საზღაური.” ბაყარა 2/191. ”

წმ. შუამავალი ბრძანებდა: ”მხოლოდ ამ სამი მეჩეთისთვის ყოველნაირი მგზავრობა ღირს; მესჯიდი ჰარამ, ღვთის შუამავლის მეჩეთი და მესჯიდი აქსა!”

აღნიშნულ მეჩეთებში ნალოცი ლოცვის მადლის შესახებ წმ. შუამავალი ბრძანებდა: ”სხვაგან ნალოც ლოცვთან შედარებით მესჯიდი ჰარამში ნალოცი ლოცვი 100 ათასჯერ მეტია, ჩემს მეჩეთში ნალოცი ლოცვი ათასჯერ მეტია, ხოლო მესჯიდი აქსაში ნალოცი ლოცვი სხვა ადგილას ნალოც ლოცვზე ხუთასჯერ მეტია.”

ადრე, ქააბას ირგვლივ საცხოვრებელი სახლები იდგა და ტავაფის შესასრულებლად ვიწრო ადგილი იყო დატოვებული, ხოლო იქ შესვლა, სახლებს შორის დატოვებული ვიწრო ქუჩებიდან იყო შესაძლებელი. ხალიფა ომარის მმართველობის პერიოდში მუსლიმთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და შესაბამისად მომლოცველებს ქააბას ირგვლივ დარჩენილი ადგილი აღარ ჰყოფნიდათ. ამის გამო ქააბას ირგვლივ მდებარე რამოდენიმე სახლი შეისყიდეს, დაშალეს და სამლოცველოს ტერიტორია გააფართოეს. გარდა ამისა მეჩეთის ირგვლივ კაცის სიმაღლე გალავანი შემოარტყეს და მოგვიანებითაც ამ მეჩეთს კიდევ ბევრჯერ მოუწია როგორც რემონტი, ისე გაფართოება.

ებუ ჯაფერ მანსურის ვაჟის, მეჰდის დროში მესჯიდი ჰარამს ორჯერ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. ქააბასა და საის შესასრულებელ ადგილამდე მდებარე საცხოვრებელი სახლები აიღეს და სალოცავის ტერიტორიას მიამატეს. ქაიროდან 500-მდე ბოძი ჩამოიტანეს და საჭირო ადგილას დააყენეს, ხოლო მათზე გუმბათები ააშენეს. მოგვიანებით, ოსმალეთის იმპერატორის სულთან მეორე სელიმის ბრძანებით მეჩეთს ხუთწლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და

მარმარილოთი მოპირკეთდა. ამის შემდეგ ოსმალეთის სხვადასხვა იმპერატორები სხვადასხვა დროს არემონტებდნენ.

ბ) თენიმი

მექა და მისი შემოგარენი, კონკრეტული საზღვრების შიგნით მდებარე ტერიტორია, რომლის საზღვრებიც წმ. აბრაამს ანგელოზ ჯებრაილის მიითებით დაუდგენია ჰარემის ადგილი ეწოდება. არნიშნული საზღვრები, მოგვიანებით წმ. შუამავალმა მუჰამმედმა განაახლა. ეს საზღვრები ქააბადან თანაბარი მანძილით არ არის დაშორებული. ქააბადან ყველაზე ახლოს მდებარე საზღვარი 8 კმ-თაა დაშორებული.

მექაში და ჰარემის ტერიტორიაზე მცხოვრებლები უმრეს შესასრულებლად იჰრამში შესვლისათვის ჰარემის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გადიან და ისე შედიან იჰრამში. უმრეს შესრულებისთვის იჰრამში შესვლა, ჰანეფის და ჰანბელის მიხედვით თენიმში უფრო მეტი მადლია. ამ ადგილის შემდეგ მოდის ჯირანე, ხოლო შემდეგ ჰუდეიბიე.

გ) ადგილი, სადაც "აქაბეს შეფიცვა" შედგა

აქაბე ლექსიკონში აღმართს, ძნელად გადასასვლელ მთიან გზას, სახიფათო გასასვლელს ნიშნავს. ეს არის ადგილი, სადაც 621-622 წ. წმ. შუამავალი მედინელ მუსლიმებს პირველად შეხვდა. აქაბე მექადან 3 კმ-თაა დაშორებული და მექასა და მინას შორის მდებარეობს. ღვთის შუამავალი ყოველ წელიწადს მექაში ჩამოსულ მედინელებს ღმერთის სარწმუნოებას უხსნიდა. წმ. მუჰამმედის შუამავლობის მეთერთმეტე წელს 6 მედინელი გამუსულმანდა. მომდევნო წელს კი, ცნობილი "აქაბეს შეფიცვის" დროს მედინელი მუსლიმთა რაოდენობა უკვე თორმეტი იყო. აქაბეში მათ წმ. შუამავალს შეჰფიცეს, რომ იწამებდნენ ერთადერთ ღმერთს, ერთგულნი იქნებოდნენ წმ. შუამავლისა, არასოდეს დაიხევდნენ ღვთის გზაზე, არ მოიპარავდნენ და არ იმრუშებდენენ, არ დახოცავდნენ ბავშვებს და არ იქნებოდნენ ცილისმწამებელნი. ხოლო როდესაც უკან ბრუნდებოდნენ მუსაბ იბნ უმეირი თან წაიყვანეს, რათა მათთვის ისლამი შეესწავლებინა.

622 წელს კი წმ. შუამავალი 75 მუსლიმ მედინელს შეხვდა, რომელთა შორის 2 ქალბატონიც იყო. მედინელებმა წმ. შუამავალი თავიანთ ქალაქში მიიწვიეს. მაშინ წმ. შუამავლის ბიძამ აბბასმა, რომელიც იქ იმყოფებოდა მედინელებს ჰკითხა თუ შეძლებდნენ შუამავლის დაცვას. მედინელებმა დაიფიცეს, რომ საკუთარი ოჯახის წევრებივით დაიცავდნენ ღვთის შუამავალს. ამის თაობაზე დედამიწას შემდეგი აიათი მოევლინა:

فَاِنۡ تَابُوۡا وَاَقَامُوا الصَّلٰوةَ وَاٰتَوُا الزَّكٰوةَ فَاِخۡوَانُكُمۡ فِى الدِّيۡنِ ؕ وَنُفَصِّلُ الۡاٰيٰتِ لِقَوۡمٍ يَّعۡلَمُوۡنَ

უეჭველად, ალლაჰმა იყიდა მორწმუნეებისგან მათი სულნი და ქონება მათთვის სამოთხის სანაცვლოდ. ისინი იბრძვიან ალლაჰის გზაზე, ხოცავენ და იხოცებიან. ეს თევრათში, ინჯილში და ყურანში არსებული ჭეშმარიტი აღთქმაა. და ვინ ასრულებს აღთქმას ალლაჰზე უკეთ? მაშ, გიხაროდეთ თქვენი ვაჭრობა, რომელიც დადეთ მასთან. და სწორედ ეს არის უდიდესი წარმატება.”თევბე 9/111. ”

დ) ჰირას-ნურის გამოქვაბული

ჰირას გამოქვაბული მდებარეობს მექადან 5 კილომეტრში მდებარე ჰირას მთაზე. სწორედ ამ გამოქვაბულში მოევლინა ღვთის შუამავალს პირველი აიათები. ეს არის ბუნებრივი გამოქვაბული, რომლის შესასვლელიც ქააბას მიმართულებითაა მიქცეული. რადგანაც პირველი ზეშთაგონება და აიათები სწორედ აქ მოევლინა წმ. შუამავალს, მეორე სახელად ”სინათლის მთა” ეწოდა. იმ პერიოდში წმ. შუამავალი ხშირად გაერიდებოდა ხოლმე მექაში გაბატონებულ აღვირახსნილ ცხოვრების წესს და ჰირას გამოქვაბულში სამყაროს გამჩენზე ფიქრობდა. ერთხელაც წმ. შუამავალი მუჰამმედი 40 წლის ასაკში რომ იყო და ჩვეულებრივ ჰირას გამოქვაბულში ხანგრძლივ ფიქრებს მისცემოდა ანგელოზი ჯებრაილი მივიდა მასთან და ამცნო, რომ ის იყო ღვთის მიერ შერჩეული შუამავალი, ასწავლა განბანვა და ლოცვის ლოცვა. გარდა ამისა, ალაქის სურას პირველი ხუთი აიათი მოუვლინა.

წმ. შუამავალი შუამავლობის გამოცხადების შემდეგაც დადიოდა ჰირას გამოქვაბულში. ერთხელ კი, როდესაც წმ. შუამავალი თავის მეგობრებთან ერთად ჰირას მთაზე ავიდა მთამ რყევა დაიწყო. მაშინ კი შუამავალმა ბრძანა: ”დაწყნარდი, ჰეი, ჰირას მთავ!

ამჟამად შენს კალთებზე ვინც დგას, ან შუამავალია, ან ერთგული, ან კიდევ შაჰიდი!”

ებუ ჰურაირას გადმოცემით კი იმჟამად იქ იმყოფებოდნენ წმ. შუამავალი, წმ. აბუ ბაქარი, წმ. ომარი, წმ. ოსმანი, წმ. ალი, ტალჰა იბნ ზუბეირი და სად იბნ ები ვაქქასი.

ჰირას მთაზე მშრალი კლიმატის გამო მცენარეები არ ხარობს. მხოლოდ მცირე რაოდენობითაა ეკლოვანი მცენარეები. ეს გამოქვაბული დღესაც არსებობს და მომლოცველთათვის მოსანახულებელი ერთ-ერთი ადგილია.

ე) სევრის გამოქვაბული

ეს არის გამოქვაბული, სადაც წმ. შუამავალი და მისი უახლოესი მეგობარი აბუ ბაქარი მექადან მედინაში გადასვლის დროს ურწმუნოებს სამი დღის განმავლობაში ემალებოდნენ. სევრის მთა მექადან სამხრეთით, 5 კილომეტრში მდებარეობს. სევრას მთა რამოდენიმე გორაკისგან შესდგება, სადაც ბევრი დიდი და პატარა გამოქვაბულია. ის გამოქვაბული, სადაც წმ. შუამავალი და აბუ ბაქარი იმალებოდნენ სხვა გამოქვებულებისგან განსხვავდება. ის დასამალად უფრო ხელსაყრელია და თან ორი გასასვლელი აქვს. გამოქვაბული ძალიან დაბალია და ამიტომ იქ შესვლა მოხრილ მდგომარეობაში, ან ხოხვითაა შესაძლებელი.

610 წელს წმ. შუამავალმა მექადან მედინაში გადასვლის ბრძანება გასცა და მუსლიმებმა ჯგუფ-ჯგუფად მექადან მედინაში გადასვლა დაიწყეს. ამის მიზეზი მექელი ურწმუნოების მხრიდან გახშირებული თავდასხმები და ზეწოლა იყო. მაშინ ყურეიშელ თავკაცებს გადაწყვეტილი ჰქონდათ შეეპყროთ წმ. მუჰამმედი და ან გაესახლებინათ, ან მოეკლათ. ცალკეული გვარის წარმომადგენლების თანდასწრებით გამართულ შეკრებაზე ურწმუნოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ წმ. შუამავალი ღამით მოეკლათ და ეს თითო გვარიდან თითო კაცით დაკომპლექტებულ ჯგუფს უნდა შეესრულებინა. იმ ღამეს წმ. შუამავალმა თავის საწოლში წმ. ალი დატოვა და თვითონ იასინის სურას კითხვით მექას საზღვრებს გასცდა. მტერმა, რომელსაც ქალაქი დაცული ჰქონდა ვერ შეამჩნია მისი იქიდან გაღწევა, რადგან აიათში შემდეგი შინაარსის ბრძანება იყო:

وَجَعَلْنَا مِنْ بَيْنِ أَيْدِيهِمْ سَدًّا وَمِنْ خَلْفِهِمْ سَدًّا فَأَغْشَيْنَاهُمْ فَهُمْ لَا يُبْصِرُونَ

დავადგინეთ ზღუდე მათ წინ და ზღუდე მათ უკან, ამგვარად შევფუთეთ, უკვე ვერღა დაინახავენ!" იასინ 36/9."

წმ. შუამავალს თან ახლდა თავისი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი აბუ ბაქარი. მათ იცოდნენ, რომ მტერი უთვალთვალებდა. ამიტომ მედინას საპირისპირო მხარეს მდებარე სევრის გამოქვაბულს შეაფარეს თავი. გარდა ამისა მთის ძირას ამრ იბნ ფურეირე ცხვრებს აბალახებდა და ღამ-ღამობით მათთვის რძე და შეჭამანდი მოჰქონდა.

გამოქვაბულში პირველი აბუ ბაქარი შავიდა, დაასუფთავა, მოსასხამი შემოიხია და ხვრელებში გამოტენა, რათა გველი, ან მორიელი არ გომომძვრალიყო, მხოლოდ ამის შემდეგ დაუძახა წმ. შუამავალს. აბუ ბაქარს დარჩენილი ერთი ხვრელისთვის ნაჭერი აღარ ეყო და შიშველი ქუსლი მიაფარა. სწორედ იმ ხვრელში აღმოჩნდა გველი, რომელმაც აბუ ბაქარს ქუსლზე უკბინა. წმ. შუამავალს ამ დროს მის მუხლზე თავდადებულს ჩასძინებოდა. აბუ ბაქარი აუტანელი ტკივილისგან ტიროდა, მაგრამ არ ინძრეოდა, რადგან არ სურდა ჩაძინებული, ღვთის შუამავალი გაეღვიძებინა. სწორედ სიმწრის ცრემლების სახეზე დაცემამ გამოაღვიძა შუამავალი. მან თავისი ნერწყვი წაუსვა ნაკბენზე და მცირე ხანში აბუ ბაქარს ფეხი მოურჩა.

მაღაროს გასასვლელში ობობამ ქსელი გააბა, ხოლო მტრედმა იქვე ბუდე გაიკეთა. სანამ იქ მყოფების მტრები გამოქვაბულის შესასვლელს მიაგნებდნენ მტრედს კვერცხებიც კი დაედო.

ერთ მომენტში აბუ ბაქარს სისუსტემ სძლია და სასოწარკვეთაში ჩავარდა. უკვე ეგონა რომ მტრები შეიპყრობდნენ. მაშინ კი წმ. შუამავალმა ბრძანა: "აბუ ბაქარ, გამოქვაბულში მყოფ ორ ადამიანთან ერთად მესამე გამჩენი ღმერთია. როგორ გგონია, რა მოხდება?! "

ეს სიტუაცია ყურანშიცაა ახსნილი:

اِلَّا تَنْصُرُوهُ فَقَدْ نَصَرَهُ اللّٰهُ اِذْ اَخْرَجَهُ الَّذ ينَ كَفَرُوا ثَانِىَ اثْنَيْنِ اِذْ هُمَا فِي الْغَارِ اِذْ يَقُولُ لِصَاحِبِه لَا تَحْزَنْ اِنَّ اللّٰهَ مَعَنَا فَاَنْزَلَ اللّٰهُ سَك ينَتَهُ عَلَيْهِ وَاَيَّدَهُ بِجُنُودٍ لَمْ تَرَوْهَا وَجَعَلَ كَلِمَةَ الَّذ ينَ كَفَرُوا السُّفْلٰى وَكَلِمَةُ اللّٰهِ هِىَ الْعُلْيَا وَاللّٰهُ عَز يزٌ حَك يمٌ

და თუ არ შეეწევით მას, ალლაჰი შეეწია უკვე, როცა გამოაძევეს იგი მათ, რომელთაც უარყვეს, იგი ორთაგან ერთ-ერთი იყო, როცა გამოქვაბულში იყვნენ, უთხრა თავის მეგობარს : „ნუ სწუხხარ! უეჭველად, ალლაჰი ჩვენთანაა". მაშინ ალლაჰმა გარდმოუვლინა სიმშვიდე და შეეწია მეომრებით, რომლებიც უჩინარნი იყვნენ თქვენთვის. ალლაჰმა ურწმუნოთა სიტყვა დაამდაბლა, რამეთუ

მხოლოდ ალლაჰის სიტყვაა უზენაესი. და ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!" თევბე 9/40. "

სამი დღის განმავლობაში ქალაქში მომხდარ ამბებს აბუ ბაქარის ვაჟი აბდულლაჰი ატყობინებდათ. მეოთხე დღეს ამრი მოვიდა გზამკვლევად დაქირავებულ აბდულლაჰ იბნ ურეიქითთან და ორ აქლემთან ერთად და ეს ოთხკაციანი პატარა ქარავანი მედინასკენ გზას გაუდგა.

XX- მედინაში არსებული ძირითადი ღირსშესანიშნავი ადგილები

ა) ქალაქი მედინა და მედინას ჰარემი

მედინა, ეს არის მექას შემდეგ მეორე ქალაქი, რომელიც გამჩენმა წმინდა ადგილად დააწესა. 622 წელს, როდესაც წმ. შუამავალი მედინაში გადავიდა იქაური საზოგადოებისთვის შექმნა კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც მედინა იყო ქალაქი-სახელმწიფო და ეს კანონმდებლობა იქ მაცხოვრებელ ნებისმიერი ეროვნების, თუ რელიგიური წარმომავლობის ადამიანზე ვრცელდებოდა.

ქალაქ მედინაშიც არის ჰარემის ტერიტორია, რომელსაც მედინა და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს. ეს არის სამხრეთით მდებარე ართის და ჩრდილოეთით მდებარე სევრას მთებს შორის მდებარე ტერიტორია.

ჰადისში ნაბრძანებია, რომ: "მედინა, იქიდან აქამდე ჰარემია. ამ ტერიტორიაზე მყოფი ხეების მოჭრა არ შეიძლება და არც ისეთი საქმის კეთებაა მისაღები, რომლების წმ. წიგნსა და სუნნეთს არ შეესაბამება. ვინც აქ, წმ. წიგნისა და ყურანის საწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს გამჩენის, ანგელოზების და მთელი კაცობრიობის წყევლა მასზე იყოს!"

მედინაშე არამუსლიმების მიერ სამ დღეზე მეტი ხნით გაჩერება მიღებული არ არის. ხალიფა ომარის დროს, სავაჭროდ ჩამოსულ ქრისტიანებს და იუდეველებს სამ დღეზე მეტი ხნით გაჩერების უფლება არ ჰქონდათ.

ცნობილია, რომ წმ. შუამავალს მედინა ძალიან უყვარდა. ძალიან უყვარდა ეს ქალაქი წმ. ომარსაც, რადგან ის ღმერთს ევედრებოდა, რომ მისთვის შაჰიდობა ერგუნებინა და მისი სიკვდილი წმ. შუამავლის გვერდით მომხდარიყო.

ბ) მესჯიდი ნები

ეს არის მეჩეთი, რომელიც წმ. შუამავალმა თავის თანამოღვაწე მეგობრებთან ერთად მედინაში ჩასვლისთანავე ააგო. ცნობილია, რომ ამ მეჩეთის აგების დროს წმ. შუამავალიც სხვებთან ერთად მუშაობდა.

თავიდან ეს იყო ოთხკუთხედი შენობა, რომელსაც სამი კარი ჰქონდა, მაგრამ ჰიჯრადან 12 თვის შემდეგ ლოცვის მიმართულება მექასკენ შეიცვალა და მეჩეთის სამხრეთი კარი მიჰრაბად გადაკეთდა, ხოლო ჩრდილოეთით ახალი კარი გაიხსნა.

მეცეტს მიშენებული ჰქონდა წმ. შუამავლის ოჯახის სამყოფი ოთახები და აგრეთვე სხვა ოთახები, სადაც წერა-კითხვას და ისლამის რწმენას ასწავლიდნენ. იქვე იყო სათავსო, სადაც უსახლკარო ადამიანები და მგზავრები ღამეს ითევდნენ. აქ მოსული მგზავრები და მოწაფეების საჭიროებებს, ძირითადად ხელგაშლილი მუსლიმები აფინანსებდნენ. უსახლკაროები კი მუდმივად აქ ცხოვრობდნენ.

როდესაც წმ. შუამავალი გარდაიცვალა წმ. აიშას კუთვნილ ოთახში იქნა დასაფლავებული. მის გვერდით დაასაფლავეს ხალიფა აბუ ბაქარი და ომარიც.

გ) მესჯიდი ნებევის მადლი

მესჯიდი ნებევი არის დედამიწაზე არსებული იმ სამი წმინდა სალოცავიდან ერთ-ერთი, სადაც შეიძლება მორწმუნე ადამიანი მივიდეს და მოილოცოს. ამათგან პირველი, ზემოთ ნახსენები მესჯიდი ჰარამია. მის შემდეგ კი, ყველაზე მადლიან სამლოცველოდ მესჯიდი ნებევი ითვლება. სწორედ აქ არის ცნობილი "რავზაი მუტაჰჰარე" . წმ. შუამავალი ბრძანებდა: "ჩემი სახლიდან მინბერამდე არსებული ადგილი სამოთხის ბაღებიდან ერთ-ერთია."

წმ. შუამავალი ბრძანებდა, აგრეთვე, რომ " დედამიწაზე მხოლოდ ამ სამი მეჩეთისთვის შეიძლება გამგზავრება. ესენია: მესჯიდი ჰარამი, ჩემი მეჩეთი და მესჯიდი აქსა!"

”ვინც ჩემს მეჩეთში 40-მდე დროის ლოცვას შეასრულებს ჯოჯოხეთის ცეცხლს და განკითხვის დღის წამებას გადაურჩება”.

ზემოთ ნახსენებები ადგილი, რომელსაც ”რავზაი მუტაჰჰარე” ეწოდება და ამ მეჩეთში მდებარეობს სამოთხის ერთ-ერთ ნაწილად ითვლება და მისი ფართობი 200 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

დ) წმ. შუამავლის საფლავის მონახულება

თავდაპირველად, როცა უმეცრების ხანის გადმონაშთები ბატონობდა წმ. შუამავალმა საფლავის მონახულება აკრძალა, მაგრამ მოგვიანებით ისევ ნებადართულად გამოაცხადა. ჰადისში ნაბრძანებია: ”მე თქვენ საფლავების მონახულება აგიკრძალეთ. დღეის შემდეგ საფლავები მოინახულეთ, რადგან ის სიგვდილს გაგახსენებთ!”

წმ. შუამავალი 632 წელს გარდაიცვალა და ის, თავისი მეჩეთის მომიჯნავედ მდებარე საკუთარი სახლის ოთახში დაკრძალეს. იქვე მარხიან აბუ ბაქარი და ომარი. შემდეგ წლებში მეჩეთის ფართობი გაიზარდა და ეს საფლავები მეჩეთის კედლის შიგნით მოექცა. თუმცა ის კედლით და რკინის გისოსებითაა შემოსაზღვრული და თავისი გუმბათითურთ ცალკე ნაგებობას წარმოადგენს.

ისლამის სწავლულთა აზრით მომლოცველთა მიერ წმ. შუამავლის საფლავის მონახულება ვაჯიბის დონემდე მნიშვნელოვანია. მისი შეუსრულებლობა, საპატიო მიზეზის გარეშე ცოდვად და უპასუხისმგებლობად ჩაითვლება. წმ. შუამავალი ბრძანებდა: ”ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინც მომინახულებს იგივედ ჩაეთვლება, თითქოს სიცოცხლეშივე ვენახე!”

წმ. შუამავალი სხვა ჰადისებში მისი საფლავის მომნახულებელთ განკითხვის დღეს შემწეობას ჰპირდება.

მესჯიდი ნებევიში, წმ. შუამავლის საფლავთან ყოფნისას საჭიროა წმ. შუამავალზე და მის გვერდით დასაფლავებულ წმ. ადამიანებზე მისალმება. მეჩეთში ყოფნისას რაც შეიძლება მეტი ლოცვის ლოცვა და ვედრება.

მედინადან წამოსვლისას მომლოცველი კიდევ ერთხელ უნდა ესტუმროს წმ. შუამავლი საფლავს და გამოემშვიდობოს. თუ შე-

საძლებელია "რავზაი მუტაჰჰარე" -ში ორი მუხლი მადლიერების ლოცვიც უნდა შეასრულოს.

ე) ქუბას მეჩეთი

ქუბა მედინას ახლოს ერთ-ერთი დასახლებული პუნქტია. წმ. შუამავალი ჰიჯრის დროს, სანამ მედინაში შევიდოდა რამოდენიმე დღით ქუბაში დარჩა და იქ მეჩეთი ააგო. მისი მასპინძლები ამრ იბნ ავფის ვაჟები იყვნენ. მეჩეთის მშენებლობაში ქუბელი ხალხი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. განსაკუთრებით კი ამმარ იბნ იასირი გამოირჩეოდა.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: "ვინც ქუბას მეჩეთში ლოცვას ილოცავს უმრეს ტოლფასი მადლი დაეწერება!"

ვ) მესჯიდი ქიბლეთეინ

ამ მეჩეთის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ იქ შეიცვალა ლოცვის მიმართულება. მოგეხსენებათ, თავდაპირველად მუსლიმები მესჯიდი აქსას მიმართულებით ლოცულობდნენ, მაგრამ ჰიჯრით მეთექვსმეტე თვეს ლოცვის მიმართულება ქააბასკენ შეტრიალდა.

ეს მოვლენა ყურანში შემდეგნაირადაა აღწერილი:

قَدْ نَرٰى تَقَلُّبَ وَجْهِكَ فِي السَّمَاءِ فَلَنُوَلِّيَنَّكَ قِبْلَةً تَرْضٰىهَا فَوَلِّ وَجْهَكَ شَطْرَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَحَيْثُ مَا كُنْتُمْ فَوَلُّوا وُجُوهَكُمْ شَطْرَهُ وَاِنَّ الَّذِينَ اُوتُوا الْكِتَابَ لَيَعْلَمُونَ اَنَّهُ الْحَقُّ مِنْ رَبِّهِمْ وَمَا اللّٰهُ بِغَافِلٍ عَمَّا يَعْمَلُونَ

და ვინაა იმაზე დესპოტი, ვინც აუკრძალა ალლაჰის სალოცავებში მისი სახელი იხსენებოდეს და მოიწადინა მათი (სალოცავების) განადგურება? სწორედ ასეთებს მართებთ იქ შიშით შესვლა. მათთვისაა დამცირება სააქაოს და მძიმე სასჯელი საიქიოს!" ბაქარა 2/144"

وَمِنْ حَيْثُ خَرَجْتَ فَوَلِّ وَجْهَكَ شَطْرَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَاِنَّهُ لَلْحَقُّ مِنْ رَبِّكَ وَمَا اللّٰهُ بِغَافِلٍ عَمَّا تَعْمَلُونَ

وَمِنْ حَيْثُ خَرَجْتَ فَوَلِّ وَجْهَكَ شَطْرَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ وَحَيْثُ مَا كُنْتُمْ فَوَلُّوا وُجُوهَكُمْ شَطْرَهُ لِئَلَّا يَكُونَ لِلنَّاسِ عَلَيْكُمْ حُجَّةٌ اِلَّا الَّذِينَ ظَلَمُوا مِنْهُمْ فَلَا تَخْشَوْهُمْ وَاخْشَوْنِي وَلِاُتِمَّ نِعْمَتِي عَلَيْكُمْ وَلَعَلَّكُمْ تَهْتَدُونَ

საიდანაც გამოხვიდე, სახე მიაბრუნე მესჯიდი ჰარამისკენ, უეჭველად, ის ჭეშმარიტებაა შენი უფლისგან. უეჭველად, ალლაჰი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!

და საიდანაც გამოხვიდე, სახე მიაბრუნე მესჯიდი ჰარამისკენ, და სადაც არ უნდა იყოთ, მიაპყარით სახეები იმ მხარეს, რომ არ ჰქონდეს ხალხს მტკიცებულება თქვენ წინააღმდეგ, გარდა მათი, რომელთაც ჰქმნეს უსამართლობა. ნუ გეშინიათ მათი და გეშინოდეთ ჩემი, რათა სრულვჰყო წყალობა ჩემი თქვენდამი, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ. „ბაყარა 2/149-150”

ამ აიათის მოვლინებისთანავე მუსლიმების ლოცვის მიმართულება ქააბა გახდა. როდესაც ეს ამბავი აღნიშნულ მეჩეთში მიიტანეს მლოცველები სამხრობის ლოცვას ასრულებდნენ. იმამს ლოცვი არ შეუწყვეტია და პირდაპირ ლოცვის პროცესში ქააბასკენ შეტრიალდა. იგივენაირად შეტრიალდნენ მლოცველებიც. გამომდინარე აქედან ერთი ლოცვის შესრულებისას ლოცვის ორი მიმართულება დაფიქსირდა. ამიტომ ეწოდა ამ მეჩეთს ეს სახელი.

ზ) ბაყის სასაფლაო

წმ. შუამავლის მეჩეთის აღმოსავლეთით ბაყის სასაფლაო მდებარეობს, რომლის მონახულება მუსთეჰაბია. სწორედ აქ მარხია 10 ათასამდე მუსლიმი საჰაბე, რომლებსაც წმ. შუამავალთან ერთად უცხოვრია, მისი საუბარი და რჩევა-დარიგება მოუსმენია და ისლამის გავრცელებისთვის უბრძოლია.

ბაყის სასაფლაო თუ ღიაა შიგნით შესვლა შეიძლება, მაგრამ თუ ღია არ არის მნახველებს გარედანაც შეუძლიათ დაათვალიერონ და ლოცვა-ვედრება აღავლინონ. წმ. შუამავალი სასაფლაოს მონახულებისას მიცვალებულებს ესალმებოდა და ლოცვებს კითხულობდა.

თ) ჰენდექის ბრძოლის ადგილი

წმ. შუამავლის მიერ ურწმუნოთა წინააღმდეგ გამართული ერთერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა ჰენდექის ბრძოლა იყო. უჰუდის ბრძოლაში დამარცხებამ მუსლიმები ვერ გატეხა. ყურეიშელი ურწმუნოები კი გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ. მათ მიემხრნენ გატაფანის ტომის ხალხი და მათი მომხრე იუდეველები. ამგვარად 12 ათას კაციანი ლაშქარი შეგროვდა და მედინაზე თავდასხმა გადაწყვიტეს. როდესაც წმ. შუამავალმა ეს ამბავი გაიგო თათბირი მოიწვია და მედინას დაცვის გეგმა შეიმუშავეს.

სელმანი ფარისის აზრი მოწონებულ იქნა და მედინას მისადგომი მხრიდან ღრმა თხრილი შემოავლეს. ეს სამუშაოები ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. თხრილის სიგანე და სიღრმე საკმარისი იყო, რათა მომხვდურს ცხენითაც ვერ გადაელახა. იმ დროისათვის მუსლიმებს დაახლოებით 3 ათასამდე ბრძოლისუნარიანი მებრძოლი და 36 ცხენი ჰყავდათ.

ალყა ერთ თვეს გრძელდებოდა. მუსლიმებს საკვების მოპოვება და თავის გატანა უკიდურესად გაუჭირდათ. თუმცა ამ დროს გამჩენის დახმარებამ არ დააყოვნა. მოვარდნილმა ცივმა ქარიშხალმა მტრის კარვები გაიტაცა და მომხვდური შეაშინა. მათ ვეღარ შეძლეს შეშინებული მეომრებისა და დამფრთხალი ცხენების მობრუნება. ამიტომ იქაურობას გაეცალნენ. ამ მოვლენასთან დაკავშირებით შემდეგი აიათია მოვლინებული:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اذْكُرُوا نِعْمَةَ اللَّهِ عَلَيْكُمْ إِذْ جَاءَتْكُمْ جُنُودٌ فَأَرْسَلْنَا عَلَيْهِمْ رِيحًا وَجُنُودًا لَمْ تَرَوْهَا وَكَانَ اللَّهُ بِمَا تَعْمَلُونَ بَصِيرًا

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გახსოვდეთ ალლაჰის წყალობა თქვენდა, აკი, მოგადგათ ლაშქარნი. მაშინ ჩვენ მოვავლინეთ მათზე ქარი და ლაშქარნი, რომელსაც ვერ ხედავდით. და ალლაჰი ხედავს იმას, რასაც თქვენ სჩადიხართ!” აჰზაბ 33/9”

ი) უჰუდის შეჰიდების სასაფლაო

უჰუდის ბრძოლა ჰიჯრით მესამე წელს უჰუდის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე შედგა. ბედირის ბრძოლაში მექელებმა 70 მკვდარი და ერთი იმდენივე ტყვე დატოვეს, ამიტომ შურის საძიებლად 3 ათასიანი ლაშქარი შეკრიბეს და მედინასკენ დაიძრნენ. მათ შორის იყვნენ 14 ქალიც. განსაკუთრებული შურისძიების წყურვილით იყო შეპყრობილი ებუ სუფიანის მეუღლე ჰინდი.

წმ. შუამავალმა ათასკაციანი ჯარი მოამზადა და მტერთან შესახვედრად გაემართა. წმ. შუამავალს სურდა მებრძოლთა ნაწილს მედინა დაეცვა, მაგრამ ყველას ბრძოლის ველზე წასვლა უნდოდა. განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ბედირის ბრძოლაში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული. ამ დროს ორპირ მუსლიმთა ლიდერის, აბდულლაჰ იბნ უბეის მეთაურობით 300 კაცი გამოაკლდა მუსლიმთა ჯარს და 3000-იანი ჯარის პირისპირ დარჩნენ მხოლოდ 700 მებრძოლი.

წმ. შუამავალმა ჯარი მწყობრად განალაგა, ხოლო 50 -მდე მეის-

რეს უბრძანა გორაზე ყოფილიყვნენ ჩასაფრებული და შუამავლის ნებართვის გარეშე არაფრის დიდებით იქიდან ფეხი არ მოეცვალათ.

პირველივე შეტაკებისთანავე ურწმუნოთა ჯარმა უკან დაიხია. ამ დროს კი საჭირო იყო ბოლომდე მიყოლა და გამარჯვება, მაგრამ მუსლიმ მებრძოლთაგან ზოგიერთმა სიხარბე გამოიჩინა და ნადავლს დაუწყეს ძებნა. ასევე მოიქცნენ გორაზე ჩასაფრებული მეისრეების უმრავლესობაც, რომლებსაც აბდულლაჰ იბნ ჯუბეირი მეთაუროობდა. აბდულლაჰმა მათი შეჩერება ვერ შეძლო და ზურგიდან მოპარებულ მტრის 200 კაციან რაზმს 10 კაცით შეებრძოლა. ის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და ბოლოს შაჰიდად დაეცა. მუსლიმთა ჯარი ალყაში მოექცა. ამ დროს ებუ სიფიანის მეუღლის მონამ ვაჰშიმ წმ. შუამავლის ბიძა ჰამზა მიპარებით მოკლა და მუსლიმთა რიგებს ეს უმამაცესი მებრძოლიც გამოაკლდა. წმ. შუამავლის მეგობრები საკუტარი სიცოცხლის ფასად იცავდენსნ მას და მტერს მისი სიკვდილის ნება არ მისცეს.

ამ ომში მუსლიმთა ჯარიდან 70 მებრძოლი შაჰიდი გახდა და ბევრიც დაიჭრა. ებუ სუფიანმა, რომელიც მექელების ჯარს მეთაუროობდა მედინაზე გალაშქრება ვეღარ გაბედა და უკან გაბრუნდა.

ყურანში ნაბრძანებია:

وَلَا تَحْسَبَنَّ الَّذ ينَ قُتِلُوا ف ى سَب يلِ اللّٰهِ اَمْوَاتًا بَلْ اَحْيَاءٌ عِنْدَ رَبِّهِمْ يُرْزَقُونَ

და შენ არავითარ შემთხვევაში მკვდრად არ ჩათვალო ისინი, ვინც დაეცა ალლაჰის გზაზე, არამედ ცოცხალნი არიან, თავიანთ ღმერთთან იღებენ სარჩოს," ალი იმრან 3/169. "

კ) ბედირის სასაფლაო

ბედირის ბრძოლა ჰიჯრით მეორე წლს მოხდა. ეს ადგილი მედინადან სამხრეთ-აღმოსავლეთით 160 კმ-ში მდებარეობს.

ამ ბრძოლაშიც მორწმუნეთა ჯარი სამჯერ უფრო ნაკლები იყო. თუმცა ამის მიუხედავად მუსლიმებმა გამარჯვება შეძლეს. ცნობილია აგრეთვე, რომ ამ ბრძოლაში მორწმუნეთა ჯარს ღვთით წარმოგზავნილი ანგელოზები ეხმარებოდნენ. საბოლოოდ მუსლიმთა მხრიდან 14 შაჰიდი დაეცა, ხოლო ურწმუნოთა ჯარს- 70 მებრძოლი.

ნაწილი მერვე

მსხვერპლის შეწირვა ისლამში და მტკიცებულებები

ისლამის სარწმუნოებაში მსხვერპლის შეწირვა ჰიჯრით მეორე წელს დადგინდა. იგი განპირობებულია წმ. წიგნით, სუნნეთითა და იჯმას დადგენილებებით.

ყურანში მოცემულია ცნობები მსხვერპლშეწირვის ისტორიის შესახებ, რომლის სათავეც წმ. ადამამდე მიდის. ცნობილია აგრეთვე, რომ მსხვერპლშეწირვა, როგორც ღვთისმსახურება ისლამამდელ ზეციურ რელიგიებშიც არსებობდა.

ამ საკითხში ძირითადი საწყისი წმ. აბრაამს ეყრდნობა. ამიტომ მსხვერპლშეწირვა წმ. აბრაამიდან წამოსული საფუძვლიანი სუნნეთია. აღნიშნულ ღვთისმსახურებას საფუძვლად უდევს ცნობილი ამბავი აბრაამისა, რომელსაც ღმერთმა აღუსრულა ნატვრა და ვაჟიშვილი უწყალობა. თუმცა წინ იყო გამოცდა, რომლის თანახმადაც წმ. აბრაამს ეს ვაჟიშვილი მსხვერპლად უნდა შეეწირა. წმ. აბრაამმა წარმატებით შეასრულა დანაპირები და ვაჟიშვილის მსხვერპლად შეწირვა მტკიცედ გადაწყვიტა, მაგრამ ღმერთმა უბოძა მას მსხვერპლი, რომელიც წმ. აბრაამს თავისი ვაჟიშვილის მაგივრად უნდა შეეწირა. ყურანში ნაბრძანებია:

فَلَمَّا بَلَغَ مَعَهُ السَّعْىَ قَالَ يَا بُنَىَّ اِنّ ى اَرٰى فِى الْمَنَامِ اَنّ ى اَذْبَحُكَ فَانْظُرْ مَاذَا تَرٰى قَالَ يَا اَبَتِ افْعَلْ مَا تُؤْمَرُ سَتَجِدُن ى اِنْ شَاءَ اللّٰهُ مِنَ الصَّابِر ينَ

فَلَمَّا اَسْلَمَا وَتَلَّهُ لِلْجَب ينِ

وَنَادَيْنَاهُ اَنْ يَا اِبْرٰه يمُ

قَدْ صَدَّقْتَ الرُّءْيَا اِنَّا كَذٰلِكَ نَجْزِى الْمُحْسِن ينَ

اِنَّ هٰذَا لَهُوَ الْبَلٰٓؤُ الْمُب ينُ

وَفَدَيْنَاهُ بِذِبْحٍ عَظ يمٍ

وَتَرَكْنَا عَلَيْهِ فِى الْاٰخِر ينَ

سَلَامٌ عَلٰى اِبْرٰه يمَ

كَذٰلِكَ نَجْزِى الْمُحْسِن ينَ

اِنَّهُ مِنْ عِبَادِنَا الْمُؤْمِن ينَ

وَبَشَّرْنَاهُ بِاِسْحٰقَ نَبِيًّا مِنَ الصَّالِح ينَ

وَبَارَكْنَا عَلَيْهِ وَعَلٰى اِسْحٰقَ وَمِنْ ذُرِّيَّتِهِمَا مُحْسِنٌ وَظَالِمٌ لِنَفْسِه مُب ينٌ

როცა მიაღწია მასთან ერთად სეირნობის ასაკს, უთხრა: „შვილო ჩემო, უეჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა რას ჭვრეტ?“ მიუგო: „მამაჩემო! ჰქმენ რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენთაგან თუ იქნება ნება ალლაჰისა!“

როცა ორივე დამორჩილდა და მას შუბლი დაადებინა ძირს,

მაშინ ვუხმეთ: ჰეი, იბრაჰიმ!

„უთუოდ, ერთგულება გამოიჩინე სიზმართან მიმართებაში“. უეჭველად, ჩვენ ასე მივუზღავთ კეთილის მქმნელთ!

უეჭველად, ეს ცხადი გამოცდაა!

და გამოსასყიდად ვუბოძეთ მას უდიდესი შესაწირი.

და დავტოვეთ სახელი მისი მომდევნო თაობებში.

სალამი იყოს იბრაჰიმსა ზედა!

სწორედ ასე მივუზღავთ სიკეთის მქმნელთ!

უეჭველად, იგი ჩვენი მორწმუნე მსახურთაგანი იყო.

და ჩვენ გავახარეთ იგი ისჰაყით, შუამავლად კეთილისმქნელთაგან.

და გარდმოვსხით მადლი მასზე და ისჰაყზე. მათ შთამომავალთა შორისაა კეთილისმქმნელი და საკუთარი თავისადმი აშკარა უსამართლო. “საფფაფ“. 37/102-113.”

ყურანში პირდაპირი ბრძანება არ არის, რომ მდიდრებმა მსხვერპლი აუცილებლად უნდა შესწირონ. ამიტომ მსხვერპლის შეწირვა ფარზი არ არის. ებუ ჰანიფეს აზრით აღნიშნული ღვთისმსახურების შესრულება ვაჯიბია, ხოლო დანარჩენი მიმდინარეობების იმამები მიიჩნევდნენ, რომ ის-სუნნეთია.

ქევსერის სურაში არის მოწოდება, -“აღასრულე ლოცვი და მსხვერპლი შესწირე!”. ყველაზე სანდო მოსაზრების თანახმად აღნიშნული ლოცვი ბაირამის ლოცვია, ხოლო მსხვერპლი ბაირამის დღეებში შესაწირი მსხვერპლი.

მსხვერპლის შესახებ არსებობს მრავალი ჰადისიც.

“ის, თქვენი მამის, აბრაამის, სუნნეთია!”

“მსხვერპლის თითოეულ ბეწვში თითო სიკეთეა!”

“... უეჭველია, რომ მსხვერპლის სისხლი სანამ მიწაზე დაიღვრებოდეს, მანმადე ღმერთთან აღწევს!”

რა თქმა უნდა ღმერთს არც მსხვერპლის ხორცი სჭირდება და არც სისხლი. მასთან მორწმუნის კეთილი ზრახვა, ღვთისმსახურება და ღვთისმოშიშობა აღწევს.

ენესის გადმოცემის თანახმად, თავად უნახავს, როგორ შესწირა ღვთის შუამავალმა მსხვერპლი.

მსხვერპლის შეწირვის მიზანი იმ უთვალავ წყალობათა გამო ღვთისადმი მადლიერების გამოხატულებაა, რომელიც ადამიანს გამჩენმა უბოძა. გარდა ამისა მსხვერპლის შეწირვა ცოდვებისგან განწმენდის საშუალებაცაა.

შეწირული მსხვერპლის ხორცი შეიძლება მიირთვას, როგორც შემწირველის ოჯახის წევრებმა, ისე ღარიბებმა. ფითრის მოწყალების საფასური ფულის გაცემა მისაღებია, მაგრამ ღარიბებზე გასაცემი ხორცის საფასური ფულის გაცემა მიუღებელია.

ხორცი ადამიანების ყოველდღიური საჭიროებას წარმოადგენს. ამიტომ მსოფლიოში უამრავი საქონელი იკვლება. თუმცა ამ ხორცით მხოლოდ ისინი სარგებლობენ, ვისაც მისი ყიდვის საშუალება გააჩნია. მსხვერპლის ხორცით კი უმეტესწილად ამ მხრივ შეჭირვებული და საჭიროების მქონე ადამიანები სარგებლობენ.

მსხვერპლის შეწირვა და სახეობები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისლამის სწავლულთა მხრიდან მსხვერპლშეწირვა ვალდებულების მიხედვით ორ კატეგორიაში განიხილება.

1- შეხედულება, რომლის მიხედვითაც მსხვერპლის შეწირვა ვაჯიბია.

ჰანეფის მიხედვით მსხვერპლის შეწირვა ვაჯიბია. მტკიცებულება კი ქევსერის სურას აიათია, რომელიც ზემოთ წარმოგიდგინეთ.

აღნიშნულ აიათში არის ბრძანება, რომელიც შესრულებას მოითხოვს. აიათში არ არის მითითებული, რომ ეს ბრძანება მხოლოდ წმ. შუამავალს ეხება. ამიტომ ის მის მიმდევრებზეც ვრცელდება. თუმცა აიათში მრავლობითი ფორმა არ არის გამოყენებული, ამიტომ ის მტკიცებულებად გამოყენების დროს არაპირდაპირია. ამ მიზეზის გამო მსხვერპლშეწირვა არ არის ფარზი და ის ვაჯიბია.

ჰადისების თანახმად წმ. შუამავალი მსხვერპლის შეწირვას ბრძანებდა: "მსხვერპლი შესწირეთ, რადგან ის თქვენი წინაპრის, აბრაამის სუნნეთია!"

ამ ჰადისში წმ. შუამავალი თავის მიმდევრებს მსხვერპლის შეწირვას უბრძანებს. ბრძანება კი უფრო ვაჯიბს მოასწავებს, ვიდრე სუნნეთს.

"ვინც საშუალებას ნახავს და მსხვერპლს არ შესწირავს ჩვენს სალოცავს არ მოუახლოვდეს!"

მსგავსი ტიპის გაფრთხილება ვაჯიბის უგულებელყოფის შესმთხვევას გულისხმობს. სუნნეთი არის გზა, რომელსაც წმ. შუამავალი მიყვებოდა და სუნნეთი თავის მხრივ არ გამორიცხავს, რომ ესა თუ ის ღვთისმსახურება ვაჯიბია.

ამ საკითხთან დაკავშირებით აბდულლაჰ იბნ ომარს უთქვამს: "წმ. შუამავალი და მისი მიმდევრები მსხვერპლს სწირავდნენ და ამგვარად სუნნეთი ჩამოყალიბდა."

2- შეხედულება, რომლის თანახმადაც მსხვერპლის შეწირვა სუნნეთია.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით მსხვერპლის შეწირვა სუნნეთია, მისი შეუსრულებლობა კი-მექრუჰი.

აღნიშნული შეხედულების მატარებელი მიმდინარეობების იმამები მიიიჩნევდნენ, რომ ყურანში მსხვერპლის შეწირვის შესახებ პირდაპირი ბრძანება არ არის მოცემული და წმ. შუამავლის მიერი აღნიშნული ღვთისმსახურების სისტემატიურად შესრულება უფრო სუნნეთია, ვიდრე ვაჯიბი.

გარდა ამისა არსებობს სხვა მტკიცებულებებიც, რომელთა მიხედვითაც მსხვერპლის შეწირვა სუნნეთია. მათ შორისაა შემდეგი

ჰადისი, რომელსაც იბნი აბბასი გადმოგვცემს: “არსებობს სამი რამ, რომელთა შესრულება ჩემთვის ფარზია, ხოლო თქვენთვის –ნაფილე: ვითრის ლოცვი, მსხვერპლის შეწირვა და ქუშლუქის ლოცვი!”

გარდა ამისა, ცნობილია, რომ აბუ ბაქარი და ხალიფა ომარი მსხვერპლს არ სწირავდნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ადამიანებს მსხვერპლის შეწირვა ვაჯიბი არ ჰგონებოდათ. თუმცა ჰანეფის მიმდინარეობა ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის: ეს ორივე ხალიფა სახელმწიფო ხაზინიდან მხოლოდ იმდენ გასამრჯელოს ღებულობდა, რაც მათი და მათი ოჯახის შენახვას ჰყოფნიდა. ამიტომ მათი ქონება ზღვრულ რაოდენობამდე არ იყო ასული.

შაფის მიხედვით მორწმუნისათვის, რომელიც მარტო ცხოვრობს სიცოცხლეში ერთხელ მსხვერპლის შეწირვა სუნნეთი აინია. მათი შეხედულების თანახმად ბრძანება განმეორებას, და სისტემატიურად შესრულებას არ გულისხმობს და მისი ერთხელ შესრულებაც საკმარისია. თუ ოჯახში რამოდენიმე წევრია მსხვერპლის შეწირვა სუნნეთი ქიფაეა. იბნი სულეიმანის მიერ გადმოცემული ჰადისის თანახმად წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“ადამიანებო, ოჯახის მცხოვრებთათვის წელიწადში ერთხელ მსხვერპლის შეწირვაა საჭირო!”

გარდა ამისა ცნობილია, რომ წმ. შუამავალმა ორი ვერძი შესწირა, ერთი თავისი მიმდევრების სახელით, ხოლო მეორე მისი და მისი ოჯახის სახელით.

შევქანმა, როდესაც ყველა ჰადისი განიხილა, რომლებსაც მსხვერპლშეწირვის, როგორც ღვთისმსახურების სუნნეთად აღიარება ეყრდნობოდა განაცხადა, რომ არცერთი მათგანი არ იყო იმ სიძლიერის, რომ მტკიცებულებად ჩათვლილიყო.

მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის დღეებში ღვთისმსახურების მიზნით სხვა მსხვერპლის შეწირვაც ხდება. მაგ. შეპირებული შესაწირი, აქიქა მსხვერპლი, ჰაჯის შემსრულებელთათვის მადლიერების მსხვერპლი, ასევე ჰაჯის შესრულების დროს იჰრამის აკრძალულების უგულებელყოფის შემთხვევაში დაკისრებული საჯარიმო მსხვერპლის შეწირვა.

პირობები, რომლებსაც მსხვერპლის შემწირავი პიროვნება უნდა აკმაყოფილებდეს

პიროვნება მსხვერპლშეწირვის ვალდებულებისათვის შემდეგ 4 პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: 1) პიროვნებას უნდა გააჩნდეს გარკვეული რაოდენობის ქონება. 2) პიროვნება უნდა იყოს მუსლიმი. 3) პიროვნება უნდა იყოს ზრდასრული და გონებასრული. .4) პიროვნება უნდა იყოს ადგილობრივი. ანუ მგზავრად არ უნდა ითვლებოდეს. გამომდინარე აქედან არამუსლიმებს, პატარა ბავშვებს, ფსიქიკურად დაავადებულებს, მგზავრებსა და ღარიბებს მსხვერპლის შეწირვის ვალდებულება არ გააჩნიათ.

ჰანეფის მიხედვით მსხვერპლშეწირვის ვალდებულება იგივენაირად განისაზღვრება, როგორც ზექათი და ფითრის მოწყალება. ე.ი. პიროვნებას ძირითადი საჭიროებების გარდა 90 გრ. ოქრო, ან მისი საფასური ფული, ან სავაჭრო საქონელი უნდა გააჩნდეს. თუმცა მსხვერპლშეწირვის ვალდებულების განსაზღვრისას ქონების მატებადობა, ან ზღვრული რაოდენობის მიღწევის შემდეგ ერთი წლის გასვლა აუცილებელი არ არის. გამომდინარე აქედან ბაირამის დღეს, თუ მორწმუნეს ვალების და მომავალი წლისათვის საჭირო ძირითადი საჭიროებების გარდა 96 გრ. ოქრო (შარიათის საზომის მიხ. 81 გრ) ან მისი ექვივალენტის ფული, ან სავაჭრო საქონელი გააჩნია საჭიროა მსხვერპლი შეწიროს. გარდა ამისა მსხვერპლის შეწირვა იმ პიროვნებებსაც შეუძლიათ, რომლებიც ამ პირობას ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ მსხვერპლის შესყიდვა შეუძლია. ასევე შეიძლება მორწმუნემ ნისიად შეიძინოს მსხვერპლი და შესწიროს, თუ რა თქმა უნდა მისი გადახდის იმედი და შესაძლებლობა გააჩნია.

ებუ ჰანიფეს, ებუ იუსუფის, მალიქის და ჰანბელის მიმდინარეობების მიხედვით მსხვერპლშეწირვის ვალდებულებისათვის ზრდასრულობა და გონებასრულობა აუცილებელი პირობა არ არის. გამომდინარე აქედან, პატარა ბავშვებს და ფსიქიკურად დაავადებულებს თუ საკმარისი ქონება გააჩნიათ მათ მეურვეებს შეუძლიათ მათ მაგივრად მსხვერპლი შეწირონ. აქ ყურადღება გამახვილებულია მსხვერპლშეწირვის, როგორც ქონებრივი ღვთისმსახურების თვისებაზე.

იმამ მუჰამმედის და შაფის მიხედვით კი ასაკი და გონებასრულობა მსხვერპლსეწირვის ვალდებულებისათვის აუცილებელი პირობაა. ამიტომ ბავშვების და ფსიქიკურად დაავადებულების

ქონების გამო მეურვეებს მათი სახელით მსხვერპლის შეწირვა არ ევალებათ. გადაწყვეტილება (ფეთვა) ამ შეხედულების მიხედვითაა. პიროვნება თუ თავისი ქონებიდან ბავშვისთვის მსხვერპლს შეწირავს ეს მენდუფია.

დაქორწინებული მანდილოსნის ხარჯების გაღება ქმრისთვის ვაჯიბია. ამიტომ ცოლის ქონებაზე ძირითადი საჭიროებებისათვის ხარჯის გამოკლება საჭირო არ არის. თუ მისი ქონება ზღვრულ რაოდენობას აღწევს ვალდებულია მსხვერპლი შეწიროს.

ამ კატეგორიაში შემავალი მანდილოსნები და ზრდასრული შვილები პირდაპირ ვალდებულნი არიან მსხვერპლი შესწირონ, თუმცა მათი სახელით ქმარს, მშობელს შეუძლია შეწიროს.

ჰანეფის მიხედვით მგზავრს მსხვერპლის შეწირვა არ ევალება. ცნობილია, რომ ხალიფა აბუ ბაქარი და ხალიფა ომარი მგზავრობის დროს მსხვერპლს არ სწირავდნენ.

წმ. ალისგან შემდეგი ნათქვამია დაფიქსირებული:

“მგზავრისთვის არც ჯუმის ლოცვის ლოცვა და არც მსხვერპლის შეწირვა სავალდებულო არ არის!”

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვით მსხვერპლის შეწირვა მგზავრისთვისაც სუნნეთია. მალიქი მიხედვით ჰაჯის შესრულებისას ე.წ. “ჰედი” შესაწირის შეწირვა მგზავრისთვის სუნნეთია.

მსხვერპლის შეწირვისათვის შემდეგი აუცილებელი პირობა განზრახვაა. ცხოველი შეიძლება დაიკლას, როგორც ღვთისმსახურების მიზნით, ისე ხორცის, როგორც საკვების მოსაპოვებლად. ყოველი ქმედება ხომ განზრახვაზეა დამოკიდებული.

გარდა ამისა შეზიარებული მსხვერპლის შეწირვისას ყველას მონაწილის განზრახვა ღვთისმსახურების შესრულება და გამჩენის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს. მაგ. თუ აქლემია, ან ძროხის ჯიშის შესაწირს შვიდი ადამიანი ერთად სწირავს და მათ შორის ერთის მიზანი ხორცის მიღებაა არცერთის შესაწირი არ მიიღება.

მსხვერპლის შეწირვის დრო და ფორმა

მსხვერპლის შეწირვის დრო ბაირამის პირველი, მეორე და მესამე დღეა. თუმცა მსხვერპლის პირველივე დღეს შეწირვა უფრო მეტი მადლია.

მსხვერპლის შეწირვა ქალაქებში და მსგავს დასახლებულ პუნქტებში, სადაც ბაირამის ლოცვი სრულდება ბაირამის ლოცვის შემდეგ ხდება. ხოლო ისეთ ადგილებში სადაც ბაირამის ლოცვი არ სრულდება მსხვერპლის შეწირვა გათენების და არემარის განათების შემდეგ შეიძლება დაიწყოს. ეს არის დასაწყისი დრო. ხოლო მსხვერპლის შეწირვის ბოლო დრო ბაირამის მესამე დღეს მზის ჩასვლამდე მცირე ხნით ადრე ფიქსირდება. თუ მორწმუნე საპატიო მიზეზის გამო ბაირამის ლოცვის შესასრულებლად ვერ წავა უნდა დაელოდოს ლოცვის დასრულების დრომდე და შემდეგ მსხვერპლი შეწიროს. მსხვერპლის ღამეში შეწირვა მექრუჰია. ღამეში შეწირვის პროცესი ძნელდება და მორწმუნე შეიძლება რაღაცაში შეცდეს.

იბნი აზიბის გადმოცემით წმ. შუამავალი ბრძანებდა: “ამ დღეს ჩვენთვის უპირველესი საქმე ლოცვის ლოცვა და შემდეგ მსხვერპლის შეწირვაა. ვინც ასე მოიქცევა ჩვენს სუნნეთს მიჰყვება, ხოლო ვინც მანამდე მსხვერპლს დაკლავს ეს მსხვერპლი ოჯახისთვის საკვები ხორცის მეტი არაფერი იქნება!”

ენესის გადმოცემით წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“ვინც ბაირამის ლოცვამდე მსხვერპლს შეწირავს ხელახლა უნდა შესწიროს!”

ჰანეფის მსგავსად მალიქის და ჰანბეის მიმდინარეობების მიხედვით მსხვერპლის შეწირვის დრო ბაირამის პირველი, მეორე და მესამე დღეა.

შაფის მიხედვით კი მსხვერპლის შეწირვის დრო ბაირამის მეოთხე დღემდე გრძელდება და ბაირამის მეოთხე დღის საღამოს მთავრდება.

მსხვერპლი ქააბას მიმართულებით უნდა იქნას დაწვენილი და “ბისმილლაჰი ალლაჰუ ექბერ! –ფრაზის წარმოთქმით უნდა დაიკლას. მსხვერპლი თუ შესაძლებელია პატრონმა უნდა დაკლას, მაგრამ თუ არ შეუძლია სხვა მორწმუნე მუსლიმს დააკვლევინებს.

მსხვერპლის შემწირველი შეწირვის პროცესში მსხვერპლის

თავთან უნდა იდგეს და შემდეგი აიათი წაიკითხოს:

قُلْ اِنَّ صَلَاتِ ی وَنُسُكِ ی وَمَحْيَایَ وَمَمَاتِ ی لِلّٰهِ رَبِّ الْعَالَمِ ينَ

უთხარი: უეჭველად, ჩემი ლოცვა და შესაწირი ჩემი და სიცოცხლე და სიკვდილი ჩემი სამყაროთა ღმერთის, ალლაჰისთვისაა. “ ენღამ 6/162. “

მსხვერპლის შეწირვისას მხოლოდ შესაწირის პატრონის მიერ “ბისმილლაჰი ალლაჰუ ექბერ”-ის წარმოთქმა საკმარისი არ არის. იგივე ფრაზა იმ ადამიანმაც უნდა წარმოთქვას, ვინც მსხვერპლს კლავს. თუ ამ ფრაზას განგებ არ წარმოთქვამს მსხვერპლის ხორცის ჭამა მიუღებელია.

თუ შესაწირად გამზადებული ცხოველი ბაირამის მესამე დღის გასვლამდე არ დაიკლა, თუ ცოცხალია და სახეზეა ის ღარიბებს უნდა გადაეცეთ, ხოლო თუ აღარ არსებობს -მისი საფასური. მისი შემდეგი წლისთვის დატოვება მიუღებელია.

პიროვნებისთვის მსხვერპლის შეწირვა ვაჯიბი შეიძლება ბაირამის მესამე დღის ბოლომდე გახდეს. მაგ. თუ ბაირამის მესამე დღემდე პიროვნება გამდიდრდა და მსხვერპლშეწირვისთვის სხვა პირობებსაც აკმაყოფილებს მისთვის მსხვერპლის შეწირვა ვაჯიბი ხდება.

ამის საპირისპიროდ, თუ ბაირამის მესამე დღეს, მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე პიროვნება გაღარიბდა ან გარდაიცვალა მსხვერპლშეწირვის ვალდებულება ეხსნება.

თუ ხალხი ბაირამის დღის განსაზღვრისას შეცდომაში შევიდა და ბაირამის ლოცვის ლოცვის შემდეგ მსხვერპლი შეწირა, ხოლო შემდეგ გაირკვა, რომ ეს დღე ბაირამის წინა დღე ყოფილა ხელახლა მსხვერპლის შეწირვა აუცილებელი არ არის, რადგან ამგვარი შეცდომებისგან თავის დაცვა ზოგჯერ ძნელია.

ზილჰიჯჯეს მთვარის მეათე დღე თუ მზის ზენიტში შესვლამდე დაფიქსირდა ბაირამის ლოცვის ლოცვა შეიძლება. თუ შუადღის შემდეგ დაფიქსირდა, მაშინ იმ დღეს ბაირამის ლოცვის ლოცვა აღარ შეიძლება. ხოლო მსხვერპლის შეწირვა შეიძლება. ბაირამის ლოცვი კი მეორე დღეს უნდა შესრულდეს.

შესაწირი პირუტყვი დასაკლავ ადგილამდე ზედმეტი წვალების გარეშე უნდა იქნას მიყვანილი და ბასრი დანით დაიკლას. მაშინ

უნდა გატყავდეს, როდესაც შეწირული ცხოველის სხეული მოძრაობას სრულად შეწყვეტს. სასურველია შეწირული პირუტყვის პატრონმა პირველად გულ-ღვიძლი მიირთვას.

III-მსხვერპლის სახეობები და ნაკლოვანებები

მსხვერპლად მხოლოდ ცხვრის, თხის, აქლემის, და ძროხის ჯიშის პირუტყვის შეწირვა შეიძლება. კამეჩი ძროხის ჯიშად ითვლება. მამრსა და მდედრს შორის განსხვავება არ არის. თუმცა ცხვრის შემთხვევაში მამრის შეწირვა უფრო უმჯობესია. თხის შემთხვევაში თუ მამრი და მდედრი ფასის მიხედვით ერთნაირია მდედრის შეწირვა უფრო უკეთესია. ასევე აქლემი, ან ძროხის ჯიშის პირუტყვი თუ ხორცით და ფასით ერთნაირია მდედრის შეწირვა უმჯობესია.

ირემი, შველი, სხვა გარეული ცხოველები, ქათამი, ბატი და მსგავსი შინაური ფრინველის მსხვერპლად შეწირვა მიუღებელია.

ყურანში ნაბრძანებია:

وَلِكُلِّ أُمَّةٍ جَعَلْنَا مَنْسَكًا لِيَذْكُرُوا اسْمَ اللَّهِ عَلَى مَا رَزَقَهُمْ مِنْ بَهِيمَةِ الْأَنْعَامِ فَإِلَٰهُكُمْ إِلَٰهٌ وَاحِدٌ فَلَهُ أَسْلِمُوا وَبَشِّرِ الْمُخْبِتِينَ

ყოველი თემისთვის ჩვენ დავადგინეთ მსხვერპლშეწირვის ადგილი, რათა მათ ახსენონ ალლაჰის სახელი საქონელზე, რომელიც მან უბოძა. თქვენი ღვთაება ერთადერთი ღმერთია! მაშ, იყავით მისი მორჩილნი! შენ კი ახარე მორჩილთ!... “ ჰაჯ 22/34. “

გარდა ამისა, ცნობილია, რომ წმ. შუამავალს და მის მიმდევარ მეგობრებს ჩამოთვლილი ცხოველების გარდა სხვა პირუტყვი მსხვერპლად არ შეუწირავთ.

თხა და ცხვარი მინიმუმ ერთი წლის ასაკში უნდა იყვნენ. თუმცა ცხვარი თუ შვიდი-რვა თვისაა და ერთი წლის ასაკის მსგავსად გამოიყურება მისი მსხვერპლად შეწირვა დასაშვებია. აქვე იგულისხმება 6 თვის ბატკანი, რომელიც ერთი წლის მსგავსად გამოიყურება.

აქლემის მინიმუმ 5 წლის უნდა იყოს, ხოლო ძროხის ჯიშის პირუტყვი -2 წლის.

თხა ან ცხვარი მხოლოდ ერთმა პიროვნებამ შეიძლება შეწიროს, ხოლო აქლემი, ან ძროხა ერთიდან შვიდ ადამიანამდე შეზიარების მეთოდით შეიძლება შეიწიროს.

თუ პიროვნება შესაწირად მარტო იყიდის ძროხას ან აქლემს, ხოლო მოგვიანებით 6 ადამიანს შეიზიარებს და ერთად შეწირავენ შესაწირი მიღებულია, მაგრამ აქ ცოდვის საფრთხეა. უმჯობესია აღებული ფული მოწყალების სახით გასცეს.

შეწირული მსვერპლის ხორცის განაწილება აწონვით უნდა მოხდეს. შეხედულებით განაწილება მიუღებელია.

იმამ მალიქის შეხედულების თანახმად აქლემის ან ძროხის შეწირვა შვიდამდე და შვიდზე მეტ, ოღონდ ერთი და იმავე ოჯახის წევრებს შეუძლიათ, მაგრამ სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენლებს შვიდზე ნაკლებიც რომ იყონ ერთი მსხვერპლის შეწირვა არ შეუძლიათ.

ჯაბირი გადმოგვცემს:

“წმ. შუამავალთან ერთად ჰუდეიბიეში მსხვერპლი შევწირეთ. აქლემიც და ძროხაც შვიდ-შვიდი კაცისთვის შევწირეთ.”

სამსხვერპლოდ შესაწირი პირუტყვი შემდეგი ოთხი სახის ნაკლოვანების მიხედვით შეიძლება დავიწუნოთ: თუნდაც ცალი თვალიდან აშკარა სიბრმავე, აშკარა ავადმყოფობა, კოჭლობა და უკიდურესად სისუსტე.

ისლამის სწავლულებმა ამ ოთხ ნაკლოვანებასთან სხვა ნაკლოვანებების შედარების გზით ჩამოაყალიბეს ისეთი ნაკლოვანებები, რაც პირუტყვს შესაწირად გამოუსადეგარს ხდის. ეს ნაკლოვანებები ან იმავე ხარისხისაა, ან კიდევ უარესი. მაგ. ორივე, ან ერთი თვალიდან სიბრმავე, უკბილობა, ან კბილების უმრავლესობის დაცვენა, ყურების არ ქონა, ერთი, ან ორივე რქის ძირში მოტეხილობა. კუდის ნახევარზე მეტის არ ქონა, ძუძუების მოწყვეტა და მსგავსი.

ამდენად ნაკლოვანი პირუტყვის მსხვერპლად შეწირვა გამჩენის წინაშე მიუღებელია.

შესაწირი ცხოველი თუ ბრუციანი, კოჭლი, მოუთვინიერებელი, ნახევრად რქამოტეხილი, ყურგახვრეტილი, ან ყურზე სხვა ნიშნის მატარებელი, ან სასქესო ორგანო დაკარგულია მსხვერპლად შეიწირება.

თუ შეძენილ სამსხვერპლე პირუტყვს ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებიდან რომელიმე შემდეგში გამოუჩნდა საჭიროა სხვა შესაწირი შეირჩეს და შეიწიროს. თუმცა პიროვნება თუ ღარიბია

შეუძლია ასეთი ნაკლის მქონე პირუტყვი შეწიროს. უფრო მეტიც, ღარიბს შეუძლია ნაკლის მქონე პირუტყვიც კი შეიძინოს შესაწირად. მისი ღვთისმსახურება ხომ ნაფილეს კატეგორიაში შედის და ნაფილე ღვთისმსახურებას მეტი შეღავათები გააჩნია.

ჰანეფის გარდა სხვა მიმდინარეობების მიხედვითაც ზემოთ აღნიშნულ სიტუაციაში მდიდრისთვისაც საკმარისია იგივე მსხვერპლი შეწიროს.

მდიდრის მიერ შეძენილი შესაწირი თუ შეწირვამდე მოკვდა სხვა უნდა იყიდოს და შეწიროს, ხოლო ღარიბს მსგავსი რამ არ ევალება.

მდიდრის მიერ შეძენილი სამსხვერპლე პირუტყვის დაკარგვის, ან მოპარვის შემთხვევაში მდიდარი პიროვნება მის მაგივრად სხვას შეწირავს. ხოლო თუ ამის შემდეგ დაკარგული პირუტყვი გამოჩნდა მისი შეწირვა საჭირო აღარ არის, რადგან მსხვერპლის შეწირვის ვალდებულება შესრულებულია. ფეთვას საფუძვლად სწორედ ეს შეხედულება უდევს. მის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში არც ღარიბმა უნდა შეწიროს ხელმეორედ, რადგან აღნიშნული შესაწირის შეპირებულ შესაწირად ჩათვლა სუსტ შეხედულებას ეყრდნობა.

თუ დაკარგული, ან მოპარული შესაწირი პირუტყვი ბაირამის დღემდე გამოჩნდა, ხოლო მის მაგივრად სხვა სამსხვერპლე პირუტყვია შერჩეული მფლობელმა მნიშვნელობა არა აქვს მდიდარია ის თუ ღარიბი მათ შორის უკეთესი რომელიცაა ის უნდა შეწიროს.

შესაწირად ნაყიდი პირუტყვის გაყიდვა ცოდვასთან ერთად მიღებულია. ეს შეხედულება ებუ ჰანიფესა და იმამ მუჰამმედს ეკუთვნით. ასეთ შემთხვევაში მის მაგივრად იგივე ფასის, ან უფრო ძვირადღირებული მსხვერპლი უნდა შეწიროს. ებუ იუსუფის აზრით კი შესაწირად შეძენილი პირუტყვის გაყიდვა მიუღებელია.

თუ შესაწირი პირუტყვი შეწირვამდე იმშობიარებს მასთან ერთად შვილიც უნდა შეიწიროს. თუ არ შეიწირება და მფლობელი მას გაყიდის ფული მოწყალებად უნდა გაიცეს.

თუ მსხვერპლშეწირვის ვალდებულების მქონეთ თავიანთი შესაწირი პირუტყვები აერევათ და ერთიმეორისას დაკლავენ ორივეს თავთავიანთი მსხვერპლი ჩაეთვლება. თუ ხორცი არ არის განაწილებული ხორცს გაცვლიან. თუ ხორცი განაწილებულია ერთიმეორეს მიუტევებენ ზედმეტ-ნაკლებს ალალად გამოაცხადებენ.

III-შეწირული პირუტყვის ხორცი და სხვა ნაწილები

თუ შეწირული მსხვერპლი შეპირებული მსხვერპლის კატეგორიაში არ შედის მფლობელს შეუძლია მიირთვას და სხვებსაც გაუნაწილოს. მნიშვნელობა არ აქვს მდიდარია ის თუ ღარიბი. ასევე მისაღებია, როგორც ღარიბებისთვის განაწილება, ისე მდიდრებისთვისაც.

ისლამის სწავლულთა უმრავლესობის აზრით მსხვერპლის ხორცის სამ ნაწილად გაყოფა მუსთეჰაბია. ერთი ნაწილი მფლობელმა და მისმა ოჯახის წევრებმა უნდა მიირთვან, მეორე ნაწილი მეგობრებს, ახლობლებსა და ნათესავებს უნდა მიუძღვნას, თუნდაც ისინი მდიდრები იყვნენ. ხოლო მესამე ნაწილი იმ ღარიბებს უნდა დაუნაწილდეთ, რომლებმაც მსხვერპლის შეწირვა ვერ შეძლეს.

იბნი აბბასის გადმოცემით წმ. შუამავალი შეწირული ხორცის გადანაწილებისას შემდეგნაირად იქცეოდა: შეწირული პირუტყვის ხორცის ერთ მესამედს ოჯახის წევრებს მიართმევდა, ერთ მესამედს ღარიბ მეზობლებს, ხოლო ერთ მესამედს მოწყალებად გასცემდა.

გარდა ამისა, მორწმუნეს თუ მრავალრიცხოვანი ოჯახი ყავს და მდიდარი არ არის შეუძლია შეწირული ხორცი მთლიანად ოჯახში მიირთვან.

წმ. შაუამავალმა თავდაპირველად შეწირული ხორცის სამ დღეზე მეტი ხნით შენახვა აკრძალა, მაგრამ შემდეგ ისევ ბრძანა, რომ მორწმუნეს შეეძლო შეწირული ხორცი შეენახა.

შეპირებული მსხვერპლის ხორცის ჭამა შემპირებელს და მის ოჯახის წევრებს არ შეუძლიათ. ხოლო თუ შეჭამენ იმავე საფასურის მოწყალება უნდა გასცენ.

მსხვერპლი მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით იწირება, ამიტომ მისი ხორცის გაყიდვა, ან მისგან რაიმე სახის მოგების ნახვა მიუღებელია.

გამომდინარე აქედან, მსხვერპლის ხორცის, ტყავის, მატყლის, ძვლების, ქონის, თავის, ფეხების, რძის და ა. შ, გაყიდვა მექრუჰია. მნიშვნელობა არ აქვს მსხვერპლი ვაჯიბია თუ ნაფილე. თუ გაიყიდება აღებული ფული ღარიბებს უნდა გადაეცეთ.

სამსხვერპლე პირუტყვის ტყავი შესაბამის ადგილას საჩუქრად უნდა გაიცეს. თუ საჭიროება მოითხოვს მისგან სალოცავი საგების დამზადება შეიძლება. ამ მიზნით მფლობელს შეუძლია ტყავი

სახლში დაიტოვოს. მსხვერპლის დაკვლამდე მატყლის გაცლა მექრუჰია და მისი გაცლის შემთხვევაში საფასური ღარიბებს უნდა მიეცეთ. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ ტყავზე მატყლის გაცლა და გამოყენება შეიძლება. ტყავი არ უნდა გაიყიდოს და არც საკვებში გაიცვალოს. რაიმე სასარგებლო ნივთში მისი გაცვლა შეიძლება.

შეწირული პირუტყვის ხორცი, ისევე როგორც ზექათი ადგილობრივ მოსახლეობაში უნდა განაწილდეს. მაგრამ თუ აღნიშნულ ადგილზე საჭიროების მქონე ღარიბების რაოდენობა ხორცთან შედარებით ნაკლებია მორჩენილი ხორცი სხვა ადგილებშიც შეიძლება რომ დანაწილდეს. შესაძლებელია აგრეთვე ფულის სხვა ადგილებში გაგზავნა და იქ შეწირვის განხორციელება.

პიროვნებას შეუძლია საკუთარი ფულით სამსხვერპლე პირუტყვი შეიძინოს, შეწიროს და მადლი მიცვალებულს აჩუქოს. ასეთ შემთხვევაში ხორცის გამოყენება შეუძლიათ, როგორც მას და საკუთარი ოჯახის წევრებს, ისე სხვებზე გაცემაც შეიძლება. თუმცა გარდაცვლილი ადამიანის მოთხოვნის შესაბამისად თუ პიროვნება მსხვერპლს შეწირავს მის ხორცს ვერ გამოიყენებს. ის მთლიანად მოწყალებად უნდა გაიცეს.

შაფის მიხედვით თუ ნებართვა არ არის სხვის მაგივრად, ანუ სხვის სახელზე მსხვერპლის შეწირვა მიუღებელია.

მდიდრად ჩათვლილი ადამიანი, რომელსაც მსხვერპლის შეწირვა ევალება მის შესასრულებლად ვალდებულია მსხვერპლი შეწიროს. ამიტომ მსხვერპლის ღარიბებზე ჩუქებით, ან მისი საფასურის ფულის ღარიბებზე გადაცემით მსხვერპლშეწირვის ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. თუმცა რაიმე მიზეზით თუ მსხვერპლის შეწირვა ბაირამის მესამე დღეს, მზის ჩასვლამდე არ განხორციელდა, მაშინ ეს პირუტყვი მოწყალებად უნდა გაიცეს.

სხვა ზეციური რელიგიის მიმდევრების მიერ მსხვერპლის დაკვლა მექრუჰია, ხოლო ათეისტის, ან ცეცხლთაყვანისმცემლის მიერ სამსხვერპლე ცხოველის დაკვლა მიუღებელია.

შეწირული პირუტყვის ხორცის არამუსლიმებზე საჩუქრად გადაცემა მისაღებია.

Ⅳ-“აქიქა” მსხვერპლი

ახალშობილ ბავშვს თუ თავზე თანდაყოლილი თმა აქვს მას აქიქა ეწოდება. აქედან მოდის მსხვერპლშეწირვის ამ კონკრეტული რიტუალის სახელწოდებაც.

აღნიშნლი მსხვერპლის შეწირვა ჰანეფის მიხედვით მუბაჰი, ან მენდუფია. დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით სუნნეთი, ხოლო შაჰირის განშტოების მიხედვით კი -ვაჯიბი.

იბნი აბბასის გადმოცემის თანახმად წმ. შუამავალს თავის შვილიშვილების ხასანის და ხუსეინის დაბადებისას თითო ვერძი შეუწირავს და თავისი მიმდევრებისთვის ურჩევია ასე მოქცეულიყვნენ.

აღნიშნული მსხვერპლი ბავშვის დაბადებიდან ზრდასრულობამდე შეიძლება შეიწიროს. თუმცა მისი შეწირვა დაბადებიდან მეშვიდე დღეს უფრო მეტად მუსთეჰაბია. არსებობს რჩევა, რომლის თანახმადაც იმავე დღეს ბავშვზე სახელის დარქმევა, თმების შეკრეჭა და იმ თმის წონა ოქროს მოწყალების სახით გაცემა მისაღები საქციელია.

აღნიშნული მსხვერპლის შეწირვის მიზანი ბავშვის დაბადების მსგავსი სასიხარულო ამბავის ხალხზე შეტყობინება, ბედნიერების მათთან ერთად გაზიარება და ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობის გაუმჯობესებაა.

აღნიშნული მსხვერპლის ხორცი შეუძლია მიირთვას როგორც შემწირველმა, ისე მისმა ოჯახის წევრებმა და ახლო მეგობრებმა თუ ნათესავებმა. შეიძლება მისი ღარიბებზე განანილებაც.

Ⅴ-ახალდაბადებულ ბავშვთან დაკავშირებული საკითხები

ახალდაბადებული ბავშვისთვის დაბადებიდან მცირე ხნის გასვლისთანავე მარჯვენა ყურში ეზნის, ხოლო მარცხენაში ყამეთის წაკითხვა მუსთეჰაბია.

იბნი აბბასის გადმოცემით წმ. შუამავალს თავისი შვილიშვილის ხასანის დაბადებისას მარჯვენა ყურში ეზანი, ხოლო მარცხენაში ყამეთი წაუკითხავს.

ამრიგად ბავშვი დედამიწაზე მოვლენისას პირველად ეზნის ხმას

მოისმენს. ეზნის ხმაზე კი სატანა იქაურობას გაშორდება. ჰადისით ცნობილია, რომ ეზნის ხმის გაგონებაზე სატანა იქაურბას შორდება.

ახალდაბადებული ბავშვისთვის მარჯვენა ყურში შემდეგი აიათის წაკითხვა მუსთეჰაბია:

فَلَمَّا وَضَعَتْهَا قَالَتْ رَبِّ اِنِّ ی وَضَعْتُهَا اُنْثٰی وَاللّٰهُ اَعْلَمُ بِمَا وَضَعَتْ وَلَیْسَ الذَّکَرُ کَالْاُنْثٰی وَاِنِّ ی سَمَّیْتُهَا مَرْیَمَ وَاِنِّ ی اُع یذُهَا بِکَ وَذُرِّیَّتَهَا مِنَ الشَّیْطٰنِ الرَّج یمِ

და როცა შეეძინა იგი, თქვა: „ღმერთო ჩემო! აი, მე შემეძინა იგი გოგო.“ ალლაჰმა უკეთ უწყის, რაც შვა მან, თუმცა ვაჟი არ არის მსგავსი ქალის , „და დავარქვი მას მარიამი, და შენ გაბარებ მას და მის შთამომავლობას, ფარავდე ეშმაკისგან, ქვებით ჩასაქოლისგან!“”ალი იმრამ 3/36. “

ცნობილია აგრეთვე, რომ წმ. შუამავალმა ახალდაბადებულ ბავშვს მარჯვენა ყურში იჰლასის სურა წაუკითხა.

ახალდაბადებულ ბავშვს სასურველია ტუჩებზე ხურმა მოვუსვათ. ხოლო თუ ხურმა არ არის შეიძლება რაიმე ტკბილით შეიცვალოს.

ახალდაბადებულ ბავშვს იმავე დღეს არქმევენ სახელს. სახელის დარქმევა შეიძლება აგრეთვე მესამე, ან მეშვიდე ღამეს.

ახლადაბადებულ ბავშვზე ლამაზი სახელი დარქმევა სუნნეთია.

ბავშვზე ისლამის რწმენის საწინააღმდეგო მნიშვნელობის შემცველი სახელის დარქმევა მიუღებელია. ასეთებია მაგალითად ურწმუნოთა ლიდერების და ურწმუნოების სიმბოლოს გამოხატველი სახელები ფირავუნ, ნემრუდ და მსგავსი.

მიუღებელია აგრეთვე ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი და უსიამოვნო მეტსახელების შერქმევა. მაგ. კოჭლი, ბრუციანი, ჯუჯა და სხვა.

ლამაზი მეტსახელები კი მისაღებია, ისევე როგორც წმ. შუამავლის თანამებრძოლ მეგობრების მეტსახელები. მაგ. როგორებიც იყო ომერ ელ ფარუქ, ოსმან ზინნურეინ, სეიფულლაჰ და სხვა.

წმინდა და უზენაესის შესაფერისი სახელების ადამიანისთვის დარქმევა მიუღებელია, რადგან ამგვარი სახელები და ეპითეტები მხოლოდ და მხოლოდ უზენაეს ალლაჰს შეეფერება.

ნაწილი მეცხრე

ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები

- ალალი და არამი
- ოჯახური ცხოვრების შესახებ
- ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

I-ალალი და არამი

1-არსებობს თუ არა ალალის და არამის საზღვრები და რა და რა სახის შეიძლება იყოს ისინი?

გამჩენის მიერ ნებადართული ყოველი ქმედება და ქცევა ალალია. მისი საპირისპირო კი -არამი. ანუ ყოველი ქმედება და ქცევა, რომელიც გამჩენის მიერ კატეგორიულად აკრძალულია არამია. რაიმეს აკრძალულობა თუ მყარ მტკიცებულებას არა და სავარაუდო მტკიცებულებას ეყრდნობა –მექრუჰია. თუ მექრუჰი ალალთან უფრო ახლოა თენზიჰენი, ხოლო თუ არამთან უფრო ახლოა თაჰრიმენი ეწოდება.

თუ რაიმის შესახებ მყარი დებულება არ არის მოვლინებული ის ალალია. ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

هُوَ الَّذ ی خَلَقَ لَكُمۡ مَا فِی الۡاَرۡضِ جَم یعًا ثُمَّ اسۡتَوٰی اِلَی السَّمَاۤءِ فَسَوّٰىهُنَّ سَبۡعَ سَمٰوَاتٍ وَهُوَ بِكُلِّ شَیۡءٍ عَل یمٌ

იგია, რომელმაც ყოველივე თქვენთვის გააჩინა, რაცაა მიწაზე, შემდგომ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზეცისკენ აღაპყრო და გამოსახა შვიდ ცად მყარი წყობილება. იგი ყოველთა ყოვლისმცოდნეა. “ბაყარა 2/29“

اَلَمۡ تَرَوۡا اَنَّ اللّٰهَ سَخَّرَ لَكُمۡ مَا فِی السَّمٰوٰتِ وَمَا فِی الۡاَرۡضِ وَاَسۡبَغَ عَلَیۡكُمۡ نِعَمَهٗ ظَاهِرَةً وَّبَاطِنَةً ؕ وَمِنَ النَّاسِ مَنۡ یُّجَادِلُ فِی اللّٰهِ بِغَیۡرِ عِلۡمٍ وَّلَا هُدًی وَّلَا كِتَابٍ مُّن یرٍ

ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ ალლაჰია, და ყოველი, რასაც მოუწოდებენ, გარდა ალლაჰისა, სიცრუეა, და კიდევ იმიტომ, რომ ალლაჰი უზენაესია, დიდებულია! „ლოქმან 31/20 “

რაიმე ალალად რომ მივიჩნიოთ ამისათვის სამი გზა არსებობს: ა) ცნობილი უნდა იყოს, რომ ის ცოდვა არ არის. ყურანში ნაბრძანებია, რომ მკვდარი ცხოველის ხორცი, სისხლი, ღორის ხორცი და ა. შ. არამია, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, როცა სხვა გამოსავალი არ არის ზომიერების ფარგლებში მათი მიღება და საკვებად გამოყენება მისაღებია. აქ არის საპატიო მიზეზის გათვალისწინებით წარმოშობილი შეღავათის პრინციპი. ბ) მყარი მტკიცებულება იმისათვის, რომ ის ჰარამი არაა. გ) მყარი მტკიცებულება იმისა, რომ ის ალალია.

ისლამი რასაც კატეგორიულად კრძალავს არამია. სარწმუნოებაში რაიმის აკრძალვა მხოლოდ ალლაჰს და მის შუამავალს შეუძლიათ. აიათში ნაბრძანებია:

وَلَا تَقُولُوا لِمَا تَصِفُ أَلْسِنَتُكُمُ الْكَذِبَ هَٰذَا حَلَالٌ وَهَٰذَا حَرَامٌ لِتَفْتَرُوا عَلَى اللَّهِ الْكَذِبَ إِنَّ الَّذِينَ يَفْتَرُونَ عَلَى اللَّهِ الْكَذِبَ لَا يُفْلِحُونَ

და არ თქვათ ტყუილი, როგორც თქვენი ენა შეჩვეულია: ეს ნებადართულია, ეს კი - აკრძალულიო, რითაც შეთხზავთ სიცრუეს ალლაჰზე. უეჭველად, რომელნიც ალლაჰზე სიცრუეს თხზავენ, ვერ იქნებიან ნეტარნი! “ ნაჰლ 16/116”

რაიმის არამობა რომ დავადგინოთ საჭიროა: ა) უნდა არსებობდეს ამ საკითხთან დაკავშირებული და კატეგორიული აკრძალვის შემცველი აიათი, ან მყარი ჰადისი. ბ) აიათით ან მყარი ჰადისით დამტკიცებული, რომ ესა თუ ის ქმედება ალალი აღარ არის. გ) აიათით ან ჰადისით რაიმე ქმედების აშკარად და პირდაპირი მნიშვნელობით დაგმობა. დ) აიათით ან ჰადისით რაიმე ქმედებისგან განშორებისკენ მოწოდება.

არამი შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. პირდაპირია მაგალითად მრუშობა, მაგრამ მრუშობის შესაძლო გამომწვევი სიშიშვლე არაპირდაპირი არამია. ასეთია მაგალითად ჯუმის ლოცვის დროს ვაჭრობა. სინამდვილეში ვაჭრობა ალალია, მაგრამ ჯუმის ლოცვის დროს არამია.

2) რომელი ცხოველის ხორცის ჭამაა მიღებული?

ყურანში ნაბრძანებია, რომ დედამიწაზე რაც არსებობს ყველაფერი ადამიანისთვის სასარგებლოდ და წყალობადაა გაჩენილი. ყურანში არ არის ჩამოთვლილი ის ცხოველები, რომელთა ხორცის ჭამა ალალია. იქ მხოლოდ მითითებულია, რომ კარგი და სუფთა რამეები ალალია, ხოლო ცუდი და ბინძური რამეები – არამი.

ყურანში ნაბრძანებია:

اِنَّمَا حَرَّمَ عَلَيْكُمُ الْمَيْتَةَ وَالدَّمَ وَلَحْمَ الْخِنْزِيرِ وَمَا اُهِلَّ بِهٖ لِغَيْرِ اللّٰهِ فَمَنِ اضْطُرَّ غَيْرَ بَاغٍ وَّلَا عَادٍ فَلَا اِثْمَ عَلَيْهِ اِنَّ اللّٰهَ غَفُوْرٌ رَّحِيْمٌ

მან ხომ მხოლოდ ლეში, სისხლი და ღორის ხორცი აგიკრძალათ თქვენ და ის, რაც დაიკლა ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად. ხოლო ის, ვინც იძულებული იყოს, და არ დაარღვევს (სხვის) უფლებას, და ზღვარს არ გადავა , არ იქნება ცოდვად მათთვის. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია! “ ბაყარა 2/173,

حُرِّمَتْ عَلَيْكُمُ الْمَيْتَةُ وَالدَّمُ وَلَحْمُ الْخِنْزِيرِ وَمَا اُهِلَّ لِغَيْرِ اللّٰهِ بِهٖ وَالْمُنْخَنِقَةُ وَالْمَوْقُوذَةُ وَالْمُتَرَدِّيَةُ وَالنَّطِيحَةُ وَمَا اَكَلَ السَّبُعُ اِلَّا مَا ذَكَّيْتُمْ وَمَا ذُبِحَ عَلَى النُّصُبِ وَاَنْ تَسْتَقْسِمُوا بِالْاَزْلَامِ ذٰلِكُمْ فِسْقٌ اَلْيَوْمَ يَئِسَ الَّذِينَ كَفَرُوا مِنْ دِينِكُمْ فَلَا تَخْشَوْهُمْ وَاخْشَوْنِ اَلْيَوْمَ اَكْمَلْتُ لَكُمْ دِينَكُمْ وَاَتْمَمْتُ عَلَيْكُمْ نِعْمَتِي وَرَضِيتُ لَكُمُ الْاِسْلَامَ دِينًا فَمَنِ اضْطُرَّ فِي مَخْمَصَةٍ غَيْرَ مُتَجَانِفٍ لِاِثْمٍ فَاِنَّ اللّٰهَ غَفُوْرٌ رَّحِيْمٌ

დღეიდან თქვენთვის საკვებად ნებადართულია ყველაფერი, რაც რამ კარგი და სუფთაა. ნებადართული გაქვთ იმათი საჭმელიც, ვისაც ებოძათ ღვთიური წიგნი , ასევე მათაც შეუძლიათ მიირთვან თქვენი საკვები. ნებადართულია თქვენთვის ცოლად მოიყვანოთ პატიოსანი და მორწმუნე ქალები, ასევე წესიერი ქალები მათგან, ვისაც თქვენზე ადრე მიეცათ ღვთიური წიგნი , და თუკი გადაუხდით ურვადს, ნება გაქვთ ცოლად შეირთოთ არა გარყვნილების მიზნით და არა საყვარლად. ვინც სარწმუნოებას უარყოფს, უკვე ფუჭია მისი საქმენი და საიქიოში წაგებულნი იქნებიან. „მაიდე 5/3 ,

وَكَتَبْنَا لَهٗ فِي الْاَلْوَاحِ مِنْ كُلِّ شَيْءٍ مَوْعِظَةً وَتَفْصِيلًا لِكُلِّ شَيْءٍ فَخُذْهَا بِقُوَّةٍ وَاْمُرْ قَوْمَكَ يَاْخُذُوا بِاَحْسَنِهَا سَاُرِيكُمْ دَارَ الْفَاسِقِينَ

და ჩვენ დავუწერეთ მას დაფებზე რჩევა-დარიგება ყველაფერზე და განმარტება ყველაფრისა. მაშ, გეჭიროს მყარად და უბრძანე შენს ხალხს საუკეთესოდ მისდიონ ამას! მე კი მალე გაჩვენებთ ცოდვილთა სამყოფელს. „ეღრაფი 7/145. “

პირველ აიათში ნაბრძანებია, რომ მკვდარი ცხოველის ლეში, სისხლი და გამჩენის გარდა სხის სახელზე დაკლული პირუტყვის ხორცი არამია. მეორე აიათში დამატებით განარტებულია, რომ მკვდარი პირუტყვი რა შემთხვევებში შეიძლება იყოს მომკვდარი, რათა მისი ხორცის ჭამა არამი გახდეს.

სხვა ცხოველების ხორცის შესახებ მოქმედებს ყურანის ის დებულება, რომლის მიხდვით კარგი და სუფთა რამეები ალალია, ხოლო ცუდი და ბინძური რამეები – არამი. ამას ემატება წმ. შუამავლის ჰადისები და ისლამის სწავლულთა გადაწყვეტილებები. ამ კატეგორიაში შედის ცხოველები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო ბინძური საკვებით იკვებებიან და აგრეთვე ისინი, რომელთა მიმართ ადამიანი ზოგადად ზიზღს გრძნობს. თუმცა ამ მხრივ გარკვეული განსხვავება შეინიშნება. განსხვავებას განაპირობებს გარემო, კულტურული და გეოგრაფიული პირობების სხვადასხვაობა.

აიათის და ჰადისის განმარტებების საფუძველზე ცხოველები შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დავყოთ:

ა) მტაცებელი ცხოველები, რომლებიც კბილების გამოყენებით ნადირობენ: მგელი, დათვი, ვეფხვი, ლომი, ღორი, მელა, ძაღლი და ასე შემდეგ.

ყურანში ღორის ხორცი პირდაპირი მნიშვნელობითაა აკრძალული.

ბ) ბრჭყალებით და კლანჭებით მონადირე ცხოველები: არწივი, ქორი, შევარდენი, ყვავი, ღამურა და სხვა. შეიძლება ფრინველს ბრჭყალები ჰქონდეს, მაგრამ მათი საშუალებით ნანადირევის მოპოვება არ შეეძლოს. ასეთი ფრინველების ჭამა შეიძლება. მაგ. მტრედი.

გ) ზოგადად ზიზღის გამომწვევი ცხოველები: თაგვი, გველი, ვირთხა, ტარაკანი, ობობა, ბაყაყი და სხვა. თუმცა სხვადასხვა კულტურის და ტრადიციების მქონე ხალხს ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეს. მაგ. არსებობს ქვეყნები, სადაც ბაყაყის ხორცს მიირთმევენ და არავითარ ზიზღს არ გრძნობენ.

დ.) გამჩენის გარდა სხვისი სახელით დაკლული ცხოველის ხორცი არამია. ამიტომ პირუტყვის დაკვლიხან, ან ნადირობის დროს სროლის წინ ღმერთის სახელის ხსენება აუცილებელია (ბისმილლაჰ). დავიწყების შემთხვევა გამონაკლისია და ასეთი რამ მისაღებია. თუმცა განზრახ ღმერთlს სახელის ხსენების უგულებელყოფა ცხოველის ხორცს არამს ხდის. იმამ სეფიის მიხედვით თუ მორწმუნე ბესმელეს დაკვლიხან არ წარმოთქვამს, ჭამის დროს წარმოთქმა საკმარისია, რადგან დაკვლიხან ბესმელეს წარმოთქმა მუსთეჰაბია. კერპის, ან ადამიანის განდიდებისათვის დაკლული პირუტყვის

ხორცის ჭამა არამია. ყურანში შემდეგია ნაბრძანები:

وَمَا لَكُمْ اَلَّا تَاْكُلُوا مِمَّا ذُكِرَ اسْمُ اللّٰهِ عَلَيْهِ وَقَدْ فَصَّلَ لَكُمْ مَا حَرَّمَ عَلَيْكُمْ اِلَّا مَا اضْطُرِرْتُمْ اِلَيْهِ وَاِنَّ كَثِيرًا لَيُضِلُّونَ بِاَهْوَائِهِمْ بِغَيْرِ عِلْمٍ اِنَّ رَبَّكَ هُوَ اَعْلَمُ بِالْمُعْتَدِينَ

და რა გემართებათ თქვენ, რომ არ მიირთმევთ იმას, რაზეც ალლაჰის სახელია ნახსენები, რამეთუ მან უკვე განგიცხადათ რაც აკრძალა თქვენთვის, იმის გამოკლებით, თუკი იძულებული იყოთ თქვენ. უეჭველად, მათგან უმეტესნი უვიცობით გზას აცდნენ თავიანთი ვნებებით. უეჭველად, ღმერთმა შენმა ყველაზე უკეთ უწყის, ზღვარგადასულნი ვინც არიან. “ ენაღამ 6/119.

وَلَا تَاْكُلُوا مِمَّا لَمْ يُذْكَرِ اسْمُ اللّٰهِ عَلَيْهِ وَاِنَّهُ لَفِسْقٌ وَاِنَّ الشَّيَاطِينَ لَيُوحُونَ اِلٰى اَوْلِيَائِهِمْ لِيُجَادِلُوكُمْ وَاِنْ اَطَعْتُمُوهُمْ اِنَّكُمْ لَمُشْرِكُونَ

და არ მიირთვათ ის, რაზეც ალლაჰის სახელი არ არის მოხსენიებული ! უეჭველად, იგი ჭეშმარიტი გზიდან აცდენაა. და ნამდვილად ეშმაკნი ჩასჩურჩულებენ თავიანთ მეგობრებს , რათა გეკამათონ თქვენ . და თუ დაჰყვებით მათ, უეჭველად, თქვენ წარმართთაგანი იქნებით! „ენღამ 6/121. “

ამათ გარდა დარჩენილი ცხოველების ხორცის ჭამა მუბაჰია, ანუ დასაშვებია.

ისლამის სწავლულთა შორის ზოგიერთ ცხოველთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მაგ. ჰანეფის და შაფის მიხედვით დათვის ხორცის ჭამა არამია, ხოლო მალიქი და ჰანბელი თვლიან, რომ ის ალალია.

რაც შეეხება ცხენს, ვირსა და ჯორს, ვირისა და ჯორის ხორცის არამობის შესახებ ისლამის სწავლულთა მხრიდან აზრთა თანხვედრა არსებობს. ხოლო რაც შეეხება ცხენს, ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის და მიმდინარეობათა უმრავლესობის მიხედვით მისი ხორცი ალალია, ხოლო ებუ ჰანიფეს აზრით ცხენის ხორცის ჭამა მექრუჰია.

ცხოველის რძე სწავლულთა აზრით იგივენაირად განიხილება, როგორც ხორცი. თუმცა ადამიანის ხორცი არამია, მაგრამ ადამიანის რძე ბავშვისთვის ალალია. თუ ცხენის ხორცთან შედარების გზით ცხენის რძეც არამი, ან მექრუჰია მიმდინარეობებათა შეხედულების თანახმად ალაია, რადგან ცხენის ხორცის აკრძალვის მიზეზია არა მისი სიბინძურე, არამედ ცხენის, როგორც ომში გამოსადეგი საჭირო ცხოველის.

მალიქის მიმდინარეობის ნაწილი სწავლულების აზრით ლომის,

ვეფხვის და მსგავსი მტაცებელი ცხოველების ხორცი ალალია, ხოლო მეორე ნაწილის აზრით – მექრუჰი. მალიქის მიხედვით მექრუჰია აგრეთვე არწივის, ქორის და მსგავსი მტაცებელი ფრინველების ხორციც.

მელიას ხორცის ჭამა ებუ იუსუფის, იმამ მუჰამმედის, შაფიის და მალიქის მიმდინარეობის სწავლულთა ერთი ნაწილის მიხედვით ალალია.

ჟირაფის ხორცი შაფიის მიხედვით არამია, ხოლო დანარჩენი სამი მიმდინარეობის მიხედვით –ალალი.

3) წყალში მცხოვრები არსებებიდან რომელი ა ალალი და რომელი არამი?

ყურანში ნაბრძანებია, რომ წყალში მცხოვრები არსებების ხორცი ალალია. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ ზღვა სუფთაა და მისი ბინადარნიც სუფთა არიან.

გამომდინარე აქედან მუდმივად წყალში მცხოვრები არსებები, რომლებიც თევზის კატეგორიაში შედიან და ხმელეთზე ცხოვრება არ შეუძლიათ ყველა ალალია. მათი დაკვლა საჭირო არ არის. თუმცა ჰანეფის მიხედვით თავისით მომკვდარი და წყლის ზედაპირზე ამოტივტივებული თევზის ხორცის ჭამა მიუღებელია. აქ მხედველობაში მიიღება ადამიანის ჯანმრთელობა, რამეთუ ამ შემთხვევაში ცნობილი არ არის როდის მოკვდა თევზი. დიდი ხნის მკვდარი თუა შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას. წყლის მიმოქცევის, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების და სხვა მსგავსი მიზეზის გამო მომკვდარი თევზის ჭამა მისაღებია.

დელფინი, გველთევზა და სხვა მსგავსი არსება, რომელიც თევზის სახელს ატარებს ალალია. ამათ გარდა წყლის იმ ცხოველების ხორცის ჭამა, რომლებიც ადამიანში ზიზღს იწვევენ, ან თევზებს არ ჰგვანან მიუღებელია.

ჰანეფის გარდა ყველა სხვა მიმდინარეობის მიხედვით მხოლოდ წყალში მცხოვრები ნებისმიერი არსების ხორცის ჭამა ალალია, თუნდაც თავისით მკვდარი იყოს.

რაც შეეხება ისეთ არსებებს, რომლებსაც წყალშიც შეუძლიათ არსებობა და ხმელეთზეც(ნიანგი, კუ, გველი) სამ კატეგორიაში განიხილებიან: ა) ჰანეფის და შაფის მიხედვით მათი ხორცის ჭამა მიუღებელია. ბ) მალიქის მიხედვით ამ კატეგორიის ცხოველების ხორცის ჭამა მისაღები და ალალია. გ) ჰანბელის მიხედვით კი ნიანგის, ბაყაყის და კუს გარდა სხვა ამ კატეგორიაში შემავალი არსებების ხორცის ჭამა მისაღებია.

4) როგორ განიხილება ისლამში ალკოჰოლური სასმელები?

ალკოჰოლი ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისთვის მავნებელია. ამიტომ ყველა ზეციური რელიგიების მიერ აკრძალულია.

იუდაიზმის წმინდა წიგნ თორაში არის მოწოდება არ დალიონ ღვინო და განასხვავონ ერთმანეთისაგან სიწმინდე და სიბინძურე.

ბიბლიაში ნათქვამია: “როდესაც ისინი საჭმელს მიირთმევდნენ იესომ აიღო პური, წარმოთქვა მადლიერების ლოცვა, დააქუცმაცა ის და მოციქულებს გადააწოდა. თქვა, რომ, მიერთვათ ის, რადგან ის იყო ხორცი მისი. შემდეგ აიღო თასით ღვინო, წარმოთქვა ლოცვა და უთხრა, რომ დაელიათ, რადგან ის იყო სისხლი მისი.

რაც შეეხება ისლამს, მექაში მოვლენილ აითში ნახსენები იყო ხურმისა და ყურძნისგან დამზადებული სასმელი. თუმცა მისი აკრძალულობა არ ფიქსირდებოდა. მოგვიანებით კი, მედინაში სასმელისგან გამომდინარე წარმოშობილი ზიანი აშკარა გახდა და წმ. ომარის თხოვნით წმ. შუამავალმა ლოცვა აღავლინა, რათა ღვინის შესახებ გამჩენისგან აიათი მიეღო. მოვლენილ აიათში ნათქვამი იყო, რომ ღვინოს გააჩნდა როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები, მაგრამ საზიანო მხარე უფრო მეტი იყო. ამის შემდეგ აბდურრაჰმან იბნ ავფის მიერ გამართულ წვეულებაზე საღამოს ლოცვის დროს ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ მყოფ იმამმა ყურანის აიათი შეცდომით წაიკითხა. ამის თაობაზე მოვლენილ იქნა წმ. აიათი სადაც ნაბრძანები იყო, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი, სანამ არ ეცოდინებოდა რას ამბობდა ლოცვას არ უნდა მიახლოებოდა. ზემოთ ნახსენები აიათები პირდაპირ და მთლია-

ნად არ კრძალავდა ღვინოს. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დრო ახლოს იყო.

ამის შემდეგ უთბე იბნ მალიქის მიერ გამართულ საქორწინო სუფრაზე ალკოჰოლის გავლენის შედეგად ჩხუბი ატყდა და სად იბნ ები ვაქქასი დაიჭრა. როდესაც ეს ამბავი წმ. შუამავალმა გაიგო, მოევლინა აიათი, სადაც ალკოჰოლური სასმელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იყო დაფიქსირებული.

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اِنَّمَا الْخَمْرُ وَالْمَيْسِرُ وَالْاَنْصَابُ وَالْاَزْلَامُ رِجْسٌ مِنْ عَمَلِ الشَّيْطَانِ فَاجْتَنِبُوهُ لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

اِنَّمَا يُر يدُ الشَّيْطَانُ اَنْ يُوقِعَ بَيْنَكُمُ الْعَدَاوَةَ وَالْبَغْضَاءَ فِى الْخَمْرِ وَالْمَيْسِرِ وَيَصُدَّكُمْ عَنْ ذِكْرِ اللّٰهِ وَعَنِ الصَّلٰوةِ فَهَلْ اَنْتُمْ مُنْتَهُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალკოჰოლური სასმელი , აზარტული თამაშები , კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია. განერიდეთ ამას , ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ!

უეჭველად, ეშმაკს სურს მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდება თქვენს შორის ალკოჰოლური სასმელითა და აზარტული თამაშებით. ამით უნდა მოგაცდინოს თქვენ ალლაჰის ხსენებასა და ლოცვას. უკვე თავი ანებეთ არა ?! “ მაიდე 5/ 90-91. “

ამას დაემატა წმ. შუამავლის განმარტებებიც: “ყოველი დამათრობელი სასმელი ღვინოდ ითვლება და ყოველი ღვინო არამია!” “მათრობელა რაც არის მისი ცოტაც და ბევრიც არამია!”

მოგვიანებით გარდა ყურძნისა და ხურმისა ადამიანებმა სხვადასხვა მცენარეებისგან დაიწყეს თრობის თვისების მქონე სასმელის თუ მოსაწევის დამზადება. ყველა ეს პროდუქტი თავისი თვისების გამო შედარებულია ღვინოსთან და ისლამის სწავლულთა უმრავლესობის შეხედულების თანახმად მათი მიღება არამია. სწავლულთა უმრავლესობა თვლის, რომ ყველა მათრობელა თვისების მქონე ნივთიერების მიღება პირდაპირ არამია, ხოლო ებუ ჰანიფეს აზრით ისინი შედარებულია ღვინოსთან, რომელიც პირდაპირ და კატეგორიულად აკრძალულია.

5) ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და მათით ვაჭრობა მისაღებია?

რადგანაც ალკოჰოლის მიღება არამია, მისი ყიდვა-გაყიდვა და ვაჭრობაც აკრძალულია. ამ საკითხთან დაკავშირებით ისლამის სწავლულთა შორის აბსოლუტური აზრთა თანხვედრაა.

მხოლოდ ებუ ჰანიფე და იმამი მუჰამმედი მიიჩნევდნენ, რომ არამუსლიმურ ქვეყანაში მყოფ მუსლიმს მსგავსი ტიპის საქონლის გაყიდვა არამუსლიმ კლიენტებზე შეუძლია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჰანეფის მიმდევრებიდან ებუ იუსუფი და დანარჩენი სამი მიმდინარეობის სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ რაც მუსლიმურ ქვეყანაში მუსლიმებს შორის არამია, იგივენაირად არამია არამუსლიმურ ქვეყანაში მუსლიმსა და არამუსლიმს შორის.

საბოლოოდ, თუ რაიმე საპატიო მიზეზი არ არის, მაგ. ასაღები ვალის აღების ერთადერთი შესაძლებლობა და მსგავსი, მაშინ მუსლიმის მიერ მუსლიმურ, ან არამუსლიმურ ქვეყანაში უმრავლესობის აზრის თანახმად ალალი ვაჭრობა უფრო მისაღები და სანდოა.

6) რა არის აზარტული თამაშები და ისლამის ხედვა მათ მიმართ?

ყურანში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اِنَّمَا الْخَمْرُ وَالْمَيْسِرُ وَالْاَنْصَابُ وَالْاَزْلَامُ رِجْسٌ مِنْ عَمَلِ الشَّيْطَانِ فَاجْتَنِبُوهُ لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

اِنَّمَا يُر يدُ الشَّيْطَانُ اَنْ يُوقِعَ بَيْنَكُمُ الْعَدَاوَةَ وَالْبَغْضَاءَ فِى الْخَمْرِ وَالْمَيْسِرِ وَيَصُدَّكُمْ عَنْ ذِكْرِ اللّٰهِ وَعَنِ الصَّلٰوةِ فَهَلْ اَنْتُمْ مُنْتَهُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალკოჰოლური სასმელი , აზარტული თამაშები , კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია. განერიდეთ ამას , ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ!

უეჭველად, ეშმაკს სურს მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდება თქვენს შორის ალკოჰოლური სასმელითა და აზარტული თამაშებით. ამით უნდა მოგაცდინოს თქვენ ალლაჰის ხსენებასა და ლოცვას. უკვე თავი ანებეთ არა ?! “ მაიდე 5/90,91. “

წმ. შუამავალი ნარდის, როგორც ყუმარის ერთ-ერთი სახეობის შესახებ ბრძანებდა:

“ვინც ნარდს ითამაშებს ალლაჰისა და წმ. შუამავლის წინააღმდეგია!”

ყუმარი ადამიანს ავიწყებს თავის გამჩენს, აშორებს ლოცვას, აჩვევს სიზარმაცეს და დროის ფუჭად ფლანგვას. გარდა ამისა ყუმარი ადამიანებს შორის შუღლსა და უკმაყოფილებას წარმოშობს. მრავალი ოჯახი დანგრეულა აზარტული თამაშების გამო და მრავალი კიდე ვალში ჩავარდნილა. ამიტომ მიუღებელია ნებისმიერი აზარტული თამაში, სადაც მოგება და წაგება არსებობს. გასართობად თამაშიც მიუღებელია, რადგან არსებობს საფრთხე, რომ ადამიანი მიეჩვევა და შემდეგში ფულზეც დაიწყებს თამაშს. რაც შეეხება ჭადრაკს, ზოგიერთი სწავლულის აზრით მისაღებია, რადგან ის გონებას ავარჯიშებს. ჭადრაკში პრიზის მიღება მისაღებია, მაგრამ მასში არ უნდა იყოს იღბალზე და გამართლებაზე დამოკიდებული ელემენტები.

საბოლოოდ აზრტული თამაშები მხოლოდ სპორტის, გონების დასვენების და გართობის მიზნით რომ ჩაითვალოს და მისი თამაში მუსლიმისთვის მისაღები გახდეს შემდეგი 4 პირობა უნდა არსებობდეს: ა) არ უნდა იყოს ლოცვის დროის გასვლის ან დაგვიანების საფრთხე. ბ) წამგები მომგებს არაფერს არ უნდა უხდიდეს. გ) თამაშის დროს არ უნდა იყოს ბილწსიტყვაობა და ფუჭსიტყვაობა. დ) დიდი დრო არ უნდა დაიკარგოს ფუჭად.

7) სიგარეტი

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა ჯერ თამბაქოს თვისებებს გავეცნოთ. სიგარეტი საზიანოა როგორც ჯანმრთელობისთვის, ასევე ეკონომიური თვალსაზრისითაც. მას გააჩნია აგრეთვე ძლიერი მიჩვევის თვისება და მწეველი დროთა განმავლობაში მასზე დამოკიდებული ხდება. ისლამის წარმოშობის ხანაში თამბაქო არ იყო ცნობილი, ამიტომ მის შესახებ არ არსებობს არც აიათი და ჰადისი. ასევე არ არის ცნობილი სწავლულთა გადაწყვეტილება.

სიგარეტი ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გახდა ცნობილი და ევროპაში გავრცელდა.

სიგარეტის კვამლი ჩადის ადამიანის ფილტვებში და ფილტვის კედლებზე არსებულ უჯრედებს ასქელებს. უჯრებედები კარგავენ ელასტუირობის უნარს და ძლიერი ხველის დროს სკდებიან, რაც მათ ქედითუნარიანობის დაკარგვას იწვევს. სიგარეტის კვამლი ასქელებს და ელასტიკურობას უკარგავს აგრეთვე სისხლძარღვებსაც.

სიგარეტის მწევლებში 20- ჯერ უფრო მეტია ფილტვის კიბოს რისკი. ის ხელს უწყობს აგრეთვე გულის დაავადებებს და კრონიკული ბრონქიტის განვითარებას. თამბაქოს შემადგენლობაშI შემავალი ნიკოტინი უკიდურესად მომწამლავი ნივთიერებაა.

წმ. შუამავლის მოღვაწეობის ხანაში არც ოპიუმი იცოდნენ, მაგრამ მოგვიანებით მისი თვისებიდან გამომდინარე მისი ღვინოსთან შედარების გზით არამად გამოცხადდა.

წინა წლებში ისლამის სწავლულებმა სიგარეტის მოწევა მისაღებად ჩათვალეს, რადგან მის შესახებ აიათი და ჰადისი არ არსებობდა.

რადგან სიგარეტის ზაზიანო თვისება უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს მისი რელიგიური ჩარჩოების მიღმა ჩათვლა მიზანშეწონილი არ არის.

ყურანში მრავალგზის არის გაფრთხილება, რომ ადამიანებმა საკუთარი თავი საფრთხეში არ უნდა ჩაიგდონ.

წმ. შუამავალი კი ბრძანებდა, რომ არავის ჰქონდა უფლება საკუთარი თავისათვის ან სხვებისთვის ზიანი მიეყენებინა. გარდა ამისა სიგარეტი მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს, რომელიც ზედმეტ ხარჯვად ითვლება და ისლამში ესეც მიუღებელი საქციელია.

საბოლოოდ ნათელია, რომ სიგარეტი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს როგორც მწევლებს, ისე გარშემო მყოფებს. ამიტომ მასში არის ცოდვაც. გამომდინარე აქედან იმ ადამიანებისთვის ვისაც ექიმმა გამოუცხადა, რომ სიგარეტი მათი სიცოცხლისათვის სახიფათოა ცოდვა არამის სტატუს იძენს. იგივე ეხებათ ღარიბ ადამიანებს, რომლებიც საკვების ფულს ოჯახის წევრებს აკლებენ და სიგარეტში იხდიან.

8) ოქროს და ვერცხლის სამკაულები და აბრეშუმის ტანსაცმელი

ყურანში ხშირადაა ნახსენები ადამიანების მიერ ოქროს, ვერცხლის და აბრეშუმის მიმართ მძაფრი ინტერესი. წმ. შუამავალი თავის ჰადისებში აღნიშნული სამკაულებისა თუ ტანსაცმლის გამოყენების თვალსაზრისით გარკვეულ ზღვრებს აწესებდა. მანდილოსნების ბუნებაში უფრო მეტია სამკაულებისა და ჩვირფასი ტანსაცმლისადმი ლტოლვა, ამიტომ ამ საკითხში მათ მიმართ უფრო ლოიალური დამოკიდებულება შეიმჩნევა. ანუ მანდილოსნებს შეუძლიათ ზომიერების ფარგლებში ოქროს, ვერცხლის და სხვა ძვირფასი სამკაულები ატარონ. ასევე უფლება აქვთ ჩაიცვან აბრეშუმის ტანისამოსი. რაც შეეხება მამაკაცებს, მათი გამოყენება კი მამაკაცებს, როგორც წესი ეკრძალებათ.

ჰადისში ნაბრძანებია:

“ოქრო და აბრეშუმი ჩემს მიმდევარ მამაკაცებისათვის არამია, ხოლო მანდილოსნებისთვის –ალალი”!

წმ. შუამავალი თავდაპირველად თავადაც ატარებდა ოქროს ბეჭედს, მაგრამ შემდეგ გადააგდო და მის გაკეთებაზე უარი თქვა, რადგან ადამიანებმა მასობრივად დაიწყეს ოქროს ბეჭდის ტარება. შემდეგ კი მისი მიბაძვით ყველამ გადააგდო ბეჭედი. ასევე აკრძალულია ვერცხლის თასიდან რაიმე სასმელის დალევა.

ამ სამი სახის საქონლის წარმოება და ყიდვა-გაყიდვა მისაღები და დასაშვებია. სამკურნალო მიზნით კი აბრეშუმის ჩაცმა მამაკაცებსაც შეუძლიათ. სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აბრეშუმის გამოყენება ტანსაცმლის გარდა სხვა სახითაც მიუღებელია, მაგრამ ებუ ჰანიფე და ზოგიერთი მალიქის მიმდევარი სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ მამაკაცებისთვის აბრეშუმის აკრძალვა მხოლოდ ტანსაცმლით შემოიფარგლება.

9) სუნამოებში ალკოჰოლის შემცველი ნივთიერების გამოყენება მიღებულია?

სუნამოები ძირითადად სასიამოვნო სურნელების და სისუფთავის მიზნით გამოიყენება და მას კარტოფილის, სიმინდის მსგავსი

იაფი პროდუქტისგან ამზადებენ. მისი დამზადება შესაძლებელია სინთეტიკური საშუალებებითაც. მასში გარკვეული დოზით შერეულია ალკოჰოლიც. გარდა ალკოჰოლისა მასში ურევენ ლიმონს და სხვა სურნელოვანი მცენარეების არომატს. დღეისათვის პარფიუმერიის წარმოება საკმაოდ დიდ მასშტაბებს მოიცავს. მის მის შესახებ რელიგიური კუთხით დავას კი მასში ალკოჰოლის შემცველობა იწვევს.

ისლამი კატეგორიულად კრძალავს ნებისმიერი სახის, თრობის გამომწვევი ნივთიერების დათრობის მიზნით მიღებას. თრობის გამომწვევი ნივთიერების მცირე და დიდი ზომით მირება შედეგს არ ცვლის. მისი დალევა არამია. გამომდინარე აქედან, ალკოჰოლის შემცველი ნებისმიერი ნივთიერების სასმელად გამოყენება არამია.

რაც შეეხება სუნამოს და პარფიუმერიას ადამიანები მას სურნელების და სისუფთავისთვის იყენებენ. ამ ფაქტმა კი ისლამის სწავლულტა შორის აზრტა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ღვინო სიბინძურეა. მისი ტანსაცმელზე, ან სალოცავ ადგილზე ხელის გულის ოდენა ადგილზე დაღვრის შემთხვევაში ლოცვი მიუღებელია. ღვინის გარდა სხვა ალკოჰოლის შემცველი სასმელები, რომელთა დალევა იგივენაირად არამია, როგორც ღვინო სიბინძურედ არ ითვლება და შესაბამისად მათი ტანსაცმელზე, ან სალოცავ ადგილზე დაღვრა ლოცვას ხელს არ უშლის.

ისლამის თანამედროვე სწავლულთაგან მუჰამმედ ჰამდი იაზირი წერს: “ვისაც ღვინო, არაყი, კონიაკი და შამპანური დაეღვრება ტანსაცმელზე ლოცვას ვერ ილოცავს, მაგრამ ლუდის მსგავსი სასმელების ტანსაცმელზე ან სხეულზე დაღვრის შემთხვევაში იმის მტკიცება შეუძლებელია, რომ ლოცვის ლოცვა არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ მათი დალევა აკრძალულია.”

იმამ შაფის შეხედულების თანახმად ალკოჰოლიანი სუნამოები სიბინძურედ იტვლება და მათი არამარტო დალევა, არამედ სხვა მიზნითაც გამოყენება მიუღებელია.

საბოლოოდ თუ სუნამოში და სხვა პარფიუმერიაში ღვინის ნაწარმია შერეული მისი არც დალევაა მისაღები და არც სხვა მიზნით გამოყენება, მაგრამ თუ ღვინის ნაწარმის გარეშეა დამზადებული მისი დალევის გარდა სხვა მიზნით გამოყენება მისაღებია.

10) მრუშობა

მრუშობა ისლამამდელ რელიგიებშიც სასტიკად იყო აკრძალული. თორაში მრუშების დაწვა და სიკვდილით დასჯა იყო ნაბრძანები. რაც შეეხება ახალ აღთქმას მრუშობის ჩამდენთა მიმართ შედარებით ლოიალურობა შეინიშნება. ამის დასტურია ის ამბავი, როდესაც წმ. იესომ მრუშობისთვის მასთან მიყვანილი ქალი გააფრთხილა და გაათავისუფლა.

ყურანში მრუშობის შესახებ შემდეგია ნაბრძანები:

وَلَا تَقْرَبُوا الزِّنٰى اِنَّهٗ كَانَ فَاحِشَةً وَسَاءَ سَب يلا

და არ მიუახლოვდეთ მრუშობას! უეჭველად, იგი ზნედაცემულობა და ცუდი გზაა. “ ისრა 17/32,

اَلزَّانِيَةُ وَالزَّان ى فَاجْلِدُوا كُلَّ وَاحِدٍ مِنْهُمَا مِائَةَ جَلْدَةٍ وَلَا تَاْخُذْكُمْ بِهِمَا رَاْفَةٌ ف ى د ينِ اللّٰهِ اِنْ كُنْتُمْ تُؤْمِنُونَ بِاللّٰهِ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ وَلْيَشْهَدْ عَذَابَهُمَا طَائِفَةٌ مِنَ الْمُؤْمِن ينَ

მეძავი ქალი და მეძავი კაცი - თითოეული გაროზგეთ ასჯერ, არ შეიბრალოთ ისინი ალლაჰის რჯულისათვის, თუ გწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი! მათი დასჯის მოწმე იყოს მორწმუნეთა ერთი ჯგუფი. „ნურ 24/2,

وَالَّذ ينَ لَا يَدْعُونَ مَعَ اللّٰهِ اِلٰهًا اٰخَرَ وَلَا يَقْتُلُونَ النَّفْسَ الَّت ى حَرَّمَ اللّٰهُ اِلَّا بِالْحَقِّ وَلَا يَزْنُونَ وَمَنْ يَفْعَلْ ذٰلِكَ يَلْقَ اَثَامًا

يُضَاعَفْ لَهُ الْعَذَابُ يَوْمَ الْقِيٰمَةِ وَيَخْلُدْ ف يه مُهَانًا

ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!

მისი სასჯელი აღდგომის დღეს გაორმაგდება და დარჩება მარად დამცირებული! „ფურქან 25/68-69,

ამის შემდგომ აიათებში ნათქვამია, რომ მონანიების, რწმენის გაძლიერების და ღირსეული საქციელით ცხოვრების გაგრძელების შემთხვევაში გამჩენი მათ მიუტევებს და წამებას ააშორებს.

გარდა ამისა წმ. შუამავალი მრუშობას უდიდეს ცოდვებს შორის თვლიდა და მრუშობის ჩამდენთა მიმართ ამბობდა, რომ ისინი არ სჩადიან მრუშობას, როგორც მორწმუნენი.

ნურის სურაში მითითებულია, რომ დაუქორწინებელი მამაკაცის, ან ქალის მიერ ჩადენილი მრუშობის სასჯელი ასი როზგია. ეს არის დასჯის მსუბუქი ფორმა, როდესაც დარტყმა უნდა მოქმედებდეს კანზე და არ აღწევდეს ხორცამდე. განსასჯელს მხოლოდ ქურქს, ან მსგავს გარე ტანისამოსს ხდიან. დარტყმის დროსაც დამსჯელი მოხელე მკლავს მაღლა არ სწევს და დარტყმას მხოლოდ იდაყვს წინა ხელის მოძრაობით ასრულებს. ისლამის სწავლულთა უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ გარდა ამისა საჭიროა დამნაშავე ერთი წლით განიდევნოს საცხოვრებელი ადგილიდან, რადგან წმ. შუამავლის დროს მომხდარი მსგავსი ფაქტის დროს წმ. შუამავალმა დამნაშავე სწორედ ამგვარად დასაჯა.

ნისას სურას მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე აიათებში გადმოცემული დაბულება, რომლის თანახმადაც მრუშობის ჩამდენი ქალი, რომლის დანაშაულსაც ოთხი მოწმე დაადასტურებს სიკვდილამდე, ან ღვთის მიერ რაიმე გზის გამოჩენამდე სახლში უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი, ან კიდევ მონანიებამდე და სრულიად გამოსწორებამდე უნდა ტანჯულიყო. ზემოთ მოყვანილ აიათების მოვლენის შემდეგ კი სწავლულთა აზრით ეს ორი სახის სასჯელი გაუქმდა. ქურთუბი თვლიდა რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობდა აზრთა თანხვედრა. იბნი აბბასის შეხედულების თანახმად კი მრუშების ჩამდენი პიროვნება თუ დაუქორწინებელია ასი როზგით გაწკეპლვას იმსახურებს, ხოლო დაქორწინებული – სიკვდილს.

11) რა სახის ღონისძიებები გაატარა ისლამმა მრუშობის წინააღმდეგ?

ამ საკითხში ისლამმა მრავალი სახის ღონისძიება გაატარა, როგორ პიროვნებებთან, ისე საზოგადოებასთან დაკავშირებით. ისლამი ყველას, ვისაც შესაძლებლობა გააჩნია მოუწოდებს დროულად დაქორწინდეს. ვისაც შესაძლებლობა არ გააჩნია მარხვით უნდა გაწრთვნას თავისი სული და ცდუნებებისგან თავის არიდება შეძლოს. მანდილოსნები ვალდებულნი არიან სხეულის ნაკვთები და მიმზიდველი ადგილები შესაბამისი ტანისამოსით დაიფარონ. მიუღებელია მამაკაცის და ქალის მარტოდ დარჩენა, თუ ისინი ახლო ნათესავები არ არიან.

გამჩენმა ქალი და კაცი იმისათვის გააჩინა, რომ ერთად იცხოვრონ და ბედნიერები იყონ. ყურანში ნაბრძანებია, რომ მამაკაცმაც

და ქალმაც თვალები უნდა მოარიდონ ბიწიერებას და შესაბამისად ჩაიცვან. ამრიგად მრუშობის გამომწვევი ცდუნება მნიშვნელოვნად შემცირდება.

გარდა ამისა წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ მრუშობის ჩადენა შესაძლებელია თვალით, ხელით, ფეხით და ასე შემდეგ. მორწმუნე მაქსიმალურად უნდა მოერიდოს ისეთ ურთიერთობებს, რაც მრუშობისთვის წინაპირობად ითვლება. მაგ. ფლირტი, მამაკაცის და მანდილოსნის მიერ მარტოდ დარჩენა და სხვა.

წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ მამაკაცი მარტო არ უნდა დარჩეს უცხო ქალთან, რადგან მათთან ერთად მესამე სატანა იქნება.

მოპირდაპირე სქესის წარმომადგენლები საეჭვო სიტუაციაში ან ადგილზე დარჩენისას აუცილებლად ცდუნების ზემოქმედების ქვეშ მოექცევიან. საჭიროა ამ ცდუნების მინიმუმამდე შემცირება, ან მსგავსი სიტუაციისგან შორს დგომა. მანდილოსნები ვალდებულნი არიან უცხო მამაკაცთან თავდაჭერილი და ღირსეულები უყვნენ. ამისათვის უპირველესად საჭიროა გარეთ გასვლისას თავსაფარი დაიფარონ და ისლამის წესისამებრ შეიმოსონ.

12) ორგანოების გადანერგვა მიღებულია?

დღეს უკვე ორგანოს გადანერგვა თითქმის უალტერნატივო მეთოდია, მაგრამ რადგანაც ორგანოს გამცემიც და მიმღებიც ადამიანები არიან საკიტხი რელიგიურ, მორალურ და იურიდიულ განხილვას ექვემდებარება.

თავდაპირველად კანის, ძარღვის და მსგავსი მარტივი ნაწილების გადანერგვა ხდებოდა, მაგრამ მედიცინის განვითარებასთან ერთად შესაძლებელი გახდა ისეთი სასიცოცხლო ორგანოების გადანერგვა, როგორებიცაა გული, ღვიძლი, თირკმელი და სხვა.

სუნნეთIს მიმდევარი სწავლულების შეხედულების თანახმად საიქიოში ადამიანი წარსდგება როგორც სულიერად, ისე ხორციელად. გამომდინარე აქედან საკითხავია გადანერგილი ორგანო რომელ სხეულში იქნება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის სხეული საფლავში იხრწნება, ლპება, შეიძლება დაიწვას, ან ცხოველებმა დაგლიჯონ. ამიტომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ზემოთ დასმული შეკითხვა მნიშვნელობას კარგავს. რა თქმა უნდა

ღმერთს შეუძლია არადგინოს და განამრთელოს ადამიანი, ისეთი, როგორიც იყო.

ორგანოს მიმღებზეა დამოკიდებული, თუ როგორ იცხოვრებს და რამდენად სასიკეთო საქმეში გამოიყენებს შეძენილ ორგანოს. ამავდროულად ორგანოს გამცემს უფლება აქვს უარი თქვას თუ მოსალოდნელია, რომ ორგანოს ახალი პატრონი მიუღებელი ცხოვრების წესით გააგრძელებს ცხოვრებას.

ჰადისებით ცნობილია, რომ თუ ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ან ზომაგადასული შიმშილი ემუქრება არამად მიღებული ზოგიერთი ქმედების ჩადენის უფლება ეძლევა. ისლამის სწავლულები მიიჩნევენ, რომ თუ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ადამიანის ხორცის ჭამაც შეიძლება. აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია არამად მიჩნეული ბინძური ნივთიერებების გამოყენებაც.

დღეისათვის აღნიშნული საკითხის შესახებ დაგაწყვეტილების მირება ვისაც ხელეწიფება თვლიან, რომ მიცვალებული ადამიანის ორგანოს გადანერგვა მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით შეიძლება.

ა- აუცილებლად უნდა არსებობდეს საპატიო მიზეზი.

ბ- პროფესიონალი ექიმი დარწმუნებული უდა იყოს, რომ ავადმყოფს ამით ეშველება.

გ.) ორგანოს გამცემი ადამიანის, ან მისი მემკვიდრის მიერ ნებართვა.

დ) ორგანო არ უნდა გაიცეს ფულის ან რაიმე საფასურისთვის.

ე) ორგანოს მიმღების ნებართვა.

ისლამის ტანამედროვე სწავლულთა ერთი ნაწილი მიცვალებულისგან ორგანოს აღებას მიუღებლად მიიჩნევენ, გამომდინარე იქიდან, რომ ისლამი გვავალდებულებს მიცვალებულის მიმართ პატივისცემა და მორიდება ვიქონიოთ და არ შევეხოთ გარდა ნებადართული შემთხვევებისა.

ისლამის სწავლულთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ცოცხალი ადამიანი მიერ ორგანოს გაცემაც მისაღებია. ასეთ შემთხვევაში ზემოთ ცამოთვლილ პირობებს ისიც უნდა დაემატოს, რომ ორგა-

ნოს გამცემის ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს.

ცოცხალი ადამიანის მიერ ორგანოს გაცემისას მიუღებელია ისეთი ორგანოს გაცემა, რომელიც ადამიანს წყვილად გააჩნია. მაგ. თვალი, ფეხი, ხელი, და სხვა, რადგან ცოცხალი ადმიანის მიერ ასეთ რამეზე ნებაყოფილობით წასვლა წარმოუდგენელია. მსგავს გადანერგვაზე თანხმობა სიყვარულის, შეცოდების, ან სიღარიბის გამო შეიძლება. თუმცა წესით ასეთ შემთხვევაში ორგანოს მიმღები არ უნდა იყოს თანახმა.

13) ჯადოს გაკეთება ან გაკეთებინება რამდენად ცოდვაა?

ჯადო ეს არის ადამიანის მოტყუების ხელოვნება.

წმ. შუამავლის ჰადისებში ჯადოს გაკეთება შვიდ დიდ ცოდვას შორის არის მოხსენიებული. ჯადოში არის მცდელობა იმისა, რომ რაიმე მოვლენა გამჩენის მიერ დაკანონებულს მიღმა მოხდეს. ამიტომ ისლამი კრძალავს ჯადოს გაკეთებას და გაკეთებინებას.

მოჯადოებული ადამიანი ამ საქმით დაკავებულ პიროვნებასთან რომ მივიდეს საშველად ესეც სახიფათოა. წმ. შუამავალი ებრაელებმა მოაჯადოვეს და ყურანის ბოლო ორი აიათი ამის თაობაზე მოევლინა, რათა ჯადოს ყოველგვარი ზემოქმედება გამქრალიყო.

მოკლედ, თუ პიროვნება ფიქრობს, რომ ჯადოს ზემოქმედების ქვეშაა უპირველესად გამჩენს უნდა მიეკედლოს, შემდეგ ღვთისმსახურება აღავლინოს და ლოცვები წაიკითხოს. სასურველია ღარიბებს მოწყალება დაურიგოს. გარდა ამისა ისლამის მცოდნე და სანდო ადამიანისგან დახმარების მიღებაც დასაშვებია.

14) კბილის დაპლომბვა განბანვას ხელს თუ უშლის?

კბილისა და ზოგადად პირის ღრუს სიჯანსაღე დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. წმ. შუამავალიც ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

კბილის დაპლომბვა, ჩასმა, პროთეზი, ეს ის საშუალებებია, რითაც კბილების და ზოგადად პირის ღრუს სიჯანსაღის შენარჩუნება

ხერხდება. კბილებზე ოქროს, ვერცხლის და მსგავსი საშუალებების გადაკვრა უშლის თუ არა განბანვის სრულყოფიად შესრულებას რელიგიური თვალსაზრისით მუსლიმებს შორის დავის საკითხია.

აღნიშნული საკითხის მიმართ ყურანში პირდაპირ არ არის მითითებული რაიმე დებულება, მაგრამ ავადმყოფის მკურნალობა და დაზიანებული ორგანოს გამრთელებისთვის ზრუნვა დასაშვები და მისაღებია. წმ. შუამავალი ბრძანებდა , რომ ძლიერი მორწმუნე უფრო სასარგებლოა, ვიდრე სუსტი. ის მოუწოდებდა ადამიანებს ემკურნალათ, რადგან ბრძანებდა, რომ ღვთით მოვლენილ ყოველ დარდს თავისი შვება, ხოლო ყოველ ავადმყოფობას თავისი წამალი გააჩნდა.

ადამიანი, რომელსაც კბილები გაუფუჭდა შესაძლებელია დაავადდეს, ამიტომ მასაც აქვს უფლება მკურნალობით აღიდგინოს კბილები და საფრთხე არ შეუქმნას საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას.

კბილის დაპლომბვის ან შემოკვრის დროს ვერცხლის გამოყენება მისაღებია. ამ საკითხთან დაკავშირებით ისლამის სწავლულთა შორის აბსოლუტური აზრთა თანხვედრაა. ხოლო ოქროს რაც შეეხება ებუ ჰანიფეს მიხედვით მექრუჰია, ხოლო იმამ მუჰამმედის აზრით – მისაღებია.

რაც შეეხება დაპლომბილი ადგილის შიგნით წყლის შეღწევას, ამის თაობაზე სწავლულებს მიაჩნიათ რომ, რადგანაც შეხვეულ ჭრილობაზე მესჰის გაკეთება შეიძლება, გადაკრულ კბილის გამოვლებაც საკმარისია. მკურნალობის მიზნით ჩასმული კბილი საკუტარ კბილად ითვლება და მისი გამოვლება განბანვის რიტუალისთვის ხელისშემშლელად არ ითვლება. თუმცა კბილის დაპლომბვის, ან ჩასმის დროს სასურველია მორწმუნე განბანილი იყოს.

II-ოჯახური ცხოვრება

15) რა არის ქორწინებისთვის აუცილებელი პირობები?

ქორწინებისთვის აუცილებელია არსებობდეს სურვილი და თანხმობა და აგრეთვე არ უნდა არსებობდეს ქორწინებისთვის ხელისშემშლელი რაიმე მიზეზი. “აქდის” ცერემონიალს უნდა ესწრებოდეს აგრეთვე ორი მოწმე. ჰანეფის მიხედვით ზრდასრულ და

გონებასრულ ადამიანებს საკუთარი ქორწინების რელიგიურად დამოწმება თავად შეუძლიათ. მიმდინარეობების უმრავლესობის მიხედვით მშობლის ნებართვა აუცილებელი პირობაა, ხოლო ჰანეფის მიხედვით –მენდუფია.

16) შეუძლია თუ არა მამაკაცმა შეხედოს იმ ქალს, რომელთანაც ქორწინებას აპირებს?

ისლამში მამაკაცს უცხო ქალისთვის შეხედვა ეკრძალება, მაგრამ არსებობს რამოდენიმე გამონაკლისი მდგომარეობა, როდესაც ეს აკრძალვა უქმდება. ასეთია გამოუვალი მდგომარეობა, ქორწინების განზრახვა და სხვ.

მამაკაცს აქვს უფლება თავად ნახოს ის მანდილოსანი, რომელთანაც ქორწინებას აპირებს. ასეთ დროს არსებობს შეზღუდვებიც. მამაკაცს უფლება ეძლევა შეხედოს მანდილოსნის სახეს, ხელებს და ყელს და ეს საკმარისად ითვლება, რომ მან მომავალი მეუღლის გარეგნობაზე წარმოდგენა შეიქმნას.

მოკლედ, დასაქორწინებელ მამაკაცს შეუძლია შეხედოს მანდილოსანს მანამ, სანამ მის ხელს მოითხოვდეს, თუმცა ეს უნდა მოხდეს მესამე პირის თანხლებით, ან ღია ადგილას. იგივენაირად გოგოსაც უფლება აქვს ნახოს თავისი მომავალი საქმრო. გამომდინარე აქედან ერთიმეორის უნახველად წყვილის დაქორწინება სწორი არ არის. ადამიანების გემოვნება სხვადასხვაგვარია. შეიძლება ერთ ადამიანს მეორე არ მოეწონოს, მაგრამ სხვას მოეწონოს. ამიტომ დასაქორწინებელმა პიროვნებებმა ერთმანეთის შესაფერისი და მოსაწონი მეუღლეები უნდა აირჩიონ.

17) ისლამის მიხედვით ქორწინებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები რომელია?

ისლამის მიხედვით ქორწინებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორები ორ ნაწილად იყოფა, მუდმივი და დროებითი.

ა) მუდმივი ფაქტორები

حُرِّمَتْ عَلَيْكُمْ اُمَّهَاتُكُمْ وَبَنَاتُكُمْ وَاَخَوَاتُكُمْ وَعَمَّاتُكُمْ وَخَالَاتُكُمْ وَبَنَاتُ الْاَخِ وَبَنَاتُ الْاُخْتِ وَاُمَّهَاتُكُمُ الّٰتِ ی اَرْضَعْنَكُمْ وَاَخَوَاتُكُمْ مِنَ الرَّضَاعَةِ وَاُمَّهَاتُ نِسَائِكُمْ وَرَبَائِبُكُمُ الّٰتِ ی ف ی حُجُورِكُمْ مِنْ نِسَائِكُمُ الّٰتِ ی دَخَلْتُمْ بِهِنَّ فَاِنْ لَمْ تَكُونُوا دَخَلْتُمْ بِهِنَّ فَلَا جُنَاحَ عَلَيْكُمْ وَحَلَائِلُ اَبْنَائِكُمُ الَّذ ینَ مِنْ اَصْلَابِكُمْ وَاَنْ تَجْمَعُوا بَيْنَ الْاُخْتَيْنِ اِلَّا مَا قَدْ سَلَفَ اِنَّ اللّٰه كَانَ غَفُورًا رَح يمًا

აკრძალულია თქვენთვის ცოლებად თქვენი დედები, შვილები, დები, დეიდები და მამიდები, ძმისშვილები და დისშვილები და თქვენი დედები (ძიძები), ვინც ძუძუ გაწოვათ, ძუძუმტეები, თქვენი ცოლების დედები, თქვენი გერები, რომლებიც თქვენს მეურვეობის ქვეშ არიან, ვის დედებსაც ეთანაცხოვრეთ, და თუ არ გითანაცხოვრიათ მათთან, ცოდვად არ გეთვლებათ გერების ცოლად მოყვანა. გეკრძალებათ აგრეთვე თქვენი ღვიძლი შვილების ცოლები, ასევე გეკრძალებათ ერთდროულად ორი დის ცოლად შერთვა, გარდა, რაც წარსულში მოხდა. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია! ნისა 4/23

აა) სისხლით ნათესავები: დედა, ბებია, ქალიშვილი, და, ძმის შვილი, დის შვილი, დეიდა, მამიდა და სხვ.

ბბ) იმ პიროვნებებს შორის, რომლებსაც ერთი დედის ძუძუ აქვთ ნაწოვი ქორწინება მიუღებელია. ეს აკრძალვა ვრცელდება დედაზე, დეიდებზე, მამიდებზე, ბებიებზე და დებზე, ძმებზე სხვ. ჰანეფის მიხედვით ძუძუმტეობისათვის საკმარისი პერიოდი პირველი ორნახევარი წელიწადია. მიმდინარეობათა უმრავლესობის მიხედვით ეს პერიოდი პირველი ორი წლით განისაზღვრება. ნაწოვი რძის რაოდენობა მიმდინარეობათა უმრავლესობის აზრით ცოტაც საკმარისია. შაფიის მიხედვით ხუთჯერ ზედიზედ გაძღომამდე რძის მოწოვება ძუძუმტეობისათვის საკმარისია.

გგ) ქორწინების გამო წარმოქმნილი ფაქტორები.

ამ ჯგუფში შედიან გერები, დედინაცვლები, მამინაცვლები, ბაბუის და შვილიშვილის მეუღლეები და სხვ. ქორწინება რომც გაუქმდეს, პიროვნების მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებთან შეუღლება მუდმივად მიუღებელია.

ბ) დროებითი ფაქტორები.

ა) ქორწინებაში მყოფ ადამიანებთან შეუღლება მიუღებელია. აქ საუბარია მანდილოსანზე. ისლამის მიხედვით ქალი მხოლოდ ერთ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდეს. თუ ქორწინება რაღაც მიზეზით (დაქვრივება, გაყრა, და სხვ.) დასრულდება ქალი ვალდებულია გარკვეული დრო მოიცადოს და ამის შემდეგ შეუძლია გათხოვდეს.

ბ) ერთმანეთის ნათესავებზე ქორწინება. მაგ. ორი დის ცოლად შერთვა მიუღებელია.

გ) ქორწინების დასრულების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქალი ვალდებულია გარკვეული დრო მოიცადოს და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება ხელმეორედ გათხოვდეს. დაქვრივებული ქალი ვალდებულია 4 თვე და 10 დღე მოიცადოს. ხოლო განშორებული ქალი სამი მენსტრუაციის დასრულების შემდეგ თხოვდება. ორსული ქალი ვალდებულია მშობიარობამდე არ გათხოვდეს.

დ.) სამჯერ განქორწინება.

თუ მამაკაცი ერთი და იმავე მეუღლეს სამჯერ გაშორდება მეოთხედ იგივე ქალზე დაქორწინების უფლება აღარ აქვს. ასეთ შემთხვევაში ქალი სხვა მამაკაცზე უნდა გათხოვდეს და თუ იმასაც გაშორდება ჩვეულებრივ საჭირო დროის გასვლის შემდეგ შეუძლია წინა ქმართან იქორწინოს.

ე) რწმენის სხვადასხვაობა.

მუსლიმ მამაკაცს, ან ქალს უფლება არ აქვს ათეისტ და ურწმუნო ადამიანთან იქორწონოს. თუმცა მუსლიმ მამაკაცს უფლება აქვს ქრისტიან, ან იუდაიზმის მიმდევარ მანდილოსანთან ერთად ოჯახი შექმნას.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა ქორწინება მისაღებია. წმ. შუამავალი თავის დეიდას ქალიშვილზე ზეინებზე იყო დაქორწინებული, ხოლო თავისი ქალიშვილი ფათმა თავის ბიძაშვილს წმ. ალის მეუღლე იყო. თუმცა როგორც რჩევა, სასურველია ადამიანი არანათესავზე დაქორწინდეს. უფრო მეტიც, შაფიის მიხედვით ნათესავებს შორის ქორწინება თენზიჰენ მექრუჰია.

18) დანიშვნისას ნაჩუქარი სამკაულები და საჩუქრები ნიშნობის შეწყვეტის შემთხვევაში ვის ეკუთვნის?

ნიშნობის შეწყვეტის შემთხვევაში მამაკაცს უფლება აქვს ნაჩუქარი სამკაულები და საჩუქრები უკან დაიბრუნოს, თუ რა თქმა უნდა ისინი არსებობს. თუ ზოგი მათგანი გამოყენებული, ან გაცვეთილია რაც რეალურად არსებობს იმას დაიბრუნებს.

ჰანეფის მიხედვით ნიშნობის დროს ოჯახებს შორის გაცვლილი საჩუქრები ნიშნობის შეწყვეტის შემთხვევაში თუ კიდევ არსებობს უკან ბრუნდება. გამოყენებული, ან გაცვეთილი საჭუქრების ანაზღაურება აუცილებელი არ არის.

მალიქის მიხედვით კი თუ ნიშნობა მამაკაცმა შეწყვიტა საჩუქრების უკან დაბრუნების უფლება არ აქვს. თუ ნიშნობა მანდილოსნის მხარემ შეწყვიტა მამაკაცს უფლება აქვს აიღოს როგორც არსებული საჩუქრები, ისე გამოყენებული და გაცვეთილი ტანსაცმლის საფასურიც.

შეფის და ჰანბელის მიხედვით ნიშნობის შეწყვეტის შემთხვევაში საჩუქრები უკან აღარ ბრუნდება, რადგან საჩუქრის უკან წართმევა მიუღებელია. ხოლო თუ ქორწინების იმედით ერთიმეორესთან დატოვებული საქონელი უკან უნდა დაბრუნდეს. გახარჯულიც რომ იყოს უნდა ანაზღაურდეს.

19) დაქორწინებული მანდილოსნის ქონების უფლება

დაქორწინებული ქალის ქონებრივი უფლებები სამ ჯგუფში ერთიანდება: ა) ქონება, ან ფული, რომელსაც საქმრო საცოლეს ჩუქნის. ეს ქორწინებისთვის აუცილებელი პირობა არ არის, მაგრამ ქმარი ვაჯიბის დონეზე ვალდებულია ეს გაიღოს.

ტრადიციულად, ზოგიერთ საზოგადოებრივ ერთეულებში საქმრო ვალდებულია საცოლის ოჯახს ფული გადაუხადოს, ან პირიქით, გოგოს ოჯახი ე.წ. მზითვს აყოლებს.

ებუ ჰანიფეს აზრით საქმროს მიერ საცოლისთვის საჩუქებელი ქონების მინიმალური რაოდენობა 10 დირჰემს უნდა უდრიდეს (დაახლოებით 2 ცხვრის საფასური) . იმამი მალიქი მიიჩნევდა, რომ მინიმალური რაოდენობა 3 დირჰემითაა განსაზღვრული. შაფის და ჰანბელის მიხედვით კი ასეთ შემთხვევაში მინიმალური ზღვარი არ არსებობს.

ბ.) ქორწინებაში ყოფნისას ცოლის საკვების, ტანისამოსისა და სხვა ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფა ქმარს ევალება. ასევე. ქმარი ვალდებულია იზრუნოს სახლის და ავეჯის შეძენაზეც. ისლამურ საზოგადოებაში გავრცელებულია მზითვის გაყოლება, რითაც ვაჟის ოჯახს ერთგვარი ქონებრივი დახმარება გაეწევა, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის. განსაკუთრებით, ჰანეფის მიმდევრების აზრით ქალის ოჯახი ვალდებული არ არის აუცილებლად გააყოლოს მზითვი. მსგავსი საკითხები ტრადიციებზე და სოციალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

თუ ქმარი ოჯახის ხარჯებს არ უზრუნველყოფს მეუღლეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს და მათი ანაზღაურება მოითხოვოს. ასეთ დროს მხედველობაში მიიღება ცოლ-ქმრის სოციალური და ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი სწავლულის აზრით მხოლოდ ქმრის მდგომარეობა უნდა იქნას გათვალისწინებული. თუ ქმარი ღარიბია და ფაქტიურად არ შეუძლია გადახდა მისი დაპატიმრება და მსგავსი იძულება სწორი არ იქნება, რადგან ყურანში მოწოდებულია გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს დრო მივცეთ, რათა მდგომარეობის გამოსწორება შეძლოს.

გ.) ქონების ცალკ-ცალკე განკარგვა.

ისლამში, ზოგადად ცოლ-ქმარი თავიანთ ქონებას თავად განკარგავენ. ქმარი ვალდებულია ოჯახის ხარჯები გასწიოს, ხოლო ცოლი, თუნდაც შემოსავალი ჰქონდეს მსგავსი ხარჯებისგან თავისუფალია. თუმცა თუ თავად მოისურვებს და საკუთარი შემოსავლიდან, ან ანდერძით მიღებული ქონებიდან ოჯახის რჩენაში მონაწილეობას მიიღებს ეს მის კეთილ ბუნებას წარმოაჩენს და მოწყალების ტოლფას მადლს მიიღებს. ისლამის წესისამებრ ოჯახის მარჩენალი ქმარიც მოწყალების მადლს მიიღებს.

ამასთანავე ცოლს შეუძლია თავისი შემოსავლები ოჯახის ხარჯებში არ დახარჯოს და მოაგროვოს. მას შეუძლია სესხად მისცეს

ქმარს საკუთარი ფული და ისევ დაიბრუნოს. მას შეუძლია თავისი ფულით შეძენილი უძრავ- მოძრავი ქონება საკუთარ მფლობელობაში დაიტოვოს. დაქვრივების, ან გაყრის შემთხვევაში მას შეუძლია საკუთარი ქონება მემკვიდრეობის მიღმა დატოვოს.

20) ქმრის უფლებები

ქმარს ცოლთან მიმართებაში მემკვიდრეობის გარდა სხვა ქონებრივი უფლება არ გააჩნია. უფრო მეტიც, ცოლს შეუძლია საკუთარი სახლი ქმარს მიაქირავოს. გარდა ამისა ცოლ-ქმარს შორის სიყვარული და პატივისცემა ურთიერთვალდებულებაა.

ქალის და მამაკაცის სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით ცოლი საოჯახო საქმეებით, ხოლო ქმარი საგარეო საქმეებით უნდა იყოს დაკავებული. ასე ასწავლიდა წმ. შუამავალი საკუთარ სიძეს ალის და ქალიშვილს ფათმას.

21) ქვრივი ქალის ქონებრივი უფლებები

ა) დაქვრივებულ ქალს შეუძლია თავისი ქონების და ასაღების დაზუსტება მოითხოვოს. ასეთია მზითვი, ნიშნობისას ნაჩუქარი ქონება თუ სამკაულები, ქმრისთვის სესხად მიცემული ფული ან სხვა ფასეულობა. თუ "მეჰრ:-ის რაოდენობა გარკვეულია და ჯერ არ აქვს აღებული შეუძლია მოითხოვოს. თუ გაურკვეველია სპეციალური მეთოდით გაირკვევა და მიიღებს.

ბ) დაქვრივებული ქალი თუ ქმარს მემკვიდრეების სახით შვილები ყავდა ქმრის ქონებიდან ერთ მერვედს მიიღებს. თუ ქმარს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა ცოლს შეუძლია ერთი მეოთხედი მიიღოს.

გ.) დაქვრივებული ქალი ვალდებულია გარკვეული ხანი, რომელიც ზემოთ მივუთითეთ ქმრის ოჯახში დარჩეს. ამ პერიოდისათვის სარჩენი ფული ცალკე არ მიეცემა, რადგან მას ისედაც ეკუთვნის ქმრის ქონებიდან მემკვიდრეობით მიღებული წილი. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც განშორებულ ქალს, თუ ის ორსულადაა მშობიარობამდე ხარჯების მოთხოვნის უფლება აქვს.

22) განშორებული ქალის ქონებრივი უფლებები

განშორებული ქალი, სამი მენსტრუაციული ციკლის გასვლამდე არ უნდა გათხოვდეს და ყოფილი ქმარი ვადებულია მისი ძირითადი ხარჯები ისევ აანაზღაუროს. განშორების მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს. თუ ქალი ორსულადაა ეს ვალდებულება მშობიარობამდე გრძელდება.

23) ბავშვების მოვლა -პატრონობის ხარჯები

ბავშვების მოვლა-პატრონობის ხარჯებს რაც შეეხება, ვაჟი სანამ გაიზრდება და საკუთარი თავის რჩენას შეძლებს მანამდე მისი ხარჯები მამამ უნდა აანაზღაუროს. რაც შეეხება ქალიშვილს გათხოვებამდე მისი ყოველგვარი ხარჯი მამას ეხება. დედას შემოსავალი რომც ჰქონდეს აღნიშნულ ხარჯებში მონაწილეობა ნებაყოფილობითია. მისი იძულება მიუღებელია.

თუ ბავშვებს საკუთარი შემოსავალი აქვთ შეუძლიათ საკუთარი საჭიროებებისთვის უნდა დახარჯონ.

24) მშობლების და სხვა ახლო ნათესავების ხარჯები

თუ მშობლები მოხუცდნენ, მუშობა აღარ შეუძლიათ ან თავს ვერ ირჩენენ მათი მოვლა-პატრონობის ხარჯები შვილებს აკისრიათ. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებბს ერთი პირობა, რომლის თანახმადაც მშობლები შვილებისგან მოვლა- პატრონობას მაშინ მოითხოვენ, როდესაც თავის რჩენა აღარ შეეძლებათ. გარდა ამისა შვილს, ან შვილიშვილს მოვლა პატრონობის შესაძლებლობაც უნდა გააჩნდეთ.

მამაკაცი ღარიბიც რომ იყოს ვალდებულია ოჯახს და მშობლებს მოუაროს. რაც შეეხება სხვა ნათესავებს, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შესაძლებლობა.

მალიქის მიხედვით ღარიბი შვილი, თუნდაც შრომისუნარიანი იყოს ვალდებული არ არის მშობლების მოვლლისათვის ხარჯი გაიღოს.

25) რელიგიური განსხვავება

მამაკაცი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია არჩინოს ოჯახი, მიუხედავად ცოლის რელიგიური მრწამსისა, თუმცა ცოლი არ უნდა იყოს ურჩი და ისეთი თვისებების მატარებელი, რაც ისლამის მიერ ოჯახისთვის დადგენილ პრონციპებს ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება სხვა ნათესავებს, ჰანეფის მიხედვით მშობლები, ბებია-ბაბუა, შვილები და შვილიშვილები განსხვავებული აღმსარებლობის მიუხედავად ოჯახის რჩენისათვის გამოყოფილი ხარჯებით ისარგებლებენ. სხვა ნათესავები კი, თუნდაც ღარიბები იყვნენ, თუ სხვა რელიგიის მიმდევრები არიან მოვლა-პატრონობის ხარჯებს ვერ მოითხოვენ.

მეუღლის გარდა სხვა ნათესავების მოვლა-პატრონობის ვალდებულების მიზეზი მაშინ ჩნდება, როდესაც მათ ეს სჭირდებათ. თუ მათ ეს არ სჭირდებათ და საკუთარი თავის მოვლა შეუძლიათ მათთვის ხარჯების გაღება საჭირო აღარ არის. თუმცა ცოლი მდიდარიც რომ იყოს, მისი მოვლა-პატრონობა და ყოველგვარი ხარჯი ქმრის ვალდეუბლებაა.

26) განქორწინება

რომელიმე მეუღლის გარდაცვალება ქორწინებას აუქმებს. გარდა ამისა არსებობს განქორწინების სხვა მიზეზებიც, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

1) ქორწინების შეწყვეტა, რომელიც დაქორწინებისას, ან ქორწინებაში ყოფნისას წარმოქმნილი მიზეზით ხორციელდება. მაგ. მოწმის გარეშე ქორწინება საქორწინო აქტის დროს დაფიქსირებული ნაკლოვანებაა. ხოლო რომელიმე მეუღლის მიერ სარწმუნოებიდან გასვლა ქორწინებაში ყოფნის დროს დაფიქსირებული მიზეზია, რომელიც ქორწინებას წყვეტს. თუ საქორწინო აქტი სქესობრივი აქტის განხორციელებამდე შეწყდა საქმრო ვალდებული არ არის საცოლეს ე.წ. ნიშნობის საჩუქრები აჩუქოს.

2) განქორწინების ფორმა, რომლის დროსაც ან ერთი მხარე ახორციელებს განქორწინებას, ან მეუღლეები შეთანხმების საფუძველზე შორდებიან, ან კიდევ სასამართლოს დადგენილებით გაიყრებიან.

არსებობს განქორწინების ფორმა, რომლიც დროსაც ქმარს შეუძლია გარკვეული დროის გასვლამდე ხელახალი საქორწინო აქტის შედგენის გარეშე დაიბრუნოს მეუღლე. თუ ხელახალი შეუღლება კონკრეტულ ვადაში არ მოხდა განქორწინება მტკიცე სახეს მიიღებს და ქმარს ამგვარი განქორწინების ერთი უფლება წაერთმევა. როგორც წესი, ქმარს შეუძლია სამჯერ განქორწინდეს და ისევ შეუღლდეს ცოლთან.

3) განქორწინების ფორმა, რომლის დროსაც ხელახალი საქორწინო აქტია საჭირო. თუ ქმარი მესამეჯერ გაშორდა ცოლს მასზე ხელახლა საქორწინოდ საჭიროა ქალი ნამდვილი ქორწინებით სხვა ვინმეზე გათხოვდეს, ხოლო შემდეგ წესის და რიგის მიხედვით გაშორდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია პირველ ქმარს ხელახლა იქორწინოს მასზე.

4) განქორწინების ფორმა, როდესაც ის რაიმე პირობაზეა დამოკიდებული. როდესაც ის პირობა შესრულდება განქორწინება განხორციელდება. იგივე პირობად შეიძლება ჩაითვალოს დაფიცებაც.

5) როგორც წესი, გაყრის უფლება ქმრის უფლებაა. თუ ქორწინებაში ყოფნისას ცოლს გაყრის უფლება არ აქვს მინიჭებული მას შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილებით გაშორდეს მეუღლეს, ან რაიმე საზღაურის ფასად შეუთანხმდეს ქმარს და გაეყაროს. გამომდინარე აქედან ცოლს შეუძლია ნაჩუქარ ნიშნის ქონებაზე და ფასეულობებზე უარის თქმით ქმარს შეუთანხმდეს და გაეყაროს. თუ კონფლიქტი ცოლის ბრალია ქმარს შეუძლია ნაჩუქარზე მეტი აიღოს, ხოლო თუ ქმარია დამნაშავე, მის მიერ ცოლისგან ქონების მიღება ცუდ საქციელად ითვლება.

6) ეს არის ფიცი, რომელიც საბოლოოდ განქორწინებას იწვევს. ფიცი გულისხმობს ქმრის მიერ ცოლთან სექსუალურ ურთიერთობაზე გაურკვეული ან გაურკვეველი ვადით უარის თქმას. ასეთ შემთხვევაში ქმარი ან შესაწირს ჰპირდება, ან რაიმე პირობას დებს. თუ დრო მითითებულია მაქსიმუმი 4 თვე უნდა იყოს. აღნიშნული დროის გასვლამდე ქმარს შეუძლია ფიცის საგამტეხლო გადაიხადოს და ცოლს შეურიგდეს. დროის გასვლის შემდეგ კი ისინი განქორწინდებიან. თუ აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ ქმარი არ გაშორდა ცოლს უფლება აქვს სასამართლოს გზით გაყრა მოითხოვოს.

7) განქორწინება შესაძლებელია სასამართლოს გზითაც. მეუღ-

ლეები მიმართავენ სასამართლოს და მოსამართლეც რაიმე მიზეზზე დაყრდნობით განქორწინებას დაადგენს. ოჯახური პრობლემების და ცოლ-ქმრული საიდუმლოების გამოაშკარავებისგან თავის არიდების მიზნით ისლამში მიღებულია ცოლის და ქმრის მხრიდან თითო პიროვნება შეირჩეს და პრობლემა გამოიკვლიონ. თავდა-პირველად ისინი შეეცდებიან შეარიგონ მეუღლეები და ოჯახის მთლიანობის შენარჩუნებისთვის იზრუნონ. თუ ეს არ ხერხდება მათდამი მინიჭებული უფლების საფუძველზე განქორწინების გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ებუ ჰანიფეს და ჰანბელის აზრით ეს არჩეული პიროვნებები ნდობით აღჭურვილნი არიან და თუ ეს უფლება ქმარმა და ცოლმა არ მისცეს გაყრის გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. სხვა ვარა-უდის თანახმად გადაწყვეტილების მიმღები პირი მოსამართლის სტატუსით სარგებლობს და მხარეები უკმაყოფილოც რომ იყონ გადაწვეტილების მიღების უფლება აქვს.

8) ავადმყოფობა და ნაკლოვანება. ზოგიერთი დაავადება და ნაკლოვანება, რომელიც ცოლ-ქმრის ერთად ყოფნას ხელს უშლის შესაძლებელია განქორწინების მიზეზი გახდეს. თუ ასეთი ავადმ-ყოფობის, ან ნაკლოვანების დროს გამოჯანმრთელების იმედი არსებობს გადაწყვეტილების მიმღები პიროვნება განქორწინებას ერთი წლით გადადებს, ხოლო თუ გამოჯანმრთელების იმედი აღარ არის განქორწინების გადაწყვეტილებას მიიღებს.

9) თუ ქმარი ცოლ-შვილს არ უვლის ჰანეფის შეხედულების თანახმად ცოლს შეუძლია სასამართლოს მიმართოს და მოვლა-პატრონობა მოითხოვოს. დანარჩენი მიმდინარეობების მიხედვით კი თუ ქმარი ცოლ-შვილს არ უვლის და არც შესაბამისი ქონება არ გააჩნია ცოლს შეუძლია განქორწინება მოითხოვოს.

10) დაკარგვა ან მიტოვება. უგზო უკვლოდ დაკარგული ადამიანი, რომლის ასავალ-დასავალი არ არის ცნობილი 90 წლის ასაკამდე ან მისი ტოლების სიკვდილამდე ცოცხლად ითვლება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მკვდრად ჩაითვალოს. ეს შეხედულება ჰანეფს და შაფის ეკუთვნით და მის მიხედვით დაკარგვა განქორწინების მიზეზად არ ითვლება. მალიქის მიხედვით კი დაკარგვიდან 4 წლის გასვლის შემდეგ ცოლს შეუძლია განქორწინება მოითხოვოს.

თუ ქმარი საღსალამათია და ადგილსამყოფელი ცნობილია, ის კი ოჯახში არ ბრუნდება ჰანეფი და შაფი ამას განქორწინების მიზეზად არ მიიჩნევენ. მალიქი თვლის რომ თუ ასეთი მდგომარეობა ერთ

წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა განქორწინება შესაძლებელია. ჰანბელის შეხედულების თანახმად კი ეს დრო 6 თვით განისაზღვრება.

11) ცუდად მოპყრობა და კონფლიქტი ჰანეფის და შაფის მიხედვით განქორწინების მიზეზად არ ითვლება. ასეთ შემთხვევაში მოსარიგებლად და პრობლემის მოსაგვარებლად სასამართლოზე მიმართვა საკარისად არის მიჩნეული. მალიქის მიხედვით თუ ქმარი ცოლს ცუდად ეპყრობა ცოლს შეუძლია სასამართლოს გზით განქორწინება მოითხოვოს. თუ ცოლი დაამტკიცებს, რომ ქმარი ნამდვილად ცუდად ეპყრობა მოსამართლე განქორწინების გადაწყვეტილებას მიიღებს, ხოლო თუ ვერ დაამტკიცებს მოსამართლე მათ შერიგებას შეეცდება.

12) თუ ქმარი ცოლს მრუშობაში ადანაშაულებს და ამას საკმარისად ვერ ამტკიცებს შეუძლია ისლამურ სასამართლოს მიმართოს და სპეციალური დაფიცების პროცედურის გავლის შემდეგ განქორწინება მოითხოვოს.

13) რწმენიდან გასვლა. ჰანეფის, ებუ იუსუფის და მალიქის შეხედულების თანახმად რომელიმე მეუღლის მიერ ისლამის რწმენის მიტოვების შემთხვევაში ქორწინების აქტი თავისთავად დასრულებულად ითვლება. შაფის და ჰანბელის მიხედვით კი ასეთ შემთხვევაში “იდდეთ”-ის დროით მოცდაა საჭირო. თუ ამ დროში რწმენიდან განდგომილი პიროვნება ისევ რწმენას დაუბრუნდება ქორწინება აღდგება და ჩვეულებრივ გაგრძელდება.

თუ მეუღლეებიდან ერთ-ერთი მუსლიმია მათი მცირეწლოვანი შვილი მუსლიმად ითვლება. თუ მეუღლეებიდან ერთ-ერთი მუსლიმი გახდება ანალოგიურად მისი მცირეწლოვანი შვილიც მუსლიმად ითვლება.

თუ ცოლი ისლამს აღიარებს, ხოლო ქმარი ურწმუნო იქნება, მას ისლამის აღიარება უნდა შესთავაზონ. თუ ქმარიც აღიარებს ისლამს ქორწინება ჩვეულებრივად გაგრძელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლს შეუძლია გაყრა მოითხოვოს.

თუ ცოლი გარდაიცვალა ქორწინება მაშინვე წყდება, ხოლო ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში დაქვრივებული ცოლი 4 თვის და 10 დღის განმავლობაში ქორწინებაში მყოფად ითვლება.

27) განქორწინებისას საქორწინო საჩუქრები ვის ეკუთვნით?

როგორც წესი, ქმრის ნათესავების მიერ ნაჩუქარი საჩუქრები ქარს ეკუთვნის, ხოლო ცოლის ნათესავების მიერ ნაჩუქარი საჩუქრები –ცოლს. მოგვიანებით ნაჩუქარი საჩუქრები კი განიხილება: თუ ქმრისთვის უფრო გამოსადეგია ქმარს, თუ ცოლისთვის უფრო გამოსადეგია ცოლს დარჩება.

28) აქვს თუ არა ცოლს განქორწინების უფლება?

ისლამში, როგორც წესი განქორწინების უფლება ქმარს აქვს, მაგრამ ქმარს შეუძლია ქორწინების პროცესში ეს უფლება ცოლს მიანიჭოს. ასეთ შემთხვევაში მეუღლეებს განქორწინების საკითხებში თანაბარი უფლებები აქვთ. ასეთი უფლების მინიჭების შემდეგ ქმარს არ შეუძლია გადაიფიქროს და ეს უფლება ცოლს ჩამოართვას.

თუ ცოლს მსგავსი უფლება არ მოუპოვებია, მაგრამ ქორწინებაში ყოფნისას განქორწინებისათვის საკმარისი მიზეზები წარმოიშვა ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს მიმართოს.

29) საქორწინო აქტის განსხვავებული ფორმა. “მუთა”.

მსგავსი საქორწინო აქტი განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. ეს არის გარკვეული გასამრჯელოს ფასად სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით ქალთან დროებითი შეთანხმება. მსგავსი საქორწინო აქტები ისლამამდელ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული და წმ. შუამავლის დროსაც ზოგჯერ ხდებოდა.

ზოგჯერ ლაშქრობის, ან მგზავრობის დროს წმ. შუამავალი მეომრებს მსგავსი საქორწინო აქტის შედგენის ნებას აძლევდა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო შესაბამისი მიზეზის გამო.

თუმცა ცნობილია, რომ წმ. შუამავალმა “ვედა ჰაჯ”-ის დროს მსგავსი საქორწინო აქტი აკრძალა.

30) შვილად აყვანა მიღებულია?

ისლამამდელ პერიოდში შვილად აყვანა გავრცელებული წესი იყო. წმ. შუამავალსაც, სანამ შუამავალი გახდებოდა ზეიდ იბნ ჰარისე ჰყავდა ნაშვილები. ნაშვილები იგივე შვილად ითვლება და შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ობლის და უპატრონოს მოვლა-პატრონობა, მისი აღზრდა, სწავლება, დაქორწინება და ცხოვრების გზაზე დაყენება მორწმუნე მუსლიმს დიდ მადლს შესძენს.

31) ხელოვნური განაყოფიერება

მშობლების ყველაზე ბუნებრივი უფლება შვილის ყოლაა. ეს უფლება რელიგიურადაც დაცულია.

თუ რომელიმე მშობელი უშვილოა უფლება აქვს იმკურნალოს და შვილი იყოლიოს. მკურნალობის მეთოდებიდან ერთ-ერთი ხელოვნური განაყოფიერებაა. ასეთ შემთხვევაში მამაკაცის სპერმას იღებენ და ქალის კვერცხუჯრედთან აკავშირებენ. შემდეგ მას საშვილოსნოში ათავსებენ და ორსულობის და მშობიარობისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. ეს მეთოდი მაშინაა მიღებული თუ განაყოფიერება დაქორწინებულ წყვილს შორის ხდება და გამოყენებული კვერცხუჯრედიც დაქორწინებულ ქალს უნდა ეკუთვნოდეს.

32) მუსლიმისთვის განსაკუთრებული ჩაცმულობის სტილი თუ არსებობს?

მუსლიმი ქალის და მამაკაცის სხეულის დასაფარი ადგილები აიათებში და ჰადისებში ნათლადაა მითითებული. კერძოდ, მამაკაცები საზოგადოებაში გასვლისას ჭიპიდან მუხლისთავებამდე დაფარულნი უნდა იყვნენ. რაც სეეხებათ მანდილოსნებს ხელების, ტერფების და სახის გარდა მთელი სხეული დაფარული უნდა ჰქონდეთ. ღვთის შუამავალს ჩაცმულობის რომელიმე კონკრეტული სტილი არ შეურჩევია. წმ. შუამავალის და ხალიფების დროს სხვადასხვა ქვეყნის და ტომის ხალხი შევიდა ისლამის რიგებში, მაგრამ მათთვის რაიმე განსაკუთრებული ჩაცმულობის სტილი

არ დაუწესებიათ. მხოლოდ შემდეგი ოთხი სახის ტანსაცმელია მიუღებელი:

1- ურწმუნოების სიმბოლოს მატარებელი ტანისამოსი. წმ. შუამავალმა იბნ ამრს, რომელსაც უცნაურად შეღებილი ტანისამოსი ეცვა ტანსაცმლის გახდა და დაწვა უბრძანა, რადგან ის ურწმუნოთა ჩასაცმელი იყო. ისლამის სწავლულთაგან ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ეს არამია, ზოგის აზრით კი –ცოდვა. დღეისათვის ზოგიერთი რელიგიური პიროვნების მიერ მღვდლის ფორმით სიარული, ან ახალგაზრდების მიერ ჯვრიანი მაისურების ჩაცმა ამის მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს.

2- მამაკაცის მიერ აბრეშუმის ჩაცმა. მრავალ ჰადისშია ნაბრძანები, რომ მამაკაცებისთვის აბრეშუმის ჩაცმა მიუღებელია. მამაკაცს ეკრძალება აგრეთვე ოქროს სამკაულებიც.

3- მამაკაცის მიერ ქალის ტანსაცმლის და ქალის მიერ მამაკაცის ტანსაცმლის ჩაცმა მიუღებელია. წმ. შუამავალი წყევლიდა ისეთ კაცებს და ქალებს, რომლებიც საპირისპირო სქესის წარმომადგენლებზე დამსგავსებას ცდილობდნენ.

4- სხვების წინაშე განდიდების გამომხატველი ტანსაცმელი. წმ. შუამავალი კრძალავდა ისეთი ტანსაცმლის ჩაცმას, რომელიც სხვებს დაამცირებდა და პიროვნებას მათზე მაღლა დააყენებდა.

დღეისათვის გავრცელებული სხვადასხვა სახის ტანსაცმელი, როგორებიცაა ქურქი, მანტო, ტყავის ქურთუკი და სხვა ისლამის მიერ დადგენილ დაფასარი ადგილების პრინციპს არ ეწინააღმდეგება. ამიტომ მათი ჩაცმა მიღებულია. თუმცა გადაშენების პირას მყოფი ცხოველების ტყავის გამოყენება მიუღებელია, რადგან აღნიშნულ ცხოველებსაც აქვთ სიცოცხლისა და არსებობის გაგრძელების უფლება. თუ რომელიმე ტანსაცმელი სოციალური და გარემო პირობების გამო აუცილებლობას წარმოადგენს და სხეულის დასაფარ ადგილებს ფარავს მისი ჩაცმა მისაღებია. ბუნებრივია ტანსაცმელი არ უნდა იყოს ზედმეტად ვიწრო.

IIII-ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები

1) ვაჭრობის ადგილი ისლამში

ისლამი ვაჭრობას მიღებულად თვლის. წმ. ყურანში ნაბრძანებია:

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا لَا تَاْكُلُوا اَمْوَالَكُمْ بَيْنَكُمْ بِالْبَاطِلِ اِلَّا اَنْ تَكُونَ تِجَارَةً عَنْ تَرَاضٍ مِنْكُمْ وَلَا تَقْتُلُوا اَنْفُسَكُمْ اِنَّ اللّٰهَ كَانَ بِكُمْ رَح يمًا

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენდამი! “ ნისა 4/29“

اَلَّذ ينَ يَاْكُلُونَ الرِّبٰوا لَا يَقُومُونَ اِلَّا كَمَا يَقُومُ الَّذ ى يَتَخَبَّطُهُ الشَّيْطٰنُ مِنَ الْمَسِّ ذٰلِكَ بِاَنَّهُمْ قَالُوا اِنَّمَاالْبَيْعُ مِثْلُ الرِّبٰوا وَاَحَلَّ اللّٰهُ الْبَيْعَ وَحَرَّمَ الرِّبٰوا فَمَنْ جَاءَهُ مَوْعِظَةٌ مِنْ رَبِّه فَانْتَهٰى فَلَهُ مَا سَلَفَ وَاَمْرُهُ اِلَى اللّٰهِ وَمَنْ عَادَ فَاُولٰئِكَ اَصْحَابُ النَّارِ هُمْ ف يهَا خَالِدُونَ

რომელნიც მევახშეობას ეწევიან, (აღდგომის დღეს) ვერ აღსდგებიან (სხვაგვარად), თუ არა ისე, როგორც აღსდგება ეშმაკის შეხებით გაგიჟებული. აი, ეს იმისთვის, რომ თქვეს მათ: ვაჭრობა ხომ იგივე მევახშეობაა! ალლაჰმა კი ნება დართო ვაჭრობას და აკრძალა მევახშეობა. ვისაც დარიგება მოუვიდა თავისი ღმერთისგან და თავი ანება, მისია რაც უწინ იყო : და საქმე მისი ალლაჰს ეკუთვნის; ხოლო ვინც დაუბრუნდეს, ეგენი არიან ბინადარნი ცეცხლისა, სადაც სამუდამოდ დარჩებიან. „ბაყარა 2/275“

فَاِذَا قُضِيَتِ الصَّلٰوةُ فَانْتَشِرُوا فِى الْاَرْضِ وَابْتَغُوا مِنْ فَضْلِ اللّٰهِ وَاذْكُرُوا اللّٰهَ كَث يرًا لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

وَاِذَا رَاَوْا تِجَارَةً اَوْ لَهْوًا انْفَضُّوا اِلَيْهَا وَتَرَكُوكَ قَائِمًا قُلْ مَا عِنْدَ اللّٰهِ خَيْرٌ مِنَ اللَّهْوِ وَمِنَ التِّجَارَةِ وَاللّٰهُ خَيْرُ الرَّازِق ينَ

ხოლო როცა დასრულდება ლოცვა, მიმოიფანტეთ დედამიწაზე, ეძიეთ ალლაჰის მადლისგან და მრავალჯერ ახსენეთ ალლაჰი, ეგების გადარჩეთ !

ხოლო როცა დაინახეს ვაჭრობა და გართობა, უმალ გაქანდნენ მისკენ და მიგატოვეს შენ ფეხზე მდგომი. უთხარი: „რაცაა ალლაჰის წიაღ უკეთესია გართობასა და ვაჭრობაზე, რამეთუ ალლაჰი საუკეთესო სარჩოს მომმადლებელია!“ „ჯუმა 62/10-11“

აღნიშნული საკითხის შესახებ წმ. შუამავალსაც მრავალი რჩევა-დარიგება გადმოუცია. მას თავადაც მიუღია ვაჭრობაში მონაწილეობა, ვალიც ჰქონია და ასაღებიც. როდესაც ის შუამავალი გახდა ადამიანებისთვის ვაჭრობა არ აუკრძალავს. პირიქით, ის

ბრძანებდა, რომ სარჩოს ცხრა მეათედი ვაჭრობაშიაო. თუმცა ვაჭრობაში ტყუილი. პროცენტი და მსგავსი უსამართლო ქმედებები კატეგორიულად აკრძალა.

2) პროცენტი

ისლამის აღმოცენების პერიოდში იყო წესი, რომლის თანახმადაც გაცემული ფულის, ან საქონლის დაბრუნებისას მსესხებელს მირებულის რაოდენობაზე მეტი უნდა დაებრუნებინა. ამას ეწოდებოდა "რიბა" ანუ პროცენტი. სესხის გაგრძელების დროს დანამატიც ამ კატეგორიაში შედიოდა.

ისლამში და ისლამამდელ ზეციურ რელიგიებშიც პროცენტი აკრძალული იყო, როგორც უშრომელი შემოსავალი.

მექაში მოვლენილ აიათში პროცენტის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ის მადლიანი საქმე არ იყო.

მედინაში მოვლენილ აიათებს შორის ებრაელების და მათი უბედურების შესახებ წერია, რომ მიუხედავად აკრძალულობისა ისინი მაინც პროცენტს იღებენ. მათი უბედურების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ პროცენტი იყო დასახელებული. უჰუდის ბრძოლის დროს მოვლენილ აიათში გაორმაგებული პროცენტია აკრძალული, ხოლო ჰეიბერის დაპყრობის დროს მოვლენილ აიათში პროცენტი საერთოდ აკრძალული იყო.

اَلَّذ ینَ یَاْكُلُونَ الرِّبٰوا لَا یَقُومُونَ اِلَّا كَمَا یَقُومُ الَّذ ی یَتَخَبَّطُهُ الشَّیْطٰنُ مِنَ الْمَسِّ ذٰلِكَ بِاَنَّهُمْ قَالُوا اِنَّمَاالْبَیْعُ مِثْلُ الرِّبٰوا وَاَحَلَّ اللّٰهُ الْبَیْعَ وَحَرَّمَ الرِّبٰوا فَمَنْ جَاءَهُ مَوْعِظَةٌ مِنْ رَبِّه فَانْتَهٰی فَلَهُ مَا سَلَفَ وَاَمْرُهُ اِلَی اللّٰهِ وَمَنْ عَادَ فَاُولٰئِكَ اَصْحَابُ النَّارِ هُمْ ف یهَا خَالِدُونَ

یَمْحَقُ اللّٰهُ الرِّبٰوا وَیُرْبِی الصَّدَقَاتِ وَاللّٰهُ لَا یُحِبُّ كُلَّ كَفَّارٍ اَث یمٍ

რომელნიც მევახშეობას ეწევიან, (აღდგომის დღეს) ვერ აღსდგებიან (სხვაგვარად), თუ არა ისე, როგორც აღსდგება ეშმაკის შეხებით გაგიჟებული. აი, ეს იმისთვის, რომ თქვეს მათ: ვაჭრობა ხომ იგივე მევახშეობაა! ალლაჰმა კი ნება დართო ვაჭრობას და აკრძალა მევახშეობა. ვისაც დარიგება მოუვიდა თავისი ღმერთისგან და თავი ანება, მისია რაც უწინ იყო : და საქმე მისი ალლაჰს ეკუთვნის; ხოლო ვინც დაუბრუნდეს, ეგენი არიან ბინადარნი ცეცხლისა, სადაც სამუდამოდ დარჩებიან.

ალლაჰი კრძალავს მევახშეობას და ამრავლებს მოწყალების გაღებას. და ალლაჰს არ უყვარს არც ერთი ურწმუნო და ცოდვილი. "ბაყარა 2/275-276 "

يَا اَيُّهَا الَّذ ينَ اٰمَنُوا اتَّقُوا اللّٰهَ وَذَرُوا مَا بَقِىَ مِنَ الرِّبٰوا اِنْ كُنْتُمْ مُؤْمِن ينَ

فَاِنْ لَمْ تَفْعَلُوا فَاْذَنُوا بِحَرْبٍ مِنَ اللّٰهِ وَرَسُولِه وَاِنْ تُبْتُمْ فَلَكُمْ رُؤُسُ اَمْوَالِكُمْ لَا تَظْلِمُونَ وَلَا تُظْلَمُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰისა და თუ ხართ (ჭეშმარიტი) მორწმუნენი, უარი თქვით დარჩენილ პროცენტზე!

თუკი (ამას) არ იქმთ, მაშინ იცოდეთ, რომ ალლაჰსა და მის შუამავალს უცხადებთ ომს. ხოლო თუ მოინანიებთ, თქვენია ძირითადი კაპიტალი . არცა დაჩაგრავთ და არცა დაიჩაგრებით. “ბაყარა 2/278-279”

აიათში ნახსენები პროცენტის სახეობა მიმოქცევაში არსებული მაშინდელი ოქროსა და ვერცხლის ფულის გასესხებისას წარმოშობილი პროცენტი იყო. წმ. შუამავალმა კი ჰადისებით პროცენტის ყველა სახეობა ერთ მთლიანობაში მოაქცია.

“ოქრო ოქროში, ვერცხლი ვერცხლში, ხორბალი ხორბალში, ქერი ქერში, ხურმა ხურმაში ერთნაირი რაოდენობით იცვლება. თუ სხვადასხვა საქონელი ერთიმეორეში იცვლება ადგილზევე ანგარიშსწორების პირობით სასურველი საქონლის გაცვლა შეიძლება.”

ამ ჰადისის თირმიზისეულ ვარიანტში შემდეგი დამატებაა: “ვინც ამგვარ აღბ-მიცემობაში ზედმეტს მისცემს, ან აიღებს უეჭველია, რომ პროცენტია!”

წმ. შუამავლის დროს ოქროს და ვერცხლის ფული იყო მიმოქცევაში. აღნიშნულ ფულის ერთეულებს კი თავიანთი წონის შესაბამისად თვითღირებულება ჰქონდათ. თუ ასეთI ფულის გაცემა და სხვა სახის საქონლის მიღება შეიძლებოდა იგივე ფასის უნდა ყოფილიყო. შრომის ანაზღაურების გარდა სხვა რაიმეში გადახდისას ზედმეტი ფასის გადახდა პროცენტს გულისხმობდა.

ფულის გაცემა-აღების პროცესში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ინფლაცია. მოგეხსენებათ ფულის ღირებულება, სხვა ფულთან, ან ოქროსთან მიმართებაში დღეში რამოდენიმეჯერ იცვლება. ეს კი მსესხებელს, ან გამსესხებელს დაუმსახურებელ შემოსავალს აძლევს. ან კიდევ პირიქით, რომელიმე მხარე ზარალდება. გამომდინარე აქედან ოქროს, ვერცხლის და ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით უნდა ხდებოდეს. ნისიად გაყიდვა კი კონკრეტულს დროში მოსალოდნელი ცვლილებაც რომ იქნას გათვალისწინებული ერთგვარ პროცენტს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ერთხელ წმ. შუამავალმა ბილალს უსაყვედურა, რადგან მან ორი კალათა ცუდი ხურმა ერთ კალათა კარგ ხურმაში გადაცვალა, რათა ის წმ. შუამავლისთვის მიერთმია. მან უბრძანა ბილალს გაეყიდა თავისი ხურმა და ამის სემდეგ სასურველი ხურმა ეყიდა.

დღეს მიმოქცევაში არსებული ფულის კურსი დღეში რამოდენიმეჯერ იცვლება. ამიტომ თუ ფული ერთ თვეზე მეტი ხნითაა გაცემული, აღებისას ოქროსთან მიმართებაში თუ შემოწმდება და განსხვავება გათვალისწინებული იქნება ეს პროცენტად არ უნდა ჩაითვალოს.

თავდაპირველად ქარალდის ფული ოქროს მაგივრად იქნა გამოშვებული და როგორც მისი მაგიერი მასში ოქროს ღირებულების და თვისებების აღმოჩენა შესაძლებელი იყო. თუმცა მოგვიანებით ზოგიერთ ქვეყანაში ქაღალდის ფულის ფასი ოქროზე დამოკიდებული აღარ არის და ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერეს დაეყრდნო.

3) გაყიდულ საქონელს რა თვისებები უნდა ჰქონდეს?

1) საქონელი ღირებული უნდა იყოს. ისლამის მიხედვით საქონელი ღირებულია მაშინ, როდესაც მისი ჭამა, სმა, ან გამოყენება მიღებულია. მსგავსი საქონლის წარმოება, ყიდვა, გაყიდვა დაშვებია. ღორის ხორცი, ღვინო, მკვდარი ცხოველის ხორცი და მსგავსი საქონელი ღირებულად არ ითვლება და მათი წარმოება, ყიდვა, გაყიდვა და ა. შ. მიუღებელია.

2) საქონელი გამოსადეგი უნდა იყოს. მაგ. მტაცებელი ცხოველების გაყიდვა მიუღებელია, მაგრამ თუ ისინი ადამიანის, ცხოველების, ან მცენარეებისთვის სასარგებლოა მაშინ შეიძლება. მაგ. შხამისა და ტყავის გამოყენების მიზნით გველების მოშენება ამის მაგალითად გამოდგება.

3) ყიდვა-გაყიდვისას საჭიროა საქონლის რაოდენობისა და თვისებების ცოდნა. თუ ვაჭრობა ვარაუდით ხორციელდება რაოდენობის ცოდნა აუცილებელი აღარ არის.

4) საქონლის გაყიდვას ვინც ახორციელებს ამის უფლება უნდა

ჰქონდეს. ამიტომ სხვისი ქონების უნებართვოდ გაყიდვა მიუღებელია.

5) გაყიდული საქონლის მყიდველზე ჩაბარება შესაძლებელი უნდა იყოს. ამიტომ ზღვაში მოცურავე თევზის და ცაში მფრინავი ფრინველის გაყიდვა მიუღებელია.

ისლამში თავისუფალი ფასებია მიღებული და საქონლის ფასიც ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე უნდა დადგინდეს. საქონლის ხელოვნური დეფიციტის შექმნა და ამგვარად გაძვირების გამოწვევა მიზანშეწონილი არ არის. ამგვარი ვაჭრობა მიუღებელი რომ იყოს საჭიროა შემდეგი სამი პირობის არსებობა: 1) საქონელი ნაყიდი უნდა იყოს. 2) საქონელი საკვებ პროდუკტს უნდა წარმოადგენდეს. 3) ადამიანები აღნიშნული საქონლის სიდუხჭირეს უნდა განიცდიდნენ და რეალური დეფიციტი უნდა არსებობდეს. საქონლის შენახვის ვადა როგორც წესი 40 დღეა. ეს დრო შეიძლება საჭიროებისდა მიხედვით შემცირდეს. მაგ. დღევანდელ პირობებში ბენზინი, გაზი და მსგავსი პროდუკტები რამოდენიმე დღითაც რომ არ მიეწოდოს ბაზარს ადამიანებს დიდ განსაცდელში ჩააგდებს.

4) ქალაქში გასაყიდად წაღებულ საქონელზე გზაში დახვედრა და შესყიდვა

წმ. შუამავალი ვაჭრების მიერ ქალაქში მომავალ ადამიანებზე დახვედრას და მათი საქონლის შესყიდვას კრძალავდა. ჰანეფის მიმდევრებმა ეს აკრძალვა ორგვარად ახსნენს: ა) გზაში შემხვედრი ვაჭარი საქონელს სასურველ ფასში გაყიდის, რადგან იცის რომ ქალაქში ამ საქონლის დეფიციტია. ბ) ქალაქში მომავალმა გლეხმა ფასები ზუსტად არ იცის, ამიტომ ვაჭარი საქონელს რელაურ ფასზე ნაკლებში ყიდულობს. პირველ შემთხვევაში ქალაქის ხალხი ზარალდება, რადგან ვაჭარს შეუძლია ძალიან ძვირად გაყიდოს საქონელი. მეორე შამთხვევაში კი –გლეხი, რადგან ფასების უცოდინაროზის გამო ნაკლებ ფასში დათმო საქონელი. თუმცა ვაჭარი, რომელიც ხელს უწყობს როგორც საქონლის ადვილად გასაღებას, ისე მომხარებლის მომარაგებას და ამგვარად ყველა კმაყოფილია ცოდვილად არ ითვლება და შეუძლია ამგვარად იმუშაოს.

5) ჯუმის ლოცვის დროს ვაჭრობა მიღებულია?

პარასკევ დღეს, ჯუმის ლოცვის ლოცვის დროს ვისაც ჯუმის ლოცვის ლოცვა ევალება საპატიო მიზეზის გარეშე სხვა საქმით არ უნდა დაკავდეს. ეს მიუღებლადაა მიჩნეული.

ჰანეფის მიხედვით ჯუმის ლოცვის დროს ვაჭრობა არამთან ახლო მექრუჰია, ხოლო მიმდინარეობათა უმრავლესობის მიხედვით –არამი.

ისლამის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს აკრძალვა მხოლოდ ვაჭრობას არ შეეხება და სხვა საქმიანობასაც მოიცავს.

6) მოგების საზღვრები

ისლამში ვაჭრობის და მოგების შესახებ ზოგადადაა საუბარი და ეკონომიკური სფეროსთვის დამახასიათებელი გარკვეული პრინციპების მიხედვით უნდა ხორციელდებდეს. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ბუნებრივი და მორალური საზომებიც. გათვალისწინებულია აგრეთვე ჯანსაღი კონკურენციის პრინციპი და ძირითადი საჭიროების საქონელზე დეფიციტის შეუქმნელად ალალი მოგება. ამ მიმართულებით აკრძალულია პროცენტი, ხელოვნური დეფიციტის შექმნა, ტყუილი და მსგავსი ისამისთვის მიუღებელი ქმედებები.

ისლამიის მიხედვით მოგების ზუსტი პროცენტი არ არის მითითებული. ზოგადად, პროდუქციის ფასი მოთხოვნა- მიწოდების მიხედვით ბაზარზე შექმნილი ჯანსაღი კონკურენციის პირობებში დგინდება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი თავისუფლება გამყიდველს არ აძლევს იმის უფლებას საქონლის რეალურ ფასს ნებისმიერი თანხა დაამატოს. ტყუილის დაფიცება, საქონლის ნაკლოვანების დამალვა, საქონლზე ისეთი თვისებების მიწერა, რაც რეალობაში არ გააჩნია, თვითღირებულების ზედმეტად წარმოჩენა, დეფიციტისგან სარგებლობა და მსგავსი საქონლის რეალურთან შედარებით მაღალ ფასში გაყიდვას გამოიწვევს, რაც გამყიდველისთვის მიზანშეწონილი არ არის. ტყუილით და ფლიდობით მიღებული მოგება გამყიდველისთვის ალალი არ იქნება.

7)ქირა

უძრავ-მოძრავი ქონების გაქირავებისას ხელშეკრულებას ზრდასრული და გონებასრული ადამიანები ადგენენ და ხელშეკრულებაში ხელშეკრულების საგანს, დროს და თანხას მიუთითებენ. გაქირავების საგანი რეალურად უნდა არსებობდეს და ალალი უნდა იყოს. ზოგადად ქირის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის, მაგრამ ჰანეფის მიხედვით რომელიმე ფონდის, ობლის და საერთო სარგებლობის საქონელზე ქირის მაქსიმალური ხანგრძლივობა 3 წლითაა განსაზღვრული. ამით ერთგვარი თადარიგია დაჭერილი, რათა მქირავებელმა საქონელს არ დაეპატრონოს.

მუსლიმ ადამიანს უფლება აქვს თავისი ქონება მუსლიმურ სახელმწიფოში მცხოვრებ არამუსლიმს მიაქირავოს და თუ მოგვიანებით დამქირავებელი რაიმე აკრძალულ ქმედებას განახორციელებს ეს ხელშეკრულებაზე ვერ იმოქმედებს. ებუ იუსუფის და იმამ მუჰამმედის შეხედულებით კი არამუსლიმზე ადგილის მიქირავება მიუღებელია, თუ ის ამ ადგილზე ბარ-რესტორანს ან სამლოცველოს (ეკლესია) გააკეთებს. იმამი მალიქი კი დამატებით ამბობს, რომ ზემოთხსენებულს ღვინის გაყიდვა და ღორის შენახვაც ემატება.

მიწის ფართობის გაქირავება ფულზე, ან მოსავლის ნაწილზე შეიძლება. ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში არცერთი მხარე არ უნდა იყოს მოტყუებული.

გაქირავებული ადგილის მოვლა და რემონტი გამქირავებელის ვალდებულებაა, რადგან გაქირავებული ქონება გამოყენებადი უნდა იყოს. ეს ხელშეკრულებაში რომც არ ჩაიწეროს მნიშვნელობა არ აქვს.

დამქირავებელი ვალდებულია დათქმულ ვადებში გადაიხადოს ქირა.

თუ დამქირავებელი ქონებას არამიზნობრივად გამოიყენებს და დააზიანებს ზარალი უნდა აანაზღაუროს.

გაქირავებული ქონების პატრონმა თუ ქონება გაყიდა ახალი მეპატრონე ვალდებულია ქირავნობის ხელშეკრულების დამთავრებამდე დაელოდოს.

ჰანეფის მიხედვით ხელშეკრულების რომელიმე მხარის სიკვდილი ხელშეკრულების შეწყვეტას გამოიწვევს, მაგრამ ბოლო

დროის სწავლულთა აზრით ხელშეკრულების გაუქმებას მხოლოდ დამქირავებლის სიკვდილი იწვევს.

თუ დაქირავებული ქონება გამოუსადეგარი გახდება ხელშეკრულება წყდება. მაგ. დაქირავებული ფართის დანგრევა, დაწვა და მსგავსი.

8) ფულის გასესხება და აღება

ნასესხები, ან ნისიად ნაყიდი საქონლის ფული დროულად უნდა იქნას გადახდილი. თუ გამსესხებელს გაუჭირდა უფლება აქვს დროზე ადრე მოითხოვოს ფული. ასევე თუ მსესხებელს გაუჭირდა ვალის გადახდა უნდა გავუადვილოთ. ამის შესახებ ბაქარას სურას 280-ე აიათშია საუბარი. თუმცა ვალის გადახდის შესაძლებლობისდა მიუხედავად თუ ვალს არ ისტუმრებს ეს ფულის პატრონის მიმართ უსამართლობაა და მიუღებელია. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია სასამრთლოს მიმართოს და ვალის დაბრუნება აიძულოს. ებუ ჰანიფეს აზრით ვალის გამო პიროვნება არ უნდა დააპატიმრონ. გადახდის გზები უნდა მოიძებნოს და ანგარიში გასწორდეს.

მორწმუნე მუსლიმი შეიძლება რაიმე საჭიროების, ან სავაჭრო საქონლის მომატებისთვის აღებული სესხის გამო ვალში ჩავარდეს. ვალი, სანამ გადახდისუნარიანობას არ აღემატება საგანგაშო არ არის. თვით წმ. შუამავალსაც კი ნისიად შეუძენია საქონელი ვინმე ებრაელისგან და შემდეგში გაუსტუმრებია.

ვალში ჩავარდნილ ადამიანს თუ მისი გადახდა მტკიწედ აქვს განზრახული ღმერთი მას დაეხმარება. ამას წმ. შუამავლის ჰადისები ადასტურებენ.

ისლამში ვალი, სესხება, ნისიად ყიდვა-გაყიდვა მიღებულია, მაგრამ გადახდისუნარიანობას არ უნდა აღემატებოდეს. შუამავლობის შემდეგ სულიერების ყველაზე მაღალი საფეხური შაჰიდობაა. შაჰიდს ყველა ცოდვა მიეტევება გარდა დარჩენილი ვალებისა. ამით ნათლადაა გამოხატული, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებს ისლამი ადამიანის უფლებებს.

9) წინასწარი გაყიდვა

არსებობს შემთხვევები, როდესაც მყიდველი ფულს წინასწარ უხდის საქონლის პატრონს და საქონელს შემდეგში იღებს. მაგ. მოსავლის მოსვლამდე მისი შეძენა და მოსავლის აღების შემდეგ ჩაბარება. რადგანაც ფულის გადახდის დროს საქონელი რეალურად არ არსებობს მსგავსი რამ მიუღებელი უნდა იყოს, მაგრამ საჭიროებიდან გამომდინარე დასაშვებია. წმ. შუამავალმა თავის ჰადისებში განსაზღვრა თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მსგავსი შეთანხმების დროს მხარეები. ამისათვის 5 პირობაა: ა) ფული წინასწარ უნდა იქნას გადახდილი. ბ) საქონელი ისეთი სახის უნდა იყოს, რომ შესაძლებელი იყოს მისი აწონვა, ან გაზომვა, ან დათვლა და ა. შ. გ) საქონელი არ უნდა იყოს ოქროს, ვერცხლის ან ნაღდი ფულის სახის, რადგან ასეთ შემთხვევაში რომელიმე მხრიდან ზედმეტის გაღება პროცენტს გულისხმობს. დ) საჭიროა საქონლის სახეობის მითითება. ე) საჭიროა ჩაბარების დროის მითითება.

თუმცა ამგვარი შეთანხმებები როგორც წესი გამყიდველს აზარალებს, რადგან წინასწარ გაყიდვის შემთხვევაში საქონელი იაფად იყიდება. ხშირად შეთანხმების მიხედვით განსაზღვრული საქონელი არ გროვდება და გამყიდველი ვალში ვარდება. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ შეთანხმებას ისლამი არ კრძალავს, ის ხშირად უარყოფით შედეგებს იძლევა.

10) საგარანტიო წერილის აღება და მისი საშუალებით საქმის წამოწყება

ხშირად ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ სერიოზული ბიზნეს გეგმის განსახორციელებლად ბანკის საგარანტიო წერილია საჭირო. თუმცა ბანკი ამისათვის გარკვეულ გასამრჯელოს ითხოვს. ანუ ბანკი საქმის მწარმოებლის თავდები ხდება.

ისლამში თავდებობა მიღებულია. თუმცა თავდებობა გასამრჯელოს გარეშე თუ განხორციელდება უფრო მიზანშეწონილია, რადგან თავდებობა ადამიანს მადლს შესძენს. თუმცა დღეისათვის, განსაკუთრებით მსხვილი ინვესტიციების დროს მსგავსი უანგარო თავდების ნახვა შეუძლებელია.

ისლამში თავდებობის მსგავსი სხვა მსგავსი მომსახურებაც არსებობს. მაგ. იმამობა, მუაძინი, ყურანის მასწავლებელი და სხვ. ჰანეფის მიხედვით მსგავსი საქმიანობა გასამრჯელოს გარეშე უნდა ხორციელდებოდეს, რადგან ამ საქმეში მადლია. თუმცა დრო შეიცვალა და მსგავსი საქმის უფასოდ შემსრულებელი ძნელად თუ მოიძებნება. ამიტომ ჰანეფმა სწავლულებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მსგავსი საქმიანობისთვის გასამრჯელოს გაცემა შეიძლებოდა.

რადგანაც თავდებობა შედარებულია ზემოთ ჩამოთვლილ საქმოანობებთან, შესაბამისად ბანკის მიერ აღებული დანამატის აღნიშნული საქმიანობის შემსრულებელთა გასამრჯელოსთან შედარებაც შესაძლებელია. მუსლიმების მიერ ყველა იმ საქმიდან განდგომა, სადაც საგარანტიო წერილია საჭირო პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არ არის. მოკლედ, თუ მუსლიმი იძულებული გახდა საგარანტიო წერილი აიღოს ეს იმას ნიშნავს, რომ გასამრჯელოთი თავდები აიყვანა.

11) სავაჭრო პარტნიორობა

ყურანში და ჰადისებში ბიზნესის პარტნიორობის შესახებ ცნობები შეზღუდულია. ყურანში ნაბრძანებია:

قَالَ لَقَدۡ ظَلَمَكَ بِسُؤَالِ نَعۡجَتِكَ اِلٰى نِعَاجِه وَاِنَّ كَثِيرًا مِنَ الۡخُلَطَاءِ لَيَبۡغِ ى بَعۡضُهُمۡ عَلٰى بَعۡضٍ اِلَّا الَّذِ ينَ اٰمَنُوا وَعَمِلُوا الصَّالِحَاتِ وَقَلِ يلٌ مَا هُمۡ وَظَنَّ دَاوٗدُ اَنَّمَا فَتَنَّاهُ فَاسۡتَغۡفَرَ رَبَّهُ وَخَرَّ رَاكِعًا وَاَنَابَ

უთხრა: ვფიცავ, უსამართლოდ მოგექცა, როცა მოიწადინა შენი ცხვრის დამატება მის ცხვრებზე. და უეჭველად, მრავალი მოზიარეთაგან, უსამართლოდ ექცევა ერთმანეთს, გარდა იმათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. მაგრამ ასეთნი ცოტა არიან. დავუდი მიხვდა, რომ გამოცდა მოვუწყვეთ მას. ამრიგად შესთხოვა თავის ღმერთს, დაემხო სეჯდეზე და მოიქცა. სად 38/24

წმ. ჰადისში კი სემდეგია ნაბრძანები:

“ღმერთი ბრძანებს, რომ ორი პარტნიორიდან თუ ერთი მეორეს არ უღალატებს მათ შორის მესამე მე ვარ. ხოლო თუ ერთი მეორეს უღალატებს მე მათ მოვშორდები!”

ადამიანები საქმიანი პარტნიორები ისლამამდელ პერიოდშიც ხდებოდნენ. წმ. შუამავალი ახალგაზრდობის წლებში წმ. ჰატიჯესთან ერთად სავაჭრო პარტნიორობას ეწეოდა. ბოლოს კი თავისი სამართლიანი და ალალი ქცევით წმ. ჰატიჯეს უდიდესი ნდობა მოიპოვა და ეს ურთიერთობა მათი ქორწინებით დაგვირგვინდა.

ყურანში მრავალგზის არის მოწოდებული, რომ ნათქვამი სიტყვა და დადებული შეთანხმება უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობაა.

12) ბირჟა და აქციები

ბირჟა, ეს არის ერთგვარი ბაზარი, სადაც ფასიანი ქაღალდები და სავაჭრო საქონელი იყიდება. ადრე წინა პლანზე იყო წამოწეული სავაჭრო და სამეწარმეო ბირჟა, სოფლის პროდუქტების ბირჟა და ოქროს ბირჟა, მაგრამ დღეისათვის ყველაზე აქტუალური აქციების ბირჟაა.

ისეთი საქონლის თუ აქციების შეძენა, სადაც პროცენტი ურევია ბუნებრივია მიუღებელია. რაც სეეხება ფირმის აქციებს, საჭიროა აღნიშნული ფიმის საქმიანობის შესწავლა. თუ ფირმის საქმიანობა ისლამის მიხედვით მიღებული და ალალია აქციების შეძენაც მისაღები და დასაშვები იქნება.

ვთქვათ, რომელიმე პარტნიორს ფირმიდან გასვლა სურს და თავის წილს ითხოვს, ფიმრის ქონება თუ გაყოფას ექვემდებარება თავისი წილი უნდა მიეცეს, ხოლო თუ გაყოფას არ ექვემდებარება თავისი წილი გამოიანგარიშება და გაიყიდება. ასეთ შემთხვევაში აქცია წარმოადგენს არა ქარალდს, არამედ ფირმაში არსებული ქონების წილს. ასეთ შემთხვევაში აქციის ყიდვა- გაყიდვა მისაღებია.

ისლამის მიხედვით ბიზნესში პარტნიორობის მიზანი მოგებაა. წლის ბოლოს პარტნიორთაგან ერთმაც რომ მოითხოვოს თავის წილი მოგება უნდა მიეცეს. შეიძლება იმ პიროვნების ოჯახის შენახვა ამ მოგებაზე იყოს დამოკიდებული. დანარჩენი პარტნიორები თუ მოგებას არ აირებენ ეს მათ კაპიტალს მიემატება და აქციების რაოდენობა გაეზრდებათ.

სარჩევი

ნაწილი პირველი

I-სარწმუნოების აღმოცენება 3
ა. სარწმუნოების მცნება და მთლიანობა 3
ბ. ადამიანის გაჩენა 8
გ. პირველი ადამიანი 10
დ. ადამიანის გაჩენის მიზეზი.....13
ე. სარწმუნოებების საერთო კლასიფიკაცია.....15
სარწმუნოებების სოციოლოგიურ-ისტორიული კუთხით კლასიფიკაცია:..15
არსებობს განსხვავებული კლასიფიკაციაც; 16
გეოგრაფიულ-ისტორიული კუთხით რელიგიათა კლასიფიკაცია შემდეგია:...16
ვ. ისლამის ცნობების მიხედვით სარწმუნოების კლასიფიკაცია.....18
ზ. ჭეშმარიტი სარწმუნოების თვისებები.....21
II-ისლამის თვისებები.....24
III-ისლამის სარწმუნოების წყარო.....34
ა- ძირითადი მტკიცებულებები.....34
1) წიგნი.....34
2) სუნნეთი.....37
3) იჯმა.....41
4) ყიასი.....41
ბ- დამხმარე მტკიცებულებები.....43
1) ისტიჰსანი 43
2) მასლაჰათი..... 44

3) ადათი 46
4) ადრინდელი შარიათები 47
5) შუამავლის მეგობრების (საჰაბის) სიტყვა 49
6) ისტისჰაბ 49
IV-სარწმუნოებრივი მიმდინარეობები 50
ა) სარწმუნოებრივი მიმდინარეობების წარმოშობა 50
ბ) სუნნეთის მიმდევრები 52
გ) რწმენის მომდინარეობები 55
1) სელეფი 55
2) ეშარი 56
3) მათურიდის მიმდიანრეობა 57
დ)“ბიდათ”-ის ჯგუფის რწმენის მიმდინარეობები 58
1) მუღთეზილე 59
2) ჯებრიე 60
3) ხარიჯი 61
4) შიღა 61
V-სამართლებრივი მიმდინარეობები 64
ა) სამართლებრივი კანონის (ფიქჰ) მნიშვნელობა 64
ბ) სამართლებრივი მიმდინარეობები და იმამები 67
1) ჰანეფის მიმდინარეობა 67
2) მალიქის მიმდინარეობა 69
3) შაფიის მიმდინარეობა 70
4) ჰანბელის მიმდინარეობა 71
გ) სარწმუნოებრივი საქმიანობა, რომელსაც მიმდინარეობის სახე არ მიუღია 72
VI-თასავვუფი და მისი ადგილი ისლამში 73

ა) თასავვუფის ცნება და მოცულობა 73

ბ) პრინციპები და მტკიცებულებები, რომლებსაც თასავვუფი ეყრდნობა 74

1) ღვთის სიყვარულის ყველა და ყველაფერზე მაღლა დაყენება 75

2) მორწმუნეთა მიერ ურთიერთსიყვარული 77

3) ამ ქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებით საიქიოზე უპირატესობის მი-ნიჭება 78

4) გულის სიწმინდე და ღვთისმოშიშობა 81

5) თასავვუფში მიზნის მისაღწევად “სეირუ-სულუქ”-ის გზით სიარული84

გ) თასავვუფის გავლილი ეტაპები და წარმომადგენლები 88

1) ზუჰდის პერიოდი. (ზუჰდ- ამქვეყნიურ ყველა და ყვალაფრისგან შორს ყოფნა) 88

2) სისტემური თასავვუფის პერიოდი 89

3) ფილოსოფიური თასავვუფის პერიოდი 90

4) თარიქათული თასავვუფის პერიოდი 90

გ) თასავვუფის თეორიაში არსებული გადაცდომები 91

VII-მუქელლეფ 96

ა) ფარზი (აუცილებლად შესასრულებელი, ყურანში ნაბრძანები) 97

ბ) ვაჯიბი 100

გ) სუნნეთი 101

დ) მუსთეჰაბი 103

ე) მუბაჰი 103

ვ) ჰარამი (არამი) 106

ზ) მექრუჰი 109

თ) მუფსითი 110

VIII-აზიმეთი და რუჰსათი (ნებართვა) 111

ნაწილი მეორე 115

I-რწმენა და მისი მოცულობა 116

ა) რწმენის ცნება 116
ბ) რწმენისა და ისლამის ცნებების ურთიერთკავშირი 119
გ) რწმენისა და ქცევის (ამელ) ურთიერთკავშირი 121
დ) რწმენის ზრდა და კლება 125
ე) იჯმალი და თაფსილი რწმენა 126
ვ) ადამიანები უარყოფის და დადასტურების მიხედვით 128
ზ) დიდი ცოდვები 132
II-ღმერთის რწმენა....135
ა) დიადი ღმერთი და მისი ლამაზი სახელები....135
1) სახელი „ალლაჰი“....136
2) ყველაზე დიდი სახელი....136
3) ღმერთის ყველაზე ლამაზი სახელები....137
4) ღმერთის თვისებები....140
ა) ზათი თვისებები....141
ბ) სუბუთი თვისებები....146
III-ანგელოზების რწმენა....153
ა) ანგელოზები, ანგელოზების რწმენა....153
ბ) ანგელოზების თვისებები....155
გ) ანგელოზების მოვალეობები....158
1) დიდი ანგელოზები და მათი მოვალეობები....158
2) სხვა ანგელოზები....160
დ) ჯინი და ეშმაკი.... 162
1) ჯინი.... 162
2) ეშმაკი – სატანა....165
IV-წიგნების რწმენა....167
ა) ღვთიური წიგნების ცნება და მათი რწმენა....167

ბ) ღვთიური წიგნები.....169
1) გვერდები.....169
2) წიგნები.....171
ა) ძველი აღთქმა - თევრათი.....172
ბ) ზებური.....173
გ) ინჯილი – ახალი აღთქმა.....174
დ) ყურანი.....176
ყურანში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები.....177
V- შუამავლების რწმენა.....185
ა) შუამავალის ცნება და შუამავლების რწმენა.....185
ბ) შუამავლების რაოდენობა.....188
გ) შუამავლების თვისებები.....189
დ) სასწაული.....193
1)ადრინდელი შუამავლების ცნობილი სასწაულები.....194
2) სხვა ზებუნებრივი მდგომარეობები.....196
VI-განკითხვის დღის რწმენა.....201
ა) საიქიოს რწმენა.....201
ბ) საფლავში ყოფნის პერიოდი.....204
გ) ხელმეორედ გაცოცხლება.....206
დ) დიდი შეკრება და განკითხვა.....207
ე) “მიზან”- სასწორი.....209
ვ) ბეწვის ხიდი.....210
ზ) შეფაათ - შუამდგომლობა.....211
VII-შემთხვევისა და ბედისწერის რწმენა.....212
ა) შემთხვევისა და ბედისწერის ცნება.....212
ბ) მტკიცებულებები, რომლებსაც ბედისწერა და შემთხვევა ეყრდნობა.....213

გ) ებუ ჰანიფეს შეხედულება შემთხვევისა და ბედისწერის მიმართ....216

დ) ბედისწერა შეიცვლება?....216

ნაწილი მესამე.....218

მზადება ღვთისმსახურებისათვის....218

I-სისუფთავე ისლამში....219

ა) სისუფთავე....219

ბ) სისუფთავის აუცილებლობა, ანუ სისუფთავე- როგორც ფარზი....222

გ) განწმენდის საშუალებები....224

დ) ტუალეტის წესები....230

ე) სუფთად მიჩნეულები....231

II-აბდესთი და მასთან დაკავშირებული საკითხები....234

ა) აბდესთის განმარტება....234

ბ) აბდესთის ფარზები....235

გ) აბდესთის სუნნეთები....236

დ) აბდესთის წესები....241

III-სხეულის დაბანა (გუსულ)....255

1) ზოგადი ცნობები და მტკიცებულებები....255

2) მდგომარეობები, რომლებიც დიდ განბანვას საჭიროებს....257

3) დიდი განბანვის ფარზები....260

4) დიდი განბანვის სუნნეთები....262

5) ჯუნუბობის, მენსტრუაციის დროს მიუღებელი ქმედებები....263

IV- თეიმუმი....265

1) თეიმუმის განმარტება და მტკიცებულებები....265

2) თეიმუმის მიზეზები....266

3) თეიმუმის სუნნეთის მიხედვით შესრულება....268

4) თეიმუმის პირობები....269

5) თეიმუმის მომშლელი ფაქტორები....270

V-მანდილოსნებისთვის დამახასიათებელი მდგომარეობები....271

ა) მენსტრუაცია....271

1) მენსტრუაციის ცნება და მტკიცებულებები....271

2) მენსტრუაციის დრო და ხანგრძლივობა....273

3) მენსტრუაცია თანამედროვე მედიცინის მიხედვით 276

ბ) მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პერიოდი....277

გ) მენსტრუაციის და მშობიარობის შემდგომის სისხლდენის პერიოდში და მის შემდგომ დასაცავი წესები....278

დ) რაიმე დაავადების შედეგად გამოწვეული სისხლდენა....281

ნაწილი მეოთხე....283

I-ნამაზის მნიშვნელობა....284

ა) ნამაზის ცნება....284

ბ) მტკიცებულებები, რომალთაც ნამაზი ეყრდნობა....287

გ) ნამაზის სასარგებლო მხარეები....290

1) ნამაზის რელიგიური დადებითი მხარეები....290

2) ნამაზის, ადამიანის პიროვნებისათვის სასარგებლო მხარეები....291

3) ნამაზის სოციალური მხარე....292

დ) ნამაზის უარყოფა....292

II-ნამაზის დროები....295

ა) ნამაზის დროები ყურანსა და სუნაში....295

ბ) დილის ნამაზის ლოცვის დრო....298

გ) შუადღის ნამაზის დრო....299

დ) სამხრობის ნამაზის დრო....300

ე) საღამოს ნამაზის დრო....301

ვ) ღამის ნამაზის დრო....301

ზ) პოლუსებზე ნამაზის დრო.....303
თ) ორი ნამაზის ერთ დროს ლოცვა.....303
ი) მუსთეჰაბი დროები.....306
კ) მექრუჰი დროები.....308
III-ეზანი და ყამეთი.....312
ა) ეზანი.....312
1) ეზნის მნიშვნელობა, მტკიცებულებები და მადლი.....312
2) ეზნის და ყამეთის პირობები.....315
3) ეზნის მოსმენის წესი.....318
4) ნამაზის გარეშე ეზნის კითხვა.....318
ბ) ყამეთი.....319
IV-ნამაზის სახეები და მუხლები.....320
ა) ფარზი ნამაზები.....320
ბ) ვაჯიბი ნამაზი.....321
გ) ნაფილე ნამაზი.....322
V-ნამაზის ფარზები.....323
ა) პირობები, რომელთა მიხედვითაც ნამაზი ფარზია..... .323
1) მუსლიმი უნდა იყოს.....324
2) ზრდასრულობა.....325
3) გონებასრულობა.....325
ბ) ნამაზის წინა პირობები.....326
ნამაზის დაწყებამდე 6 პირობა.....326
გ)ნამაზში არსებული 6 პირობა.....327
დ) ნამაზის ვაჯიბები.....361
ე) ნამაზის სუნნეთები.....364
ვ) ნამაზის ლოცვის სხვა წესები 371

ზ) ნამაზის მექრუჰები.....372
თ) ნამაზის მომშლელი ფაქტორები.....378
VI-კითხვის დროს შეცდომის დაშვება.....387
ა) ღამის ლოცვა.....387
ბ) ვითრის ლოცვა..... 387
გ) ლოცვების კოლექტიურად შესრულების ფორმა.....389
VIII-იმამი.....389
X-ჯუმის ნამაზი (პარასკევის ლოცვა).....391
ა) მტკიცებულებები, რომლებსაც ჯუმის ნამაზი ეყრდნობა.....392
ბ) პარასკევის ლოცვის აუცილებლობისათვის საჭირო პირობები.....393
გ) პარასკევის ლოცვისას გასათვალისწინებელი პირობები.....395
“ზუჰრი აჰირ”-ის ნამაზი.....406
პარასკევის ნამაზის სუნნეთი ნამაზები.....434
XI-ბაირამი და ბაირამის ნამაზი.....408
XII- ნაფილე, ან თათავვუ ნამაზი.....414
ა) მუექქედი სუნნეთები.....414
ბ) გაირი მუექქედ-ი(არამუექქედი) სუნნეთები.....418
გ) მენდუფი (დამოუკიდებელი) ნამაზები.....418
1) თეჰეჯჯუდის ნამაზი 419
2) ყუშლუქის ნამაზი.....421
3) ევვაბინ ნამაზი.....422
4) მეჩეთში შესვლისას შესასრულებელი ნამაზი.....422
5) დიდი და მცირე განბანვის(აბდესთი) შემდგომ შესასრულებელი ნამაზი.....423
6) გამგზავრების წინ და მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ სალოცავი ნამაზი.....423
7) ჰაჯეთის ნამაზი.....423

8) ისტიჰარე ნამაზი....424

9) მონანიების ნამაზი....424

10) თესბიჰის ნამაზი....426

11) წვიმის ვედრება....427

12) ქუსუფის ნამაზი....428

13) ჰუსუფის ნამაზი....429

დ)მადლიანი დღეები და ღამეები....430

1) აშურა დღე....430

2) რეგაიბის ღამე....432

3) მირაჯის ღამე....432

4) ბერათის ღამე....432

5) ყადირის ღამე....433

XIII-იმამზე მიყოლა....435

ა) ნამაზის დასაწყისშივე იმამზე მიყოლა....435

ბ) კოლექტიურად ნამაზის ლოცვისას აბდესთის მოშლის შემთხვევები და ნამაზის დასრულება....437

გ) პირველი მუხლის შემდეგ იმამზე მიყოლა....439

XIV-სეჯდე....441

ა) სეჰივ სეჯდე....441

1) სეჰივ სეჯდეს განმარტება და მისი შესრულების ფორმა....441

2) მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც სეჰივ სეჯდე საჭიროდ ითვლება....443

3) სეჰივ სეჯდის გამომწვევი მდგომარეობები....444

ბ) თილავეთის სეჯდე....448

გ) მადლიერების სეჯდე....455

XV- შიშის ნამაზი....455

XVI- ავადმყოფის ნამაზი....457

XVII- მგზავრი და მგზავრის ნამაზი.....457

ა) სეფერი.....457

ბ) მგზავრისთვის შეღავათების დაწყების ადგილი.....460

გ) მგზავრის შეღავათები.....460

დ) მგზავრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.....464

ე) მგზავრობის დასრულება.....466

XVIII- გაცდენილი ნამაზის ანაზღაურება.....468

ა) გამოტოვებული ნამაზის ანაზღაურება და მტკიცებულებები.....468

ბ) საპატიო მიზეზები, რომლებიც ნამაზის ვალდებულებას აუქმებენ.....470

გ) თავის დროზე შეუსრულებელი ნამაზის შემდეგომში ანაზღაურების წესი.....471

XIX-ისყატი და დევრი.....473

XX-მიცვალებული და მიცვალებულის ნამაზი.....477

ა) გარდაცვალებამდე და გარდაცვალების მომენტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.....477

ბ) რა უნდა გავაკეთოთ ადამიანის გარდაცვალების მომენტში? 478

გ) წმ. შუამავლის გარდაცვალება 480

დ) მიცვალებულის განბანვა.....481

ე) მიცვალებულის ქეფენში შეხვევა.....484

ვ) მიცვალებულის ნამაზი.....485

ზ) მიცვალებულის გადაყვანა და დასაფლავება 490

XXI-ღმერთის გზაზე შეჰიდობა (სიცოცხლის გაწირვა).....493

ა) შეჰიდობა და მისი მადლი.....493

ბ) სხვადასხვა დებულებები, რომლებიც შაჰიდს შეეხება.....494

XXII-საფლავის ცხოვრება და საფლავის მონახულება.....497

ა) საფლავის ცხოვრება.....497

ბ) საფლავები და სასაფლაო.....500

გ) საფლავის მონახულება.....502

ნაწილი მეხუთე.....505

მარხვა.....505

I-მარხვა. როგორც ღვთისმსახურება და მისი დადებითი მხარეები.....506

ა) მარხვის ცნება და ისტორია.....506

ბ) მარხვის მადლი და დადებითი მხარეები.....50
7II-მტკიცებულებები, რომელთა მიხედვით მარხვა ფარზია.....510

III- მარხვის სახეები 512

ა) სავალდებულო მარხვა - ფარზი.....512

ბ) ვაჯიბი მარხვა.....513

გ) ნაფილე მარხვა.....513

დ) დღეები, როდესაც მარხვა აკრძალულია 515

IV-მარხვის დრო.....517

ა) მარხვის დრო.....517

ბ) რამაზნის მთვარის დაწყების დადასტურება.....519

გ) ადგილები, სადაც მთვარე განსხვავებულ დროს ჩნდება.....521

V-მარხვის პირობები.....523

ა) მარხვის აუცილებლობის განმსაზღვრელი პირობები.....523

ბ) მარხვის შეუსრულებლობისათვის საპატიო მიზეზები.....525

ზექათი.....529

I-სავალდებულო მოწყალება.....529

ა) ზექათის მომცველობა.....529

ბ) ზექათის, ანუ სავალდებულო მოწყალების დადებითი თვისებები.....530

გ) მტკიცებულებები, რომლებსაც სავალდებულო მოწყალების შესახებ დებულება ეყრდნობა 531

დ) სასჯელი, რომელსაც სავალდებულო მოწყალების გაუცემლობა იწვევს.....535

II-ზექათის პირობები.....536

III-საქონელი, რომელიც სავალდებულო მოწყალების გაღებას ექვემდებარება.....550

ა) ოქრო, ვერცხლი და ფული.....550

1)ოქროს და ვერცხლის ზღვრული რაოდენობა 550

2) სამკაულების და ძვირფასი ნივთების ზექათი.....553

3) საქონლის ზღვრული რაოდენობის შევსება.....554

4) შერეული ლითონის ზექათი 554

5) ქაღალდის ფულის ზექათი.....555

6) ხელფასის, სხვა ანაზღაურების და თავისუფალი შემოსავლების ზექათი.....555

7) ასაღები ფულის ზექათი.....556

ბ) სავაჭრო საქონლის ზექათი.....558

1) მტკიცებულებები, რომლებსაც სავაჭრო საქონლის ზექათისადმის დაქვემდებარება ემყარება.....558

2) სავაჭრო საქონლიდან ზექათის აღების პირობები.....558

3) სავაჭრო საქონლის ზექათის გამოანგარიშება.....560

გ) ფირმის ზექათი.....561

1) კაპიტალის წილის მიხედვით ფირმის აქციის მფლობელების ზექათი.....561

2) აქციების მფლობელთა ზექათი 563

3) პარტნიორობა, რომელშიც შრომითი კაპიტალია.....564

დ) სასარგებლო წიაღისეულის და საგანძურის ზექათი.....564

ე) სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათი.....567

1) სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ზექათის აღების პირობები.....568

2) სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც ზექათის გადახდას ექვემდებარება და გადამხდელები.....569

ვ) მიწის სტატუსის განსაზღვრისას ისლამისეული ხედვა 572

1) დაპყრობის მიხედვით მიწის სტატუსის განსაზღვრა 572

2) ზექათისადმი დაქვემდებარების მიხედვით მიწის სახეები.....574

ზ) შინაური პირუტყვის ზექათი.....575

თ) პირუტყვის ზექათთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.....582

ი) სავალდებულო მოწყალების პირადად, ან სახელმწიფოს ხელით გაცემა..... 583

კ) ზექათის გადახდის ფორმა.....584

IV-ზექათის გასაცემი ადგილები და პირები 586

ა) ზექათის გაცემა შემდეგ რვა კატეგორიაზე შეიძლება.....587

ბ) ადამიანთა კატეგორია, რომლებზეც ზექათის გაცემა მიუღებელია.....592

გ) ზექათის და გადასახადის ურთიერთკავშირი.....596

V-ფითრა - ფითრის მოწყალება.....597

ა) ფითრის განმარტება და მტკიცებულებები.....597

ბ) ფითრის მოწყალების გაღებისთვის საჭირო პირობები.....598

გ) ფითრის გაცემა 600

ნაწილი მეშვიდე.....602

ჰაჯობა და უმრე.....602

I-ჰაჯობის განმარტება და მომცველობა.....603

ა) ჰაჯობის განმარტება.....603

ბ) ქააბას ისტორია.....606

II-ჰაჯობა, როგორც ფარზი ღვთისმსახურება და მტკიცებულებები.....609

III-ჰაჯობის მალე, ან გვიან შესრულება.....612

IV-ჰაჯის ფარზობის პირობები.....612

V-ჰაჯობის შესრულების პირობები.....614

ა) საერთო პირობები.....614

ბ) მანდილოსნებისთვის განსაკუთრებული პირობები.....615

გ) სხვა შემთხვევები, რომლებიც ჰაჯობას ხელს უშლიან.....617

VI-ჰაჯობის სრულყოფილების პირობები.....618

VII-ადგილები, სადაც იჰრამში შესვლაა საჭირო.....619

VIII- იჰრამი.....620

IX ჰაჯობის სახეები.....625

X-ჰაჯობის ფარძები.....628

ა) არაფატზე დგომა (ვაქფე).....628

1) არაფატზე დგომის პირობები.....628

2) არაფატზე დგომის სუნეთები.....629

ბ) ტავაფი.....630

გ) ტავაფის მადლი.....631

XI-ჰაჯის ვაჯიბები.....632

XII-ჰაჯის სუნეთები.....639

XIII-ჰაჯის თავდებობა.....642

ა) ღვთისმსახურების დროს თავდებობა.....642

ბ) ფარზი ჰაჯის თავდებობის პირობები.....644

XIV-იჰრამით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოწვეული სასჯელი.....646

ა) იჰრამით გათვალისწინებული აკრძალულებიდან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში შესასრულებელი ჯარიმა და გამოსასყიდი.....647

ბ) იჰრამის აკრძალულებთან დაკავშირებული დანაშაულები.....649

XV-ჰაჯის გაგრძელების შეუძლებლობა და ჰაჯის გამოტოვება.....653

ა) ჰაჯის გაგრძელების შეუძლებლობა.....653

ბ) ჰაჯის გამოტოვება.....654

XVI-ჰაჯის შესრულება.....655

XVII-უმრეს შესრულება..... 656

ა) უმრე და მისი მტკიცებულებები.....656

ბ) უმრეს შესრულება 657
გ) წმ. შუამავლის მიერ შესრულებული უმრეები.....658
1) უმრეს ანაზღაურება.....659
2) ჰიჯრით მერვე წელს ჯირანედან შესრულებული უმრე.....660
3) გამოსამშვიდობებელ ჰაჯთან ერთად შესრულებული უმრე.....660
XVIII-ჰედი მსხვერპლი.....661
ა) ჰედი მსხვერპლი და მტკიცებულებები.....661
ბ) ჰედი მსხვერპლის სახეები.....663
გ) ჰედი მსხვერპლის შეწირვის ადგილი და დრო.....664
დ) ჰაჯობაზე შეწირული მსხვერპლის ხორცი.....664
ე) მსხვერპლის შეწირვის მაგივრად მარხვის შესრულება.....665
XIX-მექაში არსებული ძირითადი ღირსშესანიშნავი ადგილები.....666
ა) მესჯიდი ჰარამი.....666
ბ) თენიმი.....669
გ) ადგილი, სადაც "აქაბეს შეფიცვა" შედგა.....669
დ) ჰირას-ნურის გამოქვაბული.....670
ე) სევრის გამოქვაბული.....671
XX-მედინაში არსებული ძირითადი ღირსშესანიშნავი ადგილები.....673
ა) ქალაქი მედინა და მედინას ჰარემი.....673
ბ) მესჯიდი ნები.....674
გ) მესჯიდი ნებევის მადლი.....674
დ) წმ. შუამავლის საფლავის მონახულება.....675
ე) ქუბას მეჩეთი.....676
ვ) მესჯიდი ქიბლეთეინ.....676
ზ) ბაყის სასაფლაო.....677
თ) ჰენდექის ბრძოლის ადგილი.....677

ი) უჰუდის შეჰიდების სასაფლაო.....678

კ) ბედირის სასაფლაო.....679

ნაწილი მერვე.....680

მსხვერპლის შეწირვა ისლამში და მტკიცებულებები.....680

მსხვერპლის შეწირვა და სახეობები.....682
პირობები, რომლებსაც მსხვერპლის შემწირავი პიროვნება უნდა აკმაყოფილებდეს.....685

მსხვერპლის შეწირვის დრო და ფორმა.....687

II-მსხვერპლის სახეობები და ნაკლოვანებები.....689

III-შეწირული პირუტყვის ხორცი და სხვა ნაწილები.....692

IV-“აქიქა” მსხვერპლი.....694

V-ახალდაბადებულ ბავშვთან დაკავშირებული საკითხები.....694

ნაწილი მეცხრე.....696

ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.....696

I-ალალი და არამი.....696

1-არსებობს თუ არა ალალის და არამის საზღვრები და რა და რა სახის შეიძლება იყოს ისინი?.....696

2) რომელი ცხოველის ხორცის ჭამაა მიღებული?.....698

3) წყალში მცხოვრები არსებებიდან რომელია ალალი და რომელი არამი?.....701

4) როგორ განიხილება ისლამში ალკოჰოლური სასმელები? 702

5) ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და მათით ვაჭრობა მისაღებია?.....704

6) რა არის აზარტული თამაშები და ისლამის ხედვა მათ მიმარ.....704

7) სიგარეტი.....705

8) ოქროს და ვერცხლის სამკაულები და აბრეშუმის ტანსაცმელი 707

9) სუნამოებში ალკოჰოლის შემცველი ნივთიერების გამოყენება მიღებულია?.....707

10) მრუშობა.....709

11) რა სახის ღონისძიებები გაატარა ისლამმა მრუშობის წინააღმდეგ?..710

12) ორგანოების გადანერგვა მიღებულია?.....711

13) ჯადოს გაკეთება ან გაკეთებინება რამდენად ცოდვაა?.....713

14) კბილის დაპლომბვა განბანვას ხელს თუ უშლის? 713

II-ოჯახური ცხოვრება.....714

15) რა არის ქორწინებისთვის აუცილებელი პირობები?.....714

16) შეუძლია თუ არა მამაკაცმა შეხედოს იმ ქალს, რომელთანაც ქორწინებას აპირებს? 715

17) ისლამის მიხედვით ქორწინებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები რომელია? 715

18) დანიშვნისას ნაჩუქარი სამკაულები და საჩუქრები ნიშნობის შეწყვეტის შემთხვევაში ვის ეკუთვნის?.....718

19) დაქორწინებული მანდილოსნის ქონების უფლება 718

20) ქმრის უფლებები.....720

21) ქვრივი ქალის ქონებრივი უფლებები.....720

22) განშორებული ქალის ქონებრივი უფლებები.....721

23) ბავშვების მოვლა -პატრონობის ხარჯები 721

24) მშობლების და სხვა ახლო ნათესავების ხარჯები.....721

25) რელიგიური განსხვავება.....722

26) განქორწინება.....722

27) განქორწინებისას საქორწინო საჩუქრები ვის ეკუთვნით?.....726

28) აქვს თუ არა ცოლს განქორწინების უფლება?.....726

29) საქორწინო აქტის განსხვავებული ფორმა. “მუთა”.....726

30) შვილად აყვანა მიღებულია?.....727

31) ხელოვნური განაყოფიერება 727

32) მუსლიმისთვის განსაკუთრებული ჩაცმულობის სტილი თუ არსებობს?.....727

III-ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები.....729

1) ვაჭრობის ადგილი ისლამში.....729

2) პროცენტი.....730

3) გაყიდულ საქონელს რა თვისებები უნდა ჰქონდეს?.....732

4) ქალაქში გასაყიდად წაღებულ საქონელზე გზაში დახვედრა და შესყიდვა.....733

5) ჯუმის ნამაზის დროს ვაჭრობა მიღებულია?.....734

6) მოგების საზღვრები.....734

7) ქირა 735

8) ფულის გასესხება და აღება 736

9) წინასწარი გაყიდვა 737

10) საგარანტიო წერილის აღება და მისი საშუალებით საქმის წამოწყება.....737

11) სავაჭრო პარტნიორობა.....738

12) ბირჟა და აქციები.....739